კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

მის უგანათლებულესობას, თავადალფონსო სერაფინო დი პორჩას 2

ნაწილი პირველი 2

როგორი სიყვარული შეუძლიათ მეძავებს 2

ნაწილი მეორე 140

რა უჯდებათ სიყვარული ბერიკაცებს 140

ნაწილი მესამე 268

მოლიპულ გზაზე 268

აბატ კარლოს ერერას! 356

განცხადება" 357

ნაწილი მეოთხე 365

ვოტრენის უკანასკნელი გარდასახვა 365

მის უგანათლებულესობას, თავადალფონსო სერაფინო დი პორჩას

ნება მომეცით თქვენი სახელი წარვუმძღვარო თხზულებას, რომელიც, არსებითად, პარიზული გახლავთ, თუმცა იგი ცოტა ხნის წინ თქვენს ოჯახში ყოფნისას გავიაზრე. განა ბუნებრივი არ არის თქვენვე მოგიძღვნათ თქვენს ბაღში აღმოცენებული, სამშობლოსთან განშორებით გამოწვეული მწუხარების ცრემლით დანამული ყვავილები მჭევრმეტყველებისა! თქვენ მიმსუბუქებდით სევდას, როცა ჭალებში ნაღვლიანი დავეხეტებოდი და თქვენებური თელების დანახვისას ელისეს მინდვრებს ვიგონებდი. იქნებ ამ ძღვენით გამოვისყიდო ის ცოდვა, დუომოს შემყურე პარიზზე რომ ვოცნებობდი, ხოლო პორტარენცას ესოდენ კრიალა და კოპწია ფილებზე გავლისას ჩვენი ტალახიანი ქუჩები მენატრებოდა. როდესაც დასასტამბად გავამზადებ რამდენიმე ისეთ წიგნს, რომელიც ღირსი იქნება, მივუძღვნათ მილანელ ქალბატონებს, მაშინ ბედნიერება მომენიჭება თქვენი ძველი იტალიელი მწერლების რჩეულთა შორის მოვიხსენიო ის ბანოვანნი, რომელთაც ვეტრფი. გთხოვთ, გაახსენოთ მათ თქვენდამი პატივისცემის გრძნობით განმსჭვალული

დე ბალზაკი

ივლისი, 1838 წელი.

ნაწილი პირველი

როგორი სიყვარული შეუძლიათ მეძავებს

1824 წელს ოპერის უკანასკნელ ბალმასკარადზე ერთი ჭაბუკის სილამაზით მრავალი ნიღბოსანი მოიხიბლა. ყმაწვილი დერეფნებსა და დარბაზებში ისე მოუსვენრად წრიალებდა და თვალებს აქეთიქით ისე აცეცებდა, იტყოდით, პაემანზე შემთხვევით დაგვიანებულ ქალს ელისო. ასეთი, ხან ზოზინა და ხან აჩქარებული, სიარულის საიდუმლოს დედაბრები ან უსაქმურობით სახელგანთქმული კაცები თუ გამოიცნობენ. უზარმაზარ საკრებულოში, სადაც უამრავი პაემანია დანიშნული, სხვისთვის არავის სცხელა; ყველას საკუთარი ვნება აწუხებს, უსაქმურებსაც კი არა აქვთ მოცლა.

ჭაბუკი დენდი გაფაციცებით ეძებდა ვიღაცას და ვერ შენიშნა, თუ რა წარმატება ხვდა წილად: ვიღაც აღტაცებას ვერ მალავდა, ვიღაც კვიმატ ⸗ᲐᲖᲐᲘ

ს ესროდა, ვიღაც უნაზეს სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ყმაწვილს კი არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. მშვენიერებით იმ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ოპერის ბალმასკარადზე ფათერაკების საძებნელად რომ მოდიან და უეცარ შემთხვევას ისე ელიან, როგორც ელოდნენ მოგებას რულეტის მოთამაშენი, სანამ ფრასკატიცოცხალი იყო. ჭაბუკს მეშჩანური თავდაჯერება ეტყობოდა, საღამო ბედნიერად დამისრულდებაო. ჩანდა, მთავარი გმირის როლი უნდა ეთამაშა სამმოქმედებიან მისტერიაში, რასაც, ფაქტობრივად, ოპერის ბალმასკარადი წარმოადგენს და რაც როლების შემსრულებელთა გარდა, არავისთვის საინტერესო არ გახლავთ. ამიტომაც ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც მხოლოდ იმისთვის მოდიან, რათა თქვან, ვნახეო, მიამიტ ბიჭებსა და უცხოელებს ოპერა მეჯლისების დროს დაღლისა და მოწყენის ტაძრად უნდა ეჩვენებოდეთ. მათ ეს შავი ბრბო, ერთდროულად ზანტიც და მკვირცხლიც, აქეთიქით რომ აწყდება, ადის, ჩადის, იკლაკნება, ბრუნავს და ციბრუტივით ტრიალებს, მოფუთფუთე ჭიანჭველების ბუდეს აგონებს. ეს ყოველივე მათთვის ისევე გამოუცნობია, როგორც ბირჟა ქვემობრეტონელი გლეხისთვის, რომელსაც არც კი სმენია, ქვეყნად სახელმწიფო ვალების დავთარი თუ არსებობს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღარავინ იცვამს სამასკარადო ტანსაცმელს; დომინოშიმამაკაცი სასაცილოდ გამოიყურებაო, ფიქრობს პარიზელი, შიშობს, მეც სასაცილო არ გამოვჩნდეო და მით მთელი ერის განწყობილებას გადმოსცემს. თუ გინდა, შენი ბედნიერება დაფარო, შეგიძლია ისე წახვიდე ოპერის ბალმასკარადზე, რომ თვალი არავინ მოგკრას. შემთხვევით მოსული ნიღბოსანიც თავქუდმოგლეჯილი გარბის აქედან. აბა, სეირი მაშინ უნდა ნახოთ, როცა მასკარადის დაწყებისთანავე ზოგს ერთი სული აქვს, გარეთ გავარდეს, ზოგი შემოსვლისთვის იბრძვის და კართან ზედახორა იმართება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შენიღბული მამაკაცები ცოლების სათვალთვალოდ მოსული ეჭვიანი ქმრები ბრძანდებიან, ანდა სასიყვარულო თავგადასავლების მაძიებელი არშიყნი, ცოლებს რომ ემალებიან. ერთნიცა და მეორენიც მკაცრი გაკიცხვის ღირსნი არიან.

ჭაბუკი ვერ ამჩნევდა, რომ ფეხდაფეხ მისდევდა ჯმუხი, კასრივით მრგვალი, მოკლეფეხება, მხარბეჭიანი ყაჩაღისნიღბიანი მამაკაცი. ბალმასკარადის მუდმივი მონაწილენი ხვდებოდნენ, რომ დომინო ფარავდა ვიღაც ჩინოვნიკს ან მაკლერს, ან ბანკირს, ანდა ნოტარიუსს, ერთი სიტყვით, თავისი მეორე ნახევრისადმი ეჭვით გულგასივებულ ბურჟუას, რამეთუ მაღალ საზოგადოებაში არავის ეპრიანება საკუთარი ღირსების შემბღალავი საბუთების გამომზეურება. ნიღბოსნები იცინოდნენ და ერთმანეთს უჩვენებდნენ ამ შემზარავ კაცს. ახალგაზრდები მასხრად იგდებდნენ, მაგრამ კაცი ისე არხეინად განაგრძობდა გზას, ჩანდა, სრულიად არაფრად აგდებდა მათ უაზრო ლაზღანდარობას, ყმაწვილს მიჰყვებოდა მონადირეების მიერ დევნილი ტახივით, რომელიც ყურსაც არ იბერტყავს, თუმცა ირგვლივ ტყვიები ზუზუნებენ და შორიახლო ძაღლები ყეფენ. რა ვუყოთ, თუ ოპერის ბალმასკარადზე

თითქოს ყოველივე არეულდარეულია, სიამე და სევდა გახვეულია ერთსა და იმავე სამოსში, სახელგანთქმულ ვენეციურ შავ მოსასხამში, სხვადასხვა წრის პარიზელები ხომ მაინც იყრიან ერთად თავს და, ასე თუ ისე, აკვირდებიან ერთმანეთს, იხსენებენ ძველ ნაცნობებს. ბალმასკარადთა მუდმივი სტუმრები იცნობენ შავი მაგიის საიდუმლო გასაღებს, რისი მეოხებითაც აქაური ბრბოს სურვილი და მისწრაფებანი თავშესაქცევი რომანის ფურცლებივით აქვთ თვალწინ გადაშლილი. სწორედ ამ საიდუმლო გასაღების წყალობით ხვდებოდნენ, ჭაბუკს ატორღიალებული კაცი სულაც არ იყო ბედიღბლიანი საყვარელი; ასე რომ ყოფილიყო, უნდა ეტარებინა წინასწარდათქმული წითელი, თეთრი ან მწვანე ნიშანი, რაც იმის დასტური იქნებოდა, რომ ქალთან პაემანი ჰქონდა დანიშნული. იქნებ შურისძიების გრძნობა ამოქმედებდა? უსაქმურებმა რაკი შენიშნეს, ბედის ნებიერს მისდევსო, ხელახლა მიტრიალდნენ, ჭაბუკს ნეტარების ღვთაებრივი შარავანდედით მოსილ სახეზე დააცქერდნენ და თვალი ვეღარ მოსწყვიტეს. იგი ყველას ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა; მოდიოდა და ყველას ყურადღებას იპყრობდა. ეტყობოდა, ფუფუნებით ცხოვრებას იყო ჩვეული. ჩვენი ეპოქის საბედისწერო კანონების თანახმად, ფიზიკური თუ ზნეობრივი თვალსაზრისით, თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს უაღრესად ფაქიზად აღზრდილ ჰერცოგის ან პერის პირმშოსა და ამ მოხდენილ ჭაბუკს შორის, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ, შიგ პარიზის შუაგულში, სიღატაკე მარწუხებით კისერში წასწვდა და კინაღამ მიახრჩო. მშვენიერი გარეგნობა და სიჭაბუკე ისევე უნიღბავდა სულის უძირო უფსკრულებს, როგორც სხვა მრავალ ყმაწვილკაცს, ვისაც მოუწადინებიათ პარიზში განსაკუთრებული როლის შესრულება, თუმცა ამისთვის არავითარი ღირსება არ გააჩნიათ და დღენიადაგ ყოველივეს სწირავენ ამ მეფური ქალაქის ყველაზე თაყვანსაცემ ღვთაებას შემთხვევას,,. ახალგაზრდას უზადოდ ეცვა და თავიც შესანიშნავად ეჭირა. ფოიეს პარკეტზე ოპერის ხშირი სტუმარივით მიაბიჯებდა. განა არ შეგინიშნავთ, რომ პარიზული ცხოვრების ყოველ სფეროში დაკანონებულია თავისებური ქცევა, რაც ამჟღავნებს, ვინ ხარ, საიდან ხარ და რა გსურს.

რა მშვენიერი ბიჭია! გული არ გაგიძლებს, არ მიბრუნდე და არ შეხედო, თქვა ერთმა ნიღბოსანმა.

ოპერის ბალმასკარადებზე გაშინაურებული ადამიანი უთუოდ მიხვდებოდა, რომ იგი მაღალი საზოგადოების მანდილოსანი ბრძანდებოდა.

როგორ, ნუთუ არ გახსოვთ? გაიკვირვა მამაკაცმა, რომელსაც მკლავში ხელგაყრილი მოჰყვებოდა ეს ბანოვანი, ქალბატონმა დიუ შატლემ აკი გაგაცნოთ...
რას ბრძანებთ! მაშ, ეგ მეაფთიაქის შვილია, ქალბატონი დიუ შატლე რომ ეკურკურებოდა? მერე ჟურნალისტი რომ გახდა, მადმუაზელ კორალის საყვარელი?

მე კი მეგონა, ისე დაეცა, ვეღარასოდეს წელს ვეღარ გაიმართავსმეთქი. ვერ გამიგია, როგორღა შეძლო პარიზის საზოგადოებაში თავის გამოყოფა, სიტყვა ჩაურთო გრაფმა სიქსტ დიუ შატლემ.

უფლისწულს დამსგავსებია, მიუგო ნიღბიანმა ქალბატონმა, და ამგვარ გარეგნობას ვერასგზით ვერ შესძენდა თავისი ხასა, ვიღაც მსახიობი გოგო. ჩემმა ნათესავმა კი აღმოაჩინა ყმაწვილი, მაგრამ სათანადო პეწი ვერ მისცა. ნეტავ გამაცნო მაგ სარჟინისსატრფო, გულით მწადია. მიამბეთ რამე მისი ცხოვრებიდან, მინდა თავგზა ავუბნიო.

ჭაბუკს ეს წყვილი ჩურჩულით აედევნა და მხარბეჭიანი ნიღბოსნის ყურადღება მიიპყრო.

ჩემო ძვირფასო შარდონ, მიმართა პრეფექტმა და დენდის მკლავში ხელი ჩაჰკიდა, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ქალბატონი, რომელსაც თქვენთან ნაცნობობის განახლება სწადია...
ძვირფასო გრაფო შატლე, სიტყვა შეაგება ყმაწვილკაცმა, სწორედ მაგ ქალბატონმა ჩამაგონა, რაოდენ შეუსაბამო ყოფილა თურმე გვარი, თქვენ რომ ახლა მიწოდეთ. მეფის ბრძანებით დედაჩემის წინაპართა, რიუბამპრეთა გვარი დამიბრუნდა. გაზეთებშიაც კი გამოაცხადეს ეს ამბავი, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო პიროვნებას შეეხებოდა, რომ ოდნავადაც არ ვწითლდები, როცა მეფის ბრძანებას შევახსენებ მეგობრებს, მტრებსა და ჩემდამი გულგრილად განწყობილ ადამიანებს: თქვენ რომელ ჯგუფსაც გნებავთ, იმას მიემხრეთ; დარწმუნებული კი ვარ, საქციელს ვერ დამიწუნებთ, რაკი თვით თქვენმა მეუღლემ მირჩია, როცა იგი მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონი დე ბარჟეტონი ბრძანდებოდა (ამ კვიმატმა დაცინვამ მარკიზის მეუღლეს ღიმილი მოჰგვარა, ხოლო პრეფექტს ნერვიული ჟრუანტელი). გადაეცით მას, დასძინა ლუსიენმა, ამჟამად ჩემი გერბია: მეწამული ფარი, ფარის შუაში მწვანე მინდორზე გააფთრებული ვერცხლის ხარი.

გააფთრებული... ვერცხლის?.. გაიმეორა შატლემ.

თუ თქვენ არ იცით, ქალბატონი დჟესპარი აგიხსნით, რატომ აქვს მეტი ფასი ამ ძველ საგერბო ფარს, ვიდრე თქვენს გერბზე გამოსახულ კანცლერის გასაღებსა და იმპერიის ფუტკრებს;ალბათ, ეს დიდად სამწუხაროა ქალბატონ შატლესთვის, იგი ხომ წარმოშობით ნეგრპლელის დჟესპარი გახლავთ... მკვირცხლად მიუგო ლუსიენმა.

რაკი მიცანით, ვეღარ შევძლებ თქვენს გათამაშებას. თქვენ კი, ვერც გამომითქვამს, ისეთ საგონებელში ჩამაგდეთ, ხმადაბლა უთხრა მარკიზ დჟესპარის მეუღლემ, რომელიც დიდად განეცვიფრებინა იმ ადამიანის თავხედობასა და თვითრწმენას, ვისაც ოდესღაც არაფრად აგდებდა.

მაშ, ნება მომეცით, ქალბატონო, დავშთე იდუმალებით მოცულ ჩრდილში, რათა ამით თუ ძალმიძს, ჩემი თავი არ დაგავიწყოთ, უთხრა ლუსიენმა და ისე გაუღიმა, რომ აგრძნობინა, ამ ბედნიერების ხელიდან გაშვებას არ ვაპირებო.

ქალბატონმა დჟესპარმა უკმაყოფილება ვერ დამალა, რაკი დარწმუნდა, რომ ლუსიენმა, ინგლისელების თქმისა არ იყოს, სიტყვა მოუჭრა,,.

მოგილოცავთ ბედის კეთილად შემობრუნებას, უთხრა გრაფმა დიუ შატლემ ჭაბუკს.
ისევე ვიღებ თქვენს მოლოცვას, როგორც მომმართავთ, უპასუხა ლუსიენმა და უსაზღვრო თავაზიანობით დაემშვიდობა ქალბატონ დჟესპარს.

ტრაბახა! ჩასჩურჩულა გრაფმა ქალბატონ დჟესპარს, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოძებნა წინაპრები.

ახალგაზრდის ტრაბახი თუ გულზე გვხვდება, ეგ იმას ნიშნავს, რომ ბედნიერების მწვერვალისთვის მიუღწევია. თქვენი ხნის კაცისთვის კი ტრაბახი დუხჭირი ცხოვრების მაუწყებელია. ო, რარიგ მსურს, ვიცოდე, ჩვენი მეგობრებიდან რომელმა ქალმა შეუშვა თავის ბუდუარში ეგ სამოთხის ჩიტი? ეს რომ გამეგო, ამ საღამოს თავის შესაქცევად მეყოფოდა. ანონიმური ბარათი, რომელიც მივიღე, უთუოდ რომელიმე მეტოქის ბოროტი ოინია, წერილში ხომ ლაპარაკია ამ ჭაბუკზე. უეჭველია ვიღაცის წაქეზებით გათავხედებულა. გაჰყევით უკან, უთვალთვალეთ! მე ჰერცოგ დე ნავარენს გავუყრი მკლავში ხელს, არ გაგიძნელდებათ ჩემი პოვნა.

ქალბატონი დჟესპარი თავის ნათესავს უახლოვდებოდა, როცა იდუმალი ნიღბოსანი მათ შორის ჩადგა და ქალს ჩასჩურჩულა:

ლუსიენს უყვარხართ, ბარათის ავტორი თვითონვეა; თქვენი პრეფექტი ხომ მისი მოსისხლე მტერია და განა შეეძლო მისი თანდასწრებით თქვენთვის გული გადაეშალა?
უცნობი გასხლტა და ქალბატონი დჟესპარი კიდევ უფრო გააოცა. მარკიზის მეუღლეს ქვეყნად არავინ ეგულებოდა ისეთი, ვისაც ეყოფოდა კადნიერება, ამ ნიღბოსნის როლი შეესრულებინა. შეეშინდა, ვაითუ ვიღაც მახეს მიგებსო და ერთ მივარდნილ კუთხეში მიიყუჟა. გრაფი სიქსტ დიუ შატლე, ვის გვარსაც გულში ჩამარხული დიდი ხნის შურისძიების სურვილით შეპყრობილმა ლუსიენმა ჩამოაცილა პატივმოყვარეობით განმსჭვალული ნაწილაკი დიუ,,, შორიახლო გაჰყვა ბრწყინვალე დენდის; მალე ერთ სანდო ყმაწვილკაცს გადაეყარა და გული გადაუშალა:

როგორაა საქმე, რასტინიაკ, ნახეთ ლუსიენი? ტყავი შეუცვლია.

მაგასავით ლამაზი ბიჭი რომ ვიყო, უფრო მდიდარი ვიქნებოდი, მიუგო ახალგაზრდა კოხტაპრუწამ აგდებულად და თან ეშმაკურადაც; მის სიტყვებში დახვეწილი დაცინვა გამოკრთა.

ვერა, ჩასჩურჩულა ზორბა ნიღბოსანმა და ეს მოკლე სიტყვა ისე აჟღერდა მის ტუჩებზე, რომ რასტინიაკის ერთ დაცინვას ათასი დაცინვა დაუპირისპირდა.

რასტინიაკი ის კაცი არ გახლდათ, შეურაცხყოფას რომ გადაყლაპავს; ახლა კი გაშეშდა, თითქოს მეხი დაეცაო, და მერე ფანჯრის ნიშისკენ თვინიერად გაჰყვა ნიღბოსანს, რომლის ხელიც რკინის მარწუხებივით ჩასჭიდებოდა და ვერავითარი ძალით ვერ მოეშორებინა.

დედილო ვოკეს საქათმიდან გადმოფრენილო მამლაყინწავ, თქვენ ხომ გამბედაობა არ გეყოთ და მამილო ტაიფერის მილიონები ხელიდან გაუშვით, თუმცა საქმე უკვე გაჩარხული იყო. იცოდეთ, თუ გსურთ, თავი კისერზე შეგრჩეთ, ძმასავით მოეპყარით ლუსიენს. თქვენ ჩვენს ხელში ხართ, ჩვენ კი ვერაფერს დაგვაკლებთ. იყუჩეთ და ღალატი არ გაივლოთ გულში, თორემ მე ჩავებმები თამაშში და წაგება არ აგცდებათ. ლუსიენ დე რიუბამპრეს მფარველობას უწევს დღეს ყველაზე დიდი ძალა ეკლესია! აირჩიეთ, სიკვდილი ან სიცოცხლე. აბა, რას მეტყვით?
რასტინიაკს თავგზა აებნა ტყეში ჩაძინებული კაცივით, რომელსაც დამშეული ძუ ლომის გვერდით გამოეღვიძა. შიშით გული გაუსკდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ვერავინ შეამჩნია. მსგავს შემთხვევაში თვით ყველაზე გაბედული ვაჟკაციც კი ვერ უმკლავდება შიშს და ლაჩრულად იქცევა.

მხოლოდ მან,, შეიძლება იცოდეს... და გაბედოს... თავისთვის ჩაილაპარაკა რასტინიაკმა.

ნიღბოსანმა წინადადების დასრულება არ აცალა, ხელი მაგრად მოუჭირა და უთხრა: ისე მოიქეცით, ვითომც ის,, დაგმუქრებოდეთ.
და რასტინიაკიც მოიქცა მილიონერივით, რომელსაც შარაგზაზე ყაჩაღი დახვდა, უსიტყვოდ დაემორჩილა.

ძვირფასო გრაფო, მიუბრუნდა იგი შატლეს, თუკი არ გსურთ, დაკარგოთ მოპოვებული კეთილდღეობა, ლუსიენ დე რიუბამპრეს სათანადო პატივისცემით მოეპყარით. ერთ მშვენიერ დღეს იგი, ალბათ, თქვენზე მეტად წარჩინებულიც გახდება.

ნიღბოსანმა სხვებისდა შეუმჩნევლად ანიშნა, კმაყოფილი ვარ, სწორად მოიქეციო და ლუსიენს გამოედევნა.

ჩემო კარგო, რა სწრაფად შეიცვალეთ აზრი ლუსიენზე, არცთუ უსაფუძვლოდ გაუკვირდა პრეფექტს.

ისევე სწრაფად, როგორც იმათ, ვინც ცენტრს,, მიეკუთვნება და ხმას კი მემარჯვენეებს აძლევს, მიუგო რასტინიაკმა პრეფექტდეპუტატს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ხმა აღარ მისცა სამინისტროს.

განა დღეს ვინმეს აქვს მტკიცე შეხედულებები, ყველა გამორჩენაზე ფიქრობს, სიტყვა ჩაურთო დე ლუპომ, რომელმაც ყური მოჰკრა მათ საუბარს, ვისზე ლაპარაკობთ?

ბატონ დე რიუბამპრეზე. რასტინიაკს აუხირებია, გინდა თუ არა, დიდი ბობოლაა, მიუგო დეპუტატმა გენერალურ მდივანს.

ძვირფასო გრაფო, სერიოზულად უპასუხა დე ლუპომ, ბატონი დე რიუბამპრე მეტად ღირსეული ადამიანია. ესეც არ იყოს, ისეთი გავლენიანი პირები მფარველობენ, რომ თავს უაღრესად ბედნიერად ჩავთვლიდი, თუკი ხელახლა გავაბამდი მასთან ნაცნობობას.

შეხედეთ, აი, ახლა კი გაებმება ჩვენი თავზე ხელაღებული ვაჟკაცების მახეში! შესძახა რასტინიაკმა.

სამი თანამოსაუბრე მაშინვე შეტრიალდა კუთხისაკენ, სადაც თავი მოეყარა რამდენიმე ცნობილ, გონებამახვილ კაცსა და კოხტა ყმაწვილს. ეს ვაჟბატონები თავიანთივე შეთხზულ ჭორებს, ყურმოკრულ ამბებს უამბობდნენ ერთმანეთს და სულ იმის ცდაში იყვნენ, ენაკვიმატობასა და ავყიობაში არავის ჩამორჩენოდნენ, თავი შეექციათ ან რაიმე გასართობს გადაჰყროდნენ.

ამ ესოდენ ახირებულად შერჩეულ ადამიანთა ჯგუფში იყვნენ ისეთებიც, ლუსიენს ვითომ რომ მეგობრობდნენ, სინამდვილეში კი მტრულად იყვნენ მის მიმართ განწყობილნი.

ოჰო, ლუსიენ, ჩემო პატარა, ჩემო სიყვარულო, დავიბუმბლეთ, არა? დავიბზინეთ ბეწვი! საიდან მოვბრძანდებით? მაშ, ფლორინის ბუდუარიდან გამოგზავნილმა საჩუქრებმა გვიშველა და ავმხედრდით კიდეც რაშზე? ვაშა, ჩემო ბიჭუნა! შესძახა ბლონდემ, ფინოს მოსცილდა, ლუსიენს უბოდიშოდ წელზე ხელი შემოხვია და გულში ჩაიკრა.
ანდოშ ფინო ერთი ჟურნალის პატრონი იყო. ლუსიენი ოდესღაც თითქოს მუქთად ემსახურებოდა მას. ღრმად მოაზროვნე ბლონდე ამ ჟურნალში თანამშრომლობდა და ფინოს ბრძნული რჩევადარიგებებით ამდიდრებდა. ფინო და ბლონდე პირწავარდნილი ბერტრანი და რატონიიყვნენ, იმ განსხვავებით, რომ ლაფონტენის კატამ, ბოლოს და ბოლოს, ნიღაბი ახადა მატყუარა ბერტრანს, ხოლო ბლონდე, თუმცა აშკარად ხედავდა, რარიგ ყვლეფდა ფინო, მაინც არ შორდებოდა მას. კალმის ბრწყინვალე კონდოტიერსმართლაც დიდი ხნის განმავლობაში ედგა მონობის უღელი. ყეყეჩური გარეგნობისა და თავხედური უხეშობის საფარველქვეშ ფინო გაქნილი და მიდეგა კაცის სიჯიუტეს მალავდა. ეს სიჯიუტე ისევე იყო

გონებამახვილობით შეკაზმული, როგორც მუშაკაცის პური ნივრით. გულმოდგინედ აგროვებდა იმას, რასაც ცხოვრების სარბიელზე ლიტერატურის მუშაკები და პოლიტიკური მოღვაწენი მათთვის ჩვეული ხელგაშლილობით ფანტავდნენ: იდეებსა და ფულს. მისდა საუბედუროდ, ბლონდე მანკიერებასა და სიზარმაცეში ხარჯავდა ენერგიას. ნიადაგ გაჭირვებაში ჩაფლული იმ ღირსეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც სხვების საკეთილდღეოდ არაფერს იშურებენ, თავისთვის კი თითსაც არ გაანძრევენ; ისინი ჰგვანან ალადინს,სხვას რომ ათხოვებს ლამპარს. უბადლო მრჩეველნი, გამჭრიახნი და ნათელმხილველნი ხდებიან, თუკი გამორჩენას არ ელიან. ამოქმედებენ გონებას და არა ხელს, რის შედეგადაც უწესრიგოდ, უთავბოლოდ ცხოვრობენ და გონებაშეზღუდული ხალხის გაკიცხვას იმსახურებენ. ბლონდე მეგობარს დღეს შეურაცხყოფას მიაყენებდა, ხვალ კი უკანასკნელ გროშებს გაუყოფდა; ჯერ პურს გატეხდა ვინმესთან, ღვინოს დალევდა, დაიძინებდა კიდეც მასთან, მერე მიწასთან გაასწორებდა, არ დაინდობდა. თავისი კვიმატი პარადოქსებით ყველაფრის გამართლება შეეძლო. სამყარო გასართობად წარმოედგინა და სულაც არ ისწრაფოდა, ვინმეს სერიოზულ კაცად ჩაეთვალა. ჭაბუკი იყო, სიყვარულით გათამამებული, სახელგანთქმული და ბედნიერი. ფინოსავით კრუხივით როდი აჯდა ქონებას, შავი დღისთვის არაფერს ინახავდა. უეჭველია, დიდი გმირობა იქნებოდა, ლუსიენს რომ ბლონდესთვისაც ისევე მოეჭრა სიტყვა, როგორც ქალბატონ დჟესპარსა და შატლეს ჩასჩარა პირში ბურთი. საუბედუროდ, სიამაყეს ფრთებს უკვეცს პატივმოყვრული მისწრაფებანი, ხოლო სიამაყე უთუოდ ძლევამოსილ ქმედებათა მამოძრავებელი ძალაა. ქალბატონ დჟესპარსა და შატლესთან შეხვედრა მის პატივმოყვარეობას ტკბილად მიესალბუნა. მდიდარი, ბედნიერი და ამპარტავანი მოევლინა ორ ადამიანს, რომელთაც ოდესღაც აბუჩად აიგდეს ღარიბი და გაუბედურებული ჭაბუკი. რა უნდა ექნა, განა შეეძლო ჩვენს პოეტს დაბრძენებული დიპლომატივით მოქცეულიყო და საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი ამ ეგრეთ წოდებულ მეგობრებთან, რომლებმაც გაჭირვების წუთს დახმარების ხელი გაუწოდეს და შეივრდომეს? ფინო, ბლონდე და ლუსიენი ერთად იძირებოდნენ უზნეობის წუმპეში, ერთად მონაწილეობდნენ ღრეობებში და მარტოოდენ მევალეების ფულს ხარჯავდნენ. ჯარისკაცივით, რომელმაც არ იცის, სად გამოიჩინოს გულადობა, ლუსიენმაც, მრავალი პარიზელის მსგავსად, ისევ შეილახა თავმოყვარეობა, ფინოს ხელი ჩამოართვა და ბლონდეს თითლიბაზობაც გადაყლაპა. ვინც ოდესმე ჩაყურყუმელავებულა ჟურნალისტიკის ჭაობში, ანდა ახლა ფართხალებს მის წუმპეში, იძულებულია, მიესალმოს საძულველ ადამიანებს, გაუღიმოს მოსისხლე მტერს, შეურიგდეს უსაზიზღრეს უსინდისობას, ამოევლოს ლაფში, რაკი მოწინააღმდეგეს მისივე იარაღით უნდა შეებას. კაცი ეჩვევა ბოროტებას: ჯერ შორიდან უმზერს გულგრილად, მერე მის გამართლებას იწყებს და ბოლოს თვითონაც სჩადის სიავეს. უსინდისობასთან სამარცხვინო შეგუებით სული თანდათანობით კნინდება, კეთილშობილ აზრთა ზამბარები იჟანგება, ბანალურობის ანჯამები ცვდება და თავისთავად იწყებს ტრიალს. ალცესტები ფილინტებადგადაიქცევიან, ნებისყოფა დუნდება, ნიჭი ფერმკრთალდება, მშვენიერი შემოქმედების რწმენა იფერფლება. ვინც ესწრაფოდა საამაყო ნაწარმოების შექმნას, ძალას უბადრუკი სტატიების თითხნას შეალევს და ამის გამო, ადრე თუ გვიან, სინდისი ისე დაუწყებს ქენჯნას, თითქოს ბოროტმოქმედება ჩაედინოს. ლუსტოსა

და ვერნუსავით მოევლინები ქვეყანას, რათა დიდი მწერალი გახდე და გაზეთის უსუსურ მჯღაბნელად კი გადაიქცევი. აბა, რა სიტყვა გეყოფა იმისთვის, რომ ხოტბა შეასხა პიროვნებებს, რომელთა ნებისყოფა მათივე ტალანტის სიმაღლეზე დგას, დჟარტეზებს, მტკიცე ნაბიჯით რომ მიიწევენ წინ ლიტერატურული ცხოვრების მეჩეჩებით მოფენილ გზაზე. აბა, ლუსიენი როგორ გაუმკლავდებოდა ბლონდეს ფარისევლობას, როცა ყოველთვის ხიბლავდა მისი აზროვნება. ბლონდე ზნეობრივად ხრწნიდა შეგირდს, ჭაბუკის წარმოდგენაში იგი დიად კვარცხლბეკზე იდგა, რამეთუ გრაფინია დე მონკორნესთან სატრფიალო ურთიერთობის წყალობით მაღალ საზოგადოებაში გახლდათ მიღებული.

რაო, ბიძამ მემკვიდრეობა ხომ არ დაგიტოვათ? დამცინავად შეეკითხა ფინო.

თქვენ მოგბაძეთ და ყეყეჩები გავატყავე, იმავე კილოთი უპასუხა ლუსიენმა.

ჩვენს ბატონს რომელიმე გაზეთი ან ჟურნალი ხომ არ შეუძენია? ჰკითხა ანდოშ ფინომ საკმაოდ თავხედურად, როგორც ბატონმა მსახურს.

უფრო მეტიც შევიძინე, მიუგო ლუსიენმა, რომელსაც მთავარი რედაქტორის ამპარტავნულმა კილომ თავმოყვარეობა შეულახა და თავისი ახლახან მოპოვებული ძალაუფლება გაახსენა.

მაინც რა შეიძინეთ, ჩემო საყვარელო?

პარტია.

მაშ, ლუსიენის პარტიაც არსებობს? თქვა ღიმილით ვერნუმ.

ხედავ, ფინო, ამ ბიჭმა გაგასწრო. აკი გიწინასწარმეტყველე! ლუსიენი ხალასი ნიჭითაა დაჯილდოებული, შენ კი არ მოუარე, პირიქით, თავიდან მოიშორე, სინანული აღარაფერს გიშველის, სქელო ჩერჩეტო! შესძახა ბლონდემ.

მელასავით გაიძვერა ბლონდე გუმანით მიხვდა, ლუსიენის თავდაჭერა, მიხრამოხრა, ლაპარაკის კილო რაღაც საიდუმლოს ფარავსო. ისე მოეფერა, მიელაქუცა, ისე დაუდნა ხელში, რომ თავბრუ დაახვია ლუსიენს და მაგრადაც ამოსდო ინტრიგის ლაგამი. ცდილობდა, გაეგო, რატომ დაბრუნდა ლუსიენი პარიზში, რა მიზნებს ისახავდა, რა სახსრებით ცხოვრობდა.

მუხლი მოიყარე ამ დიდებული ადამიანის წინაშე, შენ ხომ ვერასოდეს გახდები დიდებული, თუმცა ფინოხარ! განაგრძობდა ბლონდე, მიიღეთ იგი, მიიღეთ დაუყოვნებლივ იმ წრეში, სადაც თავი მოუყრიათ ძლიერთა ამა ქვეყნისა, ვისაც ეკუთვნის მომავალი! იგი ჩვენია, გონიერი და მშვენიერი! განა სწორედ მას არ უწერია მიაღწიოს მიზანს ⸗ⷭⷭⷭⷭ ⸗ⷭⷭⷭⷭ ⸗ⷭⷭⷭⷭ ⸗ⷭⷭⷭⷭ

?აგერ დგას იგი მილანურ ბექთარში ჩამჯდარი, ხელთ უპყრია ქარქაშიდან სანახევროდ ამოწეული დაშნა და რაინდის დროშას აფრიალებს! ეშმაკმა დასწყევლოს! ლუსიენ, სად მოგიპარავს ეგ ლამაზი ჟილეტი? მარტოოდენ სიყვარულს ძალუძს აღმოაჩინოს ამგვარი ქსოვილი. რაო, იქნებ ბინაც გაქვს? მინდა ვიცოდე მეგობრების მისამართები, რადგან დღეს არ ვიცი, სად გავათიო ღამე. წუხელ ფინომ გამომაგდო, აქაოდა, სიყვარულში ბედმა გამიღიმაო.

ჩემო კარგო, უთხრა ლუსიენმა, მე პრაქტიკაში ვიყენებ აქსიომას, რის მეოხებითაც მშვიდად შეიძლება იცხოვროს კაცმა. ფუჭეა, ეჭვეა, ფიქრი
!ახლა კი დაგტოვებთ.

მე კი არ მოგშორდები, სანამ არ გადამიხდი წმიდათაწმიდა ვალს; შენ ხომ ვახშამი გმართებს ჩემი, ჰა? ჩააცივდა ბლონდე, რომელიც, ცოტა არ იყოს, ჭამის მოყვარული გახლდათ და თუ ფულზე ქესატად იყო, იხვეწებოდა, დამპატიჟეთო.

რა ვახშამზე მეუბნები? ჰკითხა ლუსიენმა და მოუთმენლობა შეეტყო.

რაო, აღარ გახსოვს? ახლა ვხედავ, მეგობარი გამმდიდრებია: მეხსიერება დაჰკლებია.

კარგად ახსოვს, რაც მართებს ჩვენი. მის კეთილსინდისიერებას მე ვუდგები თავდებად, მხარი აუბა ბლონდეს ხუმრობას ფინომ.

რასტინიაკ, მიმართა ბლონდემ ახალგაზრდა ფრანტს და მკლავში ხელი მოჰკიდა; სანამ ფინო სიტყვას დაასრულებდა, რასტინიაკი ფოიეში შემოვიდა და იმ სვეტისკენ გამოსწია, რომლის ირგვლივ თავი მოეყარათ ამ ვითომდა მეგობრებს, ვახშამზე დაგვპატიჟეს, განაგრძო ბლონდემ, შენც შემოგვიერთდი... მგონი, ეს ბატონი, დასძინა მან სერიოზულად და ლუსიენზე მიუთითა, უარს არ იტყვის ვალის გადახდაზე, აქამდე მის სინდისზე რომ იყო. თუმცა, რა ვიცი, მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ბატონი დე რიუბამპრე ამას არ იკადრებს, შემიძლია თავდებად დავუდგე, თქვა რასტინიაკმა, რომელსაც ახლა მისტიფიკაციისთვის არ სცხელოდა.

აგერ ბისიუც, შეჰყვირა ბლონდემ, მოდი, ეგეც შემოვიერთოთ. უმაგისოდ არაფერსა აქვს გემო. შამპანურიც კი ენაზე მეგლისება და ყველაფერი რაღაც უგემური მეჩვენება, თვით ეპიგრამების პილპილიც კი.

მეგობრებო, შესძახა ბისიუმ, ვხედავ, თავი მოგიყრიათ დღევანდელი დღის ჯადოსნური სასწაულის ირგვლივ. ჩვენი ძვირფასი ლუსიენი ოვიდიუსის მეტამორფოზების„განსახიერებაა, ისევე, როგორც ღმერთები გადაიქცეოდნენ ხოლმე ნაირნაირ ბოსტნეულად ან რაღაცრაღაცებად, რათა ეცდუნებინათ დედაკაცები. მათ გადააქციეს შარდონი აზნაურად, რათა ეცდუნებინათ, ვინ? შარლ XI. ლუსიენ, ჩემო საყვარელო, მიმართა მან და ფრაკის ღილზე ხელი მოჰკიდა, ჟურნალისტი თუ დიდ სენიორად გადაიქცევა, მის ირგვლივ დიდი აურზაურიც უნდა ატყდეს. მაგათ ადგილზე რომ ვიყო, განაგრძო ულმობელმა და დამცინავმა ბისიუმ და ფინოსა და ვერნუზე ანიშნა, ჩემს გაზეთში სტატიას მოგიძღვნიდი. სულ რაღაც ათი სვეტი ენამახვილობა და შენს ხარჯზე ას ფრანკს მაინც ჩაიჩხრიალებენ ჯიბეში.

ბისიუ, უთხრა ბლონდემ, ამფიტრიონსვეთაყვანებით ქეიფის დაწყებამდე ოცდაოთხი საათის განმავლობაში და კიდევ თორმეტ საათს ლხინის დამთავრების შემდეგ. ჩვენი ბრწყინვალე მეგობარი ვახშამზე გვიწვევს.

რაო, რაო? შეედავა ბისიუ, განა რა არის იმაზე მნიშვნელოვანი, რომ დავიწყებას გამოსტაცო დიადი სახელი? დაკნინებულსა და უპყარ არისტოკრატიას აჩუქო ტალანტით დაჯილდოებული კაცი? ლუსიენ, შენ იმსახურებ პრესის პატივისცემას. აკი მისი უმშვენიერესი სამკაული იყავი უწინ, იცოდე, ჩვენც მხარში ამოგიდგებით. ფინო, აბა, მოიტა მოწინავე! ბლონდე, შენი გაზეთის მეოთხე გვერდზე ერთი მზაკვრული ტირადა გააშანშალე! ვაუწყოთ ქვეყანას, რომ გამოქვეყნდა ჩვენი ეპოქის უშესანიშნავესი თხზულება შარლ IXის მეისრე!„ შევევედროთ დორიას, მალე დასტამბოს ზიზილები„„ ფრანგი პეტრარკას ღვთაებრივი სონეტები! აბა, აღვმართოთ მეგობრის დასაცავად ფარები საგერბო ქაღალდისა, კაცს ხან რომ გაუთქვამს და ხან შეუბილწავს სახელს!

თუკი ვახშმობა გისურვებია, უთხრა ლუსიენმა ბლონდეს, რაკი დაინახა, ეს ხროვა სულ უფრო და უფრო იზრდება და თავს იოლად ვეღარ დავაღწევო, რად დაგჭირდა ამდენი ჰიპერბოლა და პარაბოლა ძველ მეგობართან, თითქოსდა იგი ვიღაც დოყლაპია იყოს. ხვალ საღამოს ლუანტიესთან შეიკრიბეთ! ცქვიტად შესძახა მან და თავისკენ მიმავალი ქალის შესახვედრად გაეშურა.

ოჰ! ოჰ! ოჰ! დამცინავად აყიჟინდა ბისიუ; ჩანდა, იცნო ნიღბოსანი ქალი, ვისკენაც გაქანდა ლუსიენი, ეს საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს და დადასტურდეს.

ბისიუ ლამაზ წყვილს გაედევნა, გაასწრო, გამჭრიახი თვალი შეავლო და გამობრუნდა, რათა დაეკმაყოფილებინა ცნობისმოყვარეობა აქ თავმოყრილ მოშურნეთა ბრბოსი, რომელსაც მოსვენება დაკარგვოდა, ნეტავ რა გზით გამდიდრდა ლუსიენიო.

მეგობრებო, თქვენ კარგად იცნობთ ბრწყინვალე სენიორ დე რიუბამპრეს ბედნიერ სატრფოს, უთხრა მათ ბისიუმ, იგი დე ლუპოს ყოფილი თაგვი,, გახლავთ.

ჩვენი საუკუნის დამდეგს დიდად იყო გავრცელებული გარყვნილების ერთერთი სახეობა თაგვების ტრფიალი,,, რაც აწ მივიწყებასაა მიცემული ისევე, როგორც თვით სახელწოდება თაგვი,,. თაგვს,, უწოდებდნენ თერთმეტი ან თორმეტი წლის გოგოს, რომელიმე თეატრის, უპირატესად ოპერის, სტატისტს. ამ ბავშვებს გარყვნილი მამაკაცები მანკიერებისა და გახრწნილებისთვის ამზადებდნენ. თაგვი,, იყო ჯოჯოხეთიდან მოვლენილი პაჟი, მდედრობითი სქესის თავზე ხელაღებული ბიჭუნა, ვისაც ყოველგვარი არამზადული ოინბაზობა ეპატიებოდა. თაგვი,, ისე იქცეოდა, როგორც მოეპრიანებოდა; როგორც ცოფიან პირუტყვს, ისე უნდა მორიდებოდით, თუმცა ცხოვრებაში მხიარულების ნაპერწკალი შემოჰქონდა მსგავსად სკაპენის, სგანარელის და ფრონტენისა,რომლებიც ძველ კომედიებს ამხიარულებდნენ. თაგვი,, მეტისმეტად ძვირად ფასობდა, და ამავე დროს, კაცს არ ანიჭებდა არც სიამოვნებას, არც სარგებელს, არც პატივს. თაგვების,, მოდა ისე სწრაფად გადავარდა, რომ დღეს იშვიათად თუ ვინმეს ეცოდინებოდა რესტავრაციის წინა პერიოდის დარდიმანდთა ცხოვრების ეს დეტალი, ზოგიერთ მწერალს რომ თაგვი,, თავისი სიუჟეტის ახალ თემად არ გამოეყენებინა.

რა ამბავია, ლუსიენმა კორალი ხომ მოინელა და ახლა ლა ტორპილს გვტაცებს? შეჰყვირა ბლონდემ.
ამ სახელის გაგონებაზე გოლიათური აღნაგობის ნიღბოსანი შეკრთა და თუმცა იმწამსვე თავი შეიკავა, რასტინიაკმა მაინც შეასწრო თვალი.

ეგ შეუძლებელია! შეესიტყვა ფინო, ლა ტორპილს ერთი გროშიც არ უჭყავის; ნათანმა მითხრა, ფლორინისგან ათასი ფრანკი ისესხაო.

ოჰ, ბატონებო, ბატონებო, დაიწყო რასტინიაკმა. ცდილობდა, დაეცვა ლუსიენი ამ ამაზრზენი ბრალდებისგან.

კარგი ერთი! შესძახა ვერნუმ, რაო, უწინ კორალის კმაყოფაზე იყო და ახლა ვითომც იუკადრისებს?

დიახ, სწორედ ეგ ათასი ფრანკი მარწმუნებს, რომ ჩვენი ამფსონი ლუსიენი ლა ტორპილთან ცხოვრობს...

რა აუნაზღაურებელი დანაკარგია ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პოლიტიკის ელიტისთვის! თქვა ბლონდემ, ლა ტორპილი ერთადერთი კახპაა, რომელსაც ყველა შესაძლებლობა აქვს, მშვენიერ კურტიზანადგადაიქცეს; განათლებას არ გაურყვნია,

არც წერა იცის, არც კითხვა და ამიტომაც კარგად გაგვიგებდა. ჩვენ კი ჩვენს ეპოქას საჩუქრად მივართმევდით ასპასიასავითთვალწარმტაც არსებას, რომლის გარეშე არ იქმნება დიდი საუკუნე, ხომ ხედავთ, რარიგ უხდება დიუბარი XVIII საუკუნეს, ნინონ დე ლანკლო XVIIIს, მარიონ დელორმი XVIIს, იმპერია XVს, ფლორა რომის რესპუბლიკას, რომელიც ამ ქალმა თავის მემკვიდრედ აქცია და რესპუბლიკამაც მისი მემკვიდრეობით სახელმწიფო ვალი გადაიხადა! აბა, რა იქნებოდა ჰორაციუსილიდიას გარეშე, ტიბულიუსიუდელიოდ, კატულუსიულესბიოდ, პროპერციუსიცინტიას გარეშე, დემეტრიუსილამიას გარეშე: ისინი ხომ დღესაც ადიდებენ ამ მოღვაწეთა სახელებს!

ბლონდე ოპერის ფოიეში რომ დემეტრიუსზე ლაპარაკობს, ასე მგონია, დებას,,სტატიას ვკითხულობმეთქი, ჩასჩურჩულა ბისიუმ გვერდით მდგომ მამაკაცს.

ან მაგ დედოფლების გარეშე რა იქნებოდა კეისრის იმპერია? არ ცხრებოდა ბლონდე, ლაისი და როდოპიდა საბერძნეთი და ეგვიპტეა. ყველა ერთად თავისი საუკუნის პოეზიას განასახიერებს. სწორედ ეგ პოეზია აკლდა ნაპოლეონს, ვინაიდან მისი დიდი მხედრიონის ქვრივი საყაზარმო ხუმრობა იყო და სხვა არაფერი. ეს პოეზია არც საფრანგეთის რევოლუციას მოჰკლებია, მას ქალბატონი დე ტალიენი ჰყავდა! დღეს საფრანგეთის სამეფო ტახტი ცარიელია, თუმცა ტახტის მემკვიდრეები ჭიანჭველებივით ირევიან! დედოფალი ხომ არ შეგვექმნა? მე ლა ტორპილს მამიდას გამოვუძებნიდი, ვინაიდან დედამისის სიკვდილი მეტისმეტად ცნობილი და დამოწმებული ფაქტი გახლავთ; მან უნამუსობის სარბიელზე განუტევა სული. ლა ტორპილს დიუ ტიე სასახლეს აჩუქებდა, ლუსტო ეტლს; რასტინიაკი ლაქიებს, დე ლუპო მზარეულს, ფინო ქუდებს (ფინომ ასე საგულდაგულოდ დამიზნებულ ეპიგრამის ისარს გულგრილად ვერ შეაგება მკერდი და შეცბა),ვერნუ რეკლამას გაუწევდა, ბისიუ მოსწრებულ სიტყვებს შესთავაზებდა! არისტოკრატია თავის შესაქცევად შეიკრიბებოდა ჩვენს ნინონთან, ჩვენი გულგამგმირავი სტატიების შიშით არტისტებიც უარს ვერ გვეტყოდნენ იქ მოსვლაზე. ნინონ II სახელს გაითქვამდა კადნიერებით, თავხედობითა და თვალისმომჭრელი ფუფუნებით. საკუთარი შეხედულებები ექნებოდა. მის სასახლეში წაიკითხავდნენ რომელიმე აკრძალულ დრამატურგიულ შედევრს, რასაც, თუ საჭირო გახდებოდა, განზრახ შეთხზავდნენ. ლიბერალიც არ იქნებოდა, კურტიზანები, არსებითად მონარქიის მომხრენი ბრძანდებიან. ოჰ, რა დანაკარგია! მის მკლავებში მთელ საუკუნეს უნდა ენანავა, დღეს კი ვიღაც ცხვირმოუხოცავ ბიჭუნას ეკურკურება! ლუსიენი მეძებარივით დაგეშავს ამ გოგოს!

შენ რომ ჩამოთვალე, მათგან არც ერთ მდედრობითი სქესის დამპყრობელს არ უწანწალია ქუჩაქუჩა, უთხრა ფინომ, ეგ ლამაზი თაგვი,, კი წუმპეშია ნაგდები.

ვით შროშანის თესლი ნეშომპალაში, დასძინა ვერნუმ, იქ წამოიჩიტა, დამშვენდა, გაიფურჩქნა. აქედანვე მომდინარეობს მისი უპირატესობაც. ხომ უნდა განიცადო ყველაფერი, რათა შეძლო ყველაფრით გაიხარო და ყველაფერზე გაიცინო?

ვერნუ მართალია, ჩაერია ლაპარაკში ლუსტო, რომელიც ამდენ ხანს სხვებს უგდებდა ყურს და დუმდა, ლა ტორპილმა იცის სიცილიც და სხვისი გაცინებაც ეხერხება. ეს ხელოვნება, რითაც დაჯილდოებულნი არიან დიდი მწერლები და მსახიობები, მომადლებული აქვთ იმათაც, ვინც ღრმად ჩასწვდომია ცხოვრებისეულ ჯურღმულებს. თვრამეტი წლის გოგონამ უკვე გამოცადა უზომო ფუფუნებაცა და სიღატაკეც. გაიცნო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. თითქოს ხელთ ჯადოსნური წკეპლა აქვს და მისი ერთი მოქნევით აშიშვლებს ცხოველურ ინსტინქტებს, ესოდენ გულმოდგინედ რომ ფარავენ მამაკაცები, რომელთაც ჯერ კიდევ მგზნებარედ უცემთ გული, თუმცა პოლიტიკურ, მეცნიერულ ან ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევიან, ანდა ხელოვნებით არიან გატაცებული. პარიზში არ მოიძებნება ისეთი ქალი, ვისაც ლა ტორპილივით შეუძლია, უბრძანოს პირუტყვს: განვედ!,,. მის შეძახილზე პირუტყვი ტოვებს ბუნაგს და უსაზღვრო ნეტარებაში იძირება. ლა ტორპილი განუზომელ სიამოვნებას განიჭებთ, უზომოდ გაძღებთ, უგონოდ გათრობთ და თუთუნით გახრჩობთ. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ეს ქალი რაბლეს მიერ ხოტბაშესხმული მარილია და დაეყრება თუ არა მატერიას, სიცოცხლეს შთაბერავს, ხელოვნების ჯადოსნურ სფერომდე აღამაღლებს. მისი სამოსი ენით უთქმელი, ფასდაუდებელი ბრწყინვალებით ელავს, მისი თითებიდან თვალნი პატიოსანნი ცვივიან, ვითარცა ღიმილი მის ბაგეთაგან; ყოველ მოვლენას შესაბამის აზრსა და კანონზომიერებას ანიჭებს; მისი მეტყველება კვიმატი, პიკანტური სიტყვებითაა აკიაფებული. ლა ტორპილი დაჯილდოებულია სხვადასხვა ხმათა მიბაძვის სრულყოფილი ნიჭით; ხატოვანია მისი ხმა, იგი...

რა ას სუს კარგავ ფელეტონში! გააწყვეტინა სიტყვა ბისიუმ ლუსტოს, ლა ტორპილი გაცილებით უკეთესია. ასეა თუ ისე, თქვენ ყველანი მისი საყვარლები იყავით, მაგრამ ვერც ერთი თქვენგანი ვერ დაიტრაბახებს, ეს ქალი ჩემი ხასა იყოო; როცა მოეპრიანება, მაშინ დაგეუფლებათ, მაგრამ თქვენ მას ვერასოდეს დაეუფლებით. კარს უმტვრევთ, ეხვეწებით, ემუდარებით...

ოჰ, ის უფრო სულგრძელია, ვიდრე ყაჩაღთა ხროვის ბედიღბლიანი ბელადი, უფრო ერთგულია, ვიდრე სკოლის საუკეთესო ამხანაგი, თქვა ბლონდემ, შეგიძლია თამამად მიანდო ქისაცა და საიდუმლოც, მაგრამ დედოფლად ავირჩევდი მარტოოდენ იმის გამო, რომ ბურბონთა დარად სრულიად გულგრილია იმ ფავორიტის მიმართ, რომელსაც ყავლი გაუვიდა.

თავისი დედისა არ იყოს, ეგეც ძალიან ძვირად ფასობს, აღმოხდა დე ლუპოს, ეს მშვენიერი ჰოლანდიელი ტოლედოს არქიეპისკოპოსის მთელ ავლადიდებასაც შთანთქავდა; აკი გაფლანგა კიდეც ორი ნოტარიუსის ქონება...

და მაქსიმ დე ტრაის არჩენდა, როცა იგი პაჟი იყო, ჩაუნისკარტა ბისიუმ.

ლა ტორპილი ისევე ძვირად ფასობს, ვით რაფაელი, ვით კარემი, ტალიონი,ლორენსი,ბული;გენიალური ხელოვანები ხომ ყოველთვის ძვირად ფასობდნენ... თქვა ბლონდემ. ესთერს მაღალი ზნეობის ქალის გარეგნობა არასოდეს ჰქონია, ამ ქალბატონს კი ემჩნევა, წესიერი ვინმე უნდა იყოს, თქვა რასტინიაკმა და მიუთითა ნიღაბაფარებულ ქალზე, რომელმაც ლუსიენს მკლავში ხელი გაუყარა, სანამლეოს ვდებ, ეგ ქალბატონი დე სერიზი უნდა იყოს.

ეჭვი არ არის, კვერი დაუკრა დიუ შატლემ, და ბატონი დე რიუბამპრეს გამდიდრებაც მაშინ ადვილი ასახსნელი გახდება.

ოჰ, იცის ეკლესიამ, როგორ აირჩიოს ლევიტები!ოჰ, რა მშვენიერი საელჩოს მდივანი იქნებოდა! შესძახა დე ლუპომ.

ნუ დაივიწყებთ, ლუსიენი ნიჭიერი კაცია, არ ცხრებოდა რასტინიაკი, ამ ბატონებს არაერთხელ ჰქონიათ ხელთ ამის დამადასტურებელი საბუთი, დასძინა მან და ბლონდეს, ფინოსა და ლუსტოს გადახედა.

დიახ, ეგ ბიჭი ისეა გამოძერწილი, წამოიძახა ლუსტომ, რომელიც შურით სკდებოდა, რომ ძალზე შორს წავა. რაც მთავარია, დაჯილდოებულია იმ ნიჭით, რასაც დამოუკიდებელ აზროვნებას,, ვუწოდებთ.

განა შენ თვითონ არ გამოძერწე? უთხრა ვერნუმ.

იცით, რა, ჩაერია ლაპარაკში ბისიუ და თან დე ლუპოს შეხედა, გენერალურო მდივანო და სახელმწიფო საბჭოს მომხსენებელო, კარგად გაიხსენეთ! ეს ნიღბოსანი ლა ტორპილია, ვახშამზე ვდებ ნაძლევს...

ვიღებ სანამლეოს, მიუგო შატლემ, რადგან სიმართლის შეტყობა სურდა.

შეხედეთ, ბატონო ლუპო, იქნებ თქვენი ყოფილი თაგვის,, ყურები მაინც გეცნოთ? მიმართა ფინომ.

ნუ იზამთ მაგას, ნიღბის ახდა ბოროტმოქმედებაა, განაგრძო ბისიუმ, ლა ტორპილი და ლუსიენი ფოიედან გამობრუნდებიან, წინ ჩაგვივლიან და მე ვკისრულობ, დაგიმტკიცოთ, რომ ეგ ქალი ლა ტორპილია.

მაშ, ისევ ამოტივტივებულა წყლის ზედაპირზე ჩვენი ძმა ლუსიენი? იკითხა ნათანმა, რომელიც, ისის იყო, ამ ჯგუფს შემოუერთდა, მეგონა, ანგულემის მხარეს იმიტომ დაუბრუნდა, მთელი სიცოცხლე იქ უნდა გაატაროსმეთქი. კრედიტორების მოსანელებელი წამალი ხომ არ გამოუგონია?

მან გააკეთა ის, რასაც შენ ასე მალე ვერ მოახერხებ, უპასუხა რასტინიაკმა, ყველა ვალი დაფარა.

ჩასუქებულმა ნიღბოსანმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია:

როცა ახალგაზრდა კაცი პირად მეურნეობას აწესრიგებს, მისი საქმე ხელიდან წასულია. გამბედაობა ეკარგება და რანტიე ხდება, თქვა ნათანმა.
ოჰ, ეგ ყოველთვის დიდი სენიორი იქნება და არასოდეს დაკარგავს ამაღლებულ აზრებს; ეს კი ბევრ ეგრეთ წოდებულ ამაღლებულ ადამიანთა ზევით დააყენებს, მიუგო რასტინიაკმა.

ამასობაში აქ თავმოყრილი ჟურნალისტები, დენდები, უსაქმურები ისე ათვალიერებდნენ თავიანთ სანაძლეოს თვალწარმტაც ობიექტს, როგორც დალალი გასაყიდ ცხენს. და პარიზულ გარყვნილებას დიდი ხნის ნაზიარევი ეს მსაჯულნი, მაღალგონიერებით დაჯილდოებულნი, გახრწნილნი და გამხრწნელნი, დაუოკებელი პატივმოყვარეობის გრძნობით ერთნაირად განმსჭვალულნი, ყველაფრის ვარაუდსა და გამოცნობას მიჩვეულნი, აგიზგიზებული თვალებით მისჩერებოდნენ ნიღბიან ქალს, რომელსაც მათ გარდა ვერავინ შეიცნობდა. მხოლოდ მათ და ოპერის მეჯლისების ზოგიერთ მუდმივ სტუმარს შესწევდათ უნარი, შეეცნოთ გრძელ შავ დომინოში, კაპიუშონსა და დახურული საყელოს შიგნით მიმალული ქალის ხორცსავსეობა, აღნაგობისა და სიარულის თავისებურება, წელის რხევა, თავისა და კისრის მოყვანილობა, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შეამჩნევს, ხოლო ზემოაღნიშნული კატეგორიის მამაკაცებისთვის პირდაპირ თვალში საცემია. უფორმო მოსასხამმა ვერ იხსნა ლა ტორპილი; ლაზღანდარებმა სუნი იკრეს და ერთბაშად იხუვლეს, აი, მეტად გულისამაჩუყებელი სანახაობა ჭეშმარიტი სიყვარულით აღტყინებული ქალიო. გინდ ლა ტორპილი ყოფილიყო იგი, გინდ ჰერცოგინია დე მონფრინიეზი ან ქალბატონი დე სერიზი, სოციალური კიბის გინდ პირველ, გინდ უკანასკნელ საფეხურზე მდგარიყო, ეს არსება თვალწარმტაც ქმნილებას, ტკბილ ოცნებათა ფრთაშესხმას წარმოადგენდა. მის დანახვაზე ამ ბებერ ჭაბუკებსა და ახალგაზრდა ბერიკაცებს ერთნაირად გააჟრჟოლათ და შურით აღვსილნი მიაშტერდნენ ლუსიენს, ვისაც მომადლებული ჰქონდა ზეგარდმო ნიჭი,

ქალი ღვთაებად გადაექცია. ნიღაბაფარებულ ქალს ისე ეჭირა თავი, თითქოს ლუსიენის გარდა იქ არავინ იყო.
მისთვის აღარ არსებობდა არც ათი ათასი კაცი, არც შეხუთული ჰაერი, არც მტვრის კორიანტელი. არა! სიყვარულის ციური თაღის ქვეშ იდგა, რაფაელის მადონასავით ოქროს შარავანდედით გაბრწყინებული. ვერ ამჩნევდა, ხალხი როგორ ფუსფუსებდა მის გარშემო; მის თვალთა კოცონი ნიღბის ორი ნახვრეტიდან გარეთ იჭრებოდა და ლუსიენის მზერას ერწყმოდა. თითქოს მისი სხეულის თრთოლა სატრფოს სხეულის თრთოლის განმეორება იყო. საიდან გამოკრთის ის შუქი, სიყვარულით შეპყრობილ ქალს რომ აცისკროვნებს და გამოარჩევს მრავალთა შორის? სად პოულობს ფერია იმ სიმსუბუქეს, რაც თითქოსდა არღვევს მიზიდულობის კანონს? ეს აფრენილი სული ხომ არაა ან ბედნიერებას ხომ არ შეუსხამს ხორცი? ქალწულის უბიწოება და ბავშვის სათნოება გამოკრთოდა დომინოდან. ქალვაჟი თუმცა ცალცალკე არსებობდა და ცალცალკე მოძრაობდა, მაინც ემსგავსებოდა ფლორასა და ზეფიროსს, ჯადოქარ მოქანდაკეს, ასე ოსტატურად რომ ჩაუხვევია ერთმანეთთან. მაგრამ ეს წყვილი უფრო მეტად მშვენიერი იყო, ვიდრე ქანდაკება, ყველა ხელოვნებაზე მაღალი ხელოვნება; ლუსიენი და მისი ტურფა დომინო ჰგავდნენ ყვავილებითა და ჩიტებით გარშემორტყმულ ანგელოზებს, ჯოვანი ბელინისფუნჯს რომ გამოუხატავს ქალწული ღვთისმშობლის ქვემოთ. ლუსიენი და ეს ქალი განასახიერებდნენ წარმოსახვის სფეროს, რაც ხელოვნებაზე მაღლა დგას ისე, ვით მიზეზი შედეგზე.

და როცა სიყვარულით თავდავიწყებული არსება მამაკაცების ჯგუფს მიუახლოვდა, ბისიუმ დაუყვირა:

ესთერ!
უბედურმა გოგომ მაშინვე მოიხედა და იცნო ვერაგი კაცი. თავი ჩაქინდრა ისე, როგორც სულთმობრძავმა, უკანასკნელი სუნთქვა რომ აღმოხდება. მამაკაცებმა ჯერ ხარხარი ატეხეს, მერე კი შეშინებული ვირთხებივით აქეთიქით გაიფანტნენ. მარტო რასტინიაკი შერჩა ამ ადგილს, რათა არავის ეფიქრა, ლუსიენის მრისხანებით ანთებულ მზერას გაექცაო. ესეც არ იყოს, სურდა ორი ადამიანის ფარული, ღრმა მწუხარებით დამტკბარიყო. ამ ორთაგან ერთი იყო საბრალო ლა ტორპილი, მეხდაცემულივით გაშეშებული, მეორე კი იდუმალებით მოცული ნიღბოსანი, რომელიც ადგილიდან არ დაძრულა. ესთერმა რაღაც უჩურჩულა ლუსიენს და მაშინვე ჩაიკეცა. ლუსიენმა წელზე ხელი მოხვია და ორივე ბრბოში მიიმალა. ფიქრებში წასულმა რასტინიაკმა ლამაზ წყვილს თვალი გააყოლა.

საიდან შეურქმევიათ ეს სახელი, ლა ტორპილი? ჩაესმა ხმა. მის გაგონებაზე ისე შეკრთა, თითქოს გულმუცელი გადაუტრიალდაო, ხმა აღარ იყო შეცვლილი.

სწორედ ის არის, კიდევ გამოქცეულა... ჩაილაპარაკა რასტინიაკმა.

კრინტი არ დაძრა, თორემ აქვე გაგათავებ, გააფრთხილა ნიღბოსანმა უკვე სხვა ხმით, კმაყოფილი ვარ შენით, სიტყვა შეასრულე, ჩემი დახმარების იმედი გქონდეს. ახლა კი საფლავის ქვასავით დამუნჯდი, ხოლო სანამ დადუმდებოდე, მიპასუხე ჩემს შეკითხვაზე.

კარგი, იყოს ნება შენი. ეგ ქალიშვილი ისე მიმზიდველია, თვით იმპერატორ ნაპოლეონსაც დაიპყრობდა. ნაპოლეონი რაა, მასზე ძნელად მოსათვინიერებელ მამაკაცსაც მოთოკავს: თუგინდ შენ! უთხრა რასტინიაკმა და განშორდა.

მოიცადე ერთი წუთი, დაუძახა ნიღბოსანმა, მინდა დაგიმტკიცო, რომ არსად შემხვედრიხარ.

ნიღაბი მოიხსნა. რასტინიაკი ერთხანს შეყოყმანდა, რაკი ამ კაცს არაფერი ჰქონდა საერთო იმ შემზარავ პიროვნებასთან, რომელსაც ოდესღაც იცნობდა ვოკეს პანსიონში.

ეშმაკი დაგხმარებიათ, ყველაფერი შეგეცვალათ, მაგრამ თქვენი თვალების დავიწყება შეუძლებელია, უპასუხა მან.
რკინის ხელი ჩაებღაუჭა რასტინიაკის მკლავს ნიშნად ბრძანებისა, საიდუმლო კუბოს კარამდე შეინახეო.

ღამის სამ საათზე დე ლუპოსა და ფინოს ელეგანტური რასტინიაკი იმავე ადგილზე დაუხვდათ, სადაც გაშორდნენ; იმავე სვეტზე იყო მიყრდნობილი, სადაც დატოვა შემზარავმა ნიღბოსანმა. რასტინიაკი თავის თავს აღსარებას ეუბნებოდა; თვითონვე იყო მღვდელიცა და ზიარების მთქმელიც, ბრალდებულიცა და ბრალმდებელიც. სამუდამოდ დადუმებული მორჩილად გაჰყვა ვახშმად მეგობრებს და შინ უღმერთოდ მთვრალი დაბრუნდა.

ლანგლადის ქუჩა მის მახლობლად მდებარე სხვა ქუჩებივით აუშნოებს პალერუაიალისა და რივოლის ქუჩებს. აქ ოდესღაც წისქვილები იდგა და ნაგვის ბორცვები იყო აღმართული. ახლაც სიბინძურე სუფევს პარიზის ბრწყინვალე უბნის ამ კუთხეში, რომელიც დიდხანს დარჩება სამარცხვინო ლაქად. ვიწრო, ბნელი, აშმორებული ქუჩები, სადაც უთვალავი, არცთუ შეურყვნელი წარმოებაა გაჩაღებული, ღამით იდუმალებით იმოსება და კონტრასტებით ივსება. კაცს, ვისთვისაც სრულიად უცხოა ღამის პარიზი, გულში სევდა ეპარება, როცა მრეწველობის, მოდისა და ხელოვნებათა ნაოსტატარით, თვალისმომჭრელი ვიტრინებით აკიაფებული სენტონორეს, ნევდეპტიშანის, რიშელიეს გაჩახჩახებული ქუჩების შემდეგ თავს ამოყოფს პატარა ქუჩების ქსელში, გარს რომ შემორტყმია გაჩირაღდნებულ ადგილებს, რომელთა კაშკაში ცას სწვდება. გაზის ლამპიონთა მოელვარე ნიაღვარს უკუნეთი სიბნელე ცვლის. ორიოდე მბჟუტავი ფარანი მიდამოს ძლივს ანათებს; მათი ფერმკრთალი შუქი ბნელ ჩიხებამდე ვერ აღწევს. იშვიათად შეხვდებით გამვლელს, თუ ვინმე გამოჩნდა, ისიც სწრაფი ნაბიჯით სადღაც მიეშურება. დუქნები მეტწილად დაკეტილია. აქაიქ თუ წააწყდებით ღია სამიკიტნოს, ბინძურსა და ჩაბნელებულს, ანდა თეთრეულის სავაჭროს, სადაც ოდეკოლონიც იყიდება. ნესტიანი სიცივე დანამული მოსასხამივით გეკვრებათ

მხრებზე. მეტად იშვიათად გაივლის ეტლი. საითაც გაიხედავ, ქუჩის პირქუშ კუთხეს მოჰკრავ თვალს; განსაკუთრებით შემზარავია ლანგლადის ქუჩა, სენგიომის პასაჟი და რამდენიმე შესახვევი. მუნიციპალურმა საბჭომ ჯერჯერობით ვერაფერი მოახერხა ამ კეთროვანთა სადგომის გასაწმენდად, რადგან პროსტიტუციამ ოდითგანვე აქ დაიდო ბინა. რა ვიცით, ეგებ პარიზის საზოგადოება ბედნიერიც კია, რომ ამ პატარა ქუჩებს შეუნარჩუნებიათ თავიანთი ბილწი სახე. დღისით ვერ წარმოიდგენთ, რარიგ იცვლება ეს კუთხე ღამით. წყვდიადი ცოცხლდება; ფუთფუთს იწყებენ არაამქვეყნიური, უცნაური არსებანი, კედლებს მოჩვენებებივით ეკვრიან ნახევრად შიშველი, თეთრი სხეულები. კედლებსა და გამვლელებს შორის ჩაივლიან მორთულმოკაზმული, აჟღურტულებული მანეკენები. გაღებული კარებიდან შემოგესმებათ სიცილკისკისი და ვნებით გალღობილი ისეთი სიტყვები, გაყინულნი რომ დაფარფატებენ სივრცეში, როგორც ამბობდა რაბლე.ხორხოცს ბანს აძლევს ქვაფენილი. ხმაური არ არის ბუნდოვანი, გაურკვეველი, იგი რაღაცას ნიშნავს; თუ ხრინწიანია ადამიანის ხმაა, მაგრამ თუკი სიმღერას მიემსგავსება, ადამიანური აღარაფერი აქვს და ღმუილს უფრო გვაგონებს. ხშირად სასტვენის ხმაც გაისმის. ჩექმის ქუსლიც კი თითქოს გამომწვევად და დამცინავად ურტყამს ქვაფენილს. ეს ყოველივე ადამიანს თავბრუს ახვევს. ამინდიც შეცვლილია: ზამთარში ცხელა, ზაფხულში ცივა. მაგრამ რა დარიც უნდა იდგეს, ეს საოცარი მიდამო ერთნაირად გამოიყურება: აქ ბერლინელი ჰოფმანისფანტასტიკურ სამყაროს შეუსხამს ხორცი. თვით ყველაზე ზუსტი ანგარიშის მოყვარული მოლარეც რეალურს ვერაფერს იპოვის ამ ვიწრო ქუჩაბანდებში, საიდანაც წესიერ ქუჩებში გავდივართ; აქ კი უკვე გვხვდება გამვლელებიც, დუქნებიც, ფარნებიც. გარდასულ დროთა მეფეებსა და დედოფლებს სულაც არ ეშინოდათ, ყურადღება გამოეჩინათ კურტიზანი ქალებისადმი; ახლა კი, ნურას უკაცრავად, ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი და თანამდებობის პირნი ასე როდი იქცევიან, ისინი მეფედედოფლებზე ამპარტავანნი ანდა მორცხვნი ბრძანდებიან და თვალს არიდებენ დედაქალაქის ამ წყლულს. რა თქმა უნდა, დროთა ვითარებაში სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები იცვლება; პიროვნებისა და მისი თავისუფლების მიმართ უფრო ლმობიერნი ვხდებით, მაგრამ განა უმჯობესი არ იქნებოდა, ისეთ წმინდა მატერიალურ პირობებს, როგორიცაა ჰაერი, სინათლე, ბინა, უფრო თამამად და გაბედულად მივდგომოდით. ზნეობის მქადაგებელნი, ბრძენი თანამდებობის პირნი თუ ხელოვანნი სინანულით მოიგონებენ პალერუაიალის ხის გალერეებს, სადაც თავს იყრიდნენ ცოდვილნი კრავნი, რომლებიც სულ იმის ცდაში იყვნენ, საზოგადოების სასეირნო ადგილებში მოგროვილიყვნენ. განა არ სჯობდა, თვით მოსეირნენი წასულიყვნენ იქ, სადაც ცხვრები ბალახობენ? ამჟამად ბულვარების უმშვენიერესი კუთხე, ეს ზღაპრულად თვალწარმტაცი მიდამო, საღამოობით მიუწვდომელია დაოჯახებულთათვის. პოლიციამ ვერ შეძლო ამ მიზნისთვის გამოეყო ზოგიერთი ხეივანი და სახალხო სეირნობისთვის განკუთვნილი ადგილები ცხვრების შემოსევისგან დაეცვა.

ოპერის ბალმასკარადზე ბისიუს შეძახილით გულში ღრმად დაჭრილი ქალი ეს ერთი თუ ორი თვეა ლანგლადის ქუჩაზე ცხოვრობდა ტურტლიან, უხეიროდ შებათქაშებულ შენობაში, რომელიც უზარმაზარ სახლს აჰყუდებოდა. თუთიყუშის ქანდარას ჰგავდა ეს საოცრად

აწოწილი ნაგებობა, რომლის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა. ყოველ სართულზე ოროროთახიანი ბინა იყო. შიგ კედელზე მიკრული ვიწრო კიბეც იყო დატანებული. ფანჯრებიდან შემოსული მკრთალი შუქი ფანტასტიკურ ჩრდილებს ქმნიდა კიბეზე, რომლის სილუეტი ქუჩიდანაც მოჩანდა. ყოველ ბაქანზე იდგა ნაგვის ჩასაყრელი თუთიის გობი, პარიზისთვის დამახასიათებელი ეს ერთერთი გულისამრევი თავისებურება. იმ ხანებში დუქანი და მეორე სართული მეთუნუქეს ეკუთვნოდა. სახლის პატრონი მეორე სართულზე ცხოვრობდა. დანარჩენი ოთხი სართული მიექირავებინათ საკმაოდ წესიერი გრიზეტებისთვის,რომელთაც სახლის პატრონი და მეკარე ქალი დიდი პატივისცემითა და თანაგრძნობით ეპყრობოდნენ, მით უმეტეს, რომ ასე უშნო ადგილას ახირებულად ნაგები სახლის გაქირავება არცთუ ადვილი გახლდათ. ეს უბანი ზემოაღწერილი შენობის მსგავს ნაგებობათა სიმრავლით გამოირჩეოდა. ასეთ სახლებში ვაჭარი არ იკადრებს დაბინავებას. აქ მხოლოდ საეჭვო, უწესო და უღირსი პროფესიის ადამიანები ცხოვრობენ.

ნაშუადღევის სამ საათზე მეტად აღელვებული მეკარე ეთათბირებოდა ზემო სართულზე მცხოვრებ, სასეირნოდ გამოსულ გრიზეტს, რომელსაც ქუჩაში კარეტა ელოდებოდა. მეკარეს დაენახა, როგორ მოიყვანა მომაკვდავი ესთერი ვიღაც ჭაბუკმა ღამის ორ საათზე. გრიზეტიც შეწუხებული ჩანდა, რომ ესთერის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ესთერს, ალბათ, ეძინა, მაგრამ ამდენ ხანს ძილი საეჭვო იყო. მეკარე თავის ჯიხურს ვერ მიატოვებდა და არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, როგორ გამოეკვლია, რა ხდებოდა მეოთხე სართულზე, სადაც ცხოვრობდა მადმუაზელ ესთერი. იმ დროს, როცა მეკარემ, როგორც იქნა, გადაწყვიტა ანტრესოლის კედელში განჯინისთვის შედგმული ჯიხური მეთუნუქის ვაჟისთვის მიენდო, სახლის წინ ფიაკრი შეჩერდა და გადმოვიდა თავით ფეხამდე მოსასხამში გახვეული კაცი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ თავისი ჩაცმულობის თუ წოდების დაფარვას ცდილობდა. მან მადმუაზელ ესთერი იკითხა. მაშინ მეკარემ გული დაიარხეინა, განდეგილად მცხოვრები ქალის დუმილი და სიწყნარე სრულიად გასაგები გახდა მისთვის. როცა სტუმარი კიბეზე ადიოდა, ჯიხურის ზემოთ მეკარემ თვალი მოჰკრა ფეხსაცმელზე ვერცხლის აბზინდებს და ანაფორაზე შემორტყმულ ქამარზე თითქოს შავი ფოჩებიც შენიშნა. გარეთ გავიდა და მეეტლეს დაუწყო გამოკითხვა. მეეტლემ კრინტი არ დაძრა. მეკარისთვის ყველაფერი გასაგები გახდა. მოძღვარმა კარზე მიაკაკუნა. პასუხი არავინ გასცა. ოთახიდან ყრუ კვნესა შემოესმა. მხრით მძლავრად მიაწვა კარს და შეამტვრია. უეჭველია, მოწყალე გულმა შემატა ამგვარი ძალა, რაც სხვას მუდმივი ვარჯიშის შედეგად ჩაეთვლებოდა. კაცი მეორე ოთახში გავარდა და შეფერადებული თაბაშირისაგან გამოძერწილი წმინდა ქალწულის ხატის წინ მუხლმოყრილი საბრალო ესთერი დაინახა. მუხლმოყრილი კი არა, გონებადაკარგული ეგდო, გულზე ხელებდაკრეფილი, გრიზეტი სულს ღაფავდა. მაყალში ჩამწვარი ნახშირი ნათლად მეტყველებდა, რა საშინელი დილა გასთენებოდა. იატაკზე კაპიუშონი და მოსასხამი ეყარა. ლოგინი არც გაეშალა. ჩანდა, გულში სასიკვდილოდ დაკოდილ საცოდავ არსებას ეს გადაწყვეტილება ოპერიდან დაბრუნების შემდეგ მიეღო. შანდლის როზეტიდან დაღვენთილი ცვილიდან გამოჩრილი ჩამწვარი სანთლის პატრუქი იუწყებოდა, თუ როგორ დაეპყრო მისი გულისყური უკანასკნელ ფიქრებს. ცრემლით

გაჟღენთილი ცხვირსახოცი ამტკიცებდა, რაოდენ გულწრფელ სასოწარკვეთილებას მისცემოდა ეს მაგდალინა, ურწმუნო კურტიზანის კლასიკურ პოზაში რომ გართხმულიყო ძირს. ცოდვათა ესოდენ ალალმა მონანიებამ მღვდელს ღიმილი მოჰგვარა. თვითმკვლელობაში გამოუცდელ ესთერს კარი ღია დაეტოვებინა და ვერ გაეთვალისწინებინა, რომ მაყალზე დაყრილი ნახშირი ორ ოთახს არ ეყოფოდა და ადამიანს ვერ გაგუდავდა. ნახშირის ბოლს მხოლოდ გაებრუებინა ქალი. გარედან შემოსულმა ჰაერმა ნელნელა გონზე მოიყვანა და მწუხარება გაახსენა. მღვდელი ისევ ფეხზე იდგა, პირქუშ ფიქრებში გართული. გული სულაც არ ასჩუყებია გოგოს ღვთაებრივი სილამაზით და სააქაოსკენ მობრუნებულს ისე დასცქეროდა, თითქოს მის წინ ცხოველი ეგდო. კაცმა მიიხედმოიხედა; შეათვალიერა ოთახის მოწყობილობა; წითლად შეღებილ ხის იატაკს ვერც კი ფარავდა გახუნებული და დაძენძილი ხალიჩა. თვალი ჰკიდა წითელვარდებიან ყვითელ კოლენკორგადაფარებულ შეღებილ ხის ძველებურ ტახტს, ასევე შეღებილ ხის ერთადერთ სავარძელსა და იმავე კოლენკორიან ორ სკამს. კოლენკორი ეფარა ფანჯრებზეც. დიდი ხნის წინ გაკრული წვრილი ყვავილებით მოჩითული შპალერი გაქონილი და ჩაშავებული იყო. კუთხეში წითელი ხის ხელსაქმის მაგიდა იდგა. თვალში მოგხვდებოდათ ბუხრის თავზე დაყრილი უბრალო ჭურჭელი, ქვემოთ ორი შეკვრა შეშა, ფანჯრის ქვის რაფაზე მიმობნეული შუშის მძივები, მაკრატელი, ძვირფასი სამკაული, ქინძისთავებისა და ნემსების პატარა ჭუჭყიანი ბალიში, ქათქათა და სუნამოს სურნელით გაჟღენთილი ხელთათმანები, წყლის ქოთანზე ჩამოცმული თვალწარმტაცი ქუდი, ფანჯარაზე ჩამოფარებული ტერნოსშალი, ლურსმანზე ჩამოკიდებული ელეგანტური კაბა, პატარა, უბალიშო, მაგარი დივანი; ჯღანი ხის ქოშები და კოხტა მაშიები, მოკლეყელიანი ისე კოპწია ჩექმები, რომ თვით დედოფალსაც შეშურდებოდა, თიხის პირმომტვრეულ თეფშებზე საჭმლის ნარჩენები და ზედ ახორხლილი მელქიორის, პარიზელ ღარიბღატაკთა ვერცხლის, დანაჩანგალი, კარტოფილითა და თეთრეულით სავსე კალათი და ზედ სიფრიფანა გაზის ჩაჩი, სარკიანი, კარღია და ცარიელი, უბადრუკი კარადა და მის თაროებზე ლომბარდის ქვითრები. ერთმანეთში არეულიდარეულიყო პირქუში და მხიარული, ღარიბული და მდიდრული საგნები. ჭურჭლის ნატეხებში შერეული უძვირფასესი ნივთები, ბინის მთელი მოწყობილობა შესანიშნავად ეხამებოდა უსულოდ დაგდებული ქალიშვილის ბოჰემურ ცხოვრებას, ხოლო თვით ქალი ისევე გახლართულიყო გულგაღეღილ კაბაში, როგორც გადატეხილი ხელნის ქვეშ მთელი აღკაზმულობით მოყოლილი და პირში ლაგამამოდებული ცხენი. იქნებ ამ უჩვეულო სანახაობამ ჩააფიქრა მღვდელი? ნუთუ არ დარწმუნდა, რომ ეს გზააბნეული გოგო, სხვა თუ არაფერი, უანგარო მაინც იყო, თუკი საყვარლად მდიდარი ყმაწვილი ჰყავდა და ამგვარ სიღარიბეს ეგუებოდა. ეგებ იმას ფიქრობდა, როგორი უწესრიგობაც აქვს გამეფებული ბინაში, პირად ცხოვრებაშიც ასეთივე უწესრიგო იქნებაო? რას განიცდიდა კაცი? სიბრალულს, შეძრწუნებას? თანაგრძნობა თუ აღეძრა ქალის მიმართ, ამ გულზე ხელდაკრეფილ, შუბლშეჭმუხნილ, პირმოკუმულ ადამიანს ვინც დაინახავდა, დარწმუნდებოდა, რომ ბნელი, ბოროტი ზრახვებით იყო შეპყრობილი. გულში ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები უჩნდებოდა, თავში კი შემზარავი გეგმები ესახებოდა. ერთი კია, ცხადზე უცხადესი იყო, სრულიად არაფრად აგდებდა სხეულის სიმძიმის ქვეშ იატაკზე თითქმის მიჭყლეტილი

მკერდის თვალწარმტაც სიმრგვალეს, ამ ჩამუხლული ვენერას,,მომაჯადოებელ ნაკვთებს, მოკრუნჩხული, გულწასული ქალის შავი კაბიდან რომ მოჩანდა. ასევე არ აღელვებდა ლამაზად მოყვანილი ჩაქინდრული თავი, ნარნარი და მოქნილი, თეთრი, ყარყარა ყელი, თამამად გამოკვეთილი მხრები. არც კი მიეშველა, თითქოს არ ესმოდა ქალის გულგამგმირავი კვნესა, რაც მოასწავებდა იმას, რომ ესთერი სიცოცხლეს უბრუნდებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა ესთერმა შემაძრწუნებლად ამოიგმინა და მწუხარებით აღვსილი მზერა მიაპყრო, მოძღვარმა იკადრა ქალის ხელში აყვანა და საწოლში ჩააწვინა. ისე ბუმბულივით აიტაცა ესთერი, ჩანდა, ძალზე ძლიერი იყო.

ლუსიენ! წამოილუღლუღა ქალმა.

სიყვარული დაგვიბრუნდა, ალბათ, ქალიც მალე დაგვიბრუნდება, თითქოსდა გამწარებით ჩაილაპარაკა მღვდელმა.

პარიზული გარყვნილების მსხვერპლმა ახლა კი შენიშნა თავისი მხსნელის სამოსი და ბავშვი რომ ნანატრ სათამაშოს მიიღებს, ისე გაუღიმა და უთხრა:

ახლა კი ზეცის კურთხევის გარეშე აღარ მოვკვდები!

შეგიძლიათ გამოისყიდოთ ცოდვები, მიმართა მღვდელმა და თან შუბლზე წყალი ასხურა. მერე კუთხეში მიგდებული ძმრის შუშა იპოვა და დააყნოსვინა.

ვგრძნობ, სიცოცხლე კი არ მშორდება, მიბრუნდება, თქვა მღვდლის მზრუნველობით მოსულიერებულმა ესთერმა და გულწრფელი მადლიერებით აღსავსე უმანკო მზერა მიაპყრო.

ეს მომხიბვლელი პანტომიმა, რაზედაც თვით გრაციებიც კი არ იტყოდნენ უარს ვინმეს შესაცდენად, ზედმიწევნით ამართლებდა ამ უცნაური ქალის მეტსახელს.

ხომ უკეთესად გრძნობთ თავს? ჰკითხა ეკლესიის მსახურმა და დაშაქრული წყალი მიაწოდა. მღვდელი შინაურულად იქცეოდა ამ არცთუ ჩვეულებრივ ოთახში, იცოდა, სად რა იდო, გეგონებოდათ, თავის ოჯახშიაო. ყველგან ისე გრძნობდე თავს, როგორც საკუთარ სახლში ამ უპირატესობით მარტოოდენ მეფეები, მეძავები და ქურდები სარგებლობენ.

როცა სულ მთლად გამოკეთდებით, განაგრძო საოცარმა მღვდელმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, მეტყვით, რა მიზეზით ჩაიდინეთ ეს დანაშაული, რატომ განიზრახეთ თვითმკვლელობა?

ჩემი თავგადასავალი სრულიად ჩვეულებრივია, მამაო, მიუგო ქალმა, სამი თვის წინ ჯერ კიდევ გარყვნილების წუმპეში გახლდით ჩაფლული; დაბადებიდანვე ვცხოვრობდი ასე. მაშინ ზნედაცემული სიძვის დიაცი ვიყავი, ყოვლად გათახსირებული, ახლა კი მხოლოდ და მხოლოდ უბედურზე უბედური ვარ. ნება მომეცით, არაფერი გითხრათ ჩემს საცოდავ დედაზე, რომელიც მოკლა...

ერთმა კაპიტანმა საეჭვო სახლში, აღსარება შეაწყვეტინა მღვდელმა, მსმენია თქვენი წარსული და თუკი ვინმეს ეპატიება სამარცხვინო ცხოვრება, თქვენც მათ რიცხვში იქნებით, რადგან დაბადებიდან ერთხელაც არ გინახავთ კეთილი მაგალითი.

ეჰ, ასეა, მონათლული არა ვარ და არც ერთ სარწმუნოებას არ ვიცნობ.

ჯერ არ არის გვიან, განაგრძო მღვდელმა, თუკი თქვენი რწმენა, ცოდვების მონანიება გულწრფელია და რაიმე სხვა მიზნით არაა ნაკარნახევი.

მხოლოდ ლუსიენსა და ღმერთს ეკუთვნის ჩემი გული, მიუგო ქალმა გულის ამაჩუყებელი გულუბრყვილობით.

უკეთესი იყო, გეთქვათ, ღმერთსა და ლუსიენსო, ღიმილით შენიშნა მღვდელმა, თქვენ გამახსენეთ ჩემი სტუმრობის მიზეზი. ნურაფერს დამიმალავთ მაგ ყმაწვილკაცზე.
იმან გამოგგზავნათ? ჰკითხა ესთერმა ისეთი სიყვარულით გამსჭვალული ხმით, რომ ყველა სხვა მოძღვარს გულს აუჩუყებდა, ოჰ, გულმა უგრძნო, ალბათ.

არა, მიუგო მღვდელმა, თქვენი სიკვდილი კი არ არის შემაშფოთებელი, არამედ სიცოცხლე. აბა, მიამბეთ, რა ხდება თქვენსა და ლუსიენს შორის.

ერთი სიტყვით... დაიწყო ქალმა.

საბრალო გოგოს ეკლესიის მსახურის უხეში კილო აშინებდა, მაგრამ ისეთ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც დიდი ხანია უხეშობა აღარ აკვირვებთ.

ლუსიენი ლუსიენია, განაგრძო მან, უმშვენიერესი ჭაბუკი და უმშვენიერესი ადამიანი; თუკი იცნობთ, ჩემი მისდამი სიყვარული სრულიად ბუნებრივად უნდა ჩათვალოთ. სამი თვის წინ შემთხვევით შევხვდი პორტსენმარტენის თეატრში, სადაც ერთ უქმე დღეს წავედი. ქალბატონ მენარდის საროსკიპოში ვიყავი და კვირაში ერთხელ ჩვენც გვაძლევდნენ დასვენების უფლებას. მეორე დღეს, ადვილად მიხვდებით, ნებართვა აღარავისთვის მიკითხავს, გამოვიპარე, სიყვარული დაეუფლა ჩემს გულს და იმდენად შემცვალა, რომ თეატრიდან დაბრუნებისას საკუთარი თავი ვეღარ ვიცანი. შემეშინდა. ლუსიენს ყველაფერი დავუმალე, ჩემი ადგილსამყოფელიც არ გავუმჟღავნე და ამ ბინის მისამართი მივეცი. მაშინ

აქ ერთი ჩემი მეგობარი ცხოვრობდა. ჩემი მადლი მოისხა და ბინა დამითმო. პატიოსან სიტყვას გაძლევთ...

ნუ იფიცავთ.

განა ეს ფიცია, მე ხომ სიტყვას გაძლევთ! ჰოდა, იმ დღის შემდეგ ნამდვილ საქმეს მოვკიდე ხელი. გიჟივით ვმუშაობდი. ვიჯექი ამ ოთახში და პერანგებს ვკერავდი, თითოს ოცდარვა სუდ. გადავწყვიტე, პატიოსანი შრომით მერჩინა თავი. ერთი თვის განმავლობაში კარტოფილის მეტი არაფერი მიჭამია. მინდა კეთილ გზას დავადგე და ლუსიენის ღირსი გავხდე. მას ხომ ვუყვარვარ და ისეთი პატივისცემით მექცევა, როგორც უბიწო, სათნო ქალწულს. სამოქალაქო უფლებების აღსადგენად პოლიციაში განცხადება შევიტანე. ახლა ორი წლის ვადით მათ ზედამხედველობაში ვარ. სამარცხვინო სიაში ადვილად შეგიტანენ, ხოლო იქიდან ამოსაშლელად ათას წინააღმდეგობას აწყდები. მხოლოდ ამას ვთხოვ მამაზეციერს, შემასრულებინოს ეს გადაწყვეტილება. აპრილში ცხრამეტი წლის გავხდები; ჯერ კიდევ ყველაფერი წინა მაქვს. ასე მეჩვენება, თითქოს სამი თვის წინ დავიბადე... ყოველ დილით ვლოცულობ და ღმერთს ვევედრები, ისე ქნას, რომ ლუსიენმა ვერ გაიგოს ჩემი წარსული. წმინდა ქალწულის ხატიც ვიყიდე. აი, ეს, თქვენ რომ ხედავთ... არც წერა ვიცი, არც კითხვა, ეკლესიაში ერთხელაც არ შემიდგამს ფეხი, მამაღმერთის ხატიც მხოლოდ პროცესიების დროს მინახავს, ისიც როგორც თავშესაქცევი სანახაობა.

აბა, მითხარით, როგორ ევედრებით ხოლმე წმინდა ქალწულს?

ისე ველაპარაკები, როგორც ლუსიენს. ის ხომ ჩემს გულმხურვალე სიტყვებზე ატირდება ხოლმე.

ოჰო, ატირდებაო?

სიხარულით, დასძინა ესთერმა ცოცხლად, საწყალი ფისუნა! ჩვენ ისე კარგად ვუგებთ ერთმანეთს, თითქოს ერთი სული გვიდგას! რა ნაზია, რა ალერსიანი, გულჩვილი, სათნო, თავაზიანი!.. ამბობს, პოეტი ვარო, მე კი ვამბობ, რომ ღმერთია... მაპატიეთ, მაგრამ თქვენ, მღვდლებმა, არ იცით, რა არის სიყვარული. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენზე კარგად კაცებს არავინ იცნობს და სხვას არავის შეუძლია ლუსიენის შეფასება. ლუსიენისთანა მამაკაცი იშვიათია ისევე, როგორც უცოდველი დედაკაცი; და როცა შეხვდები ლუსიენს, არ შეიძლება სხვა შეგიყვარდეს. სხვა რაღა გითხრათ, მაგრამ მაგისთანა კაცს სატრფოც შესაფერისი ეკადრება. ამიტომაც მინდა ლუსიენის ღირსი გავხდე. სწორედ ეგაა ჩემი უბედურების მიზეზი. გუშინ ოპერაში მიცნეს ახალგაზრდებმა, რომლებიც ვეფხვებივით უგულონი არიან და არ იციან შებრალება. თუმცა, იქნებ ვეფხვს უფრო შევცოდებოდი. უბიწოების მანდილს

ვაფარებდი თავს და ჩამომგლიჯეს. მათმა სიცილმა გული გამიფატრა, გონება ამირია, ნუ გგონიათ, სიკვდილს გადამარჩინეთ, დარდი მაინც მომიღებს ბოლოს.

რაო, უბიწოების მანდილიო? ჰკითხა მოძღვარმა, მაშ, თქვენ მეტად მკაცრად გეჭირათ თავი ლუსიენთან?

ოჰ, მამაო, თქვენ ხომ კარგად იცნობთ ლუსიენს, რატომ მაძლევთ ასეთ შეკითხვას? უპასუხა ქალმა და წარმტაცი ღიმილი მოეფინა სახეზე, ღმერთს წინააღმდეგობას არ უწევენ.

ნუ მკრეხელობთ, ალერსიანად უთხრა მღვდელმა, ღმერთს ვერავინ გაუტოლდება. ჭეშმარიტ სიყვარულს ავხორცობა არ შეეფერება. თქვენი კერპი ნამდვილი და წმინდა გრძნობით როდი გიყვართ. თუკი მართლაც ისე შეიცვალეთ, როგორც ტრაბახობთ, მაშინ ყოველგვარი სათნოებით განიმსჭვალებოდით, რაც ჭაბუკობისთვისაა დამახასიათებელი. უბიწოების, სინაზისა და მორცხვობის სიტკბოებას შეიცნობდით; უბიწოება და მორცხვობა ხომ ქალწულის სახელი და დიდებაა. არა, თქვენ არ გყვარებიათ ლუსიენი!

ესთერს თავზარი დაეცა და აცახცახდა. თუმცა ეს შენიშნა, მაინც არ შედრკა მოძღვარი:

დიახ, ის თქვენთვის გიყვართ და არა მისთვის, გიყვართ იმ წარმავალი სიამოვნებისთვის, რაც თქვენ გხიბლავთ და არა თვით სიყვარულისთვის; რაკი მხოლოდ ხორციელ ვნებათა დასაკმაყოფილებლად მოგწონებიათ, არც განგიცდიათ ის წმიდათაწმიდა თრთოლა, რასაც შთაგვაგონებს ღვთაებრივი შარავანდედით გაცისკროვნებული თაყვანსაცემი არსება. აბა, თუ გიფიქრიათ, რომ თავლაფს ასხამთ თქვენი ბინძური წარსულით, ხრწნით ბავშვს თქვენი შემზარავი ავხორცობით, რის გამოც შეურქმევიათ თქვენთვის ეგ მეტსახელი. ვინ არ იცის თქვენი უნამუსობა და მრუშობა? თქვენ კი დაუფიქრებლად იქცევით, არც საკუთარ თავს უწევთ ანგარიშს და არც თქვენს წამიერ სიყვარულს.

რაო, წამიერსო! გაიმეორა ქალმა და თვალები შეანათა მოძღვარს.

აბა, რა შეიძლება ვუწოდო წარმავალ, დროებით ვნებას, ქრისტიანულად რომ არ გვაკავშირებს იმასთან, ვინც გვიყვარს?

ოჰ, მე მსურს კათოლიკურ სარწმუნოებას ვეზიარო, ამოიგმინა ესთერმა ისე ყრუდ და ძალუმად, რომ ჩვენი უზენაესი მხსნელიც კი მოწყალების თვალით გადმოხედავდა, მისი კვნესისთვის ყური რომ მოეკრა.

მაგას რას ამბობთ, განა ქუჩის ქალს, თვითმკვლელობისა და ჯოჯოხეთის უცილობელ მსხვერპლს, რომელსაც ეკლესიაში მონათვლა არ ღირსებია, არავითარი განათლება არ

მიუღია, არც წერა იცის, არც კითხვა, არც ლოცვები, ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს ისე, რომ მის ცოდვათა გამოსამზეურებლად ქვაფენილი არ აღაღადდეს და სხვა სიკეთე არა გააჩნია რა, გარდა წამიერი სილამაზისა, რაც იქნებ ხვალვე შეუმუსროს რაიმე სენმა, განა ამ შებილწულ ქალს, რომლისთვისაც ცხადზე უცხადესია საკუთარი გათახსირება (ეს რომ არ გესმოდეთ და უსაზღვრო სიყვარულით არ იყოთ განმსჭვალული, მაშინ უფრო იქნებოდით შენდობის ღირსი), განა ამ ზნედაცემულ გომბიოს შეუძლია ლუსიენ დე რიუბამპრეს მეუღლე გახდეს?

თითოეული სიტყვა ხანჯალივით ესობოდა გულში ესთერს, ყოველ სიტყვაზე უმატებდა ქვითინს, სასომიხდილ ქალს ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა, ჩანდა, რაოდენ მძლავრად იჭრებოდა გონიერების შუქი მის ველურივით მარტივ აზროვნებაში, ახლახან გამოღვიძებულ სულში, მთელ მის არსებაში, რომლისთვისაც გახრწნილებას დაედო გალაფული ყინულის სქელი ფენა, ახლა სარწმუნოების მზის მცხუნვარების ქვეშ რომ ლხვებოდა.

რატომ არ მოვკვდი!,, იყო ერთადერთი აზრი, იმ უამრავ აზრთაგან, ნიაღვარივით რომ მიეხეთქა მის გონებას და წალეკვას უქადდა.

შვილო ჩემო, მიმართა შემზარავმა მსაჯულმა, ზოგიერთი სიყვარული ადამიანთა წინაშე არ მჟღავნდება. იგი შეიძლება გაენდოს მარტოოდენ ანგელოზებს, რომლებიც სიხარულით გაბრწყინებული ღიმილით ისმენენ ამ აღსარებას.
რომელია ეგ სიყვარული?
უიმედო სიყვარული, სიცოცხლის წყურვილის გამაცოცხლებელი, შთამაგონებელი ერთგულებისა, კეთილშობილი ქმედებისა, იდეალური სრულყოფისკენ სწრაფვისა. დიახ, ანგელოზები მფარველობენ ამგვარ სიყვარულს, რამეთუ იგი გზაა ღვთის შეცნობისკენ მიმართული. ნიადაგ ისწრაფოდე სრულყოფისკენ, რათა ღირსი იქნე იმისა, ვისაც ეტრფი, უთვალავი ფარული მსხვერპლი გაიღო მისთვის, შორიდან გააღმერთო, წვეთწვეთობით მისცე სისხლი მისდა საკეთილდღეოდ, ფეხქვეშ გაუშალო საკუთარი თავმოყვარეობა, არარაჰყო სიამაყე შენი, მრისხანება გულში ჩაიკლა, დაუფარო მას თვით ეჭვიც, გულს რომ გიფატრავს, თუნდაც ამით შენს საქმეს ზიანი მიადგეს, უხვად მიუძღვნა, რასაც ისურვებს, შეიყვარო ის, რაც მას უყვარს, თვალნი ფარულად ნიადაგ მიპყრობილი გქონდეს მისკენ; ამგვარ სიყვარულს გაპატიებდა სარწმუნოება, ვინაიდან იგი არ შეურაცხყოფს არც ადამიანთა კანონებს და არც ღვთისას და მიგიძღვება სულ სხვა გზისკენ, ვიდრე ის გზაა, საითაც მიჰყავხარ ბინძურ ავხორცობას.

საშინელი განაჩენის მოსმენისას, ამგვარი სიტყვებით რომ იყო გამოთქმული (და მერე რა სიტყვებით, რა კილოთი!), ესთერი სრულიად სამართლიანად უნდობლობით განიმსჭვალა. მოძღვრის სიტყვამ ქარიშხლის მომასწავებელი ჭექაქუხილივით დაიგრგვინა. ქალმა შეხედა მღვდელს და გულმუცელი დაეწვა, რაც თვით უმამაცეს ვაჟკაცსაც ემართება მოულოდნელი და გარდაუვალი საფრთხის წინაშე. ვერვინ მიუხვდებოდა ამ კაცს, რას ფიქრობდა, მაგრამ

თვით ძალგულოვან რაინდსაც კი იმედის ნაცვლად შიშს ჩაუნერგავდა მისი თვალები, ოდესღაც მოელვარე და ვეფხვის თვალებივით ყვითელი, ახლა კი თვითგვემისა და ხელმოკლეობის გამო ისევე ბინდგადაკრული, როგორც პაპანაქება სიცხეში დაბინდული ცის დასალიერია, როცა გავარვარებულ მიწას ოხშივარი ასდის, ნისლით იბურება და თითქმის უჩინარი ხდება. მოძღვარს ჭეშმარიტად ესპანური ზვიადი გარეგნობა ჰქონდა. შემზარავ ყვავილს ათასი ნაჭდევით, ოღროჩოღრო კვლებივით ღრმა ნაოჭებით დაესერა მისი მზით დამწვარი ზეთისხილისფერი სახე. მისი მკაცრი გამომეტყველება უფრო მეტად თვალში საცემი იყო იმის გამო, რომ მღვდელი სულაც აღარ ზრუნავდა საკუთარ გარეგნობაზე და თავზე გაქუცული, შავი, ხეშეშთმიანი, შუქზე წითლად მოელვარე პარიკი ედო, ვაჟკაცური გულმკერდი ჰქონდა, ბებერი ჯარისკაცის ხელები, ფართო, მძლავრი მხარბეჭი, რაც დაამშვენებდა თვით იმ კარიატიდებსაცკი, რომლებითაც შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრები ამკობდნენ იტალიურ პალაცოებს და რომელთა მსგავსნიც პორტსენმარტენის თეატრის ფასადზედაც არიან აღმართულნი, თუმცა ისინი ბევრად ჩამოუვარდებიან ძველ ოსტატთა ნაქანდაკევს. ნაკლებად ნათელმხილველი ადამიანები გაიფიქრებდნენ, მგზნებარე ვნებათა ღელვას, ანდა არაჩვეულებრივ თავგადასავლებს გადაუტყორცნიათ ეს კაცი ეკლესიის წიაღშიო. ეჭვგარეშეა, საბედისწერო უკუღმართობას შეეძლო მხოლოდ შეეცვალა ეს ადამიანი, თუკი საერთოდ მსგავსი ბუნების კაცის შეცვლა შესაძლებელია. როცა ქალი ჩაფლულია ისეთ ცხოვრებაში, რისგან განდგომასაც მთელი არსებით ცდილობდა ესთერი, ბოლოს და ბოლოს, სრულიად გულგრილი ხდება მამაკაცის გარეგნობის მიმართ. ამგვარი ქალები მოგვაგონებენ დღევანდელ ლიტერატურის კრიტიკოსებს, რომლებიც ფეხმსუბუქი ქალივით ირჯებიან. ისინიც სრულიად გულგრილად არიან განწყობილი ხელოვნების კანონებისადმი: იმდენი ნაწარმოები წაუკითხავთ, იმდენ თხზულებას გაუვლია მათ ხელში, ისე შესჩვევიან დაწერილ ქაღალდს, იმდენი კვანძი გახსნილა მათ თვალთა წინაშე, იმდენ დრამას დასწრებიან, იმდენი რეცენზია დაუწერიათ ისე, რომ შიგ საკუთარი აზრები სულაც არ ჩაუქსოვიათ, ისე ხშირად უღალატიათ ხელოვნების პრინციპებისთვის მტერმოყვარეთა დასაცავად თუ დასაგმობად, რომ ყველაფერი მოჰყირჭებიათ და კრიტიკას თავს მაინც არ ანებებენ. პირდაპირ სასწაული უნდა მოხდეს, რომ ასეთმა მწერალმა ღირსეული ნაწარმოები შექმნას; წმინდა და კეთილშობილი სიყვარულიც ასეთივე სასწაულს ელის, რათა გადაიფურჩქნოს კურტიზანის გულში. კილო და მანერები ამ თითქოს სურბარანისტილოდან გადმოსული მღვდლისა ისე მტრული ეჩვენა საცოდავ გოგოს, ვისთვისაც გარეგნობა მაინცდამაინც ბევრს არაფერს ნიშნავდა, რომ ვერ წარმოედგინა, ამ კაცს თუ შეეძლო მისთვის თანაგრძნობა გაეწია. ფიქრობდა, ალბათ, რაღაც ბოროტ შეთქმულებაში უნდა ჩამითრიოსო. ესთერს ვერ გაეგო, რაიმე ანგარებით ეთითლიბაზებოდა მღვდელი თუ ნამდვილად გული შესტკიოდა მისთვის; თუ წინასწარ არ გაგაფრთხილეს, ვერ წარმოიდგენ, რომ გულითად მეგობარს შეუძლია ყალბი ფული შემოგაპაროს. ქალმა მხოლოდ გუმანით იგრძნო, რომ ეს მტაცებელი ფრინველი დიდხანს აკეთებდა ირაოს მის ზემოთ, მერე კი უცებ დაესხა თავს და ბრჭყალებში მოიქცია. ამიტომაც შიშმა მოიცვა და ამოიკვნესა:

მეგონა, მღვდლები ჩვენდა სანუგეშოდ იყვნენ გაჩენილნი, თქვენ კი მკლავთ!

ამ მიამიტ წამოძახილზე ეკლესიის მსახური შეკრთა და დადუმდა. პასუხის მოსაფიქრებლად გონებას იკრებდა. ერთ წუთს ბედის უკუღმართობით შეხვედრილი ორი ადამიანი ერთმანეთს ჩუმჩუმად უთვალთვალებდა. მღვდელმა შეიცნო გოგო, ხოლო გოგომ მღვდლის ასავალდასავალი ვერ გაარკვია. მერე კაცმა, ეტყობა, ხელი აიღო რაღაც განზრახვაზე, რომელიც საცოდავ ესთერს კარგს არაფერს უქადდა და თავის პირვანდელ გადაწყვეტილებას დაუბრუნდა:

ჩვენ სულის მკურნალნი ვართ, უთხრა ალერსიანად, და ვიცით, რა წამალი მოუხდება ავადმყოფობას.
ბევრი რამ უნდა აპატიოთ უბედურთ, მიუგო ესთერმა.

იფიქრა, შევცდიო, ძირს ჩამოცურდა, მღვდლის ფეხთით განერთხო, ანაფორის ქობაზე ღრმა მოწიწებით ეამბორა და ცრემლით აღვსილი თვალები მიაპყრო.

მეგონა, ბევრ რამეს მივაღწიემეთქი, წაილუღლუღა.
მომისმინეთ, ჩემო ბავშვო! თქვენმა საბედისწერო სახელმა ლუსიენის ოჯახი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო; ეშინიათ და უთუოდ სამართლიანადაც, რომ თქვენ ლუსიენს ქარაფშუტული ცხოვრების ორომტრიალში ჩააბამთ, თავზე ხელაღებული სიამტკბილობის მორევში ჩაძირავთ...

მართალს ბრძანებთ. სწორედ მე წავიყვანე ბალმასკარადზე, მინდოდა თავგზა ამებნია მისთვის.

თქვენ ისე ლამაზი ხართ, რომ ლუსიენი უთუოდ მოინდომებს თავისი გამარჯვება ზარზეიმით გამოიტანოს საქვეყნოდ, ამაყად აჩვენოს ყველას თავისი სატრფო აღლუმზე გამოყვანილი ფაშატივით! ჯანდაბას, გაიფლანგოს ფული, ამას ვინ ჩივის! ვაი, რომ დროს ფლანგავს, ენერგიას! გულს აიცრუებს მისთვის გამზადებულ საუცხოო მომავალზე. შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს ელჩი გახდეს, გამდიდრდეს, გაითქვას სახელი, დაიპყროს ყველას გული და საყოველთაო პატივისცემა მოიხვეჭოს. და თუ ყოველივე ამაზე იტყვის უარს, ყველა დიდად ნიჭიერი, მაგრამ თავზე ხელაღებული კაცის მსგავსად, პარიზის გახრწნილების წუმპეში ჩაიხრჩობა და მხოლოდ და მხოლოდ ზნედაცემული ქალის საყვარლად დარჩება. თქვენ კი ერთხანს ამოტივტივდებით ელეგანტური ცხოვრების ზედაპირზე, მაგრამ სულ მალე დაუბრუნდებით ძველებურ ყოფას, რადგან კარგი აღზრდით შემენილი თავდაჭერა არ გაგაჩნიათ და მომავალზე ზრუნვა ვერ დაგათრგუნვინებთ საკუთარ მანკიერებას. თქვენს ამფსონ ქალებს ისევე ვერ ჩამოიშორებთ, როგორც იმ მამაკაცებს, რომელთაც წუხელ სირცხვილი გაჭამეს ოპერაში. ლუსიენის ნამდვილი მეგობრები შეაშფოთა მისმა თქვენდამი სიყვარულმა, კვალდაკვალ მიჰყვნენ ჭაბუკს, ყველაფერი გამოიკვლიეს და

თავზარდაცემულებმა თქვენთან გამომგზავნეს. დამავალეს, გავარკვიო, რას აპირებთ და ამის მიხედვით გადაწყვეტენ თქვენს ბედს. ლუსიენის მეგობრები საკმაოდ ძლიერნი არიან და შესწევთ უნარი, ამ ყმაწვილკაცს მის წინაშე აღმართული ყოველგვარი დაბრკოლება მოაცილონ; მაგრამ, ამავე დროს, გულმოწყალენიც გახლავან, შვილო ჩემო: ვინც ლუსიენს უყვარს, უფლებამოსილია მათი ყურადღების იმედი იქონიოს. ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის ხომ ლაფიც ძვირფასია, თუ მას ღვთიური შუქი დაჰნათის. მე მოვედი, რათა კეთილი ნების იარაღად გადავქცეულიყავი, მაგრამ თუ სულითა და ხორცით გახრწნილი, თავხედი და ურცხვი, ბილწი და გათახსირებული დამიხვდებოდით და ცოდვის მონანიებასაც არ ისურვებდით, მაშინ მათი რისხვისგან არ დაგიცავდით. მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა აღდგენა საკმაოდ ძნელია, ვინაიდან პოლიცია საზოგადოებრივი სიმშვიდის სადარაჯოზე დგას და სრულიად სამართლიანად აყოვნებს ასეთი მოწმობის გაცემას, მაგრამ მე საკუთარი ყურით მოვისმინე, როგორი მგზნებარებითა და გულწრფელობით ინანიებდით ცოდვებს, რარიგ ოცნებობდით ამ საბუთის მიღებაზე. აჰა, გამომართვით! უთხრა მღვდელმა, ქამარი გადაიწია და იქიდან ამოაცოცა საგერბო ქაღალდი, თქვენ გუშინ გნახეს. ეს მოწმობა კი დღევანდელი დღითაა დათარიღებული; ხედავთ, რამდენად ძლიერნი არიან ის ადამიანები, ვისაც ლუსიენის ბედიღბალი აინტერესებს.

ქაღალდის დანახვაზე მოულოდნელი ბედნიერებისგან ისე აცახცახდა გულუბრყვილო გოგო, რომ სხეული მოეკრუნჩხა, თვალი გაუშტერდა და თითქმის გიჟურად გაეღიმა. მღვდელს სიტყვა შეაშრა პირზე. ამ ბავშვს დაკვირვებით შეხედა და მიხვდა, იგი დიდად განსხვავდებოდა ზნედაცემული ადამიანებისგან; საკუთარი მანკიერება ძალას არ მატებდა. ვაითუ, როცა აღიდგენდა თავის სათუთსა და ნაზ ბუნებას, ვერ გაეძლო უამრავი შთაბეჭდილებისთვის. ცრუპენტელა კურტიზანი რომ ყოფილიყო, ესთერი კომედიას გაითამაშებდა, მაგრამ, რაკი ფაქიზი და კდემამოსილი ამოვიდა გარყვნილების წუმპიდან, შეიძლება ვეღარც ეცოცხლა. ხშირად ოპერაციის შემდეგ უსინათლოს კაშკაშა შუქი სამუდამოდ უკარგავს თვალისჩინს. კაცის წინაშე გადაიშალა ადამიანის სულის მთელი სიღრმე, მაგრამ შემაძრწუნებლად მშვიდად იდგა და ერთი კუნთიც არ შერხევია სახეზე. ეს იყო ალპების გრანიტისფერდობიანი, თეთრი, ცივი მთა, ცად აზიდული, გოროზი, პირქუში და მაინც კეთილისმყოფელი. მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ცვალებადი ხასიათისა არიან, ჯერ სულ უმიზეზოდ განიმსჭვალებიან ვინმეს მიმართ ჯიუტი უნდობლობით და მერე მთელი გულით მიენდობიან. ამ მხრივ ისინი პირუტყვებზე დაბლა დგანან. ზომიერების გრძნობა სრულიად არ გააჩნიათ, სიხარულიც უსაზღვრო იციან, მწუხარებაც, რწმენაც, ურწმუნოებაც. ყველანი უთუოდ გაგიჟდებოდნენ საბოლოოდ, ასე უმოწყალოდ რომ არ ცელავდეს სიკვდილი, ანდა, ბედნიერი შემთხვევის მეოხებით, ზოგიერთი მათგანი თავს რომ არ აღწევდეს გარყვნილების ჭაობს. მოძღვრის ფეხთით გართხმულ ლა ტორპილის უსასოო აღტყინება ნათლად წარმოგვიდგენს, რაოდენ დამდაბლებული და დაკნინებულია მის მსგავს არსებათა განწირული ცხოვრება, რისი წყალობითაც შეიძლება ისე გაგიჟდეს ადამიანი, რომ საღი გონება მაინც შერჩეს. საბრალო გოგო მხსნელ ქაღალდს შესციცინებდა ისეთი

გამომეტყველებით, რისი აღწერაც დავიწყებია დანტეს და რაც მისი ჯოჯოხეთის,, ყოველგვარ გამონაგონს აჭარბებდა. მალე ტირილი წასკდა და გულსაც მოეფონა. ფეხზე წამოდგა, მკლავები კისერზე მოხვია მღვდელს, მკერდზე მიაყრდნო თავი, ცრემლით დაუნამა ანაფორა და ეამბორა უხეშ ქსოვილზე, კაცის ფოლადის გულს რომ ფარავდა. ისე მიეხუტა, თითქოს ცდილობდა, სულში ჩასძვრომოდა. ხელები დაუკოცნა. მადლიერების წმიდათაწმიდა გრძნობას შეურია მისთვის დამახასიათებელი ნაზი, შემპარავი ალერსი; რა მოფერებითი სახელი არ უწოდა, ათას და ათი ათას კილოზე შეჰღუღუნა: მაჩუქეთ ეს ქაღალდი!,, იმდენი ეტიტინა, იმდენი ეკრუტუნა, ისე თითლიბაზურად დაითაფლა ენა, ისე შესციცინებდა, რომ უცბად, უბრძოლველად დაიმორჩილა, მოათვინიერა მრისხანე მღვდელი. და ეკლესიის მსახური მიხვდა, რატომ შეერქმიათ მისთვის მეტსახელი ლა ტორპილი. გასაგები გახდა, რაოდენ ძნელი იყო ამ მომხიბლავი არსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. აღარ უკვირდა, რატომ შეჰყვარებოდა ლუსიენს იგი, რას მოეჯადოებინა პოეტი. ასეთი ქალი, სხვა მრავალგვარ მიმზიდველობასთან ერთად, აღჭურვილია ბასრი ანკესით, რომელიც ღრმად ესობა ხელოვანის ამაღლებულ სულს. მსგავსი ვნებათა ღელვა იდეალური მშვენიერებისადმი მგზნებარე სწრაფვით თავბრუდახვეულ შემოქმედს ატყვევებს, ბრბოსთვის კი სრულიად გაუგებარია. განა ცოტათი მაინც არ უტოლდები ურწმუნოთა მოსაქცევად გაჩენილ ანგელოზებს, როცა მოახერხებ ცოდვილის სულის განწმენდას და შექმნი ახალს? და თუკი ზნეობრივ და ფიზიკურ ურთიერთშერწყმას მოახერხებ, განა უდიდეს კმაყოფილებას არ იგრძნობ? გულიც სიამაყით აგევსება. რაოდენ ტკბილია ჯაფა, შრომის იარაღად სიყვარული რომ მოუმარჯვებია! მდაბიოთა თვალსაზრისით ესოდენ შემზარავი ზნეობრივი და ფიზიკური მშვენიერების სრულყოფილი შეხამება, რომლის ბრწყინვალე მაგალითს იძლეოდნენ არისტოტელე,სოკრატე, პლატონი, ალკიბიადე,ცეტეგიუსი,ჰომპეუსი;ემყარება იმ გრძნობას, ლუი XIVს ვერსალი რომ ააშენებინა და მრავალი ადამიანი გამაკოტრებელ საქმიანობაში ჩააბა. ამგვარი გრძნობა აშმორებულ ჭაობს ანკარა ნაკადულებით მორწყულ სურნელოვან წალკოტად გადააქცევს, ბორცვებზე აიტანს ტბას, როგორც პრინცმა დე კონტმა აიტანა ნუანტელში, ანდა კასანში შექმნის შვეიცარიის ხედებს, მოიჯარადრე ფერმერ ბერჟერეს მსგავსად. ერთი სიტყვით, ესაა ხელოვნება, ზნეობის სფეროში შეჭრილი.

მღვდელს შერცხვა, ქალის თითლიბაზობის მახეში რომ გაება და გულიც კი აუჩუყდა. მაშინვე ხელი ჰკრა ესთერს. გოგონა იქვე ჩაიკეცა. მასაც სირცხვილისაგან ალმური მოედო, რადგან მოძღვარმა უთხრა, თქვენ ისევ კურტიზანი ყოფილხართო და საბუთი ქამარში ჩამალა.
ბალღს რომ რაიმე მოეწონება და თვალს ვერ მოსწყვეტს, ესთერიც ისე მიაშტერდა იმ ადგილს, სადაც მღვდელმა ქაღალდი შეინახა.

ჩემო ბავშვო, განაგრძო კაცმა ცოტა ხნის შემდეგ, დედათქვენი ებრაელი იყო, თქვენ კი მონათლული არა ხართ, თუმცა არც სინაგოგაში წაუყვანიხართ ვინმეს. ეკლესიის ზღურბლთან დგახართ, როგორც ჩვილი ბავშვი...

ჩვილი ბავშვი! გაიმეორა ესთერმა ალერსიანად.

პოლიციის დავთარშიაც მხოლოდ და მხოლოდ ნომერი ხართ, სოციალურ ყოფას მოკლებული, მკაცრად დასძინა მღვდელმა, სამი თვეა, რაც სიყვარული ჩაგესახათ გულში და მაშინვე, საჰაიჰაროდ, დაუფიქრებლად ირწმუნეთ, ახლა დავიბადეო. მაშ, გულწრფელად უნდა გჯეროდეთ, რომ მართლაც ჩვილი ბავშვი ხართ და თუ ასეა, უთუოდ დამრიგებელიც გჭირდებათ. ერთიანად უნდა შეიცვალოთ. სიტყვას გაძლევთ, ისე შეგცვლით, რომ ვერავინ გიცნოთ. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, ლუსიენი უნდა დაივიწყოთ.

საბრალო გოგოს ამ სიტყვებზე გული გაუსკდა. თვალი მიაპყრო მღვდელს და უარის ნიშნად თავი გაიქნია. ენა წაერთვა.
მის წინ ჯალათი იდგა და არა მხსნელი.

სხვა თუ არაფერი, მასთან შეხვედრაზე მაინც თქვით უარი, განაგრძობდა მღვდელი, სამონასტრო პანსიონში მოგაწყობთ, სადაც საუკეთესო ოჯახიშვილები იზრდებიან, გაეცნობით ყოველდღიურ საეკლესიო წესებს, შეისწავლით ქრისტიანულ სარწმუნოებას, დაასრულებთ პანსიონს და გახდებით მშვენიერი, უზადო, უბიწო და შესანიშნავად აღზრდილი ქალწული, თუკი... კაცმა თითი ზევით აიშვირა და დადუმდა, თუკი, ისევ განაგრძო, გრძნობთ, რომ გეყოფათ ძალა განშორდეთ ლა ტორპილს.

საცოდავ გოგონას მღვდლის სიტყვა ჩაესმოდა ვით მუსიკალური ნოტი, რომლის ყოველ ბგერაზე სამოთხის კარი ნელნელა იღებოდა.

აჰ, შეჰყვირა მან, ნეტავ შემეძლოს მთლად დავიწრიტო სისხლი და ახალი ჩავისხა ძარღვებში. მომისმინეთ.

ქალი გაჩუმდა.

თქვენი მომავალი იმაზეა დამოკიდებული, შეძლებთ თუ არა ძირფესვიანად ამოიძირკვოთ გულიდან წარსულის მოგონებები. კარგად დაფიქრდით, დიდ ვალდებულებას კისრულობთ. სულ ერთი სიტყვა, თითის ერთი გაქნევაც კმარა, რომ ლა ტორპილი გაცოცხლდეს, ხოლო ლუსიენის მეუღლემ სული განუტევოს. სიზმარშიაც რომ წამოგცდეთ რამე, ბილწმა აზრმა უნებლიეთ გაგიელვოთ თავში, კადნიერად გამოიხედოთ, მოუთმენლობა შეგეტყოთ, გარყვნილების რომელიმე სცენა გაიხსენოთ, რაღაც უმართებულო ჩაიდინოთ თქვენდა უნებურად, ერთი არასაკადრისადაც კი შეიშმუშნოთ, მაშინვე გამჟღავნდება ის, რაც თქვენდა საუბედუროდ იცით და განგიცდიათ...
განაგრძეთ, განაგრძეთ, მამაო, შესძახა წმინდანივით აღტყინებულმა გოგომ, ფეხთ გავარვარებული რკინის ქოშები მეცვას და ღიმილით მივაბიჯებდე, ტანთ ეკლიანი კორსეტი

მერტყას და მოცეკვავის სინარნარეს ვინარჩუნებდე, ნაცარწყარილ პურსა ვჭამდე, მწარე სამსალას ვსვამდე და მაინც ბედნიერად ვგრძნობდე თავს! ოჰ, რა ადვილია!

ისევ მუხლებზე დაემხო ესთერი, მოძღვარს ჩექმები დაუკოცნა და ცრემლით განუბანა. მერე ფეხებზე მოხვია მკლავები, უაზრო ლუღლუღით მაგრად ჩაეკრა, თვალებიდან კი სიხარულის ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. მშვენიერი, გრუზა შავი თმა ნაკადულივით ჩამოეშვა და ხალიჩასავით დაეფინა მოძღვრის ფეხებთან. მერე წამოდგა ქალი, ცის წარმოგზავნილს მიაპყრო მზერა და შენიშნა, უფრო მეტად პირქუში და მკაცრი გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე.

რაო, შეურაცხყოფა მოგაყენეთ? აღმოხდა შიშით თავზარდაცემულ გოგოს, გამიგონია, თურმე ერთ ჩემნაირ ქალს იესო ქრისტეს ფეხები ნელსაცხებლით განუბანია. ვაგლახ! პატიოსან ცხოვრებას შევუდექი და ისე გავღატაკდი, რომ ცრემლის მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ.
რა, ვერ გაიგეთ, რა გითხარით? სასტიკად უთხრა მოძღვარმა, მონასტრიდან, სადაც მე შეგიყვანთ, სულიერადაც და ფიზიკურადაც ისე შეცვლილი უნდა გამოხვიდეთ, რომ თქვენმა ნაცნობმა მამაკაცებმა თუ ქალებმა ვეღარ მოგაძახონ: ესთერ!,, და ვერ გაიძულონ, ამ შეძახილზე შეტრიალდეთ. გუშინ სიყვარულმა ვერ მოგცათ იმდენი ძალა, რომ მეძავი სამუდამოდ დაგესამარებინათ და საკუთარი თავი არ გამოგემჟღავნებინათ; არც ახლა იქცევით უკეთესად. ნუთუ არ გესმით, რომ ასეთი თაყვანისცემა მარტოოდენ მამაზეციერს შეეფერება.

განა მან არ გამოგგზავნათ ჩემთან? ჰკითხა ქალმა.

სწავლის პერიოდში თუ ერთხელ მაინც მოჰკრავთ თვალს ლუსიენს, ყველაფერი დაიღუპება, დასძინა მღვდელმა, კარგად დაუფიქრდით ამას.

მერე, ვინ ანუგეშებს ლუსიენს? ისევ იკითხა ესთერმა.

სანუგეშებელი რა სჭირს? ჰკითხა მღვდელმა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად აუთრთოლდა ხმა.

აბა, რა ვიცი, ხშირად კი მოდიოდა სევდიანი.

სევდიანიო? ჰკითხა მღვდელმა, მერე, არ გეუბნებოდათ, რა აწუხებდა?

არასოდეს არაფერი გაუმჟღავნებია ჩემთვის, მიუგო ესთერმა.

დარდობდა, თქვენისთანა ქალი რომ შეუყვარდა, შეჰყვირა კაცმა.

ვაი, რომ სწორედ ასეა, კვერი დაუკრა ესთერმა თვინიერად, ჩემზე ზნედაცემული ქალი სხვა არავინ მეგულება. თავგანწირული სიყვარულის გარდა ვერაფერი გამამართლებს მის წინაშე.

სწორედ მაგ სიყვარულმა უნდა შეგმატოთ მხნეობა და ბრმად დამემორჩილოთ. ახლავე რომ წაგიყვანოთ მონასტერში, სადაც სწავლაგანათლება უნდა მიიღოთ, ლუსიენს მაშინვე ეტყვიან, დღეს, კვირას, ვიღაც მღვდელს გაჰყვაო და ისიც ადვილად მიაგნებს თქვენს კვალს. ამ ერთ კვირას აღარ მოვალ თქვენთან და მეკარე ვეღარ მიცნობს. ასე და ამგვარად, დღეისსწორს, საღამოს შვიდ საათზე, ფარულად გამოხვალთ სახლიდან და ჩაჯდებით ფიაკრში, რომელიც ფრონდერის ქუჩის ბოლოში დაგელოდებათ. ერთი კვირის განმავლობაში ეცადეთ, აღარ შეხვდეთ ლუსიენს: გამოიგონეთ რაიმე საბაბი, კარს ნუ გაუღებთ და თუ მაინც შემოვა, თქვენს მეგობართან ადით, თუ შეხვდებით, მაშინვე შევიტყობ და ყველაფერი გათავდება. მორჩა, აღარ დაგიბრუნდებით. ამ ერთ კვირაში გაამზადეთ წესიერი ქალის შესაფერისი მზითევი, მოიშორეთ მეძავის ჩვევები, უთხრა მან და ბუხარზე ქისა დადო, თქვენს გარეგნობაში, ჩაცმულობაში გამოსჭვივის რაღაც ისეთი, რაც მეტისმეტად ნაცნობია პარიზელებისთვის და მათ არ გაუძნელდებათ მყისვე მიხვდნენ, ვინც ბრძანდებით. ქუჩაში ან ბულვარზე ხომ შეხვედრიხართ მორცხვ, სათნო გოგონას, დედას რომ მიჰყვება?..

ოჰ, როგორ არა, ჩემდა საუბედუროდ. დედისა და ქალიშვილის ერთად დანახვა ჩვენთვის ყველაზე მძიმე წამებაა; გვიღვიძებს გულის კუნჭულში მიმალულ სინდისის ქენჯნას, რაც უღრმეს მწუხარებას განგვაცდევინებს!.. ძალიან კარგად მესმის, რაც მაკლია.

მით უკეთესი. მაშ, თქვენთვის ნათელია, როგორი უნდა იყოთ დღეისსწორს, არა? ჰკითხა მღვდელმა და ფეხზე წამოდგა.

ოჰ! აღმოხდა ესთერს, სანამ წახვიდოდეთ, მასწავლეთ ნამდვილი ლოცვა, ღმერთს რომ შევევედრო.

ერთობ გულისამაჩუყებელი იყო ეს სურათი: მოძღვარი გოგოს ამეორებინებდა ვე ᾗ±ᾶᾶᾳ

,,სადა ±ᾳტერ ᾶოსᾳტერ

,,სფრანგულ ენაზე.

რა საამოა! შესძახა ესთერმა, როცა გაიზეპირა კათოლიკური სარწმუნოების მიერ შექმნილი ყველასთვის ცნობილი მშვენიერი სიტყვები.

რა გქვიათ? ჰკითხა მღვდელს გამომშვიდობებისას ქალმა.

კარლოს ერერა. ესპანელი გახლავართ, სამშობლოდან დევნილი.

ესთერი მის ხელს დასწვდა და აკოცა. ეს უკვე აღარ იყო კურტიზანი, არამედ დაცემული ანგელოზი, რომელიც ცაში ასამაღლებლად ემზადებოდა.

***

რელიგიური აღზრდით სახელგანთქმულ ერთ არისტოკრატულ მონასტერში, ამა წლის მარტის დამდეგს, ორშაბათ დილას, მოსწავლე გოგონებმა შენიშნეს, რომ მათ ტურფა გუნდს შეემატა ერთი ახალი მოწაფე, რომლის სალუქმა თვალტანადობამ დაჩრდილა არა მარტო ყველას სიკეკლუცე, არამედ ის ღირსებებიც, რითაც გამოირჩეოდა ესა თუ ის ქალიშვილი. საფრანგეთში უაღრესად იშვიათია, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც, შეხვდე ერთბაშად ოცდაათ სრულქმნილ მშვენიერებას; ამბობენ, ჰარამხანის კედლებზე ამოტვიფრულია სპარსული ლექსები, რომლებიც ხოტბას ასხამენ ისეთ სილამაზეს, რასაც უნდა ფლობდეს ქალი, რათა ჭეშმარიტ მზეთუნახავად აღიარონო. საფრანგეთში ცოტაა უზადო მთლიანობა, აქ მხოლოდ ნატიფ ნაკვთებს შეხვდება კაცი, სრულქმნილ მშვენებას კი, ცალკეული დეტალების სრულყოფილ შერწყმას, რომლის ასახვისთვისაც იღვწის ქანდაკება და განასახიერა კიდეც ისეთ შეუდარებელ კომპოზიციებში, როგორიცაა დიანა,, და ვენერა კალიპიგე,,,მარტო საბერძნეთსა და მცირე აზიაში თუ შეხვდებით. ესთერი წარმოშობით სწორედ იმ ქვეყანას ეკუთვნოდა, სადაც დაირწა კაცობრიობის აკვანი. მისი სამშობლო იყო სამშობლო მშვენიერებისა: დედა ებრაელი ჰყავდა. თუმცა ებრაელები სხვა ხალხებთან შერწყმის შედეგად გადაგვარდნენ, მათ მრავალრიცხოვან ტომებში ხანდახან მაინც ვხვდებით ისეთ თვითნაბად მშვენიერებას, რომელიც აზიური სილამაზის უზენაეს ტიპს განასახიერებს. თუკი ებრაელები შემზარავად უშნონი არ არიან, პირმწყაზარობით სომხებს ედარებიან. ესთერი პირველ მზეთუნახავად იქნებოდა აღიარებული ჰარამხანაში, ვინაიდან მისი მშვენიერება მოიცავდა ერთმანეთთან ჰარმონიულად შეხამებულ ოცდაათ სიტურფეს. აღვირახსნილ ცხოვრებას ვერაფერი დაეკლო ვერც მისი სახის ნატიფი ნაკვთებისთვის და ვერც მისი სინორჩისთვის, პირიქით, რაღაცნაირი ქალურობა შეემატებინა. პირისკანი არც უმწიფარი ხილივით გლუვი და მკვრივი ჰქონდა, არც მწიფე ნაყოფივით შეყვითლებული; აფეთქებულ კოკორს თუ შეედრებოდა, მაგრამ თავაშვებულ ცხოვრებას თუ განაგრძობდა, სიმსუქნე არ ასცდებოდა. ჯანის ჭარბი სიმრთელე, ცხოველური გათქვირება ადამიანისა, ვის აზროვნებასაც ვნებათა განუყოფლად ეუფლება, ფიზიოლოგებისთვის საყურადღებო მოვლენას უნდა წარმოადგენდეს. ესთერის თლილი თითები კეთილშობილებით გამოირჩეოდა; რაღაც იშვიათი, თითქმის არარსებული შემთხვევის წყალობიყთ ისე ფაფუკი, თეთრი და გამჭვირვალე ხელები ჰქონდა, როგორც ქალს აქვს მეორე მშობიარობისას. ფეხები და თმა მიუგავდა ჰერცოგ ბერის მეუღლის ფეხებსა და თმას, რითაც ამ ქალბატონს კანონიერად ჰქონდა განთქმული სახელი. ესთერის ხშირსა და გრძელ, გრუზა თმას ვერავითარი დალაქი ვერ მოარჯულებდა. თმას რომ ჩამოიშლიდა, მიწაზე რგოლებად ეფინებოდა, რაკი თვითონ შუატანისა იყო. ასეთი სიმაღლის ქალი მამაკაცს შეუძლია თოჯინად გადააქციოს; ხელში აიყვანოს, ძირს დასვას, მკლავებში მოიმწყვდიოს, ანანაოს,

ატაროს აქეთიქით და დაღლა არ იგრძნოს. ამბრისფერი, ჩინური ქაღალდივით სიფრიფანა პირისკანი ჰქონდა და აქაიქ ცისფერი ძარღვები გამოუკრთოდა. კანი ჰქონდა მბზინავი, მაგრამ არა მშრალი, ნაზი, მაგრამ არა ნოტიო. უაღრესად ნერვიული, მაგრამ გარეგნულად მეტად თავშეკავებული ესთერი ერთბაშად იპყრობდა ყურადღებას ერთი შესანიშნავი შტრიხით, რაც უდიდესი ხელოვნებით გამოკვეთა რაფაელმა თავის ტილოებში, რამეთუ რაფაელს ყველა მხატვარზე უკეთ შეუსწავლია და გადმოუცია ებრაული სილამაზე. ეს თვალწარმტაცი შტრიხი გახლავთ მკვეთრად გადაყალმული წარბის მაღალი რკალი, ღრმა თაღს რომ ებჯინება, მის სიღრმეში ისე მოძრაობენ თვალები, თითქოს თავის ჩარჩოსთან საერთო არაფერი ჰქონდეთ. როცა სიყმაწვილე დახვეწილი და ციმციმა ფერებით ააელვარებს ამ გადაყალმული წარბებით დამშვენებულ უებრო თაღს, როცა მის სიღრმეში მზის შუქი შეიჭრება და ბაც ვარდისფერ ჩრდილებს დატოვებს, მაშინ იგი მცხუნვარე ალერსის საგანძურად გადაიქცევა და სიყვარულის გრძნობით შეპყრობილ სატრფოს წყურვილს მოუკლავს, მაგრამ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს ფერმწერი. ბუნების მძლავრი ამოკვნესაა ეს გასხივოსნებული რკალები, სადაც გაწოლილა ოქროსფერი ჩრდილი; ბუნებას საბოლოოდ მოუკრებია ძალღონე, რათა შეექმნა ეს ქსოვილი, მკვრივი ნერვივით და მგრძნობიარე უნაზესი მემბრანასავით. აი, აქ მიმალულა თვალი, ვით ჯადოსნური კვერცხი აბრეშუმის ბალახისგან დაწნულ ბუდეში. მაგრამ ვაი, რომ გავა დრო და ეს სასწაული შემზარავი მელანქოლიით შეიმოსება, ნატიფ ნაკვთებს ვნებათა კოცონი ჩაფერფლავს, დარდი და ვარამი ხავერდოვან კანს ნაოჭებით დაალიანდაგებს. ესთერის წარმოშობას ამჟღავნებდა თურქულქუთუთოებიან თვალთა აღმოსავლური ჭრილი; თვალები მორუხო ასპიდისფერი ჰქონდა და სინათლეზე ლურჯად უკრთოდა, ვით ყორნის ფრთა. თვალთა გიზგიზს ანელებდა ესთერის უნაზესი, ალერსიანი გამოხედვა. მარტოოდენ უდაბნოს მკვიდრთ აქვთ თვალში ჩაღვენთილი ჯადო და თილისმა, დედაკაცი ხომ ისედაც აჯადოებს ვიღაცას. ჩანს, უდაბნოს ბინადართ თვალებში ჩაუმარხავთ რაღაც ნაწილი იმ უსასრულობისა, სამშობლოში რომ ჭვრეტდნენ. იქნებ წინდახედულმა ბუნებამ მათი თვალთა ბადისებური ქსოვილი ერთგვარი ამრეკლი საფარვლით აღჭურვა, რათა შესძლებოდათ მზერა გაესწორებინათ ქვიშის მირაჟებისთვის, მზის სხივთა ნიაღვრისთვის და ეთერის კაშკაშა სილაჟვარდისთვის? ან იქნებ სხვა ადამიანთა მსგავსად, ისინიც შეიწოვენ რაღაცას იმ გარემოდან, სადაც იზრდებიან და საუკუნეთა განმავლობაში ინახავენ სამშობლოდან გამოყოლილ თვისებებს? ვინ იცის, იქნებ თვით ამ კითხვაშია რასობრივი პრობლემის დიადი გამოცანა? ინსტინქტს ხომ აუცილებლობა წარმოშობს. ცხოველთა ჯიშებიც სწორედ ინსტინქტთა გაღვივების შედეგია. ადამიანი დასაბამიდან ესწრაფვის ამ ჭეშმარიტების დადგენას, რისთვისაც მარტოოდენ ისიც კმარა, რომ ადამიანთა ფარას მივუყენოთ ესპანურ და ინგლისურ ცხვრების ფარაზე ამას წინათ ჩატარებული ექსპერიმენტი. ხშირი ბალახით აბიბინებულ გაშლილ ველზე ცხვრები გვერდიგვერდ ძოვენ. მთებში კი, სადაც ბალახი აქაიქ ამოდის, ცხვრები ერთმანეთს შორდებიან. აბა, მოაცილეთ ცხვრები სამშობლოს, გადაიყვანეთ შვეიცარიაში ან საფრანგეთში, მთის ცხვარი იქაც განცალკევებით დაიწყებს ძოვას, თუგინდ გაუშვით ველზე, სადაც ბალახი უხვადაა. დაბლობის ცხვარი ერთმანეთს მიეკვრება და ისე დაიწყებს ძოვას, ალპებშიაც რომ მოხვდეს. მემკვიდრეობით მიღებულსა და მძლავრად ფესვგადგმულ

ინსტინქტს მრავალი თაობა ძლივძლივობით უცვლის სახეს. ასი წელი გაივლის და მთის სული კვლავ გაიღვიძებს ჭირვეული ბატკნის გულში. სწორედ ასე გახლდათ, ათას რვაასი წლის წინ განდევნილი აღმოსავლეთი გამოკრთოდა ესთერის თვალებსა და გარეგნობაში. მისი მზერა შემაძრწუნებლად კი არ აჯადოებდა ადამიანს, არამედ ალერსით დამტკბარ სითბოში ახვევდა; კი არ გაკვირვებდა, გულს გიჩუყებდა და თავისი თვალთა შუქით ადნობდა თვით ყველაზე მტკიცე ნებისყოფასაც. ესთერმა დაამარცხა სიძულვილი, განაცვიფრა პარიზელი გახრწნილი ადამიანებიც კი, მაგრამ მისმა თვალებმა და ნატიფი კანის სინაზემ მოუპოვა შემზარავი მეტსახელი, რამაც კინაღამ სამარეში ჩაიყვანა. ყოველი ნაკვთი ჰარმონიულად ეხმატკბილებოდა ამ მცხუნვარე უდაბნოს ფერიის გარეგნობას: ამაყად გამოძერწილი მაღალი შუბლი, ოვალური მთრთოლარენესტოებიანი არაბული, თხელი ცხვირი, ვარდივით წითელი და ნორჩი ბაგე, ჯერ ჭკნობა რომ არ შეხებოდა და ორგიებსაც კი არ დაეტოვებინათ ზედ ოდნავი კვალი. რძისფერი ნიკაპი ისე ჰქონდა გამოყვანილი, თითქოს სიყვარულით გატაცებულ მოქანდაკეს გამოუკვეთიაო. მხოლოდ ფრჩხილებს ვერაფერი მოუხერხა ესთერმა, მარტო ისინი ამჟღავნებდნენ, რომ მათი პატრონი კურტიზანი იყო. დაღრღნილი ფრჩხილები ჰქონდა, უაღრესად უხეში საქმიანობით იმდენად შელახული, რომ სანამ დახვეწილ ფორმას მიიღებდა, დიდ დროს უნდა გაევლო. თავდაპირველად პანსიონის მოსწავლე ქალიშვილებს შური აღეძრათ სილამაზის ამ სასწაულის მიმართ, ბოლოს და ბოლოს კი აღტაცების გრძნობით განიმსჭვალნენ. ერთ კვირასაც არ გაევლო და ყველას შეუყვარდა გულუბრყვილო ესთერი, თვრამეტი წლის გოგონას იდუმალ მწუხარებას თანაუგრძნობდნენ. მან არც წერა იცოდა, არც კითხვა. მოკლებული იყო ყოველგვარ სწავლასა და ცოდნას. ამასთან, ბედმა არგუნა სახელი გაეთქვა არქიეპისკოპოსისთვის, რომელსაც ეს ებრაელი გოგო ქრისტიანად უნდა მოექცია, ხოლო მისი ნათლობა მონასტერს ზარზეიმით აღენიშნა. გოგონებმა შეუნდეს ესთერს სილამაზე, რაკი დარწმუნდნენ, სწავლითა და აღზრდით მასზე მაღლა ვდგავართო. ესთერმა მალე შეითვისა მათი კეთილშობილური მიხრამოხრა, ხმის დახვეწილობა და მანერები; ერთი სიტყვით, დაიბრუნა ბუნებით თანდაყოლილი მიდრეკილებანი. იმდენად გარდაიქმნა, რომ პირველივე შეხვედრისას ერერა გაკვირვებისაგან გაშტერდა, ერერა, ვისი გაკვირვებაც თითქოს ქვეყნად არავის შეეძლო. აღმზრდელმა ქალებმა მას შვილობილის წარმატება მიულოცეს. მთელი თავიანთი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე აქაურ მასწავლებლებს არც ერთი მოწაფისთვის არ შეემჩნიათ ისეთიბუნებრივითავაზიანობა,ქრისტიანულისულგრძელობა,სწავლისკენ-თავგადაკლული ლტოლვა, რაც ახასიათებდა ესთერს. ამ საბრალო პანსიონერს იმდენი განსაცდელი გადაეტანა და ესპანელისგან ისეთ ჯილდოს მოელოდა, რომ არშეიძლებოდა,არ-მოეხდინასასწაულები,ქრისტიანულისარწმუნოებისაღმოცენებისპირველსასწაულთამსგავსი,-მოგვიანებითიეზუიტებმარომგაიმეორესპარაგვაიში.

მიბაძვის ღირსია, თქვა მონასტრის წინამძღვარმა და შუბლზე აკოცა ესთერს.
ამ ჭეშმარიტად კათოლიკური სიტყვებით ყველაფერი ითქვა.

შესვენების დროს ესთერი მეგობრებს შეპარვით გამოჰკითხავდა ყველასთვის ცნობილ, მეტად უბრალო ყოფით ამბებს, რაც მისთვის ისე ახალი იყო, როგორც ბალღისთვის პირველად მიღებული ცხოვრებისეული შთაბეჭდილებანი. როდესაც გაიგო, ნათლობისა და პირველი ზიარების დღეს თეთრი კაბა ეცმებოდა, თავზე თეთრ ლენტს წააკრავდნენ, თეთრ ბაფთებს გაუკეთებდნენ, თეთრ ფეხსამოსს ჩააცმევდნენ, თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა და გოგონები უსაზღვროდ გააკვირვა. სულ სხვაგვარი რამ დაემართა იეფთაესსინაის მთაზე.კურტიზანი შიშით კანკალებდა, საიდუმლო არავინ გამიგოსო და გულზე სევდა ლოდივით აწვა, მონათვლისა და ზიარების მოლოდინის სიხარულიც კი უნელდებოდა. ამიერიდან ესთერი უნდა გამომშვიდობებოდა ბევრ ჩვევას, შეჰგუებოდა ცხოვრების ისეთ პირობებს, რაც ისევე განსხვავდებოდა მისი უწინდელი ყოფისგან, როგორც განსხვავდება ველურობა და ცივილიზაცია. ამისდა მიუხედავად, თავისი სინარნარით, გულუბრყვილობითა და განცდების სიღრმით ამერიკელ პურიტანთა თვალწარმტაც გმირებს ეტოლებოდა. მაინც გულს უღრღნიდა მეტად გაურკვეველი, უაღრესად უცნაური სიყვარული, ვნება უკვე გამოცდილი ქალისა, რაიც უფრო მძაფრია, ვიდრე გულუბრყვილო ქალწულის ტრფიალი, თუმცა ორივე გრძნობის აღმოცენებას ერთი და იგივე მიზეზიცა აქვს და ერთნაირი დასასრულიც. ყოველივე ახალი იყო მისთვის, პირველ თვეებში კარჩაკეტილი ცხოვრება, წირვალოცვა, წმინდა აღთქმის წესების მონდომებით შესრულება, მეგობრებისა და აღმზრდელების ალერსიანი მოპყრობა, რაც მთავარია, გაღვიძებული აზროვნების მუდმივი ვარჯიში, მით უმეტეს, რომ სულ იმის ცდაში იყო, მეხსიერებაც კი გარდაექმნა, იმდენივე უნდა გადაევიწყებინა, რამდენიც უნდა დაეხსომებინა. არსებობს რამდენიმე სახის მეხსიერება: სხეულს საკუთარი მეხსიერება აქვს, თავს კიდევ საკუთარი. მაგალითად, ნოსტალგია ფიზიკური მეხსიერების სენია. მესამე თვეს ამ განწმენდილ ასულს, ფრთაგაშლილი მგზნებარებით რომ ისწრაფოდა სამოთხისკენ, ვერ ვიტყვით, ლტოლვა შეუნელდაო, მაგრამ რაღაც ყრუ ამბოხი კი აუჩქამდა გულში და მიზეზი თვითონაც ვერ გამოეცნო. შოტლანდიური ცხვრებისა არ იყოს, მასაც მოუნდა განცალკევებით მოეძოვა ბალახი, ძალა აღარ ჰყოფნიდა, აღვირახსნილი ცხოვრების წიაღში წარმოშობილი ინსტინქტები მოეთოკა. ხომ არ უხმობდნენ მისგან მიტოვებული პარიზის ლაფიანი ქუჩები? იქნებ შემზარავი ზნეჩვეულებების გაწყვეტილი ჯაჭვის შემთხვევით გადარჩენილი მთელი რგოლი ეჭიდებოდა და ისევე აწუხებდა, როგორც, ექიმების თქმისა არ იყოს, ჯარისკაცებს აწუხებთ მოკვეთილი კიდურების ტკივილი. ვაითუ მანკიერება და წრეგადასული გარყვნილება ისე გასჯდომოდა ძვალსა და რბილში, რომ ნაკურთხ წყალსაც ჯერჯერობით ვერ გამოედევნა შიგ მიმალული დემონი? იქნებ აუცილებლად უნდა შეხვედროდა იმას, ვისთვისაც იღვწოდა ესთერი ანგელოზური მოთმინებით და ღმერთსაც უნდა შეენდო მისთვის ადამიანური ვნებისა და წმიდათაწმიდა სიყვარულის აღრევა? იგი ხომ ერთმა სიყვარულმა მიიყვანა მეორესთან? იქნებ მის სხეულში სასიცოცხლო ენერგია ადგილს იცვლიდა, რაიც მუდამ მწუხარებას წარმოშობს ხოლმე. ყოველივე გაურკვეველი და ბურუსითაა მოცული ამ სფეროში, რისი შესწავლაც არ იკადრა მეცნიერებამ, ვინაიდან უხერხულად და დამამცირებლად მიიჩნია, არად ჩააგდო ის, რომ ექიმი და მწერალი, მღვდელი და პოლიტიკური მოღვაწე მაღლა უნდა იდგნენ და არ ეშინოდეთ, ჩირქი

მოგვეცხებაო! იგივე ექიმი ხომ არ შემდრკალა სიკვდილის წინაშე და მხნედ გაუგრძელებია წინამორბედთა მეცნიერული კვლევაძიება. იქნებ ესთერის ბედნიერ ცხოვრებას ჩრდილს აყენებდა ყველა ზემოაღნიშნული მიზეზით გამოწვეული შავი მელანქოლია და თვითონ კი ვერაფერს ხვდებოდა? და იტანჯებოდა ისევე, როგორც იტანჯებიან ავადმყოფები, რომელთაც არაფერი გაეგებათ მედიცინისა, ქირურგიისა. საოცარი ამბავი მოხდა; უწინ თითქმის შიმშილობდა, ან ისეთ საჭმელს ჭამდა, რაც აღაგზნებდა მხოლოდ, ახლა კი უხვად აძლევდნენ ნოყიერ საჭმელს და თითქოს კუჭი სულ ცარიელი ჰქონდა; უწინ თავგზააბნეულად ცხოვრობდა, ღარიბღატაკს სიამოვნებაც ჩაშხამებული ჰქონდა და მაინც ეს გამოზომილი, მოწესრიგებული არსებობა აჭკნობდა პანსიონის ახალგაზრდა მოსწავლეს. გამთანგველ დაღლასა და შეძრწუნებულ აღტყინებას შეენაცვლა გამაცოცხლებელი დასვენება, მშვიდი ღამეები. და მერე რა? დასნეულდა, ციებცხელებამ შეიპყრო, მაგრამ ამ სენის ნიშნებს ვერ ამჩნევდნენ მომვლელები. სიკეთე, ბედნიერება ნაცვლად ბოროტისა და მწუხარებისა, უზრუნველი არსებობა მშფოთვარე ყოფის სანაცვლოდ, იმდენადვე იყო დამთრგუნველი ესთერისთვის, როგორც მის მიერ გადატანილი გაჭირვება იქნებოდა დამღუპველი მისი ნორჩი მეგობრებისთვის. ესთერი გარყვნილებაში დაიბადა და გაიზარდა. ჯოჯოხეთურ სამშობლოს ჯერ კიდევ მარწუხებით ეჭირა ქალი. მასთან ვერაფერი გაეწყო აბსოლუტური ნების უზენაეს ბრძანებებს. ის, რაც სძულდა, სიცოცხლე იყო მისი, რაც უყვარდა სიკვდილი. ისე მგზნებარედ იწამა ღმერთი, რომ მისი ღვთისმოსაობა სულს ახარებდა. უყვარდა ლოცვა. გული ფართოდ გადაუშალა ჭეშმარიტი რწმენის შუქს და ძალდაუტანებლად, უყოყმანოდ მიიღო იგი. მოძღვარი, რომელსაც მიანდვეს მისი აღზრდა, აღტაცებას ვერ მალავდა, მაგრამ ხორცი ნიადაგ წინააღმდეგობას უწევდა სულს. შლამიანი ტბიდან ამოიყვანეს ჭანარი და ჩაუშვეს მარმარილოს აუზში, სადაც ანკარა წყალი ლივლივებდა. ასე შეასრულეს ნება ქალბატონი დე მენტენონისა, რომელიც თევზებს სამეფო სუფრიდან მორჩენილი ნამცეცებით კვებავდა. ჭანარი ერთიანად გაწყდა. ცხოველები შეიძლება ერთგულნი იყვნენ, მაგრამ ადამიანი მათ ვერასოდეს შეჰყრის ფარისევლობის ჭირს. ვერსალის სასახლეში ერთმა დიდებულმა შენიშნა თევზების მუნჯი პროტესტი და ქალბატონ დე მენტენონს მოახსენა. ჩემსავით ყოფილან, მიუგო უგვირგვინო დედოფალმა, თავიანთი აშმორებული წუმპე მონატრებიათ,,. ასევე დაემართა ესთერს. საბრალო გოგონა ხანდახან გაიქცეოდა მონასტრის მშვენიერ პარკში, გულამოვარდნილი მივარდებოდა ხან ერთ ხეს, ხან მეორეს, სასოწარკვეთილი დაეხეტებოდა ბნელ კუთხეებში და ეძებდა... რას? თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ეშმაკის ცდუნებას კი ემორჩილებოდა; ეკეკლუცებოდა ხეებს, ეჩურჩულებოდა ისეთ რამეებს, რასაც ძეხორციელს ვეღარ ეტყოდა. საღამოობით გალავნის გასწვრივ ანკარასავით მიცოცავდა, შალმოხსნილი, მკერდგაღეღილი. ხშირად, კაპელაში, წირვალოცვის დროს, დაჟინებით შესცქეროდა ჯვარცმას და ყველას აღტაცებას იწვევდა. თვალთაგან ცრემლი სცვიოდა, მაგრამ ტიროდა სიბრაზისაგან, რადგან სურდა ენახა წმინდანთა ხატები და თვალწინ უდგებოდა აგიზგიზებული ღამეები, როცა თვითონ ისევე უძღვებოდა ღრეობებს, როგორც ჰაბენეკი უძღვება კონსერვატორიაში ბეთჰოვენის სიმფონიას. აგონდებოდა გიჟმაჟი, ვნებიანი ღამეები, აღვსილი თავაწყვეტილი როკვით, შეუკავებელი ხორხოცით, შმაგი, გააფთრებული, პირუტყვული ღამეები. გარეგნულად

ნარნარი ჩანდა, ქალწულივით ჰაეროვანი და დედამიწას თითქოს მარტოოდენ ქალური სახით უკავშირდებოდა, გულში კი ბობოქრობდა თავნება მესალინა.მის გარდა არავინ უწყოდა, რა იდუმალი ბრძოლა იყო გაჩაღებული მის არსებაში ეშმაკსა და ანგელოზს შორის. როცა დედათა მონასტრის წინამძღვარი დატუქსავდა, იმაზე მეტად კეკლუცად დაგივარცხნია თმა, ვიდრე ამის უფლებას იძლევა სამონასტრო წესიო, მომაჯადოებელი თვინიერებით მყისვე იშლიდა დალალებს და მზად იყო, სულაც მოეჭრა, თუკი წინამძღვარი უბრძანებდა. გულის ამაჩუყებლად მომხიბლავი იყო მისი სევდა; ერჩივნა, დაღუპულიყო, ვიდრე უწინდელ ყოფას დაჰბრუნებოდა. ფერი დაეკარგა, გაყვითლდა, გახდა. წინამძღვარმა მეცადინეობის საათები შეუმცირა. მერე ეს საოცარი ქმნილება იხმო, რა გემართებაო, ეკითხებოდა. ესთერი ბედნიერად გრძნობდა თავს, მოსწონდა მეგობრებთან ყოფნა. ვერც ერთი სასიცოცხლო ცენტრის შესუსტებას ვერ გრძნობდა, მაგრამ თვით სიცოცხლის უნარი ჰქონდა შერყეული. არაფერს ნანობდა, არაფერი ენატრებოდა. აღსაზრდელის პასუხებით განცვიფრებული წინამძღვარი დაიბნა, არ იცოდა, რა ეღონა. აშკარად ხედავდა, გოგონას დამღუპველი სენი შეჰყროდა. რაკი მოსწავლის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა, ექიმს მოუხმეს, მაგრამ რა იცოდა ექიმმა, რა ცეცხლით იწვოდა ესთერი. აზრადაც არ მოუვიდოდა, რა გადახდენოდა თავს უწინ. თქვა, სრულიად ჯანმრთელია, არაფერი სტკივაო. რაღაც ეჭვი კი შეეპარა, მაგრამ ავადმყოფის პასუხმა მთლად გაუფანტა. სწავლულის შემზარავი მოსაზრების დასადასტურებლად ერთი გზა დარჩა; ესთერი კი გაჯიუტდა და ნება არ მისცა ექიმს სათანადოდ გაესინჯა. წინამძღვარი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. აბატი ერერა დაიბარა. ესპანელი მოვიდა, დარწმუნდა, რა უსასოოდ იყო ესთერი, ექიმი ცალკე გაიხმო და ცოტა ხანს გულახდილად ესაუბრა. ექიმმა სასულიერო პირს განუცხადა, იტალიაში მოგზაურობის მეტი არაფერი უშველისო. აბატს არ უნდოდა, ეს მოგზაურობა ესთერის ნათლობასა და პირველ ზიარებამდე მომხდარიყო.

რამდენი ხანი დარჩა? იკითხა ექიმმა.

ერთი თვე, უპასუხა წინამძღვარმა.

მოკვდება, მიუგო ექიმმა.

მოკვდება განწმენდილი და შენდობილი, თქვა აბატმა. ესპანეთში რელიგიური საკითხი პოლიტიკურ, სამოქალაქო და სასიცოცხლო საკითხებზე მაღლა დგას; ექიმმა ვერაფერი უპასუხა ესპანელს. წინამძღვარს მიუბრუნდა, მაგრამ შემზარავმა აბატმა მკლავში ხელი ჩაავლო და შეაჩერა:

ერთი სიტყვაც არ დაგცდეთ, ბატონო! უთხრა მან.

თუმცა ექიმი ღვთის მორწმუნე და მონარქიული კანონების მომხრე იყო, მაინც გულთბილი სიბრალულით სავსე მზერა შეავლო ესთერს. ღეროზე უმწეოდ დაკიდებული შროშანივით მშვენიერი იყო გოგონა.

ღმერთო, შეიბრალე! შესძახა ექიმმა და წავიდა.
ამ თათბირის დღესვე ესთერი თავისმა მფარველმა როშე დე კანკალში,, წაიყვანა, რამეთუ მისი გადარჩენის სურვილი მეტად უცნაურ საშუალებებს შთააგონებდა მოძღვარს. ორნაირი დროსტარება შესთავაზა: საუცხოო სადილზე დაპატიჟა და გოგოს ღრეობები გაახსენა. მერე ოპერაში წაიყვანა და საერო ცხოვრების რამდენიმე სურათი აჩვენა. აბატმა მთელი თავისი ყოვლისშემძლე გავლენა გამოიყენა, რათა ახალგაზრდა წმინდანი ამგვარ მკრეხელობაზე დაეყაბულებინა. ერერა სამხედრო მუნდირში გამოეწყო. ისეთი გრიმი გაიკეთა, რომ ქალმა ძლივს იცნო. ესთერს სახეზე პირბადე ჩამოაფარებინა, ლოჟის სიღრმეში დასვა, არავინ მოგკრას თვალიო. უბიწოების შესანიღბად ასეთი გულმოდგინება აბატს წყალში ჩაეყარა. მონასტრის აღსაზრდელმა ნუგბარნუგბარ კერძებს პირი არ დააკარა, ხოლო თეატრისადმი ზიზღით განიმსჭვალა და ისევ სევდა დაეუფლა. ლუსიენის სიყვარულით კვდებაო, გაიფიქრა ერერამ, რომელიც ცდილობდა, ქალს გულის სიღრმეში ჩასწვდომოდა და გაეგო, რისი მოთხოვნა შეიძლებოდა მისგან.

ასე და ამგვარად, დადგა წუთი, როდესაც საბრალო გოგოს დასაყრდენად მარტოოდენ მორალური ძალა შერჩა. სხეული საცაა უნდა დამარცხებულიყო. მღვდელმა ეს წუთი გაითვალისწინა გამოცდილი კაცის შემზარავი გამჭრიახობით, ოდესღაც დაოსტატებული ჯალათები რომ იჩენდნენ თავიანთი მსხვერპლის დაკითხვის დროს. მღვდელს შვილობილი ბაღში დაუხვდა. აპრილის მზით აციმციმებული ტალავრის ქვეშ მერხზე იჯდა. თითქოს შესცივნოდა და მზეს ეფიცხებოდა. მოსიყვარულე მეგობრების თვალს არ გამოჰპარვია დამჭკნარი ყვავილისდარი სიფერმკრთალე, მომაკვდავი შველის თვალები, სევდიანი სახე. ესპანელის შესახვედრად წამოდგა ქალი და მის მოძრაობაში გამოკრთა, რომ დიდხანს სიცოცხლე აღარ ეწერა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სიცოცხლის სურვილი გაჰქრობოდა. ბოჰემის საბრალო ასულმა, დაჭრილმა ლაღმა მერცხალმა მეორეჯერ აღუძრა სიბრალული კარლოს ერერას. პირქუში დესპანი, რომელიც, ჩანდა, მამაზეციერს წარმოეგზავნა შურისძიებისთვის, ავადმყოფს ღიმილით მიესალმა. ამ ღიმილში სიმწარეც გამოკრთოდა და სიტკბოებაც, მრისხანებაცა და მოწყალებაც. მონასტერში ცხოვრებისას ესთერი მიეჩვია ფიქრს, საკუთარი აზრების გარკვევასა და შესწავლას და უკვე მეორეჯერ აღეძრა უნდობლობა მფარველისადმი. მაგრამ ახლაც, როგორც პირველად, მოძღვრის სიტყვებმა მაშინვე დააშოშმინა.

რა იყო, ჩემო ძვირფასო ბავშვო, უთხრა მან, რატომ არაფერს მეუბნებით ლუსიენზე? მე ხომ სიტყვა მოგეცით, უპასუხა ესთერმა და თავით ფეხამდე ჟრუანტელმა დაუარა და ააკანკალა, შემოგფიცეთ, მის სახელს არასოდეს წარმოვთქვამმეთქი.

მაინც სულ მასზე ფიქრობთ.

ესაა ჩემი ერთადერთი ცოდვა. ყოველ წუთს მაგონდება, თქვენ რომ მობრძანდით, მაშინაც გულში ვიმეორებდი მის სახელს.

მასთან განშორება გკლავთ, არა?

პასუხის ნაცვლად ესთერმა თავი ჩაქინდრა ავადმყოფივით, რომელიც უკვე გრძნობს საფლავიდან მონაბერ სიოს.

თუ შეხვდებით? ჰკითხა ერერამ.
ვიცოცხლებ, მიუგო ქალმა.

მისკენ მხოლოდ სულიერად მიისწრაფვით?

ოჰ, ბატონო, სიყვარული ხომ განუყოფელია.

წყეული მოდგმის ნაშიერო! ყველაფერი გავაკეთე შენს გადასარჩენად, ახლა კი კვლავ დაგიბრუნებ ბედისწერას შენსას. ლუსიენს მალე იხილავ!

მერედა, რატომ წყევლით ჩემს ბედნიერებას? განა არ შემიძლია მიყვარდეს ლუსიენი და ვცხოვრობდე სათნოდ? სათნოება ხომ ისევე ძვირფასია ჩემთვის, როგორც ლუსიენი. განა მზად არა ვარ, სათნოებისთვის ისევე მოვკვდე, როგორც ლუსიენისთვის? განა იმიტომ არ ვღაფავ სულს, რომ ეს ორი ყოვლისმომცველი გრძნობა დამეუფლა? მკლავს სწრაფვა სათნოებისკენ, რაც ლუსიენის ღირსად მაქცევს და ვკვდები ლუსიენისთვის, რომელმაც შთამაგონა დავდგომოდი სათნოების გზას. დიახ, მზად გახლავართ მოვკვდე მის უნახავად და ვიცოცხლო მისი ნახვის შედეგად. ღმერთმა განმსაჯოს.

ლოყები შეუფაკლდა, დაცრეცილ სახეზე ოქროსფერი მოეფინა. ესთერს ერთხელ კიდევ დაუბრუნდა მომხიბლაობა.

ნათლობის წყალში განბანვის მეორე დღესვე შეხვდებით ლუსიენს და თუკი დარწმუნდებით, რომ შეგიძლიათ სათნოების გზას გაჰყვეთ და სიცოცხლე შესწიროთ ლუსიენს, სამუდამოდ დარჩებით მასთან.
მღვდელი იძულებული გახდა, წამოეყენებინა ესთერი, რადგან ქალს მუხლი მოეკვეთა. საცოდავი გოგო ისე ჩაიკეცა, თითქოს მიწა გამოეცალა ფეხიდან. აბატმა მერხზე დასვა და როცა სიტყვის თქმის უნარი დაუბრუნდა, ესთერმა წარმოთქვა:

რატომ დღესვე არა?

რაო, ნუთუ გსურთ მის უწმინდესობას წაართვათ უფლება, ჭეშმარიტად იზეიმოს თქვენი მონათვლა და მოქცევა? ისე ახლოს ხართ ლუსიენთან, რომ არ შეიძლება ახლოს იყოთ ღმერთთან.

მართალია, სხვა აღარაფერი მახსოვს!

არავითარი სარწმუნოებისთვის არა ხართ გაჩენილი, ღრმა ირონიით მიმართა მღვდელმა.

ღმერთი კეთილია, ის იხედება ჩემს გულში.

ერერამ, დამარცხებულმა მიამიტობით, რაც ესთერის ხმაში, თვალებში, მოძრაობასა და თავდაჭერაში გამოსჭვიოდა, პირველად აკოცა შუბლზე.

ბილწმა მამაკაცებმა ზედგამოჭრილი სახელი შეგარქვეს, თვით მამაღმერთსაც შეაცდენდი. რამდენიმე დღეც მოითმინე და ორივე გათავისუფლდებით.
ორივე! აღტაცებით გაიმეორა ესთერმა.

პანსიონერები და აღმზრდელები ამ სცენას შორიდან უყურებდნენ მეტად განცვიფრებულნი. ეგონათ, რაღაც ჯადოქრობა ხდებაო. გოგონა მთლად შეცვლილიყო, სიცოცხლე დაჰბრუნებოდა. გამოეღვიძა მის ჭეშმარიტ ბუნებას, რომელიც მხოლოდ სიყვარულით სულდგმულობდა. კვლავ შეისხა ფრთები, აკიაფდა მისი სიკეკლუცე, სიტურფე, გიჟმაჟობა, ცელქობა. როგორც იქნა, აღდგა მკვდრეთით!

ერერა სენსიულპისის ეკლესიის მახლობლად, კასეტის ქუჩაზე ცხოვრობდა და მის მრევლშიაც ირიცხებოდა. სენსიულპისის ეკლესია თავისი მკაცრი სტილით კარგად ეხამებოდა ესპანელის მიდრეკილებებს, ვინაიდან მისი სარწმუნოება დომინიკელთა რწმენას ენათესავებოდა. ფერდინანდ VIIისგაიძვერული პოლიტიკის წყალობით გაუბედურებული ერერა ცდილობდა, ძირი გამოეთხარა კონსტიტუციური მმართველობისთვის, თუმცა კარგად ესმოდა, რომ მის ერთგულ სამსახურს ჯილდო მხოლოდ იმ შემთხვევაში ეღირსებოდა, თუ ᲯᲔᲕ ნᲔᲢᲢᲝ

აღდგებოდა. იმ დროს, როდესაც კორსეტებისდამხობის შესაძლებლობა სიზმრადაც არავის ელანდებოდა, კარლოს ერერა სულითა და გულით ეწირებოდა ᲩᲔᲛᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ

ს.საზოგადოების თვალში ასეთი საქციელი ამაღლებული სულის უტყუარ ნიშანს წარმოადგენდა. ჰერცოგ დჟანგულემისლაშქრობა დამთავრდა. მეფე ფერდინანდი ტახტზე იჯდა, კარლოს ერერა კი მადრიდში დაბრუნებას არ ჩქარობდა, თუმცა სამსახურისთვის საზღაური უნდა მოეთხოვა. მას ცნობისმოყვარეთაგან დიპლომატისთვის სავალდებულო

დუმილი იცავდა, ხოლო პარიზში ასე ხანგრძლივად დაყოვნების მიზეზად ლუსიენ დე რიუბამპრესადმი გულწრფელ სიყვარულს აცხადებდა. ყმაწვილკაცი სწორედ ამ მეგობრულ გრძნობას უმადლოდა მეფის ბრძანებას მისი გვარის შეცვლის თაობაზე. ერერა ისე კარჩაკეტილად ცხოვრობდა, საიდუმლო მისიით აღჭურვილ მღვდელს რომ ეკადრებოდა და სარწმუნოებრივ წესებს სენსიულპისის ეკლესიაში ასრულებდა. საქმეზე მხოლოდ საღამოს გამოდიოდა სახლიდან და ყოველთვის ეტლით. დანარჩენ დროს შინ იჯდა და ესპანურ სიესტას ეძლეოდა ისვენებდა საუზმესა და სადილს შორის. უნდა ითქვას, რომ სიესტა მთელი იმ ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, სანამ პარიზი საქმიანად ფუსფუსებდა და ხმაურობდა. ნაკლები როლი როდი განეკუთვნებოდა ესპანურ სიგარას, რომელიც დროსაც და თუთუნსაც ბევრს შთანთქავდა. უსაქმურობა დარბაისლობასავით შესანიშნავი ნიღაბი გახლავთ, ხოლო დარბაისლობა უსაქმურობის შედეგია. ერერა სახლის ერთ ფლიგელში ცხოვრობდა, მესამე სართულზე, ლუსიენი კი მეორე ფლიგელში. ეს ორი ბინა ერთმანეთისგან დაშორებულიც იყო და დაკავშირებულიც ძველებური ფუფუნებით გაწყობილი მისაღები დარბაზებით. ეს ფუფუნება ერთნაირად ეხამებოდა დარბაისელ სასულიერო პირსაცა და ახალგაზრდა პოეტსაც. სახლს ბნელი ეზო ჰქონდა. ცაში აზიდული, ხშირი ფოთოლნარით შემოსილი ხეები ჩრდილავდნენ ბაღს. სიჩუმე და მოკრძალება გვხვდება სასულიერო პირთა მიერ საცხოვრებლად არჩეულ სადგომებში. ერერას სამყოფელი შეიძლება ერთი სიტყვით აღვწეროთ ნამდვილი საკანი იყო. ლუსიენის ბინა კი მდიდრული ავეჯითა და ნატიფი კომფორტით ბრწყინავდა. აქ თავი მოეყარა ყოველივე იმას, რასაც მოითხოვს დენდის, პოეტის, მწერლის, ვნებებს გადაყოლილი ჭაბუკის ელეგანტური არსებობა. ეს კაცი პატივმოყვარეცაა და ამაყიც. უყვარს უწესრიგობაცა და წესრიგიც. ამგვარი ადამიანი არასრულყოფილი გენიოსია; უსაზღვრო ნიჭიერებით დაჯილდოებული. თუ მოისურვა, მოიფიქრებს კიდეც; სურვილსა და ჩანაფიქრს შორის იქნებ არც კი არსებობს განსხვავება, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნის მის სისრულეში მოსაყვანად, მისი ხორცშესხმისთვის. ეს ორი კაცი ლუსიენი და ერერა ერთსა და იმავე პოლიტიკურ მოღვაწეს განასახიერებდნენ. ჩანდა, სწორედ აქ იმარხებოდა მათი შეკავშირების საიდუმლო. ბერიკაცი, რომლის სასიცოცხლო ძალამ ანგარების სფეროში გადაინაცვლა, გეგმის შესასრულებლად ხშირად საჭიროებს ლამაზ თოჯინას, ახალგაზრდა და გატაცებულ აქტიორს. რიშელიე მეტისმეტად გვიან შეუდგა ლამაზი, თეთრყირმიზა და ულვაშაკოკრებული ქმნილების ძებნას, რათა თავშესაქცევად მიეგდო დედაკაცებისთვის. რაკი თავქარიანმა ყმაწვილკაცებმა ვერაფერი გაუგეს, იძულებული გახდა, თავისი მბრძანებლის დედა გაეძევებინა და შიშით გული გაეხეთქა დედოფლისთვის, მანამდე კი შეეცადა ერთის ან მეორის კურო გამხდარიყო, თუმცა გარეგნობით ვერაფერი შვილი ბრძანდებოდა და დედოფლებს თვალს ვერაფრით მოსტაცებდა. რაც უნდა მოხდეს, პატივმოყვარე კაცი ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად უთუოდ გადაეყრება ვიღაც ქალს. რაც უნდა ძლიერი და მნიშვნელოვანი იყოს პოლიტიკური მოღვაწე, უეჭველად დასჭირდება დედაკაცი, რათა იგი სხვა ქალს დაუპირისპიროს; აკი ჰოლანდიელებიც ალმასითვე ხვეწენ ალმასს. თავისი ძლიერების გაფურჩქვნის პერიოდში რომიც კი ემორჩილებოდა ამ აუცილებლობას. აბა, დააკვირდით, იტალიელი კარდინალ მაზარინის ძალაუფლება რაოდენ განსხვავდებოდა ფრანგი კარდინალ რიშელიეს

მეფობისგან? რიშელიეს დიდმა სენიორებმა შეთქმულება მოუწყვეს, კარდინალმა ცული მოიმარჯვა. ერთი კაპუცინის გარდა ქომაგი არავინ გამოუჩნდა, ორთაბრძოლაში დაძაბუნდა და სული განუტევა მაშინ, როცა მისმა ბატონობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მაზარინის ბურჟუაზიამ ზურგი შეაქცია. თავადაზნაურობამაც იარაღი აისხა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. მერედა რა? ამგვარი ბრძოლებიდან მაზარინი ხშირად გამოსულა გამარჯვებული. აკი სამეფო ოჯახიც აიძულა, გაქცევით ეშველა თავისთვის. მაგრამ ანა ავსტრიელის მსახურმა არავის მოჰკვეთა თავი. მთელი საფრანგეთი დაიპყრო და ლუი XIVის სრული ნდობაც დაიმსახურა. ლუი XIVმ კი რიშელიეს წამოწყებული საქმე დააგვირგვინა და ვერსალის დიდ სერალში თავადაზნაურობა ოქრომკედით ნაქსოვი თოკით მოაშთო. მადამ დე პომპადურმა თქვენი ჭირი წაიღო, შუაზელი დაიღუპა. ნეტავ თუ ჩასწვდა ერერა ამ მაღალ პიროვნებათა ცხოვრების გაკვეთილებს? ისწავლა თუ არა ჭკუა იმაზე ადრე, ვიდრე ეს მოახერხა რიშელიემ? ხომ არ აირჩია ლუსიენის სახით თავისი სენმარი, ოღონდ ერთგული სენმარი? ვერავინ გასცემდა პასუხს ამ კითხვებს, ვერც ესპანელის პატივმოყვარეობას გამოზომავდა, ვერ გაითვალისწინებდა, როგორი დასასრული მოელოდა მოძღვარს. ამგვარი კითხვები ებადებოდა ყველას, ვისაც თვალში მოხვდებოდა მღვდლისა და ყმაწვილკაცის შეკავშირება, დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ რომ რჩებოდა. ცდილობდნენ, გამოეცნოთ ეს შემზარავი საიდუმლო, რაც თვით ლუსიენმა მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გაიგო. კარლოსის პატივმოყვარეობა ორი კაცის პატივმოყვარეობას უდრიდა და ყველას, ვინც შორიდან მაინც იცნობდა, სწორედ ასეთი აზრი ებადებოდა მასზე. ბევრს ლუსიენი აბატის უკანონო შვილიც კი ეგონა.

წელიწადნახევარიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ლუსიენი და ესთერი ბალმასკარადზე იყვნენ ოპერაში. აბატი ფიქრობდა, ლუსიენის საზოგადოებაში გასვლა ნაადრევია, ვაითუ ძველ მეგობრებში გაერიოსო. უნდოდა, ყმაწვილკაცი ისე გამოეწრთო, ისე გაეწაფა, რომ თავის დაცვა არ გასძნელებოდა. იმ ხანებში ლუსიენს უკვე სამი ცხენი ება საჯინიბოში; საღამოს გასასეირნებლად ერთი კუპე ჰქონდა, დილისთვის კაბრიოლეტი და ტილბური. ყოველდღე რესტორანში სადილობდა ან ვინმეს ოჯახში იყო დაპატიჟებული. ერერას მოლოდინი გაუმართლდა, მისი შეგირდი ფუქსავატური ცხოვრების ორომტრიალში ჩაება. რა გზა ჰქონდა აბატს, უნდა დაეთმო, რადგან ჭაბუკი ესთერისადმი უგონო სიყვარულით იყო გულში დაჭრილი. ორმოცი ათასი ფრანკი ქარს გაატანა, მაგრამ ყოველი გიჟური გატაცება უფრო მწვავედ აგონებდა ლა ტორპილს და ჯიუტად ეძებდა მას. ესთერის კვალს ისე მიჰყვებოდა, როგორც მონადირე ნადირს. ერერას განა შეეძლო გამოეცნო პოეტის ტრფიალების არსი? აბა, როგორ მიხვდებოდა, რომ ამგვარი გრძნობა ერთხელ მაინც თუ შეუჩნდებოდა ჩვენს დიდ ბიჭუნას, გულში კოცონს აუგიზგიზებდა, მის ცნობიერებაშიც შეიჭრებოდა და მიჯნურობის ძალით პოეტს ისევე აამაღლებდა კაცობრიობაზე, როგორც მაღლა იდგა წარმოსახვის სიძლიერით. რაკი მომადლებული ჰქონდა ზეგარდმო ნიჭი, სინამდვილე სახეებში აესახა და გადმოეცა ერთდროულად გრძნობაცა და იდეებიც, სიყვარულსაც კი უბოძებდა თავისი გონების ლაღად გაშლილ ფრთებს. პოეტი გრძნობს და ხატავს, მოქმედებს და აზროვნებს, გონებით ამრავლებს შეგრძნებებს, აწმყოთი ტკბობას

სამჯერ უფრო მომხიბვლელად აქცევს, ოცნებით სწვდება წარსულსა და მომავალს, სიყვარულით გატაცებას სულის დახვეწილი ნეტარებით ამდიდრებს, ხოლო ამგვარი მიჯნურობა თვით მას ხელოვანთა მეფეთ მეფედ გადააქცევს. მაშინ პოეტის ვნება ადამიანურ შესაძლებლობათა საზღვარს სცილდება და დიდებულ პოემად გარდაისახება. მხატვარი სატრფოს მაღალ კვარცხლბეკზე შეაყენებს, რითაც არცთუ დიდად მადლიერნი რჩებიან ბანოვანნი. კეთილშობილი ლამანჩელი რაინდივით, პოეტიც სოფლელ გომბიოს პრინცესად წარმოსახავს. ხელთ უპყრია ჯადოსნური წკეპლა და რასაც შეახებს, ზღაპრულ მშვენიერებად გადააქცევს, ვნებათაღელვას აღაზევებს იდეალების წარმტაც სამყაროში. მისი სიყვარული ვნების ნიმუში ხდება. გრძნობებს მისას არა აქვს საზღვარი; ასევე უსაზღვროა მისი იმედიც, სასოწარკვეთილებაც, მრისხანებაც, სევდაც და სიხარულიც. ტრფიალს მისას შეუსხამს ფრთები, მიქრის, მიარღვევს ყოველივეს, ანდა ძირს ეშვება, დახოხავს; არ ჰგავს ჩვეულებრივი ადამიანის მღელვარე გრძნობას. ისევე განსხვავდება მდაბიური სიყვარულისგან, როგორც ალპების ჩანჩქერთა ღვართქაფი დაბლობზე მოლიკლიკე ნაკადულისგან. იმდენად გაუგებარია ადამიანისთვის მისი მისწრაფებანი, რომ ხელოვნების მშვენიერი გენია ყალბ ილუზიებს ეწირება. სიცოცხლეს არ იშურებს იდეალური მიჯნურის ძიებაში და კვდება ყოველთვის ისე, როგორც თვალწარმტაცი ფარვანა, ბუნების ყველაზე პოეტური შთაგონებით მოხატული და მოკაზმული იმისთვის, რომ სიყვარულის ზეიმით დატკბეს და გამვლელის ფეხქვეშ კი ისრისება უბიწო. ამის გარდა გენიოსს სხვა საფრთხეც ემუქრება; გადაეყრება საკუთარი წარმოდგენით შექმნილი სილამაზით დაჯილდოებულ ქალს, რომელიც მეტწილად მეფუნთუშე გახლავთ და რაფაელისმსგავსად მშვენიერი მწერივით კვდება ფორნარინასფეხთით. ლუსიენსაც იგივე დაემართა. მისმა პოეტურმა ბუნებამ, თავდავიწყებით რომ ეძლეოდა სიკეთესაცა და ბოროტებასაც, ანგელოზი შეიცნო მეძავ გოგოში, ვისაც გარყვნილი ცხოვრება განეცადა, მაგრამ არ გარყვნილიყო. ლუსიენს თვალიდან არ სცილდებოდა მისი ჩვენება: თეთრი, ფრთაშესხმული, სპეტაკი და იდუმალებით მოცული. ესთერი მართლაც ასეთი გახდა ლუსიენისთვის, რადგან მიხვდა, ამგვარ ქალწულზე ოცნებობდა სატრფო.

1825 წლის მაისის დამლევს ლუსიენს სულ დაეკარგა ხალისი. შინიდან გარეთ აღარ გადიოდა. ერერასთან ერთად სადილობდა ან ჩაფიქრებული იჯდა, ან მუშაობდა, ან დიპლომატიურ ხელშეკრულებებს კითხულობდა ტახტზე თურქულად ფეხმორთხმული და დღეში სამ თუ ოთხ ყალიონს ეწეოდა. მისი გრუმი ამ მშვენიერი ხელსაწყოს გაწმენდასა და ნელსურნელებით გაჟღენთვას უნდებოდა და ძველებურად აღარ ზრუნავდა, რომ ცხენებს ბეწვი დაბზენილი ჰქონოდათ, ვარდებით შეემკო მათთვის ღვედები და ბულონის ტყეში სასეირნოდ გაემზადებინა. იმ დღეს, როცა ესპანელმა ლუსიენის გაფითრებულ შუბლს თვალი შეავლო და ზედ აღბეჭდილი დაუკმაყოფილებელი, გიჟური ვნების ავადმყოფური ნიშნები შენიშნა, გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაეგო იმ კაცის გულისნადები, ვისზედაც საკუთარი კეთილდღეობის იმედს ამყარებდა.

ერთ მშვენიერ საღამოს ლუსიენი სავარძელში იჯდა და ყალიონის სურნელოვან კვამლში გახვეული უაზროდ გაჰყურებდა ბაღს, სადაც ხეთა შორის ნელნელა ეშვებოდა მზე, მალიმალ და ხანგრძლივად ისრუტავდა კვამლს, როგორც სჩვევიათ ფიქრში წასულ ადამიანებს. მწარე ოხვრამ ოცნება გაუფანტა. მიიხედა, გულხელდაკრეფილი აბატი დასდგომოდა თავს.

აქ იყავი? ჰკითხა პოეტმა.
დიდი ხანია, მიუგო მღვდელმა, ჩემი ფიქრები შენს ფიქრთა დინებას მიჰყვებოდა...

ლუსიენი მიუხვდა.

შენსავით რკინისებური ნებისყოფა არასოდეს მქონია. სიცოცხლე ჩემთვის ხან სამოთხეა, ხან ჯოჯოხეთი; მაგრამ, შემთხვევით, თუ არც ერთია და არც მეორე, მოწყენილობას მგვრის და მეც მოწყენილი ვარ...
განა შეიძლება ადამიანი მოწყენილი იყოს, როცა მის წინ ბრწყინვალე მომავალია გადაშლილი...

და თუკი არ გჯერა მაგ მომავლის, ანდა თუ ეს მომავალი მეტისმეტად ბუნდოვანია?

სისულელეს თავი დაანებე! უთხრა მღვდელმა, ჩემთვისაც და შენთვისაც უფრო საკადრისია გული გადამიშალო. ჩვენ შორის საიდუმლო აღმართულა. ეს საიდუმლო აგერ თექვსმეტი თვეა არსებობს. შენ ერთი ქალი გიყვარს.

მერედა რა?

მეძავი გოგო, ლა ტორპილს ეძახიან...

თუნდაც ასე იყოს!

ჩემო ბავშვო, ნება მოგეცი, საყვარელი გაგეჩინა, მაგრამ ის უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ქალბატონი, ახალგაზრდა, ლამაზი, გავლენიანი, თუ მეტი არა, გრაფის მეუღლე მაინც. შეგირჩიე კიდეც ქალბატონი დჟესპარი. შენ იგი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შენი წარმატების იარაღად უნდა გადაგექცია. ის ვერ მოგიკლავდა გულს, რადგან ვერ შეგიკვეცდა თავისუფლების ფრთებს... წუმპეში ჩავარდნილი მეძავის სიყვარული, თუკი მეფის მსგავსად მისი გაკეთილშობილების უფლება არ გაგაჩნია, დიდი წინდაუხედაობაა, მე და ჩემმა ღმერთმა.

განა მე ვარ პირველი, ვინც ხელი აიღო პატივმოყვარეობით ნაკარნახევ ზრახვებზე და თავშეუკავებელი სიყვარულის გზას გაჰყვა?

კარგი, გავიგე შენი ეპიგრამა, უთხრა მღვდელმა და დასწვდა ბოგჭეტტინო

ს,რომელიც ლუსიენს ხელიდან გაუვარდა და მიაწოდა, ნუთუ არ შეიძლება პატივმოყვარეობისა და სიყვარულის შეუღლება? ბავშვო, ბებერი ერერა ხომ დედაა შენი და მის ერთგულებას საზღვარი არა აქვს...

ვიცი ეგ, მოხუცო, მიუგო ლუსიენმა და ხელი მძლავრად ჩასჭიდა.
გენატრებოდა მდიდრული სათამაშოები და მიიღე კიდეც. გინდოდა, აკიაფებულიყავი საზოგადოებრივ სარბიელზე და მე მიგიძღვები ძალაუფლების დაპყრობის გზაზე. ბინძურ ხელებს ვეამბორები, ოღონდ შენ წაიწიო წინ და წაიწევ კიდეც. ცოტა ხანს მოითმინე და აღარაფერი მოგაკლდება, მიიღებ იმას, რაზედაც ოცნებობენ მამაკაცებიცა და ქალებიც. სურვილები ქალისა გაქვს, გონება მამაკაცური. შენს არსს ღრმად ჩავწვდი და ყველაფერი გაპატიე. მხოლოდ ბრძანე და აგისრულდება ყველა წვრილმანი სურვილი. ფართოდ გაგიხსენი ცხოვრების კარი, მოგეცი საშუალება, პოლიტიკური მოღვაწე გახდე და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, რასაც აგრერიგად შესციცინებს და ებღაუჭება ადამიანთა უმრავლესობა. შენ გახდები ისევე დიდი, რამდენადაც ახლა ხარ პატარა, მაგრამ არ უნდა დაამსხვრიო ის დაზგა, რაზედაც ფულს ვჭრით. ყველაფრის ნებას გაძლევ, მხოლოდ იმ შეცდომებს არ გაპატიებ, რაც ზიანს მოუტანს შენს მომავალს. მე სენჟერმენის სალონების კარს გიღებ და წუმპეში კოტრიალის უფლებას ვერ მოგცემ, ლუსიენ! შენს საკეთილდღეოდ რკინის ბერკეტად გადავიქცევი და შენგან ყველაფერს ავიტან. სწორედ ამიტომ გამოცდილი მოთამაშის მოქნილი ხელით გამოვასწორე შეცდომა, შენ რომ დაუშვი ცხოვრებისეულ თამაშში (განრისხებულმა ლუსიენმა გააფთრებით ასწია თავი)... მე გავიტაცე ლა ტორპილი!

შენ? დაიღრიალა ლუსიენმა.

მხეცური გაცოფებით წამოხტა პოეტი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ყალიონი სახეში სთხლიშა მოძღვარს ისეთი ძალით, რომ ეს გოლიათური აგებულების მამაკაცი იატაკზე გულაღმა გადაყირავდა.

ესპანელი წამოდგა და შემაძრწუნებელი სიდარბაისლით თქვა:

დიახ, მე!

შავი პარიკი გადაუვარდა. ჩონჩხის ქალასავით პრიალა თავი გამოუჩნდა და ნათლად გამოკვეთა მისი ნამდვილი, შემზარავი სახე. ლუსიენი სავარძლიდან ვეღარ დაიძრა, მკლავები უღონოდ დაუშვა და დათრგუნვილი, გამოთაყვანებული მიშტერებოდა აბატს.

მე მოვიტაცე ესთერი, განაგრძობდა მღვდელი.
მერე რა უყავი? ბალმასკარადის მეორე დღეს მოიტაცე, არა?

დიახ, მას შემდეგ, რაც ვიხილე, როგორ შეურაცხყვეს არსება, რომელიც შენ გეკუთვნოდა, იმ არამზადებმა, ვისთვისაც პანღურის ამოკვრასაც არ ვიკადრებდი

არამზადებმაო, შეაწყვეტინა სიტყვა ლუსიენმა, ჯობს, თქვა, ურჩხულებმაო, მათთან შედარებით გილიოტინაზე დასჯილი ბოროტმოქმედებიც ხომ ანგელოზები არიან. იცი, სამ იმათგანს რა გაუკეთა ტორპილმა? ერთი ვაჟკაცი, ამ სამთა შორის, ორი თვე მისი საყვარელი იყო: ლა ტორპილს არაფერი გააჩნდა და პურის ლუკმას ნაგავში ეძებდა. კაცს კი ჯიბეში ერთი სუ არ უჭყაოდა. სწორედ იმ ყოფაში იყო ჩავარდნილი, როგორშიც მე ვიყავი, როცა შენ შემხვდი მდინარის პირას. ჰოდა, ეს ვაჟბატონი ღამით წამოდგებოდა, მივიდოდა კარადასთან, სადაც გოგო ნასუფრალს ინახავდა და ჭამდა. ბოლოს გოგო მიუხვდა ოინს, გამოამჟღავნა მისი სამარცხვინო საქციელი და ამის შემდეგ ცდილობდა, უფრო მეტი დაეტოვებინა მისთვის და თავს ბედნიერად გრძნობდა. ეს ამბავი მხოლოდ მე გამანდო ფიაკრში, როცა ოპერიდან ვბრუნდებოდით. მეორე ყმაწვილმა ფული მოიპარა, მაგრამ სანამ დანაკარგს აღმოაჩენდა პატრონი, საბრალო გოგონამ დიდი ვაივაგლახით უსესხა საჭირო თანხა. გულმავიწყ ბატონს აღარც გახსენებია ვალის დაბრუნება. ახლა მესამეზე მოგახსენებთ. მას, ისევ ტორპილის წყალობით, ბედმა გაუღიმა და წელში გაიმართა. ლა ტორპილმა მისი გულისთვის ფიგაროს გენიის ბრწყინვალეებით გაითამაშა კომედია: ყოვლისშემძლე თანამდებობის პირს გაეცნო, ვითომ იმ ყმაწვილის ცოლი იყო და თანამდებობის პირის საყვარელი გახდა. იგი ტორპილს მდაბიო, მაგრამ სათნო დედაკაცად თვლიდა, ერთს სიცოცხლე შეუნარჩუნა, მეორეს პატიოსანი კაცის სახელი, მესამეს მდგომარეობა შეუქმნა, რაც დღეს სიცოცხლესაც უდრის და პატიოსნებასაც. და ხომ ხედავთ, როგორი ჯილდო მიიღო.

თუ გინდა, ისინი მოკვდებიან, უთხრა თვალზე ცრემლმომდგარმა ერერამ.

რას ამბობ, სულ ეგ როგორ აგიჩემებია! კარგად გიცნობ...

მაშ, გაიგე ყველაფერი, ცოფიანო პოეტო, შესძახა მოძღვარმა, ლა ტორპილი აღარ არსებობს...

ლუსიენი წამოხტა, თვალის დახამხამებაში მივარდა ერერას და ისე ღონივრად წაუჭირა კისერში ხელები, რომ სხვა კაცი ძირს დაეცემოდა, მაგრამ ესპანელის ხელმა შეაჩერა პოეტი:

დაიცადე, მომისმინე, უთხრა ცივად, ჩემი შემწეობით იგი პატიოსან, სპეტაკ, კარგად აღზრდილ, ღვთისმოსავ ქალად გადაიქცა. ამჟამად განათლებას ეუფლება. მას შეუძლია და ვალდებულიცაა გახდეს შენი სიყვარულის გავლენით ნინონის, მარიონ დელორმის, დიუბარისმსგავსი ქალი, როგორც ამბობდა ჟურნალისტი ოპერაში. შენ მას საქვეყნოდ ხასად დაისვამ, ანდა ამოეფარები შენი ნახელავის ჩრდილს, რაც უფრო გონივრული იქნება! ერთიცა

და მეორეც სიკეთეს, სიამოვნებას მოგიტანს, განგაცდევინებს სიამაყის გრძნობას და მოგიხვეჭს სახელს, წარმატებას. მაგრამ თუ ისეთივე დიდი პოლიტიკოსი ხარ, როგორიც პოეტი, ესთერი შენთვის ძველებურად მსუბუქი ყოფაქცევის ქალად დარჩება. რა ვიცით, რა გაგვიჭირდება და რა საქმისგან გვიხსნის, ლა ტორპილი ხომ თავის წონა ოქროდ ფასობს. შესვი, მაგრამ ნუ დათვრები. შენი ვნებათაღელვისთვის ლაგამი რომ არ ამომედო, ნეტავ რა იქნებოდა დღეს? ტორპილთან ერთად ჩაიძირებოდი სიღარიბის ჭაობში, საიდანაც მე ამოგათრიე. აჰა, გამომართვი, თქვა ერერამ ისევე უბრალოდ, როგორც მანლიუსში,, ტალმამ,რომელიც არასოდეს ენახა ესპანელ მღვდელს.

პოეტს მუხლებზე დაეცა ქაღალდი და დაუცხრა მრისხანება, აბატის მომაკვდინებელმა პასუხმა რომ აღუძრა. ლუსიენი ქაღალდს დასწვდა. ეს იყო პირველი წერილი, მადმუაზელ ესთერის მიერ დაწერილი:

ბატონო აბატო კარლოს ერერა!

ჩემო ძვირფასო მფარველო, ხომ არ ფიქრობთ, რომ მადლიერების გრძნობა უფრო ძლიერი ყოფილა ჩემში, ვიდრე სიყვარული, რაკი თქვენთვის მადლობის სათქმელად პირველად გამოვიყენე აზრების გამოხატვის უნარი და სამიჯნურო ბარათი არ მიმიწერია სატრფოსთვის, რომელმაც იქნებ კიდევაც დამივიწყა? მაგრამ თქვენ უნდა მოგითხროთ, ღვთაებრივო ადამიანო, რის თქმასაც ვერ გავუბედავდი სატრფოს, რადგან იგი, ჩემდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ყოველივე მიწიერისკენ ილტვის. გუშინდელმა ცერემონიამ სასოება მოჰფინა ჩემს გულს და ამიერიდან ჩემს ბედს თქვენ განდობთ განუყოფლად. თუკი მიწერია მოვკვდე ლუსიენისგან მოშორებით, მოვკვდები მაგდალინასავით განწმენდილი და სული ჩემი, ალბათ, სატრფოს მფარველი ანგელოზის მეტოქედ გადაიქცევა. ნუთუ ოდესმე დამავიწყდება გუშინდელი ზეიმი? აბა, როგორ ვთქვა უარი იმ სახელოვან ტახტზე, რომელზედაც ავედი გუშინ? გუშინ ნათლობის წყალში მოვიცილე მთელი ჩემი სიბინძურე და მაცხოვრის წმიდათაწმიდა სხეულსაც ვეზიარე. მის სახატედ ვიქეც. სწორედ იმწუთას ჩამომესმა ანგელოზთა გალობა და მე აღარ ვიყავი ქალი; მე ვიბადებოდი შუქით გაცისკროვნებული ცხოვრებისთვის. მხვდებოდნენ მიწიერი შეძახილებით, აღტაცებით შეპყრობილნი გარს მეხვეოდნენ. ლოცვაგალობით მეგებებოდნენ, მიკმევდნენ დამათრობელ საკმეველს, ღრუბლებად რომ ეფინებოდა ყოველივეს, ხოლო მე ვიყავი ისე მორთულმოკაზმული, როგორც ციური ქალწული, ციური საქმროს შესახვედრად გამზადებული. ვიგრძენი, ლუსიენის ღირსი გავხდი, რისი იმედიც არასოდეს მქონია. უარი ვთქვი ყოველგვარ ბიწიერ სიყვარულზე და აღარ მსურს გავყვე სხვა გზას, გარდა იმისა, რომელიც მიმიძღვება სათნოებისკენ. თუ ჩემი სხეული სულზე სუსტია, დე დაიღუპოს. გაბარებთ ჩემს თავს. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ჩემი ბედიღბალი. და თუ მოვკვდები, უთხარით ლუსიენს, მოვკვდები მისთვის და დავიბადები ღვთისთვის.

კვირა საღამო,,.

ლუსიენმა ცრემლმორეული თვალი მიაპყრო აბატს.

შენ იცი სქელუა კაროლინ ბელფეის ბინა, ტეტბუს ქუჩაზე, უთხრა ესპანელმა, ეს გოგო მოსამართლემ მიატოვა და საშინელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. კინაღამ ციხეშიც ჩასვეს. მთელი მისი ბინა და ავეჯი მე შევიძინე. თვითონ ჩვრებიღა შერჩა ტანზე. ესთერი, ანგელოზი, რომელიც ცაზე აფრენას ოცნებობდა, იქ ჩამოფრინდა და გელოდება.
იმავე წუთს ლუსიენს ეზოდან ცხენების ფრუტუნი შემოესმა. ძალა აღარ ეყო, გამოეთქვა აღტაცება იმ ერთგულებისთვის, რისი შეფასებაც მის მეტს არავის შეეძლო. გულში ჩაეკონა მისგან შეურაცხყოფილ კაცს და დანაშაული გამოისყიდა მხოლოდ ერთი შეხედვით, გულში ჩამწვდომი ალერსიანი მზერით... მერე კიბე ჩაირბინა, თავის ვეფხვს,, ჩასჩურჩულა ესთერის მისამართი და ცხენები ჯირითით გაქანდნენ, თითქოს პატრონის ვნებას მათთვისაც ფრთები შეესხა.

მეორე დღეს ისე ჩაცმული კაცი, რომელსაც გამვლელები შენიღბულ ჟანდარმად ჩათვლიდნენ, ტეტბუს ქუჩაზე ერთი სახლის წინ მიმოდიოდა. ჩანდა, იქიდან ვიღაცის გამოსვლას ელოდებოდა. სიარულზე ეტყობოდა, ძალიან ღელავდა. პარიზში ხშირად შეხვდებით სიარულის მგზნებარე ტრფიალთ; ესენი ჟანდარმები არიან, რომლებიც ნაციონალური გვარდიიდან გამოქცეულ ჯარისკაცს დაეძებენ, პოლიციის აგენტები, ვიღაცის დასაპატიმრებლად რომ დაძვრებიან, მევალეები, ხაფანგს რომ უგებენ მოვალეებს, რათა თავისი ბინის ოთხ კედელს შუა გამოკეტონ, საყვარლები, ეჭვიანი ქმრები, მეგობრები, მეგობრების მაგივრად რომ უთვალთვალებენ ვიღაცას; მაგრამ მათ შორის იშვიათად თუ ვინმეს შეამჩნევდით ისეთ მძვინვარე და გააფთრებულ გამომეტყველებას, როგორიც აღბეჭდოდა ამ პირქუშ, გალიაში მომწყვდეული დათვივით აბორგებულ გოლიათს, მადმუაზელ ესთერის ფანჯრების ქვემოთ გამალებული რომ სცემდა ბოლთას. ნაშუადღევს ფანჯარა გაიღო, მოახლემ ხელი გამოყო და დარაბები გახსნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფანჯარას მოადგა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად ლუსიენის მკლავზე დაყრდნობილი, შილიფად ჩაცმული ესთერი. თუ ვინმე მოჰკრავდა მას თვალს, გაიფიქრებდა, ნატიფად ჩამოძერწილი ინგლისური ქანდაკებაო. ესთერმა მყისვე იცნო ესპანელი მღვდლის ბასილისკოს მსგავსი თვალები და საბრალო არსებამ შიშით ისე შეჰყვირა, თითქოს ტყვია მოხვდა გულში:

აგერ ის საშინელი მღვდელი, თქვა მან და ლუსიენს დაანახვა.

ეგ, უპასუხა ყმაწვილმა ღიმილით, ეგ ისევეა მღვდელი, როგორიც შენ...

მაშ, ვინ არის? იკითხა ქალმა შეძრწუნებით.

ოჰ, ეგ ერთი ბებერი გაიძვერაა და ეშმაკის მეტი არაფერი სწამს, უთხრა ლუსიენმა.

ცრუ მღვდლის საიდუმლოების გამჟღავნებისთვის ესთერზე ცოტაოდენ ნაკლებად ერთგულ ადამიანს რომ მოეკრა ყური, ლუსიენი სამუდამოდ დაიღუპებოდა. საძინებლის ფანჯარას მოსცილდნენ და გაეშურნენ სასადილო დარბაზისკენ, სადაც მათთვის საუზმე გაეშალათ. იმ წუთს კარლოს ერერაც შემოვიდა.

აქ რისთვის მოსულხართ? მკაცრად შეეკითხა ლუსიენი.

თქვენს დასალოცად, მიუგო თავხედმა კაცმა და წყვილი პატარა სალონში იძულებით შეაჩერა, აბა, მომისმინეთ, გვრიტებო. გაერთეთ, იბედნიერეთ, ამას რა სჯობს, მაგრამ შენ, მიუბრუნდა ესთერს, შენ, რომელიც მე წუმპიდან ამოგათრიე და გაგიბანე სულიცა და სხეულიც, ნუ შეეცდები გზაზე გადაუდგე ლუსიენს... შენ კი, ჩემო პაწია, მიმართა მცირე პაუზის შემდეგ ლუსიენს, შენ უკვე ის პოეტი აღარა ხარ, რომელიც ახალ კორალის შეეწირება. ჩვენ ხომ პროზას ვქმნით. რა მომავალი ექნება ესთერის კუროს? არავითარი. შეიძლება ესთერი ქალბატონი დე რიუბამპრე გახდეს? არა. თუ ასეა, მაშ, ჩემო პატარა, ესთერის ხელს დაადო თავისი ხელი და ესთერი ისე აკანკალდა, თითქოს გველი შემოეხვიაო, საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს, რომ თქვენ ცოცხალი ხართ. საზოგადოებას მეტადრე არ უნდა მოეხსენებოდეს ის, რომ მადმუაზელ ესთერს ლუსიენი უყვარს და ლუსიენიც გატაცებულია ესთერით... ეს ბინა თქვენი საპატიმრო იქნება, ჩემო ბავშვო. თუ მოისურვებთ ქუჩაში გასვლას, ანდა თქვენი ჯანმრთელობისთვის თუ საჭირო გახდება სუფთა ჰაერი, ღამღამობით ისეირნებთ, ისეთ დროს, როცა თვალს ვერავინ მოგკრავთ. რაკი ლამაზი ბრძანდებით, თან ქორფა და მონასტერშიც ღირსეული თავდაჭერა შეითვისეთ, პარიზში უცებ შეგნიშნავენ. იმ დღეს, როცა ვინმე გაიგებს, თქვა მან შემზარავი ხმითა და თვალებიც შემზარავად დააკვესა, რომ ლუსიენი თქვენი საყვარელია, ან თქვენ ხართ მისი საყვარელი, იცოდეთ, რომ თქვენი აღსასრულის დღეც დადგება. ამ ყმაწვილკაცისთვის მოვიპოვეთ ბრძანება, რისი წყალობითაც უფლება ებოძა, ატაროს გვარი და გერბი დედის წინაპრებისა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, მარკიზის ტიტული ჯერ არ მიუღია. ტიტულის მისაღებად ცოლად უნდა შეირთოს კეთილშობილი ოჯახიშვილი, რომლის პატივსაცემად მეფე ამ წყალობასაც გაიღებს. ასეთი ქორწინებით ლუსიენი მეფის კარს დაუახლოვდება. ბავშვი, რომელიც ჩემი დახმარებით მამაკაცად გადაიქცა, თავდაპირველად საელჩოს მდივნად დაინიშნება; მოგვიანებით გერმანიის რომელიმე კარზე ელჩად გაიგზავნება და ღვთისა თუ ჩემი შემწეობით (უფრო კი ჩემი შემწეობით) ერთ მშვენიერ დღეს პერის სკამზედაც დაჯდება...

ანდა საბრალდებო სკამზე... სიტყვა გააწყვეტინა ლუსიენმა.

ხმა გაიკმინდე, შეჰყვირა კარლოსმა, თავისი ფართო ხელი პირზე მიაფარა ყმაწვილს და ჩასჩურჩულა, ასეთი საიდუმლო გინდა ქალს გაუმჟღავნო?

ესთერია ქალი? წამოიძახა ზიზილების,, ავტორმა.

ისევ სონეტები, აღმოხდა ესპანელს, თუ რაღაც აბდაუბდა. ყველა ეს ანგელოზი, ადრე თუ გვიან, ქალად გადაიქცევა, ხოლო ქალის ცხოვრებაში დგება წუთი, როცა იგი მაიმუნიც არის და ბავშვიც! და ამ ორ არსებას შეუძლია მოგკლას მარტო იმისთვის, რომ გაიცინოს. ესთერ, ჩემო მარგალიტო, მიმართა შიშით გულგახეთქილ პანსიონერ გოგონას, მოახლედ გიშოვეთ ერთი არსება, რომლის სრული ბატონპატრონი ვარ და ისევე მიერთგულებს, ვით ღვიძლი შვილი. მზარეულად გეყოლებათ მულატი ქალი, რაც ოჯახისთვის კარგ ტონადაა მიჩნეული. ევროპასა და აზიას შემწეობით თვეში ათასი ფრანკი გეყოფათ, რაც ყველა დანახარჯს აგინაზღაურებთ. თეატრალური დედოფალივით იცხოვრებთ... ევროპა მკერავი იყო და სტატისტიც, აზია კი ერთ ღორმუცელა მილორდს ემსახურებოდა. ეს ორი ქალი იქნება თქვენი ორი ფერია.

ამ კაცის გვერდით, რომელიც უთუოდ ყალბისმქნელობით ან სხვა საშინელი ცოდვით იყო დამძიმებული, ლუსიენი უცოდველ ყრმად ეჩვენებოდა სიყვარულით გასპეტაკებულ ქალს, რომელსაც გულში თავზარდამცემი შიში შეაპარა. უხმოდ ჩასჭიდა ხელი ლუსიენს, საძინებელში გაიყვანა და ჰკითხა:

ეგ სატანაა?

უარესიც... ჩემთვის! მიუგო ლუსიენმა მღელვარებით, მაგრამ თუ გიყვარვარ, ისე მოექეცი, თითქოს უზომოდ ერთგული იყო მისი და უსიტყვოდ დაემორჩილე, თორემ მოგკლავს...

მომკლავს? წამოიყვირა ელდანაცემმა ესთერმა.

დიახ, მოგკლავს... გაუმეორა ლუსიენმა, ვაგლახ, ჩემო ნუკრო, არავითარი სიკვდილი არ შეედრება იმას, რაც მე მომელის, თუკი...

ამ სიტყვებზე ესთერს ფერი წაუვიდა და კინაღამ გული შეუწუხდა.

სადა ხართ? დაუყვირა ცრუ მღვდელმა, ვეღარ მოათავეთ თქვენი ზიზილების კრეფა?

ესთერი და ლუსიენი პატარა სალონში შებრუნდნენ.

საბრალო გოგონამ ვერ გაბედა ამ საიდუმლოებით მოცული მამაკაცისთვის თვალის გასწორება, მზერა აარიდა და უთხრა:

ისე დაგემორჩილებით, ბატონო, როგორც ღმერთს მორჩილებენ!

ძალიან კარგი! მიუგო ერერამ, რამდენიმე ხანს შეგიძლიათ დატკბეთ უზომო ბედნიერებით... სამოსი მხოლოდ საძინებლისა და ღამის სეირნობისთვის დაგჭირდებათ. შესანიშნავია, ძვირი არ დაგვიჯდება.

ორი მიჯნური სასადილო ოთახისკენ გაემართა, მაგრამ ლუსიენის მფარველმა ხელის დაქნევით შეაჩერა ლამაზი წყვილი: მსახურებზე გელაპარაკეთ, ჩემო ბავშვო, მიმართა ესთერს, ახლა კი წარმოგიდგენთ მათ.
ესპანელმა ორჯერ დარეკა ზარი. ორი ქალი, რომელთაც ევროპასა და აზიას უწოდებდნენ, შემოვიდა ოთახში და ადვილი გასაგები გახდა, რატომ ჰქონდათ ეს მეტსახელები შერქმეული.

აზია, ჩანდა, იავის კუნძულებზე დაბადებულიყო და შემზარავი სანახავი გახლდათ: მალაელთათვის დამახასიათებელი, ფიცარივით ბრტყელი სპილენძისფერი სახე ჰქონდა; ცხვირი ისე ჩასჭყლეტოდა, გეგონებოდათ, ერთი მაგრად უთხლეშიათ ზედ რამეო; ყბის ძვალი წინ წამოსწეოდა და სახის ქვედა ნაწილი მაიმუნის დრუნჩს მიუგავდა. დაბალ შუბლზე საზრიანობა აღბეჭდოდა და ცბიერ გამომეტყველებას აძლევდა; ვეფხვის გულცივი თვალებივით მოგიზგიზე ორი ვიწრო თვალი არავის უსწორებდა მზერას, თითქოს ცდილობდა, გარშემომყოფნი არ შეეძრწუნებინა.

მოლურჯო ტუჩებიდან თვალისმომჭრელად მოელვარე, ქათქათა, მაგრამ ოღროჩოღრო კბილები მოუჩანდა. ამ პირუტყვული სახის იერი პატრონის სულმდაბლობაზე მეტყველებდა. ძვირფასი აბრეშუმის ხილაბანდიდან პირისკანივით ქონიანი და ლაპლაპა, გიშერივით შავი თმა ჩამოშლოდა. კოხტად მოყვანილ, მშვენიერ ყურებზე ორი შავი მარგალიტის საყურე ეკიდა. ტანმომცრო, ჯმუხი აზია იმ უცნაურ და ახირებულ არსებებს მიაგავდა, ჩინელები რომ ხატავენ თავიანთ თეჯირებზე, ან, უფრო ზუსტად, ინდოელ კერპებს, რომელთა მსგავსი ქმნილება თითქოს არ შეიძლება არსებობდეს ბუნებაში, თუმცა, ხანდახან მოგზაურები წააწყდებიან ხოლმე. ამ შალის კაბაში გამოწყობილი თეთრწინსაფრიანი ურჩხულის დანახვაზე ესთერს შეაჟრჟოლა.

აზია! მიმართა ესპანელმა. ქალმა მყისვე შემოატრიალა თავი და ძაღლივით ერთგული მზერა ესროლა პატრონს, აი, შენი ქალბატონი... და მიუთითა ესთერზე, რომელსაც პენუარი ეცვა. აზიამ ამ ქორფა ფერიას თითქმის სევდიანად შეხედა, მაგრამ მის მოკლე და ხშირ წამწამებში შეყუჟული სხივი იმ წუთშივე ცეცხლის ენასავით გადაეშვა ლუსიენისკენ, რომელსაც საუცხოო საშინაო ხალათი გადაღეღოდა და ჰოლანდიური ფაქიზი ტილოს პერანგი და წითელი შარვალი მოუჩანდა. თავზე წითელი ფესი ეხურა, საიდანაც მსხვილ კულულებად იფანტებოდა ქერა თმა. ღვთაებრივად ლამაზი იყო ლუსიენი. იტალიელ გენიოსს შეუძლია შექმნას ლეგენდა ოტელოზე, ინგლისელ გენიოსს შეუძლია იგი წარმოადგინოს სცენაზე, მაგრამ მარტოოდენ ბუნებას აქვს მინიჭებული უფლება, ერთ გამოხედვაში ინგლისსა და იტალიაზე უფრო ბრწყინვალედ და სრულყოფილად გადმოსცეს ეჭვიანობა. ამ გამოხედვას

ესთერმა თვალი შეასწრო, მაშინვე ჩაებღაუჭა ესპანელის მკლავს და ზედ დაამჩნია თავისი ფრჩხილების კვალი, როგორც უფსკრულზე გადაკიდებულმა კატამ. ესპანელმა რაღაც ენაზე სამი თუ ოთხი სიტყვა უთხრა აზიელ ურჩხულს, რომელმაც მაშინვე დაიჩოქა, მუხლებით მიხოხდა ესთერის ფეხებთან და ემთხვია.

უბრალო მზარეული არ გეგონოთ, უთხრა ესპანელმა ესთერს, ნამდვილი ოსტატია, შეუძლია თვით გარემოც კი შურით გულზე გახეთქოს, აზიას მზარეულობაში ბადალი არა ჰყავს. სულ უბრალო ლობიოს ისე მოგიმზადებთ, რომ ეჭვი შეგეპარებათ, ანგელოზები ხომ არ ჩამოფრინდნენ და ციური მწვანილით ხომ არ შეკაზმესო. ყოველ დილით თავად წავა ბაზარში და ოღონდ იაფად იყიდოს ხორაგი, სატანასავით ივაჭრებს. თუმცა რა, განა ნამდვილი სატანა არ არის, ყველას უნდა ეგონოს, ვითომც ინდოეთიდან ჩამობრძანდით; აზია ამ მხრივ დიდ სამსახურს გაგიწევთ, ზღაპარს სინამდვილედ მოაჩვენებს ხალხს. ეგ ერთი იმ პარიზელი ქალთაგანი გახლავთ, რომელთა დაბადების ადგილი იქ არის, სადაც თავად მოისურვებენ. მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენ არც დაგჭირდებათ უცხოელად გაასაღოთ თავი. ევროპა, შენ რას იტყვი?

ევროპა აზიას სრულ კონტრასტს წარმოადგენდა; ისე თვალწარმტაცი სუბრეტიიყო, რომ სცენაზე მასზე მშვენიერ პარტნიორად ვერავის ინატრებდა მონროზი.ერთი შეხედვით თავქარიანი გეგონებოდათ. ტანკენარი იყო, სინდიოფალასავით წასწვეტებოდა ცხვირი, პარიზული გარყვნილებით დადაღული სახე ჰქონდა, მოხარშული კარტოფილით ნაკვები გოგოს ფერმკრთალი სახე, ნაზი და თან ჯიუტი. მოლეღვებული კანის ქვეშ ლურჯი ძარღვები მოუჩანდა. პატარა ფეხი წინ გამოეწია, ხელები წინსაფრის ჯიბეში ჩაეწყო, უმოძრაოდ იდგა და მაინც გეგონებოდათ, თრთისო, სიცოცხლე ისე ჩქეფდა მის სხეულში. გრიზეტსაც ჩამოჰგავდა და სტატისტსაც. მართალია, ახალგაზრდა იყო, მაგრამ ეტყობოდა, მრავალი ხელობა გამოეცვალა. შეატყობდით, ათას და ათი ათას მადლონეტზე,, მეტად გახრწნილი რომ გახლდათ: შეეძლო მშობლები გაექურდა და გამასწორებელი პოლიციის საბრალდებო სკამზე დამჯდარიყო. აზია შემზარავ შიშს ბადებდა, მაგრამ ერთ წამში შეიცნობდით მას, ლოკუსტასპირდაპირი შთამომავალი იყო, ხოლო ევროპა შეშფოთებას იწვევდა, რომელიც მით უფრო იზრდებოდა, რაც მეტ სამსახურს გიწევდათ. მის გახრწნილებას, უეჭველია, საზღვარი არა ჰქონდა; რა არ განეცადა, ხალხში რომ იტყვიან, მის თავზე უთუოდ წისქვილის ქვაც კი დატრიალებულიყო.

ქალბატონი შეიძლება ვალენსიენიდან იყოს, გულგრილად თქვა ევროპამ, მე იქიდან გახლავართ, მერე ლუსიენს მიუბრუნდა და საქმიანად ჰკითხა, იქნებ ინებოთ და გვიბრძანოთ, რას უწოდებთ ქალბატონს?

ქალბატონ ვან ბოგსეკს, უცბად შეუბრუნა გვარი ესპანელმა ესთერს, ქალბატონი ჰოლანდიელი ებრაელია, დიდვაჭრის ქვრივი, ღვიძლითაა დაავადებული და ეს სენი

იავიდან ჩამოჰყვა. ნუ იტყვით, დიდი ქონების პატრონიაო, ცნობისმოყვარეობას ნუ გააღვივებთ.

რაღაც ექვსი ათასი აქვს რენტა, მოდი და იცხოვრე. წუწუნს მოვყვებით მისი კრიჟანგობის გამო, დასძინა ევროპამ.

ძალიან კარგი, მოწონების ნიშნად თავი დაუქნია ესპანელმა, მაგრამ თვალი მოჰკრა, აზიამ და ევროპამ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედესო და შემზარავი ხმით დაიღრიალა, წყეულო კუდიანებო! ხომ გახსოვთ, რაც გითხარით? თქვენ ემსახურებით დედოფალს, თვალისჩინივით გაუფრთხილდით. მასაც ისევე უერთგულებთ, როგორც ჩემთვის ხართ თავგანწირულნი. არც მეკარემ, არც მეზობლებმა, არც მდგმურებმა, ერთი სიტყვით, ქვეყნად არც ერთმა სულიერმა არ უნდა შეიტყოს, რა ხდება აქ. სწორედ თქვენ გმართებთ, გააცამტვეროთ ყოველგვარი ცნობისმოყვარეობა, თუკი იგი აღეძვრება ვინმეს. ხოლო ქალბატონმა, განაგრძო მან და თავისი ბანჯგვლიანი თათი ესთერის მკლავზე დაუშვა, სულ ერთი ბეწო წინდაუხედაობაც არ უნდა ჩაიდინოს. თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ხელი უნდა შეუშალოთ, მაგრამ... ყოველთვის თავაზიანად. ევროპა, თქვენ დაუკავშირდებით გარე სამყაროს და იზრუნებთ ქალბატონის მორთვამოკაზმვაზე, ოღონდ ყაირათიანად. ამასთან, არ დაგავიწყდეთ, არც ერთმა სულიერმა, უბრალო მუშაკაცმაც კი ფეხი არ უნდა შემოდგას ამ ბინაში. თქვენ ორი მოუვლით ყველაფერს. ჩემო პაწია მზეთუნახავო, მიუბრუნდა ესთერს, როდესაც მოისურვებთ საღამოს ეტლით გასეირნებას, ევროპას ეტყვით. მაგას ეცოდინება თქვენი მსახურების ადგილსამყოფელი; ამ ორი მონის მსგავსად, ჩემი შერჩეული მეეტლეც გეყოლებათ.

ესთერსა და ლუსიენს კრიჭა შეჰკვროდათ. უსმენდნენ ესპანელს და თვალს ვერ აცილებდნენ ორ საოცარ არსებას, ესპანელი განკარგულებებს რომ აძლევდა. ნეტავ რა საიდუმლოება იცოდა ისეთი, რომ ესოდენი მორჩილება და ერთგულება გამოხატვოდა სახეზე ამ ორ ქალს, რომელთაგან ერთს გაბოროტებული ჭირვეულობის ბეჭედი ესვა, ხოლო მეორეს უსაზღვრო სისასტიკისა. ესპანელი მიხვდა, რაზეც ფიქრობდნენ ესთერი და ლუსიენი, რომლებიც ისევე გაშტერებულიყვნენ, როგორც პოლი და ვირჟინიორი შემაძრწუნებელი გველის დანახვაზე, და ჩურჩულით, ალერსიანად უთხრა:

ენდეთ ამ ქალებს, როგორც მე მენდობით; ნურაფერს დაუმალავთ, ამით მაგათ გულს მოიგებთ. აბა, ჩემო ცუგრუმელა აზია, შენებურად გაგვიმასპინძლდი, მიმართა მზარეულს, ხოლო შენ კი, ჩემო ფისუნია, მეც მიმიჩინე ადგილი სუფრაზე, უთხრა ევროპას, სხვა თუ არაფერი, შვილებმა საუზმეზე მაინც ხომ უნდა მიიპატიჟონ მამიკო.

როდესაც ორმა ქალმა კარი გაიხურა და ესპანელს შემოესმა, როგორ ფუსფუსებდა ევროპა, ლუსიენსა და ყმაწვილქალს მიუბრუნდა, ვეება მუშტი დაანახვა და უთხრა: ასე მყავს ეგენი ხელში.
ამ ჟესტსა და სიტყვას არ შეეძლო, არ შეეკრთო ადამიანი.

ნეტავ სად გამოძებნე? შეჰყვირა ლუსიენმა.

დასწყევლოს ეშმაკმა! უპასუხა ესპანელმა, რა თქმა უნდა, მეფის ტახტქვეშ არ მიპოვია! ევროპა წუმპიდან ამოძვრა და იქ დაბრუნების ეშინია... დაემუქრეთ მათ ბატონი აბატის,, სახელით, თუ ვინიცობაა, არ დაგემორჩილონ და დაინახავთ, ისე აკანკალდებიან, როგორც თაგვები კატის გამოჩენაზე. მე ხომ მძვინვარე მხეცთა მომთვინიერებელი გახლავართ, დასძინა მან ღიმილით.

მე კი უფრო დემონი მგონიხართ! ნარნარად შესძახა ესთერმა და ლუსიენს ჩაეხუტა.

ჩემო ბავშვო, მე შევეცადე უზენაესისთვის შემეწირა თქვენი თავი, მაგრამ ცოდვებისგან განწმენდილი მრუში ქალი იდუმალებით მოცული რჩება ეკლესიისთვის; თუნდაც ერთი კახპა მოიქცეს ჭეშმარიტად და გულწრფელად განაგდოს ეშმაკი, სამოთხეში მაინც დაიწყებს კურტიზანობას... თქვენ მოგებული ხართ, საზოგადოებას დაავიწყებინეთ თქვენი თავი და პატიოსან ქალს დაემსგავსეთ; შეისწავლეთ ის, რასაც ვერასოდეს გაიგებდით იმ გათახსირებულ წრეში, სადაც ტრიალებდით. თქვენ ჩემი არაფერი გმართებთ, დასძინა მან, როცა ესთერის სახეზე მადლიერების უნაზესი და წარმტაცი გრძნობა შენიშნა, ყველაფერი მისთვის გავაკეთე, და ლუსიენზე მიუთითა, თქვენ კახპა იყავით, კახპადვე დარჩებით და კახპადაც მოკვდებით, რადგან პირუტყვის მწვრთნელთა მაცდუნებელი თეორიებისდა მიუხედავად, ამქვეყნად სრული გარდასახვა არავის უწერია. ქირომანტიის მიმდევარნი მართალნი არიან თქვენ სიყვარულის ბორცვი გაქვთ განვითარებული.

როგორც ვხედავთ, ნაპოლეონის, მაჰმადისა და მრავალ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა მსგავსად, ესპანელი ფატალისტი იყო. უცნაურია, თითქმის ყველა ენერგიულ კაცს ფატალიზმისკენ აქვს მიდრეკილება ისევე, როგორც მოაზროვნეთა უმრავლესობას სწამს განგებისა.

მე არ ვიცი, ვინ ვარ ან რა ვარ, მიუგო ესთერმა ანგელოზური თვინიერებით, მაგრამ მიყვარს ლუსიენი, ვაღმერთებ და მოვკვდები მისთვის.

წამო, ვისაუზმოთ, უხეშად შეაწყვეტინა ესპანელმა, ილოცეთ, რომ ლუსიენი უცბად არ დაქორწინდეს, თორემ მაშინ თვალსაც ვეღარ მოჰკრავთ.

მისი ქორწინება ჩემი სიკვდილი იქნება, თქვა ქალმა.

მერე წინ გაუშვა ცრუ მოძღვარი. მის ზურგს უკან ფეხის წვერებზე შედგა, ლუსიენს ყურთან მიუტანა ტუჩები და ჩასჩურჩულა:

ნუთუ შენ ინებე მონამორჩილად გავუხდე კაცს, რომელმაც ორი აფთარი დამიყენა დარაჯად? ლუსიენმა თავი ჩაქინდრა. საბრალო გოგონამ სევდა გულში ჩაიკლა. ვითომც არაფერიო, თავი მოიმხიარულა. ხმა კი ვერ ამოიღო, საშინლად იყო დათრგუნვილი.

თუმცა ნიადაგ მზრუნველობით დასტრიალებდნენ თავს, ერთი წლის შემდეგ ძლივს შეეჩვია ესთერი ორ შემზარავ ქმნილებას, კარლოს ერერა ორ მცველ ქოფაკს,, რომ უწოდებდა.

პარიზში დაბრუნების შემდეგ ლუსიენი ისე ფრთხილად და წინდახედულად იქცეოდა, რომ არ შეეძლო, შური არ აღეძრა თავისი ძველი მეგობრებისთვის და აკი აღუძრა კიდეც. მაღალ საზოგადოებაში მიღწეული წარმატებით, უზადო ყოფაქცევით, ლუსიენი მეგობრებზე შურს იძიებდა და თავი ისე ეჭირა, მასთან დაახლოებას ვერავინ ახერხებდა. ოდესღაც გულღია და მიმნდობი პოეტი გულცივი და უკარება გახდა. თვით დე მარსეც კი, ეს პარიზელი ახალგაზრდობის მისაბაძი ნიმუშიც, ვერ იყო ისე მკაცრი და ძუნწი საუბარსა და ქცევაში, როგორც ლუსიენი, რომელმაც თავისი დიდი ჭკუაგონება ადრევე გამოამჟღავნა ჟურნალისტიკის სარბიელზე. რაკი ამ ორ ადამიანს ერთმანეთს ადარებდნენ და საზოგადოების უმრავლესობა ლუსიენს ანიჭებდა უპირატესობას, დე მარსე ისე დაწვრილმანდა, რომ ბოღმით აევსო გული. ლუსიენს მფარველობდნენ ძლიერნი ამა სოფლისა, რომელნიც ფარულად მართავდნენ სახელმწიფოს საჭეს. პოეტი იმდენად გულგრილი გახდა ლიტერატურულ ასპარეზზე სახელის მოხვეჭისადმი, რომ სრულიად არაფრად მიიჩნია თავისი რომანის წარმატება, რომელიც დაისტამბა სათაურით შარლ IX-ის მეისრე,, და აინუნშიაც არ ჩაუგდია სონეტების კრებულ ზიზილების,, გამო ატეხილი მითქმამოთქმა. კრებული დორიამ გამოსცა და მთელი გამოცემა ერთ კვირაში გაიყიდა. სიკვდილის შემდგომი წარმატება გახლავთო, სიცილით უთხრა პოეტმა მადმუაზელ დე ტუშს, როცა ამ უკანასკნელმა მიულოცა. შემზარავი ესპანელი საკუთარი ხელით შექმნილ არსებას რკინის მარწუხებით აყენებდა იმ გზაზე, რომლის დასასრულს მოთმინებით სავსე პოლიტიკურ მოღვაწეს ბუკითა და ნაღარით ეგებება წარმატება. ლუსიენმა მარტოხელა კაცისთვის განკუთვნილი ბოდენორის ბინა დაიქირავა მალაკეს სანაპიროზე, რათა ტეტბუს ქუჩასთან ახლოს ყოფილიყო. მისი მრჩეველიც იმავე სახლში დაბინავდა, სამ ოთახში, მეხუთე სართულზე, ლუსიენს მხოლოდ ერთი ცხენი ჰყავდა სასეირნოდ, ერთიც კაბრიოლეტში შესაბმელად, ერთი ლაქია და ერთი მეჯინიბე. თუკი სხვაგან არ იყო დაპატიჟებული, ესთერთან სადილობდა. კარლოს ერერა ისე ფხიზლად ადევნებდა თვალს მალაკეს ქუჩაზე დაბინავებულ მსახურებს, რომ ლუსიენი წელიწადში ათი ათასი ფრანკით იოლად გადიოდა. ათი ათასზე მეტს არც ესთერი ხარჯავდა ევროპასა და აზიას მარადიული და გაუგონარი ერთგულების წყალობით. ლუსიენი სულ იმის ცდაში იყო, არავის შეემჩნია მისი მისვლამოსვლა ტეტბუს ქუჩაზე. ამ თბილი კერის არსებობა საზოგადოებისთვის

დაფარული რჩებოდა, არ ვნებდა ლუსიენის არც ერთ საქმიან წამოწყებას და მაღალი წრის ხალხთან ურთიერთობას. არასოდეს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ამ საჩოთირო საკითხზე. პარიზში პირველად რომ ჩამოვიდა, კორალის სიყვარული საქვეყნოდ გახადა და კისერიც მოიტეხა. გამოცდილებამ ჭკუა ასწავლა. ახლა მისი ყოველდღიური არსებობა ნიმუში გახლდათ იმ მოწესრიგებული, საათივით აწყობილი, კარგი ტონის გამომხატველი ცხოვრებისა, რომლის მიღმა ადვილად იმალება მრავალნაირი საიდუმლო. ღამის პირველ საათამდე მაღალ წრეში ტრიალებდა, დილის ათი საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე ყველას შინ უხვდებოდა. მერე ბულონის ტყეში სეირნობდა და ხუთ საათამდე ვიზიტებზე დადიოდა. ფეხით იშვიათად გავიდოდა ქუჩაში და ამგვარად ძველი ნაცნობების შეხვედრის საფრთხე არ მოელოდა. თუკი რომელიმე ჟურნალისტი ან ძველი ამხანაგი მიესალმებოდა, ისე ზრდილობიანი თავის დაკვრით უპასუხებდა, რომ გული არავის მოუვიდოდა, მაგრამ მის თავის დაკვრაში გამოსჭვიოდა უმკაცრესი ქედმაღლობა, რაც ფრანგულ ფამილარობას გასაქანს არ აძლევდა. ასე და ამგვარად, მალე ჩამოიშორა არასასურველი ნაცნობები. ძველი მტრობა ხელფეხს უბორკავდა და ვერ გაებედა მისულიყო ქალბატონ დჟესპართან, თუმცა ქალმა მრავალგზის მიიპატიჟა. მიუხედავად ამისა, როდესაც მარკიზს ხვდებოდა ჰერცოგინია დე მონფრინიეზთან ან მადმუაზელ დე ტუშთან, გრაფინია დე მონკორნესთან, ანდა სხვაგან, უაღრესი მოწიწებით ეპყრობოდა. სიძულვილში არც ქალბატონი დჟესპარი უდებდა ტოლს ლუსიენს და ყმაწვილკაცს აიძულებდა, ნიადაგ ფრთხილად ყოფილიყო. შემდგომ დავინახავთ, რაც გადახდა თავს ლუსიენს, როცა გაკადნიერდა და ინება, შური ეძია ამ ქალზე, თან კარლოს ერერას დიდი რისხვაც დაიმსახურა. შენ ჯერ არ შეგწევს საკმაო ძალა, ვისზედაც მოგეპრიანება, იმაზე იძიო შური, უთხრა ესპანელმა, როცა პაპანაქება სიცხეში მიჰყვები გზას, თვით უმშვენიერესი ყვავილის მოსაწყვეტადაც კი არ უნდა დაყოვნდე,.... ლუსიენს ისე ბრწყინვალე მომავალი გადაშლოდა წინ, მისი წინსვლა ისე თვალსაჩინო იყო, რომ პარიზში ჭაბუკის მოულოდნელი დაბრუნებითა და გაუგებარი იღბლიანობით შეშფოთებულსა და შეურაცხყოფილ ყმაწვილკაცებს არ შეიძლებოდა დიდი სიხარულით არ ესარგებლათ შემთხვევით და მისთვის რაიმე ოინი არ მოეწყოთ. ლუსიენმა იცოდა, ბევრი მტერი ჰყავდა და ისიც კარგად მოეხსენებოდა, თვით მეგობრებსაც კი გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა. აბატიც ზრუნვას არ აკლებდა და ნიადაგ აფრთხილებდა, ვერაგი საზოგადოების ხაფანგში არ გაება, ახალგაზრდა ხარ, დაუფიქრებლად არ მოიქცე, თორემ დაღუპვა არ აგცდებაო. ლუსიენს ევალებოდა, აბატისთვის ყოველი წვრილმანი მოეხსენებინა, ეამბა, რაც თავს გადახდებოდა მთელი დღის განმავლობაში და ისიც არაფერს უმალავდა მოძღვარს. თავისი მენტორის რჩევადარიგების წყალობით ფარხმალს აყრევინებდა ყველაზე გაქნილ ცნობისმოყვარეობას მაღალი წრის ცნობისმოყვარეობას. ინგლისური სერიოზულობით შენიღბული, დიპლომატიური სიფრთხილით ნაგებ ციხესიმაგრეში ჩაკეტილი ლუსიენი არავის აძლევდა უფლებასა და საშუალებას, გასცნობოდა მის საქმიანობას. ბოლოს და ბოლოს, მიეჩვია საზოგადოებაში ყოფნისას ქორფა და მშვენიერ სახეზე ყოველთვის გულგრილი გამომეტყველება ჰქონოდა, ისევე, როგორც პრინცესებს აქვთ სამეფო ცერემონიებზე. 1829 წლის შუა თვეებში ხმა დაირხა, ლუსიენი ჰერცოგინია დე გრანლიეს უფროს ასულზე იწერსო ჯვარს. ჰერცოგინია დე გრანლიეს კი იმ

ხანებში, სულ ცოტა, ოთხი ქალიშვილი ჰყავდა გასათხოვარი. ეჭვი არავის ეპარებოდა, ამ ქორწინების შედეგად ლუსიენს მეფე მოწყალების თვალით გადახედავდა და მარკიზის ტიტულს დაუბრუნებდა. ამით გადაწყდებოდა ჭაბუკის პოლიტიკური კარიერის ბედი; ალბათ, გერმანიის ერთერთ კარზე ელჩად გაგზავნიდნენ. განსაკუთრებით ბოლო სამი წლის განმავლობაში ლუსიენის ცხოვრება უებრო კეთილგონიერებით გამოირჩეოდა. სწორედ ამიტომაც ასე უცნაურად განაცხადა დე მარსემ ამ ბიჭს ვიღაც მეტად გავლენიანი კაცი უმაგრებს ზურგსო. როგორც ვხედავთ, ლუსიენი მნიშვნელოვან პიროვნებად გადაიქცა. ესთერის სიყვარული ხელს უწყობდა, ეთამაშა სერიოზული კაცის როლი, რაც პატივმოყვარე კაცს მრავალი სისულელისგან იცავს. არც ერთ ქალს არ ელტვოდა და მისი ზნეობაც თავისუფლდებოდა ფიზიკური იმპულსების გავლენისაგან. თან ისეთი ბედნიერებით ტკბებოდა, რაზედაც ოცნებობენ სხვენში შეყუჟული ჯიბეგახვრეტილი და გუდამშიერი პოეტები. ესთერი, შეყვარებული კურტიზანის იდეალი, ლუსიენს თუმცა აგონებდა კორალის, მსახიობ ქალს, რომელთანაც ერთი წლის განმავლობაში ცოლქმრულად ცხოვრობდა, მაინც ჩრდილავდა მის ხსოვნას. ყოველი შეყვარებული, ერთგული ქალი განმარტოებასა და იდუმალებით მოცულ არსებობაზე ოცნებობს, ზღვის ფსკერზე ნიჟარაში ჩამწყვდეული მარგალიტის ბედს შენატრის, მაგრამ უმრავლესობისთვის ეს მხოლოდ მომხიბლავი ახირებაა, სიტყვის მასალა, სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთი და ფუჭი ოცნება, რასაც ხორცშესხმა არასოდეს უწერია. ესთერი კი სიყვარულით ისე ტკბებოდა, თითქოს ლუსიენს გუშინ გამიჯნურებოდა. ყოველ წამს, სატრფოს თვალებს რომ მიაპყრობდა მზერას, ცეცხლი ისევე ეკიდებოდა, როგორც მისი გაცნობის პირველ დღეს. ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ აღძვრია ინტერესი გარე სამყაროსადმი, სულ იმის ცდაში იყო, არ გადასცილებოდა ესპანელის ხელით შემოხაზულ საბედისწერო პროგრამის საზღვრებს. უფრო მეტიც! თვით ყველაზე დამათრობელი სიტკბოების წუთშიც ბოროტად არ იყენებდა იმ უსაზღვრო ძალაუფლებას, რასაც ანიჭებს საყვარელ ქალს სატრფოს დაუშრეტელი ლტოლვა მისკენ: ლუსიენისთვის არასოდეს უკითხავს, ვინ იყო ერერა. ეს კაცი, სხვა თუ არაფერი, ისევ და ისევ ხომ შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა. ესპანელზე ფიქრსაც კი ვერ ბედავდა. ანგარებიანი სიკეთე გამოუცნობი ადამიანისა, რომლისგანაც ესთერი უდავოდ დავალებული იყო პანსიონის მოსწავლე გოგონას მოხდენილობითაც, კარგად აღზრდილი მანდილოსნის მანერებითაც და თავისი სულიერი განახლებითაც, საბრალო ქალს ჯოჯოხეთისგან მიღებულ გირაოდ ეჩვენებოდა. ერთ დღეს ყოველივე ამის ანაზღაურება მომიწევსო, შეშინებული ამბობდა გულში.

როცა კარგი დარი იდგა, ღამღამობით ესთერი დაქირავებული კარეტით გადიოდა შინიდან. კარეტა, ალბათ, ისევ აბატის ბრძანებით, სწრაფად მიქროდა ერთერთი თვალწარმტაცი ტყისკენ, რომელიც გარს არტყია პარიზს; მიდიოდნენ ხან ბულონის, ხან ვენსენის ტყეში, რომენვილში ანდა ვილ დჟავრეში. ესთერს ხშირად ლუსიენიც მიჰყვებოდა, ხანდახან კი ევროპა ახლდა. ესთერი აქ თავისუფლად, უშიშრად სეირნობდა, რადგან თუ ლუსიენი მასთან არ იყო, კოპწიად მორთულმოკაზმული ერთი ახმახი ჰაიდუკი მიაცილებდა, რომლის ათლეტური, დაკუნთული სხეულიც მის შემზარავ ძალღონეზე მეტყველებდა. იგი

ყოველთვის დანას ატარებდა, ხელში კი ინგლისურ ყაიდაზე ხელჯოხი ეჭირა, ისეთი, საბრძოლო ხელკეტს რომ უწოდებენ. ამგვარ ჯოხს შესანიშნავად იცნობენ კეტის დარტყმის ოსტატები: მისი შემწეობით ერთ ადამიანს მრავალი მოწინააღმდეგის მოგერიება შეუძლია. აბატის ბრძანების თანახმად, ესთერს არასოდეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჰაიდუკისთვის. ქალბატონი შინ დაბრუნებას მოისურვებდა თუ არა, ევროპა უხმობდა ჰაიდუკს; ისიც სტვენით შეატყობინებდა მეეტლეს, რომელიც მუდამ კარგა მოშორებით იცდიდა. თუ ლუსიენი მიჰყვებოდა ესთერს, ევროპა და ჰაიდუკი ასი ნაბიჯით უკან მოსდევდნენ, ათას ერთი ღამის,, იმ ჯოჯოხეთური პაჟების მსგავსად, გრძნეული რომ გადაულოცავს იმათ, ვისაც მოწყალების თვალით შეხედავს. პარიზელი მამაკაცებისთვის, განსაკუთრებით კი პარიზელი ქალებისთვის, უცხოა მშვენიერ ღამეს ტყეში სეირნობის ხიბლი. სიჩუმე, მთვარის შუქის ციაგი, განმარტოება აბაზანასავით დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანზე. ჩვეულებრივ, ესთერი ათ საათზე მიემგზავრებოდა, თორმეტიდან პირველ საათამდე სეირნობდა და შინ სამის ნახევარზე ბრუნდებოდა. მისთვის დღე მხოლოდ თერთმეტ საათზე იწყებოდა. მიიღებდა აბაზანას, მერე საგულდაგულოდ მოიკაზმებოდა, რაც პარიზელ ქალთა უმრავლესობისთვის უცხო ხილია, რადგან დიდ დროს მოითხოვს და ხელმისაწვდომია მარტოოდენ კურტიზანებისთვის, ლორეტებისთვისანდა დიდი ქალბატონებისთვის, ვისაც მთელი დღე არაფერი საქმე არა აქვთ. ესთერი ჩაცმას ამთავრებდა მხოლოდ მაშინ, როცა ლუსიენი მოვიდოდა და საყვარელს ახალგაშლილი კოკორივით ხვდებოდა. თავისი პოეტის ბედნიერების გარდა, სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონდა. ნივთი იყო ლუსიენისა და ყმაწვილს შეეძლო, როგორც მოეპრიანებოდა, ისე მოჰპყრობოდა. მისი თვალი არასოდეს სცილდებოდა იმ გარემოს, სადაც თვითონ ვარსკვლავივით ციმციმებდა. აბატმა ასე უბრძანა ესთერს, ვინაიდან ამ წინდახედული პოლიტიკოსის გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ლუსიენს წარმატება არ მოჰკლებოდა მაღალი წრის ქალბატონებთან. ბედნიერებას ისტორია არ გააჩნია და ყველა ქვეყნის მეზღაპრეები ამ ჭეშმარიტებას იმდენად ღრმად ჩასწვდომიან, რომ ყოველ სასიყვარულო თავგადასავალს ასრულებენ ფრაზით: ისინი ბედნიერები იყვნენ!,, ახლა კი სხვა გზა არაა, უნდა ავხსნათ, რამ წარმოშვა შუაგულ პარიზში ეს მართლაც ფანტასტიკური ბედნიერება, უბადლო სიყვარულის ჰარმონიული პოემა, რომელიც ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. ყველა ქალი იტყვის: ეს დიდი დრო,,, არც ესთერს და არც ლუსიენს არ უთქვამთ: მეტად დიდი ხანი!,, დასასრულ ფორმულა: ისინი ბედნიერები იყვნენ,, უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთებოდა მათ გრძნობაში, ვიდრე ფერიათა ზღაპრებში, რამეთუ: შვილები არ ჰყავდათ,,. ამგვარად, ლუსიენს შეეძლო საზოგადოებაში ეკეკლუცა, დაეკმაყოფილებინა თავისი პოეტური ახირებები და პირდაპირ რომ ვთქვათ, მდგომარეობით დაკისრებული მოვალეობა შეესრულებინა. სანამ ნელნელა მიიწევდა წინ წარმატების გზაზე, საიდუმლოდ ეხმარებოდა ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, მათთან თანამშრომლობდა და ამის შესახებ არავისთან კრინტსაც არ ძრავდა. ყოველმხრივ ცდილობდა, დაახლოებოდა იმ წრეს, გარს რომ ეხვია ქალბატონ დე სერიზის, ვისზედაც პარიზის სალონებში ამბობდნენ, დიდად თანაუგრძნობს ლუსიენსო. ქალბატონმა დე სერიზიმ ლუსიენი მოსტაცა ჰერცოგინია დე მონფრინიეზს, რომელსაც ვითომ აღარ ეპიტნავებოდა ეს ყმაწვილკაცი. ამგვარი ხმების გავრცელებას ცდილობენ ქალები, რათა შური იძიონ სხვის ბედნიერებაზე. უნდა ითქვას,

რომ ლუსიენი სამეფო კართან დაახლოებულ სასულიერო პირთა წრეში ტრიალებდა და პარიზის არქიეპისკოპოსის მეგობარ ქალებთან მეგობრობდა. ამიტომაც დე მარსეს დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვა სრული ჭეშმარიტება გახლდათ. იმ ხანებში დე მარსე დაქორწინდა და ცოლს აიძულებდა, სწორედ ისე ეცხოვრა, როგორც ესთერი ცხოვრობდა. ლუსიენის გარეგნული კეთილდღეობის ქვეშ ფრიად საშიში მეჩეჩები იფარებოდა და მათ ამ თავგადასავლის მსვლელობაში მოეფინებათ შუქი. ჯერჯერობით კი, როგორც მოგახსენეთ, მოვლენები ასე ვითარდებოდა.

და აი, აგვისტოს ერთ მშვენიერ ღამეს, ბარონი დე ნიუსინჟენი პარიზს ბრუნდებოდა საფრანგეთში დასახლებული ერთი უცხოელი ბანკირის მამულიდან, სადაც სადილზე ბრძანდებოდა დაპატიჟებული. ეს მამული ბრის შუაგულში მდებარეობს და პარიზიდან რვა ლიეთია დაშორებული. ბარონის მეეტლეს დაეტრაბახა, ჩვენი ცხენებით წავიყვან და იმავე ცხენებით დავაბრუნებ ბატონსო, მაგრამ გზაში შემოაღამდა და რაკი მეტის თავი აღარ ჰქონდა, ნელნელა მიჰყავდა კარეტა. მოგახსენებთ, ვენსენის ტყეში შესვლისას რა დღეში იყვნენ ცხენები, მსახურები და ბატონი. ბირჟის სახელგანთქმული მონარქის მსახურთა საბრძანებელში მეეტლეს გულუხვად გაუმასპინძლდნენ და ლაზათიანად გამობრუჟული ეტლის კოფოზე თვლემდა, სადავეებს ხელიდან არ უშვებდა და გამვლელებს თავს ისე აჩვენებდა, ვითომც მართლაც უძღვებოდა ეკიპაჟს. კარეტის საზურგეზე ჩამომჯდარი ლაქია გერმანული ბზრიალასავით ხროტინებდა; გერმანულიო, ვამბობთ, რადგან ამ ქვეყანაში ემარჯვებათ ხის მოჩუქურთმებული პატარა ფიგურების, მაგარი რაინული ღვინისა და ბზრიალების დამზადება. ბარონმა ფიქრებს მისცა თავი, მაგრამ გურნეს ხიდთან, კუჭმა საჭმლის მონელება რომ დაიწყო, ნეტარი ძილი მოერია და თვალი მილულა. მოშვებულმა სადავეებმა ცხენები მიახვედრა, რაც დამართოდა მეეტლეს. მათ სმენას არც საზურგეზე გუშაგად დაყენებული მსახურის განუწყვეტელი ბანი გამოჰპარვია, თავი ბატონპატრონად მიიჩნიეს, თხუთმეტიოდე წუთის თავისუფლებით ისარგებლეს და საითაც მოეპრიანებოდათ, იქით გასწიეს. ვითარცა გონიერ მონებს შეეფერებოდა, ქურდებს შემთხვევა შეუქმნეს, გაეძარცვათ საფრანგეთის ერთერთი უმდიდრესი კაპიტალისტი, ყველაზე გაიძვერა და გაქნილი იმათ შორის, ვისაც კვიმატად შეარქვეს მტაცებელი,,. აქაოდა, ჩვენ ვართ, ვინც ვართო, შინაური პირუტყვისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ცხენები ერთ ახოსთან შეჩერდნენ, სხვა ცხენების პირისპირ და მათ, ალბათ, ცხენურ ენაზე შეეკითხნენ: ვის ეკუთვნით? აქ რას აკეთებთ? ბედნიერები ხართ თუ არა?,, კარეტა რომ აღარ დაიძრა, ბარონს გაეღვიძა. ჯერ ეგონა, ჩანს, არ გამოვსულვართ ჩემი თანამოძმის პარკიდანო, მერე კი განცვიფრებამ შეიპყრო, რადგან თვალი მოჰკრა ზეციურ მოჩვენებას და ისე შეხედა, რომ თავისი სანიადაგო იარაღით ანგარიშით არ აღჭურვილა. თვალწარმტაცი მთვარე გარემოს დაჰნათოდა, ყოველივე გარკვევით ჩანდა, თუ გინდოდა, გაზეთსაც წაიკითხავდი. ირგვლივ სიჩუმე იყო გამეფებული, ტყე დუმდა და მთვარის უმანკო შუქზე ბარონმა ქალი დაინახა. მას არავინ ახლდა. უცნობი დაქირავებულ ეტლში ჯდებოდა და უცბად მისი მზერა შეჩერდა უცნაურ სანახაობაზე, ძილბურანში გახვეულ კარეტაზე. ამ ანგელოზის გამოჩენამ ბარონ დე ნიუსინჟენს გული აუთრთოლა და შინაგანი

შუქით გაუცისკროვნა. ახალგაზრდა ქალს კი მისმა აღტაცებულმა გამოხედვამ შიში მოჰგვარა და სასწრაფოდ ჩამოაფარებინა პირბადე. ჰაიდუკმა ხრინწიანი ხმით რაღაც შესძახა. ამ შეძახილის მნიშვნელობა კარგად გაიგო მეეტლემ, ეტლი შურდულივით გაექანა წინ. ბებერი ბანკირი შემზარავმა გრძნობამ შეიპყრო: სისხლი ცეცხლივით დაიძრა ფეხებიდან და თავში აუვარდა, ცეცხლის ალი თავმა გულს გადაუგზავნა; სუნთქვა შეეკრა. უბედურმა კაცმა გაიფიქრა, ვაითუ, საჭმელი ვერ მოვინელეო, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა, მაინც უცბად წამოხტა და შესძახა:
მიდი, გააჩენე! ეშმაქის ქერზებო! აზ ფრანქზ ვიზლევი, თუ ამ ქარეტას დაიჩერთ!

ასი ფრანკიო! მეეტლეს მაშინვე გამოეღვიძა, ხოლო კარეტის საზურგეზე ჩამოსკუპებულ ლაქიას, ალბათ, ძილში ჩაესმა ეს სიტყვები. ბარონმა ბრძანება გაიმეორა, მეეტლემ ჭენებჭენებით წაიყვანა კარეტა და როგორც იქნა, ტრიონის გალავანთან დაეწია ერთ ეტლს. თითქოს იმ კარეტას ჩამოჰგავდა, რომელშიაც ბარონმა დაინახა ღვთაებრივი უცნობი. მაგრამ ამ ეტლში მდიდრული მაღაზიის ვიღაც ნოქარი გადახლართულიყო ვივიენისქუჩელი წესიერი,, ქალის გვერდით. ამ მარცხმა გული მოუკლა ბარონს.

შორში (ჟორჟი) რომ გამეგზავნა შენზ ადგილაზ, ზქელო ფირუტქვო, იპოვიდა იმ ქალზ, უთხრა მსახურს მაშინ, როდესაც საბაჟოს მოხელეები მის კარეტას ათვალიერებდნენ.
ეჰ, ბატონო ბარონო, ეტლის საზურგეზე ჰაიდუკის სახით, მგონი, თვით ეშმაკი იჯდა და სწორედ მან შეგვიცვალა კარეტა.

ეშმაქი არ არზებობზ! უთხრა ბარონმა.

როგორც თვითონ ამბობდა, ბარონი დე ნიუსინჟენი იმ ხანებში სამოცი წლისა იყო და ქალების მიმართ სრულიად გულგრილად გახლდათ განწყობილი. თავის ცოლს ხომ სულ არაფრად აგდებდა. ტრაბახობდა კიდეც, არასოდეს განმიცდია სიყვარული, რაც ადამიანს ათასნაირ სიგიჟეს ჩაადენინებს ხოლმეო. ბედნიერად რაცხდა თავს, აქაოდა, ქალებთან საქმე მოვითავეო და უბოდიშოდ ამბობდა, თვით ყველაზე ანგელოზისდარი არსებაც კი არ ღირს იმად, რაც გვიჯდება, მაშინაც კი, როცა მუქთად გვეძლევაო. ამნაირი ამბები რომ მოყირჭებია, ბარონი დე ნიუსინჟენი ისეთ კაცად ითვლებოდა და თვეში ათას ან ორი ათას ფრანკზე მეტს არ იმეტებდა იმ სიამოვნებისთვის, რასაც საკუთარი თავის მოტყუება ანიჭებს მამაკაცს. ოპერაში თავისი ლოჟიდან გულცივად და არხეინად შეჰყურებდა კორდებალეტს. ამ კაპიტალისტისკენ ერთხელაც არავის გაეპარებოდა თვალი მობერებული ყმაწვილქალებისა და გაყმაწვილებული დედაბრების ჯოგიდან, პარიზული სიამტკბილობის ელიტას რომ წარმოადგენდა. ბარონს განუცდია და უყიდია ცხოველური, თვალთმაქცური თუ ეგოისტური სიყვარული, წესიერი თუ პატივმოყვარე ქალის ტრფიალიც, ავხორცული თუ ცოლქმრული ვნებაცა და ყოვლად ახირებული მიჯნურობაც, მაგრამ არასოდეს გადაჰყრია

ჭეშმარიტ სიყვარულს. ახლა კი სწორედ ამგვარი გრძნობა დააცხრა თავს, როგორც არწივი თავის მსხვერპლს.

სწორედ ასეთივე სიყვარულმა გადარია გენცი, მისი უდიდებულესობა პრინც მეტერნიხის ნაცვალი. ვინ არ იცის, რა სისულელეები ჩაიდინა ამ ბებრუხანა დიპლომატმა ფანი ელსლერის გულისთვის, რომლის რეპეტიციები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ევროპის პოლიტიკური საკითხები. ქალი, რომელმაც მონუსხა ეს ფულის ტომარა, სახელად ნიუსინჟენი, გამოეცხადა მას ვით სწორუპოვარი სახეობა თავისი ჯიშისა. ნიუსინჟენი არ იყო დარწმუნებული, რომ ტიციანის საყვარელი, ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა, რაფაელის ფორნარინა შეიძლებოდა უფრო თვალწარმტაცნი ყოფილიყვნენ, ვიდრე ღვთაებრივი ესთერი, რომელსაც თვით ყველაზე დაკვირვებული პარიზელის გავარჯიშებული თვალიც კი ვერ შეამჩნევდა კურტიზანობის ნიშანწყალს. ტყუილად როდი აებნა თავგზა ბარონს. სწორედ კეთილშობილი და დიდებული გარეგნობით დაატყვევა ესთერმა ნიუსინჟენი; მთლად დაიმონა ფუფუნებაში ჩაფლულმა, დახვეწილი გემოვნებით მორთულმოკაზმულმა ქალმა, რომლის გრძნობით ანთებული გული მისდამი სიყვარულით განმსჭვალულ მამაკაცს ეკუთვნოდა. ბედნიერი მიჯნურობა წმიდათაწმიდა ზიარებაა ქალისთვის, ამ დროს იგი დედოფალივით ამაყი ხდება. ერთი კვირის განმავლობაში, ყოველღამე, ბარონი ვენსენის ტყეში დაეხეტებოდა, მერე, რიგრიგობით, ბულონის, ვილ დჟავრეს, მედონის ტყეებში შეიარა, დასასრულ, პარიზის შემოგარენიც არ დატოვა უყურადღებოდ, მაგრამ ესთერის გზაკვალს ვერსად მიაგნო. ღვთაებრივი სახე ებრაელი ქალისა, როგორც თავად ამბობდა, პიპლიური საზე,,, თვალიდან არ სცილდებოდა. ორი კვირის შემდეგ მადა დაეკარგა. დელფინ დე ნიუსინჟენმა და მისმა ასულმა ოგუსტამ, რომელიც დედას უკვე გაჰყავდა საზოგადოებაში, პირველად ბარონის ამგვარი შეცვლა ვერ შენიშნეს. დედაშვილი მას დილით თუ შეხვდებოდა საუზმეზე, ანდა საღამოს სადილზე, ისიც მაშინ, როცა ოჯახი ერთად იყრიდა თავს; ეს კი იმ დღეს ხდებოდა, როცა დელფინს სტუმრები ჰყავდა. ორმა თვემ განვლო, ბარონს მოუთმენლობის ციებცხელება შეეყარა, მოსვენება დაეკარგა და იმგვარი განწყობა დაეუფლა, თითქოსდა ნოსტალგიით დასნეულდაო. მისი მილიონები რომ ესოდენ უსუსური გამოდგა, უსაზღვროდ გაუკვირდა, ლამის გაგიჟდა, სანთელივით ჩამოდნა, მძიმე ავადმყოფს დაემსგავსა და ცოლს დაქვრივების იმედი ჩაუსახა გულში. ქალი ფარისევლურად იბრალებდა ქმარს, ხოლო შვილს შინიდან გარეთ არ უშვებდა. ბარონს კითხვას კითხვაზე აყრიდა, ის კი სპლინით დაავადებული ინგლისელივით უპასუხებდა, ესე იგი, კრინტს არ ძრავდა. დელფინ დე ნიუსინჟენი კვირაობით დიდ სადილებს მართავდა. მისაღებ დღედ კვირა შეარჩია, რადგან შენიშნა, მაღალი საზოგადოებიდან ამ დღეს თეატრში არავინ მოდიოდა და თითქმის ყველა მოცლილი იყო. კვირაობით პარიზს ვაჭრები და ბურჟუები შემოესევიან ხოლმე და ქალაქი ისევე უთავბოლოდაა აფორიაქებული, როგორც ლონდონია მოსაწყენი. ბარონესამ საკვირაო სადილზე სახელგანთქმული დეპრენი დაპატიჟა და უთხრა, ჩემი ქმარი ავადაა, გთხოვთ, გასინჯოთო, თუმცა ნიუსინჟენს სულაც არ უნდოდა ექიმების ხელში ჩავარდნა და სულ იმას გაიძახოდა, საღსალამათი ვარ და თავი დამანებეთო. კელერი, რასტინიაკი, დე მარსე, დიუ ტიე და ოჯახის ყველა მეგობარი ბარონესას აგრძნობინებდა, შეუძლებელია ნიუსინჟენისთანა კაცმა მოულოდნელად დალიოს სულიო; ზედმიწევნით

ზუსტად უნდა სცოდნოდათ, მისი სიკვდილის შემდეგ როგორ მოქცეულიყვნენ. ზემოჩამოთვლილი მამაკაცების გარდა, სადილზე მოწვეული გახლდნენ: ფრანსუა კელერის სიმამრი გრაფი დე გონდრევილი, შევალიე დჟესპარი, დე ლუპო, დეპლენის უსაყვარლესი შეგირდი დოქტორი ბიანშონი, ბოდენორი მეუღლითურთ, გრაფი და გრაფინია დე მონკორნეები, ბლონდე, მადმუაზელ დე ტუში და კონტი; დაბოლოს, თვით ლუსიენ დე რიუბამპრეც, რომლის მიმართ რასტინიაკი აგერ ხუთი წელია, როგორც ოფიციალურად ამბობენ ხოლმე, ბრძანების თანახმად,,, გამსჭვალული იყო დიდი მეგობრული გრძნობით.

ნურას უკაცრავად, მაგას ეგრე ადვილად ვერ მოვიშორებთ თავიდან, უთხრა ბლონდემ რასტინიაკს, როცა სასტუმრო დარბაზში შემოვიდა ლუსიენი, უფრო მეტად წარმტაცი, ვიდრე ოდესმე ყოფილა და თან საუცხოოდ ჩაცმული.

გირჩევნია, დაუმეგობრდე, მიუგო რასტინიაკმა, საშიში კაცია.

ვინ, ეგ? გაიკვირვა დე მარსემ, საშიშად მიმაჩნია მხოლოდ ის ადამიანი, ვისი მდგომარეობაც სრულიად გარკვეული და ნათელია; მაგის მდგომარეობა კი შეურყეველი არ გახლავთ, უბრალოდ, არავის მოუსურვებია მისი შერყევა! აბა, ერთი მითხარით, რა სახსრებით ცხოვრობს? საიდან შეიძინა ქონება? ეჭვიც არ მეპარება, სულ ცოტა, სამოცი ათასი ფრანკი მაინც ექნება ვალი.

მდიდარი მფარველი უპოვია, ესპანელი მღვდელი, რომელიც სულ მაგის კეთილდღეობაზე ზრუნავს, უთხრა რასტინიაკმა.

ცოლად ირთავს უფროს მადმუაზელ დე გრანლიეს, აუწყათ მადმუაზელ დე ტუშმა.

აგრე გახლავთ, კვერი დაუკრა შევალიე დჟესპარმა, დე გრანლიეებმა ოცდაათი ათასი ფრანკის შემოსავლიანი მამული მოსთხოვეს დანიშნულისთვის განკუთვნილი ქონების გასანაღდებლად. ამას კი ერთი მილიონი დასჭირდება და მილიონი არც ერთი ესპანელის ფეხთან ჩეჩქად არ ყრია.

ძალიან ძვირია, ჩაურთო ბარონესამ, კლოტილდი ხომ უშნოა.

ქალბატონი დე ნიუსინჟენი ისე მეტიჩრულად ახსენებდა მადმუაზელ დე გრანლიეს სახელით, ვითომდაც იგი, გორიოს შვილი, გრანლიეთა ოჯახთან დაახლოებული ყოფილიყოს.

მაგას რას ბრძანებთ, მიმართა დიუ ტიემ, ჰერცოგინიას ასული ჩვენთვის არასოდეს იქნება უშნო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარკიზის ტიტული და ელჩის თანამდებობა მოაქვს.

მაგრამ ამ ქორწინებას ყველაზე მეტად ხელს უშლის ქალბატონ დე სერიზის სიყვარული ლუსიენისადმი. მისთვის გიჟდება და, ალბათ, უამრავ ფულსაც ახარჯავს.
აღარ მიკვირს, რატომაა ლუსიენი აგრერიგად სერიოზული, დასძინა დე მარსემ, ქალბატონი დე სერიზი, რაღა თქმა უნდა, ერთ მილიონს არ მიართმევს მადმუაზელ დე გრანლიეზე ჯვარის დასაწერად. ალბათ, არ იცის, როგორ დაიძვრინოს თავი შექმნილი ვითარებიდან.

დიახ, მაგრამ მადმუაზელ დე გრანლიე აღმერთებს, თქვა გრაფინია დე მონკორნემ, და ამ ქალიშვილის დახმარებით შესაძლებელია პირობები შეუმსუბუქონ.

ნეტავ რას მოუხერხებს თავის ანგულემელ დასა და სიძეს? იკითხა შევალიე დ-ჟესპარმა.

ეგ არაფერი, მიუგო რასტინიაკმა, და მდიდარი გახლავთ და ლუსიენი მას ქალბატონ სეშარ დე მარსაკს უწოდებს.

რა ვუყოთ, თუ იავარდით არა აქვს გზა მოფენილი, ის ხომ მშვენიერი ბიჭია, დასძინა ბიანშონმა და ლუსიენის მისასალმებლად ფეხზე წამოდგა.

გამარჯობა, ძვირფასო მეგობარო, მიმართა რასტინიაკმა და ლუსიენს მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

ლუსიენი დე მარსეს მიესალმა, დე მარსემ ცივად დაუკრა თავი.

სადილობამდე დეპლენი და ბიანშონი ბარონ დე ნიუსინჟენის გართობას ცდილობდნენ. ბოლოს და ბოლოს, გასინჯეს კიდეც და მისი ავადმყოფობა სულიერ განწყობას მიაწერეს, მიზეზს კი ვერავინ მიხვდა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, თუ ბირჟის ამ წინდახედული და გაქნილი საქმოსნის გულს სიყვარული დაეუფლებოდა. როდესაც ბიანშონს ტკბილ გრძნობათა გარდა სხვა აღარაფერი დარჩა სავარაუდო ბანკირის პათოლოგიური მდგომარეობის ასახსნელად, ორიოდე სიტყვა ჩაუკრა დელფინ დე ნიუსინჟენს. მან გაიღიმა, როგორც შეეფერებოდა ქალს, ვისთვისაც უკვე დიდი ხანია ნათელი იყო, ამ მხრივ მის ქმარს რა მოეთხოვებოდა. მიუხედავად ამისა, ნასადილევს, როცა ბაღში მოიყარეს თავი, ოჯახის ახლო მეგობრები ბანკირს გარს შემოეხვივნენ და შეეცადნენ, შუქი მოეფინათ ამ არაჩვეულებრივი შემთხვევისთვის, რაკი ბიანშონმა მათაც გაუმჟღავნა, ნიუსინჟენი შეყვარებული უნდა იყოსო.

ხომ იცით, ბარონო, მიმართა დე მარსემ, ძალიან გახდით. ეჭვობენ, ვითომ არღვევთ ფინანსისტისთვის დადგენილ კანონებს.

არაზოდეზ! შესძახა ბანკირმა.

როგორ არა, განაგრძო დე მარსემ, ისიც კი გაბედეს და თქვეს, შეყვარებული ბრძანდებაო.

ეგ მარტალია, საბრალობლად აღმოხდა ნიუსინჟენს, გული მიქვნეზიზ ერთტი უცნოფი ქალიზატვიზ.

თქვენ შეყვარებული ხართ? თქვენ? როგორ გეკადრებათ ეგეთი ქარაფშუტობა! შესძახა შევალიე დჟესპარმა.

რა ვქნა, ჩემზ ხანში შექვარეფა, ვიცი, ზალიან ზაზაცილოა, მაგრამ რაზ ვიზამ? ზხვა გზა არა მაქვზ!

მაღალი წრის ქალი გიყვართ? ჰკითხა ლუსიენმა.

ეგ რა სათქმელია, განა ბარონი ისე ჩამოდნებოდა, რაიმეს იმედი რომ ჰქონდეს? თქვა დე მარსემ, მას ხომ შეუძლია იყიდოს ყველა ქალი, ვინც თავის გაყიდვას არ ითაკილებს.

იმაზ ზულ არ ვიცნოფ, მიუგო ბარონმა, შემიზლია გაგანდოტ, ქალფატონი დე ნიზინგენი ზალონშია... აქამდე არ ვიზოდი, რა იქო სიქვარული... ვპიქროფ, მაგიტომაც გავხდი.

სად შეხვდით იმ უბიწო ქალწულს?

ექიფაშში, შუაღამიზაზ, ვენზენის ტქეში.

როგორი იყო? იკითხე დე მარსემ.

ტეტრი გაზის შაბო ექეტა, ვარდისპერი ქაბა ეზვა, ტეტრი მოზაზხამი, ტეტრი ფირბადე... ზახე მარტლა პიპლიური! ტვალები ზეზხლი, ზახის ფერი აღმოზავლური.

დაგსიზმრებიათ! ღიმილით უთხრა ლუსიენმა.

მარტალია, მეზინა, ზანდუქივიტ... ბორძიკით თქვა ბარონმა და მაშინვე შეასწორა, ზავზე ზანდუქივით, ზოფლიდან ვბრუნდებოდი, მეგობრებტან ვიქავი ზადილატ...

ქალი მარტო იყო? სიტყვა გააწყვეტინა დიუ ტიემ მტაცებელ საქმოსანს.

დიახ, მწუხარებით აღმოხდა ბარონს, მარტო იქო. ქარეტის უქან ჰაიდუკი ეჯდა. მოახლეც ჰქავდა.

ჩანს, ლუსიენი იცნობს, შეჰყვირა რასტინიაკმა, რაკი ესთერის საყვარელს ღიმილი შენიშნა.

ვინ არ იცნობს ისეთ ქალებს, რომელთაც შეუძლიათ შუაღამისას ნიუსინჟენის შესახვედრად გაეშურონ? სიტყვა აიცდინა ლუსიენმა.

ეგ ქალი, ალბათ, საზოგადოებაში არ ტრიალებს, არა? იკითხა შევალიე დჟესპარმა, თორემ ბარონი ჰაიდუკს მაინც იცნობდა.

მე იზ არზად მინახავზ, მიუგო ბარონმა, და უკვე ორმოზი დგეა, ფილიზიაზ ვაზებნინეფ და ვერ მიფოვნია.

ის ჯობდა, რამდენიმე ასი ათას ფრანკად დაგჯდომოდათ, ვიდრე სიცოცხლედ. თქვენი ხნის კაცისთვის დაუკმაყოფილებელი ვნება მეტად საშიში გახლავთ, უთხრა დეპლენმა, იქნებ სიცოცხლესაც გამოგასალმოთ.

დიახ, კვერი დაუკრა ნიუსინჟენმა, ზაჩმელი არ მერგება, ჰაერიც კი მზამლავზ. ვენზენის ტქეში ზავედი, იზ ადგილი მოვინახულე, ზადაც შევხვტი!.. ოჰ! ხედავტ, რაზ მოვეწცარი! ჩემზ უქანაზქნელ ზეზხზაც კი ვეღარ მივაქციე ქურადგება, გული ვერ დავუდე; ჩემზ ტანამოზმეებზ შევეხვეცე, შემიბრალექმეთქი... ერტ მილიონზ ვიზლევი, ოღონდ გავიგო, ვინ არიზ ეზ ქალი. მოვიგეფ, ტუმცა ბირშაზე აღარ დავდივარ... ჰქიტხეტ დიუ ტიეს.

დიახ, დაუდასტურა დიუ ტიემ, საქმეზე გული აიყარა, მთლად გამოიცვალა. მგონი, სიკვდილის მომასწავებელია.

ზიქვარულიზ მომაზცავებელია, ჩაურთო ნიუსინჟენმა, ჩემტვიზ ეზ ერტი და იგივეა.

ბერიკაცი აღარ ჰგავდა მტაცებელ მგელს, გაქნილ ფინანსისტს. სიცოცხლეში პირველად ხედავდა რაღაცას ოქროზე ძვირფასსა და სანუკვარს. მისმა გულუბრყვილობამ ააღელვა ცხოვრებით მოყირჭებული ადამიანები. ზოგმა ერთმანეთს ღიმილით გადახედა, ზოგი ნიუსინჟენს ისეთი თვალით დააშტერდა, რომ აშკარად ეტყობოდა, ფიქრობდა, დახე, სადამდე მისულა ესოდენ ძლიერი ნებისყოფის კაციო. მერე ყველანი ამ ამბავზე მასლაათში გართულნი სასტუმრო დარბაზში გაიკრიფნენ. მართლაცდა, ამგვარ შემთხვევას სენსაცია უნდა გამოეწვია. ქალბატონ დე ნიუსინჟენს სიცილი აუტყდა, როცა ლუსიენმა ბანკირის საიდუმლო გაუმჟღავნა. ცოლის დაცინვას ყური რომ მოჰკრა, ბარონმა მკლავში ხელი გამოსდო, ფანჯრის თაღის ქვეშ მიიყვანა და ხმადაბლა უთხრა:

ქალბატონო, განა მე ოდესმე გამიცინია ტქვენზ გატაცეფაზე? მაშ, რატომ დაზცინიტ ჩემზ გრძნობებზ? კარგი ქალი ქმარზ დაეხმარება, დაიხზნიზ მძიმე მდგომარეობიდან, ტკვენზავიტ მაზხრატ კი არ აიგდებზ...
ბებერი ბანკირის აღწერილობით ლუსიენმა ესთერი იცნო, თავის თავზე გაჯავრდა, როგორ შევამჩნევინე, რომ გამეღიმაო და ყავა შემოიტანეს თუ არა, საერთო საუბრით ისარგებლა და გაიპარა.

სად გაქრა ბატონი დე რიუბამპრე? იკითხა ბარონ დე ნიუსინჟენის მეუღლემ.

იგი ერთგულია თავისი დევიზისა: ყოჯ მე ტონტინეტ

?,, უთხრა რასტინიაკმა.

რაც ნიშნავს ვის შეუძლია ჩემი შეკავება?,, ანდა ლაგამს ვინ ამომდებს?,, აირჩიეთ, რომელიც გსურდეთ, ჩაურთო დე მარსემ.

როცა ბარონი უცნობ ქალზე ლაპარაკობდა, ლუსიენს უნებლიეთ გაეღიმა, დარწმუნებული ვარ, იცნობს მას, ალალი გულით წამოსცდა ბიანშონს და ვერ წარმოიდგინა, რა საფრთხე შეიძლებოდა მოეტანა ლუსიენისთვის ამგვარ ვარაუდს.

ზალიან ქარგი,,, გაიფიქრა მტაცებელმა. როგორც ყველა სასომიხდილ ავადმყოფს სჩვევია, ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა, თუკი განკურნების მცირეოდენი იმედი მაინც აღეძვრებოდა. ორი კვირის წინ პარიზის კომერციული სასამართლოს ყველაზე მოხერხებულსა და გაიძვერა ბოქაულ ლუშარს დაავალა, უცნობი სატრფო მოეძებნა მისთვის. რაკი დაინახა, ლუშარის აგენტებმა ვერაფერი გააწყვესო, გადაწყვიტა, ლუსიენისთვის სხვა ჯაშუშები მიესია.

ესთერთან მისვლამდე ლუსიენს გრანლიეთა სასახლეში უნდა გაევლო და იქ ორი საათი გაეტარებინა. ამ ხნის განმავლობაში მთელ სენჟერმენის უბანში მადმუაზელ კლოტილდფრედერიკ დე გრანლიეზე ბედნიერი ქალიშვილი არავინ მოიძებნებოდა. ეს ჩვენი პატივმოყვარე ჭაბუკი ისე მიეჩვია სიფრთხილეს, რომ მიხვდა, კარლოს ერერასთვის დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინა, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა საზოგადოებაზე მისმა უნებლიე ღიმილმა, ბარონ დე ნიუსინჟენის მიერ ესთერის გარეგნობის აღწერამ რომ გამოიწვია. ბარონს ესთერი რომ შეჰყვარებოდა და პოლიციის დახმარებით აპირებდა უცნობი ქალის პოვნას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ამბავი იყო და სასწრაფოდ უნდა გაეგო კაცს, ვისაც ანაფორისთვის ისევე შეეფარებინა თავი, როგორც ბოროტმოქმედნი პოულობენ თავშესაფარს ეკლესიის ჭერქვეშ. სენლაზარის ქუჩიდან, სადაც იმ ხანებში ცხოვრობდა ბანკირი, სენდომინიკის ქუჩამდე, სადაც გრანლიეთა სასახლე იდგა, ლუსიენს უნდა გაევლო თავისი სახლის წინ, მალაკეს სანაპიროზე. შინ შევიდა და თავისი შემაძრწუნებელი

მეგობარი ლოცვანით,, გართული დაუხვდა, როგორც ყოველთვის, დაწოლის წინ ყალიონს აბოლებდა. ამ უცნაურმა კაცმა, ბოლოს და ბოლოს, თავი მიანება ესპანურ სიგარებს, ძალიან რბილი თუთუნიაო, ამბობდა.

საქმე გართულდა, უთხრა ესპანელმა, როცა ლუსიენმა ყველაფერი უამბო, ბარონს გოგონას საპოვნელად ლუშარისთვის მიუმართავს და სულ მალე მიხვდება, რაცაა საჭირო და აგენტებს დაგადევნებს. ჩვენს ასავალდასავალს გაიგებს. ერთი ღამე და ერთი დილაა ჩემს განკარგულებაში. უნდა მოვასწრო, კარტიც ავრიო და ბარონის საწინააღმდეგო თამაშშიც ჩავება. უპირველეს ყოვლისა, ბარონს უნდა დავუმტკიცო, რამდენად უსუსურია პოლიცია. როცა ჩვენი მტაცებელიმგელი საბოლოოდ დაკარგავს ბატკნის ხელში ჩაგდების იმედს, მე თავად მივყიდი იმდენად, რამდენადაც შეაფასებს...

რაო, ესთერი გინდა გაყიდო? შეჰყვირა ლუსიენმა, რომელსაც დასაწყისში ყოველთვის სულგრძელი მისწრაფებანი ებადებოდა.

როგორ, ხომ არ დაგავიწყდა, რა შავი დღე გვადგას? დაუღრიალა კარლოს ერერამ.

ლუსიენმა თავი ჩაქინდრა.

ფული გამოგველია, განაგრძობდა ესპანელი, და სამოცი ათასი ფრანკი ვალად გვაწევს, უნდა გადავიხადოთ! კლოტილდ დე გრანლიეზე ჯვრისწერა რომ გადაგიწყვეტია, რას აპირებ? ერთი მილიონის მამულის ყიდვა ხუმრობა ხომ არ გგონია? აბა, როგორ გინდა ეგ გონჯი უზრუნველყო შენი სიკვდილის შემდეგ? ასეა! ჰოდა, ესთერი ყელის ჩასაკოკლოზინებელი მხეცუნაა. დავადევნებ მტაცებელ მგელს და იმდენს ვარბენინებ, სანამ ერთ მილიონს არ გამოვქაჩავ. ეგ საქმე მე მომანდე...
ესთერი არ დათანხმდება...

ეგ ჩემზე იყოს...

მოკვდება.

ეგ უკვე დამკრძალავი ბიუროს საქმეა... მერედა რა მოხდა? შეჰყვირა ამ ველურმა და ერთბაშად გააწყვეტინა ლუსიენს მოთქმაგოდება, იმპერატორ ნაპოლეონისთვის რამდენი სიცოცხლით სავსე გენერალი მოკვდა? შეეკითხა ლუსიენს ხანმოკლე დუმილის შემდეგ, ქალს რა გამოლევს, რამდენსაც გინდა, იმდენს იშოვი. 1821 წელს კორალისდარი არავინ გეგონა, მერედა რა, ახლა ესთერს გადაეყარე. ამ გოგოს შემდეგ მოვა... იცი, ვინ? უცნობი ასული! დიახ, ყველა ქალთა შორის უმშვენიერესი, და შენ მას ძებნას დაუწყებ იმ დედაქალაქში, სადაც ჰერცოგ დე გრანლიეს სიძე ელჩი იქნება და საფრანგეთის მეფის დესპანი... ესეც არ იყოს, ერთი მითხარი, ბატონო ბალღო, განა ესთერი ამით მოკვდება? ანდა, განა მადმუაზელ დე

გრანლიეს მეუღლეს შეუძლია შეინარჩუნოს ესთერი? ესეც არ იყოს, ნება მომეცი, საქმეს მე მივხედო, შენ რატომ იწუხებ თავს ფიქრით? ეგ საქმე ხომ მე მაქვს მონდობილი? მხოლოდ ერთი ან ორი კვირა უესთეროდ უნდა გაძლო და ტეტბუს ქუჩაზე ფეხი არ მიადგა. აბა, გასწი წინ, ეკურკურე შენს მხსნელს. როლი არ დაივიწყო, კარგად გაითამაშე; კლოტილდს შეუცურე მგზნებარებით აღსავსე წერილი, ამ დილით რომ დაწერე და იმისგან უფრო მგზნებარე ბარათი მომირბენინე! უსტარის წერით ინაზღაურებს დანაკლისს ეგ გოგო. ეს ჩემთვის ხელსაყრელია! ესთერი მოწყენილი დაგიხვდება, მაგრამ ურჩიე, დაგემორჩილოს. საქმე ეხება ჩვენი სათნოების ლივრეას, ჩვენი პატიოსნების ჯუბას, თეჯირს, რომლის უკანაც დიდებულნი თავიანთ უსინდისობას მალავენ... საქმე ეხება ჩვენს მშვენიერ მეს,,, ესე იგი, შენ, ვისზედაც არავის უნდა შეეპაროს ეჭვი. შემთხვევა გაცილებით უკეთ დაგვეხმარა, ვიდრე ჩემი გონება, აგერ ორი თვეა, უქმად რომ მუშაობს, ამ შემზარავ სიტყვებს კარლოს ერერა ისე სტყორცნიდა, როგორც პისტოლეტით ნასროლ ტყვიებს, თან ტანთ იცვამდა, წასასვლელად ემზადებოდა.

ზედვე გეტყობა, რომ სიხარულით ფრთები შეგესხა, შესძახა ლუსიენმა, თავიდანვე აითვალწუნე საბრალო ესთერი და აღტაცებით შეხვდი იმ წუთს, როცა შესაძლებლობა მოგეცა, თავიდან მოიშორო.

შენ ხომ არასოდეს მოგბეზრებია შენი ტრფიალი, არა? ჰოდა, მეც არასოდეს მომბეზრებია მისი სიძულვილი. მაგრამ, განა სულ ისე არ ვექცეოდი, თითქოს გულწრფელად მყვარებოდეს? აზიას მეოხებით მისი სიცოცხლე ხომ ჩემს ხელში იყო მუდამ! ორიოდე შხამასოკო რაგუში და მორჩა, ყველაფერი დამთავრდებოდა... მადმუაზელ ესთერი კი ცოცხალი გახლავთ!

ნუ ბავშვობ, გეთაყვა. ოთხი წელიწადია ველოდებით შემთხვევას, რომელიც ან ხელს შეგვიწყობს, ან გაგვანადგურებს. თუკი რამ უნარი გაგვაჩნია, ახლა უნდა გამოვიყენოთ; გავფცქვნათ ნაყოფი, დღეს ბედმა რომ გადმოგვიგდო. როგორც სხვა თამაშში, ამ რულეტშიაც მოიგებ ან წააგებ. იცი, რაზე ვფიქრობდი, როცა მოხვედი?

არა...

აქაც, როგორც ბარსელონაში, აზიას დავიხმარებდი და ბებრუხანა ღვთის მორწმუნე დედაკაცის მემკვიდრედ გავისაღებდი თავს...

ბოროტმოქმედებას ჩაიდენდი?..

შენი ბედნიერების უზრუნველსაყოფად სხვა გზა ვეღარ ვიპოვე. მევალეები აწრიალდნენ. ბოქაულები თუ დაგვესევიან, გრანლიეთა სასახლიდან გამოგვაძევებენ და რა გვეშველება მაშინ? ეშმაკთან ანგარიშის გასწორების წუთი დაგვიდგება.

კარლოს ერერამ წარმოადგინა, როგორ ვარდება ადამიანი წყალში თავის დასახრჩობად. მერე თითქოს მის სულში ჩაძრომას ლამობსო, თვალი თვალში გაუყარა ლუსიენს და დაჟინებით დააშტერდა, მტკიცე ნებისყოფის მამაკაცები ამგვარად იმორჩილებენ სუსტებს. ეს მომნუსხველი მზერა, არავითარი დაბრკოლების წინაშე რომ არ შედრკებოდა, ადასტურებდა, თუ რა სამკვდროსასიცოცხლო საიდუმლოებით იყვნენ ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი ლუსიენი და მისი მრჩეველი. მათი დამაკავშირებელი გრძნობებიც ისევე მაღლა იდგა ჩვეულებრივ ვნებებზე, როგორც კარლოს ერერა თავის მდაბალ მდგომარეობაზე.

ამ საზოგადოებისგან განდევნილი მამაკაცისთვის ადამიანთა კანონებს სამუდამოდ აეყარა სამოქალაქო უფლებები, მანკიერების საწინააღმდეგოდ და თავის დასაცავად მძვინვარე ბრძოლაში ჩაბმულს ქანცი უკვე გასწყვეტოდა, მაგრამ ჭარბი ენერგიით დაჯილდოებულს მოსვენება სულაც არ მონატრებოდა. გათახსირებულიც იყო და დიდებულიც, ყველასთვის უცნობიცა და სახელგანთქმულიც. სიცოცხლის დაუშრეტელი წყურვილი ვერ დაეოკებინა და მისი არსება ხელახლა იბადებოდა ლუსიენის მშვენიერ სხეულში, ეპატრონებოდა ჭაბუკის სულს. ისევ ამ პოეტის მეშვეობით იჭრებოდა ადამიანთა ცხოვრებაში და მასვე გადასცემდა თავის შეუდრეკლობასა და რკინის ნებისყოფას. მისთვის ლუსიენი უფრო მეტი იყო, ვიდრე ღვიძლი შვილი, ვიდრე სატრფო ან ოჯახი, გაცილებით მეტი, ვიდრე სიცოცხლე თვისი. ყმაწვილკაცი მის შურისძიებას განასახიერებდა და ვინაიდან ძლიერი სულის ადამიანები არსებობაზე მეტად გრძნობას ებღაუჭებიან, კარლოს ერერა ჭაბუკს დაუკავშირდა ისეთი მყარი ჯაჭვით, რომელსაც ვერაფერი გაწყვეტდა.

ლუსიენის სიცოცხლე მაშინ იყიდა, როცა სასოწარკვეთილებამდე მისული პოეტი თვითმკვლელობისთვის განემზადა. შესთავაზა, დაედოთ ისეთი ხელშეკრულება, რომლის მსგავსი მხოლოდ რომანებში თუ წაგვიკითხავს, თუმცა ასევე შემზარავი სინამდვილე სისხლის სამართლის ძიებითაც არაერთხელ გამოაშკარავებულა. ლუსიენს ფეხქვეშ გაუფინა პარიზული ცხოვრების მთელი სიამე, იმედი მისცა, წარმტაც მომავალს შეგიქმნიო. ყოველივე ამის შედეგად ყმაწვილი საკუთარ ნივთად გადააქცია. რა მსხვერპლს არ გაიღებდა ეს უცნაური ადამიანი, ოღონდაც თავისი მეორე მე,, გაებედნიერებინა. რკინისებური ნებისყოფა კი ჰქონდა, მაგრამ თავისი ქმნილების წინაშე ძალა ეცლებოდა და მას ყოველგვარ საიდუმლოს უზიარებდა. ვინ უწყის, ეგებ სწორედ ეს მჭიდრო ზნეობრივი ურთიერთობა იყო მათი შეკავშირების მტკიცე საძირკველი? იმ დღეს, როცა ლა ტორპილი მოიტაცეს, ლუსიენი მიხვდა, რა შემზარავ ნიადაგზე გაფურჩქნილიყო მისი ბედნიერება.

ესპანელი მღვდლის ანაფორის ქვეშ იმალებოდა ჟაკ კოლენი, ერთერთი სახელგანთქმული კატორღელი, რომელიც ათი წლის წინ ბურჟუა ვოტრენის გვარით შენიღბული ვოკეს პანსიონში იმალებოდა. ამავე პანსიონში ვოტრენთან ერთად ცხოვრობდნენ რასტინიაკი და

ბიანშონი. ჟაკ კოლენს მეტსახელად გააბითურე სიკვდილი,, შეარქვეს. რომფორის კატორღაში მიყვანისთანავე გაქცევა მოახერხა; ცნობილ გრაფ დე სენტელენის მაგალითს მიჰბაძა, ოღონდ გაბედული კუანიარის ზოგიერთი შეცდომა გაითვალისწინა. პატიოსან კაცად მოაჩვენო ყველას თავი და კატორღელის ცხოვრება განაგრძო, ისეთი ამოცანაა, რომლის ორი პირობა ერთმანეთს სრულიად ეწინააღმდეგება და შეუძლებელია, კრახით არ დასრულდეს, ისიც პარიზში. ბოროტმოქმედი თუ ვინმეს ოჯახში დაბინავდება, საფრთხეს გაიათკეცებს. იქნებ სჯობს, ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნებზე მაღლა დადგეს და ყოველგვარი ეჭვი თავიდან აიცილოს? მაღალი წრის ადამიანს მეტი საფრთხე მოელის, ვიდრე იმას, ვინც მაღალი საზოგადოებისგან განზე დგას. ამიტომაც ანაფორა საუკეთესო ნიღაბი გახლავთ, თუკი მას განმარტოებული, მშვიდობიანი და სამაგალითო ცხოვრება დაერთვის.

მოდი, მღვდელი გავხდები,,, გადაწყვიტა ამ სამოქალაქო განსვენებულმა, რომელიც ისწრაფოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ახალ სოციალურ ნიღაბს ამოფარებული მკვდრეთით აღმდგარიყო და დაეკმაყოფილებინა ისეთივე უცნაური ვნებები, როგორიც თავად იყო. 1812 წლის კონსტიტუციამ ესპანეთში სამოქალაქო ომი გააჩაღა და ეს ენერგიული მამაკაცი იქით გაეშურა. ერთერთი შეტაკების დროს ვერაგულად მოკლა ნამდვილი კარლოს ერერა, ვიღაც დიდი სენიორის ბუში. მამას იგი მთლად ჩვილი მიეტოვებინა და არ იცოდა, რომელ ქალს უმადლიდა თავის დაბადებას. მღვდელს ერთმა ეპისკოპოსმა მეფე ფერდინანდ VIIთან რეკომენდაცია გაუწია და მეფემაც იგი დიპლომატიური მისიით საფრანგეთს მიავლინა. კარლოს ერერას ერთადერთი გულშემატკივარი ეპისკოპოსი მაშინ გარდაიცვალა, როცა ეკლესიის ეს უძღები შვილი კადისიდან მადრიდის, მადრიდიდან კი საფრანგეთის გზებზე დაეხეტებოდა. რაკი ბედმა გაუღიმა და ასე ხელსაყრელ დროს გადაეყარა კარლოს ერერას, ჟაკ კოლენმა ზურგი ჭრილობებით დაისერა და კატორღის სამარცხვინო დამღა ამოიკვეთა, ხოლო ქიმიური ნივთიერებებით მთლად შეიცვალა სახე. სანამ უწინდელი გარეგნობის ყოველგვარ ნიშანწყალს მოისპობდა, მღვდლის ცხედარს ყურადღებით დააკვირდა და მისი პირწავარდნილი ორეული გახდა. ამ ჯადოქრული მეტამორფოზის დასასრულებლად, როგორიც არაბულ ზღაპრებში თუ გვხვდება (ბებერმა დავრიშმა გრძნეულებით რომ შეძლო ჭაბუკის სხეულში დასადგურება), კატორღელმა, რომელიც ესპანურად ლაპარაკობდა, იმდენი ლათინურიც შეისწავლა, რამდენიც ანდალუსიელ მღვდელს უნდა სცოდნოდა. არც ფული აკლდა, რამეთუ კატორღაში პატიოსან კაცად თვლიდნენ და ხაზინადრად დანიშნეს. მოდი და, კეთილსინდისიერი ნუ იქნებოდა, როცა ისეთი მეანაბრეები ჰყავდა, რომ თუ ფულს გაფლანგავდა, ხანჯლით აკუწავდნენ. კატორღის ძირითად კაპიტალს ჟაკ კოლენმა კარლოს ერერასთვის ეპისკოპოსის ნაბოძები თანხაც დაუმატა. სანამ ესპანეთიდან წამოვიდოდა, სხვა ქონებაც ჩაუვარდა ხელში; ერთ ბარსელონელ ღვთისმოშიშ დედაკაცს ვიღაც მოეკლა და მის ავლადიდებას დაჰპატრონებოდა. ახალგამომცხვარმა კარლოს ერერამ ცოდვები შეუნდო და ქალმაც მოკლულის ქონება გადააბარა იმ პირობით, რომ მოძღვარი კანონიერ მემკვიდრეებს დაუბრუნებდა. საიდუმლო დიპლომატიური მისიით აღჭურვილმა, მღვდლის ანაფორაში გახვეულმა ჟაკ კოლენმა, ვისაც პარიზში ამა სოფლის ძლიერთა მფარველობა მოელოდა,

გადაწყვიტა, თავისი ახალი მდგომარეობისთვის ჩირქი არ მოეცხო და მოვლენათა დინებას მინდობოდა. და როცა პარიზს უახლოვდებოდა, ანგულემის გზაზე ლუსიენს გადაეყარა. ცრუ აბატმა ივარაუდა, ამ ბიჭის შემწეობით გავლენას ადვილად მოვიპოვებო. ლუსიენს თავის მოკვლაზე ხელი ააღებინა ასეთი სიტყვებით: მიენდეთ ღვთის კაცს, როგორც ეშმაკს მიენდობიან და ყველა პირობას შეგიქმნით უზრუნველი არსებობისთვის, ბედს გწევთ. რომ არ დაგსიზმრებიათ, ისე იცხოვრებთ, ხოლო თუ სიზმარი ბედნიერად არ დაგისრულდებათ, სიკვდილს წინ რაღა დაუდგება. აკი ისედაც მზად იყავით თვითმკვლელობისთვის,,. ორი ადამიანის შეკავშირება ამ ყოველმხრივ დასაბუთებულ მოსაზრებას დაემყარა. კარლოს ერერამ იგი უფრო მყარად შეადუღაბა იმით, რომ ლუსიენი გაქნილი გაიძვერობით თავის არამზადულ ხრიკებში გააბა. ადამიანის გახრწნის ნიჭი ჰქონდა მომადლებული და ჭაბუკისთვის პატიოსნების შერყევა არ გასძნელებია. ჯერ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდებდა, მერე უთვალავ ფულს დააყრიდა თავზე და სამაგიეროდ ბოროტი ან უსინდისო საქმის ჩადენას მოსთხოვდა. ლუსიენი უსიტყვოდ ემორჩილებოდა, რადგან ხალხის თვალში მაინც ფაქიზი, სინდისშეულახველი და კეთილშობილი რჩებოდა. ჭაბუკი მაღალი საზოგადოების ბრწყინვალეს განასახიერებდა და მის ჩრდილში მოყუჩებას ცდილობდა ყალთაბანდი. მე ავტორი ვარ, შენ კი ჩემი დრამა იქნები. წარმატებას თუ ვერ მოიხვეჭ, მე დამისტვენენ,,. უთხრა კარლოს ერერამ ლუსიენს იმ დღეს, როდესაც თავისი მკრეხელური შენიღბვის საიდუმლო გაუმჟღავნა. დიდი სიფრთხილით, ნელნელა უხსნიდა გულს, სწორედ მაშინ აცნობდა რაიმე ბნელ საქმეს, როცა ლუსიენს მძიმე გასაჭირისგან იხსნიდა და ჭაბუკს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა გაყუჩებულიყო. და როცა ყმაწვილკაცს პარიზული ფუფუნება გაუტკბა, წარმატებას მიაღწია, პატივმოყვრული მისწრაფებანიც დაიკმაყოფილა, გააბითურე სიკვდილმა,, არც აცია, არც აცხელა და თავისი უმნიშვნელოვანესი საიდუმლოც გაუმხილა. სუსტი ნებისყოფის პოეტი კარლოს ერერას მონამორჩილი გახდა. რაკი სატანამ ერთხელ მარცხი განიცადა და რასტინიაკი ვერ შეაცდინა, ახლა უფრო გაიძვერულად იქცეოდა; ლუსიენს ფარულად უგებდა მახეს და შემპარავად ითრევდა გახრწნილების ჭაობში. ჭაბუკმა ფარხმალი დაყარა, მეტადრე იმიტომ დამარცხდა ლუსიენი, რომ საზოგადოებაში მაღალ მდგომარეობას უკვე მიაღწია და ასეთმა ბედნიერებამ საბოლოოდ აუბნია გზაკვალი. ბოროტებამ, რასაც პოეტურად, გადატანითი მნიშვნელობით, ეშმაკი ეწოდება, ამ ქალური ხასიათის მამაკაცთან ყველაზე მომაჯადოებელი ცდუნებანი გამოიყენა.

უხვად დაასაჩუქრა და პირველ ხანებში სულ მცირე საზღაური მოსთხოვა. კარლოსის უდიდესი არგუმენტი გახლდათ ის მარადიული საიდუმლო, რის დაცვასაც ჰპირდებოდა ტარტიუფი ელმირს.ჟაკ კოლენმა, ვით საიდმა მაჰმადს, არაერთგზის დაუმტკიცა უსაზღვრო ერთგულება ლუსიენს და მიზანსაც მიაღწია. ჭაბუკი დაეცა, ესთერმა და მისმა სატრფომ კატორღის უანგარო ბანკირისთვის მინდობილი მთელი ხაზინა შთანთქეს და ჟაკ კოლენს დიდი საფრთხე დაატეხეს თავს. რაკი კატორღელთა ავლადიდება აღარ ეყოთ, დენდი, კურტიზანი და ყალბისმქნელი ვალებში ჩაეფლნენ. ლუსიენის მიზნების კეთილად დაგვირგვინებას აღარაფერი უკლდა, მაგრამ ამ სამი ადამიანიდან ერთერთი თუ წამოჰკრავდა ფეხს თუნდაც პაწაწინა კენჭს, ესოდენ გაბედულად ნაგები ბედნიერების ფანტასტიკური კოშკი მაშინვე ხუხულასავით ჩამოინგრეოდა. ოპერაში, ბალმასკარადზე,

რასტინიაკმა ვოკეს პანსიონის მდგმური ვოტრენი იცნო, მაგრამ დარწმუნებული იყო, საიდუმლოების გაცემა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. ამიტომაც ქალბატონი დე ნიუსინჟენის კურო და ლუსიენი ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ და მათ გამოხედვაში მოჩვენებითი მეგობრობის მიღმა ერთმანეთის შიში გამოსჭვიოდა. უდავო იყო, თუკი საშუალება მიეცემოდა, რასტინიაკი დიდი სიამოვნებით იშოვიდა ფორანს გააბითურე სიკვდილის,, ეშაფოტზე გასამგზავრებლად. ახლა ყველასთვის გასაგებია, რა ბოროტი სიხარულით აევსო გული კარლოსს, როცა ბარონ დე ნიუსინჟენის გამიჯნურების ამბავი შეიტყო. მყისვე გაითვალისწინა, მასავით გამოქექილ კაცს საბრალო ესთერის შემწეობით რა სარფა მოელოდა.

რას იზამ, უთხრა ლუსიენს, ხომ ხედავ, ეშმაკი თავის მსახურს მფარველობას უწევს.

შენ ტყვიაწამლის კასრზე ზიხარ და თუთუნს აბოლებ.

!ნცედო პერ იგნეს

! მიუგო კარლოსმა ღიმილით, ასეთია ჩემი ხელობა.

გასული საუკუნის შუა წლებში გრანლიეთა გვარი ორ შტოდ გაიყო: ერთ მათგანს, ჰერცოგების საგვარეულოს, გაქრობა ელოდა, ვინაიდან დღევანდელ ჰერცოგს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა. მეორე შტოს წარმოადგენდნენ ვიკონტი დე გრანლიეები, რომელთაც მემკვიდრეობით უფროსი შტოს ტიტული და გერბი უნდა გადასცემოდათ. ჰერცოგების გერბზე გამოსახული იყო დანაკვთული მეწამული ფონი, ზედ ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სამი ოქროს ალებარდი, ანუ საბრძოლო ცული, და დევიზი ჩ=ვეო ნონ ტ0ბ1ეო

,რაც ამ საგვარეულოს ცნობილი დევიზი გახლავთ და მთელ მის ისტორიას გადმოსცემს.

ვიკონტთა გერბის ფარი ნავარელთა ფარის მსგავსად არის დაყოფილი. ფარის გარდიგარდმო, მეწამულ ფონზე, გამოსახულია ოქროს ბადე და ამოტვიფრულია რაინდის მუზარადი და დევიზი: დიადი საქმეები, დიადი სარბიელი!,,. ამჟამად ვიკონტესას, რომელიც 1813 წელს დაქვრივდა, ქალვაჟი ჰყავს. ემიგრაციიდან თუმცა თითქმის გაღატაკებული დაბრუნდა, ერთგულმა ადვოკატმა დერვილმა მაინც დიდი ქონება დაახვედრა.

1804 წელს ჰერცოგი და ჰერცოგინია დე გრანლიეები საფრანგეთში დაბრუნდნენ. იმპერატორმა მათ მოწყალე თვალით გადახედა და თავის კარზე საპატიო ადგილი მიუჩინა. ნაპოლეონმა გრანლიეთა ოჯახს ქონება დაუბრუნა, დაახლოებით ორმოცი ათასი ლივრის რენტა, რაც მანამდე სახელმწიფო ხაზინაში ინახებოდა. სენჟერმენის უბნის ყველა დიდ სენიორთაგან, რომელნიც ნაპოლეონს დაემორჩილნენ, მარტოოდენ ჰერცოგი და ჰერცოგინია დე გრანლიეები (ჰერცოგინია ბრაგანცებისნათესავთა, აჟუდათა უფროს შტოს ეკუთვნოდა) არ

განუდგნენ იმპერატორს და არც მისი კეთილგანწყობა იუკადრისეს. მათი ერთგულება ნაპოლეონისადმი ლუი XVIIIმ სათანადოდ შეაფასა, ხოლო სენჟერმენის უბანმა დანაშაულად ჩაუთვალა. შესაძლებელია ლუი XVIII ამას მისი ბრწყინვალების, ღვიძლი ძმის გამოსაჯავრებლად აკეთებდა. ამბობდნენ, ახალგაზრდა ვიკონტი დე გრანლიე უთუოდ დაქორწინდებაო ჰერცოგის უმცროს ასულზე, მარიათენაისზე, რომელიც იმ ხანებში ცხრა წლისა იქნებოდა. ჰერცოგის მეოთხე ქალიშვილი, საბინი, ბარონ დიუ გენიკს მისთხოვდა; მესამე ქალი, ჟოზეფინი, დჟაჟუდაპინტოს გაჰყვა, როცა მარკიზს პირველი ცოლი, მადმუაზელ დე როშფიდი (ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲓᲔ ᲠᲝᲨᲤᲘᲓᲘ

) მოუკვდა. უფროსი ასული 1822 წელს მონაზვნად აღიკვეცა, ხოლო მის მომდევნოს, ოცდაშვიდი წლის მადმუაზელ კლოტილდფრედერიკს, გაგიჟებით შეუყვარდა ლუსიენ დე რიუბამპრე.

აბა, რაღა გასაკვირია, რომ ჰერცოგ დე გრანლიეს სახლი, ერთერთი უმშვენიერესი სასახლე სენდომინიკის ქუჩაზე, ლუსიენის სულსა და გულს უზომოდ აჯადოებდა. როცა კი უზარმაზარი ჭიშკარი ანჯამებზე შემოტრიალდებოდა, რათა მისი კაბრიოლეტისთვის გზა მიეცა, ლუსიენის პატივმოყვარეობა ისეთივე კმაყოფილებას განიცდიდა, როგორზედაც გვიამბობდა მირაბო.თუმცა მამაჩემი უმოელი მეაფთიაქე იყო, მე მაინც შევდივარ ამ სასახლეში,,, ფიქრობდა ლუსიენი. ყალთაბანდთან კავშირს ვინ დაგიდევდა, რა დანაშაულს არ ჩაიდენდა, ოღონდაც შეენარჩუნებინა უფლება, სადარბაზო კიბის რამდენიმე საფეხური აეარა და გაეგონა, ლუი XIVის სტილით და იმავე ლუი XIVის ეპოქაში აშენებულ სასახლეში, ვერსალის დარბაზების ყაიდაზე გაწყობილ დიდ სალონში როგორ გამოაცხადებდნენ: ბატონი დე რიუბამპრე,,, ხოლო ამ დარბაზში თავმოყრილი ბრძანდებოდა მაღალი წრის ელიტა, პარიზის საზოგადოების ნაღები, რომელსაც იმ დროს მეფის პატარა კარს ეძახდნენ.

კეთილშობილი წარმოშობის პორტუგალიელ ქალს არ უყვარდა შინიდან გასვლა და მეტწილად მეზობლები ეხვია გარს: შოლიეები, ნავარენები, ლენონკურები. ბარონ დე მაკემიურის მწყაზარი მეუღლე (გვარად შოლიე), ჰერცოგინია დე მონფრინიეზი, ქალბატონი დჟესპარი, ქალბატონი დე კანი, გრანლიეების ნათესავი, ბრეტონელი მადმუაზელ დე ტუში მეჯლისზე წასვლის წინ ან ოპერიდან დაბრუნებისას ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ჰერცოგინია დე გრანლიეს. ვიკონტი დე გრანლიე, ჰერცოგი დე რეტორე, მარკიზი დე შოლიე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ჰერცოგი დე ლენონკურშოლიე გახდებოდა, მისი ცოლი მადლენ დე მორსოფი, ჰერცოგ დე ლენონკურის შვილიშვილი, მარკიზ დჟაჟუდაპინტო, თავადი დე ბლამონშოფრი, მარკიზი დე ბოსეანი, ვიდამ დე პამიე, ვანდანესები, მოხუცი პრინცი დე კადინიანი და მისი ძე, ჰერცოგი დე მონფრინიეზი მუდმივი სტუმრები იყვნენ ამ დიდებული სალონისა, სადაც მეფის კარის სურნელება ტრიალებდა, სადაც მანერები, ტონი და გონებამახვილობა ეხამებოდა მაღალ წარმოშობას მასპინძლებისა, რომელთა

უსაზღვროდ დახვეწილმა არისტოკრატულმა პეწმა და გულუხვმა სტუმართმოყვარეობამ, ბოლოს და ბოლოს, ყველას გადაავიწყა, როგორ ეფარისევლებოდა ეს ოჯახი ნაპოლეონს.

მოხუცი ჰერცოგინია დჟიუქსელი, ჰერცოგინია დე მონფრინიეზის დედა, წინასწარმეტყველი გახლდათ დე გრანლიეთა სალონისა, სადაც ვერ იქნა და ვერ შეაღწია ქალბატონმა დე სერიზიმ, თუმცა წარმოშობით დე რონკეროლი ბრძანდებოდა.

ქალბატონი დე მონფრინიეზი მთელი ორი წელიწადი ლუსიენისთვის ჭკუას კარგავდა და დედას შეეხვეწა, ამ ახალგაზრდა კაცს მფარველობა გაუწიეო. ჰერცოგინია დჟიუქსელმა შეიყვანა იგი დე გრანლიეთა სასახლეში, სადაც ჩვენი მომხიბლავი პოეტი დამკვიდრდა საფრანგეთის სამეფო ეკლესიისა და პარიზის არქიეპისკოპოსის დახმარებით. ამგვარი ქომაგნიც კი უსუსურნი იქნებოდნენ, მეფის ბრძანებით რომ არ დაჰბრუნებოდა დე რიუბამპრეთა საგვარეულოს ტიტული და გერბი. ლუსიენის შურით გულგასივებული ჰერცოგი დე რეტორე, შევალიე დჟესპარი და რამდენიმე სხვა კაცი მის წინააღმდეგ ხშირად ამხედრებდნენ ჰერცოგ დე გრანლიეს, ლუსიენის უწინდელ ცხოვრებაზე რას არ უამბობდნენ. მაგრამ ეკლესიის მაღალ წრეებთან დაახლოებული ღვთისმოსავი ჰერცოგინია და კლოტილდ დე გრანლიე ლუსიენს ექომაგებოდნენ. თავდაპირველად ჭაბუკს ეგონა, ჰერცოგმა იმიტომ ამითვალწუნა, უწინ ქალბატონი დჟესპარის ნათესავს, ყოფილ ქალბატონ დე ბარჟეტონს, ახლა კი გრაფინია შატლეს რომ ვეკურკურებოდიო. მერე თანდათან მიხვდა, რაოდენ გაიმაგრებდა წელს, ასეთ გავლენიან ოჯახს თუ დაუახლოვდებოდა, თანაც შინაური მრჩეველი ნიადაგ უჩიჩინებდა, კლოტილდი შეაცდინეო. ჰოდა, ლუსიენმაც გამბედაობა მოიკრიბა: კვირაში ხუთჯერ სტუმრად მიდიოდა, მეშურნეების მწარე სიტყვებს უდრტვინველად ყლაპავდა, ზიზღით აღვსილ გამოხედვას თვალს უსწორებდა და ბოროტ დაცინვას კვიმატი გონებამახვილობით აღსავსე პასუხს აგებებდა. ბოლოს და ბოლოს, მისმა ერთგულებამ, ხშირმა სტუმრობამ, მომხიბლავმა მანერებმა, ნატიფმა თავაზიანობამ ამპარტავნობას ფარხმალი დააყრევინა და მის წინ აღმართული დაბრკოლება შეასუსტა. ლუსიენი არ წყვეტდა მეგობრულ ურთიერთობას ჰერცოგინია დე მონფრინიეზთან, რომლის მგზნებარებით სავსე წერილები, მისი ვნების ბობოქრობის დღეებში დაწერილი, კარლოს ერერასთან ინახებოდა. ჭაბუკი ქალბატონი დე სერიზის კერპი გახლდათ, მადმუაზელ დე ტუშის სანატრელი სტუმარი და გული სიხარულით ევსებოდა, რაკი ამ სამ ოჯახში ხელგაშლილად ეგებებოდნენ, მაგრამ ამავე დროს თავისი ესპანელის რჩევას არ ღალატობდა და არასოდეს ეძლეოდა თავდავიწყებას.

შეუძლებელია მრავალ ოჯახს ერთნაირად გაუშინაურდე, ეუბნებოდა პირადი მრჩეველი, ის, ვინც ყველგან დადის, ცხოველ ინტერესს არავის აღუძრავს. დიდებულნი მფარველობენ მხოლოდ იმათ, ვინც მათივე ავეჯს მეტოქეობას უწევს, ვისაც ყოველდღე ხედავენ თავიანთ ოჯახში და ვისაც შეუძლია, მათთვის ისევე აუცილებელი რამ გახდეს, როგორიც, მაგალითად, დივანი, რომელზეც ისვენებენ.

ლუსიენი დიდი ხანია ისე უყურებდა დე გრანლიეთა სალონს, როგორც საბრძოლო ველს და გონებამახვილობას, კვიმატ სიტყვებს, ახალახალ ამბებს, კარისკაცის თავაზიანობას ინახავდა ამ ოჯახისთვის. შემპარავად მაამებელი ეფარისევლებოდა ბატონ დე გრანლიეს, ელაციცებოდა მის წვრილმან სისუსტეებს, ხოლო კლოტილდის მითითებით წინასწარ იცოდა, რომელი მეჩეჩისთვის აექცია მხარი. კლოტილდს პირველად შური აღუძრა ჰერცოგინია დე მონფრინიეზის ბედნიერებამ, მერე კი თავდავიწყებით შეუყვარდა ყმაწვილკაცი.

კლოტილდ დე გრანლიეზე დაქორწინების უპირატესობა არ გამოეპარა ლუსიენს და ისე ბრწყინვალედ თამაშობდა გამიჯნურებული ჭაბუკის როლს, რომ კომედი ფრანსეზის,, შეყვარებულთა როლების შემსრულებელ მსახიობ არმანს ტოლს არ უდებდა. კლოტილდს სწერდა წერილებს, რაც უდავოა მაღალი სტილის ლიტერატურული შედევრები გახლდათ და კლოტილდიც საპასუხო ეპისტოლეებით ეჯიბრებოდა მას მგზნებარე სიყვარულის ქაღალდზე გამოხატვის ოსტატობაში, რამეთუ სხვაგვარი სიყვარული არ ეხერხებოდა. ყოველ კვირას ლუსიენი წმინდა თომა აკვინელის ტაძარში წირვას ესწრებოდა, თავი ჭეშმარიტ კათოლიკედ მოჰქონდა. მგზნებარედ ქადაგებდა მონარქიისა და რელიგიის დასაცავად და მსმენელებს აღაფრთოვანებდა. ამასთან, კონგრეგაციისმომხრე გაზეთებში საუცხოო სტატიებს ათავსებდა, ჰონორარზე უარს ამბობდა და წერილებს მხოლოდ ერთ ასოს ლ,,ს აწერდა. მეფე შარლ X-ის ან სამეფო კარის ეკლესიის მოთხოვნათა მიხედვით პოლიტიკურ ბროშურებს აქვეყნებდა და არავითარ ფულად ანაზღაურებას არ ითხოვდა. მეფემ იმდენი სიკეთე დამდო, იტყოდა ხოლმე, რომ სისხლსაც არ დავიშურებ მისთვის, ოღონდაც მადლობის გამოხატვის შესაძლებლობა მომეცეს,,. რამდენიმე დღის წინ უკვე დაისვა საკითხი მისი პრემიერმინისტრის პირად მდივნად დანიშვნის თაობაზე, მაგრამ ქალბატონმა დჟესპარმა ქვეყანა შეყარა. იმდენი ხალხი აუჯანყდა ლუსიენს, რომ შარლ X-ის რწმუნებული შეყოყმანდა და საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო. უნდა ითქვას, ლუსიენის მდგომარეობა საკმაოდ ნათელი არ გახლდათ და რამდენადაც ზევით მიიწევდა, იმდენად ყველას პირზე ეკერა კითხვა: რა სახსრებით ცხოვრობს?,, და ამ კითხვაზე პასუხს მოელოდნენ. ესეც არ იყოს, ცნობისმოყვარენი, კეთილგანწყობილნი თუ მტრები კვლევაძიებას შესდგომოდნენ და სულ ახალახალ სუსტ ადგილს პოულობდნენ ამ პატივმოყვარეობით შეპყრობილი მამაკაცის საჭურველში. კლოტილდ დე გრანლიე მისი უნებლიე ჯაშუში იყო, საკუთარ დედმამას აბეზღებდა სატრფოსთან. რამდენიმე დღის წინ ლუსიენი ფანჯრის ნიშაში გაიყვანა სასაუბროდ და გაუმჟღავნა, რას მოითხოვდნენ მისი საქმროსგან მშობლები.

შეიძინეთ ერთი მილიონის მამული და ჩემს ხელს მიიღებთ, უთხრა კლოტილდმა.
მერე გკითხავენ, ფული სად იშოვეო! შენიშნა კარლოსმა, როცა ყმაწვილმა ეს ვითომ უკანასკნელი პირობა გადასცა.

ჩემი სიძე გამდიდრდა, დასძინა ლუსიენმა, მოდი, ის გავასაღოთ პასუხისმგებელ რედაქტორად.

მაშ, ერთი მილიონის მეტი აღარაფერი გვკლებია, შესძახა კარლოსმა, მაგაზე მე ვიზრუნებ.

შუქი რომ მოვფინოთ ლუსიენის მდგომარეობას გრანლიეთა სასახლეში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას იქ არასოდეს უსადილია. ვერც კლოტილდმა, ვერც ჰერცოგინია დჟიუქსელმა, ვერც ქალბატონმა დე მონფრინიეზმა, რომელიც ისევ და ისევ ტკბილად ექცეოდა ლუსიენს, ვერ იქნა და ვერ გამოჰგლიჯეს ჰერცოგს ეს წყალობა, ბებერი აზნაური იმდენად არ ენდობოდა იმ კაცს, ვისაც სირ დე რიუბამპრეს,, უწოდებდა. სალონის ყველა წევრმა შენიშნა ეს საჩოთირო ვითარება, ლუსიენის პატივმოყვარე გულს ლახვრად რომ ესობოდა და აგრძნობინებდა, თქვენს სტუმრობას მხოლოდ ვითმენთო. მაღალი წრე ისე ხშირად მოუტყუებიათ, რომ ჭეშმარიტად უფლება აქვს, მომთხოვნი იყოს! პარიზში თუ ყველა გიცნობს და არც პირადი ქონება, არც სათანადო თანამდებობა გაგაჩნია, ვერავითარი ოსტატობა, ვერავითარი თაღლითობა ვეღარ გიშველის და დიდხანს ვერ იბოგინებ. ლუსიენი წინ მიიწევდა და სულ მეტი დაჟინებით ისმოდა კითხვა: რა სახსრებით ცხოვრობს?,, მეტი ჩარა არ იყო, იძულებული გახდა, ეთქვა ქალბატონი დე სერიზისთვის, ვისი დახმარებითაც მოიპოვა გენერალურ პროკურორ გრანვილის, ერთი მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, გრაფ ოქტავ დე ბოვანის კეთილგანწყობა:

ვალებში ვარ ყელამდე ჩაფლული.
როცა ლუსიენის წინ იღებოდა გრანლიეთა სასახლის დიდი კარიბჭე, რომლის იქითაც მის პატივმოყვარე მისწრაფებებს კანონიერი განხორციელება მოელოდა, მწარედ აგონდებოდა გააბითურე სიკვდილის,, ნათქვამი და გულში სევდიანად ამბობდა: ვგრძნობ, ფეხქვეშ ნიადაგი მერყევა!,, ესთერი უყვარდა და ცოლად კი მადმუაზელ დე გრანლიეს შერთვა ენატრებოდა! საოცარი რამ ხდებოდა! ერთი უნდა გაეყიდა, რათა მეორე დაესაკუთრებინა! მარტოოდენ ერთ კაცს შეეძლო მოეხდინა ამგვარი სპეკულაცია და ლუსიენის სახელი შეუბღალველი დაეტოვებინა. ეს კაცი იყო ცრუ ესპანელი. ორივეს ხომ ევალებოდა, ფიცი არ გაეტეხათ და ერთმანეთის საიდუმლო მტკიცედ დაეცვათ? შეუძლებელია, ცხოვრებაში ორჯერ დაიდოს მსგავსი ხელშეკრულება, რისი მიხედვითაც მოწინააღმდეგე მხარეები დამპყრობელნიც არიან და დაპყრობილნიც.

ლუსიენმა შუბლზე ნისლად ჩამოწოლილი ღრუბელი გადაიყარა და სახეგაცისკროვნებულმა მხიარულად შეაბიჯა გრანლიეთა სასახლის სასტუმრო დარბაზში. ფანჯრები გაეღოთ, ირგვლივ ბაღის სურნელება იფრქვეოდა, სალონის შუაში, ჟარდინიერზე, ყვავილების თვალწარმტაცი პირამიდა აღმართულიყო. კუთხეში, სოფაზე დაბრძანებული ჰერცოგინია ქალბატონ დე შოლიეს ესაუბრებოდა. შორიახლოს რამდენიმე ქალს მშვენიერი ჯგუფი შეექმნა; თითოეული მათგანი ცდილობდა თავისებური პოზითა და იერით ყალბი მწუხარება გამოეხატა. მაღალ საზოგადოებაში სხვისი უბედურება ან ტანჯვა არავის ხვდება გულზე,

თანაგრძნობა მარტოოდენ ლიტონი სიტყვაა. მამაკაცები სალონში თუ ბაღში ბოლთას სცემდნენ, კლოტილდი და ჟოზეფინი მაგიდასთან ფუსფუსებდნენ, ჩაისთვის სუფრას აწყობდნენ. ვიდამ დე პამიე, ჰერცოგი დე გრანლიე, მარკიზი დჟაჟუდაპინტო, ჰერცოგი დე მონფრინიეზი ერთ კუთხეში ვისტს (ﺴﻋﺞ

!) თამაშობდნენ, როცა ლაქიამ მისი მობრძანება აუწყათ. ლუსიენი სალონში შევიდა, მისასალმებლად ჰერცოგინიასკენ გაეშურა და მწუხარების მიზეზი ჰკითხა:

ქალბატონმა დე შოლიემ ახლახან თავზარდამცემი ცნობა მიიღო, მისი სიძე, ბარონი დე მაკიუმერი, ყოფილი ჰერცოგი დე სორია, გარდაცვლილა. ახალგაზრდა ჰერცოგმა დე სორიამ და მისმა მეუღლემ, რომლებიც შანტეპლერში იყვნენ ძმის მოსავლელად, ქალბატონ დე შოლიეს წერილობით შეატყობინეს ეს სამწუხარო ამბავი. ლუიზი უღრმეს სასოწარკვეთილებას მიეცა.

ქალი მხოლოდ ერთხელ შეიძლება უყვარდეთ ისე, როგორც ლუიზი უყვარდა ქმარს, თქვა მადლენ დე მორსოფმა.

მდიდარი ქვრივი კი დარჩა, ჩაურთო მოხუცმა ჰერცოგინია დჟიუქსელმა და მიაშტერდა ლუსიენს, რომელსაც სახეზე ერთი კუნთიც არ შერხევია.

საბრალო ლუიზი, აღმოხდა ქალბატონ დჟესპარს, რარიგ მესმის მისი და რარიგ მებრალება.

მარკიზ დჟესპარის მეუღლემ მგრძნობიარე და მოსიყვარულე ქალის სევდიანი პოზა მიიღო. საბინ დე გრანლიემ, რომელიც მხოლოდ ათი წლისა იყო, დედას მრავალმნიშვნელოვნად შეხედა, თვალები ისე დამცინავად უციმციმებდა, რომ ჩანდა, ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ დედამ მკაცრი მზერა შეაგება და გოგონამ მყისვე თვალები დახარა. აი, რას ნიშნავს ბავშვების წესიერად აღზრდა!

ჩემმა ასულმა კიდევაც რომ გადაიტანოს ეს უბედურება, თქვა ჰერცოგინია დე შოლიემ და სახეს ისეთი გამომეტყველება მისცა, რომელიც უნაზესი დედობრივი მზრუნველობის განსახიერება იყო, მისი მომავალი მოსვენებას არ მომცემს, ლუიზი ხომ ესოდენ რომანტიკული ქალია.

პირდაპირ ვერ გამიგია, ამოიოხრა მოხუცმა ჰერცოგინია დჟიუქსელმა, ვისგან დაჰყვათ ჩვენს ქალიშვილებს ასეთი ხასიათი?

დღეს მეტად ძნელია ჩვენი გრძნობებისა და საზოგადოების პირობითობანის ერთმანეთთან შეთანხმება, ჩაურთო ერთმა ბებერმა კარდინალმა.

ლუსიენს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. ჩაისთვის გაშლილი სუფრისკენ გაემართა და დე გრანლიეთა ასულებს მიესალმა.

მანდილოსანთა ჯგუფს რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა თუ არა, ქალბატონი დჟესპარი ჰერცოგინია დე გრანლიეს ყურთან დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

გჯერათ, რომ ამ ბიჭს გულწრფელად უყვარს თქვენი ძვირფასი კლოტილდი?
შეკითხვის ვერაგობა მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები, თუ რამდენიმე სიტყვით აღვწერთ ქალიშვილის გარეგნობას. ეს ოცდაშვიდი წლის ქალი ამ დროს ფეხზე იდგა და ქალბატონ დჟესპარს შეეძლო დამცინავად შეევლო თვალი მისი სატაცურივით წვრილი და აწოწილი ფიგურისთვის. საბრალო გოგოს მკერდი ფიცარივით ჰქონდა გაბრტყელებული და ამ ნაკლის დასაფარავად, რაც უნდა ემტვრიათ თავი, მკერავები ვერაფერს გააწყობდნენ, თუნდაც ლიფზე კოლონიებიდან შემოტანილი ეგრეთ წოდებული მატყუარა ყელსახვევების,, მთელი გროვა მიეკერებინათ. თავისი გვარის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული კლოტილდი ამას არაფრად აგდებდა, თავს სულაც არ იწუხებდა ნაკლის შესანიღბად და პირიქით, გმირულად გამოკვეთდა. იცვამდა ტანზე შემოკვართულ კაბებს, რომლებიც სწორი და მკვეთრი ხაზებით ქალს შუა საუკუნეების ოსტატთა ქანდაკებებს ამსგავსებდა, ძველი ტაძრების ღრმა ნიშებში რომ ჩანან. სიმაღლით ხუთი ფუტი და ოთხი დუიმი იქნებოდა. თუკი თავს ნებას მივცემთ და ვიხმართ მდაბიურ გამოთქმას, რასაც ის ღირსება მაინც გააჩნია, რომ აზრს სხარტად გამოხატავს, კლოტილდი ფეხებად იყო გადაქცეული. ამიტომაც წელი საშინლად მოკლე მოუჩანდა. შავგვრემანსა და გრუზათმიანს ხშირი წარბები ჰქონდა, მოგიზგიზე, მაგრამ უკვე ამოღამებული თვალები, ნახევარმთვარისებური პროფილი და მაღალი, გამობურცული შუბლი. დედას ჰგავდა, პორტუგალიის ერთერთ უმშვენიერეს ასულს, მაგრამ მის კარიკატურას მოგვაგონებდა. ბუნებას სჩვევია ასეთი ოინბაზობა. ხშირად ხდება, როცა ერთსა და იმავე ოჯახში ქალიშვილი გასაოცარი სილამაზითაა დაჯილდოებული, ხოლო ვაჟი, ვისაც სწორედ დის ნაკვთები დაჰყოლია, სრული სიმახინჯით გამოირჩევა, ერთმანეთს კი ჰგვანან. მაგრად მოკუმულ ტუჩებზე კლოტილდს მუდამ ზიზღის გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა. ამიტომაც ბაგენი სახის სხვა ნაკვთებზე მეტად უმჟღავნებდა გულისნადებს, ვინაიდან სიყვარული მათზე მომხიბვლელ კვალს ტოვებდა და მიმზიდველს ხდიდა, თუმცა შავტუხა სახეზე ლოყები არასოდეს ეფაკლებოდა და მკაცრად მომზირალი შავი თვალებიც მგრძნობიარობაზე არასოდეს მეტყველებდა. ამგვარი ნაკლისდა მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ტანი ფიცარივით ბრტყელი ჰქონდა, აღზრდა და ჯიში დიდებულ გარეგნობას უქმნიდა, სიამაყეს მატებდა, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც სხარტად უწოდებენ რაღაც ისეთს,,, რომელიც, შესაძლოა, მისი თამამი ჩაცმულობისგანაც გამომდინარეობდა და კარგი ოჯახიშვილობისგანაც. კოხტად ივარცხნიდა და ამზეურებდა თმის სირბილეს, სიხშირესა და სიგრძეს, რაც ლამაზ ქალსაც კი შეშურდებოდა. ოსტატურად დაყენებული ხმა წარმტაცად ჟღერდა. საუცხოოდ მღეროდა. კლოტილდი იმ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისზედაც იტყვიან ხოლმე: ლამაზი თვალები აქვს,,, ანდა საუცხოო ხასიათი აქვსო,,. თუკი ვინმე

ინგლისურ ყაიდაზე მიმართავდა: თქვენო მოწყალებავ,,, არ გაუჭირდებოდა, ეთქვა, თქვენო სიწვრილევ,, მიწოდეთო.

რაო, ვითომ რატომ არ უნდა უყვარდეთ ჩემი საბრალო კლოტილდი? მიუგო ჰერცოგინიამ მარკიზ დჟესპარის მეუღლეს, იცით, რა მითხრა გუშინ? თუ პატივმოყვარეობა ამოძრავებს და იმიტომ ვუყვარვარ, იმასაც მივაღწევ, პირადად მე შევუყვარდეო. გონიერია და ამპარტავანი. ზოგიერთ მამაკაცს მოსწონს ამგვარი ხასიათის ქალი. ბიჭი კი ოცნებასავით ლამაზია და თუკი შეძლებს რიუბამპრეთა მამულის გამოსყიდვას, ჩვენი ხათრით მეფე დაუბრუნებს მარკიზის ტიტულს... ბოლოს და ბოლოს, დედამისი ხომ რიუბამპრეთა უკანასკნელი შთამომავალი იყო...

საწყალი ბიჭი, სად იშოვის მილიონს? იკითხა ქალბატონმა დჟესპარმა.

რა მოგახსენოთ, ეგ ჩვენი საქმე არ გახლავთ, თქვა ჰერცოგინიამ, მაგრამ დარწმუნებული კი ვართ, ქურდობას არ იკადრებს... ეგეც არ იყოს, კლოტილდს ხომ ვერ მივათხოვებთ ვიღაც ვიგინდარას ან სინდისგარეცხილ კაცს, თუნდაც იგი პოეტი ბრძანდებოდეს და ისეთივე პირმშვენიერი ჭაბუკი, როგორიც თვით ბატონი დე რიუბამპრეა.

გვიან მოხვედით, უღრმესი სინაზით უთხრაა სახეგაბადრულმა კლოტილდმა ლუსიენს.

დიახ, სხვაგან ვისადილე.

ამ ბოლო დროს სულ ხალხში ტრიალებთ, სტუმრადაც ხშირად დადიხართ მაღალ საზოგადოებაში, უსაყვედურა ქალმა, თუმცა შეეცადა, ღიმილით დაეფარა შეშფოთება და ეჭვიანობა.

მაღალ საზოგადოებაშიო? გაიმეორა ლუსიენმა, ოჰ, არა, მთელი კვირაა, საოცარ შემთხვევათა დამთხვევით სულ ბანკირებთან ვსადილობ. დღეს ნიუსინჟენთან, გუშინ დიუ ტიესთან, გუშინწინ კელერთან...

როგორც ვხედავთ, ლუსიენს კარგად შეეთვისებინა დიდ ბატონთა გონებამახვილური კადნიერება.

თქვენ ბევრი მტერი გყავთ, უთხრა კლოტილდმა და ფინჯანი ჩაი მიაწოდა (მერედა როგორი სინარნარით!), მამაჩემს საიდანღაც გაუგია, ვითომც სამოცი ათასი ფრანკი დაგდებიათ ვალად და მალე სააგარაკო ციხედარბაზის ნაცვლად სენტპელაჟის ციხეში მოხვდებით. ნეტავ იცოდეთ, რა მიჯდება ეს ჭორიკანობა... როგორ ვიტანჯები. ჩემს მწუხარებას არ ვჩივი,

მამაჩემის გამოხედვა ეკალივით მესობა გულში. თქვენ რა დღეში ჩავარდებით, თუკი ეს ჭორი მცირეოდენ სიმართლეს მაინც შეიცავს...
ყურს ნუ უგდებთ მათ სისულელეებს, მხოლოდ ისე შემიყვარეთ, როგორც მე მიყვარხართ და რამდენიმე თვე დამაცადეთ, მიუგო ლუსიენმა და ცარიელი ფინჯანი ვერცხლის ჭედურ ლანგარზე დადო.
თვალში ნუ მოხვდებით მამაჩემს. რამე თავხედურს გეტყვით, თქვენც ვერ მოითმენთ და დავიღუპებით... ბოროტმა ქალბატონმა დჟესპარმა ჩაუკაკლა, დედათქვენი რომ მშობიარე ქალებს უვლიდა, ხოლო თქვენი და თეთრეულს აუთოებდა.

უკიდურეს სიღატაკეში ჩავცვივდით, მოახსენა ლუსიენმა და თვალში ცრემლი მოერია, ეგ ჭორი არ გახლავთ, მარტოოდენ ოსტატურად შეთხზული ავყიობაა. ამჟამად ჩემი და მილიონზე მეტი ქონების მფლობელია, ხოლო დედა ორი წლის წინ მომიკვდა... ეგ ცნობები იმ დღისთვის შემოუნახავთ, როცა აქ ბედი გამიღიმებდა...

რა დაუშავეთ ქალბატონ დჟესპარს?

მართლაც დაუფიქრებლად კი მოვიქეცი. ერთხელ ქალბატონ დე სერიზის ოჯახში, ბატონ დე ბოვანისა და ბატონ დე გრანვილის თანდასწრებით ხუმრობით მოვყევი იმ სასამართლო პროცესის შესახებ, თავისი ქმრის, მარკიზ დჟესპარის წინააღმდეგ რომ აღძრა, რათა მასზე მეურვეობა დაეწესებინათ. ეს ამბავი თავის დროზე ბიანშონმა გამიმჟღავნა. ბატონმა დე გრანვილმა მეურვეობის დაწესება უკანონოდ მიიჩნია. მას მხარი დაუჭირეს ბოვანმა და სერიზიმ და კანცლერს დადგენილება შეაცვლევინეს. მხარეებმა უკან დაიხიეს სასამართლოს გაზეთისა,, და საქვეყნო სკანდალის შიშით. ქალბატონ დჟესპარს თავისი მიუზღეს და ეს სასამართლოს განაჩენშიაც შეიტანეს. ბატონმა დე სერიზიმ საიდუმლო ვერ დაფარა და მარკიზ დჟესპარის მეუღლე სამკვდროსასიცოცხლოდ გადამამტერა. სამაგიეროდ, დავიმსახურე მფარველობა თავად ბატონი დე სერიზის, გენერალური პროკურორისა და ოქტავ დე ბოვანისა, ვისაც ქალბატონმა დე სერიზიმ განუმარტა, რა საფრთხეც დამატეხეს თავს იმით, რომ გამოააშკარავეს, თუ საიდან მიიღეს ცნობები მეურვეობის საქმის თაობაზე. ესეც არ მაკმარეს. ბატონი მარკიზ დჟესპარიც ძალიან დაუფიქრებლად მოიქცა. რაკი ამ ლაფდამსხმელი პროცესის კეთილად დაგვირგვინების ერთერთ ქომაგად ჩამთვალა, ადგა და სტუმრად მეწვია.

მე მოგაცილებთ ქალბატონ დჟესპარს, შესთავაზა კლოტილდმა.

რანაირად? შესძახა ლუსიენმა.

დედაჩემი ჩვენთან დაპატიჟებს დჟესპარის მომხიბლავ შვილებს. მამა და მისი ორი ვაჟი ხოტბადიდებით მოგიხსენიებენ და დარწმუნებული ვარ, ეგ ქალი აქ ფეხს ვეღარ შემოდგამს.

ოჰ, კლოტილდ, რა გასაგიჟებლად მშვენიერი ხართ! თავად თქვენ რომ არ მხიბლავდეთ, თქვენი გონიერების გამო შეგიყვარებდით.

გონება არაფერ შუაშია, უთხრა ქალმა და ღიმილით გამოსახა თავისი სიყვარული ლუსიენისადმი, მშვიდობით, რამდენიმე დღეს ნუღარ მოხვალთ. წმინდა თომა აკვინელის ტაძარში თუ პირისფერი შალი მექნება მოსხმული, მიხვდებით, რომ მამაჩემს გუნებაგანწყობა შეეცვალა. საპასუხო წერილი თქვენი სავარძლის ზურგზეა მიკრული, იქნებ მაგან შეგიმსუბუქოთ განშორების ვარამი... თქვენი ბარათი კი ცხვირსახოცში ჩამიდეთ...

აშკარად ჩანდა, ეს ყმაწვილი ქალი ოცდაშვიდ წელზე მეტი ხნისა უნდა ყოფილიყო.

პლანშის ქუჩაზე ლუსიენმა ფიაკრი დაიქირავა. ბულვარებზე გადავიდა, მადლენთან მეორე ფიაკრში ჩაჯდა და სთხოვა, ტეტბუს ქუჩაზე ერთ ეზოში შესულიყო.

ღამის თერთმეტ საათზე ესთერს ეწვია. ქალი ცრემლს ღვრიდა, თუმცა ჩვეულებისამებრ, სატრფოს შესახვედრად მორთულმოკაზმულიყო. ყვითელი ყვავილებით ამოქარგულ თეთრ ატლასის დივანზე წამოწოლილს უკორსეტო ტანზე ალუბლისფერი ბაფთებით გაწყობილი ინდური მუსლინის საუცხოო პენუარი ეცვა. თმა დაუდევრად დაეხვია თავზე, ფეხები ალუბლისფერივე ატლასისსარჩულიან ხავერდის კოხტა მაშიებში გაეყარა. შანდლებში ყველა სანთელი აენთოთ და ყალიონიც გაემზადებინათ, მაგრამ ქალი არ ეწეოდა თავის ჩიბუხს, ცეცხლმოუკიდებლად ეგდო გვერდით, ჩანდა, სევდას შეეპყრო. რაკი გაიგონა, კარი გაიღოო, ცრემლი მყისვე შეიშრო, ქურციკივით წამოხტა და ლუსიენს ისე შემოაჭდო კისერზე მკლავები, როგორც ქარის მიერ წამოღებული ქსოვილი შემოეხვევა ხეს.

გშორდები? ჰკითხა მან, ნუთუ მართალია?

რას ამბობ? მხოლოდ რამდენიმე დღით, მიუგო ლუსიენმა.

ესთერი ჭაბუკს მოსცილდა და დივანზე მკვდარივით დაეგდო. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალთა უმრავლესობა თუთიყუშებივით ატარტარებს ენას! მიყვარხარო, გეფიცებიან... ხუთი წელია გასული და ისევე უყვარხართ, როგორც გაბედნიერების მეორე დღეს უყვარდით; არ ძალუძთ განშორება. შესანიშნავად გამოხატავენ აღშფოთებას, სასოწარკვეთას, სიყვარულს, ბრაზს, სინანულს, შიშს, დარდს, წინათგრძნობას! ერთი სიტყვით, ისეთივე თვალწარმტაცნი არიან, ვითარცა სცენა შექსპირის პიესიდან. მაგრამ იცოდეთ, ამ ქალებს არ უყვართ სატრფო. თუკი მართლაც განიცდიან იმას, რასაც ამბობენ, თუკი მათ გულში ჭეშმარიტი მიჯნურობის კოცონი ანთია, ესთერივით იქცევიან, ბავშვებივით. სხვაგვარად შეუძლებელია გამოიხატოს გულწრფელი გრძნობა. ესთერი

კრინტსაც არ ძრავდა. თავი ბალიშებში ჩაერგო და ცხარე ცრემლებით ტიროდა. ლუსიენი ცდილობდა, ფეხზე წამოეყენებინა და თან ეუბნებოდა:

ჩემო გოგონა, ჩვენ ხომ არ დავცილებულვართ ერთმანეთს... საცაა ოთხი წელიწადი შესრულდება, რაც ბედნიერები ვართ და განა შეიძლება, ეგრე მძიმედ განიცდიდე ხანმოკლე განშორებას?

გაახსენდა, კორალის ასევე რომ უყვარდა და გულში თქვა: ნეტავ რით ვხიბლავ ამ გოგოებს?,,

ეჰ, ბატონო, თქვენ ისე ლამაზი ხართ, უთხრა ევროპამ.
გრძნობას მშვენიერების საკუთარი იდეალი აქვს. მაცდუნებელ სილამაზეს ხასიათის სირბილეც თუ ერწყმის და ლუსიენისთვის დამახასიათებელი პოეტურობაც, ადვილად გასაგებია, რარიგად გიჟურ ვნებას აღუძრავს იგი ბუნებით მომადლებული გარეგნობისადმი უკიდურესად მგრძნობიარე არსებებს, რომლებიც გულუბრყვილოდ გამოხატავენ აღტაცებას. ღრმა მწუხარებაში ჩაფლული ესთერი დივანზე ეგდო და ჩუმად ქვითინებდა.

აბა, რას სჩადი, პაწია სულელო, ეუბნებოდა ლუსიენი, აკი გითხრეს, ჩემი ბედი წყდება!.. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია!

ლუსიენის ამ განზრახ ნათქვამ სიტყვაზე ესთერი მძვინვარე მხეცივით ზეაღიმართა და გაშლილი თმა მის ღვთაებრივ სხეულს სუროსავით შემოეხვია. ყმაწვილს თვალი თვალში გაუყარა და შეჰყვირა:

შენი სიცოცხლე?! ხელები გაასავსავა და მერე ძირს დაუშვა, როგორც აკეთებენ მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი ქალები, მართალი ყოფილა. იმ გარეწრის ბარათში მეტად სერიოზული ამბები წერია.

ქამარში შეჩურთული დაჭმუჭნილი ქაღალდი გამოაძრო, მაგრამ ევროპა მოხვდა თვალში და უთხრა:

დაგვტოვე, ჩემო კარგო, როცა ევროპამ კარი გაიხურა, ქალმა განაგრძო, აჰა, ნახე, რას მწერს, და ლუსიენს გაუწოდა ცოტა ხნის წინ მიღებული კარლოსის წერილი. ჭაბუკმა ხმამაღლა წაიკითხა:

ხვალ დილის ხუთ საათზე გაემგზავრებით. სენჟერმენის ტყეში მიგიყვანენ, ტყის მცველთან. იქ, მეორე სართულზე ოთახს მოგცემენ. ოთახიდან ფეხს არ გამოადგამთ, სანამ ჩემს ნებართვას არ მიიღებთ. არაფერი მოგაკლდებათ. ტყის მცველი და მისი ცოლი სანდონი არიან. ლუსიენს ნურაფერს მისწერთ. თუკი გავლას მოისურვებთ, ტყის მცველის თანხლებით

ღამით გაისეირნეთ. გზაში კარეტის ფარდები ჩამოფარებული გქონდეთ. ლუსიენის სიცოცხლეს საფრთხე მოელის.

ლუსიენი ამავე საღამოს მოვა თქვენთან გამოსამშვიდობებლად. ბარათი მისი თანდასწრებით დაწვით,..

ლუსიენმა მაშინვე სანთლის ალზე დაწვა წერილი.

მომისმინე, ძვირფასო, მიმართა ესთერმა მას შემდეგ, რაც წერილი მოისმინა ისე, როგორც ბოროტმოქმედნი ისმენენ განაჩენს, არ გეტყვი, მიყვარხარმეთქი, ეს ხომ სისულელე იქნება... მალე ოთხი წელი შესრულდება, რაც მე შენი სიყვარული ისევე ბუნებრივი მეჩვენება, როგორც სუნთქვა, სიცოცხლე... პირველი დღიდანვე, როცა ჩვენი ბედნიერება დაიწყო იმ გამოუცნობი კაცის მფარველობის წყალობით, რომელმაც მე აქ პატარა მხეცივით გამომამწყვდია, ვიცოდი, რომ შენ ცოლს შეირთავდი. ქორწინება შენი მომავლის საწინდარია და ღმერთმა ნუ შემასწროს, რომ შენს ბედნიერებას გზაზე გადავეღობო. შენი ჯვრისწერა ჩემი სიკვდილია, მაგრამ მე არაფრით შეგაწუხებ, გრიზეტივით არ მოვიქცევი და თავის მოსაკლავად არ მოვიშველიებ მაყალსა და ნახშირს. ისიც კმარა, ერთხელ რომ ვცადე და, მარიეტის თქმისა არ იყოს, გამეორება გულს მირევს. ოჰ, არა, წავალ აქედან, დავიკარგები შორს, ძალიან შორს, საფრანგეთს გავცილდები. აზიას სამშობლოდან ჩამოჰყოლია საწამლავის დამზადების საიდუმლო და დამპირდა, გასწავლი, მშვიდად როგორ მოკვდეო. ერთს იჩხვლეტ და მორჩა! ყველაფერი დასრულდება. მხოლოდ ერთს გთხოვ, ჩემო სათაყვანებელო ანგელოზო, ნუ მომატყუებ. სიცოცხლესთან მე ჩემი ანგარიშები მაქვს: იმ დღის შემდეგ, რაც შენ გნახე, 1824 წლიდან დღევანდლამდე, უფრო მეტი ბედნიერება განვიცადე, ვიდრე ათი ბედნიერი ქალი განიცდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თვალი გამისწორე და დარწმუნდი, რომ ჩემი სისუსტე ძალაა ჩემი. მითხარი მხოლოდ, ცოლს ვირთავო. მარტო იმას გთხოვ, ალერსიანად გამომემშვიდობო და ჩემზე ამის შემდეგ აღარაფერს გაიგონებ... სიყვარულის ამგვარი გამომჟღავნების შემდეგ, რაც გულწრფელობით მხოლოდ და მხოლოდ ესთერის ქცევისა და ლაპარაკის მიამიტობას თუ შეედრებოდა, სიჩუმე ჩამოვარდა, ჯვარს იწერ? ჰკითხა და ხანჯლის პირივით ლაპლაპა და მომაჯადოებელი თვალთა მზერა ლუსიენის ლურჯ თვალებს მიაპყრო.
აგერ თვრამეტი თვეა ჩემი დაქორწინებისთვის ვიბრძვით და ჯერაც ვერაფერი გაგვიწყვია, მიუგო ლუსიენმა, არც ვიცი, როდის მეღირსება ჯვრისწერა. მაგრამ ეგეც არაფერი, ჩემო ძვირფასო გოგონავ... უბედურება დაგვატყდა ყველას, აბატს, მე, შენ... დიდი საფრთხე გვემუქრება... ნიუსინჟენმა დაგინახა...

დიახ, დაუდასტურა ესთერმა, ვენსენის ტყეში. მერედა რა, მიცნო?..

არა, ვერ გიცნო, მიუგო ვაჟმა, მაგრამ ისე გაგიჟებით შეუყვარდი, რომ ფულის ზანდუკებიც კი გადაავიწყდა. ნასადილევს, როცა შენთან შეხვედრაზე ჰყვებოდა და შენი გარეგნობა

აღწერა, უნებლიეთ გამეღიმა. დაუფიქრებლად მომივიდა. ხომ იცი, როგორ ვარ მომწყვდეული ამ საზოგადოებაში, როგორც ველური მტრულად განწყობილი ტომის დაგებულ მახეში. კარლოსი სულ იმის ცდაშია, თავიდან მომაშოროს ყოველგვარი საზრუნავი, ახლაც მითხრა, მძიმე განსაცდელი მოგველის, ეგ საქმე მე მომანდეო. შემპირდა, ნიუსინჟენს პირში ჩალაგამოვლებულს დავტოვებ, ჯაშუშები თუ მოგვისიაო. დარწმუნებული იყავი, ნიუსინჟენი არაფრის წინაშე არ დაიხევს. რაღაცას მეუბნებოდა პოლიციის უძლურებაზე... შენ ხანძარი გაუჩინე ჭვარტლით სავსე ძველ ბუხარს...

მერედა რას აპირებს შენი ესპანელი? წყნარად იკითხა ესთერმა.

მე თვითონაც არ ვიცი. მიბრძანა, არხეინად დაიძინეო, უპასუხა ლუსიენმა და ქალისთვის თვალის გასწორება ვერ გაბედა.

თუ ეგრეა, მის ბრძანებას შევასრულებ ძაღლური მორჩილებით, როგორც ჩემი ხელობის ქალებს სჩვევიათ, უთხრა ესთერმა, მერე სატრფოს კისერზე ხელი მოხვია, საძინებელში გაიყვანა და ჰკითხა, კარგად მაინც თუ დანაყრდი, ჩემო ლულუ, იმ წუწკ ნიუსინჟენთან?

აზია ისეთი მზარეულია, რომ სხვისი სადილი ვიღას მოეწონება, გინდ თვით სახელგანთქმული ოსტატის ხელიც ერიოს. მაგრამ ნიუსინჟენთან, როგორც ყოველ კვირა დღეს, კარემსმოუმზადებია საჭმელი.

ანგარიშმიუცემლად ლუსიენი ესთერს კლოტილდს ადარებდა. მისი საყვარელი ისე ლამაზი იყო, ყოველთვის ისე მომხიბლავად გამოიყურებოდა, რომ ჯერჯერობით ახლოსაც არ გაჰკარებოდა ყოველი მგზნებარე ტრფობის შთანმთქმელი ურჩხული მოყირჭება. ლუსიენი გულში ამბობდა: რა სამწუხაროა, როცა ცოლი ორ ტომად მოგვლენია! ერთ ტომშია პოეზია, ვნება, სიყვარული, ერთგულება, მშვენიერება, ნეტარება,,. ესთერი ფუსფუსებდა, როგორც ფუსფუსებენ ქალები დაწოლის წინ. მიდიოდა, მოდიოდა, პეპელასავით დაფარფატებდა და ღიღინებდა. სამოთხის ჩიტს ჰგავდა... მეორე ტომშია კეთილშობილი წარმოშობა, ჯიშიანობა, პატივისცემა, მაღალი მდგომარეობა, აღზრდა, თავდაჭერა და არაფრით არ შეიძლება მათი ერთ პიროვნებაში გაერთიანება!,, ფიქრობდა ჭაბუკი.

მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე, ვარდისფერი და თეთრი ტონებით დამშვენებულ კოპწია ოთახში გაიღვიძა ლუსიენმა. მარტოდმარტო იყო. ზარი დაირეკა, ევროპამ მოირბინა.

რა ნებავს ბატონს?
ესთერი!

ქალბატონი განთიადზე, ხუთს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, მაშინ გაემგზავრა. ბატონი აბატის განკარგულებით აქ სხვა ვინმე მოგვიყვანეს.

ქალია?

დიახ, ბატონო, ინგლისელი... იმნაირია, ღამღამობით რომ მიჰყავთ ნაღდ ანგარიშზე. ჩვენ კი ნაბრძანები გვაქვს ისე მოვექცეთ, თითქოს ჩვენი ქალბატონი იყოს. ნეტავ ბატონს რისთვის დასჭირვებია ეგ ჯაგლაგი? საბრალო ქალბატონი როგორ ტიროდა, როცა ეტლში ჯდებოდა... რა ვქნა, ასეა საჭირო!... საბრალო ფისო, მძინარე მივატოვე, მითხრა და თან ცრემლებს იწმენდდა, ევროპა, ჩემთვის რომ შემოეხედა, ჩემი სახელი წამოსცდენოდა, უთუოდ დავრჩებოდი და მასთან ერთად შევეგებებოდი სიკვდილს! ოჰ, როგორ მიყვარს ქალბატონი, არც კი ვაჩვენე შემცვლელი. რამდენიც გნებავთ, იმდენ მოახლეს წააწყდებით, რომელნიც უდიდესი სიამოვნებით გაუხეთქენ გულს თავიანთ ქალბატონებს.

მაშ, უცნობი აქ არის?

როგორ არა, ბატონო, იმავე ეტლით მოვიდა, რომლითაც ქალბატონი წავიდა და როგორც ნაბრძანები მქონდა, ჩემს ოთახში დავმალე.

ლამაზი მაინც თუა?

ქუჩის ქალის კვალობაზე არა უშავს რა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, როლის შესრულება არ გაუჭირდება, თუკი ბატონი მოინდომებს, უთხრა ევროპამ და ცრუ ესთერის მოსაყვანად გაეშურა.

წინაღამეს, დაძინებამდე, ყოვლისშემძლე ბანკირმა ბრძანება გასცა და სწორედ ამ ბრძანების თანახმად, დილის შვიდ საათზე პირისფარეშმა პატარა სალონში უკვე შემოიყვანა სახელგანთქმული ლუშარი, სავაჭრო სასამართლოს ბოქაულთა შორის ყველაზე მოხერხებული კაცი. მაშინვე გამობრძანდა ბარონიც ხალათისა და მაშიების ამარა.

დამზინიტ, არა? ბოქაულის სალამზე პასუხად უთხრა ნიუსინჟენმა.

აბა, რა მექნა, ბატონო ბარონო, ჩემს მოვალეობას ვერ ვუღალატებდი. ადრეც მქონდა პატივი, თქვენთვის მომეხსენებინა, არ შემიძლია ისეთ საქმეში გავერიო, რაც ჩემს სამსახურს არ შეეხებამეთქი. რა დაგპირდით? დაგაკავშირებთ ყველაზე მარჯვე აგენტს, რომელიც, სრულიად დარწმუნებული ვარ, გამოგადგებათმეთქი. განა ბატონ ბარონს არ მოეხსენება, რომ ყველა ხელოსანს თავისი საქმე აქვს და სხვა ხელობას ვერ მოჰკიდებს ხელს?.. სახლს რომ აშენებენ, განა კალატოზის საქმეს ზეინკალს მიანდობენ? არსებობს ორი პოლიცია:

პოლიტიკური და სისხლის სამართლის. სისხლის სამართლის პოლიციის აგენტები პოლიტიკური პოლიციის ძიებაში არ ერევიან და ვიცე ვერსა

.თუ პოლიტიკური პოლიციის სამმართველოს უფროსს მიმართავთ, მან მინისტრის წინაშე უნდა იშუამდგომლოს, რათა ნება დართონ, თქვენს საქმეს ხელი მოჰკიდოს. თქვენ კი ვერ გაკადნიერდებით და ამას სამეფო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს ვერ განუმარტავთ. პოლიციის აგენტი კერძო პირისგან თუ მიიღებს დაკვეთას, მყისვე ადგილს დაკარგავს. სისხლის სამართლის პოლიცია პოლიტიკურ პოლიციაზე ნაკლებად ფრთხილი როდი გახლავთ. ამგვარად, შინაგან საქმეთა სამინისტროში იქნება თუ პრეფექტურაში, არავის ძალუძს ერთი ნაბიჯიც კი ისე გადადგას, რომ რაიმე სამსახური არ გაუწიოს სახელმწიფოს ან მართლმსაჯულების ინტერესებს. რაიმე შეთქმულებას ანდა ბოროტმოქმედებას რომ ეხებოდეს საქმე, ღმერთმანი, ყველა უფროსი მტლად დაგედებოდათ. მაგრამ გთხოვთ, გამიგოთ, ბატონო ბარონო, საქმეს რა გამოლევს და აბა, ვის შეუძლია სიყვარულით ახუნტრუცებული ორმოცდაათი ათასი პარიზელისთვის თავი გაიცხელოს. ჩვენ კი, პატარა ხალხი, ვალდებული გახლავართ, მხოლოდ მევალეების დაპატიმრებაზე ვიზრუნოთ, ეს არის და ეს, სხვა არაფერი გვეკითხება და თუ სხვაგან შევყავით ცხვირი, ვაი ჩვენი ბრალი, შავ დღეს დაგვაყრიან, თუკი ვინმეს მშვიდი ცხოვრება დავურღვიეთ. მე ჩვენი აგენტი გამოგიგზავნეთ, მაგრამ ისიც დავძინე, მის მაგივრად პასუხს ვერ ვაგებმეთქი. თქვენ მას დაავალეთ ერთი ქალის მოძებნა პარიზში, კონტანსონმა ათასიანი ასიგნაცია დაგცინცლათ, თუმცა თქვენთვის თავი სულაც არ შეუწუხებია. გინდა მდინარეში ნემსი გიძებნია და გინდა პარიზში ქალი, რომლის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ვენსენის ტყეში სეირნობდა, ხოლო თქვენი აღწერით ყველა პარიზელ ლამაზმანს ჰგავს.

გონდანზონს განა არ შეეზლო ზიმარტლე ეტკვა ჩემტვიზ, აწუწუნდა ბარონი, იმან კი რა ქნა, ატაზი ფრანქი დამზინზლა, განა ეზ პატიოზანი ზაკზიელია?

მომისმინეთ, ბატონო ბარონო, უთხრა ლუშარმა, თუ ინებებთ და ათას ეკიუს მიბოძებთ, მე თქვენ მოგცემთ... მოგყიდით ერთ რჩევას.

მერედა, ღირზ ეგ რჩევა ატაზ ეკიუტ? შეეკითხა ნიუსინჟენი.

თქვენ ვერ გამაცურებთ, ბატონო, მიუგო ლუშარმა, შეყვარებული ბრძანდებით, გადაგიწყვეტიათ, რადაც უნდა დაგიჯდეთ, იპოვოთ სატრფო, ვის გამოც ისე ჩამოხმით, როგორც სალათი უწყლოდ. თქვენმა ლაქიამ მითხრა, ბატონი გუშინ ორმა ექიმმა გასინჯა და ფიქრობენ, მძიმე მდგომარეობა აქვსო. ჩემს მეტს არავის შეუძლია მარჯვე აგენტის გამოძებნა... ჰოდა, ეშმაკმა დალახვროს, ნუთუ თქვენი სიცოცხლე ათასი ეკიუ არ ღირს?

მიტხარიტ ზახელი ტკვენი მარშვე ქაცისა და ენდეტ ჩემზ ხელგაშლილობაზ!

ლუშარმა ქუდი აიღო, გამოემშვიდობა და წასვლა დააპირა.

ჟოჟოხეთიზ მოზიკულო! შეჰყვირა ნიუსინჟენმა, დაბრუნტი... ვიზლევი...
არ დაგავიწყდეთ, უთხრა ლუშარმა, სანამ ფულს გამოართმევდა, მე გაწვდით მარტოოდენ ცნობებს და სხვას არაფერს. გეტყვით გვარს და მისამართს ერთადერთი კაცისა, ვისაც შეუძლია სამსახური გაგიწიოთ; მაგრამ ეს კაცი ოსტატია...

შანდაბაზ შენი ტავი! შესძახა ბანკირმა, მარტო როტშილდიზ ზახელი ტუ ღირზ ატაზი ეკიუ, იზიც მაშინ, როტეზაც ტამასუქზე მიცერია... ვიზლევი ატაზ ფრანქზ!

გაიძვერა ლუშარმა, რომელმაც გაქნილობისდა მიუხედავად, ვერ მიაღწია ვერც ადვოკატობას, ვერც ნოტარიუსობას, ვერც ვექილობას, ქვეშქვეშ მრავალმნიშვნელოვნად გახედა ბარონს.

აბა, თქვენთვის რა ფულია ათასი ეკიუ, რამდენიმე წამში ამოიგებთ ბირჟაზე, უთხრა მან.

ატაზ ფრანქზ გაზლევტ! გაიმეორა ბარონმა.

ოქროს მადანი რომ შემოგთავაზოთ, იმაზეც დაიწყებთ ვაჭრობას! მიუგო ლუშარმა, ისევ გამოემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

მაგ მიზამარტზ ხუთაზ ფრანქატ მივიღებთ, წამოიძახა ბარონმა და თავის პირისფარეშს უთხრა, მდივანი შემოვიდესო.

ტიურკარეაღარ არსებობს. დღეს დიდი თუ პატარა ბანკირი გაიძვერობას წვრილმანებზე ხარჯავს. ხელოვნება, ქველმოქმედება, სიყვარული მისთვის სავაჭრო საქონელია. რომ დასჭირდეს, ცოდვების მონანიებაზედაც შეევაჭრება რომის პაპს. ჰოდა, როცა ლუშარს უსმენდა, ნიუსინჟენმა უცბად გაიფიქრა, კონტანსონი სავაჭრო პოლიციის ბოქაულის მარჯვენა ხელია და უთუოდ ეცოდინება ჯაშუშთა ოსტატის,, მისამართიო. კონტანსონი ხუთას ფრანკად დაუთმობდა იმას, რასაც ლუშარი ათას ეკიუდ იძლეოდა. ეს სწრაფი კომბინაცია უდავო საბუთი გახლავთ იმისა, რომ ამ კაცს გული თუმცა სიყვარულით ჰქონდა სავსე, თავი ისევ მტაცებელი მგლისა ება.

ტქვენ ტვიტონ ცაბრზანდიტ, ბატონო ჩემო, უთხრა ბარონმა მდივანს, გონდანზონტან, ზავაშრო პოლიზიიზ მოხელიზ, ლუშარიზ ჯაშუშტან, ზაზწრაფოდ დაიქირავეტ ექიფაჟი და დაუქოვნებლივ მომგვარეტ, გელოდებიტ! დაბრუნებიზაზ ბაგიდან შემოდიტ. აჰა, გაზაღები, იზოდეტ, არავინ დაინახოზ, ეზ ქაცი რომ ჩემტან შემოვიტა. ბაღიზ პატარა პავილიონში დამიცადოს. აბა, ეზადეტ, ჩემი დავალება გონივრულატ შეაზრულოტ.

ნიუსინჟენთან ხან რა საქმეზე შედიოდნენ, ხან რაზე, მაგრამ იგი კონტანსონს ელოდებოდა და ესთერზე ოცნებობდა. თავის თავს არწმუნებდა, რომ სულ მალე ნახავდა ქალს, მოულოდნელად რომ აღუძრა ისეთი გრძნობა, რასაც უკვე აღარ მოელოდა. ყველა დაითხოვა; ზოგს რაღაც გაუგებრად ჩაუბურტყუნა, ზოგს ორაზროვანი დაპირება მისცა. ახლა მას მთელ პარიზში კონტანსონზე მნიშვნელოვანი პიროვნება არავინ ეგულებოდა. წამდაუწუმ ბაღში იყურებოდა. ბოლოს ბრძანება გასცა, აღარავინ მიეღოთ და საუზმე ბაღის ერთ კუთხეში აგებულ პავილიონში გააშლევინა. ბარონის კანტორებში თავს იმტვრევდნენ და ვერ გაერკვიათ, რა იყო მიზეზი მათი პატრონის ასეთი ახირებული საქციელისა და აშკარა ყოყმანისა, მით უმეტეს, რომ მთელ პარიზში მასზე შორსმჭვრეტელი და გაქნილი ბანკირი არ მოიძებნებოდა.

ნეტავ რა დაემართა პატრონს? ეკითხებოდა ბირჟის მაკლერი კანტორის უფროს მოხელეს. არავინ იცის. ერთი კია, შიშობენ, ავად ხომ არ არისო. გუშინ ქალბატონმა ბარონის მეუღლემ ექიმები მოიწვია, დეპლენი და ბიანშონი...

ერთ დღეს ნიუტონს უცხოელები სწორედ მაშინ ესტუმრნენ, როდესაც თავის ერთერთ ძაღლს მკურნალობდა. ძაღლი ძუკნა იყო და სახელად ეჟეტჟ

ერქვა. ამ ძაღლმა ნიუტონს ერთი უდიდესი ნაშრომი დაუღუპა, სწავლულმა კი მხოლოდ ეს უთხრა: აჰ, ეჟეტჟ

, არ გესმის, ახლა რა გაანადგურე,,... დიდი მეცნიერის საქმიანობისადმი მოწიწებით გამსჭვალული უცხოელები უკან გაბრუნდნენ. ყველა დიდი ადამიანის ცხოვრებაში წააწყდებით რომელიღაც პატარა ეჟეტჟ

,,. XVIII საუკუნის ერთერთი უდიდესი მნიშვნელოვანი გამარჯვების, მაგონის აღების შემდეგ რიშელიე მისალოცად ლუი XVს ეახლა, მეფემ კი უთხრა: იცი, რა უბედურება შეგვემთხვა?.. საბრალო ლანსმატი მოკვდა!,, ლანსმატი კონსიერჟი გახლდათ, მეფის სასიყვარულო ინტრიგების ავანჩავანი. პარიზელი ბანკირები ვერასოდეს გაიგებენ, რა სიკეთე მოუტანათ კონტანსონმა. ამ ჯაშუშის წყალობით ნიუსინჟენმა ერთი უდიდესი საქმე უყურადღებოდ დატოვა და მთელი მოგება სხვა ბანკირებს ჩაუგდო ხელში. მგელმტაცებელს ყოველდღე შეეძლო მიზანში ამოეღო და საბირჟო სპეკულაციის არტილერიით სროლა აეტეხა ნებისმიერი ქონების მფლობელისთვის, მაგრამ ადამიანი იყო და ბედნიერების შემთხვევითობას ვერსად წაუვიდოდა!

სახელგანთქმული ბანკირი ჩაის წრუპავდა, კარაქიან პურს უგემურად ლოღნიდა და ჩანდა, მისი კბილები დიდი ხანია მადას არ გაელესა. უცბად შემოესმა, ბაღის კართან ეტლი შეჩერდა. მაშინვე ნიუსინჟენის მდივანი შემოვიდა, მას მოჰყვებოდა კონტანსონი, რომელიც

მდივანმა ძლივძლივობით იპოვა სენტპელაჟის მახლობლად მდებარე კაფეში. ვიღაც პატიმარს მისთვის ფეხის ქირა მიეცა და ამ ფულით საუზმობდა. პატიმარი ვალებისთვის იჯდა ციხეში და შეღავათებით სარგებლობდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ კონტანსონი მთელი პოემა გახლდათ, პარიზული პოემა. საკმარისი იყო, ერთხელ შეგეხედათ მისთვის და მაშინვე მიხვდებოდით, რომ ბომარშეს ფიგარო, მოლიერის მასკარილი, მარივოს ფრონტენი და დანკურის ლაფლერი, რომლებიც ესოდენ სრულყოფილად გამოხატავენ გამბედაობისა და გაიძვერობის ურთიერთშერწყმას, გაჭირვებული კაცის ცბიერებას, ცხრაკლიტულში გამოკეტილი ადამიანის სიმარჯვესა და მოქნილობას, უპყარნი და უსუსურნი იყვნენ ამ გონიერებისა და ზნედაცემულობის ტიტანის წინაშე. პარიზში თუ ვინმე ამნაირს გადაეყრებით, იცოდეთ, რომ იგი ადამიანი კი აღარ არის, არამედ მოვლენაა! მასში ასახულია არა მარტო ცხოვრების ერთი მომენტი, არამედ მთელი არსებობა, უფრო მეტიც, მრავალი არსებობა! აბა, ღუმელში სამჯერ გამოწვით თაბაშირის ბიუსტი, მყისვე ფლორენციულ ბრინჯაოს დაემსგავსება. სწორედ ასე გახლდათ, უთვალავი უბედურების ჭექაქუხილს, შემზარავსა და გამოუვალ სიღატაკეს, ბრინჯაოსთვის დაემსგავსებინა კონტანსონის თავი, თითქოს ღუმელში გამოეწვათ და სახეც აეტრუსათ. ღრმა ნაოჭებს გაშლა აღარ ეწერა, სამარადისოდ გაევლოთ მის სახეზე ჩაშავებული კვლები, რომელთა შიგნით შორიდანვე მოჩანდა კანის სითეთრე. ეს ყვითელი სახე ნაოჭები იყო და სხვა არაფერი. თავი ვოლტერის თავს მიუგავდა, გეგონებოდათ, ჩონჩხის ქალაამ. კეფაზე აქაიქ თმა რომ არ ამოსჩროდა, ვერ წარმოიდგენდით, თუ ცოცხალი იყო. გაქვავებული შუბლის ქვემოთ აცეცებდა უაზრო თვალებს, რომლებიც ჩაიხანის ვიტრინაზე გამომდგარი თოჯინაჩინელის თვალებს მოგაგონებდათ, ხელოვნურ თვალებს, მუდმივად რომ ერთნაირად იმზირებიან და ცოცხალს რომ ჰგვანან. ჩონჩხის ცხვირივით მოკლე, პაჭუა ცხვირი ბედისწერას გამომწვევად ეთავხედებოდა. ძუნწებს რომ აქვთ, ისეთი მოპრუწული პირი მუდამ დაფჩენილი ჰქონდა და საფოსტო ყუთის ჭრილივით საიდუმლოს მაინც იცავდა. ჩია, გამხდარი, დალეული, გარუჯულხელებიანი კონტანსონი ველურივით უშფოთველი იყო, დიოგენივით უზრუნველად ცხოვრობდა და არავის წინაშე ქედის მოხრა არ სჭირდებოდა. მერედა, მის ზნეჩვეულებებს რა კვალი დაეტოვებინა ტანსაცმელზე! ვისაც მათი გაშიფვრა შეეძლო, რას არ ამოიკითხავდა... განსაკუთრებით შარვალი გახლდათ ღირსშესანიშნავი!.. ნამდვილი პოლიციის აგენტის შარვალი იყო, შავი და პრიალა, ისეთი ქსოვილისა, კრეპს რომ უწოდებენ და ადვოკატებისთვის მანტიებს კერავენ. შავი ფრაკი და ტამპლში ნაყიდი ჟილეტი ეცვა, გულისპირამოქარგული. ყოველივე გულმოდგინედ გაწმენდილი და მოვლილი ჰქონდა. გულის ჯიბეში ყალბი ოქროს საათი ედო და ზედ ძეწკვი ეკიდა. ჟილეტიდან მოუჩანდა ყვითელი, ნაკეცებიანი პერანგი, ზედ ყალბი ალმასის ქინძისთავი ულაპლაპებდა! ხავერდის საყელო დამნაშავეთა დასაბმელ რკინის რგოლს მიუგავდა და ზედ კარაიბივითწითელი კისერი გადმოფუებოდა. აბრეშუმის ცილინდრი ატლასივით პრიალებდა და ვინმე ბაყალს ხელში რომ ჩავარდნოდა, ფსკერზე იმდენ ქონს მოაგროვებდა, რომ გადაადნობდა და ორი ლამპიონის საწვავად მოიხმარდა. მისი ტუალეტის აქსესუარების ჩამოთვლა დიდი არაფერია, უნარი უნდა შეგვწევდეს, აღვწეროთ, რა

თავმომწონედ ატარებდა მათ კონტანსონი. ფრაკის საყელოთი და ლანჩაამძვრალი, საცხით ახლახან გაპრიალებული ჩექმებით ისე კოხტაობდა, რომ ამის გადმოცემა ფრანგულ ენას არ ძალუძს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გონიერი კაცი თვალს რომ შეავლებდა სხვადასხვა სტილთა აგრერიგად აღრევას, იფიქრებდა, კონტანსონი ჯაშუში კი არა, ქურდი რომ იყოს, მისი გარეგნობა და კონკები ღიმილს კი არ მოჰგვრიდა ადამიანს, შიშით გულს გაუხეთქდაო. დაკვირვებული კაცი მის ტანსაცმელს დაინახავდა თუ არა, იტყოდა: ეს ერთი თავზე ხელაღებული ვინმეა, სვამს, აზარტულად თამაშობს, მანკიერებას არის აყოლილი, თუმცა არც ლოთია, არც ყალთაბანდი, არც ქურდი და არც მკვლელი,,. მართლაც, ძნელი გამოსაცნობი ჩანდა, რა კაცი იყო კონტანსონი, სანამ სიტყვა ჯაშუში,, არ მოგივიდოდათ აზრად. თუკი რაიმე ფარული ხელობა გვსმენია, კონტანსონი მისი ოსტატი იყო. გაცრეცილი ტუჩების ოინბაზური ღიმილი, მომწვანო თვალების ხამხამი, პაჭუა ცხვირის შეთამაშება მეტყველებდა, რომ ამ კაცს ჭკუა არ აკლდა. სახე თითქოს თუნუქისგან ჰქონდა გამოკვეთილი და სულიც უთუოდ სახეს მიუგავდა. ამიტომაც მისი სახე გრძნობებს კი არ გამოხატავდა, არამედ ნაძალადევ ზრდილობას. მისი შესახედაობა კაცს შიშით თავზარს დასცემდა, აგრერიგად სიცილის მომგვრელი რომ არ ყოფილიყო. კონტანსონი, ეს უაღრესად საყურადღებო პროდუქტი იმ ქაფისა, რომელიც ნიადაგ მოთუხთუხე პარიზული ქოთნის ზედაპირზე ტივტივებს, თავის თავს ფილოსოფოსად თვლიდა და ამბობდა, უდიდესი ნიჭით ვარ დაჯილდოებული, მაგრამ ყველა მუქთად სარგებლობს ჩემი შნოთი და მარიფათით, თითქოსდა ყეყეჩი ვიყოო და ამის გამო სხვებს კი არ ადანაშაულებდა, თავის თავსვე სდებდა ბრალს. განა ბევრს იპოვით კონტანსონივით უღვარძლო ჯაშუშს? რა ვქნა, ბედი არა მწყალობს, არაერთხელ უთქვამს თავისი უფროსებისთვის, შემეძლო ბროლი ვყოფილიყავი და უბრალო ქვიშად დავრჩი, ესაა და ეს,,. ჩაცმადახურვისადმი მის ცინიკურ დამოკიდებულებაში იფარებოდა ღრმა აზრი: სადარბაზო მორთულობა მისთვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც მსახიობისთვის. ისე შესანიშნავად ემარჯვებოდა გადაცმა, გრიმის გაკეთება, რომ შეეძლო, გაკვეთილები ჩაეტარებინა თვით ფრედერიკ ლემეტრისთვისაც,რადგან თუ დასჭირდებოდა, დენდადაც იოლად შეინიღბებოდა. ეტყობოდა, ჭაბუკობისას თავზე ხელაღებულ, გახრწნილ ყმაწვილკაცთა წრეში ტრიალებდა, ბინძურ ბუნაგებში იყო გაშინაურებული. გულით სძულდა სისხლის სამართლის პოლიცია, რადგან იმპერიის ეპოქაში ფუშეს პოლიციას ემსახურებოდა და ფუშე დიდი ვინმე ეგონა. პოლიციის სამინისტროს გაუქმების შემდეგ გადაწყვიტა, სხვას თუ ვერაფერს მიაღწევდა, საკომერციო სასამართლოში ბოქაულად ემუშავა, მაგრამ მის ნიჭსა და უნარს ყველა იცნობდა, მისი გამჭრიახობა დიდად გამოსადეგი იყო და პოლიტიკური პოლიციის იდუმალებით მოცულმა უფროსებმა მისი გვარი თავიანთ სიაში შეიტანეს. კონტანსონი, თანამოძმეთა მსგავსად, სტატისტის როლს ასრულებდა იმ დრამაში, სადაც პირველი როლები უფროსებისთვის იყო განკუთვნილი, როცა ჯერი პოლიტიკაზე მიდგებოდა.

აბა, ცადი აქედან, უბრძანა ნიუსინჟენმა თავის მდივანს და ხელი აუქნია.

მაშ, ეს სიმართლეა, ეს კაცი სასახლეში უნდა ცხოვრობდეს, მე კი ნაქირავებ ბინაში... გაიფიქრა კონტანსონმა, სამჯერ გააკოტრა კრედიტორები, ქურდობდა კიდეც, მე კი ერთი დენიეც არ მიმითვისებია არასოდეს!.. თანაც მაგაზე მეტი ნიჭი მაქვს,,.

გონდანზონ, ჩემო პატარა, მიმართა ბარონმა, რატომ დამზინზლე ატაზი ფრანქი...

ჩემს საყვარელს ფული ემართა ღვთისაცა და ეშმაკისაც

რაო, შენ ზაქვარელი გქავზ? შესძახა ნიუსინჟენმა და შურითა და აღტაცებით განმსჭვალული მზერა მიაპყრო კონტანსონს.

ჯერ სამოცდაექვსი წლისა ვარ, მიუგო კონტანსონმა. მანკიერებას ეს კაცი მარადიული სიჭაბუკით დაეჯილდოებინა.

რაზ აქეტებზ შენი ზაქვარელი?

მე მეხმარება, უთხრა კონტანსონმა, როცა კაცი ქურდია და პატიოსან ქალს შეუყვარდება, ან ქალი ხდება ქურდი, ანდა ქურდი გადაიქცევა პატიოსან ადამიანად. მე კი ჯაშუში ვიყავი და ჯაშუშადვე დავრჩი.

და შიბე ქოველტვიზ გახვრეტილი გაქვზ, არა? ჰკითხა ნიუსინჟენმა.

ყოველთვის, ღიმილით დაუკრა კვერი კონტანსონმა, ჩემი ბედია, სულ ფულის ნატრული ვიყო, თქვენი ბედია სულ ფულს ხვეტდეთ. ჩვენ ადვილად შევეწყობით ერთმანეთს: თქვენი ფული მომიგროვეთ, სიტყვას გაძლევთ, მაშინვე გავანიავებ. თქვენ ჭა იქნებით, მე სათლი

გინდა ხუტაზი ფრანქი იშოვო?

საუცხოო კითხვაა, ჩემმა მზემ! მაგრამ ეგრე სულელი არ გახლავართ!.. ვიცი, იმიტომ კი არ მთავაზობთ, რომ ბედის უკუღმართობა გამოასწოროთ.

რა ტქმა უნდა, არა. ამ ხუთაზ ფრანქზ ვუმატებ, შენ რომ გამზინზლე იმ ატაზ ფრანკზ, მაშაზადამე, ვაზლევ ატაზ ხუტაზზ.

კარგი. თქვენ მაძლევთ იმ ათას ფრანკს, რომელიც მე გამოგართვით და მიმატებთ ხუთასს...

ზცორედ ეგრეა, თავი დაუკანტურა ნიუსინჟენმა.

და მაინც ხუთასი ფრანკია, აუღელვებლად განაგრძო კონტანსონმა.

მოზაცემი? ჰკითხა ბარონმა.

ასაღები! კარგი, ასე იყოს, მაგრამ ერთი გამაგებინეთ, რა საგანძურში მიცვლის ბატონი ბარონი ამ ფულს?

მიტხრეზ, პარიზში ტურმე ერტ ქაცს შეუჭლია მიფოვნოზ ქალი, მე რომ მიკვარზ და შენ მიზი მიზამარტი გცოდნია... ერტი ზიტკვიტ, იზ კაცი ჯაშუშობიზ ოზტატი ქოფილა.

მართალია...

ჰოდა, მომეზი მიზი მიზამარტი და მიიღე ხუთაზი ფრანქი.

აბა, დამანახვეთ, მკვირცხლად მოსთხოვა კონტანსონმა.

აჰა, აი, აქა მაქვზ, ბარონმა ჯიბიდან ამოაცოცა ფული.

კარგი, მომეცით, გაუწოდა ხელი კონტანსონმა.

მომზემ, მოგზემ; ჯერ მაჩვენე იზ ქაცი და მერე მიიღე ფული. ეგრე ხომ უამრავი მიზამარტის გაქიდვა შეიზლება.

კონტანსონს გაეცინა.

რაც მართალია, მართალია, უფლება გაქვთ, ეგრე ფიქრობდეთ ჩემზე, უთხრა ისეთი კილოთი, თითქოს თავის თავზე ჯავრობსო, რამდენადაც ბინძურ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი, იმდენად მეტი კეთილსინდისიერება მმართებს. მაშ, მომისმინეთ, ბატონო ბარონო, დაყაჭეთ ექვსასი ფრანკი და კარგ რჩევას მოგცემთ.
მომეცი და ენტე ჩემზ გულუხვობაზ.

რისკსა ვწევ, მიუგო კონტანსონმა, მაგრამ რას ვიზამ, მსხვილ თამაშში ჩავები, თუკი პოლიციაში მუშაობ, მიწას უნდა ამოეფარო, რომ არავინ შეგნიშნოს. თქვენ მიბრძანებთ, აბა, მიდიო! მდიდარი ხართ და გგონიათ, ფულს ყველაფერი შეუძლია. ფული მართლაც დიდი რამეა, მაგრამ ჩვენი პარტიის ორი თუ სამი მოღვაწის თქმისა არ იყოს, ფულით მხოლოდ ადამიანის ყიდვა შეიძლება. ოღონდ არსებობს რაღაც სხვა, რაც არავის აგონდება და რისი ყიდვაც შეუძლებელია!.. დიახ, შემთხვევას ვერ შეიძენ... სწორედ ამიტომ გამოცდილ

პოლიციელებს შორის ასე არ გახლავთ მიღებული. განა მოინდომებთ ჩემთან ერთად ეტლში ჩაჯდომას? ვიღაცა თვალს მოგკრავთ. შემთხვევა შეიძლება ჩვენს სასიკეთოდაც შემოტრიალდეს და ჩვენს საზარალოდაც.

მარტლა? შეეკითხა ბარონი.

ასეა, ბატონო. დასწყევლოს ეშმაკმა, განა ქუჩაში დაგდებულმა ცხენის ნალმა არ მიაგნებინა პოლიციის პრეფექტს ჯოჯოხეთური მანქანის კვალისთვის. დიახ, ამ საღამოს ფიაკრით თუ მივადგებით, ბატონ დე სენჟერმენს ისევე არ ესიამოვნება თქვენი სტუმრობა თავის სახლში, როგორც თქვენ არ გეამებათ მისი აქ მოსვლა.

ზცორია, დაუდასტურა ბარონმა.

ეგ კაცი ყოვლისშემძლეა. საუკეთესო თანაშემწეა სახელგანთქმული კორანტენის, ფუშეს მარჯვენა ხელის. იმასაც კი ამბობდნენ, მისი უკანონო შვილია და მღვდლობაში გააჩინაო. მაგრამ ეგ სისულელეა. ფუშე ისეთივე ღირსეული მღვდელი გახლდათ, როგორიც შემდგომ უებრო მინისტრი იყო! ოღონდ, იცოდეთ, ეგ კაცი ათი ათას ფრანკზე ნაკლებ თითსაც არ გაანძრევს... დაფიქრდით... მაგრამ თქვენი საქმე გაკეთდება და კარგადაც გაკეთდება. როგორც იტყვიან, ძეხორციელი ვერაფერს შეიტყობს. მოველაპარაკები ბატონ დე სენჟერმენს და ისეთ ადგილას დაგინიშნავთ პაემანს, სადაც ვერავინ დაგინახავთ და ვერც მოგისმენთ. პოლიციის მუშაკია და უფლება არა აქვს, კერძო პირებს მოემსახუროს. მეტი რა გნებავთ?.. იცით, რა ყოჩაღია, ნამდვილი მეფეა! რამდენი რამ გადაიტანა, რამდენი დევნა, წვალება, მერედა რისთვის? საფრანგეთი რომ გადაერჩინა!.. მეც ხომ ასეთივე ბედი მეწია, როგორც ყველას, ვინც საფრანგეთი იხსნა!

კარგი, მაშ, ცერილობიტ შემატქობინე ზაზიქვარულო პაემნიზ დრო, უთხრა ბარონმა და თავის უკბილო ხუმრობაზე გაეღიმა.

ბატონი ბარონი თათს არ გამიქონავს?.. ჰკითხა კონტანსონმა მოკრძალებითაც და მუქარითაც.

შან, დაუძახა ბარონმა თავის მებაღეს, ცადი, შორშზ გამოარტვი ოცი ფრანქი და მომიტანე...

თუ ბარონს სხვა ცნობები არ გააჩნია იმის გარდა, რაც ადრე მითხრა, ვეჭვობ, ვაითუ ოსტატმაც ვერ შეძლოს სამსახურის გაწევა.

ზხვა ცნობებიცა მაკვზ! ცბიერად უთხრა ბარონმა.

ნება მომეცით, გამოგემშვიდობოთ, ბატონო ბარონო, მიმართა კონტანსონმა და ოცი ფრანკი გამოართვა, პატივი მექნება, თავად გეახლოთ და ჟორჟს მოვახსენო, სად უნდა მობრძანდეს ამ საღამოს ბატონი, რადგან თადარიგიანი პოლიციელი არასოდეს წერილებს არ გზავნის.

პირდაპირ ზაოცარია, რა ჩქუამახვილები არიან ეზ ბიჩები, ჩაილაპარაკა ბარონმა, პოლიციაში იზევე ხდება, როგორც ჩვენზ ზაკმეში.

კონტანსონი ბარონის სახლიდან გამოვიდა. სენლაზარის ქუჩიდან ნელი ნაბიჯით გასწია სენტონორეს ქუჩისკენ და კაფე დავიდთან,, შეჩერდა. ფანჯარაში შეიხედა და თვალი მოჰკრა ბერიკაცს, რომელსაც ძია კანკოელის სახელით იცნობდნენ.

კაფე დავიდი,, მონეს ქუჩაზე მდებარეობდა, სენტონორეს ქუჩის კუთხეში. მას ჩვენი საუკუნის პირველი ოცდაათი წლის განმავლობაში სახელიც კი ჰქონდა განთქმული იმ უბანში, ბურდონეს კვარტალს რომ უწოდებდნენ. აქ თავს იყრიდნენ საქმიდან გადამდგარი ბებერი ნეგოციანტები ანდა მსხვილი კომერსანტები, რომლებიც ჯერ კიდევ სათავეში ედგნენ საქმეს. ესენი იყვნენ: კამიუზო, ლება, პილიერო, პოპინო და რამდენიმე სახლის მფლობელიც, მათ შორის, ძია მოლინო. ხანდახან შეხვდებოდით ბებრუხანა ძია გიომსაც, რომელიც აქ კოლომბიეს ქუჩიდან მოდიოდა. ერთმანეთს პოლიტიკაზე ჩურჩულით ესაუბრებოდნენ, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. კაფეში ლიბერალური განწყობა სუფევდა. პოლიტიკის გარდა, უბნის ჭორებსაც ჰყვებოდნენ ადამიანებს ისე უყვართ ერთმანეთის გაქირდვა! კაფე დავიდს,,, როგორც სხვა კაფეებს, საკუთარი ღირსშესანიშნავი პიროვნებაც ჰყავდა ძია კანკოელი. იგი 1811 წლიდან დადიოდა აქ და შესანიშნავად ეწყობოდა კაფეში თავმოყრილ პატიოსან საზოგადოებას. მას არავინ ერიდებოდა და გულღიად მსჯელობდნენ პოლიტიკაზე. ხანდახან ბერიკაცი, რომლის მიამიტობა მუდმივი მუშტრების ხუმრობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა, ერთი ან ორი თვით გაქრებოდა ხოლმე, მაგრამ მისი გადაკარგვა არავის უკვირდა, ფიქრობდნენ, ღრმად მოხუცია და ავად იქნებაო. ჯერ კიდევ 1811 წელს სამოც წელზე ნაკლებს არავინ მისცემდა.

ნეტავ რა დაემართა ძია კანკოელს? ეკითხებოდნენ დახლიდარ ქალს.
მგონი, ერთ მშვენიერ დღეს მის სიკვდილს ცნობის ფურცელი,, გვაუწყებს, უპასუხებდა დახლიდარი.

ძია კანკოელის ლაპარაკის კილო და გამოთქმა მის სადაურობას აშკარად ამხელდა. სპეციალურის,, ნაცვლად ესპეციალურს,, ამბობდა, თურქის,, მაგივრად ტურს,,, მისი გვარი პატარა მამულის ლა კანკოელის,, სახელწოდებიდან მოდიოდა, რაც ზოგიერთ პროვინციაში მაისის ხოჭოს,, ნიშნავს. მამული ვოკლიუზის დეპარტამენტში მდებარეობდა და ძია კანკოელიც სწორედ იქიდან ჩამოვიდა. ბოლოს დე კანკოელს კი არა, უბრალოდ კანკოელს ეძახდნენ. ბერიკაცი სულაც არ ჯავრობდა, მისთვის აზნაურობამ 1793 წელს

განუტევა სული. ესეც არ იყოს, დე კანკოელთა საფეოდალო მამულები მას არ ეკუთვნოდა, ვინაიდან ამ საგვარეულოს უმცროსი შტოს უმცროსი ძე გახლდათ. ამჟამად ძია კანკოელის ჩაცმულობა უცნაურად მოგეჩვენებოდათ, მაგრამ 1811-20 წლებში არავის აკვირვებდა. ეცვა ფოლადის წახნაგოვანაბზინდიანი ფეხსაცმელი, თეთრი და ლურჯზოლებიანი აბრეშუმის წინდები, სქელი აბრეშუმის მოკლე შარვალი, ისეთივე ფორმის აბზინდებით შეკრული, როგორიც ფეხსაცმელზე ჰქონდა, თეთრი, მოქარგული ჟილეტი, ფოლადის ღილებით გაწყობილი მომწვანო წაბლისფერი მაუდის გაცრეცილი ფრაკი და ჟაბოთი შემკული პერანგი. ჟაბოს შუაგულში დაბნეული ოქროს მედალიონის მინიდან თმისგან დაწნული პაწაწკინტელა ტაძარი მოუჩანდა. ეს გრძნობების ამშლელი, გულის ამაჩუყებელი წვრილმანი ადამიანს ისევე ჰგვრიდა სიმშვიდეს, როგორც საფრთხობელა აშინებს ბეღურებს. ადამიანთა უმრავლესობას, ცხოველების მსგავსად, სულ უბრალო რამ აშინებს და ამშვიდებს ხოლმე. ძია კანკოელს გასული საუკუნის ყაიდაზე შარვალს ქამარი უმაგრებდა, ხოლო ქამრის აბზინდა ღიპის ზემოთ ეკვრებოდა. ქამრიდან პარალელურად ეშვებოდა ორი ზოლი მრავალი წვრილწვრილი ძეწკვისა, რომელთა ბოლოებზეც პაწია ზანზალაკები ეკიდა. თეთრ ყელსახვევს უკან ოქროს პაწია ქინძისთავით იმაგრებდა. 1816 წელსაც თოვლივით გადაპენტილ, დაპუდრულ თმაზე სწორედ ისეთი მუნიციპალური, სამკუთხა ქუდი ეკოსა, ბატონ ტრის რომ ეხურა. ბებრუცუნას ძალიან უყვარდა ეს ქუდი, მაგრამ რას იზამდა, სულ ცოტა ხნის წინ მაინც შეიცვალა (თავი ვალდებულად ჩათვალა, ჟამთა სვლისთვის ხარკი გადაეხადა) გულისამრევი მრგვალი ქუდით, რის წინააღმდეგაც არავის არაფერი ეთქმოდა. კუდივით დაგრეხილი, ბოლოში ბაფთით შეკრული მოკლე ნაწნავი ზურგზე უხაზავდა ნახევარწრეს, მთლად გაპოხილსა და პუდრით გაგლესილს. ყურადღებით რომ შეგეთვალიერებინათ მისი ცხვირი, ძია კანკოელის სახის ყველაზე საყურადღებო ნაკვთი, ხორკლიანი წითელი ცხვირი, რომელიც მართლაც ღირსი იყო ტრიუფელებშემოწყობილი ხონჩაზე დაედოთ, უთუოდ გაიფიქრებდით, ეს კაცი ალალმართალი, მიამიტი, გულკეთილი და ცოტა დოყლაპია ვინმე იქნებაო. თქვენც ისევე მოტყუვდებოდით, როგორც ტყუვდებოდა ყველა კაფე დავიდში,,, სადაც არც ერთ კაცს აზრადაც არ მოსვლია, დაჰკვირვებოდა მის შუბლს, ძია კანკოელის გამჭრიახობაზე რომ მეტყველებდა. არც არავის მიუქცევია ყურადღება მისი გესლიანი ტუჩებისთვისა და ცივად მომზირალი თვალებისთვის. დედის ძუძუსგან შეეწოვა ყოველგვარი მანკიერება. მშვიდი იყო ვიტელიუსივითდა ვეებერთელა ღიპიც მასავით სასწაულებრივად გამოჰბერვოდა. 1816 წელს, ღამის თერთმეტსა თუ თორმეტ საათზე, ერთი ახალგაზრდა კომივოიაჟორი, კაფე დავიდის,, მუდმივი მუშტარი გოდისარი, ნაპოლეონის გადამდგარ ოფიცერთან ერთად ვახშმობდა. საკმაოდ შეზარხოშებულს სიფრთხილე გადაავიწყდა და ოფიცერს მეტად მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუმხილა: ბურბონებს შეთქმულებას უწყობენ და სულ მალე კეთილადაც უნდა დაგვირგვინდესო. კაფეში მხოლოდ დახლიდარი, ორი მთვლემარე ოფიციანტი და ძია კანკოელი იყვნენ. ბერიკაცს მაგიდასთან ჩამოსძინებოდა. გოდისარი მეორე დღესვე დააპატიმრეს: შეთქმულება გაიხსნა. ორ კაცს ეშაფოტზე თავი მოჰკვეთეს: არც გოდისარს და არც არავის არასოდეს აზრადაც არ მოსვლია მოხუცი კანკოელისთვის ღალატის დაბრალება. ოფიციანტები დაითხოვეს. მთელი წლის განმავლობაში მუშტრები ერთმანეთს ეჭვით შესცქეროდნენ.

ყველა პოლიციას უფრთხოდა და ძია კანკოელიც სულ იმას ამბობდა, მეტი რა ჩარაა, კაფე დავიდი,, უნდა მივატოვო, პოლიციის ისე მეშინიაო.

კონტანსონი კაფეში შევიდა. ერთი სირჩა არაყი მოითხოვა და ზედაც არ შეხედა ძია კანკოელს, რომელსაც ცხვირი გაზეთში ჩაერგო და გატაცებით კითხულობდა. კონტანსონმა არაყი გადახუხა, ბარონის მიცემული ოქროს ფული მაგიდაზე დააკაკუნა და ოფიციანტს დაუძახა. დახლიდარი და ოფიციანტი ოქროს მონეტას კონტანსონისთვის მეტად შეურაცხმყოფელი ყურადღებით დააკვირდნენ, მაგრამ მათ უნდობლობას ამართლებდა ამ კაცის გარეგნობა, კაფეს ყველა მუშტარს თავგზას რომ უბნევდა. ნეტავ ვინ მიაშავა ეს ოქრო, ვინმე გაქურდა თუ მოკლა?,, ასე გაიფიქრა ზოგიერთმა ჭკუის კოლოფმა და გამჭრიახმა კაცმა, რომლებიც სათვალის ზემოდან გასცქეროდნენ კონტანსონს და თავი ისე ეჭირათ, ვითომც გაზეთის კითხვაში ვართ გართულიო. აბა, კონტანსონის თვალს რა გამოეპარებოდა; არც არაფერი უკვირდა. ახლაც აგდებით მოიწმინდა პირი მხოლოდ სამ ადგილას დაკემსილი ყელსახვევით, მიიღო ხურდა, ჩაიყარა ჟილეტის ჯიბეში, რომლის ოდესღაც თეთრი სარჩული მისი შარვლის მაუდივით შავი გამხდარიყო და ერთი გროშიც არ დაუტოვა ოფიციანტს.

რა ჩამოსახრჩობი ავაზაკია! უთხრა ძია კანკოელმა გვერდით მჯდომ ბატონ პილროს.
როგორ გეკადრებათ! მთელი კაფეს გასაგონად შესძახა ბატონმა კამიუზომ, რომელსაც დანარჩენთაგან განსხვავებით გაკვირვება არ გამოუხატავს, ეგ ხომ კონტანსონია, ჩვენი სავაჭრო სასამართლოს ბოქაულის, ლუშარის მარჯვენა ხელი. ჩანს, მაგ გაიძვერებმა ვიღაც გამოიჭირეს ამ უბანში...

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბერიკაცი კანკოელი წამოდგა, თავისი ქოლგა აიღო და არხეინად გაბრძანდა კაფედან.

განა საჭირო არ არის აგიხსნათ, რა საშიში და ბნელი პიროვნება იფარებოდა ძია კანკოელის ნიღაბქვეშ, ისევე, როგორც აბატ კარლოსის ანაფორაში ვოტრენი? ეს სამხრეთელი კაცი დაიბადა კანკოელში, თავისი საგვარეულოს ერთადერთ მამულში და სახელად პერადი ერქვა. მართლაც ეკუთვნოდა დე ლა პერადთა უმცროს შტოს, ფრანშკონტის რეგიონის ძველ, მაგრამ ღარიბ ოჯახს, რომელსაც დღესაც შერჩენია ლა პერადის პატარა მამული. პერადს მეტად მგზნებარე ტემპერამენტი ჰქონდა. რაკი დარწმუნდა, მშობლიური სახლი მას, როგორც მეშვიდე შვილს, ვერ მისცემდა სათანადო სახსრებს მანკიერ ვნებათა დასაკმაყოფილებლად, 1772 წელს ჩვიდმეტი წლის ბიჭმა პარიზისკენ გასწია ფეხით. ჯიბეში ორი ექვსექვსლივრიანი მონეტის მეტი არაფერი ეყარა და მსგავსად მრავალი სამხრეთელისა, დედაქალაქისკენ მიეშურებოდა ცხოვრებაში წინ წაწევის უდიდესი სურვილით შეპყრობილი. პერადის ყმაწვილკაცობის პერიოდი გასაგები გახდება, თუკი ვიტყვით, რომ 1782 წელს იგი გახლდათ ნდობით აღჭურვილი პირი და თანამშრომელი პოლიციის მთავარი სამმართველოსი, სადაც მას უდიდესი მოწიწებით ეპყრობოდნენ ბატონი ლენუარი და ბატონი დჟალბერი, პოლიციის უკანასკნელი გენერალლეიტენანტები. რევოლუციას არ სჭირდებოდა და არც ჰყავდა

პოლიცია; იმ დროს ჯაშუშობა საერთოსახალხო საქმედ იქცა და მოქალაქეობრივ ვალდებულებად ითვლებოდა. დირექტორიაცოტა უფრო მოწესრიგებული მთავრობა იყო, ვიდრე საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი და იძულებული გახდა, პოლიცია აღედგინა, ხოლო პირველმა კონსულმა პოლიციის პრეფექტურისა და პოლიციის სამინისტროს დაფუძნების შედეგად კიდევაც ჩამოაყალიბა იგი. პირადი ტრადიციების მიმდევარი გახლდათ და შექმნა პირადი შემადგენლობა ვინმე კორანტენის დახმარებით, რომელიც პერადზე ახალგაზრდა კი იყო, მაგრამ მასზე მოხერხებული და გამჭრიახი ჩანდა. პერადის გაქანება ხომ პოლიციის ჯურღმულებს არ გასცილებია! 1808 წელს უდიდესი დამსახურების ჯილდოდ პერადი ანტვერპენის პოლიციის მთავარ კომისრად დანიშნეს. ნაპოლეონის აზრით, პოლიციის ეს პრეფექტურა პოლიციის სამინისტროს შეესაბამებოდა და ევალებოდა, თვალყური ედევნებინა ჰოლანდიისთვის. 1809 წლის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ იმპერატორის კაბინეტის ბრძანებით პერადი ანტვერპენში დააპატიმრეს, ორი ჟანდარმის თანხლებით პარიზში ჩამოიყვანეს და ფორსში,, ჩააგდეს. ორი თვის შემდეგ კორანტენის თავდებობით ციხიდან გაუშვეს. მანამდე კი პოლიციის პრეფექტმა სამი ექვსექვსსაათიანი დაკითხვა ჩაუტარა. იქნებ დაქვეითებას პერადი იმ სასწაულებრივ ენერგიას უნდა უმადლოდეს, რასაც ფუშეს დასახმარებლად იჩენდა მაშინ, როცა ფუშე საფრანგეთის საზღვაო ხაზს იცავდა, ეგრეთ წოდებული ვალჰერნის ექსპედიციის,,პერიოდში. სწორედ აქ გამოამჟღავნა ჰერცოგმა დჟოტრანტომ ისეთი ნიჭი და უნარი, რომ იმპერატორს შიშით გული გაუხეთქა. ფუშეს სიცოცხლეში ეს ამბავი ყურმოკვრით იცოდნენ, მაგრამ დღეს, როცა ყველასთვის აშკარაა, რაც მოხდა კამბასერესისმიერ მოწვეულ მინისტრთა საბჭოზე, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. ხმა დაირხა, ინგლისი ბულონის ლაშქრობისთვის ნაპოლეონს სამაგიეროს გადახდას უპირებსო. შეძრწუნებულ მინისტრებს ერთი ვაივიში აუტყდათ და არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ, რამეთუ მათი მბრძანებელი იმ ხანებში ლობაუს კუნძულზე მოკალათებულიყო და მთელ ევროპას ეგონა, მისი საქმე ხელიდან წასულიაო. ერთხმად გადაწყდა, იმპერატორთან შიკრიკი ეფრინათ, მაგრამ ფუშემ ყველას წინააღმდეგ გაილაშქრა, წარმოადგინა გაბედული საომარი გეგმა და შეასრულა კიდეც. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, უთხრა მას კამბასერესმა, მაგრამ თავის დასაზღვევად იმპერატორს პატაკს მაინც გავუგზავნი,,. ცნობილია, დაბრუნების შემდეგ, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, იმპერატორმა რა უგუნური საბაბი მოიდო, რათა თავისი მინისტრისთვის უფლება აეყარა, მკაცრად დაესაჯა, როგორ გაბედე, ჩემდა დაუკითხავად საფრანგეთი რომ გადაარჩინე, როცა მე აქ არ ვიმყოფებოდიო. ამ დღიდან მოყოლებული, პრინც დე ტალეირანისუკმაყოფილება აღარ იკმარა ნაპოლეონმა და ჰერცოგი დჟოტრანტოც გაანაწყენა. სწორედ რევოლუციამ წარმოშვა ეს ორი დიდი პოლიტიკური მოღვაწე, რომელთაც იქნებ შეეძლოთ 1813 წელს იმპერატორის გადარჩენა. პერადის გადასაყენებლად საბაბად მოიდეს, ქრთამს იღებდაო. ვითომ კონტრაბანდისტებს ეხმარებოდა და დიდვაჭრებთან შემოსავალს იყოფდა.

ამგვარი ბრალდება უდავოდ მეტად სასტიკი იყო იმ კაცის მიმართ, რომელმაც პოლიციის სამმართველოს მთავარი კომისრის კვერთხი მხოლოდ და მხოლოდ პირადი დამსახურებით მიიღო. პერადი საქმეში ჩახედული იყო, იცნობდა ყველა სახელმწიფოს უამრავ საიდუმლოს 1715 წლიდან, ესე იგი, იმ პერიოდიდან, რაც პოლიციის მთავარ სამმართველოში დაიწყო

მუშაობა. იმპერატორს საკუთარი ძლიერებისა სწამდა და თამამად აწინაურებდა საჭირო პირებს. მოგვიანებით კი არავითარი ანგარიში არ გაუწია პერადის სასარგებლოდ მრავალჯერ აღძრულ შუამდგომლობას, თუმცა უსაბუთებდნენ, ეს კაცი ყველაზე სანდო, ყველაზე შორსმჭვრეტელი და გაქნილია იმ უსახელო გენიოსთა შორის, ვისაც სახელმწიფოს უშიშროებაზე ზრუნვა აქვსო დაკისრებული. იმპერატორს ეგონა, პერადის შეცვლა კონტანსონით შეიძლებოდა, მაგრამ კონტანსონი კორანტენის საქმეში იყო ჩაბმული და დიდი სარგებელიც ჰქონდა. პერადი მიწასთან გაასწორეს და წელში ვეღარ გაიმართა, რადგან ერთი გარყვნილი და ღორმუცელა ვინმე ბრძანდებოდა და ქალების საკითხში ისეთი წუწკი გახლდათ, როგორც შაქარლამის მოყვარული მეშაქარლამე. მანკიერი მიდრეკილებანი ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაექცა: ვეღარ ძლებდა ნუგბარნუგბარი საჭმელების, აზარტული თამაშის გარეშე.
ერთი სიტყვით, აღარ შეეძლო ისე არ ეცხოვრა, როგორც ცხოვრობენ დიდი სენიორები, რომლებიც თავიანთ ფუფუნებას საქვეყნოდ არ ამზეურებენ. ამგვარადვე იქცევიან მაღალი თანამდებობის პირნი, წრეგადასული თავშექცევა მოთხოვნილებად რომ გადაჰქცევიათ. აქამდე პერადი ხელგაშლილად ცხოვრობდა, როგორც მოეპრიანებოდა, ისე ჭამდა და სვამდა, პირდაპირ თეფშიდან თქვლეფდა, საზოგადოებაში გამოჩენაზე არც ოცნებობდა, რადგან დარწმუნებული იყო, არც მას და არც მის მეგობარ კორანტენს სათვალავში არავინ აგდებდა. ცინიკოსი, გონებამახვილი კაცი იყო, ფილოსოფიურად განწყობილი, უყვარდა თავისი ხელობა. რაც უნდა ითქვას, ჯაშუში გახლდათ და რა ადგილიც უნდა ეჭიროს ასეთ ადამიანს პოლიციის მექანიზმში, კატორღელის მსგავსად, ვერ მიიღებს იმას, რასაც პატიოსანი და ღირსეული თანამდებობა ეწოდება. თუკი ერთხელ მაინც დაესვათ დაღი, ჯაშუშები და ბრალდებულები განსაკუთრებულ სიაში ერთხელ თუ მოხვდნენ, მორჩა და გათავდა, დიაკვნებისა არ იყოს, სამარადისოდ იღებენ მეტად თავისებურ გამომეტყველებასა და ხასიათს. საზოგადოებრივი მდგომარეობა ზოგიერთ ადამიანს საბედისწერო ბეჭედს ასვამს. თავისდა საუბედუროდ, პერადს გაგიჟებით უყვარდა ერთი პატარა, ლამაზი გოგონა. დარწმუნებული გახლდათ, რომ თავისი შვილი იყო და გაუჩინა ცნობილმა მსახიობმა, ვისაც პერადმა დიდი სამსახური გაუწია ერთ დროს; მადლიერი ქალიც მთელი სამი თვე თავს ევლებოდა და სარეცელსაც უყოფდა. პარიზში დაბრუნდა თუ არა, პერადმა ბავშვი ანტვერპენიდან ჩამოაყვანინა. მალე ყოველგვარი საარსებო წყარო მოესპო და პრეფექტურამ ლენუარის ყოფილ შეგირდს ყოველწლიური დახმარების სახით ათას ორასი ფრანკი დაუნიშნა. პერადმა მუანოს ქუჩაზე, ერთი სახლის მეხუთე სართულზე, პატარა, ხუთოთახიანი ბინა დაიქირავა ორას ორმოცდაათ ფრანკად წელიწადში.

თუკი ოდესმე ვინმეს განუცდია, რაოდენ საჭიროა და ტკბილია მეგობრობა, ეს ყველაზე მეტად უნდა იგრძნოს ზნეობრივმა კეთროვანმა, ვისაც ბრბო უწოდებს ჯაშუშს, ხალხი მაბეზღარას, ადმინისტრაცია აგენტს. ასე და ამგვარად, პერადი და კორანტენი მეგობრები გახლდნენ, ვით ორესტედა პილადე.პერადმა შექმნა კორანტენი, როგორც ვიენმა დავიდი.შეგირდმა მალე გადააჭარბა ოსტატს. მათ არაერთი საქმე გაჩარხეს ერთად (იხილეთ ბნელი საქმე,,). პერადი თავს ბედნიერად გრძნობდა, რაკი პირველმა შენიშნა

კორანტენს განსაკუთრებული ნიჭი, ხელს უწყობდა წინსვლაში და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. პერადის მითითებით შეგირდმა, მამაკაცების ანკესზე წამოსაგებად, ხასად დაისვა ქალი, რომელსაც კორანტენი ეზიზღებოდა (იხილეთ შუანები,,), თუმცა კორანტენი იმ დროს ოცდახუთ წელს არც კი იყო გადაცილებული! იგი ერთერთ იმ გენერლად დარჩა, ვისი მხედართმთავარიც პოლიციის მინისტრი იყო. და თუ ჰერცოგ დჟოტრანტოსმმართველობის პერიოდში მაღალი თანამდებობა ეჭირა, არც ჰერცოგ დე როვიგოს დროს დაჩაგრულა. ასე გახლდათ. მაშინ პოლიციის მთავარი სამმართველო იმავე უფლებებით სარგებლობდა, როგორითაც სისხლის სამართლის პოლიცია. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დანაშაული რომ მოხდებოდა, ბოროტმოქმედთა კვალს სამ, ოთხ ან ხუთ ნიჭიერ ჯაშუშს მიუსევდნენ. მინისტრი როგორღაც შეიტყობდა, შეთქმულება ან ბოროტმოქმედება მზადდებაო და მაშინვე თავისი პოლიციის ერთერთ პოლკოვნიკს მიმართავდა, რამდენი დაგჭირდებათ ასეთი და ასეთი შედეგის მისაღწევადო: კორანტენი ან კონტანსონი ჩაფიქრდებოდნენ, აწონდაწონიდნენ ვითარებას და იტყოდნენ, ოცი, ოცდაათი, ორმოცი ათასი ფრანკიო. მერე გაიცემოდა ბრძანება, საქმე დაიწყეთო და მორჩა, ყველაფერზე თვითონ უნდა ეტეხა თავი კორანტენსა თუ სხვა დანიშნულ აგენტს. სისხლის სამართლის პოლიციაც ამგვარადვე იქცეოდა, როცა ბოროტმოქმედების გასახსნელად სახელგანთქმულ ვიდოკს იშველიებდა.

პოლიტიკური და სისხლის სამართლის პოლიცია მუშაკებს განსაკუთრებულ სიებში შეტანილ გამოცდილსა და შემოწმებულ მუდმივ აგენტებს შორის ირჩევდა. ისინი საიდუმლო, ძლევამოსილი მხედრიონის ჯარისკაცები არიან და უაღრესად ესაჭიროებიან სახელმწიფოს, რაც უნდა მაღალფარდოვნად გამოხატავდნენ აღშფოთებას ფილანთროპები და მეტად საეჭვო ზნეობის მქონე მქადაგებელნი ზნეობისა. პერადისა და კორანტენის ყაიდის ორი ან სამი გენერალი უზენაესი ნდობით იყვნენ აღჭურვილი და უფლება ეძლეოდათ, გაჭირვების ჟამს დასახმარებლად უცნობი პირებისთვის მიემართათ, ოღონდ ევალებოდათ, ანგარიში წარედგინათ მინისტრისთვის. როგორც ვხედავთ, პერადის გამოცდილება და საზრიანობა დიდად ხელსაყრელი იყო კორანტენისთვის და როცა 1810 წლის ქარიშხალმა გადაიარა, ძველი მეგობარი ისევ დაიახლოვა; ყოველთვის ეკითხებოდა რჩევას, თვითონ კი დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა. კორანტენმა იმასაც მიაღწია, რომ პერადს დახმარების სახით თვეში დაახლოებით ათასი ფრანკი დაუნიშნეს. არც პერადი დარჩა ვალში, კორანტენს მუდამ მხარში ედგა. 1816 წელს, იმ შეთქმულების გახსნისას, რომელშიაც ბონაპარტისტი გოდისარიც მონაწილეობდა, კორანტენმა სცადა პერადის დაბრუნება სამეფო პოლიციის მთავარ სამმართველოში, მაგრამ ვერაფერს გახდა; ვიღაც გავლენიანმა პირმა გეგმები ჩაუფუშა. მოგახსენებთ, რა იყო ამის მიზეზი: თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა რომ განემტკიცებინათ, პერადმა, კორანტენმა და კონტანსონმა, ჰერცოგ დჟოტრანტოს წაქეზებით, ლუი XVIIIის დასაცავად კონტრპოლიცია,, დააფუძნეს და შიგ პოლიციის უძლიერესი აგენტები შეიყვანეს. ლუი XVIIIმ ჩვენი ჭირი წაიღო და სამარეში ჩაიტანა საიდუმლოებანი, რაც თვით ყველაზე გათვითცნობიერებული ისტორიკოსებისთვისაც კი საიდუმლოდ დარჩა. სახელმწიფოს მთავარ პოლიციასა და

მეფის კონტრპოლიციას,, შორის ბრძოლა გაჩაღდა და ისეთი რამეები მოხდა, რომ მათ მისაჩქმალად რამდენიმე ეშაფოტი აღიმართა. აქ არც ადგილია და არც დრო, დაწვრილებით მოვყვეთ ამ ამბავს, რამეთუ პარიზული ცხოვრების სცენები,, პოლიტიკური ცხოვრების სცენები,, არ გახლავთ. საკმარისია, გავარკვიოთ, რა სახსრებით ინახავდა თავს ის კაცი, ვისაც კაფე დავიდში,, ბერიკაც კანკოელს ეძახდნენ და რა ძაფებით იყო დაკავშირებული პოლიციის შემზარავსა და იდუმალებით მოცულ ძალაუფლებასთან. 1817დან 1822 წლამდე კორანტენს, კონტანსონს, პერადსა და მათ აგენტებს ევალებოდათ ხშირად თვით მინისტრისთვისაც ედევნებინათ თვალყური. აქედან გამომდინარე, გასაგებია, სამინისტრომ რატომ თქვა უარი პერადისა და კონტანსონის სამსახურზე, ხოლო კორანტენმა, პერადისა და კონტანსონის ფარულად, მინისტრები მათ საწინააღმდეგოდ წააქეზა, რათა საშუალება მისცემოდა, სხვაგვარად გამოეყენებინა მეგობარი, რაკი დარწმუნდა, მისი სამსახურში აღდგენა შეუძლებელი იყო. ამგვარი მოქმედებით კორანტენმა მინისტრების ნდობა დაიმსახურა და მას დაავალეს პერადისთვის ეთვალთვალა, რაზედაც ლუი XVIIIს გაეღიმა. მაშინ კორანტენი და პერადი მთლად გაპარპაშდნენ, შექმნილი ვითარების სრული ბატონპატრონები გახდნენ. კონტანსონი დიდი ხანია პერადის მოკავშირე იყო და ახლაც მას ემორჩილებოდა. კორანტენისა და პერადის მითითებით იგი საკომერციო პოლიციას ემსახურებოდა. მგზნებარე თავდადება საყვარელი პროფესიისადმი ამ ორ გენერალს უკარნახებდა, თავიანთი ყველაზე მარჯვე ჯარისკაცები გუშაგებად დაეყენებინათ ისეთ ადგილებში, საიდანაც მრავალი ცნობის შეგროვება შეიძლებოდა. ესეც არ იყოს, ყველა ჯურის მანკიერებით შემკული კონტანსონი თავის ორ მეგობარზე მეტად ეშვებოდა ძირს. მანკიერი სურვილების დასაკმაყოფილებლად იმდენი ფული სჭირდებოდა, რომ არც ერთ ბნელ საქმეზე არ იტყოდა უარს. კონტანსონს არ დასჭირვებია სამსახურებრივი საიდუმლოს გამჟღავნება იმისთვის, რომ ლუშარისთვის ეთქვა, ერთ კაცს შეგირჩევთ და მის გარდა სხვას არავის ძალუძს ბარონ დე ნიუსინჟენის წადილის ასრულებაო. მართლაც, პერადი ერთადერთი აგენტი იყო, ვისაც პოლიციის წესების დაურღვევლად, უფლება ჰქონდა, კერძო პირისთვის ემუშავა. ლუი XVIIIის გარდაცვალების შემდეგ პერადს ხელიდან გამოეცალა არა მარტო თავისი მაღალი მდგომარეობა, არამედ ის გამორჩენაც, რასაც მისი უდიდებულესობის პირადი ჯაშუშის თანამდებობა აძლევდა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ბრძანდებოდა, საქმეში ტოლი არა მყავსო და ძველებურ ცხოვრებას არ იშლიდა. ქალები, კარგი ჭამასმა, უცხოური კლუბი,, შეუძლებელს ხდიდა ხელმომჭირნეობა გამოეჩინა ამ კაცს, რომელსაც, ყველა ბიწიერი ადამიანის დარად, რკინის ჯანმრთელობა ჰქონდა. მაგრამ 1826დან 1829 წლამდე, როცა სამოცდათოთხმეტ წელს მიუახლოვდა, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, საჭე დაამუხრუჭა. პერადი ხედავდა, წლიდან წლამდე როგორ უდნებოდა ხელში შემოსავალი. იგი მოესწრო პოლიციის დასამარებას, მისი ძველი, კეთილი ტრადიციების უარყოფას შარლ Xის ხელისუფლების მიერ და გული სევდით უკვდებოდა. ყოველ სესიაზე დეპუტატთა პალატა სულ უფრო და უფრო ამცირებდა პოლიციის შესანახ თანხებს, რაკი მმართველობის ამგვარი ფორმა უკვე ზიზღს იწვევდა და ცდილობდნენ, ზნეობრივად გაეკეთილშობილებინათ ეს ინსტიტუტი. დახე, თეთრი ხელთათმანებით უნებებიათ საჭმლის მომზადება,,, ეუბნებოდა პერადი კორანტენს. ჯერ კიდევ 1822 წელს წინასწარმეტყველებდნენ პერადი და კორანტენი

1830 წლის ამბებს. მათთვის არც ის იყო დაფარული, რაოდენ სძულდა ლუი XVIIIს თავისი მემკვიდრე, რის გამოც სამეფო საგვარეულოს უმცროს შტოს დიდად მფარველობდა. თუ ამ გარემოებას მხედველობაში არ მივიღებდით, მისი მეფობაცა და პოლიტიკაც ამოუხსნელ ამოცანად დარჩებოდა სამარადისოდ.

სიბერეში უფრო მეტად გაუღრმავდა პერადს სიყვარული თავისი უკანონო ასულისადმი. მის გამო ბურჟუად გადაიქცა და ოცნებობდა, ვინმე პატიოსანი კაცისთვის მიეთხოვებინა ლიდი. ამიტომაც, განსაკუთრებით ბოლო სამი წლის განმავლობაში, მთელი გულითა და სულით ცდილობდა, მოწყობილიყო ან პოლიციის პრეფექტურაში, ან სამეფო პოლიციის მთავარ სამმართველოში და რაიმე საპატიო, ღირსეული ადგილი მიეღო. ბოლოს და ბოლოს, კიდეც გამოიგონა ერთი თანამდებობა და კორანტენს უჩიჩინებდა, ადრე თუ გვიან, ეს თანამდებობა უთუოდ საჭირო გახდებაო. მისი აზრით, პოლიციის პრეფექტურასთან უნდა დაარსებულიყო ბიურო, ეგრეთ წოდებული ცნობათა ბიურო, რაც შემაკავშირებელი ჯაჭვი იქნებოდა საკუთრივ პარიზის პოლიციისა, სისხლის სამართლის პოლიციისა და სამეფო პოლიციისა; პოლიციის მთავარ სამმართველოს ხელს შეუწყობდა, თავისი გაფანტული ძალები შესაბამისად გამოეყენებინა. მხოლოდ და მხოლოდ პერადს, აგრერიგად ხანდაზმულსა და ორმოცდათხუთმეტი წლის ნამსახურს, შეეძლო გადაქცეულიყო სამი პოლიციის შემაკავშირებელ რგოლად, ერთგვარ არქივარიუსად, ვისაც პოლიტიკური და სისხლის სამართლის პოლიცია მიმართავდა ამა თუ იმ უცნობი ფაქტის დასადგენად. პერადი იმედოვნებდა, კორანტენის შემწეობით მიზანს მივაღწევ და ჩემს პატარა ლიდის მზითევსა და საქმროს ვუშოვიო. კორანტენი ამ საქმეზე უკვე ელაპარაკა გენერალურ დირექტორს, ოღონდ პერადი არ უხსენებია. გენერალური დირექტორი სამხრეთელი გახლდათ და საჭიროდ მიიჩნია ეს წინადადება განსახილველად პრეფექტურისთვის წარედგინა.

იმ დროს, როდესაც კონტანსონმა ოქროს მონეტა სამჯერ დააკაკუნა მაგიდაზე, რაც ნიშნავდა, რაღაც მაქვს თქვენთან სათქმელიო, პოლიციის ჯაშუშთა პატრიარქი შემდეგი ამოცანის გადაწყვეტაზე იტეხდა თავს: ვინ მივუგზავნო, რითი დავაინტერესო და როგორ ავამოქმედო ახლანდელი პოლიციის პრეფექტიო, სახეზე კი ბრიყვული გამომეტყველება აღბეჭდოდა; აქაოდა, კურიერ ფრანსეს,, მეტი არაფერი მაინტერესებსო, ისე ჩაჰკირკიტებდა ამ გაზეთს.

ჩვენი საწყალი ფუშე, გულში ამბობდა, როცა სენტონორეს ქუჩას მიჰყვებოდა, ეს დიდებული კაცი მკვდარია! ვინც შუამავლობას გვიწევდა ლუი XVIIIსთან, პატივაყრილნი არიან! ესეც არ იყოს, კორანტენი აკი გუშინ მეუბნებოდა, აღარავის სჯერა სამოცდაათი წლის კაცის არც ჭკუისა და არც სიმარჯვისო... ეჰ, ნეტავ რა ჯანდაბისთვის მივეჩვიე ვერის რესტორანში ჭამასმას, ძვირფას ღვინოებს... დედილო გოდიშონისთანა,, სიმღერებს... აზარტულ თამაშს, თუკი ფული ჩამივარდა ხელში! მტკიცე მეგობრობის შესაქმნელად მარტო ჭკუით ფონს ვერ გახვალ, ჭკუით მოქცევაც უნდა შეგეძლოს! როგორ მიწინასწარმეტყველა მომავალი ძვირფასმა ბატონმა ლენუარმა! აკი მითხრა, ყოველთვის არარაობა იქნებიო, როცა ყელსაბამის

თაობაზე ერთი ამბავი ატყდა და გაიგო, რომ კახპა ოლივას საწოლქვეშ დიდხანს ვერ გავძელი.

თუ პატივცემული მამილო კანკოელი (შინ მამილო კანკოელს ეძახდნენ) მუანოს ქუჩაზე, მეხუთე სართულზე დაბინავდა, გარწმუნებთ, ბინის განლაგებაში უთუოდ ისეთი თავისებურება შენიშნა, რაც მისი შემაძრწუნებელი საქმიანობისთვის ზედგამოჭრილი იყო. ნევსენროხის ქუჩის კუთხეში მდგომ სახლს ცალმხრივ მეზობლები არ ჰყავდა. კიბე ორ ნაწილად ყოფდა და ყოველ სართულზე ორორი სრულიად იზოლირებული ოთახი იყო. ეს ოთახები ნევსენროხის ქუჩისკენ გადიოდა. მეხუთე სართულის ზემოთ, მანსარდაში, ერთ ოთახში სამზარეულო ჰქონდათ, ხოლო მეორეში მამილო კანკოელის ერთადერთი მოახლე, ლიდის ძიძა, ფლამანდიელი დედაკაცი ცხოვრობდა. მას სახელად კატი ერქვა. მამილო კანკოელმა ორი იზოლირებული ოთახიდან ერთში საძინებელი მოიწყო, მეორეში კაბინეტი. სქელი, კაპიტალური კედელი კაბინეტს მეზობლად მდებარე სახლისგან აშორებდა. მუანოს ქუჩაზე გამავალი ფანჯარა მოპირდაპირე კუთხეში მდგომი სახლის ყრუ კედელს გასცქეროდა. ამგვარად, პერადის კაბინეტსა და კიბეს შორის მისივე საძინებელი იყო. ამის გამო ორ მეგობარს თავი არხეინად უნდა ეგრძნო; მათ ვერც ვინმე დაინახავდა და ვერც ვინმე მოუსმენდა. შეეძლოთ მშვიდად ემუსაიფათ კაბინეტში, რომელიც თითქოს განზრახ იყო მოწყობილი მათი შემზარავი ხელობისთვის. სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, პერადმა ფლამანდიელი ქალის ოთახში ჩალა დააფინა, სქელი ჯვალო გადააფარა, ზემოდან კი მძიმე ფარდაგი, აქაოდა, ჩემი ბავშვის ძიძას მყუდროებას ვუქმნიო. უფრო მეტიც, თავის ოთახში ბუხარი ჩაქოლა და ღუმელი დაიდგა, მილი კედელში გაიყვანა, ნევსენროხის ქუჩისკენ. იატაკზე რამდენიმე ხალიჩა დააფინა, რათა ქვემო სართულში მდგმურებს ხმაური არ ჩასვლოდათ, აბა, ჯაშუშების საქმეთა ოსტატს რა გამოეპარებოდა; კვირაში ერთხელ შუა კედელს, ჭერსა და იატაკს საგულდაგულოდ ამოწმებდა, ვითომ პარაზიტ მწერებს ანადგურებდა. რაკი დარწმუნებული იყო, აქ არავინ მოუსმენდა და დაინახავდა, კაბინეტს კორანტენს უთმობდა სათათბირო დარბაზად, როცა თავად არ თათბირობდა შინ. კორანტენის სადგომი მარტოოდენ სამეფო პოლიციის მთავარი სამმართველოს გენერალური დირექტორისთვის იყო ცნობილი და იქ განსაკუთრებულ, ფრიად მნიშვნელოვან შემთხვევებში სამინისტროს ან სამეფო კარის მიერ დანიშნულ შუამავლებს იღებდა. არც ერთი აგენტი, არც ერთი დაბალი თანამდებობის პირი იქ ფეხს ვერ მიადგამდა. თავისი ხელობის საქმეებს პერადის კაბინეტში აჭახრაკებდა, ამ ყოველგვარ გარეგნულ ბრწყინვალებას მოკლებულ ოთახში ისეთი საკითხები წყდებოდა, რაც თავისებური მატიანეებისა და თავშესაქცევი დრამებისთვის უხვ მასალად გამოდგებოდა, კედლებს ლაპარაკი რომ შესძლებოდათ. 1816-1826 წლებში სწორედ აქ განიხილებოდა უდიდესი მნიშვნელობის საკითხები. აქ აღმოცენდა ისეთი გეგმები, რასაც მომავალში საფრანგეთი უნდა დაეთრგუნა. 1819 წელს ამავე ოთახში პერადი და კორანტენი, გენერალურ პროკურორ ბელიარივით შორსმჭვრეტელნი, მაგრამ საქმეში მასზე მეტად ჩახედულნი, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: თუ ლუი XVIII-ს არ ნებავს სასტიკი ზომების მიღება, თავიდან მოიშოროს მავანი

და მავანი პრინცი; ჩანს, ძმა ეზიზღება. რა ვიცით, იქნებ უნდა მემკვიდრეობით გადასცეს რევოლუცია?,,

პერადს კარზე გრიფელის დაფა ჰქონდა მიმაგრებული და ზედ ხანდახან ცარცით დაწერილი უცნაური ნიშნები, ციფრები ჩნდებოდა. ერთი შეხედვით ჯოჯოხეთური ალგებრა გეგონებოდათ, მაგრამ ვინც მის საიდუმლოებას ფლობდა, გაშიფვრა არ გაუძნელდებოდა. პერადის ღარიბული სადგომის პირდაპირ ლიდისთვის მოეწყოთ საცხოვრებელი კუთხე: წინკარი, პატარა სალონი, საძინებელი, სატუალეტო ოთახი... როგორც პერადის კარი, ლიდის კარიც ორმაგი მუხის ხისგან იყო შეკრული და შუაში ცხრა სანტიმეტრის სისქის თუნუქი ჰქონდა ჩატანებული. ისეთი სისტემის ანჯამებითა და ბოქლომებით გაემაგრებინათ, რომ მისი ძალით გაღება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ციხის კარის შემტვრევა. ამიტომაც ლიდის მყუდროებას არაფერი ემუქრებოდა, თუმცა მათ სახლში დუქანიც იყო. წინკარი მეტისმეტად ბნელი ჰქონდათ და არც მეკარე ჰყავდათ; სასადილო დარბაზის, პატარა სალონის და საძინებლის ფანჯრებზე ყვავილების ქოთნები ეკიდა და ირგვლივ ფუფუნება და ფლამანდიური სისუფთავე სუფევდა. ფლამანდიელი გადია გვერდიდან არ იშორებდა ლიდის და გოგონას შვილს ეძახდა. ორივენი წირვალოცვას არ აკლდებოდნენ ეკლესიაში, რაც ბერიკაც კანკოელზე შესანიშნავ შეხედულებას უქმნიდა როიალისტ ბაყალს, ამავე სახლში რომ ჰქონდა დუქანი გახსნილი, მუანოსა და ნევსენროხის ქუჩების შესაყართან. მის ოჯახსაც, დუქნის ბიჭებიანმზარეულიანად, აქვე ეკავა ანტრესოლი და მეორე სართული. მესამე სართულზე სახლის პატრონი ცხოვრობდა; ხოლო მეოთხე სართულს, აგერ ოცი წელია, ერთი ოქრომჭედელი ქირაობდა. თითოეულ მდგმურს შემოსასვლელი კარის ცალკე გასაღები ჰქონდა. ბაყლის ჯალაბისთვის ძნელი არ იყო ამ სამი მშვიდი ოჯახისთვის განკუთვნილი წერილებისა და ამანათების მიღება, რაკი მის მაღაზიაზე, ქუჩის მხრიდან, საფოსტო ყუთი ეკიდა. ამ დეტალების გარეშე უცხოელებისთვის და იმათთვისაც, ვინც კარგად იცნობენ პარიზს, გაუგებარი დარჩება აქ გამეფებული იდუმალება და სიმშვიდე, განმარტოება და უშიშროება, რაც ამ სახლს ერთგვარ პარიზულ ღირსშესანიშნაობად აქცევდა. ღამის თორმეტი საათის შემდეგ ძია კანკოელს შეეძლო ყოველგვარი მზაკვრული ქსელი გაებგამოება, მიეღო ჯაშუშები, მინისტრები, წესიერი თუ უწესო ქალები და არავის არაფერი შეემჩნია. პერადს ყველა სათნო ადამიანად თვლიდა. ფლამანდიელმა დედაკაცმა ბაყლის მზარეულს აკი უთხრა, ჭიანჭველასაც არ დაადგამსო ფეხს! კანკოელი შვილისთვის სულსაც არ იშურებდა. ლიდიმ მუსიკალური და შმუკესთან ისეთი განათლება მიიღო მხატვრობაში, რომ სეპიით, გუაშითა და აკვარელით ხატვაც ეხერხებოდა. კვირა დღეს პერადი შვილთან ერთად სადილობდა; ამ დღეს ბერიკაცი მხოლოდ და მხოლოდ მამის როლს ასრულებდა. ლიდის ღმერთი სწამდა, მაგრამ ღვთისმოშიში არ იყო. დიდმარხვაში ზიარებას იღებდა და მოძღვარს თვეში ერთხელ აღსარებასაც ეუბნებოდა. მიუხედავად ამისა, თეატრში სიარულს არ იკლებდა. კარგ დარში ტიუილრიში სეირნობდა. მეტი გასართობი არაფერი ჰქონდა. კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ლიდი მამას აღმერთებდა და იოტისოდენა ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რა შემზარავი ნიჭით იყო იგი დაჯილდოებული და რა ბნელ საქმეებს აკვარახჭინებდა. არავითარ ვნებას არ აეღელვებინა ამ უმანკო ბავშვის კამკამა სიცოცხლე.

ტანკენარი იყო, დედასავით თვალწარმტაცი; სახის ნატიფი ნაკვთები, მშვენიერი ქერა თმა ჰქონდა და ჰგავდა არა ხორციელს, არამედ ჰაეროვან ანგელოზს, პრიმიტიული მხატვრები რომ ხატავენ წმინდა ოჯახის ფონზე. დიდრონი ცისფერი თვალები თითქოს ციურ შუქს ჰფენდა იმას, ვისაც თავისი შეხედვით გააბედნიერებდა. ჯადოსნური ხმა მოემადლებინა მამაუფალს. მოდას არ მიჰყვებოდა; უბიწოება გამოსჭვიოდა მის ტანსაცმელში, ბურჟუის კეთილსინდისიერების სურნელს რომ აფრქვევდა. წარმოიდგინეთ ანგელოზის მამად ბებერი სატანა, არამიწიერ არსებასთან ურთიერთობით რომ იღებს ახალ სასიცოცხლო ძალას და წარმოგესახებათ პერადი თავისი ასულით. ვაი მას, ვინც გაბედავდა ამ ალმასის შებღალვას. მის გასანადგურებლად მამა ისეთ ჯოჯოხეთურ ხაფანგს გამოიგონებდა, რომლის მსგავსშიც რესტავრაციისპერიოდში არაერთი ბედშავი გაბმულა და სიცოცხლე ეშაფოტზე დაუსრულებია. წელიწადში ათასი ეკიუ ჰყოფნიდათ ლიდისა და კატს, ვისაც გოგონა გადიას ეძახდა.

როცა მუანოს ქუჩის აღმართი აიარა, პერადმა კონტანსონი დალანდა; წინ გაუარა და კიბეზე შემოესმა თუ არა აგენტის ნაბიჯების ხმა, თავის სადგომში შეუძღვა, სანამ ფლამანდიელი სამზარეულოდან ცხვირის გამოყოფას მოასწრებდა. მესამე სართულზე, სადაც ოქრომჭედელი ცხოვრობდა, რკინისგისოსებიან კარზე ზარი ეკიდა და თუ ვინმე კარს გააღებდა, ზარი მყისვე ირეკებოდა მეოთხე და მეხუთე სართულის ბინადართა გასაფრთხილებლად. აბა, რა საჭიროა გითხრათ, რომ შუაღამის შემდეგ პერადი ზარის ენას ბამბაში ახვევდა.

რა გადაუდები საქმე დაგტყდომია თავს, ფილოსოფოსო?,,
პერადი მეტსახელად ფილოსოფოსს,, უწოდებდა კონტანსონს; ჯაშუშთა ეს ეპიქტეტემართლაც იმსახურებდა შერქმეულ სახელს. კონტანსონი ვაგლახ, რომ ნორმანდიელ ფეოდალთა ერთერთ უძველეს საგვარეულოს ეკუთვნოდა (იხილეთ ნუგეშის ძმები,,).

ჰო, ისეთი რამეა, რომ ათასი ფრანკის ჩაჯიბვაა შესაძლებელი.

რა იყო? პოლიტიკას ეხება?

ოჰ, არა, სულ უბრალო რამაა! ბარონი დე ნიუსინჟენი ხომ გაგიგიათ? ამ ბებერ პატენტიან ქურდბაცაცას გული შევარდნია ერთ ქალზე, რომელიც ვენსენის ტყეში დაუნახავს. უნდა ვიპოვოთ, თორემ სიყვარულისგან სული გასძვრება... მისმა ლაქიამ მითხრა, გუშინ ექიმებს კონსილიუმი მოუწვევიათ... უკვე დავაძვრე ათასი ფრანკი, ვითომ მისი ინფანტას მოსაძებნად.

კონტანსონი მოუყვა, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ნიუსინჟენი და ესთერი, მერე ისიც დასძინა, ბარონს რაღაც ახალი ცნობები მიუღიაო.

კარგი, უთხრა პერადმა, ვიპოვით მაგ დულციინეას. ბარონს მოახსენე, ეტლით მობრძანდეს ელისეს მინდვრებზე, გაბრიელის ავენიუზე, მარინის ხეივნის ბოლოში.
პერადმა კონტანსონი გაისტუმრა და თავის ქალიშვილს დათქმული ნიშნით კარზე დაუკაკუნა. სახეგაბადრული შევიდა შვილთან. ბოლოს და ბოლოს, ბედმა გაუღიმა და შემთხვევა მისცა, ხელში ჩაეგდო თანამდებობა, რაზედაც დიდი ხანია ოცნებობდა. ლიდის შუბლზე აკოცა, ვოლტერის ღრმა სავარძელში ჩაეშვა და უთხრა:

ხომ არ დამიკრავ რამეს?..

ლიდიმ ბეთჰოვენის საფორტეპიანო პიესა დაუკრა.

რა კარგად უკრავ, ჩემო ნუკრო, შეაქო მამამ და შვილი მუხლებს შორის დაიყენა, ხომ იცი, ჩვენ უკვე ოცი წლისა ვართ. გათხოვების დროა. მამიკომ სამოცდაათ წელს გადააბიჯა...
მე აქ ბედნიერად ვგრძნობ თავს, მიუგო ლიდიმ.

მარტო მე გიყვარვარ, ასეთი მაიმახი და ბებრუცანა? ჰკითხა პერადმა.

აბა, ვინ უნდა მიყვარდეს?

შენთან ვისადილებ, ჩემო ნუკრო, კატი გააფრთხილე. ვფიქრობ, კარგად მოვეწყობი, სამსახურს დავიწყებ და ღირსეულ საქმროსაც გამოგიძებნი... წესიერსა და ნიჭიერ ყმაწვილს, ისეთ ვაჟკაცს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ცოლობით იამაყო.

ერთი ვინმე მომეწონა, მის გარდა ჯერ არავისზე მიფიქრია გათხოვება...

სად ნახე?

ტიულრიში, მიუგო ლიდიმ, გრაფინია დე სერიზისთან მკლავში ხელგაყრილი მოსეირნობდა.

რა ჰქვია?

ლუსიენ დე რიუბამპრე!.. ჩემთვის არხეინად ვიჯექი ცაცხვის ქვეშ კატთან ერთად, ვიღაც ორი ქალის გვერდით. ერთმა უთხრა მეორეს: აგერ ქალბატონი დე სერიზი და მშვენიერი ლუსიენ დე რიუბამპრე!,, მეც გავიხედე იმ წყვილისკენ, ვისაც ქალები უთვალთვალებდნენ. ოჰ, ძვირფასო, თქვა მეორემ, ხომ არსებობენ ასე ბედნიერი ქალები!.. მაგას ყველაფერი ეპატიება, რადგან დაბადებით რონკეროლია და დიდად გავლენიანი ქმარიც ჰყავს,,. პირველმა უპასუხა: მერე რა, იცით, ლუსიენი რა ძვირი უჯდება?...,, რას ნიშნავს ეს, მამიკო?

მაღალი საზოგადოების ყბედობაა და მეტი არაფერი, გულთბილად უთხრა პერადმა შვილს, იქნებ რაღაც პოლიტიკურ ამბებს გულისხმობდნენ.

აბა, რა მოგახსენოთ. თქვენ მკითხეთ და მეც გიპასუხეთ. თუ ჩემი გათხოვება მოგისურვებიათ, იმ ახალგაზრდა კაცის მსგავსი მომიძებნეთ...

ჩემო ბავშვო! მიმართა მამამ, მამაკაცების სილამაზე ყოველთვის მათ სიკეთეზე როდი მეტყველებს, საამური გარეგნობის ჭაბუკები ცხოვრების დასაწყისში რაიმე სიძნელეს არ ხვდებიან და საკუთარ შესაძლებლობებს არაფრად აგდებენ. საზოგადოება წინასწარ ქებადიდებით ხრწნის მათ და მომავალში ამგვარ ყმაწვილებს ძვირად უჯდებათ დაუმსახურებელი კეთილგანწყობა ხალხისა!.. მე კი მინდა ისეთი ვინმე ვიპოვო, ვისაც ბურჟუები, მდიდრები და შტერები არც დახმარებას უწევენ და არც მფარველობას...

ვინ, მამიკო?

უცნობი გენიოსი... კარგი, ჩემო საყვარელო ბავშვო, პარიზის ყველა სხვენს გადავჩხრეკ და სურვილს შეგისრულებ, გიპოვი ისევე მშვენიერ ყმაწვილკაცს, როგორიც ის უქნარაა, შენ რომ შეგხვედრია, მაგრამ ისეთს, ვისაც წინ ბრწყინვალე მომავალი აქვს, დიდი სახელი და სიმდიდრე... ოჰ, კინაღამ დამავიწყდა! მე ხომ დისწულების და ძმისწულების მთელი ფარა მყავს, იქნებ მათ შორის გამოიძებნოს შენი ღირსი!.. მე თავად მივწერ, ანდა ვინმეს მივაწერინებ წერილს პროვანსში!

საოცარი რამ მოხდა! სწორედ ამწუთას ვოკლიუზიდან ფეხით ჩამოსული, შიმშილითა და დაღლილობით სიკვდილის პირას მიღწეული ჭაბუკი, მამილო კანკოელის ძმისწული, იტალიური ჭიშკრიდან პარიზში შემოდიოდა და თავის ბიძას ეძებდა. კანკოელთა საგვარეულოში ვინც არ იცოდა, რა ბედი ეწია ამ უცნობ ბიძას, ოცნებად ჰქონდა გადაქცეული პერადი და მასზე დიდ იმედს ამყარებდა. ასე ეგონათ, ინდოეთიდან მილიონები ჩამოიტანაო. კერიასთან ნაამბობი ზღაპრებით გაბრუებული მამილო კანკოელის ძმის შვილიშვილს, თეოდორს, დედამიწის გარშემო მოგზაურობა მოეწყო ამ ფანტასტიკური ბიძის მოსაძებნად.

პერადი რამდენიმე საათს ტკბებოდა მამაშვილური ბედნიერებით. მერე თავი დაიბანა, თმა შეიღება (შესანიღბად პუდრსაც ხმარობდა), ჩინებულ მაუდის რედინგოტში გამოეწყო, ღილები ნიკაპამდე შეიკრა, შავი მოსასხამი მოიხურა, სქელლანჩიანი მაღალი ჩექმა ჩაიცვა, პოლიციის პირადობის მოწმობა აიღო და ნელი ნაბიჯით გაბრიელის ავენიუზე ჩაიარა; ელისებურბონის ბაღთან მემწვანილე დედაბრად გადაცმულ კონტანსონს შეხვდა.

ბატონო სენჟერმენ, მიმართა ყოფილ შეფს კონტანსონმა შერქმეული საბრძოლო სახელით, თქვენ მე ხუთასი ფასესი,, (ფრანკი) მაშოვნინეთ, მაგრამ მე აქ იმიტომ გდარაჯობთ, რომ

შეგატყობინოთ, წყეული ბარონი სანამ ამ ფულს მომცემდა, ცნობების შესაკრებად სახლში,, (პრეფექტურაში) წასულა.

ალბათ, დამჭირდები, უთხრა პერადმა, ნახე შვიდი, ათი და ოცდაათი ნომრები. მათ ისე გამოვიყენებთ, რომ ვერც პოლიცია შეგვიტყობს რამეს და ვერც პრეფექტურა.

კონტანსონი საგუშაგოზე დაბრუნდა კარეტასთან, სადაც ბატონი დე ნიუსინჟენი პერადს ელოდებოდა.

მე გახლავართ ბატონი დე სენჟერმენი, უთხრა სამხრეთელმა კაცმა ბარონს და სატერფულზე ფეხი შედგა.

ქარგი, ჩაჩექიტ, უთხრა ბარონმა და მეეტლეს უბრძანა, ეტუალის ტრიუმფალური თაღისკენ წაგვიყვანეო.

პრეფექტურაში წაბრძანებულხართ, ბატონო? კარგად ვერ მოქცეულხართ... ნება მომეცით, გავიგო, რა მოახსენეთ ბატონ პრეფექტს და რა გიპასუხათ? ჰკითხა პერადმა.

ზანამ ხუტაზ ფრანქზ მივზემდი იზეტ არამზატაზ, როგორიცაა გონდანზონი, მინდოდა, გამეგო, ღირდა თუ არა... ზულ უბრალოტ ვუტხარი პოლიციიზ პრეფექტზ, დახმარებიზტვიზ მინდა მივმარტო აგენტზ, პერატს, ერტი ზნელი დავალება უნტა მივცე და ზრული ნდობიზ ღირზია ტუ არამეტქი... პრეფექტმა მიპაზუხა, პერატი ერტერტი ქველაზე მარშვე და კეტილზინტიზიერი აგენტიაო... ეზაა და ეზ.

ბატონი ბარონი კეთილინებებს და მეტყვის თუ არა, რა ნებავს? მით უმეტეს, რომ მისთვის ახლა უკვე ცნობილია ჩემი ნამდვილი გვარი.

ბარონმა დაწვრილებითა და ენაწყლიანად აუწერა თავის პოლონურებრაულ შემზარავ დიალექტზე ესთერთან შეხვედრა. კარეტის ზურგზე შემომჯდარი ჰაიდუკის შეძახილი, უშედეგო ძიება ქალისა და ბოლოს არც ის დაუფარავს, რაც წინაღამეს მის სახლში მოხდა. უამბო, ლუსიენ დე რიუბამპრეს უნებლიეთ გაეღიმა და ბიანშონი და რამდენიმე დენდი მარწმუნებდნენ, უცნობ ქალსა და ამ ყმაწვილკაცს შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოსო.

მომისმინეთ, ბატონო ბარონო, უპირველეს ყოვლისა, ხარჯებისთვის ათი ათას ფრანკს მომცემთ, რადგან ეგ საქმე თქვენთვის სამკვდროსასიცოცხლო საკითხი ყოფილა და რაკი სიცოცხლე მსხვილი წარმოებაა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიპოვოთ ქალი. როგორ გაბმულხართ მახეში?
ტიახ, გავები მახეში!..

თუ მეტი დამჭირდება, გეტყვით, ბატონო. მენდეთ, განაგრძო პერადმა, ჯაშუში არ გახლავართ, ტყუილად ფიქრობთ... 1807 წელს პოლიციის კომისარი ვიყავი და ახლა, როცა ლუი XVIII აღარა გვყავს, შემიძლია გაგიმჟღავნოთ, რომ შვიდი წლის განმავლობაში მის კონტრპოლიციას სათავეში ვედექი... ჩემთან ვაჭრობა საკადრისი არაა. თქვენ კარგად გესმით, ბატონო ბარონო, სხვისი სინდისის შესაძენად ხარჯთაღრიცხვის შედგენა შეუძლებელი გახლავთ, სანამ საქმეს ღრმად არ შეისწავლი. მაგრამ, რაც უნდა დიდი თანხა მომცეთ, არ გეგონოთ, საკმარისი იქნება. სულ სხვა რამ მსურს ჯილდოდ.

ტუქი ეგ სამეფო არ იქნება... მიუგო ბარონმა.

თქვენთვის მეტად იოლია.

ქარქი, ტანახმა ვარ.

კელერებს იცნობთ?

ახლოზ.

ფრანსუა კელერი სიძეა გრაფ დე გონდრვილის, ხოლო გრაფმა დე გონდრვილმა გუშინ თქვენთან ისადილა თავის სიძესთან ერთად.

ვინ ეშმაქმა მოგახზენატ ექ... შესძახა ბარონმა, რა ქბეტია შორში, იზ გეტქოდატ.

პერადმა ჩაიცინა. ბანკირმა შენიშნა და თავის მსახურზე ეჭვი აღეძრა.

გრაფ დე გონდრვილს არ გაუძნელდება ჩემთვის სასურველ თანამდებობაზე მომაწყოს პოლიციის პრეფექტურაში. ზუსტად ორი დღის შემდეგ პრეფექტს მოხსენებით ბარათს წარვუდგენ ამ თანამდებობის შექმნის თაობაზე. ითხოვეთ ჩემთვის ეს ადგილი, განაგრძო პერადმა, მოაწყვეთ ისე, რომ გრაფმა დე გონდრვილმაც მოისურვოს ამ საქმეში გარევა, ოღონდ გულისხმიერად მომეკიდოს და ამით სამსახურს ამინაზღაურებს. პატიოსანი სიტყვა მომეცით და მეტს არაფერს გთხოვთ. თუ არ შეასრულებთ პირობას, ადრე თუ გვიან, გაჩენის დღეს გაწყევლინებთ... პერადის სიტყვა იყოს ამის თავდები

გეფიცებიტ, გავაქეტებ, რაზ შეზაზლებელია...

მე რომ თქვენთვის მხოლოდ ის გავაკეთო, რაც შესაძლებელია, საკმარისი არ იქნება.

ჰო, აზე იქოზ, გულახტილი ვიქნები ტქვენტან.

გულახდილი... სწორედ ეგ მსურს, უთხრა პერადმა, და გულახდილობა იქნება ერთადერთი საჩუქარი, ცოტა არ იყოს, უჩვეულო საჩუქარი თქვენთვის; თქვენთვის და ჩემთვის.

გულახდილატ... გაიმეორა ბარონმა, ზატ გზურტ მიგიქვანოტ?

ლუი XVIის ხიდის თავში.

ხიდტან, ზაკანონმდებლო პალატაზტან, უთხრა ბარონმა თავის ლაქიამეტერფულეს, რომელიც კარეტის კარს მიუახლოვდა.

ახლა კი ხელში ჩამივარდება ჩემი უცნოფი,,... გაიფიქრა ბარონმა, როცა ეტლმა სვლა განაგრძო.

რა უცნაურია, გულში ამბობდა პერადი, როცა ფეხით მიემართებოდა პალერუაიალისკენ, სადაც აპირებდა ეთამაშა და ათასი ფრანკი გაესამკეცებინა, რათა ლიდისთვის მზითევი ეყიდა, დახე, რა დამავალა; უნდა გამოვჩხრიკო ბნელბნელი საქმეები ყმაწვილკაცისა, რომლის ერთმა გამოხედვამ ჩემი შვილი დაატყვევა. ჩანს, ეს ბიჭი ქალის ჩინია,,; პერადმა გამოიყენა გამოთქმა იმ განსაკუთრებული ჟარგონიდან, რომელიც თვითონვე შექმნა და მუდამ შველოდა მასა და კორანტენს, აზრი გამოეხატათ ისეთი სიტყვებითა და გამოთქმებით, რაც ხშირად ენის კანონებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სწორედ ამის გამო უფრო ხორცსავსე და ხატოვანი ხდებოდა.

ბარონი დე ნიუსინჟენი სრულიად შეცვლილი დაბრუნდა შინ. სახეზე ფერი მოსვლოდა, თვალები მხიარულად უციმციმებდა. ცოლი და მსახურნი სახტად დარჩნენ.

ამ დროს ოპერიდან დაბრუნებულნი დელფინ დე ნიუსინჟენის პატარა სალონში ჩაის შეექცეოდნენ.

აბა, ფრთხილად, ჩვენო აქციონერებო! გადაულაპარაკა დიუ ტიემ რასტინიაკს.
თანამოძმის ხუმრობას ბარონმა ყური მოჰკრა და ღიმილით დაურთო:

დიახ, მარტლაც ზალიან მინდა ზაქმეზ ხელი მოვქიდო...

რაო, შეხვდით თქვენს უცნობს? ჰკითხა დიუ ტიემ.

არა, მიუგო ბარონმა, მხოლოდ იმედი მაქვზ, მალე ვიფოვნი.

განა ცოლი ასე ეყვარება ვინმეს?.. შეჰყვირა ქალბატონმა დე ნიუსინჟენმა, რომელსაც თითქოს ცოტაოდენი ეჭვიანობის გრძნობა აღეძრა გულში, ანდა თავი მოიკატუნა, ვეჭვიანობო.

როდესაც დაეპატრონებით, უთხრა დიუ ტიემ, მასთან ვახშმად მიგვიწვიეთ. ძალიან მაინტერესებს ვნახო ქალი, ვინც ახალგაზრდული სიჩაუქე დაგიბრუნათ.

შემოქმედიზ შედევრია, უპასუხა ბებერმა ბანკირმა.

ყმაწვილივით გაებმება მახეში, ჩასჩურჩულა რასტინიაკმა დელფინს.

რა მოხდა! საკმაო ფულს შოულობს საიმისოდ, რომ...

რომ ცოტა გასცეს, არა?.. სიტყვა ჩამოართვა ბარონესას დიუ ტიემ.

ნიუსინჟენი ისე სცემდა ბოლთას სალონში, თითქოს ფეხები მოსვენებას არ აძლევდა.

დროა, ახალი ვალები გადაახდევინოთ, ისევ ჩასჩურჩულა რასტინიაკმა დელფინს.
სწორედ ამ დროს ტეტბუს ქუჩაზე კარლოსი უკანასკნელ რჩევადარიგებას აძლევდა ევროპას, ვისაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ბარონ დე ნიუსინჟენის გასაცურებლად მოწყობილ კომედიაში. ეს ნახევრად დემონი იმედით აღვსილი გამოვიდა სახლიდან. იმგვარი სრულყოფილებით იყო შენიღბული, რომ ლუსიენმა მხოლოდ ხმით იცნო და ძალიანაც შეცბა. მღელვარება დაეუფლა ყმაწვილს. ბულვარამდე გაჰყვა კარლოსს.

სად ჯანდაბაში გამოძებნე ესთერზე მშვენიერი ქალი? ჰკითხა თავის გამხრწნელს.

ჩემო პატარავ, პარიზში, ცხადია, ვერ ვიპოვიდი. ამგვარი ფერიები საფრანგეთში არ იბადებიან. ხომ ხედავ, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონზე... ვენერა კალიპიგეც კი ვერ გაუტოლდება თავისი აგებულებით! კაცი ეშმაკს მიჰყიდის სულს მისი გულისთვის... მითხარი, სად იპოვე?

ლონდონში მაგაზე ლამაზ გოგოს ვერსად ნახავ. ჯინით გამოთვრა და ეჭვით შეპყრობილმა თავისი კურო მოკლა. კურო ერთი გარეწარი ვინმე იყო, ლონდონის პოლიციამ შვებით ამოისუნთქა, როგორც იქნა, თავიდან მოვიშორეთო. ჰოდა, საქმე რომ ჩაეფარცხათ და მივიწყებას მიეცათ, ეს ქალი რამდენიმე ხნით პარიზში გამოისტუმრეს... მაგ ძუკნას მშვენიერი აღზრდა აქვს მიღებული, მინისტრის შვილია. ფრანგულად ისე ლაპარაკობს, თითქოს მისი მშობლიური ენა იყოს. არ იცის და არც არასოდეს ეცოდინება, რისთვისაა აქ. შენზე უთხრეს, თუ მოეწონები, მილიონებს დასცინცლავ, მაგრამ ვეფხვივით ეჭვიანია და

ამიტომაც ისე უნდა იცხოვრო, როგორც ესთერი ცხოვრობდაო. შენი გვარი და სახელი არც კი იცის.

ვაითუ ნიუსინჟენმა ესთერს ამჯობინოს.

ოჰო, ხედავ, რა მიღწევაა... შეჰყვირა კარლოსმა, დღეს გეშინია, რომ არ შესრულდეს ის, რაც გუშინ გაშინებდა. არხეინად ბრძანდებოდე, ეს ქერა და თეთრი გოგო ლურჯთვალაა, სრული კონტრასტი მშვენიერი ებრაელისა; მარტოოდენ ესთერის თვალებს შეუძლია ააღელვოს ისეთი დამპალი კაცი, როგორიც ნიუსინჟენი ბრძანდება. ეშმაკმა დასწყევლოს, შენ ხომ ვიღაც გონჯს არ დამალავდი ასე საგულდაგულოდ! როდესაც თავის როლს გაითამაშებს, სანდო პირის თანხლებით რომში ან მადრიდში გავგზავნი, სადაც უფლებამოსილი იქნება, კაცებს ვნება გაუღვიძოს.

რაკი აქ დიდხანს არ დარჩება, დავბრუნდები მასთან, თქვა ლუსიენმა.

წადი, ჩემო შვილო, გაერთე... ხვალინდელი დღეც შენს განკარგულებაშია. მე კი დაველოდები ერთ ვინმეს, ვისაც დავავალე, გამიგოს, რა ხდება ბარონ დე ნიუსინჟენთან.

ვის ელოდები?

ნიუსინჟენის ლაქიის საყვარელს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება მტრის ბანაკში.

ღამის თორმეტ საათზე ესთერის ჰაიდუკი პაკარი ხელოვნებათა ხიდზე,, კარლოსს შეხვდა. ეს ადგილი მეტად მოსახერხებელია იმათთვის, ვისაც რაიმე აქვთ სათქმელი და ყური არავინ უნდა მოჰკრას. საუბრის დროს ჰაიდუკი ერთ მხარეს იყურებოდა, მისი პატრონი მეორე მხარეს.

ბარონი დღეს, ასე, ოთხ თუ ხუთ საათზე, პოლიციის პრეფექტურაში წავიდა, მოახსენა ჰაიდუკმა, საღამოს ტრაბახობდა, ვენსენის ტყეში რომ ვნახე, იმ ქალის კვალს მივაგენიო. დაჰპირებიან, მოგიყვანთო...

თვალთვალს დაგვიწყებენ, თქვა კარლოსმა, ვის მოგვისევენ?

ერთხელ უკვე მიმართეს ლუშარს, საკომერციო პოლიციის ბოქაულს.

ეგ ხომ ბავშვობაა, შესძახა კარლოსმა, ჩვენ თავს უნდა ვარიდებდეთ მხოლოდ უშიშროების ბრიგადასა და სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციას. სანამ ისინი არ ამოქმედებულან, ჩვენ უნდა გამოვიღოთ ხელი, გესმის?..

არის კიდევ ერთი რამ.

რა?

ამფსონები მდელოდან,,... გუშინ კანტალა,, ვნახე... ერთი ოჯახი გაუცივებია და ოქროთი ათი ათასი ფრანკი ჩაუჯიბავს.

დაიჭერენ, უთხრა ჟაკ კოლენმა, ეგ ხომ ბუშეს ქუჩაზე მომხდარი მკვლელობაა.

ახლა რას მიბრძანებთ? ჰკითხა პაკარმა ისეთი მოწიწებით, როგორითაც, ალბათ, პაროლის მისაღებად მისული მარშალი მიმართავდა ლუი XVIII-ს.

ყოველ საღამოს, ათ საათზე, კარეტით გამოხვალთ, უთხრა კარლოსმა, ჭენებით შეხვალთ ვენსენისა და მედონის ტყეებში, ანდა ვილ დჟავრესკენ გასწევთ. თუკი ვინმე თვალთვალს დაგიწყებთ და გამოგედევნებათ, ხელს ნუ შეუშლი, იყავი დამყოლი, ყბედი, ფულზე დახარბებული. იტყვი, რომ რიუბამპრე ძალიან ეჭვიანია, მადამზე,, ჭკუა ეკარგება და თან ეშინია, საზოგადოებაში არავინ გაიგოს, ამნაირი საყვარელი რომ ჰყავსთქო.

გასაგებია! იარაღი ვიქონიო?..

არაფრის გულისთვის! მკვირცხლად მიუგო კარლოსმა, იარაღიო!.. რა საჭიროა, უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. რაც უნდა გაგიჭირდეს, მონადირის დანას ნუ გამოიყენებ. აბა, რად გინდა, თუკი შეგიძლია, თვით ყველაზე ძლიერ კაცსაც კი გადაუმტვრიო ფეხები იმგვარი სარმით, მე რომ გასწავლე!.. რისი უნდა გეშინოდეს, როცა დარწმუნებული ხარ, პოლიციის სამ შეიარაღებულ ქოფაკს ისე შეებმები, რომ ორს მიწაზე დაანარცხებ, სანამ თავიანთ ნაჯახებს იშიშვლებდნენ? განა თან არ გექნება შენი კეტი?..

როგორ არა! კვერი დაუკრა ჰაიდუკმა.

პაკარს მეტსახელად ძველ გვარდიას,,, დაქოქილ კურდღელსა,, და მარიფათიანს,, ეძახდნენ. მუხლმაგარი იყო, დაკუნთული, რკინისმკლავება. ქილვაშები იტალიურ ყაიდაზე დაეყენებინა. არტისტულად აწეწილი ქოჩორი, მესანგრის წვერი, კონტანსონივით ფერმკრთალი სახე და გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა. მგზნებარებას გულში ღრმად ინახავდა, თავს იწონებდა პოლკის მედოლის გარეგნობით, რითაც ყოველგვარ ეჭვს თავიდან

იცილებდა. პუასის ან მელენის ვერც ერთი კატორღელი ვერ გაუტოლდებოდა კადნიერებითა და საკუთარი ღირსებისადმი უდიდესი რწმენით. იგი ჯაფარი იყო კატორღის ჰარუნალრაშიდისა და ისეთივე აღტაცებით შესციცინებდა მას, როგორც პერადი კორანტენს. ოდნავ მკერდშეზნექილი და ხმელხმელი ახმახი უღრმესი სერიოზულობით ადგამდა ჯოხებივით აწოწილ ფეხებს. მარჯვენას მანამ არ გადაადგამდა, სანამ მარჯვენა თვალს გარემოს არ მოავლებდა ისე სწრაფად, როგორც ქურდებსა და ჯაშუშებს სჩვევიათ. მარცხენა თვალიც მარჯვენას ჰბაძავდა. ერთი ნაბიჯი, თვალის ერთი გადავლება! ძარღვმაგარსა და მკვირცხლს, ნიადაგ საბრძოლველად გამზადებულს, მომადლებული ჰქონდა ყოველგვარი ნიჭი, რაც საზოგადოების წინააღმდეგ ამხედრებულ კაცს სჭირდებოდა. კარლოსის თქმისა არ იყოს, ტოლს ვერავინ დაუდებდა, ჭიასავით რომ არ შესჯდომოდა შინაგანი მტერი, რასაც გაბედულთა საყლაპავს,, უწოდებენ. ბატონმა ის მაინც მოახერხა, რომ მონა დაიყოლია, მტრულ ძალას მხოლოდ საღამოობით დამორჩილებოდა. შინ დაბრუნებული პაკარი თხიერ ოქროს ყლაპავდა, თითოთითო ყლუპად რომ უსხამდა დანციგიდან ჩამოსული ღიპიანი, უბირი გოგო.

ფხიზლად ვიქნები, უთხრა პაკარმა გამომშვიდობებისას იმას, ვისაც სულიერ მამას,, ეძახდა, და თავზე ბუმბულიანი, მშვენიერი ქუდი დაიხურა.
აი, რა ვითარებაში გამოვიდა ერთსა და იმავე სამოქმედო სარბიელზე ეს სამი თავთავის სფეროში მძლავრი პიროვნება: ჟაკ კოლენი, პერადი და კორანტენი. ისინი ბრძოლაში საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ჩაებნენ და ამისთვის არც ნიჭსა და არც ენერგიას არ დაზოგავდნენ. გაჩაღდა სასტიკი ომი, რომელიც იმდენ გამჭრიახობას, სიძულვილს, მრისხანებას, ცბიერებას, ძალმომრეობას, შეტევასა და უკან დახევას მოითხოვდა, რაც სავსებით კმაროდა უდიდესი ქონების დასაგროვებლად. პერადის გულში სამუდამოდ ჩაიმარხა, თუ ვინ უწევდა დახმარებას და რა ხრიკებს მიმართავდა ამ ლაშქრობაში. ერთგული მეგობარი აქაც მხარში ედგა, თუმცა ერთისთვისაც და მეორისთვისაც ნიუსინჟენის საქმე გულუბრყვილო თამაში იყო და მეტი არაფერი. ასე და ამგვარად, ამ ამბებზე ისტორია ისევე დუმს, როგორც კრინტს არ ძრავს რევოლუციის მრავალ ჭეშმარიტ მიზეზზე. შედეგს კი მოგახსენებთ.

ელისეს მინდვრებზე ბატონი დე ნიუსინჟენისა და პერადის შეხვედრიდან ხუთი დღე გავიდა. ერთ დილას ლურჯი მაუდის ელეგანტურ ტანსაცმელში გამოწყობილი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, რომლის ფერმკრთალ სახეს ტყვიისფერი დაჰკრავდა, რაც დამახასიათებელია მაღალი საზოგადოების ცხოვრებით გადაქანცული დიპლომატისთვის, საუცხოო კარეტიდან სახელმწიფო მოღვაწესავით გადმოვიდა, სადავეები თავის ლაქიას გადაუგდო და ბარონ დე ნიუსინჟენის ნახვა თუ შეიძლებაო, ჰკითხა თაღის ქვეშ მდგომ შვეიცარს, რომელმაც მოწიწებით გაუღო ძვირფასად შემკული მინის კარი.

ბატონის გვარი? შეეკითხა მსახური.

მოახსენეთ ბატონ ბარონს, გაბრიელის ავენიუდან მოსულიათქო, მიუგო კორანტენმა, მაგრამ თუ ვინმე ჰყავს, ხმამაღლა ნუ ეტყვით, თორემ ადგილს დაკარგავთ.

ერთი წუთის შემდეგ ლაქია მობრუნდა, კორანტენი შინ შეიყვანა და ბარონის კაბინეტთან მიაცილა.

კორანტენმა და ბანკირმა ერთმანეთს იდუმალებით აღსავსე მზერა მიაპყრეს და თავაზიანად მიესალმნენ.

ბატონო ბარონო, მიმართა კორანტენმა, პერადის სახელით გეახელით...

ზალიან ქარქი, უთხრა ბარონმა და ორივე კარი გადარაზა.

ბატონ დე რიუბამპრეს საყვარელი ტეტბუს ქუჩაზე ცხოვრობს, სწორედ იმ ბინაში, სადაც უწინ გენერალური პროკურორის, ბატონ დე გრანვილის ყოფილი ხასა ბინადრობდა.

ოჰ, რა ახლოზ ქოფილა ჩემტან, შეჰყვირა ბარონმა, რა ზაზაცილოა.

სულაც არაა ძნელი იმის დაჯერება, რომ მართლაც შეიძლება გაგიჟებულიყავით იმ მზეთუნახავის გამო; პირდაპირ თვალს უხარია მისი დანახვა, უთხრა კორანტენმა, ლუსიენი ისე ეჭვიანობს, რომ გარეთ გასვლასაც უკრძალავს. მერედა, როგორ უყვარს ქალს ლუსიენი. აგერ უკვე ოთხი წელია, რაც ბელფეის ბინაში დასახლდა, მისი ავეჯიცა და პირობებიც შეინარჩუნა და არც მეზობლებს, არც მეკარეს, არც ამ სახლის მდგმურებს თვალი არ მოუკრავთ მისთვის. ინფანტამხოლოდ ღამღამობით სეირნობს. ფარდაჩამოშვებულ ეტლში ჯდება, სახეზე პირბადეჩამოფარებული. მარტო ეჭვიანობის გამო კი არ მალავს ლუსიენი, სხვა მიზეზიც აქვს: კლოტილდ დე გრანლიეს ცოლად შერთვას აპირებს, თან ქალბატონ დე სერიზისაც შეჰფოფინებს. ბუნებრივია, არ ნებავს ხელიდან გაუშვას არც საჰარადო საყვარელი და არც საცოლე. ასე და ამგვარად, თქვენ შექმნილი ვითარების ბატონპატრონი ბრძანდებით, ვინაიდან ლუსიენი მზადაა, სიამოვნება მსხვერპლად მოუტანოს პირად ანგარებასა და პატივმოყვარეობას. ფული ჩეჩქად გაქვთ, ამავე დროს, ჩანს, თქვენი ბედნიერების საკითხი წყდება, ნურაფერს დაზოგავთ. პირისფარეშის დახმარებით მიზანს მიაღწევთ: ათიოდე ათასი ფრანკი მიეცით და ქალბატონის საძინებელში დაგმალავთ. რაო, არ ღირს?

არც ერთ რიტორს არ ძალუძს სრულყოფილად გადმოსცეს კორანტენის მიერ ესოდენ ნაწყვეტნაწყვეტად და სხარტად წარმოთქმული, ღრმად დასაბუთებული სიტყვა, რის საწინააღმდეგოდაც ვერაფერს იტყოდით. ბარონს არ გამოეპარა კორანტენის ეგრე თვითდაჯერებული ქცევა და გაკვირვება აღებეჭდა სახეზე, რომელიც უკვე დიდი ხანია მხოლოდ გულგრილობას გამოხატავდა.

მე გეახელით, რათა ჩემი მეგობრისთვის გთხოვოთ ხუთი ათასი ფრანკი. თქვენ რომ ხუთი საბანკო ბილეთი მიეცით, დაკარგა... ჯანდაბას, არცთუ დიდი უბედურებაა, განაგრძო კორანტენმა მბრძანებლური კილოთი, პერადი ზედმიწევნით კარგად იცნობს პარიზს და განცხადებისთვის ხარჯს არ გაიღებს. ისევ თქვენი იმედი აქვს, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი, ჩაურთო აგდებით, ვითომ რა საკადრისია ხელის ჭუჭყზე ლაპარაკიო, თუ არ გსურთ სიბერე ჩაგმწარდეთ, პერადმა რომ გთხოვათ, ის ადგილი უშოვეთ. თქვენთვის მეტად იოლია. პოლიციის გენერალურმა დირექტორმა გუშინ მიიღო განმარტებითი ბარათი ამის თაობაზე. მეტი აღარაფერია საჭირო, გონდრვილი პოლიციის პრეფექტს უნდა მოელაპარაკოს. ჰოდა, მოახსენეთ იმ მატრაბაზ გრაფ დე გონდრვილს, რომ სამსახურს უწევს ერთერთ იმათგანს, ვინც იგი ბატონ დე სიმეზებისგან იხსნა და უარს არ გეტყვით...
აგერ, მიიღეტ, ბატონო, უთხრა ბარონმა და ხუთიათასფრანკიანი ბილეთი გაუწოდა.

მოახლის მეგობარია ერთი ახმახი ჰაიდუკი, პაკარი, რომელიც პროვანსის ქუჩაზე ცხოვრობს მეკარეტესთან და ისეთ ბატონებს ემსახურება, რომელთაც უფლისწულებად მოაქვთ თავი. ქალბატონ ვან ბოგსეკის მოახლეს შეგახვედრებთ ეგ პაკარი, აყლაყუდა პიემონტელი, ვერმუთს მეტისმეტად რომ ეტანება.

როგორც ჩანს, ხუთი ათას ფრანკად პოსტ სკრიპტუმში ასე მოხდენილად ჩართული ცნობა ფასობდა. ბარონი თავს იტეხდა, გამოეცნო, თუ რა ჯურის ბრძანდებოდა ეს კაცი. იმგვარი ჭკუა და გონება გამოამჟღავნა, დაზვერვის უფროსი უნდა ყოფილიყო და არა უბრალო ჯაშუში. კორანტენი მისთვის ისევე გამოუცნობი დარჩა, როგორც არქეოლოგისთვისაა წარწერა, სადაც ასოების სამი მეოთხედი მაინც წაშლილია.

მოახლეზ რა ჰქვია? იკითხა ბარონმა.

ეჟენი, მიუგო კორანტენმა, დაემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

სიხარულით გადარეულმა ბარონმა დე ნიუსინჟენმა მიატოვა საქმეები, კანტორები და შინ ისე გაბედნიერებული დაბრუნდა, როგორც პირველ სატრფოსთან პირველ პაემანზე წასასვლელად გამზადებული ოცი წლის ჭაბუკი. ბარონმა პირადი სალაროდან ამოიღო, რაც კი ათასფრანკიანი ბილეთი ჰქონდა და ფრაკის ჯიბეში ჩაიდო. ეს თანხა მთელ სოფელს გააბედნიერებდა, ორმოცდათხუთმეტი ათასი ფრანკი! მილიონერთა მფლანგველობა მარტოოდენ მათსავე მოგების ხარბ წყურვილს შეიძლება შეედაროს. როგორც კი ჯერი მიდგება რაიმე ახირების თუ ვნების დაკმაყოფილებაზე, კრეზებისთვისფული აღარაფერს ნიშნავს: მათ ახირება უფრო ძნელად უჩნდებათ, ვიდრე ოქრო. ამ გამაძღარ ადამიანთათვის, რომელთა გამოფიტულ გულს მხოლოდ ბირჟის მსხვილი სპეკულაცია აღელვებს და აცხრობს, მეტად იშვიათი ხილია სიტკბოება. მოგიყვანთ მაგალითს: პარიზის ყველაზე მდიდარი კაპიტალისტი, თავისი უცნაურობითაც რომ გაითქვა სახელი, ერთ დღეს

ბულვარებზე შეხვდა უმშვენიერეს გრიზეტ გოგონას. იგი დედის თანხლებით მკლავგაყრილი მიჰყვებოდა საეჭვოდ გამოპრანჭულ ყმაწვილკაცს, რომელიც კეკლუცად მიარხევდა წელს. მილიონერს ეს პარიზელი ქალი ერთი ნახვით შეუყვარდა. ფეხდაფეხ გაჰყვა და მის სახლში შევიდა. გოგონას თავისი ცხოვრების ამბები მოაყოლინა. იგი თურმე მაბილის ბალმასკარადებზეატარებდა დროს, შინ კი ულუკმაპუროდ იჯდა; სანახაობებს არ აკლდებოდა და მძიმე შრომაში ოფლს ღვრიდა. კაცს გული აუჩუყდა და დაუტოვა ასი სუს მონეტა, რომლის ქვეშ ათასი ფრანკის ღირებულების ხუთი ბილეთი ამოაფარა. ამგვარი გულუხვობა ქალის პატიოსანი სახელის შემბღალავი გახლავთ. მეორე დღეს სახელგანთქმული მეავეჯე ბრაშონი ეახლა გრიზეტს და მისი მითითებით შეარჩია და მოაწყო ბინა. სულ რაღაც ოცი ათასი ფრანკი დაიხარჯა! მუშა გოგონას ფანტასტიკური იმედი აღეძრა. რიგიანად ჩააცვა დედას, თავისი ყოფილი შეყვარებულის სადაზღვევო კომპანიის ერთერთ კანტორაში მოწყობაც კი მოიწადინა. ქალი იცდის... ერთ, ორ დღეს... ორ კვირას. დარწმუნებულია, რომ ვალდებულია, ერთგულად დაელოდოს მილიონერს. ვალებში ეფლობა. კაპიტალისტი ჰოლანდიაში დაიბარეს და სულაც გადაავიწყდა მუშა გოგონა; ერთხელაც არ მიუდგამს ფეხი გრიზეტისთვის მოწყობილ სამოთხეში, სადაც ქალი ისე დაბლა დაეშვა, როგორც ეს პარიზშია შესაძლებელი. ნიუსინჟენი აზარტულს არაფერს თამაშობდა, არც ხელოვნებას მფარველობდა, არც არავითარი ახირება გააჩნდა; მაშასადამე, ესთერისადმი სიყვარულს ბრმად უნდა მისცემოდა, თავი დაევიწყებინა. კარლოს ერერასაც ამის იმედი ჰქონდა.

ნასაუზმევს ბარონმა თავისი პირისფარეში ჟორჟი იხმო და დაავალა, ტეტბუს ქუჩაზე წადი, ქალბატონ ვან ბოგსეკის მოახლეს, ეჟენის სთხოვე, ერთი მნიშვნელოვანი საქმისთვის ჩემს კანტორაში შემოიაროსო.

შენ ტვიტონ გამოაცილე, დასძინა მან, და ჩემზ ოტახში ამოიქვანე. არ დაგავიცქდეზ, უტხარი, ბედზ ეციე, გამდიდრდებითქო.

ჟორჟმა ძლივძლივობით დაიყოლია ევროპაეჟენი. ქალი უარზე იდგა. ქალბატონიო, ეუბნებოდა იგი, ქუჩაში გასვლის ნებას არ მაძლევს. უთუოდ ადგილს დავკარგავო და სხვა. ჟორჟმაც ტყუილუბრალოდ როდი გამოუჭედა ყურები ბარონს, შეხეთ, რა საქმე გავჩარხეო. სრულიად დამსახურებულადაც მიიღო ბატონისგან ათი ლუიდორი.

თუკი ქალბატონი ამაღამ უმაგისოდ წავა სასეირნოდ, მოახსენა ჟორჟმა თავის ბატონს, რომელსაც თვალები მუგუზალივით უელავდა, ათ საათზე ჩვენთან იქნება.
ქარგი! შენ ცხრა საათზე მოხვალ და ტანტ ჩამაცმევ. ტმაზ დამვარცხნი. მინდა, რაც კი შეზაზლებელია ლამაზად გამოვიქურებოდე... დარცმუნებული ვარ, ვნახავ ზატრფოზ, თუ არა და, პული აღარ ქოფილა პული...

ნაშუადღევს, თორმეტი საათიდან პირველ საათამდე, ბარონი თმასა და ქილვაშებს იღებავდა. სადილობამდე აბაზანა მიიღო და ცხრა საათზე ახალდაქორწინებული ბიჭივით მოირთო, სუნამო დაიპკურა, უღმერთოდ მოიპრანჭა. ქალბატონ დე ნიუსინჟენს ეს გარდასახვა უმალ შეატყობინეს და მანაც დაუყოვნებლივ მოირბინა, რათა ქმრის შეხედვით თავი შეექცია.

ღმერთო ჩემო! წამოიძახა ქალმა, რა სასაცილოდ გამოიყურებით!.. შავი ატლასის ყელსახვევი მაინც გაიკეთეთ. მაგ თეთრი ყელსახვევის წყალობით ქილვაშები უფრო ხეშეშა გიჩანთ. იმპერიის ყაიდაზე, ბებრუცანასავით მორთულხართ და სასამართლოს ძველ მრჩეველს დამსგავსებიხართ. ალმასის ღილებიც მოიხსენით მაჯებიდან, თითო ასი ათასი ფრანკი ღირს, ვაითუ იმ მაიმუნმა გოგომ გთხოვოთ, უარს ხომ ვერ ეტყვით. ვიდრე ვიღაც უბირ გოგოს მისცემდეთ, სჯობია, მე ჩამოვიკიდო ყურებზე.
ცოლის სამართლიანი შენიშვნებით გაოგნებული ფინანსისტი დაიბღვირა, მაგრამ მყისვე დაემორჩილა.

ზაზაცილო! ზაზაცილო!.. განა მე ოდეზმე მიტკვამზ, ზაზაცილო ხარტმეთქი, როცა ირტვებოდიტ და იკაზმებოდიტ ტკვენი ქოხტაპრუცა ბატონ დე რაზტინიაქიზტვიზ?

დარწმუნებული გახლავართ, არასოდეს სასაცილო არ გეჩვენებოდით. ნუთუ მე ისეთი ქალი ვარ, რომ ჩაცმადახურვის საკითხში ეგრე წავიფორხილო? აბა, შემოტრიალდით!.. ფრაკი კისრამდე შეიკარით ჰერცოგი დე მონფრინიეზივით, მხოლოდ ზემო ორ ღილს რომ იტოვებს შეხსნილს. ერთი სიტყვით, ეცადეთ, ახალგაზრდა გამოჩნდეთ.

ბატონო, მოახსენა ჟორჟმა, მადმუაზელ ეჟენი გელოდებათ.

მშვიდობიტ, ქალბატონო, შეჰყვირა ბანკირმა, მეუღლე გააცილა, თავისი კაბინეტიდან შორს წაიყვანა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მის მოლაპარაკებას ქალი ვერ მოისმენდა.

ოთახში მობრუნდა, ეჟენის მკლავში ხელი გაუყარა და თავის კაბინეტში შეუძღვა ირონიული მოწიწებით.

მაშ, აზე, ჩემო სუგრუმელავ, ტიტად ბეტნიერი ბრცანტებიტ, რაკი ქვექნატ ქველაზე ლამაზ ქალს ემზახურებიტ... პული არ შემოგაკლტებატ, ტუ ჩემზე ქარგზ ეტქვიტ და ჩემზ ინტერეზებზ დაიცავტ.

მაგას კი მე ათი ათას ფრანკადაც არ ჩავიდენ, შეჰყვირა ევროპამ, გესმით, ბატონო ბარონო, უპირველეს ყოვლისა, მე პატიოსანი ქალი ვარ...

როგორ არა, ამიტომაც ვაპირეფ ტქვენი პატიოზნება უხვატ ტავაჯილტოვო. სავაჩრო საკმეებში პატიოზნება იშვიატი ხილია.

ეგეც არ იყოს, სხვა რამეც მაწუხებს, დასძინა ევროპამ, ვაითუ ბატონი ქალბატონს არ მოეწონოს; ეგ კი შესაძლებელი გახლავთ! გაჯავრდება და გამომაგდებს. ჩემი ადგილი კი წელიწადში ათას ფრანკს მაძლევს.

გაზლევ ათაზ ფრანქზ და გიმატებ ოცი ათაზზაც, რაკი ამდენზ გაზლევ, რაღაზ ქარქავ.

თუკი ეგრე დაიწყებთ ლაპარაკს, ბუთხუზა მამილო, უთხრა ევროპამ, ღმერთმანი, საქმე სხვაგვარად შეტრიალდება. აბა, მიჩვენეთ ფული!..

აჰა, შეხედე, მიუგო ბარონმა და ნელნელა ამოაძვრინა საბანკო ბილეთები.

თითოეული ბილეთის დანახვაზე ევროპას სულ მეტად და მეტად უგიზგიზებდა თვალები და აშკარა ხდებოდა მისი სიხარბე, რასაც ადრევე მიუხვდა ბარონი.

თქვენ მიხდით ადგილის საფასურს, მაგრამ პატიოსნება, სინდისი?.. თქვა ევროპამ და ბარონს ცბიერებით აღსავსე თვალები შეანათა,
სერიაბუფფა

მზერა მიაპყრო.

ზინდიზი ადგილატ არა ღირზ, მაგრამ მივუმატოტ ხუტი ატაზი ფრანქი, უთხრა ბანკირმა და ხუთიათასფრანკიანი ბილეთი დაუდო.

არა, ოცი ათასი ფრანკი სინდისის საფასურად და ხუთი ათასი ადგილისთვის, თუკი დავკარგავ...

როგორც გენებოტ... უთხრა ნიუსინჟენმა და კიდევ ხუთი ბილეთი გადაუწყო, მაგრამ ამაწ მაშინ მიიღებტ, როცა ტკვენი კალბატონიზ ოტახში დამმალავტ და ტკვენი კალბატონიც მარტო იკნება.

თუ სიტყვას მომცემთ, რომ არ გამთქვამთ და არ ეტყვით ქალბატონს, ვინ შეგიყვანათ მის ოთახში, თანახმა ვარ... მაგრამ გაფრთხილებთ: ქალბატონი თურქივით ღონიერია და ბატონი დე რიუბამპრე გაგიჟებით უყვარს. ერთი მილიონის საბანკო ბილეთიც რომ მისცეთ, მაინც არ უღალატებს სატრფოს... სისულელეა, მაგრამ რას ვიზამთ, ასე იქცევა, სანამ უყვარს. პატიოსან ქალზე უარესია, დიახ. როდესაც ბატონთან ერთად სასეირნოდ მიდის ტყეში, ყმაწვილკაცი იშვიათად ბრუნდება ჩვენთან. ამ საღამოს ერთად წავიდნენ, მაშასადამე, შემიძლია ჩემს ოთახში დაგმალოთ. ქალბატონი თუ მარტო დაბრუნდება, თქვენს წამოსაყვანად მოვალ. ჯერ სალონში შეჩერდებით, მე კი სამინებლის კარს ღიად დავტოვებ

და მერე... დალახვროს ეშმაკმა! მერე, როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით... თქვენი საქმეა... აბა, მოემზადეთ!

ოცდახუტ ატაზზ ზალონში მოგცემტ... მომზემ, მოგზემ!

აჰ, ხედავთ, თურმე როგორ მენდობით?! იუკადრისა ევროპამ, ბოდიში მოიხადეთ ასე მცირედზე...

უამრავი შემტხვევა მოგეცემა ჩემი გაპცკვნიზა... ჩვენ ხომ დავუახლოვტებიტ ერთმანეტზ!..

რას ვიზამ, ეგრე იყოს! ღამის თორმეტ საათზე მობრძანდით ტეტბუს ქუჩაზე, მაგრამ თან ოცდაათი ათასი ფრანკიც წამოიღეთ. პირისფარეშის პატიოსნებას, როგორც ფიაკრს, ნაშუაღამევს, მეტი ფასი აქვს.

ზიპრტკილეზ ტავი არა ზტკივა, ბანკის ჩექზ მოგცემ.

არა, არა, შესძახა ევროპამ, ბილეთები! არადა, საქმე ჩაგეფუშებათ

ღამის პირველ საათზე, მანსარდაში, ევროპას ოთახში დამალულ ბარონ დე ნიუსინჟენს გულს უფატრავდა იღბლიანი კაცის მღელვარება. სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, სისხლი უდუღდა, თავიც გადახურებული ორთქლის მანქანასავით გასკდომას ლამობდა.

ზულიერატ იზე ვტქბებოტი, რომ აზი ატაზი ფრანქიც კი ალალი იქო! უთხრა დიუ ტიეს, როცა ეს ამბავი გაუმჟღავნა. ყურდაცქვეტილი უსმენდა ბანკირი ქუჩის ფუსფუსს. ორ საათზე ყური მოჰკრა, რომ ბულვარზე მისი სატრფოს ეტლმა შემოუხვია. გულმა ისე დაუწყო ბაგაბუგი, რომ ჟილეტის აბრეშუმიც კი აუშრიალდა, როდესაც ჭიშკარი ანჯამებზე შეტრიალდა: მაშ, კვლავ იხილავდა უცნობის ღვთაებრივ სახეს, მის მცხუნვარე თვალებს!.. გულში მოხვდა ეტლის სატერფულისა და კარის ბრახუნი. უზენაესი სიტკბოების მოლოდინი მძლავრად უფორიაქებდა სულს და მთელი თავისი ავლადიდება ხელიდან რომ გამოსცლოდა, ალბათ, ასე არც აღელდებოდა.

ოჰო, აი, ამაზ კვია ზიცოცხლე! შეჰყვირა მან, მეტიზმეტიც კია, ვეღარ გავუზლეფ!

ქალბატონი მარტო გახლავთ, ჩამოდით ქვემოთ, კარში გამოჩნდა ევროპა, ოღონდ ფეხაკრეფით, ფრთხილად, სქელო სპილო!

ზკელო ზპილო! ღიმილით იმეორებდა ბარონი და ისე ადგამდა ფეხებს, თითქოს გავარვარებულ რკინის ძელებზე მიდიოდა.

ევროპას ხელში შანდალი ეჭირა და წინ მიუძღოდა.

აჰა, გამომარტვი, დატვალე, ბანკირმა ბანკის ბილეთები გაუწოდა ევროპას, როცა სალონში შევიდნენ.

ევროპამ მეტად დარბაისლურად ჩამოართვა ოცდაათი ბილეთი, სალონიდან გავიდა და კარი გაიკეტა... ნიუსინჟენი პირდაპირ საძინებლისკენ გაემართა, სადაც თვალწარმტაცი ინგლისელი ქალი დაუხვდა.

შენა ხარ, ლუსიენ? ჰკითხა ქალმა.
არა, მშვენიერო ბავშვო! შესძახა ნიუსინჟენმა და ხმა ჩაუწყდა.

გაშტერებული დარჩა, რადგან მის წინ მდგარი ქალი არაფრით ჰგავდა ესთერს. ბარონი შავგვრემანზე ოცნებობდა და აღმოჩნდა ქერათმიანის წინაშე, რომელიც სუსტი აგებულებისა იყო. ბანკირი კი აღტაცებაში მოიყვანა ესთერის სიმძლავრემ! არაბეთის მცხუნვარე მზის ნაცვლად ბრიტანეთის გრილ ღამეს გადაეყარა.

რა ამბავია! საიდან მოსულხართ?.. ვინა ბრძანდებით?.. რა გსურთ? შეჰკივლა ინგლისელმა. ზარის თოკს თავგამოდებით ექაჩებოდა, თუმცა ზარი სულაც არ რეკავდა.
ზარი მე შევფუტნე, მაგრამ ნუ გეშინიატ... ახლავე ცავალ, უთხრა ბარონმა, დახე, ოცდაატი ატაზი როგორ გადავქარე ცქალში. ტქვენ ბრძანტებიტ ბატონ დე რიუბამპრეზ ზაქვარელი?

დიახ, ასე გახლავთ, ჩემო ძმისწულო, სუფთა ფრანგულით უთხრა ინგლისელმა, მაგრამ ტკვენ ვინა ხარტ, ტკვენა? გამოაჯავრა ნიუსინჟენს.

ხაპანგში გაბმული კაზი! უპასუხა მან საბრალობლად.

ხაფანგში გაბმაა ლამაზ ქალთან შეხვედრა? შეეკითხა ქალი მხიარულად.

ნება მომეციტ, ხვალ გამოგიგზავნოტ ძვირფაზი ზამქაული ბარონი დე ნიუშენშენის ზახზოვრატ.

არ გიზნობთ!.. ეუბნებოდა ინგლისელი და თან გიჟივით ხარხარებდა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სამკაულს სიამოვნებით მივიღებ, ოჯახის მყუდროების დამრღვევო, გატიკნულო მუსუსო.

ხომ გამიცანიტ? ახლა მშვიტობიტ, ქალბატონო, ტკვენ ტვიტ მეფიზ ზაკადრიზი, ყელიზ ჩაზაკოკლოზინებელი ნაჩერი ბრძანდებიტ, მაგრამ მე ერტი ზაცკალი ბანკირი გახლავარტ,

ზამოც ცელზ უკვე გატავაბიშე. ესეც არ იქოს, ტქვენ მაგრძნობინეტ, რაოდენ ძლიერი ქოფილა იზ ქალი, ვიზაც მე ვეტრფი, რაკი ტქვენმა ზეატამინურმა ზილამაზემ ვერ დამავიცქა იგი.

რა ზაამურად მეზაუბრებიტ, ზაკვარელი ვინმე ხართ, უთხრა ინგლისელმა.

მე კი არა ვარ ზაქვარელი, არამეტ იზ, ვინც აზეტი გრძნობა შტამაგონა...

რაღაც ოზტაატი ატაზზე მეუბნებოდით... ვიზ მიეციტ?

ტკვენზ არამზადა პირიზპარეშზ...

ინგლისელმა ზარი დარეკა. ევროპამ მყისვე მოირბინა.

ოჰ! შეჰყვირა მან, ქალბატონის ოთახში კაცი შემოსულა, ჩვენი ბატონი კი არა, სხვა კაცი!.. რა საშინელებაა!
მართლა ოცდაათი ათასი მოგცათ აქ შემოსაყვანად?

არა, ქალბატონო, ჩვენ ორივე მაგდენ ფულად არ ვღირვართ...

ევროპამ ყიჟინა ატეხა, ისე გაჰკიოდა, ქურდი შემოძვრაო, რომ შეშინებულმა ბანკირმა კართან მიირბინა, ხოლო ევროპამ მუჯლუგუნმუჯლუგუნით კიბეზე დაუშვა.

შე გოდორა ბაჯაჯღანავ! უყვიროდა ევროპა, ქალბატონთან დამაბეზღე? დაიჭით ქურდი!.. ქურდი დაიჭით!..

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, შეყვარებული ბარონი კისრისტეხით მივარდა თავის კარეტასთან, რომელიც ბულვარზე ელოდებოდა. თავგზა აებნა, აღარ იცოდა, რომელი ჯაშუშისთვის მიემართა.

ქალბატონი შემთხვევით ხომ არ აპირებს შემოსავალი წამართვას? შეჰყვირა ევროპამ, რომელიც ალქაჯივით შევარდა ინგლისელთან.
რა მოგახსენოთ, არ ვიცნობ საფრანგეთის ადათწესებს, მიუგო ქალმა.

იცოდეთ, საკმარისია, მხოლოდ ერთი სიტყვა წამომცდეს ბატონთან და ქალბატონს მაშინვე გარეთ გააგდებენ, გამომწვევი კადნიერებით უთხრა ევროპამ.

დაცკევლილი მოახლე, შესჩივლა ბარონმა ჟორჟს, რომელიც, ბუნებრივია, შეეკითხა, კმაყოფილი ბრძანდებით თუ არაო, ოზდაატი ატაზი დამტყუა... ტუმცა ჩემი ბრალია, ახია ჩემზე!..

მაშ, მორთვამოკაზმვამ ვერაფერი გიშველათ? დასწყევლოს ეშმაკმა!.. ბატონს არ ვურჩევდი, ისე ტყუილუბრალოდ აბების გადაყლაპვას...

შორშ, ჩემზ ზაზოცარქვეტილებაზ ზაზღვარი არა აკვზ... ვქვდები... მცივა... გული მექინება... ის ქალი გაქრა, ჩემო მეგობარო.

გაჭირვების წუთებში ჟორჟი ყოველთვის ერთგულ მეგობრობას უწევდა ბატონს.

ახალგაზრდა ევროპამ ეს სცენა გაცილებით თავშესაქცევად აუწერა ესპანელ მღვდელს, ვიდრე აქაა მოთხრობილი, რადგან ამბავს იგი მიმიკით აფერადებდა. ორი დღის შემდეგ კარლოსი და ლუსიენი ერთად საუზმობდნენ.

ჩემო შვილო, ჩვენს საქმეში არც პოლიციამ და არც არავინ ცხვირი არ უნდა ჩაყოს, ხმადაბლა უთხრა კარლოსმა ჭაბუკს და მის სიგარაზე თავისი სიგარა მოუკიდა, საზიანო იქნება. ერთი გაბედული, მაგრამ საიმედო საშუალება გამოვძებნე ჩვენი ბარონისა და მისი აგენტების დასაშოშმინებლად, ქალბატონ დე სერიზის ესტუმრები და რაც შეიძლება თბილად მოეპყრობი. მასლაათში რომ გაერთობით, თითქოს შემთხვევით, სიტყვა გადაუკარი, ვითომდაც რასტინიაკს უკვე დიდი ხანია მოყირჭდა ქალბატონი დე ნიუსინჟენი. შენ კი მეგობარს ხათრი არ გაუტეხე, იკისრე, შენაცვლებოდი მას და რასტინიაკის სასიყვარულო ურთიერთობის ფარდა გახდი. ბატონ დე ნიუსინჟენს შეუყვარდა ის ქალი, რომელსაც რასტინიაკი მალავს (ეს სიცილს მოჰგვრის ქალბატონ დე სერიზის) და ჯაშუშები მოგისია. მართალია, თანამემამულის ოინბაზობაში წილი არ გიდევს, მაინც შეიძლება გრანლიეების თვალში ჩირქი მოგეცხოს. სთხოვ გრაფინიას, ქმართან გიშუამდგომლოს, ის ხომ მინისტრია, პოლიციის პრეფექტურაში გამოგექომაგოს. პრეფექტის წინაშე წარდგები თუ არა, საჩივარი ისეთი ტონით მოახსენე, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს შეეფერება, ისეთ კაცს, რომელიც საცაა სახელმწიფო მმართველობის მანქანაში უნდა შეიჭრას და მისი მნიშვნელოვანი ხრახნი გახდეს. რაკი თავად ხარ სახელმწიფო მოღვაწე, პოლიციის საქმიანობას სათანადოდ შეაფასებ, აღტაცებას გამოთქვამ, განსაკუთრებით თვით პრეფექტით. ყველაზე შესანიშნავი მანქანაც კი ზეთის ლაქებს ტოვებს ან წინწკლებს ისვრის, უკმაყოფილება გამოთქვი, მაგრამ ნუ გადაამლაშებ. შენ სულაც არ ბრაზობ ბატონ პრეფექტზე. ოღონდ ურჩიე, თანამშრომლებს თვალი ადევნოს. შეიცოდე, რაკი იძულებულია, ხელქვეითებს გაუჯავრდეს. რამდენადაც რბილად, თავაზიანად მოიქცევი, იმდენად სასტიკად მოეპყრობა თავის აგენტებს. მაშინ შეგვეძლება კვლავ არხეინად ვიცხოვროთ, დავაბრუნოთ ესთერი, რომელიც, ალბათ, ისე გიხმობს, როგორც ტყეში ცალად დარჩენილი ფურირემი ხარირემს.

იმ ხანებში პრეფექტის თანამდებობა სასამართლოს ყოფილ მოხელეს ეჭირა, სასამართლოს მოხელეები კი ყოველთვის უგერგილო პრეფექტები არიან. მართლმსაჯულების მოძღვრებით გაჟღენთილნი კანონების რაშზე კი ამხედრებულან, მაგრამ მოქნილად ვერ უშვებენ ლაგამს, დამოუკიდებლად ვერ წყვეტენ საკითხს, რასაც ხშირად უცბად შექმნილი ვითარება მოითხოვს; პრეფექტურა ხომ მეხანძრეთა რაზმივით უნდა მოქმედებდეს, რომელსაც ხანძრის ჩაქრობა ევალება. სახელმწიფო საბჭოს ვიცეპრეზიდენტის თანდასწრებით პრეფექტმა პოლიციას იმაზე მეტი დაუდევრობა გადააბრალა, რაც მის აგენტებს სინამდვილეში გამოეჩინათ. სინანული გამოთქვა, თანამდებობა ბოროტად გამოუყენებიათო, გაიხსენა ბარონ დე ნიუსინჟენის ვიზიტი და მისი თხოვნაც, ცნობები მიეწოდებინათ პერადზე. პრეფექტმა ბატონ დე რიუბამპრეს აღუთქვა, აგენტებს ლაგამს ამოვდებო. მადლობაც გადაუხადა, რაკი ლუსიენმა უშუალოდ მას მიმართა და ისე დაჰპირდა, საიდუმლოს არავის გავუმჟღავნებო, ვითომ ყველაფერი ზედმიწევნით გასაგები იყო მისთვის. სახელმწიფო მინისტრმა და პრეფექტმა ბრტყელბრტყელი სიტყვები წარმოთქვეს პიროვნების თავისუფლებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის თაობაზე. ამასთან, ბატონმა დე სერიზიმ პრეფექტს შენიშნა, სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესები ხანდახან კანონიერების საიდუმლოების დარღვევას მოითხოვს, რაც კერძო პირთა მიმართ დანაშაულად ჩაითვლებაო. მეორე დღეს პერადი თავის საყვარელ კაფე დავიდში,, მიეშურებოდა; იქ ბურჟუების თვალთვალით ისევე ტკბებოდა, როგორც მხატვარი ტკბება ველად გაშლილი ყვავილების ცქერით. ქუჩაში პერადს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჟანდარმი მიუახლოვდა.

თქვენთან მოვდიოდი, წასჩურჩულა მან, ნაბრძანები მაქვს, პრეფექტურაში მიგიყვანოთ.

პერადმა ფიაკრი დაიქირავა და ხმის ამოუღებლად, მორჩილად გაჰყვა ჟანდარმს.

პოლიციის პრეფექტი პრეფექტურის წინ, ბაღის ხეივანში სეირნობდა, ორფევრის სანაპიროს გასწვრივ, სადაც იმ დროს პოლიციის პრეფექტურა მდებარეობდა. პრეფექტი პერადს ისე მოეპყრო, თითქოს ბერიკაცი რომელიღაც კატორღის ზედამხედველი ყოფილიყოს.

1809 წელს ადმინისტრაციული თანამდებობიდან ტყუილად არ გადაუყენებიხართ... ნუთუ არ იცით, რა საფრთხეში გვაგდებთ ჩვენ და საკუთარ თავსაც?..
საყვედური როდი აკმარა, საშინელი რისხვაც დაატეხა თავს. დაემუქრა, ყოველწლიურ დახმარებასაც მოგიხსნით და მეთვალყურეობასაც დაგინიშნავთო. ბერიკაცს ცივი წყალი გადაესხა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. უბედურ კაცს ქვა აღმართში რომ დაეწევა, მასზე შეუდრეკელი და აღუშფოთებელი აღარავინ მოიძებნება. პერადმა, რაც კი ფული გააჩნდა, კარტში წააგო. ლიდის მამას ერთი იმედი ასულდგმულებდა: თანამდებობას მივიღებო და პირში ჩალაგამოვლებული კი დარჩა. თავისი მეგობარი კორანტენი თუ მისცემდა მოწყალებას, თორემ სხვა აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა.

თავად გახლდით პოლიციის პრეფექტი და კარგად მესმის, მშვიდად განუცხადა ბერიკაცმა სასამართლოს მსახურს, რომელიც თანამდებობით თავს იწონებდა და ამ სიტყვებზე სახტად დარჩა, თავის გამართლებას არ ვაპირებ, ოღონდ ნება მომეცით, მოგახსენოთ, რომ თქვენ სრულებით არ მიცნობთ, დასძინა პერადმა და ჯიქურ შეხედა პრეფექტს, თქვენი სიტყვები მეტისმეტად სასტიკია, თუკი ჰოლანდიის პოლიციის ყოფილ მთავარ კომისარს მიმართავთ, და არასაკმარისად მკაცრი, თუკი უბრალო ჯაშუშს შეეხება. გაფრთხილებთ, ბატონო პრეფექტო, განაგრძო მან მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ, რაკი დაინახა, პრეფექტი დუმდა, ოდესმე მოგაგონდებათ, რაც ახლა მაქვს პატივი, მოგახსენოთ. არ ჩავერევი პოლიციის საქმეში. არც თავის გამართლებას შევეცდები, მაგრამ თქვენ შემთხვევა მოგეცემათ, დარწმუნდეთ, რომ ამ ამბებში ერთი ვინმეა მოტყუებული: ამჟამად მე, თქვენი მონამორჩილი; გამოხდება ხანი და იტყვით, მე ვყოფილვარო.

პერადი გამოემშვიდობა პრეფექტს, რომელიც ჩაფიქრებული იდგა და ცდილობდა, გაკვირვება არ გამოემჟღავნებინა. ბერიკაცი შინ ძლივძლივობით მიჩანჩალდა, ხელფეხი არ ემორჩილებოდა. ბარონი დე ნიუსინჟენისადმი ბრაზით აღვსილს სული ეხუთებოდა. მარტო იმ შტერ ფინანსისტს შეეძლო გაეცა კონტანსონის, პერადისა და კორანტენის გულებში ჩამარხული საიდუმლო. პერადი ბანკირს აბრალებდა, მიზანს მიაღწია და ცდილობს, ფულის გადახდისგან თავი დაიძვრინოსო. მხოლოდ ერთადერთი შეხვედრა კმაროდა, რათა გამოეცნო ამ გაიძვერა ბანკირის ვერაგობა. ყველას დაუძვრება ხელიდან, ჩვენც გაგვაცურებს, მაგრამ შურს ვიძიებ, გულში ამბობდა პერადი, ჯერ არასოდეს არაფერი მითხოვია კორანტენისთვის. ახლა კი ვთხოვ, დამეხმაროს, რომ ამ გამოჩერჩეტებულ ფულის ზანდუკს სამაგიერო მივუზღო. წყეული ბარონი! გაგაგებინებ, ვისთან გქონია საქმე, როცა შენს ასულს პატივაყრილს ნახავ... მაგრამ უყვარს კი შვილი?,,

იმ უბედურ დღეს, როცა ბერიკაცმა ყველა იმედი დაკარგა და მასთან ერთად მთელი ათი წლის სიცოცხლეც, თავის მეგობარს, კორანტენს გულის წუხილი გაანდო. ცრემლს ვერ იკავებდა, რადგან თვალწინ ედგა სურათი შემზარავი მომავლისა, რაც თავის შვილს, სათაყვანო კერპს, თავის მარგალიტს, ღვთის კრავს განუმზადა.

გამოვიძიოთ ეს საქმე, ეუბნებოდა კორანტენი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, ნამდვილად ბარონმა თუ გაგვცა. რა ვიცით, გონივრულად კი მოვიქეცით, გონდრევილს რომ ვენდეთ?.. ეგ ბებერი გაიძვერა იმდენადაა ჩვენგან დავალებული, რომ შეუძლებელია ჩვენს გადაყლაპვას არ შეეცადოს. მის სიძეზე, კელერზედაც დავაწესებ მეთვალყურეობას. უნდილი პოლიტიკოსია და იქნებ თავი შერგოს ისეთ შეთქმულებაში, რომელსაც სამეფო საგვარეულოს უფროსი შტოს დამხობა სურს, რათა ტახტი უმცროსმა შტომ დაიკავოს. ხვალვე მეცოდინება, რა ხდება ნიუსინჟენთან; შეხვდა თუ არა სატრფოს, ვინ დაგვიგო მახე... ნუ წუხხარ. სხვა თუ არაფერი, პრეფექტი დიდხანს არ იჯდება ამ ადგილზე... ყოველ წამს რევოლუციაა მოსალოდნელი, ხოლო რევოლუცია ჩვენთვის ამღვრეული წყალია...
ქუჩიდან სტვენა შემოესმათ.

კონტანსონია, თქვა პერადმა და ფანჯარაზე სანთელი დადგა, რაღაც ისეთი მოხდა, რაც პირადად მე შემეხება.

ერთი წუთის შემდეგ ერთგული კონტანსონი წარუდგა პოლიციის ორ ქონდრისკაცს, რომელთაც თვითონ გოლიათებად თვლიდა.

რა მოხდა? ჰკითხა კორანტენმა.
ახალი ამბავი! ას ცამეტიდან გამოვდიოდი, სადაც, რაც რამე მქონდა, სულ წავაგე. იცით, ვინ დავინახე, გალერეებში რომ გავიარე?.. ჟორჟი! ეს ბიჭი ბარონს გამოუგდია, უეჭვიანია, ჯაშუშიაო.

აჰა, ჩემი უნებლიე ღიმილის შედეგი, თქვა პერადმა.

ოჰ, რამდენი ღიმილით გამოწვეული უბედურების მომსწრე ვარ, წამოიძახა კორანტენმა.

თუ არ ჩავთვლით შოლტის დარტყმით გამოწვეულ უბედურებას, სიმეზის საქმეზე გადაუკრა სიტყვა პერადმა (იხილეთ ბნელი საქმე,,). აბა, კონტანსონ, გვითხარი, რა მოხდა?

აი, რა მოხდა, დაიწყო კონტანოსმა, პატარპატარა სირჩებით ყველა ფერის სასმელი შევთავაზე ჟორჟს, დავათვრე და ენა გავუხსენი. მე კი, როგორც ჩანს, არაყის სახდელს არ ჩამოვუვარდები! ჩვენი ბარონი სერალის პასტილებითგაბერილა და ტეტბუს ქუჩაზე წაბრძანებულა. იქ, თქვენ რომ მოგეხსენებათ, ის ლამაზი ქალი დახვედრია. მაგრამ რა ოინი მოუწყვიათ, ეს ინგლისელი მისი უზნოფი,, არ აღმოჩნდა?!.. მან კი ოცდაათი ათასი ფრანკი დახარჯა მოახლის გულის მოსანადირებლად. სულელი! დიდი ვინმე ჰგონია თავი, რაკი წვრილმან საქმეებს დიდი კაპიტალით აკეთებს. შეაბრუნეთ ფრაზა და დაინახავთ ამოცანას, რომლის გადაწყვეტასაც ბრძენი ადამიანი ახერხებს. ბარონი მეტად სავალალო ყოფაში დაბრუნებულა შინ. მეორე დღეს ჟორჟმა თავი მოიკატუნა, აქაოდა, კეთილი გული მაქვს და თქვენთვის ვწუხვარო, ასე მიმართა თავის ბატონს: ნეტავ ბატონი დახმარებისთვის რატომ იახლოებს ვიღაც ვიგინდარებსა და სახრჩობელას ღირს კაცებს? ბატონს რომ ენებებინა და ჩემთვის ებრძანებინა, მე ვუპოვიდი უცნობს, რადგან ბატონის აღწერილობა საკმარისი იქნებოდა ჩემთვის, მთელ პარიზს შევძრავდი,,. კარგიო, უთქვამს ბარონს, კარგ ჯილდოს მიიღებო, ჟორჟმა ეს ყველაფერი ისე თავშესაქცევად მიამბო, რომ ბევრი მაცინა. მაგრამ... არ იცი, როდის დაგატყდება მეხი! მეორე დღეს ბარონმა ანონიმური წერილი მიიღო. დაახლოებით ასე სწერდნენ: ბარონი დე ნიუსინჟენი სულს ღაფავს ერთი უცნობი ქალის სიყვარულით. უკვე უამრავი ფული დახარჯა უცნობის მოსაძებნად და საწადელს მაინც ვერ ეწია. თუკი ბარონი ინებებს და ამ საღამოს, ღამის თორმეტ საათზე, მობრძანდება ნეის ხიდის ბოლოში, ნებას მოგვცემს, თვალები ავუხვიოთ და კარეტაში ჩავსვათ, რომლის საზურგეზედაც ის ჰაიდუკი იჯდება, ვენსენის ტყეში რომ შეხვდა, ბარონი ნახავს იმას, ვინც უყვარს... რაკი ბატონი ბარონი მდიდარია, შეიძლება შეშინდეს და ეჭვი შეეპაროს ჩვენი

განზრახვის სისპეტაკეში, ამიტომ ნება ეძლევა, იახლოს თავისი ერთგული მსახური ჟორჟი. კარეტაში სხვა არავინ იქნება,,. ბარონი ჟორჟს არაფერს ეუბნება, თუმცა მისი თანხლებით მიდის დანიშნულ ადგილას. ორივეს თვალებს უხვევენ, თავზეც რაღაცას აფარებენ. ბარონმა ჰაიდუკი იცნო. ორი საათის შემდეგ კარეტა, რომელიც ლუი XVIIIის კარეტასავით მიქროდა (უფალმა გაანათლოს მისი სული! რა კარგად იცნობდა პოლიციას ეს მეფე!), შუა ტყეში შეჩერდა, ბარონს სახვევი ახსნეს და რას ხედავს, გაჩერებულ კარეტაში ზის მისი უცნობი ქალი, რომელიც ფრრრ... მაშინვე გაფრინდა, გაუჩინარდა, ხოლო ბარონი კარეტამ იმავე სისწრაფით ნეის ხიდთან მიიყვანა, სადაც საკუთარი ეკიპაჟი ელოდებოდა. ჟორჟს კი ხელში ჩაუდეს ბარათი, რომელშიაც ეწერა: რამდენ ათასფრანკიან ბილეთს გაიმეტებს ბარონი, თუ უცნობს გავაცნობთ?,, ჟორჟმა ბარათი ბატონს გადასცა, ბარონსაც უკვე ეჭვი აღარ ეპარება, დარწმუნებულია, თითქოს ჟორჟი შეთანხმებულია ჩემთან ან თქვენთან, ბატონო პერად, და მისი გაფცქვნა სწადია. ადგა და ჟორჟი გააგდო. გამოთაყვანებული ბანკირი! ჯანდაბას, გაეგდო ჟორჟი, მაგრამ ჯერ დაცოლილიქო უზნოფტან,,.

ჟორჟმა თუ დაინახა ქალი? ჰკითხა კორანტენმა.

დიახ, მიუგო კონტანსონმა.

მერედა, როგორი გარეგნობისაა? შეჰყვირა პერადმა.

ოჰ, მხოლოდ ორიოდე სიტყვა მითხრა, უპასუხა კონტანსონმა, მზესავით ლამაზიაო!

ჩვენზე გაიძვერა ოინბაზები გვათამაშებენ, წამოიძახა პერადმა, ეგ ქოფაკები ბარონს ტყავს გააძრობენ, ისე ძვირად მიჰყიდიან ქალს.

!ა, მეინ ჰერრე

! კვერი დაუკრა კონტანსონმა, მაგრამ რაკი გავიგე, პრეფექტურაში ტყავი გაგაძვრეს, მეც ჟორჟს ენა ამოვადგმევინე.

ერთი გამაგებინა, ვინ გამაცურა, თქვა პერადმა, და ვიცი, როგორც გავუსწორდები!

ცხრაფეხებად უნდა გადავიქცეთ, თქვა კონტანსონმა.

მართალია, დაუდასტურა პერადმა, ყველა ჭუჭრუტანაში უნდა შევძვრეთ, მოვისმინოთ, გავიგოთ...

მაგ ხერხსაც შევისწავლით, შესძახა კორანტენმა, ამ წუთს მე აქ არაფერი მესაქმება. აბა, ჭკვიანად იყავი, პერად! ძველებურად დავემორჩილოთ პრეფექტს...

ბატონ დე ნიუსინჟენს კი სისხლი აქვს გამოსაშვები, შენიშნა კონტანსონმა, უღმერთოდ ბევრი ათასფრანკიანი ბილეთი დაჰგროვებია ვენებში...

ეჰ, სწორედ მანდ იყო ლიდის მზითევი!.. ყურში უთხრა პერადმა კორანტენს.

კონტანსონ, წამოდი, დროა, დაიძინოს ჩვენმა პერ... ადმა!.. ხვა...ლამ...დე!

ბატონო, მიმართა კონტანსონმა კორანტენს, კარის ზღურბლს გადააბიჯეს თუ არა, ხედავთ, რა გაიძვერული მაქინაციებით აბამდა ხლართებს ჩვენი ბერიკაცი!.. დახე! ასეთი ყალთაბანდობით ქალის გათხოვება მოუნდომებია... ეჰ! ეჰ! რა მშვენიერი ზნეობის მქადაგებელი პიესა დაიწერებოდა ამ სიუჟეტზე, სათაურად კი გოგონას მზითევი,, გამოდგებოდა.

ოჰო, როგორ ერთ ყაიდაზე ხართ ყველანი აწყობილნი!.. რა სმენა გაქვს!.. შენიშნა კორანტენმა, სწორედაც ასეა, ბუნება ამგვარად ქმნის ყოველ სულდგმულს, რომ მერე უკეთ მოიმსახუროს... საზოგადოება კი მეორე ბუნებაა!

უაღრესად ფილოსოფიურად მსჯელობთ, შესძახა კონტანსონმა, პროფესორი მაგით მთელ სისტემას ჩამოაყალიბებდა!

აბა, არაფერი გამოგეპაროს, დაუმატა კორანტენმა ღიმილით და ჯაშუშთან ერთად გზა განაგრძო, ბატონ დე ნიუსინჟენის ამბები გაიგე. ყველაფერი, რაც კი უცნობ ქალს შეეხება... მთავარს მისდიე... წვრილმანებს ნუ გამოეკიდები, არ არის საჭირო...

ვნახოთ, ბუხრიდან თუ კვამლი ამოვა! უთხრა კონტანსონმა.

ბარონ დე ნიუსინჟენისთანა კაცის ბედნიერება საიდუმლოდ ვერ დარჩება, დასძინა კორანტენმა, ჩვენთვის ადამიანები ხომ ბანქოს ქაღალდები არიან და არ უნდა მივცეთ ნება, გაგვაცურონ.

ეშმაკმა წაიღოს! ეგ ხომ იგივე იქნება, სიკვდილმისჯილმა ჯალათს მოჰკვეთოს თავი! შეჰყვირა კონტანსონმა.

შენ ხომ კვიმატი სიტყვა არ დაგელევა, უთხრა კორანტენმა და ვერ შეიკავა ღიმილი, მის თაბაშირის ნიღაბზე ოდნავ შესამჩნევ ნაოჭებად რომ გაიშალა.

შედეგებიც რომ არაფრად ჩაეგდოთ, თვით საქმე უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო მათთვის. ბარონს თუ არ უღალატია პერადისთვის, მაშ, ვის დასჭირდებოდა პოლიციის პრეფექტთან შეხვედრა? კორანტენს უნდა გამოერკვია, აგენტებს შორის გამცემი ხომ არავინ ჰყავდა? დაწოლისას თავის თავს ეკითხებოდა იმას, რაც პერადსაც აღელვებდა: ვინ იჩივლა პრეფექტთან?.. ვისია ეს ქალი?,, ასე და ამგვარად, თავისდა უნებლიეთ, ჟაკ კოლენი, პერადი და კორანტენი ერთმანეთს უახლოვდებოდნენ; ხოლო საბრალო ესთერი, ნიუსინჟენი და ლუსიენი ჩაებმებოდნენ უკვე დაწყებულ ბრძოლაში, პოლიციის მოხელეთა გადაჭარბებული თავმოყვარეობის წყალობით უთუოდ მეტად შემზარავ სახეს რომ მიიღებდა.

ევროპას გაქნილობის წყალობით დაფარეს ყველაზე გადაუდებელი ვალი იმ სამოცი ათასი ფრანკიდან, რომელიც ემართათ ესთერსა და ლუსიენს. მევალეების ნდობა ოდნავადაც არ შერყეულა. ლუსიენმა და მისმა გამხრწნელმა ცოტა ხნით შვებით ამოისუნთქეს. ისინი ორ მტაცებელ ცხოველს ჰგავდნენ, ჭაობთან რომ წამით შეჩერდნენ, წყალი შეხვრიპეს და ისევ უფსკრულის პირას მიმავალ სახიფათო ბილიკებს გაჰყვნენ; ძლიერს მიჰყავდა სუსტი ან სახრჩობელასკენ, ანდა კეთილდღეობისკენ.

დღეს პირდაპირ ბანკზე ვითამაშოთ, რაც იქნება, იქნება, უთხრა კარლოსმა ყმაწვილკაცს, რომლის ბედიღბლის გამგებელი თვითონვე იყო, იღბლად, კარტი დანიშნულია, ხოლო პონტერებს ჯერ რძე არ შეშრობიათ პირზე.
ბოლო ხანს, მრისხანე მენტორის ბრძანების თანახმად, ლუსიენი ქალბატონ დე სერიზის არ შორდებოდა, ოღონდ არავის ეფიქრა, ხასად ზნედაცემული გოგო უზისო. ქალბატონი დე სერიზის სიყვარული, მაღალი წრის თავბრუდამხვევი გართობანი, ლუსიენს ძალას მატებდა, სატრფოსთან განშორების წუხილი შეემსუბუქებინა. მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს უსიტყვოდ ემორჩილებოდა და მხოლოდ ბულონის ტყეში და ელისეს მინდვრებზე ხვდებოდა.

ტყის მცველის სახლში გამომწყვდეულ ესთერთან მეორე დღეს მივიდა იდუმალებით მოცული, შემზარავი კაცი, რომელიც მას სულს უფორიაქებდა. მან ესთერს მოსთხოვა ხელი მოეწერა სამ თავზარდამცემ თამასუქზე: ვალდებული ვარ, გადავიხადო სამოცი ათასი ფრანკი,,, ეწერა პირველზე; ვალდებული ვარ, გადავიხადო ას ოცი ათასი ფრანკი,,, ეწერა მეორეზე და ვალდებული ვარ, გადავიხადო ას ოცი ათასი ფრანკი,, მესამეზე. სულ სამასი ათასი ფრანკი. თუ წააწერ: ხელს ვაწერ,,, უბრალო ხელწერილი იქნება, ხოლო წარწერა: ვალდებული ვარ, გადავიხადო,,, ქაღალდს თამასუქად გადააქცევს და ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელის მომწერს ციხე ემუქრება. საკმარისია, დაუფიქრებლად ხელი მოაწერო და ხუთი წლის პატიმრობა არ აგცდება. გამასწორებელი პოლიციის სასამართლოს ასეთი განაჩენი თითქმის არასოდეს გამოაქვს. სისხლის სამართლის სასამართლოც ამგვარ სასჯელს მარტო ბოროტმოქმედებს აკისრებს. ვალის გადაუხდელობისთვის პატიმრობა ბარბაროსობის გადმონაშთია, რაც სისულელესთან

ერთად შემკულია ერთი ღირსებით, უსარგებლოა ყველასთვის, რაკი გაიძვერებს ხელთ ვერასოდეს იგდებ (იხილეთ გამქრალი ოცნებანი,,).

ლუსიენი გაჭირვებიდან უნდა ვიხსნათ, უთხრა ესპანელმა ესთერს, სამოცი ათასი გვადევს ვალად და ამ სამასი ათასი ფრანკით სულს მოვითქვამთ.

კარლოსმა თამასუქები ექვსი თვის წინა რიცხვით დაათარიღა; მოვალედ ესთერი ჩაწერა, მევალედ კი ერთი ისეთი პირი, რომლის ღირსებები გამასწორებელმა პოლიციამ სათანადოდ ვერ შეაფასა. თავის დროზე, მის თავგადასავლებს დიდი მითქმამოთქმა მოჰყვა, მაგრამ მალე დავიწყებას მიეცა და 1830 წლის ივლისის მძლავრი სიმფონიის გრუხუნში მიიჩქმალა.

ეს ყმაწვილკაცი, ჟორჟმარი დჟეტურნი, ყალთაბანდობის თავზე ხელაღებული რაინდი გახლდათ. მამამისი პარიზის მახლობლად, ბულონში, ბოქაულად მუშაობდა. ასე 1824 წელს ხელი მოეცარა და სხვა გზა რომ აღარ დარჩა, თანამდებობა თავისდა საზარალოდ გაყიდა. შვილი ცარიელტარიელზე დასვა, თუმცა ფუფუნებით კი აღზარდა; ასეთ აღზრდაზე წვრილ ბურჟუებს ჭკუა ეკარგებათ. ოცდასამი წლის იურიდიული ფაკულტეტის ბრწყინვალე სტუდენტი უკვე განუდგა მამას და თავის სავიზიტო ბარათებზე წააწერა: ჟორჟ დჟეტურნი,,.

ბარათი მფლობელს არისტოკრატულ სურნელებას მატებდა. მერე ბრწყინვალე ჭაბუკი ისე გაკადნიერდა, რომ ტილბური შეიძინა, გრუმი აიყვანა და კლუბების ხშირი სტუმარი გახდა. მეტად იოლია ამ გარემოებაზე შუქის მოფენა: კუროების ხარჯზე მყოფი ქალების გულთა მესაიდუმლედ გადაიქცა და მათი ფულით ბირჟაზე თამაშობდა. ბოლოს გამასწორებელ პოლიციას მაინც ვერ ასცდა. ბრალად დაედო, მეტისმეტად ბედნიერი კარტით თამაშობდაო. ამფსონებად თვით მის მიერვე გახრწნილი ყმაწვილკაცები, მისგან რაიმეთი დავალებული შეგირდები, მასავით კოხტაპრუწა გაიძვერები ჰყავდა. მეტი რა ჩარა იყო, გაქცევით უშველა თავს, მაგრამ ბირჟაზე განსხვავების ანაზღაურებაზეც არ იზრუნა. მთელი პარიზი, ბირჟის მტაცებელთა და კლუბების პარიზი, ბულვარებისა და მსხვილ მრეწველთა პარიზი, ამ ორმაგი ყალთაბანდობის გახსენებაზე ახლაც კანკალებს.

თავისი ბრწყინვალების პერიოდში ჟორჟ დჟეტურნი, ეს თვალადი, კეთილი ბიჭი, ქურდების ბელადივით გულუხვი და ხელგაშლილი, რამდენიმე თვე ლა ტორპილს მფარველობდა. ცრუ ესპანელმა გადაწყვიტა, ესარგებლა ესთერისა და სახელგანთქმული თაღლითის მჭიდრო კავშირით, რაც ჩვეულებრივი რამ გახლდათ.

ჟორჟ დჟეტურნიმ ცხოვრების სარბიელზე წარმატებას მიაღწია და მის პატივმოყვარეობასაც უმალ ფრთა შეესხა. პროვინციიდან პარიზში საქმეების მოსაკვარახჭინებლად ჩამოსულ ერთ კაცს მოწყალე თვალით გადახედა და თავისი კეთილგანწყობით გააბედნიერა; ამ კაცს ლიბერალური პარტია თავს ევლებოდა, რადგან მამაცურად გადაიტანა დევნა იმ ხანებში, როცა პრესა სასტიკად ებრძოდა შარლ X-ის ხელისუფლებას, რომლის მძვინვარებაც

მარტინიაკისმინისტრობის დროს შენელდა. სწორედ მაშინ შეიწყალეს პასუხისმგებელი რედაქტორი ბატონი სერიზეც, მეტსახელად გულად სერიზეს,, რომ ეძახდნენ.

ჰოდა, ამ სერიზემ, მემარცხენე მმართველი წრეების ვითომდაც ქომაგმა, საკომერციო სააგენტოს, ბანკისა და საკომისიო კანტორის გაერთიანებული ფირმა დააარსა. დიდვაჭართა წრეებში ეს იგივეა, რაც ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე მოახლე, ცნობის ფურცელში,, სამსახურს რომ სთავაზობს მსურველებს. ჟორჟ დჟეტურნისთან დაახლოებით სერიზე ერთობ ბედნიერად გრძნობდა თავს და ჟორჟმაც მისი აღზრდის სრულყოფისთვის არაფერი დაიშურა.

ესთერი, როგორც ნინონზე შეთხზულ ანეკდოტშია ნაამბობი, ჟორჟ დჟეტურნის ავლადიდების ერთი ნაწილის ერთგულ მცველად გამოცხადდებოდა. თამასუქის სუფთა ბლანკი ჟორჟ დჟეტურნიმ რაკი კარლოს ერერას გადაულოცა, ესპანელი მღვდელი მის მიერვე შექმნილი ფასეულობის მფლობელად გადაიქცა. ეს ყალბი საბუთი სრულიად უვნებელი გახდებოდა მაშინვე, როგორც კი მადმუაზელ ესთერი თუ სხვა ვინმე შეძლებდა ან ვალდებულად ჩათვლიდა თავს, ეს თანხა გადაეხადა. კარლოსმა სერიზეს ფირმაზე ცნობები შეკრიბა და დარწმუნდა, რომ ეს კაცი თუმცა სულ ფულის მოხვეჭისთვის იღვწოდა და ბნელი პიროვნებაც ბრძანდებოდა, ქონება მაინც კანონიერი გზით დაეგროვებინა.

დჟეტურნის შემოსავლის ნამდვილი მეურვე, სერიზე, დიდ თანხას ფლობდა. ბირჟაზე თამაშობდა და აქციების ფასების აწევისას მიღებულ მოგებას ბანკში ინახავდა, რაც უფლებას ანიჭებდა, ბანკირად გაესაღებინა თავი. პარიზში ასეა მიღებული: ეზიზღებათ ადამიანი და არა ფული. კარლოსი სერიზეს იმ მიზნით ეწვია, რომ თავისდა სასარგებლოდ აემოქმედებინა, რაკი სრულიად შემთხვევით დჟეტურნის ამ ღირსეული კომპანიონის მთელი საიდუმლოება ხელში ჩაუვარდა.

გულადი სერიზე გროშეს ქუჩაზე ცხოვრობდა, მეორე სართულზე, როცა კარლოსმა საიდუმლოდ აუწყა, თქვენთან ჟორჟ დჟეტურნიმ გამომგზავნაო, და ამ ეგრეთ წოდებულ ბანკირს მიწისფერი დაედო. კარლოსი უბრალოდ მოწყობილ კაბინეტში მიიღო. ერთი ჩია კაცი იყო, ქერა, თხელთმიანი. ლუსიენმა ისე აუწერა, რომ კარლოსს დავიდ სეშარის გამცემის ცნობა არ გასძნელებია.

შეგვიძლია აქ ისე ვისაუბროთ, რომ არავინ გაიგონოს? მიმართა ესპანელმა სერიზეს. ესპანელი ახლა ჟღალთმიან ინგლისელად გადაქცეულიყო, ლურჯი სათვალე გაეკეთებინა და ისე სადად, ისე ფაქიზად ეცვა, ისე წესიერი კაცის შეხედულება მიეღო, გეგონებოდათ, პურიტანი ეკლესიაში ქადაგების მოსასმენად მიეშურებაო.
რა საჭიროა ასეთი სიფრთხილე, ბატონო? ჰკითხა სერიზემ, ვინა ბრძანდებით?

ბატონი უილიამ ბარკერი, ბატონ დჟეტურნის მევალე. მაგრამ თუ ინებებთ, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კარის გადაკეტვა ზედმეტი არაა. ჩვენ ვიცით, თუ რა ურთიერთობა გქონდათ პტიკლოსთან, კუანტესა და ანგულემელ სეშარებთან...

ამ სიტყვების გაგონებაზე სერიზე კარს მივარდა და ჩაკეტა. მერე საძინებლისკენ გამავალ კარს ეცა და ისიც გადარაზა. შემდეგ უცნობს მიუბრუნდა:

უფრო ხმადაბლა, ბატონო! დააკვირდა ცრუ ინგლისელს და უთხრა, რა გნებავთ ჩემგან?..

ღმერთო! განაგრძო უილიამ ბარკერმა, ამქვეყნად ყველა თავის თავზე ფიქრობს. თქვენს ხელშია იმ არამზადა დჟეტურნის კაპიტალი... მშვიდად ბრძანდებოდეთ, მის გამოსართმევად არ მოვსულვარ. ჩემი დაჟინებული თხოვნით მაგ გაიძვერამ (ჩვენში რომ ვთქვათ, სახრჩობელას ღირსია) ეს თამასუქები გადმომცა, ვითომ მათი განაღდება შეიძლებოდეს. დიდად კი დამაიმედა. რაკი ჩემი სახელით არ მსურდა, აღმეძრა სარჩელი, დამარწმუნა, თითქოს თქვენ უარს არ მეტყოდით და ჩემს მაგივრობას გასწევდით.

სერიზემ თამასუქს დახედა და თქვა:

ის რომ ფრანკფურტში აღარ გახლავთ...

ვიცი, მიუგო ბარკერმა, მაგრამ ხომ შეიძლება იქ ყოფილიყო მაშინ, როცა თამასუქი ჩემს სახელზე გადაჰქონდა

არ მინდა პასუხისმგებლობა დავიკისრო, უთხრა სერიზემ.

სულაც არ გთხოვთ მაგ მსხვერპლს, გააწყვეტინა ბარკერმა, განა არ შეიძლებოდა, სხვა ვინმეს დაევალებინა თქვენთვის მათი მიღება. გასანაღდებლად თქვენ წარადგინეთ, დაფარვა კი ჩემზე იყოს.

მაკვირვებს დჟეტურნის ასეთი უნდობლობა, აღმოხდა სერიზეს.

ისეთ დღეშია, უთხრა ბარკერმა, რომ საყვედურს ვერ ეტყვით, თუ კვერცხები სხვადასხვა საბუდარში ჩაუდვია.

ნუთუ გგონიათ, შეეკითხა პატარა საქმოსანი ცრუ ინგლისელს და კანონიერად ხელმოწერილი თამასუქები გაუწოდა.

ვხედავ, კარგად უვლით მის კაპიტალს, უთხრა ბარკერმა, დარწმუნებული ვარ, ეგ ფული უკვე დაყრილია ბანკის მწვანე მაუდზე.

ჩემი პირადი ქონება დამოკიდებულია იმაზე, თუ სხვების თვალის ასახვევად გაკოტრდებით, დაასკვნა ბარკერმა.

ბატონო! შეჰყვირა სერიზემ.

მოიცა, ძვირფასო ბატონო სერიზე, სიტყვა გააწყვეტინა ბარკერმა და ცივად დასძინა, თქვენ სამსახური გამიწიეთ, მოვალისგან თამასუქის განაღდება გამიადვილეთ. გთხოვთ, გამოიჩინოთ სიკეთე და დამიწეროთ ბარათი, სადაც დაადასტურებთ, რომ მე დჟეტურნის ანგარიშში გადმომცემთ ამ თამასუქებს ასანაზღაურებლად. სასამართლოს აღმასრულებელმა, ვისაც თამასუქების განაღდება დაეკისრება, მათ მფლობელად წერილის წარმდგენი უნდა ჩათვალოს.

იქნებ მიბრძანოთ თქვენი სახელი?

ოჰ, არა, სახელი რა საჭიროა! მიუგო ინგლისელმა კაპიტალისტმა, დააწერეთ: ამ წერილისა და თამასუქების გადმომცემი სიკეთისთვის სათანადოდ დაგასაჩუქრებთ,,.

მერედა, როგორ?

მხოლოდ ერთი სიტყვით! თქვენ ხომ დარჩებით საფრანგეთში, არა?

დიახ, ბატონო.

ძალიან კარგი. ჟორჟ დჟეტურნი კი აქ არასოდეს დაბრუნდება.

მერე, რატომ?

გავიგე, რომ აქ ხუთი კაცი მოკვლას უპირებს და ჟორჟ დჟეტურნიმ ეს იცის.

ახლა კი აღარ მიკვირს, ფულს რომ მთხოვს, ინდოეთში გასაგზავნად იაფფასიანი საქონელი უნდა იყიდოს! შეჰყვირა სერიზემ, ჩემდა საუბედუროდ, იძულებული გამხადა, მთელი ქონება სამპროცენტიან სახელმწიფო ქაღალდებში დამებანდებინა. განსხვავების ანგარიშში ტიეს ფირმის ვალიც დაგვედო. სულს ვღაფავთ.

გამოიტანეთ თქვენი კუთვნილი თანხა!

ოჰ, ადრე რომ მცოდნოდა! შესძახა სერიზემ, რა სიმდიდრე გავუშვი ხელიდან!..

ახლა კი ჩემს უკანასკნელ სურვილს მოგახსენებთ, მიმართა ბარკერმა, ჩვენს საქმეზე კრინტი არ დაძრათ!.. ამ მხრივ მჯერა თქვენი, მაგრამ უნდა მიერთგულოთ კიდეც. ამას კი ნაკლებად მოველი თქვენგან. კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და დიდ ქონებასაც მოგახვეჭინებთ.

რაკი სერიზეს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა და ეს კი კარგა ხანს მტკიცე საწინდარი იქნებოდა იმისთვის, რომ გარეწარს არაფერი დასცდენოდა, კარლოსი ისევ ბარკერის ნიღაბქვეშ სასამართლოს ერთ საიმედო აღმასრულებელს ესტუმრა და დაავალა, ესთერის საწინააღმდეგო განაჩენის გამოსატანად სასამართლოში საქმე ჩაეწყო.

ფულს გადაიხდიან, უთხრა აღმასრულებელს, ეს სინდისის საქმეა! ჩვენ მხოლოდ კანონიერების დაცვა გვწადია.

ბარკერმა მადმუაზელ ესთერის დასაცავად საკომერციო სასამართლოში მხარეთა შეპირისპირების მიზნით ადვოკატი აიყვანა. აღმასრულებელს სთხოვეს, თავაზიანად ემოქმედა; მან მთელი საქმე თავად იკისრა და ტეტბუს ქუჩაზე ავეჯის ასაწერად მივიდა. იქ ევროპა დაუხვდა. ამგვარად, ოფიციალურად გამოცხადდა განაჩენი თამასუქის იძულებითი განაღდების თაობაზე. ესთერს მეტი რა ჩარა ჰქონდა, ვალი უნდა დაეფარა, სამასი ათას ფრანკზე ცოტა მეტი.

კარლოსს ამისთვის დიდი ტვინის ჭყლეტა არ დასჭირვებია. ყალბი თამასუქები ბევრს შეუდგენია და მსგავსი ვოდევილიც პარიზში არაერთხელ გათამაშებულა. არსებობენ ცრუ გობსეკები და ცრუ ჟიგონები, რომლებიც ცოტა გასამრჯელოს თუ მოელიან, სიამოვნებით მონაწილეობენ ამგვარ ბინძურ საქმეებში. საფრანგეთში ყოველივე სიცილით ხდება, ბოროტმოქმედებაც კი. ამგვარად აძრობენ ტყავს ჭირვეულ მშობლებს თუ წუწურაქებს, რომლებსაც ვითომდა გამოუვალ მდგომარეობას უქმნიან. ლაფდასხმით ემუქრებიან და ისინიც, გაბიაბრუებულნი, თვინიერად ემორჩილებიან. მაქსიმ დე ტრაის ამნაირი ხრიკებისთვის არაერთგზის მიუმართავს. ვინ მოთვლის, ძველისძველი რეპერტუარიდან ამოქექილი, განახლებული კომედიები რამდენჯერ გამოუყენებია. კარლოს ერერამ, რომელიც იღვწოდა, თავის ანაფორასა და ლუსიენის სახელს ჩირქი არ მოსცხებოდა, ისეთი სიყალბე მოიმარჯვა, რაც არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა და იმდენად გავრცელებული იყო, რომ მართლმსაჯულება ამისთვის თავს არ შეიწუხებდა. ის კი არა, ამბობენ, პალერუაიალის მახლობლად ერთი ბირჟაა, სადაც ყალბი თამასუქები იყიდება და სამ ფრანკად ხელმოწერასაც შეიძენო.

სანამ საქმე მიდგებოდა ასი ათას ეკიუზე, კარლოსმა გადაწყვიტა, ბატონი დე ნიუსინჟენისთვის წინასწარ სხვა ასი ათასი ფრანკი დაეცინცლა. მოგახსენებთ, რას აპირებდა ეს ვაჟბატონი:

მისი ბრძანების თანახმად, აზია სიყვარულით თავბრუდახვეულ ბარონს წარუდგა როგორც ქალი, წარმტაცი უცნობის ასავალდასავალს შესანიშნავად რომ იცნობდა. ჯერჯერობით ზნეჩვეულებათა მხატვრებს სცენაზე უამრავი მევახშე კაცები გამოჰყავთ, მაგრამ დავიწყებიათ მევახშე ქალები, თანამედროვე ქალბატონი გაიძვერა,,, უკიდურესად საყურადღებო პიროვნება, ზრდილობის გამო ტანსაცმლის ვაჭარს,, რომ უწოდებენ. მისი როლის შესრულება არ უნდა გასძნელებოდა გაიძვერა აზიას, ვისაც ორი სავაჭრო ჰქონდა გახსნილი, ერთი ტამპლთან, მეორე სენმარკის ქუჩაზე, სავაჭროებს ორი მეტად ერთგული დედაკაცი უძღვებოდა.

აბა, ერთი შეძვერი ქალბატონ დე სენტესტევის ქურქში, უთხრა კარლოსმა. უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა, როგორ მოიკაზმებოდა აზია.
ცრუ მაჭანკალი მოჩითული აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი გამოეცხადა; ეს კაბა უთუოდ სასამართლოს მიერ დალუქული ბუდუარის ფარდებისგან გახლდათ შეკერილი. გაცვეთილი, გახუნებული ქიშმირის შალი მოესხა, რომელიც ვეღარ გაიყიდებოდა და თავის არსებობას ამ ქალის მხრებზე დაასრულებდა. მშვენიერი, მაგრამ უკვე ძაფებად ქცეული მაქმანის საყელო ეკეთა და უბადრუკი ქუდი ეხურა. სამაგიეროდ ირლანდიური ტყავის ფეხსაცმელი ემოსა და სქელი წვივები ფეხსაცმლის ზემოთ შავ, გამჭვირვალე აბრეშუმში გახვეულ მუთაქასავით გადმოჰკიდებოდა.

აბა, ქამრის აბზინდას შეხედეთ! მიუთითა მან საეჭვო ოქრომჭედლურ ნაკეთობაზე, მზარეულის ღიპს რომ შემოსალტოდა, დახე, რა სტილია! ახლა ჩემს ტურნურს დააკვირდით... ხომ მშვენივრად მამახინჯებს? ოჰ, რა ლაზათიანად მომრთო ქალბატონმა ნურისონმა!

ჯერ მიეფარისევლე, დაარიგა კარლოსმა, თითქოს გეშინია კიდეც, თან არც ენდობი, კატასავით. განსაკუთრებით ეცადე, ბარონი შეარცხვინო, პოლიციას როგორ მიმართეთქო. ოღონდ არ შეგნიშნოს, რომ პოლიციის აგენტების გეშინია. ბოლოს, ნურც გულს გაუხსნი, ნურც დაუფარავ, ისე გადაუკარი სიტყვა, თქვენს მზეთუნახავს დედამიწის ზურგზე ვერც ერთი პოლიციელი ვერ იპოვისთქო. მერე კვალი აუბნიე... ჰოდა, როცა ბარონი ნებას მოგცემს, ღიპზე მიუტყაპუნო და უთხრა, ბებერო წუწკო,,, მაშინ ნუღარ მოერიდები, გათავხედდი და ლაქიასავით დააპროწიალე.

მაჭანკალმა ისე დააშინა ნიუსინჟენი, თვალით ვერ დამინახავ, თუ პოლიციის აგენტებს მიმართავო, რომ ბარონი აზიას ბირჟის გზაზე მდებარე ნევსენმარკის ქუჩის ერთი უბადრუკი სახლის მეორე სართულზე ხვდებოდა. ბარონი ფეხით უნდა მისულიყო იქ. ო, ეს ლაფიანი

ბილიკები! შეყვარებულ მილიონერებს რამდენჯერ გაუვლიათ ზედ და მერე რა სიტკბოება განუცდიათ! პარიზის ქვაფენილები ამის მოწმენი არიან. ქალბატონმა დე სენტესტევმა იმდენი უჩიჩინა, იმედი იმდენჯერ აღუძრა და იმდენჯერ გაუცრუა, რომ ბოლოს და ბოლოს, თავისი გაიტანა, ბარონმა მოისურვა, ყოველივე გაეგო უცნობზე, რადაც უნდა დასჯდომოდა!..

ამასობაში სასამართლოს აღმასრულებელი თავის საქმეს აკეთებდა და დიდ წარმატებასაც მიაღწია, რაკი ესთერის არავითარ წინააღმდეგობას არ წასწყდომია. ყველაფერი ვადაზე შესრულდებოდა, ერთ დღესაც არ გადააცდენდა.

ლუსიენი თავისი მრჩევლის მითითებით სენჟერმენელ განდეგილს ხუთჯერ თუ ექვსჯერ ეწვია. ამ ხრიკების მრისხანე შემსრულებელს აუცილებლად მიაჩნდა მათი შეხვედრა, შიშობდა, არ დამჭკნარიყო ესთერი, ვისი სილამაზეც მისთვის კაპიტალი გახლდათ. როცა ტყის მცველის სახლიდან გამოსვლის წუთი დაუდგათ, ლუსიენი და საბრალო კურტიზანი ერთ უკაცრიელ გზაზე გაიყვანა, სადაც მათ საუბარს ვერავინ გაიგონებდა და საიდანაც, თითქოს ხელისგულზეაო, ისე მოჩანდა პარიზი. სამივენი ჭადრის კუნძზე ჩამოსხდნენ. ამომავალი მზის შუქზე გამოჩნდა ქვეყნად უმშვენიერესი პეიზაჟი: სენის კალაპოტი, მონმარტრი, პარიზი, სენდენი.

ჩემო ბავშვებო, მიმართა კარლოსმა, თქვენი სიზმარი დასრულდა. შენ, ჩემო პატარა გოგონავ, ლუსიენს ვეღარ იხილავ და თუ იხილავ, არ დაივიწყო, რომ მას ხუთი წლის წინ იცნობდი და ისიც რამდენიმე დღეს.

მაშ, დადგა ჩემი აღსასრული?! შესძახა ქალმა და თვალიდან ერთი კურცხალიც კი არ გადმოვარდნია.

აბა, გეყოფა! აგერ ხუთი წელია სულ ავად ხარ, განაგრძო ერერამ, წარმოიდგინე, რომ ჭლექი გაქვს და მოკვდი! თავს ნუ გვაბეზრებ წუწუნით. მაგრამ არც ისეა საქმე, თვითონვე დაინახავ, კიდევ იცოცხლებ და ძალიან კარგადაც!.. დაგვტოვე, ლუსიენ, წადი, მოკრიფე ზიზილები, უთხრა ჭაბუკს და რამდენიმე ნაბიჯის იქით გადაშლილ მდელოზე მიუთითა.

ლუსიენმა ესთერს მათხოვარივით შეავლო თვალი, მსგავსად სუსტი და ხარბი ადამიანისა, გული ნაზი გრძნობებით რომ აქვს სავსე და სინდისის ნატამალიც კი არ გააჩნია. ესთერმა თავი ისე ჩაქინდრა, თითქოს ამბობდა: უნდა მოვუსმინო ჯალათს და გავიგო, როგორ დავდო თავი ცულის ქვეშ. მეყოფა ძალა, ღირსეულად გამოვემშვიდობო სიცოცხლეს,.. ესთერმა ისე ნარნარად, ისე მწუხარედ დახარა თავი, რომ პოეტი აქვითინდა. სატრფომ მიირბინა მასთან, გულში ჩაიხუტა, ბაგეებით ცრემლი შეუშრო, ნუ იდარდებო, უთხრა ათრთოლებული ხმით და ისე ანთებული თვალები შეანათა, თითქოს ბოდავსო.

კარლოსმა როდი მიკიბმოკიბა, ცხადად და ნათლად, პირდაპირ უხეშად უთხრა, რა გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ლუსიენი; გაუმჟღავნა, როგორ ეპყრობოდნენ ჭაბუკს გრანლიეთა სასახლეში და გამარჯვებას თუ მიაღწევდა, რა წარმტაცი ცხოვრება მოელოდა. დასასრულ, დასძინა, რაოდენ იყო საჭირო, ესთერს თავი გაეწირა ლუსიენის მშვენიერი მომავლის გამო.

რა უნდა ვქნა ამისთვის? შეჰყვირა ესთერმა აღტყინებით.
ბრმად დაგვემორჩილო, უთხრა კარლოსმა, რა გაქვს თავში საცემი? თქვენი ბედიღბალი ისევ თქვენზეა დამოკიდებული. გახდებით ის, რაც თქვენი ყოფილი მეგობრები ტულია, ფლორინი, მარიეტი და ვალნობლი არიან. გახდებით მდიდარი კაცის საყვარელი და არ გეყვარებათ ის. საქმე თუ კარგად მოეწყობა, ეს ჩვენი გამიჯნურებული კაცი ისე მდიდარია, რომ გაგაბედნიერებთ...

გამაბედნიერებს!.. ამოიგმინა ესთერმა და თვალი ცისკენ აღაპყრო.

ოთხი წელიწადი სამოთხეში იყავით, უთხრა კარლოსმა, ნუთუ არ შეიძლება ასეთი მოგონებებით იცოცხლოთ?..

დაგემორჩილებით, მიუგო ქალმა და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, დანარჩენზე ნუ წუხხართ! აკი ბრძანეთ, ჩემი სიყვარული სასიკვდილო სენია.

ეს ყველაფერი არ გახლავთ, განაგრძო კარლოსმა, თქვენ ისევ მშვენიერი უნდა იყოთ. ოცდაორი წლისა და ნახევრისა ხართ და თქვენი სილამაზე ბედნიერი სიყვარულის წყალობით გაიფურჩქნა. ახლა ძველებურ ლა ტორპილად გადაიქეცით! იყავით ცელქი, მფლანგველი, ცბიერი, ულმობელი და სასტიკი იმ მილიონერთან, რომელსაც მე გიბოძებთ. მომისმინეთ!.. ეგ კაცი ბირჟის დიდი ქურდბაცაცაა, შეუბრალებლად ეპყრობოდა უამრავ ადამიანს; ქვრივობოლთა ხარჯზე ქონი დაიგროვა და თქვენ მათ მაგივრად შურს იძიებთ!.. აზია ფიაკრით გამოგივლით და ამავე საღამოს პარიზში იქნებით. თუკი ვინმეს ეჭვს ააღებინებთ, რომ ოთხი წელიწადი ლუსიენთან ცხოვრობდით, ეს იგივეა, შუბლში ტყვია ესროლოთ. თუ გკითხავენ, სად იყავით ამდენ ხანსო, თქვენ უპასუხებთ, ერთმა მეტად ეჭვიანმა ინგლისელმა სამოგზაუროდ წამიყვანათქო. ოდესღაც საკმაო ჭკუა გქონდათ და რაც მოგეპრიანებოდათ, იმას ჩმახავდით. აბა, აღიდგინეთ თქვენი ნიჭი!..
თუ გინახავთ ოდესმე ცაში მოფარფატე, ოქროსფრად მოელვარე კაშკაშა ფრანი, ვეებერთელა პეპელა ჩვენი ყმაწვილობისა?.. ბავშვს უცბად ავიწყდება თოკი, ვიღაც გამვლელი გადაუჭრის და მეტეორს, როგორც ბავშვები იტყვიან, კისერი სტყდება და თავბრუდამხვევი სისწრაფით მიწაზე ეშვება. სწორედ ასე დაემართა ესთერს, როცა კარლოსის ნათქვამი მოისმინა.

ნაწილი მეორე

რა უჯდებათ სიყვარული ბერიკაცებს

აგერ ერთი კვირაა, ნიუსინჟენი თითქმის ყოველდღე ნევსენმარკის ქუჩაზე მდებარე დუქანში დაიარებოდა და საყვარელი ქალის გამოსასყიდად გაუთავებლად ევაჭრებოდა აზიას, რომელსაც ბინძური კონკების შუაგულში ედგა ტახტი და მეფობდა ხან სენტესტევის, ხან მისი დაახლოებული პირის, ქალბატონ ნურისონის სახელით. ეს ჩარჩო ზედმიწევნით ეხამებოდა იმ გარეგნობას, აზია რომ იღებდა, რადგან ამგვარი დუქნები პარიზის ყველაზე შემზარავი ღირსშესანიშნაობა გახლავთ. რას არ ნახავდით აქ: უმშვენიერეს სამოსს ყავლი გასვლოდა, კაბა აღარც კაბა იყო და ჯერჯერობით კონკებადაც არ გადაქცეულიყო. აგერ ძონძები, სიკვდილს გაძვალტყავებული ხელით რომ დაუგდია; შალი, რომლის ქვემოდან ჭლექიანის ხრიალი ისევე გაისმის, როგორც ოქრომკედით ნაქარგი კაბიდან სიღატაკის აგონია გამოსჭვივის. სიფრიფანა მაქმანებზე ფუფუნებისა და შიმშილის მძვინვარე შეტაკება აღბეჭდილა.
ბუმბულიანი დოლბანდი ისე დაუგდიათ, თითქოს მის ქვეშ აშკარად ხედავ კიდეც შორეული დედოფლის სახეს. აქ სილამაზე სიმახინჯეს შერწყმია. გულგრილ შემფასებელს იუვენალისშოლტი უპყრია ხელთ და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი მეძავების გაცრეცილ მუფთებში, გაქუცულ ბეწვეულში იქექება. ეს ყვავილების სანაგვეა, აქაიქ კიაფობს წინა დღეს მოწყვეტილი ვარდი, ცოტა ხანს ვიღაცას რომ ამკობდა. აქვე მევახშეობის ღვიძლი ბიძაშვილი, მელოტი, უკბილო დედაბერი შემთხვევითობა ჩაცუცქულა და რაკი მიჩვეულია სამოსლის გაყიდვას, მზადაა გაყიდოს ისიც, რაც სამოსელშია გახვეული; უქალებო კაბებითა და უკაბო ქალებით ვაჭრობს. როგორც ზედამხედველი პარპაშობს კატორღაში, როგორც სვავი გადაჰფოფრია ლეშს და მის სისხლში ამოუთხვრია ნისკარტი, აზიაც ასევე გაბატონებულიყო აქ, ამ სამყაროში, რომელსაც თვითონ სულიერადაც და ხორციელადაც ეკუთვნოდა. იგი უფრო მეტად აღელვებდა და შიშით თავზარს სცემდა ადამიანს, ვიდრე გამვლელს უხეთქავს გულს ყრმობისა და ტკბილი მოგონებების აღმძვრელი სანუკვარი საგანი, რომელსაც თავისდა გასაოცრად ბინძურ ვიტრინაში გამოფენილს მოჰკრავს თვალს, დუქანში კი საქმიდან გადამდგარ ჭეშმარიტ სენტესტევს, დამანჭულ ბებრუცანას შენიშნავს.

ბანკირს სულ უფრო და უფრო მეტად ეკიდებოდა ცეცხლი: ათი ათას ფრანკს ათი ათასს უმატებდა და ბოლოს სამოცი ათასიც შეაძლია ქალბატონ დე სენტესტევს, რომელმაც უარი სტკიცა და ისე დაიღრიჯა, რომ მაკაკა მაიმუნსაც კი შეშურდებოდა. ერთ დილას, მას შემდეგ, რაც ბარონმა მთელი ღამე შფოთვით გაატარა და დარწმუნდა, უცნობზე ფიქრი მოსვენებას არ მომცემსო, თან ბირჟაზეც მოულოდნელად ბედმა გაუღიმა, მტკიცედ გადაწყვიტა, აზიას

თხოვნა დაეკმაყოფილებინა, ასი ათასი ფრანკი მიეცა, ოღონდაც ათასგვარი ცნობა დაეცინცლა.

მაშ, ყაბულსა ხარ, ღიპიანო მასხარავ? უთხრა აზიამ და მხარზე ხელი დაჰკრა.

უაღრესად შეურაცხმყოფელი გაშინაურება ის ხარკი გახლავთ, რასაც ამ ჯურის დედაკაცები იღებენ თავშეუკავებელი ვნებით შეპყრობილი ანდა უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი ადამიანებისაგან, რომელთაც მათ იქით გზა არ დარჩენიათ. ეს ქალები თავიანთ კლიენტთა დონემდე ამაღლებას ვერასოდეს შეძლებენ და ცდილობენ, ისინი ჩაითრიონ წუმპეში. როგორც ვხედავთ, აზია პატრონის განკარგულებას შესანიშნავად ასრულებდა.
რას ვიზამ, ზხვა გზა არა მაქვზ, უთხრა ნიუსინჟენმა.
არავის გაუძარცვიხარ, შეესიტყვა აზია, ქალები ამაზე ძვირადაც იყიდებიან. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეფარდებითია. ქალიც არის და ქალიც! დე მარსემ განსვენებული კორალი თავის დროზე სამოცი ათას ფრანკად იყიდა. ის, შენ რომ მოგინდომებია, პირველი ხელიდან ასი ათასი ფრანკი ფასობს; შენთვის, ბებერო წუწკო, სხვა ფასის დანიშვნა უხერხულიც კია.

ერტი ეზ მიტხარი, ზად იმქოფება?

ოჰ, კარგი, მალე ნახავ, სული ნუ მიგდის. მეც შენ გგავარ: მომცემ, მოგცემ!.. ოჰო, ჰო, ჩემო კარგო, შენმა სატრფომ, ვინ მოთვლის, რამდენი სიგიჟე ჩაიდინა. ძალიან დაუფიქრებლად იქცევიან ეს გოგოები. თქვენი დედოფალი კი ამჟამად იმად იქცა, რასაც ჩვენ ღამის მზეთუნახავს ვუწოდებთ...

მზეტუნახავიო, ღამიზ...

კარგი რა, ვითომ ერთი მიამიტი ვინმე ბრძანდებოდე! ლუშარი კვალდაკვალ დასდევს. მე ორმოცი ათასი ფრანკი ვასესხე

ოცდახუტი ატაზი მაინც გეტქვა, შეჰყვირა ბანკირმა.

დალახვროს ეშმაკმა, თავისთავად ცხადია, ოცდახუთი ათასი ორმოცდაათი ათასად, დაეთანხმა აზია, ღმერთს ვერ შევცოდებ, ეს ქალი მართლაც პატიოსნების განსახიერებაა! საკუთარი თავის მეტი აღარავინ შერჩა და მითხრა: ჩემო საყვარელო ქალბატონო სენტესტევ, მოსვენებას არ მაძლევენ, სასამართლო მდევნის, თქვენ გარდა სხვა არავინ მყავს გულშემატკივარი, მასესხეთ ოცდახუთი ათასი ფრანკი და გირაოდ ჩემს გულს დაგიტოვებთო... ოჰ, მერედა რა ბაჯაღლო ოქროს გული აქვს!.. ჩემს მეტმა არავინ იცის, სად იმალება. საიდუმლოს გამჟღავნება ჩემს ოცდახუთ ათას ფრანკად დამიჯდება... უწინ ტეტბუს ქუჩაზე ცხოვრობდა. სანამ იქიდან გადავიდოდა (ავეჯი აუწერეს... ახლა სასამართლოს ხარჯებიო... რა უსინდისოები არიან ბოქაულები! უჩემოდაც კარგად მოგეხსენებათ, თქვენ

ხომ ბირჟის მსხვილი საქმოსანი ბრძანდებით!). სულელი ხომ არ იყო, ადგა და ბინა მიაქირავა ერთ ინგლისელს, გადასარევ ქალს, აი, იმას, კურო რომ ჰყავდა, ჰო, ის კოხტაპრუწა რიუბამპრე. მერედა, რა ეჭვიანი ბიჭია, სასეირნოდ მხოლოდ ღამღამობით უშვებდა... ავეჯს საჯარო ვაჭრობით გაყიდიანო და, ინგლისელმა გოგომაც მოცოცხა იქიდან. ესეც არ ყოფილიყო, იმ თავქარიან ბიჭს, ლუსიენს, ვინ მიაშავა იმდენი ფული, რომ ეგრე ძვირფასი ბინა დაექირავებინა...

ტქვენ გხვდატ ცილად ბანქიზ მოხზნა, უთხრა ნიუსინჟენმა.

ნატურით, მიუგო აზიამ, ლამაზმანებს ხელს ვუმართავ; სარფიანი საქმეა, რადგან ერთდროულად ორ საფასურს მინაღდებენ.

აზია თავს იქცევდა; გადამლაშებით თამაშობდა როლს ისეთი დედაკაცისა, რომელიც ხარბია, მაგრამ შემპარავი და ცბიერიც არის, თუმცა მალაელ ქალზე უფრო გულთბილია და დამყოლიც. ცდილობდა, შეელამაზებინა თავისი ხელობა, აქაოდა, კეთილი ზრახვები მამოძრავებსო. თავს იკატუნებდა, ვითომ ცხოვრებაზე გული აყრილი ჰქონდა; ხელიდან გამოსცლოდა ხუთი საყვარელი და შვილები. თუმცა გამოუცდელი არ გახლდათ, მაინც ყველას შეეძლო მისი გაცურება. ხან ლომბარდის ქვითრებს გადმოუშლიდა, ხომ ხედავთ, რამდენად არახელსაყრელია ჩემი ვაჭრობაო. წუწუნებდა, ძალიან მიჭირს, ვალებში ყელამდე ვარ ჩაფლულიო. ერთი სიტყვით, ისე გულუბრყვილოდ ამჟღავნებდა საკუთარ სულმდაბლობასა და სისაზიზღრეს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ბარონმა დაიჯერა, თითქოს ეს დედაკაცი სწორედ ისეთი ბრძანდებოდა, რა როლსაც თამაშობდა.

ჰო, ქარქი, ქარქი, ვტქვატ, მოგეცით აზი ატაზი ფრანქი, ზად ვნახავ ქალზ? ჰკითხა მან და ისე ჩაიქნია ხელი, ჩანდა, გადაეწყვიტა, ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო.
ჩემო გაკიტულო მამილო, ამ საღამოს შენი კარეტით მოხვალ, თუნდაც ჟიმნაზის,, პირდაპირ. დასაწყისისთვის ასე იყოს, უთხრა აზიამ, სენტბარბის ქუჩის კუთხეში გაჩერდები. მეც იქვე დაგიდარაჯებ. მერე შავდალალა საწინდართან გავეშურებით... მერედა რა მშვენიერი თმა აქვს ჩემს გირაოს! სავარცხელს რომ მოიხსნის და თმას ჩამოიშლის, გეგონება, კარვის ქვეშ დგასო. მართალია, ციფრებში კარგად ერკვევი, დანარჩენ საკითხებში მაინც დიდად დოყლაპია მეჩვენები; გირჩევ, კარგად გადამალო გოგონა, თორემ სენტპელაჟიში ჩაკეტავენ ხვალვე, თუ იპოვიან... კი არ უხათრებენ... თავგამოდებით დაეძებენ.

როგორ, განა ვერ გამოვისქიდი ტამაზუქებზ? იკითხა გამოუსწორებელმა მტაცებელმა ნადირმა.

თამასუქები ბოქაულის ხელშია... სადავო კი არაფერია... ბავშვმა, როგორც იყო, თავიდან მოიშორა ერთი საყვარელი და ზედაც მიაყოლა ის ფული, რასაც ახლა სთხოვენ. დასწყევლოს ღმერთმა! აბა, რას იზამ, ოცდაორი წლის ქალის გული ქვა ხომ არ არის.

ქარქი, ქარქი, მაგ ზაქმიზ მოგვარება ჩემზ ქიზერზე იქოზ, უთხრა ნიუსინჟენმა ცბიერად, ტავიზტავად ცხადია, მე მიზი მპარველი გავხდები.

ო, შე სქელო პირუტყვო, შენზეა დამოკიდებული, როგორ შეაყვარებ თავს. ფული ჩეჩქად გაოხრია, რა გიჭირს, ხელოვნურ სიყვარულს ისე ძვირად იყიდი, რომ ნამდვილს ტოლს არ დაუდებს. მეფის ასულს გადმოგაბარებ და როგორც გენებოს, ისე მოათვინიერე, ეგ ჩემი სადარდებელი აღარ გახლავს... მაგრამ იცოდე, ფუფუნებასაა მიჩვეული, მოწიწებით მოპყრობას. დიახ, ჩემო საყვარელო, წესიერი ქალი გახლავს... ასე რომ არ ყოფილიყო, განა ოცდახუთი ათას ფრანკს მივცემდი?

მორჩა, ზაქმე გადაცქვეტილია, ზაღამომდე!

ბარონი, იმ დღისა არ იყოს, ახლაც ახალდაქორწინებულივით შეუდგა მორთვამოკაზმვას. მაგრამ ამჯერად ისე მტკიცედ სჯეროდა, გამარჯვება არ ამცდებაო, რომ პასტილების ორმაგი დოზა გადაყლაპა. ცხრა საათზე შემზარავი დედაკაცი დანიშნულ ადგილას დახვდა და კარეტაში ჩაისვა.

საიტ? ჰკითხა ბარონმა.

საით? გაიმეორა აზიამ, პერლის ქუჩაზე, მარესკენ.სწორედ შენზეა ზედგამოჭრილი ეგ მისამართი, შენი მარგალიტი ხომ ჭაობშია ჩაფლული. არა უჭირს რა, ამოიყვან და განბან!

როცა იმ ადგილას მივიდნენ, ცრუ ქალბატონმა სენტესტევმა შემაძრწუნებელი ღიმილით მიმართა ნიუსინჟენს:

ცოტა ფეხით გავიაროთ. ისეთი სულელი როდი გახლავართ, რომ ნამდვილი მისამართი მოგახსენოთ.

არაპერი გამოგიშვია მხედველობიდან, მიუგო ნიუსინჟენმა.

ჩემი ხელობაც ეგაა, ჩაურთო დედაკაცმა.

აზიამ ბარონი ბარბეტის ქუჩაზე წაიყვანა. აქ ერთ სახლში, სადაც ავეჯით გაწყობილ ბინებს იმავე უბნის ავეჯის გადამკვრელი აქირავებდა, მეხუთე სართულზე ავიდნენ. ესთერი ერთ უბადრუკ ოთახში დაუხვდათ. ტანთ მუშის ხალათი ეცვა და რაღაცას ქარგავდა. მის

დანახვაზე მილიონერს ფერი წაუვიდა. სანამ აზია ვითომ რაღაცას ეჩურჩულებოდა ესთერს, თხუთმეტი წუთი გავიდა და ბერიკაცმა, ყმაწვილად რომ მოჰქონდა თავი, ძლივს ამოიღო ხმა:

მატმუაზელ, როგორც იქნა, უთხრა საწყალ გოგოს, იქნებ ქეტილი ინებოტ და მპარველატ მიმიღოტ?..
სხვა გზა არა მაქვს, ბატონო, მიუგო ესთერმა და თვალებიდან ორი მსხვილი კურცხალი გადმოუგორდა.

ნუ ტირიტ. მე ტქვენ უბედნიერეზ ქალატ გადაგაქცევტ... მხოლოდ მომეციტ ნება მიქვარდეტ და ტვიტონვე დარცმუნდებიტ.

ჩემო ბავშვო, ეს ბატონი ჭკვიანი კაცია, უთხრა აზიამ, კარგად იცის, რომ უკან მოიტოვა სამოცდაექვსი წელი და ლმობიერებას გამოიჩენს. ერთი სიტყვით, ჩემო მშვენიერო ანგელოზო, მამა გიპოვე... ასეა საჭირო, ასე უნდა ველაპარაკო, წასჩურჩულა აზიამ უკმაყოფილო ბანკირს, მერცხლებს რევოლვერის გასროლით არ იჭერენ, ერთი აქეთ წამობრძანდით, დასძინა აზიამ და ნიუსინჟენი მეორე ოთახში გაიყვანა, ხომ არ დაგავიწყდათ ჩვენი შეთანხმება, ჩემო ანგელოზო?

ნიუსინჟენმა ფრაკის ჯიბიდან საფულე ამოიღო და ჩაუთვალა ასი ათასი ფრანკი, რასაც საპირფარეშოში დამალული კარლოსი მოუთმენლად ელოდებოდა. მოახლემ მაშინვე მიურბენინა ფული.

აჰა, ასი ათასი ფრანკი, რაც ჩვენმა კლიენტმა აზიასთან დააბანდა. ახლა ერთ ამდენს ევროპა დააძრობს, უთხრა კარლოსმა თავის გულის მესაიდუმლეს, როცა კიბის ბაქანზე გავიდნენ.
მალაელ ქალს მითითება მისცა და თვალს მიეფარა. აზია შინ შებრუნდა. ესთერი ცხარე ცრემლებს ღვრიდა. ამ გოგონამ სიკვდილმისჯილივით იმედის რომანი შეითხზა და ახლა საბედისწერო საათმა დაჰკრა მისთვის.

აბა, ჩემო გვრიტებო, უთხრა აზიამ, სად აპირებთ წასვლას?.. ბარონ ნიუსინჟენს ხომ...

ესთერმა სახელგანთქმულ ბანკირს თვალი შეავლო და მის მზერაში ოსტატურად გათამაშებული გაკვირვება აღიბეჭდა.

დიახ, ჩემო პაციავ, მე ვარ ბარონი დე ნიშინგენი...
ბარონი დე ნიუსინჟენი ვერ დარჩება და არც შეიძლება დარჩეს ამ საღორეში. მომისმინეთ!.. თქვენი ყოფილი მოახლე, ეჟენი...

იშენიო?! ტეტბუს ქუჩიდან?!.. შესძახა ბარონმა.

დიახ, სწორედ მასზე მოგახსენებთ. იურიდიულად იგი ავეჯის მცველია, დასძინა აზიამ, და მან მიაქირავა ბინა მშვენიერ ინგლისელს.

ოჰ, მივხვდი! თქვა ბარონმა.

ქალბატონის ყოფილი პირისფარეში, განაგრძო აზიამ და მოწიწებით მიუთითა ესთერზე, ამავე საღამოს სიამოვნებით მიგიღებთ, ხოლო კომერციული სასამართლოს ბოქაულს აზრადაც არ მოუვა, ქალბატონს ძველ ბინაში დაუწყოს ძებნა, რომელიც სამი საათის წინ მიატოვა...

შეზანიშნავია! შეზანიშნავი! შეჰყვირა ბარონმა, ეგეც აქ იქოზ, მე ვიცნობ კომერციული ზაზამარტლოზ ბოკაულებზ და შემიზლია იზეტი ზიტქვებიტ მივმარტო, რაც მატ უმალვე უკან დაახევინებზ...

ეჟენი გაქნილ ჯაშუშადაც გამოგადგებათ, უთხრა აზიამ, მე მოვაწყვე იგი ქალბატონთან...

ქარქად ვიცნოფ მაზ, სიცილით შეჰყვირა მილიონერმა, იშენიმ ოცდაატი ატაზი ფრანქი დამზინზლა...

ესთერი ამ სიტყვებზე ისე შეძრწუნდა და ისე გაასავსავა ხელები, რომ შეუძლებელი იყო, გულჩვილ კაცს მისთვის მთელი თავისი ქონება არ მიენდო.

ოჰ! ახია ჩემზე! განაგრძო ბარონმა, მე ხომ ტქვენ დაგდევდიტ... და მოჰყვა, თუ რა ხიფათს გადაეყარა გაუგებრობის შედეგად, რა უცნაური ამბავი გადახდა თავს იმის გამო, რომ ინგლისელ ქალს დაექირავებინა ბინა ტეტბუს ქუჩაზე.

ხომ ხედავთ, ქალბატონო, თქვა აზიამ, ეჟენის კი ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. რა გაიძვერაა! მაგრამ რას ვიზამთ, ქალბატონი ძალიან მიჩვეულია იმ გოგოს, მიმართა მან ბარონს, ნუ გააგდებთ.

მერე ცალკე გაიყვანა და უთხრა:

ეჟენი ფულს აგროვებს და თვეში ხუთასი ფრანკი რომ მისცეთ, ყველაფერი გეცოდინებათ ქალბატონზე. დაუტოვეთ პირისფარეშად. ეჟენი დიდად გიერთგულებთ, რაკი უკვე მოასწრო თქვენი გაფცქვნა. ქალს სხვა ისე არაფერი აკავშირებს მამაკაცთან, როგორც ფულის გამოძალვა. მაგრამ ლაგამი ამოსდეთ: ეჟენი ფულისთვის სულსაც გასწირავს. პირდაპირ შემზარავია ეს გომბიო!..

შენ?..

მე? მე ხარჯებს ვინაზღაურებ, მიუგო აზიამ.

ნიუსინჟენს, ამ ესოდენ გამჭრიახ კაცს, თითქოს თვალები აუხვიესო. მიამიტი ბალღივით მინდობილად იქცეოდა. მის წინ იყო გულუბრყვილო, უმანკო და თვალწარმტაცი ესთერი, რომელიც ცრემლს იწმენდდა და უბიწო ქალწულივით მორცხვად განაგრძნობდა ქარგვას. ბებერ მიჯნურს ვენსენის ტყეში განცდილი გრძნობები ეღვიძებოდა. მზად იყო, თავისი სალაროს გასაღებიც კი მიეცა ქალისთვის! თითქოს სიჭაბუკე დაჰბრუნებოდა, გული სიყვარულით ავსებოდა. ერთი სული ჰქონდა, ამ რაფაელის მადონას წინაშე მუხლი მოეყარა. ბებრუცანა მტაცებელი ცხოველის გულში ყმაწვილურ ვნებათა უეცარი აფეთქება ერთერთი სოციალური მოვლენაა, რისი ახსნაც ადვილად შეუძლია ფიზიოლოგს. საქმის მძიმე უღელში შებმული, განუწყვეტელი ანგარიშითა და ნიადაგ მილიონების დევნით სულშეხუთული ყმაწვილკაცობა და მისი ამაღლებული ილუზიები ხელახლა იღვიძებს, მწიფდება, ყვავილობს, ვით შემოდგომის მზით გამთბარი მივიწყებული თესლი, ნაგვიანევად რომ აღმოცენდება და თვალწარმტაცად გადაიშლება; უწინდელი მიზეზიც, რაღაც შემთხვევის წყალობით, ნაგვიანევად წარმოშობს შედეგს.

თორმეტი წლისამ სტრასბურგში, ალდრიგერის ძველ ფირმაში დაიწყო მუშაობა და გრძნობათა სამყაროში არასოდეს შეედგა ფეხი. ამიტომაც იდგა გაშტერებული ბარონი თავისი კერპის წინაშე და განაბული უსმენდა საკუთარ თავში არეულდარეულ ათას ფრაზას, რომელთაგან ერთიც კი ვერ აღწევდა ტუჩებამდე. სხვა გზა არ ჰქონდა, პირუტყვულ სურვილს დაემორჩილა და გამოამჟღავნა, სამოცდაექვსი წლისა რომ იყო.

ხომ არ ინებებტ ტეტბუზ ქუჩაზე ცაზვლაზ? ჰკითხა ქალს.
თქვენი ნებაა, ბატონო, მიუგო ესთერმა და ფეხზე წამოდგა.

ტკვენი ნებააო! გაიმეორა ბარონმა აღტაცებით, ტკვენ ციდან ჩამოპრენილი ანგელოზი ზარტ. მიქვარხარტ, როგორც ქმაცვილქაზზ, ტუმცა ტმაში ჩაღარა გამომერია...

ოჰ, თავისუფლად შეგიძლიათ ბრძანოთ, თმა გამითეთრდაო! უთხრა აზიამ, თმა ისე შავი გაქვთ, რომ ჭაღარა ვეღარ იქნება.

გაზცი აქედან, ზაზიზღარო ზხეულით მოვაჩრევ! ხომ მიიღე პული, ნუღარ აფინზურეფ ზიქვარულიზ ქვავილზ! შეჰყვირა ბანკირმა და ამ უხეში სიტყვებით შეეცადა სამაგიერო მიეზღო ყველა იმ შეურაცხყოფისთვის, რაც აზიასგან განიცადა.

ბებერო ცმუკია, მაგას არ შეგარჩენ!.. შეუღრინა აზიამ, დოინჯი შემოიყარა, ბარონს ბაზარში მოვაჭრე დედაკაცივით თითი დაუქნია და დაემუქრა. ბარონმა მხრები აიჩეჩა, ტოლჩის პირსა და ლოთის დრუნჩს შორის ასპიტისთვისაც რჩებოდა ადგილი, მეც სწორედ მანდ დაგიხვდები!.. პირდაპირ ცოფს ყრიდა, როგორ თუ ასე უპატიოდ მომექცაო.

აბა, რა შეაშინებს მილიონერებს, რომელთა ფულს საფრანგეთის ბანკი იცავს, სასახლეებს მსახურთა ლაშქარი ყარაულობს და რომელთა ხელშეუხებლობას ქუჩაში ინგლისური ჯიშის ფეხმარდი ცხენებშებმული კარეტის კედლები უზრუნველყოფს. ამიტომ იყო, რომ ბარონმა ცივად შეავლო თვალი აზიას; მან ხომ ესესაა, ქალს ასი ათასი ფრანკი მიუგდო. მისმა ამპარტავნობამ მყისვე გამოიღო ნაყოფი. აზიამ რაღაც ჩაიბუტბუტა, ოთახიდან გავიდა, მაგრამ ლანძღვაგინება კიბეზეც არ შეუწყვეტია, გაიძახოდა, ამისთანა ვაჟბატონებს რევოლუცია და ეშაფოტი თუ გაასწორებსო.

რა უთხარით? ჰკითხა მქარგავმა ქალწულმა,,, ეგ ხომ კეთილი ქალია.
მაგან ტქვენ გაგქიდატ, გაგმარცვატ...

როდესაც სიღატაკეში ვართ ჩაფლული, მიუგო გოგონამ ისეთი გამომეტყველებით, რაც თვით დიპლომატსაც კი გულს აუჩუყებდა, აბა, სხვა ვინ მოგვცემს ფულს ან ვინ დაგვეხმარება?..

ზაბრალო ბავშვო! მიმართა ნიუსინჟენმა, ერტი ცუტიტაც აღარ უნდა დარჩეტ აქ!

ნიუსინჟენმა ესთერს მკლავში ხელი გაუყარა. როგორც იყო, ისევე ჩაცმული კარეტაში ისეთი მოწიწებით ჩასვა, თვით მშვენიერ ჰერცოგინია დე მონფრინიეზსაც რომ არ აღირსებდა.

მიიღებტ საუცხოო ექიპაჟზ, რომლიზ ბადალზ პარიზში ვერ იპოვიტ, ეუბნებოდა ნიუსინჟენი გზაში ესთერს, ფუფუნებიტ, უდიდეზი ფუფუნებიტ იცხოვრებტ. ტქვენზე მდიდარი დედოპალიც კი არ იქნება. იზეტი პატივიზცემიტ მოგეპყრობიტ, როგორც პატარძალზ ეპქრობიან გერმანიაში. ტავიზუპალი იქნებიტ... ნუღარ ტირიტ... მომიზმინეტ... მიქვარხარტ ნამდვილი, ზპეტაკი ზიქვარულიტ. ტქვენი ტიტოეული ცრემლი გულზე ეკლად მეზობა...
განა ქალი, რომელიც იყიდება, შეიძლება ნამდვილად უყვარდეს ვინმეს? მომაჯადოებელი ხმით ჰკითხა საბრალო ქალმა.

იოზები ხომ გაქიდეზ ზმებმა, რაკი ლამაზი იყო. პიპლიაში ზცერია. გარდა ამიზა, აღმოზავლეტში კანონიერ ცოლზ ქიდულობენ ხოლმე.

ტეტბუს ქუჩაზე ესთერს მწარე სევდა შემოაწვა გულზე, როცა თვალი მოავლო ბინას, სადაც ბედნიერება განეცადა. სასოწარკვეთილი დივანზე დაეშვა და გაშეშდა. ცრემლს აფრქვევდა და ერთი სიტყვაც არ ესმოდა იმ გიჟური აღსარებიდან, ბანკირი რომ ლუღლუღებდა. ბარონი მის წინ მუხლებზე დაემხო. ქალმა არაფერი უთხრა, მორჩილად დაანება ხელები. ბანკირი

მის ხელებს ეფერებოდა, მაგრამ ქალი არც გრძნობდა, რომელ სქესს ეკუთვნოდა ადამიანი, ფეხებს რომ უთბობდა. ბარონს ცხელი ცრემლი ეფრქვეოდა თავზე, თვითონ კი ცდილობდა ქალისთვის გათოშილი ფეხები გაეთბო. ეს სცენა ღამის თორმეტიდან ორ საათამდე გაგრძელდა.

იშენი, ხმა ამოიღო ბოლოს ბარონმა და ევროპას მოუხმო, რამენაირად ჩააგონე ქალბატონზ, ლოგინში ჩაცვეზ...

არა, შეჰყვირა ესთერმა და დამფრთხალი ცხენივით განზე გახტა, აქ არასოდეს!..

მოითმინეთ, ბატონო, მე ვიცნობ ქალბატონს, ბატკანივით თვინიერი და დამყოლია, უთხრა ევროპამ ბანკირს, მაგრამ არ უნდა შეედავოთ. ალერსით ყველაფერს მიაღწევთ... ისეთი უბედური იყო აქ! ხომ ხედავთ!.. ავეჯი საკმაოდ შელახულია! დაჰყევით მის ნებას. მოუწყვეთ კოხტად რომელიმე ლამაზი სახლი. რაკი დაინახავს ახალ ბინას, ახალ ავეჯს, იქნებ წარსული დაივიწყოს; ვინ იცის, იქნებ თქვენც უკეთესი ეჩვენოთ, ვიდრე ბრძანდებით და ანგელოზივით ალერსიანი გახდეს. ოჰ, ქალბატონს ბადალი არა ჰყავს! შეგეძლებათ დაიტრაბახოთ, რომ ასეთ განძს დაეპატრონეთ. კეთილი გული, მომხიბლავი მიხრამოხრა, ჩამოქნილი წვივები, კანი და რა კანი, პირდაპირ ვარდია. მერე რა ენაკვიმატია, სიკვდილმისჯილსაც კი გააცინებს... რა შეყვარება იცის, აღარ მოგშორდებათ... ახლა იმას არ იტყვით, რა გემოვნებით იცვამს!.. ჰო, აბა, რა მეთქმის, მართლაც ძვირია, მაგრამ რომ იტყვიან, ხარჯს აგინაზღაურებთ. აქ მისი ყველა კაბა აღწერილია; მისი ტანსაცმელი, ალბათ, სამი თვით ჩამორჩა მოდას. ქალბატონს ოქროს გული აქვს. იცით, როგორ მიყვარს? ის ხომ ჩემი ქალბატონია! მაგრამ, ერთი განსაჯეთ, ისეთი ქალი, როგორიც ჩემი ქალბატონია, როგორ უნდა გრძნობდეს თავს აღწერილ ნივთებს შორის!.. მერე ვისი გულისთვის? ვიღაც ბიჭუკელასთვის, რომელმაც ასეთ დღეში ჩააგდო... საწყალი გოგონა! თავგზა აებნა.

ეზდერ! ეზდერ! ჩასძახოდა ბარონი, დაცექით, ჩემო ანგელოზო, რა ვქნა, ტუ ჩემი გეშინიატ, ამ დივანზე გავატევ ღამეზ... შეჰყვირა უსპეტაკესი სიყვარულით აღგზნებულმა ბარონმა, რაკი დაინახა, რომ ესთერი ისევ განაგრძობდა ცრემლთა ფრქვევას.

კარგი, მიუგო ესთერმა, ბარონის ხელს დასწვდა და მადლობის ნიშნად აკოცა. ამან მგელმტაცებელს ცრემლიც კი მოჰგვარა თვალზე, დიდად დაგიმადლებთ...

მაშინვე საძინებლისკენ გასწია და კარი ჩაიკეტა.

რა ხდება ჩემზ ტავზ, ვერაფერი გამიგია, გულში ამბობდა არომატული პასტილებით აღგზნებული ნიუსინჟენი, რაზ მეტქვიან შინ?,,

წამოდგა, ფანჯარაში გადაიხედა.

ჩემი ქარეტა იზევ იქა დგაზ... ზაცაა გატენდება!
ოთახში გაიარგამოიარა.

ქალბატონი დე ნუშინგენი დამზინებზ, თუკი გაიგებზ, როგორ გავატარე ღამე!..

ესთერის ოთახთან მივიდა. კარზე ყური მიადო და თან ფიქრობდა, ცოტა არ იყოს, საკადრისად არ დამაწვინესო.

ეზდერ!..
არავითარი პასუხი.

ღმერტო ჩემო! იზევ ტირიზ!.. თავისთვის ჩაილაპარაკა ბანკირმა და დივანზე გაიშოტა.

მზის ამოსვლიდან ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ განაწამები ბატონი დე ნიუსინჟენი, რომელსაც მოუხერხებელ დივანზე მძიმე და მოუსვენარი ძილისთვის მიეცა თავი, უცბად გამოაღვიძა ევროპამ და გაუფრთხო ერთერთი ისეთი სიზმარი, რომელიც ადამიანს მსგავს შემთხვევაში ეჩვენება. ეს არის რაღაც არეულდარეული, ცვალებადი ზმანებანი, რომელთა ახსნა ფიზიოლოგიას ვერ მოუხერხებია.

აჰ, ღმერთო ჩემო! ქალბატონო! ყვიროდა ევროპა, ქალბატონო! ჯარისკაცები! ჟანდარმები, პოლიცია!.. თქვენს დასაპატიმრებლად მოსულან.
ესთერმა კარი გააღო. დილის ხალათი გადაღეღოდა, მაშიებში წაყოფილი შიშველი ფეხები მოუჩანდა, თმა ასწეწოდა და ისეთი მშვენიერი სანახავი იყო, რომ მთავარანგელოზსაც კი შეაცდენდა. ამ დროს სალონის კარში ნარწყევივით გადმოიღვარა ადამიანთა ბინძური ნაკადი და ათ თათზე დაყრდნობილი გამოეშურა ციური ასულისკენ, რომელიც ისე იდგა, ვით ანგელოზი ფლამანდიელ მხატვართა ტილოზე. წინ ერთი კაცი წამოვიდა.
კონტანსონმა, შემზარავმა კონტანსონმა, თათი დაუშვა ესთერის თბილ მხარზე:

თქვენა ხართ მადმუაზელ ესთერ ვან? ჰკითხა მან.

ევროპამ ჯერ სილა გააწნა კონტანსონს, მერე კი აიძულა, გაეზომა, თუ რამხელა ადგილი დასჭირდებოდა ხალიჩაზე გასაჭიმად, ისე მოხერხებულად გამოსდო სარმა. ამ ილეთს კარგად იცნობს ის, ვინც გარკვეულია სპორტის ერთერთ სახეობაში, კრივი რომ ჰქვია.

უკან დაიწით! დაუყვირა მან, არ გაბედოთ, ხელი არ მიაკაროთ ჩემს ქალბატონს!
ფეხი მომტეხა ამ დედაკაცმა! დაიღრიალა კონტანსონმა წამოდგომისას, მაგას ვუჩვენებ...

მათ ხელობას რომ ეკადრებოდა, სწორედ ისე გახლდათ ჩაცმულდახურული ეს ხუთი ჯაშუში. შემზარავი ქუდები ეხურათ უფრო მეტად შემზარავ თავებზე. სახე ნუჟრიანი წითელი ხისგან გამოჩორკნილს მიუგავდათ. ერთი თვალებს აელმებდა, მეორეს ცხვირი სულაც არ ჰქონდა, მესამეს ტუჩები დაღრეცოდა. ბრბოს ლუშარი გამოეყო. თავის აგენტებზე უფრო სუფთად ეცვა, მაგრამ ქუდი არც იმან მოიხადა.
სახეზე დამცინავი და თან ფარისევლური გამომეტყველება აღბეჭდოდა.

მადმუაზელ, დაპატიმრებული ბრძანდებით, განუცხადა ესთერს, თქვენ კი, მიუბრუნდა ევროპას, ჩემო შვილო, უნდა იცოდეთ, აყალმაყალის ამტეხი ისჯება. წინააღმდეგობის გაწევა ამაო გახლავთ.
თოფების ჩხაკუნი, სალონისა და წინკარის იატაკზე კონდახების ბრახუნი იმას მოასწავებდა, რომ კანონიერების დამცველს ჟანდარმერია იცავდა და ლუშარის განცხადებას ლიტონ სიტყვად ვერავინ ჩათვლიდა.

მერედა, რატომ მაპატიმრებთ? მიამიტად იკითხა ესთერმა.

ვალები დაგავიწყდათ? სიტყვა შეაგება ლუშარმა.

ოჰ, მართლა! შეჰყვირა ესთერმა, ნება მომეცით, ტანთ ჩავიცვა.

სამწუხაროდ, მადმუაზელ, ვალდებული ვარ, დავრწმუნდე, რომ თქვენი საძინებლიდან გასაძრომი არ არის, უთხრა ლუშარმა.

ეს ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ბარონმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო.

მაშ, ასე არა? მე ადამიანთა სხეულით მოვაჭრე ვარ, ბარონო დე ნიუსინჟენ?.. შეჰყვირა აზიამ, რომელიც ჯაშუშებს შორის გაძვრა, დივანთან მივიდა და ვითომ ახლა შეამჩნია ბანკირი.

ზაზიზღარო არამზადავ! დაუღრიალა ნიუსინჟენმა და ფინანსისტის მთელი სიდიადით აღიმართა აზიას წინაშე.

მერე შუაში ჩაუვარდა ესთერსა და ლუშარს, რომელმაც უმალ მოიშვლიპა ქუდი, როგორც კი კონტანსონის შეძახილი შემოესმა:

ბატონი ბარონი დე ნიუსინჟენი!

ლუშარმა აგენტებს ანიშნა, იმათაც მოწიწებით მოიხადეს ქუდები და ოთახიდან გაიკრიფნენ. კონტანსონი დარჩა.

ბატონი ბარონი გადაიხდის ვალს? იკითხა ბოქაულმა, რომელსაც ქუდი ხელში ეჭირა.
მე გადავიხტი, დაუდასტურა ნიუსინჟენმა, მაგრამ ჯერ გამაგებინეტ, რა ხდება.

ვალი სამას თორმეტ ათას ფრანკს რამდენიმე სანტიმით ემეტება, სასამართლოს ხარჯების ჩათვლით, თუ დაპატიმრების ხარჯებს გამოვრიცხავთ.

ზამაზი ატაზი ფრანქი! შესძახა ბარონმა, მეტისმეტად ზვირი უჟდება გაღვიძება იმ ქაცზ, რომელმაც ღამე დივანზე გაატარა, ჩასჩურჩულა ევროპას.

ნუთუ ეს კაცი ბარონი დე ნიუსინჟენია? ჰკითხა ევროპამ ლუშარს და ეჭვი ისეთი ჟესტმიმიკით გამოხატა, თვით მადმუაზელ დიუპონსაც შეშურდებოდა, რომელიც ცოტა ხნით წინ კომედიფრანსეზში,, სუბრეტების როლს ასრულებდა.

დიახ, მადმუაზელ, მიუგო ლუშარმა.

დიახ, კვერი დაუკრა კონტანსონმა.

მიზ მაგივრატ მე ვაგებ პაზუხზ, თქვა ბარონმა, რომლის პატივმოყვარეობა შელახა ევროპას მიერ გამოთქმულმა ეჭვმა, ნება მომეციტ, ერტი ზიტკვა ვუტხრა.

ესთერი და მისი ბებერი სატრფო საძინებელში გავიდნენ. ლუშარმა მყისვე ყური მიადო კარის საკეტს.

ზიცოცხლეზე მეტად მიქვარხარტ, ეზდერ, მაგგრამ რატომ უნტა მივცეტ მევალეებზ პული, რომელიც უმჯობესია ტქვენზ ქიზაში იდოზ; ცადიტ ციხეში. მე ვკიზრულოფ გამოვიზქიდო ეზ აზი ატაზი ეკიუ აზი ატაზ ფრანქატ და ტკვენ მიიღებტ ორაზი ატაზ ფრანქზ...
ეგ მეთოდი არ გამოგადგებათ, დაუყვირა ლუშარმა, მევალე მადმუაზელის საყვარელი არ გახლავთ! გესმით? იქნებ მეტიც მოინდომოს, როცა გაიგებს, რომ თქვენ ეგ გიყვართ.

შე ტუტუცო! დაუცაცხანა ნიუსინჟენმა ლუშარს, კარი გამოაღო და საწოლ ოთახში შეიყვანა, ტვიტონაც არ გეზმიზ, რაზ მიედმოედები! მე შენ მოგცემ, პირადატ შენ, ოც პროცენტზ, თუკი ზაკმეზ გაჩარხავ...

შეუძლებელია, ბატონო ბარონო.

როგორ, ბატონო, ნუთუ გული ნებას მოგცემთ, ჩაერია ლაპარაკში ევროპა, ჩემი ძვირფასი ქალბატონი ციხეში ჩაასმევინოთ!.. ქალბატონო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი ხელფასი, რაც რამ გამაჩნია, მთელი დანაზოგი! აიღეთ, ქალბატონო, ორმოცი ათასი ფრანკი მაქვს...

ოჰ, ჩემო საბრალო გოგონავ, თურმე არ გიცნობდი! აღმოხდა ესთერს და ევროპა გულში ჩაიკრა.

ევროპამ ცრემლები გადმოაფრქვია.

მე ვიხტი, საბრალობლად ამოიგმინა ბარონმა და ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო, ამოაძრო ოთხკუთხა ბლანკი, რომელსაც ბანკი აძლევს ბანკირებს თანხა მხოლოდ ციფრებითა და ასოებით უნდა ჩაწერონ და ქაღალდი იქცევა ჩეკად, რის წარმდგენელსაც უფლება ენიჭება მიიღოს ზედ აღნიშნული თანხა.
თავს ნუ იწუხებთ, ბატონო ბარონო, უთხრა ლუშარმა, ნაბრძანები მაქვს, ვალი მარტო ოქროთი და ვერცხლით მივიღო. თქვენდამი პატივისცემის ნიშნად საბანკო ბილეთებითაც დავკმაყოფილდები.

ჟოჟოხეტიზ მოციქულო! შეჰყვირა ბარონმა, აბა, მიჩვენე შენი ზაბუტები.

კონტანსონმა სამი ლურჯყდიანი საქაღალდე წარუდგინა. ბარონმა ჩამოართვა. კონტანსონს შეხედა და ყურში უთხრა:

ზჩობდა, გაგეპრტხილებინე.

რა ვიცოდი, თუ აქ დამიხვდებოდით, ბატონო ბარონო, უპასუხა ჯაშუშმა და არაფრად ჩააგდო, ლუშარი გაიგონებდა თუ არა, ბევრი წააგეთ ჩემდამი უნდობლობით. ტყავს გაძრობენ, მხრების აჩეჩით დასძინა ამ ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსმა.

ეგ მართალია, ჩაილაპარაკა ბარონმა და თამასუქები გადაათვალიერა, მერე ესთერს მიმართა, ოჰ, ჩემო პაციავ, ტქვენ ვიღაც დიდი არამზადიზ მსხვერპლი გამხდარხარტ, გაიზვერა!

დიახ, ასეა, მიუგო საბრალო ესთერმა, მაგრამ ძალიან ვუყვარდი.

რომ მცოდნოდა... ტკვენი ზახელიტ გავაპროტეზტებდი.

თავგზა აგებნათ, ბატონო ბარონო, მიმართა ლუშარმა, აქ მესამე მოსარჩელეც გახლავთ.

დიახ, დაუდასტურა ბარონმა, მეზამე მოზარჩელე ზერიზეა!.. ეგ კაცი ოპოზიციიზ მომხრე ბრზანდება.

მაგას ერთი სენი სჭირს, ღიმილით ჩაურთო კონტანსონმა, ენაკვიმატად მიაჩნია თავი. კალამბურების შეთხზვაზეა გადაგებული.

ბატონი ბარონი ხომ არ ინებებს, ბარათი მისწეროს მოლარეს? ჰკითხა ღიმილით ლუშარმა, კონტანსონს გავგზავნი, ჩემს ამალას კი დავითხოვ. დრო გადის, ხომ უნდა განვუცხადოთ ყველას...

ცადი, გონდანზონ! დაუყვირა ნიუსინჟენმა, ჩემი მოლარე მატურენისა და არშატიზ ქუჩებიზ ქუტხეში ცხოვრობზ. აჰა, ბარატი. დიუ ტიეზტან ან ქელერტან უნდა ცავიდეზ იმ შემტხვევაში თუ ჩვენზ ზალაროში არ აღმოგვაჩნტება აზი ეკიუ, რაკი პულზ ბანკში ვინახავტ. ჩაიცვიტ, ჩემო ანგელოზო, მიუბრუნდა ესთერს, ტავიზუპალი ბრძანდებიტ. დედაბრები უფრო ზაშიშნი არიან, ვიდრე ახალგაზრდები, შეჰყვირა მან და აზიას გადახედა.

მე წავალ და მევალეს გავახარებ, თქვა აზიამ, დღეს არც ის დამრჩება ვალში, მეც გამახარებს. ნუ გაჟავრტებით, ბატონო ბარონო... დასძინა სენტესტევმა და შემაძრწუნებელი რევერანსით გამოემშვიდობა.

ლუშარმა ბარონს თამასუქები გამოართვა. მარტონი დარჩნენ სალონში, სადაც ნახევარი საათის შემდეგ მოლარე მოვიდა კონტანსონის თანხლებით. ესთერიც გამობრძანდა, თვალწარმტაცად მორთულმოკაზმული, თუმცა ამისთვის დიდი მზადება და თავისტეხა არ დასჭირვებია. როცა ლუშარმა ფული გადათვალა, ბარონმა თამასუქების შემოწმება მოისურვა, მაგრამ ესთერმა კატასავით ჩაბღუჯა და სეკრეტერის უჯრაში გადამალა.

რას გაიმეტებთ ჩვენი ბანდისთვის? ჰკითხა კონტანსონმა ნიუსინჟენს.
ტკვენ მაინცდამაინც ტავაზიანი არ ბრზანდებოდიტ, უთხრა ბარონმა.

ფეხი რომ ვიტკინე?.. შეჰყვირა კონტანსონმა.

ლუშარ, მიეცი აზი ფრანკი გონდანზონზ, ატაზიანი ბილეტიზ მონარშენი...

ძალიან ლამაზი კალია, ეუბნებოდა მოლარე ბარონ დე ნიუსინჟენს, როცა ტეტბუს ქუჩიდან მოდიოდნენ, მაგრამ ზალიან ზვირი უჟდება ბატონ ბარონზ.

შემინახეტ ეზ საიდუმლო, სთხოვა ბარონმა. ლუშარსა და კონტანსონსაც შეეხვეწა, ეს ამბავი არსად წამოგცდეთო.

ლუშარი კონტანსონთან ერთად წავიდა. ბულვარზე ლუშარის სათვალთვალოდ ჩასაფრებული აზია წინ გადაუდგათ და საკომერციო სასამართლოს აღმასრულებელი შეაჩერა.

ბოქაული და მევალე აქვე ბრძანდებიან, ფიაკრში სხედან. იცოდეთ, აქ შეიძლება ხელიც მოვითბოთ!
სანამ ლუშარი ძირითად თანხას ითვლიდა, კონტანსონმა კლიენტების დათვალიერება მოასწრო. მისი ყურადღება კარლოსის თვალებმა და პარიკით დაფარული შუბლის მოყვანილობამ მიიპყრო. პარიკი მეტად საეჭვო ეჩვენა და ამ კაცის ფიაკრის ნომერი ჩაინიშნა. თავი ისე ეჭირა, ვითომდაც სრულიად არაფრად აგდებდა, რაც ირგვლივ ხდებოდა. უმეტესად აზია და ევროპა აგდებდნენ საგონებელში. თავში გაუელვა აზრმა, ბარონი უაღრესად გაქნილი გაიძვერების მსხვერპლი ხომ არ გამხდარაო. ლუშარის საქციელიც საეჭვოდ ეჩვენებოდა; მან დახმარება სთხოვა და უცნაური სიფრთხილით მიჰყავდა საქმე. ევროპას სარმა მხოლოდ წვივზე კი არ მოხვდა კონტანსონს. ამგვარ დარტყმას სენლაზარის სუნი უდის!,, გაიფიქრა მან იატაკიდან წამოდგომისას.

კარლოსმა უხვად დაასაჩუქრა აღმასრულებელი და გამოემშვიდობა. მეეტლესაც ფული მისცა და უთხრა:
პალერუაიალისკენ, შესასვლელთან!

ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი და ტანი, გაიფიქრა კონტანსონმა, რომელსაც შემოესმა მისამართი, აქ რაღაც ამბავია!

კარლოსი პალერუაიალთან ისეთი სისწრაფით მივიდა, რომ დადევნების შიში არ უნდა ჰქონოდა. მერე ჩვეულებისამებრ გალერეები გაიარა, შატოდჟოს მოედანზე სხვა ეტლში ჩაჯდა და უბრძანა:

ოპერის პასაჟი, პინონის ქუჩიდან.

თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ტეტბუს ქუჩაზე იყო.

ესთერმა თვალი მოჰკრა თუ არა, უთხრა:

აჰა, ეს წყეული ქაღალდები!
კარლოსმა თამასუქები გამოართვა. გადაათვალიერა, მერე სამზარეულოში გავიდა და დაწვა.

კომედია გათამაშებულია! შესძახა მან. რედინგოტის ჯიბიდან პაკეტში ჩადებული სამოცი ათასი ფრანკი ამოიღო, ეს და აზიას მიერ დაცინცლული ასი ათასი ფრანკი საშუალებას გვიქმნის, ვიმოქმედოთ.

ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! აქვითინდა ესთერი.

რა მოხდა, შტერო, შეუტია ანგარებით გამძვინვარებულმა კაცმა, საქვეყნოდ დაუჯექი ხასად ნიუსინჟენს და ლუსიენთან შეხვედრა არ გაგიძნელდება: ის ხომ ნიუსინჟენის მეგობარია. სულაც არ გიკრძალავ, ეტრფოდე მას.

ესთერმა თავის წყვდიადით მოცულ ცხოვრებაში მკრთალი სხივი შენიშნა და გულს მოეფონა.

ევროპა, შვილო, მიმართა კარლოსმა და ეს ჯოჯოხეთის მოციქული ბუდუარის კუთხეში მიიყვანა, ევროპა, კმაყოფილი ვარ შენით.
ევროპამ თავი ასწია, ისეთი თვალით შეხედა და დამჭკნარი სახე ისე შეეცვალა, რომ კართან დარაჯად მდგომ ამ სცენის მოწმე აზიას ეჭვი შეეპარა, ვაითუ კარლოსს ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს, ვიდრე ჩემთანო.

ეს ყველაფერი არ არის, ჩემო გოგონა. ჩემთვის ოთხასი ათასი ფრანკი წვეთია ზღვაში... პაკარი გადმოგვცემს დაახლოებით ოცდაათი ათასი ფრანკის ღირებულების ვერცხლეულის აღწერის ქაღალდს, რომელზედაც აღნიშნული იქნება ვადა ვალის დასაფარავად, ჩვენმა ოქრომჭედელმა ბიდენმა წაგება ნახა ამ საქმეში. მისი ვალის დასაფარად ესთერის სახლში აღწერილი ავეჯის გაყიდვის განცხადებას, ალბათ, ხვალ გამოაკრავენ. წადი ბიდენთან, არბრსეკის ქუჩაზე ცხოვრობს. ათი ათასი ფრანკის ლომბარდის ქვითრებს მოგცემს. ხომ გესმის: ესთერმა ვერცხლეული დაუკვეთა, ფული ჯერ არ გადაეხადა და დააგირავა. ყალთაბანდობა დაედება ბრალად, ოცდაათი ათასი ფრანკი ოქრომჭედელს უნდა გადაუხადოს, ხოლო ათი ათასი ლომბარდს, რათა ვერცხლეული უკანვე მიიღოს. სულ ორმოცდასამი ათასი ფრანკი გვექნება თავისი ხარჯებიანად. ვერცხლეული მოოქრულია და ბარონი მის განახლებას მოინდომებს, ხოლო ჩვენ ათასათასფრანკიან რამდენიმე ბილეთს დავტყუებთ. ამ ორ წელიწადში მკერავის რამდენი ვალი დაგედოთ?

მგონი, ექვსი ათასი ფრანკი, მიუგო ევროპამ.

მაშ, ასე, ქალბატონ ოგიუსტს თუ სურს, ვალი გაინაღდოს და მუშტარიც შეინარჩუნოს, ანგარიში ოცდაათ ათას ფრანკზე მოგვცეს. ასეთივე ანგარიშს წარვუდგენთ მექუდე ქალისგან. ოქრომჭედელი სამუელ ფრიში, სენტავუასქუჩელი ურია, ხელწერილებს მოგვცემს. მისი ოცდახუთი ათასი უნდა გვემართოს. ლომბარდში დაგირავებული თვალმარგალიტიდანაც ექვსი ათას ფრანკს ამოვიგებთ. სამკაულს ოქრომჭედელს დავუბრუნებთ და ნახევრად ყალბ

ქვებს შევაპარებთ. ბარონი ზედაც არ დახედავს. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ პონტერს ას ორმოცდაათი ათას ფრანკს დავაყაჭინებთ.

ქალბატონი ოდნავ მაინც უნდა დამეხმაროს, შესჩივლა ევროპამ, გამოშტერებული ზის და მაიძულებს, თავი ვიმტვრიო იმაზე მეტად, ვიდრე სამი დრამატურგი იმტვრევს თავს ერთ პიესაზე.

ესთერი თუ მანჭვაგრეხას მოჰყვება, შემატყობინე, უთხრა კარლოსმა, ნიუსინჟენი კარეტასა და ცხენებს დაჰპირდა. ესთერმა ყველაფერი თვითონვე უნდა აირჩიოს, თავის ნებაზე. სჯობს, ისევ პაკარის ბატონის მეეტლესა და ჩარჩზე შევაჩეროთ არჩევანი. შევიძენთ უძვირფასეს, წმინდა სისხლის შესანიშნავ ცხენებს, რომლებიც ერთი თვის შემდეგ კოჭლობას დაიწყებენ და ჩვენ მათ შევცვლით.

პარფიუმერის ანგარიშით ექვსი ათასი ფრანკის დაძრობაც შეიძლება, ჩაურთო ევროპამ.

ოჰ, ნუ ჩქარობ, თავი გადააქნია კარლოსმა, ნელნელა დაითრიეთ. ნიუსინჟენმა მანქანაში ჯერ მხოლოდ ხელი შეყო, ჩვენ კი მისი თავი გვჭირდება. კიდევ ხუთასი ათასი ფრანკი უნდა მივიღოთ.

არ გაგიჭირდებათ, მიუგო ევროპამ, ქალბატონს ამ გოდორა დოყლაპიას მიმართ გული მოულბება, როცა ექვსასი ათასამდე ავალთ და კიდევ ოთხასი ათასს მოსთხოვს, რათა უფრო მეტად შეიყვაროს.

მომისმინე, შვილო, უთხრა კარლოსმა, იმ დღეს, როცა უკანასკნელ ასი ათას ფრანკს მივიღებ, შენთვისაც მოიძებნება ოცი ათასი.

მერედა, რა თავში ვიხლი? წამოიძახა ევროპამ და ისე ჩაიქნია ხელი, როგორც შეეფერებოდა ადამიანს, ვისაც სიცოცხლე მოჰბეზრებია.

ვალანსიენში დაბრუნდი, შემოსავლიან საქმეს იყიდი და თუკი ინებებ, პატიოსანი დედაკაციც გახდები; რა ვიცი, რა მიდრეკილებას არ შეხვდება კაცი ბუნებაში! პაკარიც ხომ ეგრე ფიქრობს. მხარზე დამღა არ დაუსვამთ მისთვის, სინდისიც სუფთა აქვს; ერთმანეთში კარგად მორიგდებით, დასძინა კარლოსმა.

ვალანსიენში დავბრუნდე!.. ეგ რამ გაფიქრებინათ, ბატონო?! წამოიყვირა შეშინებულმა ევროპამ.

ევროპა ვალანსიენში იყო დაბადებული. მშობლები ღარიბი მქსოველები ჰყავდა. შვიდი წლისა სართავ ფაბრიკაში მიაბარეს და იქ თანამედროვე წარმოებამ ფიზიკურად დააძაბუნა, ხოლო მანკიერებამ სულიერადაც ადრეულად გარყვნა. თორმეტი წლისამ ქალწულობა დაკარგა. ცამეტისას შვილი ეყოლა, დაუახლოვდა სულითა და ხორცით გახრწნილ ადამიანებს. მკვლელობის საქმეზე სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე წარდგა, თუმცა მოწმედ იყო გამოძახებული. თექვსმეტი წლისა იყო და ნამუსის ნატამალი ჯერ კიდევ შერჩენოდა, თანაც მართლმსაჯულების წინაშე შიშით ძრწოდა და გულწრფელი ჩვენება მისცა, რის შედეგადაც ბრალდებულს ოცი წლის კატორღა მიუსაჯეს. ბოროტმოქმედი არაერთხელ იყო ნასამართლევი და ისეთ ბანდას ეკუთვნოდა, რომლის წევრებს ფიცი ჰქონდათ დადებული, მოღალატეზე სასტიკად ვიძიებთო შურს. ბოროტმოქმედმა შუა სასამართლოზე ასე მიმართა გოგონას: ათი წლის შემდეგ, ზუსტად ამ დროს, პრუდი (ევროპას პრუდანს სერვიენი ერქვა), დავბრუნდები და დაგამიწებ, თუნდაც ამის გამო მომცელონ,,. სასამართლოს თავმჯდომარე პრუდანს სერვიენს დახმარებას და თანაგრძნობას დაჰპირდა, მაგრამ ამაო იყო მისი ცდა, დაეშოშმინებინა გოგო. საბრალოს შიშით თავზარი დაეცა, ავად გახდა და თითქმის ერთი წელი ლაზარეთში იწვა. მართლმსაჯულება განყენებული ორგანიზმია, რომელიც სინამდვილეში ადამიანთა ჯგუფისგან შედგება. მისი წევრები განუწყვეტლივ იცვლებიან და მათი კეთილი სურვილები, როგორც თვით წევრები, უკიდურესად მოკლე დღისანი არიან. სისხლის სამართლის სასამართლოსა და ტრიბუნალს ძალა არ შესწევთ, ბოროტმოქმედებას წინასწარ შეუშალონ ხელი, ისინი მხოლოდ იმისთვის არიან მოწოდებულნი, რომ უკვე ჩადენილი დანაშაული გამოიძიონ. თუკი პოლიცია შეძლებდა ბოროტმოქმედების წინასწარ შეჩერებას, იცოცხლე, კარგი იქნებოდა, ქვეყანა შვებით ამოისუნთქავდა, მაგრამ სიტყვა პოლიცია,, დღეს კანონმდებელს აშინებს და მას ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია მართვა,,, ხელმძღვანელობა,, და სამართლის წარმოება,,. კანონმდებელი სულ იმის ცდაშია, მთავრობას ყველაფერი დააკისროს, თითქოსდა მას მოქმედება შეეძლოს. კატორღელს მტერი და შურისძიება არასოდეს ავიწყდება, ხოლო მართლმსაჯულებას არც ერთი ახსოვს და არც მეორე. პრუდანსი გუმანით მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა. ვალანსიენი მიატოვა და ჩვიდმეტი წლისამ პარიზს შეაფარა თავი. აქ, ოთხი ხელობა შეისწავლა და ყველა მათგანს ერთ პატარა თეატრში სტატისტობა ამჯობინა. მერე პაკარს გადაეყარა და თავისი უბედურების ამბავი გაუმჟღავნა. პაკარი ჟაკ კოლენის საიდი,მარჯვენა ხელი იყო და თავის პატრონს პრუდანსზე უამბო. ამ ვაჟბატონმაც, როცა მონა ქალი დასჭირდა, პრუდანსს მიმართა: თუკი ისე ერთგულად მომემსახურები, როგორც სატანას ემსახურებიან, დიურუს ჩამოგაცილებ,,. დიურუ სწორედ ის კატორღელი გახლდათ, პრუდანს სერვიენს დამოკლეს მახვილით რომ ემუქრებოდა. ამ დეტალების გარეშე მრავალი კრიტიკოსი კარლოსისადმი ევროპას ერთგულებას დაუჯერებლად ჩათვლიდა. გარდა ამისა, ვერვინ მიხვდებოდა იმ თეატრალური კვანძის გახსნის აზრს, რასაც კარლოსი ამზადებდა.

დიახ, შვილო, შეგიძლია ვალანსიენში დაბრუნდე... აჰა, წაიკითხე! გაუწოდა წინა დღის გაზეთი და თვითონვე უჩვენა სტატია: ტულონი. გუშინ სიკვდილით დასაჯეს ჟანფრანსუა დიურუ... დილაადრიან გარნიზონი...,, და ასე შემდეგ.

პრუდანსს გაზეთი ხელიდან გაუვარდა, მუხლი მოეკვეთა. ფეხებმა თითქოს ვეღარ გაუძლეს სხეულის სიმძიმეს. მაშ, შეეძლო ისევ ეცოცხლა, რადგან, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, დიურუს მუქარის შემდეგ ლუკმა გამწარებული ჰქონდა.

ხომ ხედავ, პირობა შეგისრულე. ოთხი წელი დამჭირდა, რათა დიურუ ხაფანგში გამება და მისთვის თავი მოეკვეთათ... მაშ, ასე, დავალება შემისრულე და შენს მშობლიურ მიწაზე შეძლებ პატარა დუქნის გახსნას. ოცი ათასი ფრანკი გექნება. მისთხოვდები პაკარს, რომელსაც ნებას ვრთავ, საქმიდან გავიდეს და პატიოსან ცხოვრებას დაუბრუნდეს.
ევროპა გაზეთს დასწვდა და ხარბად დააცქერდა წერილს, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი კატორღელის დასჯა, რაც ეს ოცი წელია დასჩემდა გაზეთებს: შთამბეჭდავი სანახაობა, მოძღვარი, რომლის წინაშე ყოველი დამნაშავე უთუოდ ინანიებს ცოდვებს, ბებერი ბოროტმოქმედი, ყოფილ ამფსონებს ჭკუას რომ ასწავლის; დატენილი, ჩახმახშეყენებული თოფები, მუხლმოყრილი კატორღელები. ამას მოსდევს ყოვლად უგვანი მოსაზრებანი, რასაც არ ძალუძს კატორღის წესრიგში რაიმე შეცვალოს. იქ ისევ თვრამეტი ათასი დანაშაული ფუთფუთებს.

აზია ძველ ადგილას უნდა დავაბრუნო, თქვა კარლოსმა.

აზია მიუახლოვდა მათ, რადგან ევროპას პანტომიმა ვერ გაიგო.

ისევ მზარეულობას უნდა შეუდგე. უპირველეს ყოვლისა, ბარონს ისეთ სადილს მიართმევთ, რისი მსგავსიც არასოდეს უჭამია, განაგრძო კარლოსმა, მერე ეტყვით, აზიამ, რაც კი ფული ჰქონდა, წააგო და ისევ ჩვენ დაგვიბრუნდათქო. ჰაიდუკი არ დაგვჭირდება: პაკარი იმუშავებს მეეტლედ, ხოლო მეეტლე სულ კოფოზე ზის, თვალში არავის ეჩხირება, არც ჯაშუშები აქცევენ დიდ ყურადღებას. ქალბატონი უბრძანებს, დაპუდრული პარიკი ატაროს და მაუდის სამკუთხა მოსირმული ქუდი დაიხუროს. ასეთი ჩაცმულობით გარეგნობა შეეცვლება, თანაც გრიმს გავუკეთებ.
სხვა მსახურებიც გვეყოლება? იკითხა აზიამ და თვალები დააელმა.

პატიოსან ხალხს ავიყვანთ, მიუგო კარლოსმა.

ეგენი ხომ ჭკუასუსტები არიან! შენიშნა მულატმა დედაკაცმა.

ბარონი სასახლეს თუ დაიქირავებს, პაკარის მეგობარი კონსიერჟად დაგვიდგება, დასძინა კარლოსმა, ერთი ლაქია და ჭურჭლის მრეცხავი დაგვჭირდება. თქვენ არ გაგიძნელდებათ, ორ ადამიანს თვალი ადევნოთ...

კარლოსი წასვლას აპირებდა, როცა ოთახში პაკარი შემოვიდა.

ნუ გახვალთ, ქუჩაში ხალხია, უთხრა ჰაიდუკმა.

მისი სიტყვები შემზარავად გაისმა. კარლოსი ევროპას ოთახში ავიდა და იქ იცდიდა, სანამ პაკარი არ მობრუნდა და დაქირავებული ეტლი ეზოში არ შემოიყვანა.

კარლოსმა ფარდები ჩამოუშვა. ფიაკრი ისეთი სისწრაფით გაქანდა, რომ მისი დამწევი არავინ იყო. სენტანტუანის გარეუბანში როცა გავიდნენ, ფიაკრების გაჩერებასთან ჩამოვიდა, მალაკის სანაპიროსკენ ფეხით გასწია და ამრიგად ცნობისმოყვარეთა თვალს დაუსხლტა.

აბა, შეხედე, ბიჭიკო, გადაუშალა ლუსიენს ათასფრანკიანი ოთხასი ბილეთი, ვფიქრობ, რიუბამპრეთა მიწის გამოსასყიდად გვეყოფა. მოდი, აქედან ასი ათასი ფრანკის რისკი გავწიოთ. ქალაქში ომნიბუსების გაშვებას აპირებენ. პარიზელები ამ სიახლეს მიაწყდებიან, სამ თვეში კაპიტალი სამმაგად გაგვეზრდება. საქმეს კარგად გავეცანი. აქციონერებს დაბანდებულ კაპიტალზე მნიშვნელოვანი დივიდენდი შეხვდებათ, ოღონდ აქციებით დაინტერესება გაიზარდოს. ეს იდეა ნიუსინჟენს ეკუთვნის. დე რიუბამპრეთა მამულს აღვადგენთ, მაგრამ მაშინვე არ გადავიხდით მთელ საფასურს. შენ დე ლუპოსთან მიხვალ და სთხოვ, ერთ ადვოკატთან გიშუამდგომლოს, დეროშია მისი გვარი. დიდი თაღლითი ვინმეა. კანტორაში მიდი მასთან და დაავალე, რიუბამპრეში გაემგზავროს და მამული შეამოწმოს. გასამრჯელოდ ოცი ათას ფრანკს დაჰპირდი, თუკი რვაასი ათას ფრანკად ციხედარბაზის ირგვლივ მიწაწყალს შეისყიდის და ოცდაათი ათასი ლივრის რენტას გიშოვის.
როგორ მიაბიჯებ!.. როგორ მიიწევ წინ! მიდიხარ და მიდიხარ!..

დიახ, სულ წინწინ მივიწევ. ხუმრობა იქით იყოს, ასი ათას ეკიუდ სახაზინო ობლიგაციები შეიძინე, პროცენტებია სახარბიელო, ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ეგეც დეროშს დაავალე, გაიძვერა კია, მაგრამ საქმეში არ გიღალატებს... ამას რომ მოათავებ, დაუყოვნებლივ ანგულემში წადი, სიძე დაიყაბულე, ერთი ოფიციალური, სრულიად უვნებელი ტყუილი იკისროს. მაგ შენს ნათესავებს შეუძლიათ თქვან, ვითომ ექვსასი ათასი ფრანკი გაჩუქეს და ამით ხელი შეგიწყვეს კლოტილდ დე გრანლიეზე ჯვარი დაგეწერა. ეს სამარცხვინო არ არის.

გადავრჩით, გვეშველა! სიხარულით შესძახა ლუსიენმა.

ჰო, გვეშველება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, მიუგო კარლოსმა, როცა წმინდა თომა აკვინელის ტაძრიდან გამოხვალ კლოტილდზე დაქორწინებული...

რა იყო, რისი შეგშინებია? ჰკითხა ლუსიენმა ისე, თითქოს თავისი მზრუნველისთვის დიდად შესტკიოდა გული.

ცნობისმოყვარენი კვალდაკვალ მდევნიან... სულ ნამდვილი მოძღვარივით უნდა ვიქცეოდე და ძალიან მომბეზრდა! აბა, სატანა როგორ გამიწევს მფარველობას, თუკი შემნიშნავს, რომ იღლიის ქვეშ ერთთავად ლოცვანი მაქვს ამოჩრილი.

ამ დროს ბარონი დე ნიუსინჟენი მოლარესთან მკლავში მკლავგაყრილი თავისი სასახლის კართან მივიდა.

ზალიან მეშინია, თქვა ბარონმა, როცა შინ ფეხი შედგა, ცუდ ზაქმეში ხომ არ გავები... შანდაბაზ! ავინაზღაურებტ ამ დანაქლიზზ ზამცუხარო იზაა, რომ კველამ გაიგო ტკვენი ამბავი, მიუგო კეთილმა გერმანელმა, რომელსაც ყველაზე მეტად ის აწუხებდა, ხალხი რას იტყვისო და უმეტესად გარეგან ღირსებაზე ზრუნავდა.

დიახ, ჩემმა ოპიციალურმა ზაქვარელმა იზეტი პუპუნებიტ უნდა იცხოვროზ, როგორც მე მექადრება, მიუგო მოლარეს ბირჟის ლუი XIVმ.

რაკი დარწმუნებული ბრძანდებოდა, ადრე თუ გვიან ესთერს დაეუფლებოდა, ბარონი ისევ უწინდელ დიდ ფინანსისტად გადაიქცა. ისეთი გულმოდგინებით შეუდგა საქმეების გაძღოლას, რომ მოლარემ, რომელსაც იგი მეორე დღესვე, დილის ექვს საათზე კაბინეტში დაუხვდა, დაათვალიერა თუ არა ფასიანი ქაღალდები, ხელები მოიფშვნიტა და ნახევრად ცბიერი და ნახევრად გულუბრყვილო ღიმილით უთხრა:

მარტლაც, ცუხელ ბატონ ბარონზ დიდი ეკონომია გაუცევია.
თუ ბარონ დე ნიუსინჟენივით მდიდარ კაცებს სხვებზე მეტი შესაძლებლობა ეძლევათ ფულის ფლანგვისა, ფულის მოგების შესაძლებლობაც მეტი აქვთ მაშინაც კი, როცა გიჟურ ვნებებს აჰყვებიან ხოლმე. ნიუსინჟენის სახელგანთქმული ფირმის ფინანსური პოლიტიკა სხვაგან აღვწერეთ, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, ვთქვათ, რომ შეუძლებელია ვეებერთელა ავლადიდების გაძღოლა და შენარჩუნება ჩვენს საკომერციო, პოლიტიკურ და სამრეწველო გადატრიალებების ეპოქაში ისე, თუ კაპიტალს დიდი ზარალი არ მიადგა, კერძო შემოსავალს გადასახადი არ დაუწესდა. მსოფლიოს საერთო საგანძურს სულ მცირე ოდენობით ემატება ახალახალი ფასეულობანი. ყოველგვარი დიდი ქონების ახალი დაგროვება ერთი ადამიანის ხელში მთელი ქვეყნის კაპიტალის გადანაწილებას იწვევს და ახალ უთანაბრობას წარმოშობს. სახელმწიფო რასაც იღებს, უკანვე აბრუნებს, მაგრამ ნიუსინჟენის ფირმა რასაც ხვეტს, თავისთვის იტოვებს. ამგვარ ყალთაბანდობას მართლმსაჯულება უკანონობად არ თვლის, თუმცა არც აკანონებს, თორემ თვით ფრედერიკ IIსაც კი შეეძლო ვიღაც ჟაკ კოლენისთვის ან მანდრენისთვისმიებაძა და პროვინციაში საომარი მოქმედებით კი არ დაეწყო წესრიგის დამყარება, არამედ კონტრაბანდისტობისთვის, ანდა ფასეულობით ვაჭრობისთვის მოეკიდა ხელი. თუ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს აიძულებ, ათ ან ოცპროცენტიანი სესხი აიღოს კერძო პირთა სასარგებლოდ, მრეწველობას ძირფესვიანად გააკოტრებ, მთელ ნედლეულს ხელში ჩაიგდებ, საქმის წამომწყებს კი თოკს გადაუგდებ, რომ არ დაიხრჩოს, სანამ მის

მიმკვდარებულ წარმოებას ამოათრევდე და დაეპატრონებოდე. განა ეს არ არის ფულის მოგებისთვის გამართული ხელჩართული ბრძოლა, ანუ უზენაესი საფინანსო პოლიტიკა? რა თქმა უნდა, ბანკირს, ისევე, როგორც ყველა დამპყრობელს, საფრთხეც ემუქრება. შერკინების უნარი ბევრს როდი შესწევს. ცხვრებს აქ არაფერი ესაქმებათ, სისხლიან შეტაკებებში მწყემსები ებმებიან. რაკი ბანკროტები,, (საბირჟო ჟარგონში გავრცელებული გამოთქმაა) გამდიდრებისთვის უსაზღვრო სწრაფვის მსხვერპლნი ხდებიან, ნიუსინჟენთა ყალთაბანდობით გაუბედურებული ადამიანების მწარე ხვედრი გულთან ახლოს მაინცდამაინც არავის მიაქვს. სპეკულანტი შუბლში დაიხლის ტყვიას, ბირჟის მაკლერი მიიმალება, ნოტარიუსი ასი ოჯახის ქონებასაც ჩაიჯიბავს, რაც კაცის მოკვლაზე უარესია, ბანკირი გაკოტრდება, ეს ამბავი დიდი ქალაქის ზღვაში პატარპატარა ტალღებად აგორდება და გაქრება; პარიზს რამდენიმე თვის შემდეგ აღარ ახსოვს მსგავსი კატასტროფა. ოდესღაც ჟაკ კერებმა,მედიჩებმა,დიეპელმა ანგოებმა,დე ლა როშელმა ოფრედიმ, ფუგერებმა,ტიეპოლომ, კორნერებმა ავლადიდება თავიანთი გამჭრიახობის წყალობით კანონიერად დაიგროვეს, ვინაიდან მაშინ ბევრს არ გაეგებოდა, სად იშოვებოდა ძვირფასი საქონელი. დღეს კი ფართო მასები ისე კარგად იცნობენ გეოგრაფიას, ხოლო კონკურენციამ შემოსავალი იმდენად შეზღუდა, რომ ქონების ერთბაშად შეძენა მარტოოდენ მოულოდნელი შემთხვევის, ან ასევე მოულოდნელი აღმოჩენის, ანდა კანონით დაშვებული ქურდობით არის შესაძლებელი. წვრილფეხა ვაჭრებსაც არ ნებავთ, გაქნილობასა და უსინდისობაში დიდვაჭრებს უკან ჩამორჩნენ და მათი მიბაძვით ნედლეულს არამზადულად ითვისებენ, განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში. ყველგან, სადაც ქიმიამ ფეხი მოიკიდა, ღვინოს აღარავინ სვამს, რის შედეგადაც მეღვინეობა ძირს ეცემა. აქციზს რომ თავი აარიდონ, ყველგან ხელოვნური მარილის გაყიდვა დაიწყეს. გაბატონებული ყალთაბანდობით სასამართლოს თავზარი აქვს დაცემული. ერთი სიტყვით, საფრანგეთის კომერციას მსოფლიო ეჭვის თვალით უცქერის და ინგლისიც ნელნელა კარგავს სინდისს. ბოროტება ჩვენში პოლიტიკური კანონმდებლობიდან მომდინარეობს. ქარტიამფულის მეფობა აღიარა; წარმატება ათეისტური ეპოქის უზენაეს კანონად გადაიქცა. აქედან გამომდინარე, მაღალი წრეების გახრწნილება თუმცა ოქროთი მოვარაყებული წესიერებითაა შენიღბული, გაცილებით ამაზრზენია, ვიდრე ის ბინძური ზნედაცემულობა, რაც ვითომ ნიშანდობლივია მხოლოდ დაბალი საზოგადოებისთვის, რომლის უნამუსობის ზოგიერთი გამოვლინება პარიზული ცხოვრების სცენებს,, კომიკურს და, თუ გნებავთ, შემზარავ ხასიათს აძლევს. მთავრობას ყოველგვარი ახალი აზრის ეშინია და თეატრიდან თანამედროვე ზნეჩვეულებათა ამსახველ სურათებში შეპარული ყოველნაირი კომიკური ელემენტი განდევნა. ლუი XIVზე ნაკლებად ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზია შიშით კანკალებს თავისი ფიგაროს ქორწინების,, მოლოდინში, პოლიტიკურად აჟღერებული ტარტიუფის,, დადგმას კრძალავს და, რაღა თქმა უნდა, არც ტიურკარეს,, აბოგინებს, ტიურკარე ხომ დღეს ქვეყნის მბრძანებელია. ამის გამო კომედიამ თხრობაში გადაინაცვლა და პოეტებმა მოიმარჯვეს ნაკლებად სწრაფმოქმედი, მაგრამ უფრო სანდო იარაღი წიგნი.

იმ დილას, როცა საქმიანი აუდიენციები, რამდენიმეწუთიანი თათბირები ერთმანეთსა ცვლიდ, ხოლო ბრძანება ბრძანებაზე გაიცემოდა და ნიუსინჟენის კაბინეტი ფინანსთა სამინისტროს დაკარგულ ნაბიჯთა,, დარბაზს ემსგავსებოდა, ბარონს მისმა ბირჟის მაკლერმა მოახსენა, კომპანიის ერთერთი ყველაზე მარჯვე და ყველაზე მდიდარი აქციონერი მარტენ ფალეს ძმა და ჟიულ დემარეს შემცვლელი ჟაკ ფალე გაქრაო. ჟაკ ფალე ნიუსინჟენის ფირმის ბირჟის უფროსი მაკლერი იყო. ბარონმა დიუ ტიესა და კელერთან შეთანხმებით ისე გულგრილად მოაწყო ამ კაცის გაკოტრება, თითქოს სააღდგომო ბატკანს კლავდა.

მაინც ვეღარ გაიმართებოდა ცელში, მშვიდად განაცხადა ბარონმა.

ჟაკ ფალემ საბირჟო პანიკის გამძაფრებას დიდად შეუწყო ხელი. რამდენიმე თვის წინ, როცა კრიზისი დაიწყო, გაბედული ოპერაციები ჩაატარა და ბანკირებს გზა გაუხსნა. მაგრამ განა მტაცებლებს მადლიერების გრძნობა მოეთხოვებათ? ეს ხომ იგივეა, რომ უკრაინაში ზამთარში მგლებს თავი შეაბრალო.

საწყალი! ჩაილაპარაკა მაკლერმა, რას წარმოიდგენდა, რომ ასეთი უბედურება დაატყდებოდა თავს. სენჟორჟის ქუჩაზე თავის ხასას პატარა სახლი დაუქირავა, კოხტად მოუწყო. ას ორმოცდაათი ათასი ფრანკის სურათები და ავეჯი უყიდა. როგორ უყვარდა ქალბატონი დიუ ვალნობლი!.. მეტი რა გზა აქვს, ქალმა უნდა დატოვოს სახლი... ყველაფერი ვალშია აღწერილი.
ზალიან ქარქი! ზალიან ქარქი!,, გაიფიქრა ნიუსინჟენმა, შემტხვევა მეზლევა, ამჟამინდელი ზარალი ავინაზღაურო... არაპერი გადაუხდია? ჰკითხა ბირჟის მაკლერს.

რა სათქმელია! მიუგო აგენტმა, აბა, რომელი ვაჭარი ეტყოდა უარს სესხზე ჟაკ ფალეს? ამბობენ, შესანიშნავი მარანიც აქვსო. მართლა, სახლი იყიდება; ფალე შესყიდვას აპირებდა. ნასყიდობის ქაღალდი მის სახელზეა გაფორმებული. რა სისულელეა! ვერცხლეული, ავეჯი, ღვინოები, კარეტა, ცხენები, ყველაფერი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება და მევალეები პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან.

ხვალ მოდი ჩემტან, უთხრა ნიუსინჟენმა, ქველაფერზ შევამოცმებ. გაქოტრებაზ ტუ ზაჯაროტ არ გამოაცხადებენ და ზაქმეზ შეტანხმებიტ დააზრულებენ, თქვენ დაგავალებტ, გონივრული ფაზი შეაზლიეთ ავეჯში და ხელშეკრულებაც დაუდოტ...

ყველაფერი შესანიშნავად მოგვარდება, უთხრა ბირჟის მაკლერმა, ამ დილასვე მიბრძანდით. იქ დაგიხვდებათ ფალეს ერთერთი კომპანიონი და საქონლის მიმწოდებელი, რომელთაც სურთ პრივილეგიის უფლება მიიღონ. ქალბატონ დიუ ვალნობლს ფალეს სახელზე გაცემული ზედნადები ბარათები ხელთა აქვს.

ბარონმა დე ნიუსინჟენმა თავისი მოხელე მაშინვე აფრინა ნოტარიუსთან. ჟაკ ფალეს ადრევე ჰქონდა ნათქვამი ამ სახლზე და ბარონმა იცოდა, ბევრიბევრი სამოცი ათასი ფრანკი რომ ღირდა. ამიტომ ნიუსინჟენმა მოიწადინა, დაუყოვნებლივ სახლის მფლობელი გამხდარიყო, სანამ ვინმე ჩაერეოდა.

მოლარე (პატიოსანი კაცი!) იმის გასაგებად მივიდა, ფალეს გაკოტრებით ჩემი ბატონი ხომ არაფერს დაკარგავსო.

პირიქიტ, ჩემო ქეტილო ვოლფგანგ, ჩემზ ატი ატაზ ფრანქზ დავიბრუნებ.
მერეტა, როგორ?

აზე. ხელში ჩავიგდებ იმ პატარა ზახლზ, რომელზაც იზ ზაბრალო ფალე მტელი ცელიცადი ზაქვარლიზტვიზ აცქობდა. ავეჩიც ჩემი იქნება, ტუ მევალეებზ ორმოცდაატი ატაზ ფრანქზ მივცემ. ჩემი ნოტარიუზი ქარდო განქარგულებაზ მიიღებზ ამ ზახლიზ ტაობაზე. მიზი მპლობელი დიდ გაჩირვებაშია ჩავარდნილი... მე ეზ ადრეც ვიცოდი, მაგრამ ვერ მოვიზაზრე. ცოტა ხანში ჩემი ღვტაებრივი ეზდერი პატარა ზაზახლეში დაბინავდება... ფალემ მიყვენა ზახლი: საუცხოოა, ტანაც ზულ ორიოდე ნაბიჯზეა აქედან. აბა, უქეტეზზ რაზ ინატრებზ ქაცი.

ფალეს გაკოტრების შემდეგ ბარონი დაუყოვნებლივ ბირჟაზე უნდა წასულიყო, მაგრამ განა გული მოუთმენდა, მანამდე ტეტბუს ქუჩაზე არ გაევლო? სული მისდიოდა, აგერ უკვე რამდენიმე საათი იყო, რაც ესთერი არ ენახა. სულ იმის ნატვრაში იყო, ერთი წუთითაც არ მოსცილებოდა. მაკლერის გაკოტრება მისთვის სარფიანი გამოდგა და ოთხასი ათასი ფრანკის გაფლანგვა უაღრესად იოლი გადასატანი ეჩვენა. სიხარულით ცა ეწეოდა, რაკი თავისი ანგელოზისთვის უნდა ეუწყებინა, სენჟორჟის ქუჩაზე, ფატარა ზაზახლეში,, გადამყავხარო. იქ ხომ გუგულებივით ტკბილად იცხოვრებდნენ და აღარავითარი მოგონებები აღარ შეაწუხებდათ. ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად; ჭაბუკივით ფრთაშესხმული მიჰყვებოდა გზას. ტრუაფრერის ქუჩის შესახვევთან, ოცნებაში გართული შუა ქუჩაზე რომ გადადიოდა, ევროპას გადაეყარა. ქალს სახეზე მიწისფერი დასდებოდა.

ზაიტ მიდიხარ? ჰკითხა ბარონმა.

ოჰ, ბატონო, თქვენკენ მოვეშურებოდი... რა მართალი იყავით გუშინ! ახლა მივხვდი, ჯობდა ქალბატონი რამდენიმე დღით ციხეში ჩამჯდარიყო. მაგრამ ქალებს ჭკუა არ მოეკითხებათ, თუ საქმე ფულს ეხება!.. მევალეებმა გაიგეს, ქალბატონი შინ დაბრუნებულაო და ძერა წიწილებს რომ დაერევა, ისე დაგვესხნენ თავს... გუშინდელივით... საღამოს შვიდ საათზე რომ დაგვესივნენ. ჩემო ბატონო, მოვიდნენ და განცხადება გააკრეს, ავეჯის გაყიდვა შაბათისთვისაა დანიშნული... მაგრამ ჯანდაბას, ეგეც არაფერი... ქალბატონი კეთილი გულის

რომაა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ჰოდა, საწყალმა ხომ პირიდან ლუკმა გამოიღო და იმ ურჩხულს მისცა...

რომელ ურჩხულზ?..

აი, იმას, ვინც გაგიჟებით უყვარდა, დჟეტურნის. ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო! რა ვუყოთ, თუ აზარტული თამაში იტაცებდა...

ჰო, დანიშნული ქაღალდებიტ ტამაშობდა ბანქოზ.

მერედა რა, თქვენ კი... შეესიტყვა ევროპა, თქვენ რაღას აკეთებთ ბირჟაზე? დამაცადეთ, გითხრათ: ერთ დღეს ჟორჟმა ვითომც თავის მოკვლა გადაწყვიტა. ქალბატონმა აიღო და მთელი ვერცხლეული, ძვირფასი ნივთები, რომლის საფასური ჯერ არ გადაეხადა, ლომბარდში დააგირავა. ერთ მევალეს რაღაცა მისცაო, იხუვლეს სხვებმა და კარზე მოადგნენ, აყალმაყალი აუტეხეს... გამასწორებელ ციხეში ჩაგსვამთო, ემუქრებიან... თქვენი ანგელოზი საბრალდებო სკამზე! კაცს პარიკიც კი ყალყზე დაუდგება!.. ზის და ცრემლს ღვრის, ამბობს, წყალში გადავვარდებიო... რა გგონიათ, უკან არ დაიხევს.

რა ვქნა, მაზტან რომ ცავიდე, მშვიდობიტ ბირშავ! შეჰყვირა ნიუსინჟენმა, ბირშაზე ცაუზვლელობა არ იქნება, ეზდერიზტვიზ უნდა მოვიგო რაღაცა... ცადი, დაამშვიდე, გადავუხდი ვალებზ. ოტხ ზაატზე მოვალ. მაგრამ, იშენი, იზიც უტხარი, ცოტატი მაინც შემიქვაროზ...

როგორ თუ ცოტათი, ძალიანაც უყვარხართ!.. იცით, რა, ბატონო, ქალს ვაჟკაცის ხელგაშლილობაზე მეტად არაფერი იზიდავს... რა თქმა უნდა, ასეულ ათას ფრანკს დაზოგავდით, ციხეში რომ გაგეგზავნათ, მაგრამ მის გულს ვეღარ მოიგებდით. კიდევაც მითხრა: ეჟენი, მართლაც დიდებული ადამიანია, სულგრძელი, გულუხვი!..,,

ნუტუ აზე გიტხრა, იშენი? შესძახა ბარონმა.

დიახ, ბატონო, სწორედ ეგრე მითხრა.

აჰა, გამომარტვი ატი ლუიდორი.

გმადლობთ... მაგრამ ის ხომ ტირის ახლა, გუშინდელს აქეთ ქვითინებს, ცრემლი არ შეშრობია თვალზე, წმინდა მაგდალინასაც არ დაუღვრია ამდენი ცრემლი მთელი ერთი თვის განმავლობაში... ვინც თქვენ გიყვართ, სასოწარკვეთილებას მისცემია და მერე რისთვის,

ისეთი ვალების გამო, რაც თავისთვის არც აუღია! ოჰ, მამაკაცები! ისინი ისევე აღატაკებენ ქალებს, როგორც ქალები ბერიკაცებს... ასეა, მაშ!

ჰო, ქველა ქალი აზეტია!.. რატომ გაიმეტა ტავი! არაზოდეზ არ უნდა გაიმეტოზ ტავი... მეტი აღარაპერზ მოაცეროზ ხელი. გადავუხდი ვალზ, მაგრამ თუ კიდევ რამეზ მომიტანზ ტავიზ ხელმოცერილზ... მაშინ... მე...

მაშინ რას იზამთ? ჰკითხა ევროპამ და დოინჯი შემოიყარა.

ღმერტო დიდებულო! არავიტარი უპლება არა მაქვზ... მე ტვიტონ ჩავუდგები ზატავეში მიზ ზაქმეზ... აბა, ცადი, გაიქეცი, დაამშვიდე და უტხარი, ერტ ტვეში ფატარა ზაზახლე გექნებატქო.

თქვენ, ჩემო ბატონო, დიდი პროცენტებით დააბანდეთ კაპიტალი ქალის გულში! იცით, რა? გაახალგაზრდავებული მეჩვენებით. მე ხომ პირისფარეში ვარ და ხშირად მინახავს ამგვარი მოვლენა... ბედნიერებამ ასე იცის... ბედნიერებას თავისი ანარეკლი აქვს... რა ვუყოთ, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივათ, ნუ დაინანებთ... ნახავთ, რა შემოსავალს მიიღებთ. მე ხომ ვუთხარი ქალბატონს, უკანასკნელზე უკანასკნელი ქალი, ნათრევი როსკიპი იქნება, თუ არ შეგიყვარებთ. განა ჯოჯოხეთიდან არ ამოგყავთ იგი?.. ერთი მოიშოროს ყველა საზრუნავი და მაშინ გაიცნობთ. ჩვენ შორის დარჩეს, უნდა გავცე მისი საიდუმლო, იცით, რატომ ტიროდა წუხელ?.. აბა, რა უნდა ექნა?.. განა შეიძლება პატივს არ სცემდე კაცს, რომელიც შენს შენახვას კისრულობს? ჰოდა, ვერ გაგიბედათ გულახდილად ეთქვა ყველაფერი... გაქცევას აპირებდა.

რაო, გაქცევაზო?!.. დაიღრიალა ბარონმა, რომელსაც ამ სიტყვებზე თავზარი დაეცა, რა ვუქო ბირშაზ! გაიქეცი, მე ვერ გამოგქვები... მხოლოდ გეხვეცები, ფანშრიდან გადმოახედე... მიზი დანახვა მზნეობაზ შემმატებზ

როცა სახლს ჩაუარა, ესთერმა გაუღიმა და ბარონიც მძიმე ნაბიჯით გაჰყვა გზას დუდუნით: რა ანგელოზია!,,

ახლა მოგახსენებთ, როგორ მიაღწია ევროპამ ამ მოულოდნელ შედეგს: სამის ნახევარზე ესთერმა მორთვამოკაზმვა მოათავა. გეგონებოდათ, ისევ ლუსიენს ელოდებაო. თვალს ვერ მოსწყვეტდით, ისეთი ლამაზი იყო. პრუდანსმა რომ დაინახა, ასეთი თვალწარმტაციაო, ფანჯარაში გადაიხედა და შესძახა: აგერ, ლუსიენი!,, საბრალო გოგონამ ფანჯარასთან მიირბინა, ეგონა, ლუსიენს დავინახავო და ნიუსინჟენი კი შერჩა ხელში.

ოჰ, როგორ მატკინე გული! უთხრა მოახლეს.

მეტი რა ჩარა მქონდა, ყურადღება ხომ უნდა მიაქციოთ საცოდავ ბერიკაცს, რომელიც თქვენი ვალების გასტუმრებას აპირებს, მიუგო ევროპამ, როგორც ჩანს, თქვენი ვალები, ბოლოს და ბოლოს, მთლიანად დაიფარება.

რა ვალები? შეჰყვირა უბედურმა არსებამ, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე შეენარჩუნებინა სიყვარული, რის წართმევასაც უპირებდა შემზარავი კაცი.

ბატონმა კარლოსმა რომ დააკისრა ქალბატონს.

რაო? აგერ თითქმის ოთხას ორმოცდაათი ათასი ფრანკი მოვიგეთ! წამოიძახა ესთერმა.

კიდევ ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი დარჩა, მაგრამ ამ ამბავს ბარონი მშვიდად შეხვდა... აქედან წაყვანას გიპირებთ. ამბობს, ფატარა ზაზახლეში უნდა დავაბინავოო... ღმერთმანი, უბედური არა ხართ!.. თქვენს ადგილზე რომ ვიყო, რაკი ეს კაცი ასე მაგრად დააბით, კარლოსს დავაკმაყოფილებდი, სახლსაც მივიღებდი და რენტასაც. ეჭვი არ შეგეპაროთ, თქვენზე ლამაზი ქალი ჯერ არ მინახავს და არც თქვენზე მიმზიდველი, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა მალე მოდის სიმახინჯე! მეც ვიყავი ნორჩი, მშვენიერი და ახლა ხომ ხედავთ? ოცდასამი წლისა ვარ, თითქმის თქვენი ტოლი, ათი წლით უფროსი კი ვჩანვარ... საკმარისია, ავად გახდე და... ჯანდაბას, როდესაც პარიზში სახლი გაქვს, რენტა... აღარ გეშინია, რომ ქუჩაში ამოგძვრება სული...

ესთერი აღარ უსმენდა ევროპაეჟენიპრუდანს სერვიენს. ადამიანის გახრწნის ნიჭით დაჯილდოებული კაცის ნებით იგი ისევ იძირებოდა წუმპეში იმავე ძალით, რა ძალითაც ამ კაცმა ამოათრია იქიდან. ვისაც სიყვარული მთელი თავისი უსასრულობით განუცდია, დარწმუნებულა, რომ ამ გრძნობით ჭეშმარიტი დატკბობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ვნებასთან ერთად ფაქიზი ტრფობის უმანკოებასაც ეზიარები. ლაგლანდის ქუჩაზე, თავის ბუნაგში მომხდარი სცენის შემდეგ, ქალმა სრულიად გადაივიწყა უწინდელი ყოფა, სპეტაკად ცხოვრობდა და ლუსიენის მეტი აღარავინ ახსოვდა. არავითარი დაბრკოლება რომ არ შეხვედროდა, ადამიანთა გამჭრიახმა გამხრწნელმა ყოველივე წინასწარ ისე განამზადა, რომ საბრალო გოგონას სატრფოსადმი ერთგულების კარნახით სხვა გზა არ დარჩენოდა და დათანხმებულიყო ყოველგვარ გაიძვერობაზე, რაც უწინ ჩაედინათ ანდა აწი ჩაიდენდნენ. რაკი აშკარად ჩანს, რაოდენი უპირატესობით სარგებლობდა ეს ზნედაცემული კაცი, ის მეთოდებიც ადვილი წარმოსადგენია, რითაც დაიმორჩილა ლუსიენი. შემზარავ, გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა, უთხრიდა ორმოს, წინ ტყვიაწამალს უყრიდა და როცა გასაქცევი გზა აღარსად ჰქონდა, თავისი შეთქმულების მონაწილეს უბრძანებდა, დამემორჩილე, თორემ ყველაფერი აფეთქდებაო! ოდესღაც კურტიზანთა განსაკუთრებული ზნეობით გამსჭვალულ ესთერს ამგვარი ხუმრობა სრულიად ბუნებრივი ეჩვენებოდა და თავის მეტოქეს მარტოოდენ იმისდა მიხედვით აფასებდა, თუ რამდენს დაახარჯვინებდა იგი მამაკაცს. განსხვავებული

ქონება ამ ქალების გამარჯვების ალამი გახლავთ. კარლოსი არ ტყუვდებოდა, როცა იმედს ესთერის წარსულზე ამყარებდა. ესთერს არ აშფოთებდა ესპანელის საომარი ცბიერება და გაქნილი სტრატეგია, რასაც ასჯერ და ათასჯერ მიმართავენ არა მარტო მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, არამედ მფლანგველი მამაკაცებიც. საწყალი გოგო მხოლოდ თავის დამდაბლებაზე წუხდა. ლუსიენი უყვარდა და ბარონ დე ნიუსინჟენს საქვეყნოდ ხასად უნდა დასჯდომოდა. სხვა არაფერი ადარდებდა. ჯანდაბას, ცრუ ესპანელი ბარონისგან თუ გირაოს აიღებდა, ლუსიენი ესთერის საფლავის ქვისგან ბედნიერებას თუ აიშენებდა, ბერიკაცს სიტკბოების ერთადერთი ღამე რამდენიმე ათას ფრანკად თუ დაუჯდებოდა, ევროპა თავისი გაქნილობით ნიუსინჟენს ას და ათას ფრანკს თუ დასცინცლავდა, შეყვარებული ქალი ამას არად დაგიდევდა, მაგრამ რა ეშველებოდა ღრმა იარებით დასერილ გულს. ხუთი წელი ანგელოზივით სპეტაკად ცხოვრობდა, უყვარდა ჭაბუკი, ბედნიერად გრძნობდა თავს და აზრადაც არ გაუვლია მისი ღალატი. ახლა წმინდა ტრფობა უნდა შეებღალა. განა შეეძლო ფარული, ტკბილი სიყვარული შეედარებინა ამ ლაფდამსხმელი ცხოვრებისთვის, რაც მოელოდა? იგი შეეპყრო არა ანგარების ჟინს ან პოეტურ აღტყინებას, არამედ ენით უთქმელ, ძლევამოსილ, ღრმა სიყვარულს. თეთრი იყო და შავად უნდა გადაქცეულიყო, წმინდა უწმინდურად, კეთილშობილი სულმდაბლად, საკუთარი ნებით ფაქიზ ყარყუმად გადაიქცა და ზნეობრივ დამცირებას ვეღარ შეეგუებოდა. ამიტომაც ვნებააშლილმა ბარონმა მისკენ გაიწია თუ არა, ფანჯრიდან გადავარდნა დააპირა. ერთი სიტყვით, ლუსიენზე ჭკუა ეკარგებოდა; ქალებს იშვიათად უყვართ ასეთი ძალით მამაკაცები. იფიცებიან, მავანი და მავანი მიყვარსო, დარწმუნებულნიც კი არიან, თითქოს მათსავით შეყვარება არავის შეეძლოს, მაგრამ სხვა კაცთან სიამოვნებით ცეკვავენ, დაპროწიალებენ, კოპწიაობენ, ცდილობენ, საზოგადოებას თავი მოაწონონ მორთვამოკაზმვით, თაყვანისმცემლებს თავბრუ დაახვიონ. ესთერი კი ჭეშმარიტი მიჯნურობის სასწაულს ახდენდა და ამისთვის მსხვერპლის გაღება არ სჭირდებოდა. ხუთი წელი ისე ეტრფოდა ლუსიენს, როგორც შეუძლიათ სიყვარული მსახიობებსა და კურტიზან ქალებს, დიდხანს რომ ყრილან ლაფსა და წუმპეში და მონატრებიათ კეთილშობილი, სათუთი გრძნობა, ჭეშმარიტი ვნება, ერთგულება. ეთაყვანებიან ამ გრძნობის განსაკუთრებულობას,, (ხომ საჭიროა გამოვიგონოთ ახალი სიტყვა, რათა გამოვხატოთ ცნება, რაც ესოდენ იშვიათია ცხოვრებაში?). გადაშენებული ერები, საბერძნეთი, რომი და აღმოსავლეთი ქალს თავისუფლებას უზღუდავდა. დღეს კი გამიჯნურებულმა ქალმა ნებით უნდა უარყოს თავისუფლება. ამგვარად, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რაოდენ დააძაბუნა ესთერი ამ ჯადოსნური პალატების დატოვებამ, სადაც მისი სიყვარული ზეიმობდა და სადაც მიჯნურობის უმშვენიერესი პოემა იქმნებოდა. ახლა კი უნდა დაბინავებულიყო სისხლგამოცლილი ბერიკაცის ფატარა ზაზახლეში,,. რკინის მარწუხებში მოქცეულმა აზრის მოკრება ვერც კი მოასწრო და უკვე სიბინძურეში ჩაეფლო. მერე ორი დღე გავიდა, გონება ოდნავ გაუნათდა თუ არა, გულში მომაკვდინებელი სიცივე შეეჭრა.

ქუჩაში ამომძვრეს სული?.. არა, სჯობს სენაში...
სენაში?.. მერედა, ბატონი ლუსიენი?.. შეუტია ევროპამ.

ამ სიტყვებზე ესთერი სავარძელში დაეშვა და თვალი გაუშტერა ხალიჩაზე ერთ როზეტს, თითქოსდა სხვა აღარაფერი არსებობდა ირგვლივ. ცრემლიც კი აღარ სდიოდა. ოთხ საათზე ნიუსინჟენი მობრძანდა. მისი ანგელოზი ჩაძირულიყო ფიქრსა და მწუხარების იმ ოკეანეში, რის ზემოთაც მანამდე დაფარფატებენ ქალთა სულები, სანამ რაღაც გადაწყვეტილებას არ მიიღებენ და თუ მათთან ერთად არ გადაგიცურავთ ეს ოკეანე, ვერც მათი გადაწყვეტილების ასავალდასავალს მიხვდებით.

ნუ იჩმუხნიტ შუბლზ, ჩემო მზეტუნახავო, მიმართა ბარონმა და გვერდით მიუჯდა, აღარ გექნებათ ვალები... იშენის შევატქობინეფ, და ერტი ტვიზ შემდეგ ტქვენ ამ ზახლზს დატოვებტ. ფატარა ზაზახლეში გადახვალტ... ოჰ, რა მშვენიერი ხელები გაქვტ. ნება მომეციტ გაქოცოტ (ესთერმა ისე გაუწოდა ხელი, როგორც ძაღლი უწვდის თათს პატრონს)! ეჰ, ტკვენ ხელზ მაზლევთ და არა გულზ... მე კი გული მიქვარზ... ეს სიტყვები ისე გულწრფელად აღმოხდა, რომ საცოდავმა ესთერმა თანაგრძნობით აღსავსე თვალები მიაპყრო. ბარონი კინაღამ გაგიჟდა. შეყვარებულები, მარტვილთა მსგავსად, მწუხარებაში მყოფთ თანამოძმეებად მიიჩნევენ.
საბრალო კაცი! თქვა ესთერმა, შეყვარებულია!

ქალის ნათქვამი ბარონმა მცდარად გაიგო. გაფითრდა, ძარღვებში სისხლი აუჩქეფდა, თითქოს სამოთხის სიო მიესალბუნა. ხანდაზმული მილიონერები ამგვარ გრძნობათა განცდისთვის იმდენივე ოქროს იძლევიან, რამდენსაც ქალი მოითხოვს.

იზე მიქვარხარტ, როგორც ჩემი შვილი... უთხრა მან, ვგრძნობ, აი, აქ, დასძინა ბარონმა და გულზე ხელი მიიდო, არ შემიზლია უბედურზ გხედავდეტ.
მხოლოდ მამობას რომ დასჯერებულიყავით, იცით, როგორ მეყვარებოდით? არასოდეს მიგატოვებდით და დარწმუნდებოდით, რომ ბოროტი ქალი არა ვარ, არც სხეულით მოვაჭრე, არც ანგარებიანი, როგორც ახლა გეჩვენებით.

ტქვენ ცოტაოდენი ზიზულელე ჩაგიდენიატ, ჩაურთო ბარონმა, ქველა ლამაზ ქალზ აზე ზჩვევია, არა უჩირზ რა. ნურაპერზ ვიტქვიტ ამაზე. ჩვენი ხელობა კი იზ გახლავტ, ტკვენტვიზ პული ვიშოვოტ... იქავიტ ბედნიერი. მე მინდა რამდენიმე დღეზ ტქვენი მამა ვიკო, რადგან ქარგატ მეზმიზ, რომ უნდა შეეჩვიოტ ჩემზ ზაბრალო გარეგნობაზ.

დიახ, ასეა! შეჰყვირა ქალმა, სავარძლიდან წამოხტა და ნიუსინჟენს მუხლებზე დაუსკუპდა, კისერზე მკლავი მოხვია და ჩაეხუტა.

დიახ, აზეა! მიუგო ბარონმა და სცადა, გაეღიმა.

ესთერმა შუბლზე აკოცა. დაიჯერა, თითქოსდა შესაძლებელი იქნებოდა შეუძლებელი: წმინდა დარჩენილიყო და ლუსიენს დაჰბრუნებოდა... ისე მიეთითლიბაზა ბანკირს, როგორც ლა ტორპილს სჩვეოდა. ბერიკაცი მოაჯადოვა და ისიც დაჰპირდა, ორმოცი დღე შენი მამილო ვიქნებიო. ორმოც დღეში სენჟორჟის ქუჩაზე სახლს იყიდდა და გააწყობდა. შინისკენ მიმავალმა ბარონმა თავის თავს უთხრა: რა დოქლაფია ვარ!,, მართლაც, ესთერთან მიამიტი ყმაწვილივით იქცეოდა, გაშორდებოდა და მყისვე მტაცებელი მგლის ტყავში ძვრებოდა. ყომარბაზსაცხომ ხელახლა ეღვიძება გრძნობა ანჟელიკასადმი, როცა ჯიბეში ერთი ლიარდიც აღარ უჭყავის.

ნახევარი მილიონი გადაქარო და ჟერ მიზი ცვივიც კი არ დაგენახოზ, რა დიდი ზიშტერეა, თავის თავს ეუბნებოდა ბარონი ოცი დღის შემდეგ, კიდევ ქარქი, ჩემდა საბედნიეროტ, არავინ იციზ,,. მაშინვე მტკიცედ გადაწყვიტა, დროა, ასე ძვირად ნაყიდ ქალთან წილადობილას ბოლო მოვუღოო. მაგრამ ესთერს დაინახავდა თუ არა, ბოდიშს უხდიდა, პირველი შეხვედრისას როგორ უხეშად მოგექეციო. ბოლოს, ერთი თვის მერე, ესთერს მაინც განუცხადა:
მეტი აღარ შემიზლია, ზამარადიზოტ მამა ვერ ვიქნები...

1829 წლის დეკემბრის დამლევს, სენჟორჟის ქუჩაზე მდებარე სახლში, ესთერის გადაბარგების წინადღეს, ბარონმა დიუ ტიეს სთხოვა, ფლორინი მოიყვანეო. უნდოდა, დარწმუნებულიყო, იქაურობა ბარონ დე ნიუსინჟენის სიმდიდრესა და ფატარა ზაზახლეს,, ნამდვილად თუ შეეფერებოდა, ანდა გაეგო, რაოდენ ღირსეულად გამოიყურებოდა მხატვართა ნამუშევარი; მათ ხომ უბრძანეს, გალია ჩიტის საკადრისად გარდაექმნათ. 1830 წლის რევოლუციამდე დამკვიდრებული ფუფუნების ყოველგვარი სიახლის მიხედვითა და უნატიფესი გემოვნებით იყო სახლი გაწყობილი. ხუროთმოძღვარი გრენდო ამ სახლს თავისი დეკორატიული ტალანტის შედეგრად თვლიდა. მარმარილოს კედლები და კიბეები, ქსოვილები, ზომიერად გამოყენებული ოქროს ვარაყი, უმცირესი დეტალები თუ საერთო ხედი აჭარბებდა ყოველივე იმას, რაც ლუი XVის საუკუნეს ამ დარგში დაეტოვებინა პარიზისთვის.

ესაა ჩემი ოცნება: ამგვარი სასახლე და სათნოება! წარმოთქვა ფლორინმა ღიმილით, მერე ვისთვის იხარჯები ასე? ჰკითხა მან ნიუსინჟენს, ციდან ჩამოფრენილ ქალწულს ხომ არ უმზადებ?
არა, ქალზ, რომელიც ცაში ამაღლებაზ აპირებზ, მიუგო ბარონმა.

ჰოდა, შენც იუპიტერის როლს შეასრულებ, ჩაურთო მსახიობმა, მერე როდის ვიხილავთ მას?

ოჰ, იმ დღეს, როცა ახალმოსახლეობას ვიზეიმებთ, შეჰყვირა დიუ ტიემ.

მაგაზე ადრე კი არა... თქვა ბარონმა.

მაშ, საგულდაგულოდ დავსუფთავდეთ, გამოვიპრანჭოთ, გავლამაზდეთ! შესძახა ფლორინმა, აბა, რა ცეცხლს შეუნთებენ ქალები მკერავებსა და დალაქებს იმ საღამოს!.. როდის აპირებ?..

ეგ მე არ მექიტხება.

ყოჩაღ, ქალო... შეჰყვირა ფლორინმა, ოჰ, როგორ მინდა მისი ნახვა!..

მეც, გულუბრყვილოდ წამოროშა ბარონმა.

რაო, სახლი, ავეჯი, ქალი, ყველაფერი ახალია?

თვით ბანკირიც, განაცხადა დიუ ტიემ, ჩემი მეგობარი ძალიან გაყმაწვილებული მეჩვენება.

სწორედაც უნდა დაიბრუნოს ოცი წელი, თქვა ფლორინმა, ერთი წუთით მაინც.

1830 წლის დამდეგს პარიზში დიდი მითქმამოთქმა ატყდა ნიუსინჟენის გატაცებასა და მისი სასახლის საარაკო ფუფუნებაზე. საწყალმა ბარონმა, საქვეყნოდ ლაფდასხმულმა, გაპამპულებულმა და არცთუ უმიზეზოდ გაცოფებულმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო გადაწყვეტილება, რასაც ანგარებიანი ფინანსისტიცა და აბობოქრებული ვნებით შეპყრობილი თავგზააბნეული სატრფოც უნდა დაეკმაყოფილებინა: ახალმოსახლეობას იზეიმებდა და კეთილშობილი მამილოს სამოსს მაშინვე გაიხდიდა, მრავალჯერ გაღებული მსხვერპლის საზღაურად სათანადო ჯილდოს მიიღებდა. ლა ტორპილთან შეხვედრა მისთვის სულ მარცხით მთავრდებოდა და ახლა გადაეწყვიტა, სასიყვარულო საქმე მიწერმოწერით ეწარმოებინა და ესთერისგან თანხმობა წერილობით მიეღო. ბანკირები მხოლოდ და მხოლოდ თამასუქებს ენდობიან. ასე და ამგვარად, მგელიმტაცებელი ახალი წლის ერთ დილას ადრიანად წამოდგა, კაბინეტში ჩაიკეტა და ქვემომოყვანილი წერილის წერას შეუდგა. შესანიშნავი ფრანგულით წერდა, თუმცა ცუდად გამოთქვამდა, ორთოგრაფიაში არ მოიკოჭლებდა.

ძვირფასო ესთერ, ჩემი გულის ყვავილო და ჩემი სიცოცხლის ერთადერთო ბედნიერებავ, როდესაც გეუბნებით, ისე მიყვარხართ, როგორც ჩემი შვილიმეთქი, თქვენც გატყუებთ და თავსაც ვიტყუებ. მე მსურდა ამგვარად გამომეხატა ჩემი წმიდათაწმიდა გრძნობა, რისი მსგავსიც არც ერთ მამაკაცს არ განუცდია, ვინაიდან მე მოხუცი ვარ და არასოდეს მყვარებია ვინმე. იმდენად მიყვარხართ, რომ მთელი ქონებაც რომ გამიფლანგოთ, ნაკლებად მაინც არ მეყვარებით. შეგიძლიათ სამართლიანად განსაჯოთ? მამაკაცთა უმრავლესობა ჩემსავით ანგელოზად არ მიგიღებთ. ერთხელაც არ მიკითხავს თქვენი წარსული. ჩემი ერთას, ჩემი ოგიუსტასავით მიყვარხართ და ასე ძლიერ, უთუოდ, მეყვარებოდა ცოლი, მასაც რომ ვყვარებოდი. თუკი ბედნიერება ერთადერთი გამართლებაა ბებერი შეყვარებულისთვის,

ჩაიხედეთ გულში და ალალმართლად მითხარით, სასაცილო როლს ვთამაშობ თუ არა? თქვენ ჩემი სიბერის ნუგეშად გაღიარეთ. შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ სიკვდილამდე ისე ბედნიერი იქნებით, როგორც შეიძლება ბედნიერი იყოს ქალი და ისიც კარგად იცით, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგაც ისე მდიდარი დარჩებით, რომ ბევრი ქალი შემოგნატრებთ. მას შემდეგ, რაც წილად მხვდა თქვენთან დალაპარაკების ბედნიერება, რა საქმესაც ხელი მოვკიდე, ყოველი შემოსავლიდან თქვენი წილი ცალკე გამოიყოფა. ნიუსინჟენის ბანკში თქვენს სახელზე ანგარიშია გახსნილი. რამდენიმე დღეში გადახვალთ სახლში, რომელიც, ადრე თუ გვიან, თქვენი იქნება, თუკი ისურვებთ. მითხარით, გეთაყვა, იქაც მამასავით მიმიღებთ, თუ, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება მეღირსება?.. მაპატიეთ, ასე გულახდილად რომ გწერთ, მაგრამ როცა თქვენთან ვარ, მხნეობას ვკარგავ და თქვენს ნებას ვემორჩილები, რადგან მბრძანებელი დედოფალი ხართ ჩემი. არ ვაპირებ შეურაცხგყოთ, მხოლოდ მსურს, გაგიმჟღავნოთ, რაოდენ ვიტანჯები და რაოდენ მძიმეა ჩემისთანა ხანდაზმული ადამიანისთვის ლოდინი, როცა ყოველ დღეს თან მიაქვს ჩემი იმედიცა და სიამეც. ამასთან, მოწიწება და თავშეკავება ჩემი ალალი სურვილების თავდებია. განა ოდესმე მევალესავით მოგქცევივართ? თქვენ ციხესიმაგრედ აღმართულხართ ჩემ წინ, მე კი ყმაწვილი არ გახლავართ. ჩემი ღაღადისის საპასუხოდ მარწმუნებთ, რომ თქვენთვის ეს სამკვდროსასიცოცხლო საკითხია და მეც მჯერა თქვენი, როცა გისმენთ, მაგრამ შინ შავი ნაღველი მაწვება, გულს მიღრღნის ეჭვი, რაც თქვენც შეურაცხგყოფთ და მეც. ისევე სპეტაკი მგონიხართ, როგორიც მშვენიერი ხართ, მაგრამ თქვენ ცდილობთ, რწმენა შემირყიოთ. თვითონ განსაჯეთ! მეუბნებით, რომ გულში დიდ გრძნობას ფარავთ, საბედისწერო მიჯნურობას დაუმონებიხართ, საყვარელი ადამიანის სახელს კი არ მიმჟღავნებთ... განა ეს ბუნებრივია? თქვენ საკმაოდ მძლავრი ადამიანი სუსტი ნებისყოფის კაცად გადააქციეთ... ხედავთ, სად მიმიყვანეთ? მაიძულებთ, გკითხოთ, რა მომავალს მიმზადებთ ხუთი თვის მოლოდინის შემდეგ? ხომ უნდა ვიცოდე, რა როლი განმეკუთვნება თქვენი სასახლის გახსნის დღეს? როცა საქმე თქვენ შეგეხებათ, ჩემთვის ფული არაფერს წარმოადგენს, მაგრამ არც ისე სულელი ვარ, ოღონდაც თქვენს თვალში ავმაღლდე, ტრაბახს მოვყვე, აქაოდა, ფული რა ბედენაამეთქი. თუ ჩემი სიყვარული უსაზღვროა, ჩემი ქონება ასევე უსაზღვრო არ გახლავთ და სიმდიდრე ჩემი ისევ და ისევ თქვენთვის მჭირდება. ჯანდაბას! შემოგწირავთ ყველაფერს, რაც მაბადია, თუკი ღარიბღატაკი თქვენი გულის დაპყრობას შევძლებ. მირჩევნია, ღარიბი ვიყო, ოღონდ თქვენ გიყვარდეთ, ვიდრე მდიდარი და თქვენგან უკუგდებული. თქვენ ისე ძალიან შემცვალეთ, ძვირფასო ესთერ, რომ ვეღარავინ მცნობს. ჟოზეფ ბრიდოს ერთ სურათში ათი ათასი ფრანკი გადავუხადე, რაკი თქვენ მითხარით, ნიჭიერი კაცია, მაგრამ სახელი ვერ მოიხვეჭაო. გარდა ამისა, გზაზე ყველა მათხოვარს თქვენი სახელით ხუთ ფრანკს ვაძლევ. ეჰ, მითხარით, განა რას გთხოვთ საბრალო ბერიკაცი, რომელიც თავს თქვენს მოვალედ თვლის, როცა თქვენ მისგან რაიმეს იღებთ საჩუქრად? მას მხოლოდ სურს, იმედი ჩაუსახოთ გულში, მერედა რა იმედი, ღმერთო დიდებულო! ეს ხომ რწმენაა იმისი, რომ არასოდეს იმაზე მეტს არ მომიძღვნით, რასაც ჩემი ვნება მიიღებს. მაგრამ ჩემი გულის მგზნებარება ხელს შეუწყობს თქვენს სასტიკ სიცრუეს. ხომ ხედავთ, მზად ვარ, მივიღო ყველა პირობა, რასაც თქვენ ჩემს ბედნიერებას, ჩემს იშვიათ სიამტკბილობას დაუხვედრებთ. ის მაინც მითხარით,

რომ იმ დღეს, როცა თქვენს სახლს დაეპატრონებით, ხელს არ ჰკრავთ გულსა და ერთგულებას იმ ადამიანისა, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დარჩება

თქვენი მონა

ფრედერიკ დე ნიუსინჟენი,,.

ოჰ! რა თავი მომაბეზრა ამ მილიონების გუდამ! შეჰყვირა ესთერმა; მასში კვლავ გაიღვიძა კურტიზანმა.
აიღო საფოსტო ქაღალდი და ფურცლის გასწვრივ წააწერა ცნობილი ფრაზა, რაც, სკრიბის სასახელოდ, ანდაზად იქცა: წაიყვანეთ ჩემი დათვი!,,

თხუთმეტი წუთის შემდეგ სინდისის ქენჯნა იგრძნო და წერილი მისწერა:

ბატონო ბარონო,

ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს ბარათს, ახალგაზრდულმა გიჟმაჟობამ მომიარა და იმიტომ მოგწერეთ. შეუნდეთ საბრალო გოგოს, რომელსაც ბედმა მონად ყოფნა არგუნა. არასოდეს იმაზე მეტად არ მიგრძნია ჩემი მდგომარეობის სიმდაბლე, როგორც იმ დღეს, როცა ჩემი თავი თქვენ გადმოგაბარეს. თქვენ ჩემი ვალი გაისტუმრეთ, მე თქვენი მოვალე ვარ. იმ ვალზე, რომლის გადაუხდელობა სახელს გაგიტეხს, წმიდათაწმიდა არაფერია. უფლება არა მაქვს, თავი გაკოტრებულად გამოვაცხადო და სენაში გადავვარდე. ვალის გადახდა ყოველთვის შესაძლებელია იმ შემზარავი საფასურით, რაც მხოლოდ ერთ მხარეს დააკმაყოფილებს. ამგვარად, თქვენს ხელში ვარ. მსურს ერთი ღამით გადავიხადო მთელი ის დანახარჯი, რაც ამ საბედისწერო წუთისთვის გაიღეთ და დარწმუნებული ვარ, ჩემთან გატარებული ერთი საათი მილიონები ღირს, მით უმეტეს, რომ ეს ერთადერთი და უკანასკნელი საათი იქნება. ანგარიშს გაგისწორებთ და მერე უფლება მომეცემა, სიცოცხლეს გამოვესალმო. პატიოსან ქალს იმედი აქვს დაცემის შემდეგ ისევ გაიმართოს წელში, ხოლო ჩვენ, მე და ჩემი მსგავსნი, მეტისმეტად დაბლა ვეცემით. სწორედ ამიტომ მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება და გთხოვთ, შეინახოთ ეს წერილი, რათა გამოიყენოთ საბუთად იმ ქალის სიკვდილის მიზეზისა, რომელიც ერთი დღით იქნება თქვენი მსახური.

ესთერი,,.

გაგზავნა ეს წერილი და მაშინვე სინანული იგრძნო. ათი წუთის შემდეგ მესამე ბარათი მისწერა. აი, ისიც:

მაპატიეთ, ძვირფასო ბარონო, ისევ მე გწერთ. სულაც არ ვაპირებდი, დამეცინა თქვენთვის ან შემეწუხებინეთ. მსურს მხოლოდ დაგაფიქროთ ამ უბრალო მოსაზრებით: მამაშვილურ დამოკიდებულებაში თუ დავრჩებით, თქვენი სიამოვნება იქნება სუსტი, მაგრამ ხანგრძლივი, ხოლო თუ მაიძულებთ ხელშეკრულების თანახმად მოვიქცე, დამიტირებთ. აღარ მინდა თავი

შეგაწყინოთ. ის დღე, როცა ხანგრძლივ ბედნიერებას წამიერ სიამოვნებას ამჯობინებთ, ჩემთვის უკანასკნელი იქნება.

თქვენი შვილი ესთერი,,.

პირველ წერილზე ბარონი ბრაზისგან გალურჯდა, რასაც შეუძლია მილიონერს ბოლო მოუღოს, სარკეში ჩაიხედა და ზარი დარეკა.

აბაზანა ფეხებიზტვიზ!.. დაუღრიალა თავის ახალ ფარეშს.

სანამ ფეხის აბაზანას იღებდა, მეორე წერილიც მოუვიდა, წაიკითხა და უგონოდ დაეცა. მილიონერი საწოლში გადაიყვანეს. როცა გონზე მოვიდა, ქალბატონი დე ნიუსინჟენი საწოლის ფეხთით ჩამომჯდარი დაუხვდა.

ეგ გოგო არ ტყუის! უთხრა ცოლმა, რატომ მოგინდომებიათ სიყვარულის ყიდვა? განა ბაზარზე იყიდება? აბა, მიჩვენეთ, თქვენ რა მისწერეთ.
ბარონმა თავისი წერილის რამდენიმე შავი პირი გაუწოდა. ქალბატონმა დე ნიუსინჟენმა ღიმილით წაიკითხა, ამ დროს მესამე წერილიც მოვიდა.

გასაოცარი გოგოა, შესძახა ქალბატონმა ნიუსინჟენმა.

როგორ მოვიქცე, ქალბატონო? ჰკითხა ბარონმა ცოლს.

დაელოდეთ.

დაველოდო! გაიმეორა ბარონმა, ბუნება რომ ულმოჰელია...

მომისმინეთ, ძვირფასო, მიმართა ქალბატონმა დე ნიუსინჟენმა, ამ ბოლო დროს შესანიშნავად მეპყრობით, კეთილ რჩევას მოგცემთ.

რა ზატნო ქალი ხარტ, უთხრა ქმარმა, აიღეტ ვალები, კველაპერზ გადაგიხდით...

ის, რაც თქვენ დაგემართათ მაგ გოგოს წერილების მიღების შემდეგ, ქალის გულს უფრო მძაფრად ხვდება, ვიდრე თქვენი დახარჯული მილიონები, ანდა ყოველგვარი წერილი, რაც უნდა ლამაზად იყოს დაწერილი. შეეცადეთ მან ეს უცხო პირისგან გაიგოს. რა ვიცი, იქნებ შეგიბრალოთ და კეთილი თვალით გადმოგხედოთ... ნუ გეშინიათ, ამით არ მოკვდება, განუცხადა ქალმა ქმარს და თვალი თვალში გაუყარა.

ქალბატონ დე ნიუსინჟენს კურტიზანის ბუნების არა გაეგებოდა რა.

რა ჩქვიანია ქალბატონი დე ნუშინგენი,,, ფიქრობდა ბარონი, როცა ცოლი ოთახიდან გავიდა. დიდად მოსწონდა მისი რჩევა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, როგორ შეესრულებინა; თავის თავს შტერს უწოდებდა და ეს ლიტონი სიტყვა როდი გახლდათ, გულწრფელად ამბობდა.

მართალია, ფულიანი კაცის სიშტერე ანდაზადაა გადაქცეული, მაგრამ მაინც შეფარდებითია. ჩვენი გონებრივი შესაძლებლობა ჩვენს ფიზიკურ უნარს უტოლდება. მოცეკვავეს ძალა ფეხებში აქვს თავმოყრილი, მჭედელს მკლავებში. ბაზრის მტვირთავი ტვირთის გადატანაში ვარჯიშობს, მომღერალი სახმო სიმებს ავარჯიშებს, პიანისტი ხელის მტევანს. ბანკირი ეჩვევა საქმეების გარიგებას, დაინტერესებულ პირთა შერჩევას, ისევე, როგორც ვოდევილების ავტორი იჭაჭება სიუჟეტის შერჩევასა და პერსონაჟთა სახეების გამოკვეთაში. ბარონ დე ნიუსინჟენს ისევე ვერ მოსთხოვდით გონებამახვილური მსჯელობის უნარს, როგორც მათემატიკოსს ხატოვან გამოთქმებს. ამა თუ იმ ეპოქაში განა ბევრი გვხვდება ისეთი პოეტი, რომელიც საზოგადოებაში ქალბატონ კორნუელივითგაითქვამს სახელს? ბუფონიმძიმედ აზროვნებდა, ნიუტონს არავინ ჰყვარებია, ლორდ ბაირონს მხოლოდ თავისი თავი უყვარდა, რუსო პირქუში და თითქმის გიჟი იყო, ლაფონტენი გონებადაბნეული. ერთ ადამიანში თანაბრად განაწილებული სასიცოცხლო უნარი სულელს ან უნიჭოს წარმოშობს; არათანაბრად განაწილებული კი ქმნის ერთგვარ გადაჭარბებულობას, რასაც გენიას უწოდებენ. იგი უეჭველად სიმახინჯედ მოგვევლინებოდა, მისი დანახვა ან შეგრძნება რომ შეიძლებოდეს. სხეულსაც იგივე კანონი მართავს. სრულყოფილი სილამაზე თითქმის ყოველთვის ცივია ან სულელური. რა ვუყოთ, თუ პასკალი გეომეტრიის უდიდესი მცოდნეც იყო და დიდი მწერალიც, ბომარშე მოხერხებული საქმოსანი, ზამე უაღრესად გამჭრიახი კარისკაცი ეს იშვიათი გამონაკლისი ადასტურებს გონების თავისებურებებს. სასპეკულაციო ანგარიშიანობის სფეროში ბანკირი იმდენ ჭკუას, გამბედაობას, მოქნილობასა და ღირსებას ამჟღავნებს, რამდენსაც გაწაფული დიპლომატი იჩენს სახელმწიფო საქმეების მოგვარებაში. კაბინეტის გარეთაც ისეთივე ნიჭით რომ გამოირჩეოდეს, უდიდესი პიროვნება იქნებოდა. ნიუსინჟენისთვის რომ პრინც დე ლინის,მაზარინისან დიდროს ნიჭიც მიეცა განგებას, ნამდვილი ზეკაცი იქნებოდა, რომლის მსგავსიც ბუნებაში არ მოიძევება; თუმცა თითოოროლა მაინც გამორეულა, რაკი ამქვეყნად პერიკლე,არისტოტელე, ვოლტერი და ნაპოლეონი გაჩენილან. საიმპერიო მზის შუქმა არ უნდა დაჩრდილოს პირადად ადამიანი; იმპერატორი მომხიბლავი, განათლებული, გონებამახვილი კაცი იყო. ბარონი დე ნიუსინჟენი მარტოოდენ ბანკირი გახლდათ. ანგარიშის გარდა, სხვა წარმოსახვის უნარი არ გააჩნდა და ბანკირთა უმრავლესობის მსგავსად, მხოლოდ რეალური ფასეულობა სწამდა. უთვალავი ქონების პატრონს გამჭრიახი გონება ჰქონდა და თუ დასჭირდებოდა სახლის აშენება, ავადმყოფის მოვლა, ხელოვნების იშვიათი ნიმუშის ან მამულის შეძენა, არაფერს დაიშურებდა, მცოდნე პირებს რჩევას ჰკითხავდა, მოიწვევდა საუკეთესო არქიტექტორებს, სახელგანთქმულ დასტაქრებს, მხატვრობისა და ქანდაკების ნატიფ შემფასებლებს. მაგრამ რა უნდა ექნა, თუკი ხრიკების გასაბმელად ნაფიცი ექსპერტი არ არსებობს, არც განსწავლული მრჩეველი მოიძევება სიყვარულის საქმეებში. ვინ უხელმძღვანელებდა გამიჯნურებულ

ბანკირს, რომელიც ქალებთან ურთიერთობაში მეტად მოუხერხებელი გახლდათ. ნიუსინჟენმა სხვა გზა რომ ვეღარ გამოძებნა, ნაცად ხერხს მიმართა, მამრობითი თუ მდედრობითი სქესის ფრონტენს ფული შეაჩეჩა, რათა მის მაგივრად ეფიქრა და ემოქმედა. ქალბატონ დე სენტესტევის გარდა, აბა, ვის შეეძლო ბარონის მეუღლის მოსაზრებისთვის ხორცი შეესხა. ბანკირი მწარედ ნანობდა, იმ საძაგელ აზიას რატომ წავეჩხუბეო, მაგრამ, რაკი სწამდა თავისი სალაროს მაგნიტური ძალისა და გარასხელმოწერილი ტკივილდამაყუჩებელი მალამოებისა,,, ფარეშს მოუხმო. უბრძანა, ნევსენმარკის ქუჩაზე, შემზარავ ქვრივთან წასულიყო და მისთვის ეთხოვა, ბანკირს ხლებოდა. პარიზში მღელვარე ვნებათა მეოხებით უკიდურესობანი ერთმანეთს ხვდებიან: მანკიერება მდიდარს ღარიბთან აკავშირებს ნიადაგ, დიდს პატარასთან. იმპერატორის მეუღლე რჩევას ეკითხება მადმუაზელ ლენორმანს.ერთი სიტყვით, დიდი სენიორი ყოველთვის პოულობს რომელიმე რამპონოსდა ასე გრძელდება საუკუნიდან საუკუნემდე.

ახალი ფარეში ორ საათში დაბრუნდა.

ბატონო ბარონო, მოახსენა მან, ქალბატონი სენტესტევი გაკოტრებულა...
ოჰ, მიტ უქეტეზი! შესძახა გახარებულმა ბარონმა, ჩემზ ხელშია!

პატივცემულ ქალბატონს, როგორც ჩანს, ბანქოს თამაში ჰყვარებია, დასძინა მსახურმა, გარდა ამისა, გარეუბნის თეატრის ერთ კომედიანტს ყურმოჭრილ მონად გახდომია და სახელი რომ არ გაუტყდეს, ნათლულად ასაღებს. ამბობენ, ქალბატონ სენტესტევს მზარეულობაში ბადალი არა ჰყავსო და ახლა ადგილს ეძებს.

ჩოჩოხეტიზ მოციქულნი! ამ მეორეხარიზხოვან გენიოზებზ ფულიზ მოგებიზ ატი ხერხი ემარშვებატ, ხოლო გაპლანგვიზა ტორმეტი,,, გულში თქვა ბარონმა და ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მისი აზრი პანურგის აზრს ემთხვეოდა.

მსახური ხელახლა გაგზავნა ქალბატონ სენტესტევის მოსაყვანად. ქალი მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა. ქალბატონმა სენტესტევმა, ამ კაბიანმა ჯაშუშმა, ლაქიას ყველაფერი დააფქვევინა და გაიგო, სატრფოს წერილებმა რა შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ბატონ ბარონზე.

ჩანს, ბატონს ძალიან ჰყვარებია ის ქალი, დაასრულა ლაქიამ, კინაღამ სული განუტევა. მე ვურჩიე, ნუღარ მიხვალთმეთქი მასთან. ისევ მახეში გააბამენ. როგორც ამბობენ, ეგ ქალი ბატონ ბარონს უკვე ხუთასი ათასი ფრანკი დასჯდომია, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც სენჟორჟის ქუჩაზე სახლის მოწყობას მოანდომა!.. მაგრამ რა, ქალს მარტო ფულის ჯიბეში ჩაჩხრიალება ნებავს. ბატონის ოთახიდან რომ გამოვიდა, ქალბატონმა ბარონის მეუღლემ სიცილით ბრძანა, თუ ასე გაგრძელდა, ეგ გოგო დამაქვრივებსო.

დასწყევლოს ღმერთმა! თქვა აზიამ, ოქროს კვერცხების მდებელი ქათამი არასოდეს დასაკლავად არ უნდა გაიმეტო.

ბატონ ბარონს თქვენი იმედიღა აქვს, უთხრა მსახურმა.

ეჰ, მაგის მეტი რა ვიცი, ქალს როგორც მინდა, ისე ავათამაშებ!..

შებრძანდით, ქალბატონო, მიმართა ლაქიამ, რომელიც ამ იდუმალებით მოცულ ქალს მოწიწებით შესციცინებდა.

ცრუ სენტესტევმა მოკრძალებული გამომეტყველება მიიღო, ავადმყოფს მიუახლოვდა და ჰკითხა:

აბა, რა მოხდა, ბატონ ბარონს უსიამოვნება ხომ არ შეხვედრია?.. რას ვიზამთ! თავისი სისუსტის გამო ყველას სამაგიერო მიეზღვება! დარდი და ვარამი არც მე ამცდა. ორ თვეში ბედის ჩარხი უკუღმა დამიტრიალდა! ხედავთ, სადამდე მივედი? ადგილს ვეძებ!.. ვერც ერთმა ჭკუა ვერ მოვიხმარეთ, ვერც მე, ვერც თქვენ. ბატონმა ბარონმა რომ კეთილინებოს და მზარეულად მომაწყოს ქალბატონ ესთერთან, ერთგულზე ერთგულ მსახურს იშოვის და ძალიანაც გამოვადგები, ვუთვალთვალებ ეჟენისაც და ქალბატონსაც.
ეგ არ მაწუხებზ, უთხრა ბარონმა, ვერ იქნა და ვერ მოვახერხე პატრონი გავმხდარიყავი იქ, იზე დამაპროციალებენ, როგორც...

ბზრიალას, ჩაურთო აზიამ, თქვენ სხვებს აპროწიალებთ, მამილო, ხოლო ამ გოგონამ ხელში ჩაგიგდოთ და თავის ნებაზე გათამაშებთ... ღმერთი სამართლიანია!

ზამარტლიანი? გაიმეორა ბარონმა, იმიზტვინ კი არ მოგიკვანე, ჩქუა დამარიქო...

რა იყო, ჩემო შვილიკო, ცოტაოდენი ჭკუის დარიგება არავის აწყენს. ჩვენისთანებისთვის ეგ ისევეა ცხოვრების მარილი, როგორც ღვთისმოშიშებისთვის მანკიერება. ახლა მითხარით, ხელგაშლილად იქცეოდით? ვალები გადაუხადეთ?

დიახ, საცოდავად ამოიკვნესა ბარონმა.

კარგია. გამოისყიდეთ მისი ნივთები? მაგას რა ჯობს, მაგრამ საკმარისი არ გახლავთ... ეგ ხომ სიცილადაც არ ეყოფა, მაგისთანა გოგოებს კუდის გაქნევა უყვართ, თავის მოწონება.

ზიურპრიზ? ვუმზადეფ სენშორშის ქუჩაზე... ტვიტონაც იციზ... უთხრა ბარონმა, მაგრამ არც იზ მინდა, დოქლაპიად ჩამტვალონ.

რა იყო, ადექით და გაშორდით...

ზცორედ მაგიზ მეშინია, გაშორებაზე უარზ არ მეტქვიზ, შეჰყვირა ბარონმა.

ჰოო, ჩვენ კი არ გვინდა ფული წყალში გადავყაროთ, ჩემო შვილიკო, მიუგო აზიამ, მომისმინეთ. ხალხს რამდენი მილიონი დააძვრეთ, გენაცვალე! ამბობენ, ოცდახუთი მილიონი აქვსო (ბარონმა ღიმილი ვერ შეიკავა), ჰოდა, ერთი უნდა გაიმეტოთ...

ზიამოვნებიტ გავიმეტებდი, უთხრა ბარონმა, მაგრამ ერტზ გავიმეტებ ტუ არა, მეორეზაც მომტხოვენ.

დიახ, გასაგებია, დათანხმდა აზია, გეშინიათ ბანი,, არ წამოგცდეთ, რადგან იძულებული გახდებით ჰაემდე,, მიხვიდეთ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ესთერი პატიოსანი გოგოა...

მეტიზმეტად პატიოზანი გახლავტ! შესძახა ბარონმა, უნდა ვალი გაიზტუმროზ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ვალი.

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, თქვენი ხასობა არ უნდა, გულაზიზი ვინმეა, ხომ გასაგებია! როგორც მოეპრიანებოდა, ისე იქცეოდა, ყმაწვილკაცებთან ყოფნასაა მიჩვეული და რა ჯანდაბად უნდა ბებრუხანა... არცთუ ლამაზი ბრძანდებით, თანაც ლუი XVIIIსავით სქელუა ხართ, ცოტაც ჩერჩეტი, როგორც ყველა კაცი, დღენიადაგ ფულის მოხვეჭაზე რომ ზრუნავს და ქალებს ზედაც არ უყურებს. კარგი, რაც არის, არის, თუ ჩემთვის ექვსასი ათას ფრანკს არ დაინანებთ, უთხრა აზიამ, სიტყვას გაძლევთ, მაგ გოგოს თქვენს ჭკუაზე ავათამაშებ.

ექვზაზი ატაზი ფრანქიო! შეჰყვირა ნიუსინჟენმა და ოდნავ შეხტა კიდეც, ეზდერი უკვე ერტი მილიონი დამიჩდა!..

ბედნიერება განა მილიონ ექვსასი ათას ფრანკზე მეტი არ ღირს, ჩემო ღიპიანო წუწკო? რამდენ კაცს იცნობთ, რომლებსაც თქვენ თვალწინ არა ერთი და ორი მილიონი გაუფლანგავთ თავიანთი საყვარლების გულისთვის. ისეთ ქალებსაც ვიცნობ, ვისთვისაც კაცებს სიცოცხლე გაუწირავთ და ეშაფოტზე ასულან... ხომ გაგიგონიათ, ერთმა ექიმმა მეგობარი კაცი რომ მოწამლა?.. უნდოდა მისი ქონება მიეთვისებინა და სატრფო გაებედნიერებინა.

დიახ, ვიცი ექ ამბავი, მაგრამ თუ შექვარებული ვარ, იმაზ ქი არ ნიშნავზ, ვიტომც ზულელიცა ვარ, ქოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა ეზდერიზგან შორზ ვიმქოპები, ტორემ როცა ვხედავ, რომ მტხოვოზ, რაც რამ გამაჩნია, ვერ დავუკავებ...

მომისმინეთ, ბატონო ბარონო, მიმართა აზიამ და სემირამიდას პოზა მიიღო, როგორც ვხედავ, თქვენთვის ტყავი მაგრად გაუძვრიათ. ხომ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ წინაშე სენტესტევი დგას, ისევ დამიჯერეთ, ესთერთან მოლაპარაკებისას თქვენს მხარეს დავიჭერ.

ქარქი!.. არც მე დაგრჩებით ვალში.

მჯერა, რადგან უკვე დაგიმტკიცეთ, როგორ შემიძლია შურისძიება. გარდა ამისა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მამილო, აზიამ შემზარავად შეხედა ნიუსინჟენს, ისევე იოლად შემიძლია ესთერს მოვულბო გული, როგორც სანთელს ნამწვი მოვაშორო. მერედა, როგორ კარგად ვიცნობ მაგ ქალს! როდესაც ეგ პატარა კუდიანი ბედნიერებას მოგანიჭებთ, უფრო მეტად გახდება თქვენთვის საჭირო, ვიდრე დღესაა. საკმაოდ კი ამინაზღაურეთ შრომა, მართალია, ბევრი ჯაჯღანი დამჭირდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აღარაფერი დაიშურეთ! ვერც მე დამემდურებით, რაც დაგპირდით, შეგისრულეთ კიდეც, ხომ მართალია, არა? ჰოდა, ახლა მომისმინეთ, ხელშეკრულება დავდოთ.

ქარქი, გიზმენტ.

ქალბატონთან მზარეულად მომაწყობთ. ათი წლით გამირიგდებით. ათას ფრანკს დამინიშნავთ და ხუთი წლის ქირას წინასწარ გადამიხდით (როგორც საწინდარს!). ერთი მოვიკალათებ ქალბატონთან და ნახავთ, თანდათან როგორ დავიყაბულებ ყველაფერზე. მაგალითად, გადასარევ ტანსაცმელს მიართმევთ, შეაკერვინებთ ქალბატონ ოგიუსტს, რომელიც კარგად იცნობს ქალბატონის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს; აგრეთვე გასცემთ განკარგულებას, რათა ოთხ საათზე მის კართან ახალი კარეტა მივიდეს. ბირჟაზე საქმეს რომ მოათავებთ, მასთან შეივლით და ბულონის ტყეში სასეირნოდ წახვალთ. ასე და ამგვარად, ეს ქალი საქვეყნოდ აღიარებს, რომ თქვენი ხასაა და მთელი პარიზის წინაშე ვალდებულებას იღებს, ეს როლი შეასრულოს... სულ ასი ათასი ფრანკი დაგიჯდებათ... მასთან ერთად ისადილებთ (მე კი ასეთი სადილების მომზადებაზე უკეთ, აბა, რა მეხერხება!). მერე თეატრშიც წაიყვანთ, ვარიეტეში, ლოჟაში გამოჭიმავთ და მაშინ მთელი პარიზი იტყვის: აგერ, ბებერი მუსუსი ნიუსინჟენი თავის საყვარელთან ერთად,.. ხომ სასიამოვნოა, არა, ხალხი ასე რომ არის დარწმუნებული? ამ წარმატების მოპოვება იმ ასი ათასი ფრანკის ღირებულებაში შევა. მე კეთილი გული მაქვს... გავა ერთი კვირა და თუ ჩემს ჭკუაზე ივლით, წინ წაიწევთ.

გადავიხდი მაგ აზი ატაზ ფრანქზ...

მეორე კვირას, განაგრძობდა აზია, ვითომდაც ვერ გაიგო ეს საცოდავად ნათქვამი სიტყვები, ქალბატონს მოხიბლავს თქვენი ყურადღება, მიატოვებს თავის პატარა სადგომს და თქვენ

მიერ შეთავაზებულ სასახლეში დასახლდება. ესთერი საზოგადოებაში დატრიალდება, თავის ყოფილ მეგობრებს ხელახლა შეხვდება, თავის მოწონებას მოინდომებს და ნახავთ, სასახლეში რა წვეულებებს გამართავს! ყველაფერი მოწესრიგდება... ესეც ასი ათასი ფრანკი! ღმერთმანი, თქვენ უკვე საკუთარ სახლში ბრძანდებით, ესთერს სახელი გაუტყდა... იგი თქვენია.

სულ რაღაც უმნიშვნელო რამ დაგრჩენიათ, თქვენ კი უსაზღვროდ გაბერეთ ეს ამბავი, ბებერო სპილოვ (დახე, როგორ დაჭყიტა თვალები ბებერმა ურჩხულმა)! ჰო, კარგი, ჯანდაბას, ვკისრულობ ამ საქმეს. ოთხასი ათასი ფრანკი... ჰო, ნუ წუხხარ ამაზე, ჩემო ღიპიანო, მეორე დღეს მომეცი... განა პატიოსნად არ გექცევი, რას იტყვი?.. მე შენ უფრო გენდობი, ვიდრე შენ მე. თუ ქალბატონს დავითანხმებ, თავი მოიჭრას და ვინ იცის, იქნებ დღესვე საქვეყნოდ ხასად დაგიჯდეთ, თქვენგან საჩუქრები მიიღოს, მაშინ ხომ არ დაიჯერებთ, რომ შემიძლია თქვენთვის გზა გავახსნევინო სენბერნარის სიმაღლეებისკენ, ეს კი ადვილი საქმე არ გახლავთ, ხომ ასეა? თქვენს არტილერიას იმდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდება, რამდენიც პირველ კონსულს მოუხდა ალპებზე გადასვლისას.

მერედა, რატომ?

გული სიყვარულით აქვს აღვსილი რეზიბეს

,როგორც თქვენ, ლათინურის მცოდნენი ამბობთ, განაგრძო მან, საბაელთა დედოფალს ეტოლება, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შეექმნა, რადგან საყვარლისთვის უამრავი მსხვერპლი გაიღო. ხედავთ, მაგნაირ გომბიოებს რა სულელური აზრებით აქვთ თავი გამოტენილი! ეჰ, ჩემო პაწიავ, სამართლიანობა გვმართებს, მართლაც მშვენიერია ასეთი საქციელი! სულაც არ გამიკვირდება, თუ ეს ტუტრუცანა გოგო დარდით ფეხებს გაჭიმავს, თქვენ დაეპატრონებით თუ არა. ერთი რამ მამშვიდებს და ამას იმიტომ გეუბნებით, რომ გაგამხნევოთ; ასეა თუ ისე, მეძავის ცხოვრება გაუვლია და მაგრადაა გამოწრთობილი.

ბარონი დუმდა და აღტაცებით უსმენდა აზიას.

შენ იზეტივე ნიჭი გაქვს ადამიანიზ გატახზირებიზა, უთხრა მან, როგორც მე საბანქო ზაქმეებიზ გაჩარხვიზა.

მაშ, შევთანხმდით, ჩემო ქურციკო? ჰკითხა აზიამ.

ქარქი, გაზლევ ორმოცდაატ ატაზ ფრანქზ აზი ატაზიზ ნაცვლად!.. და ხუტაზ ატაზზ მიიღებ დამატებიტ ჩემი გამარშვებიზ მეორე დღეზვე.

კარგი, წავალ სამუშაოდ, მიუგო აზიამ თავაზიანად, თქვენც შეგიძლიათ მობრძანდეთ! განაგრძო მოწიწებით, ბატონს ქალბატონი ფისოსავით ალერსიანი დაუხვდება და რა ვიცით, იქნებ ისე განეწყოს, რომ გაამოთ.

ცადი, ცადი, შენი ჩირიმე, ეუბნებოდა ბანკირი და თან ხელებს იფშვნეტდა. მერე ამ შემზარავ მულატს გაუღიმა და გაიფიქრა: რა ჩქვიანურია, როცა ქაცზ ბევრი პული აქვზ!,,

მაშინვე ლოგინიდან წამოხტა, კანტორაში წავიდა და მხიარული გულით შეუდგა თავისი უზარმაზარი საქმეების მართვას.

არაფერი იყო ისე დამღუპველი ესთერისთვის, როგორც ნიუსინჟენის ეს გადაწყვეტილება. საბრალო კურტიზანისთვის ლუსიენის ერთგულების დაცვა საკუთარი სიცოცხლის დაცვას უდრიდა. კარლოსი ამ ესოდენ ბუნებრივ საქციელს პრანჭვად უთვლიდა. ამასობაში აზია, როგორც ყოველთვის, დიდი სიფრთხილით გაემართა კარლოსისკენ, რათა ეცნობებინა ბარონთან გამართული თათბირისა და სარფიანი გარიგების ამბავი. კარლოსის რისხვა ისევე შემზარავი გახლდათ, როგორიც შემზარავი იყო თვით ეს კაცი. მაშინვე ფარდებჩამოშვებულ კარეტაში ჩაჯდა და ესთერთან წავიდა. კარეტა ეზოში შეიყვანა. ორმაგად ყალბი, ბრაზისგან ფერწასული მამაკაცი საბრალო გოგონას მიუახლოვდა. ქალი ფეხზე წამოდგა, კარლოსს შეხედა და აცახცახებული მოცელილივით დაეცა.

რა მოგსვლიათ, ბატონო? ძლივს ამოილუღლუღა მან.
დაგვტოვე, ევროპა, უბრძანა მღვდელმა მოახლეს.

ესთერმა ამ გოგოს ისეთი მზერა მიაპყრო, დედას რომ შეხედავს ბავშვი, რომელსაც ყაჩაღი მშობლის კალთას გლეჯს და მოკვლას უპირებს.

იცით, სად მიგყავთ ლუსიენი? განაგრძო კარლოსმა.
სად? ამოიკნავლა გასავათებულმა ქალმა, მერე ძლივძლივობით მოიკრიბა გამბედაობა და თავის ჯალათს თვალი თვალში გაუყარა.

იქ, საიდანაც მე მოვედი, ჩემო მარგალიტო.

ესთერის გარშემო ყველაფერი თითქოს წითლად შეიღება.

კატორღაში, დაუმატა კარლოსმა ჩურჩულით.

ესთერს თვალთ დაუბნელდა, ფეხები გაუშეშდა, ხელები უღონოდ ჩამოუვარდა, მკვდრისფერი დაედო. კაცმა ზარი დარეკა, პრუდანსი შემოვიდა.

გონზე მოიყვანე, უთხრა ცივად, ჯერ არ დამიმთავრებია.
ესთერის მოსულიერებამდე სალონში ბოლთის ცემას მოჰყვა. პრუდანსევროპამ რაკი თავად ვერაფერი გააწყო, იძულებული გახდა, ბატონისთვის ეთხოვა, ესთერი საწოლში გადამაყვანინეთო. კარლოსმა ბუმბულივით აიტაცა ქალი, ჩანდა, ბუმბერაზის ღონე ჰქონდა. იმწამს მძლავრი მოქმედების წამალი გამოუძებნეს. ესთერი მაშინვე გონზე მოიყვანეს, რადგან დაუყოვნებლივ უნდა გაეგო, თუ რა მწარე ხვედრი არგუნა ბედმა. მალე შეძლო მოესმინა ცოცხალი კოშმარისთვის, საწოლის ფეხთით რომ უჯდა და მისთვის მიეშტერებინა ტყვიასავით ალაპლაპებული თვალები, რომლებიც ლამის აბრმავებდნენ გოგოს.

სულო ჩემო, ისევ განაგრძო კარლოსმა, ლუსიენი ცხოვრების გზაჯვარედინზე დგას: ერთ მხარეს მოელის ბედნიერი, ღირსეული, ბრწყინვალე ცხოვრება, მეორე მხარეს ქვებითა და ღორღით სავსე დამყაყებული მორევი, სადაც აპირებდა გადავარდნას, როცა მე შევხვდი. დე გრანლიეთა ოჯახი ამ საყვარელ ბიჭუნას ერთი მილიონის ღირებულების მამულს სთხოვს, სანამ უბოძებდეს მარკიზის ტიტულსა და აწოწილი ჭოკის ხელს, სახელად რომ კლოტილდი ჰქვია, და ძალაუფლებასაც მოუპოვებს. მე და შენი წყალობით ლუსიენმა შეიძინა დედისეული მიწაწყალი, დე რიუბამპრეთა ძველებური ციხედარბაზი, რაც არცთუ ძვირი ღირდა რაღაც სამასი ათასი ფრანკი, მაგრამ მის ადვოკატს ბედმა გაუღიმა და მოახერხა, სასახლესთან ერთად, ერთ მილიონად მიწაწყალიც ეყიდა. ჯერჯერობით სამასი ათასი ფრანკის მეტი არ გადაუხდიათ. დანარჩენი ფულიც ციხედარბაზს მოუნდა, სხვადასხვა წვრილმან ხარჯებს, იმ შუამავლების დაქრთამვას, რომელთაც ხელი შეგვიწყვეს, რათა ადგილობრივ მკვიდრთ ჩვენი გარიგება არ გაეგოთ. ასი ათასი ფრანკი დაბანდებული გვაქვს ისეთ საქმეში, რაც რამდენიმე თვეში ორასი ან სამასი ათასი ფრანკის სარგებელს მოგვცემს, მაგრამ ოთხასი ათასი ფრანკი მაინც გადასახდელი გვრჩება... სამი დღის შემდეგ ლუსიენი ანგულემიდან დაბრუნდება. იქ ხომ იმისთვის წავიდა, რომ ვინმემ არ იფიქროს, ვითომც თავისი ავლადიდება თქვენი ლეიბების ტკეპნით დაეგროვებინოს...

ოჰ, არა, შესძახა კეთილშობილი ზრახვებით შეპყრობილმა ესთერმა და თვალები კარლოსს შეანათა.

ახლა კი მიპასუხეთ, განა იმის დროა ახლა, რომ ბარონი დავაფრთხოთ? დაუყვავა კარლოსმა, თქვენ კი გუშინწინ კინაღამ მომიკალით! ქალივით გული შეჰღონებია თქვენი მეორე წერილის წაკითხვისას. ამაყი ბრძანდებით, არ შემიძლია არ მოგილოცოთ, შესანიშნავადაც წერთ, მაგრამ ბარონმა რომ თქვენი ჭირი წაიღოს, რაღა გვეშველება? როცა ლუსიენი გამოვა თომა აკვინელის ტაძრიდან კლოტილდ დე გრანლიეზე ჯვარდაწერილი და თქვენ კი სენაში ჩაყურყუმელავებას იგებებთ... მაშინ, რაც იყოს, იყოს, გვრიტო, ხელს გამოგიწვდით და ერთად გადავხტეთ, ხანდახან ასეც ასრულებენ სიცოცხლეს. მაგრამ, აბა, ცოტა დაუფიქრდით. განა უმჯობესი არაა, ცოცხლობდე და ყოველ წამს გულში ამბობდე: რა ბრწყინვალე ბედიღბალი, რა მშვენიერი ოჯახი აქვს ამ კაცს,.. ოჯახიო, ვამბობ, რადგან ხომ ეყოლება

შვილები! შვილები!.. (ოდესმე გიფიქრიათ, რაოდენ სასიამოვნო იქნება მის შვილებს თავზე ხელი გადაუსვა?..).

ესთერმა თვალები დახუჭა და ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

ჰოდა, ბედნიერების ამ საუფლოს შეხედავ და იტყვი: ეს ჩემი ნახელავია!,,
კარლოსი გაჩუმდა. ამ ორმა არსებამ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარა.

აი, რისთვის ვიღვწოდი, ვცდილობდი, სასოწარკვეთილებით შეპყრობილი კაცი, წყალში გადავარდნას რომ აპირებდა, ბედს მეწია! განაგრძო კარლოსმა, თქვენ კი ეგოისტს მიწოდებთ! აი, როგორია ნამდვილი სიყვარული! ასე მხოლოდ მეფეებისთვის დებენ თავს. მე კი სამეფო გვირგვინი ჩემს ლუსიენს დავადგი. სიცოცხლის დარჩენილი დღეები უწინდებურად თუნდაც ბორკილგაყრილმა გავატარო, ასე მგონია, მაინც მშვიდად ვიგრძნობ თავს, რაკი უფლებას მოვიპოვებ ვთქვა: ის მეჯლისზეა, მეფის კარზეა!,, ჩემი სული და გონება გამარჯვებას იზეიმებს, თუნდაც ხორცს შენსას ციხის მცველები ჯიჯგნიდნენ. თქვენ ერთი უბადრუკი ძუ ხართ და სიყვარულიც დედაკაცური შეგიძლიათ! მაგრამ კურტიზანისთვის, როგორც ყველა გადაგვარებული არსებისთვის, სიყვარული დედობრივი გრძნობის გასაღვივებელ საშუალებად უნდა იქცეს ბუნების ჯიბრზე, რომელიც ბერწად გტოვებთ! თუკი ოდესმე კარლოს ერერას ტყავში შემძვრალ ყოფილ კატორღელს მიაგნებენ, იცით, რას ვიზამ, ოღონდ ლუსიენს სახელი არ შევუბღალო?

ესთერი შეშფოთებული ელოდებოდა პასუხს.

კარგი, გეტყვით, განაგრძო მცირეოდენი დუმილის შემდეგ ერერამ, ზანგებმა რომ იციან, ისე მოვიკლავ თავს, საკუთარ ენას გადავყლაპავ. ხოლო თქვენ თქვენი მანჭვაგრეხით ჩემს კვალზე აყენებთ მტერს. მერედა, რა გთხოვეთ ისეთი?.. ლა ტორპილის კაბაში გაეხვიოთ ექვსი თვით ან ექვსი კვირით და ერთი მილიონი გამოსტყუოთ... ლუსიენს სამუდამოდ დაამახსოვრდება თქვენი ამაგი! კაცი არასოდეს ივიწყებს იმ ადამიანს, რომლის წყალობითაც ბედნიერებას ეწია და ყოველ დილას გულარხეინად იღვიძებს, მდიდარი და უზრუნველყოფილი. ლუსიენი თქვენ გჯობიათ... კორალი უყვარდა. მერე კორალი მოკვდა. კარგი და პატიოსანი. ლუსიენს ერთი გროშიც კი არ გააჩნდა მის დასამარხავად. ისე კი არ მოიქცა, როგორც თქვენ ამ წუთში იქცევით. გული კი არ შეუღონდა, თუმცა პოეტია. ექვსი მხიარული სიმღერა შეთხზა, სამასი ფრანკი მიიღო და კორალი დაასაფლავა. ეს სიმღერები მე მაქვს შენახული. ზეპირად ვიცი. აჰა, თქვენც შექმენით სიმღერები: იყავით მხიარული, გიჟმაჟი! იყავით წარმტაცი და გაუმაძღარი!.. ხომ გამიგეთ? მეტს ნუღარ მალაპარაკებთ... აკოცეთ მამილოს. მშვიდობით!
ნახევარი საათი გავიდა. ევროპა თავის ქალბატონთან მივიდა. მას ჯვარცმის წინაშე მუხლი მოეყარა ისეთი პოზით, რაც ყველაზე ღვთისმოსავმა მხატვარმა მისცა სინაის მთის

მაყვლოვანში დამხობილ მოსეს, რათა იეღოვას თაყვანისცემის მთელი სისავსე და სიღრმე გამოეხატა. ესთერმა უკანასკნელი ლოცვა წარმოთქვა, დაემშვიდობა მშვენიერ არსებობას, სიდიადეს, სათნოებას, სიყვარულს, სინდისს, სიქველეს, რაიც თავადვე შეიქმნა და ფეხზე წამოდგა.

აჰ, ქალბატონო, თქვენ ასეთი აღარასოდეს იქნებით! შესძახა ესთერის ღვთაებრივი მშვენიერებით მოჯადოებულმა პრუდანს სერვიენმა.

იმწამსვე სარკე მოურბენინა და საბრალო გოგოს დაანახვა თავისი თავი. ესთერს თვალებში ჯერ კიდევ უციმციმებდა მცირეოდენი ანარეკლი სულისა, რომელიც ცისკენ მიფრინავდა. ებრაელ ქალს კანი თეთრად უელავდა. ცრემლით დანამული და ლოცვის მგზნებარებით შემშრალი წამწამები ზაფხულის წვიმის შემდეგ აბიბინებულ ფოთლებს მიუგავდა და ზედ უკანასკნელად კიაფობდა სიყვარულის მზის სხივი. ბაგეებზე თითქოს აღბეჭდოდა უკანასკნელი ღაღადისი ანგელოზებისადმი, რომელთაც, უეჭველია, მარტვილობის პალმა ესესხა და ანგელოზებისთვისვე ჩაებარებინა თავისი ცხოვრების უსპეტაკესი წუთები. ისევე დიდებული სანახავი იყო, როგორიც იყო, ალბათ, მერი სტიუარტი, როცა სადედოფლო გვირგვინს, მშობლიურ მიწასა და სიყვარულს ემშვიდობებოდა.

ნეტავი ლუსიენს დავენახე ასეთი, თქვა მან და გულიდან უნებლიეთ ოხვრა აღმოხდა, ახლა კი, ათრთოლებული ხმით დასძინა, მიდი, დაუკარი!..
ამის გაგონებაზე ევროპა სახტად დარჩა და ისე გაშტერდა, თითქოს ანგელოზს წამოსცდენოდეს ეს მკრეხელური სიტყვები.

ჰო, რა იყო, რას შემომჩერებიხარ, თითქოს კბილების ნაცვლად პირში ლურსმნები ამომჩროდეს. დღეის შემდეგ მე ერთი ბილწი, ზნედაცემული გომბიო ვარ, კახპა, ქურდბაცაცა და მილორდს ველოდები. აბა, გაახურე აბაზანა და ტანსაცმელიც მომიმზადე. უკვე შუადღეა, ბარონი, ალბათ, ბირჟის მერე მობრძანდება. ვეტყვი, გელოდებიმეთქი. აზიას კი გადაეცი, ისეთი ნუგბარნუგბარი რამერუმეები მოამზადოს სადილად, რომ კაცმა თითები ჩაიკვნიტოს. ბარონი უნდა გავაგიჟო. აბა, ჩემო კარგო, დატრიალდი... ვიცინოთ, ვიმხიარულოთ, ერთი სიტყვით, ვიმუშაოთ.

მერე მაგიდას მიუჯდა და უსტარი დაწერა:

ჩემო მეგობარო, თქვენ რომ მზარეული გამომიგზავნეთ, უწინ რომ არ ყოფილიყო ჩემი მსახური, ვიფიქრებდი, ბარონმა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ მომგვარა, რათა გამეგო, გუშინწინ, ჩემი სამი ბარათის მიღების გამო რამდენჯერ შეუღონდა გულიმეთქი (რა ვქნა, იმ დღეს ნერვები ამეშალა, ჩემი დუხჭირი ცხოვრება მომაგონდა). მაგრამ კარგად ვიცნობ აზიას გულწრფელობას. სულაც არ ვნანობ, მწუხარება რომ მოგაყენეთ, რადგან დავრწმუნდი, თქვენთვის მართლაც ძვირფასი ვყოფილვარ. ასეთები ვართ ჩვენ, საბრალო, აბუჩად

აგდებული არსებანი: ჭეშმარიტი სიყვარული უფრო მეტად გვიჩუყებს გულს, ვიდრე ჩვენთვის გიჟურად გადაყრილი უამრავი ფული. მეშინოდა, ვაითუ მხოლოდ პატივმოყვარული სურვილები ამოქმედებს და საგამოფენო ვიტრინად ვუნდივარმეთქი. მწუხარება მეუფლებოდა, რაკი თქვენთვის ამაზე მეტი სხვა არაფერი უნდა ვყოფილიყავი. დიახ, მიუხედავად თქვენი მომაჯადოებელი დაპირებებისა და ფიცისა, დარწმუნებული გახლდით, რომ ჩემში მარტოოდენ ისეთ ქალს ხედავდით, ვისაც ფულით ყიდულობენ. რაც იყო, იყო, ახლა თქვენ დამჯერი გოგონა დაგიხვდებათ, მხოლოდ ერთი პირობით, ცოტათი მაინც უნდა დამემორჩილოთ. თუკი ამ ბარათს ექიმის დანიშნულებათა შეცვლა შეუძლია, ბირჟის შემდეგ გამომიარეთ. აქ დაგიხვდებათ მთელი საჭურვლით აღკაზმული და თქვენი საჩუქრებით დამშვენებული ქალი, ვინც სამარადისოდ დარჩება თქვენი სიამტკბილობისთვის შექმნილ მანქანად.

ესთერი,,.

ნეტარებით სახეგაბადრული ბარონი დე ნიუსინჟენი ბირჟაზე ისე გიჟმაჟურად იქცეოდა, ისე კმაყოფილი და დამყოლი ჩანდა, ისე ხუმრობდა, რომ იქვე მყოფმა დიუ ტიემ და კელერმა ვეღარ მოითმინეს და ჰკითხეს, რამ გაგამხიარულაო.

ვუქვარვარ... მალე ახალმოზახლეობაზ ვიზეიმებტ, უთხრა მან დიუ ტიეს.
მერე, რამდენი დაგიჯდათ ეგ? მიახალა ფრანსუა კელერმა, რომელიც, ამბობდნენ, ქალბატონ კოლვილს წელიწადში ოცდახუთ ათასს ახარჯავსო.

ეზ ქალი ხომ პირცავარდნილი ანგელოზია, ჯერ ერტი ლიარდიც არ უტხოვნია ჩემტვიზ.

ყოველთვის ასეა, მიუგო დიუ ტიემ, სწორედაც არაფერს გთხოვენ, მაგრამ გვერდიდან არ იშორებენ ვიღაც დედაკაცებს, რომელთაც დეიდებად და დედებად ნათლავენ.

ბირჟიდან ტეტბუს ქუჩამდე ბარონმა ერთი შვიდჯერ მაინც უთხრა ლაქიას, კუს ნაბიჯით მივდივართ, ცხენებს შოლტი გადაუტყლაშუნეთო.

კიბე ცქვიტად აირბინა და თავისი სატრფო პირველად იხილა ისეთი მშვენიერი, როგორიც არიან ის გოგოები, რომელთა ერთადერთი საქმიანობაც ჩაცმადახურვასა და სილამაზეზე ზრუნვაა. სააბაზანოდან გამოსული ყვავილი ისე ნორჩი იყო და ისეთ სურნელს აფრქვევდა, რომ თვით რობერ დჟარბრისელსაცკი აუშლიდა ვნებას. ესთერს თვალწარმტაცი საშინაო ტანსაცმელი ემოსა: პირისფერი აბრეშუმის ყაითნით გაწყობილი შავი რიფსის გრძელი, ქვემოთ გაშლილი ტუნიკა და ნაცრისფერი ატლასის ქვედაკაბა. ეს კოსტიუმი მოგვიანებით მშვენიერმა ამიგომ გადაიღო, როცა ოპერა I პურიტანი,,შითამაშობდა. მხრებზე კეკლუცად მოეგდო მაქმანის ხილაბანდი. სახელოებზე წვრილი ლენტი ყოფდა ბუფებს, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინ პატიოსანმა ქალებმა მხრებთან უზომოდ ფართო, მეტად უშნო

სახელოებით შეცვალეს. ესთერს მშვენიერ თმაზე ქინძისთავით დაემაგრებინა ფლამანდიური მაქმანის ჩაჩი, ცელქუნას,, რომ უწოდებენ და ასე გგონია, სადაც არის გაფრინდებაო. ამ ჩაჩში ქალი მოუვლელი და პირდაუბანელი ჩანს, თუმცა ესთერს ხუჭუჭა თმა შუაზე გულმოდგინედ გაეყო და პატარა თავზე თეთრი ზოლი მკაფიოდ მოუჩანდა.

რა საშინელებაა, ასეთი მშვენიერი ქალბატონი გამოზუნებულ სასტუმროში იყოს! მიმართა ევროპამ ბარონს, როცა სალონის კარი გაუღო.
მაშინ ცამომქევიტ ზენშორშის ქუჩაზე, უთხრა ბარონმა და ისე გაინაბა, როგორც მეძებარი ძაღლი გნოლის პირისპირ, მშვენიერი დარია, ელისეს მინდვრებისკენ გავიზეირნოტ, ხოლო ქალბატონი ზენტეზტევი და იშენი მტელზ ტქვენზ ტანსაცმელზე, ტეტრეულსა და ჩვენზ ზადილზ ზენშორშიზ ქუჩაზე გადაიტანენ.

როგორც მიბრძანებთ, ისე მოვიქცევი, მიუგო ესთერმა. ოღონდაც კეთილინებეთ და ჩემდა საამებლად, ჩემს მზარეულს დაუძახეთ აზია, ხოლო ეჟენის ევროპა. ყველა მსახურს ასე ვუწოდებდი, რაკი პირველ ორს ეს მეტსახელი შევარქვი. მე არ მიყვარს ცვალებადობა...

აზია... ევროპა... გაიმეორა ბარონმა და გადაიხარხარა, რა ზაზაცილო ჩვეულება გქონიატ... დიდი ცარმოზახვიზ უნარიტ ქოპილხარტ დაშილდოებული... მიზი დამზადებული უამრავი ზადილი უნდა შემეჩამა, ზანამ მხარეულზ ზახელად აზიაზ შევარქმევდი.

ჩვენი მდგომარეობა გვავალდებულებს, თავშესაქცევნი ვიყოთ, უთხრა ესთერმა, ნუთუ საბრალო ქალიშვილს არა აქვს უფლება, აზიამ აჭამოს და ევროპამ ჩააცვას, თუკი თქვენ მთელი ქვეყანა გემსახურებათ? ეს ხომ უბრალო ჩვეულებაა და მეტი არაფერი. არიან ქალები, რომელთაც მთელი მსოფლიოს გადაყლაპვა შეუძლიათ, მე კი ნახევარიც მეყოფა. ესაა და ეს!

რა ქალი ყოფილა ეს სენტესტევი!,, გაიფიქრა ბარონმა, რომელსაც ესთერის გუნებაგანწყობის შეცვლა გულს სიხარულით უვსებდა.

ევროპა, ჩემო გოგონავ, ქუდი მჭირდება, უთხრა ესთერმა, მაქმანებით გაწყობილი, ფართოფარფლებიანი, სარჩული პირისფერი უნდა ჰქონდეს, თვითონ შავი ატლასისა უნდა იყოს.

ქალბატონ ტომას არ გამოუგზავნია... აბა, ბარონო, გაინძერით! ჩქარა, ჩქარა! გადაადგით ტორები! ბედნიერება მძიმე ტვირთია!.. კაბრიოლეტი აქვე გყავთ, გაეშურეთ ქალბატონ ტომასთან, უთხრა ევროპამ ბანკირს, მსახურს შეგზავნით და სთხოვთ ქალბატონ ვან ბოგსეკის ქუდს... მეტადრე ნუ დაივიწყებთ, ჩასჩურჩულა ყურში, მიართვათ უმშვენიერესი თაიგული, რაც კი მოიძებნება პარიზში. ზამთარია, შეეცადეთ ტროპიკული ყვავილების თაიგული იშოვოთ.

ბარონი ქვევით ჩავიდა და ლაქიას უბრძანა:

მატამ ტომაზტან!

მსახურმა ბატონი ცნობილ მეშაქარლამესთან მიიყვანა.

აბა, ეზ რაზა ჰგავზ, მექუდეზტან უნდა მივზულიქავი და მეშაქარლამეზტან მომიქვანე, უთხრა ბარონმა და მაშინვე პალერუაიალისკენ გაიქცა, ქალბატონ პრევოსთან, რომელსაც ხუთ ლუიდორად ღირებული თაიგული შეაკვრევინა. ამასობაში მისი მსახური მოდის სახელგანთქმულ კანონმდებელთან მიეშურებოდა.
პარიზში ხეტიალისას ზერელე დამკვირვებელი თავის თავს ეკითხება, ნეტავი ვინ შეიძლება იყოს ისეთი გიჟი, რომ სახელგანთქმული მეყვავილის ვიტრინებში გამოფენილი ზღაპრული ყვავილები იყიდოსო; ანდა რა ჯიბე გაუძლებს ევროპელ შევეს ნუგბარნუგბარებს. მის გარდა, თუ არ ჩავთვლით როშედეკანკალს,,, სხვას არავის შეუძლია საზოგადოებას მოუწყოს ახალი თუ ძველი ქვეყნის ბუნების ძღვენთა ნამდვილი და თვალწარმტაცი გამოფენა... პარიზში ყოველდღე ასობით წარმოიშვება ნიუსინჟენის გატაცებისდარი ვნება, რომელთა სიღრმე იმ იშვიათობით განიზომება, რის შეძენასაც თვით დედოფლებიც კი ვერ ბედავენ, ისეთ გოგონებს კი, რომლებიც, აზიის თქმისა არ იყოს, კუდაბზიკობის მოყვარულნი ბრძანდებიან,,, მუხლმოდრეკით მიართმევენ. ამ პატარა დეტალის გარეშე პატიოსანი ბურჟუა დედაკაცი ვერ გაიგებს, უთვალავი სიმდიდრე როგორ უქრება ხელში ამგვარ არსებებს, რომელთაც, ალბათ, განსაზღვრული ფუნქცია აკისრიათ თანახმად ფურიეს სისტემისა; მათ ევალებათ სიძუნწითა და სიხარბით გამოწვეული ბოროტების გამოსწორება. ფულის ასე განიავება, უეჭველია, სოციალური ორგანიზმისთვის იგივეა, რაც სისხლჭარბი ადამიანისთვის ლანცეტის ჩხვლეტა. ორ თვეში ნიუსინჟენმა სავაჭრო არხებში ორასი ათასზე მეტი ფრანკი ჩაუშვა.

სანამ ბებერი მიჯნური ესთერთან დაბრუნდებოდა, დაღამდა კიდეც და აბა, ვის რაღად უნდოდა თაიგული. ზამთარში ელისეს მინდვრებზე ორიდან ოთხ საათამდე სეირნობენ. კარეტა კი გამოადგა ესთერს ტეტბუს ქუჩიდან სენჟორჟის ქუჩაზე წასასვლელად. მას სრულ საკუთრებად გადაექცა ფატარა ზაზახლე,,. უნდა გამოვტყდეთ, ესთერს არასოდეს ღირსებია არც ესოდენ უღრმესი თაყვანისცემა და არც ხელგაშლილობა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მსგავსად უმადური დედოფლისა, წარბიც კი არ შეიხარა, ვითომდა ამის მეტი რა მინახავსო. რომის წმინდა პეტრეს ტაძარში, რომელსაც საკათედრო ტაძართა შორის ბადალი არ მოეპოვება, შენობის სიმაღლის თვალსაჩინოებისთვის რომელიმე ქანდაკების ნეკზე მიგითითებენ, წარმოუდგენელი სიგრძის რომაა და თქვენ კი ჩვეულებრივი ნეკისტოლა გეჩვენებათ. რამეთუ ყოველგვარი აღწერილობა მეტად საჭიროა ჩვენი ზნეჩვეულებათა ისტორიისთვის, სხვა გზა არ დაგვრჩენია, რომაელ ჩიჩერონეს მივბაძავთ. ასე და ამგვარად, ბარონმა სასადილო დარბაზში შესვლისას თავი ვეღარ შეიკავა და ესთერს სთხოვა, ხელით გაესინჯა ფანჯრებზე მეფური ხელგაშლილობით უხვად დანაოჭებული

ფარდების ქსოვილი, რომელსაც სარჩულად თეთრი მუარი ჰქონდა გამოკრული და ისეთი ყაითანი შემოევლოთ, რასაც პორტუგალიელი მეფის ასულიც კი არ დაიწუნებდა თავისი კორსაჟისთვის. ფარდებისთვის აბრეშუმი კანტონიდან ჩამოეტანათ. აბრეშუმზე ჩინური მოთმინებით შესრულებული აზიური ფრინველები ისეთი სრულყოფილებით გამოირჩეოდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ შუა საუკუნეების პერგამენტზე, ანდა ვენის საიმპერატორო ბიბლიოთეკის სიამაყეზე, შარლ V-ის კურთხევაზე შესრულებულ ნახატს შეედრებოდა.

ტიტო ადლი ორი ატაზი ფრანქი დაუშდა ერტ მილიონერზ; ინდოეტიდან ჩამოიტანა.

ძალიან კარგი, მშვენიერია! რა საამო იქნება აქ შამპანურის დალევა! თქვა ესთერმა, ქაფი ფანჯრის მინებს აღარ გასვრის.

ოჰ, ქალბატონო! მიმართა ევროპამ, ერთი ამ ხალიჩას შეხედეთ!

ხალიჩა ჰერცოგ დორლონიაზტვიზ, ჩემი მეგობრებიზტვიზ მოკზოვეზ, მაგრამ ჰერცოგს ზალიან ეზვირა და მე შევიზინე ტქვენქვიზ, რადგან ტქვენ ნამდვილი დედოპალი ბრზანდებიტ! უთხრა ნიუსინჟენმა.

რაღაც შემთხვევის წყალობით ეს ხალიჩა, ჩვენი შესანიშნავი ოსტატის ნახელავი, საუცხოოდ ეხამებოდა ჩინური ფარდების თავისებურ მოხატულობასა და ნაოჭებს. შინერსა და ლეონ დე ლორას პანოებზე მოეხატათ ვნებიანი სცენები და ისინი დიუ სომერარასთან ოქროს ფასად ნაყიდ მოჩუქურთმებულ შავი ხის ჩარჩოებში ჩაესვათ, ჩარჩოებს კი მოვარაყებული წვრილი ბადე აზარნიშებდა. ამის შემდეგ დანარჩენის წარმოდგენა არ გაგიძნელდებათ.

კარგად მოიქეცით, აქ რომ მომიყვანეთ, უთხრა ესთერმა, ერთი კვირა მაინც დამჭირდება, სანამ ჩემს სახლს შევეჩვეოდე. თორემ ვაითუ ამ სასახლეში გააზნაურებული მდაბიოსავით გამოვიყურებოდე.

ჩემზ ზახლზაო! სიხარულით გაიმეორა ბარონმა, მაშ, ტანახმა ხარტ, მიიღოტ ეზ ზახლი?

თანახმა ვარ, დიახ, ათასჯერ თანახმა, ჩერჩეტო პირუტყვო, ღიმილით მიუგო ესთერმა.

ფირუტქვიც ზაქმარიზი იქნებოდა...

ჩერჩეტო საალერსო სიტყვაა, შეედავა სატრფო და თვალები შეანათა ბანკირს.

საბრალო მგელიმტაცებელი ესთერის ხელს დასწვდა და გულთან მიიტანა: როგორც პირუტყვს, შეეძლო ეგრძნო რაღაც, მაგრამ როგორც ჩერჩეტს, სათანადო სიტყვის პოვნა არ შეეძლო.

ხედავთ, როგორ მიცემზ... ზულ უბრალო ზაალერსო სიტქვაც ქმარა! უთხრა თავის ღვთაებას (ქვტაებაზ) და საძინებლისკენ გაუძღვა.

ოჰ, ქალბატონო! შეჰყვირა ეჟენიმ, უნდა მოვუსვა აქედან, თორემ სული წამძლევს, ვერ მოვითმენ და ჩავკოტრიალდები ამ ლოგინში.

კარგი, ასე იყოს, მიმართა ესთერმა ბანკირს, მინდა ერთბაშად აგინაზღაუროთ ყოველივე... ჩემო ზონზროხა სპილოვ, ნასადილევს თეატრში წავალთ, წარმოდგენის ნახვა მომენატრა.

ზუსტად ექვსი წელი იყო, რაც ესთერი თეატრში არ წასულა. იმ ხანებში მთელი პარიზი პორტსენმარტენის თეატრში იყრიდა თავს რიჩარდ დჟარლინგტონის„სანახავად; ეს ერთერთი ისეთი პიესაა, მსახიობთა ნიჭიერი თამაშის წყალობით შემზარავი რეალობის მკაფიო გამოხატულებად რომ იქცევა. ყველა გულუბრყვილო ადამიანთა მსგავსად ესთერს შემზარავი და ამავე დროს, გულის ამაჩუყებელი სცენების ყურება უყვარდა, როცა ტანში ჟრუანტელი უვლიდა და ცრემლსაც ღვრიდა.

წავიდეთ, ვნახოთ ფრედერიკ ლემეტრი, თქვა მან, მაგ მსახიობისთვის ჭკუა მეკარგება.

ზიზხლიანი დრამაა, უთხრა ნიუსინჟენმა, რომელმაც დაინახა, რომ თვალის ერთ დახამხამებაში აიძულეს, თავისი გატაცება საქვეყნოდ გამოეფინა.

ბარონმა ლაქია თეატრში გაგზავნა და დაავალა, ბელეტაჟის ლიტერის ლოჟის ორი ბილეთი მოეტანა. კიდევ ერთი თავისებურება პარიზელისა! როდესაც მყარ საფუძველს მოკლებული წარმატება დარბაზს ავსებს და თეატრში ტევა აღარ არის, ფარდის აწევამდე ათი წუთით ადრე ლიტერის ლოჟაში ყოველთვის მოიძებნება ადგილი. დირექტორები თავისთვის იტოვებენ ლოჟას, თუკი უცბად არ გამოტყვრება სიყვარულით ისე გაბრუებული კაცი, როგორიც ნიუსინჟენი გახლდათ. ეს ლოჟა, მსგავსად შევეს ქორფა ნუგბარისა, პარიზული ოლიმპის ახირებული სურვილების დასაკმაყოფილებლად აღებულ ხარკს წარმოადგენდა.

აბა, რა გვეთქმის სუფრის გაწყობაზე. ნიუსინჟენს სამი სერვიზი გამოეფინა: პატარა, საშუალო, დიდი. დიდი სერვიზის საჩაროზე ჭურჭელი, თეფშები თუ ლანგრები, ოქროთი მოვარაყებულმოჩუქურთმებული ვერცხლისა იყო. ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შექმნილიყო, თითქოს მაგიდა ოქროვერცხლის სიმძიმის ქვეშ იზნიქებაო, ბანკირს სერვიზისთვის მიემატებინა საქსონიის ფაიფურის მსგავსი თვალწარმტაცი, სიფრიფანა ჭურჭელი, რაც ვერცხლის სერვიზზე ძვირად ფასობდა. ახლა სუფრასა და ხელსახოცებს არ

იკითხავთ? საქსონური, ინგლისური, ფლამანდიური თუ ფრანგული ქამხის ნაყშები ტოლს ვერ დაუდებდა ამ სუფრებსა და ხელსახოცებზე გამოსახულ ყვავილებს.

სადილობისას ბარონის გაკვირვების ჯერიც დადგა: აზიას ნახელავი მოართვეს.

ახლა კი მეზმიზ, თქვა მან, რატომ შეგირქმევიატ მიზტვიზ აზია, ეზ ხომ ნამდვილი აზიური ზაჩმელებია.

ოჰ, თანდათან ვრწმუნდები, რომ მართლა ვუყვარვარ, გადაულაპარაკა ესთერმა ევროპას, მოსწრებული სიტყვის თქმაც რომ დააპირა!..

ეგ რა არიზ, განა ერტხელ ან ორჩერ მიტქვამზ მოზცრებული ზიტქვა! გაიცინა ბანკირმა.

ამას დამიხედეთ, მეუბნებოდნენ, ტიურკარეაო, მაგრამ ტიურკარეს თურმე მიუქარავს მაგასთან, შესძახა დამცინავმა კურტიზანმა ბარონის ამ უკანასკნელი ფრაზის გაგონებაზე, მართლაც არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა ნიუსინჟენის სახელგანთქმულ ენაკვიმატობას,,.

კერძი ისე შეეკაზმათ, რომ ბარონის კუჭს ვერ მოენელებინა და შინ ადრე წასულიყო. ამგვარი სიამოვნებით დასრულდა ბარონ დე ნიუსინჟენის პირველი პაემანი სატრფოსთან. თეატრში, ანტრაქტებზე, წამდაუწუმ დაშაქრული წყლის დასალევად გარბოდა და ესთერს მარტო ტოვებდა. შემთხვევათა დამთხვევის წყალობით, თუმცა ეს იმდენად მოსალოდნელი იყო, რომ შემთხვევად არც ჩაითვლებოდა, იმ დღეს თეატრში იყვნენ ტულია, მარიეტი და ქალბატონი დიუ ვალნობლი, ვინაიდან რიჩარდ დჟარლინგტონს,, გასაგიჟებელი და ჭეშმარიტად დამსახურებული წარმატება ხვდა წილად, რაც მხოლოდ პარიზშია შესაძლებელი. ამ დრამის ნახვის შემდეგ ყველა მამაკაცი დარწმუნებული გახლდათ, რომ კანონიერი მეუღლე შეიძლება ფანჯრიდან გადაუძახო, ხოლო ყველა ქალი საკუთარ თავს დასჯილად თვლიდა და ამის გამო სიამოვნებასაც განიცდიდა. ქალები გულში ამბობდნენ: მართლაცდა მეტისმეტია, ჩვენ ხომ გვაიძულებენ... რა ვუყოთ, თუ საკმაოდ ხშირად გვატყდება თავს ასეთი ამბავი!..,,

ესოდენ კალმით ნახატსა და მორთულმოკაზმულ ქალს, როგორიც გახლდათ ესთერი, განა შეეძლო დაუსჯელად აკიაფებულიყო პორტსენმარტენის თეატრის ლიტერის ლოჟაში? ჰოდა, მეორე აქტი დაიწყო თუ არა, ორი მოცეკვავის ლოჟაში ერთი შეხლაშემოხლა ატყდა, რაკი დადგინდა, მშვენიერი უცნობი სწორედაც ლა ტორპილია და სხვა არავინო.

ერთი ამას დამიხედეთ, საიდან გამომძვრალა? გადაულაპარაკა მარიეტმა ქალბატონ დიუ ვალნობლს, მე მეგონა, დაიხრჩომეთქი.

ნუთუ ის არის? ოცდაჩვიდმეტჯერ უფრო ახალგაზრდა და ლამაზი მეჩვენება, ვიდრე ექვსი წლის წინ იყო.

რა ვიცი, იქნებ ქალბატონ დჟესპარისა და ქალბატონ ზაიონჩეკივით ყინულში ინახავდნენ, ჩაერია გრაფი დე ბრამბური, რომელსაც ეს სამი ქალი თეატრში მოეყვანა და ბენუარის ლოჟაში დაესვა, ნუთუ ეგ ის თაგვია,,, თქვენ რომ აპირებდით ბიძაჩემის მოსათოკად ჩემთვის გამოგეგზავნათ? ჰკითხა მან ტულიას.

სწორედ ის გახლავთ, მიუგო მოცეკვავემ, დიუ ბრუელ, წადით რა, პარტერში, შეხედეთ, მართლა ისაა თუ არა?

დახეთ, როგორ აუბზუებია ცხვირი! შეჰყვირა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა, ქუჩის ქალს რომ ეკადრებოდა, ისეთი კილოთი.

ოჰ, ნუ იტყვით, წამოიძახა გრაფმა დე ბრამბურმა, აქვს კიდეც უფლება, მას ხომ ჩემი მეგობარი ბარონი დე ნიუსინჟენი ახლავს. მივდივარ მათთან.

რაო, ეგ არის ის ყბადაღებული ჟანა დჟარკი, ნიუსინჟენი რომ მოაჯადოვა? აგერ სამი თვეა მაგაზე ლაპარაკით ყურები გამოგვიჭედეს, თქვა მარიეტმა.

საღამო მშვიდობისა, ძვირფასო ბარონო, ნიუსინჟენის ლოჟაში თავი შეყო ფილიპ ბრიდომ, მადმუაზელ ესთერზე ჯვარი ხომ არ დაიწერეთ?.. მადმუაზელ, მე ის საცოდავი ოფიცერი გახლავართ, ისუდენეში ხიფათს რომ გადაარჩინეთ... ფილიპ ბრიდო...

არ მახსოვხართ, მიუგო ესთერმა და ლორნეტი დარბაზისკენ შეატრიალა.

მატმუაზელზ უფრალოდ ეზდერზ აღარ უცოდებენ, ჩაერია ბარონი, იგი კალბატონი დე შამპი გახლავტ; ეზ გვარი მიიღო იმ ფატარა მამულიზ ზახელწოდებიდან, რომელიც მე ვუქიდე

შესანიშნავად მოქცეულხართ, ბარონო, უთხრა გრაფმა, მაგრამ ქალბატონ დე შამპიზე ჩემი ნაცნობი ქალბატონები ამბობენ, ცხვირს იბზუებსო!.. თუ ჩემი გახსენება არ გნებავთ, იქნებ იკადროთ და იცნოთ მარიეტი, ტულია და ქალბატონი დიუ ვალნობლი? მიმართა ესთერს ამ მეტიჩარამ, რომელიც ჰერცოგინია დე მონფრინიეზის წყალობით დოფინის ყურადღების ღირსი გახდა.

ეგ ქალბატონები თუ მეგობრულად მომექცევიან, არც მე დავრჩები ვალში, ცივად ბრძანა ქალბატონმა დე შამპიმ.

მეგობრულად? თავს კი არ შემოგევლებიან? მათ ხომ ჟანა დჟარკი შეგარქვეს!

ზალიან ქარქი, ამ ქალბატონებზ ტქვენტან მოზვლა უნებებიატ, თქვა ნიუსინჟენმა, მაშინ მე დაგტოვებტ, რადგან ბევრი ვჭამე და ტავზ ცუდად ვგრზნოფ. ტქვენი კარეტა და ლაქიები დაგელოდებიან... ეშმაკმა ცაიღოზ აზიაზ ტავი!..

როგორ, პირველივე საღამოს მარტო მტოვებთ? გაიკვირვა ესთერმა, ეგ რას ჰგავს? სიკვდილს შეუდრეკლად უნდა შეეგებოთ გემბანზე. საზოგადოებაში გასასვლელად მე ჩემი კაცი მჭირდება! ვინმემ შეურაცხყოფა რომ მომაყენოს, ვინ დამიცავს?..

ბებერი მილიონერის ეგოიზმს მიχნურის მოვალეობის წინაშე თავი უნდა მოედრიკა. ბარონი თუმცა ტკივილისგან იკრუნჩხებოდა, მაინც დარჩა. ესთერს კიდევაც ჰქონდა მიზეზი, თავისი კაცი,, დაეტოვებინა; თუკი ძველ ნაცნობებს ბარონის თანდასწრებით შეხვდებოდა, ისინი ყველაფრის გამოკითხვას ვერ გაუბედავდნენ. ფილიპ ბრიდო ფაცხაფუცხით დაბრუნდა მოცეკვავეთა ლოჟაში და რაც შეიტყო, ყველაფერი ჩაუკაკლა ქალებს.

ოჰო, მაგას მიუღია მემკვიდრეობით ჩემი სახლი სენჟორჟის ქუჩაზე! მწარედ აღმოხდა ქალბატონ დიუ ვალნობლს, რომელიც, ამ χურის ქალების ენით რომ ვთქვათ, პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილიყო.
როგორც ჩანს, მიუგო პოლკოვნიკმა, ბარონს ამ სახლში სამχერ მეტი ფული ჩაუყრია, ვიდრე თქვენს საბრალო ფალეს; დიუ ტიეს ნათქვამიდან ვიცი.

რას იტყვით, მივიდეთ? იკითხა ტულიამ.

არა, მე ვერ წამოვალ, უთხრა მარიეტმა, ძალიან ლამაზია, ისევ შინ ვესტუმრები.

დღეს ცუდად არ გამოვიყურები და შემიძლია გავბედო, თქვა ტულიამ.

ასე და ამგვარად, მამაცი პრიმაბალერინა ანტრაქტის დროს ესთერს ეწვია და ნაცნობობა განაახლა.

აქამდე სად იყავი, ძვირფასო ბავშვო? ცნობისმოყვარეობამ სძლია ბალერინას.

ოჰ, მთელი ხუთი წელიწადი ერთ ვეფხვივით ეჭვიან ინგლისელთან ვცხოვრობდი, ციხეკოშკში. ნამდვილი ნაბობი ბრძანდებოდა, მე კი ნაბოლარას,, ვეძახდი, რადგან მოსამართლე ფერეტივით კუსპარა იყო. მერე ბანკირს ჩავუვარდი ხელში. ფლორინის ქათმისა არ იყოს, სკილას გავეყარე და ქარიბდასშევხვდი. როგორც ხედავ, პარიზში დავბრუნდი და დროს ტარება ისე მენატრება, რომ კარნავალიც მეცოტავება. ჩემი სახლის

კარი სტუმრებისთვის მუდმივად ღია იქნება. ხომ უნდა ავინაზღაურო დაკარგული დრო! ხუთი წელი ინგლისელთან ცხოვრება მეტისმეტია. ვალებისთვისაც კი მხოლოდ ექვსი კვირის პატიმრობას უსჯიან!

ეს მაქმანები ბარონმა გაჩუქა?

ო, არა, ნაბობისგან დამრჩა... ბედი არ მწყალობს, ჩემო კარგო. ნაღველი მოერია და ისე გაყვითლდა, როგორც მეგობრის წარმატება გააყვითლებს ხოლმე კაცს. მეგონა, ათ თვესაც ვერ გაატანდა. შენც არ მომიკვდე, კლდესავით მაგარი გამოდგა. არ უნდა ენდო იმას, ვინც ღვიძლს უჩივის... ღვიძლი ყელში ამომივიდა, გაგონებაც აღარ შემიძლია. სულელურად ვუჯერებდი ზღაპრებს... ნაბობისგან არაფერი დამრჩა, ცარიელზე დამტოვა. ბოლოს და ბოლოს, მოკვდა ისე, რომ ანდერძიც არ დაუტოვებია. მისმა ოჯახმა ჭირიანივით გარეთ გამომაგდო. მერე ამ სქელუას ვუთხარი, ორის მაგივრად დაყაჭემეთქი ფული. მე ინგლისს სახელი შევულახე, რა მართალნი ხართ, ჟანა დჟარკი რომ შემარქვით. ვინ იცის, იქნებ აქ ბოლოს დამწვან კიდეც.

დაგწვან, სიყვარულით! სიტყვა შეაგება ტულიამ.

ცოცხლად! მიუგო ესთერმა, ტულიას ნათქვამმა სევდა აღუძრა.

ბარონი ამ თავგასულ ხუმრობაზე იცინოდა, თუმცა ხშირად მაშინვე ვერ იგებდა ხუმრობის აზრს და ამიტომაც მისი სიცილი მაშხალების დაგვიანებულ აფეთქებას ჰგავდა.

ჩვენ, ყველანი, საზოგადოების გარკვეულ წრეს ვეკუთვნით და რომელ წრესაც უნდა ვეკუთვნოდეთ, ცნობისმოყვარეობის გრძნობა ყველას მაინც ერთნაირად გვეღვიძება. ესთერის პარიზში დაბრუნების ამბავი მეორე დღესვე ოპერის კულისებს მოედო. ნაშუადღევს, ორი საათიდან ოთხ საათამდე, ელისეს მინდვრებზე მთელმა პარიზმა იცნო ტორპილი და ისიც გაიგო, ბარონ დე ნიუსინჟენის გულს, ბოლოს და ბოლოს, ვინ დაუფლებოდა.

იცით, ეუბნებოდა ბლონდე დე მარსეს ოპერის ფოიეში, ლა ტორპილი გაქრა მასკარადის მეორე დღიდანვე, როცა თვალი მოვკარით და მივხვდით, რომ იმ ბიჭის, რიუბამპრეს, საყვარელი იყო.

პარიზში, პროვინციის მსგავსად, ყველა ერთმანეთს იცნობს და ერთმანეთის ამბავი იცის. იერუსალიმის ქუჩის პოლიცია ოსტატობაში ტოლს ვერ უდებს მაღალი საზოგადოების პოლიციას. აქ ყველა ერთმანეთს უთვალთვალებს და თავისდა უნებლიეთ ჯაშუშობს. ამიტომაც კარლოსს არ გასძნელებია მიხვედრილიყო, რა საფრთხე ელოდა ლუსიენის მდგომარეობას, სანამ ყმაწვილი ტეტბუს ქუჩაზე დადიოდა და მას შემდეგაც.

ძნელია იმაზე შავ დღეში ჩავარდეს ადამიანი, რა დღეც ქალბატონ დიუ ვალნობლს დაადგა. მის გასაჭირს ზუსტად გამოხატავდა გამოთქმა: პირში ჩალაგამოვლებული დარჩაო. ამ ჯურის ქალების დაუდევრობა და მფლანგველობა ხელს უშლის, მათ მომავალზე იზრუნონ. ამ მეტად თავისებურ სამყაროში, რაც გაცილებით კომიკური და გონებამახვილურია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, მხოლოდ ის ქალები ფიქრობენ სიბერეზე და შავი დღისთვის ქონებას აგროვებენ, რომლებიც არ არიან დაჯილდოებულნი ჭეშმარიტი, თვალში საცემი, თითქმის უჭკნობი სილამაზით, ერთი სიტყვით, მხოლოდ ის ქალები, რომლებიც კაცმა მარტოოდენ თავისი ახირების შედეგად შეიძლება შეიყვაროს; ხოლო რაც უფრო ლამაზია ქალი, იმდენად ნაკლებად გამჭრიახია. რაო, გეშინია, არ დაუშნოვდე, რენტაზე რომ ზრუნავ?,, აი, რა უთხრა ფლორინმა მარიეტს და რით აიხსნება მათი მფლანგველობა. შავი დღე თუ გაუთენდა, სპეკულანტი თავს იკლავს, მფლანგველი ჯიბეებსა და ქისებს გადმოიქექავს, ხოლო სამარცხვინო ფუფუნებაში ჩაფლულ ქალებს სიღატაკე უეცრად ატყდებათ თავს. მაშინ ტანსაცმლითა და სამკაულებით მოვაჭრე დედაკაცს მიადგებიან, უძვირფასეს თვალმარგალიტს გროშებად ყიდიან, ოღონდ კი ხალხის თვალის ასახვევად შეინარჩუნონ გარეგნული ფუფუნება, რაიც შეაძლებინებთ იპოვონ ის, რაც დაკარგეს: სალარო, საიდანაც კვლავ ფულს ამოხვეტენ. რაკი ცხოვრებაში ამგვარი ბრწყინვალება და სიღატაკე მოელით, გასაგებია, რატომ ფასობს ასე ძვირად მათთან დაახლოება, რად ჯდება ამდენი ფული ეს წინასწარ გამიზნული კავშირი, ისევე ნასათუთები, როგორც აზიას მიერ გაკვაჭული,, (მათი კიდევ ერთი ჟარგონული გამოთქმა) ნიუსინჟენესთერის კავშირი გახლდათ. ამიტომაც ელისეს მინდვრებზე, ამ ფუთფუთა და ყაყანა ბაზარზე, პარიზის ადათჩვეულებების მცოდნე პირი როცა დაქირავებულ ეტლში მჯდომ ქალს ხედავს, ერთი თუ ნახევარი წლის წინ ამავე ადგილას თვალისმომჭრელად მორთულმოკაზმულ, მდიდრულ ეკიპაჟში ჩაბრძანებული რომ მოსეირნობდა, მისთვის ყოველივე ზედმიწევნით გასაგები ხდება. თუ სენტპელაჟიში ჩაყურყუმელავდები, ბულონის ტყეში უნდა მოახერხო ამოტივტივება,,, ამბობდა ფლორინი, როცა ბლონდესთან ერთად ბედუკუღმართ ვიკონტ დე პორტანდიუერზე ქილიკობდა. ზოგიერთი გაქნილი ქალი ამგვარ შედარებას უკადრისობს და თუმცა ავეჯით გაწყობილ გულისამრევ სასტუმროში იბღუნძება და მფლანგველობას მიჩვეული უდაბნოში გზააბნეული მოგზაურივით გაჭირვებაში ვარდება, მაინც არავითარ ყაირათს არ ეწევა. ბალმასკარადზე სიარულსაც ბედავს; პროვინციაშიც მიემგზავრება, კარგ დარში კოხტად მოპრანჭული ბულვარებზეც დასეირნობს. გაჭირვებაში ჩავარდნილთ მეგობრები უყურადღებოდ არ ტოვებენ; საზოგადოებიდან განდევნილებისთვის ამგვარი საქციელი უცხო როდია. განა რა უღირს ბედნიერ კეკლუცს, საბრალო ქალს დახმარების ხელი გაუწოდოს, მით უმეტეს, თუ ფიქრობს, ერთ დღეს მეც ასეთი ბედი მეწევაო. შავ დღეში ჩავარდნილ ქალებს ყველაზე მეტ დახმარებას ტანსაცმლითა და სამკაულით მოვაჭრე დედაკაცები უწევენ. რაკი ეს მევახშე მევალე ხდება, სულში უძვრება და გულღვიძლს უტრიალებს ბერიკაცებს, ოღონდ კი გირაოდ დატოვებული ჩექმებისა თუ ქუდების გამოსყიდვა მოახერხოს. აბა, რას წარმოიდგენდა ქალბატონი დიუ ვალნობლი, რომ ყველაზე მდიდარი და მარჯვე ბირჟის მაკლერი გაკოტრდებოდა. ეს ამბავი უეცრად, მეხივით დაეცა

თავზე. ფალეს ფულს წაღმაუკუღმა ფანტავდა და მასვე ავალებდა, ყოველდღიური ხარჯები გაეღო და მომავალზეც ეზრუნა.

განა ეს მოსალოდნელი იყო კაცისგან, რომელიც ასე კეთილი ბიჭი,,, ხელგაშლილი ვინმეა, ფულს აქეთიქით რომ ყრის, ვალის დაბრუნებას არავის სთხოვს, ყოველთვის ნატიფი თავაზიანობით იქცევა და განზე დგას ვულგარული თითლიბაზობისაგან. ზოგი ადამიანი სათნოდ და პატიოსნად ითვლება, თუმცა ნიუსინჟენივით გაუკოტრებია კეთილისმყოფელნი, ანდა გამასწორებელი პოლიციის საპატიმროდან გამოსულა და ქალებს კი უებრო სიფაზიქით ეპყრობა. სრულყოფილი სათნოება, მოლიერის იდეალი ალცესტი უაღრესად იშვიათი გახლავთ, მაგრამ ყოველ კუთხეში შეიძლება შეგხვდეთ, თვით პარიზშიაც კი. კეთილი ბიჭი,, რბილი ხასიათის გამო შეარქვეს, რაც მაინცდამაინც დიდი არაფერია. მერედა რა, თუ კეთილი ბიჭია,,, კატასაც ხომ აბრეშუმივით რბილი აქვს ბეწვი და ქოშებიც ხომ იმისთვისაა გამზადებული, რომ ფეხი მოასვენო? ჰოდა, რაკი ფილესთვის მის კმაყოფაზე მყოფ ქალებს კეთილი ბიჭი,, შეერქმიათ, ვალდებული გახლდათ, საყვარელი წინასწარ გაეფრთხილებინა, გაკოტრება მომელისო, და სატრფოს მომავალი, ასე თუ ისე, უზრუნველეყო. ქალების მოტრფიალე დეტექტურნის გამკიცხველებს უპასუხებდნენ: სულერთია, რაც გნებავთ, ისა თქვით, მაგრამ ჟორჟი მართლაც კეთილი ბიჭი,, იყო, მშვენიერი მიხრამოხრა ჰქონდა. რა ვუყოთ, თუ ბედმა უმუხთლა!,, როსკიპები კანონმდებლობას არაფრად დაგიდევენ. ისინი ფაქიზ მოპყრობას აღმერთებენ და შეუძლიათ, ესთერის მსგავსად თავი მონადაც კი გაყიდონ, თუკი ამას მოითხოვს მათი იდუმალი, მშვენიერი ოცნება, მათი ერთადერთი სარწმუნოება. ხელმოცარულმა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა დიდი ვაივაგლახით გადაარჩინა დაღუპვას რამდენიმე ძვირფასი სამკაული და კისერზე მაინც აწვა მძიმე უღელი ბრალდებისა, ფალე გააკოტრაო. თუმცა მის მშვენიერებას გაფურჩქვნის ჟამი დასდგომოდა, მაგრამ ოცდაათი წელი მოსდგომოდა კარზე და ვინ იცის, იქნებ ბებრუხანას სახელიც გავარდნოდა, მით უმეტეს, რომ ასეთი კატასტროფის დროს ქალი თავისი მეტოქეების პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე. მარიეტი, ტულია და ფლორინი მეგობარს სადილვახშმად ეპატიჟებოდნენ, ცოტა კიდეც ეხმარებოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, ვალი რამდენი ჰქონდა; ვერ ბედავდნენ თვალი ჩაეწვდინათ უფსკრულში, სადაც ქალბატონი დიუ ვალნობლი ჩაშვებულიყო და მისი სიღრმესიგანე გაეზომათ. ლა ტორპილსა და ქალბატონ დიუ ვალნობლს ერთმანეთი ექვსი წელიწადი არ ენახათ; პარიზის ბობოქარ ცხოვრებაში ეს მეტად დიდი დრო იყო საიმისოდ, რომ ცარიელტარიელზე დარჩენილ ქალს საკუთარი ეკიპაჟის მფლობელი ბანოვანისთვის რაიმე ეთხოვა, მაგრამ დიუ ვალნობლმა კარგად იცოდა, ლა ტორპილი სულგრძელი რომ იყო და დარწმუნებული ბრძანდებოდა, ესთერი არ გამწირავს, მან ხომ ჩემი მემკვიდრეობა მიიღო. უთუოდ გამიხსენებს, როცა ვითომ შემთხვევით გადავეყრები სადმე და ზურგს არ შემაქცევსო. ეს შემთხვევა ხელიდან რომ არ გაეშვა, ღირსეული ქალბატონივით ჩაცმულდახურული ყოველდღე თეოდორ გაიართან მკლავში მკლავგაყრილი ელისეს მინდვრებზე დასეირნობდა. თეოდორ გაიარი გაჭირვებაში ჩავარდნილ ყოფილ საყვარელს დიდ ყურადღებას აქცევდა, თეატრში ლოჟას სთავაზობდა, ყოველგვარ გასართობზე ეპატიჟებოდა, კარგა ხნის შემდეგ კი ცოლადაც შეირთო. მადამ დიუ

ვალნობლი იმედს არ კარგავდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ესთერიც სასეირნოდ გამოვიდოდა და შეხვდებოდა. ესთერს მეეტლედ პაკარი ეჯდა. კარლოსის მითითებით აზიამ, ევროპამ და პაკარმა ხუთ დღეში ისე მოაწყვეს სენჟორჟის ქუჩაზე სახლი, რომ შეუვალ ციხესიმაგრედ გადააქციეს. მათ არც პერადი ჩამორჩა. გულში ღრმა სიძულვილი და შურისძიების გესლიანი სურვილი უგიზგიზებდა, განსაკუთრებით კი ლიდის მომავალზე ზრუნვა ტანჯავდა. დღენიადაგ ელისეს მინდვრებზე დაეხეტებოდა, რაკი კონტანსონმა შეატყობინა, ბარონ დე ნიუსინჟენის საყვარელს აქ შეხვდებიო. პერადი სრულყოფილად ბაძავდა ინგლისელს ჩაცმადახურვით და ფრანგულადაც ჩიფჩიფით ლაპარაკობდა, როგორც ინგლისელებს სჩვევიათ. ისე წმინდად იცოდა ინგლისური ენა, ისე ძირფესვიანად იცნობდა ამ ქვეყნის ავკარგს, სადაც პარიზის პოლიციის დავალებით 17791786 წლებში სამჯერ იმყოფებოდა და ისე ოსტატურად ასრულებდა ინგლისელის როლს, რომ არც საელჩოში და არც თვით ლონდონში მასზე ეჭვი არავის აღძვრია. პერადი ძალიან ჰგავდა სახელგანთქმულ მისტიფიკატორ მიუსონს და ისეთი ხელოვნებით ინიღბებოდა, რომ ერთ დღეს თვით კონტანსონმაც ვერ იცნო. მულატად გადაცმულ კონტანსონთან ერთად პერადი ელისეს მინდვრებზე სეირნობდა და ესთერსა და მის მხლებლებს ვითომც სხვათა შორის ათვალიერებდა, სინამდვილეში კი დიდი ყურადღებით ამოწმებდა. ერთ მზიან ამინდში, როცა საზოგადოება ელისეს მინდვრებზე გამოეფინა და ესთერიც ქალბატონ დიუ ვალნობლს შეხვდა, რა თქმა უნდა, პერადიც მათ მახლობლად, მეზობელ ხეივანში იყო ლივრეაში გამოწყობილი მულატის თანხლებით. ნამდვილი ნაბობივით მიაბიჯებდა, საკუთარი თავის გარდა არავინ რომ არ ახსოვს. ვითომდაც არაფერიო, შორიახლო მიჰყვებოდა ორ ქალს და ცდილობდა, მათი საუბრიდან ორიოდე სიტყვისთვის მაინც მოეკრა ყური.
იცი, რა, ჩემო საყვარელო, ეუბნებოდა ესთერი ქალბატონ დიუ ვალნობლს, მოდი ჩემთან. განა ნიუსინჟენი ვალდებული არ არის, თავისი მაკლერის საყვარელზე იზრუნოს? აბა, ულუკმაპუროდ ხომ არ დაგტოვებთ მით უმეტეს, რომ ხმები დადის, თვითონვე გააკოტრაო, ჩაურთო თეოდორ გაიარმა, ჩვენ შეგვიძლია შანტაჟიც მოვუწყოთ...

ხვალ ჩემთან იქნება სადილად. მოდი, ჩემო კარგო, მიმართა ესთერმა ქალბატონ დიუ ვალნობლს და თან ჩასჩურჩულა, როგორც მომეპრიანება, ისე ვათამაშებ და ჯერ ამდენიც არაფერი მიუღია! ხელთათმნიანი ფრჩხილი მარგალიტებივით ჩაწიკწიკებულ კბილებთან მიიტანა და გარკვევით ანიშნა, სულ არაფერიო.

შენს ხელშია...

ჩემო ძვირფასო, აქამდე მხოლოდ ვალების გადახდა ხვდა წილად...

ო, რა მფლანგველი ხარ! შეჰყვირა სიუზან დიუ ვალნობლმა.

მაგას ნუ იტყვი, დაუმატა ესთერმა, თვით ფინანსთა მინისტრიც ვერ გამიძლებდა. ახლა ოცდაათი ათასი ფრანკის რენტა მჭირდება. და სანამ შუაღამის ზარებს ჩამოჰკრავდნენ, მივიღებ კიდეც. ოჰ, რომ იცოდე, რა ბუნჩულა ვინმეა, ვერ დავემდურები... ყველაფერი რიგზეა. ერთ კვირაში ახალმოსახლეობას ვიდღესასწაულებთ. შენც დაესწრები... ამ დილას სენჟორჟის ქუჩაზე მდებარე სასახლის ნასყიდობის ქაღალდი უნდა მომართვას. აბა, ასეთ სახლში რიგიანად ვერ იცხოვრებ, თუ ოცდაათი ათასი ფრანკის რენტა არ გექნება. შავი დღისთვის რამე გადანახული ხომ უნდა მქონდეს. უკვე ვიწვნიე გაჭირვება და კმარა. ცხოვრებაში ზოგ ისეთ რამეს გამოცდი, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჭკუას ისწავლი.

წინათ იტყოდი ხოლმე, სიმდიდრე მე ვარო. როგორ შეცვლილხარ! წამოიძახა სიუზანმა.

ასე იცის შვეიცარიის ჰაერმა, ხელმომჭირნე ხდები... მართლა, წადი იქ, ჩემო კარგო! იშოვე ვინმე შვეიცარიელი; რა იცი, იქნებ ქმარიც გამოძებნო!.. მათ ჩვენისთანა ქალების ყადრი ჯერ არ იციან... ასე იქნება თუ ისე, იქიდან რომ დაბრუნდები, გულში სამარადისოდ აგენთება სახელმწიფო დავთარში შეტანილი რენტის სიყვარული, პატიოსანი და ნაზი სიყვარული! მშვიდობით!

ესთერი თავის მშვენიერ კარეტაში ჩაჯდა. შიგ შებმულ ქურანა, ხალებიან, თვალწარმტაც ცხენებს მთელ პარიზში ბადალი არ მოეძებნებოდა.

ეტლში რომ ზის, ლამაზია, ინგლისურ ენაზე მიმართა პერადმა კონტანსონს, მაგრამ მე ფეხით რომ მოსეირნობს, ის მირჩევნია. გაჰყევი ფეხდაფეხ და მისი ვინაობაც გაიგე.
იცი, რა უთხრა ამ ინგლისელმა მეორეს ინგლისურად? მიუბრუნდა თეოდორ გაიარი ქალბატონ დიუ ვალნობლს და პერადის ნათქვამი გადაუთარგმნა.

სანამ ინგლისურად ბაასს გააბამდა, პერადმა ინგლისურადვე ერთი ისეთი სიტყვა წამოაყრანტალა, რომ თეოდორ გაიარმა წარბი შეიჭმუხნა და პერადი მიხვდა, ჟურნალისტმა ინგლისური რომ იცოდა. ქალბატონი დიუ ვალნობლი ნელნელა გაუდგა გზას შინისკენ, თან ცერად იყურებოდა, მულატი ხომ არ მომდევსო. ლუილეგრანის ქუჩაზე ცხოვრობდა, ერთ რიგიან სახლში, სადაც სახლის მფლობელი ქალბატონი ჟერარი ავეჯით გაწყობილ ბინებს აქირავებდა. თავისი ბრწყინვალების პერიოდში ქალბატონი დიუ ვალნობლი ქალბატონ ჟერარს დიდ დახმარებას უწევდა და ახლა ეს ქალიც სიკეთეს სიკეთითვე უხდიდა; მშვენიერი ბინაც კი დაუთმო. ქალბატონი ჟერარი პატიოსანი და სათნო ბურჟუა გახლდათ, თანაც ღვთისმოსავი, მაგრამ კურტიზანი უზენაეს არსებად მიაჩნდა. მუდამ თვალწინ ედგა, რარიგ ფუფუნებით ცხოვრობდა უწინ და ისე ეპყრობოდა, როგორც ტახტიდან ჩამოგდებულ დედოფალს. შვილებსაც კი ანდობდა და ნურვის გაუკვირდება, რომ კურტიზანი დაკისრებულ მოვალეობას დედასავით კეთილსინდისიერად ასრულებდა, როცა გოგონები თეატრში მიჰყავდა. მადმუაზელ ჟერარებს უყვარდათ ქალბატონი დიუ ვალნობლი. კეთილი

და ღირსეული დიასახლისი ქალბატონი ჟერარი იმ დიდსულოვან მოძღვრებს ჰგავდა, ცხოვრებისგან გარიყულ ქალებში რომ ხედავენ არსებებს, რომელთაც დახმარება და სიყვარული ესაჭიროება. ქალბატონი დიუ ვალნობლი დიასახლისის შეუბღალავ სახელს დიდად აფასებდა, შურდა კიდეც მისი, მეტადრე მაშინ, როცა ქალბატონ ჟერართან მასლაათში გაბმული თავის უიღბლობას დასტიროდა. ჯერ კიდევ ლამაზი ხართ, თქვენი ცხოვრება შეიძლება კეთილად წარიმართოს,,, ანუგეშებდა ქალბატონი ჟერარი. უნდა ითქვას, რომ ქალბატონი დიუ ვალნობლი მთლად არ დაცემულიყო. ამ ესოდენ მფლანგველსა და ელეგანტურ ქალს საკმაო ტანსაცმელი შემორჩენოდა და არ უჭირდა, ბრწყინვალედ მოსილი საზოგადოებას მოვლენოდა, როგორც იმ საღამოს, პორტსენმარტენის თეატრში, სპექტაკლ რიჩარდ დჟარლინგტონს,, რომ ესწრებოდა. არც ქალბატონი ჟერარი ძუნწობდა და ცარიელტარიელზე დარჩენილ მდგმურებს თუ დასჭირდებოდათ თეატრში ან სადმე სხვაგან წასვლა, ეტლის საფასურს უხდიდა.

იცით, რა, ჩემო საყვარელო ქალბატონო ჟერარ, უთხრა ერთხელ ქალბატონმა დიუ ვალნობლმა ოჯახის პატიოსან დედას, მგონი, ბედმა გამიღიმა, იქნებ სასიკეთოდ შემიტრიალდეს ცხოვრების ჩარხი...
ოჰ, ქალბატონო, მაგას რა სჯობს, ჭკუით იყავით, მომავალზე იფიქრეთ... ვალს ნუღარ დაიდებთ. მერე რა გასაჭირი დამადგა, ძლივს მოვიშორე ის ხალხი, თქვენ რომ გეძებდათ...

ნეტავ რას იწუხებდით თავს იმ ქოფაკებისთვის, მათ ჩემი წყალობით დიდი სარფა ხვდათ. აჰა, გამომართვით, ვარიეტეს ბილეთებია თქვენი გოგონებისთვის. მშვენიერი ადგილია, ლოჟა, მეორე იარუსზე. ამ საღამოს თუ ვინმემ მიკითხა, თუნდაც ჯერ არ ვიყო დაბრუნებული, მაინც აუშვით ჩემთან. ჩემი ყოფილი მოახლე ადელი დაუხვდება. გამოგიგზავნით.

ქალბატონ დიუ ვალნობლს არც დეიდა ჰყავდა, არც დედა და იძულებული იყო, ისევ მოახლისთვის ეთხოვა დახმარება (ისიც პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილიყო!); მას სენტესტევის როლი უნდა შეესრულებინა იმ უცნობის წინაშე, რომლის დატყვევება ქალბატონს კეთილდღეობის დაბრუნების შესაძლებლობას მისცემდა. თვითონ ქალბატონი დიუ ვალნობლი სტუმრად გაჰყვა თეოდორ გაიარს, რომელსაც ამ საღამოს მოელოდა გართობა, ესე იგი, ვახშამი. სანაძლეოში წაეგო ნათანს და ვახშამს ის მართავდა. ამგვარ ღრეობებზე დაპატიჟებულთ აუწყებენ, ქალებიც დაესწრებიანო.

პერადი უაღრესად მნიშვნელოვანმა მიზეზმა აიძულა, ამ ამბავში თავად მიეღო მონაწილეობა. მას და კორანტენს ისე აღძვროდათ ცნობისმოყვარეობა, მიზეზიც რომ არ ჰქონოდათ, ნებით ჩაერეოდნენ ამ დრამაში. შარლ X-ის პოლიტიკამ კულმინაციას მიაღწია. თავისი ნებით არჩეულ მინისტრებს ხელისუფლების სადავეები გადასცა, ხოლო თავად ალჟირის დასაპყრობად ემზადებოდა. ისწრაფოდა, გამარჯვების შარავანდედით მოსილს სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა. ქვეყნის შიგნით შეთქმულნი აღარ ჭაჭანებდნენ.

შარლ X დარწმუნებული ბრძანდებოდა, მოწინააღმდეგეები აღარ მყავსო, მაგრამ პოლიტიკის სიმშვიდე, ისევე როგორც ზღვისა, მოჩვენებითია. კორანტენს საქმე გამოელია და როცა ნადირი აღარსად ჩანს, გამოცდილი მონადირე ხელის გასავარჯიშებლად ბეღურებს ჟლეტს. დომიციანეცასე გახლდათ, ქრისტიანები რომ ვერ იგდო ხელთ, ბუზებს ხოცავდა. ესთერის დაპატიმრების სცენის მოწმე კონტანსონმა ჯაშუშის მძაფრი ალღოთი სათანადოდ შეაფასა ამ ოპერაციის მნიშვნელობა. აკი დავინახეთ კიდეც, გაიძვერამ რომ აზრის დაფარვა არ ინება და ბარონ დე ნიუსინჟენს თავისი ეჭვი გაანდო. ვის დასჭირდა ბანკირის ტრფიალით ესარგებლაო? ეს კითხვა დაებადა გულში ორივე მეგობარს. აზია უეჭველად პიესის მოქმედი პირიაო, ფიქრობდა კონტანსონი და იმედოვნებდა, მისი მეოხებით პიესის ავტორსაც მივაგნებო. მაგრამ აზია თვალსა და ხელს შუა დაუსხლტა, პარიზის შლამში გველთევზასავით დიდი ხნით მიიმალა და როცა ხელახლა გადააწყდა ესთერის მზარეულის როლში, მულატი დედაკაცის მონაწილეობას პიესაში ვერ იქნა და ახსნაგანმარტება ვერ გამოუძებნა. ჯაშუშობის ოსტატებს პირველად დაემართათ, ტექსტის შიფრი ვერ ამოხსნეს, თუმცა ეჭვობდნენ, რაღაც ბოროტმოქმედებას უნდა ფარავდესო. კონტანსონმა ტეტბუს ქუჩაზე სამჯერ გაბედულად მიიტანა იერიში, მაგრამ აქაც ჯიუტ დუმილს წააწყდა. სანამ ესთერი იქ ცხოვრობდა, პორტიე თითქოს შემაძრწუნებელ შიშს დაემუნჯებინა. იქნებ აზია მთელ მის ოჯახს მოწამლულ ატრიებს დაჰპირდა, თუკი ენას კბილს არ დააჭერდა. ესთერი ამ ბინიდან გადავიდა თუ არა, კონტანსონი მეორე დღესვე მეკარესთან მივიდა და მანაც უფრო მეტი გონიერება გამოიჩინა. ძალიან წუხდა პატარა ქალბატონის წასვლის გამო, მისი ნასუფრალით კუჭს ვიძღებდიო. სავაჭრო აგენტად შენიღბული კონტანსონი სახლზე ევაჭრებოდა, პორტიეს წუწუნს ყურს უგდებდა და თან ეუბნებოდა, აბა, ეგ რა დასაჯერებელიაო. დიახ, ბატონო, პატარა ქალბატონი ხუთი წელი ცხოვრობდა აქ და ერთხელაც არ გასულა გარეთ. კრავივით უცოდველი იყო, მაგრამ საყვარელი ეჭვიანი ჰყავდა. უნდა გენახათ, როგორ მოდიოდა მასთან, ფეხაკრეფით შეიპარებოდა, ერთი ამბით გამოვიდოდა. მერედა, ლამაზი მაინც არ ყოფილიყო, კალმით ნახატი ბიჭი იყო,,. ლუსიენი ჯერ კიდევ მარსაკში იმყოფებოდა, თავის დასთან, ქალბატონ სეშართან. როცა ლუსიენი ჩამოვიდა, კონტანსონმა პორტიე მალაკეს სანაპიროზე გაგზავნა, რათა ბატონ დე რიუბამპრესთვის ეკითხა, ქალბატონი ვან ბოგსეკის ავეჯის გაყიდვას ხომ არ აპირებთო. პორტიემ ახალგაზრდა ქვრივის საყვარელი იცნო და კონტანსონსაც ეგ უნდოდა. ალბათ, წარმოიდგენთ, როგორ გაოცდნენ ლუსიენი და კარლოსი, როცა მეკარე მოევლინათ; მაგრამ არ შეიმჩნიეს და პორტიეს უმტკიცებდნენ, ჭკუაზე გადასულხარო.

კარლოსმა ოცდაოთხ საათში კონტრპოლიცია შექმნა და კონტანსონის ჯაშუშობა მყისვე გამოაშკარავდა, რადგან დანაშაულის ადგილზე წაასწრეს. ბაზრის საქონლის დამტარებლად გადაცმულ კონტანსონს დილაობით უკვე ორჯერ მოეტანა სანოვაგე და აზიასაც ეყიდა. ორჯერვე სენჟორჟის ქუჩაზე მდებარე სახლში შესულიყო. კორანტენი არ ცხრებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, კარლოს ერერას ვინაობა საეჭვო არ ეჩვენა და ფარხმალი დაყარა, რაკი უმალვე გამოირკვა, რომ აბატი, ფერდინანდ VIIის საიდუმლო მსტოვარი, პარიზში 1823 წლის დამლევს ჩამოსულიყო. მაინც არ ასვენებდა ერთი აზრი, ესპანელი მღვდელი ლუსიენ დე

რიუბამპრეს რატომ მფარველობსო. მალე კორანტენს შეატყობინეს, ესთერი მთელი ხუთი წელი ლუსიენის საყვარელი იყოო. ჩანდა, ესთერის ინგლისელი ქალით შეცვლა დენდისთვის იყო ხელსაყრელი, ლუსიენს ხომ არავითარი საარსებო სახსრები არ გააჩნდა. მადმუაზელ დე გრანლიეც ამის გამო არ მიათხოვეს და ახლა კი რიუბამპრეთა მიწაწყალი ერთ მილიონად შეიძინაო. კორანტენმა იმარჯვა და საქმეში ჩარია პოლიციის გენერალური დირექტორი, რომელმაც პერადის შემოწმება ინება და მის თაობაზე პრეფექტს ცნობები სთხოვა. პრეფექტმა კი მოახსენა, ამ საქმეში მოსარჩლენი, არც მეტი და არც ნაკლები, გრაფი დე სერიზი და ლუსიენ დე რიუბამპრე ბრძანდებიანო. მიზანში მოვარტყით!,, შესძახეს პერადმა და კორანტენმა. ერთ წუთში მოქმედების გეგმა შემოხაზეს. გომბიოს საყვარლები ჰყავდა, თქვა კორანტენმა, დაქალებიც არ აკლდა. მათ შორის ერთი მაინც იქნება გასაჭირში ჩავარდნილი. ერთერთმა ჩვენგანმა მდიდარი უცხოელის როლი უნდა შეასრულოს და ქალი კმაყოფაზე აიყვანოს. ჩვენი ხელშეწყობით ორი ქალი ერთმანეთს ხშირად შეხვდება. კუროების ხაფანგში გასაბმელად მათ ყოველთვის ესაჭიროებათ მეგობრები და ჩვენც მოვლენათა შუაგულში ამოვყოფთ თავს,,. ინგლისელის როლის შესრულება, რაღა თქმა უნდა, პერადმა იკისრა. ჭკუაში დაუჯდა, მხიარულ ცხოვრებაში ჩაბმულიყო, ღრეობაში მიეღო მონაწილეობა იმ ხნის განმავლობაში, სანამ გახსნიდნენ შეთქმულებას, რომლის მსხვერპლი თვითონვე იყო. ჩანჩურა და ჯაფისგან მთლად ქანცგაცლილ კორანტენს კი სულაც არ ეპრიანებოდა ამ როლის თამაში. მულატად გადაცმული კონტანსონი ადვილად დაუსხლტა ხელიდან კარლოსის კონტრპოლიციას. სანამ პერადი და ქალბატონი დიუ ვალნობლი ერთმანეთს ელისეს მინდვრებზე შეხვდებოდნენ, ბატონი დე სარტინისა და ლენუარის უკანასკნელი აგენტი, წესრიგში მოყვანილი პასპორტით აღჭურვილი, ლაპეს ქუჩაზე მდებარე სასტუმრო მირაბოში,, გაჩერდა. იგი ჰავრის გავლით შორეული კოლონიებიდან ჩამობრძანდა პატარა კარეტით, რომელიც ისე იყო ლაფში ამოგანგლული, გეგონებოდათ მართლაც ჰავრიდან ჩამოსულაო, თუმცა პირდაპირ სენდენიდან მოემართებოდა.

კარლოს ერერამ, თავის მხრივ, ესპანეთის საელჩოში პასპორტი დაამოწმებინა და მთელი მალაკეს სანაპირო შეყარა, მადრიდს მივემგზავრებიო. ამის მიზეზს ახლავე მოგახსენებთ: რამდენიმე დღეში ესთერი სენჟორჟის ქუჩაზე მდებარე სასახლის ბატონპატრონი გახდებოდა და ოცდაათი ათასი ფრანკის რენტასაც მიიღებდა. ევროპა და აზია საკმაოდ გაქნილნი იყვნენ და რენტის გაყიდვა და მისი საფასურის ლუსიენისთვის გადაცემა არ გაუჭირდებოდათ. ვითომ დის წყალობით გამდიდრებული ლუსიენი გადაიხდიდა, რაც რამ ემართა რიუბამპრეთა მამულის შესასყიდად. აბა, ვინ იტყოდა, ლუსიენის ამგვარი მოქმედება უკანონოაო? მარტოოდენ ესთერს შეეძლო საიდუმლოს გამჟღავნება, მაგრამ იგი უმალ მოკვდებოდა, ვიდრე კრინტს დაძრავდა. კლოტილდმა წეროსავით გრძელ კისერზე პირისფერი ხილაბანდი მოიხვია, მაშასადამე, გრანლიეთა სასახლეში პარტია მოგებული გახლდათ. ომნიბუსების აქციების ფასმა სამმაგად აიწია. კარლოსი რამდენიმე დღით თვალს მიეფარებოდა და ბოროტგანმზრახველებს ყოველგვარ გეგმებს ჩაუფუშავდა. ყველაფერი ასჯერ ჰქონდა აწონილდაწონილი. მარცხი არსაიდან იყო მოსალოდნელი. პერადი ქალბატონ დიუ ვალნობლს ელისეს მინდვრებზე რომ შეხვდა, იმის მეორე დღეს ცრუ ესპანელი

პარიზიდან უნდა გამგზავრებულიყო. სწორედ იმ ღამეს, ორ საათზე, აზია მალაკეს სანაპიროზე ფიაკრით მივიდა და მთელი ამ მანქანის ცეცხლფარეში საწოლ ოთახში მოკალათებული დაუხვდა. ყალიონს აბოლებდა, ზემოხსენებული ამბების ყოველ წვრილმანს იხსენებდა და აზუსტებდა ისევე, როგორც მწერალი ათვალიერებს თავის ხელნაწერს, რათა შეცდომები იპოვოს და შეასწოროს. ისეთი ბუნების ადამიანს, როგორიც ცრუ აბატი გახლდათ, აღარ სურდა მეორეჯერ განეცადა მარცხი, ტეტბუსქუჩელ პორტიესთან რომ შეემთხვა.

დღეს, სამის ნახევარზე, პაკარმა ელისეს მინდვრებზე იცნო მულატად გადაცმული კონტანსონი, ჩურჩულით მოახსენა აზიამ ბატონს, მსახურად დასდგომია ერთ ინგლისელს, რომელიც აგერ სამი დღეა ელისეს მინდვრებზე დასეირნობს და ესთერს უთვალთვალებს. პაკარმა კონტანსონი თვალებით იცნო, როგორც მე ვიცანი, ბაზრის დამტარებლად გადაცმული რომ მობრძანდა. პაკარმა გოგონა გააცილა და თან ცდილობდა, ის არამზადა თვალიდან არ დაჰკარგვოდა. სასტუმრო მირაბოში,, ცხოვრობს. ისეა იმ ინგლისელთან შეხმატკბილებული, ისე კარგად ესმით ერთმანეთის, რომ შეუძლებელია, ინგლისელი მართლაც ინგლისელი იყოს.

აგვედევნენ, უთხრა კარლოსმა, ზეგამდე არსად წავალ, ტეტბუელი პორტიე სწორედ მაგ კონტანსონმა მოგვიგზავნა. ისიც უნდა გავიგოთ, ცრუ ინგლისელი ჩვენი მტერია თუ არა.

შუადღისას მულატი დარბაისლურად ემსახურებოდა თავის ბატონ სამეულ ჯონსონს, რომელიც ყოველთვის განზრახ მადიანად ილუკმებოდა. პერადს სურდა მსმელი,, ინგლისელის სახელი გავარდნოდა. შინიდან ისე არ გავიდოდა, თუ შექეიფიანებული არ ბრძანდებოდა. შავი მაუდის გეტრები მუხლებამდე სწვდებოდა. ფეხები სქელი რომ გამოსჩენოდა, გეტრებზე შიგნიდან დალიანდაგებული ბამბა ჰქონდა გამოკრული. შარვალიც სქელი ბამბაზიისსარჩულიანი ეცვა. ჟილეტი ნიკაპამდე შეეკრა. კისერზე მოხვეული ლურჯი ყელსახვევი ლამის ლოყებსაც უფარავდა. წითური პარიკი შუბლზე ჩამოეფხატა. ფართომხრებიანი შავი ფრაკი ტანზე შილიფად ედგა. ამგვარად ჩაცმული ინგლისელ მილიონერს ჰგავდა. კონტანსონი ისეთი კადნიერი გულგრილობით იქცეოდა, როგორც ნაბობის ნდობით აღჭურვილ ლაქიას შეეფერებოდა. სიტყვამუნწობდა, თავი ამაყად ეჭირა, ხალხს ზიზღით უცქერდა, ყველასგან განზე იდგა. ძალზე კადნიერად ირჯებოდა და ხანდახან იმასაც ბედავდა, რომ მძვინვარედ ღრიალებდა. ის იყო, პერადმა მეორე ბოთლის გამოცლა დააპირა, რომ მსახურმა ბიჭმა ნომერში დაუკითხავად შემოიყვანა ერთი კაცი. პერადმა და კონტანსონმა მაშინვე იცნეს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ჟანდარმი.

ბატონო პერად, ჩასჩურჩულა ჟანდარმმა ნაბობს, ნაბრძანები მაქვს, პრეფექტურაში მიგიყვანოთ.

პერადს კრინტი არ დაუძრავს, მაშინვე ქუდი აიღო ხელში.

კართან ფიაკრი დაგიხვდებათ, კიბეზე ჩასვლისას უთხრა ჟანდარმმა, პრეფექტი თქვენს დაპატიმრებას აპირებდა, მაგრამ იმით დაკმაყოფილდა, რომ პოლიციის მოხელე გამოგიგზავნათ. ფიაკრში გელოდებათ, იქვე დაგკითხავთ; უნდა გამოარკვიოს, ასე რად იქცევით.
როცა პერადი ფიაკრში ჩაჯდა, ჟანდარმი შეეკითხა:

ხომ არ გამოგყვეთ?

არა, უპასუხა მოხელემ, ჩუმად უბრძანეთ მეეტლეს, პრეფექტურაში წაგვიყვანოს.

პერადი და კარლოსი ფიაკრში მარტონი დარჩნენ. კარლოსს ხანჯალი ჰქონდა გამზადებული. სანდო მეეტლეს მიჰყავდა და თუ ეტლიდან გადმოხტებოდა, მეეტლე თავს ისე დაიჭერდა, ვითომც ვერაფერს ვხედავო; მერე კი, როცა დანიშნულ ადგილას მისული ეტლში ცხედარს ნახავდა, დიდად გაიკვირვებდა და ხალხსაც შეყრიდა. ჯაშუშს არავინ ესარჩლება; იმდენად ძნელია ამგვარი საქმის გამოძიება, რომ ჯაშუშის მკვლელს მართლმსაჯულება თითქმის ყოველთვის დაუსჯელად ტოვებს, პერადმა ჯაშუშის თვალით შეამოწმა პოლიციის პრეფექტის მიერ გამოგზავნილი მაგისტრატი. კარლოსის გარეგნობა საეჭვოდ არ ეჩვენა. მელოტი, კეფადანაოჭებული, თმაზე პუდრდაყრილი კაცი იყო. წითელქუთუთოებიანი მილეული თვალები ჰქონდა, მკურნალობას რომ საჭიროებდნენ; ძალიან კოხტა, მეტისმეტად ბიუროკრატიული, მწვანემინებიანი ოქროს სათვალე ეკეთა. თვალები ამ კაცის ამაზრზენ სენზე მეტყველებდნენ. მიტკლის პერანგი ეცვა და გულმოდგინედ დაკეცილი ჟაბო ეკეთა. გაცვეთილი შავი ატლასის ჟილეტი, სასამართლოს ჩინოვნიკის შარვალი, შავი, აბრეშუმის წინდები, ბაფთიანი ფეხსამოსი, გრძელი შავი რედინგოტი და ორმოც სუდ ღირებული შავი ხელთათმანები ეცვა, რომელთაც, ჩანდა, მთელი ათი დღე ატარებდა. ჯიბიდან საათის ოქროს ძეწკვი მოუჩანდა. ეს გახლდათ, არც მეტი და არც ნაკლები, უმცროსი მაგისტრატი, რომელსაც რატომღაც პოლიციის ზედამხედველს უწოდებენ.

ძვირფასო ბატონო პერად, ვწუხვარ, თქვენნაირ კაცს რომ მეთვალყურეობა დასჭირდა და თანაც ამის საბაბი თქვენვე მიეცით. თქვენი შენიღბვა ბატონ პრეფექტს არცთუ ძალიან მოსწონს. თუ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ჩვენს ყურადღებას აიცდენთ, მეტად ცდებით. ინგლისიდან, ალბათ, ბომონსურუაზის გავლით ჩამობრძანდით?..

დიახ, ბომონსურუაზის გავლით, დაუდასტურა პერადმა.

თუ სენდენის? დასძინა ცრუ მაგისტრატმა.

პერადი შეკრთა. ეს ახალი შეკითხვა პასუხს მოითხოვდა. ვაი, რომ ყოველი პასუხი საფრთხეს წარმოადგენდა. დასტური დაცინვად გამოჩნდებოდა, უარყოფა კი, თუ კაცმა სიმართლე

იცოდა, დამღუპველი იქნებოდა მისთვის. ეშმაკი ვინმეა,,, გაიფიქრა პერადმა და პასუხის ნაცვლად პოლიციის მოხელეს ღიმილი შეაგება. მოწინააღმდეგე ღიმილს კეთილგანწყობით შეხვდა.

რა მიზნით შენიღბულხართ? სასტუმრო მირაბოში,, რისთვის აგიღიათ ნომერი და კონტანსონის გამულატება რაღად დაგჭირვებიათ? ჰკითხა მაგისტრატმა.
ბატონ პრეფექტს ნება აქვს, დამსაჯოს, მაგრამ ანგარიშს მხოლოდ ჩემს უფროსებს ვაბარებ, ღირსეულად უპასუხა პერადმა.

თუ გინებებიათ, მაგრძნობინოთ, რომ სამეფო პოლიციის მითითებით მოქმედებთ, ცივად განუცხადა ყალბმა აგენტმა, მაშინ მიმართულებას შევიცვლით და იერუსალიმის ქუჩის ნაცვლად, გრენელის ქუჩისკენ გავწევთ. ასეთი ბრძანება მაქვს მიღებული. ფრთხილად იყავით! რომ ვთქვათ, თქვენზე მაინცდამაინც ძალიან არ არიან გაჯავრებული და ერთ წამში იქნებ თქვენი ბანქოს ქაღალდები არივდარიოთ. პირადად მე თქვენდამი მტრულად სულაც არა ვარ განწყობილი... მხოლოდ ნუ აყოვნებთ!.. სიმართლე მითხარით!..

სიმართლე? ახლავე მოგახსენებთ, უთხრა პერადმა და თავის ცერბერს წითელ თვალებში ცბიერად შეხედა.

ცრუ მაგისტრატის სახეზე კი ვერაფერს ამოიკითხავდით, ისე აუღელვებელი გამომეტყველება ჰქონდა. სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა და ყოველგვარი სიმართლე მისთვის თითქოს სულერთი იყო. გეგონებოდათ, პრეფექტით კმაყოფილიც კი არ იყო და ამ საქმეს ახირებად უთვლიდა; პრეფექტებს ხომ თავიანთი ხუშტურები აქვთ.

ერთი ქალი, მაკლერის საყვარელი, გაგიჟებით შემიყვარდა... მაკლერი თავისდა საამებლად და მოვალეების სამწუხაროდ, სამოგზაუროდ წავიდა. ფალეზე მოგახსენებთ.
ქალბატონი დიუ ვალნობლი? ჰკითხა პოლიციის მოხელემ.

დიახ, მიუგო პერადმა, ნაბობად შევინიღბე და კონტანსონი მსახურად დავიყენე, რათა ქალი ჩემს კმაყოფაზე გადმომეყვანა. ერთ თვეში მისი შენახვა ას ეკიუზე მეტი არ დამიჯდება. სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, ბატონო, და თუ ინებებთ ფიაკრში ჩემს დატოვებას (მე დაგელოდებით, ერწმუნეთ პოლიციის ყოფილი კომისრის სიტყვას) და თქვენ სასტუმროში შეხვალთ, დაჰკითხეთ კონტანსონი. მხოლოდ კონტანსონი კი არ დაგიმოწმებთ იმას, რისი თქმის პატივიც მე ახლა მქონდა, არამედ ქალბატონი დიუ ვალნობლის მოახლეც, რომელიც ჩემთან უნდა მოვიდეს და მაცნობოს, მისი ქალბატონი დათანხმდა თუ არა ჩემს წინადადებას, და თუ არ დათანხმდა, რას მოითხოვს. ბებერ მაიმუნს მანჭვაგრეხით ვერ გააკვირვებ: თვეში ათასი ფრანკი შევთავაზე, ეტლიც. ეს კი ათას ხუთას ფრანკს შეადგენს. ხუთასი ფრანკიც საჩუქრებში წამივა. ამდენივე დამიჯდება ყოველგვარი გართობა,

სადილვახშმები, თეატრი. როგორც ხედავთ, ერთი სანტიმითაც არ შევმცდარვარ, რომ გითხარით, ათასი ეკიუ დამიჯდებამეთქი. ჩემი ხნის კაცს ხომ აქვს უფლება, თავისი უკანასკნელი ახირების შესასრულებლად ათასი ეკიუ დახარჯოს.

ეჰ, მამილო პერად, ნუთუ ჯერ კიდევ ისე გიყვართ ქალები?.. მაგრამ უთუოდ ჩემს გაცურებას ცდილობთ. მე ხომ სამოცი წლისა ვარ და უამათოდ კარგად გავდივარ იოლად... თუკი საქმე სწორედ ისეა, როგორც ამბობთ, მაშინ გეთანხმებით, ამ ხუშტურის ასასრულებლად მართლაც დაგჭირდებოდათ უცხოელის გარეგნობა.

ხომ გესმით, რომ არც პერადი და არც მამილო კანკოელი მუანოს ქუჩიდან...

დიახ, არც ერთი და არც მეორე არ შეეფერება ქალბატონ დიუ ვალნობლს, კვერი დაუკრა მამილო კანკოელის მისამართის გაგებით გახარებულმა კარლოსმა, რევოლუციამდე ერთი ხასა მყავდა. მას უწინ უზენაეს საქმეთა შემსრულებელი მფარველობდა; ჯალათს უწინ ასე უწოდებდნენ. ერთ დღეს, თეატრში ქინძისთავმა გაფხაჭნა და წამოიყვირა: ოჰ, ჯალათო!,, რაო, წარსული გაგახსენდათ?,, ვკითხე გვერდით მჯდომ საყვარელს. იცით, რა, ჩემო ძვირფასო პერად, ქალი ასეთი უბრალო რამის გამო სამუდამოდ გამშორდა. მე კარგად მესმის, თქვენ არ ინებებთ ამგვარი შეურაცხყოფის გადატანას... ქალბატონი დიუვალ ნობლი წესიერი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი. ამას წინათ ოპერაში ვნახე და ძალიან მომეწონა, ლამაზია... აბა, ერთი უბრძანეთ მეეტლეს, უკანვე დაბრუნდეს ლაპეს ქუჩაზე, ჩემო საყვარელო პერად, თქვენთან ამოვალ და ყველაფერს იქვე გავარკვევ. უეჭველია სიტყვიერი მოხსენება პრეფექტს დააკმაყოფილებს.

კარლოსმა უბის ჯიბიდან მოსევადებული ვერცხლი სათუთუნე ამოიღო, გახსნა და პერადს გულის ამაჩუყებელი მიამიტობით ბურნუთი გაუწოდა. პერადმა გაიფიქრა: ამას დამიხედეთ, ეგენიც იტყვიან, აგენტები გვყავსო!.. ღმერთო ჩემო! ბატონი ლენუარი ან ბატონი დე სანტინი რომ გაცოცხლებულიყვნენ, ნეტავ რას იტყოდნენ?,,.

ცხადია, ცოტაოდენი სიმართლე ურევია თქვენს ნათქვამში, მაგრამ ეგ ხომ ყველაფერი არაა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უთხრა ცრუ მოხელემ და ბურნუთი ცხვირში შეაყარა, თქვენ ბარონ დე ნიუსინჟენის სასიყვარულო ამბებში ჩარეულხართ და, რა თქმა უნდა, მისი ხაფანგში გაბმა მოგისურვებიათ. თუ პისტოლეტს ააცდენთ, მერე, ალბათ, ზარბაზანსაც დაუმიზნებთ. ქალბატონ დე შამპის მეგობარი გახლავთ ქალბატონი დიუ ვალნობლი...
ოჰ! ეშმაკმა წაგიღოს! ჩემ მიერ დაგებულ ხაფანგში თვითონვე არ გავება! გაიფიქრა პერადმა, დახე, რა ძლიერი ყოფილა, მე კი მეგონა, დოყლაპიაამეთქი. როგორ გამათამაშა, ვითომდაც გაშვებას მიპირებდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მასლაათს არა წყვეტს, უნდა მეტი ამომქაჩოს,,.

მერე? გისმენთ, მაგისტრატს რომ ეკადრებოდა, ისე ქედმაღლურად მიმართა კარლოსმა.

მართალი გახლავთ, ბატონო, შევცდი და ბატონი დე ნიუსინჟენის დავალებით ძებნა დავუწყე ქალს, რომელიც ბანკირს გაგიჟებით შეჰყვარებია. ამის გამო ჩემი უფროსების მრისხანებაც დავიმსახურე. ჩანს, ჩემდა უნებლიეთ, მეტად მნიშვნელოვანი პირებისთვის მყუდროება დამირღვევია (პოლიციის ზედამხედველს წარბიც არ შეუხრია), მაგრამ ორმოცდაათი წელიწადია პოლიციას ვემსახურები, დიდი გამოცდილება მაქვს და განა არ უნდა შემეშვა ხელი ამ საქმისთვის მას შემდეგ, რაც პრეფექტმა ისე შემახურა? და ის ხომ, სრულიად უდავოა, მართალი ბრძანდებოდა...

ბატონ პრეფექტს რომ ეთხოვა, თქვენს ხუშტურზე ხომ იტყოდით უარს? მგონი, ეს თქვენი გულწრფელობის დამამტკიცებელი ურყევი საბუთი იქნებოდა.

ხედავთ, როგორ მახვევს ბადეში, როგორ მიტრიალებს გარშემო, გულში იმეორებდა პერადი, ოჰ, რა ეშმაკის კერძია! დღევანდელი აგენტები ბატონი ლენუარის ჯაშუშებს არაფრით ჩამოუვარდებიან,,.

უარი ვთქვა? იკითხა პერადმა, ბატონი პრეფექტის ბრძანებას დაველოდები... ჰო, თუ ინებებთ ჩემთან ამოსვლას, აგერ სასტუმროც.
სახსრებს სადღა შოულობთ? ერთბაშად შეეკითხა კარლოსი და ჯიქურ შეხედა.

ბატონო, ერთი ძმაკაცი მყავს... მიუგო პერადმა.

მაგ ამბავს სასამართლოს გამომძიებელს თუ მოახსენებთ? ისევ ჰკითხა კარლოსმა.

ეს გაბედული სცენა კარლოსმა ისეთი მარტივი კომბინაციებით გაითამაშა, რასაც მხოლოდ და მხოლოდ მისი ყაიდის ადამიანი თუ შეადგენდა. სისხამ დილით ლუსიენი გრაფინია დე სერიზისთან აფრინა. ლუსიენმა გრაფის სახელით მის პირად მდივანს სთხოვა, პრეფექტთან წასულიყო და მოეთხოვა ცნობები აგენტზე, რომელიც ბატონ დე ნიუსინჟენს ემსახურებოდა. მდივანმა ცნობები მოუტანა და პერადის პირადი საქმის ამონაწერის ასლიც მოართვა:

1778 წლიდან პოლიციაში მსახურობს. ამაზე ორი წლით ადრე ავინიონიდან ჩამოვიდა პარიზში. არც რაიმე ქონება გააჩნია და არც მაღალი ზნეობით გამოირჩევა. იცნობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საიდუმლო საქმეს. ბინადრობს მუანოს ქუჩაზე, კანკოელის სახელით. კანკოელი ეწოდება ვოკლიუზის დეპარტამენტში მდებარე პატარა მამულს, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს. საკმაოდ პატივცემულ საგვარეულოს ეკუთვნის. სულ ცოტა ხნის წინ მას ეძებდა ძმისწულის შვილი თეოდორ დე ლა პერადი (იხილეთ აგენტის მოხსენებითი ბარათი, დოკუმენტი /37),,.

სწორედ ეგ უნდა იყოს ის ინგლისელი, კონტანსონი რომ მულატად ემსახურება, შეჰყვირა კარლოსმა, როცა ლუსიენმა საბუთიცა და სიტყვიერი ცნობებიც გადასცა.
ამ კაცმა მხედართმთავრის გამჭრიახობით სამ საათში ყველაფერი აწონდაწონა და პაკარს თავისი მიამიტი თანაშემწის, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ჟანდარმის როლი დააკისრა, ხოლო თავად პოლიციის მოხელედ შეინიღბა. ფიაკრში სამჯერ მაინც აღეძრა ცდუნება, პერადი მოეკლა, მაგრამ საკუთარი თავისთვის ერთხელ და სამუდამოდ აეკრძალა, ვინმესთვის თავისი ხელით სიცოცხლე მოესპო; ახლა ფიცი დადო, ერთერთ ყოფილ კატორღელს ჩავაგონებ, რომ ეგ კაცი მილიონერია და პერადს გზიდან ჩამომაშორებსო.

პერადსა და მის მენტორს კონტანსონის ხმა შემოესმათ. ქალბატონი დიუ ვალნობლის მოახლეს ესაუბრებოდა. პერადმა კარლოსს ანიშნა, პირველ ოთახში დარჩიო, აქაოდა, ნახე, რა ალალმართალი ვინმე ვარ, რა გულწრფელიო.

ქალბატონი ყველაფერზე თანახმაა, ეუბნებოდა ადელი, ამწუთას თავის მეგობართან, ქალბატონ დე შამპისთან არის. მას თავისი სასახლის გარდა, ტეტბუს ქუჩაზე სახლი აქვს; მთელი წლის ქირა წინასწარ გადახდილია. უეჭველია, ჩემს ქალბატონს ამ სახლს დაუთმობს. ავეჯიც ჯერ ვარგისია და ბატონი თუ შეევაჭრება, მისი ყიდვა არ გაუძნელდება, ხოლო ჩემი ქალბატონისთვის უფრო მოსახერხებელია იქ მიიღოს ბატონი ჯონსონი.

კარგი, ჩემო ცუგრუმელავ. რაო, გამოგიჭირეთ, გინდათ გაგვაცუროთ, არა? უთხრა მულატმა გაოცებულ გოგოს, ასე იყოს, არც ჩვენ ჩამოგრჩებით.

აჰ, ერთი უყურე ამ შავკანიანს! შეჰყვირა მადმუაზელ ადელმა, თუ თქვენი ნაბობი მართლა ნაბობია, არ გაუჭირდება ქალბატონს საჩუქრად მიართვას ავეჯი. სახლის პატრონთან დადებულ ხელშეკრულებას 1830 წლის დამლევს გაუვა ყავლი და თუ თქვენს ნაბობს სახლი თვალში მოუვა, კონტრაქტის ვადას გააგრძელებინებს.

მე ძალიან კმაყოფილი ხარ! უთხრა პერადმა, რომელიც ოთახში შემოვიდა და მოახლეს მხარზე ხელი მოუთათუნა, თან კარლოსს თვალი ჩაუკრა. კარლოსმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, რაკი მიხვდა, ნაბობს თავისი როლისთვის არ უნდა ეღალატა. მაგრამ სცენა უეცრად შეიცვალა. შემოვიდა კაცი, რომელთანაც ვერც კარლოსი და ვერც პოლიციის პრეფექტი ვერაფერს გააწყობდნენ. მოულოდნელად კორანტენი დაატყდათ თავს. სასტუმროს წინ გაევლო და უცბად გადაეწყვიტა, ენახა, მისი ბებერი ძმაკაცი პერადი ნაბობის როლს როგორ ასრულებდა. კარი ღია დაუხვდა და ყველას თავს წაადგა.

პრეფექტი ისევ ყელში გამეჩხირა, ჩასჩურჩულა პერადმა კორანტენს, ნაბობის როლში მიცნო.

მაგ პრეფექტს მალე გავაპანღურებთ, ასევე ჩურჩულით მიუგო კორანტენმა მეგობარს.

მერე ცივად მიესალმა მაგისტრატს და ქვეშქვეშ შეათვალიერა.

აქ მომიცადეთ, სანამ დავბრუნდები, პრეფექტურაში წავალ, უთხრა კარლოსმა, თუ არ მოვბრუნდი, შეგიძლიათ თქვენი ხუშტური დაიკმაყოფილოთ.

უკანასკნელი სიტყვები ყურში უთხრა პერადს, რათა პატივცემული ნაბობი მოახლის თვალში არ დაემცირებინა. მერე ოთახიდან გავიდა, ვინაიდან სრულიადაც არ ეპიტნავებოდა მოულოდნელი სტუმრის ყურადღება მიეპყრო, მით უმეტეს, რომ იგი ერთერთ იმ ჯურის ლურჯთვალება, ქერათმიან მამაკაცთა მოდგმას ეკუთვნოდა, რომელთა შიშიც კარლოსს გულს უყინავდა.

პოლიციის ზედამხედველია, პრეფექტმა რომ მომიგზავნა, უთხრა პერადმა კორანტენს.
ეგ? მერედა, რამ დაგაბრმავა? მიუგო კორანტენმა, კაცს ფეხსაცმელში სამი დასტა ქაღალდი უწყვია, მაშინვე თვალში გეცემა, თუ შეხედავ, როგორ ადგას ფეხსაცმელი. ეგეც არ იყოს, პოლიციის მოხელეს რად დასჭირდებოდა შენიღბვა?

კორანტენმა კისრისტეხით ჩაირბინა კიბე, რათა საეჭვო კაცი ყურადღებით შეეთვალიერებინა. კარლოსი ფიაკრში ჯდებოდა.

ეჰეი, ბატონო აბატო! დაუყვირა კორანტენმა.
კარლოსი მოტრიალდა, კორანტენი დაინახა და მაშინვე ეტლში ჩაჯდა. კორანტენმა მოასწრო ეტლის ფანჯარასთან მისულიყო და ეთქვა:

სწორედ ამის გაგება მსურდა.

აბა, მალაკეს სანაპიროზე! შესძახა კორანტენმა და მის ხმასა და თვალებში ჯოჯოხეთური დაცინვა გამოკრთა.

რა ჯანდაბაა, გულში თქვა ჟაკ კოლენმა, როგორ გავები. მაჯობეს. უნდა მივასწრო და, რაც მთავარია, გავიგო, რა უნდათ ჩვენგან,,

კორანტენს ხუთჯერ თუ ექვსჯერ ენახა კარლოს ერერა, ხოლო ამ კაცის გამოხედვის დავიწყება შეუძლებელი იყო. კორანტენმა თავდაპირველად მისი გაშლილი მხარბეჭი იცნო, მერე შეშუპებული სახე, ბოლოს კი მიხვდა, ფეხსაცმელში დამატებითი ქუსლები რომ ეწყო და სიმაღლე სამი დუიმით ჰქონდა მომატებული.

ოჰ, ძველო, ნიღაბი ჩამოგხსნეს! წამოიყვირა კორანტენმა, როცა დარწმუნდა, რომ საძინებელში პერადისა და კონტანსონის გარდა, სხვა არავინ იყო.

ვინ იყო? დაიღრიალა პერადმა და მისმა ხმამ ფოლადივით დაიჟღრიალა, დამაცადოს ერთი, შამფურზე წამოვაგებ და გენიის ცეცხლს შევუნთებ. სხვას არაფერს გავაკეთებ მთელ ჩემს სიცოცხლეში.

ამჟამად კარლოს ერერა გახლავთ. რა ვიცით, ეგებ ესპანელი კორანტენია. ყველაფერი დღესავით ნათელია. ესპანელი დიდი გახრწნილი ვაჟბატონია. უნებებია, ბიჭუნა გაამდიდროს და ლამაზი გოგოს ლოგინში ფულს ჭრის... ახლა შენი საქმეა, თუ გინდა, ეშმაკივით გაქნილ დიპლომატს გაუმკლავდი.

ოჰ! შესძახა კონტანსონმა, ესთერის დაპატიმრების დღეს მაგან სამასი ათასი ფრანკი მიიღო, ფიაკრში იჯდა. მაგის თვალებს, შუბლსა და ჩოფურა სახეს რა დამავიწყებს!

ვაი, რა მზითევი ექნებოდა ლიდის! ამოიგმინა პერადმა.

შეგიძლია ისევ ნაბობად დარჩე, უთხრა კორანტენმა, ესთერზე თვალი გეჭიროს. ამისთვის უთუოდ ვალნობლს დაუახლოვდი. სწორედ ესთერი იყო ლუსიენ დე რიუბამპრეს საყვარელი და სხვა არავინ.

უკვე ხუთასი ათასი ფრანკი წაღლიტეს ნიუსინჟენს, თქვა კონტანსონმა.

ერთი მაგდენი კიდევ სჭირდებათ, დასძინა კორანტენმა, რიუბამპრეთა მამული ერთ მილიონად ფასობს. მამილო, უთხრა პერადს და მხარზე ხელი დაარტყა, შეგიძლია ასი ათას ფრანკზე მეტი დაუგროვო ლიდის მზითვად.

მაგას ნუღარ მეუბნები, კორანტენ, შენი გეგმა რომ ჩაგვეფუშოს, მეც არ ვიცი, რას ჩავიდენ...

იქნებ ხვალვე ჩაიჯიბო ეგ ფული, რა იცი! აბატი, დიდი გაიძვერა ვინმეა. ჩვენც კუდი უნდა ვუქნიოთ, ეგ ხომ მაღალი რანგის სატანაა. მაგრამ ახლა ჩემს ხელშია. გონიერი კაცია და დაგვნებდება. შეეცადე, ნაბობს რომ შეეფერება, ისე მოიშტერო თავი და ნურაფრის გეშინია.

იმ დღეს, როცა ჭეშმარიტი მოწინააღმდეგენი ტრიალ მინდორზე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ, ლუსიენი საღამოს გასატარებლად გრანლიეთა სასახლეში მიბრძანდა. დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. სალონში ჰერცოგინია დამსწრე საზოგადოების წინაშე უაღრესი თავაზიანობით შეხვდა ლუსიენს და ერთხანს საუბარიც გაუბა.

მგონი, სამოგზაუროდ ყოფილხართ წასული? მიმართა მან ლუსიენს.

დიახ, ჰერცოგინია, ჩემმა დამ ისურვა, ჩემთვის დახმარება გაეწია, რაკი ცოლის შერთვას ვაპირებ. დიდი მსხვერპლი გაიღო და მისი ხელშეწყობით რიუბამპრეთა მამული გამოვისყიდე. ახლა მთელი მიწაწყალი მე მეკუთვნის. ისიც უნდა მოგახსენოთ, ჩემმა პარიზელმა ადვოკატმა ძალიან იმარჯვა და თავიდან ამაცდინა მამულის მფლობელთა პრეტენზიები, რასაც ისინი უთუოდ წარმომიდგენდნენ, მყიდველის გვარი რომ სცოდნოდათ.

ციხეკოშკი თუ არის იქ? იკითხა კლოტილდმა დაუფარავი სიხარულით.

არის რაღაც კოშკის მსგავსი, მაგრამ სჯობია, თანამედროვე სტილის სახლის ასაგებ მასალად გამოვიყენოთ.

კლოტილდს სახეზე კმაყოფილების ღიმილი მოჰფენოდა, ხოლო თვალებში ბედნიერების სხივი უკიაფებდა.

ამ საღამოს მამაჩემთან რობერს ითამაშებთ, ჩასჩურჩულა მან ყმაწვილს, ორი კვირის შემდეგ კი, იმედია, სადილზეც მოგიწვევთ.

აბა, რას გვეტყვით, ჩემო ძვირფასო ბატონო, მიმართა ჰერცოგმა დე გრანლიემ, ამბობენ, რიუბამპრეთა მამული გამოისყიდაო. მოგილოცავთ. ამით გააჩუმებთ ყველას, ვინც ამტკიცებს, ვითომ ვალებში იყოთ ჩაფლული. ჩვენი წრის ადამიანებს, ისე, ვით საფრანგეთსა და ინგლისს, შეიძლება ჰქონდეთ ვალი, ხოლო ღარიბღატაკს, მაღალ საზოგადოებაში ახლახან რომ გამოჩენილა და ფეხი ჯერაც არ მოუკიდებია, ამის უფლება არა აქვს...

ვაი, რომ ხუთასი ათასი ფრანკი კიდევ მმართებს მამულის ვალი, ბატონო ჰერცოგო!

რა უჭირს, შეირთეთ ცოლი, რომელსაც მზითევში მოჰყვება ეგ თანხა. თუმცა გაგიძნელდებათ ასეთი საცოლის გამოძებნა ჩვენს უბანში, სადაც ქალიშვილებს მეტად მცირე მზითევს ატანენ.

გვარიშვილობაც ეყოფათ, მიუგო ლუსიენმა.

ვისტის მოთამაშენი მხოლოდ სამნი ვართ: მონფრინიეზი, დჟესპარი და მე, ხომ არ ინებებთ მეოთხე იყოთ? ჰკითხა ჰერცოგმა ლუსიენს და სათამაშო მაგიდასთან მიიხმო.

კლოტილდი მიუახლოვდა მათ, რათა მამის თამაშისთვის თვალი ედევნებინა.

კლოტილდი სრულ განჯარგულებაში გადმომცემს ამათ, თავის შვილს ხელზე ხელი დაუტყაპუნა ჰერცოგმა და თან ლუსიენს ცერად გახედა.

ყმაწვილკაცს დარბაისლურად ეჭირა თავი და აუღელვებლად იჯდა. ბატონი დეესპარის პარტნიორმა, ლუსიენმა, ოცი ლუიდორი წააგო.

ძვირფასო დედიკო, კლოტილდი ჰერცოგინიასთან მივიდა, ლუსიენს ჭკუა ეყო და მამაჩემთან წააგო.
თერთმეტ საათზე, მას შემდეგ, რაც მადმუაზელ დე გრანლიემ და მან ერთმანეთს რამდენიმე სატრფიალო სიტყვა გადაულაპარაკეს, ჭაბუკი შინ დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ფიქრებს მისცა თავი. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ერთი თვის შემდეგ სრულ გამარჯვებას მიაღწევდა, კლოტილდი მისი დანიშნული გახდებოდა, ხოლო სანამ 1830 წლის დიდმარხვა დადგებოდა, ჯვარსაც დაიწერდა მასზე.

მეორე დღეს, ნასაუზმევს, ლუსიენი სიგარეტს აბოლებდა. მის მახლობლად იჯდა კარლოსი, რომელსაც ამ ბოლო დროს მოსვენება დაჰკარგოდა. მათ აუწყეს, ბატონი დე სენტესტევი გეახლათ (რა დაცინვაა!) და სურს აბატ კარლოს ერერას ანდა ბატონ ლუსიენ დე რიუბამპრეს რაღაც მოახსენოსო.

განა არ უთხრეს ქვემოთ, რომ შინ არა ვარ? შეჰყვირა აბატმა.

როგორ არა, ბატონო, მიუგო გრუმმა.

მაშ კარგი, მიიღე ეგ კაცი, უთხრა მან ლუსიენს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დაგცდეს ზედმეტი, ნურც ნურაფერს გაიკვირვებ, ეგ კაცი ჩვენი მტერია.

ხომ მომისმენ, უთხრა ლუსიენმა.

კარლოსი გვერდით ოთახში მიიმალა და კარის ღრიჭოდან დაინახა, რომ კორანტენი შემოვიდა. მხოლოდ ხმაზე იცნო, გარდასახვის ისეთი უნარი ჰქონდა ამ უსახელო გენიოსს. ახლა კორანტენი ფინანსთა სამინისტროს რომელიღაც განყოფილების უფროსს მიაგავდა.

მე თქვენ არ მიცნობთ, ამის პატივი ჯერ არ მქონია, ბატონო, მიმართა კორანტენმა ლუსიენს, მაგრამ...

მაპატიეთ, სიტყვას რომ გაწყვეტინებთ, ბატონო, უთხრა ლუსიენმა, მაგრამ...

მაგრამ საქმე ეხება თქვენსა და მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს ქორწინებას. ეს ჯვრისწერა არ შედგება, მკვირცხლად დასძინა კორანტენმა.

ლუსიენი დაჯდა და არაფერი უპასუხა.

თქვენ ხელში ჩაუვარდით კაცს, რომელსაც შესაძლებლობაცა აქვს და სურვილიც, სრულიად იოლად დაუმტკიცოს ჰერცოგ დე გრანლიეს, რომ რიუბამპრეთა მამულს თქვენ ყიდულობთ იმ თანხით, რაც ერთმა ტუტუცმა თქვენი ხასის, მადმუაზელ ესთერის საფასურად მოგცათ, თქვა კორანტენმა, არცთუ ისე ძნელია ვიპოვოთ განაჩენის ასლი, დასტურად იმისა, რომ მადმუაზელ ესთერი პასუხისგებაში იყო მიცემული. დეტურნის ასალაპარაკებლად საშუალებასაც გამოვძებნით. ბარონ დე ნიუსინჟენის საწინააღმდეგოდ უაღრესად ოსტატურად მოფიქრებულ თაღლითობას შუქი მოეფინება... ჯერჯერობით კი ყველაფრის მოგვარება შეიძლება. მომეცით ასი ათასი ფრანკი და აღარავინ შეგაწუხებთ... მე აქ არაფერ შუაში ვარ. მხოლოდ შუამავალი გახლავართ იმათი, ვინც ამ შანტაჟს გიწყობთ, ესაა და ეს.
კორანტენს თუნდაც ერთ საათს გაეგრძელებინა მასლაათი, ლუსიენი მის ნათქვამს აინუნშიც არ აგდებდა, იჯდა უდარდელი გამომეტყველებით და სიგარეტს ეწეოდა.

ბატონო, მიუგო მან, სულ არ მაინტერესებს, ვინ ბრძანდებით, ვინაიდან იმ ადამიანებს, ვინც ამგვარ შუამავლობას კისრულობს, სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩემთვის არავითარი გვარი არა აქვთ. მე ნება მოგეცით მშვიდად გადმოგეცათ სათქმელი: მე ჩემს სახლში გახლავართ. ჩემი აზრით, უჭკუო კაცი არ უნდა იყოთ. ახლა მე მომისმინეთ.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ლუსიენი მისკენ მიპყრობილ კორანტენის კატისებურ თვალთა გამოხედვას ყინულივით ცივ მზერას არ აშორებდა.

თქვენ ან სრულიად ყალბ ფაქტებს ეყრდნობით და მე არავითარი მიზეზი არ გამაჩნია ოდნავ მაინც შევიწუხო თავი, ანდა მართალი ბრძანდებით და მაშინ, რაკიღა ჩემგან ასი ათას ფრანკს მიიღებთ, უფლება მოგეცემათ იმდენი ასი ათასი ფრანკი მომთხოვოთ, რამდენი სენტესტევის პოვნასაც შეძლებს თქვენი რწმუნებული ჩემთან გამოსაგზავნად... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და დაუყოვნებლივ შევწყვიტოთ თქვენი დიდად ღირსეული მოლაპარაკება, გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ ლუსიენ დე რიუბამპრეს არავისი ეშინია. არაფერი მაქვს საერთო იმ შავბნელ საქმეებთან, რაზედაც თქვენ მომახსენებდით. თუ გრანლიეთა ოჯახი მიუდგომელი ციხესიმაგრე გამოდგება, ბევრია კეთილშობილი საგვარეულოს ქალიშვილი, რომლებიც ცოლობაზე უარს არ მეტყვიან. ბოლოს და ბოლოს, უცოლოდ დარჩენითაც არაფერს წავაგებ, თუკი, როგორც თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, თეთრკანიანი მონა ქალებით ესოდენ სარფიანად ვივაჭრებ.
ბატონი კარლოს ერერა რომ...

ბატონო, სიტყვა გააწყვეტინა კორანტენს ლუსიენმა, აბატი კარლოს ერერა ამწუთას ესპანეთისკენ მიმავალ გზას ადგას და არაფერი ესაქმება არც ჩემს ქორწინებასთან და არც ჩემს მატერიალურ მდგომარეობასთან. ამ სახელმწიფო მოღვაწემ კეთილინება და ერთხანს რჩევადარიგებას არ მაკლებდა, მაგრამ ახლა ვალდებულია მის უდიდებულესობას,

ესპანეთის მეფეს საანგარიშო მოხსენებით წარუდგეს. თუ მასთან რამე გაქვთ სათქმელი, გირჩევთ, მადრიდის გზას გაჰყვეთ.

ბატონო, მკაფიოდ უთხრა კორანტენმა, თქვენ არასოდეს იქნებით მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს მეუღლე.

მით უარესი მისთვის, ეუბნებოდა ლუსიენი და თან მოუთმენლად კარისკენ უბიძგებდა კორანტენს.

კარგად დაფიქრდით? ცივად ჰკითხა კორანტენმა.

ბატონო, ვერ გამიგია, რა უფლება გაქვთ, ჩემს საქმეში ჩაერიოთ, ანდა დამაკარგვინოთ თუნდაც ერთი სიგარეტი, შეუტია ლუსიენმა და ჩამქრალი სიგარეტი გადააგდო.

მშვიდობით, ბატონო, უთხრა კორანტენმა, ჩვენ ვეღარასოდეს ვნახავთ ერთმანეთს... მაგრამ გახსოვდეთ, დაგიდგებათ წუთი, როცა დარწმუნდებით, ჯობდა ახლა ქონების ნახევარი მოგეცათ, ოღონდ მე არ გაგესტუმრებინეთ.

ამ მუქარის საპასუხოდ კარლოსმა ხელით ანიშნა, თავს წავაცლიო.

აბა, ახლა საქმეს შევუდგეთ! შესძახა მან და შეაშტერდა ლუსიენს, რომელსაც ამ შემზარავი საუბრის შემდეგ მკვდრისფერი დასდებოდა.
თუ იმ მცირერიცხოვან მკითხველთა შორის, რომელთაც წიგნის ზნეობრივი და ფილოსოფიური მხარე აინტერესებთ, ერთი მაინც მოიძებნა ისეთი, ვინც დაიჯერებს, თითქოს ბატონი დე ნიუსინჟენი ბედნიერი იყო, ბარონი მას დაუმტკიცებს, რაოდენ ძნელია, კურტიზანის გული ფიზიოლოგიის ამა თუ იმ კანონს დაექვემდებაროს.
ესთერს გადაეწყვიტა საბრალო მილიონერისთვის მამასისხლად დაესვა ის, რასაც იგი გამარჩვებიზ დღეზ,, უწოდებდა. სწორედ ამის გამო 1830 წლის დამდეგს ფატარა ზაზახლეში,, ახალმოსახლეობა ჯერაც არ ეზეიმათ.

იცით რა, კარნავალის დღეს უნდა გავხსნა ჩემი სამეფო, საიდუმლოდ გაანდო მეგობრებს ესთერმა, ხოლო მეგობრებმა მაშინვე ბარონს შეატყობინეს, და მსურს ჩემი კაცი ისე გავაბედნიერო, რომ თავი ქერის ორმოში ეგონოს.

ეს გამოთქმა ხელიხელსაგოგმანებლად იქცა კურტიზანთა წრეში.

ბარონი კი ერთთავად ბედს უჩიოდა. როგორც ყველა ცოლიანი კაცი, ისიც მეტად სასაცილოდ გამოიყურებოდა, როცა ახლობლებში წუწუნს იწყებდა, რაკი ჩივილწუწუნში

მისი უკმაყოფილების მიზეზი აშკარად მოჩანდა; ხოლო ესთერი ამ სპეკულაციის პრინცის წინაშე პომპადურის როლის კეთილსინდისიერად შესრულებას განაგრძობდა. უკვე ორი თუ სამი საღამო გამართა მხოლოდ იმისთვის, რომ ლუსიენი დაეპატიჟებინა. მისი მუდმივი სტუმრები იყვნენ ლუსტო, რასტინიაკი, დიუ ტიე, ბისიუ, ნათანი, გრაფი დე ბრამბური, ერთი სიტყვით, დარდიმანდთა მთელი ნაღები.
დაბოლოს, რაკი კომედიის გათამაშებას აპირებდა, სხვა როლების შემსრულებლებიც შეარჩია და შინ მოიწვია: ტულია, ფლორენტინი, ფანი ბოპრე, ორი მსახიობი ქალი და ორიც მოცეკვავე. მერე ქალბატონი დიუ ვალნობლიც მიიღო. კურტიზანის სახლზე მოსაწყენი არაფერია, თუ იქ მეტოქეები არ მოშუღლეობენ, ნაირნაირი ტანსაცმელი არ არის გამოფენილი და ათასი ჯურის ხალხს არ მოუყრია თავი. თვენახევარში ესთერი გადაიქცა ყველაზე მახვილგონიერ, ენაკვიმატ, მშვენიერ და ელეგანტურ ქალად იმ პარიათაგან,რომლის მსგავსნი სხვის კმაყოფაზე მყოფ ხასების კლასს ქმნიან. შესაფერის კვარცხლბეკზე შემდგარი, ჩვეულებრივი ქალებისთვის ესოდენ მაცდუნებელი პატივმოყვარეობის ყოველგვარ სიტკბოებას ეწაფებოდა, მაგრამ ესთერი თავის კასტაზე ზემოთ იდგა, რაკი იდუმალ ოცნებას შეჰფოფინებდა; გულში საკუთარ ხატებას ატარებდა და ეს მისი სირცხვილიც იყო და დიდებაც. სარწმუნოებიდან განდგომის გამო ნიადაგ სინდისი ქენჯნიდა. გაორებული იყო ესთერი და ამიტომაც ებრალებოდა საკუთარი თავი. მისი სარკასტული ხუმრობა ისევ და ისევ მის შინაგან განწყობას გამოხატავდა, გადმოსცემდა კურტიზანში დაბუდებული სიყვარულის ანგელოზის უსაზღვრო ზიზღს იმ ამაზრზენი და ლაფდამსხმელი როლისადმი, რასაც სხეული სულის თანდასწრებით ასრულებდა. ერთსა და იმავე დროს მაყურებელიცა და მსახიობიც, ბრალმდებელიცა და ბრალდებულიც ედარებოდა თვალწარმტაც პირმშოს არაბული ზღაპრებისა, სადაც თითქმის ყოველთვის შეხვდებით შემზარავ საფარველქვეშ მიმალულ ამაღლებულ არსებას, რომლის პირველსახე, ნაბუქოდონოსორის სახელწოდებით, ასახულია წიგნთა წიგნში, ბიბლიაში. რაკი გადაეწყვიტა, ღალატის შემდეგ მხოლოდ ერთ დღეს ეცოცხლა, მსხვერპლს უფლება ენიჭებოდა თავისი ჯალათი ცოტათი მაინც გაეპამპულებინა. ესთერმა ისიც გაიგო, თუ რა ბნელი და უკუღმართი გზებით მოეხვეჭა ბარონს უზარმაზარი ქონება და უკვე აღარ რცხვენოდა მისი. ესთერს სიამოვნებდა ღვთაება ატესისროლის შესრულება, ღვთაებისა, რომელსაც კარლოსი შურისძიების ქალღმერთს,, უწოდებდა. ხან მომხიბლავად ალერსიანი იყო, ხან კი ზიზღით აღსავსე, ხოლო ბარონი მარტოოდენ ესთერით სულდგმულობდა. ხანდახან მწუხარება ისე შემოაწვებოდა გულზე, რომ გადაწყვეტდა ესთერის მიტოვებას, მაგრამ ქალი თვალთმაქცური ალერსით აკავებდა.

ერერა, დიდი ამბით რომ ესპანეთს გაემგზავრა, ტურს არ გასცილებია. მეეტლეს უბრძანა, ბორდომდე განეგრძო გზა. ერთი მსახური თავის ადგილას დასვა და დაავალა, ბატონის როლი ეთამაშა; ბორდოს სასტუმროში დაბინავებულიყო, სანამ ერერა მიაკითხავდა. თვითონ კომივოიაჟორად შეინიღბა და დილიჟანსით უკან დაბრუნდა. ფარულად დაბინავდა ესთერის სახლში, საიდანაც ევროპას, აზიასა და პაკარის მეშვეობით დიდი გულმოდგინებით აბამდა ხრიკებს. ყველას თვალყურს ადევნებდა, განსაკუთრებით კი პერადს.

ორი კვირით ადრე დათქმული დროისა, რომელიც ახალმოსახლეობის აღსანიშნად აირჩიეს და ოპერის ზამთრის სეზონის გასახსნელი ბალმასკარადის შემდეგ გაიმართებოდა, ესთერი, რომელმაც თავისი ენაკვიმატობით საშიში ქალის სახელი დაიგდო, იტალიელებთან,, იჯდა ბენუარის ღრმა ლოჟაში, რომელიც ბარონმა დაიქირავა, რათა საზოგადოების თვალისგან მოეფარებინა საყვარელი და არც თვითონ შესჩხეროდა თვალში, მით უმეტეს, რომ სულ რამდენიმე ნაბიჯზე იყო ქალბატონი დე ნიუსინჟენის ლოჟაც. ესთერმა კი ეს ლოჟა იმიტომ არჩია, რომ იქიდან კარგად მოოჩანდა ლოჟა ქალბატონი დე სერიზისა, ვისაც თითქმის ყოველთვის თან ახლდა ლუსიენი. საბრალო კურტიზანს დიდ ბედნიერებად მიაჩნდა ლუსიენისთვის ემზირა სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით, თუნდაც ჭაბუკი დე სერიზის გვერდით მჯდარიყო. იმ საღამოსაც ლუსიენი ათის ნახევარზე გრაფინიას ლოჟაში შევიდა და ესთერის თვალს არ გამოეპარა, რომ ყმაწვილს სახეზე მწუხარება აღბეჭდოდა და ფერიც წასვლოდა. სასოწარკვეთის ამ ნიშნებს ესთერის მეტი ვერავინ შეამჩნევდა. შეყვარებული ქალი ისევე იცნობს სატრფოს სახეს, როგორც მეზღვაური გაშლილ ზღვას.

ღმერთო, ნეტავ რა დაემართა? რა მოხდა? უსიამოვნო ამბავი ხომ არა აქვს იმ ჯოჯოხეთის მოციქულთან, თავის მფარველ ანგელოზთან, რომელიც ახლა მანსარდაში, აზიასა და ევროპას ოთახებს შორის იმალება?,, ასეთ მწუხარე ფიქრებში ჩაფლული ესთერი მუსიკას თითქმის არც უსმენდა. ალბათ, ძნელი დასაჯერებელი არ არის, რომ სულაც არ უსმენდა. ბარონს თავისი ანგელოზის ხელი ორივე ხელში მოექცია და პოლონურებრაულ ჟარგონზე ელაპარაკებოდა; სიტყვებს ისეთი უცნაური დაბოლოებებით ამბობდა, რომ მსმენელსაც ისევე გულისამრევად ეჩვენებოდა, როგორც ჩვენს მკითხველს მოეჩვენება.

ეზდერ, ტქვენ არ მიზმენტ, უთხრა მან და ქალის ხელი გაჯავრებით მოიშორა.
ბარონო, როგორ გეკადრებათ, სიყვარულსაც ფრანგულ ენასავით ამახინჯებთ.

ზატანავ!

მე ახლა ჩემს ბუდუარში კი არა, იტალიელთა თეატრში ვარ. თქვენ იურეს ან ფიშეს მიერ დამზადებული ფულის ზანდუკი რომ არ იყოთ, ბუნებას რაღაც სასწაულით ადამიანად რომ გადაუქცევია, ასეთ აურზაურს არ ატეხდით მუსიკის მოყვარული ქალის ლოჟაში. თქვენ კი ფუსფუსებთ, ისე დაფუთფუთებთ, ისე აშრიალებთ ჩემს კაბას, გეგონებათ, ქაღალდში შემძვრალი ხოჭოაო. თან მეუბნებით: რა ლამაზი ხარტ, რა მშვენიერი,,... ბებერო კოკობზიკავ! განა მე მითქვამს, ამ საღამოს გუშინდელზე ნაკლებ არასასიამოვნო ხართ ჩემთვის და შინ წავიდეთმეთქი. იცით, რას გეტყვით? თქვენ ისე ხვნეშით (კიდევაც რომ არ გისმენდეთ, მაინც ვგრძნობ თქვენს აქ ყოფნას), ჩანს, სადილზე უღმერთოდ გამძღარხართ და თქვენმა კუჭმა მონელება დაიწყო. ყურადღებით მომისმინეთ (საკმაოდ ძვირად გიჯდებით და რაკი ამდენს ფულს გართმევთ, ვალდებულიც ვარ, ხანდახან რჩევადარიგება მოგცეთ!): შეიგნეთ, ჩემო

საყვარელო, როცა ადამიანი საჭმელს ასე მძიმედ ინელებს, როგორც თქვენ გემართებათ, მან უდროო დროს სატრფოს არ უნდა უთხრას: ტკვენ ლამაზი ხარტ,.... ბლონდემ მიამბო, თურმე ერთმა ჯარისკაცმა ამგვარი არშიყობის გამო თქვენი ჭირი წაიღო და უფალმა მისი სული მიიბარა... ახლა ათი საათია, თქვენ იმ დოყლაპია გრაფ დე ბრამბურთან ერთად დიუ ტიესთან სადილი ცხრა საათზე დაამთავრეთ, მოსანელებელი გაქვთ მილიონები და ტრიუფელები. ეს ყველაფერი ხვალ ათ საათზე გამიმეორეთ!

რა ზაზტიკი ხარტ!.. შეჰყვირა ბარონმა, თუმცა გულში გაიფიქრა, ეს მართლაც ზუსტი სამედიცინო დასკვნაა.

სასტიკი!.. გაიმეორა ესთერმა და თან თვალს არ აშორებდა ლუსიენს, განა რჩევას არ ეკითხებოდით ბიანშონს, დეპლენს, ბებერ ოდრის... მას შემდეგ, რაც თქვენს ბედნიერების განთიადს მიუახლოვდით, იცით, ვის მაგონებთ?

ვიზ?

ფლანელში შეფუთნილ ბებრუცუნას, რომელიც ყოველ საათში ერთხელ სავარძლიდან დგება და ფანჯარასთან მიფრატუნებს, რათა შეამოწმოს, თერმომეტრი ხომ უჩვენებს იმ ტემპერატურას, აბრეშუმის ჭიისთვის რომ არის საჭირო და ექიმმა მასაც ურჩია...

რა უმატური ვინმე ბრზანდებიტ! შესძახა ბარონმა. მის გულს მწუხარება დაეუფლა, რადგან შემოესმა ჰანგები, რასაც გამიჯნურებული ბერიკაცები საკმაოდ ხშირად ისმენენ იტალიელებთან,,.

უმადური! ისევ გაიმეორა ესთერმა, რა იყო, რა მივიღე თქვენგან აქამდე?.. უამრავი უსიამოვნება! განა შემიძლია ვიამაყო თქვენით? თქვენ კი ჩემით თავს იწონებთ; მე ხომ ბრწყინვალედ ვატარებ თქვენს სირმებსა და ლივრეას! ვალი გადამიხადეთ, ძალიან კარგი, მაგრამ იმდენი მილიონი გაქვთ მოხვეტილი (აბა, ცხვირი ნუ ჩამოუშვით, ხომ მეთანხმებით...), რომ ჩემი ვალი თქვენთვის წვეთია ზღვაში და მხოლოდ ეს არის თქვენი საქმენი საგმირონი. როსკიპი და ქურდი ამაზე უკეთესად სხვა არაფერი ეხამება ერთმანეთს. თქვენ საუცხოო გალია აუგეთ თუთიყუშს, რომელიც თვალში მოგივიდათ... წადით, შეეკითხეთ ბრაზილიურ არას, მადლიერია თუ არა იმ კაცისა, ვინც იგი ოქროს გალიაში ჩასვა. ნუ მიყურებთ ასე, ბონზასმაგონებთ... თქვენ მთელ პარიზს უჩვენებთ თქვენს თეთრწითელ არას და ამბობთ: ჩემს მეტს ვის ჰყავს პარიზში ასეთი თუთიყუში? მერედა, როგორ ატარტარებს ენას! რა მოსწრებული სიტყვაპასუხი აქვს!.. შემობრძანდება დიუ ტიე და თუთიყუში ეუბნება: გამარჯობა, ჩემო საყვარელო გაიძვერა! თქვენ ისევე ბედნიერი ბრძანდებით, როგორც ჰოლანდიელი, იშვიათი ტიტა რომ უშოვია, ანდა როგორც ძველად აზიაში ინგლისის ხარჯზე მცხოვრები ნაბობი, კომივოიაჟორისგან პირველად გამოშვებული

სათუთუნე რომ უყიდია; სათუთუნე სამ უვერტიურას უკრავდა. თქვენ ჩემი გულის დაპყრობაც გინებებიათ!.. კარგი, ასე იყოს, გეტყვით, რა საშუალებით შეგიძლიათ მიზანს მიაღწიოთ.

მიტხარიტ, მიტხარიტ!.. ქველაპერზ გავაქეტებ ტქვენტვიზ... იზიც კი მიკვარზ, როცა დამცინიტ!

გახდით ისე ლამაზი, ისე ახალგაზრდა, როგორიცაა ლუსიენ დე რიუბამპრე, აგერ, თქვენს ცოლთან რომ შესულა ლოჟაში, და უფასოდ მიიღებთ იმას, რასაც თქვენი მილიონებით ვერასოდეს შეიძენთ.

ცავალ, მოგშორტებიტ. დღეზ მარტლაც აუტანელი ხარტ... მიუგო მგელმამტაცებელმა, რომელსაც ბოღმისგან სახე დაუგრძელდა.

კარგი, ღამე მშვიდობისა, მიმართა ესთერმა, ჟორჟს უბრძანეთ, ბალიშები ისე დაგიწყოთ, რომ თავი მაღლა გედოთ, ფეხები კი ქვემოთ. ამ საღამოს ისეთი ფერი გადევთ, მეშინია ტვინში სისხლი არ ჩაგექცეთ... ძვირფასო, ვერ იტყვით, თითქოს თქვენს ჯანმრთელობაზე არ ვზრუნავდე.

ბარონი ფეხზე წამოდგა და კარის სახელურს ხელი დაადო.

მოდი, ნიუსინჟენ!.. ქედმაღლურად დაუძახა ესთერმა.
ბარონი მორჩილი ძაღლივით დაიხარა მისკენ.

გინდათ, ამ საღამოს მოგიალერსოთ, დაშაქრული წყალი მოგიმზადოთ, გაგანებივროთ, სქელო ურჩხულო?..

ტქვენ მე გულზ მიტეხტ...

გულს გიტეხთ კი არა, უფრო სწორი იქნება, მითხრათ, ტყავს მაძრობო!.. განაგრძო ესთერმა და ბარონს ლაპარაკში გამოჯავრება დაუწყო, ჰოდა, მომიყვანეთ ლუსიენი. ჩვენს ბალთაზარის ლხინზევეპატიჟები და დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ აუცილებლად მოვა. თუ ამ დავალებას კარგად შეასრულებ, მაშინ ისე მგზნებარედ გეტყვი, მიყვარხარ, ჩემო სქელუა ფრედერიკმეთქი, რომ დაიჯერებ.

ტკვენ ჩადოქარი ხარტ, უთხრა ბარონმა და ესთერის ხელთათმანს ემთხვია, ტანახმა ვარ, მტელი ერთი ზაატი ვიზმინო ტკვენი ლანზღვაგინება, ოღონდ ბოლოზ ალერზი მივიღო...

მაგრამ თუ არ დამიჯერებ, იცოდე... მიუგო ქალმა და ბარონს, როგორც ბალღს, თითი დაუქნია.

ბარონმა ისე ჩაქინდრა თავი, როგორც კაკანათში მოხვედრილმა ჩიტმა, მონადირეს მუდარით რომ უცქერის.

ღმერთო! ნეტავ რა შეემთხვა ლუსიენს? ფიქრობდა ესთერი, როცა ლოჟაში მარტო დარჩა. ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსცვივდა, ასე ნაღვლიანი არასოდეს ყოფილა!,,

ახლა მოგახსენებთ, რა გადახდა თავს ლუსიენს იმ საღამოს. ცხრა საათზე, როგორც ყოველთვის, სახლიდან გამოვიდა, თავის ორადგილიან ეტლში ჩაჯდა და გრანლიეთა ოტელისკენ გასწია. საჯდომ რაშსა და კაბრიოლეტის ცხენს ყველა პარიზელი ყმაწვილკაცივით დილისთვის ინახავდა. ზამთრის პერიოდში საღამოსთვის ორადგილიან ეტლს, კუპეს ქირაობდა; ეს უმშვენიერესი კუპე და ასევე მშვენიერი ცხენები ყველაზე ცნობილ მეეტლესთან შეერჩია. ერთი თვე იყო, ჭაბუკს ყველაფერი ფიანდაზად ეშლებოდა: გრანლიეთა სასახლეში სამჯერ ისადილა, ჰერცოგი გულთბილად ხვდებოდა. ომნიბუსების საქმეში დაბანდებული აქციები სამასი ათას ფრანკად გაიყიდა და საშუალება მისცა, მამულის საფასურის კიდევ ერთი მესამედი გადაეხადა. კლოტილდ დე გრანლიე თავგამოდებით კოხტაობდა. ლუსიენს თუ ელოდა, ათ ქილა უმარილს იცხებდა სახეზე და ვაჟისადმი სიყვარულს აშკარად ამჟღავნებდა. მაღალი თანამდებობის ზოგიერთ პირს ეჭვი აღარ ეპარებოდა, ლუსიენისა და მადმუაზელ დე გრანლიეს ქორწინება გადაწყვეტილი საქმეაო. ჰერცოგი დე შოლიე, ყოფილი ელჩი ესპანეთში, რომელიც ერთხანს საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო, ჰერცოგინია დე გრანლიეს ჰპირდებოდა, მეფეს ლუსიენისთვის მარკიზის ტიტულს მივაცემინებო. დღისით ლუსიენმა ქალბატონ დე სერიზისთან ისადილა. საღამოს შოსე დ-ანტენის ქუჩიდან სენჟერმენის გარეუბნისკენ გასწია, სადაც ყოველდღე დადიოდა. აგერ, გრანლიეთა სასახლემდეც მიაღწია. მეეტლე ითხოვს, გააღონ კარიბჭე. კარი იღება, პარმაღთან ეტლი ჩერდება. ლუსიენი კუპედან გადმოდის. ეზოში ოთხი ეკიპაჟი დგას. ბატონ დე რიუბამპრეს დანახვაზე ერთერთი მეტერფულე ლაქია, რომელიც პერისტილისკარს აღებდა, უახლოვდება მას, პარმაღზე გადმოდგება, კარიბჭესთან ჩერდება, ვით ჯარისკაცი საგუშაგოზე და ეუბნება:

მისი აღმატებულება შინ არ გახლავთ.

ქალბატონი ჰერცოგინია ხომ იღებს სტუმრებს, შენიშნავს ლუსიენი.

ქალბატონი ჰერცოგინიაც წაბრძანდა, ამაყად უპასუხებს ლაქია.

მადმუაზელ კლოტილდი...

არა მგონია, მადმუაზელ კლოტილდმა მიიღოს ბატონი, როცა ქალბატონი ჰერცოგინია შინ არ გახლავთ.

კი მაგრამ, სტუმრები ხომ არიან? ეკითხება გაოგნებული ლუსიენი.

რა მოგახსენოთ, ეუბნება ლაქია, რომელიც ცდილობს, ჩერჩეტად მოაჩვენოს თავი და თან თავაზიანიც იყოს.

არაფერია ეტიკეტზე შემზარავი იმათთვის, ვინც მას საზოგადოების უსასტიკეს კანონად მიიჩნევს. ლუსიენს არ გასჭირვებია მისთვის ესოდენ სამარცხვინო სცენის აზრის გაგება: ჰერცოგსა და ჰერცოგინიას მისი მიღება არ ნებავდათ. იგრძნო, როგორ გაეყინა ზურგის ტვინი ხერხემლის მალებში და შუბლი ოფლით დაეცვარა. ეს საუბარი მისი ლაქიის თანდასწრებით გაიმართა. ეტლის კარი ღია ეჭირა და ყოყმანობდა, მივხურო თუ არაო. ლუსიენმა ანიშნა, წავიდეთო, მაგრამ ეტლში ჩაჯდომისას ხმაური შემოესმა. კიბეზე სტუმრები ჩამოდიოდნენ. მეტერფულე ხმამაღლა გაიძახოდა: მოართვით ბატონ ჰერცოგ დე შოლიეს ეტლი!,, მოართვით ქალბატონ ვიკონტესა დე გრანლიეს კარეტა!,, ლუსიენმა შესძახა, სწრაფად იტალიელებისკენო,,, მაგრამ ვეღარ მოასწრო, გასცლოდა ამ ადგილს. ხელმოცარულმა დენდიმ სტუმრებს თავი ვერ აარიდა და რაკი ჰერცოგმა დე შოლიემ და მისმა ვაჟიშვილმა, ჰერცოგმა დე რეტორემ ლუსიენისთვის ერთი სიტყვაც არ გაიმეტეს, ჭაბუკი იძულებული გახდა, მდუმარედ მისალმებოდა მათ. მეფის კარზე მომხდარ უდიდეს კატასტროფას, საშიში ფავორიტის დაცემას ხშირად იგებენ სახელმწიფო კაბინეტის მეკარისგან, რომლის სახეზედაც, თითქოს თაბაშირის ნიღაბი აუფარებიაო, არავითარი განცდა არ არის აღბეჭდილი. როგორ გავაგებინო ეს უბედურება ჩემს დამრიგებელს? თავის თავს ეკითხებოდა იტალიელთა თეატრში მიმავალი ლუსიენი, რა ხდება?,, თავგზა აებნა, ვერაფერი გაიგო. გეტყვით, რაც მოხდა:

დილის თერთმეტ საათზე ჰერცოგი დე გრანლიე შევიდა პატარა სალონში, სადაც, ჩვეულებრივ, შინაურულად საუზმობდნენ, კლოტილდს აკოცა და უთხრა: ჩემო ბავშვო, სანამ ახალ ბრძანებას მიიღებდე, ბატონ დე რიუბამპრეს ნუ მიიღებ,,. მერე ჰერცოგინიას ხელი ჩასჭიდა, ფანჯრის ნიშასთან მიიყვანა და რაღაც წასჩურჩულა. საბრალო კლოტილდს ფერი ეცვალა. თვალს არ აცილებდა დედას, როცა იგი ქმარს უსმენდა, და შენიშნა, უეცრად გაკვირვება რომ აღებეჭდა სახეზე.

ჟან, უთხრა ჰერცოგმა ერთერთ მსახურს, ეს პატარა ბარათი ბატონ ჰერცოგ დე შოლიეს წაუღეთ, სთხოვეთ, პასუხად ჰო ან არა დაგაბაროთ. ვთხოვ, დღეს ჩვენთან ისადილოს, მიუბრუნდა ცოლს.

დასევდიანებულნი საუზმეს მიუსხდნენ. ჰერცოგინია ჩაფიქრებული იჯდა, ჰერცოგი, ჩანდა, თავის თავზე ბრაზობდა, ხოლო კლოტილდი ცრემლს ძლივს იკავებდა.

შვილო, ნაზად უთხრა დედამ ქალიშვილს, მამათქვენი მართალს გეუბნებათ, დაემორჩილეთ. მე მასავით ვერ გეტყვით, ლუსიენზე ნუ იფიქრებთმეთქი. ოჰ, არა, მესმის შენი მწუხარება (კლოტილდმა დედას ხელზე აკოცა), მაგრამ არ შემიძლია არ გითხრა, ჩემო ანგელოზო, მოიცადე, თავი შეიკავე, უჩვენოდ ნურაფერს გადაწყვეტმეთქი. იტანჯე ჩუმად, ვინაიდან ლუსიენი გიყვარს და მშობლების მზრუნველობას მიენდე! მაღალი წარმოშობის ქალის სიდიადე, ჩემო ბავშვო, სწორედ ის არის, რომ, რაც უნდა გადახდეს თავს, მოვალეობის გრძნობას არ ღალატობს და ვალს კეთილშობილი, ღირსეული თავდაჭერით იხდის.
რა მოხდა? ჰკითხა შროშანივით გაფითრებულმა კლოტილდმა.

რაღაც იმდენად სერიოზული, რომ ვერ გეტყვით, ჩემო გულო, მიუგო ჰერცოგინიამ, ვინაიდან, თუ ეს ცნობები მტკნარი სიცრუეა, რა საჭიროა, ტყუილუბრალოდ შეგიბილწოთ სული, და თუ მართალია, შენ მაინც არ უნდა გაიგო.

ექვს საათზე ჰერცოგი დე შოლიე მოვიდა, ჰერცოგი დე გრანლიე კაბინეტში ელოდებოდა მას:

მითხარი, ანრი (ეს ორი ჰერცოგი ერთმანეთს შენობით ელაპარაკებოდა და სახელით მიმართავდა; ამგვარი ურთიერთობა მათ ინტიმურობაზე მეტყველებდა და მოწოდებული იყო ფრანგული ფამილარობის შესაზღუდად, გარეშე პირის თავმოყვარეობის შესაბღალად)... აბა, მომისმინე, ანრი, ისეთ დიდ განსაცდელში ჩავვარდი, რომ არ შემიძლია, რჩევისთვის არ მივმართო ძველ მეგობარს. შენ ხომ დიდი გამოცდილება გაქვს და ამ საქმეში კარგადაც ერკვევი.

როგორც იცი, ჩემს კლოტილდს უყვარს ეს ბიჭი, რიუბამპრე, და ლამის მის სიძეობას დავთანხმდი. თუმცა ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ამ ქორწინებისა, მაგრამ რა უნდა მექნა, ქალბატონმა დე გრანლიემ ვერაფერი გააწყო, კლოტილდს ძალიან უყვარს. ყმაწვილმა მამული შეისყიდა. როდესაც მთელი ღირებულების სამი მეოთხედი გადაიხადა, რაღა მეთქმოდა. გუშინ საღამოს კი ანონიმური წერილი მივიღე (კარგად იცი, როგორ ვუყურებ ასეთ წერილებს). მარწმუნებენ, თითქოს ბიჭს მეტად ბინძური გზებით აქვს ნაშოვნი ფული და ჩვენ კი გვატყუებს, დამ მომცაო. მემუდარებიან, ჩემი ქალიშვილის ბედნიერებისა და ჩვენი საგვარეულოს ღირსების დასაცავად სათანადო ცნობები შევკრიბო და თან მიმითითებენ კიდეც, რა გზით შემიძლია სიმართლის გაგება. აჰა, გამომართვი, თვითონ წაიკითხე.

მეც შენი აზრისა ვარ ანონიმურ წერილებზე, ძვირფასო ფერდინანდ, უპასუხა ჰერცოგმა დე შოლიემ, როცა წერილის კითხვა დაასრულა, მაგრამ, რაც უნდა ზიზღით უყურებდე, მთლად

მაინც ვერ უგულებელყოფ. ასეთ წერილებს ისევე ეპყრობი, როგორც ჯაშუშებს. ბიჭს კარს ნუღარ გაუღებ. მივიკითხმოვიკითხოთ... მოდი, ასე მოვიქცეთ: დერვილი შენი ადვოკატია, ორივე ვენდობით. მრავალი ოჯახის საიდუმლო იცის, დაე, ესეც მიემატოს. წესიერი, პატიოსანი, ღირსეული კაცია, თანაც ეშმაკი და გამჭრიახი. თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია და შენთვის საჭირო საბუთების შეგროვება არ გაუჭირდება. გარდა ამისა, ერთ კაცს ვიცნობ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს, სამეფო პოლიციის აგენტია. სახელმწიფო საიდუმლოებათა გახსნაში ბადალი არა ჰყავს და ასეთი მისიით ხშირადაც ვგზავნით უცხოეთში. დერვილი გააფრთხილე, რომ დასახმარებლად თანაშემწეს მივუჩენთ. ჩვენი ჯაშუში ბატონკაცი,, გახლავთ, გარეგნობით დიპლომატს არ ჩამოუვარდება. დერვილს საპატიო ლეგიონის ჯვრით დამშვენებული წარუდგება. მონადირე ეს არამზადა იქნება, ხოლო დერვილი მხოლოდ დაესწრება ნადირობას. შენი ადვოკატი ან იმას იტყვის, მთამ თაგვი შობაო, ანდა ეს ახალგაზრდა რიუბამპრე უნდა ჩამოიშორო. ერთი კვირის შემდეგ უკვე გეცოდინება, რა გზას დაადგე.

ყმაწვილკაცი ჯერჯერობით მარკიზი არ არის, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს, თუ ერთი კვირის განმავლობაში შინ არ დავუხვდები, თქვა ჰერცოგმა დე გრანლიემ.

მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ ქალს მიათხოვებ, კვერი დაუკრა ყოფილმა მინისტრმა, ხოლო თუ ანონიმურ წერილში მონათხრობი სიმართლე გამოდგა, მაშინ რა გენაღვლება, რას იფიქრებს ეგ ბიჭი! კლოტილდს სამოგზაუროდ გაგზავნი, თან ჩემს რძალს, მადლენს გავაყოლებთ. მაინც იტალიაში აპირებს წასვლას...

გაჭირვებულს მხარში ამომიდექი, მაგრამ ჯერ არ ვიცი, მადლობელი უნდა ვიყო შენი თუ არა...

დავიცადოთ, ვნახოთ, როგორ წარიმართება საქმე.

ოჰ, მართლა, წამოიძახა ჰერცოგმა დე გრანლიემ, რა გვარია ის ვაჟბატონი? ხომ უნდა ვაცნობო დერვილს... ხვალ გამომიგზავნე, ასე, ოთხი საათისთვის. დერვილი ჩემთან იქნება და გავაცნობ.

მისი ნამდვილი გვარი, უთხრა ყოფილმა მინისტრმა, კორანტენი უნდა იყოს (ვითომც არც გაგიგონია ეს გვარი), მაგრამ შენთან სამინისტროში ცნობილი გვარით მოვა. მოიცა, რა გვარია? ჰო, ბატონი დე სენრაღაცა... ოჰ, სენივი... სენვალერი თუ რაღაც ამგვარი, შეგიძლია ენდო. ლუი XVIII თვალდახუჭული ენდობოდა.

ამ თათბირის შემდეგ კამერდინერმა განკარგულება მიიღო, კარი დაეკეტათ ბატონი დე რიუბამპრესთვის და მანაც ნაბრძანები შეასრულა.

იტალიელთა,, ფოიეში ლუსიენი მთვრალივით მიბარბაცებდა. უკვე წარმოიდგინა, მთელი პარიზის ყბადასაღები გავხდიო, ჰერცოგი დე რეტორე მისი დაუძინებელი მტერი იყო, ლუსიენი კი უღიმოდა, რადგან ამგვარ ადამიანთა წინაშე შურისძიება უძლურია; ისე გითხრიან სამარეს, რომ მაღალი საზოგადოების ეტიკეტს არ ღალატობენ. ჰერცოგი დე რეტორე თვითონვე გახდა მოწმე გრანლიეთა სახლის პარმაღზე გათამაშებული სცენისა. ლუსიენი მიხვდა, ეს შემზარავი ამბავი თავისი საიდუმლო პირადი მრჩევლისთვის დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინა, მაგრამ ეშინოდა, სახელი არ შევირცხვინო, ესთერთან ვინმე ნაცნობს არ გადავეყაროო. ისე აებნა გონება, სულ გადაავიწყდა, ესთერი რომ იქვე იყო. აბა, რა ამის გული ჰქონდა, მაგრამ ვალდებული იყო, ემასლაათა რასტინიაკთან, რომელსაც ახალი ამბავი ჯერ არ გაეგო და მომავალ ქორწინებას ულოცავდა. ამ დროს ნიუსინჟენი გამოეცხადა და მეტად თავაზიანად მიმართა, გთხოვთ, მასიამოვნოთ და მობრძანდეთ ქალბატონ დე შამპისთან, რომელსაც სურს ჩვენი ახალმოსახლეობის აღსანიშნავ წვეულებაზე მიგიწვიოთო.

დიდი სიამოვნებით გეახლებით, ბარონო, მიუგო ლუსიენმა, რომელსაც ფინანსისტი მხსნელი ანგელოზივით მოევლინა.

დაგვტოვეთ, უბრძანა ესთერმა ბატონ დე ნიუსინჟენს, როცა მან ლუსიენი მიჰგვარა, წადით, მადამ დიუ ვალნობლს ესტუმრეთ. მესამე იარუსის ლოჟაში ზის თავის ნაბობთან ერთად... როგორ გამრავლდნენ ნაბობები ინდოეთში! დასძინა მან და ლუსიენს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

ეს კი საოცრად ჰგავს თქვენსას, ჩაიქირქილა ლუსიენმა.

მადამ დიუ ვალნობლი თავისი ნაბობიანად აქ მომიყვანეთ, უთხრა ესთერმა ბარონს, თუმცა მისი თვალები ლუსიენს შესცქეროდნენ თანაგრძნობით, იმ კაცს ძალიან ნდომებია თქვენი გაცნობა... ამბობენ, დიდი სიმდიდრის პატრონიაო. საწყალი ქალი კი სულ წუწუნებს, ნაბობი მეტად ხელმომჭირნეაო. თქვენ მოახერხებთ და ბალასტს დააყრევინებთ, იქნებ ცოტა დამყოლი გახდეს.

რაო, ქურტი ხომ არა გგონივართ? შეესიტყვა ბარონი.

რა იყო, ჩემო ლუსიენ?.. ლოჟის კარი მიიხურა თუ არა, მეგობარს ჩასჩურჩულა ესთერმა და ტუჩები ყურზე მიადო.

დავიღუპე! გრანლიეთა სახლის კარი ცხვირწინ მომიკეტეს, შინ არავინააო. ჰერცოგი და ჰერცოგინია შინ იყვნენ და ეზოშიც ხუთი ეკიპაჟის ცხენები ფრუტუნებდნენ...

რა, ქორწინება ჩაგეშლება? აღმოხდა ესთერს მღელვარე ხმით, რადგან მის წინ სამოთხის კარმა გაიელვა.

ჯერ ვერ გავიგე, რას მიწყობენ...

ჩემო ლუსიენ, უთხრა ესთერმა ღვთაებრივი ალერსიანი ჟღურტულით, რა გადარდებს? დაიცადე, მაგაზე უკეთეს ცოლს შეგრთავ... ორ მამულს გიყიდი...

ამ საღამოს ვახშამი ისე მოაწყვე, რომ კარლოსს საიდუმლოდ შევხვდე. ცრუ ინგლისელი თავისი ვალნობლით აუცილებლად დაჰპატიჟე. ნაბობი ჩემი უბედურების მიზეზია, ჩვენი მტერია. ხაფანგში გამოვამწყვდევთ და... ვეღარ დაასრულა ლუსიენმა, სევდა ყელში მოაწვა და სასომიხდილმა ხელი ჩაიქნია.

მითხარი, რა მოხდა? ეკითხებოდა საბრალო გოგო, რომელიც ისე გრძნობდა თავს, თითქოს აგიზგიზებულ კოცონში იჯდა.

ვაი, ქალბატონმა დე სერიზიმ თვალი მომკრა! შეჰყვირა ლუსიენმა, ესღა მაკლდა. ჰერცოგი დე რეტორეც მასთანაა, ჩემი შერცხვენის მოწმე.

ნუთუ ლუსიენს მადმუაზელ ესთერის ლოჟაში შესვლის ნებას აძლევთ? ეუბნებოდა ახალგაზრდა ჰერცოგი ქალბატონ დე სერიზის და ესთერის ლოჟასა და ლუსიენზე მიუთითებდა, თქვენ ისეთი ყურადღებით ეპყრობით მას, რომ უნდა გაგეფრთხილებინათ, ასე მოქცევა მიუღებელიათქო. ესთერის სახლში შეიძლება ივახშმო, შეიძლება კიდეც... მაგრამ... ახლა სულაც არ მიკვირს, დე გრანლიეებმა ამ ბიჭზე რატომაც აიყარეს გული; სწორედ ახლა, ჩემ თვალწინ კარი მიუკეტეს და შინ არ შეუშვეს.

ასეთი გოგოები მეტად საშიშნი არიან, უთხრა ქალბატონმა დე სერიზიმ, რომელიც ლორნეტით გასცქეროდა ესთერის ლოჟას.

დიახ, ასე გახლავთ, მიუგო ჰერცოგმა, მათ ამის შესაძლებლობაცა აქვთ და სურვილიც.

ეგენი გააღატაკებენ ლუსიენს, თქვა ქალბატონმა დე სერიზიმ, თურმე მაგნაირი ქალები ერთნაირად ძვირი უჯდებათ მამაკაცებს, გინდაც ახარჯავდნენ ფულს და გინდაც არა.

მხოლოდ არა ლუსიენს!.. დასძინა ახალგაზრდა ჰერცოგმა, მათთან ურთიერთობა მაგას სულ არაფერი უჯდება. თუკი დასჭირდება, თვითონვე მისცემენ ფულს. ყველანი კუდში დასდევენ.

გრაფინიას ტუჩები ნერვიულად აუცახცახდა, რაც არასგზით არ შეიძლებოდა ვინმეს ღიმილად ჩაეთვალა.

კარგი, თორმეტ საათზე ვახშმად მოდი, უთხრა ესთერმა, ბლონდე და რასტინიაკი მოიყვანე. ორი კაცი მაინც გვეყოლება გამრთობი. სულ ცხრანი ვიქნებით.

როგორმე მოახერხე, ბარონი შინ გაგზავნე და ევროპა მოაყვანინე. ვითომ აზიასთან რაღაც უნდა დააბარო ვახშმის თაობაზე. ევროპას კი უთხარი, რაც დამემართა. დაუყოვნებლივ კარლოსს შეატყობინოს, სანამ ნაბობი ხაფანგში მოჰყვება.

მოვაწყობ მაგას, დაჰპირდა ესთერი.

ასე და ამგვარად, პერადი, ჩანს, თავისდა უნებლიეთ უნდა მოხვედრილიყო იმ სახლში, სადაც მისი მოწინააღმდეგე იყო ჩასაფრებული; ვეფხვი მიდიოდა ლომის ბუნაგში, ხოლო ლომს თავისი მცველები ეხვია გარს.

როცა ლუსიენი ქალბატონ დე სერიზის ლოჟაში დაბრუნდა, ქალი მისკენ არც მიტრიალდა, არც გაუღიმა, არც კაბის კალთა გასწია, რათა თავის გვერდით ადგილი გაეთავისუფლებინა. აქაოდა, ვერც კი ვამჩნევ, ვინ შემოვიდაო, ისევ ლორნეტით ათვალიერებდა დარბაზს. მაგრამ ლუსიენმა შენიშნა, ლორნეტი ხელში უცახცახებდა; აშკარად ჩანდა, გრაფინია უსაზღვროდ ღელავდა, რაც აკრძალული ბედნიერების საზღაური გახლავთ. ლუსიენმა მაინც არ დაიხია უკან. წინ გაიწია და ქალის მოპირდაპირე კუთხეში მოკალათდა. გრაფინიასა და თავის შორის სულ პატარა მანძილი დატოვა. ლოჟის მოაჯირს მარჯვენა იდაყვით დაეყრდნო და ნიკაპი ხელთათმნიან ხელში ჩარგო. მერე ოდნავ შემობრუნდა გრაფინიასკენ იმის მოლოდინში, ხმას როდის გამცემსო. კარგა ხანმა განვლო. მოქმედების მეორე ნახევარი დაიწყო. გრაფინიას არც გამოუხედავს მისკენ და კრინტიც არ დაუძრავს. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და უთხრა:

არ ვიცი, რისთვის მოსულხართ, თქვენი ადგილი მადმუაზელ ესთერის ლოჟაშია...
მაშინ წავალ მასთან, მიუგო ლუსიენმა და ლოჟიდან ისე გავიდა, რომ ქალისთვის ზედაც არ შეუხედავს.

ოჰ, ჩემო ძვირფასო, უთხრა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა ესთერს, როცა მის ლოჟაში შევიდა. გვერდით მიჰყვებოდა პერადი, რომელიც ბარონმა დე ნიუსინჟენმა ვერ იცნო, დიდად კმაყოფილი ვარ, რომ შემიძლია წარმოგიდგინო ბატონი სამუელ ჯონსონი; იგი ბატონი დე ნიუსინჟენის ნიჭის თაყვანისმცემელია.

ნუთუ მართლა, ბატონო? ღიმილით ჰკითხა ესთერმა პერადს.

°, ყეს,

იმას სწორია, მიუგო პერადმა.

ოჰო, მოუსმინეთ, ბარონო, მაგის ფრანგული ისევე ჰგავს თქვენსას, როგორც ქვემობრეტონული ბურგუნდიულს. რა თავშესაქცევი იქნება თქვენი საუბრის მოსმენა ფინანსების შესახებ... ახლა კი გამოგიტყდებით და მოგახსენებთ, ბატონო ნაბობო, ბარონი რომ გაგაცანით, იმის საზღაურად რას მოვითხოვ თქვენგან, ღიმილით შეაპარა ესთერმა.

ოჰ!.. მე... მადლობელი არის, რომ ბატონ ბარონეტს გაგაცანი.

დიახ, განაგრძო ქალმა, უნდა პატივი დამდოთ და ჩემთან ვახშამზე მობრძანდეთ... ადამიანების დასაახლოებლად შამპანურის ბოთლების ლუქზე მყარსა და გამძლეს ვერაფერს იპოვით; ყოველგვარ საქმეს აკავშირებს, განსაკუთრებით კი ისეთს, რომელშიც კაცი თავფეხიანად იძირება. მეწვიეთ ამ საღამოს, მეტად სასიამოვნო საზოგადოებას შეხვდებით! ესთერი ბარონს მიუბრუნდა და ჩასჩურჩულა, შენ კი, ჩემო საყვარელო ფრედერიკ, რაკი შენი კარეტა აქვეა, სენჟორჟის ქუჩაზე გაიქეცი და ევროპა მომგვარე, ორიოდე სიტყვა უნდა ვუთხრა ვახშმის შესახებ... ლუსიენი დავპატიჟე, ორ გონებამახვილ კაცსაც მოიყვანს... ინგლისელს ფარხმალს დავაყრევინებთ, ახლა ქალბატონ დიუ ვალნობლს ჩასჩურჩულა მან.

პერადმა და ბარონმა ქალები მარტო დატოვეს.

აჰ, ძვირფასო, თუკი ამ გოდორა არამზადას მომირჯულებ, მართლაც ჭკვიანი ყოფილხარ, უთხრა ვალნობლმა.
თუ ერთბაშად ვერ შევძლებ, ერთი კვირით მათხოვე, სიცილით მიუგო ესთერმა.

არა, ნახევარ დღესაც ვერ გაუძლებ, შეეპასუხა დიუ ვალნობლი, ხმელი პური მხვდა წილად, იქნებ კბილები ჩავიმტვრიო კიდეც. ჩემს სიცოცხლეში აღარც ერთ ინგლისელს აღარ გავაბედნიერებ... ყველანი გულცივი ეგოისტები არიან, მორთულმოკაზმული ღორები...

რაო, სულ არ იციან პატივისცემა? ღიმილით ჰკითხა ესთერმა.

პირიქით, ჩემო კარგო, ამ ურჩხულს ერთხელაც არ მოუმართავს ჩემთვის შენობით.

სულ არასოდეს? ჩააცივდა ესთერი.

ეგ ოხერი ერთთავად ქალბატონს მიძახის და გულცივია მაშინაც კი, როცა ყველა მამაკაცი ცოტად თუ ბევრად ალერსიანია... არ დაგიმალავ, ღმერთმანი, სიყვარული მაგისთვის იგივეა, რაც პირის გაპარსვა. გულმოდგინედ წმენდს სამართებელს, ბუდეში ინახავს, სარკეში იხედება და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ამბობდეს, ხომ არ გავიჭერიო. თან ისეთი პატივისცემით მეპყრობა, რომ საცაა გავგიჟდები. ეგ საზიზღარი მოხარშული,, მილორდი პირდაპირ დამცინის, საბრალო თეოდორს აიძულებს, ნახევარი დღე ჩემს საპირფარეშოში იყურყუტოს. ერთი სიტყვით, სულ იმის ცდაშია, როგორმე წინააღმდეგობა გამიწიოს. მერედა, რა ძუნწია... გობსეკი და ჟიგონე ერთად რომ შეაერთო, მაგასთან ვერ მოვლენ. სავახშმოდ მივყავარ და უკან დაბრუნებისას თავს არ იწუხებს, რომ ეტლი დამიქირაოს და მე თვითონ ვუკვეთ კარეტას.

რას მეუბნები? გაიკვირვა ესთერმა, რას გიხდის ამგვარი სამსახურისთვის?

რომ იცოდე, ჩემო კარგო, სრულიად არაფერს. თვეში ხუთას ფრანკს პირდაპირ ხელში მითვლის და ეტლს ქირაობს, მაგრამ ეტლსაც გააჩნია!.. სწორედ ისეთია, მედუქნეები ქორწილის დღეს რომ ქირაობენ მერიაში, საყდარსა და კადრან ბლუში,, წასასვლელად... ყელში ამომივიდა თავისი ზრდილობით. როცა ვცდილობ, ვაგრძნობინო, რომ გუნებაზე არა ვარ, მეუბნება: მე გინდა, რომ მილედის მქონდეს ნებისყოფა, რადგან ჯენტლმენს ისე არაფერი გეზიზღება, როგორც ის, რომ გითხრას ახალგაზრდა, მშვენიერ ქალს, თქვენ ბამბის ბარდანა ვართ, საქონელი ბრძანდებით!.. ხე! ხე! მე წევრი არის მონობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებისა!,, და ეს გარეწარი ისე ფერმკრთალია, ისე თავშეკავებული, ცივი და გულგრილი! ამგვარად მაგრძნობინებს, რომ ჩემ მიმართ ისეთივე პატივისცემის გრძნობითაა გამსჭვალული, როგორც ზანგისადმი, გული კი არ უკარნახებს ჩემთან სიახლოვეს, არამედ აბოლიციონისტური მოსაზრებანი.

ამაზე გათახსირებული არ შეიძლება იყოს ადამიანი, კვერი დაუკრა ესთერმა, მე რომ შენი ვიყო, გავაკოტრებდი მაგ ჩინელს!

გააკოტრებდი? შესძახა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა, მაშინ ხომ უნდა ვუყვარდე! ორი ლიარდის თხოვნის ხალისსაც კი დაგიკარგავს; სერიოზულად მოგისმენს, მერე კი გეტყვის, სიყვარული იმდენად უმნიშვნელო რამ არის ჩემთვის, რომ რასაც ვახარჯავ, ისიც არამიაო. ამეებს ისეთი ბრიტანული უკმეხობით მოგახსენებს, რომ სილის გაწვნაც კი თავაზიანობად მოგეჩვენება.

პირდაპირ დაუჯერებელია, ჩვენი მდგომარეობის ქალი მაგნაირ კაცს გადაეყაროს, შეჰყვირა ესთერმა.

ეჰ, ჩემო ძვირფასო, ბედი გქონია!.. გაუფრთხილდი შენს ნიუსინჟენს.

ეტყობა, რაღაც სხვა მოსაზრება აქვს შენს ნაბობს.

ადელიც მაგას მეუბნება, მიუგო მადამ დიუ ვალნობლმა.

რა იცი, იქნებ ეგ კაცი ცდილობს, ჩემო საყვარელო, ქალს თავი შეაძულოს და ბოლოს აიძულოს, გაშორდეს კიდეც, უთხრა ესთერმა.

ან არადა, ნიუსინჟენთან რაღაც საქმის გარიგება ნებავს და მე დამიახლოვდა, რაკი იცოდა, ჩვენ რომ მეგობრები ვართ. ადელი ამ აზრისაა, თქვა მადამ დიუ ვალნობლმა, ამიტომაც გაგაცანი დღეს. ეჰ, რომ ვიცოდე, რა უდევს გულში, როგორ კოხტად შეგითანხმდებოდით შენ და ნიუსინჟენს!

ოდესმე ხომ არ გიჩხუბია მასთან, ჰკითხა ესთერმა, და ყველაფერი პირში ხომ არ მიგიხლია?

ერთი სცადე, თუ ქალი ხარ. შენც კი ვერ მოახერხებ მაგასთან ჩხუბს, თუმცა საკმაოდ ეშმაკი ხარ... ვერაფერს გააწყობ, რაც უნდა მომხიბლავი იყო. თავისი ყინულივით ცივი ღიმილით მოგკლავს. გიპასუხებს: მე მონობის წინააღმდეგი ხარ,,, თავისუფალი ბრძანდებითო... რაც უნდა თავშესაქცევი რამ უთხრა, შემოგხედავს და გეტყვის: Ѵერყ გოოდ!

„და შენ მყისვე მიხვდები, მის თვალში ტიკინა ხარ და სხვა არაფერი.

თუ ეჩხუბე?

სულერთია! ეგ მაგისთვის მხოლოდ გასართობი სანახაობაა. თუნდაც მკერდი გაუპე მარცხენა მხარეს, სულაც არ ეტკინება. შიგნეულობა, ალბათ, თითბრისა აქვს. ესეც ვუთხარი. მიპასუხა: მე კმაყოფილი ხარ ასეთი ფიზიკური თვისებებით,,... სულ ზრდილობიანია... ჩემო ძვირფასო, სულზე ხელთათმანი აქვს ჩამოცმული... რამდენიმე დღე კიდევ გავუძლებ ამ წამებას, ოღონდ ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილო. ასე რომ არ იყოს, მილორდს ერთი ლაზათიანად გავატყეპინებდი ფილიპს; ხომ იცი, ფარიკაობაში ბადალი არა ჰყავს. სხვა გზა არცა მაქვს

სწორედ ეგ უნდა მერჩია შენთვის! შეჰყვირა ესთერმა, მაგრამ ჯერ გაიგე, კრივში ხომ არაა გაწვრთნილი. ჩემო კარგო, მაგ ბებერ ინგლისელებს ვერ გაუგებ, რა აქვთ გულში.

ამქვეყნად მაგის მსგავსს ვერსად იპოვი! ნეტავი გაჩვენა, როგორ ელოდება ჩემს განკარგულებებს: რომელ საათზე მობრძანდეს, შინ დავუხვდები თუ არა (თავისთავად ცხადია, შინ ვიქნები); ყველაფერს გამოზომილად, ზრდილობიანად აკეთებს,

პირდაპირ ჯენტლმენურად,,, იტყვი, როგორ აღმერთებს ამ ქალსო. სხვას ვერც ვერაფერს იფიქრებს უცხო პირი.

მერე, როგორ შურთ ჩვენი, ჩემო საყვარელო! შენიშნა ესთერმა.

ძალიანაც კარგი!.. შესძახა მადამ დიუ ვალნობლმა, ყველა ჩვენგანმა, ცოტად თუ ბევრად ვიწვნიეთ, რომ არაფრად გვაგდებენ. მაგრამ, ჩემო ძვირფასო, არაფერს ისე სასტიკად, ისე ულმობლად და ბოროტად არ დავუმდაბლებივარ, როგორც ამ პორტვეინით სავსე ტიკის თავაზიან მოპყრობას. თუ ნასვამია, ჩემგან მიდის, რათა არ შემაზიზღოს თავი,, (ასე ეუბნება ადელს) და თავს არ დაატყდეს ორი უბედურება ერთად: ქალი და ღვინო. წარამარა ჩემი ფიაკრით დაეთრევა. ოჰ, ნეტავ მოვახერხებდეთ ამ საღამოს ისე გამოვათროთ, რომ მაგიდის ქვეშ შევაძვრინოთ... მაგრამ რა, ათ ბოთლს დალევს და ვერც შეამჩნევ თუ ნასვამია. თვალები აემღვრევა, მაგრამ ვერაფერს გამოაპარებ.

იმ ადამიანებივით, ფანჯრები გარედან რომ აქვთ გასვრილი, თქვა ესთერმა, და შიგნიდან ხედავენ, გარეთ რა ხდება... ასეთი რამ ბევრ მამაკაცს სჩვევია, დიუ ტიე მაგის უბადლო ოსტატია.

ეცადე, დიუ ტიეც მოვიდეს. ის და ნიუსინჟენი გაერთიანებული ძალით თუ გააბამენ მახეში. შურს მაინც ვიძიებ, სხვა თუ არაფერი!.. მაგათ შეუძლიათ, ეს ნაბობი მათხოვრად გადააქციონ! ოჰ, ჩემო კარგო, ხედავ, რა თითლიბაზ პროტესტანტს ჩავუვარდი ხელში! და მერე ვის შემდეგ, ფალეს შემდეგ, რომელიც ისეთი კეთილი ბიჭი იყო, მხიარული, ენაკვიმატი!.. რამდენი გვიცინია ერთად!.. ამბობენ, ბირჟის მაკლერები შტერები არიანო... ის კი სულ სხვანაირი იყო და მხოლოდ ერთხელ ვერ გამოიჩინა ჭკუა...

როცა ცარიელტარიელზე დაგტოვა და დარწმუნდი, რომ ცხოვრებას მარტოოდენ სიამოვნება არ მოაქვს.

ამასობაში ბატონმა დე ნიუსინჟენმა ევროპა თეატრში მოიყვანა და მან ასპიტის სახე ლოჟის კარში შემოყო. ქალბატონმა რაღაც უჩურჩულა და მაშინვე გაუჩინარდა.

თორმეტის ნახევარზე ხუთი ეკიპაჟი სენჟორჟის ქუჩაზე, სახელგანთქმული კურტიზანის სასახლის კარიბჭესთან შეჩერდა. ერთი ეტლი ლუსიენს ეკუთვნოდა. მას რასტინიაკი, ბლონდე და ბისიუ მოეყვანა. მეორე კარეტა დიუ ტიესი იყო, მესამე ბარონ დე ნიუსინჟენის, მეოთხე ნაბობის, მეხუთე ფლორინის, რომელიც ამ საღამოს დიუ ტიეს სრულ განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. ფანჯრებზე უხვად დანაოჭებული საუცხოო ჩინური ქსოვილის ფარდები ეფარა. ვახშამი პირველ საათზე გაიშლებოდა. სანთლები ციმციმებდნენ. პატარა სალონისა და სასადილო დარბაზის მდიდრული მორთულობა თვალისმომჭრელად

ელავდა. ერთი იმგვარი ღრეობა და ღამის თევა მოელოდათ, რასაც მხოლოდ ეს სამი ქალი და აქ თავმოყრილი მამაკაცები თუ გაუძლებდნენ. ჯერ კარტის თამაში დაიწყეს, რადგან ვახშმობამდე ორი საათი იყო დარჩენილი.

თამაშობთ, მილორდ? ჰკითხა დიუ ტიემ პერადს.
ჩემი პარტნიორები იყავით ოჟკონელი, პიტი, ფოქსი, კანინგი, ლორდი ბრუგემი... ლორდი...

ბარემ მთელი ლორდების სია წაიკითხეთ, ჩაიქირქილა ბისიუმ.

ლორდი ფიცვილიამი, ლორდი ელენბორო, ლორდი ერტფორტი, ლორდი...

ბისიუმ პერადის ფეხსაცმელს დახედა და დაიხარა.

რას ეძებ? ჰკითხა ბლონდემ.
ეშმაკმა წაიღოს! ჭანჭიკი უნდა მოუჭირო, რომ მანქანა შეჩერდეს, ჩაურთო ფლორინმა.

ვთამაშობ იმაზე, რასაც თქვენ წააგებენ...

ხედავ, რა მარჯვეა, უთხრა ესთერმა ლუსიენს, ყველას ინგლისელი ჰგონია!..

დიუ ტიე, ნიუსინჟენი, პერადი და რასტინიაკი სათამაშო მაგიდას მიუსხდნენ. ფლორინი, მადამ დიუ ვალნობლი, ესთერი, ბლონდე, ბისიუ ბუხრის წინ ჩამოსხდნენ და მასლაათი გააბეს. ლუსიენი გრავიურების შესანიშნავ ალბომს ფურცლავდა.

ქალბატონო, სუფრა გაშლილია, მოახსენა ესთერს საუცხოო ლივრეაში გამოწყობილმა პაკარმა.
პერადი ფლორინის მარცხნივ დასვეს, მარჯვნივ ბისიუ მიუჯდა. ესთერმა ბისიუს დაავალა, ნაბობი ერთი მაგრად გამობრუჟეო; ბისიუს შეეძლო, დაუსრულებლად ესვა ღვინო. მთელი სიცოცხლის განმავლობაში პერადს ამის მსგავსი ბრწყინვალება არ ენახა, არც ამგვარი საჭმელი ეგემა და არც ასეთი ლამაზი ქალები შეხვედროდა.

ამ საღამოს ამინაზღაურდება ათასი ეკიუ, რაც უკვე დამიჯდა ლა ვალნობლი, გაიფიქრა მან, თანაც ესეს არის, ათასი ფრანკი მოვიგე,..

შეხედე, აი, რას უნდა მიჰბაძო, დაუყვირა პერადს ლუსიენის გვერდით მჯდომმა მადამ დიუ ვალნობლმა და სასადილო დარბაზის ბრწყინვალებაზე მიუთითა.

ესთერმა ლუსიენი გვერდით მოისვა და მაგიდის ქვეშ მისი ფეხი თავის ფეხებშუა მოიქცია.

გესმით? გაუმეორა ლა ვალნობლმა და მიაშტერდა პერადს, რომელიც თავს იკატუნებდა, თითქოს ბრმა იყო და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, აი, ასე უნდა მოგეწყოთ ჩემთვისაც სახლი! როცა კაცი ინდოეთიდან მილიონებით ბრუნდება და თანაც სურს ნიუსინჟენთან საქმე დაიჭიროს, მას არაფერში ტოლს არ უნდა უდებდეს.
მე ხარ Sოტიეტყ ოფ ტექნჭერნინგე

დან...

მაშ, ლაზათიანად გადაყლურწავთ ნუნუას, უთხრა ბისიუმ, ინდოეთში ხომ საკმაოდ ცხელა, ჩემო ბიძია?..
ბისიუ ვახშმობისას თავს იქცევდა და პერადს ხუმრობით ისე ექცეოდა, როგორც ინდოეთიდან ჩამოსულ ბიძას.

მადამ დიუ ვალნობლმა მიტხრა, ტქვენ რაღაც გეგმები გქონიატ... მიუბრუნდა ნიუსინჟენი პერადს და ყურადღებით შეათვალიერა.

რარიგ ვნატრობდი ამის მოსმენას, გადაულაპარაკა დიუ ტიემ რასტინიაკს, ორი კაცი დამტვრეულ ენაზე რომ ესაუბრება ერთმანეთს.

ნახავთ, ბოლოს და ბოლოს, როგორ შეხმატკბილდებიან, ჩაერია ბისიუ, მიხვდა, რასაც ეუბნებოდა დიუ ტიე რასტინიაკს.

სერ ბარონეტ, მე შთაგიფიქრე ერთი ჟიტტიჟე Sნეგეყჟინტიონ.ო, ვერყ ტომფორტინბჟე

.ძალიან ხელსაყრელი... დიდად მომგებიანი...

მალე დარწმუნდებით, უთხრა ბლონდემ დიუ ტიეს, რომ ეგ ერთ წუთსაც არ გაუშვებს ისე, პარლამენტი და ინგლისის მთავრობა არ ახსენოს.

ის ყოფნა ჩინეთში... ოპიუმისთვის...

ტიახ, მე ეგ ვიცი, არ დააყოვნა პასუხი ნიუსინჟენმა, რომელიც კარგად ერკვეოდა მსოფლიოს კომერციულ საქმეებში, მაგრამ ინგლიზიზ მტავრობაზ ზაშუალება აქვზ, ტვიტონ ივაჩროზ ოფიუმიტ და ჩინეტზ გაზაკანი არ მისცეზ, ხოლო ჩვენ ნებაზ არ დავრტავტ...

ნიუსინჟენმა დაასწრო და სიტყვა მთავრობაზე ჩამოუგდო, უთხრა დიუ ტიემ ბლონდეს.

ოჰ, მაშ, თქვენ ოპიუმით ვაჭრობდით, შეჰყვირა მადამ დიუ ვალნობლმა, ახლა კარგად მესმის, რატომ მაყეყეჩებთ ასე; მთელი ორგანიზმი ოპიუმით გქონიათ გაჟღენთილი.

ხედავტ, შესძახა ბარონმა და ოპიუმის ცრუ მოვაჭრეს მადამ დიუ ვალნობლზე მიუთითა, ტქვენც ჩემზავიტ ხარტ. ვერაზოდეზ მილიონერი ტავზ ვერ შეაკვარებზ კალზ.

მე ძალიან ხშირად და ბევრჯერ უყვარხარ მილედის, მიუგო პერადმა.

ისევ და ისევ თქვენი სიფხიზლის გამო, უთხრა ბისიუმ, რომელმაც ახლახან დააცლევინა პერადს მესამე ბოთლი და პორტვეინიც მოუდგა.

ოჰ! შესძახა პერადმა, იტ ის ვერყ ფინე ±ორტყგ±ჯ ოფ ნგჯ±ნჯ.

ბლონდემ, დიუ ტიემ და ბისიუმ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

პერადს ისეთი ძალა ჰქონდა, შეეძლო თავის თავში ყველაფრის გარდასახვა მოეხდინა, თვით გონებისაც. ძალიან ცოტაა ისეთი ინგლისელი, რომელიც არ დაგარწმუნებს, რომ ოქრო და ვერცხლი ინგლისში უკეთესია, ვიდრე სხვაგან. ლონდონის ბაზარზე ნორმანდიიდან შეტანილი ქათმები და კვერცხები ინგლისელებს უფლებას აძლევს აიჩემონ, ესენი სჯობია (ვერყ ფინე

) პარიზულსო, თუმცა, ქათმებიცა და კვერცხებიც იქაც ნორმანდიიდან შეაქვთ. ესთერისა და ლუსიენის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხედავდნენ პერადის უზადო კოსტიუმს, მის გამბედაობას და ყურს უგდებდნენ მის საუბარს. დილის ოთხ საათამდე იყო ერთი მადიანი ჭამასმა, მხიარული საუბარი, სიცილხარხარი. ბისიუს ეგონა, იმგვარ გამარჯვებას მივაღწიე, რის მსგავსსაც ესოდენ თავშესაქცევად მოგვითხრობს ბრიასავარენიო, მაგრამ იმწუთას, როცა თავის ბიძას სასმელს სთავაზობდა და გულში ამბობდა, ინგლისელი დავამარცხეო, პერადმა ამ გესლიანად დამცინავ კაცს ფრანგულად შეუძახა: ნულარ აყოვნებ, ჩემო ბიჭო!,,, რაც ბისიუს მეტს არავის გაუგონია.

ეჰეი, ხალხნო! ეგ ისეთივე ინგლისელია, როგორიც მე!.. ჩემი ბიძია გასკონელი გახლავთ! აბა, გადამთიელი ხომ არ მეყოლებოდა!
ბისიუსა და პერადის მახლობლად არავინ იყო და ვერავინ გაიგო ცრუ ინგლისელის გამოაშკარავების ამბავი. პერადი სკამიდან გადმოვარდა. პაკარი მაშინვე ეცა და მანსარდაში აათრია და მანაც ღრმა ძილს მისცა თავი. საღამოს ექვს საათზე ნაბობმა იგრძნო, ვიღაც პირზე სველ ტილოს ადებდა და აღვიძებდა. დაინახა უბადრუკ, გასაშლელ საწოლზე იწვა და მის წინ შავ დომინოში ჩაცმული, ნიღაბაფარებული აზია იდგა.

აბა, როგორ ბრძანდებით, მამილო პერად, ანგარიში ხომ არ გავასწოროთ? მიმართა ქალმა.

სადა ვარ?.. ჰკითხა პერადმა და მიმოიხედა ირგვლივ.

მომისმინეთ, ჩემი სიტყვები გამოგაფხიზლებთ, უთხრა აზიამ, მადამ დიუ ვალნობლი თუ არ გიყვართ, თქვენი ქალიშვილი ხომ გიყვართ, არა?

ჩემი შვილი? აღშფოთებით შეჰყვირა პერადმა.

დიახ, მადმუაზელ ლიდი...

მერედა, რაო...

ის, რომ იგი მუანოს ქუჩაზე აღარ გახლავთ, მოიტაცეს.

პერადს გმინვა აღმოხდა; ასე გმინავს ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაჭრილი ჯარისკაცი.

სანამ თქვენ ინგლისელის როლს ასრულებდით, სხვები პერადის როლს თამაშობდნენ. თქვენს პატარა ლიდის ეგონა, მამას მივყვებიო. საიმედო ადგილას იმყოფება... ოჰ, თქვენ მას ველარ იპოვით, თუ არ გამოასწორებთ თქვენ მიერ ჩადენილ ბოროტებას...
რა ბოროტებას?

გუშინ ჰერცოგ დე გრანლიეს სახლში ბატონ დე რიუბამპრეს კარი არ გაუღეს. ეს შენი და იმ კაცის მუხანათობის შედეგია, შენ რომ მოგვისიე. ხმა, კრინტი! მომისმინე! უთხრა აზიამ, როცა შენიშნა, პერადი პირის გაღებას აპირებსო, შენს გოგოს დაიბრუნებ წმინდასა და უმწიკვლოს, განაგრძობდა აზია და აზრის გამოსაკვეთად თითოეულ სიტყვას ტკეპნიდა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბატონი დე რიუბამპრე წმინდა თომა აკვინელის ეკლესიიდან მადმუაზელ კლოტილდზე ჯვარდაწერილი გამოვა. თუ ამ დღეებში ბატონ დე რიუბამპრეს გრანლიეთა ოჯახში უწინდებურად არ მიიღებენ, სიკვდილი არ აგცდება, თავს ვერ დაიძვრენ... ესეც არ იყოს, როცა იგრძნობ აღსასრულის მოახლოებას, სულის ამოხდომამდე იმის ფიქრი გაგტანჯავს, ჩემი ქალიშვილი მთელი სიცოცხლე როსკიპი იქნებაო... თუმცა დიდი ყეყეჩი გამოდექი და ასეთი ნადავლი დაგვიტოვე ბრჭყალებში, საკმაო ჭკუა მაინც შეგრჩენია გაითვალისწინო ჩვენი მბრძანებლის წინადადება. ყეფას ნუ მოჰყვები, ენას კბილები დააჭირე, კონტანსონთან გაიქეცი, ტანსაცმელი გამოიცვალე და მერე შინ წადი. იქ კატი გეტყვის, რომ შენი სახელით მოვიდნენ მასთან, ლიდი ქვევით ჩავიდა და ამის შემდეგ მისთვის თვალი აღარ მოუკრავს. თუ საჩივარს შეიტან, ძებნას მოჰყვები, მე რომ გითხარი, შენს შვილს ის დღე დაადგება. დე მარსეს შეჰპირდნენ მის თავს. მამილო კანკოელთან არაა საჭირო მიკიბულმოკიბული ლაპარაკი, არც დიდი მანჭვაგრეხა, ხომ ასეა, არა?.. აბა, ახლა მოკურცხლე და ფეხებში ნუ გაგვებლანდები, ჩვენს საქმეში ცხვირს ნუღარ ჩაყოფ.

აზიამ ისეთ ყოფაში დატოვა პერადი, რომ შეგეცოდებოდათ. თითოეული სიტყვა გულში ისარივით ესობოდა. ჯაშუშს თვალზე ცრემლი მოადგა და ლოყებზე ორ ნაკადად ჩამოეღვარა. ერთი წუთის შემდეგ ოთახში ევროპამ შემოყო თავი და უთხრა:

ბატონ ჯონსონს სადილზე სთხოვენ!

პერადმა არაფერი უპასუხა. ქვემოთ ჩავიდა. ქუჩას გაჰყვა და ფიაკრების გაჩერებისაკენ გასწია. კონტანსონთან მიირბინა. ტანსაცმელი გამოიცვალა. კონტანსონს არაფერი უთხრა. კვლავ ძია კანკოელად გადაიქცა. რვა საათზე შინ მივიდა. გულაკანკალებული ავიდა კიბეზე. ფლამანდიელ ქალს ბატონის ხმა შემოესმა და ისე გულუბრყვილოდ შეაგება, სად არის მადმუაზელიო, რომ ბებერ ჯაშუშს მუხლი მოეკვეთა და კინაღამ წაიქცა. ამ მწუხარების გადატანა მის ძალას აღემატებოდა. მერე შვილის ბინაში გავიდა, დაცარიელებულ ოთახს თვალი მოავლო, კატის მონაყოლი მოისმინა და დარდით გაწამებულს გული შეუღონდა. გოგონა ისე მოხერხებულად გაუტაცებიათ, თითქოს თავად მოეფიქრებინოს.

რას ვიზამ, უნდა დავემორჩილო, შურისძიებას შემდეგაც მოვასწრებ. წავალ კორანტენთან... პირველად ვხვდებით ჭეშმარიტ მოწინააღმდეგეებს. კორანტენმა თავი დაანებოს იმ ლამაზ ბიჭს, ჯანდაბას, გინდ დედოფალზე დაქორწინდეს, თუ მოეპრიანება... ოჰ, ახლა კი მესმის, ჩემს გოგონას პირველ დანახვისთანავე რატომ შეუყვარდა... ო, ესპანელ მღვდელს არაფერი გამოეპარება... ყოჩაღად, მამილო პერად, გაუშვი შენი მსხვერპლი!,, საბრალო მამას ვერ წარმოედგინა, რა საშინელი უბედურება დასტყდომოდა თავს.

კორანტენთან მივიდა. სანდო მსახურმა, ბრუნომ, რომელიც პერადს იცნობდა, უთხრა:

ბატონი პარიზში არ გახლავთ.
დიდი ხნით წავიდა?

ათი დღით!..

სად?

არ ვიცი!..

ოჰ, ღმერთო! მთლად გამოვშტერდი, ისე ვეკითხები, სადაამეთქი, თითქოს ვინმეს ვეუბნებოდეთ, სად მივდივართ,,, გაიფიქრა მან.

რამდენიმე საათით ადრე, სანამ სენჟორჟის ქუჩაზე, მანსარდაში პერადს გააღვიძებდნენ, კორანტენი დაბრუნდა აგარაკიდან, პასიში რომ ჰქონდა. იგი ჰერცოგ დე გრანლიეს წარუდგა კარგი ოჯახის პირისფარეშის ტანსაცმელში გამოწყობილი. შავი ფრაკის საღილეში საპატიო

ლეგიონის ორდენის ლენტი მოუჩანდა. ისეთი გრიმი გაეკეთებინა, რომ ფერმიხდილ, სახედანაოჭებულ ბერიკაცს დამსგავსებოდა. თმაზე პუდრი დაეყარა, ცხვირზე რქისჩარჩოიანი სათვალე დაეკოსებინა. ერთი სიტყვით, კანცელარიის ბებრუხანა უფროსი გეგონებოდათ. უთხრა თუ არა თავისი გვარი (ბატონი დე სენდენი), მაშინვე შეიყვანეს ჰერცოგ დე გრანლიეს კაბინეტში, სადაც დერვილი დაუხვდა. ადვოკატი ერთერთი აგენტის ნომრის,, მიერ დაწერილ თავის ნაკარნახევ წერილს კითხულობდა. ამ აგენტს მიმოწერა ევალებოდა. ჰერცოგმა კორანტენი განზე გაიყვანა და განუმარტა ის, რაც კორანტენმა დაწვრილებით იცოდა. ბატონი სენდენი გულგრილად უსმენდა და თან თავს იქცევდა, დიდ სენიორს უკვირდებოდა, ცდილობდა, ჩასწვდომოდა იმ ხავერდით მოსილი ადამიანის შინაგან სამყაროს, გაეშიშვლებინა მისი ცხოვრება, რომელიც ვისტის თამაშსა და გრანლიეთა ღირსების დაცვას ეძღვნებოდა. დიდი ბატონები იმდენად მიამიტად იქცევიან მდაბიოთა წინაშე, რომ კორანტენს არ დასჭირდა ბევრი შეკითხვა მიეცა ბატონ დე გრანლიესთვის და სულ მალე თავხედურად დაუწყო გამოკითხვა:

თუ დამიჯერებთ, ბატონო, მიმართა კორანტენმა დერვილს მას შემდეგ, რაც იგი სათანადო წესით წარუდგინეს ადვოკატს, ამავე საღამოს ანგულემში წავალთ ბორდოს დილიჟანსით, რომელიც სისწრაფით საფოსტო ეტლს არ ჩამოუვარდება. ბატონი ჰერცოგისთვის საჭირო ცნობების შესაგროვებლად ექვს საათზე მეტი არ დაგვჭირდება. თუ კარგად გავერკვიე, რა ნებავს თქვენს უგანათლებულესობას, მგონი, საკმარისია ბატონ დე რიუბამპრეს დისა და სიძისგან გავიგოთ, შეეძლოთ თუ არა მათ ძმისთვის მილიონ ორასი ათასი ფრანკის მიცემა? თქვა მან და ჰერცოგს მიაჩერდა.

სწორედ ასე გახლავთ, მიუგო საფრანგეთის პერმა.

ოთხ დღეში დავბრუნდებით, განაგრძო კორანტენმა და დერვილს შეხედა, ორივე ისე ცოტა ხნით დავტოვებთ ჩვენს საქმეებს, რომ არაფერი დაგვიშავდება.

მხოლოდ მაგის გამო ვითრევდი ფეხს, თქვენო უგანათლებულესობავ, თქვა დერვილმა, ოთხი საათია, ახლავე შინ გავეშურები, ერთ სიტყვას დავუბარებ ჩემს უფროს კლერკს, საგზაო ნივთებს ჩავილაგებ, ვისადილებ და რვა საათზე მოვბრუნდები... სიტყვა გაწყვიტა და ბატონ დე სენდენის მიუბრუნდა, მაგრამ ვაითუ ადგილი ვერ ვიშოვოთ დილიჟანსზე?

ეგ მე მომანდეთ, უთხრა კორანტენმა, რვა საათზე მთავარი საფოსტო სამგზავრო კანტორის ეზოში მიდით. ადგილები თუ არ იქნება, გამოვაძებნინებ. დიახ, ასე უნდა მოვემსახუროთ ჰერცოგ დე გრანლიეს...

ბატონებო, უდიდესი თავაზიანობით მიმართა მათ ჰერცოგმა, მე ჯერ მადლობას არ გიხდით...

კორანტენი და ადვოკატი ამ სიტყვით მიხვდნენ, რომ მათი აქ ყოფნა უკვე აღარ იყო საჭირო, გამოემშვიდობნენ ჰერცოგს და წავიდნენ. იმ დროს, როდესაც პერადი ცდილობდა, კორანტენის მსახურისგან რაიმე გაეგო, პარიზიდან გადიოდა ბორდოს დილიჟანსი, რომლის წინა ადგილებზე ბატონი დე სენდენი და დერვილი ისხდნენ და ერთმანეთს დუმილით აკვირდებოდნენ. მეორე დილას, ორლეანსა და ტურს შორის, დერვილს მუნჯად ჯდომა მოჰბეზრდა და კორანტენს გამოელაპარაკა. კორანტენმა იკადრა მასთან თავშესაქცევი მასლაათის გაბმა, თუმცა, რომ ვთქვათ, თავს მაინცდამაინც არ უყადრებდა. აგრძნობინებდა, რომ დიპლომატთა წრეს მიეკუთვნებოდა და იმედოვნებდა, ჰერცოგ დე გრანლიეს შემწეობით გენერალური კონსულის თანამდებობას მიიღებდა. პარიზიდან გამგზავრებიდან ორი დღის შემდეგ კორანტენი და დერვილი მანლში ჩავიდნენ; ადვოკატს გაუკვირდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ანგულემში მიდიოდა.

ამ პატარა ქალაქში, განუმარტა კორანტენმა დერვილს, ზუსტ ცნობებს შევკრებთ ქალბატონ სეშარზე.

თქვენ რა, იცნობთ მას? ჰკითხა დერვილმა, განცვიფრდა, კორანტენი ასე კარგად რომ ერკვეოდა ამ საქმეში.

ყური მოვკარი, კონდუქტორი ანგულემიდან ყოფილა და გამოვკითხე. მითხრა, ქალბატონი სეშარი მარსაკში ცხოვრობსო, ხოლო მარსაკი მანლიდან ერთ ლიეზეა დაშორებული. ჩემი აზრით, ანგულემში ჩასვლას აქ გაჩერება გვირჩევნია. უფრო ადვილად გამოვარკვევთ სინამდვილეს.

ბოლოს და ბოლოს, გაიფიქრა დერვილმა, ბატონმა ჰერცოგმა ხომ მითხრა, მე მხოლოდ მოწმე ვარ გამოძიებისა, ეს ნდობით აღჭურვილი პირი რომ ჩაატარებს,,...

მანლის ფუნდუკი, რომელსაც სახელად ვარსკვლავიანი ცა,, ერქვა, ეკუთვნოდა ერთერთ ისეთ მსხვილსა და ჩასუქებულ კაცს, ვისზედაც ფიქრობ, უკან რომ მოვბრუნდები, ცოცხალი აღარ დამიხვდებაო. ის კი ათი წლის შემდეგაც ძველებურად იდგება კარის ზღურბლთან, ისევ ისე ზონზროხა, ისევ ბამბისჩაჩიანი, იმავე წინსაფრით, იმავე დანით, ძველებურად გაზინთულქოჩრიანი, სამმაგღაბაბიანი, როგორც აგვიწერს ყოველი რომანისტი დაწყებული უკვდავი სერვანტესით და უოლტერ სკოტით დამთავრებული. განა ყველას თავი არ მოაქვს, ჩემს სამზარეულოს ვერავინ აჯობებსო? გარწმუნებთ, ჩემსავით ვერავინ მოგემსახურებათო, დაბოლოს, განა ყველანი მჭლე, გალურჯებულ ვარიასა და მძაღე ერბოში მოშუშულ ბოსტნეულს არ მოგართმევენ? თავიანთი ღვინის ჭაშნიკს გიქებენ და გაიძულებენ, ადგილობრივი მჟავე ღვინო შესვა. მაგრამ კორანტენს ყმაწვილობიდანვე შეესწავლა, როგორ დაეძვრინა მეფუნდუკისთვის უფრო საგულისხმო რამ, ვიდრე მათი საეჭვო კერძები და არანაკლებ საეჭვო ღვინო იყო. სწორედ ამიტომ თავი მოიკატუნა, ისეთი კაცი ვარ, ბევრს

არაფერს მოვითხოვო; მანლის საუკეთესო მზარეულის გემოვნებას ვენდობიო, უთხრა ამ გოდორა კაცს.

ნუ გაგიკვირდებათ, საუკეთესო მზარეულად რომ ვითვლები, მანლში ჩემს მეტი არც არავინაა, მიუგო ფუნდუკის პატრონმა.
სუფრა გვერდით ოთახში გაგვიშალეთ, უთხრა კორანტენმა და დერვილს თვალი ჩაუკრა, და ნურც ბუხარში ცეცხლის დანთებას დაგვზარდებით, ხელები დაგვეყინა.

დილიჟანსში არ ცხელოდა, ჩაურთო დერვილმა.

მარსაკი აქედან შორსაა? შეეკითხა კორანტენი სასტუმროს დიასახლისს, რომელსაც გაეგო, დილიჟანსს მისთვის ღამის გასათევად სტუმრები რომ ჩამოეყვანა და ზემო სართულიდან ქვემოთ ჩამოვიდა.

ბატონო, მარსაკში აპირებთ წასვლას? დაინტერესდა დიასახლისი.

არ ვიცი, ცივად მიუგო კორანტენმა, მარსაკამდე დიდი გზაა? ისევ ჰკითხა ქალს და დრო მისცა, მისი ორდენის ლენტი შეეთვალიერებინა.

კაბრიოლეტით თუ წაბრძანდებით, სულ რაღაც ნახევარი საათის სავალია, უთხრა დიასახლისმა.

როგორ ფიქრობთ, ბატონი და ქალბატონი სეშარები ზამთარშიაც იქ ცხოვრობენ?

რა თქმა უნდა, ზამთარზაფხულ იქ არიან...

ხუთი საათია. ცხრა საათზე ხომ ჯერ კიდევ ფეხზე იქნებიან?

ოჰ, ყოველ საღამოს ათ საათამდე სტუმრები ჰყავთ: კიურე, ბატონი მარონი, ექიმი.

ღირსეული ადამიანები თუ არიან? იკითხა დერვილმა.

ოჰ, ბატონო, რა სათქმელია, რჩეული საზოგადოება გახლავთ, მიუგო მეფუნდუკის მეუღლემ, პატიოსანი ადამიანები არიან, გულახდილნი... და პატივმოყვარეობის ნატამალიც არ გააჩნიათ, ღმერთმანი! ბატონი სეშარი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს. ამბობენ, შეეძლო მილიონები ჰქონდაო, მაგრამ რა? თვითონვე გააქურდვინა თავი; ქაღალდის წარმოებაში რაღაც გამოგონება ჰქონდა და სხვა ასარგებლა. ძმებმა კუენტეებმა ჩაიჯიბეს...

ოჰ, ეს ძმები კუენტეები! თქვა კორანტენმა.

აბა, ენა გააჩერე, უბრძანა მეფუნდუკემ ცოლს, ამ ბატონებს რა ესაქმებათ, ბატონ სეშარს აქვს თუ არა უფლება ქაღალდის დამზადების პატენტზე? ისინი ხომ ქაღალდით მოვაჭრენი არ ბრძანდებიან. თუ აპირებთ ჩემთან, ვარსკვლავიან ცაში,,ღამე გაათიოთ, მიმართა მგზავრებს, აი, დავთარი, გთხოვთ, ჩაწეროთ თქვენი გვარები. ერთი ბრიგადირი გვყავს ჟანდარმერიისა, თავი მოგვაბეზრა. საქმე არა აქვს და სულ შარზეა.

ეშმაკმა წაიღოს, მე კი მეგონა სეშარები ძალიან მდიდრები იყვნენ, თქვა კორანტენმა, სანამ დერვილი დავთარში წერდა თავის სახელსა და გვარს და სენის პირველი ინსტანციის სასამართლოს ადვოკატის თანამდებობას.

ზოგი ირწმუნება, მიუგო მეფუნდუკემ, მილიონერები არიანო, მაგრამ ენას ძვალი არა აქვს, განა მდინარეს შეაჩერებ! როგორც ამბობენ, მამა სეშარმა ორი ათასი ფრანკი უძრავი ქონება დაუტოვა და ეს საკმარისია ისეთი კაცისთვის, ვინც სიჭაბუკეში უბრალო მუშა იყო. რა ვიცით, იქნებ ერთი ამდენი კიდევ დარჩა დანაზოგი... ბოლო ხანებში თავისი მამულებიდან ათითორმეტი ათასი ფრანკიც ჰქონდა შემოსავალი. კაპიტალის გაზრდაზე სულ არ ზრუნავდა და მოდი, ვიანგარიშოთ:კარგი, დავუმატოთ სამასი ათასი ფრანკი, თუ მევახშეობდა, როგორც ეჭვობენ, ეგ არის და ეგ! შეიძლება ხუთასი ათასი მოგროვდეს. მილიონს კი ბევრი უკლია. ერთი ეგ სხვაობა მე მომცა, ამ ვარსკვლავიან ცას,, კი არ შევაბერდებოდი!

როგორ, გაიკვირვა კორანტენმა, ბატონ დავიდ სეშარს და მის მეუღლეს ორი ან სამი მილიონის ქონება არა აქვთ?..

რას ბრძანებთ! შესძახა მეფუნდუკის ცოლმა, ამდენი ფული, ალბათ, კუენტეებს თუ აქვთ, მათ ხომ გამოგონება ხელიდან გამოაცალეს და რაღაც ოცი ათასი ფრანკი მისცეს... აბა, მითხარით, სად იშოვიდნენ ეგ პატიოსანი ადამიანები მილიონებს? სანამ მამა ცოცხალი ჰყავდათ, ძალიან უჭირდათ. მოურავი კოლბი და მისი ცოლი, რომელიც ქმარივით პატრონების ერთგულია, მხარში რომ არ ამოსდგომოდნენ, თავს ვერ გაიტანდნენ. აბა, რას აძლევდათ ვერბერი,,?.. ათასი ეკიუს რენტას!..

კორანტენმა დერვილი განზე გაიყვანა და უთხრა:

Iნ ვინო ვერიტას

, სიმართლე ფუნდუკებში უნდა ეძიო. მე რომ მკითხოთ, ფუნდუკი მოსახლეობის სამოქალაქო მდგომარეობის ნამდვილი სარეგისტრაციო დავთარია. ნოტარიუსზე უკეთესად მეფუნდუკემ იცის, რა ხდება მის მხარეში... ხომ ხედავთ, ეგენი დარწმუნებული არიან,

თითქოს ჩვენ ვიცნობთ კუენტეებს, კოლბს და სხვებს. მეფუნდუკე მუდამ ცოცხალი მატიანეა და, თავისდა უნებლიეთ, პოლიციის როლს ასრულებს. სახელმწიფო არ უნდა ინახავდეს ორას ჯაშუშზე მეტს, რადგანაც საფრანგეთისთანა ქვეყანაში ყოვლად შეუძლებელია ათ მილიონზე მეტი პატიოსანი მაბეზღარა არ გამოიძებნოს. მაგრამ ჩვენ მაინც ნუ დავუჯერებთ მაგათ ნათქვამს, თუმცა პატარა ქალაქში უეჭველად გახმაურდებოდა, მილიონ ორასი ათასი ფრანკი რომ გაეცათ რიუბამპრეთა მამულის შესაძენად... ჩვენ აქ დიდხანს არ დავყოვნდებით...

ასე ჩანს, კვერი დაუკრა დერვილმა.

მიზეზსაც მოგახსენებთ, განაგრძო კორანტენმა, საუცხოო ხერხი გამოვნახე, რათა ცოლქმარ სეშართა ბაგეთაგან ჭეშმარიტება მოვისმინოთ. ნება მომეცით, თქვენი იმედი ვიქონიო; თქვენს ადვოკატურ ავტორიტეტს დავეყრდნო და ერთ მიამიტ ცბიერებას მივმართო, რაც საშუალებას მომცემს მათი ავლადიდების ზუსტი და ნათელი ანგარიში წარმოგიდგინოთ. ნასადილევს ბატონ სეშართან წავალთ, მიუბრუნდა კორანტენი მეფუნდუკის ცოლს, გთხოვთ, ცალცალკე ოთახში გაგვიშალოთ ლოგინები, ვარსკვლავიანი ცის,, ქვეშ, ალბათ, მოიძებნება ადგილი.

ოჰ, ბატონო, ხომ შესანიშნავი სახელწოდება მოვუძებნეთ ჩვენს სასტუმროს?
ამგვარ კალამბურს პროვინციის ყოველ კუთხეში წააწყდებით, უთხრა კორანტენმა, მაინცდამაინც ნუ იტრაბახებთ.

ბატონებო, სუფრა გაშლილია, მოახსენა მეფუნდუკემ.

აბა, სად ჯანდაბაში იშოვა ფული ყმაწვილმა?.. ნუთუ ანონიმური წერილის ავტორი არ ტყუის? მართლა ლამაზი გოგოს მონაგრებულია? ეკითხებოდა დერვილი კორანტენს, როცა სუფრასთან სხდებოდნენ.

აჰ, ეგ უკვე სხვა გამოძიების საგანია, მიუგო კორანტენმა, ჰერცოგმა დე შოლიემ მითხრა, ლუსიენ დე რიუბამპრე თურმე ერთ მონათლულ ებრაელ ქალთან ცხოვრობს, რომელიც თავს ჰოლანდიელად ასაღებს და ესთერ ვან ბოგსეკი ჰქვია.

რა უცნაური დამთხვევაა, შესძახა დერვილმა, ერთი ჰოლანდიელის მემკვიდრე ქალს ვეძებ. მისი გვარი გობსეკია; ეს იგივე გვარია, მხოლოდ თანხმოვნებია გადაადგილებული...

იცით, რა, უთხრა კორანტენმა, თუ გნებავთ, პარიზში როცა დავბრუნდებით, მისი წარმოშობის შესახებ ცნობებს შეგიკრებთ.

გრანლიეთა ოჯახის ორი ნდობით აღჭურვილი პირი ერთი საათის შემდეგ უკვე ვერბერისკენ,, ბატონი და ქალბატონი სეშარების მამულისკენ მიეშურებოდა. დასთან ყოფნისას ლუსიენმა თავისი ცხოვრება სიძისას შეადარა და ისეთი მღელვარება განიცადა, რისი მსგავსიც არასოდეს განეცადა. ორ პარიზელს აქ უნდა დახვედროდა იგივე სანახაობა, რაც რამდენიმე დღის წინ ლუსიენის განცვიფრების მიზეზი გახდა. ირგვლივ სიმშვიდე და სიუხვე სუფევდა. როცა ორი უცხო ადამიანი შემოვიდა, ვერბერის,, სალონში უკვე სტუმრებს მოეყარათ თავი. სულ ხუთნი იყვნენ: მარსაკის კიურე ოცდახუთი წლის ყმაწვილკაცი, რომელმაც ქალბატონი სეშარის თხოვნით სეშარების ვაჟის ლუსიენის აღზრდა იკისრა; იქაური ექიმი, ბატონი მარონი, თემის მერი და ერთი ბებერი, სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი, რომელიც ყვავილებს აშენებდა თავის პატარა მამულში, ვერბერის,, პირდაპირ რომ მდებარეობდა, გზის გადაღმა. ზამთრის ყოველ საღამოს ეს ადამიანები მოდიოდნენ აქ, გულუბრყვილოდ თამაშობდნენ ბოსტონს, თითო ჟეტონი ერთი სანტიმი რომ ღირდა, მიჰქონდათ ახალი გაზეთები და აბრუნებდნენ წაკითხულს. როდესაც ბატონმა და ქალბატონმა სეშარებმა ტუფით ნაშენი და შიფერით გადახურული ლამაზი სახლი შეისყიდეს, ვერბერის,, კარმიდამო პატარა, ორარპანიანბაღს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში მშვენიერმა ქალბატონმა სეშარმა მთელი თავისი დანაზოგით გვერდით მდებარე ვენახები იყიდა, გაკაფა ვაზი და ყვავილნარები და მდელოები გააშენა. ამგვარად, მისი ბაღი პატარა ნაკადულამდე ჩავიდა. ამჟამად თითქმის ოც არპანზე გადაჭიმული გალავნიანი პარკით გარშემორტყმული ვერბერი,, ამ მხარეში ყველაზე თვალსაჩინო მამულად ითვლებოდა, ვინაიდან მამილო სეშარის მიერ დატოვებულ ზვრებს ოც არპანზე მეტი ადგილი ეჭირა და მისგან მიღებულ მოსავალს განსვენებული სეშარის სახლსა და კარმიდამოში ამუშავებდნენ. გარდა ამისა, ცოლქმარს მამისაგან დარჩათ ხუთი ფერმა, რაც დაახლოებით ექვსი ათას ფრანკ შემოსავალს აძლევდათ და ზუსტად ვერბერის,, პირდაპირ, მდინარის გადაღმა, ათ არპანზე მდებარე ჭალა, რომლის პარკთან შემოერთებას ქალბატონი სეშარი მომავალ წელს აპირებდა. იქაურები ვერბერის,, უკვე სასახლეს უწოდებდნენ, ხოლო ევა სეშარს ქალბატონ დე მარსაკს. პატივმოყვარე ლუსიენი გლეხებსა და მევენახეებს ჰბაძავდა და თავის დას თვითონაც ქალბატონ დე მარსაკად იხსენიებდა. ვერბერის,, ჭალებიდან ორიოდ ნაბიჯზე იდგა თვალწარმტაც სიმწვანეში წამოსკუპებული წისქვილი. ამბობდნენ, მისი პატრონი კურტუა სულ მალე წისქვილს მადამ სეშარს მიჰყიდისო. მართლაც საყოყმანო აღარაფერი იყო, წისქვილის შემომატების შემდეგ ვერბერის,, ტოლს ვერც ერთი მამული ვერ დაუდებდა. უაღრესად გულკეთილი, გამჭრიახი და კეთილშობილი ქალბატონი სეშარი ყველას უყვარდა და დიდი პატივისცემითაც ეპყრობოდნენ. მისი სილამაზე სულ უფრო და უფრო გაიფურჩქნა. თითქმის ოცდაექვსი წლისა იყო, მაგრამ ყმაწვილქალური სინორჩე შერჩენოდა, რადგან სოფლური ცხოვრების სიმშვიდითა და სიუხვით ტკბებოდა. მის გულში ქმრის სიყვარულს სამუდამოდ დაესადგურებინა. უყვარდა დავიდი და თან უსაზღვროდ აფასებდა, როგორც დიდი ნიჭით დაჯილდოებულ, მოკრძალებულ ადამიანს, რომელიც სახელმოხვეჭილი პიროვნების მშფოთვარე ცხოვრებას ესოდენ უბრალოდ განერიდა. და ბოლოს, რათა საბოლოოდ მოვხაზოთ ამ ქალის პორტრეტი, იქნებ საკმარისია ვთქვათ, რომ მისი გულის ყოველი ძგერა განუყოფლად ქმარსა და შვილებს ეკუთვნოდა.

ძნელი მისახვედრი არ არის, ლუსიენის ცხოვრება მძიმე უღლად რომ აწვათ კისერზე და ღრმა მწუხარებას განაცდევინებდათ, რითაც ეს ოჯახი უბედურებას ერთგვარ ხარკს უხდიდა. ევა სეშარს გული უგრძნობდა, რომ ძმის ცხოვრება რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული და შიშით ძრწოდა. განსაკუთრებით ლუსიენის უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ დაკარგა მოსვენება. ძმას შეეხვეწა, მითხარი, როგორ ცხოვრობო, ხოლო ლუსიენმა ცივად განუცხადა, პატივმოყვარეები თავიანთ მოქმედებაზე ანგარიშს მარტოოდენ საკუთარ თავს აბარებენო. ექვს წელიწადში ლუსიენმა ევა სამჯერ ინახულა და ექვს წერილზე მეტი არ მოუწერია. ვერბერიში,, პირველად დედის გარდაცვალების გამო ჩავიდა, უკანასკნელად კი იმისთვის, რათა დასა და სიძეს მისთვის ესოდენ საჭირო ტყუილზე დასტური მიეცათ, რის გამოც ცოლქმარი და ლუსიენი კინაღამ წაიკიდნენ. ამ მშვენიერი და სათნო ადამიანების, ბატონი და ქალბატონი სეშარების, გულში შემზარავმა ეჭვმა დაისადგურა.

ვერბერის,, სახლი გარედანაც და შიგნიდანაც ძირფესვიანად გადაეკეთებინათ, აქ ფუფუნებისთვის არავინ იღვწოდა, მაგრამ კომფორტის ყოველგვარ მოთხოვნას უთუოდ ანგარიშს უწევდნენ, რაც მაშინვე თვალში გეცემოდათ, როგორც კი გადახედავდით სასტუმრო დარბაზს, სადაც ახლა სტუმრებს მოეყარათ თავი. მშვენიერი ობიუსონისხალიჩა, კედლებზე მწვანე აბრეშუმის სირმებით დამშვენებული ნაცრისფერი კუბოკრული კრეტონი,სპას ხის მსგავსად მოხატული პანელები, მწვანებასონიანი,ნაცრისფერ ქიშმირგადაკრული მოჩუქურთმებული წითელი ხის ავეჯი, ფანჯრებზე მწვანე აბრეშუმის ფარდები, ბუხრის გარნიტური, სარკეების ჩარჩოები, წლის ყოველ დროს ყვავილებით სავსე კალათები თვალს საამოდ ელამუნებოდა და საუცხოო ანსამბლს ქმნიდა. არაფერს აჩნდა უგემოვნობის დაღი, რაც ესოდენ აუშნოებს პროვინციულ ცხოვრებას. ყოველი წვრილმანი, სრულიად უმნიშვნელო საგნებიც კი, კოხტა და ფაქიზი იყო. სულში მყუდროება ისადგურებდა, თვალი ისვენებდა აქ გამეფებული თავისებური პოეტურობით, რაც ჭკვიან, მოსიყვარულე ცოლს შეუძლია და ვალდებულიცაა შეიტანოს ოჯახში.

ქალბატონ სეშარს ჯერ კიდევ არ გაეხადა თალხი მამამთილზე. ბუხრის კუთხესთან საქარგავს მისჯდომოდა და კოლბის მეუღლის ხელმძღვანელობით კანვაზე ქარგავდა. კოლბი ქალბატონი სეშარის განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებდა და მთელი ოჯახის მოვლაპატრონობა მას ჰქონდა დაკისრებული. იმ დროს, როცა კაბრიოლეტი მარსაკის პირველ სახლებს მიუახლოვდა, ვერბერის,, მუდმივ კომპანიას შეემატა დაქვრივებული მეწისქვილე კურტუა, რომელსაც გადაეწყვიტა, საქმისთვის თავი მიენებებინა, იმედოვნებდა, მამულს სარფიანად გაყიდდა, მით უმეტეს, რომ ქალბატონ სეშარს აშკარად ეტყობოდა, მის კარმიდამოზე თვალი ეჭირა და ამის მიზეზიც კარგად მოეხსენებოდა მეწისქვილეს.

კაბრიოლეტი გაჩერდა თქვენ წინ! უთხრა კურტუამ, რომელსაც ქუჩიდან ეტლის ხმაური შემოესმა, ჯაყჯაყებს, ჩვენებური უნდა იყოს...

პოსტელმა და მისმა მეუღლემ თუ გამომიარეს, შენიშნა ექიმმა.

არა, მიუგო კურტუამ, კაბრიოლეტი მანლის მხრიდან მოვიდა.

კალბატონო, მიმართა კოლბმა (ახმახმა და ჩასუქებულმა ელზასელმა), პარიზელი ადვოკატია და ბატონტან ლაფარაკი ზურზ.

ადვოკატი?.. შეჰყვირა სეშარმა, ამ სიტყვის გაგონებაზე ტანში ცივი ჟრუანტელი მივლის.

გმადლობთ, უთხრა მარსაკის მერმა კაშანმა; იგი ოცი წლის განმავლობაში ადვოკატად მუშაობდა ანგულემში და ოდესღაც კიდეც დაევალა სეშარის საწინააღმდეგოდ სასამართლო პროცესის აღძვრა.

ჩემი საბრალო დავიდი გამოუსწორებელი ვინმეა, მის დაბნეულობას აღარაფერი ეშველება! ღიმილით ჩაურთო ევამ.

პარიზელი ადვოკატიო, ჩაილაპარაკა კურტუამ, ჩანს, რაღაც საქმეები გქონიათ პარიზში.

არა, მიუგო ევამ.

თქვენ ხომ ძმა გყავთ იქ, ღიმილით დასძინა კურტუამ.

ფრთხილად იყავით, ამ საქმეში მამილო სეშარის მემკვიდრეობა არ იყოს გარეული, ჩაურთო კაშანმა, ხომ იცით, ბერიკაცი მაინცდამაინც წმინდა წყლისა არ ბრძანდებოდა!..

შემოვიდნენ კორანტენი და დერვილი. დამხვდურებს მიესალმნენ, თავიანთი ვინაობა გაუმხილეს და ქალბატონ სეშარსა და მის მეუღლეს სთხოვეს, ცალკე მოლაპარაკების ნება დაგვრთეთო.

დიდი სიამოვნებით, მიუგო სეშარმა, მაგრამ რა საქმე გაქვთ?

მხოლოდ და მხოლოდ თქვენი მამის მემკვიდრეობის თაობაზე გეახელით, უთხრა კორანტენმა.

მაშინ ნება მოგვეცით, ბატონი მერი, ანგულემის ყოფილი ადვოკატიც დაესწროს ჩვენს საუბარს.

თქვენ ბრძანდებით ბატონი დერვილი?.. ჰკითხა კაშანმა და კორანტენს შეხედა.

არა, აი, ეს ბატონი გახლავთ, მიუგო კორანტენმა და ადვოკატზე ანიშნა. დერვილი კაშანს მიესალმა.

იცით, რა, უთხრა სეშარმა, აქ ყველა შინაურია, ჩვენს მეზობლებთან დასამალი არაფერი გვაქვს. რა საჭიროა კაბინეტში შესვლა, იქ ხომ ცეცხლიც არ გვინთია... ჩვენი ცხოვრება ყველას წინაშე გამომზეურებულია...

ბატონ თქვენს მამას კი, უთხრა კორანტენმა, ჰქონდა ზოგიერთი საიდუმლო, რისი გამომზეურებაც ვაითუ არ მოისურვოთ.

ნუთუ ისეთი რამაა, რაც სირცხვილს გვაჭმევს? იკითხა შეშინებულმა ევამ.

ოჰ, არა, უმნიშვნელო ჭაბუკური ცოდვაა, მიუგო კორანტენმა, რომელმაც სეშარებს სრულიად გულგრილად დაუგო თავისი ათასი ხაფანგიდან ერთერთი, ბატონმა თქვენმა მამამ უფროსი ძმა მოგიძღვნათ...

აჰ, ჰებერი დათვი! შეჰყვირა კურტუამ, როგორ არ ჰყვარებიხართ, ხედავთ, რა შემოუნახავს თქვენთვის იმ თაღლითს... ოჰ, ახლა კი ვხვდები, რას გულისხმობდა, როცა მეუბნებოდა, ნახავთ, ჩემი სიკვდილის შემდეგ რაც მოხდებაო.

ოჰ, ნუ აღელდებით, ბატონო, მიმართა სეშარს კორანტენმა და თან ევასკენ თვალი გააპარა.

ძმაო? შესძახა ექიმმა, მაშ, თქვენი მემკვიდრეობა ორად გაიყოფა!..

დერვილი ვითომ ყურადღებით ათვალიერებდა სალონის პანოებზე გამოფენილ ძველებურ მშვენიერ გრავიურებს.

ოჰ, დამშვიდდით, ქალბატონო, უთხრა კორანტენმა, როცა ქალბატონი სეშარის თვალწარმტაც სახეზე შეშფოთება შენიშნა, საქმე ეხება მხოლოდ უკანონო შვილს, რომლის უფლებებიც კანონიერი შვილის უფლებებს ვერ გაუტოლდება. იგი საშინლად ღარიბია და ცოტაოდენი თანხა კი ეკუთვნის ასეთი დიდი მემკვიდრეობიდან... ბატონი მამათქვენის მიერ დატოვებული მილიონები...
მილიონებიო,,, ამ სიტყვაზე ყველამ, ვინც კი სალონში იმყოფებოდა, ერთხმად შეყვირა. ახლა დერვილი უკვე აღარ ათვალიერებდა გრავიურებს.

მამილო სეშარი და მილიონები?.. შესძახა ზონზროხა კურტუამ, მერედა, ვინ მოგახსენათ ეგ? ვიღაც გლეხმა, არა?

ბატონო, თქვენ ხომ ხაზინის ინსპექტორი არა ხართ, უთხრა კაშანმა, რატომ უნდა დაგიმალოთ?..

არხეინად ბრძანდებოდეთ, მიმართა მას კორანტენმა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სახელმწიფო საკუთრების პალატაში არ ვმსახურობ...

კაშანმა ყველას ანიშნა, გაჩუმდითო, თვითონ კი აშკარად ეტყობოდა, დიდად კმაყოფილი იყო.

ბატონო, განაგრძო კორანტენმა, თუნდაც ერთი მილიონი გქონდეთ, უკანონო შვილის წილი არც მაშინ იქნება მთლად უმნიშვნელო. ჩვენ სასამართლო პროცესის აღძვრას არ ვაპირებთ, პირიქით, გთხოვთ, გაიღოთ ასი ათასი ფრანკი და მაშინვე გამოგემშვიდობებით...
ასი ათასი ფრანკიო! შეჰყვირა კაშანმა და სიტყვა გააწყვეტინა კორანტენს, ბატონო, მამილო სეშარმა დატოვა ოცი არპანი ვენახი, ხუთი პატარა ფერმა, მარსაკში ათი არპანი ჭალა და ამის მეტი ერთი ლიარდიც კი არ...

არაფრის გულისთვის, ჩაერია სეშარი, ტყუილს არ ვიტყვი, ბატონო კაშან, განსაკუთრებით კი ფულის გამო... ბატონებო, მიუბრუნდა კორანტენსა და დერვილს, უძრავი ქონების გარდა მამამ დაგვიტოვა...

კურტუა და კაშანი ამაოდ ანიშნებდნენ სეშარს, ნურაფერს იტყვიო, მან განაგრძო:

სამასი ათასი ფრანკი, რისი წყალობითაც მისი მემკვიდრეობა დაახლოებით ხუთასი ათას ფრანკად შეფასდება.

ბატონო კაშან, იკითხა ევა სეშარმა, კანონი რა წილს მიაკუთვნებს უკანონო შვილს?

ქალბატონო, გამოელაპარაკა კორანტენი, ჩვენ ხომ თურქები არა ვართ, გთხოვთ, მხოლოდ ამ ბატონების წინაშე შემოგვფიცოთ, რომ მამამთილისაგან მიიღეთ ასი ათასი ეკიუ ფულად და შეთანხმება არ გაგვიძნელდება.

ჯერ თქვენ თვითონ შემოგვფიცეთ, რომ მართლაც ადვოკატი ბრძანდებით, მიმართა ანგულემის ყოფილმა ვექილმა დერვილს.

ინებეთ ჩემი პასპორტი, უთხრა დერვილმა კაშანს და ოთხად მოკეცილი ქაღალდი გაუწოდა, ეს ბატონი კი სახელმწიფო გადასახადთა პალატის მთავარი ინსპექტორი არ გახლავთ, როგორც შეიძლება გგონებოდათ, დასძინა დერვილმა, ჩვენ სეშარის მემკვიდრეობაზე მხოლოდ სიმართლის გაგება გვსურდა. ახლა უკვე ყველაფერი ვიცით...

დერვილმა ქალბატონ ევას მეტად თავაზიანად გაუყარა მკლავში ხელი და სასტუმრო დარბაზის მეორე კუთხეში მიიყვანა.

ქალბატონო, უთხრა ხმადაბლა, ამ საკითხს გრანლიეთა ოჯახის ღირსებისა და მომავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა რომ არ ჰქონოდა, მერწმუნეთ, არ გავერეოდი მზაკვრობაში, რაც ამ ორდენოსანმა ბატონმა მოჩმახა. გთხოვთ, შეუნდოთ, სხვა გზა არ იყო, უნდა გამოგვემჟღავნებინა სიცრუე, რომლის მეოხებითაც ფრთხილად ბრძანდებოდეთ და ნურვის მისცემთ საბაბს იფიქროს, ვითომც თქვენს ძმას რიუბამპრეთა მამულის შესაძენად მილიონ ორასი ათასი ფრანკი მიეცით...
მილიონ ორასი ათასი ფრანკი? შეჰყვირა ქალბატონმა სეშარმა და მთლად გადაფითრდა, მერედა სად უშოვია ამდენი ფული მაგ უბედურს?..

ოჰ, სწორედ ეგ არის საკითხავი, უთხრა დერვილმა, ვშიშობ, მისი სიმდიდრის წყარო არცთუ მეტად სუფთა გახლავთ.

ევას თვალზე ცრემლი მოადგა; ეს მეზობლებმაც შენიშნეს.

შესაძლებელია, ჩვენ დიდი სამსახურიც გაგიწიეთ, განაგრძო დერვილმა, რაკი ხელი შეგიშალეთ გარეულიყავით ტყუილში, რომელიც ხათაბალაში გაგხვევდათ.

ქალბატონი სეშარი სავარძელში ჩაეშვა. სახე გაჰყვითლებოდა და ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ასეთ მდგომარეობაში დატოვა იგი დერვილმა და ყველას გამოემშვიდობა.

მანლისკენ! შესძახა კორანტენმა პატარა ბიჭს, რომელსაც კაბრიოლეტი მიჰყავდა.
ბორდოდან პარიზში ღამით მიმავალ დილიჟანსში ერთი ადგილი იყო მხოლოდ თავისუფალი. დერვილმა კორანტენს სთხოვა, მე დამითმეო. მიზეზად გადაუდებელი საქმე მოიდო. სინამდვილეში კი თანამგზავრს აღარ ენდობოდა, რადგან დარწმუნდა, თუ რაოდენ შეესისხლხორცებინა ამ კაცს დიპლომატიური გაქნილობა და გულცივი თავდაჭერა. კორანტენი მანლში სამ დღეს დაყოვნდა, რადგან გასამგზავრებლად ვერაფერი იშოვა. სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ბორდოში წერილობით შეუკვეთა ერთი ადგილი პარიზამდე და შინ დაბრუნება მხოლოდ ცხრა დღის შემდეგ მოახერხა.

ამ ხნის განმავლობაში პერადი ყოველ დილით კორანტენთან მიდიოდა ხან პასიში, მის აგარაკზე, ხან პარიზში, მის ბინაში, იმის გასაგებად, ხომ არ დაბრუნდაო. მერვე დღეს ორივე ბინაში დატოვა მხოლოდ მათთვის ცნობილი შიფრით დაწერილი ბარათი, სადაც მეგობარს აცნობებდა, თუ როგორი მუხანათური სიკვდილით ემუქრებოდნენ, როგორ მოიტაცეს ლიდი და ვერაგი მტრები რა მომავალს უმზადებდნენ გოგონას. აქამდე თუ სხვებს აბამდა ოსტატურად დაგებულ მახეში, ახლა პერადი თვითონვე იყო გამოჭერილი. უკორანტენოდ

დარჩენილს კონტანსონი ეხმარებოდა და ნაბობის ტანსაცმელი ჯერ არ გაეხადა. უხილავმა მტრებმა მის კვალს მიაგნეს, მაგრამ საკმაოდ ბრძნულად გადაეწყვიტა, ყოველგვარი შემთხვევით ესარგებლა და ბნელით მოცული საიდუმლოებისთვის ოდნავ მაინც მოეფინა შუქი. კონტანსონმა საქმეში ჩააბა ყველა, ვისზედაც ხელი მიუწვდებოდა და ლიდის კვალზე მიუშვა იმ იმედით, რომ იპოვიდა სახლს, სადაც გოგონა ჰყავდათ დამალული. მაგრამ დღითი დღე აშკარა ხდებოდა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმეს გაგება და განვლილი ყოველი წუთი პერადს მწუხარებას მატებდა. ბებერი ჯაშუში თორმეტსა თუ თხუთმეტ მარჯვე აგენტს გვერდიდან არ იშორებდა. ისინი მუანოს ქუჩას უთვალთვალებდნენ, უყურადღებოდ არც ტეტბუს ქუჩას ტოვებდნენ, სადაც პერადი ნაბობის ნიღაბქვეშ ისევ მადამ დიუ ვალნობლთან ცხოვრობდა. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში იმ საბედისწერო ვადიდან, რაც აზიამ პერადს დაუნიშნა გრანლიეთა სასახლეში ლუსიენის უწინდელი მდგომარეობის აღსადგენად, კონტანსონი პოლიციის ყოფილი მთავარი სამმართველოს ვეტერანს გვერდიდან არ სცილდებოდა. ამგვარად, ამერიკის უსიერ ტყეებში მოსახლე ერთმანეთთან მტრულად განწყობილი ტომების სამხედრო მზაკვრობის შედეგად წარმოშობილი შიშის პოეზია, რითაც ესოდენ უხვად ისარგებლა კუპერმა, პარიზული ცხოვრების ყოველ წვრილმანში შეიჭრა. გამვლელები, ფანჯარასთან მდგომი ადამიანები, დუქნები, ფიაკრები თუ სხვა რამეები ისევე დიდმნიშვნელოვანი გახლდათ ადამიანინომრებისთვის, რომლებისთვისაც მიენდოთ ბებრუცანა პერადის სიცოცხლის დაცვა, როგორც კუპერის რომანებში აღწერილი ხის ტოტი, თახვის სორო, კლდე, ბიზონის ტყავი, უმოძრაოდ მდგომი ნავი, ფოთლები მდინარის ზედაპირზე.

ესპანელი თუ წასულია, საშიში არაფერია, ეუბნებოდა კონტანსონი პერადს და მათ ირგვლივ გამეფებულ სიმშვიდეს იმოწმებდა.

და თუ არ წასულა? ეკითხებოდა პერადი.

რომ გაემგზავრა, კარეტის საზურგეზე ჩემი აგენტი ეჯდა. ბლუაში ვეღარაფერი გააწყო და იძულებული გახდა, გადმოსულიყო. მერე ვეღარ დაეწია.

დერვილის პარიზში დაბრუნებიდან ხუთმა დღემ გაიარა და ერთ დილას ლუსიენს რასტინიაკი ესტუმრა.

ჩემო ძვირფასო, დიდად ვწუხვარ, მოსალაპარაკებლად რომ მოვედი შენთან.

როგორც შენს ახლობელ მეგობარს, დამავალეს შენთვის გადმომეცა, გრანლიეთა სასახლეში ფეხს ნუღარ შეადგამო. შენი ქორწინება ჩაიშალა და კლოტილდის ცოლად შერთვის იმედი სამუდამოდ ამოირეცხე გულიდან. მამამისის სიკვდილი თუ გიშველის რამეს, მაგრამ ისეთი ეგოისტია, რომ ეგრე მალე არ განუტევებს სულს. ვისტის ძველი მოთამაშენი დიდხანს ცოცხლობენ... არ ნებავთ სათამაშო მაგიდას მოშორდნენ... კლოტილდი მადლენ დე

ლენონკურთან ერთად იტალიას მიემგზავრება. ჩემო კარგო, საბრალო გოგოს ისე უყვარხარ, რომ ერთი წუთითაც არ აცილებენ თვალს. შენთან მოსვლას აპირებდა, გაქცევის გეგმაც შეადგინა, მაგრამ... ეს დიდი ნუგეშია შენთვის ამგვარი უბედურების ჟამს...
ლუსიენი რასტინიაკს მისჩერებოდა და ხმას არ იღებდა.

ბოლოს და ბოლოს, განა ეს უბედურებაა? განაგრძობდა მისი თანამემამულე, ადვილად იპოვი სხვა ქალიშვილს, ისეთივე კეთილშობილი წარმოშობისას, როგორც კლოტილდია, მასზე ლამაზსაც!.. ქალბატონი დე სერიზი თავად დაგაქორწინებს და გრანლიეებზე შურს იძიებს. ხომ იცი, რარიგ სძულს ეგენი, რახან თავიანთ სასახლეში ფეხი არ შეადგმევინეს. ქალბატონ დე სერიზის ერთი ძმისწული ჰყავს, ქორფა კლემანს დიუ რუვრი

ჩემო საყვარელო, მას შემდეგ, რაც მე და შენ ერთად ვივახშმეთ უკანასკნელად, ქალბატონი დე სერიზი ხმას არ მცემს. ესთერის ლოჟაში დამინახა, მეჩხუბა და მეც აღარ გამოვიდე თავი.

ორმოც წელს გადაცილებული ქალი შენსავით ლამაზ ბიჭს დიდხანს ვერ გაებუტება, უთხრა რასტინიაკმა, ვიცი, რაცაა ეს მზის ჩასვლა... დასალიერზე ათ წუთს გრძელდება, ხოლო ქალის გულში ათ წელიწადს.

აგერ ერთი კვირაა წერილს ველოდები.

მიდი მასთან.

ახლა სხვა გზა არცა მაქვს.

დიუ ვალნობლთან ხომ წამოხვალ? მისი ნაბობი ნიუსინჟენს საპასუხო ნადიმს უმართავს.

დაპატიჟებული ვარ, მოვალ, სერიოზულად მიუგო ლუსიენმა.

როცა ლუსიენი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უბედურება მართლაც დაატყდა თავს, კარლოსს აზიას პირით ყოველივე შეატყობინა. ორი დღე გავიდა, რასტინიაკისა და ნიუსინჟენის თანხლებით ლუსიენი ცრუ ნაბობს ეწვია.

შუაღამისას ესთერის ყოფილ სასადილო დარბაზში თავი მოიყარა იმ დრამის ყველა მოქმედმა პირმა, რომლის დედააზრი, თვით პერსონაჟთა ნიაღვარივით მჩქეფარე ცხოვრების არსიდან გამომდინარე, ცნობილი იყო მარტოოდენ ესთერისთვის, ლუსიენისთვის, პერადისთვის, მულატი კონტანსონისა და პაკარისთვის. პაკარი აქ თავის ქალბატონს ემსახურებოდა. ქალბატონმა დიუ ვალნობლმა პერადისა და კონტანსონის დაუკითხავად აზიას სთხოვა, მოსულიყო და მზარეულ ქალს დახმარებოდა. პერადმა ქალბატონ დიუ ვალნობლს ხუთასი ფრანკი მისცა, საუცხო სუფრა გაშალეო, უთხრა. სუფრას რომ

უსხდებოდნენ, პერადმა თავის ხელსახოცში ქაღალდის ნაგლეჯი იპოვა; ზედ ფანქრით ეწერა: ათი დღე სრულდება იმ წუთს, როცა თქვენ სუფრასთან ჯდებით,,. პერადმა უკან მდგომ კონტანსონს ქაღალდი გაუწოდა და ინგლისურად უთხრა: ეს შენ შეჩურთე აქ?,, სანთლის შუქზე კონტანსონმა გაარჩია ეს მენე, თეკელ, უპჰარსინ;და ჯიბეში ჩაიდო, თუმცა იცოდა, რაოდენ ძნელია შეამოწმო ფანქრით ნაწერი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ წინადადება მთავრულითაა დაწერილი, ანუ გამოყვანილია, ასე ვთქვათ, მათემატიკურად, ვინაიდან მთავრული შედგება მხოლოდ მრუდეებისა და წრფეებისგან, რომელთა მიხედვით შეუძლებელია გაარჩიო ხელნაწერის თავისებურება, რაც იოლია ეგრეთ წოდებულ გაკრულ ნაწერში.

ვახშამი უღიმღამოდ მიმდინარეობდა. პერადს აშკარად ეტყობოდა, საშინლად ღელავდა. ახალგაზრდა დარდიმანდთაგან, ვისაც ესოდენ ეხერხებოდათ სუფრის გამხიარულება, აქ მხოლოდ ლუსიენი და რასტინიაკი იყვნენ. სევდიანი ლუსიენი დუმდა. რასტინიაკმა ვახშმის წინ ორასი ათასი ფრანკი წააგო და ჭამასმის დროს ერთთავად იმის ფიქრი უტრიალებდა თავში, ვახშმის შემდეგ წანაგები როგორმე დავიბრუნოო. მათი ამგვარი გულგრილობით გაკვირვებული სამი ქალი ერთმანეთს შესცქეროდა. მოწყენილობამ კერძებსაც დაუკარგა გემო. ვახშამმა, მსგავსად პიესისა და წიგნებისა, შეიძლება განიცადოს გამარჯვებაცა და დამარცხებაც. ვახშმის დასასრულს შემოიტანეს ნაყინი, ეგრეთ წოდებული პლომბირი. ჩვეულებრივ, ამგვარი ნაყინი პატარპატარა სირჩებით მოაქვთ. მას პირამიდის ფორმა არ სჭირდება და ზედაპირზე დაშაქრული ხილის პაწია, სიფრიფანა ნაჭრები აქვს მოყრილი. ნაყინი ქალბატონმა დიუ ვალნობლმა შეუკვეთა ტორტონის, რომლის ყველასთვის ცნობილი სავაჭრო ტეტბუს ქუჩისა და ბულვარის კუთხეში მდებარეობს. მზარეულმა მულატი განზე გაიხმო და უთხრა, მომტანი ნაყინის საფასურის მიღებას ელოდებაო. კონტანსონს მეტად საეჭვო ეჩვენა, ძირს ჩავიდა და კუდი ამოაძუებინა ამ სიტყვებით: ესე იგი, თქვენ ტორტონისგან არა ხართ?,, და მაშინვე ზემოთ აირბინა, მაგრამ პაკარს მისი იქ არყოფნით ესარგებლა და მეინახეებისთვის ნაყინი უკვე ჩამოერიგებინა. მულატი ჯერ კიდევ არ მისულიყო ბინის კართან, რომ მუანოს ქუჩის მოთვალთვალე აგენტმა ქვემოდან ამოსძახა: ნომერი ოცდაშვიდი!,,

რა მოხდა? ჰკითხა კონტანსონმა, ისევ კიბეზე დაეშვა და თვალის დახამხამებაში მიირბინა მასთან.

მამას უთხარით, შვილი დაგიბრუნდათქო. ისიც უთხარით, რა დღეშია. ღმერთო, შემიწყალე! ახლავე წამოვიდეს, სიკვდილის პირასაა!

კონტანსონი სასადილო დარბაზში დაბრუნდა. ამ დროს საკმაოდ გამობრუჟულმა პერადმა პლომბირიდან ამოღებული ალუბალი გადაყლაპა. ქალბატონ დიუ ვალნობლის სადღეგრძელოს სვამდნენ. ნაბობმა სირჩა გაივსო ეგრეთ წოდებული კონსტანტური ღვინით და გამოცალა. მართალია, კონტანსონი საშინლად აღელვებული იყო ახალი ამბით, რაც

პერადისთვის უნდა გაემჟღავნებინა, დარბაზში შესვლისას მის თვალს მაინც არ გამოეპარა, პაკარი დაჟინებით რომ მიშტერებოდა ნაბობს. ქალბატონ დე შამპის ლაქიას თვალები ცეცხლის ორ უმოძრაო ალს მიუგავდა. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანი კი იყო, მაგრამ მულატს მისთვის არ ეცალა. ბატონისკენ დაიხარა იმწუთას, როცა პერადი ცარიელ სირჩას მაგიდაზე დგამდა.

ლიდი შინაა, უთხრა კონტანსონმა, საშინელ დღეშია.

პერადს აღმოხდა ყველაზე ფრანგული გინება ფრანგულ გინებათა შორის ისეთი მკვეთრი სამხრეთული კილოთი, რომ მეინახეებს სახეზე უსაზღვრო გაკვირვება აღებეჭდათ. რაკი შენიშნა, მარცხი მომივიდაო, პერადმა აღარ დამალა, გადაცმული რომ იყო და კონტანსონს წმინდა ფრანგულით უთხრა:

ფიაკრი მიშოვე!.. მივეთრევი აქედან!
ყველანი სუფრიდან წამოიშალნენ.

ვინა ხართ? შეჰყვირა ლუსიენმა.

მარტლა, ვინა ხარტ? ჰკითხა ბარონმაც.

ბისიუ კი მარწმუნებდა, თქვენ მასზე უკეთესად რომ ასრულებდით ინგლისელის როლს, მაგრამ არ დავუჯერე, თქვა რასტინიაკმა.

ემჩნევა, ნიღაბახდილი ბანკროტია, შესძახა დიუ ტიემ, ასეც ვფიქრობდი!..

რა საოცარი ქალაქია პარიზი!.. დაიგმინა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა, ვაჭარი თავის უბანში გაკოტრდება, ელისეს მინდვრებზე ნაბობად ან დენდად მოგვევლინება და ამისთვის არავინ სჯის!.. ოჰ, რა უბედური ვარ, მატლივით შემიჩნდა გაკოტრება!

ამბობენ, ყოველ ყვავილს თავისი მატლი ჰყავსო, მშვიდად უთხრა ესთერმა, ჩემი კი კლეოპატრას მატლს ჰგავს ასპიტს!

ვინ ვარ? თქვა კართან მისულმა პერადმა, გაიგებთ ამას. სიკვდილის შემდეგაც ამოვალ საფლავიდან და ყოველღამე ლოგინიდან ფეხებით გადმოგათრევთ!

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას ესთერსა და ლუსიენს შეჰყურებდა. მერე ყველას დაბნეულობით ისარგებლა და მარდად მიეფარა თვალს. ფიაკრს აღარ დაელოდა, კისრისტეხით შინ გაიქცა. იმ დროს რომ იყო მიღებული, ისეთ სამეჯლისო წამოსასხამში გახვეული აზია კარიბჭესთან დაუხვდა, მკლავში ხელი ჩასჭიდა და შეაჩერა:

ზიარებისთვის მოემზადე, მამილო პერად, ჩასძახა მან იმავე ხმით, როგორითაც ბერიკაცს ერთხელ უკვე უწინასწარმეტყველა უბედურება.
იქვე ფიაკრი ელოდებოდა. აზია შიგ ჩაჯდა და ისე უცბად მიიმალა, თითქოს ქარმა მოიტაცაო. აქ ხუთი ეტლი იდგა. პერადის აგენტებმა ასავალდასავალი ვერ გაუგეს.

კორანტენი დაბრუნდა თავის აგარაკზე, რომელიც პატარა ქალაქ პასის ყველაზე მოშორებულ და ყველაზე თვალის გასახარელ გარეუბანში, ვინის ქუჩაზე მდებარეობდა. კორანტენი მებაღეობით გატაცებულ სოვდაგრად ასაღებდა თავს. მეგობრის დაშიფრული წერილი დაუხვდა. დასვენებაზე არც უფიქრია, დაუყოვნებლივ იმავე ფიაკრში ჩაჯდა, რომლითაც მოვიდა და მუანოს ქუჩისკენ გასწია, სადაც კატის გარდა არავინ იყო. ფლამანდიელი ქალისაგან გაიგო, როგორ მოიტაცეს ლიდი. იდგა და ვერ გარკვეულიყო, რატომ მოიქცნენ ეგრე წინდაუხედავად თვითონ და პერადი.

მათ ჯერ არაფერი იციან ჩემზე, გულში ჩაილაპარაკა მან, არაფრის წინაშე არ დაიხევენ უკან. პერადს თუ მოკლავენ, მე აღარ გამოვჩნდები...

რამდენადაც სამარცხვინოა კაცის ცხოვრება, იმდენად მეტად ებღაუჭება იგი თავის სიცოცხლეს, რომელიც მუდმივი პროტესტი, დაუსრულებელი შურისძიება გახლავთ. კორანტენი ქუჩაში გავიდა და შინისკენ გასწია. იქ დაჩაჩანაკებულ ბებრუცანად შეინიღბა; ჩაიცვა მომწვანო ძველი რედინგოტი, თავზე ბალახის პარიკი დაიხურა და ფეხით გაბრუნდა უკან. სულ იმის ფიქრში იყო, პერადს რა ვუშველოო. გადაწყვიტა, ყველაზე ერთგული და მარჯვე ნომრებისთვის,, დაევალებინა ეს საქმე. სენტონორეს ქუჩაზე შეუხვია, რადგან აპირებდა ვანდომის მოედანზე ნევსენროხის ქუჩიდან გასულიყო. უცბად ერთ გოგოს წამოეწია. საშინაო ქოშები, ღამის თეთრი კოფთა ეცვა და ჩაჩი ეხურა, თითქოსდა დასაწოლად გამზადებულაო. გოგო მწარედ ოხრავდა და კვნესოდა, ხანდახან კი ქვითინებდა. კორანტენმა რამდენიმე ნაბიჯით გადაასწრო და ლიდი იცნო.

მამათქვენის მეგობარი ვარ, ბატონი კანკოელისა, მიმართა შეუცვლელი ხმით.
ოჰ, ბოლოს და ბოლოს, შევხვდი ადამიანს, ვისი ნდობაც შემიძლია!.. შეჰყვირა ლიდიმ.

ისე მოიქეცით, ვითომ არ მიცნობთ, განაგრძო კორანტენმა, დაუძინებელი მტრები გვდევნიან და მეტი ჩარა არა გვაქვს, უნდა დავიმალოთ. აბა, მიამბეთ, რა გადაგხდათ თავს...

ოჰ, ბატონო! შესძახა საბრალო ბავშვმა, კითხვა ადვილია, მაგრამ მოყოლა ძნელი... პატივი ამხადეს, თავლაფი დამასხეს. დავიღუპე და ვერც გავრკვეულვარ, როგორ მოხდა ეს!..

საიდან მოდიხართ?

არ ვიცი, ბატონო! იმდენი ქუჩა გამოვიარე, იმდენი შესახვევი, ისე კისრისტეხით მოვრბოდი, მეგონა, უკან მომდევდნენ... და როცა ვინმე პატიოსან კაცს დავინახავდი, ვეკითხებოდი, საითაა ბულვარები, ლაპეს ქუჩაზე როგორ მივიდემეთქი! აგერ რამდენი ხანია მოვდივარ... რომელი საათია?

თორმეტის ნახევარი, უთხრა კორანტენმა.

ბინდბუნდი რომ ჩამოწვა, მაშინ გამოვიქეცი. მაშ, უკვე ხუთი საათია, რაც გზაში ვარ! თქვა ლიდიმ.

დამშვიდდით, მალე მოისვენებთ. თქვენი კეთილი კატი შინ დაგიხვდებათ.

ოჰ, ბატონო, ჩემთვის აღარ არსებობს მოსვენება! მხოლოდ მაშინ მოვისვენებ, როცა სამარეში ჩავალ. მანამდე კი მონასტერს შევაფარებ თავს, თუკი ამის ღირსად ჩამთვლიან...

საბრალო გოგონა! თავს იცავდით?

დიახ, ბატონო. ოჰ, რომ იცოდეთ, რა ბინძურ ადამიანებს ჩავუვარდი ხელში...

ალბათ, დაგაძინეს, არა?

აჰ, აი, თურმე რა, უთხრა საბრალო ლიდიმ, ძალა უნდა მოვიკრიბო, როგორმე სახლამდე მივაღწიო. მეტი აღარ შემიძლია, აზრები ამერდამერია... ამწუთას ისე მომეჩვენა, თითქოს ბაღში ვიყავი... და საბრალომ გონება დაკარგა. კორანტენმა ლიდი აიტაცა, კიბეზე აიყვანა და დაიყვირა:
კატ!

კატი გამოვიდა და სიხარულით შეჰკივლა.

ნაადრევია თქვენი სიხარული! შეაგება კორანტერმა, გოგონა მძიმედ ავადაა.

ლიდი ლოგინში ჩააწვინეს და როცა კატმა ორი სანთელი აანთო, მათ შუქზე გოგონამ თავისი ოთახი იცნო. მერე ბოდვა დაიწყო. მშვენიერი არიების ნაწყვეტებს მღეროდა და თან ბილწი ადამიანებისგან მოსმენილ შემზარავ სიტყვებს ურთავდა. ყირმიზ სახეზე დალილავებული ადგილები მოუჩანდა. თავისი წმინდა ცხოვრებისა და სამარცხვინო ათი დღის მოგონებებს ერთმანეთში ურევდა. კატი ტიროდა. კორანტენი ბოლთას სცემდა. ხანდახან შეჩერდებოდა და ლიდის უყურებდა.

მამის ცოდვების გამო დაისაჯა! ამბობდა იგი, იქნებ განგების ხელი ურევია? ოჰ, რა მართალი ვიყავი, ოჯახს რომ არ მოვეკიდე... ერთ ფილოსოფოსს უთქვამს, შვილი ჩვენი უბედურების მძევალიაო. ღმერთმანი, სწორედ ასეა!..
ოჰ! ამოიგმინა საბრალო ბავშვმა, წამოჯდა და გაწეწილი მშვენიერ თმა მხრებზე ჩამოეშალა, აქ კი არ უნდა ვიწვე, კატ, შლამში უნდა ვეგდო, სენის ფსკერზე

კატ, თქვენი მოთქმატირილი ვერაფერს უშველის. წადით, მოიყვანეთ ექიმი ჯერ მერიიდან, მერე კი ბატონები დეპლენი და ბიანშონი მოიწვიეთ... უნდა გადავარჩინოთ ეს უმანკო არსება...

კორანტენმა ორივე ცნობილი ექიმის მისამართები დაუწერა კატს. ამ დროს კიბეზე ამოდიოდა კაცი, ვისთვისაც, ჩანდა, ეს საფეხურები ნაცნობი იყო. კარი გაიღო და დელფინივით აქოშინებული პერადი შემოვარდა. სახე გალურჯებოდა, თვალებში სისხლი მოსწოლოდა. ლიდის ოთახში გავარდა და შეჰყვირა:

სად არის ჩემი შვილი?..

კორანტენმა ნაღვლიანად გაიწვდინა ხელი. პერადმა იქით გაიხედა. ლიდი შეიძლებოდა შეგვედარებინა ბოტანიკოსის მიერ სიყვარულით ნალოლიავები ყვავილისთვის, რომელიც ყუნწს მოსწყვეტოდა და გლეხის ნალებიან ჩექმას გადაეთელა. ეს სურათი მამის გულში გადაიტანეთ და მიხვდებით, რა ლახვარი ჩაეცა პერადს; მოხუცს ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლი.

ვიღაც ტირის... მამაჩემია... წაილუღლუღა გოგონამ.
ლიდი ჯერ კიდევ ცნობდა მამას. წამოდგა, ბერიკაცის წინაშე მუხლებზე დაემხო, როცა მამამისი სავარძელში ჩაეშვა.

მაპატიე, მამა! შეჰღაღადა ისეთი ხმით, რომ პერადს გული აუთრთოლდა და თავში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს მძიმე კეტი სდრუზესო.

ვკვდები... ოჰ, არამზადები! აღმოხდა უკანასკნელად.

კორანტენმა დასახმარებლად მეგობართან მიირბინა, მაგრამ პერადს აღარაფერი ეშველებოდა. სული განუტევა.

მოწამლულია!,, გაიფიქრა კორანტენმა.

აგერ ექიმიც, შეჰყვირა მან, რადგან ქვემოდან ეტლის ხმაური შემოესმა.

კონტანსონი შემოვიდა. მულატის შავი ფერი ჩამოებანა. ახლა ბრინჯაოს ქანდაკებასავით გაშეშდა ერთ ადგილას, რაკი შემოესმა ლიდის სიტყვები:

ნუთუ არ შემინდობ, მამიკო? მე ხომ არ მიმიძღვის ბრალი! (გოგონა ვერ ამჩნევდა, რომ მამამისი მკვდარი იყო) ოჰ, როგორ მიბრიალებს თვალებს! წამოიძახა საბრალო გიჟმა. თვალები დავუხუჭოთ, თქვა კონტანსონმა და პერადის ცხედარი საწოლზე დაასვენა.

სისულელეა მისი აქ დატოვება, უთხრა კორანტენმა, თავის ოთახში გადავასვენოთ. შვილი ნახევრად შეშლილია და მთლად გაგიჟდება, როცა მიხვდება, რომ მამა ცოცხალი აღარ არის. იფიქრებს, მე მოვკალიო.

ლიდი გამოთაყვანებული შესცქეროდა, როგორ გადაჰყავდათ პერადი.

აი, ჩემი ერთადერთი მეგობარი! ვერ დაფარა მღელვარება კორანტენმა, როცა პერადი საძინებელში გადაიყვანეს და საწოლზე დაასვენეს, სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა სიხარბე და ისიც შვილის გულისთვის!.. ეს იყო შენთვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი, კონტანსონ! რასაც უნდა აკეთებდე, პატიოსანი უნდა იყო. პერადი მწარედ შეცდა, კერძო საქმეში რომ გაერია. ჩვენ მარტოოდენ სახელმწიფოებრივი საქმეებისთვის უნდა ვიღვწოდეთ. მაგრამ, რაც უნდა დამემართოს, ვფიცავ, შური ვიძიო ჩემი საბრალო პერადის მაგივრად! ეს ისეთი ხმით თქვა, თვალები ისე დააბრიალა და ისე შეკრა მუშტები, რომ კონტანსონი შიშით აცახცახდა, ქვესკნელში რომ ჩაძვრნენ, იქიდანაც ამოვათრევ მის მკვლელებსა და ლიდის გამაუბედურებლებს!.. ვფიცავ ჩემს თავსა და იმ ორიოდე დღეს, რაც სასიცოცხლოდ დამრჩენია და რასაც ამ შურისძიებას შევალევ, რომ ისინი გრევის მოედანზე, დღისითმზისით, ოთხ საათზე, სრულიად საღსალამათნი, თავგადაპარსულნი გამოესალმებიან წუთისოფელს!

მეც მხარში ამოგიდგებით! შესძახა თავზარდაცემულმა კონტანსონმა.

არაფერია უფრო ამაღელვებელი, ვიდრე ვნებათა მძვინვარე აფეთქება ცივ, გონებადამჯდარ, დინჯსა და აუჩქარებელ ადამიანში, რომლისთვისაც მთელი ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც კი არავის შეუნიშნავს მგრძნობიარობის ნატამალი. ამგვარი ვნება ათუხთუხებული ფოლადივით გადმოეშვება და ადნობს ყველაფერს, რასაც შეეხება. ამიტომ იყო, რომ კონტანსონს გულმუცელი გადაუტრიალდა.

საბრალო მამილო კანკოელი! წაიდუდუნა მან და თვალი გაუსწორა კორანტენს, ხშირად მპატიჟებდა... იცით, რას გეტყვით? ასეთ საქმეებში მანკიერ ადამიანებზე უკეთესად ვერავინ ერკვევა. რამდენჯერ მოუცია ათი ფრანკი, წადი, ითამაშეო, მეტყოდა...

ამ გამოსათხოვარი სიტყვის შემდეგ პერადის ორ შურისმაძიებელს კიბიდან შემოესმა კატისა და მერიის ექიმის ხმები. ისინი ლიდის ოთახში გავიდნენ.

პოლიციის კომისართან გაიქეცი, უთხრა კონტანსონს კორანტენმა, ადვილი შესაძლებელია, სამეფო სასამართლოს პროკურორმა ეგ საქმე ძიების ღირსად არ ჩათვალოს. ჩვენ კი უნდა მოვითხოვოთ, პრეფექტურისთვის მოხსენებითი ბარათი შედგეს, იქნებ სადმე გამოგვადგეს. ბატონო, მიმართა მერიის ექიმს კორანტენმა, აგერ იმ ოთახში ცხედარი დაგიხვდებათ, არ მჯერა, რომ ის თავისი სიკვდილით მოკვდა. კაცი გავგზავნე ბატონი პოლიციის კომისრის მოსაყვანად. როცა იგი მობრძანდება, გთხოვთ, მისი თანდასწრებით გაკვეთოთ გვამი. ეცადეთ, მიაგნოთ საწამლავის კვალს. დახმარებას გაგიწევენ დეპლენი და ბიანშონი, რომლებიც ჩემი საუკეთესო მეგობრის ქალიშვილისთვის მოვიწვიე. ის მამამისზე უარეს დღეშია, თუმცა ბერიკვაცი ცოცხალი აღარ გახლავთ...

მაგ ბატონების დახმარება სულაც არ მჭირდება, მიუგო მერიის ექიმმა, ჩემი საქმე მე თვითონ ვიცი...

ჯანდაბას შენი თავი!,, გაიფიქრა კორანტენმა და ექიმს დაუყვავა:

არ გედავებით, ბატონო, მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ჩემს აზრს: ვინც მოკლა მამა, შვილსაც იმანვე ახადა ნამუსი!

განთიადზე დაღლილობით გათანგულ ლიდის ძლივძლივობით ჩაეძინა. ამ დროს სახელოვანი დასტაქარი და ახალგაზრდა ექიმი მობრძანდნენ. პერადის გარდაცვალების დასადასტურებლად მოწვეულ მერიის ექიმს გვამი უკვე გაეკვეთა და სიკვდილის მიზეზს ეძებდა.

სანამ ავადმყოფს გააღვიძებდნენ, მიმართა კორანტენმა ორ ცნობილ ექიმს, ხომ არ ინებებთ, თქვენს კოლეგას დაეხმაროთ და მასთან ერთად დაადგინოთ ერთი კაცის გარდაცვალების მიზეზი, რაც, უეჭველია, თქვენთვისაც საინტერესოა; თქვენი მოსაზრება ოქმში ზედმეტი არ იქნება.
ყოველივე მიგვინიშნებს, რომ თქვენი ნათესავი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაცვლილა, უთხრა მერიის ექიმმა.

გთხოვთ, კიდევ შეამოწმოთ, ბატონებო, მიმართა კორანტენმა, თან გაიხსენეთ, ტოქსიკოლოგია ხომ არ იცნობს ისეთ საწამლავს, რომელიც ასეთივე მოქმედებას ახდენს ორგანიზმზე.

კუჭი გადავსებული ჰქონდა, თქვა ექიმმა, მაგრამ ქიმიური ანალიზის გარეშე საწამლავის არავითარი ნიშანი არ შეიმჩნევა.

თუ ტვინში სისხლის ჩაქცევა უდავოა და მხედველობაში მივიღებთ გარდაცვალებულის ასაკს, სიკვდილისთვის ეგეც საკმაო მიზეზი გახლავთ, ჩაურთო დეპლენმა და კუჭში დაგროვილ უამრავ ნაჭამზე მიუთითა.

შინ ივახშმა? იკითხა ბიანშონმა.

არა, მიუგო კორანტენმა, ბულვარიდან მოირბინა თავპირის მტვრევით და აქ შვილი დაუხვდა ნამუსახდილი.

ნამდვილი საწამლავიც ეგაა, თუკი შვილი უყვარდა, უთხრა ბიანშონმა.

რომელი საწამლავი იძლევა მსგავს შედეგს? ისევ შეეკითხა კორანტენი, რომელიც ჯიუტად ადგა თავის აზრს.

არსებობს ერთი ასეთი საწამლავი, მიუგო დეპლენმა, გვამის დიდი გულისყურით შემოწმების შემდეგ იავის არქიპელაგზე მოიპოვება. ეს არის ნაყოფი ჯერჯერობით შეუსწავლელი ერთგვარი ბუჩქნარისა, რაც

სტრყცჰნოს
სენათესავება. მეტად საშიში იარაღის მოსაწამლად იყენებენ... მაგალითად, მალაიური დანა კრისისთვის... ზუსტად ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ყურმოკრულად გამიგია...

პოლიციის კომისარიც მოვიდა. კორანტენმა მასაც გააცნო თავისი ეჭვი, სთხოვა, ოქმი შეედგინა და დაუსახელა, რომელ სახლში და ვისთან ივახშმა პერადმა. ისიც შეატყობინა, თუ რა შეთქმულება მზადდებოდა პერადის მოსაკლავად და ლიდის სნეულების მიზეზიც გაუმჟღავნა. მერე საბრალო გოგონას ოთახში გავიდა, სადაც დეპლენი და ბიანშონი ავადმყოფს სინჯავდნენ. ექიმებს კარის ზღურბლთან შეეჩეხა.

აბა, რას იტყვით, ბატონებო? ჰკითხა კორანტენმა.
გოგო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეთ. თუ დაორსულდა და მშობიარობის შემდეგ გონზე არ მოვიდა, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე წყნარი გიჟი იქნება. დედობრივი გრძნობა თუ გაეღვიძება, მხოლოდ მაშინ შეიძლება განიკურნოს.

კორანტენმა ექიმებს ორმოცორმოცი ფრანკი მისცა ოქროთი და მიუბრუნდა პოლიციის კომისარს, რომელმაც მკლავში მოქაჩა იგი:

ექიმი ამტკიცებს, ბუნებრივი სიკვდილით მოკვდაო, უთხრა მან, და მე აქტს ვერ შევადგენ, მით უმეტეს, ძია კონკოელზე. რა საქმეში არ იყო გარეული და რა ვიცით, ვის გადავეყრებით... ეს ადამიანები ხშირად ბრძანებით,, კვდებიან...
მე კორანტენი ვარ, ყურში უთხრა პოლიციის კომისარს.

კომისარმა გაკვირვება ვერ დამალა.

შეადგინეთ მოხსენებითი ბარათი, განაგრძო კორანტენმა, შემდგომში გამოგვადგება. საიდუმლო ცნობის სახით გადაგზავნეთ. მოწამვლას ვერ დავამტკიცებთ. ვიცი, პირველივე ინსტანციაზე ძიებას შეაჩერებენ... მაგრამ რამდენიმე დღეში ბოროტმოქმედებს მივაგნებ, მათ კვალს გავყვები და დანაშაულის ადგილზე წავასწრებ.

კომისარი კორანტენს დაემშვიდობა და წავიდა.

ბატონო, მიმართა კატმა, მადმუაზელი მღერის და ცეკვავს, როგორ მოვიქცე?

რა იყო, რამ იმოქმედა ასე?..

გაიგო, რომ მამამისი გარდაიცვალა...

ფიაკრში ჩასვით და პირდაპირ შარანტონში წაიყვანეთ. ახლავე წერილს მივწერ სამეფო პოლიციის სამმართველოს გენერალურ დირექტორს, რათა ლიდი სათანადოდ მოაწყოს. შვილს შარანტონში გამოამწყვდევენ, მამას საერთო საფლავში ჩააგდებენ, თქვა კორანტენმა, კონტანსონ, წადი, შეუკვეთე ღარიბების ფორანი... ახლა კი ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ, დონ კარლოს ერერა!

კარლოსი? იკითხა კონტანსონმა, ის ხომ ესპანეთშია!

პარიზშია! დარწმუნებით თქვა კორანტენმა, მომხდარ ამბებში ფილიპე IIის დროინდელი ესპანური გენია ტრიალებს, მაგრამ ჩემს ხაფანგში ყველა გაებმება; თვით მეფეც კი ვერ დამიძვრება ხელიდან!

ნაბობის გაქცევიდან ხუთი დღის შემდეგ ქალბატონი დიუ ვალნობლი დილის ცხრა საათზე ესთერის სასთუმალთან იჯდა და მწარედ ტიროდა, რადგან გრძნობდა, სიღარიბის დაღმართზე ეშვებოდა.

ასი ლუიდორის რენტა მაინც მქონოდა! ჩემო ძვირფასო, ერთ პატარა ქალაქში დავბინავდებოდი და გავთხოვდებოდი კიდეც...

თუ გინდა გაშოვნინებ, უთხრა ესთერმა.

მერედა, როგორ? შესძახა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა.

სრულიად უბრალოდ. მომისმინე. ვითომც თავის მოკვლას აპირებ. ეს კომედია კარგად გაითამაშე. აზია დაიბარე და სიფრიფანა მინის ორ შავ მძივში ათი ათასი ფრანკი შეაძლიე. შიგ ისეთი საწამლავია, ერთ წამში რომ კლავს ადამიანს. მომიტანე ისინი და ორმოცდაათ ათას ფრანკს მოგცემ...

თვითონ რატომ არ სთხოვ? ჰკითხა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა.

მე არ მომყიდის.

რაო, შენთვის ხომ არ გინდა? შეეკითხა ქალბატონი დიუ ვალნობლი.

იქნებ ასეცაა.

თავის მოკვლას აპირებ? ასეთი ფუფუნებით ცხოვრობ, შესანიშნავად ატარებ დროს, მერე რა სასახლე გაქვს! და ისიც დღესასწაულის წინა დღეს, რაზედაც ხალხი მთელ ათ წელიწადს ილაპარაკებს! ნიუსინჟენს ოცი ათასი ფრანკი დაუჯდება ზეიმი. ამბობენ, შუა თებერვალში მარწყვს მიართმევენო სტუმრებს, სატაცურს, ყურძენს... ნესვსაც კი მოიტანენ... ათასი ეკიუს ყვავილებს გაშლიან მთელ სახლში.

ნეტავ რას მიედმოედები? ათასი ეკიუს ვარდებს მარტო კიბეზე დაყრიან.

იმასაც ამბობენ, ვითომც შენი კაბა და სამკაულები ათი ათასი ფრანკი დაჯდაო.

დიახ, ჩემი კაბა მთლად ბრიუსელის მაქმანისაა. დელფინი, მისი ცოლი, გაცოფებულა, ეს რომ გაუგია. მაგრამ მე მინდოდა პატარძალივით ვყოფილიყავი ჩაცმული.

სად არის ეგ ათი ათასი ფრანკი? ჰკითხა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა.

სულ ეგაა ჩემი ჯიბის ფული, ღიმილით უთხრა ესთერმა, გამოაღე ტუალეტის მაგიდის უჯრა, თმის სახვევების ქვეშაა...

როცა სიკვდილზე ლაპარაკობენ, თავს არ იკლავენ, უთხრა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა, და თუ ეს გჭირდება...

ბოროტმოქმედების ჩასადენადო, ბარემ თქვი! დაასრულა შეყოყმანებული მეგობრის სიტყვა ესთერმა, არხეინად ბრძანდებოდე, დასძინა მან, არავის მოკვლას არ ვაპირებ. ერთი მეგობარი მყავდა, ბედნიერი ქალი იყო. მოკვდა. მეც უკან გავყვები, ესაა და ეს.

რა სულელი ხარ!..

რას იზამ, ერთმანეთს პირობა მივეცით.

გააპროტესტე ეგ თამასუქი, ღიმილით უთხრა მეგობარმა.

მოიქეცი ისე, როგორც გითხარი. წადი აქედან. აგერ ეტლი გაჩერდა. ნიუსინჟენია. ბედნიერებისგან ჭკუაზე შეცდა. მაგას კი მართლა ვუყვარვარ... რატომ არ გვიყვარს ის, ვისაც ვუყვარვართ; ხომ სულ ისე იქცევა, რომ თავი მოგვაწონოს.

მართლაც ასეა! კვერი დაუკრა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა, მაგ სიტყვაზე ქაშაყის ამბავი გამახსენდა; ქაშაყი ხომ ყველა თევზზე მუხანათია.

რატომ?

აბა, რა გითხრა, კაცმა არ იცის ამის მიზეზი.

კარგი, ახლა კი წადი, ჩემო ნუკრო! ხომ უნდა გიშოვო ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

შენ იცი. მშვიდობით...

აგერ სამი დღე იყო ესთერი ბარონ დე ნიუსინჟენს სულ სხვანაირად ექცეოდა. მაიმუნი ფისოდ გადაიქცა და ფისო ქალად. ესთერი ბერიკაცს სიყვარულის თვალმარგალიტს აყრიდა, მომხიბლავად ეფერებოდა. მწარე და დამცინავი სიტყვები შეიცვალა მორცხვი ალერსით, რაც გონებაშეზღუდულ ბარონს საკუთარი თავისადმი რწმენას უმტკიცებდა. ესთერი ფრიცს ეძახდა და ნიუსინჟენს ეგონა, შემიყვარაო.
ჩემო საბრალო ფრიც, მე ხომ გამოცდა მოგიწყვე, ეუბნებოდა ქალი, ძალიან გაგაწვალე, მაგრამ შენ ყველაფერი ღირსეულად მოითმინე. ვხედავ, გიყვარვარ და სამაგიერო ჯილდოსაც მოგიძღვნი. ახლა მეც მომწონხარ და არ ვიცი, რა დამემართა, ყმაწვილკაცს მირჩევნიხარ. ჩანს, ცხოვრებამ ჭკუა მასწავლა. თანდათან ვრწმუნდები, სიყვარული სულის საჩუქარი ყოფილა; განა ერთნაირად საამაყო არაა, ვინმეს ეყვარები სიამტკბილობისთვისა თუ ფულის გულისთვის... ესეც არ იყოს, ყმაწვილკაცები მეტისმეტად ეგოისტები არიან, საკუთარ თავზე

უფრო ფიქრობენ, ვიდრე ქალზე. შენ კი მხოლოდ ჩემზე ზრუნავ. მე შენთვის მთელი სიცოცხლე ვარ. ახლა გამოგიტყდები, ამის შემდეგ შენგან აღარაფერს მოვითხოვ და კიდეც დაგიმტკიცებ, რაოდენ უანგარო ვიქნები.
მე ტქვენტვიზ ზულ არაპერი მომიცია, მიუგო ესთერის სიტყვებით თავგზააბნეულმა ბარონმა, ხვალ მინტა მოგარტვატ ოცდაატი ატაზი ფრანქიზ რენტა... ეზ იკნება ჩემი ზაქორცილო ზაჩუქარი...

ესთერმა ისე ტკბილად ჩაკოცნა ნიუსინჟენი, რომ კაცი მთლად გაფითრდა და აბები სულაც აღარ დასჭირვებია.

ოჰ, ნუ იფიქრებთ, უთხრა ესთერმა, თითქოს მაგ ოცდაათი ათასი ფრანკის რენტისთვის შემიყვარდით! ოჰ, არა. მხოლოდ იმიტომ გეფერებით, რომ ახლა... მართლა მიყვარხარ, ჩემო სქელო ფრედერიკ...
ოჰ, ღმერტო ჩემო, რად გინდოდატ ჩემი გამოცდა, მე ხომ უქვე ზამი ტვე ვიქნებოდი ეგრე ბედნიერი.

ეგ სამპროცენტიანია თუ ხუთპროცენტიანი, ჩემო ცუგრუმელავ? შეეკითხა ესთერი, ნიუსინჟენს ქოჩორში ხელი შეუცურა და გაუსწორა.

ზამპროცენტიანი... ვალაუვალტა ფონდია.

აი, ასე მიართვა ნიუსინჟენმა საგერბო ქაღალდზე გაფორმებული ხელშეკრულება, რის საფუძველზედაც ესთერი ოცდაათი ათასი ფრანკის რენტის მფლობელი ხდებოდა. ბარონი აპირებდა თავის პატარა გოგონასთან ესაუზმა და გაეგო, თუ რას ინებებდა იგი, რას უბრძანებდა ხვალინდელი დიდებული დღის, ცნობილი შაბათის თაობაზე.

აბა, მიიღე ჩემო ფატარა ცოლო, ჩემო ერტადერტო ცოლო! ეუბნებოდა ბედნიერებით სახეგაბადრული ბანკირი, ზიცოცხლიზ ბოლომდე ზაჩმლიზ პული მაინც არ მოგაქლდება.

ესთერმა ვულგარულად გამოართვა ქაღალდი, დაკეცა და ტუალეტის მაგიდის უჯრაში შეინახა.

ხომ უდიდესად კმაყოფილი ბრძანდებით, უსამართლობის შემზარავო კერპო, უთხრა ესთერმა და ხელი მოუტყაპუნა ლოყაზე, რაკი, ბოლოს და ბოლოს, რაღაც მივიღე თქვენგან. ამის შემდეგ ყოველგვარ სიმართლეს პირში ხომ ვეღარ მოგახლით, ვინაიდან ვინაწილებ ნაყოფს იმისა, რასაც თქვენ საქმიანობას უწოდებთ... ეგ საჩუქარი როდი გახლავთ, ჩემო საბრალო ბიჭუნა, ეგ არის უბრალოდ ჩემი წილი საერთო შემოსავლიდან... აბა, ბირჟელივით ნუ შემომცქერი, ხომ იცი, მიყვარხარ!

ჩემო მზეტუნახავო ეზდერ, ზიქვარულიზ ანგელოზო, შესძახა ბანკირმა, ეგრე ნუღარ მელაპარაქები... ჯანდაბაზ, დე, მტელი ქვექანა მიზოდებზ ქურდზ, ზულაც არ მენაღვლება, ოღონდ შენზ ტვალში ვიქო ფატიოზანი კაცი... რაც დრო გადიზ, ზულ უფრო და უფრო მეტად მიქვარხარტ...

ასე გადავწყვიტე, ჩემო სპილუნიავ, უთხრა ესთერმა, აღარასოდეს გეტყვი არაფერს ისეთს, რაც დაგადარდიანებს. შენ ხომ ბალღივით უმანკო გახდი... ეშმაკმა წაგიღოს, ბოროტების პირწავარდნილო განსახიერებავ, შენ ხომ არასოდეს უმანკო არ ყოფილხარ და ის მცირეოდენი რამ, რაც დედის მუცლიდან დაგყვა, ხომ უნდა ამოტივტივებულიყო ოდესმე ზემოთ; მაგრამ ისე ღრმად იყო ჩაძირული და ჩაფლული, რომ მის ამოთრევას სამოცდაექვსი წელიწადი დასჭირდა... სიყვარულის ანკესს წამოეგო და ამოცურდა. ასეთი სასწაული გადახრწნილ ბებრუცანებს ემართებათ... ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს, შემიყვარდი. შენ ხომ ახალგაზრდა ხარ, სრულიად ნორჩი... ჩემს მეტი არავინ იცნობს ასეთ ფრედერიკს... მე ვიცნობ მხოლოდ!.. თხუთმეტი წლისა უკვე ბანკირი იყავი... კოლეჟში ამხანაგებს ბურთს იმ პირობით ათხოვებდი, თუ ორ ბურთს დაგიბრუნებდნენ (ნიუსინჟენს გაეცინა, ესთერი მუხლებზე დაუსკუპდა). კარგი, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი! დასწყევლოს ეშმაკმა, გაძარცვე ადამიანები... მიდი, ნუ შეიბრალებ, მეც მოგეხმარები. არ ღირს ადამიანებისთვის თავის შეწუხება და შეყვარება. ნაპოლეონი ბუზებივით ჟლეტდა მათ. განა სულერთი არაა ფრანგებისთვის, შენ აიღებ მათგან გადასახადს თუ ხაზინა?.. მაინცდამაინც არც ხაზინა ეხატებათ გულზე. ღმერთმანი, ყველაფერი ავწონდავწონე და მივხვდი, შენ მართალი ხარ... გაკრიჭე ცხვრები, როგორც წერია ბერანჟესეულ სახარებაში... აბა, აკოცეთ თქვენს ეზდერს... ოჰ, მართლა, იმ საწყალ ქალბატონ დიუ ვალნობლს აჩუქე, რაც კი რამ ავეჯი გაქვს ტეტბუს ქუჩაზე. ამის გარდა, ხვალვე მიეცი ორმოცდაათი ათასი ფრანკი... ამით საზოგადოების თვალში ძალიან ბევრს მოიგებ, ჩემო ფისუნია, შენ ხომ მოკალი ფალე... ეს უკვე ყველას პირზე აკერია... საჩუქარი ზღაპრულ ხელგაშლილობად ჩაგეთვლება... და ყველა ქალი შენზე ალაპარაკდება. ოჰ, მთელ პარიზში შენზე დიდებული და კეთილშობილი არავინ იქნება, ხოლო ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ფალეს მაშინვე დაივიწყებენ. ბოლოს და ბოლოს, ესეც ხომ კაპიტალის სარფიანი დაბანდებაა, თუკი მოგებად ყველას შენდამი პატივისცემა ექნება!..

მარტალი ხარ, ჩემო ანგელოზო! რა კარგად იცნოფ ხალხზ, მიუგო ბანკირმა, შენ იქნები ჩემი მრჩეველი.

ხომ ხედავ, განაგრძო ქალმა, როგორ ვზრუნავ ჩემი კაცის საქმეებზე, მის ღირსებაზე, კეთილ სახელზე... აბა, წადი, მომირბენინე ორმოცდაათი ათასი ფრანკი...

ესთერი ლამობდა ნიუსინჟენი თავიდან მოეშორებინა, რადგან აპირებდა ბირჟის მაკლერი დაებარებინა და რენტა იმავე საღამოს გაეყიდა.

ვიტომდაც რა ზაჩქაროა? ჰკითხა ნიუსინჟენმა.
აბა, როგორ გინდა, ჩემო ფისუნა, ფული ხომ ატლასის პატარა კოლოფით უნდა მიართვა და ზედ მარაო დააფარო. ასე ეტყვი: ინებეთ მარაო, ქალბატონო, იმედია, მოგეწონებათთქო. ყველას ტიურკარე ჰგონიხარ, ამის შემდეგ კი ბოჟონსშეგადარებენ!

რა შეზანიზნავია, რა გადაზარევი! შეჰყვირა ბარონმა, ამიერიდან შენი ჩქუა მე მექნება... ზწორედაც ზულ შენზ სიტქვებზ გავიმეორეფ...

ამ როლის შესასრულებლად ესთერმა თავს იმდენად დაატანა ძალა, რომ ქანცი გამოელია და სავარძელზე უღონოდ დაეშვა. ერთი წუთიც არ გასულიყო, რომ ევროპა შემოვიდა.

ქალბატონო, მალაკეს სანაპიროდან სელესტენს, ბატონი ლუსიენის ლაქიას, ბიჭი გამოუგზავნია...

უთხარი, შემოვიდეს! თუმცა არა, მე თვითონ გავალ წინკარში.

სელესტენს თქვენთვის გადმოსაცემად წერილი გამოუტანებია.

ესთერი წინკარში გავიდა. მის წინ ჩვეულებრივი მსახური იდგა.

წერილი გადაიკითხა, უღონოდ დაეშვა სკამზე და ევროპას მიკნავლებული ხმით მიმართა:

უთხარი, ჩამოვიდეს! მერე ჩურჩულით დასძინა, ჯერ წერილი უჩვენე, ლუსიენი თავის მოკვლას აპირებს...
კარლოს ერერას კომივოიაჟორის ტანსაცმელი არ გაეხადა. სასწრაფოდ ჩამოვიდა ძირს, წინკარში უცხო კაცი დალანდა და მუშტრის თვალით დააშტერდა.

აკი მითხარი, არავინ არისო, ჩუმად ჩაულაპარაკა ევროპას.

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო,,, გაიფიქრა. ერთ წუთსაც არ დაყოვნებულა, მაშინვე სალონში გავიდა. გააბითურე სიკვდილმა,, არ იცოდა, რომ, რამდენიმე ხანია, საიდუმლო პოლიციის იმ სახელგანთქმულ უფროსს, რომელმაც ვოკეს პანსიონში დღევანდელი კარლოს ერერა დააპატიმრა, მეტოქე, მომავალი შემცვლელი გასჩენოდა. წერილის მომტანი სწორედ ის მეტოქე გახლდათ.

მართალი ყოფილხართ, უთხრა ცრუ კომისიონერმა კონტანსონს, რომელიც ქუჩაში უცდიდა, თქვენ რომ ამიწერეთ, ის კაცი ამ სახლშია; ესპანელიც არ უნდა იყოს, ცეცხლში ჩავვარდები, თუ ანაფორაში ის მტაცებელი მხეცი არ იმალება, ვისზედაც ჩვენ ვნადირობთ.
ეგ ისევეა მღვდელი, როგორც ესპანელი, კვერი დაუკრა კონტანსონმა.

ლუსიენი, მართლაც, ორი დღე შინ არ იმყოფებოდა. მტრებმა ამით ისარგებლეს და მახე დაუგეს, მაგრამ ლუსიენი იმავე საღამოს დაბრუნდა და ესთერმაც გული დაიარხეინა.

მეორე დილას, როცა კურტიზანი სააბაზანოდან გამოვიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა, მეგობარი ესტუმრა.

აქა მაქვს ორივე მძივი, აუწყა დიუ ვალნობლმა.
აბა, მაჩვენე, უთხრა ესთერმა. წამოიწია და თავისი ლამაზად მოყვანილი იდაყვი მაქმანებით გაწყობილი ბალიშის ქვეშ ამოიდო.

ქალბატონმა დიუ ვალნობლმა ესთერს შავი მოცხარის მსგავსი ორი მძივი გაუწოდა. ბარონმა სატრფოს მეტად იშვიათი ჯიშის ორი ლევრეტი აჩუქა. ბოლოს და ბოლოს, ლევრეტთა მოდგმა იმ პოეტის სახელს მიიღებს, რომელმაც ასეთი ჯიშის ძაღლები მოდაში შემოიყვანა. სწორედ ამიტომ კურტიზანს ფინიებით დიდად მოჰქონდა თავი და შეუნარჩუნა კიდეც წინაპრების სახელები: რომეო და ჯულიეტა. ზედმეტია, ვილაპარაკოთ ამ ოთახის ცხოველების სინარნარეზე, მათ ქათქათა ქათიბსა და ნატიფ ჩვევებზე, რაც, ცოტა არ იყოს, ინგლისურ ამპარტავნობას ედარებოდა. ესთერმა რომეო მოიხმო. რომეომ მოირბინა ფოლადის მავთულის მსგავსი, მაგარი, მკვრივი, მაგრამ მოქნილი, წვრილი ფეხებით და პატრონს შეაჩერდა. ესთერმა ჯერ ხელი გაუქნია, თითქოს მძივი გადააგდოო, რათა ძაღლის ყურადღება მიეპყრო.

თვით სახელმა გარგუნა ასეთი სიკვდილი! თქვა ქალმა და მაშინვე მძივიც გადაუგდო; ფინიამ იგი კბილებით გატეხა და სანამ პატრონი გამოსათხოვარ სიტყვას დაასრულებდა, ძაღლი უხმოდ დატრიალდა და იატაკზე უსულოდ გაიშოტა.
ო, ღმერთო დიდებულო! შეჰყვირა ქალბატონმა დიუ ვალნობლმა.

შენ ეტლით მოხვედი, წაიღე რომეოს გვამი, სთხოვა ესთერმა, მისი სიკვდილი ერთ ალიაქოთს ატეხს. ვითომ გაჩუქე და შენ კი დაგეკარგა. გაზეთში გამოაქვეყნე განცხადება. აბა, იჩქარე, ამავე საღამოს შენს ორმოცდაათ ათას ფრანკს მიიღებ.

ეს სიტყვები ისე მშვიდად და კურტიზანისთვის დამახასიათებელი გულგრილობით თქვა ესთერმა, რომ ქალბატონმა დიუ ვალნობლმა შეჰყვირა:

შენ მართლაც ჩვენი დედოფალი ხარ!

ადრე მოდი, კოხტად ჩაიცვი...

საღამოს ხუთ საათზე ესთერი პატარძლის ტანსაცმელში გამოეწყო. თეთრი ატლასის ქვედატანზე მაქმანის კაბა გადაიცვა, წელზე თეთრი სარტყელი შემოირტყა, თეთრი ატლასის მაშიებში ფეხები ჩაყო და ფიქალივით ნათალ მხრებზე ინგლისური მაქმანის შალი მოისხა. ვით უბიწო ქალწულმა, თმა თეთრი კამელიებით მოირთო. მკერდზე ნიუსინჟენის ნაჩუქარი ოცდაათი ათას ფრანკად ღირებული მარგალიტის ფარღული უელავდა. ექვს საათზე ჩაცმა დაამთავრა, მაგრამ ბრძანა, ჩემთან არავინ შემოუშვათ, თვით ნიუსინჟენიც კიო. ევროპამ იცოდა, მის საძინებელში პირველად ლუსიენი უნდა შესულიყო. მეშვიდე საათი დაიწყო, როცა ლუსიენი მოვიდა, ევროპამ ისე შეაპარა ქალბატონთან, რომ მისი მოსვლა არავის გაუგია.

ლუსიენმა ესთერს რომ შეხედა, გაიფიქრა, რა მიშლის, რუბამპრეში მასთან ერთად დავსახლდე, მაღალ საზოგადოებას გავშორდე და პარიზში არასოდეს ფეხი აღარ დავადგაო... ამგვარი ცხოვრების საწინდრად უკვე გავიღე ჩემი სიცოცხლის ხუთი წელი, ხოლო ამ ძვირფას ქმნილებას ისეთი გული აქვს, რომ არასოდეს მიღალატებს. განა ოდესმე კიდევ ვიპოვი მსგავს სასწაულსო...

მეგობარო, თქვენ ხართ ჩემი ღმერთი, უთხრა ესთერმა და ლუსიენის წინ დაგდებულ ბალიშზე მუხლი მოიყარა, დამლოცეთ...

ლუსიენს უნდოდა, ესთერი წამოეყენებინა, ეკოცნა მისთვის და ეთქვა, საყვარელო, ეს რა ხუმრობაო. წელზე ხელის მოხვევა დაუპირა, მაგრამ გრძნობამორეული ესთერი შეძრწუნებით დაუსხლტა.

მე შენი ღირსი არა ვარ, ლუსიენ, უთხრა ცრემლმორეულმა ქალმა, გეხვეწები, დამლოცო და შემომფიცო, რომ ჩემს სახელზე საავადმყოფო ოტელ დე დიეში,, ორ საწოლს იყიდი... რადგან ეკლესიაში წირვა ვერაფერს მიშველის, თუკი ღმერთმა თვით არ შემინდო ცოდვა... უსაზღვროდ მიყვარდი, ჩემო კარგო. მხოლოდ მითხარი, რომ ბედნიერი იყავი ჩემთან და ხანდახან მომიგონებ... მითხარი!
ლუსიენმა იგრძნო, რაოდენ გულწრფელი იყო ესთერი და ჩაფიქრდა.

თავის მოკვლას აპირებ! ღრმა ფიქრებს ძლივს წაართვა თავი ჭაბუკმა.

არა, ჩემო საყვარელო, მაგრამ დღეს, ალბათ, მოკვდება სუფთა, მოსიყვარულე ქალი, რომელიც შენ გეკუთვნოდა... და მეშინია, ვაითუ დარდმა მომიღოს ბოლო.

საბრალო ბავშვო, დაიცადე! უთხრა ლუსიენმა, როგორ არ ვიძალე, რა არ ვიღონე და დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, დავუკავშირდი კლოტილდს.

ისევ კლოტილდი! ესთერმა ძლივს შეიკავა თავი, რათა მრისხანება არ გამოემჟღავნებინა.

დიახ! განაგრძო ლუსიენმა, წერილები მივწერეთ ერთმანეთს... სამშაბათ დილას იტალიაში მიემგზავრება, მაგრამ გზაზე დავუხვდები, ფონტენბლოში

ასეა არა? ნეტავ ვისთვის იღვწით, ვის ირთავთ ცოლად, ქალსა თუ ჭოკს? შეჰყვირა საბრალო ესთერმა, შვიდი ან რვა მილიონი რომ მქონდეს, ნეტავი თუ შემირთავდით?

ბავშვო, აკი გითხარი, თუ ყველაფერი დასრულდება ჩემთვის, ყოველგვარი იმედი გადამიწყდება, შენს მეტი სხვა არავინ მინდა ცოლად...

ესთერს მიწისფერი დაედო, თვალზე ცრემლი მოადგა. თავი ჩაღუნა, ლუსიენს რომ არ შეემჩნია, ფარულად მოიწმინდა ცრემლი.

გიყვარვარ? ჰკითხა მან და მწუხარე მზერა მიაპყრო ჭაბუკს, აჰა, ესაა ჩემი დალოცვა... წადი, ფრთხილად იყავი, სახელი არ გაგიტყდეს. საიდუმლო კარით გადი და ხალხს თავი ისე მოაჩვენე, თითქოს სასტუმრო დარბაზში წინკარიდან შეხვედი. შუბლზე მაკოცე, მერე ლუსიენს მოეხვია, გულში ჩაეკრა მხურვალედ და უთხრა, წადი! წადი, თორემ... ვიცოცხლებ. როდესაც სიკვდილის პირას მისული ქალი დარბაზში გამოჩნდა, ყველამ აღტაცებით შეჰყვირა. ესთერის თვალებში უსასრულობას დაესადგურებინა და მნახველს სულს უფორიაქებდა. მოლურჯო, ყორნისფერ თმაში მკვეთრად გამოკრთოდა კამელიების სითეთრე. თვალწარმტაცმა გოგონამ მიზანს მიაღწია: საზოგადოება მოხიბლა და დაატყვევა. არავის ძალუძდა მისი მეტოქეობა. ისე გამობრძანდა, ვით უზადო განსახიერება იმ უსაზღვრო ფუფუნებისა, რაც ირგვლივ იყო გამეფებული. ყველა მოაჯადოვა გონებამახვილური საუბრით. ორგიას ისეთი ღირსეული სიმშვიდით გაუძღვა, როგორც კონსერვატორიაში ჰაბენეკი დირიჟორობს კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობენ ევროპის სახელგანთქმული მუსიკოსები, ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს რომ სწვდებიან მოცარტისა და ბეთჰოვენის შესრულებისას. ესთერი თან შიშით შესცქეროდა ნიუსინჟენს, რომელიც ცოტას ჭამდა, სულ არა სვამდა და თავი ოჯახის სრულუფლებიან ბატონპატრონად ეჭირა. შუაღამე რომ გადავიდა, ყველას გონება დაეკარგა. სირჩები დაამსხვრიეს, ამ ჭიქებით სხვამ აღარავინ უნდა დალიოსო. ორი პეკინური მოხატული ფარდაც ჩამოფხრიწეს. ბისიუ სიცოცხლეში პირველად დათვრა. ფეხზე ვეღარ დგებოდა. ქალებმა სავარძელში ჩაიძინეს. მეინახეებმა ვერ შეძლეს სახუმარო შეთქმულების სისრულეში მოყვანა: ორ მწკრივად უნდა დამდგარიყვნენ, ხელში შანდლები დაეჭირათ და სევილიელი დალაქის,,

ბუონა სერა

,,სგალობით საძინებლამდე მიეცილებინათ ესთერი და ნიუსინჟენი.

მხოლოდ ნიუსინჟენმა გაუწოდა ხელი ესთერს. მათ ბისიუმ მოჰკრა თვალი. მთვრალი კი იყო, მაგრამ თავს ძალა დაატანა, წაელუღლუღა ის, რაც რივაროლმა ჰერცოგ დე რიშელიეს

ქორწინების გამო თქვა: პოლიციის პრეფექტს უნდა შევატყობინოთ... რაღაც ბნელ საქმეს აწყობენ,,... ქილიკს ეგონა, ვხუმრობო, მაგრამ წინასწარმეტყველება გამოუვიდა.

ბატონი დე ნიუსინჟენი მხოლოდ ორშაბათს დაბრუნდა შინ, დაახლოებით შუადღის თორმეტ საათზე. პირველ საათზე ბირჟის მაკლერმა შეატყობინა, მადმუაზელ ესთერ ვან ბოგსეკმა თავისი ოცდაათი ათასი ფრანკის რენტა პარასკევსვე გაყიდა და ფულიც მიიღო.

მაგრამ, ბატონო ბარონო, დასძინა მაკლერმა, როცა მე ამაზე ვლაპარაკობდი, ბატონი დერვილის უფროსი კლერკი შემოვიდა, გაიგონა მადმუაზელ ესთერის ნამდვილი გვარი და მითხრა, მადმუაზელ ესთერ ვან გობსეკი შვიდი მილიონის მემკვიდრეობას იღებსო.

ოჰო!

დიახ, მგონი, ერთადერთი მემკვიდრეა ბებერი მევახშე გობსეკისა... დერვილი დაადგენს ამ ფაქტს. თქვენი საყვარლის დედა თუ მშვენიერი ჰოლანდიელი,, იყო, ქალბატონი ესთერი მიიღებს...

მე ეგ ვიცი, უთხრა ბანკირმა, ეზდერმა მიამბო ტავიზი ცხოვრება... ახლავე რამდენიმე ზიტქვაზ მივცერ დერვილზ!

ბარონი საწერ მაგიდას მიუჯდა, პატარა ბარათი დაწერა და დერვილისთვის გადასაცემად მსახურს გაატანა. ბირჟის მერე, სამ საათზე, ესთერისკენ გასწია.

ეშმაქმა ცაგიღოზ, შეჰყვირა ბარონმა, ირობა, ეზდერი ხომ არ გაჩავრდება, როცა გაიგებზ, რომ დიდი სიმდიდრე მიიღო... შვიდი მილიონიზ მემკვიდრეა... ბებერმა გოფზექმა შენი ჩირი ცაიღო და შვიდი მილიონი დატოვა. შენი ქალბატონი მიზი ერტადერტი მემკვიდრეა. დედამიზი გოფზექიზ ზმიზწული იქო და ანდერძიც ზწორედ მის ზახელზეა. აბა, რაზ ცარმოვიდგენდი, ეზდერი აზეტ ზიღარიბეში იყო ჩაპლული და ბიძა კი მილიონებზ ატრიალებდა...

მაშ, თუ ეგრეა, თქვენი მეფობის აღსასრულიც დამდგარა, ბებერო ჯამბაზო!

მიახალა ევროპამ და ისე თავხედურად შეხედა, რომ მოლიერის მსახურ ქალსაც კი შეშურდებოდა, ოხოხო, ელზასელო ბებერო ყორანო! ესთერს თითქმის ისევე უყვარხართ, როგორც შავი ჭირი!

უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისულ ნიუსინჟენს პრუდანს სერვიენმა ზურგი შეაქცია და ოთახიდან გავარდა, რათა ქალბატონისთვის პირველს ეხარებინა, თუ რარიგ შეუტრიალდა ცხოვრების ჩარხი. ზეადამიანური სიტკბოებით ფრთაშესხმულსა და

ბედნიერებით ჯერ კიდევ გაბრუებულ ბერიკაცს ცივი წყალი გადაესხა სწორედ იმწუთას, როცა მისმა სიყვარულმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ეზდერი მატქუებდა! შეჰყვირა მან და თვალზე ცრემლი მოადგა, მატქუებდა! ო, ეზდერ! ო, ჩემო ზიცოცხლევ!.. რა ზულელი ვარ, რა ბრიქვი! განა აზეთი ქვავილი ბებრუხუნებიზტვიზ იზრდება?! შემიზლია ქველაპერი ვიქიდო, მაგრამ ზიჩაბუქეზ ვერ ვიქიდი!.. ო, ღმერტო, ჩემო! რა ვქნა? როგორ მოვიქცე? მარტალია ეგ ბოროტი ირობა! ეზდერი მდიდარია და გამშორდება... იქნეფ ზჩოფზ ტავი ჩამოვიხრჩო? აბა, რა არიზ ზიცოცხლე ღვტაეფრივი ცეცხლიზ გარეშე, მე ხომ ვიგემე იგი!.. ღმერტო ჩემო

და მგელმამტაცებელმა მოიგლიჯა პარიკი, რითაც ეს სამი თვეა ჭაღარას იფარავდა. ევროპას გამყინავმა კივილმა ნიუსინჟენს კანკალი დააწყებინა და გულმუცელი ლამის გადმოუტრიალა. საბრალო ბარონი წამოდგა, ბარბაცით გადაადგა ფეხი. მან ახლახან იმედის გაცრუებით,, აღვსილი ფიალა გამოცალა, ხოლო ისე არაფერი ათრობს ადამიანს, როგორც უბედურების სამსალა. საძინებლის კარი შეაღო თუ არა, საწოლზე გაშოტილ, საწამლავისგან გალურჯებულ ესთერს მოჰკრა თვალი. მკვდარი იყო!.. მიუახლოვდა და მუხლებზე დაეცა.

შენ მარტალი იქავი, ირობა, მეც ხომ მეუბნებოდა!.. ჩემზ გამო მოქვდა...
პაკარმა და აზიამაც მოირბინეს. მთელი სახლი შეგროვდა. სეირის სანახავად მოსულიყვნენ, წუხილით კი არავინ წუხდა. მსახურები თითქოს შეშფოთდნენ. ბარონი მაშინვე ბანკირად გადაიქცა და ეჭვი შეეპარა. მერე სიფრთხილე გადაავიწყდა და რენტის საფასური, შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი მოიკითხა. პაკარმა, აზიამ და ევროპამ ერთმანეთს ისე უცნაურად გადახედეს, რომ ბარონმა დე ნიუსინჟენმა გაიფიქრა, ესთერი გაძარცვის მიზნით ხომ არ მოკლესო და გარეთ გავარდა. ქალბატონის ბალიშის ქვეშ ევროპამ პაკეტი შენიშნა. რაკი რბილად მოხვდა ხელში, მიხვდა, საბანკო ბილეთებიაო და თქვა, ცხედარი უნდა გავაპატიოსნოო.

აზია, წადი, ბატონს მოახსენე! ისე მოკვდა, რომ ვერც გაიგო, შვიდი მილიონის პატრონი რომ გახდა! გობსეკი თურმე განსვენებულის ბიძა ყოფილა! შეჰყვირა ევროპამ.

პაკარი მიუხვდა, გულში რაც ედო ევროპას. აზია გავიდა თუ არა, ევროპამ პაკეტი გახსნა. პაკეტზე საბრალო კურტიზანს წაეწერა: ბატონ ლუსიენ დე რუბამპრესთვის გადასაცემად!,, ათასათასი ფრანკის შვიდას ორმოცდაათმა საბანკო ბილეთმა თვალში შეანათა პრუდანს სერვიენს და მან წამოიძახა:

ამ ფულით შეიძლება ბედნიერად და პატიოსნად იცხოვრო სიკვდილამდე.
პაკარმა არაფერი უთხრა. მასში ქურდის ბუნება უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე გააბითურე სიკვდილისადმი,, ერთგულება.

დიურუ ცოცხალი აღარ არის, თქვა მან და ბილეთებს დასწვდა, მე მხარზე ჯერ არა მაქვს დამღა, გავიქცეთ ერთად, ფული გავიყოთ, რათა კვერცხები ერთ კალათში არ ჩავაწყოთ, და დავქორწინდეთ.

კარგი, მაგრამ სად დავიმალოთ? ჰკითხა პრუდანსმა.

პარიზში, მიუგო პაკარმა.

პრუდანსი და პაკარი მაშინვე კისრისტეხით დაეშვნენ კიბეზე, ვით შეეფერებოდა ქურდად გადაქცეულ ორ პატიოსან ადამიანს.

მალაელმა დედაკაცმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ გააბითურე სიკვდილმა,, უთხრა:

შვილო, ერთი მომირბენინე ესთერის რომელიმე წერილი, მანამდე მე ანდერძს შევადგენ ისე, როგორც წესი და რიგია. ანდერძისა და წერილის ასლს ჟირარს წაუღებ, მხოლოდ უთხარი, დააჩქაროს. ესთერს ბალიშის ქვეშ უნდა შევუცუროთ, სანამ სახლს დაულუქავდნენ.
და მან შემდეგი სახის ანდერძი შეადგინა:

ამქვეყნად ბატონ დე ლუსიენ შარდონ დე რუბამპრეს გარდა არავინ მყვარებია. ვინაიდან გადავწყვიტე, თავი მომეკლა, ვიდრე ხელახლა ჩავიძირებოდი მანკიერების წუმპეში, საიდანაც ამ სათნო და გულმოწყალე ადამიანმა ამომიყვანა, მე ანდერძით ვუტოვებ ზემოაღნიშნულ ლუსიენ შარდონ დე რუბამპრეს მთელ ჩემს ავლადიდებას, რასაც ვფლობ გარდაცვალების დღეს და ვავალდებულებ სენროხის ეკლესიაში წელიწადში ერთხელ აწირვინოს იმ ადამიანის სულის საცხონებლად, ვინც მას მიუძღვნა ყველაფერი, თვით უკანასკნელი ფიქრიც კი.

ესთერ გობსეკი,,.

სწორედ მისი სტილითაა შედგენილი,,, გაიფიქრა გააბითურე სიკვდილმა,,.

საღამოს შვიდ საათზე გადაწერილი და დალუქული ანდერძი აზიამ ესთერის სასთუმალქვეშ დადო. მერე სწრაფად აირბინა კიბე და შესძახა:

ჟაკ, როცა ოთახიდან გამოვდიოდი, სასამართლოს ხელისუფალნი მობრძანდნენ...

შენ გინდა თქვა, მომრიგებელი მოსამართლეო...

არა, შვილიკო. მომრიგებელი მოსამართლე ხომ არის და არის, მაგრამ ჟანდარმებიც მოჰყვნენ. სამეფო სასამართლოს პროკურორიცა და გამომძიებელიც აქ არიან. კართან მცველები დგანან.

რა უცბად ატყდა ალიაქოთი ესთერის სიკვდილის გამო, თქვა კოლენმა.

ხედავ, ევროპა და პაკარიც აღარ გამოჩნდნენ. მეშინია, მაგათ ხომ არ ჩაიჯიბეს შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი, უთხრა აზიამ.

ოჰ, ეგ ყაჩაღები! აღმოხდა გააბითურე სიკვდილს,,, ეს ქურდობა დაგვღუპავს!

ადამიანური მართლმსაჯულება და პარიზული მართლმსაჯულება ყველაზე დაუნდობელია ამქვეყნად. იგი მეტისმეტად გონიერიცაა, რამეთუ წამდაუწუმ ახლებურად განმარტავს კანონს. სწორედ ეს მართლმსაჯულება იყო, ამ შემზარავ საქმეთა სულისჩამდგმელებს, ბოლოს და ბოლოს, თავის ბრჭყალებში რომ იქცევდა. ბარონი ნიუსინჟენი დარწმუნდა, ესთერი მოწამლესო. შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკიც ადგილზე აღარ იდო და მყისვე მისთვის ესოდენ არასასიამოვნო, ყოვლად საზიზღარ ადამიანზე, პაკარსა და ევროპაზე მიიტანა ეჭვი. აღარ დააყოვნა და გაშმაგებულმა პოლიციის პრეფექტურას მიაშურა. ეს ამბავი ზარის გუგუნივით გაისმა და კორანტენის ყველა ნომერს,, თავი მოუყარა. პრეფექტურა, პროკურატურა, პოლიციის კომისარი, მომრიგებელი მოსამართლე, სასამართლოს გამომძიებელი, ყველა ფეხზე დადგა.

საღამოს ცხრა საათზე მოწვეული ექიმები საბრალო ესთერის გაკვეთას დაესწრნენ და გამოძიება დაიწყო. გააბითურე სიკვდილმა,,, რომელსაც აზიამ ეს ყოველივე შეატყობინა, წამოიძახა, ჯერ არ გაუგიათ, აქ რომ ვარ, შემიძლია სუფთა ჰაერზე გავისეირნოო. მანსარდის სარკმლიდან გასაოცარი სიმკვირცხლით გადახტა სახურავზე და მიდამო ყურადღებით მიათვალიერმოათვალიერა. ამას ისე მშვიდად აკეთებდა, გეგონებოდათ, სახურავების გამოცდილი ოსტატიაო.

ესეც ასე, გაიფიქრა მან, როცა ხუთი სახლის იქით, პროვანსის ქუჩაზე, ერთ ბაღს მოჰკრა თვალი, ახლა აღარაფერი მიჭირს!,,

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გააბითურე სიკვდილო!,, მიმართა მას კონტანსონმა, რომელიც საკვამლე მილის უკან დამალულიყო და ახლა გამოეცხადა კოლენს, ახლავე განუმარტავ ბატონ კამიუზოს, თუ რა მესა უნდა წარმოგეთქვა სახურავზე, ბატონო აბატო, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მოახსენებ, რატომ გარბოდი...

ესპანეთში მტრები მყავს... უთხრა კარლოს ერერამ.

აბა, დავბრუნდეთ შენს მანსარდაში, უბრძანა კონტანსონმა, და იქიდან გავწიოთ ესპანეთში.

ცრუ ესპანელმა თავი მოიკატუნა, ვითომ გემორჩილებიო, მაგრამ მანსარდის სარკმლის რაფაზე როცა გადაიხარა, უცბად შემოტრიალდა, ხელი სტაცა კონტანსონს და ისე მოისროლა, რომ ჯაშუში სენჟორჟის ქუჩაზე, არხში ჩავარდა. კონტანსონმა საპატიო ბრძოლის ველზე,, განუტევა სული. ჟაკ კოლენი არხეინად შებრუნდა მანსარდაში და ლოგინში ჩაწვა.

ისეთი რამ მომეცი, რომ არ მომკლას, მაგრამ მძიმე ავადმყოფი გამხადოს, სთხოვა აზიას, სიკვდილის პირას უნდა ვიყო მისული, რათა ცნობისმოყვარეებს,, ვერაფერი ვუპასუხო. ნურაფრისა გეშინია, მღვდელი ვარ და მღვდლად დავრჩები. ახლახან თავიდან მოვიშორე, თანაც უაღრესად ბუნებრივად, ერთი ისეთი ვინმე, ვისაც შეეძლო ჩემთვის ნიღაბი აეხადა. წინადღეს, საღამოს შვიდ საათზე, ლუსიენი საფოსტო ეტლში ჩაჯდა იმავე დილით აღებული სამგზავრო მოწმობით აღჭურვილი და ფონტენბლოში ჩავიდა. ნემურის მხარეს, გარეუბნის ერთ ფუნდუკში გაათია ღამე. სისხამ დილას, ასე, ექვს საათზე, ფეხით გასწია ბურონამდე.

ერთი კლდის პირას ჩამოჯდა და ბურონის თვალწარმტაც მიდამოს გადახედა. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: ესაა ის საბედისწერო ადგილი, სადაც ნაპოლეონმა თავს უსაზღვროდ დაატანა ძალა, ტახტიდან გადადგომამდე ორი დღით ადრე,,.

მზე ამოიწვერა, როცა ლუსიენს საფოსტო ეტლის ჭრიალი შემოესმა და მის წინ ჩაიარა ეტლმა, სადაც ახალგაზრდა ჰერცოგინია დე ლენონკურშოლიეს მსახურები და კლოტილდ დე გრანლიეს მოახლე ისხდნენ.

აგერ, ისიც, გაიფიქრა ლუსიენმა, აბა, კარგად გავითამაშოთ კომედია და ყოველივე კეთილად დამისრულდება. ჰერცოგის სიძე გავხდები მისდა დაუკითხავად,,.

ერთი საათის შემდეგ ისევ გაისმა ეკიპაჟის ხმაური, მაგრამ ახლა ბორბლები ისე რბილად მოსრიალებდა, რომ ჩანდა, რბილი სამგზავრო ეტლი მოდიოდა. ამ ელეგანტურ ეტლში მჯდომმა ორმა ქალბატონმა ბურონის დაღმართზე გადმოსვლა ინება. საზურგეზე შემომჯდარმა ლაქიამ ეტლი შეაჩერებინა. ამასობაში ლუსიენიც გამოვიდა შარაგზაზე.

კლოტილდ! შეჰყვირა მან და ეტლის ფანჯარაზე მიუკაკუნა.

არა, ჩემო ძვირფასო, უთხრა ახალგაზრდა ჰერცოგინიამ მეგობარს, ეგ ეტლში არ ჩაჯდება და ჩვენც მასთან პირისპირ მარტონი არ დავრჩებით. თანახმა ვარ, უკანასკნელად გამოელაპარაკოთ, მაგრამ გზაზე თუ გავალთ. ფეხით გავიაროთ. უკან ბატისტი გამოგვყვება. მშვენიერი დარია, ტანთ თბილად გვაცვია, არ გავცივდებით. ეტლი უკან წამოვა...

ორივე ქალი გადმოვიდა ეტლიდან.

ბატისტ, უბრძანა ჰერცოგინიამ ლაქიას, ეკიპაჟი ნელნელა ივლის, ჩვენ ფეხით გავლა გვინდა, თქვენც წამოგვყევით.

მადლენ დე მორსოვმა მეგობარს მკლავში ხელი გაუყარა და ლუსიენს კლოტილდთან ლაპარაკის ნება მისცა. მათ ერთად გაიარეს გზა პატარა სოფელ გრეზამდე. დაახლოებით რვა საათზე კლოტილდი ლუსიენს გამოეთხოვა.

ასე, ჩემო მეგობარო, ღირსეულად დაასრულა მან ხანგრძლივი საუბარი, თქვენ გარდა სხვას არავის გავყვები ცოლად. მირჩევნია თქვენ დაგიჯეროთ, ვიდრე სხვებს, მამაჩემს, დედას... ნუთუ ოდესმე ვისმეს ჩემზე მეტად დაუმტკიცებია სიყვარული?.. ასე არ არის?.. ახლა კი შეეცადეთ, გაფანტოთ ის საბედისწერო და შეურაცხმყოფელი აზრი, რაც თქვენზე შეიქმნა... უცბად ცხენების თქარათქური შემოესმათ. ორი ქალბატონის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გარს ჟანდარმები შემოერტყნენ.

რა გნებავთ? დენდის ქედმაღლობით ჰკითხა ლუსიენმა.

თქვენ ბრძანდებით ლუსიენ შარდონ დე რიუბამპრე? მიმართა ფონტენბლოს სამეფო სასამართლოს პროკურორმა.

დიახ, ბატონო.

ღამეს ფორსში,, გაათევთ, უთხრა მან, ნაბრძანები მაქვს, დაგაპატიმროთ და სასამართლოს გადაგცეთ.

ვინ არიან ეს ქალბატონები? შეჰყვირა ბრიგადირმა.

ოჰ, მართლა, მაპატიეთ, ქალბატონებო, თქვენი პასპორტები? როგორც გადმომცეს, ბატონი ლუსიენი მჭიდრო კავშირშია ისეთ ქალებთან, რომელთაც შეუძლიათ

რაო, ჰერცოგინია დე ლენონკურშოლიე ვიღაც ქუჩის დედაკაცი ხომ არ გგონიათ? თქვა ამაყად და სამეფო სასამართლოს პროკურორს ჭეშმარიტად დიდი ქალბატონის საკადრისად შეხედა.

საამისოდ ლამაზი ბრძანდებით, ცბიერად ჩაურთო მოსამართლემ.

ბატისტ, უჩვენეთ ჩვენი პასპორტები, ღიმილით ბრძანა ჰერცოგინიამ.

რა ბრალდება აქვს წაყენებული ამ ბატონს? იკითხა კლოტილდმა, როცა ჰერცოგინია მის კარეტაში ჩასმას ცდილობდა.

ქურდობასა და მკვლელობაში მონაწილეობა, მიუგო ჟანდარმთა ბრიგადირმა.
ბატისტმა გულწასული მადმუაზელ დე გრანლიე ეტლში შეასვენა.

შუაღამისას ლუსიენი შედიოდა ფორსში,,, რომელიც პაიენისა და ბალეს ქუჩებზე მდებარეობდა. განცალკევებულ საკანში ჩასვეს. დაპატიმრების შემდეგ ამავე ციხეში იყო კარლოს ერერაც.

ნაწილი მესამე

მოლიპულ გზაზე

მეორე დღეს, დილის ექვს საათზე, ფორსიდან,, გამოვიდა ორი ფორანი, რომელსაც ხალხი ხატოვნად სალათის გოდორს,, უწოდებს, და სწრაფად გაემართა მართლმსაჯულების სასახლის კონსიერჟერისკენ,,.

შეუძლებელია, უქმად მოყიალეებს ამ მოძრავი ციხისთვის თვალი არ მოეკრათ. თუმცა წიგნები უმეტესად პარიზელებისთვის იწერება, უცხოელები, უეჭველია, მაინც კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენი სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის განკუთვნილი შემზარავი ფორნის აღწერით. ვინ იცის, რუსეთის, გერმანიის ან ავსტრიის პოლიციამ, ან იმ ქვეყნის მართლმსაჯულების ორგანოებმა, რომელთაც ამგვარი სალათის გოდორი,, არ გააჩნიათ, იქნებ მოგვბაძონ და აღიჭურვონ ტრანსპორტის ამ დიდებული სახეობით, რაც მრავალ უცხო ქვეყანაში პატიმრებს უთუოდ გააბედნიერებს.

ეს ყვითელძარიანი, ყოვლად ამაზრზენი კარეტა ორთვალაა. შიგნით თუნუქი აქვს გამოკრული და ორად არის გაყოფილი. წინა მხარეს ტყავის სკამია, ტყავისავე წინსაფრით. ეს სალათის გოდრის,, ღია ნაწილი გახლავთ. შიგ ბოქაულები და ჟანდარმები სხდებიან. ამ თავისებურ კაბრიოლეტს ჩატანებული აქვს რკინის ცხაური, რომლის იქით, ძარაში, მეორე განყოფილებაა. როგორც ომნიბუსში, ძარის ორივე მხარეს ხის თითო მერხი დგას და ზედ პატიმრები სხდებიან. ისინი შემოჰყავთ ძარის ზურგში ჩატანებული ყრუ კარიდან, რომელიც შიგნით იღება. თავდაპირველად, ფორანს კედლები არ ჰქონდა და რკინის ცხაურის ზემოთ პატიმართა თავები მოჩანდა, ფორნის ჯაყჯაყში სალათივით აქეთიქით რომ ყანყალებდნენ. სწორედ ამიტომ შეარქვეს სალათის გოდორი,,. როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ფორანს ცხენზე ამხედრებული ჟანდარმიც მოსდევდა, განსაკუთრებით იმ

შემთხვევაში, როცა სიკვდილმისჯილი სასჯელის მოსახდელად მიჰყავდათ. ასე და ამგვარად, გაქცევაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო. თუნუქგამოკრულ ფორანს არავითარი იარაღი არ მიუდგება. დაპატიმრებისას და ციხეში შეყვანისას პატიმარს გულმოდგინედ ჩხრეკენ და მას, ბევრიბევრი, ხელში საათის ზამბარა შერჩეს, რითაც ფანჯრის მესრის გადახერხვას იქნებ კიდეც შეძლებს, მაგრამ გლუვ ზედაპირს ვერაფერს დააკლებს. ჰოდა, პარიზის პოლიციის გენიოსის მიერ გაუმჯობესებული ნიმუში, ბოლოს და ბოლოს, ციხემაც გადაიღო და ის შეიქნა წინამორბედი იმ კარეტისა, რომლითაც ახლა კატორღელები გადაჰყავთ და რომელმაც შეცვალა წინა საუკუნეების ცივილიზაციის შემარცხვენელი შემაძრწუნებელი ფორანი, თუმცა კი მას მანონ ლესკომ სახელი გაუთქვა.

დედაქალაქის სხვადასხვა საპატიმროდან გამოძიებაში მყოფნი მართლმსაჯულების სასახლეში დასაკითხად სალათის გოდრით,, გადაჰყავთ. დაკითხვას სასამართლოს გამომძიებელი აწარმოებს. ციხის ჟარგონით ამ პროცესს ჭკუის სასწავლებლად გამგზავრებას,, უწოდებენ. ასევე მიჰყავთ ბრალდებულნი ციხიდან მართლმსაჯულების სასახლეში, სასამართლოზე, თუ საქმე უბრალოდ გამასწორებელ სასჯელს ეხება; ხოლო თუ საქმე ეხება, ამ სასახლის ენით რომ ვთქვათ, დიდ ბოროტმოქმედებს, ისინი რაიონული საპატიმროებიდან სენის დეპარტამენტის საპყრობილეში, კონსიერჟერიში,, გადაჰყავთ. დაბოლოს, სიკვდილმისჯილნი ასევე სალათის გოდრით,, ბისეტრიდან,, სენჟაკის კარიბჭესთან მიჰყავთ, რაც ივლისის რევოლუციის შემდეგ სიკვდილით დასასჯელ ადგილად დარჩა. კაცთმოყვარეობის კარნახით ამ უბედურ დღეზე გაჩენილთ უწინდებურად აღარ აწამებენ და კონსიერჟერიდან,, გრევის მოედნამდე აღარ გადაჰყავთ შეშის ურმის მსგავსი ფორნით, რასაც დღეს მხოლოდ ეშაფოტის გადასატანად ხმარობენ. ამ ახსნაგანმარტების გარეშე ვერ გავიგებდით, თუ რას ნიშნავდა სიტყვა, რაც ერთმა სახელოვანმა სიკვდილმისჯილმა თავის თანამზრახველს სალათის გოდორში,, ასვლისას უთხრა: ახლა ყველაფერი ცხენებზეა დამოკიდებული!,, არსად ისე კომფორტულად არავინ მიდის უკანასკნელი სასჯელის მოსახდელად, როგორც თანამედროვე პარიზში.

ახლა კი სისხამ დილას გამოსული ორი სალათის გოდორი,, ფორსის,, საპყრობილიდან კონსიერჟერიში,, მიემართებოდა მხოლოდ და მხოლოდ ორი ბრალდებულის გადასაყვანად და თითოეული მათგანისთვის თითო სალათის გოდორი,, გამოეყოთ.

მკითხველთა ცხრა მეათედი და უკანასკნელი მეათედის ცხრა მეათედი, ცხადზე უცხადესია, არ იცნობს იმ უდიდეს განსხვავებას, რაც არსებობს ქვემოჩამოთვლილ სიტყვებს შორის: პასუხისგებაში მიცემული, ძიებაში მყოფი, ბრალდებული, პატიმარი, საპატიმრო სახლი. ყველა მათგანს უეჭველად გაუკვირდება, როცა მოვახსენებთ, რომ საქმე ეხება ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობას და შევეცდებით მოკლედ და ნათლად გავაცნოთ ეს საკითხი, რაც წინამდებარე ისტორიის კვანძის გახსნასაც შუქს მოჰფენს. ესეც არ იყოს, როცა მკითხველი შეიტყობს, რომ პირველ გოდორში იჯდა ჟაკ კოლენი, მეორეში კი ლუსიენი,

რომელიც რამდენიმე საათში სოციალური მდგომარეობის მწვერვალებიდან საპატიმროს ჯურღმულში ჩაეშვა, დიდი ცნობისმოყვარეობა აღეძვრება. ორი თანამზრახველის თავდაჭერა მათ ხასიათს შეესაბამებოდა. ლუსიენ დე რუბამპრე ემალებოდა გამვლელთა თვალს, ხარბად რომ უჭვრეტდნენ პირქუშსა და საბედისწერო კარეტას, რომელიც სანაპიროებისკენ მიემართებოდა სენტანტუანისა და მარტრუას ქუჩების მხრიდან და ოტელ დე ვილის,, მოედანი რომ გადაეკვეთა, სენჟანის თაღის ქვეშაც უნდა გაევლო. დღეს ეს თაღი გახლავთ შესასვლელი სენის პრეფექტურაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ვეებერთელა სასახლეშია განთავსებული. უშიშარ კატორღელს კი ფორნის ცხაურზე მიედო ცხვირი და ქუჩას თვალს არ აცილებდა. იჯდა ბოქაულსა და ჟანდარმს შორის, რომლებიც არხეინად მასლაათობდნენ და გული საგულეს ჰქონდათ, იცოდნენ, რომ სალათის გოდრიდან,, ვერავინ დაიძვრენდა თავს.

1830 წლის ბობოქარმა დღეებმა თავისი გრუხუნით ისე გააყრუა ყველა, რომ ვისღა ახსოვდა უშუალოდ მის წინ მომხდარი ამბები. იმავე წლის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში საფრანგეთის ყურადღება მთლად შთანთქა პოლიტიკურმა ინტერესებმა და აღარავის აგონდებოდა, ან თუ აგონდებოდა, მეტად ბუნდოვნად, კერძო პირთა თუნდაც უაღრესად საოცარი იურიდიული თუ ფინანსური კატასტროფები, პარიზელთა ცნობისმოყვარეობის წლიურ საკვებს რომ წარმოადგენს და იმ წლის პირველ ნახევარში თავსაყრელად მიიღეს. სწორედ ამიტომ მოგახსენებთ, დიდი მითქმამოთქმა შეიქნამეთქი, თუმცა ამ ალიაქოთმა დიდხანს არ გასტანა, როცა გახმაურდა კურტიზანის სახლში ესპანელი მღვდლისა და იტალიისკენ მიმავალ გზაზე, პატარა სოფელ გრეზში, მადმუაზელ დე გრანლიეს დანიშნულის, ელეგანტური ლუსიენ დე რუბამპრეს დაპატიმრების ამბავი. ორივეს მკვლელობა ედებოდა ბრალად; ეჭვობდნენ, რომ ეს დანაშაული შვიდი მილიონის მითვისების მიზნით ჩაედინათ. ამ სკანდალმა რამდენიმე დღით შეანელა შარლ X-ის მეფობის ჟამს უკანასკნელად ჩატარებული არჩევნებისადმი მძაფრი ინტერესი.

რაც მთავარია, ეს სისხლის სამართლის პროცესი ნაწილობრივ ბარონმა დე ნიუსინჟენმა აღძრა. ამას ის გარემოებაც ერთვოდა, რომ ლუსიენი პარიზის ყველაზე მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა და სულ მალე პრემიერმინისტრის პირადი მდივნის თანამდებობა უნდა მიეღო. პარიზის ყველა სალონში არა ერთსა და ორ მამაკაცს გაახსენდა, შურით როგორ იბოღმებოდა, როცა ლუსიენს მოწყალე თვალით გადახედავდა ხოლმე კალმით ნახატი ჰერცოგინია დე მონფრინიეზი. არც ქალებს ავიწყდებოდათ, რომ მასზე დიდად ზრუნავდა ქალბატონი დე სერიზი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მეუღლე. ახლა მსხვერპლის სილამაზეს არ იტყვით? პარიზის ყოველნაირ წრეში მის მშვენებას ხმა ჰქონდა გავარდნილი: მაღალ საზოგადოებაში თუ ფინანსისტთა სამყაროში, კურტიზანთა საკრებულოში თუ ლიტერატურის მოღვაწეთა შორის. ასე და ამგვარად, მთელი ორი დღე პარიზს ამ ორი კაცის დაპატიმრების გარდა, სხვა არაფერი ჰქონდა სალაპარაკო. საქმე მიანდვეს სასამართლოს გამომძიებელს, ბატონ კამიუზოს, რომელსაც იმედი მიეცა, არიქა, მეშველა, ახლა კი დავწინაურდებიო. ძიების დასაჩქარებლად ბრძანება გასცა, როგორც კი ლუსიენ დე

რუბამპრე ფონტენბლოდან ჩამოვიდოდა, ორი ბრალდებული ფორსიდან,, კონსიერჟერიში,, გადაეყვანათ. რაკი აბატმა კარლოსმა მხოლოდ თორმეტი საათი გაატარა ფორსში,,, ხოლო ლუსიენმა ნახევარი ღამე, არ ღირს იმ ციხის აღწერა, რომელიც შემდგომ სრულიად გადაკეთდა, რაც შეეხება დაპატიმრებას, იგი კონსიერჟერიში,, განმეორდება.

სანამ სისხლის სამართლის ძიების შემზარავ დრამას მოვყვებოდეთ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აუცილებელია, ამ ყაიდის პროცესის ნორმალური მსვლელობა განვიხილოთ, უმთავრესად იმისთვის, რომ ძიების სხვადასხვა სტადია უფრო გასაგები გახდეს საფრანგეთშიცა და უცხოეთშიც, და იმისთვისაც, რომ იმ პირს, ვინც კანონმდებლობას არ იცნობს, საშუალება მივცეთ, შეაფასოს, რაოდენ გამართულია სისხლის სამართლის კოდექსი იმ სახით, როგორც ნაპოლეონის კანონმდებლებმა ჩამოაყალიბეს. ეს გარემოება კი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც დღეს ამ დიადსა და მშვენიერ ნაშრომს ეგრეთ წოდებული გამასწორებელი სისტემა განადგურებით ემუქრება.

დანაშაული ჩადენილია; თუ დამნაშავეს დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ, მახლობელ საყარაულოში გზავნიან და ამწყვდევენ კარცერში, ხალხმა ვიოლინო,, რომ უწოდა, ალბათ, იმიტომ, რომ იქ პატიმრები მუსიკალურ ნიჭს ამჟღავნებენ: ყვირიან ან ტირიან. მერე დამნაშავე წარუდგება პოლიციის კომისარს, რომელიც დაჰკითხავს და თუ დაადგენს, რომ შეცდომით არის დაპატიმრებული, გაათავისუფლებს კიდეც. ბოლოს დამნაშავეს პრეფექტურის საპატიმროში გადაგზავნიან და სამეფო პროკურორსა და გამომძიებელს გადასცემენ. ამ უკანასკნელთ პოლიცია იმწამსვე ან ცოტა მოგვიანებით გამოიძახებს ხოლმე იმისდა მიხედვით, თუ რა სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი. ისინიც მოდიან წინასწარ პატიმრობაში მყოფთა დასაკითხად. ბრალდების ხასიათისდა მიხედვით, სასამართლოს გამომძიებელი დაპატიმრების სანქციას იძლევა და დამნაშავეს საპატიმროში გზავნიან. პარიზში სამი ამგვარი სახლია: სენტპელაჟი,,, ფორსი,, და მადლონეტი,,.

დაიმახსოვრეთ გამოთქმა პასუხისგებაში მიცემული,,. ჩვენმა კოდექსმა სისხლის სამართლის წარმოების სამი ძირითადი საფეხური შექმნა: პასუხისგებაში მიცემა, წინასწარი ძიება, სასამართლოში გადაცემა. მანამ დაპატიმრების ბრძანება ხელმოწერილი არ არის, ეჭვმიტანილი, კანონის ბოროტად დამრღვევი, პასუხისგებაში მიცემულ პირად ითვლება; დაპატიმრების ბრძანების ხელმოწერის შემდეგ წინასწარ გამოძიებაში მყოფ პირად გადაიქცევა და სანამ გამოძიება მიმდინარეობს, ასე უბრალოდ და მარტივად წინასწარ გამოძიებაში მყოფ პირადვე რჩება. გამოძიების დასასრულს, დადგენილებას გამოიტანენ თუ არა, გამოძიებაში მყოფის საქმე სასამართლოს გადაეცესო და სამეფო სასამართლო, მთავარი პროკურორის დასკვნაზე დაყრდნობით თუ გადაწყვეტს, საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გადასაცემად სათანადო საბუთები არსებობსო, წინასწარ გამოძიებაში მყოფი ბრალდებულად გადაიქცევა. როგორც ხედავთ, ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილი ადამიანის საქმე სამ სხვადასხვა საფეხურს გაივლის, სამ საცერში გაიცხრილება, სანამ ეგრეთ წოდებული სარაიონო სასამართლოს წინაშე წარდგება. პირველ სტადიაში უდანაშაულოს

გამართლებისთვის ათასგვარი საშუალება აქვთ; შეუძლიათ საზოგადოება, გუშაგები და პოლიცია ქომაგად დაიყენონ. მეორე საფეხურზე მათ მოსამართლეს წარუდგენენ, პარიზის ან დეპარტამენტის სასამართლო პალატაში პირში წაუყენებენ მოწმეებს. მესამე საფეხურზე მათ წინ არის თორმეტი მრჩეველი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დადგენილება. სამართლის წარმოების ან შეცდომის დაშვების შემთხვევაში ბრალდებულს შეუძლია სარჩელი აღძრას საკასაციო სასამართლოში. ნაფიც მსაჯულებს ვერც კი წარმოუდგენიათ, ბრალდებულის გამართლებით როგორ ასილაქებენ სახალხო, ადმინისტრაციულ და მართლმსაჯულების მმართველ წრეებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, პარიზში (არაფერს ვამბობთ სხვა უწყებებზე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საბრალდებო სკამზე მეტად იშვიათად ზის უდანაშაულო ადამიანი.

პატიმარი იგივე მსჯავრდადებულია. ჩვენმა სისხლის სამართლის კანონმა შექმნა საპატიმრო სახლები, წინასწარი გამოძიების სახლები, ციხეები და იურიდიულად მათ შორის განსხვავება იგივეა, რა განსხვავებაც არის პასუხისგებაში მიცემულ, გამოძიებაში მყოფსა და სამართალში მიცემულ პირებს შორის. ციხეში ჩასმა მსუბუქი სასჯელია, კანონის უმნიშვნელო დარღვევისთვის პასუხისგება; ხოლო დაპატიმრება მძიმე სასჯელია, ზოგ შემთხვევაში, სამარცხვინოც. ვინც დღეს გამასწორებელ სისტემას იცავს, ძირს უთხრის სისხლის სამართლის მომხიბლავ კოდექსს, რისი წყალობითაც მკვეთრად იყო განსაზღვრული, რა დანაშაულს რა სასჯელი უდგებოდა და ბოლოს იმასაც მიაღწევს, რომ სულ უბრალო შეცოდებისთვის ადამიანი ისევე მკაცრად დაისჯება, როგორც ბოროტმოქმედებისთვის. სხვათა შორის, პოლიტიკური ცხოვრების სცენებში,, (იხილეთ ბნელი საქმე,,) ნაჩვენებია ის უცნაური განსხვავება, რაც არსებობს IV წლის ბრიუმერის სისხლის სამართლის კოდექსსა და მის შემცვლელ ნაპოლეონის კოდექსს შორის.

უმრავლეს შემთხვევაში, დიდი სასამართლო პროცესის დროს, ზემოაღნიშნული პროცესის მსგავსად, პასუხისგებაში მიცემულნი მყისვე სამართალში მიცემულ პირებად გადაიქცევიან. მართლმსაჯულების ზემდგომი ორგანოები დაუყოვნებლივ გასცემენ დაპატიმრების თუ დატუსაღების ორდერს, ვინაიდან ხშირად პასუხისგებაში მიცემულ კაცს თუ მაშინვე არ დააკავებენ, გაქცევით შველის თავს. სწორედ ამიტომ, როგორც უკვე დავინახეთ, პოლიცია (რომელიც მსგავს ვითარებაში მარტოოდენ აღმასრულებელი ორგანოა) და სასამართლოს წარმომადგენელნი ელვისებური სისწრაფით გაჩნდნენ ესთერის სახლში. შურისძიების გრძნობით შეპყრობილ კორანტენს სისხლის სამართლის პოლიცია დაბეზღებით რომც არ გაეხელებინა, ბარონი დე ნიუსინჟენის განცხადებაც კმაროდა, შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკია გატაცებულიო.

როდესაც პირველი კარეტა, სადაც ჟაკ კოლენი იჯდა, სენჟანის თაღის ვიწრო და ბნელ გასასვლელში შევიდა, გზა შეიკრა და მეეტლე იძულებული გახდა, შეჩერებულიყო. ცხაურიდან გამოკრთოდა პატიმრის მუგუზლებივით აელვარებულ თვალთა მზერა, თუმცა სახეზე მკვდრისფერი ედო, რამაც წინადღეს ფორსის,, დირექტორს აფიქრებინა, უეჭველად

ექიმს უნდა გამოვუძახოთო. ამ წუთში მისთვის არავის ეცალა; არც ჟანდარმსა და არც ბოქაულს თავიანთი კლიენტისკენ,, არ გაუხედავთ. ზედამხედველობამოკლებული ნაკვერჩხლებივით მოგიზგიზე თვალები ისე მრავლისმეტყველად იმზირებოდნენ, რომ გამოცდილი სასამართლოს გამომძიებელი, მაგალითად, ბატონი პოპინო, ამ უწმინდურში უმალ შეიცნობდა კატორღელს. მას შემდეგ, რაც სალათის გოდორი,, ფორსის,, კარიბჭეს გასცდა, ჟაკ კოლენი ირგვლივ ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა. თუმცა კარეტა სწრაფად მიდიოდა, მაინც ასწრებდა, ხარბი და ფხიზელი თვალით შეესწავლა ყოველი სახლი ზემო სართულიდან ქვემომდე. არც ერთი გამვლელი არ გამოჰპარვია თვალთახედვიდან და არც ერთი მათგანი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ამ კაცზე უკეთ თვით მამაღმერთიც კი ვერ შეძლებდა ჩასწვდომოდა თავის ქმნილებათა არსს, გაერკვია, რისი უნარი შესწევდათ და რისი არა. გააბითურე სიკვდილი,, თვალის ერთ დახამხამებაში აღიქვამდა მცირეოდენ ცვლილებას საგანთა წყებასა და ადამიანთა ხროვაში. იმედს არ კარგავდა, ვით უკანასკნელი ჰორაციუსი თავის დაშნას და შვებას მოელოდა. ამ კატორღელი მაკიაველის გარდა, ყველა სხვას ეს იმედი სრულიად მიუღწეველ ოცნებად მოეჩვენებოდა, ფარხმალს დაყრიდა და მოვლენათა დინებას ისევე მორჩილად გაჰყვებოდა, როგორც ყველა დამნაშავე. არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოუვიდოდა, წინააღმდეგობა გაეწია იმ პირობებში, რასაც პარიზის მართლმსაჯულება და პოლიცია პასუხისგებაში მიცემულ პირებს უქმნის, განსაკუთრებით კი ლუსიენივითა და ჟაკ კოლენივით კარცერში ჩაყრილ პატიმრებს. წარმოდგენაც კი ძნელია, რაოდენ მოწყვეტილია ტუსაღი გარე სამყაროს და რა უეცრად დაატყდება ხოლმე თავს უბედურება: ჟანდარმები აპატიმრებენ, კომისარი დაჰკითხავს, მცველებს საპატიმროში მიჰყავთ, აგდებენ ჯურღმულში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ვიღაცები მკლავში ხელს უყრიან და სალათის გოდორში,, ასვლაში შველიან. ყველა, ვინც დაპატიმრების წუთიდან გარს ახვევია, უტყვია ან მის სიტყვებს ითვლის, რათა პოლიციას ან გამომძიებელს ჩაუკაკლოს. გარე სამყაროს აგრერიგად უბრალოდ, მაგრამ მთლად გამოთიშულ პატიმარს ყოველგვარი უნარი მძაფრად უქვეითდება, გონება უჩლუნგდება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულებასთან არასოდეს ჰქონია საქმე. დამნაშავესა და გამომძიებელს შორის გამართული დუელი მით უფრო შემზარავია, რომ მართლმსაჯულებას მსახურთა შეუდრეკელი გულგრილობა და კედელთა დუმილი უწევს დახმარებას;

ხოლო ჟაკ კოლენი ან კარლოს ერერა (იძულებული ვართ, შექმნილი ვითარებისდა მიხედვით ხან ერთი სახელი ვუწოდოთ, ხან მეორე) უკვე დიდი ხანია იცნობდა პოლიციის, საპატიმროებისა და მართლმსაჯულების მეთოდებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ცბიერებისა და გარყვნილების ამ ტიტანმა მოუხმო ჭკუაგონებას და სახეც ისეთი მიიღო, რომ უზადოდ გამოეხატა მართალი კაცის გაოგნება და განცვიფრება, თანაც სასამართლოს მოხელეთა წინაშე თავი მომაკვდავად გაესაღებინა. როგორც ვნახეთ, აზიამ, ამ გაქნილმა ლოკუსტამ, საწამლავის ზუსტად ისეთი დოზა მისცა, რაც მძიმე ავადმყოფს დაამსგავსებდა. ბატონმა კამიუზომ და პოლიციის კომისარმა რა არ იღონეს, არც სამეფო სასამართლოს პროკურორმა დააკლო ცდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან მათ წინ აღუდგა კარლოს ერერას სურვილით გამოწვეული ელვისებური დამბლა.

და როცა შემზარავი კრუნჩხვით შეპყრობილი ცრუ მღვდელი კიბეზე ჩამოჰყავდათ, მისი წამებით შეშფოთებულმა კამიუზომ შეჰყვირა:

თავი მოუწამლავს!

ოთხმა აგენტმა დიდი გაჭირვებით ჩამოიყვანა კიბეზე აბატი კარლოსი და შეიყვანა ესთერის ოთახში, სადაც სასამართლოს მოხელეებსა და ჟანდარმებს მოეყარათ თავი.

თუ დამნაშავეა, ამაზე უკეთესს ვერაფერს იზამდა, მიუგო სამეფო სასამართლოს პროკურორმა.
დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მართლა ავადაა? ჰკითხა პოლიციის კომისარმა.

პოლიციას ხომ ყველაფერი ნიადაგ საეჭვოდ მიაჩნია. ეს სამი მოხელე ერთმანეთს, რაღა თქმა უნდა, ჩურჩულით ელაპარაკებოდა, მაგრამ ჟაკ კოლენი მათ გამომეტყველებაზე მიხვდა, რასაც ამბობდნენ ესოდენ საიდუმლოდ. ცდილობდა, შეუძლებელი ან სრულად უსარგებლო გაეხადა წინასწარი დაკითხვა, რისი ჩატარებაც სავალდებულოა დაპატიმრებისას. კარლოს ერერა ალუღლუღდა, ესპანური და ფრანგული ერთმანეთში ისე აურდაურია, რომ კაცი ვერაფერს გაიგებდა.

თავდაპირველად, ფორსში,, მის კომედიას წარმატება ხვდა წილად, მეტადრე იმიტომ, რომ საძიებოს უფროსი (საძიებო პოლიციის ბრიგადის უფროსი) ბიბილუპენი, რომელმაც ოდესღაც ჟაკ კოლენი ქალბატონი ვოკეს პანსიონში დააპატიმრა, რომელიღაც დეპარტამენტში საქმეზე იყო მივლინებული და მას ცვლიდა აგენტი, ვისაც მომავალში ბიბილუპენის თანამდებობა უნდა მიეღო; ხოლო ეს აგენტი კატორღელს არ იცნობდა.

ბიბილუპენი თავადაც ციხეში გახლდათ ნამყოფი, ჟაკ კოლენის კატორღელი თანამოძმე და მოსისხლე მტერი იყო. რაკი ჟაკ კოლენი კატორღაში პირველ კაცად ითვლებოდა და მუშტიკრივსა თუ აყალმაყალში ვერვინ ჯობნიდა, ბიბილუპენს ჭირივით შესძულდა. დაბოლოს, ჟაკ კოლენი მთელი ათი წელიწადი გათავისუფლებული კატორღელების ღმერთი, მათი პარიზელი ბელადი, მრჩეველი, ხაზინადარი და, მაშასადამე, ბიბილუპენის მოწინააღმდეგეც იყო.

ასე და ამგვარად, თუმცა საიდუმლო საკანში იჯდა, ჟაკ კოლენს მაინც იმედი ჰქონდა თავისი მარჯვენა ხელის აზიას მოხერხებისა და უსაზღვრო ერთგულებისა. თავისი მარცხენა ხელის, პაკარის იმედიც არ დაეკარგა. ვარაუდობდა, ჩემი მარჯვე ხელქვეითი მოპარულ შვიდას ორმოცდაათი ათას ფრანკს სადმე გადამალავს და ჩემს გამოხსნას შეეცდებაო. ამიტომაც იყო, რომ გზაში არაადამიანურად დაძაბული ქუჩებს ათვალიერებდა. ჰოი, საოცრებავ! იმედი მართლაც გაუმართლდა.

სენჟანის თაღის ორივე უზარმაზარ, ექვსი ფუტი სიმაღლის სქელ კედელს მილებში ჩამავალი წყლის შხეფებით წარმოშობილი ტალახის მკვრივი და მუდმივი საფარველი ეკრა, რადგან ეკიპაჟები განუწყვეტელ ნაკადად დადიოდნენ აქ და გამვლელებს, როგორც მაშინ ამბობდნენ, ფორნის პანღურის,, თავიდან ასაცილებლად, სხვა გზა არ ჰქონდათ, ბორბლების ტაბიკებისგან უკვე დიდი ხნის წინ გამოფუღუროებული ქვის ტუმბოებისთვის უნდა შეეფარებინათ თავი. ქვისმზიდავის ფორანს აქ არაერთხელ გაუჭყლეტია გონებადაფანტული კაცი. მრავალი წლის განმავლობაში პარიზის არაერთ უბანში ასეთივე სურათს წააწყდებოდით. ეს დეტალი კი თვალწინ წარმოგვიდგენს, რამდენად ვიწრო იყო სენჟანის თაღი და რა ადვილად ჩაიხერგებოდა. გრევის მოედნიდან ერთი ფიაკრიც რომ შემოსულიყო და წლის ყოველი დროის მოვაჭრეს რომ ეძახიან, იმასაც, მარტრუას ქუჩიდან ვაშლებით დატვირთული ურიკა შემოეგორებინა, მესამე ეკიპაჟი უკვე გზას გადაკეტავდა. შეშინებული გამვლელები ტუმბოებისკენ გარბოდნენ, რათა არ წამოსდებოდნენ ტაბიკებს, რომლებიც იმდენად გრძელი იყო, რომ მათ დასამოკლებლად საგანგებო სახელმწიფო კანონი შემოიღეს. როდესაც სალათის გოდორი,, სენჟანის თაღქვეშ შევიდა, გზა უკვე გადაეხერგა წლის ოთხი დროის ერთ მემწვანილე ქალს, რომლის მსგავსნიც მით უფრო საინტერესონი არიან, რომ ჯერ კიდევ მოიძებნებიან პარიზში, თუმცა ხილბოსტნეულის უამრავი დუქანია გახსნილი და მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. დედაკაცი პირწავარდნილი ქუჩის ვაჭარი იყო და პოლიციელი, იმ დროს ეს თანამდებობა რომ არსებულიყო, ხელს არ შეუშლიდა ეთრია თავისი ურიკა და არც ვაჭრობის უფლების მოწმობას მოსთხოვდა, თუმცა ისეთი პირქუში გამომეტყველება ჰქონდა, იტყოდით, ბოროტმოქმედიაო. თავზე კუბოკრული ჩითის ნაგლეჯი ეხვია, საიდანაც გაბურძგნილი, ტახის ჯაგარივით გაფშეკილი თმა მოუჩანდა. წითელი კისერი ამაზრზენად დანაოჭებოდა, ხილაბანდიც კი ვერ უფარავდა მტვრისა და ტალახისგან დაშაშრულ, მზით გარუჯულ კანს. ხალიჩასავით აჭრელებული დაკონკილი კაბა ეცვა. ფეხსაცმელებს კი პირი დაეფჩინათ და ისე იღმიჭებოდნენ, თითქოს კაბასავით დაჯღანულ პატრონის სიფათს დასცინიანო. მერედა, რა საკერებელი მიეტყეპებინა ღიპზე!.. სიბინძურით ეტლის საბურველის საკერებელსაც კი არ ჩამოუვარდებოდა. ეს მოძრავი და აყროლებული კონკიაჟღარუნა, ალბათ, უკვე ათ ნაბიჯზე გულს აურევდა აზიზ ადამიანს. ახლა მის ნაჯაფ ხელებს არ იტყვით! ეს ქალი ან კუდიანთა გერმანული შაბაშიდან მოდიოდა, ან მათხოვართა თავშესაფრიდან! ახლა რა თვალები ჰქონდა, რა გამოხედვა! რაოდენი გაბედულება, გონიერება და სიმკვირცხლე აუკიაფდა, როცა მის თვალთა მაგნიტური შუქი ჟაკ კოლენის მზერას შეეფეთა და ფარული აზრი გაუმჟღავნა.

აბა, ჩამოგვეცალე გზიდან, მატლების ბუდევ! დაუცაცხანა ხრინწიანი ხმით მეეტლემ.
რაო, გაჭყლეტას ხომ არ მიპირებ, გილიოტინის მოციქულო?! გამოეპასუხა დედაკაცი, შენი ტვირთი ჩემს საქონელზე იაფად ფასობს.

ქალი ცდილობდა, ორ ტუმბოს შორის გამძვრალიყო და გზა გაეთავისუფლებინა, მანამდე კი მოასწრო მოძრაობის იმდენი ხნით შეჩერება, რამდენიც თავისი განზრახვის შესასრულებლად ესაჭიროებოდა.

ოჰო, აზია! ჩაილაპარაკა ჟაკ კოლენმა, რომელმაც მყისვე იცნო თანამზრახველი, ახლა აღარაფერი მიჭირს.
მეეტლე და აზია ისევ საალერსო სიტყვებით ამკობდნენ ერთმანეთს, ხოლო მარტრუას ქუჩაზე ეკიპაჟების ზედახორა იქმნებოდა.

ᲰᲔ!.. ±ᲔᲪᲔᲘᲠᲔ ᲤᲔᲠᲛᲔᲢᲘ, ᲨᲝᲣᲜᲘ ᲫᲝᲔ! ᲕᲔᲓᲠᲔᲛ!

შესძახა ბებრუცანა აზიამ ქუჩის მოხეტიალე მემწვანილეებისათვის დამახასიათებელი ილინოური კილოთი. ეს ქალები იმდენად ოსტატურად უქცევენ, ისე ამახინჯებენ სიტყვებს, რომ მათი აბდაუბდა ნათქვამი პარიზელების მეტს არავის ესმის.

ქუჩის აურზაურსა და თავმოყრილი მეეტლეების ყიჟინში არავინ მიაქცია ყურადღება ამ ველურ შეძახილს, რაც ვაჭარი ქალის კილოკავს მიაგავდა. მაგრამ ჟაკ კოლენს გარკვევით ჩაესმა ყურში დამტვრეული იტალიურისა და პროვანსალურის ნარევი, მის ამფსონთა,, მიერ შეთხზულ ენაზე წარმოთქმული შემაძრწუნებელი ფრაზა:

შენი საბრალო ბიჭუნა დააპატიმრეს, მაგრამ მე აქა ვარ და თქვენზე ვზრუნავ. მალე მნახავ... სწორედ იმ წუთს, როცა უსაზღვრო სიხარულით აევსო გული, რაკი იმედი აღეძრა, გარე სამყაროს დავუკავშირდები და მართლმსაჯულებასაც დავამარცხებო, ისეთი მეხი დაეცა, რაც სულს გააფრთხობინებდა ყველა ადამიანს, მაგრამ ჟაკ კოლენს ვერაფერს დააკლებდა.

ლუსიენი დაუპატიმრებიათ!,, ჩაილაპარაკა და კინაღამ გული შეუღონდა. სიკვდილი მისჯილი რომ ჰქონოდა და შეწყალებაზე უარი მიეღო, ამაზე მეტად არ აღელდებოდა.

ახლა, როცა ორივე სალათის გოდორი,, სანაპიროზე მიგორავს, ამბის სიცხადისთვის უთუოდ საჭიროა ორიოდე სიტყვა კონსიერჟერიზეც,, მოგახსენოთ, სანამ გოდრები აქამდე მოაღწევდეს. კონსიერჟერი,, ისტორიული სახელია, შემზარავი სიტყვა, უფრო მეტად შემზარავი სინამდვილე; ის საფრანგეთის რევოლუციებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით კი პარიზის რევოლუციებთან. რა ჯურის ბოროტმოქმედი არ უხილავს მის კედლებს. თუმცა პარიზის ძეგლებიდან ყველაზე საყურადღებოა, ყველაზე ნაკლებად ცნობილიც არის საზოგადოების მაღალ წრეებში. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად საინტერესოა ეს ისტორიული წიაღსვლა, იმაზე მეტ დროს არ მოვანდომებთ, ვიდრე სალათის გოდრებს,, სჭირდებათ ციხეში მისასვლელად.

განა შეიძლება პარიზელმა ან პარიზში ორიოდე დღით ჩამოსულმა უცხოელმა, ან პროვინციელმა არ შენიშნოს შავი გალავანი და შიგ ჩატანებული სამი ვეებერთელა მრგვალი

საყარაულო კოშკი, რომელთაგან ორი თითქმის მიტყუპებულა ერთმანეთთან? თვით გალავანი პირქუში და იდუმალებით მოცული სამკაულია ლუნეტის სანაპიროსი, რომელიც შანჟის ხიდიდან იწყება და პონნეფამდე აღწევს. გალავანში ერთი ოთხკუთხა კოშკიცაა, ორლოჟის კოშკი, საიდანაც მისცეს ნიშანი სისხლიანი წმინდა ბართლომეს ღამის დასაწყებად. ორლოჟის კოშკი, მართლმსაჯულების სასახლის ეს შუქურა, სენჟაკდელაბუშრის კოშკივით მაღალია და სანაპიროზე კუთხეს ქმნის. ოთხი კოშკი და გალავანი თითქოს შავი სუდარითაა მოსილი, რაც ესოდენ დამახასიათებელია პარიზის ჩრდილოეთისკენ პირშებრუნებული ყველა სახლის ფასადისთვის. სანაპიროს შუაგულში, უკაცრიელ თაღთან, საცხოვრებელი სახლები იწყება, ანრი IVის მეფობის ჟამს პონნეფის აგების შემდეგ რომ გაშენდა. რუაიალის მოედანი მთლად დოფინის მოედანს დაემსგავსა, იგივე არქიტექტურული სისტემა, იგივე ნათალი ქვის ჩარჩოში ჩასმული აგურის კედლები. თაღი და არლეს ქუჩა მართლმსაჯულების სასახლეს დასავლეთით ესაზღვრება. უწინ პოლიციის პრეფექტურა, სასამართლოს პირველი თავმჯდომარეების ადგილსამყოფელი, მართლმსაჯულების სასახლეში იყო განთავსებული. სახაზინო პალატა და უმაღლეს გამოსაღებთა სასამართლო თითქოსდა ავსებდა უზენაეს მართლმსაჯულებას, მართლმსაჯულებას მონარქისას. როგორც ვხედავთ, რევოლუციამდე მართლმსაჯულების სასახლე ყველასგან განცალკევებული იყო და მის აღდგენას ცდილობენ ამჟამადაც.

ეს კვადრატი, შენობებისა და ძეგლების კუნძული, სადაც სენტშაპელი, წმინდა ლუის საგანძურის უძვირფასესი თვალმარგალიტი მდებარეობს, პარიზის მოსალოცი ადგილია, საკურთხეველი, ბიბლიური კიდობანი. ესეც არ იყოს, თავდაპირველად ამ სივრცეზე მთელი ქალაქი იყო გაშენებული, ვინაიდან დოფინის მოედანი სამეფო მამულში შემავალი მწვანედ აბიბინებული ჭალა იყო, სადაც ზარაფხანა იდგა. ამ ზარაფხანის სახელი დაერქვა ქუჩასაც, პონნეფისკენ რომ მივყავართ. სამ მრგვალ კოშკთაგან ერთერთს ფულის კოშკი,, ჰქვია, რაც ადასტურებს იმას, რომ პირველად, ალბათ, აქ ჭრიდნენ ფულს. ცნობილი ზარაფხანა, რომელიც პარიზის ძველ გეგმაზეა აღნიშნული, ჩანს, მომდევნო ხანას მიეკუთვნება, მანამდე კი ფულს, სავარაუდოდ, თვით მართლმსაჯულების სასახლეში ჭრიდნენ. ზარაფხანების დაარსება კი ფულის მოჭრის ხელოვნების გაუმჯობესების მანიშნებელია. არჟანის კოშკთან,, მიტყუპებულ კოშკს მონტგომერის კოშკი,, ჰქვია. მესამეს, ყველაზე პატარას, მაგრამ ყველაზე უკეთესად შენახულს, ქონგურებიც შემორჩენია და ბონბეკის კოშკი,, ეწოდება. სენტშაპელი და მისი ოთხი კოშკი (ორლოჟის კოშკის,, ჩათვლით) მეროვინგთა ეპოქიდან ვალუათა წინაპრებამდე მართლმსაჯულების სასახლეს, მის პერიმეტრს, როგორც იტყოდა კადასტრის მოხელე, თითქოს გალავნად შემორტყმია. ჩვენთვის კი, მისი მრავალი გარდაქმნის შედეგად, სასახლე უმეტესად წმინდა ლუის ეპოქას განასახიერებს.

პირველად შარლ V მ გადასცა სასახლე სასამართლო პალატას, ახალშექმნილ მართლმსაჯულების ინსტიტუტს, და თვითონ ბასტილიის ციხესიმაგრეს შეაფარა თავი; საცხოვრებლად აირჩია სახელგანთქმული სენპოლის სასახლე, რომელსაც მოგვიანებით ტურნელის სასახლე მიადგეს. მერე, უკანასკნელ ვალუათა ბატონობის ჟამს, სამეფო კარმა

ბასტილიიდან ლუვრში, თავის პირველ ციხესიმაგრეში გადაინაცვლა. საფრანგეთის მეფეთა პირველი საცხოვრებელი, წმინდა ლუის სასახლე, რომელსაც მოკლედ სასახლეს,, უწოდებდნენ საკუთრივ სასახლის,, მისანიშნებლად, მართლმსაჯულების სასახლემ ერთიანად დაფარა და მის სარდაფებად გადაიქცა, რადგან სენტშაპელის ტაძრის მსგავსად ზუსტად სენის დონეზე იყო აგებული და ისე მკვიდრად იყო ნაგები, რომ წყალდიდობის დროსაც კი მისი კიბის პირველ საფეხურს სენის ტალღები ძლივს აღწევდა. ორლოჟის სანაპიროს ქვემოთ, თითქმის ოც ფუტზე, ეს ათასსაუკუნოვანი ნაგებობანია ჩამარხული. ეკიპაჟები გზას მიჰყვებიან იმ დონეზე, რომელზედაც სამი კოშკის ვეებერთელასვეტებიანი კაპიტელებია აღმართული. მათი სიმაღლე ოდესღაც სასახლის ელეგანტურობას უთუოდ ჰარმონიულად ეხამებოდა და მდინარეში თვალწარმტაცად ირეკლებოდა, რადგან დღესაც ეს კოშკები სიმაღლით პარიზის ყველაზე მაღალ ძეგლებს ეტოლებიან. როცა პანთეონის გუმბათის კოშკურიდან ამ ლაღად გაშლილ დედაქალაქს გადმოჰყურებ, სასახლე,, სენტშაპელთან ერთად ამდენ მონუმენტს შორის ყველაზე მონუმენტური ჩანს. ჩვენი მეფეთა სასახლე, რომლის თავზეც მიაბიჯებთ დაკარგული ნაბიჯების,, უზარმაზარ დარბაზში გავლისას, ხუროთმოძღვრების სასწაული გახლდათ და პოეტის დაკვირვებული თვალისთვის დღესაც ასეთივე სასწაულია. პოეტი მოდის აქ და კონსიერჟერის,, ათვალიერებს, რათა სასახლე,, შეისწავლოს. ვაგლახ! კონსიერჟერიმ,, შთანთქა მეფეთა სასახლე. გულზე ბოღმა გაწვება, როცა ხედავ, ბნელით მოცული, უჰაერო ჯურღმულები, საკნები, დერეფნები, ოთახები, კაბინეტები როგორ გამოუთხრიათ შესანიშნავ კომპოზიციაში, სადაც ბიზანტიური, რომანული, გოტიკური სტილი ძველი ხელოვნების ეს სამი სახე XII საუკუნის არქიტექტურას შერწყმია. სასახლე,, საფრანგეთის ისტორიული ძეგლია და ადრინდელ ხანას ისევე მიეკუთვნება, როგორც ბლოას ციხედარბაზია გვიანდელი ეპოქის ისტორიული მონუმენტი. როგორც ბლოას ეზოში (იხილეთ ნარკვევები ეკატერინე მედიჩიზე,, ფილოსოფიურ ეტიუდებში,,) დატკბებით გრაფ დე ბლოათი, ლუი XIIის, ფრანსუა Iისა და გასტონის ციხედარბაზებით, კონსიერჟერის,, მიდამოებშიც წააწყდებით საფრანგეთის პირველ მეფეთა სასახლეების ნაშთებს, ხოლო სენტშაპელში წმინდა ლუის დროინდელი ხუროთმოძღვრების კვალს. მუნიციპალური საბჭოს წევრებო, მილიონებს თუ იმისთვის ხარჯავთ, რომ შეინარჩუნოთ პარიზის აკვანი, აკვანი საფრანგეთის მეფეთა, და პარიზს მიუძღვნათ საფრანგეთის საკადრისი უზენაესი სასამართლოს სასახლე, არქიტექტორებს ერთი ან ორი პოეტი მიაშველეთ! საკითხის შესწავლას ჯერ რამდენიმე წელი დაუთმეთ და საქმეს ისე შეუდექით. ლაროკეტის მსგავსად ერთიორი ციხე თუ აშენდება, წმინდა ლუის სასახლე გადაგვირჩება. დღეს უამრავი წყლული გასჩენია ამ ვეებერთელა ძეგლს, რომელიც მართლმსაჯულების სასახლისა და სანაპიროს ქვეშ ისევეა დასამარებული, როგორც რომელიღაც წარღვნამდე ცხოველია მონმარტრის თაბაშირის ქანებში ჩამარხული. ყველაზე დიდი წყლული კონსიერჟერი,, გახლავთ და ამაზე თვით სახელწოდება მეტყველებს. მონარქიის პირველ წლებში დიდგვაროვანი ბოროტმოქმედები, დიდი თუ მცირე ლენების მფლობელნი, მეფესთან მიჰყავდათ და მერე კონსიერჟერიში,, ათავსებდნენ, რამეთუ

ვილლაინ

ები (ხაზი უნდა გავუსვათ ამ დამწერლობას, რაც სიტყვას პირვანდელ მნიშვნელობას უნარჩუნებს) და ბურჟუები სამოქალაქო თუ სენიორალურ სამართალს ექვემდებარებოდნენ. რაკი მაღალი რანგის დამნაშავეებს არცთუ ხშირად აპატიმრებდნენ, მეფის მართლმსაჯულებისთვის კონსიერჟერი,, სრულიად საკმარისი იყო. ძნელია, პირველი კონსიერჟერის ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ წმინდა ლუის სამზარეულოები ჯერჯერობით შემონახულია და ქმნის იმას, რასაც დღეს სათაგურს,, უწოდებენ; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირვანდელი სახით კონსიერჟერი,, იქ იყო, სადაც 1825 წლამდე სასამართლო პალატის კონსიერჟერი,, არსებობდა, მეფის სასახლის ეზოსკენ ამავალი გარეთა კიბის მარჯვნივ, თაღის ქვეშ. 1825 წლამდე სწორედ აქედან გამოჰყავდათ დასასჯელად მსჯავრდადებულნი. აქედან გამოჰყავდათ ყველა დიდი ბოროტმოქმედი, პოლიტიკის ყველა მსხვერპლი. აქედანვე გამოიყვანეს მარშალ დჟანჯრის მეუღლეცა და საფრანგეთის დედოფალიც, სამბლანსე და მალზერბი, დამიენი და დანტონი, დერიუ და კასტენი. ფუკიეტენვილის კაბინეტს, რაც დღევანდელი მეფის პროკურორის კაბინეტია, ისეთი მდებარეობა ჰქონდა, რომ სახალხო ბრალმდებელს შეეძლო, დაენახა, როგორ მიჰყავდათ ფორნებით ადამიანები, რომელთაც რევოლუციურმა ტრიბუნალმა სულ ცოტა ხნის წინ განაჩენი გამოუტანა. ეს დაშნად გადაქცეული კაცი თავის მსხვერპლს უკანასკნელად შეავლებდა ხოლმე თვალს.

1825 წლის შემდეგ, ბატონ დე პეირონეს მინისტრობის ჟამს, სასახლეში,, ბევრი რამ შეიცვალა: კონსიერჟერის,, ძველი ჯიხური, სადაც პატიმარს რეგისტრაციაში ატარებდნენ და ციხის ტანსაცმელს აძლევდნენ, გააუქმეს და გადაიტანეს ორლოჟისა და მონტგომერის კოშკებს შორის, თაღს იქით, შიდა ეზოში და დღესაც იქ მდებარეობს. მარცხნივ სათაგურია,,, მარჯვნივ კარიბჭე. სალათის გოდორი,, ოღროჩოღრო ეზოში შედის; შეუძლია აქ შეჩერდეს, თავისუფლად მიტრიალმოტრიალდეს, ხოლო აჯანყების დროს თაღის მსხვილი მესრით დაცული არხეინად იდგეს. უწინ კი გარეთა დიდი კიბისა და სასახლის,, მარჯვენა ფრთას შორის ისეთი ვიწრო გასასვლელი იყო, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა და სალათის გოდორს,, გასაქანი არ ჰქონდა. ამჟამად კონსიერჟერი,, პატიმრებს ვეღარ იტევს. სამასი ადგილია საჭირო კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც, ვეღარც ძიებაში მყოფ პირებს და ვერც დატუსაღებულებს ვეღარ უღებს კარს. ჟაკ კოლენისა და ლუსიენის მსგავსად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით თუ მიიღებენ. კონსიერჟერიში,, მოყვანილი ყოველი ტუსაღი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარუდგება უთუოდ. მაგისტრატურა აქ გზავნის მაღალი საზოგადოებიდან გამოსულ დამნაშავეებს, რომლებიც ისედაც საკმაოდ ლაფდასხმულნი არიან და ზომაზე მეტად დაისჯებიან, თუ მელენის ან პუასის საპატიმროებში გამოკეტავენ. უვრარმა კონსიერჟერიში,, არჩია სასჯელის მოხდა, ვიდრე სენტპელაჟიში. დღეს ნოტარიუსი ლეონი და თავადი დე ბერგი კონსიერჟერიში,, სხედან, რაც კანონის საწინააღმდეგო, მაგრამ მეტად ადამიანურ ლმობიერებაზე მეტყველებს.

ჩვეულებრივ, წინასწარ გამოძიებაში მყოფ პირებს ჭკუის სასწავლებლად,, (სასახლის ჟარგონით) თუ გამასწორებელ პოლიციაში საყურყუტოდ სალათის გოდრიდან,, პირდაპირ სათაგურში,, ყრიან. სათაგური,, კარიბჭის პირდაპირ არის და წმინდა ლუის სამზარეულოში განთავსებული რამდენიმე საკნისგან შედგება. აქ გამოძიებაში მყოფნი სასამართლოს სხდომის დაწყებას ან გამომძიებლის გამოსვლას ელოდებიან. სათაგურს,, ჩრდილოეთით სანაპირო ესაზღვრება, აღმოსავლეთით მუნიციპალური გვარდიის საყარაულო, დასავლეთით კონსიერჟერის,, ეზო, ხოლო სამხრეთით ვეებერთელა დარბაზი, რომელსაც ჯერჯერობით არავითარი დანიშნულება არა აქვს. სათაგურის,, ზემოთ შიდა საყარაულოა გადაჭიმული და მისი სარკმლიდან კონსიერჟერის,, ეზო მოჩანს. საყარაულო დეპარტამენტის ჟანდარმერიას უჭირავს. აქვე თავდება კიბე. როდესაც სასამართლოს სხდომის დაწყების ნიშნად ზარი დარეკავს, ბოქაულები გამოძიებაში მყოფთა გამოსაძახებლად მიეშურებიან. ჟანდარმთა რიცხვი პატიმართა რიცხვს შეეფარდება; თითოეული ჟანდარმი თითო გამოძიებაში მყოფ პირს გვერდში ამოუდგება და მკლავში ხელს ჩაჰკიდებს. ასე დაწყვილებულნი გაჰყვებიან კიბეს, გაივლიან საყარაულოს და კულუარებით მიაღწევენ ოთახს, რომელიც იმ დარბაზის გვერდითაა, სადაც სასამართლოს სახელგანთქმული მეექვსე პალატის სხდომები იმართება. გამასწორებელი პოლიციის საქმეთა მოსმენაც ამავე პალატას ეკისრება. ასევე მიემართებიან ბრალდებულნი კონსიერჟერიდან,, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომდე და ამავე გზით ბრუნდებიან უკან.

დაკარგულ ნაბიჯთა,, დარბაზში პირველი ინსტანციის სასამართლოს პირველი და მეექვსე პალატების კიბის ბაქნებს შორის გაივლით თუ არა, მაშინვე თვალში გეცემათ ერთი უკარო, ყოველგვარ არქიტექტურულ სამკაულს მოკლებული გასასვლელი, ამაზრზენი კვადრატული ღრუ. აქედან მოსამართლენი, ადვოკატები და სხვა მოხელენი კულუარებსა და საყარაულოში გადიან, სათაგურსა,, და კონსიერჟერის,, ჯიხურში ჩადიან. სასახლის ამ ნაწილში გამომძიებელთა კაბინეტები სხვადასხვა სართულზეა. იქ შემზარავი კიბეებით ადიან, გაივლიან ლაბირინთებს, სადაც კაცს თავგზა აებნევა, თუ მართლმსაჯულების სასახლეს არ იცნობს. გამომძიებელთა კაბინეტების ერთი ნაწილი სანაპიროს გადაჰყურებს, მეორე ნაწილი კონსიერჟერის,, ეზოს. 1830 წელს ზოგიერთი გამომძიებლის კაბინეტის ფანჯარა ბარილერის ქუჩაზეც გადიოდა.

ასე და ამგვარად, კონსიერჟერის,, ეზოში სალათის გოდორი,, თუ მარცხნივ გაუხვევს, პატიმარს სათაგურთან,, მიიყვანს, თუ მარჯვნივ კონსიერჟერისთან,,. სწორედ მარჯვნივ შეუხვია სალათის გოდორმა,,, რომელშიაც ჟაკ კოლენი იჯდა. იგი კარიბჭესთან უნდა გადმოესვათ. კარიბჭე მეტად შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. დამნაშავის თუ ვინმე სტუმრის წინ აღიმართება ერთმანეთისგან დაახლოებით ექვსი ფუტით დაშორებული, ნაწრთობი რკინის გისოსებიანი ორი კარი, ხან ერთი იხსნება, ხან მეორე. კარიბჭეს მკაცრად იცავენ.

საშვით აღჭურვილმა პირმა საბუთი გისოსებიდან უნდა გადააწოდოს გუშაგს და გასაღები მერე დაიჭრიალებს ბოქლომში. თვით გამომძიებელნი და სასამართლოს მოხელენიც კი ისე ვერ გაივლიან კარიბჭეში, თუ პირადად არ იცნობენ გუშაგს. აბა, ერთი კრინტი დასძარით და იკითხეთ, შესაძლებელია თუ არა პატიმართან ურთიერთობის დამყარება ანდა მისი გახარება? კონსიერჟერის,, დირექტორს ისეთი ღიმილი აუთამაშდება, რომ თვით ყველაზე გამბედავ რომანისტსაც კი, ვისაც გადაუწყვეტია სინამდვილე ყალბად წარმოადგინოს, ფარხმალს დააყრევინებს. კონსიერჟერის,, მატიანეში მარტოოდენ ლავალეტის გაქცევაა მოხსენიებული. მაგრამ დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ამ საქმეში უზენაესი ძალაუფლებით მოსილი პირის ხელი ერია და ეს თუ არ ამცირებს ლავალეტის ცოლის თავდადების სიდიადეს, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც გვაფიქრებინებს, რომ პატიმარს მარცხისა აგრერიგად არ უნდა შინებოდა. თვით ისინიც კი, ვისაც სასწაულების სჯერათ, თუ შეამოწმებენ, გასაქცევად რამხელა წინააღმდეგობის დაძლევაა საჭირო, უთუოდ დაადასტურებენ, დღეს, ისევე როგორც უწინ, ეს დაბრკოლებანი გადაულახავიაო. სიტყვას არ ძალუძს გადმოსცეს, რაოდენ სქელია კონსიერჟერის,, კედლები და თაღები; საკუთარი თვალით უნდა იხილო და დარწმუნდე. სანაპიროს დონესთან შედარებით მოკირწყლული ეზო დაბლაა, მაგრამ კარიბჭის იქით მაინც მოგიწევთ კიბის რამდენიმე საფეხურის ჩავლა, რათა თაღებიან, უზარმაზარ დარბაზში მოხვდეთ, რომლის თვალწარმტაცი სვეტებით შემკული კედლები ერთი მხრიდან მონტგომერის კოშკს, კონსიერჟერის,, დირექტორის ბინის ნაწილს ემიჯნება, მეორე მხრივ არჟანის კოშკს. ამ ფლიგელში იძინებენ ზედამხედველები, მცველები თუ მედილეგეები, რაც გენებოთ, ის უწოდეთ. მსახური არცთუ ისე ბევრია, როგორც ჰგონიათ (სულ ოცი ჰყავთ); მათი საძინებელი და მოწყობილობა ე. წ. პისტოლისგან არ განსხვავდება. ეს მეტსახელი საკნებისთვის უთუოდ იმიტომ შეურქმევიათ, რომ ოდესღაც თითოეული კვირაში თითო პისტოლად ფასობდა. პისტოლი,, თითქმის ცარიელი საკანია და იმ ცივ მანსარდას ჰგავს, პარიზში პირველად ჩამოსული ღარიბღატაკი გენიოსი რომ შეაფარებს ხოლმე თავს. ვეებერთელა დარბაზის მარცხნივ, შემინულ ტიხარს იქით, კონსიერჟერის,, კანცელარიაა, დირექტორისა და მისი მდივნისთვის განკუთვნილი ბიურო. აქ, ციხის დავთარში, გამოძიებაში მყოფის, ბრალდებულის სახელსა და გვარს, მის გარეგნულ ნიშნებს იწერენ, პატიმარს ჩხრეკენ და მისი დაბინავების საკითხსაც წყვეტენ, რაც უმთავრესად კლიენტის ქისაზეა დამოკიდებული. დარბაზის გისოსებით გამაგრებული კარიდან მისაღები ოთახის შემინული კარი მოჩანს. მისაღებ ოთახში ნათესავები და ადვოკატები ბრალდებულს ხისრიკულებიანი სარკმლიდან ელაპარაკებიან. სინათლე შიდა ეზოდან შემოდის. ეზო პატიმრების სასეირნო ადგილია. განსაზღვრულ საათებში ისინი გარეთ გაჰყავთ სუფთა ჰაერზე ფეხის გასაშლელად.

ეზოსკენ მიქცეული დიდი დარბაზის ერთადერთი ფართო ფანჯარა მთლიანად გადაუტიხრავთ კანცელარიისთვის, ხოლო კარში ჩატანებული ორი პატარა სარკმლიდან შუქი ოდნავ შემოდის და ირგვლივ ყოველივე ისეა ბნელით მოცული და ისეთი ატმოსფერო სუფევს, რაც ადამიანს წინასწარ, აქ შემოსვლამდე წარმოედგინა. ამ გარემოცვას უფრო მეტად პირქუშსა და შემაძრწუნებელს ხდის არჟანისა და მონტგომერის კოშკების პარალელურად,

მოსაცდელი დარბაზის ირგვლივ აღმართული, წყვდიადითა და იდუმალებით მოსილი თაღებიანი აკლდამები, რომლებიც დედოფლის, მადამ ელისაბედისა და ეგრეთ წოდებული საიდუმლო საკნებისკენ,, მიმავალი დერეფნების გასწვრივ არის ჩამორიგებული. თლილი ქვით მოპირკეთებული ლაბირინთი, ოდესღაც მეფეთა დიდებული ზეიმების მოწმე, მართლმსაჯულების სასახლის ჯურღმულებად გადაქცეულა. 1825დან 1832 წლამდე დიდ დარბაზში, ვეებერთელა ბუხარსა და ორი ცხაურიდან პირველს შუა, სიკვდილმისჯილის ჩაცმის რიტუალი სრულდებოდა. ახლაც კი შეუძლებელია ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროს, როცა გაივლი ფილებზე, რომლებზეც უთვალავი სასომიხდილი ადამიანის აღსარება და თვალთა უკანასკნელი სხივი აღბეჭდილა.

შემზარავი ეტლიდან ორმა ჟანდარმმა მომაკვდავი ძლივძლივობით გადმოასვენა. მკლავებში გაუყარეს ხელი, მხრებში შეუდგნენ და კანცელარიაში გულშეღონებული შეიყვანეს. ასე რომ მიათრევდნენ, სულთმობრძავს ჯვრიდან ჩამოხსნილი მაცხოვარივით თვალები ცისკენ აღეპყრო. რაღა თქმა უნდა, არც ერთ სურათზე იესო ქრისტეს სახე არ გამოსახავს იმ სიმძიმილსა და სულთმობრძავის ტანჯვას, რაც ცრუ ესპანელს გამოხატოდა. გეგონებოდათ, საცაა სული აღმოხდებაო. როდესაც კანცელარიაში დასვეს, მიმკვდარებული ხმით გაიმეორა სიტყვები, ყველას რომ ეუბნებოდა დაპატიმრების შემდეგ:

მოვითხოვ, მიმართოთ მის ბრწყინვალება ესპანეთის ელჩს...

ეგ ბატონ გამომძიებელს მოახსენეთ, მიუგო დირექტორმა.

ოჰ, მაცხოვარო! ამოიგმინა კოლენმა, ნუთუ არ შეიძლება მომცეთ ლოცვანი?.. ნუთუ ექიმის გამოძახებაზე ისევ უარს მეტყვით?.. ორი საათის სიცოცხლეღა დამრჩენია.

კარლოს ერერა საიდუმლო საკანში უნდა ჩაესვათ და აბა, რაღა საჭირო იყო, ეკითხათ, ხომ არ ინებებდა პისტოლის,, უპირატესობით სარგებლობას, ესე იგი, უფლებით, ეცხოვრა ერთერთ იმ ოთახში, სადაც მართლმსაჯულების მიერ ნებადართული ცოტაოდენი კომფორტი იყო შექმნილი. ამგვარი საკნები ეზოს ბოლოშია, ეზოზე კი მოგვიანებით მოგახსენებთ. ბოქაულმა და მწერალმა დაპატიმრების ფორმალობა გულგრილად შეასრულეს.

ბატონო დირექტორო, მიმართა ჟაკ კოლენმა დამტვრეული ფრანგულით, ხომ ხედავთ, სიკვდილის პირას ვარ. თუ შეგიძლიათ, მოახსენეთ ბატონ გამომძიებელს, ახლავე მოახსენეთ, რომ მოწყალებასავით მოვითხოვ იმას, რისაც დამნაშავეს ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს; წარმადგინონ მის წინაშე როგორც კი მობრძანდება, ვინაიდან აუტანლად ვიტანჯები და შევხვდები თუ არა, ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღება

ყველა დამნაშავე გაუგებრობაზე ლაპარაკობს! წადით კატორღაში, დაელაპარაკეთ ბრალდებულებს და შეიტყობთ, თურმე ყველანი მართლმსაჯულების მსხვერპლნი არიან. ამიტომაც ამ სიტყვებზე ყველას გულში ეცინება, ვინც გამოძიებაში მყოფებთან, ბრალდებულებსა და მსჯავრდადებულებთან არის დაკავშირებული.

გადავცემ თქვენს თხოვნას გამომძიებელს, უთხრა დირექტორმა.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ბატონო! მიუგო ესპანელმა და თვალები ცისკენ აღაპყრო.

რეგისტრაციაში გაატარეს თუ არა, კარლოს ერერას მუნიციპალური გვარდიის ორი ჯარისკაცი მხარში ამოუდგა და იმ ზედამხედველის თანხლებით, ვისაც დირექტორმა მიუთითა, რომელ საიდუმლო საკანში ჩაესვათ ძიებაში მყოფი, წაიყვანეს კონსიერჟერის,, მიწისქვეშა ლაბირინთით ერთ, გარე სამყაროსგან მოწყვეტილ ოთახში, რომელიც, რაც უნდა ივიშვიშონ ფილანთროპებმა, ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელი გახლდათ.

როდესაც პატიმარი თვალს მიეფარა, ზედამხედველმა, დირექტორმა, მდივანმა, ჟანდარმებმა, თვით ბოქაულმაც, ერთმანეთს გადახედეს, თითქოს შეეკითხნენ, ამაზე რას ფიქრობთო და ყველა მათგანს სახეზე ყოყმანი აღებეჭდა. მეორე პატიმრის დანახვაზე კი მაყურებლებს გარეგნული გულგრილობით შენიღბული ჩვეული უნდობლობა აღეძრათ. რაღაც უცნაური თუ არ მოხდა, კონსიერჟერის,, მსახურნი ცნობისმოყვარეობას მაინცდამაინც არ ამჟღავნებდნენ; მათთვის დამნაშავე იგივეა, რაც დალაქისთვის კლიენტი. ამიტომაც ყოველგვარი ფორმალობა, რასაც გარეშე პირი შემზარავად წარმოიდგენს, აქ უფრო უბრალოდ და ხშირად თავაზიანადაც ტარდება, ვიდრე ბანკირთან ფულის ოპერაციები. ლუსიენს მწუხარებით განადგურებული დამნაშავის სახე ჰქონდა. ყველას უსიტყვოდ ემორჩილებოდა, უაზროდ მიჰყვებოდა სხვის ნებას. ფონტენბლოს შემდეგ პოეტს თავისი მიზნების კრახი ნიადაგ თვალწინ ედგა და თავს ეუბნებოდა, განკითხვის საათმა დაჰკრაო. არაფერი იცოდა, თუ რა მოხდა ესთერის სახლში, მხოლოდ ის, რომ გამოქცეული კატორღელის ახლო მეგობრად ითვლებოდა. შექმნილი ვითარება სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ფერწასულსა და გაოგნებულ ლუსიენს ეგრძნო, სიკვდილზე მეტი უბედურება მომელისო. და თუკი თავში რაიმე აზრი გაუელვებდა, ეს იყო თვითმკვლელობაზე ფიქრი. სურდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, თავიდან აეცილებინა შერცხვენა, რისი წარმოდგენაც მაჯლაჯუნასავით აწვებოდა და სულს უხუთავდა.

ამ ორიდან ჟაკ კოლენი უფრო მეტად საშიშ პატიმრად ითვლებოდა და მთლად თლილი ქვისგან ნაგებ საკანში ჩასვეს, სადაც სინათლე სასახლის შიგნით მდებარე ერთერთ პატარა ეზოდან შემოდიოდა, რომელიც პატიმარი ქალების სასეირნოდ იყო განკუთვნილი. ჟაკ კოლენის საკანი სასახლის იმ ფრთაშივე იყო, სადაც გენერალურ პროკურორს ჰქონდა კაბინეტი. აქეთვე გამოატარეს ლუსიენი, მაგრამ გამომძიებლის მკაცრი ბრძანების თანახმად, დირექტორმა ყურადღება გამოიჩინა და პისტოლების,, მომიჯნავე საკანში ჩასვა.

საერთოდ, იმ ადამიანებს, ვისაც მართლმსაჯულებასთან საქმე არასოდეს ჰქონიათ, მეტად მუქი ფერებით წარმოუდგენიათ პატიმრის ცალკე საკანში ჩაჯდომა. სისხლის სამართლის სასამართლოს ვერ იქნა და ვეღარ მოაცილეს დახავსებული აზრი უწინდელ წამებაზე, ციხის არაჯანსაღ გარემოზე, ქვის ცივ კედლებზე, ნესტი რომ ცრემლებად იღვრება ზედ. აღარც ზედამხედველების უხეშ მოპყრობას ივიწყებენ და არც გულისამრევ საჭმელს. ყოველივე ეს დრამის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, მოგახსენოთ, რომ ეს გადაჭარბებულად მძიმე პირობები მარტოოდენ თეატრის სცენაზე არსებობს და ღიმილს ჰგვრის მოსამართლეებს, ადვოკატებს და იმათ, ვისაც ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ან იქაური ყოფის შესასწავლად საპატიმრო დაუთვალიერებიათ. დიდი ხნის განმავლობაში ციხე მართლაც შემზარავი იყო. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ძველი რეჟიმის დროს, ლუი XIIIისა და ლუი XIVის ეპოქაში, ბრალდებულებს როგორც მოხვდებოდათ, ისე ყრიდნენ ანტრესოლის მსგავს შენობაში, ძველი კარიბჭის ზემოთ. ციხეები 1789 წლის რევოლუციის ერთერთ დანაშაულს წარმოადგენდა. საკმარისია შეხედოთ დედოფლისა და მადამ ელისაბედის საკნებს, რომ სამართლის წარმოების ძველმა წესებმა თავზარი დაგცეთ. ხოლო დღეს ფილანთროპიამ საზოგადოებას თუ განუზომელი ბოროტება მიაყენა, ცალკეულ პირებს ცოტაოდენი სიკეთეც მოუტანა. ჩვენ ვემადლიერებით ნაპოლეონს სისხლის სამართლის კოდექსის დაფუძნების გამო, ეს კოდექსი უფრო იქნება მისი ესოდენ ხანმოკლე მეფობის უდიდესი ძეგლი, ვიდრე სამოქალაქო კოდექსი, რომლის ზოგიერთი პუნქტი შესწორებას მოითხოვს. ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ტანჯვის მთელი უფსკრული ამოავსო. ამიტომაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მართლმსაჯულების მსხვერპლად გადაქცეულ მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა შემაძრწუნებელ მორალურ ტანჯვას, შეგვიძლია მტკიცედ განვაცხადოთ, რომ მართლმსაჯულება დამნაშავეს უაღრესად ლმობიერად ექცევა, რაც დაუჯერებლად მიაჩნიათ. გამოძიებაში მყოფსა და ბრალდებულს, რაღა თქმა უნდა, ისე ვერ დააბინავებენ, როგორც საკუთარ სახლში, მაგრამ პარიზის ციხე აუცილებელს ყველაფერს აძლევს. ესეც არ იყოს, პატიმარი ისეთი მძიმე განცდებითაა შეპყრობილი, რომ ყოფით წვრილმანებს მისთვის მნიშვნელობა აღარა აქვს. ციხეში ადამიანი ფიზიკურად არასოდეს იტანჯება. გონება კი ისე აქვს დამაბული, რომ, თუნდაც რაიმე გასაჭირი შეხვდეს, უხეშადაც მოეპყრან, ადვილად გადაიტანს. ისიც უნდა დავძინოთ, რომ უდანაშაულო კაცს, განსაკუთრებით პარიზში, დაუყოვნებლივ ათავისუფლებენ.

ამგვარად, როცა ლუსიენი საკანში შევიდა, დაინახა, რომ მისი სადგომი ძალიან ჰგავდა კლუნის,, სასტუმროს ნომერს, სადაც პარიზში პირველად დაბინავდა. საწოლი, სწორედ ისეთი, ლათინური უბნის ღარიბულ სასტუმროებში რომ იდგა, ჩალის სკამები, ერთი მაგიდა და რამდენიმე საჭირო ნივთი შეადგენდა ერთერთი იმ ოთახის ავეჯს, სადაც ხშირად სვამენ ორ პატიმარს, თუკი მათ მშვიდი ზნე გამოამჟღავნეს და არც საშიში დანაშაული აქვთ ჩადენილი გაკოტრდნენ ან ყალბი საბუთების შედგენაში მიუძღვით ბრალი. ცხოვრების გზაზე გადადგმული უბიწოებით აღსავსე პირველი ნაბიჯებისა და გათახსირების სამარცხვინო დასასრულის ურთიერთმსგავსება ისე უცბად აღიქვა მისი

პოეტური შთაგონების უკანასკნელმა გაელვებამ, რომ უბედურს ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსცვივდა. ოთხი საათი ტიროდა; გარეგნულად ქვის ქანდაკებასავით უგრძნობელი, უსაზღვროდ იტანჯებოდა გაცრუებული იმედის, შელახული თავმოყვარეობის, გათელილი სიამაყის გამო, მიწასთან გასწორებულიყო მთელი მისი მე,,, ეს პატივმოყვარე პარიზელი, იღბლიანი საყვარელი, დენდი, ბედის ნებიერი, პოეტი. ყველაფერი ხელიდან გამოეცალა და თვითონაც ძირს დაენარცხა, ვით იკაროსი.

კარლოს ერერა კი, მარტო დარჩა თუ არა, საკანში ისე აწრიალდა, როგორც ზოოლოგიური ბაღის გალიაში ჩამწყვდეული თეთრი დათვი. საგულდაგულოდ შეათვალიერა კარი და დარწმუნდა, რომ საჭვრეტის გარდა, სხვა ნაჩვრეტი არა ჰქონდა. კედლებზე ხელი მოუსვა, საკვამლეში შეიხედა და მკრთალ შუქს მოჰკრა თვალი. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: სამშვიდობოს ვარ!,, და ერთ ისეთ კუთხეში ჩამოჯდა, სადაც კარში ჩატანებული ცხაურიანი სარკმლიდან ზედამხედველის თვალი ვერ მისწვდებოდა. ამის შემდეგ პარიკი მოიხადა და შიგნით მიწებებული ქაღალდი მოხერხებულად, უცბად ააძრო. ქაღალდის თავისკენ მიქცეული მხარე ისე გაქონილიყო, გეგონებოდათ, პარიკის ტყავიაო. ბიბილუპენს აზრად რომ მოსვლოდა პარიკის მოგლეჯა იმის დასამტკიცებლად, ესპანელი იგივე ჟაკ კოლენიაო, ქაღალდს ვერ შეამჩნევდა, ისიც დალაქის ნახელავს ემგვანებოდა. ქაღალდის მეორე მხარე საკმაოდ თეთრი და სუფთა იყო. შეიძლებოდა მასზე რამდენიმე სტრიქონის დაწერა. პარიკისაგან ქაღალდის მოცილება იოლი როდი იყო, დიდ გულისყურსა და სიფრთხილეს მოითხოვდა და ორ საათში ვერ მოასწრებდა, მაგრამ ქაღალდის აძრობა უკვე ფორსში,, დაიწყო და გუშინ ნახევარი დღე მოანდომა. გამოძიებაში მყოფმა ეს ძვირფასი ქაღალდი ოთხი თუ ხუთი სტრიქონის სიგანეზე გადაკეცა და მრავალ ნაჭრად დაანაწილა. მერე ამ საწყობში,, ქაღალდის მარაგი ისევ ჩააწყო, ქაღალდზე წასმული წებო ნერწყვით დაასველა და პარიკს მიაკრა. ახლა თმაში ჩამალული ქინძისთავივით წვრილი გრაფიტი გამოიღო; ამგვარი გრაფიტის დამზადება ცოტა ხნის წინათ სიუსმა შემოიღო. გრაფიტს იმოდენა ნაჭერი მოატეხა, რომ წერა შესძლებოდა და ყურში დამალვაც მოეხერხებინა. ეს ისე სწრაფად და მარჯვედ გააკეთა, როგორც მაიმუნებივით სხარტ, ძველ კატორღელებს სჩვევიათ. ჟაკ კოლენი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ფიქრს მისცა თავი. არჩევდა, რა მითითებანი მიეცა აზიასთვის. იმდენად სჯეროდა მისი გამჭრიახობისა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ უთუოდ შეხვდებოდა.

წინასწარ დაკითხვაზე, ფიქრობდა იგი, ესპანელად გავასაღე თავი. ფრანგულს ძლივს ვამტვრევდი და მოვითხოვდი, ესპანეთის ელჩს შეატყობინეთ და დიპლომატის ხელშეუხებლობის უფლება ნუ გავიწყდებათმეთქი. არ მესმოდა, რას მეუბნებოდნენ, ყოველივე ამას დაუმატეთ ავადმყოფი კაცის სისუსტე, ხრიალი, კვნესა, ერთი სიტყვით, მთელი ვაიუშველებელი, მომაკვდავს რომ შეეფერება. საბუთებიც წესრიგში მაქვს. მე და აზიას ბატონი კამიუზოს გადაყლაპვა არ გაგვიჭირდება, არცთუ დიდი ძალის პატრონია. მაშ, ვიზრუნოთ ლუსიენზე, გამხნევება სჭირდება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ხმა უნდა მივაწვდინოთ, მოქმედების გეგმა გავაცნოთ, თორემ თავს გასცემს, არც მე დამინდობს და

ყველაფერს დაღუპავს! დაკითხვამდე უნდა გამოვუტენოთ თავი. ესეც არ იყოს, მოწმეებიც მჭირდება; დამიდასტურებენ, რომ მე სასულიერო პირი ვარ!,,

ასეთი გახლდათ მორალური და ფიზიკური მდგომარეობა გამომძიებაში მყოფი ორი ადამიანისა, რომელთა ბედი ახლა სენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გამომძიებელ ბატონ კამიუზოზე იყო დამოკიდებული. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გამომძიებელს საქმის ძიებისთვის ეძლევა, ბატონი კამიუზო მცირე წვრილმანებშიაც კი ამ ორი კაცის უზენაესი მსაჯული გახლდათ. მხოლოდ და მხოლოდ მისი განკარგულებით შეუშვებდნენ პატიმრებთან მოძღვარს, კონსიერჟერის,, ექიმს ან სხვა ვინმეს.

არავითარ ადამიანურ ძალას, არც მეფეს, არც იუსტიციის მინისტრს, არც პრემიერმინისტრს, ნება არა აქვს, სასამართლოს გამომძიებლის უფლება შელახოს. ვერვინ შეზღუდავს, ვერვინ შეაკავებს. იგი უმაღლესი მბრძანებელია და უფლებამოსილია მარტოოდენ საკუთარ სინდისსა და კანონს ექვემდებარებოდეს. ამჟამად ფილოსოფოსნი, ფილანთროპები და პუბლიცისტები განუწყვეტლივ იღვწიან შეასუსტონ ყოველგვარი სოციალური ძალაუფლება, ჩვენი კანონმდებლობით გამომძიებლისათვის მინიჭებულ უფლებაზედაც იერიში მიაქვთ და არც ტყუიან, რაკი კანონი მართლაც მეტისმეტად მკაცრი გახლავთ. ასეა თუ ისე, ყველა ჭკუადამჯდარი კაცი ხომ უნდა ცდილობდეს, ეს უფლება ხელშეუხებელი დარჩეს.

მხოლოდ ზოგ შემთხვევაში მოვთხოვოთ ლმობიერება და თავდებობას მეტი გასაქანი მივცეთ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უხერხემლობისა და უგუნურების წყალობით საზოგადოების მდგომარეობა ისედაც საკმაოდ შერყეული გახლავთ (უზენაესი და უმაღლესი სასამართლო მინდობილი უნდა ჰქონდეს საპატიო, რჩეულ პირებს) და დაღუპვა მოელის, თუ წააქცევენ ბოძს, რომელზედაც მთელი ჩვენი სისხლის სამართლის წარმოებაა დაყრდნობილი. წინასწარი პატიმრობა მართლმსაჯულების ერთერთი შემზარავი გამოვლინებაა, რომლის სოციალური საფრთხე თვით ამავე უფლების სიდიადით არის გაწონასწორებული. ესეც არ იყოს, სასამართლოსადმი უნდობლობის გამოჩენა სოციალური რღვევის მაუწყებელია. მოსპეთ სამართლის წარმოების ინსტიტუტი, სხვა საფუძველზე დააფუძნეთ, მოითხოვეთ, როგორც რევოლუციამდე იყო, სამართლის მსახურებისგან უდიდესი გარანტია, მაგრამ ნდობა გამოუცხადეთ, ნუ შეურაცხყოფთ და საზოგადოებას ნუ მიამსგავსებთ! დღეს მოსამართლეს, ყველა სხვა ჩინოვნიკივით, ხელფასი ეძლევა; უმეტეს შემთხვევაში, ღარიბია და თუ უწინ ღირსეულად ეჭირა თავი, ახლა ამპარტავნობა დაუწყია, რაც მის სამსახურებრივ დონეზე მყოფ ყველა ადამიანს შეუწყნარებლად მიაჩნია, ვინაიდან ამპარტავნობა ისეთი თვისებაა, რასაც საყრდენი წერტილი არ გააჩნია. სწორედ ესაა თანამედროვე სამართლის ინსტიტუტის მანკი. საფრანგეთი ათ საუწყებოდ რომ იყოს დაყოფილი და სამართლის მსახურნი დიდი ავლადიდების პატრონნი იყვნენ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მათი ზნეობრივი დონის ამაღლება. ახლა კი ოცდაექვსი საუწყებო გვაქვს და ეს მიზანი მეტად ძნელად მისაღწევია. სასამართლოს გამომძიებელს მხოლოდ

ერთი კეთილი საქმის ჩადენა ძალუძს, საკუთარი ძალაუფლებით ისარგებლოს და საპატიმრო სახლის რეპუტაცია აღადგინოს. წინასწარმა დაპატიმრებამ პიროვნების ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ უნდა მოახდინოს. პარიზში ისეთი საპატიმრო სახლი უნდა აშენდეს და ისე მოეწყოს, რომ საზოგადოებას ძირფესვიანად შეეცვალოს აზრი წინასწარ ძიებაში მყოფთა მდგომარეობაზე. კანონი კეთილისმყოფელი და აუცილებელია, მაგრამ მეტად უხეიროდ სრულდება და მასზე სწორედ შესრულებისდა მიხედვით მსჯელობენ. საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრი ბრალს სდებს გამოძიებაში მყოფს და, პირიქით, ბრალდებულს ამართლებს სრულიად აუხსნელი მიზეზით. რა ვიცით, ეს იქნებ ფრანგი ადამიანის მეამბოხე გონების ბრალია. პარიზელი საზოგადოების აზრთა ცვალებადობა ერთერთი ხელშემწყობი მიზეზი გახლავთ ამ დრამის საბედისწერო დასასრულისა და, როგორც შემდგომ დავინახავთ, გადამწყვეტი მიზეზიც. სასამართლოს გამომძიებლის კაბინეტში გათამაშებული შემზარავი სცენების საიდუმლოს რომ ჩავწვდეთ, კარგად გავიცნოთ ორი მებრძოლი პარტიის: გამოძიებაში მყოფისა და მართლმსაჯულების პოზიცია, როცა მეორეს, ანუ მოსამართლეს, რომლისთვისაც ციხის ჟარგონით ასე მოსწრებულად შეურქმევიათ ცნობისმოყვარე,,, მიზნად დაუსახავს პირველის საიდუმლო ამოიცნოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცალკე საკანში გამომწყვდეულმა გამოძიებაში მყოფმა არ იცის, რას ამბობენ მასზე შვიდ თუ რვა წრეში, რაც საზოგადოებას ქმნის, არც ის იცის, რა ცნობები აქვს პოლიციას, სასამართლოს, არც ის ორიოდე სიტყვა წაუკითხავს, მისი დანაშაულის შესახებ რომ წერენ გაზეთები. ამიტომაც გამოძიებაში მყოფს რამე რომ შეატყობინო, როგორც აზიამ გააგებინა ჟაკ კოლენს ლუსიენის დაპატიმრების ამბავი, იგივეა, წყალში მოფართხალე კაცს თოკი გადაუგდო. მალე დავინახავთ, ამის გამო როგორ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში გამომძიებელს, რომლის მახეშიც გაებმებოდა და დაიღუპებოდა კიდეც კატორღელი, აზიას მისთვის ხმა რომ არ მიეწვდინა. როცა ყველაფერს შუქი მოეფინება, თვით ყველაზე ნაკლებად მგრძნობიარე ადამიანებსაც კი თავზარი დაეცემათ, რამეთუ დარწმუნდებიან, რაოდენ ძლიერია ზემოქმედება სამი შიშის მომგვრელი ძალისა: სიმარტოვის, სიჩუმისა და სინდისის ქენჯნის.

ბატონი კამიუზო, მეფის კაბინეტის ერთერთი კარის მცველის სიძე, ყველასთვის ცნობილი პიროვნებაა და საჭირო არ არის, აღვნიშნოთ, რა ადგილი ეკავა საზოგადოებაში და რა მდგომარეობა ჰქონდა შექმნილი. ამწუთას მასაც კარლოს ერერასავით თავგზა ჰქონდა აბნეული, რაკი ამ საქმის გამოძიება დაევალა. სულ ცოტა ხანში პარიზის სასამართლოს გამომძიებლად დანიშნეს, რაც მართლმსაჯულების მსახურთა თვალში მეტად სახარბიელო ადგილი გახლდათ. ბატონი კამიუზო ასეთ წინსვლას სახელგანთქმულ ჰერცოგინია დე მონფრინიეზის მფარველობას უმადლოდა. ამ ქალბატონის ქმრის, დოფინის აღმზრდელისა და სამეფო გვარდიის ერთერთი კავალერიის პოლკის პოლკოვნიკისადმი მეფე ისევე მოწყალე ბრძანდებოდა, როგორც დედოფალი მისი ცოლისადმი. ბატონმა კამიუზომ სულ უბრალო სამსახური გაუწია ქალბატონ დე მონფრინიეზს, მაგრამ მისთვის ეს დიდად მნიშვნელოვანი საქმე იყო. ახალგაზრდა გრაფ დჟეგრინიონს ერთი ალანსონელი ბანკირი ყალბი საბუთების წარდგენის გამო სასამართლოში უჩიოდა (იხილეთ პროვინციის

ცხოვრების სცენები,,, სიძველეთა მუზეუმი,,). ამგვარად, პროვინციის უბრალო მსაჯული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნეს და მერე სასამართლოს მთავარ გამომძიებლად გადმოიყვანეს პარიზში. აგერ წელიწადნახევარია სამეფოს უმნიშვნელოვანეს სასამართლოს ედგა სათავეში და ასევე ჰერცოგინია დე მონფრინიეზის შუამდგომლობით შეეძლო არანაკლებ გავლენიანი დიდი ქალბატონის, მარკიზ დჟესპარის მეუღლის მოწყალებაც დაემსახურებინა. მაგრამ აქ კი ფეხი დაუცდა (იხილეთ მეურვეობის დაწესება,,). როგორც ამ სცენის დასაწყისში მოგახსენეთ, ქალბატონ დჟესპარს გადაეწყვიტა, ქმრისთვის მეურვეობა დაეწესებინა, ხოლო შურისძიების მოსურნე ლუსიენმა გენერალურ პროკურორსა და გრაფ დე სერიზის თვალი აუხილა. ეს ორი დიდებული მარკიზ დჟესპარის მეგობრებს მხარში ამოუდგა და მარკიზი დჟესპარი გულმოწყალედ რომ არ მოქცეოდა ცოლს, ამ უკანასკნელს პასუხისგებაში მისცემდნენ. ქალბატონმა დჟესპარმა გაიგო თუ არა, ლუსიენი დააპატიმრესო, მეორე დღესვე თავისი მაზლი, შევალიე დჟესპარი, ქალბატონ კამიუზოსთან გაგზავნა. ქალბატონი კამიუზო დაუყოვნებლივ ეახლა დიდ ქალბატონ დჟესპარს. შინ რომ დაბრუნდა, სადილობამდე ქმარი საძინებელში გაიყვანა და ჩურჩულით უთხრა: თუ შეძლებ, თავქარიანი ბიჭი ლუსიენ დე რუბამპრე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გაგზავნო და საქმე მის საწინააღმდეგოდ წარმართო, სამეფო კარის მრჩეველი გახდები.

მერედა, როგორ?

ქალბატონი დჟესპარი სულ იმას ოცნებობს, ამ საწყალი ბიჭის თავი მოკვეთილი ნახოს. ტანში ჟრუანტელი მივლიდა, ისეთი სიძულვილით ლაპარაკობდა ეს ლამაზი ქალი.

ნუ გაერევი სასამართლოს საქმეებში, ურჩია ცოლს კამიუზომ.

რაო, მე ვერევი? შეესიტყვა ქალი, ვისაც უნდა მოესმინა ჩვენი საუბარი, ვერ მიხვდებოდა, რაზე ვლაპარაკობდით, მარკიზის მეუღლე და მე ისე მომხიბლავად ვეთითლიბაზებოდით ერთმანეთს, როგორც ახლა შენ პირფერობ ჩემთან. ვითომდაც მადლობას მიხდიდა შენი კეთილი სამსახურისთვის. რა ვუყოთ, თუ საქმე მაინცდამაინც კეთილად არ დაგვირგვინდა, მაინც მადლობელი ვარ შენი ქმრისო, მითხრა და ისიც დასძინა, სამართლის მსახურთ კანონი მძიმე ტვირთს აკისრებსო.

მერე მოჰყვა, რა საშინელებაა კაცის ეშაფოტზე გაგზავნა, მაგრამ ასეთი კაცის დასჯა დიდად სამართლიანი იქნებაო... სინანულს გამოთქვამდა, ჩემი კუზინის, ქალბატონი დიუ შატლეს მიერ პარიზში ჩამოყვანილი ესოდენ მშვენიერი ჭაბუკი მოლიპულ გზაზე დაეშვაო. მეუბნებოდა აი, ასე ხრწნიან კორალისთანა და ესთერისთანა ზნედაცემული გოგოები ყმაწვილკაცებს, რომელთაც სინდისი უკვე იმდენად აქვთ შებღალული, რომ უარს არ ამბობენ შავბნელი გზებით მოპოვებული სიმდიდრის მათთან ერთად განაწილებაზეო. ამას მოაყოლა მაღალფარდოვანი ქადაგება მოწყალებაზე, სარწმუნოებაზე! ქალბატონ დიუ შატლეს მისთვის

მოუხსენებია, ლუსიენი ათას სიკვდილს იმსახურებს, რადგან კინაღამ მოკლა თავისი და და დედაო... მერე თქვა, სამეფო სასამართლოში ვაკანტური ადგილიაო, ის ხომ იუსტიციის მინისტრს იცნობს. თქვენს მეუღლეს, ქალბატონო, თავის გამოსაჩენად შესანიშნავი შემთხვევა ეძლევაო, მომაძახა გამომშვიდობებისას. ხომ კარგად გაიგონე?!

განა თავის გამოსაჩენად ის არ კმარა, ყოველდღე პირნათლად რომ ვასრულებ ჩემს მოვალეობას?

შორს წახვალ, თუკი ყველგან, თვით ცოლთანაც კი, არ დაივიწყებ შენს თანამდებობას, უთხრა ქალბატონმა კამიუზომ, იცი, რა, აქამდე სულელი მეგონე, დღეს კი აღტაცებული ვარ შენით...

მაგისტრატს ტუჩებზე ისეთი ღიმილი აუთამაშდა, რომელიც მხოლოდ მის კოლეგებს ახასიათებს; მოცეკვავე ქალებიც ხომ ერთნაირად იღიმებიან.

ქალბატონო, როცა შინ არ ბრძანდებოდით, ქალბატონი ჰერცოგინია დე მონფრინიეზის უფროსი მოახლე გეახლათ და თავისი პატრონის სახელით გთხოვათ, ყველაფერი მიატოვეთ და დე კადინიანთა სასახლეში დაუყოვნებლივ გვეწვიეთო.
სადილი მოგვიანებით მოგვართვან, უბრძანა გამომძიებლის მეუღლემ და ახლა გაახსენდა, რომ ფიაკრი, რითაც შინ მოვიდა, ქვემოთ ელოდებოდა, რადგან მეეტლისთვის ფული არ გადაეხადა.

ხელახლა დაიხურა ქუდი, ფიაკრში ჩაჯდა და ოც წუთში დე კადინიანთა სასახლეში ამოყო თავი. ქალბატონი კამიუზო მცირე შესასვლელიდან შეუშვეს ქალბატონის საძინებლის გვერდით მდებარე ბუდუარში. ათი წუთის შემდეგ ბრწყინვალედ მორთულმოკაზმული ჰერცოგინია დე მონფრინიეზიც გამობრძანდა. სამეფო კარის მიწვევით სენკლუში წასასვლელად გამზადებულიყო.

ჩემო საყვარელო, ჩვენ ხომ ორიოდ სიტყვით ვუგებთ ერთმანეთს.
რა თქმა უნდა, ჰერცოგინია.

ლუსიენ დე რუბამპრე დაუპატიმრებიათ. მისი საქმე თქვენი მეუღლის ხელშია. დარწმუნებული ვარ, საბრალო ბავშვი უცოდველია, ოცდაოთხ საათში უნდა გაათავისუფლონ! მაგრამ ეს ყველაფერი როდი გახლავთ. ერთ ვინმეს სურს ხვალ ციხეში ლუსიენს საიდუმლოდ შეხვდეს. თქვენს მეუღლეს შეუძლია, თუ ინებებს, პაემანს დაესწროს, ოღონდ ნუ გამოჩნდება... გაწეულ სამსახურს არ დავივიწყებ, თქვენ ეს კარგად იცით. მეფე მოელის, რომ სულ მოკლე ხანში მეტად სერიოზული დაბრკოლებანი გადაეღობება წინ და თავისი მართლმსაჯულების მსახურთა სიმამაცის დიდი იმედი აქვს. მე წინ წავწევ თქვენს ქმარს, წარვადგენ როგორც მეფის ერთგულ კაცს, რომელიც თავს გასწირავს მეფისთვის. ჩვენი

კამიუზო ჯერ მრჩეველი გახდება, მერე სასამართლოს პირველი თავმჯდომარე. რა მნიშვნელობა აქვს, სად?.. მშვიდობით... მელოდებიან. ხომ მაპატიებთ, არა? თქვენგან დიდად დავალებული იქნება გენერალური პროკურორი, რომელსაც არ შეუძლია ამ საქმეში აშკარად გარევა, თან სიცოცხლეს დაუბრუნებთ მომაკვდავ ქალს, ქალბატონ დე სერიზის. როგორც ხედავთ, მფარველობა არ მოგაკლდებათ... ხომ გესმით, როგორ გენდობიან, არც მჭირდება გაგაფრთხილოთ, თქვენ თვითონ იცით! თქვა ქალმა, ტუჩებზე თითი მიიდო და მიიმალა.

რა უნდა მექნა, ხომ ვერ ვეტყოდი, მარკიზ დჟესპარის მეუღლეს ნებავს, ლუსიენი ეშაფოტზე დაინახოსმეთქი,,, ფიქრობდა მაგისტრატის ცოლი, როცა ფიაკრში ჯდებოდა.

ისე აღელვებული დაბრუნდა შინ, რომ გამომძიებელმა ჰკითხა:

ამელი, რა დაგემართა?

ორ ცეცხლშუა ვართ...

ჰერცოგინიასთან შეხვედრის ამბავი ჩურჩულით მოუყვა ქმარს, ისე ეშინოდა, მოახლე კართან არ იდგეს და არ გვისმენდესო.

რომელი უფრო გავლენიანია? ჰკითხა ბოლოს ქალმა, მარკიზის მეუღლემ კინაღამ შარში გაგვხვია თავისი სულელური საქმით, ქმრისთვის მეურვეობის დაწესება რომ მოინდომა. ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა კი სიკეთით აგვავსო... ერთმა ბუნდოვანი დაპირებები მომცა, ხოლო მეორემ პირდაპირ მითხრა: თქვენს ქმარს ჯერ მრჩევლად გადავიყვანთ, მერე კი თავმჯდომარედაც გავხდითო! ღმერთმა დამიფაროს, რჩევას ვერ მოგცემ. მართლმსაჯულების საქმეებთან რა ხელი მაქვს, მაგრამ განა ვალდებული არა ვარ, დაწვრილებით ჩაგიკაკლო, რასაც მეფის კარზე ამბობენ და რასაც ამზადებენ?

შენ ხომ არ იცი, ამელი, პოლიციის პრეფექტმა რა მაცნობა ამ დილით და ვისი პირით? მთავარი სამეფო პოლიციის ყველაზე მნიშვნელოვანი მუშაკი მომიგზავნა; ეს კაცი ნამდვილი ბიბილუპენია პოლიტიკის სფეროში. მითხრა, ამ პროცესით მთავრობაა ფარულად დაინტერესებულიო. კმარა, ახლა ვისადილოთ და ვარიეტეში,, წავიდეთ... ამაზე ლაპარაკი ამაღამ განვაგრძოთ, მყუდროდ, კაბინეტში. შენი ჭკუაც დამჭირდება, რა ვიცით, იქნებ მაგისტრატის ჭკუა საკმარისი არ გამოდგეს...

მსგავს ვითარებაში სამართლის მსახურთა ცხრა მეათედი უარყოფს ცოლის გავლენას ქმარზე და თუ ზემოაღწერილი შემთხვევა გამონაკლისია და ერთერთ იშვიათ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მაინც შეეფერება სინამდვილეს, თუმცა ხშირად არ გვხვდება. მართლმსაჯულების მუშაკი მოძღვარს მიედარება, განსაკუთრებით პარიზში, სადაც მაგისტრატურის ელიტაა თავმოყრილი. სამართლის მსახური მართლმსაჯულებაზე

იშვიათად ლაპარაკობს და თუ რამეს იტყვის, მხოლოდ მაშინ, როცა განაჩენი გამოტანილია. მათი ცოლები ტყუილად როდი აკანტურებენ თავს, აქაოდა, არაფერი ვიცითო, ყველა მათგანი პასუხისმგებლობის გრძნობითაა განმსჭვალული, იცის, რაოდენ ზიანს მიაყენებს ქმარს, თუ გაგებული აქვს რაიმე საიდუმლო და გამოამჟღავნებს. ესეც არ იყოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, როცა ქმრის დაწინაურება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზეა დამოკიდებული, მრავალი ცოლი, ამელივით, საკითხს ქმართან ერთად განიხილავს. ერთი სიტყვით, ასეთი გამონაკლისი, რისი უარყოფაც მით უფრო იოლია, რომ საიდუმლოებითაა მოცული, ერთიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ ოჯახის წიაღში ორი სხვადასხვა ხასიათის შეტაკებისას ვინ იმარჯვებს. მოცემულ შემთხვევაში ქალბატონი კამიუზო თავისი მეორე ნახევრის სრული ბატონპატრონი გახლდათ. როდესაც სახლში ყველამ დაიძინა, მაგისტრატი და მისი მეუღლე მიუსხდნენ საწერ მაგიდას, რომელზედაც სასამართლოს მსახურმა წინასწარ გაამზადა ამ საქმესთან დაკავშირებული საბუთები.

აი, ცნობები, რომელიც პოლიციის პრეფექტმა გადმომცა, ოღონდ ნუ დაივიწყებ, ჩემი თხოვნის შედეგად, უთხრა კამიუზომ.

აბატი კარლოს ერერა

ეს პიროვნება უეჭველად ჟაკ კოლენია, მეტსახელად გააბითურე სიკვდილს,, რომ უწოდებენ. უკანასკნელად 1819 წელს დააპატიმრეს, ქალბატონი ვოკეს ბინაში. ამ ქალს ნევსენტჟენევიევის ქუჩაზე ოჯახური პანსიონი ჰქონდა გახსნილი. ჟაკ კოლენი აქ ვოტრენის გვარით ცხოვრობდა,,.

ქაღალდის არშიაზე პოლიციის პრეფექტს მიეწერა:

ბრძანება ტელეგრაფით გადაეცა საიდუმლო პოლიციის უფროს ბიბილუპენს, რათა დაუყოვნებლივ დაბრუნდეს და დახმარება გაგვიწიოს; პირისპირ წარუდგეს მისთვის ნაცნობ ჟაკ კოლენს, რომელიც მან მადმუაზელ მიშონოს დახმარებით 1819 წელს დააპატიმრა.

ვოკეს პანსიონში მობინადრე მდგმურები ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და შეიძლება გამოვიძახოთ ჟაკ კოლენის პიროვნების დასადგენად.

ეგრეთ წოდებული კარლოს ერერა უახლოესი მეგობარი და მრჩეველია ბატონი ლუსიენ დე რუბამპრესი, რომელსაც სამი წლის განმავლობაში უდიდესი თანხა მისცა. ფული უთუოდ ქურდობითაა ნაშოვნი.

თუ დადგინდება, რომ ცრუ ესპანელი და ჟაკ კოლენი ერთი და იგივე პირია, მასთან მეგობრობა ბატონ ლუსიენ დე რუბამპრეს სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაეთვლება.

აგენტ პერადის სიკვდილი მოწამვლითაა გამოწვეული. საწამლავი მას მისცა ჟაკ კოლენმა, რუბამპრემ, ანდა მათმა დამქაშებმა. მკვლელობის მიზეზად იმას დავასახელებთ, რომ აგენტი დიდი ხანია ამ ორი გაქნილი ბოროტმოქმედის კვალს მიჰყვებოდა,,.

მაგისტრატმა პოლიციის პრეფექტის მიერ ქაღალდის არშიაზე მიწერილ შენიშვნაზე მიუთითა:

პირადად ცნობილია ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, რომ ბატონმა ლუსიენ დე რუბამპრემ უღირსი ოინი მოუწყო მის აღმატებულება გრაფ დე სერიზისა და ბატონ გენერალურ პროკურორს,,.

აბა, რას მეტყვი, ამელი?
საშინელებაა! მიუგო მაგისტრატს მეუღლემ, განაგრძე, ბარემ დაამთავრე!

კატორღელი კოლენის ესპანელ მღვდლად გადაქცევა უთუოდ რაღაც ბოროტმოქმედების შედეგია, რომელიც უფრო მეტად მოხერხებულად იყო ჩადენილი, ვიდრე დანაშაული, რისი მეოხებითაც კუანიარი გრაფი დე სენტელენი გახდა,,.

ლუსიენ დე რუბამპრე

ლუსიენ შარდონი, ანგულემელი მეაფთიაქის ვაჟი, რომლის დედა რუბამპრეთა შთამომავალი იყო, მეფის ბრძანების თანახმად უფლებამოსილია, ატაროს რუბამპრეთა გვარი.

182... წელს ყმაწვილკაცი პარიზში ჩამოვიდა. არსებობისთვის არავითარი სახსრები არ გააჩნდა. იგი ახლდა ქალბატონი დჟესპარის ნათესავს, ქალბატონ სიქსტ დიუ შატლეს, იმხანად ქალბატონ დე ბარჟეტონს.

ქალბატონი დე ბარჟეტონისადმი უმადურობა გამოიჩინა და ცოლქმრულად ცხოვრობდა ჟიმნაზის,, მსახიობთან, აწ განსვენებულ დემუაზელ კორალისთან ერთად, რომელიც მის გამო ბატონ კამიუზის, ბურდონესქუჩელ აბრეშუმეულით მოვაჭრეს გაშორდა.

მალე, რაკი მსახიობის დახმარება არასაკმაო აღმოჩნდა, დე რუბამპრე სიღატაკეში ჩავარდა და თავის პატივცემულ სიძეს, ანგულემელ სტამბის მეპატრონეს, სახელი შეუბღალა. ორი ყალბი საბუთი შეადგინა და დავიდ სეშარის მაგივრად ხელი მოაწერა. სეშარი დააპატიმრეს და იმ ხანმოკლე პერიოდში, როდესაც ზემოხსენებული ლუსიენი ანგულემში იმყოფებოდა, ციხეში იჯდა.

შექმნილმა ვითარებამ დე რუბამპრე ანგულემიდან გააქცია. სულ მალე კი ისევ გამოჩნდა პარიზში აბატ კარლოსთან ერთად. ლუსიენ დე რუბამპრეს არავითარი შემოსავალი არ გააჩნდა და პარიზში მეორედ ჩამოსვლის შემდეგ, პირველ სამ წელს, დაახლოებით სამასი

ათასი ფრანკი გაფლანგა. ფული შეეძლო მიეღო მხოლოდ აბატ კარლოს ერერასგან, მაგრამ რა უფლებით?

გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ ერთ მილიონზე მეტი დაუჯდა რუბამპრეთა მამულის შესყიდვა, რაც აუცილებელი პირობა იყო მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეზე ჯვარის დასაწერად. ქორწინება ჩაიშალა, რადგან დე რუბამპრემ გრანლიეთა ოჯახს განუცხადა, ფული სიძისა და დისგან მივიღეო, ხოლო დე გრანლიეებმა ცნობები შეკრიბეს ადვოკატ დერვილის მეშვეობით. ადვოკატი დერვილი პატივცემულ სეშარებს პირადად ეახლა და გამოარკვია, რომ მათ არათუ არაფერი იცოდნენ დე რუბამპრეთა მამულის შესყიდვის შესახებ, არამედ ეგონათ, ლუსიენი თავიდან ფეხებამდე ვალებშია ჩაფლულიო.

საგულისხმოა, რომ ცოლქმარ სეშარების მემკვიდრეობა უძრავ ქონებას წარმოადგენს და ნაღდ ანგარიშზე, მათი განცხადების თანახმად, ორასი ათას ფრანკზე მეტი არ მოეპოვებათ.

ლუსიენი ფარულად ცხოვრობდა ესთერ გობსეკთან და ეჭვგარეშეა, ფული, რასაც ბარონი დე ნიუსინჟენი საყვარელს აძლევდა, ლუსიენის ჯიბეში ჩადიოდა.

ლუსიენი და მისი დამქაში კატორღელი კუანიარზე მეტხანს ტრიალებდნენ საზოგადოებაში, რამეთუ საარსებო სახსრებს აწვდიდა ზემოხსენებული ესთერი, რომელიც სხეულით ვაჭრობდა და უწინ მეძავი იყო,,.

თუმცა ეს შენიშვნები დრამაში უკვე აღწერილ ამბებს იმეორებს, მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ მათი სიტყვასიტყვით გადმოცემა, რათა თვალსაჩინო გახდეს, რა როლი განეკუთვნება პოლიციას პარიზში. როგორც პერადის შესახებ გამოთხოვილი ცნობების მაგალითიდან ადრეც დავინახეთ, პოლიციას თითქმის ყოველთვის შედგენილი აქვს დოსიე იმ ოჯახებსა და პირებზე, რომელთა ცხოვრება საეჭვოა და მოქმედება დასაძრახი. პოლიციისთვის ცნობილია ნორმიდან ყოველგვარი გადახვევა. ეს ყოვლისმომცველი დავთარი ისევეა მოწესრიგებული, როგორც საფრანგეთის ბანკის წევრთა ქონების აღმნუსხველი დავთარი. როგორც ბანკი ინიშნავს გადასახადის მცირეოდენ დაგვიანებას, ითვლის კლიენტთა კრედიტუნარიანობას, აღრიცხავს კაპიტალის ოდენობას, თვალყურს ადევნებს ფინანსურ ოპერაციებს, პოლიციაც ასევე მისხალმისხალ წონის მოქალაქეთა კეთილსინდისიერებას. აქაც, ვით მართლმსაჯულების სასახლეში, უდანაშაულო კაცს არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს; მარტოოდენ დამნაშავეთა წინააღმდეგ იღებენ ზომებს. რაც უნდა მაღალი მდგომარეობა ეჭიროს ოჯახს, საზოგადოების ამ მფარველი ანგელოზის რისხვას მაინც ვერ გადაურჩება. პოლიციაში ძალაუფლებაც დიდი აქვთ და საიდუმლოებასაც ასევე მკაცრად იცავენ: პოლიციის კომისრების უამრავი ოქმი, მოხსენება, შენიშვნა, საქმე, ცნობათა მთელი ოკეანე უმოძრაოდაა, საღათას ძილს მისცემია ზღვასავით მშვიდად განაბული. მოხდება უბედური შემთხვევა, ვინმე რაღაცას ჩაიდენს, რაღაცას დააშავებს, მართლმსაჯულება უმალ პოლიციას უხმობს და თუ დამნაშავეზე დოსიე არსებობს, გამომძიებელი დაუყოვნებლივ ეცნობა მას. საქმეები, სადაც ადამიანის წარსული ცხოვრებაა აღნუსხული, მარტოოდენ

შეკრებილი ცნობებია, რაც სასამართლოს კედლებს არ გასცილდება. მართლმსაჯულება მხოლოდ გაეცნობა მას, საქმისათვის გამოიყენებს, ესაა და ეს. მისი გახმაურების უფლება არა აქვს. საქაღალდეები დანაშაულის ქარგის ერთგვარი სარჩულია და თითქმის ყოველთვის საიდუმლოდ დარჩება. სასამართლოს არც ერთი შემადგენლობა არ დაუჯერებს დოსიეს; მთელი ქვეყანა აღშფოთებით ამხედრდება მის წინააღმდეგ, თუკი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე სააშკარაოდ გამოიტანენ. ერთი სიტყვით, ეს არის სინამდვილე, რომელიც განწირულია, ყველგან და ყოველთვის ჭის ფსკერზე ეგდოს. არ მოიძებნება ისეთი მაგისტრატი, თუკი თორმეტი წელიწადი პარიზში უმუშავია, რომელმაც არ იცოდეს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გამასწორებელი პოლიცია ფარავს ჩადენილი ბოროტმოქმედების ნახევარს, ბევრ ავკაცობას, ერთგვარ ბუდეს, სადაც დიდი ხნის განმავლობაში დანაშაული იჩეკება. იგივე მაგისტრატი იძულებულია, აღიაროს, რომ მართლმსაჯულება დამნაშავეთა ნახევარსაც ვერ სჯის. ხალხმა რომ იცოდეს, რარიგ მტკიცედ იცავენ საიდუმლოს პოლიციის მოხელენი, თუმცა კი დავიწყებით არაფერი ავიწყდებათ, თაყვანსა სცემდა ამ შესანიშნავ ადამიანებს ისევე, როგორც შევერიუსს. ჰგონიათ, პოლიცია ცბიერია, გაქნილი და დაუნდობელი, სინამდვილეში კი უაღრესად ლმობიერია. მარტოოდენ ვნებათაღელვის აბობოქრებას აკვირდება, დაბეზღებას ისმენს და ყველა საბუთს ინახავს. იგი მხოლოდ ცალმხრივად არის საშიში: მართლმსაჯულებასაც ემსახურება და პოლიტიკასაც, მაგრამ პოლიტიკაში ისევე სასტიკია, ისევე მიკერძოებული, როგორც ცხონებული ინკვიზიცია იყო.

კმარა, თქვა მაგისტრატმა და ქაღალდები დოსიეში ჩააწყო, ეს პოლიციისა და მართლმსაჯულების საიდუმლოა. მოსამართლე გადაწყვეტს, რა ფასიცა აქვს ყოველივე ამას; ბატონ და ქალბატონ კამიუზოებს კი თითქმის თვალითაც არ უნახავთ.
განა საჭიროა მაგის თქმა, უთხრა ქალბატონმა კამიუზომ.

ლუსიენი დამნაშავეა, დასძინა მაგისტრატმა, მაგრამ რა დანაშაული მიუძღვის?

კაცი, რომელიც უყვართ ჰერცოგინია დე მონფრინიეზს, გრაფინია დე სერიზის, კლოტილდ დე გრანლიეს, არ შეიძლება დამნაშავე იყოს, მიუგო ამელიმ, ყველაფერი მეორეს უნდა დაჰბრალდეს.

ლუსიენი რომ მისი თანამონაწილეა?! შეჰყვირა კამიუზომ.

იქნებ დამიჯერო, მიმართა ამელიმ, დაუბრუნე მღვდელი დიპლომატიას, იგი ხომ დიპლომატიის თვალმარგალიტია. გაამართლე საცოდავი ბიჭი და მერე სხვა დამნაშავეები მოძებნე...

ხედავ, როგორ გააფრინე! ღიმილით უთხრა ქმარმა, ქალები მიზნისკენ ისე ისწრაფვიან, რომ არად დაგიდევენ კანონებს; ფრინველებს ჰგვანან, მათაც არაფერი ეღობებათ ჰაერში.

მაგრამ დიპლომატია თუ კატორღელი, განაგრძო ამელიმ, აბატი კარლოსი თავადვე გათქვამს ვინმეს, ოღონდ თავი დაიძვრინოს.

მე მხოლოდ ჩაჩი ვარ, შენ კი თავი, უთხრა კამიუზომ.

კმარა, თათბირი დასრულდა, აკოცე შენს ამელის, უკვე პირველი საათია... და ქალბატონი კამიუზო დასაწოლად გაემართა, ხოლო ქმარი ქაღალდებისა და საკუთარი აზრების მოწესრიგებას შეუდგა, რათა მეორე დღეს ორი პატიმარი დაეკითხა.

ამგვარად, როდესაც სალათის გოდორს,, ჟაკ კოლენი და ლუსიენი კონსიერჟერიში,, მიჰყავდა, რა თქმა უნდა, დანაყრებული მაგისტრატი პარიზის ქუჩებში თავმდაბლად ფეხით მიდიოდა, როგორც პარიზელ მაგისტრატებს სჩვევიათ. იგი თავისი კაბინეტისკენ მიეშურებოდა, სადაც უკვე ელოდებოდა საქმესთან დაკავშირებული ყველა საბუთი. მოგახსენებთ, როგორ ხდება ეს:

ყოველ მაგისტრატს ჰყავს მწერალი, სასამართლოს ნაფიცი მდივანი, რომელთა მოდგმა გადაგვარებას არ აპირებს და ყოველგვარი ჯილდოების, წახალისების გარეშე ნიადაგ წარმოქმნის უზადო ხელქვეითებს, შეიძლება ითქვას, დაბადებით მუნჯებს. სასამართლო პალატების დაფუძნებიდან დღემდე მართლმსაჯულების სასახლეს არ ახსოვს, მწერალს გამოძიების საიდუმლო ოდესმე დაერღვიოს. ჟანტილმა სამბლანსესთვის მიცემული ლუიზ დე სავუას ხელწერილი გაყიდა. ერთმა სამხედრო პირმაც მიჰყიდა რუსეთის კომპანიის გეგმა ჩერნიშევს. ყველა ამგვარი მოღალატე, ასე თუ ისე, მდიდარი იყო. მართლმსაჯულების სასახლეში დაკავებული თანამდებობით, სახელდობრ, მწერლის ადგილით თავმოწონება და პროფესიული კეთილსინდისიერება კმარა იმისთვის, რომ მაგისტრატის მდივანი მწერალი იღბლიანი მეტოქე გახდეს სამარისა, რომელიც ქიმიის განვითარების წყალობით საიდუმლოს ვეღარ იცავს. ეს მოხელე მოსამართლის კალამია. ყველასთვის გასაგებია, შესაძლებელია კმაყოფილი იყო იმით, რომ მანქანის ღერძს წარმოადგენ, მაგრამ, აბა, რა სასიამოვნოა, სამუდამოდ ჭანჭიკად დარჩენა! და მაინც ჭანჭიკი თავს ბედნიერად გრძნობს; იქნებ მანქანისა ეშინია? კამიუზოს მდივანი, 22 წლის ახალგაზრდა, გვარად კოკარი, დილაადრიანად მივიდა მაგისტრატთან საბუთებისა და შენიშვნების წასაღებად და გამომძიებლის კაბინეტში ყველაფერი მოაწესრიგა, სანამ მაგისტრატი ზოზინით მიჰყვებოდა სანაპიროს, ფარდულებში გამოწყობილ იშვიად საქონელს ათვალიერებდა და თავს ეკითხებოდა: როგორ მოვიქცე ისეთ თავზე ხელაღებულ გაიძვერასთან, როგორიც ჟაკ კოლენია, თუკი ეს კაცი მართლაც გამოქცეული კატორღელია? საიდუმლო პოლიციის უფროსმა უნდა იცნოს იგი. მე კი თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ ჩემს საქმეს ვაკეთებ და მისი დარდი სულაც არა მაქვს; და თუ

რაიმეში ვერევი, მხოლოდ პოლიციის დასახმარებლად. ვატყობ, იმდენი რამ გამოჩნდება გაურკვეველი, რომ სჯობს მარკიზის მეუღლესა და ჰერცოგინიას ყველაფერი შევატყობინო, გავაცნო პოლიციის დოკუმენტაცია. ამით მამაჩემის მაგივრად შურს ვიძიებ ლუსიენზე, კორალი რომ წაართვა მას... რაკი ამ შავბნელ გაიძვერებს ნიღაბს ავხდი, ლუსიენს მეგობრები განზე გაუდგებიან და მე სახელს გავითქვამ, როგორც მეტად მოხერხებული გამომძიებელი. ვნახოთ, რას მოიტანს დაკითხვა და გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებ,,. მისი ყურადღება ანტიკვარულ დუქანში გამოტანილმა ბულის კედლის საათმა მიიპყრო და შინ შევიდა. სინდისს არ ვუღალატო და ორ დიდ ქალბატონსაც გავუწიო სამსახური, ამის მოხერხება ხომ ნამდვილი სასწაული იქნება,,, ფიქრობდა იგი.

ოჰ, თქვენ აქ ბრძანდებით, ბატონო გენერალურო პროკურორო, მიმართა კამიუზომ, მედლებს აგროვებთ?
ეგ მართლმსაჯულების ყველა მსახურის მისწრაფებაა, სიცილით მიუგო გრაფმა დე გრანვილმა, მედლის მეორე მხარეა საინტერესო.

რამდენიმე ხანს შეჩერდა დუქანში, თითქოს უკანასკნელად უნდა გადაევლო თვალი და მერე კამიუზოსთან ერთად განაგრძო გზა სანაპიროზე, რათა გამომძიებელი დარწმუნებულიყო, შემთხვევით შევხვდიო.

ამ დილით ბატონ დე რუბამპრეს დაკითხვა მოგელით, არა? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა, საწყალი ყმაწვილკაცი, როგორ მიყვარდა...
უამრავი ბრალდებაა მის წინააღმდეგ, უთხრა კამიუზომ.

დიახ, ვნახე პოლიციის აქტები, მაგრამ ეგ ცნობები უმთავრესად ერთ აგენტს ეკუთვნის, რომელიც პოლიციის პრეფექტურის უწყებაში არ შედის. ცნობილი კორანტენია. რამდენი უდანაშაულოსთვის მოუკვეთია თავი. თქვენ მაგდენ დამნაშავესაც ვერ გაგზავნით ეშაფოტზე... მაგრამ მაგ არამზადაზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება. ვერ გავკადნიერდები და ვერ შევეცდები, გავლენა მოვახდინო ისეთი მაგისტრატის სინდისზე, როგორიც თქვენ ბრძანდებით, მაგრამ არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაპყრო იმ გარემოებას, რომ თუ ლუსიენმა სრულებით არაფერი იცოდა ესთერ გობსეკის ანდერძზე, მაშინ არც არავითარი ინტერესი არ ჰქონდა მოეკლა იგი, ვინაიდან ეს ქალი უამრავ ფულს აძლევდა!

ცხადია, ესთერის მოწამვლის დროს იქ არ იმყოფებოდა, მიუგო კამიუზომ, ფონტენბლოში მადმუაზელ დე გრანლიესა და ჰერცოგინია დე ლენონკურს ელოდებოდა.

ოჰ, დიდი იმედი ჰქონდა, რომ მადმუაზელ დე გრანლიეზე ჯვარს დაიწერდა (თვით ჰერცოგინია დე გრანლიესგან ვიცი), დასძინა გენერალურმა პროკურორმა, ასეთი გონებაგახსნილი ბიჭი უსარგებლო მკვლელობით თავს არ დაიღუპავდა.

სწორი ბრძანებაა, კვერი დაუკრა კამიუზომ, მით უმეტეს, რომ ესთერი, რასაც შოულობდა, სულ ყმაწვილკაცს აძლევდა.

დერვილი და ნიუსინჟენი ამბობენ, ქალი ისე მოკვდა, რომ მემკვიდრეობაზე არაფერი იცოდაო. მემკვიდრეობა კი დიდი ხნის წინ ყოფილა დამტკიცებული, დაუმატა გენერალურმა პროკურორმა.

საუბედუროდ, ნათლად ჩანს, შენიშნა კამიუზომ, ჟაკ კოლენის ხელი ურევია; ხოლო ესპანელი მღვდელი, რაღა თქმა უნდა, სწორედაც გამოქცეული კატორღელია. ჟაკ კოლენის მეტი სხვა ვერავინ მოახერხებდა ნიუსინჟენის მიერ ესთერისათვის ნაჩუქარი სამპროცენტიანი რენტა შვიდას ორმოცდაათი ათას ფრანკად გაეყიდა და ჩაეჯიბა.

ფრთხილად იმოქმედეთ, ძვირფასო კამიუზო, ყველაფერი აწონდაწონეთ. აბატი კარლოს ერერა დიპლომატიურ წრეს ეკუთვნის... მაგრამ თვით ელჩსაც კი ვერ დაიფარავს თავისი მდგომარეობა, თუ დანაშაულს ჩაიდენს. არის თუ არა ეს კაცი კარლოს ერერა, ესაა უმნიშვნელოვანესი ამოცანა, და ბატონი დე გრანვილი ისე უცბად გამოემშვიდობა, ჩანდა, პასუხის მიღება არ ნებავდა.

ნუთუ მაგასაც ლუსიენის გადარჩენა სურს?,, გაიფიქრა კამიუზომ და გზა განაგრძო ლუნეტის სანაპიროსკენ, ხოლო გენერალური პროკურორი მართლმსაჯულების სასახლეში არლეს ეზოდან შევიდა.

კამიუზომ კონსიერჟერის,, ეზოში ამოყო თავი. პირდაპირ ციხის დირექტორისკენ გასწია და დირექტორი ეზოს შუაგულისკენ წაიყვანა, რათა მათი საუბრისთვის ყური არავის მოეკრა.
ძვირფასო ბატონო, გთხოვთ, პატივი დამდოთ და ფორსში,, წახვიდეთ. თქვენი კოლეგებისაგან გაიგეთ, ამჟამად, ჩვენდა საბედნიეროდ, მათთან თუ სხედან ისეთი კატორღელები, რომლებმაც 1810-1815 წლებში ტულონის კატორღაში მოიხადეს სასჯელი. ისიც შეამოწმეთ, თქვენთანაც ხომ არ სხედან ასეთი ვინმეები. კატორღელები რამდენიმე დღით ფორსიდან,, აქ გადმოიყვანეთ და მერე გამიგეთ, ხომ არ შეიცნობენ ესპანელ მღვდელში ჟაკ კოლენს, მეტსახელად გააბითურე სიკვდილი,, რომ ჰქვია.

დიდი სიამოვნებით, ბატონო კამიუზო, მაგრამ ბიბილუპენი ჩამოვიდა.

ოჰ, უკვე? შესძახა გამომძიებელმა.

მელენში ყოფილა. შეუტყობინებიათ, საქმე გააბითურე სიკვდილს,, ეხებაო და სიამოვნებისაგან სახე გაჰბადვრია. ახლა თქვენს ბრძანებას ელის...

აბა, გამომიგზავნეთ!

კონსიერჟერის,, დირექტორმა შემთხვევით ისარგებლა და ბატონ კამიუზოს ჟაკ კოლენის თხოვნა გადასცა, თან ისიც უთხრა, საშინელ დღეშიაო.

ისედაც ვაპირებდი, პირველად ეგ დამეკითხა, მიუგო მაგისტრატმა, მხოლოდ არა მისი ავადმყოფობის გამო. ამ დილით ფორსის,, დირექტორისგან პატაკი მივიღე. მაგას დამიხედეთ, ეგ გარეწარი ოცდაოთხი საათია ვითომ სულთმობრძავია და ისე უშფოთველად სძინებია, რომ ვერც გაუგია საკანში ფორსის,, დირექტორის მიერ გაგზავნილი ექიმის შესვლა. ექიმს მაჯაც კი არ გაუსინჯავს, არ გავაღვიძოო. ყოველივე ეს მოწმობს, რომ მაგას სინდისი ისევე აწუხებს, როგორც ავადმყოფობა. ვითომ მჯერა, რომ სულთმობრძავია. დავუკვირდები, როგორ ასრულებს ეს ვაჟბატონი როლს, ღიმილით თქვა ბატონმა კამიუზომ.
გამოძიებაში მყოფთაგან და ბრალდებულთაგან კაცი ყოველთვის რაღაცას სწავლობს, შენიშნა კონსიერჟერის,, დირექტორმა.

პოლიციის პრეფექტურა კონსიერჟერის,, მიწისქვეშა გასასვლელით უერთდება და მაგისტრატებმა, როგორც ციხის დირექტორმა, კარგად იციან ეს გზები, რაც შესაძლებლობას უქმნით, სწრაფად მივიდნენ ერთი ადგილიდან მეორეში. ამის წყალობით სახელმწიფო პროკურორი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე სხდომის მსვლელობისას განსაცვიფრებელი სისწრაფით იღებენ სათანადო ცნობებს. სწორედ ამიტომ ბატონმა კამიუზომ აიარა თუ არა თავისი კაბინეტისკენ მიმავალი კიბე, ბიბილუპენმაც დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზი სირბილით გადაჭრა და მაგისტრატს წინ დაუხვდა.

რას ნიშნავს მონდომება! ღიმილით შეეგება გამომძიებელი.
ოჰ, თუკი ეგ ის,, არის, მიუგო საიდუმლო პოლიციის უფროსმა, ნახავთ, რა შემზარავ ცეკვას მოჰყვებიან ეზოში, ოღონდაც თვალი მოჰკრან დაბრუნებულ აჩუას,, (ძველი კატორღელი ციხის ჟარგონზე).

მერედა, რატომ?

გააბითურე სიკვდილმა,, მაგათი სალარო გადაყლაპა და ვიცი, მაგათ დაიფიცეს, სულს გავაცხებინებთო.

მაგათ,, ნიშნავდა კატორღელებს, რომელთა ხაზინაც ოცი წელიწადი გააბითურე სიკვდილს,, ებარა და მან, როგორც ვიცით, ლუსიენის გამო გაფლანგა.

შეგიძლიათ მისი უკანასკნელი დაპატიმრების მოწმეები მოძებნოთ?

მოწმეებისთვის ორი უწყება მომეცით და დღესვე მოგგვრით.

კოკარ, ბრძანა მაგისტრატმა, ხელთათმანები გაიძრო, ხელჯოხი და ქუდი ერთ კუთხეში მიაწყო, შეავსეთ ორი უწყება ბატონი აგენტის მითითებისდა მიხედვით.

მერე ბუხარზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა, რომლის ქვემოთ, ბუხრის რაფაზე, საათის ნაცვლად ერთ მხარეზე ჯამფილა და წყლის ტოლჩა იდგა, მეორე მხარეს კი წყლით სავსე სურა და ჭიქა, მათ გვერდით ლამპა. მაგისტრატმა ზარი დარეკა. რამდენიმე წუთის შემდეგ სასამართლოს ბოქაული შემოვიდა.

მელოდება ვინმე? ჰკითხა ბოქაულს, რომელსაც ევალებოდა, მიეღო მოწმეები, შეემოწმებინა მათი უწყებები და რიგში ჩაეყენებინა ისინი.

დიახ, ბატონო.

მოსულთა გვარები ჩამომიწერეთ და წარმომიდგინეთ.

სასამართლოს გამომძიებლები იმდენად მოუცლელნი არიან, რომ ხანდახან იძულებულნი ხდებიან, ერთდროულად რამდენიმე საქმის ძიება აწარმოონ. ამიტომაც დიდხანს აცდევინებენ მოწმეებს, რომელთაც თავს უყრიან ერთ ოთახში, სადაც თვით ბოქაულები სხედან და სადაც წამდაუწუმ მაგისტრატის ზარის წკრიალი გაისმის.

მერე აბატ კარლოს ერერას მოსაყვანად წახვალთ, უთხრა კამიუზომ თავის ბოქაულს.
დახე, ახლა ესპანელია? როგორც მითხრეს, სასულიერო პირი. აჰ, ეგ ხომ კოლეს ამბავს ჰგავს, ბატონო კამიუზო, შესძახა საიდუმლო პოლიციის უფროსმა.

ახალი არაფერია, მიუგო კამიუზომ და ხელი მოაწერა ორ უწყებას, რაც გულს უხეთქავს ყველას, თვით ყველაზე უცოდველ მოწმესაც, ვისაც მართლმსაჯულება უხმობს და ურჩობისათვის სასტიკი სასჯელით ემუქრება.

ჟაკ კოლენს ნახევარი საათის წინ უკვე ყველაფერი აეწონდაეწონა, ჩანაფიქრიც სისრულეში მოეყვანა და ახლა მზად იყო ბრძოლისთვის. არაფერს ძალუძს ისე სრულყოფილად დახატოს კანონის წინააღმდეგ ამხედრებული მდაბიოს პორტრეტი, როგორც ორიოდე სტრიქონს, გაზინთულ ქაღალდზე რომ დაეწერათ.

გადმოგცემთ პირველი ბარათის შინაარსს, რადგან დაწერილი იყო მხოლოდ მისთვის და აზიასთვის გასაგები შიფრით, რაც ჟარგონის ჟარგონი გახლდათ.

წადი ჰერცოგინია დე მონფრინიეზთან ან ქალბატონ დე სერიზისთან, ერთმა ან მეორემ ლუსიენი დაკითხვამდე ინახულოს და გადასცეს ამ ბარათზე დართული წერილი. გარდა ამისა, იპოვე ევროპა და პაკარი. ეგ ორი ქურდი ჩემს განკარგულებაში უნდა იყოს და შეასრულოს როლი, რასაც მე დავაკისრებ. გაიქეცი რასტინიაკთან, უთხარი, ოპერის ბალმასკარადზე რომ შეგხვდა, ის კაცი გთხოვს, დაუმოწმო, აბატი კარლოს ერერა არაფრით ჰგავს ჟაკ კოლენს, ვოკესთან რომ დააპატიმრესთქო. იგივე გადაეცი დოქტორ ბიანშონსაც. ამავე მიზნით ლუსიენის ორივე ქალი,, აამუშავე,,.

ბარათზე დართულ მეორე ქაღალდზე წმინდა ფრანგულით ეწერა:

ლუსიენ, ჩემზე არაფერი წამოგცდეს. შენთვის მე აბატ კარლოს ერერა უნდა ვიყო. ამით არა მხოლოდ გამართლდები, თუ ცოტას გაუძლებ, შვიდ მილიონს მიიღებ და შენს სახელსაც არავითარი ჩირქი არ მოეცხება,,.

ორი ქაღალდი დაწერილი მხრიდან ისე იყო ერთმანეთზე მიკრული, ერთი ქაღალდის ნაგლეჯი გეგონებოდათ. თან ისეთი განსაცვიფრებელი ოსტატობით დაეგრაგნა აბატს, როგორც მარტოოდენ იმათ სჩვევიათ, ვისაც კატორღაში თავისუფლებაზე უოცნებიათ.

ქაღალდს ფორმა და ფერი ერთიანად ტალახის ბურთულაკისა ჰქონდა და სიდიდით, ქინძისთავს რომ თავი მოტყდება და ხელმომჭირნე ქალი ცვილის თავს გაუკეთებს, მასზე მეტი არ იყო.

პირველად თუ მე დამკითხეს, გადავრჩით და ეს არის, მაგრამ თუ ლუსიენი გამოიძახეს, დავიღუპეთ,,, ფიქრობდა იგი გამომძიებლის მოლოდინში.

ეს წუთი იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ ესოდენ მაგარ კაცსაც კი სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა. როგორც ვხედავთ, ეს განსაცვიფრებელი ადამიანი ჭეშმარიტებას ბოროტმოქმედების სფეროში სჭვრეტდა, ვით მოლიერი დრამატულ პოეზიაში, კიუვე უკვალოდ გამქრალ არსებებში. ყველა სფეროში გენია ინტუიციაა. სხვა შესანიშნავი ქმნილებანი, ნიჭის ნაყოფს რომ წარმოადგენენ, ამ საოცარ მოვლენაზე დაბლა დგანან. აქედან გამომდინარეობს განსხვავება პირველი რანგისა და მეორე რანგის ადამიანებს შორის. ბოროტმოქმედებსაც ჰყავთ თავიანთი გენიოსები. უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ჟაკ კოლენის აზრი პატივმოყვარე ქალბატონი კამიუზოსა და გრაფინია დე სერიზის აზრებს დაემთხვა. ქალბატონი დე სერიზის გულში სიყვარულმა მას შემდეგ იფეთქა ძალუმად, რაც ლუსიენს შემზარავი უბედურება დაატყდა თავს და სამუდამო დაღუპვასაც უქადდა. აი, ასე მძაფრად დაიძაბა ადამიანის გონება და ფოლადის საჭურვლით შემოსილ მართლმსაჯულებას წინ აღუდგა.

საკნის კარის რკინის ურდულები და სალტეები აღრჭიალდა და ჟაკ კოლენმა ისევ სულთმობრძავის სახე მიიღო, რაც მით უფრო გაუადვილდა, რომ დერეფანში

ზედამხედველის ფეხის ხმა გაისმა და სიხარულით ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ჟაკ კოლენმა არ იცოდა, როგორ მოახერხებდა აზია მასთან შეხვედრას, მაგრამ დარწმუნებული იყო, გზაზე უთუოდ გადაეყრებოდა, რაკი სენჟანის თაღის ქვეშ ამის პირობა მისცა.

ბედნიერი შეხვედრის შემდეგ აზია გრევის სანაპიროსკენ გაემართა. 1830 წლამდე გრევი,, ამართლებდა თავის სახელწოდებას. სანაპიროს მთელი მონაკვეთი, არკოლის ხიდიდან ლუი ფილიპის ხიდამდე ისეთი იყო, როგორიც ბუნებას გაეჩინა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მდინარისკენ დაშვებულ მოკირწყლულ ქუჩებს. ამიტომაც წყალდიდობისას დაქანებულ ქუჩებზე, სახლების გასწვრივ, ნავით სეირნობა შეიძლებოდა. ამ სანაპიროზე პირველი სართული ყოველთვის რამდენიმე საფეხურით მაღლა იდგა. როცა წყალი სახლის კედლებს ეხეთქებოდა, ეკიპაჟები მორტელრის ამაზრზენი ქუჩისკენ უხვევდნენ. დღეს ეს ქუჩა მთლიანად აღებულია ოტელდევილის გაფართოების მიზნით. ასე და ამგვარად, ცრუ მემწვანილესთვის ძნელი არ იყო თავდაღმართზე ფაცხაფუცხით დაშვება და ურიკის, როგორც მის პატრონს შეუთანხმდა, ერთ კუთხეში დატოვება, სანამ ნამდვილი მემწვანილე ქალი ბითუმად გაყიდული საქონლის საფასურით მორტელრის ქუჩის ერთ გულისამრევ სამიკიტნოში ლაზათიანად გამოიბრუჟებოდა და ურიკის წასაღებად დაბრუნდებოდა. იმ ხანებში პელეტიეს სანაპიროს გაფართოებას ამთავრებდნენ და მშენებლობის შესასვლელთან დარაჯი იდგა. ურიკა მას ჩააბარეს და არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

ოტელდევილის მოედანზე აზია მაშინვე ფიაკრში ჩაჯდა და მეეტლეს გასძახა:

ტამპლისკენ! რაც შეიძლება სწრაფად, ფულს არ დავიშურებ!

აზიასავით ჩაცმულ ქალს დიდ ყურადღებას არავინ მიაქცევდა და ადვილად მიიმალებოდა დიდ ბაზარში, სადაც ათასი ჯურის ნაძირალა იყრიდა თავს, მოხეტიალე ვაჭრები დაფუთფუთებდნენ, გადამყიდველი ქალები ჭიანჭველებივით ირეოდნენ და მათი ყაყანისგან ყურთასმენა არ იყო. ორი გამოძიებაში მყოფი კონსიერჟერიში,, ჯერ არ გაეტარებინათ რეგისტრაციაში, როცა აზია უკვე ირთვებოდა პატარა, ნესტიან, დაბალჭერიან ანტრესოლში, ერთი ისეთი უბადრუკი დუქნის თავზე, სადაც მკერავი ქალების ან თერძების მიერ მოპარული ქსოვილის ნარჩენებს ყიდიან. მედუქნე ხანდაზმული შინაბერა იყო, ჟერომეტი ერქვა, მაგრამ შემოკლებით რომეტს ეძახდნენ. ტანსაცმლით მოვაჭრე ქალებისთვის რომეტი იგივე გახლდათ, რაც ქალბატონი გაჭირვების ტალკვესები,, არიან შავ დღეში ჩავარდნილი რიგიანი ქალებისთვის. რომეტი მევახშე ბრძანდებოდა და ასპროცენტიან სესხს იძლეოდა.

შვილო! უთხრა აზიამ, ერთი რიგიანად გამომკარი კორსეტში. სულ ცოტა სენჟერმენისუბნელი ბარონის მეუღლე მაინც უნდა გავხდე. აბა, გამკოჭე თვალის დახამხამებაში! დასძინა მან, თორემ ცეცხლი მიკიდია ფეხებზე! შენ იცი, როგორი კაბაც მიხდება. ფერუმარილი მომაწოდე და ფუმფულა მაქმანები მომიმზადე! ბრჭყვიალა

საჟღარუნებლები არ დაგავიწყდეს. გოგო გაგზავნე ფიაკრისთვის, უთხარი, უკანა გასასვლელთან მოაცდევინოს.
კარგი, ქალბატონო, მიუგო შინაბერამ ისეთი მორჩილი თვინიერებით, როგორც მსახურმა შეიძლება მიმართოს თავის ქალბატონს.

ამ სცენას ვინმე რომ დასწრებოდა, ეჭვი არ შეეპარებოდა, რომ აზიას სახელით შენიღბული ქალი საკუთარ სახლში იყო.

ბრილიანტებს მთავაზობენ! უთხრა რომეტმა, როცა აზიას თმის ვარცხნას შეუდგა.
მოპარულია?

დარწმუნებული ვარ...

ეჰ, რაც უნდა სარფიანი იყოს, ჩემო ცუგრუმელა, თავი უნდა შევიკავოთ. ჯერჯერობით ფრთხილად ყოფნა გვმართებს, ცნობისმოყვარეები,, გვითვალთვალებენ.

ახლა გასაგები გახდება, როგორ მოახერხა აზიამ მართლმსაჯულების სასახლის დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზში შეძრომა. ხელში უწყებას აფრიალებდა და კითხვაკითხვით მიჰყვებოდა დერეფნებს, კიბეებს, რომლებიც სასამართლოს გამომძიებელთა კაბინეტებისკენ მიემართებოდა. ვინც გზაში შეხვდებოდა, ეკითხებოდა, ბატონი კამიუზოს ნახვა სად შეიძლებაო. ბატონი კამიუზო მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ უნდა მოსულიყო.

აზია თავის თავს სულ აღარ ჰგავდა. მსახიობივით ჩამოერეცხა დედაბრის გრიმი, სახეზე ფერუმარილი დაედო და მშვენიერი ქერა პარიკი დაეხურა. ზუსტად ისე გამოწყობილიყო, როგორც სენჟერმენისუბნელ ქალბატონს ეკადრებოდა, დაკარგულ ფინიას გაფაციცებით რომ დაეძებს. 40 წლისას ჰგავდა, რადგან საუცხოო შავი მაქმანის პირბადე ჩამოეფარებინა. მზარეული დედაკაცის შესაფერისი წელი მაგრად მოჭერილ კორსეტში გამოეკვართა. საუცხოო ხელთათმანები ეცვა და, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად ფართო ტურნურს მოაქნევდა. ირგვლივ პუდრის ა ლა მარეშალის,, სურნელებას აფრქვევდა. ოქროსჩარჩოიან ხელჩანთას მოაკონწიალებდა. ხან ყურადღებით ათვალიერებდა სასახლის კედლებს, რაკი, ჩანდა, პირველად ბრძანდებოდა აქ, ხან კი კინგსჟოგ-ის თასმას დასცქეროდა. მდიდარი ქვრივი დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზის შავანაფორიან მოსახლეობას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

აქ თავს იყრიან უსაქმო ადვოკატები, მანტიებით დარბაზს რომ ხვეტენ, თავი მართლმსაჯულების არისტოკრატებად მოაქვთ და დიდი ბატონების მიბაძვით სახელგანთქმულ ადვოკატებს ნათლობის სახელით ახსენებენ. აქვე ხშირად შეხვდებით მოთმინებით აღსავსე ყმაწვილკაცებს, ვექილთა ერთგულ თანაშემწეებს, რომლებიც ფეხზე

დგომით ლამის ჩამოწყდნენ რომელიმე, სულ ბოლოს დანიშნული საქმის გამო, იმის მოლოდინში, რომ შესაძლებელია დაიგვიანოს ადვოკატმა, ვისი საქმის გარჩევაც ადრეა დანიშნული და მისი რიგით თვითონ ისარგებლოს. მეტად საინტერესო იქნებოდა, დაგვეხატა სურათი ამ ერთმანეთისგან განსხვავებული შავმანტიიანი მამაკაცებისა, რომლებიც სამსამად ან ოთხოთხად დასეირნობდნენ და ხმამაღლა მასლაათობდნენ. მათი ხმა ზუზუნით ავსებდა დარბაზს, რომლისთვისაც მოსწრებულად შეურქმევიათ სახელი (დაკარგული ნაბიჯები,,), ვინაიდან აქ სიარული ისევე აცლის ქანცს ადვოკატებს, როგორც უხვსიტყვაობა, მაგრამ ყოველივე ამის აღწერას არ შევუდგებით, მას თავისი ადგილი დაეთმობა პარიზელი ადვოკატებისთვის მიძღვნილ ეტიუდებში.

აზიას სასახლის მოყიალეთა იმედი ჰქონდა. ქვეშქვეშ ეცინებოდა მათ ხუმრობაზე. ბოლოს ერთი ახალგაზრდა სტაჟიორის ყურადღება მიიპყრო. იგი უფრო ტრიბუნალის გაზეთით,, ჩანდა დაინტერესებული, ვიდრე კლიენტებით. როცა თვალი მიაპყრო მდიდრულად ჩაცმულ ქალბატონს, ირგვლივ დამათრობელ სურნელებას რომ აფრქვევდა, სახე გაებადრა და უდიდესი სიამოვნებით შესთავაზა დახმარება.

აზიამ ენა მოიჩლიქა და ჟღურტულჟღურტულით აუხსნა ამ მეტად თავაზიან ბატონს, უწყება მომივიდა ვიღაც გამომძიებლისაგან, კამიუზო უნდა ერქვასო.

აჰ, რუბამპრეს საქმეზე!
პროცესს სახელწოდება უკვე მიეღო.

ოჰ, მე კი არა, ჩემს პირისფარეშს, სახელად ევროპას მოუვიდა. ერთი დღეღამე იმუშავა ჩემთან და თვალი მოჰკრა თუ არა ამ გერბიან ქაღალდს, შვეიცარმა რომ მომართვა, მაშინვე სადღაც გადაიკარგა.

მერე, ყველა დედაკაცივით, რომელთა ცხოვრება ბუხართან ლაყბობაში მიედინება, რაკი შეატყო მასოლი ყურს მიგდებსო, გული გადაუხსნა: ხან პირველ ქმარზე აწუწუნდა, უამბო, რა უბედურება გადახდა მასთან, საადგილმამულო ბანკის სამი დირექტორიდან ერთერთი იყოო. ახლა თავისი სიძე, გრაფი გროსნარპი ახსენა და ახალგაზრდა ადვოკატს შეეკითხა, ხომ არ მირჩევთ, სასამართლოში ვუჩივლო, ჩემს ასულს შავ დღეს აყრისო, ცოლს აქვს თუ არა უფლება ქმრის ქონებაზეო. როგორ არ ეცადა მასოლი, მაინც ვერ გაიგო, უწყება ვისთვის გაეგზავნათ, ქალბატონისთვის თუ მოახლისთვის. პირველად მარტო თვალი გადაავლო იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც ყველასთვის ცნობილია და ერთი ნიმუშის მიხედვით იბეჭდება, რაც საქმეს აადვილებს და აჩქარებს. მოხელე ავსებს მხოლოდ ცარიელ ადგილს, მოწმეთა გვარის, ადგილსამყოფლის, გამოცხადების დროისა და მსგავსი საკითხების ჩასაწერად დატოვებულს. აზია მასოლს ეკითხებოდა, სად რა მდებარეობდა ამ სასახლეში, თუმცა ყოველივე ადვოკატზე უკეთესად მოეხსენებოდა. ბოლოს ჰკითხა, ბატონი კამიუზო რომელ საათზე მოდისო.

სასამართლოს გამომძიებლები დაკითხვას, ჩვეულებრივ, ათ საათზე იწყებენ ხოლმე.
ათს თხუთმეტი წუთი აკლია, თქვა მან, როცა დახედა თავის პაწაწინა ლამაზ საათს, ოქრომჭედლობის ნამდვილ სასწაულს რომ წარმოადგენდა და მასოლმაც, თვალი ჰკიდა თუ არა მის საათს, გაიფიქრა, დახე, სიმდიდრე სად ბუდობსო.

ამასობაში აზია მიადგა კონსიერჟერის,, ეზოში გამავალ ბნელ ოთახს, სადაც ბოქაულები იმყოფებოდნენ. ფანჯრიდან დიდი ჭიშკარი რომ დაინახა, შეჰყვირა:

ეს რა მაღალი კედლებია? აგერ იქ?
ეგ კონსიერჟერი,, გახლავთ.

აჰ, მაშ, ეგ არის კონსიერჟერი,,, სადაც საბრალო ჩვენი დედოფალი... ოჰ, ნეტავი მისი საკანი მანახვა!

შეუძლებელია, ქალბატონო, მიუგო ადვოკატმა, რომელიც მკლავში ხელგაყრილი მიჰყვებოდა ქვრივს, ამისთვის საგანგებო ნებართვაა საჭირო, ნებართვის მიღება კი მეტად ძნელია.

მითხრეს, განაგრძო ქალმა, ლუი XVIIIს ლათინურად რაღაც წაუწერია მარიანტუანეტას საკანში.

დიახ, ქალბატონო.

რა იქნებოდა, ლათინური მცოდნოდა და გამეგო წარწერის ყოველი სიტყვა! დასძინა ქალბატონმა, რას იტყვით, ბატონ კამიუზოს შეუძლია ნებართვის მოცემა?

მას არ ეხება, მაგრამ შეუძლია გამოგყვეთ...

მერედა, დაკითხვას რაღა ეშველება? იკითხა აზიამ.

ოჰ, გამოძიებაში მყოფნი მოიცდიან, მიუგო მასოლმა.

ჰო, მართლა, ისინი ხომ დაპატიმრებულნი არიან, მიამიტად დაეთანხმა აზია, მაგრამ მე ბატონ დე გრანვილსაც ვიცნობ, თქვენს გენერალურ პროკურორს!

ამ შემახილმა მაგიური გავლენა მოახდინა ბოქაულებზედაც და ადვოკატებზედაც.

ოჰ, თქვენ ბატონ გენერალურ პროკურორს იცნობთ? ჩაეკითხა მასოლი და გულში გაივლო, მოდი, ვკითხავ გვარსა და მისამართს ამ კლიენტს,,, ბედმა შემთხვევით რომ მარგუნაო.

ხშირად ვხვდები ბატონ დე სერიზისთან, ეგენი ხომ მეგობრები არიან. ქალბატონი დე სერიზი ნათესავად მომხვდება რონკეროლების მხრიდან...

თუ ქალბატონს ნებავს კონსიერჟერიში,, ჩაბრძანება, უთხრა ერთმა ბოქაულმა, იქნებ...

დიახ, ნებავს, მიუგო მასოლმა.

ბოქაულებმა გაატარეს ადვოკატი და ბარონის მეუღლე. ისინი მალე გავიდნენ მცირე საყარაულოსთან, სადაც სათაგურის,, კიბე ამოდის. აზია შესანიშნავად იცნობდა ამ ადგილს. როგორც დავინახეთ, აქ, სათაგურსა,, და მეექვსე საკანს შორის, ერთგვარი სამეთვალყურეო საგუშაგოა და ყველას უწევდა აქ გავლა.

ერთი ჰკითხეთ ამ ბატონებს, ბატონი კამიუზო ხომ არ მოსულა? ჰკითხა აზიამ და მიაშტერდა ჟანდარმებს, რომლებიც ბანქოს თამაშით იყვნენ გართული.

დიახ, ქალბატონო, ახლახან გამოვიდა სათაგურიდან,,...

სათაგურიდანო!,, შესძახა ქალმა, ეგ რაღაა? ოჰ, რა სულელი ვარ, რატომ პირდაპირ გრაფ დე გრანვილთან არ მივედი... მაგრამ სადა მაქვს მაგის დრო... ბატონო, მიმყევით ბატონ კამიუზოსთან. სანამ საქმეს შეუდგება, მანამდე მინდა ველაპარაკო.

რა ბრძანებაა, ქალბატონო, მოასწრებთ ბატონ კამიუზოსთან საუბარს, უთხრა მასოლმა, გადასცემთ თუ არა თქვენს სავიზიტო ბარათს, მაშინვე მიგიღებთ. აბა, ხომ არ გაცდევინებთ მისაღებ ოთახში ვიღაც მოწმეებთან ერთად... სასახლეში თქვენისთანა ქალბატონებს უღრმესი პატივისცემით ეპყრობიან... ხომ თანა გაქვთ ბარათები?

ამ დროს აზია და ადვოკატი ზედ საყარაულოს ფანჯარასთან იდგნენ.

აქედან ჟანდარმებს შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ კონსიერჟერის,, კარიბჭისთვის. ქვრივთა და ობოლთა დამცველებისადმი პატივისცემის გრძნობით აღზრდილი ჟანდარმები მანტიასაც დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ. ქალბატონისა და მისი თანმხლები ადვოკატის აქ ყოფნას ცოტა ხანს ითმენდნენ. აზიამ ახალგაზრდა ადვოკატს ნება დართო, მოეყოლა ის შემზარავი ამბები, რაც ახალგაზრდა ადვოკატს შეუძლია თქვას კონსიერჟერის,, კარიბჭეზე, ოღონდ ვერა და ვერ დაიჯერა, მსჯავრდადებულებს თუ იმ ცხაურის იქით აცმევდნენ, ადვოკატი რომ მიუთითებდა, მაგრამ ბრიგადირმაც კვერი დაუკრა.

როგორ მინდა ნახვა! წამოიძახა აზიამ.

მანამდე ეკეკლუცებოდა ბრიგადირსა და ადვოკატს, სანამ კარიბჭეში შემოსულ ჟაკ კოლენს არ მოჰკრა თვალი. მას მხრებში ამოსდგომოდა ორი ჟანდარმი, წინ ბატონი კამიუზოს ბოქაული მოუძღოდა.

ოჰო, აგერ ციხის მოძღვარიც მობრძანდება, ალბათ, ვიღაც უბედური აზიარა...
არა, არა, ქალბატონო, მიუგო ჟანდარმმა, ეგ პატიმარი გახლავთ და დაკითხვაზე მიჰყავთ.

მერედა, რა ბრალდება აქვს?

მოწამვლის საქმეშია გარეული.

ოჰ, ნეტავი შემახედა...

თქვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება, უთხრა ბრიგადირმა, რადგან ის საიდუმლო საკანში ზის და ჩვენი საყარაულოს წინ გაივლის. აგერ, ქალბატონო, ეს კარი კიბეზე გადის...

გმადლობთ, ბატონო ოფიცერო, უთხრა ბარონის მეუღლემ და კარისკენ გასწია.

მერე უცბად კიბეზე დაეშვა და შეჰყვირა, სადა ვარ?

მისმა ხმამ ჟაკ კოლენის ყურამდე მიაღწია. აზიამ იგი ამგვარად შესახვედრად მოამზადა. ბრიგადირი ბარონის მეუღლეს გამოუდგა, წელზე ხელი მოხვია, ბუმბულივით აიტაცა და ხუთ ჟანდარმს შუა ჩასვა. ჟანდარმები ზეაღიმართნენ, ვით ერთი კაცი, რამეთუ საყარაულოს არავინ ენდობოდა. ეს ბრიყვული მორჩილებაა კანონისადმი, მაგრამ აუცილებელი მორჩილება. თვით ადვოკატმაც ორჯერ შესძახა: ქალბატონო, ქალბატონო,,, ისე შეეშინდა, რაიმე ხათაბალაში არ გავებაო.

თითქმის გულშეღონებული აბატი კარლოს ერერა საყარაულოში სკამზე დაესვენა.

საბრალო კაცი! აღმოხდა ბარონის მეუღლეს, ნუთუ დანაშაული მიუძღვის?

თუმცა ეს სიტყვები ადვოკატს ყურში უთხრა, მაინც ყველამ გაიგონა, რადგან საყარაულოში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ხანდახან ზოგიერთი წარჩინებული პირი ნებას იღებდა სახელგანთქმული ბოროტმოქმედებისთვის შეეხედა, როცა იგი საყარაულოს წინ ან დერეფნებში ჩაივლიდა, ამიტომ ბოქაულმა და კარლოს ერერას თანმხლებმა ჟანდარმებმა ქალს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ესეც არ იყოს, ბრიგადირი კანონის უზომოდ

ერთგული გახლდათ, ბარონის მეუღლეს გასაქანს არ აძლევდა, საიდუმლო საკნიდან გამოყვანილ პატიმარსა და აქ შემთხვევით შემოსულ უცხო სტუმარს შორისაც იმხელა მანძილი იყო, რომ ერთმანეთთან ურთიერთობას ვერ დაამყარებდნენ.

წავიდეთ, თქვა ჟაკ კოლენმა და ძლივძლივობით წამოდგა. ბარონის მეუღლემ შენიშნა ის ადგილი, სადაც ბურთულაკი დაეცა, რადგან პირბადე საშუალებას უქმნიდა, საითაც მოისურვებდა, იქით გაეხედა. სველი და გაქონილი ბურთულაკი არ გაგორებულა. ეს, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანი ჟაკ კოლენს წინასწარ გაეთვალისწინებინა, ოღონდ გამარჯვებისთვის მიეღწია. როცა პატიმარი კიბეზე აიყვანეს, აზიას სრულიად ბუნებრივად ხელჩანთა დაუვარდა. მარდად დასწვდა და ხელჩანთასთან ერთად ბურთულაკიც აიღო, რომელიც იმდენად არ განირჩეოდა იატაკზე მოფენილი მტვრისა და ტალახისგან, რომ მისი შემჩნევა შეუძლებელი იყო.
ოჰ, გული შემეკუმშა... თქვა ქალმა, საბრალო სულს ღაფავს ან თავს იკატუნებს, ჩაურთო ბრიგადირმა.

ბატონო, მიმართა აზიამ ახალგაზრდა ადვოკატს, ახლავე მიმიყვანეთ ბატონ კამიუზოსთან, მე ხომ სწორედ ამ საქმისთვის მოვედი... იქნებ მისთვის უმჯობესია მანამდე მნახოს, სანამ საბრალო აბატს დაჰკითხავდეს...

ადვოკატი და ქალბატონი ბარონის მეუღლე გაზინთულ, გაბოლილკედლებიანი საყარაულოდან გამოვიდნენ, მაგრამ კიბეზე ასვლისას აზიამ უცბად შეჰყვირა:

ვაიმე, ჩემი ფინია! ოჰ, ბატონო, ჩემი საბრალო ფინია!
და გიჟივით, კისრისტეხით გავარდა დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზისკენ, თან ყველას ეკითხებოდა, ჩემი ფინია ხომ არ გინახავთო. სავაჭრო გალერეას რომ მიაღწია, კიბეზე ყვირილით დაეშვა, აგერ ჩემი ფინიაო!

კიბე არლეს ეზოში გადიოდა. აზიამ კომედია დაასრულა და ორფევრის სანაპიროსკენ, ეტლების სადგომთან მიირბინა. ერთ ფიაკრში ჩახტა და გაუჩინარდა უწყებითურთ, ევროპასთვის რომ გამოეგზავნათ, ევროპასთვის, ვისი ნამდვილი გვარი და სახელი ჯერ არ მოეხსენებოდა არც პოლიციასა და არც მართლმსაჯულებას.

ნევსენმარკის ქუჩა, დაუყვირა მეეტლეს.

აზიას სრული უფლება ჰქონდა, დარწმუნებული ბრძანებულიყო, რომ ერთი ტანსაცმლითა და სამკაულებით მოვაჭრე ქალი მისი უსაზღვროდ ერთგული იყო და უყოყმანოდ თავს დადებდა მისთვის. ეს გახლდათ მადამ ნურისონი, ვისაც ქალბატონი სენტესტევის სახელითაც იცნობდნენ. ეს ქალი აზიას ყურმოჭრილი ყმა იყო და თავის სავაჭრო დუქანსაც არ უჭერდა ხოლმე. აზია ესთერის საფასურზე აქ ევაჭრებოდა ნიუსინჟენს. ისე გრძნობდა

თავს აქ, როგორც საკუთარ სახლში, მით უმეტეს, რომ მადამ ნურისონს თავი ძლივს დაუკრა, რითაც აგრძნობინა, ორი სიტყვის სათქმელადაც კი არ მცალიაო.

რაკი დარწმუნებული იყო, არავინ უთვალთვალებდა, აზია ისეთი სიფრთხილით შეუდგა ქაღალდების გაშლას, როგორც სწავლულნი შლიან პალიმფსესტებს. წაიკითხა ჟაკ კოლენის მითითება და გადაწყვიტა, ჯობს ფურცელზე გადავწერო ლუსიენისთვის განკუთვნილი სტრიქონებიო. ამის შემდეგ მადამ ნურისონთან ჩავიდა და სანამ მედუქნის გოგო იტალიელთა ბულვარიდან ფიაკრს მოიყვანდა, მასთან საუბარი გააბა. აზიამ აქვე გაიგო ჰერცოგინია დე მონფრინიეზისა და ქალბატონი დე სერიზის მისამართები, რაც მადამ ნურისონს ამ ქალბატონების მოახლეებთან ურთიერთობის წყალობით მოეხსენებოდა.

აქეთიქით სიარულს, ყოველგვარ წვრილმან საქმეს ორ საათზე მეტი მოუნდა. ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა, რომელიც სენტონორეს უბნის ბოლოში ცხოვრობდა, ერთი საათი აცდევინა, მიუხედავად იმისა, რომ მოახლემ ბუდუარის კარზე მიუკაკუნა და გადასცა მადამ დე სენტესტევის სავიზიტო ბარათი, რაზედაც აზიამ წააწერა: მოსული ვარ სასწრაფო საქმეზე, რომელიც ლუსიენს შეეხება,,.

ჰერცოგინიას დანახვაზე აზია უმალ მიხვდა, რა უდროო დროს მოსულიყო, ამიტომაც ბოდიში მოუხადა, მაპატიეთ, მყუდროება დაგირღვიეთ, მაგრამ ლუსიენს დიდი საფრთხე მოელის და სხვა გზა არ მქონდაო.

ვინა ხართ? თავაზიანობის წესები აღარაფრად ჩააგდო ჰერცოგინიამ და აათვალიერჩაათვალიერა აზია, რომელსაც დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზში, ბატონი მასოლის წინაშე, შეეძლო თავი ბარონის მეუღლედ გაესაღებინა, მაგრამ კადინიანთა სასახლის პატარა სალონის ხალიჩებზე ისე მოჩანდა, როგორც ქათქათა ატლასის კაბაზე ქონის ლაქა.
ტანსაცმლით მოვაჭრე გახლავართ, ჰერცოგინია, და მოგეხსენებათ, ისე არავინ დაიჭერს ჩემი ხელობის ადამიანთან საქმეს, თუ დარწმუნებული არ არის, რომ მისი საიდუმლოება არ გახმაურდება. ჩემს სიცოცხლეში არავისთვის მიღალატია და ღმერთმა უწყის, რამდენ დიდ ქალბატონს მთელი ერთი თვით ჩემთვის თავისი თვალმარგალიტი მოუნდვია და სამაგიეროდ ჩემგან მათი ბრილიანტების მსგავსი ყალბი სამკაული მიუღია.

სხვა სახელიც გაქვთ? ჰკითხა ჰერცოგინიამ და გაიღიმა, რადგან აზიას სიტყვებმა რაღაც გაახსენა.

დიახ, ჰერცოგინია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვითარების დროს ქალბატონი სენტესტევი ვარ, მაგრამ სავაჭრო საქმეებში მადამ ნურისონი გახლავართ.

კარგი, კარგი, ცოცხლად მიუგო ჰერცოგინიამ უკვე შეცვლილი კილოთი.

შემიძლია, განაგრძო აზიამ, დიდი სამსახური გავუწიო ადამიანს, რადგან ჩვენ მარტო ცოლების საიდუმლოება კი არ ვიცით, ქმრების საიდუმლოებაც კარგად მოგვეხსენება. ჩემთან ხშირად ჰქონია საქმე ბატონ დე მარსეს, რომელსაც ქალბატონი...

კმარა, კმარა! შეჰყვირა ჰერცოგინიამ, ლუსიენზე ვილაპარაკოთ.

თუ ჰერცოგინიას ნებავს მისი გადარჩენა, მაშინ გამბედაობით აღიჭურვოს და ჩაცმაზე დროს ნუ დაკარგავს. გამოგიტყდებით, შეუძლებელია ქალბატონი იმაზე ლამაზი იყოს, ვიდრე ახლა ბრძანდება. გასაგიჟებლად მშვენიერი ხართ, გეფიცებით, დაუჯერეთ დედაბრის სიტყვას! კარეტას ნუ გამოაყვანინებთ, ჩემთან ერთად ფიაკრში ჩაბრძანდით... წავიდეთ ქალბატონ დე სერიზისთან, თუ არ გსურთ თქვენი ქერუბინის სიკვდილზე უარესი უბედურება დატრიალდეს...

კარგი, მოგყვებით, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დაჰყაბულდა ჰერცოგინია, ორივენი ერთად ლეონტინს გავამხნევებთ...

თუმცა ეს კატორღის დორინი ნამდვილი ჯოჯოხეთის მოციქულივით უტრიალებდა საქმეს, საათმა უკვე ორჯერ ჩამოჰკრა, როდესაც ჰერცოგინია დე მონფრინიეზთან ერთად მივიდა ქალბატონ დე სერიზისთან, რომელიც შოსე დ-ანტენის ქუჩაზე ცხოვრობდა. აქ კი ჰერცოგინიას წყალობით ერთი წუთიც არ დაუკარგავთ, მაშინვე შეიყვანეს გრაფინიასთან. იგი დივანზე წამოწოლილი დაუხვდათ, შვეიცარიულ შალეს მსგავს პატარა სახლში, რომელსაც ირგვლივ ბაღი ერტყა. ბაღში იშვიათი ყვავილები დამათრობელ სურნელებას აფრქვევდნენ.

ძალიან კარგი, მიმოიხედა აზიამ, ყურს ვერავინ დაგვიგდებს.

ეჰ, ჩემო ძვირფასო, ვკვდები! მითხარი, დიანა, გააკეთე რამე? შესძახა გრაფინიამ, შველივით წამოხტა, მხრებზე მოეხვია ჰერცოგინიას და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსცვივდა.

მშვიდად, ლეონტინ, იქმნება ხოლმე ისეთი ვითარება, როცა ჩვენისთანა ქალმა კი არ უნდა იტიროს, უნდა იმოქმედოს, უთხრა ჰერცოგინიამ, გრაფინია ძალად ჩამოსვა დივანზე და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

აზია გრაფინიას, ბებერ ბოზს რომ სჩვევია, ისე ათვალიერებდა. მისი თვალი ქალის სულში ისე შეიჭრა, როგორც ქირურგის დანა ჭრილობაში. ჟაკ კოლენის მეგობარმა შენიშნა, იგი აეფორიაქებინა მაღალი წრის ქალბატონისთვის ესოდენ იშვიათ გრძნობას, ნამდვილ მწუხარებას, ისეთ დარდსა და ვარამს, რაც წარუშლელ კვალს ტოვებს გულში და სახეზე.

კეკლუცობის ნატამალიც კი არ ეტყობოდა მის ჩაცმულობას! იმ ხანებში გრაფინია ორმოცდახუთ გაზაფხულს ითვლიდა და დაჭმუჭნილი მოჩითული მუსლინის პენუარიდან შიშველი, უკორსეტო მკერდი მოუჩანდა... ჩაღამებული თვალები და ალეწილი სახე მეტყველებდა, რომ ბევრი ცრემლი დაეღვარა, პენუარზე ქამარიც კი არ ერტყა. პერანგისა და ქვედაკაბის მაქმანები დასრესოდა. მაქმანის ჩაჩიდან თმა ჩამოშლოდა, ეტყობოდა, მთელი დღეღამის განმავლობაში ზედ სავარცხელიც კი არ მიჰკარებოდა; საცოდავად გასწეწოდა კულულები და თხელი კიკინები. ლეონტინს დავიწყებოდა ხელოვნური ნაწნავების მიმაგრება.

თქვენს სიცოცხლეში პირველად გიყვართ! ჭკუის დამრიგებლური კილოთი უთხრა აზიამ. ლეონტინმა მხოლოდ ახლა შენიშნა ეს ქალი და შიშისგან შეკრთა.

ვინ არის, დიანა, საყვარელო? ჰკითხა ჰერცოგინია დე მონფრინიეზს.

როგორ გგონია, ვის მოვიყვანდი, თუ არა ლუსიენის ერთგულ ქალს, რომელიც მზადაა, ყოველგვარი სამსახური გაგვიწიოს.

აზიამ სიმართლე გამოიცნო, ქალბატონი დე სერიზი მაღალი საზოგადოების ერთერთ ყველაზე თავქარიან ქალად ითვლებოდა, მაგრამ მთელი ათი წელიწადი მარკიზ დჟეგლემონის საყვარელი იყო, მისი კოლონიაში გამგზავრების შემდეგ კი ლუსიენზე გადაირია და ჰერცოგინია დე მონფრინიეზს წაართვა. მან, მთელი პარიზისა არ იყოს, არ იცოდა, ლუსიენს რომ ესთერი უყვარდა. მაღალ წრეში ერთი გამოაშკარავებული გატაცება უფრო მეტად უბღალავს სახელს ქალს, ვიდრე ათი ფარული სასიყვარულო თავგადასავალი; თუ ორი ვინმეს ტრფობა გამჟღავნდა, მაშინ ხომ სულ თავი მოეჭრება. მაგრამ აბა, ვინ მოსთხოვდა ანგარიშს ქალბატონ დე სერიზის, რამდენი საყვარელი ჰყავდა და მემატიანეც თავდებად ვერ დაუდგებოდა მის სათნოებას, თუკი ორჯერ ნამდვილად ჩავარდნილიყო განსაცდელში. საშუალო ტანისა იყო და ისე შენახული, როგორც შეეფერება ქერა ქალს, ერთი სიტყვით, ოცდაათი წლისასაც არ ჰგავდა. ნაზი იყო, მაგრამ გამხდარი არ ეთქმოდა, თეთრი კანი ჰქონდა, ქერა თმა. მისი ხელფეხი, სხეული, არისტოკრატული სინატიფით გამოირჩეოდა. ენაკვიმატი იყო ყველა რონკეროლივით და ქალების მიმართ იმდენ ბოროტებას იჩენდა, რამდენ სიკეთესაც ამჟღავნებდა მამაკაცების მიმართ. პირადი აურაცხელი ქონება, ქმრისა და ძმის, მარკიზ დე რონკეროლის, მაღალი მდგომარეობა აცილებდა ყოველგვარ უსიამოვნებას, რაც მასავით თავაწყვეტილ ყველა სხვა ქალს უეჭველად თავს დაატყდებოდა. ერთი ღირსება კი ჰქონდა: თავის გატაცებებს არ მალავდა. აშკარად აღიარებდა რეგენტობის ეპოქაში გაბატონებული ჩვევების თაყვანისცემას. აქამდე მამაკაცები მისთვის მარტოოდენ სასიამოვნო სათამაშოები იყვნენ და თუმცა საყვარლებისთვის ბევრი რამეც გაუწირავს, მისთვის რომ გეკითხათ, სატრფიალოდ მსხვერპლის გაღება მარტოოდენ მამაკაცების დასამორჩილებლად სჭირდებოდა. მაგრამ ორმოცდაორი წლისა ლუსიენს გადაეყარა და ისეთმა სიყვარულმა დაატყვევა მისი გული,

როგორც ბარონ დე ნიუსინჟენს შეჰყვარებოდა ესთერი. პარიზელ ქალებსა და დიდ ქალბატონებს სიყმაწვილე უფრო ხშირად უბრუნდებათ, ვიდრე ხალხს ჰგონია და ზოგი პატიოსანი ქალის გამოუცნობი დაცემის მიზეზი ხდება სწორედ იმ დროს, როცა ამ ბანოვანთ ორმოცი წელი კარზე მიუკაკუნებს. ჰერცოგინია დე მონფრინიეზი ერთადერთი მესაიდუმლე გახლდათ ამ შემზარავი და ყოვლისმომცველი ვნებისა, რისგან მიღებული ბედნიერებაც ლეონტინს პირველი სიყვარულის ბავშვურ სიტკბოებასაც განაცდევინებდა და ლაგამამოდებულ ვნებათაღელვასაც; ოღონდ ეგ იყო, რომ ჟინის მოკვლა უფრო მეტად აგიჟებდა ქალს და დაუცხრომელს ხდიდა.

იტყვიან, ნამდვილი სიყვარული ულმობელიაო. ესთერის ამბავი რომ გაიგო, გააფთრებული ქალბატონი დე სერიზი ლუსიენს გაებუტა. ისე განრისხდა, რომ თვითმკვლელობას აღარაფერი უკლდა. მერე დადგა გულწრფელი სიყვარულისთვის ესოდენ ტკბილი წუთები, წუთები დამამცირებელი დათმობისა. სწორედ ამიტომ, აგერ ერთი თვე იქნებოდა, გრაფინიას ლუსიენი ენატრებოდა. ოღონდ მასთან ერთად მხოლოდ ერთი კვირა გაეტარებინა და ათი წლის სიცოცხლეს არ დაიშურებდა. ბოლოს ესთერის მეტოქეობასაც შეურიგდა, მთელი არსებით მიეცა მწველ ნეტარებას და სწორედ ამ დროს განკითხვის დღის ნაღარასავით გაისმა მისი საყვარლის დაპატიმრების ამბავი. გრაფინიამ კინაღამ სული განუტევა. ქმარი სასთუმალთან უჯდა, ეშინოდა, ბოდვისას წამოსროლილი სიტყვებისთვის ვინმეს არ მოეკრა ყური. მთელი დღეღამე ქალს გულში ხანჯალივით უტრიალებდა სევდავარამი. ციებცხელებით შეპყრობილი ქმარს ეუბნებოდა, გაათავისუფლე ლუსიენი და მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებო.

ჰერცოგინიას ბრძანებისა არ იყოს, მომაკვდავი შველივით თვალები რომ მიგილულავთ, მაგის დრო არ გახლავთ, შეჰყვირა საზარელმა აზიამ, მკლავში მაგრად ჩაავლო ხელი და შეანჯღრია, თუ მისი გადარჩენა გსურთ, ერთი წუთიც არ უნდა დაკარგოთ. იგი უდანაშაულოა, დედაჩემის ძვლებს გეფიცებით!

ოჰ, მართლა, ხომ ასეა, არა? შესძახა გრაფინიამ და ნდობით შეხედა ამ შემაძრწუნებელ ნათლიდედას.

მაგრამ, განაგრძო აზიამ, ბატონი კამიუზო თუ უკუღმართად დაჰკითხავს, ორიოდე სიტყვით დამნაშავედაც გამოიყვანს. თუ იმდენი ძალაუფლება გაგაჩნიათ, რომ კონსიერჟერიში,, შესვლას მოახერხებთ და ლუსიენს ინახულებთ, ნუღარ აყოვნებთ. ახლავე გაეშურეთ და ეს ქაღალდი გადაეცით. გარწმუნებთ, ხვალვე გაათავისუფლებენ. თქვენ ჩასვით და თქვენვე გამოიყვანეთ!

მე?!

დიახ თქვენ! თქვენ და თქვენისთანა დიდ ქალბატონებს არასოდეს ერთი სუც არ გიჭყავით, თუმცა მილიონებში ხართ ჩაფლული. როცა მე თავს ფუფუნების უფლებას ვაძლევდი და ბიჭები მყავდა, ჯიბეში ოქროს არ ვულევდი. იმას რა სჯობია, დედაც იყო და საყვარელიც! თქვენისთან ქალები კი მათ საქმეზე თავს არ იცხელებენ; გიყვართ და არაფრად აგდებთ, შიმშილით თუ კუჭი უხმებათ. აბა, ესთერი გენახათ, ბრტყელბრტყელ სიტყვებს კი არ ისროდა, სული და ხორცი გასწირა და მისცა მილიონი, რომელიც ლუსიენს მოსთხოვეს. სწორედ მაგ მილიონისთვის ჩავარდა ასეთ ყოფაში...

საწყალი გოგო! ასე მოიქცა? როგორ შემიყვარდა! თქვა ლეონტინმა.

ოჰო, ახლა გაგისკდათ სიყვარულის ქოთანი? ცივი ირონიით ჰკითხა აზიამ.

ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ახლა, ჩემო ანგელოზო, შენ იმაზე ლამაზი ხარ... ხოლო ლუსიენისა და კლოტილდის ქორწინება საბოლოოდ ჩაიფუშა, ვეღარაფერი უშველის, ჩასჩურჩულა ჰერცოგინიამ ლეონტინს.

ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა გრაფინიაზე, რომ მწუხარება ვიღას ახსოვდა, შუბლზე ხელი გადაისვა და ისევ ყმაწვილქალად იქცა.

აბა, ჩემო პაწიავ, მომე თათი და სწრაფად შევუდგეთ საქმეს! უთხრა აზიამ, რომელმაც შენიშნა ეს ცვლილება და მიზეზსაც მიხვდა.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ბატონ კამიუზოს უნდა შევუშალოთ ხელი. არ უნდა დაჰკითხოს ლუსიენი, განაცხადა ქალბატონმა დე მონფრინიეზმა, ლეონტინ, მოდი, ორიოდე სიტყვა დავწეროთ და სასახლეში გავგზავნოთ. შენს ლაქიას გავატანოთ.

მაშ, შინ შევიდეთ, უთხრა ქალბატონმა დე სერიზიმ.

ახლა კი ვნახოთ, რა ხდება სასახლეში,,, სანამ ლუსიენის მფარველნი ჟაკ კოლენის მითითებებს ასრულებენ.

ჟანდარმებმა სულთმობრძავი ბატონი კამიუზოს კაბინეტში, ფანჯრის წინ, სკამზე ჩამოსვეს. ბატონი კამიუზო მაგიდასთან, სავარძელში ჩაბრძანებულიყო. კოკარს კალამი მოემარჯვებინა და გამომძიებლისგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე პატარა მაგიდას მისჯდომოდა.

სასამართლოს გამომძიებლის კაბინეტის მდებარეობა მნიშვნელობას მოკლებული როდი გახლავთ. და თუ კამიუზოს ოთახი შემთხვევით იყო შერჩეული, უნდა ვაღიაროთ, შემთხვევა მართლმსაჯულებისადმი მოწყალე ყოფილა. მაგისტრატებს, მხატვრების დარად, ჩრდილოეთის მხრიდან შემოსული თანაბარი და მკვეთრი შუქი ესაჭიროებათ, რამეთუ

დამნაშავის სახე მათთვის წარმოადგენს სურათს, დაკვირვებით რომ უნდა შეისწავლონ. ამიტომაც თითქმის ყველა გამომძიებელი საწერ მაგიდას კამიუზოსავით ისე დგამს, რომ თავად სინათლისკენ ზურგით ზის, ხოლო დასაკითხად გამოძახებულს სინათლე პირდაპირ სახეში სცემს. ექვსი თვის პრაქტიკის გავლის შემდეგ ყველა გამომძიებელი გონებადაფანტული, ვულგარული კაცის გამომეტყველებას იღებს. აკი ამ მეთოდისა და ჯიქურ დასმული შეკითხვების წყალობით გაიხსნა კასტენის დანაშაული უკანასკნელ წუთს, სწორედ მაშინ, როცა გენერალურ პროკურორთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მოსამართლე აპირებდა, საზოგადოებისათვის დაებრუნებინა დამნაშავე, რაკი სათანადო დამამტკიცებელი საბუთები არ ჰქონდა. ეს პატარა დეტალი თვით ყველაზე გონებადახშულ ადამიანსაც კი შეუქმნის წარმოდგენას, რაოდენ ცოცხალი, მძაფრი, საინტერესო, დრამატული და საშინელია სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებლის ბრძოლა, რომელიც მოწმეთა გარეშე ხდება, მაგრამ ყოველთვის ოქმშია შეტანილი. მარტო ღმერთმა უწყის, მგზნებარე სცენის შემდეგ რა რჩება ქაღალდზე; დაკითხვებისას კაცს ძარღვებში სისხლი ეყინება, ხოლო გამოხედვა, ხმის კანკალი, სახის კუნთების თრთოლა, ფერის მცირეოდენი შეცვლა და მღელვარება თანაბრად დამღუპველია. გამომძიებლისა და პატიმრის ორთაბრძოლა ველურთა შერკინებას ჰგავს. მოწინააღმდეგენი ფარულად უთვალთვალებენ ერთმანეთს, რათა შესაფერ დროს საფრიდან გამოხტნენ და ერთმანეთი ამოხოცონ. ამგვარად, ოქმი სხვა არაფერია, თუ არა ხანძრისგან დარჩენილი ფერფლი.

თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი? ჰკითხა კამიუზომ ჟაკ კოლენს.
დონ კარლოს ერერა, ტოლედოს სამეფო კაპიტულის კანონიკი, მისი აღმატებულება ფერდინანდ VIIის საიდუმლო დესპანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟაკ კოლენი ფრანგულად რის ვაივაგლახით ლაპარაკობდა. სიტყვებს ამტვრევდა და ისე ღმუოდა, რომ პასუხი სრულიად გაუგებარი იყო და გამომძიებელი გამეორებას მოითხოვდა, ბატონი ნიუსინჟენის ჭარბმა გერმანიზმებმა ხომ ისედაც მეტისმეტად დაამძიმეს ეს ამბავი და ამიტომ ზედმეტად მივიჩნიეთ, შეგვეტანა სხვა ძნელად წასაკითხი ფრაზებიც, რაც მოქმედების მსვლელობას შეაფერხებდა.

შეგიძლიათ წარმოგვიდგინოთ თქვენი პიროვნებისა და წოდების დამადასტურებელი საბუთები? ჰკითხა გამომძიებელმა.
დიახ, ბატონო, პასპორტი, წერილი მისი კათოლიკური აღმატებულებისადმი, რაც ადასტურებს ჩემს მისიას... დაბოლოს, შეგიძლიათ ესპანეთის ელჩს გადაუგზავნოთ ორიოდე სიტყვა, რასაც მე თქვენი თანდასწრებით დავწერ და ჩემზე შუამდგომლობა აღიძვრება. გარდა ამისა, თუ სხვა დამამტკიცებელ საბუთსაც მოითხოვთ, წერილს მივწერ მის უწმინდესობა საფრანგეთის მეფის უმაღლეს მოძღვარს და იგი მაშინვე მოავლენს თავის პირად მდივანს.

კვლავ სულთმობრძავად მოგაქვთ თავი? ჰკითხა კამიუზომ, მართლა რომ განიცდიდეთ ტკივილს, რასაც დაპატიმრების შემდეგ უჩივით, ახლა ცოცხალიც აღარ უნდა იყოთ, დასძინა ირონიით.

თქვენ გინებებიათ სასამართლო პროცესი აღძრათ უდანაშაულო კაცის მამაცობასა და ორგანიზმის გამძლეობის წინააღმდეგ! თვინიერად მიუგო პატიმარმა.

კოკარ, დარეკეთ ზარი! გამოუძახეთ კონსიერჟერის,, ექიმსა და სანიტარს. იძულებული ვარ, რედინგოტი გაგხადოთ და შეგამოწმოთ, მხარზე თუ გაქვთ დამღა, განუცხადა კამიუზომ.

ბატონო, მე თქვენს ხელთა ვარ.

პატიმარმა გამომძიებელს ჰკითხა, იქნებ კეთილი ინებოთ და ამიხსნათ, რა დამღაზე მელაპარაკებით და რატომ უნდა მქონდეს იგი მხარზეო. მაგისტრატი ელოდა ამ შეკითხვას.

ეჭვობენ, რომ თქვენ ხართ ჟაკ კოლენი, გაქცეული კატორღელი, რომლის კადნიერებას საზღვარი არა აქვს და მკრეხელობის წინაშეც კი უკან არ დაიხევს! ერთბაშად მიახალა გამომძიებელმა და თვალი თვალში გაუყარა.
ჟაკ კოლენს წარბიც კი არ შეუხრია, არც გაწითლებულა, კვლავ მშვიდად იჯდა და გულუბრყვილო სახით გაკვირვებული შესცქეროდა კამიუზოს.

მე, ბატონო, კატორღელი? ორდენმა, რომელსაც მე ვეკუთვნი, და მამაზეციერმა შეგინდოთ ამგვარი შეცოდება. მიბრძანეთ, როგორ მოვიქცე, რომ შეურაცხყოფა აღარ მიაყენოთ საერთაშორისო სამართალს, ეკლესიასა და მეფეს, მბრძანებელს ჩემსას.

გამომძიებელმა კითხვაზე პასუხი არ გასცა, მხოლოდ განუმარტა პატიმარს, თუ ოდესმე თქვენთვის მხარზე დამღა დაუსვამთ, რასაც კანონი უსჯის კატორღელებს, საკმარისია, მხარზე ხელი დაგარტყან და ასოები მყისვე გამოჩნდებაო.

აჰ, ბატონო, თქვა ჟაკ კოლენმა, რა დიდი უბედურება იქნება, მეფის ერთგულება ასე საბედისწეროდ რომ დამიგვირგვინდეს.
ამიხსენით, რისი თქმა გსურთ? უთხრა გამომძიებელმა, თქვენ ხომ სწორედ ამისთვის ხართ აქ?

იცით, ბატონო, ზურგზე აურაცხელი ჭრილობა მაქვს. კონსტიტუციონალისტებმა დახვრეტა მომისაჯეს და ზურგში ტყვია დამახალეს როგორც სამშობლოს მოღალატეს, თუმცა ჩემი მეფის ერთგული გახლდით. მერე, ეგონათ, მკვდარიაო და იქვე დამაგდეს.

დაგხვრიტეს და გადარჩით? გაიოცა კამიუზომ.

ჯარისკაცებთან შეთანხმებული ვიყავი. ისინი ღვთისმორწმუნე ადამიანებმა ფულით დაასაჩუქრეს. ისე შორს დამაყენეს, რომ ტყვიამ მხოლოდ გამკაწრა. ჯარისკაცები ზურგში მიმიზნებდნენ. ამის დადასტურება შეუძლია მის აღმატებულება ელჩს.

ამ ჯოჯოხეთის მოციქულს ყველაფერზე მზადა აქვს პასუხი, თუმცა მაგას რა სჯობს,,, ფიქრობდა კამიუზო, რომელიც ასეთ სიმკაცრეს მხოლოდ მართლმსაჯულებისა და პოლიციის საამებლად იჩენდა.

როგორ მოხდა, რომ თქვენი წოდების ადამიანი ბატონი დე ნიუსინჟენის ხასასთან იყავით. მერედა, რა ქალთან, მეძავთან!

ახლავე მოგახსენებთ, რატომ გახლდით კურტიზანის ბინაში, ბატონო, მიუგო ჟაკ კოლენმა, მაგრამ, სანამ მიზეზს გეტყოდეთ, მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ კიბის პირველ საფეხურზე ფეხი ავდგი თუ არა, მეტად მწვავე შეტევა დამეწყო და ველარ მოვასწარი იმ ქალისთვის რაიმე მეთქვა. შემატყობინეს, მადმუაზელ ესთერს თავის მოკვლა გადაუწყვეტიაო და რაკი საქმე ეხებოდა ახალგაზრდა ლუსიენ დე რუბამპრეს, ვინც გამორჩეულად მიყვარს და ამ სიყვარულის მიზეზი წმიდათაწმიდაა ჩემთვის, ვიფიქრე, რაიმე უნდა ვიღონო და საბრალო, სასოწარკვეთილებამდე მისული არსება უბედურებისგან უნდა ვიხსნამეთქი. მინდოდა, მისთვის მეცნობებინა, ლუსიენის უკანასკნელი ცდა მადმუაზელ კლოტილდის ხელის მოსაპოვებლად უთუოდ მარცხით დამთავრდებამეთქი. ამასთან, იმედიც მქონდა, ცხოვრების ხალისს დავუბრუნებ, რაკი მემკვიდრეობის შვიდი მილიონის მიღების ამბავს შევატყობინებმეთქი. დარწმუნებული ვარ, ბატონო გამომძიებელო, ჩემდამი მონდობილი საიდუმლოებების მსხვერპლი გავხდი. ისე უეცრად დამრია ხელი ამ უცნაურმა სენმა, ვფიქრობ, იმ დილით ვიღაცამ მომწამლა, მაგრამ მაგარი ჯანი მაქვს და გადავრჩი. რამდენი ხანია, ერთი პოლიტიკური პოლიციის აგენტი მითვალთვალებს და სულ იმის ცდაშია, რაიმე ბნელ საქმეში გამხვიოს. ჩემი თხოვნისამებრ, დაპატიმრების დღესვე რომ მოგეწვიათ ექიმი, ხელთ გექნებოდათ დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რასაც ჩემი ავადმყოფობის თაობაზე მოგახსენებთ. მერწმუნეთ, ბატონო, თავიანთი მდგომარეობით თქვენზე და ჩემზე მაღლა მდგომი პირნი დაინტერესებულნი ბრძანდებიან, ვიღაც ბოროტმოქმედს მიმამსგავსონ და კანონის თანახმად, ოფიციალურად თავიდან მომიშორონ. ყოველთვის არ გახლავთ სარფიანი მეფეთა სამსახური, მათაც აქვთ წვრილმანი სისუსტე და შეცოდებანი. მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიაა უცოდველი.

შეუძლებელია ჟაკ კოლენის გამომეტყველების აღწერა. ამ ტირადის წარმოთქმას განგებ ათი წუთი მოანდომა; ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა იმდენად ჰგავდა სიმართლეს, განსაკუთრებით კორანტენზე გადაკრული ნათქვამი, რომ მაგისტრატი შეყოყმანდა.

ხომ ვერ მეტყვით, რატომ დაუახლოვდით ასე ბატონ დე რუბამპრეს?

ნუთუ ვერ ხვდებით? 60 წლისა ვარ, ბატონო... გევედრებით, ეს არ ჩაწეროთ... ეს გახლავთ... ნუთუ სავალდებულოა ამის თქმა?..

თქვენი, განსაკუთრებით კი ლუსიენ დე რუბამპრეს ინტერესების დასაცავად ყველაფრის თქმაა საჭირო, მიუგო გამომძიებელმა.

ეჰ, კარგი... იგი... ო, ღმერთო ჩემო!.. შვილია ჩემი! დასძინა მან ლუღლუღით და გული შეუღონდა.

მაგას ნუ ჩაწერთ, კოკარ, ჩურჩულით უთხრა კამიუზომ.

კოკარი წამოხტა და მოარბენინა შუშა ძმრით, ოთხი ქურდი,, რომ ეწოდება.

ეს თუ ჟაკ კოლენია, უდიდესი მსახიობი ყოფილა!,, გაიფიქრა კამიუზომ.

კოკარი ძველ კატორღელს ძმარს აყნოსვინებდა, ხოლო მაგისტრატი ფოცხვერისა და გამომძიებლის გამჭრიახი თვალით უკვირდებოდა.

ჯობს პარიკი მოხადოთ, უთხრა კამიუზომ კოკარს, სანამ ჟაკ კოლენი გონს მოდიოდა.
ძველმა კატორღელმა ამ სიტყვას ყური მოჰკრა და შიშით აკანკალდა, იცოდა, რა საზიზღარი შესახედავი იყო უპარიკოდ...

თუ თქვენ ძალა არ შეგწევთ მოიხსნათ პარიკი... კოკარ, თქვენ მოხადეთ, მიმართა მწერალს გამომძიებელმა.

ჟაკ კოლენმა ისე თვინიერად გასწია მწერლისკენ თავი, რომ შეუძლებელია, არ აღტაცებულიყო კაცი, თუმცა უპარიკოდ მისი მოტვლეპილი თავი შემზარავი დასანახი იყო; ჟაკ კოლენი ისე გამოიყურებოდა, როგორც ბუნებას გაეჩინა. მის დანახვაზე კამიუზო საგონებელში ჩავარდა. ექიმისა და სანიტრის მოლოდინში ლუსიენის ბინაში ნაპოვნი ქაღალდებისა და ნივთების მოწესრიგებას შეუდგა. სენჟორჟის ქუჩაზე მადმუაზელ ესთერის ბინის ჩხრეკას რომ მორჩნენ, მართლმსაჯულების მსახურნი მალაკეს ქუჩისკენ გაემართნენ და იქაც ყველაფერი გაჩხრიკეს.

თქვენ ხელთ გაქვთ გრაფინია დე სერიზის წერილები, უთხრა კარლოს ერერამ, მაგრამ ვერ გამიგია, როგორ შეკრიბეთ ლუსიენის თითქმის ყველა ქაღალდი? სარკასტული ღიმილით ჰკითხა გამომძიებელს.
კამიუზომ ღიმილი რომ შენიშნა, მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს თითქმის,,.

ლუსიენ დე რუბამპრე ეჭვმიტანილია, თქვენს თანამონაწილედ მიაჩნიათ და დააპატიმრეს, უთხრა კამიუზომ იმ მიზნით, რათა დაენახა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ცნობა პატიმარზე.

რა ჩაგიდენიათ, ის ხომ ჩემსავით სრულიად უდანაშაულოა, მიუგო ცრუ ესპანელმა უშფოთველად.

მაგასაც ვნახავთ. ჯერ თქვენი პიროვნება გვაქვს დასადგენი, თქვა პატიმრის სიმშვიდით გაკვირვებულმა კამიუზომ, თუ ნამდვილად კარლოს ერერა ბრძანდებით, მაშინ ლუსიენ შარდონის მდგომარეობა მყისვე შეიცვლება.

დიახ, ის მართლაც ქალბატონი შარდონი იყო, მადმუაზელ დე რუბამპრე! ჩაილაპარაკა კარლოსმა, ოჰ, ეგ ჩემი უდიდესი შეცოდებაა.

თვალნი ცისკენ აღაპყრო და ისე ააცმაცუნა ტუჩები, ჩანდა, მგზნებარედ ლოცულობდა.

მაგრამ თუ ჟაკ კოლენი ხართ და იგი შეგნებულად შეუამხანაგდა გაქცეულ კატორღელს, მკრეხელს, ყოველი ბრალდება, რასაც სამართალი უყენებს მას, სრულ ჭეშმარიტებად გადაიქცევა.

კარლოს ერერა ბრინჯაოს ქანდაკებასავით უგრძნობლად უსმენდა მაგისტრატის სხარტად წარმოთქმულ ფრაზას, მაგრამ სიტყვებს: შეგნებულად,, და გაქცეულ კატორღელს,, რომ მოჰკრა ყური, კეთილშობილი მწუხარებით გაასავსავა ხელები.

ბატონო აბატო, განაგრძო გამომძიებელმა უაღრესი თავაზიანობით, თუ კარლოს ერერა ბრძანდებით, შეგვინდობთ ყველაფერს, რასაც მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის ინტერესი გვავალდებულებს.
ჟაკ კოლენი გამომძიებლის კილოზე მიხვდა, იგი მახეს უგებდა, რაკი მიმართავდა, ბატონო აბატოო, და გულგრილად მოუსმინა. კამიუზოს კი ეგონა, თავს ვერ შეიკავებს და სიხარულით შეხტება, როგორც ყველა ბოროტმოქმედი, როცა ფიქრობს, მოსამართლე გავაცურეო და კმაყოფილებას ვერ მალავს. ნურას უკაცრავად, უდიდესი მაკიაველური ცბიერებით აღჭურვილი კატორღელი გმირი ფარხმლის დაყრას სულაც არ აპირებდა.

მე დიპლომატი გახლავართ და ვეკუთვნი ორდენს, რომელიც უმკაცრეს ვალდებულებებს გვაკისრებს, უთხრა ჟაკ კოლენმა წინასწარმეტყველური თვინიერებით, ჩემთვის ყოველივე გასაგებია და ყოველგვარ წამებას მიჩვეული ვარ. უკვე თავისუფალი ვიქნებოდი, ჩემს ბინაში რომ მიგეგნოთ საიდუმლო ადგილისთვის, სადაც ქაღალდებს ვინახავ. ვხედავ, სრულიად უმნიშვნელო საბუთები წამოგიღიათ...

ეს უკანასკნელი დარტყმა იყო კამიუზოსთვის, ჟაკ კოლენმა თავისი უბრალოებითა და გულახდილობით გაუფანტა ყოველგვარი ეჭვი, რაც მისი შიშველი თავის დანახვაზე აღეძრა.

სად არის ეგ ქაღალდები?..
გეტყვით, სადაც ვინახავ, თუ თქვენს წარგზავნილს გაჰყვება ესპანეთის საელჩოს მდივანი, რომელიც ამ ქაღალდებს ჩაიბარებს და მის წინაშე თქვენ იქნებით პასუხისმგებელი, რადგან საქმე შეეხება ჩემს მდგომარეობას, დიპლომატიურ დოკუმენტებს და ისეთ საიდუმლო ცნობებს, რაც ჩირქს სცხებს განსვენებულ მეფე ლუი XVIII-ს. ოჰ, ბატონებო, უმჯობესი იქნებოდა... თუმცა არა, თქვენ ხომ მაგისტრატი ბრძანდებით... ესეც არ იყოს, ელჩი, ვისაც ყოველივე ამის თაობაზე მივმართავ, თვითონ განსჯის.

ამ დროს ბოქაულმა გამომძიებელს აუწყა ექიმისა და სანიტრის მოსვლა და ისინიც შემოვიდნენ.

გამარჯობა, ბატონო ლებრენ, მიმართა კამიუზომ ექიმს, გამოგიძახეთ, რათა ამ პატიმრის ჯანმრთელობა შეამოწმოთ. თვითონ ამბობს, მომწამლეს და გუშინწინდელს აქეთ სიკვდილის პირას ვარო. გთხოვთ, ტანსაცმელიც გახადოთ და ნახოთ, მხარზე დამღა ხომ არა აქვს.
საექიმო შემოწმება დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა. ბატონმა ლებრენმა ჟაკ კოლენს მაჯა და ენა გულმოდგინედ გაუსინჯა.

პატიმარი მძიმედ ყოფილა ავად, თქვა ექიმმა, ამჟამად სრულიად ჯანმრთელი გახლავთ...

ბატონო, რაღაც უცნაურ დღეში ჩავვარდი.
ნერვები უკიდურესად დამეძაბა და ამის გამო ჯანმრთელად გამოვიყურები, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითია, ეპისკოპოსის ღირსებით თქვა ჟაკ კოლენმა.

ეგ მართლა შესაძლებელია, დაეთანხმა ბატონი ლებრენი.

გამომძიებელმა ანიშნა და პატიმარს შარვლის გარდა, ყველაფერი გახადეს. პერანგი რომ გააძვრეს, დამსწრეთა თვალწინ წარმოდგა ციკლოპური აღნაგობის ბალნიანი ტორსი. ეს იყო ფარნეზეს ჰერკულესი ნეაპოლის არქეოლოგიური მუზეუმიდან, მხოლოდ სიდიდით ჩამოუვარდებოდა მას.

ამგვარი აგებულების ადამიანს ბუნება ნეტავ რა დანიშნულებისთვის წარმოშობს? აღმოხდა ექიმს და კამიუზოსკენ შეტრიალდა.
ამასობაში ბოქაულიც დაბრუნდა. ხელში ეჭირა შავი ხის უცნაური სატყეპელა, რაც უხსოვარი დროიდან მისი თანამდებობის სიმბოლოს წარმოადგენს და კვერთხი ჰქვია. რამდენჯერმე

დასცხო მხარზე იმ ადგილას, სადაც ჯალათი საბედისწერო ასოებს ამოშანთავს ხოლმე. გამოჩნდა ჩვიდმეტი ახირებულად განლაგებული ფოსო, მაგრამ როგორ არ აკვირდებოდნენ, როგორ არ უკირკიტებდნენ, ვერ იქნა და ასოების მოხაზულობის კვალს ვერ მიაგნეს. მხოლოდ ბოქაულმა შენიშნა ორი პაწია ფოსო, ბოლოები მძიმეებს რომ მიუგავდა. მათ შორის მანძილიც იმდენი იყო დარჩენილი, რომ ასო ๐

ს ქუდი თავისუფლად მოთავსდებოდა. ქვევით ერთი სხვა ფოსოც ჩანდა და ისიც ასოს კორპუსის ქვედა ხაზის ბოლოდ ჩაითვლებოდა.

დარწმუნებით მაინც ვერაფერს ვიტყვით, თქვა კამიუზომ, რადგან კონსიერჟერის,, ექიმს დაეჭვება შეატყო.

კარლოსმა ითხოვა, ასევე მომისინჯეთ მეორე მხარიც და ზურგიცო. ახლა თხუთმეტიოდე ნაიარევმა გამოანათა, რაც ესპანელის თხოვნის დასაკმაყოფილებლად დაკვირვებით შეამოწმა ექიმმა და თქვა, ზურგი ისეთი ღრმა ჭრილობებით აქვს დასერილი, რომ დამღა, თუნდაც ოდესღაც კიდევაც დაესვა ჯალათს, მაინც ვერ გამოჩნდებოდაო.

ამ დროს პოლიციის პრეფექტურის კანცელარიიდან გამოგზავნილი ბიჭი შემოვიდა, ბატონ კამიუზოს პაკეტი გადასცა და პასუხი მოითხოვა. მაგისტრატმა წერილი წაიკითხა, კოკარს მიუახლოვდა და ლაპარაკი გაუბა, მაგრამ ისე ხმადაბლა ეჩურჩულებოდა, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგონა. მხოლოდ კამიუზოს გამომეტყველებაზე მიხვდა ჟაკ კოლენი, პოლიციის პრეფექტს რაღაც ცნობები უნდა გამოეგზავნა მასზე. პერადის მეგობრის ოინებია, გაიფიქრა ჟაკ კოლენმა, სულ კუდში დამდევს. რომ მცოდნოდა, კონტანსონივით თავიდან მოვიშორებდი. ნეტავი თუ კიდევ შევხვდები აზიას?,,

კოკარმა რაღაც დაწერა, კამიუზომ ხელი მოაწერა, კონვერტში ჩადო და საგანგებო დავალებათა აღმასრულებელი კანცელარიის კლერკს გადასცა.

საგანგებო დავალებათა კანცელარია მართლმსაჯულების აუცილებელი თანაშემწეა. მას სათავეში უდგას პოლიციის კომისარი

ად ჰოც

, რომელსაც პოლიციის ზედამხედველები ექვემდებარებიან. ზედამხედველნი, თითოეული უბნის პოლიციის კომისრის დახმარებით, ბრძანების თანახმად, ჩხრეკენ და აპატიმრებენ კიდეც იმ პირებს, ვისაც ბრალად ედებათ ბოროტმოქმედებსა და კანონის დამრღვევებთან კავშირი. როგორც ვხედავთ, ეს მართლმსაჯულების ხელისუფალთა რწმუნებულნი გამოძიების საქმეებით დატვირთულ მაგისტრატებს ძვირფას დროს უქმად არ აკარგვინებენ.

კამიუზომ ისევ ნიშანი მისცა; ბატონმა ლებრენმა და სანიტრებმა პატიმარს ტანთ ჩააცვეს. მერე ბოქაულთან ერთად კაბინეტიდან გავიდნენ. კამიუზო მაგიდას მიუჯდა და კალამი აათამაშა ხელში.

თქვენ გყავთ მამიდა, უცბად მიახალა გამომძიებელმა ჟაკ კოლენს.
მამიდაო, შეიცხადა დიდად განცვიფრებულმა დონ კარლოს ერერამ, მე ხომ ნათესავები არა მყავს. განსვენებული ჰერცოგ დ‚ოსუნას ძე გახლავართ, თუმცა იგი საქვეყნოდ არ აცხადებდა ამას.

გულში კი ამბობდა: ცხელია!,, როგორც დამალობანას თამაშისას სჩვევიათ. მართლაც, ეს თამაში მართლმსაჯულებასა და დამნაშავეს შორის გაჩაღებული სასტიკი ბრძოლის ბავშვური გამოხატულებაა.

დიახ, ასეა, განაგრძო კამიუზომ, თქვენ ჯერ კიდევ გყავთ მამიდა, მადმუაზელ ჟაკლინ კოლენი, რომელსაც მეტსახელად რატომღაც აზია,, ეწოდება. თქვენ იგი მადმუაზელ ესთერთან მოახლედ დააყენეთ.
ჟაკ კოლენმა არხეინად აიჩეჩა მხრები, რაც აგრერიგად შეეხამებოდა მის ცნობისმოყვარეობით აღსავსე გამომეტყველებას, ხოლო მაგისტრატი დამცინავი ღიმილით აკვირდებოდა მას.

ყურადღებით იყავით, დასძინა კამიუზომ, კარგად მომისმინეთ.

გისმენთ, ბატონო.

თქვენი მამიდა ტამპლში ვაჭრობს. მის სავაჭროს ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის დამნაშავის და, ფრიად პატიოსანი ქალი, ვინმე მადმუაზელ პაკარი, მეტსახელად რომეტს რომ უწოდებენ. მართლმსაჯულებამ თქვენი მამიდის კვალს მიაგნო და სულ რამდენიმე საათში ხელთ გვექნება უტყუარი ფაქტები. ეგ ქალი თქვენი უსაზღვროდ ერთგულია.

განაგრძეთ, ბატონო მაგისტრატო, მშვიდად უთხრა ჟაკ კოლენმა კამიუზოს, როცა მან სიტყვა გაწყვიტა, მე გისმენთ.

მამიდა თქვენზე ასე, ხუთი წლით უფროსი იქნება. სხვათა შორის, იგი საყვარელი ბრძანდებოდა მარატისა, ვისი გახსენებაც კი ადამიანს ზიზღსა ჰგვრის. სწორედ ეს გახლდათ სისხლიანი წყარო, საიდანაც სიმდიდრე მოიხვეჭა... იმ ცნობების მიხედვით, რომელიც გადმომცეს, თურმე ნაქურდალ ნივთებსაც ყიდის, მაგრამ გაქნილი ვინმეა და მისი გასამტყუნებელი საბუთები ვერ უპოვიათ. იმავე ცნობებით, მარატის სიკვდილის შემდეგ დაახლოებია ერთ ქიმიკოსს, რომელსაც რევოლუციის XII წელს ყალბი ფულის მოჭრისთვის სიკვდილი მიუსაჯეს. პროცესზე მამიდათქვენიც გადიოდა, როგორც მოწმე. ქიმიკოსთან

ინტიმური მეგობრობის ჟამს, ჩანს, ტოქსიკოლოგიაც შეუსწავლია. XII წლიდან 1810 წლამდე ტანსაცმლითა და სამკაულებით ვაჭრობდა. ორჯერ დააპატიმრეს: ერთხელ 1812 წელს, მეორეჯერ 1816 წელს, არასრულწლოვანთა გახრწნისათვის... იმ ხანებში თქვენ ყალბი საბუთების დამზადების გამო პასუხისგებაში მიგცეს და იძულებული გახდით, დაგეტოვებინათ საბანკო კანტორა, სადაც მამიდამ თქვენი განათლებისა და გავლენიან პირთა მფარველობის წყალობით მოგაწყოთ. მამიდათქვენს ეს არ გასძნელებია, რადგან გავლენიან და ზნედაცემულ პიროვნებათა საამებლად შოულობდა უმანკო მსხვერპლს, რომელსაც ისინი ხრწნიდნენ... ბრალდებულო, რას იტყვით, ზემონათქვამი სრულიადაც არ შეეფერება ჰერცოგ დჟოსუნთა დიდებულებას, არა? განაგრძობთ ამ ბრალდების უარყოფას?

ჟაკ კოლენი ბატონ კამიუზოს უსმენდა და თან თავისი ბედნიერი ბავშვობა აგონდებოდა... ორატორთა კოლეჟი, სადაც სწავლობდა. ამგვარ ფიქრებში ჩაფლულს მართლაც გაკვირვება ეწერა სახეზე. როგორ არ ცდილობდა კამიუზო, რა ოსტატურად არ ატარებდა დაკითხვას, კოლენს უშფოთველ სახეზე ერთი კუნთიც არ ათრთოლებია.

თუ თქვენ ზუსტად ჩაიწერეთ ჩემი ახსნაგანმარტება, შეგიძლიათ გადაიკითხოთ, მიუგო მან, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ... კურტიზანის სახლში არ ვყოფილვარ და საიდან მეცოდინება, ვინ იყო მისი მზარეული. სრულებით არ ვიცნობ ადამიანებს, ვისზედაც თქვენ მეუბნებით. ასე იყოს, რაკი ყველაფერს უარყოფთ, მოწმეებს პირისპირ წაგიყენებთ. ვნახოთ, თქვენი სიჯიუტე სადამდე მიგყვებათ.

ერთხელ დახვრეტილი კაცი ყველაფერს გაუძლებს, თვინიერად უპასუხა ჟაკ კოლენმა.

საიდუმლო პოლიციის უფროსის მოლოდინში კამიუზომ ისევ ჩარგო თავი გაჩხრეკისას ნაპოვნ ქაღალდებში. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. დაკითხვა თერთმეტის ნახევარზე დაიწყო, ხოლო თორმეტის ნახევარზე ბოქაული შემოვიდა და გამომძიებელს ბიბილუპენის მოსვლა აუწყა.

შემოვიდეს! ბრძანა ბატონმა კამიუზომ.

ბიბილუპენი შემოვიდა, მაგრამ, როგორც მოელოდნენ, არ წამოიძახა, სწორედ ისაო. გაკვირვებული ერთ ადგილზე გაშეშდა. თავისი კლიენტი,, ვეღარ იცნო. უწინ მას ყვავილით დაკენკილი, ჩოფურა სახე არ ჰქონია.

ბიბილუპენის ყოყმანმა მაგისტრატიც შეაკრთო.

სწორედ იმისი ტანი აქვს, იმის მხარბეჭი, თქვა აგენტმა, აჰ, ეს შენ ბრძანდები, ჟაკ კოლენ, წამოიძახა მან, როცა დააკვირდა პატიმრის თვალებს, შუბლის მოყვანილობას, ყურებს,

ყველაფერს ვერ შეიცვლიდი... რასაკვირველია, ის არის, ბატონო კამიუზო... ჟაკს მარცხენა მკლავზე დანის ნაჭრილობევი აქვს. ერთი გახადეთ რედინგოტი, თავადვე ნახავთ...
ჟაკ კოლენი იძულებული გახდა, რედინგოტი ისევ გაეხადა, ბიბილუპენმა პერანგის სახელო აუწია და ნაჭრილობევი დაანახვა.

ეგ ნატყვიარია, სხვა ნაკაწრებსაც შეხედეთ, უთხრა დონ კარლოს ერერამ.

ოჰ, ხმაც სწორედ მისია! შეჰყვირა ბიბილუპენმა.

თქვენი რწმუნება შეიძლება ცნობად მივიღოთ, უთხრა მაგისტრატმა, მაგრამ არა დამამტკიცებელ საბუთად.

ეგ მეც ვიცი, მოკრძალებით დაეთანხმა ბიბილუპენი, ამიტომ მოწმეებიც მოვიყვანე, ვოკეს პანსიონის ერთი მდგმური უკვე აქ გახლავთ, თქვა და თან კოლენს გადახედა.

კოლენი მშვიდად იჯდა, წარბიც არ შეუხრია.

შემოიყვანეთ მოწმე, რიხით თქვა კამიუზომ, რომელიც ცდილობდა, გულგრილი გამომეტყველება შეენარჩუნებინა, მაგრამ უკმაყოფილება მაინც ვერ დაფარა.

მისი უკმაყოფილო კილო ჟაკ კოლენმა უმალ შენიშნა. გამომძიებლის კეთილგანწყობის დიდი იმედი არ ჰქონია, მაგრამ გუნება ეგრე უცაბედად რომ შეეცვალა, მიზეზს ღრმად ჩაუფიქრდა. ერთხანს თავი იმტვრია ამაზე, მერე, რაკი ვერაფერს მიხვდა, უგუნებობამ შეიპყრო.

ბოქაულმა შემოიყვანა მადამ პუარე. მის მოულოდნელ გამოცხადებაზე კატორღელი ოდნავ შეკრთა, მაგრამ მაგისტრატმა ვერ შეამჩნია. მას თითქოს უკვე მიეღო გადაწყვეტილება.

თქვენი გვარი და სახელი? გამომძიებელი შეუდგა ფორმალობის შესრულებას, რითაც იწყება ყველა დაკითხვა.
მუქლურჯ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილმა მადამ პუარემ, მოცუცქნულმა დედაბერმა, თეთრი პირისკანი ხბოს კისერივით რომ ჰქონდა დანაოჭებული, განაცხადა, კრისტინმიშელ მიშონო გახლავართ, ბატონი პუარეს ცოლიო. ორმოცდათორმეტი წლისა ვარ, პარიზში დავიბადე, პორტის ქუჩის კუთხეში, ახლა პულის ქუჩაზე ვცხოვრობ და ავეჯით გაწყობილ ოთახებს ვაქირავებო.

ქალბატონო, თქვენ 1818-19 წლებში გიცხოვრიათ ერთ საოჯახო პანსიონში, რომელიც ქალბატონ ვოკეს ეკუთვნოდა, უთხრა გამომძიებელმა.

დიახ, ბატონო, სწორედ იქ გავიცანი ბატონი პუარე, გადამდგარი ჩინოვნიკი და ცოლად გავყევი. აგერ ერთი წელია ლოგინიდან ვეღარ დგება... საწყალი ძალიან ავადაა. ამიტომ დიდი ხნით ვერ ვტოვებ ოჯახს.

იმხანად პანსიონში ვიღაც ვოტრენიც ცხოვრობდა, არა? ჰკითხ გამომძიებელმა.

ოჰ, ბატონო, ეგ მთელი ამბავია. ის ხომ საშინელი კატორღელი იყო...

თქვენ დიდად შეუწყვეთ ხელი მის დაპატიმრებას.

სიცრუეა, ბატონო...

გაფრთხილებთ, მართლმსაჯულების წინაშე დგახართ! დატუქსა ბატონმა კამიუზომ.

მადამ პუარე დუმდა.

გაიხსენეთ! განაგრძო კამიუზომ, კარგად გახსოვთ ის კაცი? ახლა თუ იცნობდით?
რა თქმა უნდა.

ეს კაცი ხომ არ არის? მიუთითა გამომძიებელმა.

მადამ პუარემ სათვალე დაიკოსა და აბატ კარლოს ერერას შეხედა.

იმასავით მხარბეჭიანია, სიმაღლეც იმისი აქვს, მაგრამ... არა... დიახ... ბატონო გამომძიებელო, დასძინა მან, მისი შიშველი მკერდისთვის რომ შემეხედა, მაშინვე ვიცნობდი (იხილეთ მამა გორიო,,).

ესოდენ მნიშვნელოვანი თანამდებობისა და მდგომარეობისდა მიუხედავად, გამომძიებელმა და მისმა მწერალმა თავი ვერ შეიკავეს და გაიცინეს. ჟაკ კოლენიც გამხიარულდა, მაგრამ უმალ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. ბიბილუპენმა რომ გახადა, ჯერ არ ჩაეცვა რედინგოტი და გამომძიებელმა ბრალდებულს ანიშნა თუ არა, მაშინვე თავაზიანად გადაიღეღა მკერდი.

სწორედ ისევე ბანჯგვლიანია, მაგრამ ჭაღარა გამოგრევიათ, ბატონო ვოტრენ, შეჰყვირა მადამ პუარემ.
რას გვეტყვით ამაზე? ჰკითხა მაგისტრატმა.

იმას, რომ ეგ გიჟია! მიუგო ჟაკ კოლენმა.

ოჰ, ღმერთო, თუკი აქამდე ეჭვი მეპარებოდა, იმიტომ, რომ სახე სულ სხვანაირი ჰქონდა მაშინ, ახლა ხმაზე დავრწმუნდი, სწორედ ისაა. როგორ მემუქრებოდა... გამოხედვაც იგივე აქვს.

სისხლის სამართლის პოლიციის აგენტი და ეგ ქალი წინასწარ ხომ ვერ შეთანხმდებოდნენ, ერთი და იგივე ვთქვათო, მიმართა გამომძიებელმა ჟაკ კოლენს, არც ერთსა და არც მეორეს თქვენ უწინ არ უნახავხართ. რით აგვიხსნით ამას?

მართლმსაჯულებას ამაზე მეტი შეცდომა დაუშვია! აბა, განა შესაძლებელია დაეყრდნოთ მაგ ქალის მოწმობას, კაცს მკერდზე ამოსული ბალნით რომ ცნობს, და პოლიციის აგენტის რაღაც ეჭვს? მიუგო ჟაკ კოლენმა, როგორც ჩანს, თვალებით, აღნაგობითა და ხმით მამსგავსებენ დიდ ბოროტმოქმედს, მაგრამ ეს უტყუარი საბუთია? მეტად ბუნდოვანია ამგვარი მტკიცება. ხოლო ქალბატონის მოგონებებიდან აშკარად ვხედავთ, რა ურთიერთობა ჰქონდა ჩემს ორეულთან, თუმცა ამის გამო სულაც არ გაწითლებულა... აკი თვითონაც გაგეცინათ! მე უფრო ვისწრაფვი ჭეშმარიტება დადგინდეს, ვიდრე თქვენ, ვინაიდან თქვენ მარტოოდენ მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურებით, ჩემთვის კი სამკვდროსასიცოცხლო საკითხი წყდება. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო, ჰკითხოთ მადამ... ფუა...

პუარეს.

პუარეს... (მაპატიეთ, მე ხომ ესპანელი გახლავართ!) ხომ არ ახსოვს, ვინ ცხოვრობდა ამ... როგორ უწოდებთ სახლს?..

ოჯახურ პანსიონს, მიუგო მადამ პუარემ.

არ ვიცი, ეგ რა არის, უთხრა ჟაკ კოლენმა.

ეს გახლავთ სახლი, სადაც ფასიანი სადილები და საუზმე გაიცემა.

მართალი ბრძანდებით, შეჰყვირა კამიუზომ და მოწონების ნიშნად თავი დაუქნია ჟაკ კოლენს, იმდენად გაოცდა ამ კაცის კეთილსინდისიერებით; პატიმარი თვითონ მიუთითებდა გამომძიებელს, როგორ დაედგინა სიმართლე, სცადეთ, გაიხსენოთ მდგმურები, რომლებიც ჟაკ კოლენის დაპატიმრებისას პანსიონში იყვნენ.

ჩვენთან იდგნენ ბატონი დე რასტინიაკი, დოქტორი ბიანშონი, მამა გორიო... მადმუაზელ ტაიფერი...

კარგი, უთხრა გამომძიებელმა, რომელიც თვალს არ აცილებდა ჟაკ კოლენს, ძველებურად უშფოთველი რომ იყო, მაშ, ასე, რას იტყვით მამა გორიოზე...

ცოცხალი აღარ არის, თქვა მადამ პუარემ.

ბატონო, მიმართა ჟაკ კოლენმა, მე არაერთხელ შევხვედრივარ ლუსიენის ბინაში ბატონ დე რასტინიაკს, რომელიც, ჩემი აზრით, დაახლოებულია ქალბატონ დე ნიუსინჟენთან. და თუ სწორედ მასზეა ლაპარაკი, უნდა მოგახსენოთ, ბატონ დე რასტინიაკს ვიღაც კატორღელისთვის არასოდეს მივუმსგავსებივარ, თუმცა აქ ცდილობენ, დამწამონ, თითქოს ყოფილი კატორღელი ვიყო.

ბატონ დე რასტინიაკსა და დოქტორ ბიანშონს ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავიათ, თქვა გამომძიებელმა, რომ თქვენს სასარგებლოდ თუ დაგვიმოწმებენ, თქვენს გათავისუფლებას წინ აღარაფერი აღუდგება. კოკარ, გაამზადეთ უწყებები მათ სახელზე.

რამდენიმე წუთში მადამ პუარეს დაკითხვის ყოველგვარი ფორმალობა დასრულდა. კოკარმა ცოტა ხნის წინ გათამაშებული სცენის აღმნუსხველი ოქმი წაუკითხა. მადამ პუარემ ოქმზე ხელი მოაწერა. პატიმარმა ხელის მოწერაზე უარი თქვა, მიზეზად მოიდო, ფრანგული სამართლის წარმოების წესებს არ ვიცნობო.

დღეისთვის კმარა, წარმოთქვა კამიუზომ, ალბათ, მოგშივდათ, ვუბრძანებ კონსიერჟერიში,, დაგაბრუნონ.

ვაგლახ, ისე ვარ გაწამებული, რომ ლუკმას ვერ ჩავიდებ პირში.

კამიუზოს უნდოდა, ჟაკ კოლენი კონსიერჟერიში,, სწორედ იმ დროს დაებრუნებინა, როცა ეზოში პატიმრებს გამოიყვანდნენ. ახლა კონსიერჟერის,, დირექტორისგან დილას გაგზავნილი შეკითხვის პასუხს ელოდებოდა. ზარი დარეკა. ბოქაული დირექტორთან უნდა გაეგზავნა. ბოქაული შემოვიდა და მოახსენა, მალაკეს ქუჩიდან მეკარე ქალი გეახლათ და ლუსიენ დე რუბამპრეს თაობაზე რაღაც მნიშვნელოვანი საბუთის გადმოცემას აპირებსო. ეს ამბავი იმდენად საყურადღებო იყო, რომ კამიუზოს თავისი განზრახვა გადაავიწყდა.

შემოვიდეს, უთხრა მან.

მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მიმართა მეკარე დედაკაცმა და გამომძიებელსა და აბატ კარლოსს რიგრიგობით მიესალმა, მე და ჩემი ქმარი პოლიციამ ისე შეგვაშინა, ისე აგვიბნია თავგზა, რომ ორჯერ მოვიდნენ და ერთხელაც არ გაგვხსენებია ჩვენს კამოდში შენახული წერილი ბატონი ლუსიენისადმი. მერედა, წერილში ხომ ათი სუ გადავიხადეთ. თუმცა პარიზიდანვეა გამოგზავნილი, მაგრამ ძალიან მძიმეა და, ჩანს, ამიტომ გადაგვახდევინეს

აუარება ფული. იქნებ თქვენ ამინაზღაუროთ ზარალი. ღმერთმა იცის, კვლავ შევხვდები თუ არა ჩვენს მდგმურებს!

ფოსტალიონმა გადმოგცათ? ჰკითხა კამიუზომ და ყურადღებით შეათვალიერა კონვერტი.

დიახ, ბატონო.

კოკარ, ოქმში შეიტანეთ ქალბატონის განცხადება. აბა, კეთილო, გვითხარით გვარი, საქმიანობა...

კამიუზომ ფიცი დაადებინა მეკარეს და მერე მწერალს ოქმი უკარნახა.

ფორმალობის ჩატარებასთან ერთად ამოწმებდა საფოსტო ბეჭედს, ცდილობდა, ამოეკითხა წერილის საფოსტო ყუთიდან ამოღებისა და გაგზავნის თარიღი და საათი. საეჭვო არ იყო, წერილი ესთერის გარდაცვალების მეორე დღეს ლუსიენის ბინაზე მიეტანათ, ხოლო დაეწერათ ზუსტად იმ საბედისწერო დღეს და საფოსტო ყუთშიც იმ დღესვე ჩაეგდოთ.

ახლა კი ადვილი წარმოსადგენია, როგორ განცვიფრდებოდა ბატონი კამიუზო, როცა წაიკითხავდა წერილს, დაწერილსა და ხელმოწერილს იმ ქალის მიერ, ვინც მართლმსაჯულებას ბოროტმოქმედების მსხვერპლი ეგონა.

ესთერი ლუსიენს,,

ორშაბათი, 13 მაისი, 1830 წელი.

(ჩემი უკანასკნელი დღე, დილის 10 საათი)

ჩემო ლუსიენ, ერთი საათიც აღარ დამრჩენია სასიცოცხლოდ. თერთმეტ საათზე მკვდარი ვიქნები და მოვკვდები უმტკივნეულოდ. ორმოცდაათი ათას ფრანკად ვიყიდე პატარა, შავი მოცხარის მსგავსი ლამაზი შუშა, რომელშიც ისეთი საწამლავია, რომ ელვისებური სისწრაფით კლავს ადამიანს. ასე, ჩემო ნუკრო, შეგიძლია თქვა, ჩემი საყვარელი ესთერი არ გაწამებულაო... დიახ, მე ვეწამები მარტოოდენ ამ სტრიქონების დაწერისას.

ურჩხულმა, რომელმაც საკმაოდ ძვირად შემისყიდა, იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც მისი საკუთრება გავხდებოდი, ერთი დღის სიცოცხლეც კი აღარ მეწერა. ნიუსინჟენი დათვივით გამოიბრუჟა და ახლახან წავიდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად ერთმანეთს დაემთხვა ის, რაც უწინ განმიცდია როგორც მემავს და ის, რასაც განვიცდიდი ჭეშმარიტი სიყვარულის ნეტარებაში. ერთმანეთს დაუპირისპირდა უსასრულობაში ჩაძირული ალერსი და ამაზრზენი ვალდებულების გრძნობა, რაც თვითმკვლელობას მოგანატრებს, ოღონდ უბრალო კოცნაც კი აიცდინო. სწორედ ამგვარი ზიზღი უნდა განმეცადა, რომ სიკვდილი

მომხიბლავი მომჩვენებოდა... აბაზანა მივიღე. მსურდა იმ მონასტრის მოძღვარი მომეწვია, სადაც მოვინათლე, რათა ვეზიარებინე და სულით განვწმენდილიყავი, მაგრამ ისედაც ღრმად ჩავიძირე გარყვნილების ჭაობში და რატომღა უნდა შემებღალა საიდუმლო ზიარების სიწმინდე. ესეც არ იყოს, ვგრძნობ, გულწრფელი მონანიების მდინარეში განვიბანე, იყოს ნება ღვთისა! დავანებოთ თავი წუწუნს. მინდა უკანასკნელ წუთამდე ვიყო შენი ესთერი, არ მოგაბეზრო თავი სიკვდილზე ლაპარაკით, არც მომავლის შიშით, არც კეთილი ღმერთით, რომელიც კეთილი არ იქნება, თუ საიქიოს გამაწამებს: განა ცოტა ტანჯვა განვიცადე სააქაოში...

წინ მიდგას მადამ მირბელის მიერ შესრულებული შენი წარმტაცი პორტრეტი. ეს სპილოს ძვლის ფირფიტა შენთან განშორების წუთებში მანუგეშებდა. გატაცებით შევცქერი ახლა, როცა გიზიარებ ჩემს უკანასკნელ ფიქრებს. გადმოგცემ ჩემი გულის უკანასკნელ ფეთქვას. წერილთან ერთად კონვერტში ჩავდებ პორტრეტს, რადგან მეშინია, ვინმემ არ მოიპაროს ან არ გაყიდოს. იმის უბრალო გაფიქრებაზეც კი, რომ ჩემთვის ესოდენი სიხარულის მომტანი საგანი შეიძლება აღმოჩნდეს ვიღაც ვაჭრის დუქნის ვიტრინაში, იმპერიის დროინდელ ბანოვანთა და ოფიცრების პორტრეტების გვერდით, ანდა ჩინურ, თავქანქარა თოჯინებს შორის, სისხლი მეყინება. გენაცვალე, სურათი შეგიძლია მოსპო, მაგრამ ნურავის მისცემ... თუმცა არა, მიეცი, ოღონდაც ამ საჩუქრით დაგიბრუნდეს გული ნაფოტისა, რომელსაც მოძრაობაც შეუძლია და კაბებსაც ატარებს. იქნებ კვლავ მოიგო გული კლოტილდ დე გრანლიესი... ოღონდ გაფრთხილდი, მის გვერდით რომ დაწვები, ამოჩრილმა ძვლებმა ტანი არ დაგილილაოს... დიახ, ამაზე თანახმა ვარ, თუკი ისევე გაგიწევ დახმარებას, როგორც სიცოცხლეში გეხმარებოდი. ეგ რაა, ოღონდ შენთვის მესიამოვნებინა, ანდა უბრალოდ გამეცინებინე, მზად ვიყავი, პირით ვაშლი დამეჭირა, კოცონზე დავხრილიყავ და შენთვის შემეწვა. იქნებ ჩემი სიკვდილიც გამოგადგეს... ვაითუ ოჯახური მყუდროება დამერღვია შენთვის... ოჰ, ეგ კლოტილდი, მისი ვერაფერი გავიგე! შეეძლოს გახდეს შენი ცოლი, ატაროს შენი გვარი, არ მოგშორდეს არც დღე, არც ღამე, იყოს შენი განუყოფლად და კიდევ იპრანჭებოდეს! მხოლოდ სენჟერმენისუბნელი თუ მოიქცევა ასე! მერედა, ძვლებზე ათი გირვანქა ხორცი მაინც ეკრას...

საბრალო ლუსიენ, ძვირფასო ხელმოცარულო პატივმოყვარე ბიჭო, სულ შენს მომავალზე ვფიქრობ! არა ერთხელ და ორჯერ მოიგონებ სინანულით შენს ერთგულ ძაღლს, იმ კეთილ გოგოს, რომელიც მზად იყო შენდა სასიკეთოდ ვინმე გაექურდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საბრალდებო სკამზე დამჯდარიყო; ამ გოგოს ერთადერთი ოცნება იყო, ესიამოვნებინე და უზომო ნეტარება მოენიჭებინა შენთვის. შენი სიყვარულით იყო გაჟღენთილი მთელი მისი სხეული თხემით ტერფამდე. ერთი სიტყვით, იყო შენი ბედნიერება

, რომლის თვალთა ყოველი გამოხედვა შენ გლოცავდა. მთელი ექვსი წელიწადი შენ გარდა არავისზე უფიქრია. გეკუთვნოდი როგორც ნივთი, მით უმეტეს, რომ მე ვიყავი შენი სულის ათინათი, სხვა არაფერი, ისევე, როგორც მზის სხივია ათინათი მზისა. ვაგლახ! რა უნდა მექნა,

არც ფული მქონდა, არც პატიოსანი სახელი. შენი ცოლი ვერ გავხდებოდი... ჩემი საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ შენი მომავალი იყო და ამისათვის ვწირავდი ყველაფერს, თუ რამ გამაჩნდა. წაიკითხავ თუ არა ამ ბარათს, წამოდი ჩემთან და აიღე, რაც ჩემს სასთუმალქვეშ დაგიხვდება, რადგან მსახურებს არ ვენდობი...

ხომ ხედავ, მშვენიერი მინდა ვიყო, მკვდარიც კი, დავწვები საწოლში, გავიტრუნები, რა მოხდა, პოზას დავიჭერ! მერე მოცხარს ჩავიწვეთებ პირში... არც კრუნჩხვისაგან დავიმანჭები და არც სასაცილო გარეგნობა მექნება. ვიცი, ქალბატონი დე სერიზი ჩემ გამო გაგებუტა. არა უჭირს, როცა გაიგებს, ცოცხალი აღარა ვარ, გაპატიებს, ჩემო ფისუნია. მიეფარისევლები და გრანლიეები თუ უარზე დადგებიან, კარგადაც დაგაქორწინებს.

ჩემო ნინი, არ მინდა ჩემი სიკვდილის გამო ვაივიში ავტეხო. ორშაბათს, 13 მაისს, 11 საათზე ბოლო მოეღება ხანგრძლივ ავადმყოფობას, იმ დღეს რომ დამეწყო, როცა სენჟერმენის ტერასაზე ძველი ხელობა დამიბრუნეთ... სული სხეულივით სნეულდება; ოღონდ სულს არ შეუძლია ისე ყეყეჩურად იტანჯებოდეს, როგორც სხეული იტანჯება. კიდევაც აქვს საშუალება, განიკურნოს; ამისთვის მკერავ ქალთა მხსნელ, ნახშირით სავსე მაყალს იშველიებს. გუშინწინ შენ მთელი სიცოცხლე მაჩუქე, რაკი მითხარი, თუ კლოტილდი ისევ უარს მეტყვის, შენ შეგირთავო. ეს ჩვენთვის, ორივესთვის, დიდი უბედურება იქნებოდა და მე ამაზე მეტად მოვკვდებოდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რადგან სიკვდილიც არის და სიკვდილიც! ზოგი სიკვდილი უფრო მწარეა. საზოგადოება არასოდეს მიგვიღებდა.

გამოგიტყდები, აგერ ორი თვეა განუწყვეტლივ ერთი აზრი მიტრიალებს: საწყალი გოგო წუმპეში ეგდო, როგორც მე ვეგდე მონასტერში შესვლამდე. მამაკაცებს მოსწონდათ, სიამტკბილობისთვის იმსახურებდნენ. მაგრამ სხვა მხრივ არაფრად აგდებდნენ. წასაყვანად ეტლით მობრძანდებოდნენ, შინ კი ფეხით უშვებდნენ. პირში მხოლოდ იმიტომ არ აფურთხებდნენ, რომ ამგვარი შეურაცხყოფისგან საკუთარი სილამაზე იცავდა; თუმცა ზნეობის თვალსაზრისით უარესად ეპყრობოდნენ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გოგო მემკვიდრეობას იღებს, ხუთ თუ ექვს მილიონს. რა ამბავი ატყდება! თვით პრინცები ეახლებიან ხელის სათხოვნელად. საკუთარი კარეტით გაისეირნებს და ყველა მდაბლად დაუკრავს თავს. უფლება მიენიჭება, ქმრად აირჩიოს საფრანგეთისა თუ ნავარიის ყველაზე ღირსეული გვარის შთამომავალი. ჩვენ, ორი ლამაზი ახალგაზრდა თუ შევუკავშირდებით ერთმანეთს სიყვარულით ბედნიერნი, საზოგადოება ყიჟინას დაგვცემს; ხოლო იგივე საზოგადოება მოწიწებით უხრიდა თავს მადამ დე სტალს და არას დაგიდევდა, თუ უამრავი საყვარელი ჰყავდა და არც მალავდა. მას ხომ ორასი ათასი ლივრის რენტა ებადა. საზოგადოება ქედს იხრის ფულის ან დიდების წინაშე და არა ბედნიერებისა და სათნოების წინაშე. ო, რამდენ სიკეთეს დავთესავდი!.. რამდენს ვანუგეშებდი და შევუშრობდი ცრემლს! ალბათ, იმდენივე ცრემლს, რამდენიც დამიღვრია! დიახ, ვიცოცხლებდი მხოლოდ შენთვის და ქველმოქმედებისათვის.

ამ ფიქრებმა სიკვდილი სანატრელად გადამიქციეს. ამიტომ ნუ იწუხებ, ჩემო ფისო! ხშირად უთხარი შენს თავს: იყო ორი კეთილი გოგო, ორი ლამაზი არსება და ორივე ჩემთვის მოკვდა. არც ერთს გულში არ გაუვლია ჩემდამი საყვედური. ორივე მაღმერთებდა. გულში ღრმად ჩაიმარხე ხსოვნა კორალისა და ესთერისა და გაჰყევი შენი ცხოვრების გზას! გახსოვს, ერთხელ დამანახვე დაღრეჯილი დედაბერი, მკვახე ნესვისფერი ქუდი ეხურა, დალიანდაგებული ბამბის გაქონილი და გახუნებული პალტო ეცვა. სიცივისგან მობუზული ტიუილრის ტერასაზე მიმჯდარიყო და მზეს ეფიცხებოდა, თან მოპსის ჯიშის საზიზღარ ფინიას უვლიდა, უკანასკნელზე უკანასკნელ ქეციან ფინიას. შენ მითხარი, ეს ქალი რევოლუციამდე ერთი პოეტის სატრფო იყოო. ლაქიები ემსახურებოდნენ, ეკიპაჟები ჰყავდა და სასახლეში ცხოვრობდაო. მე გიპასუხე: ჯობდა, ოცდაათი წლისა მომკვდარიყომეთქი. ჰოდა, იმ დღეს ვერ იქნა და ვერ გავმხიარულდი. მოწყენა რომ შემნიშნე, ჩემს გასართობად ათასნაირი სიგიჟე მოიგონე. მერე კოცნა დამიწყე და მე გითხარი, ლამაზი ქალი სცენიდან ფარდის დაშვებამდე უნდა გავიდესმეთქი. ასეც მოვიქეცი, არ მინდოდა, უკანასკნელ აქტს დავსწრებოდი, ესაა და ეს!

ალბათ, ფიქრობ, რა ენად გაიკრიფაო, მაგრამ ეს ხომ ჩემი უკანასკნელი ლაქლაქია. ისე გწერ, თითქოს გესაუბრები, მინდა თავი შევიქციო. წუწუნა მკერავი დედაკაცები ყოველთვის მეჯავრებოდნენ. ხომ გახსოვს, ერთხელაც გადავწყვიტე, ლამაზად მოვმკვდარიყავი, რადგან ოპერის ბალმასკარადზე გითხრეს, რომ მე მეძავი ვიყავი! ოჰ, არა, ჩემო ნინი, ნურვის მისცემ ამ პორტრეტს. რომ იცოდე, რა მგზნებარებითა და ნეტარებით ჩავაცქერდი შენს თვალებს, როცა ცოტა ხნით წერა შევწყვიტე... რომ დაგენახა ჩემი ვნებით მიბნედილი თვალები, შენშიც ხელახლა იფეთქებდა ისეთივე მძაფრი გრძნობა, რაც მე მსურდა, შთამებერა სპილოს ძვლის ფირფიტაში და დარწმუნდებოდი, რომ შენი საყვარელი ნუკრის სულმა სწორედ შენს პორტრეტში დაისადგურა.

განსვენებული მოწყალებას მოითხოვს, განა სასაცილო არ არის?.. რას ჰგავს ეს, ხომ უნდა შეგეძლოს თავდაჭერილად მოიქცე სამარეშიც?

ვერ წარმოიდგენ, ყეყეჩებს რაოდენ გმირულად მოეჩვენებოდათ ჩემი სიკვდილი, თუ გაიგებდნენ, რომ წუხელ ნიუსინჟენმა ორი მილიონი შემომთავაზა, ოღონდ ისე შემიყვარე, როგორც ლუსიენი გიყვარსო. დარწმუნდება კი, რომ უღმერთოდ გავქურდე, რადგან სიტყვა არ გავტეხე და მის გამო სული განვუტევე. როგორ ვისწრაფოდი, მესუნთქა იმავე ჰაერით, რითაც შენ სუნთქავ! ვუთხარი კიდეც იმ სქელუა ქურდს: გსურთ მიყვარდეთ ისე, როგორც მთხოვთ?,, დავპირდი კიდეც, ლუსიენს აღარასოდეს შევხვდებიმეთქი. რა უნდა ვქნა ამისთვისო, მკითხა. მაჩუქეთ ორი მილიონი, ლუსიენს მივცემმეთქი. არაო! ერთი დაგენახა, როგორ დაიმანჭა. ეჰ, მეც კი გამეცინებოდა, ასე სამწუხარო რომ არ ყოფილიყო ჩემთვის. ვუთხარი, ფრთხილად, უარს ნუ მეუბნებითმეთქი. როგორც ჩანს, ჩემს თავს ორი მილიონი გირჩევნიათ. ქალს ყოველთვის სიამოვნებს იცოდეს, რამდენად აფასებენ,,, დავძინე და ზურგი შევაქციე.

რამდენიმე საათში დაფეხვილი არამზადა გაიგებს, რომ არ ვხუმრობდი.

რა გეშველება, ჩემსავით ვინ გაგიყოფს ქოჩორს შუბლზე? გათავდა! აღარ მსურს სააქაო ცხოვრებაზე ფიქრი! ხუთი წუთიღა დამრჩა და ღმერთს უნდა მივუძღვნა. ნუ იეჭვიანებ, ჩემო ანგელოზო, ღმერთსაც შენზე ველაპარაკები. ჩემი სიკვდილის საფასურად შენს ბედნიერებას შევეხვეწები. ამისთვის საიქიო წამებაზედაც არ ვიტყოდი უარს. თუმცა, გამოგიტყდები, ჯოჯოხეთში მოხვედრა მიმძიმს, მინდოდა, მენახა ანგელოზები და გამეგო, შენ თუ გგვანან...

მშვიდობით, ჩემო ნინი, მშვიდობით! გლოცავ! შენი ჭირის სანაცვლო იყოს მთელი ჩემი მწუხარება.

სამარეშიაც დავშთები

შენი ესთერი...

პ.შ. თერთმეტი საათი რეკავს, უკანასკნელად ვილოცე. ახლავე დავწვები და მოვკვდები. კიდევ ერთხელ მშვიდობით! მინდა ხელის სიმხურვალემ ამ ფურცელს გადასცეს ჩემი სული და უკანასკნელი კოცნა ჩემი. ასევე მსურს, კიდევ ერთხელ გიწოდო ჩემი საყვარელი ციცუნია, მიუხედავად იმისა, რომ შენ გამო სიცოცხლეს გამოესალმა შენი
ესთერი,,.

გამომძიებელმა წერილი ჩაიკითხა და გული შურით აევსო. პირველად ხედავდა, რომ ესოდენი მხიარული ტონით წერდა თვითმკვლელობისთვის გამზადებული ქალი, თუნდაც ბრმა სიყვარულით გამსჭვალული და თვითმკვლელობის ციებცხელებით შეპყრობილი.

ნეტავ ისეთს რას წარმოადგენს, რომ ქალებს ეგრე უყვართ?,, გაიფიქრა და გაიმეორა ის, რასაც ამბობენ მამაკაცები, რომელთაც ქალების გულის დასაპყრობი ნიჭი არ მომადლებიათ.

თუ შეძლებთ, დამიმტკიცოთ, რომ არა ხართ ძველი კატორღელი და ნამდვილად ბრძანდებით დონ კარლოს ერერა, ტოლედოს კანონიკი, მისი უდიდებულესობა ფერდინანდ VIIის დესპანი, უთხრა გამომძიებელმა ჟაკ კოლენს, გაგათავისუფლებთ, ვინაიდან მდგომარეობა მავალდებულებს, მიუკერძოებელი ვიყო და გაგიმჟღავნოთ, რომ სწორედ ამწუთას გადმომცეს მადმუაზელ ესთერ გობსეკის წერილი, სადაც იგი აშკარად აღიარებს, რომ თავის მოკვლას აპირებს და საეჭვოდ ხდის მსახურთა ერთგულებას. ჩანს, თავიანთი ქალბატონის შვიდასი ათასი ფრანკი მათ გაიტაცეს.

ამ ლაპარაკში ბატონი კამიუზო წერილის ხელნაწერს ანდერძის ხელნაწერს ადარებდა. მალე მისთვის ნათელი გახდა, ორივე ხელნაწერი ერთსა და იმავე ადამიანს რომ ეკუთვნოდა.

ბატონო, მეტისმეტად აჩქარდით, როცა მკვლელობა დაიჯერეთ, ახლაც ნუ აჩქარდებით და ისევე სწრაფად ნუ ირწმუნებთ გაქურდვას.

ოჰო! წამოიძახა კამიუზომ და ბრალდებულს გამომძიებლის თვალით გადახედა.

ნუ გეგონებათ, თითქოს საკუთარი პატიოსნების შებღალვას ვცდილობდე, თუ მოგახსენებთ, რომ თანხა შეიძლება მალე იპოვოთ, დასძინა ჟაკ კოლენმა და ამ სიტყვებით გამომძიებელს აგრძნობინა, ვხვდები, რა ეჭვი აღგეძრათ ჩემზეო, საბრალო გოგონა მსახურებს ძალიან უყვარდათ. თავისუფალი რომ ვიყო, თვითონვე ვიკისრებდი ფულის პოვნას. ეს ფული ამჟამად ხომ იმ ადამიანს ეკუთვნის, ვინც ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს ჩემს ლუსიენს!.. იქნებ ნება დამრთოთ, თვალი გადავავლო... უცბად წავიკითხავ ბარათს... ეგ ხომ ჩემი ძვირფასი ბავშვის უდანაშაულობის საბუთია... ამიტომ ნუ შეგეშინდებათ. არ დავხევ... არც არავის ვეტყვი რამეს მის შესახებ... ცალკე საკანში ვზივარ, საიდუმლო კარცერში...

კარცერშიო! შეჰყვირა მაგისტრატმა, აღარ დაბრუნდებით იქ... ახლა მე თვითონ გთხოვთ, რაც კი შეიძლება მალე დაამტკიცოთ თქვენი წოდება. თუ გნებავთ, თქვენს ელჩს მიმართეთ... თქვა და წერილი გაუწოდა ჟაკ კოლენს.

კამიუზო სიხარულით ცას ეწია, რადგან წარმოიდგინა, ამ ხათაბალას მალე თავს დავაღწევ, გენერალურ პროკურორს, ქალბატონ დე მონფრინიეზსა და ქალბატონ დე სერიზისაც ვასიამოვნებო და მაინც ცივად და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა პატიმარს, სანამ იგი კურტიზანის წერილს კითხულობდა. სახეზე თითქოს წრფელი გრძნობა აღბეჭდვოდა, მაგრამ გამომძიებელს მაინც გაუელვა აზრმა, რაც უნდა იყოს, კატორღელს ჰგავსო.

ხედავთ, როგორ უყვართ იგი! აღმოხდა ჟაკ კოლენს, წერილი გამომძიებელს დაუბრუნა და თვალთაგან ცრემლი ღაპაღუპით გადმოსცვივდა, ნეტავ იცნობდეთ! განაგრძო მან, რა ფაქიზი სული აქვს, რა უმანკო. ანდა რა ლამაზია, უბიწო ბავშვი, პოეტი! უნებლიეთ გეღვიძება სურვილი, მსხვერპლად შეეწირო, ყოველგვარი ნატვრა აუსრულო... ჩემი ძვირფასი ლუსიენი, რა თვალწარმტაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გეფერება...
არა, არ მჯერა, მაგისტრატი ერთხელ კიდევ შეეცადა, სიმართლე გაერკვია, არ შეიძლება თქვენ ჟაკ კოლენი იყოთ!

არა, ბატონო, მიუგო კატორღელმა.

ამ წუთში ჟაკ კოლენი ყველაზე მეტად იყო დონ კარლოს ერერა. წამოწყებული საქმის დასაგვირგვინებლად გამომძიებელთან მივიდა, ფანჯრის ნიშასთან მიიყვანა და სასულიერო წოდებიდან გამოსულ დიდ ბატონიშვილთა დარად, ნდობით უთხრა:

ოჰ, ისე მიყვარს ეს ბავშვი, რომ თუ საჭირო გახდებოდა, თავს გამოვაცხადებდი ბოროტმოქმედად, ვისაც მამსგავსებენ, ხმადაბლა თქვა მან, ოღონდ ჩემი გულის კერპისთვის

უსიამოვნება ამეცდინა, მივბაძავდი გოგონას, რომელმაც მისთვის სიცოცხლე გასწირა. ამიტომ გთხოვთ, ბატონო, პატივი დამდოთ და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ლუსიენი.

ამის უფლება არა მაქვს, გულთბილად უთხრა კამიუზომ, მაგრამ თუკი ეგ ზეციურ ძალას არ განარისხებს, მართლმსაჯულებაც შეიძლება იყოს მოწყალე. ოღონდ სათანადოდ უნდა დამისაბუთოთ... ილაპარაკეთ, თქვენს ნათქვამს არ ჩავწერთ...

კარგი, ეგრე იყოს, დაეთანხმა კამიუზოს თითლიბაზობით მოტყუებული ჟაკ კოლენი, საბრალო ბიჭი, რარიგ იტანჯება. მეშინია, თავი არ მოიკლას, ციხეში ჯდომამ იქნებ ისე იმოქმედოს მასზე...

ოჰ, თუ ეგ არის მხოლოდ... კამიუზომ მხრები აიჩეჩა.

ვერც წარმოიდგენთ, ჩემდამი ყურადღების გამოჩენით ვის გაუწევთ სამსახურს, დასძინა ჟაკ კოლენმა, რომელმაც მოიწადინა ბატონი კამიუზოს გულში სხვა სიმები აეთრთოლებინა, თქვენ სამსახურს გაუწევთ ორდენს, გაცილებით მეტი ძალაუფლებით მოსილს, ვიდრე ვიღაც გრაფინია დე სერიზია, ანდა ჰერცოგინია დე მონფრინიეზი! ეს ქალბატონები არ გაპატიებენ, მათი წერილები თქვენს მაგიდაზე რომ ყრია... თქვა მან და მიუთითა წერილების ორ შეკვრაზე, სურნელს რომ აფრქვევდა, ჩემი ორდენი სიკეთეს არ ივიწყებს...

კმარა, ბატონო! შესძახა კამიუზომ, სხვა მიზეზი მომახსენეთ. მე პატიმრის წინაშე ისევე ვარ პასუხისმგებელი, როგორც საზოგადოებრივი ბრალდების წინაშე.

გთხოვთ, დამიჯეროთ. მე ვიცნობ ლუსიენს. ქალის, პოეტისა და სამხრეთელი ადამიანის სული აქვს, უნებისყოფო და ცვალებადი ხასიათი, განაგრძობდა ჟაკ კოლენი, დარწმუნებული, მეშველა, გამომძიებელი ჩვენს მხარეზე გადმოვიდაო, თქვენ ხომ გჯერათ, ეს ყმაწვილი სრულიად უდანაშაულოა. ნუღარ აწვალებთ, ნუ დაჰკითხავთ. გადაეცით წერილი. შეატყობინეთ, რომ ესთერის მემკვიდრეა და მაშინვე გაათავისუფლეთ... ასე თუ არ მოიქცევით, ინანებთ. ხოლო თუ სულ უბრალოდ, მშვიდობიანად გაუშვებთ, მე ხვალ განგიმარტავთ (დამტოვეთ კარცერში), თუნდაც ამავე საღამოს, ყველაფერს, რაც საიდუმლოებით მოცული გეჩვენებათ ამ საქმეში. იმასაც მოგახსენებთ, რატომ მდევნიან გააფთრებით... მაგრამ, იცოდეთ, ამით სიცოცხლეს საფრთხეში ჩავიგდებ, რადგან აგერ უკვე ხუთი წელია, სამკვდროსასიცოცხლოდ მებრძვიან... ლუსიენი გათავისუფლდება, კლოტილდ დე გრანლიეზე დაქორწინდება და ჩემი ამქვეყნიური საქმენიც დასრულდება. მეც ჩემს ტყავზე აღარ ვიზრუნებ... იცით, ვინ მდევნის? თქვენი უკანასკნელი მეფის ჯაშუში.

აჰ, კორანტენი!

კორანტენი ჰქვია? გმადლობთ... მაშ, ასე, ბატონო, ხომ შემისრულებთ თხოვნას?.. პირობა მომეცით...

გამომძიებელი ვერავითარ პირობას ვერ მოგცემთ. ამის უფლება არა აქვს. კოკარ, უთხარით ბოქაულსა და ჟანდარმებს, პატიმარი კონსიერჟერიში,, დააბრუნონ... განკარგულებას გავცემ, ამ საღამოს პისტოლში,, გადაგიყვანონ, დასძინა ლმობიერად და პატიმარს ოდნავი თავის დაკვრით გამოემშვიდობა.

ჟაკ კოლენის თხოვნით გაკვირვებულ კამიუზოს გაახსენდა, როგორი დაჟინებით ითხოვდა იგი, პირველად მე დამკითხეთო და საბაბად ავადმყოფობას იდებდა. გამომძიებელს ხელახლა უნდობლობა აღეძრა. ეჭვს უფრო მეტად უღრმავებდა ის, რომ შემოსვლისას ეს კაცი სულთმობრძავს ჰგავდა, ახლა კი ჰერკულესივით მიაბოტებდა და აღარ იმანჭებოდა.

ბატონო!

ჟაკ კოლენი შემოტრიალდა.

მწერალი დაკითხვის ოქმს წაგიკითხავთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ ინებეთ ხელის მოწერა.
პატიმარი საოცრად ჯანმრთელი ჩანდა. ცქვიტად ჩამოჯდა მწერლის წინ და გამომძიებლის ეჭვს საბოლოოდ შუქი მოჰფინა.

რაო, ასე უცბად განიკურნეთ? ჰკითხა მან.

ჩამავლეს,,, გაიფიქრა ჟაკ კოლენმა. მერე ხმამაღლა უპასუხა:

სიხარული, ბატონო, ყველაფრის მკურნალია... ეგ წერილი ლუსიენის უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთია, თუმცა ისედაც დარწმუნებული გახლდით, რომ არავითარი ბრალი არ მიუძღოდა... დიახ, სიხარული უებარი წამალია.
ჩაფიქრებულმა გამომძიებელმა თვალი გააყოლა პატიმარს, ბოქაულსა და ჟანდარმებს შორის ჩამდგარი კაბინეტიდან რომ გადიოდა. მერე, თითქოს უეცრად გამოფხიზლდაო, მწერალს მაგიდაზე ესთერის წერილი დაუგდო.

კოკარ, წერილის ასლი გადაიღეთ.

ადამიანს სჩვევია, უნდობლობით განიმსჭვალოს არა მხოლოდ მაშინ, როცა სთხოვენ, გააკეთოს მისი ინტერესების ან მოვალეობის საწინააღმდეგო რამ, არამედ მაშინაც კი, როცა სრულიად გულგრილია, ხოლო გამომძიებლისთვის ამგვარი უნდობლობა ჩვეულებრივი ამბავია. მართლმსაჯულებისთვის პატიმრის ვინაობა საბოლოოდ დადგენილი არც იყო, ის

კი დაჟინებით მოითხოვდა, ლუსიენს ნუ დაჰკითხავთო, თუ არა და, ზეციური რისხვა თავს დაგატყდებათო, იმუქრებოდა. ამიტომაც კამიუზომ უფრო საჭიროდ მიიჩნია ლუსიენის დაკითხვა.

სასამართლოს წესდებისა და ჩვეულების მიხედვით ეს ფორმალობა მაინცდამაინც სავალდებულო არ იყო, მაგრამ ახლა გამომძიებელს აბატ კარლოს ერერას ვინაობის დასადგენად სჭირდებოდა. პროფესიული კეთილსინდისიერება ყველა დარგში არსებობს. ცნობისმოყვარეობა არ აღძვროდა, კამიუზო სამსახურებრივ ვალს მოიხდიდა და ისევე დაჰკითხავდა ლუსიენს, როგორც ისის იყო, ჟაკ კოლენი დაჰკითხა; მიმართავდა სხვადასხვა ხრიკს, რაც უპატიოსნეს მაგისტრატსაც სჩვევია. კამიუზოს აღარც ვინმესთვის სამსახურის გაწევა ახსოვდა, აღარც დაწინაურებაზე ზრუნავდა. მარტოოდენ სიმართლის გაგება სწყუროდა, ამის გამოცნობას ლამობდა, თუნდაც არ გაეხმაურებინა იგი. ფანჯარასთან მიმდგარიყო, მინაზე თითებს აკაკუნებდა და თავი მიეცა ტალღებად მოწოლილი ათასნაირი მოსაზრებისთვის; დინებისთვისო, ვამბობთ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აზრი ედარება მდინარეს, რომელიც უამრავ ქვეყანას ჩამოუდის. სიმართლის მგზნებარე სიყვარულით განმსჭვალული მაგისტრატები ეჭვიან დედაკაცებს ჰგვანან. რას არ წარმოიდგენენ, რას არ უარყოფენ, რას არ გამოჩიჩქნიან, უნდობლობით შეპყრობილნი მოზღვავებული ვარაუდის ვეებერთელა გროვაში როგორ არ ატრიალებენ ხანჯალს. ასე ძველი ქურუმები შიგნავდნენ თავიანთ მსხვერპლს. სიმართლის მსახური ჯერ შეჩერდება არა სამართლის, არამედ ალბათობის წინაშე, ხოლო საბოლოოდ სიმართლესაც მიადგება. ქალი საყვარელს ისევე გამოჰკითხავს, როგორც გამომძიებელი ბოროტმოქმედს. თავის ოდნავი შეტრიალება, თვალთა გაელვება, უმნიშვნელო სიტყვა, ხმის ათრთოლება, ყოყმანი საკმარისია, რათა იდუმალებით მოცული ფაქტი, ღალატი, დანაშაული გამოაშკარავდეს.

ისე ამიწერა, შვილის სიყვარულს ისე იჩემებდა (თუკი მართლა შვილია), მგონი, იმ გომბიოს სახლში იყო და მსხვერპლს უთვალთვალებდა. რაკი არ იცოდა, გარდაცვალებულის ბალიშქვეშ თუ ინახებოდა ანდერძი, შვილისთვის დროებით,, აიღო შვიდასი ათასი ფრანკი... ამიტომაც პირობა მომცა, თანხას მე ვიპოვიო. ბატონი დე რუბამპრე ვალდებულია, პირადი და მართლმსაჯულების ინტერესებისთვის მამის სამოქალაქო მდგომარეობას შუქი მოჰფინოს... ერთი ამას დამიხედეთ, როგორ დამპირდა თავისი ორდენის მფარველობას (მისი ორდენი!), ოღონდ ლუსიენი არ დავკითხო,,.

ამ მოსაზრებაზე შეჩერდა.

როგორც ადრე დავინახეთ, სასამართლოს გამომძიებელს დაკითხვა თავის შეხედულებისამებრ მიჰყავს. თუ უნდა, ცბიერად მოიქცევა, თუ უნდა, არა. დაკითხვა ყველაფერიცაა და არაფერიც. სწორედ ამაზეა დამოკიდებული საქმის კეთილი დასასრული. კამიუზომ ზარი დარეკა. ბოქაული შემოვიდა. გამომძიებელმა ბრძანება გასცა, ბატონი ლუსიენ დე რუბამპრე შემოიყვანეთო და დასძინა, ვინც უნდა იყოს, ნება არ მისცეთ, გამოელაპარაკოსო. ნაშუადღევის ორი საათი იყო.

რაღაც საიდუმლოება იფარება, ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, ჩანს, დიდად მნიშვნელოვანი საიდუმლოა. ჩემს ამფიბიას, რომელიც არც მღვდელია, არც ერისკაცი, არც კატორღელი, არც ესპანელი, არ ნებავს მის პროტეჟე ჭაბუკს საშინელი აღსარება წამოსცდეს. ნამდვილად ფიქრობს, პოეტი ქალივით სუსტია. მე არ მგავს. მე დიპლომატიის ჰერკულესი ვარ. მას კი იოლად გამოჰგლეჯენ ჩემს საიდუმლოსო. მაშ, კარგი, ჩვენ ყველაფერს შევიტყობთ ამ უცოდველი კრავისაგან,,.

კამიუზო მაგიდის კიდეს სპილოს ძვლის დანას უკაკუნებდა, სანამ მწერალი ესთერის წერილის ასლს იღებდა. რამდენ უცნაურობას იტევს ჩვენი ნიჭი და უნარი! მაგისტრატი ყოველგვარ დანაშაულს ვარაუდობდა და გვერდს უვლიდა პატიმრის ნამდვილ დანაშაულს. ვერ მიხვედრილიყო, რომ ბრალდებულმა ლუსიენის სასარგებლოდ ყალბი ანდერძი შეადგინა. დაე, ის, ვისაც სამართლის მსახურთა მდგომარეობა შურს, ღრმად ჩაუფიქრდეს მათ ცხოვრებას, ნიადაგ ეჭვით რომ არის სავსე. გაითვალისწინოს, როგორ იწამებენ ისინი გონებას, რადგან სამოქალაქო საქმეები სისხლის სამართლის საქმეებზე ნაკლებად აწეწილდაწეწილი როდია და მაშინ იქნებ მიხვდეს, რომ მოძღვარსა და მაგისტრატს კისერზე ერთნაირად მძიმე უღელი აწევთ და უღელში ეკლებიც არის ჩატანებული. ესეც არ იყოს, ყოველ პროფესიას ხომ თავისი ტვირთი აქვს სათრევი და თავისი ჩინური თავსატეხიც აქვს მიკუთვნებული.

დაახლოებით ორ საათზე ბატონი კამიუზოს კაბინეტში ფერწასული და გაოგნებული ლუსიენ დე რუბამპრე შეიყვანეს. თვალები დასწითლებოდა და დასივებოდა. ისე იყო ქანცმილეული, რომ გამომძიებელს საშუალება მიეცა, შეედარებინა ბუნება ხელოვნებასთან. ნამდვილი აგონია თეატრალურ აგონიასთან. კონსიერჟერიდან,, გამომძიებლის კაბინეტამდე ორი ჟანდარმისა და ბოქაულის თანხლებით განვლილმა გზამ ლუსიენს მწუხარების ფიალა აუვსო. პოეტს ურჩევნია, აწამონ, მსჯავრი დასდონ, ხოლო ლუსიენი ისეთი ადამიანი იყო, ვისაც არ გააჩნდა არავითარი ზნეობრივი სიმამაცე, რაც ესოდენ დამახასიათებელია სამართლის მსახურთათვის და რაც ესოდენ მძლავრად გამოამჟღავნა მეორე პატიმარმა. ბატონ კამიუზოს გულიც კი დასწყდა, რაკი ეგრე იოლად უნდა მიეღწია გამარჯვებისთვის. ლუსიენისადმი ზიზღმა ბიძგი მისგა, გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა და გულში ჩაესახა იმგვარი საზარელი სილაღე, რასაც გრძნობს დაოსტატებული მსროლელი, როცა ტირში თოჯინას თოფს უმიზნებს.

დამშვიდდით, ბატონო დე რუბამპრე, თქვენ წინაშეა მაგისტრატი, რომელიც მზადაა, გამოასწოროს ბოროტება, რასაც უნებლიეთ სჩადის მართლმსაჯულება დაპატიმრებით, როცა ამისათვის სათანადო საფუძველი არ გააჩნია. დარწმუნებული ვარ, ბრალი არაფერში მიგიძღვით და დაუყოვნებლივ გაგათავისუფლებთ კიდეც. აგერ თქვენი უდანაშაულობის საბუთიც. წერილი გახლავთ; თქვენს მეკარეს მიუღია და რაკი შინ არ ბრძანდებოდით, შეუნახავს. ახლახან მოგვიტანა. ვინაიდან მართლმსაჯულების მსახურებმა თქვენი სახლი

გაჩხრიკეს და, ამასთან, ფონტენბლოში თქვენი დაპატიმრების ამბავი გაუგია, ქალს თავგზა აბნევია, სულ გადავიწყებია მადმუაზელ ესთერ გობსეკის წერილი... წაიკითხეთ!
ლუსიენმა წერილი გამოართვა, წაიკითხა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსცვივდა. ისე ქვითინებდა, რომ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. თხუთმეტი წუთის შემდეგ, როცა ლუსიენმა ძალღონე მოიკრიბა, მდივანმა წერილის ასლი გაუწოდა და სთხოვა ქვემომოყვანილ სტრიქონებზე ხელი მოეწერა: ასლი დედანთან სწორია. ძიების პერიოდში დედანი პირველი მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს წარმოდგენილი,,. მდივანმა დასძინა, შეადარეთო. ლუსიენმა, რაღა თქმა უნდა, დაუჯერა კოკარს, რომ ასლი დედანთან სწორი იყო.

ბატონო, მიმართა მეტად გულთბილად გამომძიებელმა, ვერ გაგათავისუფლებთ, თუ ჩვენთან მიღებულ ფორმალობას არ ჩავატარებთ და რამდენიმე შეკითხვას მაინც არ მოგცემთ... თითქმის მოწმესავით მოგმართავთ. თქვენ ისეთი კაცი ბრძანდებით, რომ სრულიად ზედმეტად მიმაჩნია, გაგაფრთხილოთ, ფიცი, სიმართლის თქმას რომ გავალებთ, თქვენი სინდისიერებისადმი უბრალო მოწოდება როდი გახლავთ, ვალდებულებაცაა, რადგან თქვენ, ასე თუ ისე, ორჭოფულ მდგომარეობაში იმყოფებით, თუნდაც დროებით. როგორიც უნდა იყოს, სიმართლე არავითარ ზიანს არ მოგიტანთ, ხოლო ტყუილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსკენ გაგამგზავრებთ და მეც იძულებული გავხდები, კონსიერჟერიში,, დაგაბრუნოთ. თუ გულახდილად მიპასუხებთ შეკითხვებზე, ამაღამვე თქვენს ლოგინში ჩაწვებით და რეაბილიტაციასაც მიიღებთ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით: ბატონი დე რუბამპრე, რომელიც გუშინ ფონტენბლოში დააპატიმრეს, ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს,,.

ამ სიტყვებმა მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა ლუსიენზე, რაც გამომძიებელს არ გამოჰპარვია. შენიშნა, პატიმარს გუნება შეეცვალაო და მყისვე დასძინა:

გიმეორებთ, ბრალი გედებოდათ, როგორც მადმუაზელ ესთერის მკვლელობის თანამონაწილეს. ახლა კი ჩვენ წინაა მისი თვითმკვლელობის საბუთი და ყველაფერი ცხადი გახდა. მაგრამ მემკვიდრეობის ნაწილი, შვიდასი ათასი ფრანკი გაიტაცეს. თქვენ ქალის პირდაპირი მემკვიდრე ბრძანდებით. სამწუხაროდ, ჩადენილია დანაშაული, რაც ანდერძის გახსნას წინ უძღოდა. ამგვარად, მართლმსაჯულებას მიზეზი აქვს, იფიქროს, რომ პირმა, ვისაც თქვენ მადმუაზელ ესთერზე ნაკლებად როდი უყვარხართ, თავს ნება მისცა, ჩაედინა დანაშაული თქვენდა სასარგებლოდ... ნუ გამაწყვეტინებთ სიტყვას, უთხრა გამომძიებელმა და თან ხელითაც ანიშნა, ჩუმად იყავიო, რადგან შეამჩნია, ლუსიენი რაღაცის თქმას აპირებდა, დაკითხვა ჯერ არ დამიწყია. მხოლოდ ვცდილობ, მიგახვედროთ, ისევ და ისევ თქვენი პატიოსანი სახელის აღსადგენად, რომ ჩემს ნათქვამს ღრმად ჩაუფიქრდეთ და საქმით დაინტერესდეთ. ტყუილს ნუ იკადრებთ, იგი ხომ შეთქმულთა ურთიერთდამაკავშირებელი უბადრუკი შეთანხმებაა. მითხარით სიმართლე.

ადრევე შენიშნავდით, რაოდენ არათანაბრადაა განაწილებული იარაღი პატიმარსა და გამომძიებელს შორის. რა თქმა უნდა, მოხერხებულად მომარჯვებული უარყოფა თვით უარყოფის კატეგორიულ ფორმას ეყრდნობა და ბრალდებულის თავდასაცავად სრულიად საკმარისია, მაგრამ ეს საჭურველი პატიმარს ვერ დაიცავს, თუ დაკითხვის ხანჯალი დაუცველ ადგილას ჩაესობა. ფაქტი ჯიუტია და თუ პატიმარი დანაშაულს ვეღარ უარყოფს, თავფეხიანად ხელში ჩაუვარდება გამომძიებელს. ახლა წარმოიდგინეთ სანახევროდ დამნაშავე კაცი, როგორიც ლუსიენი იყო, სათნოების პირველი შერყევის შემდეგ რომ შეიძლება გამოსწორდეს და მამულისთვის საჭირო ადამიანი გახდეს, ის უდავოდ გაებმება გამომძიებლის მახეში. გამომძიებელი ადგენს ოქმს, შეკითხვებისა და პასუხების ზუსტ ანგარიშს, მაგრამ მისი შემპარავად ცბიერი, მამობრივი სიტყვებისა და ზემომოყვანილი ენადათაფლული შეგონებების კვალიც კი არსად ჩანს. ზემო ინსტანციის მოსამართლენი და ნაფიცი მსაჯულები მარტოოდენ შედეგს ხედავენ და არაფერი იციან, რა გზითაა მოპოვებული იგი. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ჭკუადამჯდარი ადამიანის აზრს თუ გავიზიარებთ, თვით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ზედმიწევნით გამოდგებოდა გამოძიების წარმოებისათვის, როგორც ინგლისში ხდება. ერთხანს საფრანგეთიც სარგებლობდა ამგვარი სისტემით. IV წლის ბრიუმერის კოდექსის თანახმად, ასეთ სამართალწარმოებას ნაფიც მსაჯულთა ბრალმდებელი სასამართლო ეწოდებოდა, განაჩენის გამომტან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაგან განსხვავებით. რაც შეეხება საქმის საბოლოო გადაწყვეტას, ეს საბრალდებო სასამართლოსთვის კი არ უნდა მიგვენდო, არამედ სამეფო სასამართლოსთვის, ოღონდ მსაჯულები აღარ უნდა გაგვერია.

ახლა მოგვახსენეთ თქვენი სახელი და გვარი, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მიმართა კამიუზომ, ბატონო კოკარ, ყურადღება! უთხრა მდივანს.

ლუსიენ შარდონ დე რუბამპრე.

დაბადების ადგილი?

ანგულემი... და ლუსიენმა უთხრა დაბადების დღე, თვე, წელიც.

რაიმე მამული ხომ არ გქონიათ?

არავითარი.

ამისდა მიუხედავად, პარიზში პირველად ჩამოსვლისას, დიდ ფულს ხარჯავდით, თუმცა მაშინ ბევრი არაფერი გაგაჩნდათ.

დიახ, ბატონო, მაგრამ მაშინ მყავდა უაღრესად ერთგული მეგობარი, მადმუაზელ კორალი, რომელიც, ჩემდა საუბედუროდ, ხელიდან გამომეცალა. მისმა სიკვდილმა ისე ღრმად დამამწუხრა, რომ სამშობლოში დავბრუნდი.

ძალიან კარგი, ბატონო, უთხრა კამიუზომ, საქებარია ასეთი გულახდილობა. სათანადოდაც შეფასდება.

ასე და ამგვარად, ლუსიენი დაადგა სიმართლის სრული აღიარების გზას.

უფრო მეტს ხარჯავდით ანგულემიდან პარიზში დაბრუნების შემდეგ, განაგრძო კამიუზომ, ისე ხელგაშლილად ცხოვრობდით, როგორც სამოცი ათასი ფრანკის რენტის მფლობელი. დიახ, ბატონო.

ფულს ვინ გაძლევდათ?

ჩემი მფარველი, აბატი კარლოს ერერა.

სად გაიცანით?

შარაგზაზე. სწორედ იმ დროს, როცა ცხოვრება მომბეზრდა და თავის მოკვლა დავაპირე...

თქვენს ოჯახში ოდესმე თუ მოგიკრავთ ყური, მის შესახებ რომ რაიმე ეთქვათ? მაგალითად, დედათქვენს არ უხსენებია?

არასოდეს...

შეგიძლიათ მოიგონოთ წელი და თვე, როცა დემუაზელ ესთერს დაუკავშირდით?

1823 წლის დასასრულს, ბულვარის ერთ პატარა თეატრში შევხვდი.

თავდაპირველად ფულს თუ აძლევდით?

დიახ, ბატონო.

რაკი გადაწყვიტეთ, ცოლად შეგერთოთ მადმუაზელ დე გრანლიე, ამას წინათ დე რუბამპრეთა ციხედარბაზის ნანგრევები შეისყიდეთ და მასთან ერთად ერთი მილიონის ღირებულების მიწაწყალიც. გრანლიეთა ოჯახს კი მოახსენეთ, რომ თქვენმა დამ და სიძემ

დიდი მემკვიდრეობა მიიღეს და ზემოაღნიშნული თანხა დიდსულოვნად გიბოძეს... უთხარით თუ არა ყოველივე ეს გრანლიეებს?

დიახ, ბატონო.

იცით, რა იყო თქვენი ქორწინების ჩაშლის მიზეზი?..

არა, ბატონო.

მოგახსენებთ, დე გრანლიეთა ოჯახმა სათანადო ცნობების შესაკრებად პარიზის ერთერთი პატივცემული ვექილი თქვენს სიძესთან მიავლინა. ანგულემში ვექილმა პირადად თქვენი დისა და სიძისაგან შეიტყო, რომ მათ მხოლოდ გროშები გასესხეს და მათი მემკვიდრეობა, მართალია, საკმაოდ მნიშვნელოვანი უძრავი ქონებისაგან შედგება, მაგრამ ჯამში ორასი ათას ფრანკს ძლივს აღწევს... რასაკვირველია, თქვენ უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ ის გარემოება, რომ დე გრანლიეთა ყაიდის ოჯახი ვერ მიიღებს ქონებას, რომლის წარმოშობა ბნელითაა მოცული... აი, ბატონო, სად მიგიყვანათ ტყუილმა...

მის სიცრუეს რომ ფარდა ახადეს, ლუსიენს ცივმა ოფლმა დაასხა და თუ რამ სიმტკიცე შემორჩენოდა, ისიც გაუქრა.

პოლიციამ და სასამართლომ იცის ყოველივე, რისი ცოდნაც სწადია, უთხრა კამიუზომ, დაუფიქრდით ამას. ახლა კი, განაგრძო მან, რაკი გადაწყვიტა ჟაკ კოლენის მამობის ამბავი გამოერკვია, მითხარით, იცით, ვინ არის კარლოს ერერა?

დიახ, ბატონო, მაგრამ მეტად გვიან გავიგე...

როგორ თუ მეტად გვიან? ამიხსენით!

იგი მღვდელი არ გახლავთ, არც ესპანელი, ის არის გამოქცეული კატორღელი, შეაგება გამომძიებელმა.

დიახ, კვერი დაუკრა ლუსიენმა, როდესაც ეს საბედისწერო საიდუმლო გავიგე, უკვე მისი მოვალე ვიყავი. მანამდე კი მეგონა, ეკლესიის პატივცემულ მსახურთან ვმეგობრობდი...

ჟაკ კოლენი... დაიწყო გამომძიებელმა.

დიახ, ჟაკ კოლენი, გაიმეორა ლუსიენმა, ესაა მისი გვარსახელი.

ძალიან კარგი. ჟაკ კოლენი ახლახან იცნო ერთმა კაცმა, განაგრძო კამიუზომ, და თუ თავად ჯერ კიდევ უარყოფს თავის ვინაობას, მე მგონი, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ გამო. მაგრამ იმიტომ გეკითხებოდით, ვინ არის ეგ კაციმეთქი, რომ გამომეაშკარავებინა მისი მეორე ტყუილი.

ლუსიენს თითქოს გავარვარებული შანთი გაუყარეს გულმუცელში, როცა ეს მომაკვდინებელი შენიშვნა მოისმინა.

იცით თუ არა, დასძინა გამომძიებელმა, რომ ამბობს, ვითომც მამაა თქვენი, რათა გაამართლოს თავისი მეტად უჩვეულო სიყვარული თქვენდამი?
ის! მამაჩემი! ოჰ, ბატონო! ნუთუ ასე თქვა!

ხომ არ გაგიგიათ, საიდან შოულობდა თქვენთვის ფულს? თუ დავუჯერებთ წერილს, რომელიც თქვენ ხელთ გაქვთ, საბრალო გოგო, დემუაზელ ესთერი, მოგვიანებით კორალივით გაგიწევდათ სამსახურს, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც თქვენვე ბრძანებთ, დიდი ფუფუნებით ცხოვრობდით, ხოლო დემუაზელ ესთერისგან არაფერს იღებდით.

თქვენ უნდა გკითხოთ, ბატონო, შეჰყვირა ლუსიენმა, კატორღელები საიდან იღებენ ფულს? ვიღაც ჟაკ კოლენი და მამაჩემი! ოჰ, საბრალო დედაჩემო! და ცრემლი წასკდა.

მდივანო, პატიმარს წაუკითხეთ კარლოს ერერას დაკითხვის ის ნაწილი, სადაც თავს ლუსიენ და რუბამპრეს მამად აცხადებს...

ლუსიენმა ოქმის კითხვა ისე მდუმარედ და თავშეკავებით მოისმინა, რომ არ შეიძლებოდა, არ შეგბრალებოდათ.

დავიღუპე! შესძახა მან.

პატიოსნებისა და სიმართლის გზაზე არავინ იღუპება, განუცხადა გამომძიებელმა.

ჟაკ კოლენს ხომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გაგზავნით? ჰკითხა ლუსიენმა.

რა თქმა უნდა, მიუგო კამიუზომ, რომელიც არ ცხრებოდა და ცდილობდა, ლუსიენისგან სულ უფრო მეტი ცნობები მიეღო, ბოლომდე თქვით სათქმელი!

მაგრამ, როგორც არ ეცადა, როგორ არ უჩიჩინა გამომძიებელმა, ლუსიენმა კრინტი აღარ დაძრა. გონება გვიან გაუნათდა; ასე ემართება ყველა გრძნობას აყოლილ კაცს. მოქმედების უნარით დაჯილდოებული ადამიანებისგან პოეტი სწორედ ამით განსხვავდება; პოეტს

გრძნობები იტაცებს და ისწრაფვის, ისინი ცოცხალ სახეებში დაგვიხატოს, ხოლო გრძნობებზე მსჯელობას მოგვიანებით იწყებს. ქმედების კაცი კი ერთდროულთად გრძნობს და განსჯის. ლუსიენი მოიღუშა და მიწისფერი დაედო. თვალი აეხილა და მიხვდა, უფსკრულის ძირში ფართხალებდა; აი, სად გადატყორცნა გამომძიებელმა. მოჩვენებითი გულთბილობით ანკესზე წამოაგო. ლუსიენმა ახლა უღალატა არა მარტო კეთილისმყოფელს, არამედ შეთქმულების თანამონაწილეს, რომელიც მათ პოზიციას მოხერხებულად იცავდა, ლომივით მამაცურად იბრძოდა. და თუკი ჟაკ კოლენმა თავისი შეუპოვრობითა და გაბედულებით ყოველივე გადაარჩინა, ლუსიენმა, დიდი გონებით დაჯილდოებულმა კაცმა, თავისი მოუქნელობითა და მოუსაზრებლობით ყოველივე დაღუპა. ამაზრზენი ტყუილი, რამაც ჭაბუკი აღაშფოთა, უფრო მეტად ამაზრზენი სიმართლის დასაფარად მომარჯვებულ ნიღაბს წარმოადგენდა. გამომძიებელმა გამჭრიახობით მოატყუა ლუსიენი, გაიძვერული ოსტატობით შეაშინა, მისი შეცდომებით მარჯვედ ისარგებლა და ისე სწრაფად მიიტანა იერიში, რომ სინდისის ქენჯნა გაუღვიძა. გეგონებოდათ, ეშვებით გამოშიგნაო, მთელი მისი ცხოვრება ისე გადმოაბრუნა და გამოამზეურა. ლუსიენი დასაკლავი საქონელივით იდგა და თითქოს ყასბის დანას ელოდებოდა. კაბინეტში თავისუფალი, უცოდველი შემოვიდა და თვალის დახამხამებაში საკუთარი აღსარების წყალობით დამნაშავედ გადაიქცა. დასასრულ, ბედის უკანასკნელი, საბედისწერო დაცინვა: გამომძიებელმა მშვიდად და გულგრილად შენიშნა, რომ მისი გამოტეხა გაუგებრობის შედეგი იყო, ვინაიდან მხოლოდ იმის გაგება სურდა, ჟაკ კოლენი ნამდვილად იყო თუ არა ლუსიენის მამა. ჭაბუკს კი შიშით გული გაუსკდა, ვაითუ გაქცეულ კატორღელთან ჩემი ურთიერთობა საქვეყნო გახდესო და იბიკოსის მკვლელთა ყველასთვის ცნობილი დაუდევრობა გაიმეორა.

რუაიეკოლარის დამსახურება ის არის, რომ მან შენიშნა, თავს მოხვეულ გრძნობებს მუდამ ბუნებრივი გრძნობები სდევს ხოლმეო. ამავე დროს მხარი დაუჭირა ფიცის ტრადიციას და განაცხადა, სტუმარმასპინძლობის ადათი გვავალდებულებს, თვით სასამართლოს წინაშე დადებული ფიცის სიმკაცრეც შევარბილოთო. რუაიაკოლარი ამ თეორიებს მთელი ქვეყნის თანდასწრებით, საფრანგეთის ტრიბუნიდან ქადაგებდა. გაბედულად ასხამდა ხოტბას შეთქმულებს და ამტკიცებდა, გაცილებით ადამიანურია, მეგობრობის კანონებს დაემორჩილო, ვიდრე ამა თუ იმ პირობებში სოციალური არსენალიდან ამოღებულ კანონებსო. დასასრულ, ბუნებით სამართალს თავისი კანონები აქვს, ისინი არავის დაუწესებია, მაგრამ უფრო მეტად ცნობილია, ვიდრე საზოგადოების შექმნილი სამართალი. თავისდა სავალალოდ, ლუსიენმა ახლახან უარყო ამხანაგობის კანონი, რაც ავალებდა გაჩუმებულიყო და ჟაკ კოლენისთვის საშუალება მიეცა, თავი დაეცვა. ეგ კიდევ რაა, ბრალიც კი დასდო! ისევ და ისევ პირადი ინტერესებისთვის ეს კაცი აწ და მარადის მისთვის კარლოს ერერად უნდა დარჩენილიყო.

ბატონი კამიუზო გამარჯვებას ზეიმობდა. ორ დამნაშავეს ნიღაბი ახადა. მართლმსაჯულების მარჯვენით მოსრა ეს მოდის ნებიერი და იპოვა ის, ვისი პოვნაც შეუძლებელი ეგონა ყველას, იპოვა ჟაკ კოლენი. სასამართლოს გამომძიებელთა შორის ტოლს ვეღარავინ დაუდებდა. მას,

ბატონ კამიუზოს, სასამართლოს გამომძიებელთა შორის უბადლო მაგისტრატად აღიარებდნენ. ამიტომ აღარ აწუხებდა თავის პატიმარს; მხოლოდ აკვირდებოდა, სასოწარკვეთილი როგორ დუმდა და მწუხარებით გადარეულს ოფლის წვეთები ნელნელა ჩამოსდიოდა პირზე ცრემლის ორ ნაკადთან ერთად.

რა გატირებთ, ბატონო დე რუბამპრე? აკი მოგახსენეთ, მადმუაზელ ესთერის მემკვიდრე ბრძანდებით და მას თქვენ გარდა არც პირდაპირი მემკვიდრეები დარჩენია და არც არაპირდაპირი. მისი მემკვიდრეობა კი დაახლოებით რვა მილიონს აღწევს, თუ დაკარგული შვიდასი ათასი ფრანკიც მოიძებნება.

ეს უკვე უკანასკნელი დარტყმა იყო. ლუსიენს ათი წუთი რომ შეეკავებინა თავი, როგორც ჟაკ კოლენი ბარათში სწერდა, მისი ყოველი მიზანი განხორციელდებოდა, ჟაკ კოლენს ანგარიშს გაუსწორებდა, განშორდებოდა, გამდიდრდებოდა, მადმუაზელ დე გრანლიეზე ჯვარს დაიწერდა. ამ სცენაზე მჭევრმეტყველურად არაფერს შეუძლია დაგვიმტკიცოს, რაოდენ ძლიერია გამომძიებელი დაპატიმრებულ და გარე სამყაროს მოწყვეტილ ბრალდებულთან შედარებით და რაოდენ ძვირფასი იყო ჟაკ კოლენისთვის აზიას მიერ მიწოდებული ცნობა.

აჰ, ბატონო! მწარე ირონიით აღმოხდა ლუსიენს, რომელმაც საკუთარი უბედურებისაგან კვარცხლბეკი აიგო, რა მართალნი არიან, როცა თქვენს ენაზე იტყვიან ხოლმე, დაკითხვა მოგიწყვესო! არჩევანი თუ მიდგებოდა უწინდელ ფიზიკურ წამებასა და თანამედროვე მორალურ წამებას შორის, თვალსაც არ დავახამხამებდი, ისე ავირჩევდი წამებას, ოდესღაც ჯალათი რომ ასრულებდა. მეტი რაღა გსურთ ჩემგან? ჰკითხა მან ამაყად.
აქ, ბატონო, პოეტის ქედმაღლობის საპასუხოდ ამპარტავნულად და დამცინავად მიუგო მაგისტრატმა, მხოლოდ მე მაქვს კითხვების დასმის უფლება.

მე მქონდა უფლება, არ მეპასუხა, წაილუღლუღა ლუსიენმა, რომელსაც ნათელი გონება დაუბრუნდა.

მდივანო, წაუკითხეთ პატიმარს დაკითხვის ოქმი.

უკვე პატიმარიც გავხდი,,, გაიფიქრა ლუსიენმა.

სანამ მწერალი კითხულობდა, ლუსიენმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ იძულებული გახდა, ეთითლიბაზა ბატონ კამიუზოსთან. როდესაც კოკარის ხმის ბუბუნი შეწყდა, პოეტი ისე შეხტა, თითქოს ხმაურში ჩასძინებოდა და სიჩუმემ გამოაღვიძა.

ხელი მოაწერეთ დაკითხვის ოქმს, უთხრა გამომძიებელმა.
და გამათავისუფლებთ, არა? დამცინავად ჰკითხა ლუსიენმა.

ჯერ არა, მიუგო კამიუზომ, მაგრამ ხვალ, როგორც კი დაგაპირისპირებთ ჟაკ კოლენს, უეჭველად გაგათავისუფლებთ. მართლმსაჯულებამ ხომ უნდა გამოარკვიოს, ბრძანდებით თუ არა თანამონაწილე ყველა ამ ბოროტმოქმედებისა, რაც იქნებ ჩაუდენია მაგ კაცს გაქცევის შემდეგ, ესე იგი, 1820 წლიდან. მიუხედავად ამისა, საიდუმლო კარცერში აღარ დაგაბრუნებთ. დირექტორს მივწერ, საუკეთესო პისტოლში,, მოგათავსოთ.

კალამსა და ქაღალდს ხომ მომცემენ?

ყველაფერს მიიღებთ, რასაც მოითხოვთ. ბოქაული გაგაცილებთ და ჩემი სახელით გასცემს ბრძანებას.

კოკარის მითითებით ლუსიენმა ოქმსა და შენიშვნებზე ბედს დამორჩილებული მსხვერპლის თვინიერებით ანგარიშმიუცემლად მოაწერა ხელი. მისი სულიერი მდგომარეობა იქნებ უკეთესად გადმოვცეთ პატარა დეტალით, ვიდრე დაწვრილებითი აღწერით: როცა გაიგო, ჟაკ კოლენს დამაპირისპირებენო, უმალ შეუშრა ოფლი და ცრემლი, ხოლო თვალებში საშინელი სხივი აუგიზგიზდა. ერთ წამში, გაელვებაზე უფრო სწრაფად გახდა ის, რაც ჟაკ კოლენი იყო ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული კაცი!

ლუსიენს რომ ჰქონდა, იმგვარი ხასიათის ადამიანებს (ჟაკ კოლენი შესანიშნავად იცნობდა მას) იმდენად ეძაბებათ ნერვები, რომ სულიერად გათანგულნი, უეცრად ფოლადისებური ნებისყოფით აღიჭურვებიან ხოლმე. განწყობილების ამგვარი შეცვლა იდეათა სამყაროს ყველაზე საოცარი ფენომენია. ვით დამშრალი წყარო უბრუნდება თავის კალაპოტს, ისევე ნებისყოფაც შეიჭრება ორგანოში, რაც განკუთვნილია უცნობი შემადგენლობის სუბსტანციის ასამოძრავებლად და მაშინ გვამი ადამიანად გადაიქცევა, ძალღონით ივსება და უკანასკნელ ბრძოლაში ჩაებმება.

ლუსიენმა ესთერის წერილი და მისგან გამოგზავნილი პორტრეტი უბეში ჩაიდო. მერე ბატონ კამიუზოს აგდებით დაემშვიდობა და ორი ჟანდარმის თანხლებით მტკიცე ნაბიჯით გაჰყვა დერეფანს.

დიდი ავაზაკია! უთხრა გამომძიებელმა მწერალს. ამ სიტყვებით შური იძია პოეტზე, რომელიც ზიზღნარევი დაცინვით მიმართავდა მას, ეგონა, გადავრჩები, თუ ამხანაგს გავცემო.

ამ ორთაგან კატორღელი უფრო ძლიერია... მოკრძალებით თქვა მდივანმა.

კოკარ, დღეისთვის კმარა, უთხრა გამომძიებელმა, თავისუფალი ბრძანდებით. თუ ვინმე გველოდება, გაუშვით. ხვალ მოვიდნენ. ჰო, მართლა, ახლავე გაიქეცით და გამიგეთ, ბატონი გენერალური პროკურორი თავის კაბინეტში თუ ბრძანდება. სთხოვეთ, ერთი წუთით

მიმიღოს, მერე ოქროსფერზოლებიანი, მწვანედ შეღებილი ხის უბადრუკ კედლის საათს შეხედა და დასძინა, ოჰ, ჯერ არ იქნება წასული, ოთხის თხუთმეტი წუთი ყოფილა მხოლოდ.

დაკითხვის ოქმი სწრაფად იკითხება, მაგრამ მის ჩაწერას, შეკითხვებსა და პასუხებს დიდი დრო სჭირდება, რაც ერთერთი მიზეზია იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ჭიანურდება და წინასწარი პატიმრობაც ხანგრძლივია. ღარიბებისთვის ეს სრული გაღატაკებაა, მდიდრებისთვის ლაფის დასხმა, ხოლო სწრაფი გათავისუფლება დაპატიმრებით გამოწვეულ უბედურებას, რამდენადაც შესაძლებელია, ამსუბუქებს. ამიტომაც ზემოაღწერილი, ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემული ორი სცენა იმდენ ხანს მიმდინარეობდა, რამდენიც დასჭირდა აზიას თავისი ბატონის ბრძანების გასაშიფრავად, ჰერცოგინიას ბუდუარიდან გამოსაყვანად და ქალბატონი დე სერიზის გასამხნევებლად.

ამასობაში კამიუზომ ორივე დაკითხვის ოქმი ყურადღებით გადაათვალიერა. გადაწყვიტა, თავისი გამომძიებლური ოსტატობა წყალში არ ჩაეყარა და სარგებელიც ენახა. ჩქარობდა, გენერალური პროკურორისათვის ყოველივე მოეხსენებინა და მისი აზრი გაეგო. ამ ფიქრებში წასულს ბოქაული გამოეცხადა და აუწყა, ქალბატონი გრაფინია დე სერიზის ლაქიას დაუყოვნებლივ სურს თქვენი ნახვაო. კამიუზომ თავი დაუქნია. ბოქაულმა შემოუშვა ბატონკაცივით გამოპრანჭული ლაქია, რომელმაც რიგრიგობით შეათვალიერა ბოქაული და მაგისტრატი და მერე იკითხა:

მაქვს თუ არა პატივი პირადად ბატონ კამიუზოს წარვუდგე?
დიახ, უპასუხეს გამომძიებელმა და ბოქაულმა.

მსახურმა წერილი გაუწოდა და კამიუზომ წაიკითხა:

ყველას საკეთილდღეოდ, ძვირფასო კამიუზო, ნუ დაჰკითხავთ ბატონ დე რუბამპრეს. მიზეზს შემდეგ შეგატყობინებთ. ჩვენ წარმოგიდგენთ მისი უდანაშაულობის საბუთებს, რათა ყმაწვილი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ.

ჰერცოგინია დე მონფრინიეზი, გრაფინია დე სერიზი.±.Ш

. წერილი დაწვით,,.
კამიუზო მიხვდა, ლუსიენისთვის მახის დაგებით დიდი შეცდომა რომ დაუშვა. მყისვე დაემორჩილა ორი დიდი ქალბატონის სურვილს, სანთელი აანთო და წერილი დაწვა. ლაქია მოწიწებით გამოემშვიდობა.

ქალბატონი დე სერიზი მოსვლას აპირებს? ჰკითხა კამიუზომ.

კარეტას ამზადებდნენ, მიუგო ლაქიამ.

ამ დროს კოკარი შემოვიდა და ბატონ კამიუზოს მოახსენა, გენერალური პროკურორი გელოდებათო.

გამომძიებელს გულზე ლოდივით აწვა, რაც თავისი პატივმოყვარული მიზნების საზიანოდ და მართლმსაჯულების სასიკეთოდ მოიმოქმედა. შვიდი წლის სამსახურებრივმა პრაქტიკამ განუვითარა ცბიერება, რომელიც ისედაც არ აკლია არავის, ვისაც იურიდიულ ფაკულტეტზე უსწავლია და ცბიერებაში თვით გრიზეტ გოგოებსაც კი გასჯიბრებია. აი, ახლა აპირებდა სათანადო იარაღით აღკაზმვას, თუკი შურისძიების სურვილით შეპყრობილი ორი დიდი ქალბატონი მის წინააღმდეგ გამოილაშქრებდა. წერილი რომ დაწვა, ის სანთელი ჯერ კიდევ ენთო და იმით დალუქა ლუსიენისთვის მიწერილი ჰერცოგინია დე მონფრინიეზის ოცდაათი უსტარი და ქალბატონი დე სერიზის კორესპონდენციის მთელი დასტა. ამის შემდეგ გენერალური პროკურორისაკენ გაემართა.

მართლმსაჯულების სასახლე ერთმანეთზე მიჭეჭყილ, არეულდარეულ ნაგებობათა წყება გახლავთ. ერთი შენობა დიდებულია, მეორე უბადრუკი, რაც სასახლის ანსამბლს არღვევს: „კარგულ ნაბიჯთა,, დარბაზი ყველა ცნობილ დარბაზთა შორის უდიდესია, მაგრამ ის თავზარდამცემადაა გაშიშვლებული, მისი ნახვა ჟრუანტელს გგვრის. ეს ხრიკებისა და გაიძვერობის ტაძარი სამეფო სასამართლოს ჩაგრავს. მხოლოდ ის რად ღირს, რომ სავაჭრო გალერეა ორი კლოაკისკენ მიემართება. ამ გალერეაში არის ორმაგმოაჯირიანი კიბე, ცოტა უფრო განიერი, ვიდრე გამასწორებელი პოლიციის კიბეა. მის ქვეშ ორკარიანი ფართო კიბე მოჩანს. კიბეს მივყავართ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეზოში, ხოლო ქვედა კარს მეორე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. ისეთი წელიწადიც გამოერევა, როცა სენის დეპარტამენტში ჩადენილი დანაშაული ორ სესიას მოითხოვს. აქვეა პროკურატურა, ადვოკატთა, პროკურორთა მოადგილეების, გენერალური პროკურორის მოადგილეების კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ყველა ეს ადგილსამყოფელი (ადგილსამყოფელიო, ვამბობთ, რადგან საერთო ტერმინი უნდა გამოგვეძებნა) ერთმანეთთან დაკავშირებულია პატარა დახვეული კიბეებით, ბნელი დერეფნებით, რაც ლაფს ასხამს პარიზის თუ მთელი საფრანგეთის ხუროთმოძღვრებას. უზენაესი სასამართლოს კაბინეტები იმდენად შემზარავია, რომ არაფრით ჩამოუვარდება თვით ყველაზე უბადრუკ ციხესაც. ზნეჩვეულებათა მემატიანე ძრწოლით უკან დაიხევდა, თუკი დაეკისრებოდა აეწერა ზემო სართულზე განთავსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ერთი მეტრი სიგანის აყროლებული ტალანი. ბუხარი კი, სხდომათა დარბაზს რომ ათბობს, მონპარნასის ბულვარის ყველა კაფესაც შეარცხვენდა.

გენერალური პროკურორის კაბინეტი განთავსებულია რვაკუთხედ ნაგებობაში, რომელიც სავაჭრო გალერეის გვერდით დგას და სასახლესთან შედარებით უფრო გვიან არის შეჭრილი იმ ეზოს ტერიტორიაზე, ქალთა განყოფილებას რომ ესაზღვრება. მართლმსაჯულების სასახლის მთელ აქეთა მხარეს სენტშაპელის მაღალი, საუცხოო შენობა გადმოჰყურებს. ამიტომაც აქ სიბნელე და სიჩუმეა გამეფებული.

ბატონ დე გრანვილს, ძველი სასამართლო პალატის სახელოვან მაგისტრატთა ღირსეულ შემცვლელს, არ ენებებინა სასახლე მანამდე დაეტოვებინა, სანამ ლუსიენის საქმე გაირკვეოდა. კამიუზოსაგან ამბებს ელოდებოდა და გამომძიებლის ცდაში მისი გონება უნებლიეთ გაიტაცა მძიმე ფიქრმა, რასაც თვით ყველაზე მტკიცე ხასიათის ადამიანებსაც აღუძრავს ხოლმე მოლოდინი. ჯერ ფანჯრის ნიშაში იჯდა, მერე წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა. მოსვენება დაჰკარგოდა, რადგან დილას კამიუზოს გზაზე დაუდარაჯდა და როცა პირისპირ შეხვდა, დარწმუნდა, მაინცდამაინც დიდი მიხვედრილი ვინმე რომ არ ბრძანდებოდა. ბატონ დე გრავნილს გაურკვეველი მღელვარება ეუფლებოდა, იტანჯებოდა და არცთუ უმიზეზოდ. სამსახურებრივი მდგომარეობა ნებას არ აძლევდა, მისდამი დაქვემდებარებული მაგისტრატის უფლებამოსილების დამოუკიდებლობაზე იერიში მიეტანა. არადა, ამ პროცესში ჩარეული იყო მისი საუკეთესო მეგობრის პატივი და ღირსება. ეს გახლდათ მისი კეთილისმყოფელი და მფარველი გრაფი დე სერიზი, მინისტრი, საიდუმლო საბჭოს წევრი, სახელმწიფო საბჭოს ვიცეპრეზიდენტი. ვინ იცის, მომავალში იქნებ საფრანგეთის კანცლერიც გამხდარიყო, თუ კეთილშობილი ბერიკაცი, ვისაც ეს უზენაესი ვალდებულება ეკისრებოდა, მიიცვლებოდა. ბატონ დე სერიზის ერთი უბედურება სჭირდა, ცოლს აღმერთებდა მიუხედავად ყველაფრისა,,. რაც უნდა მომხდარიყო, მარად მზად იყო, დაეცვა იგი. ჰოდა, გენერალური პროკურორი შესანიშნავად ხვდებოდა, რა აყალმაყალი ატყდებოდა მაღალ საზოგადოებაში, თუ ბრალდება დაუმტკიცდებოდა კაცს, ვისი სახელიც გრაფინიას სახელს უკავშირდებოდა.

გენერალურმა პროკურორმა გულზე ხელი დაიკრიფა და გაიფიქრა: ოჰ, ოდესღაც მეფის ბრძანებით საქმე გადაეცემოდა უმაღლეს ინსტანციას... ერთობის სიყვარული დაღუპავს ჩვენს ეპოქას,,.

ღირსეულ მაგისტრატს აკრძალულ ვნებათა სიტკბოება და სიმწარე ეგემა. როგორც ვნახეთ, ესთერი და ლუსიენი იმ ბინაში დაბინავდნენ, სადაც მანამდე მადმუაზელ დე ბელფეისთან ფარულად შეუღლებული დე გრანვილი ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს მადმუაზელ დე ბელფეი გაიქცა, ვიღაც ავაზაკს გაჰყვა (იხილეთ ორმაგი ოჯახი,,, კერძო ცხოვრების სცენები,,).

იმწუთას, როცა გენერალური პროკურორი ფიქრობდა, კამიუზომ უთუოდ რაღაც სისულელე ჩაიდინაო, გამომძიებელმა მისი კაბინეტის კარზე ორჯერ მიაკაკუნა.

აბა, რას მეტყვით, ძვირფასო კამიუზო, როგორაა ის საქმე, დილას რომ გელაპარაკეთ?

ცუდად, ბატონო გრაფო, წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ.

დაკითხვის ორი ოქმი გაუწოდა ბატონ დე გრანვილს, რომელმაც ლორნეტი მოიმარჯვა და ფანჯრის ნიშასთან მივიდა. ოქმები უცბად ჩაიკითხა.

თქვენი ვალი მოგიხდიათ, უთხრა გენერალურმა პროკურორმა აღელვებული ხმით, აქ ყველაფერია ნათქვამი. საქმეს მსვლელობა მიეცემა... ისე გამოიჩინეთ თავი და ისეთი გამჭრიახობა გამოამჟღავნეთ, რომ თქვენისთანა გამომძიებლის მოშორებას არავინ მოისურვებს...

ბატონ დე გრანვილს პირდაპირ რომ ეთქვა კამიუზოსთვის, მთელი სიცოცხლე სასამართლოს გამომძიებლად დარჩებითო, ამ ხოტბაზე ცხადად მაინც ვერ გამოკვეთდა აზრს. კამიუზოს გულმუცელი გაეყინა.

ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა, ვისგანაც დიდად ვარ დავალებული, მთხოვა...
აჰ, ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა... სიტყვა გააწყვეტინა გრანვილმა, ეგ ხომ ქალბატონი დე სერიზის მეგობარია. ვხედავ, თქვენზე ვერვის მოუხდენია გავლენა. კარგადაც მოქცეულხართ, ბატონო. დიდი მაგისტრატი იქნებით...

ამ დროს გრაფმა ოქტავ დე ბოვანმა დაუკაკუნებლად შემოაღო კარი და გრაფ დე გრანვილს უთხრა:

ჩემო კარგო, ერთი ლამაზი ქალი მოვიყვანე. არ იცოდა, საით წასულიყო და ჩვენს ლაბირინთში კინაღამ დაიკარგა...
გრაფ ოქტავს ხელი ჩაევლო გრაფინია დე სერიზისთვის, რომელიც თხუთმეტი წუთი იქნებოდა, სასახლეში დახეტიალებდა.

თქვენ აქა ხართ, ქალბატონო? შეჰყვირა გენერალურმა პროკურორმა და თავისი სავარძელი მიუდგა, მერედა, რა დროს! ეს ბატონი კამიუზოა, ქალბატონო, დასძინა მან და გამომძიებელზე მიუთითა, ბოვან, მიუბრუნდა იგი რესტავრაციის პერიოდის ამ სახელგანთქმულ სამინისტრო ორატორს, პირველ თავმჯდომარესთან მომიცადე, ჯერ კიდევ აქ არის. მეც ახლავე მოვალ.

გრაფი ოქტავ დე ბოვანი მიხვდა, რომ არა მარტო თვითონ იყო აქ ზედმეტი, გენერალური პროკურორიც ეძებდა საბაბს, კაბინეტიდან გასულიყო.

ქალბატონი დე სერიზი წინდაუხედავად არ მოიქცა და მართლმსაჯულების სასახლეში როდი მობრძანდა თავისი გერბით შემკული, ლურჯჩარდახიანი, ორადგილიანი თვალისმომჭრელი ეტლით, რომელიც ლივრეიან მეეტლეს დაჰყავდა, ხოლო სატერფულებზე მოკლეშარვლიანი და თეთრი აბრეშუმისწინდებიანი ორი ლაქია იდგა. წამოსვლისას აზიამ ორ დიდ ქალბატონს ურჩია, იმავე ფიაკრში ჩამსხდარიყვნენ, რომლითაც თვითონ და ჰერცოგინია მოვიდნენ ქალბატონ დე სერიზისთან. ამასთან, აზიამ ლუსიენის საყვარელი დაიყაბულა, ისეთი ტანსაცმელი ჩაეცვა, რაც დღეს ქალებისთვის იმავე როლს ასრულებდა,

რასაც ოდესღაც ნაცრისფერი წამოსასხამი მამაკაცებისთვის. გრაფინიას ყავისფერი პალტო ეცვა და ძველი შალი მოესხა. თავზე ეხურა ხავერდის ქუდი, რომელსაც ყვავილები მოაგლიჯეს და სქელი შავი მაქმანის პირბადე მიაკერეს.

თქვენ მიიღეთ ჩვენი წერილი... უთხრა ქალბატონმა დე სერიზიმ კამიუზოს, რომლის გაშტერება ქალმა აღტაცებით სავსე მოწიწების გამოხატულებად ჩათვალა.
სამწუხაროდ, მეტისმეტად გვიან, გრაფინია, მიუგო გამომძიებელმა, რომელსაც ტაქტი და გონება მხოლოდ თავის კაბინეტში ჰყოფნიდა, პატიმრების დასაკითხად.

როგორ თუ მეტისმეტად გვიან?

ქალბატონმა დე სერიზიმ ბატონ დე გრანვილს გადახედა და უკიდურესი დაბნეულობა შენიშნა.

შეუძლებელია, არ უნდა იყოს ჯერ კიდევ მეტისმეტად გვიან, დასძინა ქალმა მბრძანებლური კილოთი.

ქალები, მაღალი წრის ლამაზი ქალები, როგორიცაა ქალბატონი დე სერიზი, ფრანგული ცივილიზაციის ნებიერი ბავშვები ბრძანდებიან. სხვა ქვეყნის ქალებმა რომ იცოდნენ, რას წარმოადგენს პარიზში მოდური ქალბატონი, მდიდარი და დიდგვაროვანი, ყველანი ჩვენთან ჩამოსვლაზე იოცნებებდნენ, რათა უფლება მიეღოთ, დამტკბარიყვნენ ამ თვალწარმტაცი, მეფური ძალაუფლებით. ქალები, რომლებიც მარტოოდენ რიგიან ყოფაქცევაზე ზრუნავენ (ხოლო რიგიანი ყოფაქცევა წვრილმან კანონთა კრებულია, რაც საკმაოდ ხშირადაა ნახსენები ადამიანურ კომედიაში,, ქალთა კოდექსის სახელწოდებით), მასხრად იგდებენ მამაკაცების მიერ შექმნილ კანონებს; რაც მოეპრიანებათ, იმას ამბობენ, უკან არ იხევენ არავითარი სისულელის, არავითარი შეცოდების წინაშე, რამეთუ მშვენივრად მიხვდნენ, რომ არაფერზე აკისრიათ პასუხისმგებლობა, საკუთარი ქალური ღირსებისა და შვილების გარდა. ჯოჯოხეთურ ამბებს სიცილით ჰყვებიან. როცა დასჭირდებათ, იმეორებენ მშვენიერი ქალბატონი დე ბოვანის სიტყვებს, გათხოვების პირველ დღეებში რომ უთხრა ქმარს, რომელსაც მართლმსაჯულების სასახლეში გამოუარა: ჩქარა გაასამართლე და წამოდი!,,

ქალბატონო, მიმართა გენერალურმა პროკურორმა, ბატონ ლუსიენ დე რუბამპრეს არც ქურდობაში მიუძღვის ბრალი და არც მოწამვლაში, მაგრამ ბატონმა კამიუზომ იგი აიძულა, ეღიარებინა ამაზე მეტად სერიოზული დანაშაული!..
რა? იკითხა ქალმა.

მან აღიარა, ჩასჩურჩულა გენერალურმა პროკურორმა, რომ მეგობრობდა და შეგირდიც იყო გაქცეული კატორღელისა. აბატი კარლოს ერერა, ესპანელი, რომელიც თითქმის შვიდი წელიწადი მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, მგონი, ჩვენი სახელგანთქმული ჟაკ კოლენია...

მაგისტრატის ყოველი სიტყვა ქალბატონ დე სერიზის ეროსავით ურტყამდა, მაგრამ ამ ყველასათვის ცნობილმა სახელმა მთლად გაასავათა.

მერედა, მაგას რა მოჰყვება? ძლივს გასაგონად აღმოხდა ქალს.

მოჰყვება ის, ჩურჩულით განაგრძო ბატონმა დე გრანვილმა, რომ კატორღელის საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცემენ, ხოლო ლუსიენი თუ საბრალდებო სკამზე არ აღმოჩნდება, როგორც ამ კაცის მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან მიღებული სარფის შეგნებული თანაზიარი, სასამართლოს მაინც წარუდგება როგორც მოწმე; სახელიც ხომ სულ მთლად შეებღალება...

ოჰ, არა, არასოდეს! შეჰყვირა გრაფინიამ, მიჯობს მოვკვდე, ვიდრე კაცი, ვისაც მთელი ქვეყანა ჩემს საუკეთესო მეგობრად თვლიდა, სამართალმა კატორღელის ამხანაგად გამოაცხადოს... მეფე დიდად აფასებს ჩემს ქმარს.

ქალბატონო, ხმამაღლა, ღიმილით მიუგო გენერალურმა პროკურორმა, მეფეს არ ძალუძს, ძალა დაატანოს თვით უმნიშვნელო გამომძიებელსაც კი და უფლება არა აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მსვლელობაზე მოახდინოს გავლენა. სწორედ ეს არის ჩვენი მმართველობის ახალი წესრიგის სიდიადე. მე თვითონ მივულოცე ბატონ კამიუზოს ასეთი მოხერხებულობის...

მოუხერხებლობის, ცქვიტად ჩაურთო გრაფინიამ, რომელსაც ლუსიენის მჭიდრო კავშირი ბანდიტთან გაცილებით ნაკლებად აწუხებდა, ვიდრე მისი სიახლოვე ესთერთან.

რომ წაგეკითხათ იმ დაკითხვის ოქმი, რაც ბატონმა კამიუზომ ორ პატიმარს ჩაუტარა, დარწმუნდებოდით, რომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული...

გენერალური პროკურორი ამის მეტს ვერაფერს იტყოდა. შემდეგ ქალური ცბიერებით, თუ გნებავთ, პროკურორული ცბიერებით, ქალბატონ დე სერიზის გადახედა და კარისაკენ გაემართა. ზღურბლთან რომ მივიდა, შემოტრიალდა და დასძინა:

მაპატიეთ, ქალბატონო, ორიოდე სიტყვა უნდა ვუთხრა ბოვანს...

ეს კი მაღალი წრის ენაზე გრაფინიასთვის ნიშნავდა, არ მსურს ვიყო მოწმე იმისა, რაც თქვენსა და კამიუზოს შორის მოხდებაო.

ეგ რა დაკითხვაა? განგებ რბილად ჰკითხა ლეონტინმა კამიუზოს, რომელიც მთლაც გაოგნებული და დაბნეული იდგა სახელმწიფოს ერთერთ ყველაზე მაღალი თანამდებობისა და მდგომარეობის მქონე პირის მეუღლის წინაშე.
ქალბატონო, მიუგო კამიუზომ, მდივანი იწერს გამომძიებლის შეკითხვებს და პატიმრის პასუხებს. მერე ოქმს ხელს აწერენ მდივანი, გამომძიებელი და პატიმარი. ოქმი სასამართლო პროცედურის შემადგენელი ნაწილია, აზუსტებს ბრალდებას და ბრალდებულთა საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცემს.

ძალიან კარგი! უთხრა ქალმა, ხომ შეიძლება გაუქმდეს ეგ დაკითხვები?

აჰ, ქალბატონო, რა ბრძანებაა, ეგ ხომ დანაშაული იქნება, რასაც ვერც ერთი მაგისტრატი ვერ ჩაიდენს. ეს დანაშაულია საზოგადოების წინაშე.

უფრო მეტ დანაშაულს სჩადიოდით ჩემ წინაშე, როცა მაგას წერდით, მაგრამ, აი, ამ წუთს ეგ ერთადერთი საბუთია ლუსიენის საწინააღმდეგოდ. აბა, ერთი წამიკითხეთ მისი დაკითხვა, იქნებ რაიმე ვიღონოთ მის დასახსნელად. ღმერთო ჩემო, მარტო მე რომ მეხებოდეს ეგ საქმე, თავს მოვიკლავდი, ხელიც არ ამიკანკალდებოდა, მაგრამ რა ეშველება ბატონ დე სერიზის, ის ხომ მთლად გაუბედურდება.

ქალბატონო, მიმართა კამიუზომ, ხომ არ გგონიათ, თითქოს არ მესმოდეს, რომ ვალდებული ვარ, უღრმესი მოწიწებით გეპყრობოდეთ. ბატონი პოპინოსთვის რომ დაევალებინათ ამ საქმის გამოძიება, თქვენთვის გაცილებით მეტი უბედურება იქნებოდა, რადგან იგი არ მოვიდოდა ბატონ გენერალურ პროკურორთან და რჩევას არ ჰკითხავდა. თქვენც არაფერი გეცოდინებოდათ. უნდა მოგახსენოთ, ქალბატონო, ლუსიენისაგან ყველაფერი წამოიღეს, თქვენი წერილებიც...

ოჰ, ჩემი წერილები!

აგერ ისინი, დალუქულია, უთხრა მაგისტრატმა.

გრაფინია ისე ირჯებოდა, გეგონებოდათ, საკუთარ სახლშიაო. დიდად აღელვებულმა ზარი დარეკა. გენერალური პროკურორის კანცელარიის მსახური კაბინეტში შემოვიდა.

სანთელი! უბრძანა ქალბატონმა.
მსახურმა სანთელი აანთო და ბუხარზე დადგა. ამასობაში გრაფინია თავის წერილებს ათვალიერებდა, კითხულობდა, ჭმუჭნიდა და ბუხარში ყრიდა. ბოლოს უკანასკნელი წერილი დაგრიხა, ჩირაღდანივით აანთო და ბუხარში ჩაყრილ წერილებს ცეცხლი წაუკიდა. კამიუზოს ოქმები ხელში ეჭირა და გამოყეყეჩებული დაჰყურებდა აგიზგიზებულ წერილებს.

გრაფინია თავს იკატუნებდა, თითქოს საკუთარ ნაზ გრძნობათა დამამტკიცებელი საბუთების განადგურების გარდა სხვა არაფერი აინტერესებდა, ცალი თვალი კი გამომძიებელზე ეჭირა. მერე დრო იხელთა, გამოზომილი მოძრაობით, კატასავით მოქნილად ეცა ორ ოქმს და ცეცხლში ჩაყარა. კამიუზო მაშინვე დასწვდა ქაღალდებს. გრაფინია ისევ მივარდა გამომძიებელს და ალმოდებული ოქმები გამოგლიჯა. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. კამიუზო გაჰყვიროდა:

ქალბატონო, ქალბატონო, თქვენ ხელყოფთ... ქალბატონო!

კაბინეტში ვიღაც შემოვარდა. გრაფინიამ თავი ვეღარ შეიკავა და შეჰყვირა, რადგან მის წინ გრაფი დე სერიზი იდგა. გრაფს ბატონი დე გრანვილი და ბატონი დე ბოვანი შემოჰყვნენ. ლეონტინს გადაეწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ლუსიენი გადაერჩინა. ხელიდან არ უშვებდა საზარელ გერბიან ქაღალდებს, ისეთი ძალით ჩაებღუჯა, თითქოს მარწუხებში მოუქცევიაო, თუმცა ალს უკვე შეეტრუსა მისი ნატიფი კანი. დაბოლოს, ისევ კამიუზომ შეუშვა ხელი, რადგან მასაც დაეწვა თითები. ესეც არ იყოს, შერცხვა, ქალს რომ ეჭიდებოდა და თავი ანება. ოქმებისგან მხოლოდ ის ნაფლეთები გადარჩენილიყო, რაც ორ მოწინააღმდეგეს ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული და ცეცხლს ვერაფერი დაეკლო... ეს სცენა თვალის დახამხამებაში გათამაშდა, გაცილებით ნაკლებ დროში, ვიდრე მისი აღწერილობის წაკითხვას მოუნდა.

რა მოხდა თქვენსა და ქალბატონ დე სერიზის შორის? ჰკითხა მინისტრმა კამიუზოს.
სანამ გამომძიებელი უპასუხებდა, გრაფინიამ ქაღალდის ნაგლეჯები სანთელთან მიიტანა და წერილების ნარჩენებს დააყარა, რისი შთანთქვაც ცეცხლს ვერ მოესწრო.

იძულებული ვარ, თქვა კამიუზომ, საჩივარი აღვძრა ქალბატონი გრაფინიას წინააღმდეგ.

რა დაგიშავათ? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა და გრაფინიასა და გამომძიებელს გადახედა.

დაკითხვის ოქმები დავწვი, სიცილით უთხრა ქალმა. ისე იყო გახარებული თავისი უგუნური საქციელით, რომ ჯერ ვერ გრძნობდა სიდამწვრეს, რა ვუყოთ, თუკი ეს დანაშაულად ჩაითვლება, ბატონს შეუძლია ხელახლა შეუდგეს მაგ საშინელების ჯღაბნას.

მართალი ბრძანებაა, მიუგო კამიუზომ, რომელიც სულ იმას ცდილობდა, რამენაირად შეენარჩუნებინა პირადი ღირსება.

ჯანდაბას, იქნებ ასე სჯობს კიდეც, თქვა გენერალურმა პროკურორმა, მაგრამ, ძვირფასო გრაფინია, არ გირჩევთ მაგისტრატურის წინაშე მსგავსი თავშეუკავებლობა ხშირად გამოამჟღავნოთ. სამართალს უფლება აქვს, თქვენს პიროვნებას აღარ გაუწიოს ანგარიში.

ბატონი კამიუზო ვაჟკაცურად უწევდა წინააღმდეგობას ქალს, ვისაც წინ ვერავინ დაუდგება. მართლმსაჯულების მსახურის მანტიის ღირსება გადარჩენილია! სიცილით ჩაურთო გრაფმა დე ბოვანმა.

აჰ, ბატონი კამიუზო წინააღმდეგობას უწევდა? ისევ სიცილით თქვა გენერალურმა პროკურორმა, დიდი გულადი ყოფილა.

პირადად მე ვერ გავბედავდი გრაფინიასთვის წინააღმდეგობის გაწევას!

ხელის ერთი დაკვრით ეს მეტად სერიოზული ხელყოფა მართლმსაჯულების კანონებისა ლამაზი ქალის ხუმრობად გადაიქცა. თვით კამიუზოსაც გაეცინა.

მაგრამ გენერალურმა პროკურორმა შენიშნა, რომ ერთი კაცი ვერ იცინოდა. გრაფ დე სერიზის გარეგნობითა და გამომეტყველებით მეტად შეშინებულმა ბატონმა დე გრანვილმა იგი განზე გაიყვანა.

ჩემო მეგობარო, უთხრა ჩურჩულით, შენმა მწუხარებამ მაიძულა, ჩემს სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად მეღალატა ჩემი ვალდებულებისთვის.
მაგისტრატმა დარეკა. მსახური შემოვიდა.

სთხოვეთ ბატონ დე შარჟბეფს, ჩემთან მოვიდეს.

ბატონი დე შარჟბეფი, ახალბედა ადვოკატი, გენერალური პროკურორის მდივანი იყო.

ძვირფასო მეტრ, უთხრა გენერალურმა პროკურორმა კამიუზოს, როცა იგი ფანჯრის ნიშასთან მიიყვანა, წაბრძანდით თქვენს კაბინეტში, მდივანთან ერთად აღადგინეთ აბატ კარლოს ერერას დაკითხვის ოქმი. ოქმი ხელმოუწერელი იყო და დაუბრკოლებლად შეგიძლიათ თავიდან დაიწყოთ დაკითხვა. ხვალ ამ ესპანელ დიპლომატს,, პირისპირ წაუყენებთ ბატონ დე რასტინიაკსა და ბატონ ბიანშონს. ისინი, რა თქმა უნდა, ვერ შეიცნობენ ჩვენს ჟაკ კოლენს. რაკი დარწმუნდება, გამათავისუფლებენო, ხელს მოაწერს დაკითხვის ოქმს. ლუსიენ დე რუბამპრეს კი ამავე საღამოს გაათავისუფლებთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერს იტყვის დაკითხვაზე, რომლის ოქმიც გამქრალია... ხვალ სასამართლოს გაზეთში,, გამოცხადდება, რომ ეს ყმაწვილი დაუყოვნებლივ გავათავისუფლეთ. ახლა კი ვნახოთ, ამგვარი მოქცევით რა დააკლდება მართლმსაჯულებას? თუ ესპანელი კატორღელია, ათასი საშუალება გვაქვს, ხელახლა დავაპატიმროთ, მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი აღვძრათ, რადგან დიპლომატიური გზებით შევძლებთ ესპანეთში მის მოღვაწეობას შუქი მოვფინოთ. ჩვენი კონტრპოლიციის უფროსი კორანტენი თვალს არ მოაცილებს. ეგეც არ იყოს, განა ჩვენ გაგვექცევა ხელიდან? გთხოვთ, თავაზიანად

მოეპყარით, ნურც კარცერში გეყოლებათ. ამაღამვე პისტოლში,, გადაიყვანეთ. აბა, რა ვქნათ, ხომ ვერ მოვკლავთ გრაფ და გრაფინია დე სერიზებს, ანდა ლუსიენს რაღაც შვიდასი ათასი ფრანკის ქურდობისთვის. თან არცა ვართ დარწმუნებულნი, მოპარულია თუ არა ეგ თანხა და თუ მოპარულია, ისევ და ისევ ლუსიენის საზარალოდ. განა უმჯობესი არ არის დაკარგოს ფული, ვიდრე სახელი? მეტადრე მაშინ, თუ მასთან ერთად ჩირქი მოეცხება მინისტრს, მის მეუღლეს და ჰერცოგინია დე მონფრინიეზს? ყმაწვილი სიდამპლეშეპარული ფორთოხალია, მთლად ნუ დაალპობთ... სულ ნახევარი საათის საქმეა, აბა, ახლა წადით, ჩვენ აქ დაგელოდებით. ოთხის ნახევარია, მოსამართლეები ჯერ აქ იქნებიან, მაცნობეთ, თუ შეძლებთ მათგან მიიღოთ სათანადო ფორმით შედგენილი ბრძანება ფაქტების უქონლობის შედეგად მისი გათავისუფლების შესახებ... თუ არა და, ლუსიენმა ხვალ დილამდე უნდა მოიცადოს.
კამიუზომ თავი დაუკრა და გავიდა, მაგრამ ქალბატონ დე სერიზის დამწვარი ხელი უკვე ასტკივდა და გამომშვიდობებაზე აღარ უპასუხა. ბატონი დე სერიზი, რომელიც უცბად გავარდა კაბინეტიდან, სანამ გენერალური პროკურორი გამომძიებელს ეთათბირებოდა, შემობრუნდა და შემოიტანა პაწია ქილა, სადაც სუფთა ცვილი იდო. ცოლს დამწვარ ადგილზე წაუსვა და თან ყურში უთხრა, ლეონტინ, რატომ არ გამაფრთხილეთ, აქ რომ მოდიოდითო.

საბრალო მეგობარო, ჩურჩულითვე მიუგო ცოლმა, მაპატიეთ, მართლაც გიჟივით მოვიქეცი, მაგრამ ეს საქმე ხომ ორივეს გვეხებოდა.

გიყვარდეთ ეგ ყმაწვილი, თუკი ეგ ყოფილა თქვენი ბედი, მაგრამ ასე საქვეყნოდ ნუ გახდით თქვენს გატაცებას, უპასუხა საცოდავმა ქმარმა.

ამასობაში ბატონი დე გრანვილი გრაფ ოქტავ დე ბოვანს ესაუბრებოდა, მერე ცოლქმრისკენ მიბრუნდა:

ძვირფასო გრაფინია, მიმართა ქალს, ვიმედოვნებ, ამ საღამოს ბატონ დე რუბამპრეს თქვენთან წაიყვანთ სადილზე.

ეს თითქოს დაპირებად ჩანდა და ისე იმოქმედა ქალბატონ დე სერიზიზე, რომ ცრემლები წასკდა.

აღარ მეგონა, თუ ცრემლი კიდევ გამაჩნდა, თქვა მან ღიმილით და დასძინა, იქნებ მოახერხოთ და აქ მოაცდევინოთ ბატონ დე რუბამპრეს?
ვნახოთ! შევეცდები, ვიპოვო ბოქაულები და ბატონი დე რუბამპრე მათ მოვაყვანინო, რათა ჟანდარმების თანხლება ავაცდინო, მიუგო ბატონმა დე გრანვილმა.

ღმერთივით კეთილი ბრძანდებით! უთხრა გენერალურ პროკურორს გრაფინიამ ისეთი მგზნებარებით, რომ მისი ხმა ღვთაებრივ მუსიკასავით გაისმა.

ო, ეს მომხიბლავი, შეუდარებელი ქალები!,, გაიფიქრა გრაფმა დე ბოვანმა და სევდა შემოაწვა, რადგან ცოლი გაახსენდა (იხილეთ ონორინე,,, კერძო ცხოვრების სცენები,,).

კაბინეტიდან გამოსულ ბატონ დე გრანვილს მიუახლოვდა ახალგაზრდა შარჟბეფი, რომელსაც გენერალურმა პროკურორმა დაავალა, მოლაპარაკებოდა მასოლს, სასამართლოს გაზეთის,, ერთერთ რედაქტორს.

სანამ ლამაზი ქალები, მინისტრები, მაგისტრატები ლუსიენის გადასარჩენად შეთქმულებას აწყობდნენ, აი, რას აკეთებდა იგი კონსიერჟერიში,,: კარიბჭესთან ლუსიენმა კანცელარიის ერთ მოხელეს უთხრა, ბატონმა კამიუზომ წერის ნება მომცაო და ქაღალდი და კალამი სთხოვა. კამიუზოს ბოქაულმა დირექტორს რაღაც ჩასჩურჩულა და დირექტორმაც მაშინვე უბრძანა ზედამხედველს, ლუსიენის თხოვნა დაეკმაყოფილებინა. ზედამხედველს ბრძანების შესასრულებლად ცოტაოდენი დრო დასჭირდა. ამასობაში, საბრალო ყმაწვილკაცს იმის გაფიქრებაზე, რომ ჟაკ კოლენს დაუპირისპირებდნენ, ისეთი საბედისწერო მწუხარება შემოაწვა გულზე, რომ უცბად აეკვიატა და აღარც მოშორებია აზრი, თავი უნდა მოვიკლაო. ეს აზრი უწინაც დაებადა, მაგრამ ვერ შეასრულა. მრავალი გამოჩენილი ფსიქიატრი ამტკიცებს, თვითმკვლელობა ზოგიერთი ადამიანისთვის სულიერი დაავადების დასასრულიაო. დაპატიმრების შემდეგ ლუსიენს თვითმკვლელობაზე ფიქრი აკვიატებულ აზრად გადაექცა. ესთერის წერილმა, მრავალჯერ რომ გადაიკითხა, უფრო მეტად გაუღრმავა ეს სურვილი. რომეოსა და ჯულიეტას სევდიანი რომანის ტრაგიკული დასასრულიც მოაგონდა და აი, რა დაწერა:

ეს ჩემი ანდერძია

კონსიერჟერი,,, 15 მაისი, 1830 წელი.

მე, ქვემორე ხელის მომწერი, ვუტოვებ და ვუანდერძებ ჩემი დის, ქალბატონი ევა სეშარის, ანგულემის ყოფილი სტამბის მეპატრონის, დავიდ სეშარის მეუღლისა და ბატონი დავიდ სეშარის შვილებს ჩემს ავლადიდებას, მოძრავსა თუ უძრავ ქონებას, რაც იქნება ჩემი საკუთრება ჩემი სიკვდილის დღეს. აქედან უნდა გამოირიცხოს ჩემი ვალების დასაფარი თანხა და ანდერძით გათვალისწინებული სხვა პირებისთვის განკუთვნილი ქონების ნაწილი. ანდერძის აღსრულებას ვავალებ ბატონ დე სერიზის, რომელსაც უმორჩილესად ვთხოვ, იკისროს ჩემი ანდერძის შესრულება.

გადასახდელია: 1. ბატონი კარლოს ერერასთვის ათასი ფრანკი; 2. ბატონი ბარონ დე ნიუსინჟენისთვის მილიონ ოთხასი ათასი ფრანკი. იმ შემთხვევაში, თუ მოიძებნება მადმუაზელ ესთერისგან გატაცებული შვიდასი ათასი ფრანკი, ეს თანხა გამოექვითოს.

როგორც მადმუაზელ ესთერის მემკვიდრე, საჩუქრად გადავცემ და ვუანდერძებ შვიდას სამოცი ათას ფრანკს პარიზის საქველმოქმედო დაწესებულებებს, რათა მათ დააარსონ თავშესაფარი ქუჩის ქალებისათვის, თუკი ისინი მოისურვებენ მანკიერებისა და გახრწნილების გზას ჩამოსცილდნენ.

გარდა ამისა, საქველმოქმედო დაწესებულებებს ანდერძად ვუტოვებ სათანადო თანხას ხუთპროცენტიანი ოცდაათი ათასი ფრანკის ოდენობის რენტის შესაძენად. წლიური პროცენტები, წელიწადში ორჯერ, მოხმარდება იმ ვალგადაუხდელობისთვის დაპატიმრებულთა გათავისუფლებას, რომელთა ვალი ორი ათას ფრანკს არ აღემატება. საქველმოქმედო დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა შეარჩიოს მათ შორის ყველაზე ღირსეული.

ვთხოვ ბატონ დე სერიზის, ორმოცი ათასი ფრანკი გამოყოს აღმოსავლეთის სასაფლაოზე მადმუაზელ ესთერისთვის ძეგლის ასაგებად და ასევე ვთხოვ, მეც მის გვერდით დამასაფლაონ. ძველ საფლავთა მსგავსად დაიდგმება კვადრატული კვარცხლბეკი. კვარცხლბეკზე დაიდგმება ორი მარმარილოს ქანდაკება. ქანდაკებათა თავები ბალიშზე დაესვენება, ხოლო ხელები ზეცისკენ ექნებათ აპყრობილი. საფლავს წარწერა არ გაუკეთოთ.

ვთხოვ გრაფ დე სერიზის, ბატონ ეჟენ დე რასტინიაკს ჩემს სახსოვრად გადასცეს ჩემი ოქროს საპარსი მოწყობილობა.

დასასრულ, ასევე ჩემს სახსოვრად, ჩემი ანდერძის აღმასრულებელს ვთხოვ, მიიღოს საჩუქრად ჩემი ბიბლიოთეკა.

ლუსიენ შარდონ დე რუბამპრე...

ლუსიენმა ანდერძი ჩადო პარიზის სამეფო სასამართლოს გენერალური პროკურორის, გრაფ დე გრანვილისთვის მიწერილ ბარათში, რაც მოყვანილია ქვემოთ:

ბატონო გრაფო!

განდობთ ჩემს ანდერძს. როცა ამ წერილს გახსნით, მე ცოცხალი აღარ ვიქნები. გათავისუფლების სურვილით შეპყრობილი ისე სულმდაბლად ვპასუხობდი ბატონ კამიუზოს შეკითხვებზე, რომ მართალია, არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაინც შეიძლება გამრიონ სამარცხვინო სასამართლო პროცესში. თუნდაც პირწმინდად გამამართლონ, მცირეოდენი ლაქაც არ მომეცხოს, ამის შემდეგ ცხოვრება აუტანელი გახდება ჩემთვის, რადგან საზოგადოება მეტად მომთხოვნია.

გთხოვთ, აქვე ჩადებული წერილი არ გახსნათ და გადასცეთ აბატ კარლოს ერერას, ხოლო ბატონ კამიუზოს ჩააბაროთ ჩემ მიერ კანონის მიხედვით შედგენილი უარყოფა საკუთარი ჩვენებისა, რასაც თქვენს კონვერტში ვდებ.

არა მგონია, ვინმემ გაბედოს და გახსნას თქვენთვის გამოგზავნილი პაკეტი. რაკი ამის იმედი მაქვს, გემშვიდობებით და უკანასკნელად გამოვთქვამ უღრმესი პატივისცემის გრძნობას და გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ ჩემი წერილი გამოხატულებაა უღრმესი მადლობისა ყველა იმ სიკეთის გამო, რასაც თქვენ ყოველთვის იჩენდით თქვენი მონამორჩილი, განსვენებული

ლუსიენ დე რუბამპრესადმი,,.

აბატ კარლოს ერერას!

ჩემო ძვირფასო აბატო, თქვენგან სიკეთის მეტი არაფერი მიმიღია, მე კი გიღალატეთ. ეს უნებლიე უმადურობა მკლავს და როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, აღარც ვიქნები ცოცხალი; თქვენ გვერდით არ მეყოლებით და ვერ გადამარჩენთ.

თქვენ სრული უფლება მომანიჭეთ, თუკი ჩემთვის საჭირო გახდებოდა, დამეღუპეთ და სიგარის ნამწვავივით გამესრისეთ მიწაზე; მეც ბრიყვულად ვისარგებლე ამ უფლებით. დაბრკოლება რომ გადამელახა, გამომძიებლის გაიძვერული შეკითხვებით შეცდენილი, მე, თქვენი სულიერი ძე, ვინც თქვენ იშვილეთ, გადავედი იმათ მხარეზე, ვისაც სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაგანადგურონ, დაამტკიცონ, ვითომ თქვენ და ვიღაც ფრანგი ავაზაკი ერთი და იგივე პიროვნება იყოთ, რაც სრულიად დაუჯერებელია ჩემთვის.

თქვენსავით მძლავრ ვაჟკაცსა და ჩემ შორის, ვისგანაც თქვენ გსურდათ შეგექმნათ იმაზე უფრო დიდი ადამიანი, ვიდრე მე შემეძლო ვყოფილიყავი, აბა, რა საჭიროა რაღაც სულელური ახსნაგანმარტება მარადიული განშორების წამს. თქვენ ისწრაფოდით, გაგეხადეთ ძლიერი და სახელგანთქმული და თვითმკვლელობის უფსკრულში ჩამაგდეთ, ესაა და ეს. დიდი ხანია ვგრძნობდი, როგორ მემღვრეოდა გონება.

ზოგჯერ მეტყოდით ხოლმე, ქვეყნად კაენისა და აბელის შთამომავლობა სულდგმულობსო. კაცობრიობის უდიდეს დრამაში კაენი წინააღმდეგობის გამომხატველია. თქვენც ადამის შთამომავალი ხართ, კაენის ძეთა ნაშიერი, ხოლო კაენის მოდგმის გულში ეშმაკი მუდმივად აჩაღებს კოცონს, რომლის ნაპერწკალიც თავდაპირველად ევას მოხვდა. ამ მოდგმის დემონთა შორის ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე მრავალმხრივი ნიჭითა და ყოველგვარი ადამიანური ძალითა და უნარით დაჯილდოებული შემზარავი არსებანი, რომლებიც უდაბნოს ონავარ მხეცებს ჰგვანან და მათი არსებობა სწორედ ისეთ თვალუწვდენელ სივრცეებს მოითხოვს, როგორიც მათ მშობლიურ მიწაზეა გადაშლილი. ამგვარი ადამიანები საზოგადოებისთვის ისევე საშიშნი არიან, როგორც შუაგულ ნორმანდიაში ანაზდად გამოჩენილი ლომები. მათ

საკბილო ესაჭიროებათ, ნთქავენ წვრილფეხა ადამიანებს და ყეყეჩთა ოქროებს. მათი თამაში იმდენად დამღუპველია, რომ ბოლოს და ბოლოს, კლავენ თვინიერ ფინიას, რომელიც თვითონვე დაიმეგობრეს და კერპად გადააქციეს. და როცა ღმერთი ინებებს, ეს იდუმალებით მოცული არსებანი ხდებიან მოსეები, ატილები, შარლემანები, რობესპიერები ან ნაპოლეონები. მაგრამ, როდესაც ასევე ღვთის ნებით ამ გოლიათ დევგმირებს ოკეანის ფსკერზე ხავსი ეკიდებათ, მაშინ მათგან აღმოცენდებიან მარტოოდენ პუგაჩოვები, ფუშეები, ლუველები და აბატი კარლოს ერერები. ისინი ფლობენ უდიდეს ძალას, რითაც იმონებენ ნაზი სულის ადამიანებს, იახლოებენ მათ და მერე თელავენ. თავისებურად დიადია ეს, მშვენიერი! ტყეში ამოსული კაშკაშა შეფერილობის თვალწარმტაცი შხამიანი მცენარეა და ბავშვებს იზიდავს. ბოროტების პოეზიაა იგი.

თქვენისთანა ადამიანები მღვიმეებში უნდა ცხოვრობდნენ და გარეთ არ უნდა გამოდიოდნენ. თქვენ მე ამ გოლიათების ცხოვრებით მაცხოვრეთ. ახლა კმარა, ცხოვრებასთან ანგარიში უკვე გავასწორე. ასე და ამგვარად, შემიძლია, შენი თაღლითობის გორდიასის კვანძიდან თავი დავიძვრინო და ჩემი ყელსახვევის კვანძში გავყო.

შეცდომის გამოსასწორებლად გენერალურ პროკურორს წერილობით ვუცხადებ, რომ ჩემს დაკითხვას სრულიად უარვყოფ. თქვენ არ გაგიჭირდებათ ისარგებლოთ ამ საბუთით. ბატონო აბატო, კანონიერად შედგენილი ანდერძით დაგიბრუნდებათ თქვენი ორდენის კუთვნილი თანხა, რასაც მეტად ხელგაშლილად მახარჯავდით, რადგან მამობრივი სიყვარულით იყავით განმსჭვალული ჩემ მიმართ. მაშ, მშვიდობით, მშვიდობით, ბოროტებისა და მანკიერების დიადო ძეგლო. იყავით მშვიდობით თქვენ, ვისაც შეგეძლოთ ყოფილიყავით უფრო დიდებული, ვიდრე იყვნენ ხიმენესი ან რიშელიე, თავის დროზე კეთილ გზას რომ დასდგომოდით. თქვენ სიტყვა შეასრულეთ. მე კი ისევ ისეთი ვარ, შარანტის ნაპირას რომ მნახეთ. ოღონდ მას შემდეგ თქვენი წყალობით საოცრად მომხიბლავი სიზმრები ვიხილე. მაგრამ, საუბედუროდ, ვეღარ ვხედავ ჩემი მშობლიური კუთხის მდინარეს, სადაც ჩავიხრჩობდი ჭაბუკურ შეცოდებებს. ახლა სენის პირას ვდგავარ და ჯურღმული, სადაც სული ამომხდება, კონსიერჟერის,, საკანია.

ჩემზე ნუ იდარდებთ: ჩემი ზიზღი თქვენ მიმართ თქვენით აღტაცების გრძნობას ეტოლებოდა.

ლუსიენი,,.

განცხადება”

მე, ქვემორე ხელისმომწერი, ვაცხადებ, რომ სრულიად უარვყოფ ყოველივე იმას, რაც დაკითხვაზე ვთქვი ბატონი კამიუზოს წინაშე.

აბატი კარლოს ერერა, ჩვეულებრივ, თავს ჩემს სულიერ მამას უწოდებდა. მე შემაცდინა გამომძიებლის მიერ სხვა აზრით წარმოთქმულმა სიტყვამ. უეჭველია, თვით გამოძიებელიც რატომღაც შეცდა.

ვიცი, რომ ესპანეთისა და ტიუილრის მთავრობებისათვის საზიანო საიდუმლო დოკუმენტების მოსპობისა და სხვა პოლიტიკური მიზნებისათვის დიპლომატიის საიდუმლო აგენტები ცდილობენ, დაამტკიცონ, ვითომც აბატი კარლოს ერერა კატორღელი ჟაკ კოლენი იყოს. მაგრამ ამის თაობაზე კარლოს ერერასაგან სხვა არაფერი გამიგია, გარდა იმისა, რომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა ჟაკ კოლენის გარდაცვალების ან არსებობის დამადასტურებელი საბუთების პოვნას.

კონსიერჟერი,,, 15 მაისი, 1830

ლუსიენ დე რუბამპრე,,,

თვითმკვლელობის ციებცხელებამ ლუსიენს გონება გაუნათა და მის კალამს ისეთი სიმსუბუქე შემატა, რაც შემოქმედებითი ციებცხელებით შეპყრობილ მწერლებს ემართებათ. იმდენად იყო აღგზნებული, რომ ეს ოთხი წერილი რაღაც ნახევარ საათში დაწერა, მერე შეკრა და უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანის სიმძლავრით დალუქა საგვარეულოს გერბიანი ბეჭდით, თითზე რომ ატარებდა. პაკეტი ოთახის შუაგულში, ფილაქანზე დააგდო, თვალსაჩინო ადგილას. რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელი გახლდათ ამაზე მეტი ღირსებით დაეღწია თავი იმ საჩოთირო მდგომარეობისთვის, რაც თავისი სამარცხვინო მოქმედების შედეგად შეექმნა.

სიკვდილის შემდეგ პატიოსანი კაცის სახელს დატოვებდა და თანამონაწილისთვის წაყენებულ ბოროტებას იმდენად გამოასწორებდა, რამდენადაც დენდის გონებამახვილობას შესწევდა უნარი, მიამიტი პოეტის შეცოდება გაექარწყლებინა.

ლუსიენი რომელიმე კარცერში რომ დაემწყვდიათ, ჩანაფიქრის შესრულებას ვერ მოახერხებდა, რადგან ნათალი ქვის გალიებში უბადრუკი გასაშლელი საწოლისა და აუცილებელი საჭიროებისათვის გამიზნული გობის მეტი არაფერი მოიძებნება. არც ლურსმანია სადმე, ერთი სკამიც არ აგდია. რკინის საწოლი ისეა მიმაგრებული იატაკზე, რომ დიდი ჯაჯგური სჭირდება მის დაძვრას და ყოვლად შეუძლებელია, ზედამხედველმა ბრახაბრუხი არ გაიგონოს, რადგან კარის საჭვრეტი ყოველთვის ღიაა, ხოლო განსაკუთრებით საშიშ პატიმარს ჟანდარმს ან პოლიციის აგენტს უყენებენ დარაჯად. ლუსიენი, როგორც მაღალი საზოგადოებიდან გამოსული ყმაწვილი, ვისზეც მეტი მზრუნველობა მართებდათ,

გამომძიებლის ბრძანებით პისტოლში,, გადაიყვანეს. აქ იდგა საწოლიც, სკამიც, მაგიდაც. მათი გადაადგილება ადვილად შეიძლებოდა და თუ კაცს თავის მოკვლას მაინცდამაინც ვერ გაუადვილებდა, ხელს მაინც შეუწყობდა. ლუსიენს კისერზე ლურჯი აბრეშუმის გრძელი ყელსახვევი ეკეთა. გამომძიებლიდან დაბრუნებისას გაიხსენა, პიშეგრიუმ, ნებსით თუ უნებლიეთ, როგორ დაასრულა სიცოცხლე. მაგრამ თავის ჩამოსახრჩობად საყრდენი წერტილი უნდა მოიძებნოს, სათანადო სივრცეც, რათა სხეულსა და იატაკს შორის ადგილი დარჩეს და ფეხებს საყრდენი არ ჰქონდეს. ციხის შიგნითა ეზოსკენ გამავალ სარკმელს საკეტი არ ჰქონდა, რკინის გისოსები სქელი კედლის გარეთა მხარეს იყო მიმაგრებული და ლუსიენს საყრდენ წერტილად ვერ გამოადგებოდა.

მოგახსენებთ, თუ როგორი გეგმა უკარნახა ლუსიენს გამჭრიახმა გონებამ თავის მოსაკლავად: ფანჯარაზე მიმაგრებული ფარი ლუსიენს ეზოში გახედვის საშუალებას არ აძლევდა, სამაგიეროდ, ზედამხედველებიც ვერ ხედავდნენ, რა ხდებოდა საკანში. ფანჯრის ქვემო ნაწილზე მინების ნაცვლად ორი სქელი ფიცარი მიეჭედებინათ, ზემო ნაწილი ორად იყო გაყოფილი და ორივე მხარეს პატარპატარა მინები ჰქონდა ჩასმული. მინებს ირგვლივ ხის ჩარჩო ერტყა. მაგიდაზე თუ ავიდოდა, ლუსიენი ფანჯრის შემინულ ნაწილს მისწვდებოდა. ამოიღებდა ან გატეხდა ორ მინას. ასე რომ, ქვემო ჩარჩო საკმაოდ მყარ საყრდენად გამოადგებოდა. შიგ ყელსახვევს ამოატარებდა, კისერზე ორჯერ შემოიხვევდა, მაგრად გამოისკვნიდა, მაგიდას ფეხს გაჰკრავდა და მოიშორებდა.

ჰოდა, მაგიდა უხმაუროდ მიიტანა ფანჯარასთან, რედინგოტი და ჟილეტი გაიხადა, მაგიდაზე მკვირცხლად შეხტა და პირველი ჩარჩოს მინების ამოღებას შეუდგა. მაგიდაზე შემდგარმა ეზოს გადახედა და ამ ზღაპრულ სანახაობას პირველად მოავლო თვალი. კონსიერჟერის,, დირექტორს გამომძიებელმა უბრძანა, ლუსიენს ფრთხილად მოეპყარითო, ამიტომ ჭაბუკი, როგორც დავინახეთ, გაატარეს კონსიერჟერის,, შინაგანი გზებით, სადაც არჟანის კოშკის მოპირდაპირე მიწისქვეშა ბნელი გასასვლელიდან შედიოდნენ. ამგვარად კოპწია ყმაწვილკაცს ააცილეს ეზოში მოსეირნე პატიმართა ხროვასთან შეხვედრა. ახლა განვსაჯოთ, სეირნობისთვის განკუთვნილ ადგილს რაოდენ მძაფრი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა პოეტური სულის ადამიანზე.

კონსიერჟერის,, ეზოს სანაპიროს მხრიდან არჟანისა და ბონბეკის კოშკები აკრავს და მათ შორის მდებარე სივრცე გარედან ზუსტად განსაზღვრავს ეზოს სიგანეს; ხოლო ვინმე ცნობისმოყვარე თუ მისი სიგრძით დაინტერესდება, მოვახსენებთ, რომ ეზოს სიგრძე ეგრეთ წოდებული წმინდა ლუის გალერეის სიგრძეს შეეფარდება. წმინდა ლუის გალერეა სავაჭრო გალერეასთან იწყება და მთავრდება საკასაციო სასამართლოსა და ბონბეკის კოშკთან, სადაც, გადმოცემით, ჯერ კიდევ დაცულია წმინდა ლუის კაბინეტი. საიდუმლო კარცერები და პისტოლები,, სავაჭრო გალერეის ქვემოთ არის განთავსებული. სწორედ კარცერების ქვეშ, ერთერთ ჯურღმულში იჯდა მარიანტუანეტა და რადგან რევოლუციური ტრიბუნალის სხდომები საკასაციო სასამართლოს საზეიმო დარბაზში იმართებოდა, დედოფალს სავაჭრო

გალერეის საძირკვლის სქელ კედელში ჩატანებული, აწ ჩაქოლილი, შემზარავი კიბე უნდა აეარა. მეორე სართულზე, ეზოს მხრიდან, წმინდა ლუის გალერეა გადის. აქ აღმართულია გოტიკური სტილის სვეტების მთელი ანფილადა. რომელიღაც ეპოქის ხუროთმოძღვრებს სვეტებს შორის ორსართულიანი ნაგებობა ჩაუჩხერავთ და უთვალავი საკნით ჩაუხერგავთ, აქაოდა, რაც შეიძლება მეტი ტუსაღი დაეტიოსო. თვალწარმტაცი გალერეის კაპიტელები, თაღები, სვეტები გაჯით, ბათქაშით, გისოსებით შეუბღალავთ. ეგრეთ წოდებული წმინდა ლუის კაბინეტის ქვეშ, ბონბეკის კოშკში ჩატანებულ გრეხილ კიბეს საკნებისკენ მივყავართ. საფრანგეთის წარსულის დიდებულ ძეგლთა ესოდენი შერყვნა ამაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგიდაზე შემდგარი ლუსიენის თვალწინ არჟანისა და ბონბეკის კოშკების დამაკავშირებელი ძირითადი კორპუსის ნაწილები და ორივე კოშკის გუმბათები იშლებოდა. ლუსიენი გაოგნებული გაშეშდა. აღტაცებით შეპყრობილს ცოტა ხნით გადაავიწყდა, თავის მოკვლას რომ აპირებდა. ამჟამად ჰალუცინაციების მსგავსი მოვლენები მედიცინის მიერ მტკიცედ დადგენილია და ჩვენი გრძნობათა მირაჟი, ჩვენი გონების ეს უცნაური თვისება, საკამათოდ აღარავის მიაჩნია. უკიდურესად დაძაბული, უმწვავესი განცდების ტყვეობაში მოქცეული ადამიანი მათგან ვეღარ თავისუფლდება, ნამდვილ მანიაკად გვევლინება და ხშირად იგივე განწყობა ეუფლება, რასაც იწვევს ოპიუმი, ჰაშიში და გამამხიარულებელი აირი. და მაშინ გარს ერტყმიან მოჩვენებები, აჩრდილები; სიზმარი ხორცშესხმულ სინამდვილედ გადაიქცევა, მკვდრები ცოცხლდებიან. ის, რაც გონებაში მარტოოდენ აზრი იყო, სულიერ არსებად ან ცოცხალ ქმნილებად ევლინება. აზრი ცოცხალი შემოქმედებითი ძალა რომ არის (იხილეთ ლუი ლამბერი,,, ფილოსოფიური ეტიუდები,,), თანამედროვე მეცნიერებას ვერ წარმოუდგენია და ამტკიცებს, ვნებათა მძაფრი აღტყინებით სისხლი აწვება ტვინს, რის შედეგადაც სიზმრისა და ცხადის შემზარავი აღრევა ხდებაო. ლუსიენს სასახლე წარმოუდგა მთელი თავისი პირვანდელი მშვენიერებით: ახალნაგები, ხელუხლები, ნარნარი სვეტები. წმინდა ლუის სადგომი ისეთად მოჩანდა, როგორიც ოდესღაც იყო. თვალი წარსტაცა ბაბილონურმა პროპორციებმა და აღმოსავლურმა ფანტაზიამ და ჭაბუკმა ისე მიიღო ეს სანახაობა, ვით მაღალი ხელოვნების ქმნილებათა პოეტური მისალმება და გამომშვიდობება. თვითმკვლელობის სამზადისში თავს ეკითხებოდა, როგორ მოხდა, რომ პარიზში ასეთი, ყველასთვის უცნობი სასწაული არსებობსო. მისი არსება უცნაურად გაორებულიყო. იყო ორი ლუსიენი: ერთი ლუსიენი, პოეტი, შუა საუკუნეებში წმინდა ლუის სასახლის თაღებსა და კოშკებს შორის რომ მოსეირნობდა, და მეორე ლუსიენი, თავის მოკვლას რომ აპირებდა.

იმწუთას, როცა ბატონმა დე გრანვილმა თავისი ახალგაზრდა მდივნისთვის მითითებების მიცემა მოათავა, კაბინეტში კონსიერჟერის,, დირექტორი შემოვიდა. ისე გამოიყურებოდა, რომ გენერალურ პროკურორს გულმა უგრძნო, რაღაც უბედურება მომხდარაო.

ნახეთ ბატონი კამიუზო? ჰკითხა მან.

არა, ბატონო, მიუგო დირექტორმა, მისმა მწერალმა, კოკარმა, მითხრა, აბატი კარლოს ერერა კარცერიდან გადაიყვანეთო, ხოლო ბატონი დე რუბამპრე გაათავისუფლეთო, მაგრამ უკვე მეტად გვიან იყო...

ღმერთო ჩემო, რა მოხდა?!

აგერ, ბატონო, განაგრძო დირექტორმა, წერილებია თქვენს სახელზე, ალბათ, ამ თავზარდამცემ ამბავს შუქს მოჰფენს. ეზოს ზედამხედველს პისტოლიდან,, შუშის მსხვრევის ხმა შემოესმა. ბატონ დე რუბამპრეს მეზობელმაც მაშინვე გამაყრუებელი ყვირილი ატეხა, თურმე საბრალო ყმაწვილის ხრიალი შემოესმა. ზედამხედველს ადამიანის ფერი აღარ ედო, ისეთი საშინელება ეხილა. ტუსაღი ყელსახვევით ჩამოკიდებულიყო ფანჯრის ჩარჩოზე და თავი ჩამოეხრჩო...

დირექტორი ამბავს ჩურჩულით ჰყვებოდა, მაგრამ ქალბატონმა დე სერიზიმ უცბად ისე შემზარავად შეჰკივლა, რომ ჩანს, საშინელი განსაცდელის ჟამს ჩვენს შინაგან ორგანოებს უფაქიზესი მგრძნობელობა უჩნდებათ. გრაფინიამ, შესაძლებელია, გაიგონა ეს სიტყვები, იქნებ მიხვდა, მაგრამ სანამ ბატონი დე გრანვილი მოტრიალდებოდა, სანამ ბატონი დე სერიზი და ბატონი დე ბოვანი გზას გადაუღობავდნენ, ისარივით გაიჭრა გარეთ, სავაჭრო გალერეა გაირბინა და მიირბინა კიბესთან, რომელიც ბარილერის ქუჩაზე გადის.

ვიღაც ადვოკატი მანტიას იხდიდა ერთერთ იმ დუქნის კართან, რომლებითაც დიდი ხნის განმავლობაში ჩახერგილი იყო სავაჭრო გალერეა. აქ იყიდებოდა ფეხსაცმელი, ქირავდებოდა მანტიები და ჩაჩები. გრაფინიამ ადვოკატს კონსიერჟერის,, გზა ჰკითხა.

ქვემოთ ჩაბრძანდით, მარცხნივ გაუხვიეთ, შესასვლელი ორლოჟის სანაპიროდანაა, პირველ თაღთან.

ეს ქალი გიჟია... უთხრა ვაჭარმა ქალმა, უნდა დაგვეჭირა.

ვერავინ დაეწეოდა ლეონტინს, იგი მიფრინავდა. მხოლოდ ექიმს შეუძლია, აგვიხსნას, ამ მაღალი წრის გაურჯელ ქალბატონებს გადამწყვეტ წუთში საიდან ემატებათ ამდენი ძალა. გრაფინიამ თაღი გაირბინა, ისე გაფრიალდა კარიბჭეში, რომ საგუშაგოზე მდგომმა ჟანდარმმა თვალიც კი ვერ მოჰკრა. ქარისაგან აფრიალებული ბუმბულივით მივარდა კარიბჭეს, ისეთი გააფთრებით შეანჯღრია რკინის მესერი, ისე ჩაავლო ხელი ერთ სარს, რომ გადაამტვრია. ნატეხი მკერდზე მოხვდა და სისხლმა ამოხეთქა. ქალი ძირს დაეცა ყვირილით: გამიღეთ, გამიღეთ!,, ისეთი ხმით კიოდა, რომ ზედამხედველებს ძარღვებში სისხლი გაეყინათ.

მეკარემ მოირბინა.

გამიღეთ! გენერალურმა პროკურორმა გამომგზავნა, მკვდარი უნდა გადავარჩინო!

სანამ გრაფინია ბარილერის ქუჩასა და ორლოჟის სანაპიროს შემოუვლიდა, ბატონი დე გრანვილი და ბატონი დე სერიზი, რომლებიც გრაფინიას განზრახვას მიუხვდნენ, სასახლის შიდა გზებით კონსიერჟერიში,, დაეშვნენ. როგორ არ ჩქარობდნენ, მაინც იმ წუთს მიუსწრეს, როცა ქალი კარიბჭესთან გულშეღონებული დაეცა და საყარაულოდან მოვარდნილმა ჟანდარმებმა ხელში აიტაცეს. კონსიერჟერის,, დირექტორის გამოჩენისთანავე კარიბჭე გააღეს, გრაფინია კანცელარიაში შეიყვანეს. იგი უცბად წამოხტა, მერე დაიჩოქა და ხელები წინ გაიშვირა:

მაჩვენეთ იგი! მაჩვენეთ!.. ოჰ, ბატონებო, ხომ არაფერს დავაშავებ! თუ არ გინდათ, აქვე სული აღმომხდეს, ნება მომეცით, ვნახო ლუსიენი მკვდარი თუ ცოცხალი... აჰ, შენც აქა ხარ, ჩემო მეგობარო, რა გირჩევნია, ჩემი სიკვდილი თუ... მიწაზე დაემხო და მერე განაგრძო, შენ კეთილი ხარ, მუდამ მეყვარები!..
წავიყვანოთ აქედან? იკითხა ბატონმა დე ბოვანმა.

ო, არა, ლუსიენის საკანში წავიდეთ! თქვა ბატონმა დე გრანვილმა, რადგან გრაფ დე სერიზის გაოგნებულ მზერაში ეს სურვილი ამოიკითხა.

მან ხელი ჩასჭიდა გრაფინიას, მხარში ამოუდგა. ბატონმა დე ბოვანმა მეორე მხრიდან მოხვია ხელი.

ბატონო, მიმართა ბატონმა დე სერიზიმ დირექტორს, კრინტი არ დაძრათ ამაზე.

მშვიდად ბრძანდებოდეთ, მიუგო დირექტორმა, თქვენ სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ. ეს ქალბატონი...

ჩემი ცოლია...

ოჰ, მაპატიეთ, ბატონო! დარწმუნებული ვარ, უთუოდ გული შეუღონდება, როცა ყმაწვილკაცს დაინახავს. შემთხვევით ისარგებლეთ და კარეტაში გადაიყვანეთ.

მეც სწორედ ამას ვფიქრობდი, უთხრა გრაფმა, გაგზავნეთ ვინმე არლეს ეზოში, ლაქიები მელოდებიან. კარეტა კარიბჭესთან მოაყენონ...

ნახავთ, ჩვენ მას გადავარჩენთ, ამბობდა გრაფინია. ისე ცქვიტად და მხნედ მიაბიჯებდა, რომ მისი მცველების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, განა საამისო წამალი არ მოიძებნება? ამბობდა იგი, თან ორ მაგისტრატს მიათრევდა და ზედამხედველებს უყვიროდა, გასწით, სწრაფად იარეთ, უფრო სწრაფად, ერთი წამიც კი სამი ადამიანის სიცოცხლეს უდრის!

როდესაც საკნის კარი შეაღეს და გრაფინიამ თვალი მოჰკრა ჰაერში ისე ჩამოკიდებულ ლუსიენს, თითქოს მისი ტანსაცმელი საკიდარზე ჰკიდიაო, ჯერ გაიწია, გეგონებოდათ, ჩახვევას აპირებსო, მერე ძირს დაეცა, სახე პირდაპირ ფილაქანზე დაანარცხა და თითქოს ხრიალებსო, ყრუდ აღრიალდა. ხუთი წუთის შემდეგ გრაფის კარეტით მას უკვე სასახლისაკენ მიაქანებდნენ. ეტლის ბალიშებზე გაშოტილი იწვა, ქმარი კი მუხლმოდრეკილი იდგა მის წინაშე, ხოლო გრაფი დე ბოვანი ექიმთან მიეშურებოდა, რათა გრაფინიასთვის პირველი დახმარება აღმოეჩინათ.

კონსიერჟერის,, დირექტორი კი ცხაურს ათვალიერებდა და თავის მწერალს ეუბნებოდა:

არაფერი დავიშურეთ. ნაწრთობი რკინისაგან გავაკეთებინეთ, ყოველმხრივ შევამოწმეთ, ძალიან ძვირიც დაგვიჯდა. ნუთუ მართლა სათანადოდ შედუღებული არ იყო?

გენერალური პროკურორი კაბინეტში დაბრუნდა და იძულებული გახდა, თავისი მდივნისთვის სხვა განკარგულება მიეცა. საბედნიეროდ, მასოლი ჯერ არ მოსულიყო.

ბატონმა დე გრანვილმა დიდხანს არ დააყოვნა და სასწრაფოდ გაეშურა გრაფ დე სერიზისთან. რამდენიმე ხნის შემდეგ გენერალური პროკურორის კანცელარიაში შარჟბეფი გამოცხადდა თანამოძმე მასოლის წინაშე.

ჩემო ძვირფასო, მიმართა ახალგაზრდა მდივანმა, გთხოვთ, სიკეთე დამდოთ და ის, რასაც ახლა გიკარნახებთ, თქვენი გაზეთის,, ხვალინდელ ნომერში მოათავსეთ, სასამართლო ქრონიკის განყოფილებაში. სათაური თავად მოიფიქრეთ. აბა, დაწერეთ.
და შემდეგ უკარნახა:

დადგენილია, რომ მადმუაზელ ესთერმა ნებით მოიკლა თავი. დამტკიცებულია ალიბი ბატონი დე რუბამპრესი, მისი უდანაშაულობა. მით უფრო დიდად სამწუხაროა მისი დაპატიმრება, რომ სწორედ იმწუთას, როდესაც გამომძიებელმა ბრძანება გასცა მისი გათავისუფლების შესახებ, ყმაწვილკაცი უეცრად გარდაიცვალა,,.

მგონი, ზედმეტია გაგაფრთხილოთ, ჩემო ძვირფასო, უთხრა ახალგაზრდა სტაჟიორმა მასოლს, რომ ღრმა საიდუმლოებად უნდა დარჩეს ეს წვრილმანი საქმე, რაც თქვენ გევალებათ.

ვინაიდან თქვენ გვდებთ პატივს და ნდობას გვიცხადებთ, მიუგო მასოლმა, გავკადნიერდები და მოგახსენებთ, ეს ცნობა მართლმსაჯულებისათვის მეტად შეურაცხმყოფელ მითქმამოთქმას გამოიწვევს...

მართლმსაჯულება საკმაოდ ძლიერია და გაუძლებს ასეთ შემოტევას, უთხრა პროკურატურის ახალგაზრდა ატაშემ ისეთი ქედმაღლობით, რაც ბატონი დე გრანვილის შეგირდსა და მომავალ მაგისტრატს ეკადრებოდა.

მაპატიეთ, ძვირფასო მეტრ, მაგრამ ორიოდე სიტყვით შეიძლება თავიდან ავიცდინოთ ეს უსიამოვნება.

და ადვოკატმა დაწერა ამგვარად:

იმ შემზარავ ამბავში სამართლის წარმოების მეთოდებს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. გვამი დაუყოვნებლივ გაკვეთეს და დადგინდა, რომ ბატონი დე რუბამპრე გულით იყო დაავადებული; გული გაუსკდა და გარდაიცვალა. განსვენებულს მძიმე მღელვარება რომ განეცადა დაპატიმრებისას, უფრო ადრე განუტევებდა სულს. სრული უფლებით ვაცხადებთ, დატუსაღების დროს ყმაწვილკაცი, რომლის სიკვდილი ჭეშმარიტად დიდად სამწუხაროა, არათუ არ ღელავდა, პირიქით, ხუმრობდა და ფონტენბლოდან პარიზში ვისაც მოჰყვებოდა, ეუბნებოდა, სასამართლოში გამოცხადების უმალ ჩემი უდანაშაულობა გამოაშკარავდებაო,,.

ხომ ასე ჯობს ყველასათვის? იკითხა ადვოკატმაჟურნალისტმა.

მართალი ბრძანდებით, ძვირფასო მეტრ.

გენერალური პროკურორი დიდად მადლობელი დაგრჩებათ ამის გამო, ცბიერად ჩაუკრა მასოლმა.
ასე და ამრიგად, როგორც დავინახეთ, ცხოვრების უდიდესი ამბები პარიზულ შემთხვევათა ქრონიკებში, ასე თუ ისე, სიმართლით გადმოიცემა, გაცილებით მნიშვნელოვან ფაქტებსაც ამგვარადვე ეფინება შუქი.

ახლა კი დავუბრუნდეთ მკითხველებს, რომელთა უმრავლესობას, თვით რჩეული საზოგადოების წარმომადგენლებსაც კი, ეს ეტიუდი შესაძლებელია დასრულებული არ ეჩვენოს, თუმცა ესთერმა და ლუსიენმა სული განუტევეს. ვინ იცის, იქნებ ჟაკ კოლენმა, აზიამ, ევროპამ და პაჯარმა, მიუხედავად მათი სამარცხვინო არსებობისა, მაინც იმდენად დააინტერესეს მკითხველი, რომ სურს, გაიგოს, როგორ დაასრულებენ ისინი სიცოცხლეს. ამავე დროს, დრამის ეს უკანასკნელი აქტი შეავსებს ზნეჩვეულებათა სურათს, რაც წინამდებარე ეტიუდშია დახატული და გახსნის ინტრიგების დახლართულ კვანძს, რასაც მეტად უცნაურად უკავშირდება ლუსიენის ცხოვრებაც; ხოლო კვანძის გახსნისას გათახსირებული კატორღელების გვერდით სცენაზე მაღალი მდგომარეობის პირნიც მოგვევლინებიან.

ნაწილი მეოთხე

ვოტრენის უკანასკნელი გარდასახვა

რა იყო, მადლენ? შეეკითხა ქალბატონი კამიუზო მოახლეს, რომელიც ისე შეშფოთებული შევიდა მასთან, ჩანდა, რაღაც უჩვეულო რამ უნდა მომხდარიყო.

ქალბატონო, მიმართა მოახლემ, ბატონი ამწუთას მობრძანდა სასამართლოდან. ისეა გაფითრებული, ჯობს, ქალბატონი თავად მიბრძანდეს მასთან, კაბინეტში.

ხომ არაფერი უთქვამს? ჰკითხა ქალბატონმა კამიუზომ.

არა, ქალბატონო, მაგრამ ბატონისთვის ასეთი გამომეტყველება არასოდეს შემინიშნავს. იტყვით, რაღაც სენი შეეყარაო. მკვდრისფერი ადევს, დაბნეულია და...

სიტყვის დასრულებისათვის აღარ მოუცდია ქალბატონ კამიუზოს, ოთახიდან გავარდა და ქმართან მიირბინა. გამომძიებელი ხელებჩამოყრილი იჯდა სავარძელში, ფეხები გაეჭიმა, თავი სავარძლის ზურგისთვის მიეყრდნო. სახე გაჰფითრებოდა, თვალები ამღვრეოდა, გეგონებოდათ, საცაა გული შეუღონდებაო.

რა დაგემართა, ჩემო კარგო? შიშით ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა.

აჰ, ჩემო საბრალო ამელი, მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა... ჯერ კიდევ ვცახცახებ. წარმოიდგინე, გენერალურმა პროკურორმა... არა, ქალბატონმა დე სერიზიმ... რომ... არ ვიცი, საიდან დავიწყო...

ბოლოდან დაიწყე, ურჩია ცოლმა.

კარგი. მაშ, ასე! იმწუთას, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს საბჭოს პალატაში ბატონ პოჰინოს მივართვი პატაკი ლუსიენ დე რუბამპრეს სრული უდანაშაულობის თაობაზე და, როგორც წესია, მან საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის ხელი მოაწერა გათავისუფლების ბრძანებას... ერთი სიტყვით, ყველაფერი დამთავრებული იყო! მწერალმა შავად დაწერილი განაჩენი აიღო. მეც თავისუფლად ამოვისუნთქე, მეგონა, საქმე მოვიცილემეთქი და ამ დროს სასამართლოს თავმჯდომარე შემოვიდა და განაჩენს დააშტერდა.

თქვენ მკვდარს ათავისუფლებთ, ცივად და დამცინავად მითხრა მან, ეს ყმაწვილი, ბატონი დე ბონალდის გამოთქმას თუ ვიხმართ, მარადიული მსაჯულის წინაშე წარდგა. ტვინში სისხლი ჩაექცა და მიიცვალა,,.

მე სული მოვითქვი, უბედურ შემთხვევას გადავრჩიმეთქი, გავიფიქრე.

თუ მიგიხვდით, ბატონო თავმჯდომარევ, უთხრა ბატონმა პოპინომ, მას ისევე ჩაექცა ტვინში სისხლი, როგორც პიშეგრიუს,,.

ბატონებო, განაგრძო ბატონმა თავმჯდომარემ უდიდესი სერიოზულობით, დაიმახსოვრეთ, გარეშეთათვის ახალგაზრდა ლუსიენ დე რუბამპრეს გული გაუსკდა,,.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ.

ამ სამწუხარო საქმეში მაღალი თანამდებობის პირნი არიან გარეული, თქვა თავმჯდომარემ, ღმერთმა ქნას, ბატონო კამიუზო, თქვენდა საბედნიეროდ, ქალბატონი დე სერიზი არ გაგიჟდეს. აქ ისეთი უბედურება დაატყდა თავს, თითქმის მკვდარი გაიტანეს. ახლახან შემხვდა გენერალური პროკურორი. შავ დღეშია ჩავარდნილი, გული დამწყდა მის დანახვაზე. თქვენ ვალი პირნათლად მოიხადეთ, მაგრამ მეტისმეტი მოგივიდათ, მარცხნივ გადახრილხართ, ძვირფასო კამიუზო!,, ჩურჩულით მითხრა მან.

ჰო, ჩემო საყვარელო, განაგრძო კამიუზომ, ძლივძლივობით გამოვედი ოთახიდან. ფეხებს მოვათრევდი. მუხლები მიცახცახებდა. ქუჩაში გასვლა ვერ გავბედე. ჩემს კაბინეტში შევედი, იქნებ ცოტა სული მოვითქვამეთქი. კოკარი იმ საბედისწერო საქმის გამოძიების ქაღალდებს ალაგებდა. მიამბო, ვიღაც ლამაზ ქალბატონს კონსიერჟერის,, კარიბჭე პირდაპირ შეუნგრევია და შევარდნილა, ლუსიენი უნდა გადავარჩინოო. მისთვის გიჟდება თურმე. პისტოლის,, ფანჯარაზე ყელსახვევით ჩამოკიდებული ლუსიენი რომ დაუნახავს, გული წასვლიაო. რაც სასახლიდან გამოვედი, სულ იმაზე ვფიქრობ, ისე დავკითხე ყმაწვილკაცი, რომ თავი მოვაკვლევინემეთქი. თუმცა, ჩვენ შორის დარჩეს და, ნამდვილად დამნაშავე იყო. ლამის გავგიჟდე, აღარ ვიცი, რა წყალს მივცე თავი...

კარგი ერთი, აიჩემებ, მკვლელი ვარო, რაკი პატიმარმა ციხეში თავი ჩამოიხრჩო სწორედ იმწუთას, როცა შენ მის გათავისუფლებას აპირებდი... შეჰყვირა ქალბატონმა კამიუზომ, მსგავს შემთხვევაში სასამართლოს გამომძიებელი გენერალს ჰგავს, რომელსაც ცხენი მოუკლეს! ესაა და ეს!

ეგ შედარება, ჩემო საყვარელო, ხუმრობისთვის ვარგა, მაგრამ ახლა განა ხუმრობისთვის მცხელა? ნათქვამია, მკვდარი ცოცხალსაც საფლავისკენ მიათრევსო, მეც ეს ბედი მეწია. ლუსიენს სამარეში მიაქვს ჩემი იმედი.

ნუთუ მართლა? სარკასტულად ჰკითხა ქალბატონმა კამიუზომ.

დიახ, ჩემი კარიერა დამთავრდა. მთელი სიცოცხლე სენის დეპარტამენტის სასამართლოს უბრალო გამომძიებლად დავრჩები. ამ საბედისწერო შემთხვევის დასაწყისში ბატონი დე გრანვილი ისედაც უკმაყოფილო ბრძანდებოდა, რაკი გამოძიების შედეგად საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. ჰოდა, ისეთი რამ უთხრა სასამართლოს თავმჯდომარეს, ჩანს, სანამ ბატონი დე გრანვილი გენერალური პროკურორი იქნება, მე წინ ვერ წავიწევ, ვერასოდეს!

წინ წაწევა! ეს არის შემაძრწუნებელი სიტყვა, აკვიატებული აზრი, რაც დღეს მაგისტრატს ჩინოვნიკად აქცევს.

უწინ მაგისტრატი ერთბაშად იღებდა თანამდებობას და მთელი სიცოცხლე იმ ადგილზე იჯდა. სასამართლოში თავმჯდომარის სამი ან ოთხი თანამდებობა იყო და ნებისმიერი სასამართლოს პატივმოყვარე მსახურს სავსებით აკმაყოფილებდა. მრჩევლის თანამდებობას ღირსეულად თვლიდნენ დე ბრიუსიცა და მოლეც. დიჟონში თუ პარიზში მრჩევლის ადგილიც თავისთავად სიმდიდრეს წარმოადგენდა, მაგრამ ამ საპატიო თანამდებობაზე სათანადო პატივისცემა რომ დაემსახურებინა, დიდი ქონების მფლობელი უნდა ყოფილიყო. პარიზში, გარდა პარლამენტისა, სამართლის მსახურთ შეეძლოთ მხოლოდ სამ მაღალ თანამდებობაზე ეოცნებათ და მთავარი ინსპექტორი, იუსტიციის მინისტრი ან კანცლერი გამხდარიყვნენ. პარლამენტის ქვემდგომ ორგანოებსა და უფრო დაბალ სფეროებში სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ისე დიდ ვინმედ მიაჩნდა თავი, რომ მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, თუკი ამ თანამდებობაზე მთელი სიცოცხლე დარჩებოდა. აბა, შეადარეთ 1829 წელს ცარიელ ხელფასზე მყოფი პარიზის სასამართლოს მრჩევლის მდგომარეობა 1729 წელს პარლამენტის მრჩევლის მდგომარეობას. რა დიდი განსხვავებაა! დღეს, როდესაც ფული სოციალური უზრუნველყოფის უნივერსალურ გარანტიად არის გადაქცეული, მაგისტრატებს აღარ ევალებათ, უწინდებურად დიდი ავლადიდების პატრონი იყვნენ. სწორედ ამიტომ მათ დეპუტატებად, საფრანგეთის პერებად, მართლმსაჯულების მრავალი თანამდებობის ერთდროულ შემსრულებლად ვხედავდით. მოსამართლენიც არიან, კანონმდებლებიც და ისწრაფვიან, გავლენა მოიპოვონ არა იქ, სადაც შეუძლიათ სახელი მოიხვეჭონ, არამედ სხვა სარბიელზე.

ერთი სიტყვით, მაგისტრატები თავის გამოჩენისთვის იღვწიან, რათა სამსახურში დაწინაურდნენ, ზუსტად ისევე, როგორც ჯარსა და სამინისტროებში.

ამგვარი ჩვეულებრივი, ბუნებრივი მისწრაფება თუნდაც არ ზღუდავდეს მაგისტრატის დამოუკიდებლობას, ისეთ თვალსაჩინო შედეგს იწვევს, რომ შეუძლებელია მაგისტრატურას საზოგადოების თვალში თავისი სიდიადე არ დაეკარგოს. მთავრობის მიერ დანიშნული ხელფასი მაგისტრატსა და მღვდელს უბრალო მოხელეებად აქცევს. კარიერისთვის ბრძოლა პატივმოყვარეობას აღვივებს. პატივმოყვარეობა ძალაუფლებისადმი მლიქვნელობას

წარმოშობს, ხოლო თანამედროვე თანასწორობა ბრალდებულსა და ბრალმდებელს სამართლის წინაშე ერთსა და იმავე საფეხურზე აყენებს. ამგვარად, საზოგადოებრივი წესრიგის ორივე დედაბოძი, რელიგია და სამართალი, დაკნინდა XIX საუკუნეში, რომელსაც თავი გამოუდვია, ყოველ დარგში უდიდეს წარმატებას მივაღწიეთო.

ვითომ რაო, რატომ ვეღარ წაიწევ წინ? ჰკითხა ამელი კამიუზომ, თან გამომწვევად შეხედა ქმარს. შესანიშნავად მოეხსენებოდა, ახლა უთუოდ უნდა გაემხნევებინა მეუღლე, რაკი ცოლის პატივმოყვარული მიზნების მისაღწევად იგი ერთადერთი იარაღი იყო, რატომ იკლავ თავს? განაგრძო მან და უზრუნველად გაშალა ხელები, ნეტავ რა გესაქმება ვიღაც პატიმართან? თუ თავი მოიკლა, მით უკეთესი. მის ორ მტერს ცა გაეხსნება; ქალბატონ დჟესპარსა და გრაფინია შატლეს. ქალბატონი დჟესპარი ხომ იუსტიციის მინისტრის მეგობარია. აუდიენციას მოგიწყობს მის უდიდებულესობასთან და შენც ამ საქმის საიდუმლოს გაუმჟღავნებ. ჰოდა, იუსტიციის მინისტრი თუ შენს მხარეზე იქნება, აბა, რას დაგაკლებენ შენი სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორი?
მერე რა ვუყოთ ბატონსა და ქალბატონ დე სერიზებს? შეჰყვირა საბრალო გამომძიებელმა, აკი გითხარი, ქალბატონი დე სერიზი გაგიჟდამეთქი! ვინ გააგიჟა? მე! ყველა ასე ამბობს.

კარგი ერთი! თუ გაგიჟდა, ჩემო გამოუძიებელო გამომძიებელო, სიცილით წამოიძახა ქალბატონმა კამიუზომ, ვეღარც რაიმე ვნებას მოგიტანს! მოდი, დაწვრილებით მიამბე, რაც მოხდა დღეს.

ღმერთო! წამოიწყო კამიუზომ, იმწუთას, როცა აღსარება ვათქმევინე უბედურ ყმაწვილკაცს და მან, ის იყო, განაცხადა, ესპანელი მღვდელი ჟაკ კოლენიაო, ჰერცოგინია დე მონფრინიეზისა და ქალბატონი დე სერიზისგან გამოგზავნილი ლაქია მოვიდა და მათი ბარათი გადმომცა. მთხოვდნენ, ლუსიენს ნუ დაჰკითხავთო, მაგრამ ყველაფერი მოთავებული მქონდა...

მართლაც სულ აგბნევია თავგზა! უთხრა ამელიმ, ხომ იცი, რა ერთგულია შენი მდივანი. დააბრუნებდი ლუსიენს, მოხერხებულად დაამშვიდებდი და მისი დაკითხვის ოქმს შეასწორებდი!

სწორედ ქალბატონ დე სერიზისავით მსჯელობ. შენც მასხრად იგდებ სამართალს! - მიუგო კამიუზომ, რომელსაც არ შეეძლო, აგდებით შეეხედა თავისი პროფესიისათვის, ქალბატონმა დე სერიზიმ ჩემი ოქმები აიღო და ცეცხლში ჩაუძახა.

ყოჩაღ, ქალო! ქალიც ეგ ყოფილა!.. ვაშა! შესძახა ქალბატონმა კამიუზომ.

ქალბატონმა დე სერიზიმ განმიცხადა, უმალ ამ სასახლეს ავაფეთქებ, ვიდრე ნებას მივცემ, ვიღაც კატორღელთან ერთად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საბრალდებო სკამზე დაჯდეს ჭაბუკი, ვისაც მოწყალე თვალით უყურებდა ჰერცოგინია დე მონფრინიეზი და მე თვითონაცო!

იცი, კამიუზო, ამელიმ თავი ვერ შეიკავა და ისე გაიღიმა, რომ ქმართან თავისი უპირატესობის შეგრძნება ვეღარ დამალა, სახარბიელო მდგომარეობაში ხარ...

სახარბიელო!

შენ შენი ვალი შეასრულე...

მაგრამ, საუბედუროდ, არაფრად ჩავაგდე ბატონი დე გრანვილის ცბიერად ნათქვამი გადაკრული სიტყვა. ის ხომ მალაკეს სანაპიროზე შემხვდა

ამ დილით?

ამ დილით.

რომელ საათზე?

ცხრაზე.

ოჰ, კამიუზო! ხელების ფშვნეტით წამოიძახა ამელიმ, მე ხომ სულ გიჩიჩინებ, ფრთხილად იყავიმეთქი... ღმერთო დიდებულო, კაცი კი არა, ღორღით სავსე ურემი ხარ და ძალით მიგათრევ! როგორ ვერ მიხვდი, კამიუზო, გენერალური პროკურორი ხომ განზრახ დაგიხვდა გზაზე, ალბათ, რჩევადარიგებაც მოგცა.

სწორედ ეგრეა...

შენ კი ვერაფერს მიხვდი! თუ ყრუ ხარ, იჯექი მთელი სიცოცხლე გამომძიებლად, მეტს ნუღარაფერს ეძიებ. იმდენი ჭკუა მოიხმარე, რომ რასაც გეუბნები, ის მაინც გაიგო! მომისმინე! ჩააჩუმა ქმარი, რომელიც პასუხად რაღაცის თქმას აპირებდა, მაშ, გგონია, საქმე დამთავრებულია?

კამიუზომ ისე შეხედა ქალს, როგორც გლეხები შესცქერიან ბაზრის ოინბაზებს.

თუ ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა და გრაფინია დე სერიზიმ სახელი შეირცხვინეს, შენ უნდა შეეცადო, ორივე მფარველად გაიხადო, განაგრძო ამელიმ, მაშ, ასე, ქალბატონი დჟესპარი იუსტიციის მინისტრთან აუდიენციას მოგიხერხებს, მინისტრს საიდუმლოს გაანდობ. ისიც მეფეს თავშესაქცევად ყველაფერს მოუყვება, ვინაიდან ყველა მბრძანებელს უყვარს, დახედოს მედლის მეორე მხარეს და შეიტყოს ჭეშმარიტი მიზეზი იმ ამბებისა, ხალხი რომ პირდაღებული ისმენს. ამის შემდეგ ვერც გენერალური პროკურორი და ვერც ბატონი დე სერიზი ვეღარაფერს დაგაკლებენ...
ცოლი კი არა, ოქრო ხარ, ხაზინა ხარ ჩემი! შეჰყვირა კამიუზომ და იგრძნო, ძალღონე მოემატა, ბოლოს და ბოლოს, ხომ გამოვდე კვანტი ჟაკ კოლენს, წავიდეს და ანგარიში გაასწოროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. მის ავაზაკობას ფარდას ავხდი. ამგვარი პროცესი გამომძიებლისათვის უდიდესი გამარჯვებაა...

ამელის ესიამოვნა ლუსიენ დე რუბამპრეს თვითმკვლელობის გამო მორალურად და ფიზიკურად დაძაბუნებული ქმრის გამოცოცხლება და ისევ განაგრძო:

კამიუზო, ცოტა ხნის წინ თავმჯდომარეს შენთვის უთქვამს, მარცხნივ გადახრილხარო, ახლა კი მეტისმეტად მარჯვნივ იხრები... ისევ ცდები, ჩემო კარგო!
გამომძიებელი გაშტერებული შეაცქერდა ქალს.

მეფე და იუსტიციის მინისტრი ეგებ დიდად კმაყოფილნიც დარჩნენ ასეთი საიდუმლო საქმის გაგებით, მაგრამ შეიძლება განრისხდნენ კიდეც, აქაოდა, სასამართლოს ვიღაც მსახურს საკუთარი აზრები გასჩენია და გადაუწყვეტია, საზოგადოებრივი აზრისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე აღძრას საქმე და საბრალდებო სკამზე დასვას მაღალი წრის ისეთი ღირსეული წარმომადგენელნი, როგორიც ბრძანდებიან დე სერიზები, დე მონფრინიეზები და დე გრანლიეები. ერთი სიტყვით, ყველა ის, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გარეული აღმოჩნდება ამ საქმეში.

ყველანი გარეულნი არიან! ყველა ხელში მყავს! ისევ შეჰყვირა კამიუზომ.

გამომძიებელი წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა თავის კაბინეტში, ისე დააბიჯებდა, როგორც სგანარელი სცენაზე, მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაძვრენ გზას რომ დაეძებს.

მომისმინე, ამელი! მიმართა მან და ქალს წინ აეტუზა, რაღაც გამახსენდა. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ახლა, როცა ასეთ დღეში ვარ ჩავარდნილი, დიდად საყურადღებო რამ. წარმოიდგინე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეს ჟაკ კოლენი, ცბიერების, სიცრუის, თავხედობის ტიტანი არაჩვეულებრივი ტვინის პატრონია... ოჰ! ეს არის... იცი, ვინ?.. ჰო... კატორღის კრომველი! ასეთ ავაზაკს არასოდეს შევხვედრივარ... კინაღამ მართლა გამაცურა!.. მაგრამ სისხლის სამართლის ძიება ისეთი საქმეა, თუ იპოვი ძაფის წვერს, გამოსწევ და გორგალიც გამოძვრება; მერე კი შლი გორგალს, მიჰყვები და მიჰყვები ძაფს და

ადამიანთა უკუნეთი წყვდიადით მოცულ სინდისისა და ქმედების ლაბირინთში იჭრები. როცა ჟაკ კოლენმა დაინახა, ლუსიენ დე რუბამპრეს სახლში ნაპოვნ წერილებს ვფურცლავდი, ავაზაკმა ერთი ისეთი გადახედა მათ, ჩანდა, უნდოდა შეემოწმებინა, სხვა პაკეტებიც ხომ არ ურევიაო. მერე თავი ვეღარ შეიმაგრა და სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა. ეს იყო მზერა ქურდისა, რომელიც ცდილობს, აწონდაწონოს, რა ღირებულებისაა განძეული; ეს იყო კმაყოფილება ტუსაღისა, რომელიც გულში ამბობს: იარაღი ზედა მაქვს!,, მისმა საქციელმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. მხოლოდ თქვენ, ქალებს, შეგიძლიათ, როგორც ჩვენ და ტუსაღებს, ერთი შეხედვით შექმნათ მთელი სცენები, რომლებიც საიდუმლო ბოქლომების საკეტებივით ჩახლართული სისტემის ცრუპენტელობას ნიღაბს ხდიან. ჰოდა, სულ რაღაც ერთ წამში მისმა გამოხედვამ ეჭვის მთელი ტომები გადამიშალა! რა შემზარავია, თვალის ერთადერთ გაელვებაში წყდება საკითხი: სიცოცხლე ან სიკვდილი! მაგ ყაჩაღს სხვა წერილებიც აქვს გადამალულიმეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მალე გადამავიწყდა, რადგან ათასმა წვრილმანმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. თან იმედიც მქონდა, პატიმრებს ერთმანეთს პირში წავუყენებ და ძიების ამ პუნქტსაც მაშინ გამოვარკვევმეთქი. მოდი, სადავოდ ნუ გავხდით ამ საკითხს და ვიფიქროთ, ჟაკ კოლენმა, როგორც მისთანა ავაზაკებს სჩვევიათ, საიდუმლო ადგილას გადაინახა ყველაზე შემარცხვენელი წერილები იმ ყმაწვილკაცის კორესპონდენციიდან, ვისაც აღმერთებდა ამდენი...

რაღაც კანკალებ, კამიუზო! შენ სამეფო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე იმაზე ადრე იქნები, ვიდრე მეგონა! შესძახა სახეგაბადრულმა ქალბატონმა კამიუზომ, კარგად დაფიქრდი! ისე უნდა მოიქცე, რომ ყველას ასიამოვნო, რადგან საქმეს უთუოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭება და ვაითუ, ვინმემ ხელიდან გამოგვგლიჯოს! გახსოვს, პოპინოს ხომ წაართვეს ქმარზე მეურვეობის თაობაზე ქალბატონი დჟესპარის მიერ აღძრული საქმე და შენ მოგანდვეს? კამიუზოს სახეზე აღბეჭდილი განცვიფრების საპასუხოდ მიუგო ცოლმა, იცი, რა? ხომ ხედავ, გენერალურ პროკურორს როგორ გულთან ახლოს მიაქვს ბატონი და ქალბატონი დე სერიზების ღირსების საკითხი. განა არ შეუძლია სამეფო სასამართლოში გადაიტანოს საქმე და მისი ხელახლა გარჩევა სანდო მრჩეველს მიანდოს?

ეგ რა მითხარი, გენაცვალე, ნეტავ სად შეისწავლე სისხლის სამართლის კოდექსი? შეჰყვირა კამიუზომ, ყველაფერი იცი, შენა ხარ ჩემი მრჩეველი...

აბა, რა გეგონე! რა გგონია, ხვალ დილით ბატონ დე გრანვილს შიში არ შეიპყრობს, როცა წარმოიდგენს, თუ რა შეიძლება თქვას სასამართლოზე ვინმე ლიბერალურად განწყობილმა ადვოკატმა, ვისაც იოლად იშოვის ჟაკ კოლენი. ხომ იცი, ფულსაც კი შესთავაზებენ, ოღონდ თავისი დაცვა მიანდოს ვინმეს! მაგ ქალბატონებს შენზე უკეთ მოეხსენებათ, რა საფრთხე მოელით და ყველაფერს გაუმჟღავნებენ გენერალურ პროკურორს, რომელიც უმაგისოდაც კარგად ხედავს, რომ ეს ოჯახები საცაა საბრალდებო სკამზე დაბრძანდებიან, თუკი კატორღელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლუსიენ დე რუბამპრესთან, მადმუაზელ დე

გრანლიეს საქმროსთან, ზნედაცემული ესთერის კუროსთან, ჰერცოგინია დე მონფრინიეზის ყოფილ საყვარელთან, ქალბატონი დე სერიზის სატრფოსთან. შენ კი ისე უნდა გაძვრეგამოძვრე, რომ მოიპოვო გენერალური პროკურორის კეთილგანწყობა, ბატონი დე სერიზის, მარკიზ დჟესპარის მეუღლისა და გრაფ დე შატლეს მადლობა, განიმტკიცო ქალბატონი დე მონფრინიეზისა და დე გრანლიეთა ოჯახის მფარველობა და მოლოცვა მიიღო შენი თავმჯდომარისაგან. მე კი ვკისრულობ, მოვთაფლო ქალბატონი დჟესპარი, დე მონფრინიეზი და დე გრანლიეები. შენ ხვალ დილითვე გაემართები გენერალურ პროკურორთან. ბატონი დე გრანვილი ცოლთან არ ცხოვრობს. თითქმის ათი წელიწადი ხასად ესვა ერთი მადმუაზელ დე ბელფეი, რომელთანაც უკანონო შვილებიც კი ჰყავს. ხომ ასეა, არა? კარგი და პატიოსანი! ეგ შენი მაგისტრატი წმინდანი არაა, ისიც ისეთივე კაცია, როგორიც სხვები. მისი შეცდენა შეუძლებელი არ გახლავს. ამ მხრივ შენ მასზე მაღლა დგახარ. სუსტი ადგილი უნდა მოუძებნო, მიეფარისევლო. ჰკითხე რჩევა, აუხსენი, რა მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეცადე, საქმეში გაიამხანაგო და გახდები

ო, არა, მე უნდა ვკოცნიდე შენს ნაფეხურებს, ცოლს სიტყვა გააწყვეტინა კამიუზომ, წელზე ხელი მოხვია და ჩაიხუტა, ამელი, შენ მე გადამარჩინე.

დიახაც, მე გადაგათრიე ალანსონიდან ნანტში, ნანტიდან სენის დეპარტამენტის სასამართლოში, მიუგო ამელიმ, კარგი, არხეინად ბრძანდებოდე!.. მე მნებავს, ხუთი წლის შემდეგ ბატონი თავმჯდომარის ღრმად პატივცემული მეუღლე ვიყო, მაგრამ, ჩემო ფისო, ნუღარ დაგავიწყდება, ჯერ დიდხანს იფიქრე და მერე მიიღე გადაწყვეტილება. გამომძიებელი ხარ, მეხანძრე ხომ არა; თქვენს ქაღალდებს ცეცხლი არ წაეკიდება. მოსაფიქრებლად დრო თავსაყრელი გაქვს. ამიტომაც სისულელის ჩადენას არავინ გაპატიებს, ისეთი ადგილი გიჭირავს...

ჩემი პოზიციის სიმყარე იმაზეა დამოკიდებული, დამტკიცდება თუ არა, რომ ცრუ ესპანელი ნამდვილად ჟაკ კოლენია, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა გამომძიებელმა, ერთი ეს დამამტკიცებინა და მეტი არაფერი მინდა, ჯანდაბას, სასამართლომ ამ საქმის გარჩევა თუნდაც თავის თავს მიაწეროს, ფაქტი ხომ ფაქტად დარჩება და ამაზე უარს ვერ იტყვის ვერც ერთი მაგისტრატი, გინდ მოსამართლე, გინდ მრჩეველი. მე ისე მოვიქეცი, როგორც ბავშვები იქცევიან, კატას კუდზე თუნუქს რომ გამოაბამენ ხოლმე; სადაც უნდა გაირჩეს საქმე, ყველგან აჟღარუნდება ჟაკ კოლენის ბორკილები.

ვაშაა! შესძახა ამელიმ.

და გენერალური პროკურორი ამჯობინებს, სხვებს კი არა, მე დამიკავშირდეს, რადგან მარტო მე შემიძლია, ავაცდინო დამოკლეს მახვილი, სენჟერმენის გულს განგმირვით რომ ემუქრება!..

მაგრამ შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რაოდენ ძნელია ასეთი შედეგის მიღწევა! გენერალური პროკურორი და მე ცოტა ხნის წინ მის კაბინეტში შევთანხმდით, ვინც უნდა იყოს ჟაკ კოლენი, მაინც მივიღოთ ტოლედოს კანონიკად, კარლოს ერერად. ვთქვათ, იგი დიპლომატიური დესპანია და ესპანეთის საელჩოს უფლება მივცეთ, გამოითხოვოს ეს კაცი. სწორედ ამ გეგმის შესრულების მიზნით შევადგინე პატაკი, სადაც ვწერ, რომ პატიმრები ხელახლა დავკითხე და გამოვარკვიე, თითქოს ისინი თოვლივით სპეტაკნი ბრძანდებიან. ამის შედეგად დაუყოვნებლივ გავათავისუფლე ლუსიენ დე რუბამპრე, ხოლო ტოლედოს კაპიტულის თვითმარქვია კანონიკს ხვალ ბატონი დე რასტინიაკი, ბიანშონი და კიდევ ვიღაცვიღაცები პირში წაუდგებიან და, რასაკვირველია, მასში ვერ იცნობენ ჟაკ კოლენს, რომელიც ათი წლის წინ ვოტრენის გვარით ერთ ბურჟუათა პანსიონში ცხოვრობდა და მათი თანდასწრებით დააპატიმრეს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ქალბატონი კამიუზო ფიქრებში ჩაეფლო.

დარწმუნებული ხარ, რომ შენი ტუსაღი ნამდვილად ჟაკ კოლენია? ჰკითხა ქმარს.
ეჭვიც არ მეპარება, მიუგო გამომძიებელმა, გენერალური პროკურორიც დარწმუნებული ბრძანდება.

ძალიან კარგი! მაშ, უკან ნუღარ დაიხევ, კატასავით ბრჭყალებს ნუ გამოაჩენ, ისე შეეცადე, მართლმსაჯულების სასახლეში აყალმაყალი ატეხო! ეგ ჯოჯოხეთის მოციქული თუ ისევ კარცერშია, ახლავე კონსიერჟერის,, დირექტორთან გაიქეცი და ისე გაარიგე საქმე, რომ კატორღელი ყველას თანდასწრებით იცნონ. ბავშვებს კი ნუ მიჰბაძავ, აბსოლუტური მონარქიის პოლიციის მინისტრებს მიჰბაძე; მათ მშვენივრად ეხერხებათ მონარქიის საწინააღმდეგო შეთქმულების შეთითხნა, მერე ბუკსა და ნაღარას დაჰკრავენ, შეთქმულება გავხსენით, დახეთ, სახელმწიფოს როგორ ვემსახურებითო. სამ ოჯახს საფრთხე უკვე შეუქმენი და ახლა მათი მხსნელის სახელი უნდა დაიმსახურო.

ჰო, მართლა, რა ბედნიერებაა, შესძახა კამიუზომ, გონება სულ ამერია და ერთი ამბავი გადამავიწყდა: ჟაკ კოლენის პისტოლში,, გადაყვანის ბრძანება კოკარმა მიუტანა ბატონ გოს, კონსიერჟერის,, დირექტორს. ჰოდა, ჟაკ კოლენის მოსისხლე მტერმა, ბიბილუპენმა, ფორსიდან,, კონსიერჟერიში,, სასწრაფოდ გადმოიყვანა სამი ბოროტმოქმედი; ისინი იცნობენ ჩვენს კატორღელს, ხვალ დილიდან ეზოში სასეირნოდ გაიყვანენ მათ და ვფიქრობთ, საშინელი შეტაკება მოხდება...

ვითომ რატომ?

ჩემო საყვარელო, კატორღელებს ფული ბლომად აქვთ და ჟაკ კოლენი მათი ხაზინადარია. ამბობენ, ჩვენს ჟაკ კოლენს კატორღელების ფული გაუფლანგავს ცხონებული ლუსიენისთვის

ფუფუნების შესაქმნელად. ხვალ ანგარიშს მოსთხოვენ. ბიბილუპენმა მითხრა, ხოცვაჟლეტა ატყდება, თუ ზედამხედველები არ ჩაერევიანო. საიდუმლოც მაშინვე გამომჟღავნდება, რაც ჟაკ კოლენისთვის ყოფნაარყოფნის საკითხია. დილაადრიან მივალ სასახლეში და არ დავაყოვნებ მისი ვინაობის დადგენის ოქმის შედგენას.

ნეტავ მეანაბრეებმა თავიდან მოგაშორონ ეგ კაცი! მაშინ სახელს გაითქვამ როგორც დიდად გამჭრიახი გამომძიებელი! ნუღარ მიხვალ ბატონ დე გრანვილთან, კანცელარიაში მოუცადე მაგ შენი მრისხანე იარაღით ხელში! ეგ ხომ ზარბაზანია სამ ოჯახს დამიზნებული, საფრანგეთის სამეფო კარსა და პერთა საგვარეულოს რომ მიეკუთვნება. ყოჩაღად იყავი, ბატონ დე გრანვილს სთხოვე, ჟაკ კოლენი თავიდან მოგაშოროს, ფორსში,, გადაიყვანოს, კატორღელები თვითონვე მოუვლიან, ანგარიშს გაუსწორებენ მოღალატეს. მე კი ჰერცოგინია დე მონფრინიეზთან წავალ, გრანლიეებთან მიმიყვანს. რა ვიცი, იქნებ ბატონ დე სერიზისაც შევხვდე... ჩემი იმედი გქონდეს, არაფერს დავიშურებ, ყველგან დიდ განგაშს ავტეხ. არ დაგავიწყდეს, ორიოდე სიტყვა მომწერე, მხოლოდ ჩემთვის რომ იყოს გასაგები და გავიგო, ესპანელ მღვდელს იურიდიულად თუ დაუმტკიცდა, რომ ნამდვილად ჟაკ კოლენია. ორ საათზე სასახლიდან წამოდი, მე მოგიხერხებ პირად აუდიენციას იუსტიციის მინისტრთან, იქნებ მარკიზ დ-ჟესპართან დამიხვდეს.

სიხარულით გადარეული კამიუზო ერთ ადგილზე ისე გაშეშდა, რომ გაქნილ ამელის გაეღიმა.

ახლა კი ჩავიდეთ და ვისადილოთ, დაასრულა მან, გამხიარულდი, ხომ ხედავ, სულ ორი წელია, რაც პარიზში ვართ და ამ წლის ბოლომდე მრჩეველი გახდები... იქიდან კი, ჩემო ფისო, სამეფო სასამართლოს პალატის თავმჯდომარემდე არცთუ დიდი მანძილია; პოლიტიკურ საქმეში ვინმეს დაეხმარები და ეგ არის და ეგ...

ცოლქმრის თათბირი ნათლად გვიჩვენებს, ამ ეტიუდის უკანასკნელი მოქმედი პირის, ჟაკ კოლენის სულ მცირეოდენ მოქმედებასა და სიტყვაზე, რაოდენ იყო დამოკიდებული ღირსება ოჯახებისა, რომლებთანაც მან ასე მჭიდროდ დააკავშირა თავისი აწ განსვენებული შვილი.

ლუსიენის სიკვდილმა და გრაფინია დე სერიზის კონსიერჟერიში,, შევარდნამ ისეთი არევდარევა გამოიწვია ამ მანქანის მთელ მექანიზმში, რომ დირექტორს ცრუ ესპანელის კარცერიდან გადაყვანა აღარ მოაგონდა.

მართლმსაჯულების მატიანეში თუმცა თვითმკვლელობის არაერთი მაგალითია მოხსენიებული, გამოძიების პროცესში პატიმრის მიერ თავის მოკვლა მაინც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და შეუძლებელია, მყუდროება არ დაურღვიოს ზედამხედველებს, მდივნებსა და დირექტორს. მაგრამ უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათი მთავარი

საზრუნავი სულაც არ გახლდათ მშვენიერი ჭაბუკი, უცბად ცხედრად რომ გადაიქცა, მარტო იმას ჩიოდნენ, რომ კარიბჭის ნაწრთობი რკინის მესერი მაღალი წრის ქალმა თავისი სათუთი ხელებით გადაამტვრია. ამიტომაც, როგორც კი გენერალურმა პროკურორმა და გრაფმა დე ბოვანმა გულშეღონებული ქალბატონი გრაფ დე სერიზის კარეტაში ჩასვეს, დირექტორი, მდივანი და ზედამხედველები კარიბჭესთან მოგროვდნენ. მათ გვერდში ამოუდგა ლუსიენის სიკვდილის დასადასტურებლად მოწვეული ციხის ექიმი, ბატონი ლებრენი. მას ახლა უნდა მოენახულებინა იმ რაიონის მკვდრების ექიმი,,, სადაც უბედური ყმაწვილკაცი ცხოვრობდა.

პარიზში მკვდრების ექიმი,, ყოველ მერიას ჰყავს. მას ევალება ადამიანის სიკვდილი დაადასტუროს და გარდაცვალების მიზეზი დაადგინოს.

ბატონმა დე გრანვილმა მისთვის ჩვეული გამჭრიახობით საჭიროდ ჩათვალა, შერცხვენილი ოჯახების ღირსების დასაცავად ლუსიენის გარდაცვალების აქტის შედგენა იმ მერიისათვის დაევალებინა, ვის გამგებლობაშიაც შედიოდა მალაკეს სანაპირო, რადგან განსვენებული იქ ცხოვრობდა. ცხედარი თავისი ბინიდან უნდა გამოესვენებინათ და დაესვენებინათ სენჟერმენდეპრეს ეკლესიაში, სადაც პანაშვიდს გადაუხდიდნენ. ბატონმა დე გრანვილმა ამის თაობაზე თავის მდივანს, ბატონ დე შარჟბეფს სათანადო განკარგულება მისცა, ლუსიენის ცხედარს ღამით გადაიტანდნენ. ახალგაზრდა მდივანს დაევალა, დაუყოვნებლივ შესთანხმებოდა მერიას, სამრევლო ეკლესიასა და დამკრძალავ ბიუროს. ამგვარად, საზოგადოებას შეექმნებოდა აზრი, რომ ლუსიენი გაათავისუფლეს და საკუთარ ბინაში გარდაიცვალა. აქედანვე გამოასვენებდნენ. მისი მეგობრებიც აქვე იყვნენ მიწვეულნი, რათა მონაწილეობა მიეღოთ დაკრძალვის ცერემონიალში.

მაშ, ასე, როცა გულდაარხეინებული კამიუზო სუფრას მიუჯდა თავის პატივმოყვარე მეორე ნახევართან ერთად, კონსიერჟერის,, დირექტორი და ციხის ექიმი, ბატონი ლებრენი, კარიბჭის გარედან შესცქეროდნენ და გული მწუხარებით ევსებოდათ, რამეთუ აგრერიგად სუსტი გამოდგა რკინის მესერი, ხოლო შეყვარებული ქალი ესოდენ ძლიერი.

არავინ იცის, გამომშვიდობებისას ეუბნებოდა ექიმი ბატონ გოს, რა დიდ ძალას მატებს ვნებით უკიდურესად აღგზნებულ ადამიანს ნერვიული დაძაბულობა! ფიზიკასა და მათემატიკას ჯერ ვერ გამოუძებნია ამ ძალის გამოანგარიშებისათვის ვერც სათანადო ნიშანი და ვერც მეთოდი. ჰო, მართლა, გუშინ ისეთი ექსპერიმენტის მოწმე გავხდი, რომ ერთიანად ავცახცახდი. ამ ცდის შედეგად გასაგები ხდება, საიდან მოიკრიბა ფიზიკური ძალა ნაზმა ქალბატონმა.
გთხოვთ, მიამბოთ, შეეხვეწა ბატონი გო, მაგნეტიზმი ჩემი სისუსტეა. არ გეგონოთ, თითქოს მჯეროდეს, თუმცა ძალიან მაინტერესებს.

ერთმა მაგნეტიზმით გატაცებულმა ექიმმა, გამოგიტყდებით, ჩვენ შორისაც მოიძებნება ისეთი ვინმეები, მაგნეტიზმისა რომ სჯერათ, დაიწყო ექიმმა ლებრენმა, შემომთავაზა, თვით

ჩემზე ჩაეტარებინა ექსპერიმენტი იმგვარ მოვლენაზე, რაც დაწვრილებით ამიწერა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დამარწმუნა. გადავწყვიტე, საკუთარი თვალით მენახა უცნაური ნერვული შეტევა, რასაც მაგნეტიზმის არსებობის დამამტკიცებელ საშუალებად აცხადებენ. დავთანხმდი! მოგახსენებთ, რა მოხდა: ნეტავ ვიცოდე, რას იტყოდა მედიცინის აკადემია, აკადემიის ყოველი წევრი რიგრიგობით რომ მოხვედრილიყო მაგნეტიზმის სეანსზე და თითოეულ მათგანს საკუთარ თავზე განეცადა მისი ზემოქმედება, რაც ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს. ჩემი ძველი მეგობარი ექიმი გახლავთ, გვარად ბუვარი, განუმარტა ექიმმა ლებრენმა, უკვე ხანში შესული, სამოცდაათი, სამოცდათორმეტი წლისა იქნება. მისი შეხედულებების გამო ჯერ კიდევ მესმერის დროიდან დევნის სამედიცინო აკადემია. დღეს იგი ცხოველური მაგნეტიზმის პატრიარქად ითვლება. კეთილი ბერიკაცი შვილივით მეპყრობა და თუ რამეს წარმოვადგენ, მხოლოდ მისი წყალობით. ჰოდა, ამ მოხუცმა, დიდად პატივცემულმა ბუვარმა, მოისურვა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ მაგნეტიზმით აღძრული ნერვული ძალა თუმცა უსაზღვრო არ არის, რაკი ადამიანი განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება, მაინც ისეთივე უნარით არის აღჭურვილი, როგორიც აქვს ბუნებრივ ძალებს, რომელთა აბსოლუტური კანონების დადგენა ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელია. აბა, თუ ინებებ და ხელს გაუწვდი მთვარეულს, მითხრა მან, რომელიც ფხიზელ მდგომარეობაში ნორმალური ძალით მოგიჭერს ხელს, დაინახავ, რომ სხვა ვითარებაში, რასაც ეგრე სულელურად ცისადცისად მავალს,, უწოდებენ, მისი თითები ნამდვილ რკინის მარწუხებს დაემგვანებიან,,. ჰოდა, ბატონო ჩემო, გავუწოდე ხელი დაძინებულს,, კი არა, ბუვარს ეს გამოთქმა არ მოსწონს, არამედ იზოლირებულს,,. ბუვარმა უბრძანა, მთელი ძალით მოეჭირა ჩემთვის ხელი. თითის წვერებიდან კინაღამ სისხლმა ამომხეთქა და შევეხვეწე, შეაჩერეთმეთქი. აგერ, ხომ ხედავთ, ამ სამაჯურს, ალბათ, სამ თვეზე მეტხანს მომიხდება მისი ტარება!

ეშმაკმა წაიღოს! აღმოხდა ბატონ გოს, როცა შენიშნა მაჯაზე შემოვლებული ჩალურჯებული რგოლი, დამწვარს რომ ჰგავდა.

ძვირფასო გო, განაგრძო ექიმმა, კისერზე რომ შემოერტყათ რკინის რგოლი, ხოლო ზეინკალს ჭანჭიკით მაგრად მოეჭირა, ალბათ, ისე მწვავედ ვერ ვიგრძნობდი ყელსაბამის შემოჭერას, როგორც ვიგრძენი იმ ქალის თითების ძალა. ხელის მტევანი ფოლადივით უდრეკი ჰქონდა და მჯერა, შეეძლო, ჩემთვის ძვლები გადაემტვრია და მტევანი მაჯისთვის მოეშორებინა. ჯერ ოდნავ მომიჭირა, მერე მაგრად, მერე კიდევ უფრო მაგრად... ერთი სიტყვით, მარწუხების მოჭერა უთუოდ ვერ შეედრება წამების იარაღად გადაქცეული ხელის მოჭერას. ახლა დამტკიცებულად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ კონცენტრირებულ, უაღრესად დაძაბული ნებისყოფის გამომხატველი ვნებით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც აღჭურვილია ისეთი ცხოველური მაგნეტიზმით, რისი გამოანგარიშებაც ისევე შეუძლებელია, როგორც სხვადასხვაგვარი ელექტრული ენერგიის გამოანგარიშება, ადვილად შეუძლია, მთელ სასიცოცხლო ძალას თავი მოუყაროს ამა თუ იმ ორგანოში და შეებრძოლოს ვინმეს, ანდა

წინააღმდეგობა გაუწიოს... დიახ, უკიდურეს სასოწარკვეთამდე მისულმა ნაზმა ქალბატონმა მთელი სასიცოცხლო ძალა ხელებში გადაიტანა.

ჯოჯოხეთური ღონე უნდა გქონდეს, ნაწრთობი რკინის მესერი რომ შეამტვრიო, თავის ქნევით თქვა უფროსმა ზედამხედველმა.

ხინჯი ექნებოდა, შენიშნა ბატონმა გომ.

მე თუ მკითხავთ, დასძინა ექიმმა, ვეღარ გავბედავ, საზღვარი დავუდო ნერვულ ენერგიას. ესეც არ იყოს, განა დედები შვილების გადასარჩენად მაგნეტიზმით არ ათვინიერებენ ლომს? ანდა შუა ხანძარში არ მიცოცავენ ისეთ ლავგარდანზე, სადაც კატაც ვერ მოიკიდებს ფეხს? ისინი ხომ მშობიარობისას ზოგჯერ უსაზღვრო წამებას უძლებენ. სწორედ აქ იფარება საიდუმლო, რის ძალითაც ტუსაღები და კატორღელები გაქცევას ბედავენ... ჯერჯერობით შეუსწავლელია სასიცოცხლო ძალთა საზღვრები, ისინი თვით ბუნების ძალთა ძლიერებას უტოლდებიან და ჩვენ მათ უცნობ ძალთა საცავებისაგან ვიღებთ!

ერთი ზედამხედველი დირექტორს მიუახლოვდა სწორედ მაშინ, როცა მან ექიმი ლებრენი კონსიერჟერის,, გარე მესერთან მიაცილა და უთხრა:

ბატონო, კარცერი /2 ამბობს, ავადა ვარო და ექიმს ითხოვს. გვარწმუნებს, ვკვდებიო.
ნუთუ მართლა?

ასე გახლავთ, უკვე ხრიალებს, მიუგო ზედამხედველმა.

ხუთი საათია, უთხრა ექიმმა, ჯერ არ მისადილია... მაგრამ რას ვიზამ, ასეთია ჩემი ბედი, აბა, წავიდეთ...

კარცერი /2 ესპანელი მღვდელი გახლავთ, რომ ეჭვობენ, ჟაკ კოლენი უნდა იყოსო, თქვა ბატონმა გომ, იმავე საქმეშია გარეული, რაც ბრალად ედებოდა ყმაწვილკაცს...

მღვდელი დილას ვნახე, მიუგო ექიმმა, ბატონმა კამიუზომ გამომიძახა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად. ჩვენ შორის დარჩეს და სრულიად საღსალამათი ბრძანდება. შეუძლია მოხეტიალე მასხარათა დასში ჰერკულესის როლიც შეასრულოს.

ვაითუ, მაგანაც თავი მოიკლას, შეწუხდა ბატონი გო, მეც წამოგყვებით, ერთად მივიდეთ. მაინც საქმე მაქვს მასთან, პისტოლში,, უნდა გადავიყვანო. ეგ იდუმალებით მოცული კაცი ბატონმა კამიუზომ კარცერიდან გაათავისუფლა.

ჟაკ კოლენს, კატორღელთა წრეში გააბითურე სიკვდილს,, რომ ეძახდნენ, ამის შემდეგ მხოლოდ საკუთარი სახელით მოვიხსენიებთ. ბატონი კამიუზოს ბრძანებით იგი კარცერში დააბრუნეს. ახლა მას ისეთი დარდი და ვარამი შემოსწოლოდა, რაც არასოდეს განეცადა, თუმცა უამრავი დანაშაული ჩაედინა, კატორღიდან სამჯერ გაქცეულიყო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საბრალდებო სკამზე ორჯერ მჯდარიყო. განა ეს სრულიად არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელშიაც ერთმანეთს მძლავრად შერწყმოდა სიცოცხლის უდიდესი უნარი, უზარმაზარი ძალღონე და გამჭრიახი გონება, ჯოჯოხეთურად მშვენიერი არ იყო თავისი მართლაც ძაღლური ერთგულებით იმ კაცისადმი, ვინც თვითონვე აირჩია მეგობრად? თუმცა მკაცრი სასჯელის ღირსი გახლდათ, იწვევდა ზიზღს და ყოველმხრივ ამაზრზენი ვინმეც იყო, მაინც საკუთარი კერპისადმი თავგადაკლული ერთგულებით იმდენად დიდ ყურადღებას იმსახურებდა, რომ წინამდებარე, საკმაოდ ვრცელი ეტიუდი დასრულებულად არ ჩაითვლებოდა და შემოკლებულადაც მოგეჩვენებოდათ, თუ ამ დანაშაულებრივი ცხოვრების აღწერას ისევე არ დავამთავრებთ, როგორც ლუსიენ დე რუბამპრეს თავგადასავალი დავასრულეთ. პატარა ფინია, სპანიელი, მოკვდა, ისმის კითხვა, იცოცხლებს თუ არა ლომი მისი შემზარავი თანამგზავრი?

ადამიანის თუ საზოგადოების ცხოვრებაში მოვლენები ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ მათი გაცალკევება შეუძლებელი ხდება. ნაკადულის დინება თხიერ ბილიკს ქმნის. რაც უნდა აბობოქრებული იყოს ყალყზე შემდგარი ტალღა, სულ ზევით და ზევით იწევდეს, მის ფაფარაყრილ მძვინვარებას მაინც იმორჩილებს წყლის დინება, რაც უფრო სწრაფია, მით უფრო დაუძლეველი რომ არის და საკუთარ უფსკრულთა ამბოხებასაც ადვილად ამარცხებს. მაგალითად, ჩავიხედოთ აბობოქრებულ მდინარეში, გავარჩიოთ მასში ბუნდოვანი გამოსახულებები და შევეცადოთ, გავზომოთ, რაოდენ ძლიერია საზოგადოების ძალაუფლება იმ ბუმბერაზ ქარბორბალასთან შედარებითაც კი, როგორიც იყო ვოტრენი? ვნახოთ, სად ჩაიმუხლებს ამბოხებული ტალღა, რა ბედი ეწევა ამ მართლაც ჯოჯოხეთის მოციქულს, მარტოოდენ სიყვარულს რომ დაუკავშირებია კაცობრიობასთან? დიახ, სიყვარული, ეს ღვთაებრივი გრძნობა, თვით გახრწნილ ადამიანთა გულებშიაც კი ღვივის და მეტად ძნელად იფერფლება!

შემზარავი კატორღელი ჟაკ კოლენი იმ პოემის გმირს ჰგავდა, შთაგონებით რომ ელოლიავებოდა უამრავი პოეტი: მური, ლორდი ბაირონი, მატიურენი, კანალისი (დემონს, რომელიც ანგელოზს შეაცდენს, რათა სამოთხიდან მოპარული ცვარნამი ჯოჯოხეთს მოაპკუროს). მის ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ გულში რომ ჩაგვეხედა, დავრწმუნდებოდით, უკვე შვიდი წელი იყო, რაც საკუთარ თავს გასდგომოდა. თავისი უდიდესი ნიჭი და უნარი ლუსიენის სიყვარულს მსხვერპლად შესწირა, მისი წარმატებებით ტკბებოდა, მისი ვნებათაღელვით იწვოდა, მისი პატივმოყვარე ზრახვებით სულდგმულებდა.

ჟაკ კოლენისთვის ლუსიენი იყო საკუთარი სული, ხორცშესხმული, ცოცხალი სული.

გააბითურე სიკვდილი,, გრანლიეთა ოჯახში სადილობდა, დიდ ქალბატონთა ბუდუარებში დაძვრებოდა, სიყვარულს ეფიცებოდა ესთერს. ერთი სიტყვით, იგი ლუსიენში ხედავდა ჟაკ კოლენს, თვალწარმტაცს, ახალგაზრდას, კეთილშობილს, რომელიც მომავალში ელჩი გახდებოდა.

ლუსიენისადმი ძლიერი, მამობრივი სიყვარულით გააბითურე სიკვდილმა,, ხორცი შეასხა გერმანულ თქმულებას ორეულზე,,. ამგვარი გრძნობის განცდა მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულით შეპყრობილ ქალს ძალუძს, რომელიც საკუთარი სულით მამაკაცის სულში დასადგურებულა, მისი ცხოვრებით უცხოვრია, არად ჩაუგდია, კეთილშობილია იგი, გარყვნილი, ბედნიერი თუ უბედური; მისგან დაშორებულსაც კი უგრძნია ფეხის ტკივილი, თუ სატრფო ფეხში დაჭრილა, უგრძნია ისიც, რომ იგი სადღაც ორთაბრძოლაში ჩაბმულა. მოკლედ, ეს ისეთი სიყვარულია, როცა თქმაც არ უნდა, ისედაც მიხვდება, თუ სატრფომ უღალატა.

კარცერში დაბრუნებული ჟაკ კოლენი ფიქრობდა: ახლა ბიჭუნა დაკითხვაზეა!,,

და თრთოდა იგი, ვისთვისაც კაცის მოკვლა იგივე იყო, რაც ხელოსნისთვის არყის გადახუხვა. ნეტავ თუ შეხვდა თავის საყვარლებს, ფიქრობდა კოლენი, მამიდაჩემმა თუ ინახულა ორი წყეული ძუ, ჰერცოგინიები და გრაფინიები ნეტავი თუ გაინძრნენ და მისი დაკითხვა შეაჩერეს?

ლუსიენმა თუ მიიღო ჩემი მითითება? ვაითუ, ბედისგან განწირულია და დაკითხვას ვერ ასცდა! როგორ დაიჭერს თავს? საბრალო ბავშვი, მე მივიყვანე აქამდე! სულ იმ ყაჩაღი პაკარისა და გაიძვერა ევროპას ბრალია; რომ არ აეწაპნათ შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკის რენტა, ნიუსინჟენმა ესთერს რომ მიართვა, ეს აყალმაყალიც არ ატყდებოდა. მაგ ორი ავაზაკის წყალობით უკანასკნელ ნაბიჯზე წაგვიცდა ფეხი, მაგრამ ძვირად დაუჯდებათ ეს ოინი! ერთი დღე რომ დაგვცლოდა, ლუსიენი გამდიდრდებოდა! ცოლად შეირთავდა კლოტილდ დე გრანლიეს. ესთერიც აღარ შემიბორკავდა ხელებს. ლუსიენს გოგო გაგიჟებით უყვარდა და ფიცარივით გატყეპნილ, ჭოკივით აწოწილ კლოტილდს ვერასოდეს შეიყვარებდა! ეჰ, ბიჭუნა მაშინ სულ მთლად ჩემი იქნებოდა, აღარავინ შემეცილებოდა! მერედა, რაზეა ჩვენი ბედი დამოკიდებული, ლუსიენის ერთ გამოხედვაზე, ოდნავ გაწითლებაზე, მაგ კამიუზოს ხომ არაფერი გამოეპარება. დიდი გაქექილი ვინმეა, გამომძიებლის კვალობაზე ცბიერება არ აკლია! განა ვერ შევნიშნე, როცა წერილები მაჩვენა, შემომაშტერდა. ჩვენ თვალებით გავბურღეთ ერთმანეთი და ის მიხვდა, რომ შემიძლია ლუსიენის საყვარლები ჩემს ნებაზე ავათამაშო!,,

მონოლოგი სამ საათს გაგრძელდა.
ისეთმა მღელვარებამ მოიცვა, რომ რკინითა და გოგირდმჟავათი შედუღაბებული ვაჟკაცი წელში მოდრიკა. თავი უხურდა, თითქოს სიგიჟის ცეცხლი წაჰკიდებიაო. დაუცხრომელი წყურვილი კლავდა და ვერც შენიშნა, ისე გამოცალა მთელი კასრი, გობსა და ხის საწოლთან

ერთად კარცერის მთელ მორთულობას რომ წარმოადგენდა. ვაითუ, თავგზა აებნას, რა ეშველება? ამ საყვარელ ბავშვს ხომ არ გააჩნია თეოდორის ძალა!,, ჩურჩულებდა იგი, როცა საყარაულოში რომ დგას ხოლმე, იმის მსგავს საწოლზე წვებოდა.

ორიოდე სიტყვით გაგაცნობთ თეოდორს, რომელიც ამ გადამწყვეტ წუთს ჟაკ კოლენს გაახსენდა. თეოდორ კალვი კორსიკელი ბიჭი გახლდათ; თვრამეტი წლისა იყო, როცა ოქროს ფასად ნაყიდი პროტექციის წყალობით თორმეტი მკვლელობისთვის მხოლოდ სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. 1819-20 წლებში ჟაკ კოლენის კატორღის მეგობარი იყო. ჟაკ კოლენმა ამ ერთხელაც მეტად ოსტატურად მოაწყო გაქცევა (ჟანდარმის ტანსაცმელი გადაიცვა და ვითომ კომისარს მივუძღვებიო, კატორღელ თეოდორ კალვის გვერდით გაჰყვა). ეს მოხდა როშფორის ნავსადგურში, სადაც კატორღელები ჭიანჭველებივით იხოცებიან, სწორედ ამიტომაც გაგზავნეს იქ ეს ორი საშიში ბოროტმოქმედი. ერთად კი გაიქცნენ, მაგრამ გზაში რაღაც შეემთხვათ და ერთმანეთს გაშორდნენ. თეოდორი მალე შეიპყრეს და კატორღაში დააბრუნეს. ჟაკ კოლენი ესპანეთში გადავიდა, იქ კარლოს ერერად მოინათლა და თავისი კორსიკელის საძებნელად მიეშურებოდა, როდესაც ლუსიენს გადაეყარა შარანტის ნაპირზე. ბანდიტთა და კორსიკელი მაკის,, გმირი, რომელმაც გააბითურე სიკვდილს,, იტალიური ენა შეასწავლა, ბუნებრივია, ახალ კერპს მსხვერპლად შეეწირა.

სასამართლო განაჩენისაგან თავისუფალ, სრულიად უმნიშვნელო ცოდვებით დამძიმებულ ყმაწვილკაცთან ცხოვრება ჟაკ კოლენისთვის ისევე მშვენიერი და თვალწარმტაცი იყო, როგორიცაა მზით გაკაშკაშებული ზაფხულის დღე, ხოლო თეოდორთან მეგობრობა რომ გაეგრძელებინა, მაშინ უამრავ დანაშაულს ჩაიდენდა და საბოლოოდ ეშაფოტზე მოუწევდა ასვლა.

ჟაკ კოლენს ლუსიენზე ფიქრი არ სცილდებოდა, შიშობდა, კარცერის რეჟიმს მისთვის თავგზა არ აებნია და ისედაც სუსტი ნებისყოფის პატრონს მთლად არ გამოსცლოდა ძალა, უბედურება არ დასტეხოდა თავს. შიში თანდათან გაიზარდა და ჟაკ კოლენის მთელი გონება მოიცვა. შემაძრწუნებელი კატასტროფის მოლოდინში საცოდავ კაცს თვალზე ცრემლი მოადგა, რაც ბავშვობის შემდეგ ერთხელაც არ დამართვია.

ჩანს, რაღაც უსაშველო ციებცხელება შემეყარა, გაიფიქრა მან, მოდი, ექიმს გამოვუძახებ, დიდ თანხას შევაძლევ, იქნებ როგორმე დამაკავშიროს ლუსიენთან,,.

ამ დროს ზედამხედველმა ტუსაღს საჭმელი შემოუტანა.

არაა საჭირო, ჩემო შვილო, ჭამა არ შემიძლია. ციხის დირექტორს გადაეცით, ექიმი გამომიგზავნოს. იმდენად ცუდად ვგრძნობ თავს, ეჭვი არ მეპარება, აღსასრული დამიდგა!

ზედამხედველს ესმოდა მისი ხრიალი, ნაწყვეტნაწყვეტი სიტყვები... თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გავიდა. ჟაკ კოლენი გააფთრებით ჩაეჭიდა ამ იმედს, მაგრამ, როცა საკანში

ექიმთან ერთად შემოსულ დირექტორს მოჰკრა თვალი, იმედი გაუქრა. ექიმს მაჯა გაუწოდა და გულგრილად ელოდებოდა, როდის წავლენო.

ბატონს სიცხე აქვს, უთხრა ექიმმა ბატონ გოს, მაგრამ ასეთი ხურვება ყველა პატიმარს ემართება, და მან ჩურჩულით მიმართა ცრუ ესპანელ მღვდელს, რაც, ჩემი აზრით, ყველასთვის დანაშაულის დამადასტურებელია.
უცბად დირექტორს გაახსენდა, გენერალურმა პროკურორმა ჟაკ კოლენისთვის დატოვებული ლუსიენის წერილი რომ გადასცა, ექიმი და პატიმარი მცველის ზედამხედველობის ქვეშ დატოვა და წერილის მოსატანად გაემართა.

ბატონო, უთხრა ჟაკ კოლენმა ექიმს, რაკი მცველი კართან მიმდგარი დაიგულა, ხოლო ის კი ვერ გაიგო, რისთვის გავიდა დირექტორი, ოცდაათი ათას ფრანკსაც არ დავიშურებ, ოღონდ ხუთიოდე სტრიქონი მიმაწერინა ლუსიენ დე რუბამპრესთვის.

ვერ მოგპარავთ მაგ თანხას, მიუგო ექიმმა ლებრენმა, ქვეყნად აღარავის ძალუძს მასთან ურთიერთობის დამყარება...

როგორ თუ არავის? გაკვირვებით იკითხა ჟაკ კოლენმა, რა მოხდა?

რა და, თავი ჩამოიხრო...

არასოდეს ძუ ვეფხვს, რომელსაც ბოკვერები მოსტაცეს, არ გაუყრუებია ინდოეთის ჯუნგლები ისეთი შემაძრწუნებელი ღმუილით, როგორც აღრიალდა ჟაკ კოლენი. ვეფხვი თათებზე რომ აღიმართება, ისე აღიმართა, მუგუზლებივით აგიზგიზებული, ექიმისკენ მიპყრობილი თვალები ისე აუკიაფდა, თითქოს გაიელვაო. მერე საწოლზე ჩაიკეცა და წაიდუდუნა: ო, შვილო ჩემო!,,

საწყალი! შეჰყვირა ექიმმა, აღელვებულმა მშობლიური გრძნობის ასეთი მძაფრი გამოვლინებით.

მძლავრ აფეთქებას უკიდურესი სისუსტე მოჰყვა და სიტყვები: ო, შვილო ჩემო!,, ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა.

ესეც არ შემოგვაკვდეს ხელში, ჩაილაპარაკა ზედამხედველმა.
ო, არა, ეგ შეუძლებელია! ისევ აღმოხდა ჟაკ კოლენს, ლოგინზე წამოჯდა და ამ სცენის ორ მოწმეს ჩამქრალი, ჩაფერფლილი თვალებით შეხედა, თქვენ ცდებით, ეგ ის არ არის! კარგად ვერ დაგინახავთ. კარცერში კაცი თავს ვერ ჩამოიხრჩობს. აბა, შეხედეთ! როგორ უნდა ჩამოიხრჩო აქ თავი? მთელ პარიზზე ვიძიებ შურს მისი სიკვდილის გამო! ამას ღმერთსაც კი არ შევარჩენ!

ზედამხედველი და ექიმი, რომლებიც დიდი ხანია, აღარაფერს შეეძლო, გაეკვირვებინა, გაშტერებულნი შესცქეროდნენ. ამ დროს ბატონი გოც შემოვიდა ლუსიენის წერილით ხელში. დირექტორის დანახვაზე მწუხარებისაგან ქანცმილეული ჟაკ კოლენი თითქოს დამშვიდდა.

მიიღეთ წერილი, გენერალურმა პროკურორმა დამავალა, გაუხსნელად გადმომეცა თქვენთვის, უთხრა ბატონმა გომ.
ლუსიენისგანაა, თქვა ჟაკ კოლენმა.

დიახ, ბატონო.

ნუთუ...

გარდაიცვალა, დასძინა დირექტორმა, ბატონი ექიმი თუნდაც იქვე ყოფილიყო, საუბედუროდ, ვერაფერს უშველიდა... ახალგაზრდა კაცმა სული დალია იქ... პისტოლის,, ერთერთ საკანში...

ნებას მომცემთ, საკუთარი თვალით ვნახო, დავრწმუნდე? მოკრძალებით იკითხა ჟაკ კოლენმა, ხომ დართავთ ნებას მამას, დაიტიროს შვილი?

თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ მის ოთახში გადახვიდეთ, რადგან ნაბრძანები მაქვს, პისტოლში,, გადაგიყვანოთ. კარცერიდან გათავისუფლებული ბრძანდებით, ბატონო.

ტუსაღს თვალებში სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, შეჰყურებდა ხან დირექტორს, ხან ექიმს. მდუმარედ რაღაცას ეკითხებოდა. ეგონა, მახეს მიგებენო და ყოყმანობდა, კარცერიდან გასვლას აყოვნებდა.

ცხედრის ნახვას თუ ინებებთ, დროს ნუღარ კარგავთ, უთხრა ექიმმა, ამაღამვე აპირებენ მის გადასვენებას...

შვილები თუ გყავთ, ბატონებო, მიმართა ჟაკ კოლენმა, გამიგებთ, რამ გამომათაყვანა ეგრე. თვალთ დამიბნელდა... ეს ამბავი სიკვდილზე მეტად მძიმეა ჩემთვის... მაგრამ აბა, რას მიხვდებით, რა მიტრიალებს გულში... თქვენ ხომ მამები არა ხართ და გინდაც იყოთ, სულ სხვაგვარად... მე მისი დედაცა ვარ, მამაც! მე... გონება მერევა... მგონი, ვგიჟდები...

შიდა გადასასვლელებით, სადაც კარი მხოლოდ დირექტორის ბრძანებით იღება, შეიძლება სულ მოკლე დროში კარცერიდან პისტოლში,, მოხვდე. საკნების ორი მწკრივი მიწისქვეშა, ორ სქელ კედელს შორის მოთავსებული დერეფნითაა ერთმანეთისგან დაშორებული. ამ

კედლებს ებჯინება მართლმსაჯულების სასახლის გალერეა, რომელსაც სავაჭრო გალერეას ეძახიან. ჟაკ კოლენი ზედამხედველს მკლავზე დაეყრდნო; მათ წინ გაუძღვა დირექტორი და უკან გაჰყვა ექიმი. სულ რამდენიმე წუთში მივიდნენ საკანში, სადაც ლუსიენის ცხედარი ესვენა. ჟაკ კოლენმა შეხედა მას, მწუხარებით აღვსილი ჩაეკრა, მაგრად ჩაბღუჯა და ჩაეხვია. ამ სცენის სამივე მოწმეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ააცახცახა.

ხედავთ, უთხრა ექიმმა დირექტორს, მე რომ მოგახსენებდით, იმის მაგალითი. აბა, შეხედეთ! ეგ კაცი როგორ სრესს ცხედარს. ვერც წარმოგიდგენიათ, რა არის გვამი, ეს ხომ ქვაა...

გთხოვთ, დამტოვოთ! ჩამქრალი ხმით შეჰღაღადა ჟაკ კოლენმა, დიდი დრო აღარ დამრჩენია, სულ მალე მომტაცებენ, რათა...

ენა ვერ მოუტრიალდა, ეთქვა, დაასაფლავონო.

ხომ მომცემთ ნებას, ჩემი საყვარელი ბავშვის სახსოვრად რამე დავიტოვო... გთხოვთ, ბატონო, მიუბრუნდა ექიმ ლეგრენს, თვითონ მომიჭერით მისი თმის კულული, მე ძალა არ შემწევს

მართლაც მაგისი შვილია! თქვა ექიმმა.

დარწმუნებული ხართ? იჭვნეულად შეეკითხა დირექტორი.

ამაზე ექიმი ჩაფიქრდა.

დირექტორმა ზედამხედველს უბრძანა, პატიმარი საკანში დაეტოვებინა და თვითმარქვია მამის სურვილისამებრ რამდენიმე კულული შეეჭრა მისი შვილისთვის, სანამ ცხედრის გადასაყვანად მოვიდოდნენ.

მაისში, ექვსის ნახევარზე, კონსიერჟერიშიც,, კი, სადაც ფანჯრებზე მიმაგრებული ფარები და მავთულის ბადეები სინათლეს არ უშვებს, ძნელი არ არის წერილის წაკითხვა. ლუსიენის ხელისთვის ხელი არ გაუშვია, ისე გაარჩია ჟაკ კოლენმა ამ საშინელი წერილის ყოველი სიტყვა.

ვერ მოძებნით ისეთ კაცს, რომელსაც შეეძლოს ათი წუთის განმავლობაში ეჭიროს ყინულის ნაჭერი და თან მაგრად უჭერდეს ხელს. სასიცოცხლო ორგანოებში სიცივე მომაკვდინებელი სისწრაფით იჭრება, მაგრამ ამ შემზარავი, საწამლავივით მოქმედი სიცივის შეგრძნება ოდნავადაც არ შეედრება სულიერ განცდას, რასაც ცხედრის გაშეშებული და გაყინული ხელის შეხება იწვევს, მით უმეტეს, თუ მას ხელს მაგრად ჩასჭიდებ და ჩაეხუტები. და მაშინ თვით სიკვდილი ესაუბრება სიცოცხლეს; გაანდობს ბნელით მოცულ იდუმალებას, რაც მრავალ გრძნობას სამარადისოდ კლავს, ხოლო გრძნობათა განადგურება ხომ იგივე სიკვდილია?

როცა ჟაკ კოლენთან ერთად ხელახლა წავიკითხავთ ლუსიენის წერილს, დავრწმუნდებით, რომ მისი უკანასკნელი უსტარი ამ კაცისათვის ჭეშმარიტად სამსალად იქცა:

აბატ კარლოს ერერას!

ჩემო ძვირფასო აბატო, თქვენგან სიკეთის მეტი არაფერი მიმიღია, მე კი გიღალატეთ. ეს უნებლიე უმადურობა მკლავს და როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, აღარც ვიქნები ცოცხალი; თქვენ გვერდით არ მეყოლებით და ვერ გადამარჩენთ.

თქვენ სრული უფლება მომანიჭეთ, თუკი ჩემთვის საჭირო გახდებოდა, დამეღუპეთ და სიგარის ნამწვავივით გამესრისეთ მიწაზე; მეც ბრიყვულად ვისარგებლე ამ უფლებით. დაბრკოლება რომ გადამელახა, გამომძიებლის გაიძვერული შეკითხვებით შეცდენილი, მე, თქვენი სულიერი ძე, ვინც თქვენ იშვილეთ, გადავედი იმათ მხარეზე, ვისაც სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გაგანადგურონ, დაამტკიცონ, ვითომ თქვენ და ვიღაც ფრანგი ავაზაკი ერთი და იგივე პიროვნება იყოთ, რაც სრულიად დაუჯერებელია ჩემთვის.

თქვენსავით მძლავრ ვაჟკაცსა და ჩემ შორის, ვისგანაც თქვენ გსურდათ შეგექმნათ იმაზე უფრო დიდი ადამიანი, ვიდრე მე შემეძლო ვყოფილიყავი, აბა, რა საჭიროა რაღაც სულელური ახსნაგანმარტება მარადიული განშორების წამს. თქვენ ისწრაფოდით, გაგეხადეთ ძლიერი და სახელგანთქმული და თვითმკვლელობის უფსკრულში ჩამაგდეთ, ესაა და ეს. დიდი ხანია ვგრძნობდი, როგორ მემღვრეოდა გონება.

ზოგჯერ მეტყოდით ხოლმე, ქვეყნად კაენისა და აბელის შთამომავლობა სულდგმულობსო. კაცობრიობის უდიდეს დრამაში კაენი წინააღმდეგობის გამომხატველია. თქვენც ადამის შთამომავალი ხართ, კაენის ძეთა ნაშიერი, ხოლო კაენის მოდგმის გულში ეშმაკი მუდმივად აჩაღებს კოცონს, რომლის ნაპერწკალიც თავდაპირველად ევას მოხვდა. ამ მოდგმის დემონთა შორის ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე მრავალმხრივი ნიჭითა და ყოველგვარი ადამიანური ძალითა და უნარით დაჯილდოებული შემზარავი არსებანი, რომლებიც უდაბნოს ონავარ მხეცებს ჰგვანან და მათი არსებობა სწორედ ისეთ თვალუწვდენელ სივრცეებს მოითხოვს, როგორიც მათ მშობლიურ მიწაზეა გადაშლილი. ამგვარი ადამიანები საზოგადოებისთვის ისევე საშიშნი არიან, როგორც შუაგულ ნორმანდიაში ანაზდად გამოჩენილი ლომები. მათ საკბილო ესაჭიროებათ, ნთქავენ წვრილფეხა ადამიანებს და ყეყეჩთა ოქროებს. მათი თამაში იმდენად დამღუპველია, რომ ბოლოს და ბოლოს, კლავენ თვინიერ ფინიას, რომელიც თვითონვე დაიმეგობრეს და კერპად გადააქციეს. და როცა ღმერთი ინებებს, ეს იდუმალებით მოცული არსებანი ხდებიან მოსეები, ატილები, შარლემანები, რობესპიერები ან ნაპოლეონები. მაგრამ, როდესაც ასევე ღვთის ნებით ამ გოლიათ დევგმირებს ოკეანის ფსკერზე ხავსი ეკიდებათ, მაშინ მათგან აღმოცენდებიან მარტოოდენ პუგაჩოვები, ფუშეები, ლუველები და აბატი კარლოს ერერები. ისინი ფლობენ უდიდეს ძალას, რითაც იმონებენ ნაზი სულის ადამიანებს, იახლოებენ მათ და მერე თელავენ. თავისებურად დიადია ეს,

მშვენიერი! ტყეში ამოსული კაშკაშა შეფერილობის თვალწარმტაცი შხამიანი მცენარეა და ბავშვებს იზიდავს. ბოროტების პოეზიაა იგი.
თქვენისთანა ადამიანები მღვიმეებში უნდა ცხოვრობდნენ და გარეთ არ უნდა გამოდიოდნენ. თქვენ მე ამ გოლიათების ცხოვრებით მაცხოვრეთ. ახლა კმარა, ცხოვრებასთან ანგარიში უკვე გავასწორე. ასე და ამგვარად, შემიძლია, შენი თაღლითობის გორდიასის კვანძიდან თავი დავიძვრინო და ჩემი ყელსახვევის კვანძში გავყო.

შეცდომის გამოსასწორებლად გენერალურ პროკურორს წერილობით ვუცხადებ, რომ ჩემს დაკითხვას სრულიად უარვყოფ. თქვენ არ გაგიჭირდებათ ისარგებლოთ ამ საბუთით. ბატონო აბატო, კანონიერად შედგენილი ანდერძით დაგიბრუნდებათ თქვენი ორდენის კუთვნილი თანხა, რასაც მეტად ხელგაშლილად მახარჯავდით, რადგან მამობრივი სიყვარულით იყავით განმსჭვალული ჩემ მიმართ. მაშ, მშვიდობით, მშვიდობით, ბოროტებისა და მანკიერების დიადო ძეგლო. იყავით მშვიდობით თქვენ, ვისაც შეგეძლოთ ყოფილიყავით უფრო დიდებული, ვიდრე იყვნენ ხიმენესი ან რიშელიე, თავის დროზე კეთილ გზას რომ დასდგომოდით. თქვენ სიტყვა შეასრულეთ. მე კი ისევ ისეთი ვარ, შარანტის ნაპირას რომ მნახეთ. ოღონდ მას შემდეგ თქვენი წყალობით საოცრად მომხიბლავი სიზმრები ვიხილე. მაგრამ, საუბედუროდ, ვეღარ ვხედავ ჩემი მშობლიური კუთხის მდინარეს, სადაც ჩავიხრჩობდი ჭაბუკურ შეცოდებებს. ახლა სენის პირას ვდგავარ და ჯურღმული, სადაც სული ამომხდება, კონსიერჟერის,, საკანია.

ჩემზე ნუ იდარდებთ: ჩემი ზიზღი თქვენ მიმართ თქვენით აღტაცების გრძნობას ეტოლებოდა.

ლუსიენი,,.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა ცხედრის გადასატანად მოვიდნენ. ჟაკ კოლენი საწოლის წინ იყო დაჩოქილი. იქვე ეგდო წერილი, როგორც პისტოლეტი გდია ხოლმე, რითაც კაცმა მოიკლა თავი, მაგრამ უბედურს ხელი მაინც არ გაეშვა ლუსიენის ხელისთვის და მუხლმოდრეკით შეჰღაღადებდა ღმერთს.

ამ კაცის დანახვაზე მუშები ერთხანს შეჩერდნენ, რამეთუ ჟაკ კოლენი ჰგავდა შუა საუკუნეების დროინდელ საფლავზე ხელოვანის გენიის ნებასურვილით სამარადისოდ მუხლმოყრილ ქვის ქანდაკებას. თითქოს ზებუნებრივი ძალით გაშეშებულმა, ვეფხვივით ყვითელთვალება ცრუ მოძღვარმა ისეთი პატივისცემის გრძნობა აღუძრა ამ ადამიანებს, რომ ღრმა მოწიწებითა და გულისხმიერებით სთხოვეს, წამომდგარიყო.

რატომ? იკითხა მან კრძალვით.
გაბედული და ძალგულოვანი გააბითურე სიკვდილი,, ბალღივით უსუსური გამხდარიყო.

დირექტორს ამ სცენის სანახავად მოეყვანა ბატონი დე შარჟბეფი, რომელსაც ჟაკ კოლენის მძიმე ვარამმა გული აუჩუყა, რაკი მის მამობაზე ეჭვი აღარ ეპარებოდა, გადასცა ბატონი დე გრანვილის განკარგულება ლუსიენის პანაშვიდისა და დაკრძალვის თაობაზე. ჭაბუკს ახლავე გადაასვენებდნენ თავის ბინაზე, მალაკეს სანაპიროზე, სადაც ცხედარს ეკლესიის მსახურნი ელოდებოდნენ, რათა ღამის დარჩენილი დრო განსვენებულის სულის გასანათლებლად ელოცათ.

ვცნობ მაგისტრატის უკეთილშობილეს სულს, ნაღვლიანი ხმით აღმოხდა კატორღელს, მოახსენეთ, ბატონო, რომ სამუდამოდ მისი მადლიერი დავრჩები და ამაგს არ დავუკარგავ... დიახ, უდიდესი სამსახური შემიძლია გავუწიო... არ დაივიწყოთ ეს სიტყვები, უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ მისთვის. აჰ, ბატონო, ადამიანის გულში მეტად უცნაური ცვლილება ხდება, როცა შვიდი საათი დასტირის აი, ასეთ ბავშვს... მაშ, აღარასოდეს ვიხილავ მას!..

ისე გადაჰფოფრებოდა ლუსიენს, როგორც დედა, ვისაც შვილის სხეულს სტაცებენ. ერთი კიდევ მიაპყრო თვალი და იქვე ჩაიკეცა. და როცა ლუსიენის ცხედარი გაჰქონდათ, ისე დაიღმუვლა, რომ მუშებმა ფეხს აუჩქარეს.

გენერალური პროკურორის მდივანი და ციხის დირექტორი ადრევე გასცლოდნენ ამ სანახაობას.

რა დაემართა ამ რკინისგან ჩამოსხმულ კაცს, რომლის გადაწყვეტილებათა სისწრაფე თვალის დახამხამებას ედარებოდა, ვისი აზრი და მოქმედება ელვისებური სისწრაფით იბადებოდა, ხოლო კატორღაში სამჯერ ყოფნისა და იქიდან სამჯერ გაქცევის შედეგად გამოწრთობილი, ველურებისდარი ნერვები სიმაგრით ფოლადს არ ჩამოუვარდებოდა? რკინა ვერ უძლებს უსაზღვრო წრთობასა და განმეორებით წნეხას; მისი თვალით უხილავი მოლეკულები, ადამიანის ხელით დახვეწილნი, ერთგვაროვან მასად გადაიქცევა, სიმკვრივეს კარგავს და იშლება, ხოლო ფოლადი დნობის გარეშეც ზოგჯერ გამძლეობას კარგავს. მჭედელი, ზეინკალი, მეფოლადე თუ სხვა ხელოსანი, ვინც ნიადაგ ლითონის დამუშავებაზე მუშაობს, მის ამგვარ მდგომარეობას გამოხატავს ერთი ტექნოლოგიური ტერმინით: რკინა დამბალია!,, გამოთქმა ნასესხებია; ასე უწინ კანაფზე ამბობდნენ ხოლმე, რომლის დაწეწვაც მხოლოდ დალბობის შემდეგ ხდება შესაძლებელი. ადამიანის სული, ან, თუ გნებავთ, სამივე ენერგია, სხეულის, გულისა და გონების, მრავალგზის განმეორებითი ბიძგის ზეგავლენით რკინის მდგომარეობაში ვარდება. ადამიანს ემართება ის, რაც კანაფსა და რკინას: იგი ლბება. მეცნიერება, სამართალი, ხალხი ათას მიზეზს მიაწერს რკინიგზაზე მომხდარ ავარიას, რაც, უბრალოდ, ლიანდაგის გადამტვრევით აიხსნება. ამის ყველაზე თავზარდამცემ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბელვიუსთან მომხდარი კატასტროფა. ჰოდა, აზრად არავის მოსვლია მიემართათ საქმის ოსტატებისთვის, მჭედლებისთვის, რომლებიც ერთხმად იტყოდნენ: რკინა დამბალია!,, საფრთხის წინასწარი გათვალისწინება კი შეუძლებელია. გამძლე თუ მსხვრევადი ლითონი გარედან ერთნაირად გამოიყურება.

ამგვარად განწყობილ ადამიანს მოძღვარი თუ გამომძიებელი იოლად გამოტეხს და ხშირად სწორედ ასეთ დროს იხდის ნიღაბს უდიდესი ბოროტმოქმედი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გადატანილი მძიმე განცდა და მსჯავრდადებულისთვის ასევე აუტანელი უკანასკნელი ტანთ ჩაცმა,, თვით ყველაზე მაგარი ორგანიზმის პატრონსაც კი თითქმის ყოველთვის ურყევს ნერვულ სისტემას. ყველაზე მაგრად მოკუმული ბაგეებიდანაც კი გადმოხეთქს აღსარება, უმკაცრესი გულიც კი იმსხვრევა ასეთ წუთს. და ჰოი, საოცრებავ! იმ დროს, როცა აღარავის სჭირდება დანაშაულის აღიარება, სწორედ მაშინ ილაჯგაწყვეტილი ადამიანი იგლეჯს უცოდველობის ნიღაბს, მანამდე საგონებელში რომ აგდებდა მართლმსაჯულებას, რამეთუ მართლმსაჯულება ყოველთვის შეშფოთებულია, თუ მსჯავრდადებული დანაშაულის აუღიარებლად კვდება.

ნაპოლეონმაც ასეთი სასიცოცხლო ძალთა დაქვეითება განიცადა ბრძოლის ველზე, ვატერლოოსთან.

დილის ათ საათზე პისტოლის,, ზედამხედველი ჟაკ კოლენის საკანში შევიდა. პატიმარს მიწისფერი ედო, მაგრამ მშვიდად გამოიყურებოდა, როგორც შეეფერება მამაკაცს, რომელსაც მტკიცე გადაწყვეტილება მიუღია და ძალღონე მოუკრებია.

ეზოში გასვლის დროა, მიმართა მედილეგემ, სამი დღეა ჩაკეტილში ხართ. სუფთა ჰაერზე გავლას თუ ინებებთ, გამომყევით!
ჟაკ კოლენი ფიქრებში ისე იყო ჩაფლული, რომ ოდნავადაც არ აინტერესებდა საკუთარი ხვედრი, უსულო ფორმად, ჩვრად წარმოიდგინა თავი. აბა, რას იფიქრებდა, ბიბილუპენი თუ მახეს უგებდა და მის ეზოში გასვლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. უბედური კაცი ანგარიშმიუცემლად მიაბიჯებდა დერეფანში, საფრანგეთის მეფეთა სასახლის უმშვენიერესი თაღების ლავგარდნებში ჩადგმულ დილეგებს რომ მიუყვება, თაღებისა, რომლებზეც წმინდა ლუის საკასაციო სასამართლოს სხვადასხვა განყოფილებაში მივყავართ. წმინდა ლუის გალერეა პისტოლების,, დერეფანს უერთდება; ახლა შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ერთი საყურადღებო ფაქტი: აი, ამ კუთხის საკანში იჯდა მეფის მკვლელთა შორის ყველაზე სახელგანთქმული მკვლელი ლუველი. ბონბეკის კოშკში მდებარე მშვენიერი კაბინეტის ქვეშ, დერეფნის ბოლოს, ხვეული კიბე ეშვება და პისტოლებში,, თუ დილეგებში ჩასმული ტუსაღები აქედან ეზოში გადიან.

ყველა პატიმარი, ბრალდებული, რომელიც უნდა წარდგეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე, ანდა ის, ვინც უკვე წარდგა, გამოძიებაში მყოფნი, კარცერებში რომ აღარ სხედან, ერთი სიტყვით, კონსიერჟერის,, ტუსაღები, ვიწრო, ქვით მოკირწყლულ ეზოში დღეში რამდენიმე საათს სეირნობენ, ზაფხულში კი სისხამ დილას გამოდიან. ეზოში ორი გზაა: ერთი კატორღისა თუ ეშაფოტისკენ მიემართება, მეორე საზოგადოებას უკავშირდება ჟანდარმების, გამომძიებელთა კაბინეტების თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეშვეობით. ეზო უფრო ცივ ჟრუანტელს გგვრის, ვიდრე ეშაფოტის ხილვა. ეშაფოტი შეიძლება გადაიქცეს

კვარცხლბეკად, საიდანაც აღსრულდება ამაღლება ცათა შინა, ხოლო ეზო განასახიერებს ყოველგვარ სიბილწეს, რაც კი დედამიწის ზურგზე მოიძებნება; ხსნა არსად არის.

სადაც უნდა იყოს, ფორსში,, თუ პუასიში,,, მელენში,, თუ სენტპელაჟიში,,, ციხის ეზო ციხის ეზოა. აქ ერთი და იგივე ამბები ხდება. კედლები ყველგან ერთი ფერისაა, კედლების სიმაღლეც ერთნაირია, ფართობიც ერთია. ზნეჩვეულებათა ეტიუდები,, თავის სათაურს უთუოდ უღალატებდა, რომ პარიზის ეს პანდემონიუმი დაწვრილებით არ აეწერა.

ვეებერთელა თაღებქვეშ, რაზედაც საკასაციო სასამართლოს დარბაზი ეყრდნობოდა, მეოთხე თაღთან ერთი ლოდი გდია. გადმოცემით, ამ ლოდზე წმინდა ლუი მოწყალების გასაცემად ალაგებდა სხვადასხვა რამეს. დღეს კი ლოდი დახლის როლს ასრულებს და ზედ პატიმრებისთვის მისაყიდად ხორაგი ყრია. ეზოს კარი გაიღება თუ არა, ყველა მიეშურება ლოდისკენ, რაზეც გამოწყობილია ტუსაღისათვის ყელის ჩასაკოკლოზინებელი ნუგბარნუგბარი: არაყი, რომი და სხვა.

ეზოს პირდაპირ ულამაზესი ბიზანტიური გალერეაა, წმინდა ლუის სასახლის სიდიადის ერთადერთი დამადასტურებელი ნაშთი. ეზოს ამავე მხარეს ორ პირველ თაღს შორს, მისაღები დარბაზია, სადაც ადვოკატები და ტუსაღები ერთმანეთს ესაუბრებიან. პატიმრები აქ შემოჰყავთ ყოვლად წაბილწული გასასვლელით, სადაც ორი გზაა გაყვანილი; აქეთიქით და შუაში გზებს ჩაჰყვება მესამე თაღზე მიჭედებული ვეებერთელა რკინის ბოძები და მავთულხლართები. ეს ორმაგი გზა თეატრის კართან დროებით დადგმულ ბარიერს ჰგავს, რაც მოწოლილი ხალხის ტალღის შესაჩერებლად არის გამიზნული იმ დღეებისთვის, როცა იდგმება პიესა, განსაკუთრებული წარმატებით რომ სარგებლობს. მოსალაპარაკებელი ოთახი კონსიერჟერის,, კარიბჭესთან მდებარე დიდი დარბაზის ბოლოშია. ეზოს მხრიდან სინათლე საჰაერო ხვრელიდან შედის, კარიბჭის მხრიდან კი ფანჯრიდან; ჰოდა, ამ ფანჯრიდან სულ ადვილად შეიძლება უთვალთვალო ადვოკატებისა და მათი კლიენტების თათბირს. თვალთვალი კი უთუოდ საჭირო გახლავთ, რამეთუ კეკლუცი ლამაზმანები მეტად მაცდურნი ბრძანდებიან და მავნე გავლენას ახდენენ თავიანთ დამცველებზე. ვინ უწყის, სადამდე მივა ზნეობა! ამგვარი სიფრთხილე იმ მზამზარეულ შეკითხვებს მოგვაგონებს, რითაც ხრწნიან უმანკო არსებებს, რადგან მათ მანამდე არც კი გაუგონიათ, თუ მსგავსი შემზარავი მანკიერება არსებობს ქვეყანაზე. ამ სალაპარაკო დარბაზში მოდიან პოლიციის საშვით აღჭურვილი ნათესავები ან მეგობრები და ხვდებიან პატიმრებს, ბრალდებულებსა თუ მსჯავრდადებულებს.

ახლა მიხვდებით, რას წარმოადგენს ეზო კონსიერჟერის,, ორასი პატიმრისთვის. მათთვის ეს ბაღია, ოღონდ ბაღში არც ხეა, არც მიწა, არც ყვავილი. ერთი სიტყვით, ციხის ეზოა! სალაპარაკო ოთახი და წმინდა ლუის ლოდი, სადაც საჭმელსასმელი რიგდება, გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი პუნქტი გახლავთ.

მარტოოდენ ეზოში გატარებულ წუთებში იმყოფება პატიმარი ჰაერზე და ხვდება ამხანაგებს. თუმცა სხვა ციხეებში სახელოსნოებშიაც იყრიან თავს. კონსიერჟერიში,, არაფრის გაკეთების უფლება არა აქვთ; ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ პისტოლეების,, ბინადარნი. ესეც არ იყოს, ყველა აქ მყოფს თავში ერთი აზრი უტრიალებს, რა გადამხდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოშიო, რაკი ყველა მათგანის საქმე ძიების პროცესშია, ანდა გამოძიებულია და სასამართლოს მოლოდინშია. ეზო უდავოდ შემზარავია, მაგრამ ამის წარმოდგენა შეუძლებელია, თავად უნდა გქონდეს ნანახი!

უპირველეს ყოვლისა, მოგეხსენებათ, ორმოცი მეტრი სიგრძისა და ოცდაათი მეტრი სიგანის ეზოში თავმოყრილი ასიოდე ბრალდებული თუ პატიმარი მეტწილად ნაძირალები არიან და უბადრუკად აცვიათ. გამომეტყველება ან ყოვლად საზიზღარი აქვთ, ან შიშის მომგვრელი. საზოგადოების მაღალი ფენებიდან გამოსული ბოროტმოქმედი, საბედნიეროდ, იშვიათია. ერთადერთი დანაშაული, რაც შეიძლება მიუძღოდეს რიგიანი წრის ადამიანს, არის ქრთამის აღება, ყალბი საბუთის შედგენა ანდა ბოროტი განზრახვით გაკოტრება; ასეთ პირებს უპირატესობას ანიჭებენ, პისტოლში,, სვამენ და ამ ჯურის პატიმარი საკნიდან გარეთ არც გადის.

სასეირნო ადგილს, რომელსაც ფხიზლად დარაჯობენ ზედამხედველები, გარს არტყამს მშვენიერი და გოროზი, ხავსმოკიდებული კედლები, კოლონადა, შიგ ჩატანებული დილეგებით. სანაპიროსკენ გალავანი, ჩრდილოეთის მხარეს პისტოლის,, ცხაურიანი საკნები. ეზო თავისი მდებარეობის წყალობით სევდის აღმძვრელია, უფრო მეტად კი შემზარავი, რადგან აქ თავი მოუყრია ერთმანეთისადმი უნდობლობით გამსჭვალულ ბილწ ავაზაკთა ხროვას და ყველა ამ დამნაშავის მზერა აღვსილია სიძულვილით, ცნობისმოყვარეობით, სასოწარკვეთით. არავითარი სიხარული! ყოველივე პირქუშია, ადგილიცა და ადამიანებიც. ყოველივე დამუნჯებულია, კედლებიცა და სინდისიც. ყოველივე დაღუპვას უქადის ამ განწირულებს. ისიც კი ვერ გაუბედავთ, ერთმანეთს გული გადაუხსნან. და თუ დამეგობრდებიან, მეგობრობაც პირქუშია, მათი მეგობრობის წარმომშობი კატორღასავით პირქუში. მუდმივი დარაჯი, პოლიცია, ჰაერსაც კი უწამლავს და ხრწნის ყოველივეს, ორი გულითადი მეგობრის ხელის ჩამორთმევასაც კი. დამნაშავე საუკეთესო მეგობარსაც რომ გადაეყაროს აქ, მაინც განზე დაიჭერს თავს, ვაითუ, ცოდვები მოინანია და თავის გადასარჩენად ყველაფერი აღიარაო. ნიადაგ მოელის საფრთხეს, ეშინია, არ შეაცდინოს ცხვარმა,, და ეს, რა თქმა უნდა, უშხამავს იმ მცირეოდენ სიამოვნებას, რასაც ეზოს მოჩვენებითი თავისუფლება ანიჭებს. ციხის ჟარგონით ცხვარი,, ჯაშუშს ჰქვია. თავს ასაღებს, ბნელ საქმეში ვარ გარეულიო და მთელი მისი გაიძვერობის მიზანი ის გახლავთ, რომ ყველა დაარწმუნოს, ვითომდაც მეგობარი,, ბრძანდება. არგოზე მეგობარი,, დამსახურებულ ქურდს ნიშნავს, სრულყოფილ, უზადო ქურდს, რომელიც დიდი ხნის წინ გასდგომია საზოგადოებას, სურს მთელი სიცოცხლე ქურდობაში გალიოს და რაც უნდა მოხდეს,,, სამუდამოდ ერთგული დარჩეს უზენაესი მარაქისა,,.

ბოროტმოქმედი და სიგიჟე ერთმანეთს ჩამოჰგავს. კონსიერჟერის,, ეზოში მოსეირნე პატიმრები არაფრით განსხვავდებიან ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოში მყოფი გიჟებისაგან, ერთნიც და მეორენიც ერთმანეთს უფრთხიან. იმისდა მიხედვით, თუ რაზე ფიქრობენ იმ წუთს, მათი გამოხედვა შიშის მომგვრელია, მეტად უცნაური, მაგრამ არასოდეს არც მხიარულია, არც სერიოზული, რადგან ერთმანეთს კარგად იცნობენ, ან ერთმანეთის ეშინიათ; ან განაჩენს ელოდებიან, ან სინდისი ქენჯნით, გულზე ლოდივით აწევთ სევდა და ამიტომ ეზოში მოსეირნენი გიჟებივით დაბნეულად და ამღვრეული თვალებით იმზირებიან. მარტოოდენ თავზე ხელაღებულები, გამოწრთობილი ბოროტმოქმედები არიან თავდაჯერებული, რაც პატიოსანი, სუფთა სინდისის მქონე გულწრფელი ადამიანის სიმშვიდეს ჰგავს.

საშუალო ფენის წარმომადგენელი აქ იშვიათი გამონაკლისი გახლავთ. და თუ მაინც მოხვდება, საკნიდან სირცხვილით თავს ვერ გამოყოფს. ეზოში მოსეირნეებს, ჩვეულებრივ, შავი მუშებივით აცვიათ, უმთავრესად ხალათი, პერანგი, ხავერდის ქურთუკი. უხეში და ჭუჭყიანი ტანსაცმელი შესანიშნავად ეხამება მათ მდაბიურ ან ბოროტებით სავსე გამომეტყველებას, ტლანქ მიხრამოხრას, რასაც ოდნავ ზღუდავს ტუსაღის თავში აბორიალებული სევდიანი ფიქრები. ყოველივე, ირგვლივ გამეფებული დუმილიც კი, შიშს თუ ზიზღს აღუძრავს ამ მეტად იშვიათ სტუმარს, ვისაც კონსიერჟერის,, დასათვალიერებლად გაცემული, მეტისმეტად ძნელად საშოვნი ნებართვა ნაცნობობით მიუღია.

როგორც ანატომიურ კაბინეტში ცვილის ფიგურებით გამოფენილ სამარცხვინო სნეულებათა ნახვა ჭაბუკს წმინდა და სათნო სიყვარულისკენ სწრაფვას განუმტკიცებს, ასევე კონსიერჟერი,, და მისი ეზო კატორღისათვის, ეშაფოტისათვის თუ რაღაც სხვა სასჯელისათვის გამზადებული მდგმურებით ადამიანთა მართლმსაჯულებისადმი შიშს აღუძრავს იმათ, ვისაც არაფერი აქვს საშიში თვით მამაზეციერის სამჯავროს წინაშეც კი, რამეთუ ხმა ღვთისა ესოდენ მკვეთრად ჩაესმის მათ სინდისს. დიახ, კონსიერჟერიში,, მისულ სტუმარს თავში კარგა ხანს უტრიალებს სათნო და წმინდა აზრები.

პატიმრები, რომლებიც ჟაკ კოლენის გამოსვლისას ეზოში იყვნენ, გააბითურე სიკვდილის,, ცხოვრებისათვის გადამწყვეტი სცენის მოქმედი პირნი უნდა გახდნენ. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ აღვწერთ რამდენიმე ღირსშესანიშნავ პირს ამ შემზარავი ხროვიდან.

აქ, ისევე როგორც კოლეჟში თუ სხვა, ადამიანების თავშესაყრელ ადგილას, ფიზიკური და მორალური ძალაა ყოველთვის გაბატონებული. კატორღის მსგავსად, აქაც არისტოკრატიას სისხლის სამართლის დამნაშავენი წარმოადგენენ. ვინც თავს სწირავს, პირველიც ის არის. ციხის ეზო, ყველას აზრით, სისხლის სამართლის სკოლაა. აქ გაცილებით უკეთესად ასწავლიან სამართლის კოდექსს, ვიდრე პანთეონის მოედანზე. თავშესაქცევად ყოველდღე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებს,, მართავენ: ინიშნება თავმჯდომარე, სახელმწიფო ბრალმდებელი, დამცველი, იმართება სასამართლო. ამ საშინელ ფარსს

თითქმის ყოველთვის რაიმე გახმაურებულ ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებით წარმოადგენენ. სწორედ იმ ხანებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დღის წესრიგში იდგა ნოტარიუსის მშობლების, ყოფილი ფერმერების, კროტათა მხეცური მკვლელობა. მათ შინ ჰქონიათ გადანახული რვაასი ათასი ფრანკი ოქროთი. გამოირკვა, რომ ორი ადამიანის მკვლელი ცნობილი დანპონი იყო, მეტსახელად კანტალა,,.
კატორღაში სასჯელი უკვე მოეხადა. შვიდჯერ თუ რვაჯერ შეეცვალა სახელი. მთელი ხუთი წელიწადი პოლიცია თავგამოდებით ეძებდა და ვერ პოულობდა. ავაზაკმა იმდენად ოსტატურად იცოდა ნიღბის შეცვლა, რომ ერთხელ დელსუკის გვარით ორი წელი ციხეში გაატარა. ნამდვილი დელსუკი, აგრეთვე ცნობილი ქურდი, კანტალას,, ერთერთი შეგირდი გახლდათ და ისეთს არაფერს დააშავებდა, რომ მისი საქმე გამასწორებელი პოლიციის კომპეტენციას გადასცილებოდა. კატორღიდან გამოსვლის შემდეგ კანტალამ,, მესამე მკვლელობა ჩაიდინა. პატიმრები აღტაცებით შესცქეროდნენ ბოროტმოქმედს, რაკი დარწმუნებული იყვნენ, სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. ამ მხრივ, მისი სიმდიდრეც ნაკლებ როლს როდი თამაშობდა. მდიდარი რომ იყო, ეჭვი არავის ეპარებოდა; გატაცებული თანხიდან ერთი ლიარდიც კი ვერ მოიძებნა. 1830 წლის ბობოქარმა დღეებმაც კი ვერ გადაავიწყა ხალხს ის თავხედური ყაჩაღობა, მთელი პარიზი რომ აალაპარაკა ამ რამდენიმე წლის წინ; ამბობდნენ, ეს საქმე ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მედლების გატაცებას თუ შეედრებაო. ჩვენს დროში ხომ ყველაფერი ციფრებზე გადააქვთ და მკვლელობაც იმ შემთხვევაში იპყრობს დიდ ყურადღებას, თუ საკმაო ოდენობის თანხაა გატაცებულო.

კანტალას,,, ჩია, გამხდარსა და ხმელხმელ, ორმოცდახუთი წლის კაცს, სახე კვერნის დრუნჩს მიუგავდა. ერთერთი სახელმოხვეჭილი პიროვნება გახლდათ სამ კატორღაში, სადაც რიგრიგობით ბინადრობდა მას შემდეგ, რაც ცხრამეტი წელი შეუსრულდა. ახლოს იცნობდა ჟაკ კოლენს; შემდეგ გავიგებთ, საიდან და რატომ, ოცდაოთხი საათის წინ ფორსიდან,, კონსიერჟერიში,, მასთან ერთად გადმოეყვანათ ორი სხვა კატორღელიც, რომელთაც ერთბაშად მთელ ეზოს აღიარებინეს ეშაფოტისთვის გამზადებული მრისხანე მეგობრის,, მეფობა. ერთ დროს გააბითურე სიკვდილის,, ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ ახლახან ფორსიდან,, გადმოყვანილი ნაკატორღალი სელერიე, მეტსახელად ოვერნელი,,, მამილო ხრინწა,, და ტრაბუცა,, რომ ერქვა; ხოლო იმ საზოგადოებაში, რომელსაც კატორღა უზენაეს მარაქას,, უწოდებს, სელერიე აბრეშუმწვერას,, სახელით იყო ცნობილი. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ მახეში ვერავინ გააბამდა, ყველას ხელიდან დაუსხლტებოდა, ნემსის ყუნწშიაც გაძვრებოდა.

გააბითურე სიკვდილი,, ეჭვობდა, აბრეშუმწვერა,, ორმაგ როლს თამაშობსო, უზენაესი მარაქის,, საპატიო წევრადაც ითვლება და პოლიციის კმაყოფაზედაც ბრძანდებაო. ამიტომ სწორედ მას დააბრალა (იხილეთ მამა გორიო,,) 1810 წელს ვოკეს პანსიონში თავისი დაპატიმრება. კატორღიდან ერთხელ უკვე გამოქცეული სელერიე, რომელსაც ამიერიდან აბრეშუმწვერას,, ვუწოდებთ, ისევე, როგორც დანპონს კანტალას,,, ახლა მსხვილ ქურდობაზე დაეჭირათ. რაკი ადამიანის სისხლში ხელი არ გაესვარა, ალბათ, ოცი წლით

კატორღაში დააბრუნებდნენ. მეორე კატორღელი, რიგანსონი, თავისი უკანონო მეორე ნახევრით, რომელსაც კონკიას,, უწოდებდნენ, უზენაესი მარაქის,, ერთერთ ყველაზე საშიშ ოჯახს წარმოადგენდა. რიგანსონს ყრმობიდანვე დასჩემდა მეტისმეტი მორცხვობა მართლმსაჯულების წინაშე, მეტსახელად კონკიაჟღარუნა,, ერქვა და კონკიას,, მამალი გახლდათ, რამეთუ არაფერია წმიდათაწმიდა უზენაესი მარაქისთვის,,. ეს ველურები აბუჩად იგდებენ კანონებსაც, სარწმუნოებასაც, ყველაფერს, თვით ბუნებისმეტყველებასაც კი, რომლის კურთხეულ დადგენილებას, როგორც ვხედავთ, უკუღმართად ემორჩილებიან.

აქ ცოტა უკან დავიხიოთ, რადგან ჟაკ კოლენის ეზოში გამოსვლა, მისი გამოჩენა მტრების ბანაკში და ის ფრიად საინტერესო სცენები, რაც ამას მოჰყვება, გაუგებარი და დაუჯერებელი მოგეჩვენებათ, თუ დაახლოებით მაინც არ გაეცნობით ქურდებისა და კატორღელის სამყაროს კანონებს, ზნეჩვეულებებს, განსაკუთრებით დიალექტს, რომლის შემზარავი პოეზია თხრობის ამ ნაწილის აუცილებელი სამკაული გახლავთ. უპირველეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ თაღლითების, გაიძვერების, ქურდების, მკვლელების ენის შესახებ, რასაც არგო,, ეწოდება. ბოლო ხანებში კაზმულსიტყვაობამ იმდენი რამ ისესხა მისგან, რომ დიდ წარმატებას მიაღწია და მისი უცნაური ლექსიკონის მრავალი სიტყვა ყმაწვილი ქალის ვარდისფერ ბაგეებს მოსწყდა, ოქროცურვილ კედლებს შორის გაისმა, გაამხიარულა პრინცები, რომელთაგან არა ერთსა თუ ორს შეეძლო, თავი ეღიარებინა ქურდბაცაცად. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, იმაზე უფრო ძარღვიანი, უფრო ხატოვანი ენა სხვა არ არსებობს, ვიდრე არის ენა მიწისქვეშა ბრბოსი, რომელიც იმპერიებისა და დედაქალაქების დაარსებიდან ფუსფუსებს სარდაფებში, ბუნაგებში, საზოგადოების მესამე ტრიუმში,, (დავესესხებით თეატრალური ხელოვნების ამ ცოცხალ და სხარტ გამოთქმას). საზოგადოებაც განა თეატრი არ არის? მესამე ტრიუმი,, ოპერის სულ ქვემო სარდაფია, სადაც მოთავსებულია მანქანები, რამპის გამანათებელი შუქურები, მოჩვენებები, ლურჯად შეღებილი ეშმაკები, რომელთაც ანთხევს ჯოჯოხეთი და სხვ.

არგოს თითოეული სიტყვა სახეა, უხეში, იკლიკანტური, ჩახლართული ან შემზარავი. შარვალს ამჭიმი,, ჰქვია; მოდი, ნუ შევუდგებით ამის ახსნაგანმარტებას. არგოთი კი არ იტყვიან, სძინავსო, არამედ, მოყუჩდაო. აბა, დააკვირდით, ეს ზმნა როგორ ზედმიწევნით გამოხატავს ძილს ამ მარად დევნილი, დაქანცული, უნდობლობით შეპყრობილი პირუტყვისა, ქურდი რომ ჰქვია და თუ საქმე მშვიდი თავშესაფარი იპოვა, მაშინვე მოყუჩდება და ჩაიძირება ღრმა ძილის უფსკრულებში, რაც მისთვის სრულიად აუცილებელია, ვინაიდან ნიადაგ მძლავრი ფრთების ტყლაშუნით თავს ეჭვი დასტრიალებს. რა საშინელი ძილია! ამგვარად გარეულ ნადირს სძინავს, თითქოს ხვრინავს კიდეც, მაგრამ ყურები სულ დაცქვეტილი აქვს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო!

არგოში ყველაფერი ცოფიანივით ბრდღვინავს. სიტყვის დასაწყისში თუ ბოლოში მარცვლები მკაცრად გამოკვეთილია და სისხარტით გაოცებს. ქალს გულის მურაზი,, ჰქვია. ხედავთ, რა პოეზიაა! ჩალას სუსხურის გერმა,,. ღამის თორმეტ საათს თორმეტი ტყვიის გავარდნა,,! ამის

გაგონებაზე ხომ ჟრუანტელი გივლით ტანში? თავშესაფრის გარეცხვა,, ბინის პირწმინდად გაქურდვას ნიშნავს. აბა, სად შეედრება დაწოლა,, ტყავის გამოცვლას,,? რა გამოკვეთილი სახეებია! დომინოს თამაში,, ჭამას გამოხატავს. განა დევნილთა ჭამა ჭამაა?!

სხვათა შორის, არგო სულ ვითარდება! ცივილიზაციას ფეხდაფეხ მიჰყვება, არაფრით ჩამორჩება, ყოველ ახალ აღმოჩენასთან ერთად ახალახალ გამოთქმას იძენს. ლუი XVIII და პარმანტიემ კარტოფილს მიაპყრეს თუ არა ყურადღება და მათი მითითებით ფართოდაც დაინერგა, არგომაც არ დააყოვნა და ღორების ფორთოხალი,, შეაგება სახელად. გამოიგონეს საბანკო ბილეთები და კატორღელებმაც გარას შრიალა,, შეარქვა. გარა იმ მოლარის გვარი იყო, საბანკო ბილეთებს ხელს რომ აწერდა. შრიალაო,,, ხომ მოგესმათ ქაღალდის აბრეშუმისებრი შარიშური? ათასი ფრანკის ბილეთი შრიალა მამალია,,, ხუთასფრანკიანი შრიალა დედალი,,. ცოტა მოითმინეთ და ნახავთ, კატორღელებმა ასი ან ორასფრანკიანი ბილეთები რაიმე უცნაური სახელით თუ არ მონათლონ.

1790 წელს გილიოტენი კაცობრიობის საკეთილდღეოდ იგონებს სწრაფად მოქმედ მანქანას, რასაც სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაეჭრა. კატორღელებმა და ნაკატორღალებმა მყისვე შეისწავლეს ძველი მონარქიული სისტემისა და ახალი მართლმსაჯულების საზღვარზე აღმართული ხელსაწყო, არც აციეს, არც აცხელეს და მაშინვე მონანიების სავანე,, შეარქვეს! მათ თვალს მანქანის კუთხეში მიმაგრებული ფოლადის დანაც არ გამოეპარა და პირდაპირ ცელავსო,,, თქვეს! ახლა ისიც წარმოიდგინეთ, კატორღას რომ ჭალა,, ჰქვია; აბა, რა მოუვა ამის გამგონე ენათმეცნიერს! რაღა თქმა უნდა, აღტაცებას ვერ დამალავს და ხოტბას შეასხამს შემთხზველს ასეთი ვოკაბულისა,,, როგორც იტყოდა შარლ ნოდიე.

ამასთან, უნდა დავძინოთ, რომ არგო ძველისძველი წარმოშობისაა! იგი მოიცავს რომანული ენის სიტყვათა მარაგის ერთ მეათედს, მეორე მეათედი კი ნასესხები აქვს რაბლესეული ძველი გალური ენიდან. დაწერაქვება,, (შემტვრევა), პირის მოჭრა,, (შეწუხება), გაკრეხა,, (ბინის პირწმინდად გაცლა), მაყუთი,, (ფული), ჟირონდი,, (ლამაზი, ლანგედოკურ დიალექტზე მდინარის სახელწოდება), საჩურთი,,(ჯიბე) XIVXV საუკუნეების ენას მიეკუთვნება. სულდგმა,, სიცოცხლეს ნიშნავს და უძველესი წარმოშობისაა. აქედან მოდის სულდგმული, სულის ხდომაცა და სულის გაცხებაც.
არგოს ასი სიტყვა მაინც მიეკუთვნება პანურგის ენას, ხოლო პანურგი რაბლეს ხალხის სიმბოლოდ ჰყავს გამოყვანილი. პანურგი ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება და ნიშნავს: ის, ვინც ყველაფერს ქმნის,,. მეცნიერებამ ცივილიზაციას სახე შეუცვალა რკინიგზის გამოგონებით. არგომ მას უკვე უწოდა სწრაფი ტრიალა,,.

თავი თუ ჯერ კიდევ მხრებზეა, სორბონი,, ჰქვია და ამ ენის უძველეს წყაროებზე მიუთითებს. არგო მინიშნებულია ისეთი ადრინდელი მწერლების შემოქმედებაში, როგორიც არიან სერვანტესი, იტალიური ნოველების შემქმნელნი და არეტინო. ყველა დროში ქუჩის გოგო,,

ყალთაბანდების, ქურდების, ყაჩაღების, გაიძვერების, ბანდიტების მფარველი იყო და მრავალი რომანის გმირიც გახდა.

მეძაობა და ქურდობა ქალთა და კაცთა ცოცხალი პროტესტია და ბუნებრივ ყოფას იცავს საზოგადოებრივი ყოფის წინააღმდეგ. ამიტომაც ფილოსოფოსები, თანამედროვე ნოვატორები, ჰუმანისტები, რომელთაც ჰბაძავენ კომუნისტები და ფურიეს მიმდევრები, ამ საკითხის შესწავლისას, თავისდა უნებლიეთ აწყდებიან ორ შედეგს: მეძაობასა და ქურდობას. ქურდი სოფისტურ თხზულებებში როდი სვამს საკითხს საკუთრების, მემკვიდრეობის, სოციალური უზრუნველყოფის შესახებ; სრულიად უარყოფს მათ. მისთვის ქურდობა საკუთარი ქონების დაბრუნებაა. იგი არ განიხილავს ქორწინების საკითხს, არ ილაშქრებს მის წინააღმდეგ, უტოპისტურ შრომებს არ აქვეყნებს და არ მოუწოდებს ცოლქმარს სრული შეხმატკბილებისკენ, სულთა მჭიდრო შეკავშირებისკენ, რისი დაკანონებაც შეუძლებელია. იგი ძალით ეუფლება ქალს, ხოლო ამგვარი კავშირი თანდათან მჭიდრო ხდება აუცილებლობის უროს დარტყმის წყალობით. თანამედროვე ნოვატორები თითხნიან მაღალფარდოვან, ბუნდოვან და აბსურდულ თეორიებს, ან სენტიმენტალურ რომანებს, ქურდი კი მოქმედებს! იგი ურყევია, როგორც ფაქტი, ლოგიკური, როგორც მუშტის გარტყმა. მერედა, რა სტილი აქვს გამომუშავებული!

კიდევ ერთი შენიშვნა: მეძავების, ქურდების, მკვლელების, კატორღისა და სატუსაღოების სამყარო დაახლოებით ოთხმოცი ათას ადამიანს, ქალსა და კაცს მოიცავს. და ეს სამყარო შეუძლებელია უგულებელვყოთ წინამდებარე ზნეჩვეულებათა აღწერაში, სადაც ჩვენი სოციალური ყოფაა ზუსტად ასახული. განა უცნაური არ არის, რომ ჟანდარმერია და პოლიცია თითქმის იმდენივე მოხელეს ითვლის? ეს ადამიანები ერთმანეთს ეძებენ და თან გაურბიან ერთმანეთს. მათი ანტაგონიზმი წარმოქმნის მეტად მწვავე, უკიდურესად ტრაგიკულ ორთაბრძოლას, რაც აგრეთვე ასახულია ჩვენს ეტიუდში. აქ ისევე მოგითხრობთ ქურდობაზე, მეძაობაზე, როგორც თეატრზე, პოლიციაზე, ეკლესიაზე, ჟანდარმერიაზე. ამ ექვსი ხელობიდან თითოეული წარუშლელ დაღს ასვამს თავის მსახურს, რომელსაც უკვე აღარ ძალუძს სხვის ტყავში შეძვრეს. ღვთით კურთხეული ეკლესიის მსახური თუ სამხედრო პირი მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ გარეგნობას ვერასოდეს შეიცვლის. ანალოგიურ მოვლენას ვაწყდებით, როცა ვაკვირდებით ისეთი პროფესიის ადამიანებს, რომელნიც საზოგადოებას გააფთრებით ებრძვიან და ცივილიზაციას კრიჭაში უდგანან. თვალში საცემი გარეგნული ნიშნები, სჯი გენერის

, უცნაური და ახირებული, გვიადვილებენ ვიცნოთ მეძავი და ქურდი, მკვლელი და ნაკატორღალი, რომლებიც თავიანთი მტრებისათვის, ჯაშუშებისა და ჟანდარმერიისთვის იგივენი არიან, რაც გარეული ნადირი მონადირისთვის. სახის ფერი, გამოხედვა, სუნი, მიხრამოხრა, სიარული თავისებური აქვთ, ზნეც თავისებური სჭირთ და ყოველივე ეს ძვალსა და რბილში ისე აქვთ გამჯდარი, რომ მათნაირებს ხელად შეიცნობს გამოცდილი კაცის თვალი.

კიდევ ერთი სიტყვა ამ სამყაროს ორგანიზაციაზე, რომელიც დამღით დაშანთვის გაუქმების, დამსჯელი ზომების შემსუბუქების, სასამართლოს უგუნური ლმობიერების შედეგად უფრო მეტად საშიში გახდა. მართლაც, ოცი წელიც არ გავა და პარიზი ორმოცი ათასი გათავისუფლებული კატორღელის ალყაში მოემწყვდევა, ვინაიდან სენის დეპარტამენტი, თავისი მილიონნახევრიანი მცხოვრებით, ერთადერთი ადგილია საფრანგეთში, სადაც ამ უბედურთ შეუძლიათ დაიმალონ. პარიზი მათთვის იგივეა, რაც უსიერი ტყე მტაცებელი ნადირისთვის.

უზენაესი მარაქა,, ამ სამყაროს სენჟერმენის უბანია, მისი არისტოკრატიაა. 1816 წელს, მას შემდეგ, რაც მშვიდობის პაქტი დაიდო და მრავალ ადამიანს შავი დღე დაადგა, უზენაესი მარაქა,, გაერთიანდა ერთ საზოგადოებად, რასაც დიდდიდი ამფსონები,, ეწოდა. აქ თავი მოიყარეს ბანდების ყველაზე გამოჩენილმა ბელადებმა და რამდენიმე გაბედულმა ავაზაკმა, რომლებიც იმ ხანებში ცხოვრების ყოველნაირ სახსარს მოკლებულნი აღმოჩნდნენ. სიტყვა ამფსონი,, ნიშნავდა ძმასაც, მეგობარსაც, ამხანაგსაც. ყველა ქურდი, კატორღელი, პატიმარი ამფსონია, ხოლო დიდდიდი ამფსონები,, უზენაესი მარაქის,, ნატიფი თაიგული ბრძანდებოდნენ და ოც წელზე მეტხანს წარმოადგენდნენ ამ ხალხის საკასაციო სასამართლოსაც, აკადემიასაცა და პერთა პალატასაც. დიდდიდ ამფსონებს,, თავთავიანთი ქონებაც ჰქონდათ; საერთო კაპიტალიდანაც ერგებოდათ წილი. მათ განსაკუთრებული ადათწესები შეიქმნეს. გაჭირვების დროს ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ. ერთმანეთის ყადრი კარგად მოეხსენებოდათ. ის კი არა, ამპარტავნულადაც დაჰყურებდნენ პოლიციის ყოველგვარ თაღლითობასა და გაიძვერობას. საკუთარი ქარტია დაეფუძნებინათ, თვითონვე ამტკიცებდნენ თავიანთ პაროლსაცა და საშვსაც.

კატორღის ამ ჰერცოგებმა და პერებმა 1815დან 1819 წლამდე შექმნეს სახელგანთქმული ათიათასიანთა,, ამხანაგობა (იხილეთ მამა გორიო,,). საქმეს ხელს ისე არ მოჰკიდებდნენ, თუ ათი ათას ფრანკზე ნაკლები სარფა მოელოდათ. სახელწოდება სწორედ აქედან მიიღეს. თითქმის იმავე ხანებში, 1829/1830 წლებში, გამოდიოდა სისხლის სამართლის პოლიციის ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის მემუარები, სადაც ათიათასიანთა,, ძალების განლაგება იყო აღწერილი. მის წევრთა სახელებიც გახლდათ გამომზეურებული. ყველას თავზარი დაეცა, რაკი დარწმუნდნენ, რომ საკმაოდ გაწაფული, მეტად საშიში, მოხერხებული, გაქნილი კაცებისა და ქალების ლაშქარი ნამდვილად არსებობდა. და ამ ჯარს ისეთი ბედი სწეოდა, რომ მის რიგებში ითვლებოდნენ უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული ქურდები: ლევი, პასტურელი, კოლონჟი, შიმო და მათი მსგავსნი. დიახ, ყველა ეს ორმოცდაათისამოცი წლის ძალგულოვანი ყაჩაღი, ნათქვამი იყო მემუარებში, სიყრმიდანვე ამხედრებულიყო საზოგადოების წინააღმდეგ! აბა, რა ეთქმის მართლმსაჯულებას, ესოდენ ხანდაზმული ქურდების არსებობა ხომ მისი უსუსურობის დამადასტურებელი აშკარა საბუთია!

ჟაკ კოლენი ხაზინადარი გახლდათ არა მარტო ათიათასიანთა,, ამხანაგობისა, არამედ კატორღის გმირთა დიდდიდი ამფსონებისაც,,. საქმეში ჩახედულ კაცთა აზრს თუ

დავუჯერებთ, კატორღას ყოველთვის აურაცხელი კაპიტალი ჰქონდა დაგროვილი. ეს უცნაურობა ადვილი ასახსნელია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაკარგულს ვეღარ პოულობენ. მსჯავრდადებულნი კატორღაში ვერაფერს წაიღებენ; იძულებულნი არიან, დახმარებისათვის სანდო და მარჯვე ადამიანებს მიმართონ და თავიანთი ქონება ჩააბარონ, როგორც საზოგადოება ანდობს საკუთარ ქონებას საბანკო ფირმას.

სამძებრო პოლიციის უფროსი ბიბილუპენი ათი წლის განმავლობაში დიდდიდ ამფსონთა,, არისტოკრატულ წრეს ეკუთვნოდა. მერე ძმებს უღალატა, რაკი ისინი უპირატესობას გააბითურე სიკვდილის,, მაღალგონიერებასა და ზღაპრულ დონეს ანიჭებდნენ და მით თავმოყვარეობას უბღალავდნენ. ჟაკ კოლენის პირველობამ გადარია. სწორედ აქ გახლდათ ძაღლის თავი დამარხული, თორემ აბა, რა რჯიდა სამძებრო პოლიციის სახელგანთქმულ უფროსს, ესოდენ გააფთრებით რომ დევნიდა ჟაკ კოლენს? ამგვარი წარსულის პატრონს ხშირად უხდებოდა, დაეთმო ძველი ძმაკაცებისთვის, რაც ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, აშფოთებდა მაგისტრატურას.

ჰოდა, შურისძიების სურვილით შეპყრობილმა, ბიბილუპენმა, რომელსაც გამომძიებელმა მოქმედების სრული თავისუფლება მისცა, რათა დაუყოვნებლივ დაედგინა ჟაკ კოლენის ვინაობა, საკმაოდ მოხერხებულად შეარჩია დამხმარე ძალა და ცრუ ესპანელს მიუსია კანტალა,,, აბრეშუმწვერა,, და კონკიაჟღარუნა,,. ამათგან კანტალა,, ათიათასიანთა,, ამხანაგობას ეკუთვნოდა, ხოლო აბრეშუმწვერა,, და კონკიაჟღარუნა,, დიდდიდი ამფსონები,, გახლდნენ.

კონკია,,, კონკიაჟღარუნას,, ეს შემზარავი გულის მურაზი,,, რომელიც პოლიციას ჯერ ვერ მოეგდო ხელში, რაკი წესიერი ქალბატონის ტანსაცმელში გამოწყობილს ვერ ცნობდნენ, თავისუფლად დაბრძანდებოდა. ამ ქალს შესანიშნავად ეხერხებოდა გრაფინიად, მარკიზის ან ბარონის მეუღლედ გადაქცევა, ჰყავდა ეტლი და ლაქიები. იგი კაბიანი ჟაკ კოლენი იყო და შეეძლო ჟაკ კოლენის მარჯვენა ხელი აზიასთვის მეტოქეობა გაეწია. ასე გახლავთ, კატორღის ყოველ გმირს ერთგული ქალი უმაგრებს ზურგს. ამას დამიდასტურებს სამართლის მატიანე, მართლმსაჯულების სასახლის საიდუმლო ქრონიკები; პატიოსანი ქალის ვერავითარი ტრფიალი, თვით ღვთისმოშიში მანდილოსნის სიყვარულიც კი, ერთი ბეწოთიც ვერ შეედრება ხასის თავდადებას უდიდესი ბოროტმოქმედისადმი.

თითქმის ყოველთვის, ამ ადამიანებისთვის სიყვარულით გატაცება ძირითადი მიზეზია გაბედული თავდასხმების, მკვლელობებისა. მძაფრი ვნება, რომელიც მათ ქალებისაკენ იზიდავს ორგანულად,,, როგორც ექიმები იტყვიან, შთანთქავს ამ ენერგიულ მამაკაცთა მთელ მორალურსა და ფიზიკურ ძალას. ამის შედეგად, მთელი დღეების განმავლობაში მცონარედ ყრიან, რადგან ვნების გადაჭარბებული დაკმაყოფილება ძალთა აღსადგენად დასვენებასა და გაძლიერებულ კვებას მოითხოვს. ამიტომაც სძულთ მუშაობა, რაიც აიძულებთ ფულის საშოვნელად იოლი გზები გამოძებნონ. და მაინც, სწრაფვა არსებობისადმი, თან ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არსებობისადმი, რაც თავისთავად მძაფრი მოთხოვნილებაა, სრულიად

არაფერია იმ ხელგაშლილი მფლანგველობის სურვილთან, რასაც მათ ქალები შთააგონებენ. ეს გულუხვი მედორები სატრფოებს უძღვნიან ძვირფას სამკაულს, ტანსაცმელს, ნუგბარნუგბარ სასუსნავს, რადგან ამ გოგოებს მორთვამოკაზმვა და პირის პატივი უყვართ! გომბიომ მოინდომა შალი, მისი კურო იპარავს შალს და ქალი ამას სიყვარულის დამამტკიცებელ ურყევ საბუთად მიიჩნევს! ასე და ამგვარად, კაცი ქურდობაში ებმება და თუ ადამიანის გულს გამადიდებელი შუშით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბოროტმოქმედება ბუნებრივი მოვლენაა, რასაც საფუძვლად ადამიანური გრძნობა უდევს. ქურდობას მკვლელობა მოსდევს, ხოლო მკვლელობა მიჯნურს ნელნელა ეშაფოტისკენ მიუძღვება.

მედიცინას თუ დავუჯერებთ, ამ მამაკაცთა აღვირახსნილი ხორციელი სიყვარული დანაშაულთა შვიდი მეათედის ძირითადი მიზეზია, რისი თვალსაჩინო და საოცარი დამამტკიცებელი საბუთი გახლავთ დასჯილი ადამიანის გაკვეთა. ძნელი არ არის მიხვედრა, რატომ აღმერთებენ ქალები თავიანთ კუროებს, ამ ჯოჯოხეთის მოციქულებს, საზოგადოების საფრთხობელებს. ეს უსაზღვროდ ერთგული ქალები ნიადაგ ციხის კართან ტრიალებენ და სულ იმის ცდაში არიან, როგორმე მოატყუონ ცბიერი გამომძიებლები. შავბნელი საქმის ამ მოუსყიდველ დამცველთა წყალობით უამრავი სისხლის სამართლის საქმე ბნელით მოცული და გაუხსნელი რჩება. აქაა დამნაშავის ძალაცა და სისუსტეც. მეძავთა ენაზე უებრო პატიოსნება,, ის არის, რომ სიყვარულის არც ერთ კანონს არ უღალატო, უკანასკნელი გროში მისცე ჩავლებულ,, (დაპატიმრებულ) საყვარელს, ყოველმხრივ იზრუნო მასზე, დაიცვა ერთგულება და მისი გულისთვის არაფრის წინაშე არ დაიხიო. ყველაზე დიდი შეურაცხყოფა, რაც შეიძლება ერთმა როსკიპმა მეორეს მიაყენოს, ის არის, რომ ბრალი დასდოს ჩაჭედილი,, (ციხეში ჩასმული) საყვარლის ღალატში. და თუ მართლა ასე მოიქცევა, მეძავს უგულო ქალად ჩათვლიან!

როგორც ქვემოთ დავინახავთ, კანტალას,, გაგიჟებით უყვარდა ერთი ქალი, ხოლო აბრეშუმწვერა,, საკუთარ თავში შეყვარებული ფილოსოფოსი ბრძანდებოდა, სულ თავის მომავალზე ზრუნავდა და ამიტომაც ქურდობდა. ამ მხრივ ძალიან ჰგავდა ჟაკ კოლენის საიდ პაკარს, რომელიც პრუდანს სერვიენთან ერთად გაიპარა და თან წაიღო შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი, რაც ორივეს საკუთრება უნდა ყოფილიყო. აბრეშუმწვერას,, გული არავის ეკუთვნოდა, ქალები ეზიზღებოდა და მარტო აბრეშუმწვერა,, უყვარდა. რაც შეეხება კონკიაჟღარუნას,, ჩვენთვის უკვე ცნობილია, მას ისე მგზნებარედ უყვარდა კონკია,,, რომ მეტსახელიც მისგან შეარქვეს. უზენაესი მარაქის,, ეს სამი ვარსკვლავი ემზადებოდა ჟაკ კოლენისთვის ანგარიშის გასასწორებლად; ანგარიში კი საკმაოდ არეულდარეული იყო და მეტად ძნელი გამოსათვლელი.

ხაზინადრის გარდა, არავინ იცოდა, ამხანაგობის რამდენი წევრი იყო ცოცხალი და რა ეკუთვნოდა თითოეულ მათგანს. მეანაბრეების ხშირი სიკვდილიანობა გათვალისწინებული ჰქონდა გააბითურე სიკვდილს,,, როდესაც ლუსიენის გამო გადაწყვიტა, ხაზინა გაეფლანგა.

ცხრა წელიწადი ემალებოდა პოლიციასა და მეგობრებს, თან ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დიდდიდი ამფსონების,, ქარტიის წესდების შესაბამისად მეანაბრეთა ორი მესამედის მემკვიდრე თვითონვე იყო. ესეც არ იყოს, შეეძლო, განეცხადებინა, ანაბარი დავუბრუნე მოცელილ,, ამფსონებსო. ბოლოს და ბოლოს, ვინ გაბედავდა დიდდიდ ამფსონთა,, წინამძღოლობის შემოწმებას? უკიდურესად უჭირდათ და რა გზა ჰქონდათ, უსიტყვოდ ენდობოდნენ, რადგან კატორღელთა პირუტყვული არსებობა ამ ველური სამყაროს არისტოკრატებისგან მოითხოვს, სათუთად მოექცნენ ერთმანეთს. ავაზაკობით დაგროვებული ასი ათასი ეკიუდან ჟაკ კოლენს რაღაც ასიოდე ათას ფრანკზე უნდა ჩაებარებინა ანგარიში. თან ამ დროისთვის, ხომ დავინახეთ, ჟაკ კოლენის ერთერთ კრედიტორს, კანტალას,, სასიცოცხლოდ რაღაც ოთხმოცდაათი დღე დარჩენოდა. უდავო იყო, წინამძღოლს რომ ებარა, იმაზე მეტი ქონება ჰქონდა დაგროვილი და კანტალას,, მაინცდამაინც რატომ უნდა გამოედო თავი.

ციხის დირექტორებს და მათ აგენტებს, პოლიციასა და მის მოხელეებს, თვით გამომძიებლებსაც კი, შემჩნეული აქვთ ერთი ნიშანი, რის მიხედვითაც შეუცდომლად ცნობენ დაბრუნებულ ჯაგლაგებს,,, ესე იგი, იმათ, ვისაც ადრეც გაუსინჯავს გემო ციხის სალაფავისთვის (კატორღელებისათვის ცერცვის შეჭამანდს ამზადებენ) და იციან, როგორ მოიქცნენ ციხეში. რეციდივისტები, ბუნებრივია, საპატიმროს განრიგს შესანიშნავად იცნობენ; აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში და არაფერი აკვირვებთ.

აქამდე ჟაკ კოლენი სულ იმის ცდაში იყო, თავისი თავი არ გაეცა. ფორსში,, თუ კონსიერჟერიში,, საუცხოოდ თამაშობდა უცხო, გულუბრყვილო კაცის როლს, მაგრამ დარდმა და ვარამმა მთლად დააძაბუნა. წელში გაწყვიტა ორმაგმა სიკვდილმა, ორმაგმაო, ვამბობთ, რადგან იმ საბედისწერო ღამეს ორჯერ მოკვდა და ახლა ისევ ჟაკ კოლენად გადაიქცა. ზედამხედველი პირდაღებული შესცქეროდა ესპანელ მღვდელს, რომელსაც სულაც არ სჭირდებოდა ეზოსკენ გზის ჩვენება. ჩვენს დიდად ნიჭიერ მსახიობს როლი გადაავიწყდა და ისე ჩაიარა ბონბეკის კოშკის დახვეული კიბე, როგორც კონსიერჟერის,, შეჩვეულ ბინადარს შეეფერება.

ბიბილუპენი მართალია, გაიფიქრა ზედამხედველმა, ეს დაბრუნებული ჯაგლაგი,, ჟაკ კოლენია,,.

იმ დროს, როდესაც გააბითურე სიკვდილი,, კოშკის კარში, როგორც ჩარჩოში, ისე გამოჩნდა, ტუსაღებს უკვე მოეთავებინათ წმინდა ლუის ქვის ტაბლაზე გამართული ვაჭრობა და მეტისმეტად ვიწრო ეზოს მოსდებოდნენ. ახალი პატიმარი ყველამ ერთბაშად შენიშნა, რადგან ტუსაღის თვალის სისწრაფეს არაფერი შეედრება; იგი ხომ საკუთარ ქსელში გამომწყვდეულ ობობასავით დაბობღავს ეზოში. ეს შედარება მათემატიკურად ზუსტია; მათი თვალთახედვა ყოველმხრივ შემოფარგლულია მაღალი, ჩაშავებული კედლებით და გახედვაც კი არ სჭირდება, ისე ამჩნევს კარს, საიდანაც ზედამხედველი შემოდის. ხედავს სალაპარაკო ოთახის ფანჯრებს, ბონბეკის კოშკის კიბეს. ეზოდან სხვა არც არაფერი ჩანს.

პატიმარი ისეთ მკაცრ იზოლაციაშია, რომ მისთვის ყოველივე დიდად მნიშვნელოვანია და მცირედ წვრილმანსაც კი აქცევს ყურადღებას; ყურადღება კი მეტისმეტად ეძაბება, რადგან ზოოლოგიური პარკის გალიაში გამომწყვდეული ვეფხვივით მოწყენილია. აღსანიშნავია, რომ ჟაკ კოლენი მოძღვრის როლს ასრულებდა და მაინცდამაინც არ მოეთხოვებოდა დიდად ზრუნვა ჩაცმულობაზე; ეცვა შავი წინდები, ვერცხლისაბზინდებიანი ფეხსაცმელი, შავი ჟილეტი. მისი მუქი ყავისფერი რედინგოტი თავისებური მოყვანილობით ამჟღავნებდა, რომ ეს კაცი, რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო ჩავარდნილი, მაინც ეკლესიის მსახურთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ჩაცმულობაში ეჭვიც რომ შეგპარვოდათ, საეჭვო აღარაფერი რჩებოდა, როცა შეამჩნევდით, რომ თმაც მღვდელივით ჰქონდა შეკრეჭილი; აკი ჟაკ კოლენის პარიკს ბუნებრივი თმისგან ვერ გამოარჩევდით.

შეხე, შეხე! უთხრა კანტალამ,, და კონსიერჟღარუნას,,, დავითარსეთ! ტახი,,! მაგას აქ რაღა უნდა!

ვითომ არ გაგიგია მაგათი ოინბაზობა, ახალი ჯიშის მზარეულია,, (ჯაშუში), მიუგო აბრეშუმწვერამ,,, ეგ რომელიღაც გადაცმული თოკის ვაჭარია,, (ჟანდარმი), ეტყობა, აქ აპირებს ვაჭრობას.

არგოთი ჟანდარმს სხვადასხვა სახელი აქვს; თუ ქურდს ეძებს, თოკის ვაჭარია,,, თუ მას მიაცილებს, გრევის მერცხალია,,, ხოლო ეშაფოტზე თუ მიჰყავთ, გალიოტინის ჰუსარს,, ეძახიან.

ციხის ეზოს აღწერა დასრულებულად რომ ჩავთვალოთ, იქნებ ჯობდეს რამდენიმე სიტყვა ვთქვათ კიდევ ორ ამფსონზე. ერთი მათგანი სელერიე იყო, მეტსახელად ოვერნელი,,, იგივე მამილო ხრონწა,,, იგივე ტრაბუცა,,, დასასრულ, იგივე აბრეშუმწვერა,, (მას ოცდაათი გვარი ჰქონდა და იმდენივე პასპორტი). ჩვენ აბრეშუმწვერას,, გარდა სხვას არაფერს შევარქმევთ, ვინაიდან უზენაესმა მარაქამ,, მიანიჭა ეს ერთადერთი წოდება. ეს ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი, რომელმაც ცრუ მოძღვარი ჟანდარმად მიიღო, ხუთი ფუტისა და ოთხი დუიმის სიმაღლის, უცნაურად დაკუნთული აყლაყუდა იყო. უზარმაზარი შუბლის ქვეშ მტაცებელი ფრინველივით ნაცრისფერი ქუთუთოებით დაჩრდილული წვრილი თვალები უგიზგიზებდა. ერთი შეხედვით მგელს ჰგავდა თავისი ფართო და მკვეთრად შემოხაზული ყბებითა და მძვინვარე სიშმაგით, მაგრამ ყვავილით დაკენკილი სახის ცოცხალი, ცბიერი გამომეტყველება ამ მსგავსებას ანელებდა. მის ყოველ შტრიხს, ყოველ ნაკვთს გონიერება აცისკროვნებდა. ემჩნეოდა, ხუმრობის მოყვარულიც იყო. ბოროტმოქმედის ცხოვრებას, რასაც თან სდევს შიმშილიცა და წყურვილიც, სანაპიროზე, ხიდებქვეშ, ქუჩებში გდებასა და ღამის თევას, რაიმე გამარჯვებისთვის მიძღვნილ ღრეობებსა და მაგარი სასმელების ყლაპვას უშედეგოდ არ ჩაევლო და მის სახეზე თითქოს დამღა დაესვა. აბრეშუმწვერა,, შეუნიღბავი თუ გამოვიდოდა გარეთ, პოლიციელი ან ჟანდარმი ოცდაათ ნაბიჯზე იცნობდა თავის ნადირს. გრიმის გაკეთებასა და გადაცმის ხელოვნებაში ჟაკ კოლენს არ ჩამოუვარდებოდა. აი, ახლაც აბრეშუმწვერა,, შილიფად გახლდათ ჩაცმული,

ვით შეეფერებოდა დიდ მსახიობს, გარეგნობაზე მხოლოდ სცენაზე გასვლის წინ რომ ზრუნავს. ღილებმოგლეჯილი დაძენძილი სანადირო ქურთუკი ეცვა. საღილეებიდან თეთრი სარჩული მოუჩანდა. გამოხუნებული ნანკინის შარვალი და გაცვეთილი მწვანე ფეხსაცმელი ეცვა; ეხურა საჩეხმოგლეჯილი ქუდი, საიდანაც გაცრეცილი ხილაბანდის ბოლოები გადმოჰკიდებოდა.

კონკიაჟღარუნა,, არაფრით ჰგავდა აბრეშუმწვერას,,. მზარეულივით ჩაცმული სახელგანთქმული ქურდი დაბალი ტანისა იყო, ჯმუხი, ჩასქელებული, დაბრეცილფეხებიანი და ცქვიტი. სახეზე მკვდრისფერი ედო. ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ჰქონდა და ისეთი შემზარავი გამომეტყველება, რომ აშკარად ჩანდა, ეს კაცი თავისი ბუნებით გააფთრებული, სისხლისმსმელი ნადირისგან არაფრით განსხვავდებოდა.

აბრეშუმწვერა,, და კონკიაჟღარუნა,, კანტალას,, თავს ევლებოდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, მისი საქმე წასული იყო. თვით ამ გამოუსწორებელმა მკვლელმაც შესანიშნავად იცოდა, რომ მალე წარდგებოდა სასამართლოს წინაშე, განაჩენსაც არ დააყოვნებდნენ და სულ ოთხი თვეც არ გავიდოდა, რომ სიკვდილით დასჯიდნენ. ამიტომაც კანტალას,, ძმაკაცები, აბრეშუმწვერა,, და კონკიაჟღარუნა,,, კანონიკს,, ეძახდნენ, რაც მონანიებათა სავანის,, კანონიკს ნიშნავდა. არცთუ ძნელი მისახვედრია, ძმაკაცები აგრერიგად რატომ ანებივრებდნენ კანტალას,,; ცოლქმარ კროტათა ბინიდან გატაცებული ნადავლის წილი, ორას ორმოცდაათი ათასი ფრანკი ოქროთი, კანტალას,, სადღაც ჩაემარხა. ორი ამფსონი ამ სანეტარო მემკვიდრეობის მიღებაზე ოცნებობდა. იმას ვინ დაგიდევდა, თუ ორ ყოფილ კატორღელს რამდენიმე დღეში ისევ კატორღაში უკრავდნენ თავს! კონკიაჟღარუნასა,, და აბრეშუმწვერას,, კარგად მოეხსენებოდათ, რომ კვალიფიციური ქურდობისათვის (ესე იგი, ისეთი ქურდობისათვის, რომელსაც დამამძიმებელი გარემოებანიც თან ახლდა) თხუთმეტ წელს მიუსჯიდნენ, თუ მხედველობაში არ მიიღებდნენ იმ ათ წელს, რაც უწინ ჰქონდათ მისჯილი და საკუთარი ნებით, ვადაზე ადრე მოიხადეს. რა ვუყოთ, თუ ერთს ოცდაორი, ხოლო მეორეს ოცდაექვსი წელი უნდა ეყურყუტა კატორღაში. ნურას უკაცრავად, გაქცევის იმედით სულდგმულობდნენ. დაბრუნდებოდნენ და კანტალას,, ოქროსაც მოძებნიდნენ, მაგრამ ათიათასიანთა,, ამხანაგობის წევრი საიდუმლოს მტკიცედ იცავდა. მანამ განაჩენს არ მოისმენდა, არავის გაუმჟღავნებდა. კატორღის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელმა თანამონაწილენი არ გასცა. ეს არც გაჰკვირვებია ვინმეს, იცნობდნენ მის ხასიათს. ამ ჯოჯოხეთურ საქმეს ბატონი პოპინო იძიებდა. მან ვერაფერი გააწყო, ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინა.

შემზარავი ტრიუმვირატი ეზოს ზემო ნაწილში, პისტოლების,, ქვემოთ იდგა. აბრეშუმწვერა,, მახეში პირველად გაბმული ყმაწვილკაცის შეგონებას ამთავრებდა.

ყმაწვილი დარწმუნებული იყო, ათი წლის საკატორღო სამუშაოს მიუსჯიდნენ და ახლა ცნობებს აგროვებდა სხვადასხვა ჭალის,, შესახებ.

ასე, ჩემო ბიჭუნა, ჭკუის დამრიგებლურად ეუბნებოდა მას აბრეშუმწვერა,,, როცა ჟაკ კოლენი ეზოში გამობრძანდა, ბრესტს, ტულონსა და როშფორს შორის ასეთი განსხვავებაა...

აბა, ძველო, აჩქარებდა ბიჭი ახალბედასთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით.

ყმაწვილი კარგი ოჯახიშვილი იყო, პისტოლში,, იჯდა ლუსიენის საკნის გვერდით და ყალბი საბუთების შედგენა ედებოდა ბრალად.

შვილიკო, განაგრძო აბრეშუმწვერამ,,, ბრესტში მესამეჯერ თუ მოუსვამ გობში კოვზს, ცერცვი ამოჰყვება; ტულონში მეხუთე მოსმაზე, ხოლო როშფორში, რამდენიც გინდა, იმდენი ურიე. თუ დაბრუნებული,, არა ხარ, ვერაფერს დაიჭერ.

ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსმა ბიჭთან ლაპარაკი მოათავა და მერე წამოეწია კანტალასა,, და კონკიაჟღარუნას,,, რომელთაც ტახის,, გამოჩენაზე მოსვენება დაეკარგათ და მის შესახვედრად გასწიეს. გათანგული ჟაკ კოლენიც მათკენ მოეშურებოდა. გააბითურე სიკვდილი,, მწარე ფიქრებს მისცემოდა, ტახტიდან გადამდგარი იმპერატორის ფიქრებს და ვერც წარმოედგინა, ყურადღების ცენტრში თუ მოექცა. ყველას თვალი მას მიშტერებოდა. ის კი ნელნელა მიდიოდა და შესცქეროდა საბედისწერო ფანჯარას, რომელზეც ლუსიენ დე რუბამპრემ თავი ჩამოიხრჩო. ეს ამბავი არც ერთმა ტუსაღმა არ იცოდა, რადგან ლუსიენის მეზობელს, ახალგაზრდა ყალბისმქმნელს კრინტიც არ დაუძრავს, რის მიზეზსაც ქვემოთ მოგახსენებთ. სამი ამფსონი ჩამწკრივდა და გაემზადა, რათა მღვდლისთვის გზა გადაეღობათ.

ეგ ტახი,, არ არის, უთხრა კანტალამ,, აბრეშუმწვერას,,, დაბრუნებული ჯაგლაგია,,. ხედავ, როგორ მოათრევს მარჯვენა ფეხს!
აქაც ახსნაგანმარტება დაგვჭირდება, რადგან ყველა მკითხველს არ აღძვრია უდიდესი სურვილი, დაეთვალიერებინა კატორღა. ორი კატორღელი ერთმანეთთან ჯაჭვითაა მიბმული (ყოველთვის მოხუცი და ახალგაზრდა), ჯაჭვი კაცის კოჭზე ჩამოცმულ რგოლზეა მიმაგრებული და იმდენად მძიმეა, რომ ერთი წლის შემდეგ კატორღელს სამუდამოდ ეცვლება სიარული.

იძულებულია, მთელი სიმძიმე მეორე ფეხზე გადაიტანოს, რათა ათრიოს სამაჯური,,; ასე უწოდებენ ბორკილებს. მერე, რაც უნდა ეცადოს, ვეღარ გადაეჩვევა ამგვარ სიარულს. გავა დრო, ბორკილებს მოიშორებს, მაგრამ ბორკილების სიმძიმის შეგრძნებას ვეღარ მოიცილებს, როგორც ხეიბარი, რომელიც მოკვეთილი ფეხის ტკივილს გრძნობს. კატორღელს თითქოს ნიადაგ ბორკილი ადევს, სიარულს ვერასოდეს გამოასწორებს. პოლიციის ტერმინით მარჯვენას მიათრევს,,. ამ თავისებურებას მხოლოდ პოლიციელები და კატორღელები ამჩნევენ. და თუ ამ ნიშნით ყოფილი კატორღელი ვერ გამოიცნობა, მის გამომჟღავნებაში დაინტერესებულ პირს ხელს მაინც შეუწყობს.

გააბითურე სიკვდილი,, რვა წლის წინ გამოიქცა კატორღიდან, თითქმის გამოისწორა კიდეც ეს ჩვეულება, მაგრამ ახლა ღრმა ფიქრებში ჩაფლული ისე მძიმედ მიაბიჯებდა, რომ, რაც უნდა შეუმჩნეველი ყოფილიყო მისი ნაკლი, კანტალას,, გავარჯიშებულ თვალს მაინც ვერ გამოეპარებოდა. კატორღელები ნიადაგ ერთმანეთის ცხვირწინ არიან და ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავთ დასათვალიერებელი. აქედან გამომდინარე, შესანიშნავად აქვთ შესწავლილი თითოეულის ფიზიონომია, ჩვევები, რაც შეუმჩნეველი რჩება მათი მარადიული მტრებისათვის; ჯაშუშებისთვის, ჟანდარმებისა და პოლიციის კომისრებისთვის. ზემოაღნიშნულის შედეგად, ერთი კატორღელი საგანგებო დავალებით მიავლინეს სენის ლეგიონის აღლუმზე, სადაც მან ლეგიონის პოლკოვნიკლეიტენანტის ნიღაბქვეშ, მარცხენა ყბის ნერვული ცახცახით შეიცნო კუანიარი, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს. მანამდე კი ბიბილუპენი რამდენს არ ირწმუნებოდა, გრაფი პონტის დე სენტელენი და კუანიარი ერთი და იგივე პიროვნებააო, პოლიცია ვერ ბედავდა, დაეჯერებინა.

ეს ხომ ჩვენი უსტაა,, (ოსტატი), წამოიძახა აბრეშუმწვერამ,,, რომელმაც თვალი შეასწრო ჟაკ კოლენის გამოხედვას, მწუხარებაში ჩაძირული კაცის გაფანტულ მზერას, დაბნეულად რომ მიაპყრობს ყველაფერს.

ჩემმა მზემ, გააბითურე სიკვდილია,,, ხელების ფშვნეტით კვერი დაუკრა კონკიაჟღარუნამ,,, აჰა, სწორედ მისი ტანი აქვს, მხარბეჭიც, მაგრამ ეს რა უქნია, ერთი ბეწოთითაც აღარ ჰგავს თავის თავს.

ჰო, მივხვდი, შესძახა აბრეშუმწვერამ,,, ეგ უსაქმოდ არ მოსულა! მაგის ბიცოლას,, სულ მალე თავს მოჰკვეთენ. ჰოდა, იმისი ნახვა მონატრებია.

მცირეოდენი წარმოდგენა რომ შეგექმნათ იმ კაცზე, ვისაც პატიმრები, მედილეგეები და ზედამხედველები ბიცოლას,, უწოდებენ, საკმარისია, მოგახსენოთ ერთერთი ცენტრალური ციხის დირექტორის მეტად მოსწრებული განსაზღვრა ამ სიტყვისა. ერთხელ აწ განსვენებული ლორდი დერჰემი პარიზში ყოფნის პერიოდში ყველა ციხეს ათვალიერებდა. მოისურვა, ფრანგული სამართლის ყოველ წვრილმანს გასცნობოდა, თვით მაღალ საქმეთა აღმასრულებელ, ცხონებულ სანსონსაც კი. ჯალათს სთხოვა, ხელსაწყო მოემართა და თავი მოეკვეთა ცოცხალი ხბოსთვის, რადგან სურდა, სრული წარმოდგენა ჰქონოდა მანქანის მუშაობაზე, რომელსაც ასე გაუთქვა სახელი საფრანგეთის რევოლუციამ.

დირექტორმა ლორდს დაათვალიერებინა ყველა ციხე, ციხის ეზო, სახელოსნოები, საკნები და ა. შ. მერე ერთი დილეგი უჩვენა და ზიზღით უთხრა: თქვენს ბრწყინვალებას იქ ვერ შევიყვან, ბიცოლების,, ადგილსამყოფელია,,. ოჰო, ეგ რაღააო, იკითხა ლორდმა დერჰემმა. მილორდ, მანდ მესამე სქესია!,, მიუგო თურმე დირექტორმა.

თეოდორს მალე დაამოწმებენ,, (გილიოტინაზე თავს მოჰკვეთენ)! თქვა კანტალამ,,, ლამაზი ბიჭია! მერედა, რა ხელი აქვს! რა გამბედავია! დიდი დანაკლისია საზოგადოებისთვის!
ეგრეა, თეოდორ კალვი უკანასკნელ ლუკმას ასობს ეშვებს,, (ჭამს), თქვა კონკიაჟღარუნამ,,, ოჰ, მისი გულის მურაზები როგორ დაითხრიან თვალებს! მაგ მაწანწალასთვის სული მისდიოდათ!

აი, შენც აქა ხარ, ძველო! უთხრა კანტალამ,, ჟაკ კოლენს და თავის დამქაშებთან ერთად ახალმოსულს გზა გადაუღობა.

რაო, უსტა,,, ტახი,, გახდი? დაურთო კანტალამ,,.

ამბობენ, მაყუთი,, შეგიტყაპუნებია (ჩვენი ოქრო მიგითვისებია), მუქარით უთხრა კონკიაჟღარუნამ,,.

აბა, დაყაჭავ თუ არა მაყუთს,, (მოგვცემ თუ არა ფულს)? ჰკითხა აბრეშუმწვერამ,,.

ამ სამმა შეკითხვამ თოფის გასროლასავით იჭექა.

ნუ დასცინით აქ შემთხვევით მოხვედრილ მღვდელს, ანგარიშმიუცემლად მიუგო ჟაკ კოლენმა, რომელმაც უმალვე იცნო სამი ამხანაგი.
სიფათი თუ არა, ჟღარუნა,, (ხმა) ხომ მისია, თქვა კანტალამ,, და ჟაკ კოლენს მხარზე ხელი დაჰკრა.

სამი ძმაკაცის მძვინვარე გამოხედვამ და საქციელმა გამოაფხიზლა უსტა,,, რომელიც ამ საბედისწერო ღამის განმავლობაში ახალ გზებს დაეძებდა იდეალური სამყაროს უსასრულობაში და ახლა რეალურ სამყაროს დაუბრუნდა.

ნუ გასცემთ თქვენს უსტას,,, ყრუდ და მუქარით წაიდუდუნა ჟაკ კოლენმა; მისი ხმა ლომის ბუხუნს ჰგავდა, ქოფაკები,, (პოლიცია) აქვე არიან, გავაცუროთ, მახეში ნუ გააბმევინებთ ჩემს თავს. კომედია უნდა გავითამაშო; ამფსონთა ბარტყი მძიმედ ავადაა (ამხანაგი უკიდურეს გაჭირვებაშია).
ლაპარაკობდა ფარისევლურად, როგორც მღვდელი, გლახაკთა მოქცევას რომ ცდილობს. თან ეზოსაც გადახედა, თაღებქვეშ თვალი მოჰკრა ზედამხედველებს და ამხანაგებს მათზე დაცინვით მიუთითა.

ვერ ხედავთ მზარეულებს,,? აბა, აანთეთ სანთლები (თვალი აახილეთ) და ესროლეთ (დააკვირდით). არ მიცნობთ, ფრთხილად იყავით და როგორც მღვდელს, ისე მომეპყარით,

თორემ დაგმარხავთ,, თქვენც, თქვენს გულის მურაზებსაც,, და თქვენს ფარებსაც,, (გაგანადგურებთ თქვენც, თქვენს დედაკაცებსაც და ფულსაც).

რაო, არ გვენდობი? შეეკითხა აბრეშუმწვერა,,, ბიცოლას,, წყლიდან ამოსაყვანად (ამხანაგის გადასარჩენად) მოხვედი?

მადლენი მოკაზმულია,, მურყნის ტაფობისთვის,, (მზადაა გრევის მოედნისთვის), უთხრა კანტალამ,,.

თეოდორი, აღმოხდა ჟაკ კოლენს. კინაღამ ხმამაღლა შეჰყვირა და წინ გავარდა.

ეს იყო უკანასკნელი დარტყმა, რამაც მიწასთან გაასწორა ნაწამები გოლიათი.

საცაა შეუყენებენ,,, განაგრძო კანტალამ,,, ორი თვეა შეკრულია ძნაში,, (სიკვდილი აქვს მისჯილი).

ჟაკ კოლენს თავბრუ დაეხვა, მუხლი მოეკვეთა. ძმაკაცებს ხელი რომ არ მოეხვიათ, უსათუოდ წაიქცეოდა. მაინც არ დაიბნა, ღრმად დამწუხრებული სახით გულზე ხელები დაიკრიფა. კანტალა,, და კონკიაჟღარუნა,, მოწიწებით ამოუდგნენ მხარში მკრეხელ ღვთისმგმობელს გააბითურე სიკვდილს,,. ამასობაში აბრეშუმწვერამ,, მისაღები ოთახისკენ გამავალ კართან საყარაულოდ მდგარ ზედამხედველთან მიირბინა.

პატივცემულ მღვდელს სურს დაბრძანდეს, მომეცით სკამი.
ამგვარად, ჟაკ კოლენი ბიბილუპენის მახეში არ გაება. როგორც ნაპოლეონი იცნეს თავისმა ჯარისკაცებმა, ჟაკ კოლენიც ასევე იცნეს კატორღელებმა და ნაპოლეონის ჯარისკაცებზე ნაკლები მორჩილებითა და რიდით როდი მოეპყრნენ. საკმარისი გამოდგა ორი სიტყვა: გულის მურაზები,, და მაყუთი,, (ქალები და ფული)! ასე მოკლედ შეიძლება გამოიხატოს ყოველივე, რაც აინტერესებს მამაკაცს. ჟაკ კოლენის მუქარა სამი კატორღელისთვის უზენაეს ძალაუფლებას ნიშნავდა. მაშ, ისევ უსტას,, ხელში იყო მათი ქონება! თავისუფლებაში მყოფიც სწორუპოვარი ვაჟკაცი იყო მათი უსტა,,, მხოლოდ ცრუ მეგობრებს შეეძლოთ მისთვის ღალატი დაებრალებინათ. ესეც არ იყოს, ბელადს გამბედაობითა და სიმარჯვით შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი და სამი კატორღელი ცნობისმოყვარეობით იწვოდა, ისე აინტერესებდათ მისი თავგადასავლის გაგება. ცნობისმოყვარეობა კი ამ დაშრეტილი სულის ადამიანთა არსებობისთვის ერთადერთი სასიცოცხლო ბიძგია. ჟაკ კოლენის ოსტატურად შენიღბვის ნიჭი აღაფრთოვანებდა სამ ავაზაკს, მით უმეტეს, რომ მათი ბელადი კონსიერჟერის,, რკინის კარიბჭის იქითაც გაბედულად ინიღბებოდა.

ოთხი დღე კარცერში ვიჯექი და არ გამიგია, თეოდორი ასე ახლოს თუ იყო მონანიების სავანესთან,,, თქვა ჟაკ კოლენმა, მე ერთი საბრალო ბიჭის გადასარჩენად მოვედი, მაგრამ მან წუხელ ოთხ საათზე თავი ჩამოიხრჩო. რაღაა ჩემი თამაში, ერთი კიკოც აღარა მყავს!..

საწყალი უსტა,,, მიუსამძიმრა აბრეშუმწვერამ,,.

ეჰ, ხაბაზი,, (ეშმაკი) გამიდგა! შეჰყვირა ჟაკ კოლენმა, ხელიდან დაუსხლტა ამხანაგებს, წელში გასწორდა და თვალები დააკვესა, დგება წუთი, როცა საზოგადოება გვჯაბნის! წერო,, (მართლმსაჯულების სასახლე) ერთი დღეც იქნება, გადაგვყლაპავს!

კონსიერჟერის,, დირექტორისათვის შეეტყობინებინათ, ესპანელი მღვდელი ცუდად გახდაო და ისიც მაშინვე გამოცხადდა მის სათვალთვალოდ. მღვდელს შუაგულ მზეზე სკამი დაუდგა, დასვა და დააცქერდა ისეთი დამღუპველი გამჭრიახობით, რაც თავისი საქმიანობის წყალობით მისდაგვარი თანამდებობის პირს დღითი დღე ემატება, ოღონდ გარეგნული გულგრილობის ნიღბით არის დაფარული.

ოჰ, ღმერთო დიდებულო! ოხრავდა ჟაკ კოლენი, რა ხალხში ვარ გარეული, ვიღაც ნაძირალებში, ავაზაკებში, კაცის მკვლელებში! მაგრამ ღმერთი მოწყალეა, უნუგეშოდ არ დატოვებს თავის მსახურს. ძვირფასო ბატონო დირექტორო, ჩემს აქ ყოფნას ისეთი კეთილი საქმეებით აღვნიშნავ, რომ სამუდამო სახსოვრად დაგრჩებათ! მე მოვაქცევ ამ უბედურთ, შთავაგონებ, რომ აქვთ სული და მარადიული არსებობა მოელით. თუ აქ, ცოდვილ მიწაზე, ყველაფერი დაკარგეს, ცოდვების ჭეშმარიტი, წრფელი მონანიებით ხომ უნდა მოიპოვონ სასუფეველი ცათა შინა!
ოცი თუ ოცდაათი პატიმარი მათკენ გამოიქცა, მაგრამ სამი საშინელი კატორღელი ისე გააფთრებული იდგა და აგიზგიზებული თვალებით ბურღავდა ცნობისმოყვარეებს, რომ მათ ფეხის გადმოდგმა ვერ გაბედეს და სამი ფუტის სიშორიდან უსმენდნენ ქრისტიანული თვინიერებით წარმოთქმულ ქადაგებას.

ამას რა უჭირს, ასეთ კაცს კიდეც მოვუსმენთ, ბატონო გო, თქვა შემზარავმა კანტალამ,,.

როგორც მითხრეს, განაგრძობდა ჟაკ კოლენი, რომელსაც გვერდიდან არ სცილდებოდა ბატონი გო, ამ ციხეში თურმე ერთი სიკვდილმისჯილი გყოლიათ.

სწორედ ამ წუთს უკითხავენ საკასაციო საჩივარზე უარს, მოახსენა ბატონმა გომ.

არ ვიცი, ეგ რაღას ნიშნავს? მიამიტად იკითხა ჟაკ კოლენმა და ირგვლივ მიმოიხედა.

ღმერთო ჩემო! ეგ რა არიფი,, (გულუბრყვილო) ყოფილა, წამოიძახა ყმაწვილკაცმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ აბრეშუმწვერა,, ლექციას უკითხავდა.

ეგ იმას ნიშნავს, რომ დღეს თუ ხვალ მოცელავენ,,! განუმარტა ერთმა პატიმარმა.

მოცელავენო,,? ისევ იკითხა ჟაკ კოლენმა, რომლის გულუბრყვილო და გაოცებულმა გამომეტყველებამ აღაფრთოვანა მის სამი ძმაკაცი.

მაგათ ენაზე, ახლა დირექტორმა განუმარტა, ეგ სიკვდილით დასჯას ნიშნავს. თუ მწერალი უკითხავს უარს საკასაციო საჩივარზე, უეჭველია, ჯალათი მალე მიიღებს ბრძანებას განაჩენის სისრულეში მოყვანის თაობაზე. უბედური ჯიუტად უარს ამბობს ეკლესიის დახმარებაზე.

ოჰ, ბატონო დირექტორო, უნდა ვიხსნათ მისი სული! შეჰყვირა ჟაკ კოლენმა.

მკრეხელმა ხელები წინ გაიშვირა, ვით სასომიხდილმა მიჯნურმა და დირექტორმაც, თვალებიც რომ ჭამდა ბრალდებულს, იფიქრა, გადაჭარბებული ღვთისმოსაობით ემართებაო.

ოჰ, ბატონო! განაგრძო გააბითურე სიკვდილმა,,, ნება მომეცით, დაგიმტკიცოთ, ვინც ვარ და რა შემიძლია. გამიშვით, მის გაქვავებულ გულში სინანულის გრძნობა გავაღვიძო! ღმერთმა მომმადლა უნარი, ადამიანს უცბად შევუცვალო აზრი. მე ვამსხვრევ გულებს... ვაღებ მათ... რისი გეშინიათ? გამაყოლეთ ჟანდარმები, მცველები, ვინც გსურდეთ.
კარგი, ციხის მოძღვარს შევეკითხები. თუ ნებას დაგრთავთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უთხრა ბატონმა გომ.

დირექტორი წავიდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რაკი კატორღელები და პატიმრები ეგრე გულგრილად, ერთგვარი ცნობისმოყვარეობითაც კი შესცქეროდნენ მღვდელს, რომლის წინასწარმეტყველურ ხმას ხიბლს მატებდა დამტვრეულ ენაზე წარმოთქმული ფრანგულესპანური ქადაგება.

აქ საიდან მოხვდით, ბატონო აბატო? ჰკითხა ჟაკ კოლენს იმ ახალგაზრდამ, აბრეშუმწვერას,, რომ ესაუბრებოდა.
ოჰ, სრულიად შეცდომით, მიუგო ჟაკ კოლენმა და თავით ფეხამდე შეათვალიერა იგი, კურტიზანის სახლში მომისწრეს. ქალი სიკვდილის შემდეგ გაქურდეს. მერე კი დამტკიცდა, თავი მოეკლა. ქურდები კი, ჩანს, მისი მსახურები იყვნენ, მაგრამ ჯერ ვერ უპოვიათ.

ჰოდა, სწორედ მაგის გამო ჩამოიხრჩო თავი ახალგაზრდა კაცმა, არა?..

საწყალი ბავშვი, უდანაშაულო იყო, მაგრამ, ალბათ, ვერ აიტანა ესოდენ სამარცხვინო პატიმრობა, უთხრა გააბითურე სიკვდილმა,, და თვალები ცისკენ აღაპყრო.

ეგრეა, თურმე გასათავისუფლებლად მოსულან და ის კი ჩამომხრჩვალი დახვედრიათ, თქვა ყმაწვილკაცმა, რა უიღბლო ყოფილა!

მხოლოდ უდანაშაულო განიცდის ასე მწარედ ციხეში ჯდომას, უთხრა ჟაკ კოლენმა, მიიღეთ მხედველობაში, ქურდობა თვით მისთვისვე იყო საზარალო.

მერე, ბევრი წაიღეს? იკითხა ღრმად მოაზროვნე და ცბიერმა აბრეშუმწვერამ,,.

შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი, თითქმის ჩურჩულით გაანდო ჟაკ კოლენმა.

სამმა კატორღელმა ერთმანეთს გადახედა და გასცილდა თვითმარქვია ეკლესიის მსახურის გარშემო თავმოყრილ პატიმართა ხროვას.

ეგ გარეცხავდა გოგოს ორმოს,, (სარდაფს)! წასჩურჩულა აბრეშუმწვერამ,, კონკიაჟღარუნას,,, უნდოდათ, ბალანი აგვშლოდა,, (შევშინებულიყავით), აქაოდა, მაყუთი,, აორთქლაო (ასსუიანი ოქროს მონეტები გაიტაცაო).
ეგ იყო და დარჩება დიდდიდ ამფსონთა,, უსტად,,, განაცხადა კანტალამ,,, ჩვენი მაყუთი,, სულაც არ აორთქლებულა.

კანტალა,, სანდო ვინმეს ეძებდა და გულით უნდოდა, ჟაკ კოლენი პატიოსანი კაცი გამომდგარიყო, ვინაიდან ციხეში განსაკუთრებით სჯერათ იმისი, რისი იმედიცა აქვთ.

სანაძლეოს ვდებ, ეგ კვანტს გამოსდებს წეროელ უსტას,, (გენერალურ პროკურორს)! ამოატივტივებს ბიცოლას,, (გადაარჩენს მეგობარს), თქვა აბრეშუმწვერამ,,.
თავისას გაიტანს, ჩაურთო კონკიაჟღარუნამ,,, უსტაბაშად,, (ღმერთად) კი ვერ ჩავთვლი, მაგრამ დავიჯერებ კი, როგორც ამბობენ, რომ აუხრჩოლებია ხაბაზთან,, (ყალიონი მოუწევია ეშმაკთან).

ხომ გაიგონე, როგორ შებღავლა, ხაბაზმა,,, ზურგი მაქციაო! შენიშნა აბრეშუმწვერამ,,, ოჰ, თუ მოინდომებს, დააძვრენს კიდეც ჩემს სორბონს,, (გადამრჩენს)! შესძახა კანტალამ,,, მერე, რა დროს გავატარებდი მაყუთის,, ჩემი წილით (ქონების წილით) და ჩემი ყვითელი, დამარხული მაყუთით,, (გადანახული ოქროთი).

მაგისთვის სიტყვა და საქმე ერთია! კვერი დაუკრა აბრეშუმწვერამ,,.

თვით ისინიც კი, ვისაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ ეს ახირებული სამყარო, წარმოიდგენენ, რა გუნებაზე იქნებოდა ორ ცხედარს შორის მოქცეული ჟაკ კოლენი. წინაღამეს ხუთი საათი გაატარა თავისი ღვთაების უსულო გვამის წინ, ხოლო ახლა გაიგო, მის უახლოეს კატორღელ მეგობარს, ახალგაზრდა კორსიკელ თეოდორს, საცაა სიკვდილით დასჯიდნენ. და თუ ამ უბედურ ბიჭთან შესახვედრად არაადამიანური მოხერხებულობა უნდა გამოეჩინა, მისი სიკვდილიდან დასახსნელად ნამდვილი სასწაული უნდა მოეხდინა! ჟაკ კოლენი უკვე ფიქრობდა ამაზე!

თუ გვსურს, გავიგოთ, რისი იმედი ჰქონდა ჟაკ კოლენს, საჭიროა შევნიშნოთ, რომ მკვლელები, ქურდები და ყველა ისინი, ვინც კატორღაში ბინადრობენ, არცთუ ისე საშიშნი არიან, როგორც წარმოუდგენიათ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს ხალხი დიდი გულადობით არ გამოირჩევა; სულ შიშში არიან და, ალბათ, იმიტომ... თუკი რამ უნარი გააჩნიათ, ქურდობას ალევენ, გაძარცვის მიზნით უცაბედი თავდასხმა დიდ ენერგიას, გონებისა და სხეულის მოქნილობას, სისხარტეს, დაძაბულ ყურადღებას, ნებისყოფის უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს, რაც მათი ზნეობის ხარჯზე ხდება. ისინი, ჩვეულებრივ, მეტად ყეყეჩები არიან სწორედ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მომღერალი თუ მოცეკვავე ტალი გადალასლასებული ეცემა რომელიმე უაღრესად რთული ილეთის ან იმ შემზარავი დუეტის შესრულების შემდეგ, რითაც საზოგადოებას ყურებს უჭედენ თანამედროვე კომპოზიტორები. ბოროტმოქმედები მართლაც ისე გონებაჩლუნგნი არიან, ანდა შიში ისე ათაყვანებთ, რომ ჩვილი ბავშვისაგან არ განსხვავდებიან. უკიდურესად მიმნდობნი ხდებიან და მცირეოდენი ცბიერება კმარა, რომ ანკესზე წამოეგონ. საქმე თუ კეთილად დაუგვირგვინდებათ, ძალა ეცლებათ, აღარაფერზე ფიქრი აღარ შეუძლიათ, დაუყოვნებლივ ებმებიან მათი ყოფისთვის აუცილებელ ღრეობაში, ღვინით, კონიაკით ილეშებიან და გააფთრებით ეძლევიან ვნებათაღელვას თავიანთ ქალებთან ერთად, რათა მოიპოვონ სიმშვიდე, დაიწრიტონ ყოველგვარი ძალისა და ღონისგან, დავიწყებას მისცენ ჩადენილი დანაშაულიცა და საკუთარი თავიც. პოლიცია ცდილობს, ეს წუთი არ გამოეპაროს. დაიჭერენ და მორჩა, აღარც არაფერი ესმით, ვეღარც ვერაფერს ხვდებიან, თავგზა აერევათ და იმდენად უნდათ რაიმე იმედს ჩაეჭიდონ, რომ ყველაფერს იჯერებენ. რა უაზრობა უნდა იყოს ისეთი, რომ არ ირწმუნონ. ახლა იმის მაგალითსაც მოგიყვანთ, თუ სადამდე მიდის ჩავლებული,, დამნაშავის სიშტერე. ცოტა ხნის წინ ბიბილუპენმა ყველაფერი დააფქვევინა ერთ ცხრამეტი წლის ბიჭს. დაარწმუნა, მცირეწლოვნებს სიკვდილით არ სჯიანო. როცა ბიჭმა საკასაციო სარჩელზე უარი მიიღო და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად კონსიერჟერიში,, გადაიყვანეს, ეს საშინელი აგენტი მასთან მივიდა.

დარწმუნებული ხარ, რომ ოცი წელი არ შეგსრულებია? ჰკითხა მან.
ჰო, მხოლოდ ცხრამეტი წლისა და ნახევრისა ვარ, მიუგო მშვიდად მკვლელმა.

ძალიან კარგი! უთხრა ბიბილუპენმა, შეგიძლია არხეინად ბრძანდებოდე, ოცი წლისა არასოდეს გახდები.

მერედა, რატომ?

იმიტომ, რომ სამი დღის შემდეგ მოგცელავენ,,, განუცხადა საიდუმლო პოლიციის უფროსმა.

მკვლელს განაჩენის გამოტანის შემდეგაც სჯეროდა, მცირეწლოვნებს სიკვდილით არ სჯიანო და ახლა მართლაც მოცელილივით ძირს დაეცა.

ეს ადამიანები სისასტიკეს უფრო იმიტომ მიმართავენ, რომ მოწმე არ ჰყავდეთ. კლავენ, რათა აშკარა დამადასტურებელი საბუთები მოსპონ (ამით ამართლებენ მათ საქციელს სიკვდილის დასჯის გაუქმების მომხრენი); მამაცი, მოხერხებული გოლიათები, რომელთაც ხელის სიმარჯვე, თვალის სიმკვირცხლე და შეგრძნებათა სისხარტე ველურებივით უკიდურესად განვითარებული აქვთ, ბოროტმოქმედების გმირებად მარტოოდენ თავიანთი მოღვაწეობის სარბიელზე გვევლინებიან. ჩაიდენს დანაშაულს და დაბრკოლებები დაუყოვნებლივ გამოვლინდება, ვინაიდან ისევე უმძიმთ მოპარულის გადანახვა, როგორც უძნელდებათ სიღატაკესთან შეგუება. ერთი სიტყვით, მოლოგინებული დედაკაცივით ქანცი ეცლებათ. გასაოცარი ენერგიით წამოიწყებენ საქმეს, მიაღწევენ წარმატებას და უსუსურ ბავშვებად გადაიქცევიან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბუნებით ტყის ნადირს ჰგვანან, გამაძღარნი ადვილი მოსაკლავი არიან. ეს ახირებული არსებანი შიშისა და სიფრთხილის წყალობით ციხეში ადამიანებს ჰგვანან და ამ გრძნობას გადამწყვეტ წუთამდე ინარჩუნებენ. მერე კი, ხანგრძლივი ტყვეობის შედეგად, უმწეონი და გამოფიტულნი ყოველგვარ ძალას კარგავენ.

ახლა გასაგებია, სამმა კატორღელმა რატომ არ გასცა ბელადი, პირიქით, ყოველი მათგანი მზად იყო, სამსახური გაეწია მისთვის, რაკი ეგონათ, მის ხელში იყო გატაცებული შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი. იმასაც ხედავდნენ, კონსიერჟერის,, ცხრაკლიტულში როგორ მშვიდად გრძნობდა თავს. ამიტომ აღტაცებით შესციცინებდნენ და სწამდათ, მფარველობას გაგვიწევსო.

ბატონი გო ცრუ ესპანელს გაშორდა. მისაღებ ოთახში განთავსებულ კანცელარიაში დაბრუნდა და მერე ბიბილუპენს დაუწყო ძებნა. ბიბილუპენი კი ერთ ფანჯარასთან მიყუჟულიყო და საკნიდან გამოსულ ჟაკ კოლენს, აგერ ოცი წუთი იყო, თვალს არ აშორებდა.

ვერც ერთმა მათგანმა ვერ იცნო, უთხრა ბატონმა გომ, ნაპოლიტასი გვერდიდან არ სცილდება, მაგრამ იმანაც ვერაფერი გაიგო. საბრალო მოძღვარი, როგორ იყო წუხელ აღელვებული, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ისეთი, რომ დაგვეჯერებინა, თითქოს მისი ანაფორის ქვეშ ჟაკ კოლენი იმალებოდეს.

ეგ უფრო იმის დამამტკიცებელია, რომ შესანიშნავად იცნობს ციხეებს, მიუგო საიდუმლო პოლიციის უფროსმა.

ბიბილუპენის მწერალს, ნაპოლიტასს, კონსიერჟერის,, პატიმრები ჯერ არ იცნობდნენ და თავს ყალბისმქნელობისთვის პასუხისგებაში მიცემულ წესიერ ოჯახიშვილად ასაღებდა.

ერთი სიტყვით, იგი გვთხოვს, სიკვდილმისჯილი აზიაროს, დასძინა დირექტორმა.

ძალიან კარგი, უკანასკნელი ფანდი ნაპოვნია! შეჰყვირა ბიბილუპენმა, როგორ ვერ მოვიფიქრე! ეგ კორსიკელი ბიჭი, თეოდორ კალვი, ჟაკ კოლენთან ერთად იყო მიბმული ბორკილის რგოლზე. მითხრეს, ჭალაში,, ჟაკ კოლენი შესანიშნავ საგმანავებს უკეთებდაო...

კატორღელები პატარპატარა ბალიშებს იწყობენ ფეხსა და ბორკილებს შორის, რათა ოდნავ მაინც შეანელონ მძიმე ბორკილის ხახუნი. ბალიშებს ძენძისა და ჩვრებისაგან აკეთებენ და საგმანავებს უწოდებენ.

ვინ დარაჯობს სიკვდილმისჯილს? ჰკითხა ბიბილუპენმა ბატონ გოს.

ბეჭდის გული,,.

აბა, ჟანდარმად შევინიღბები, ბეჭდის გულს,, შევცვლი და მათ საუბარს მოვუსმენ. მე ვიცი და ჩემმა კაცობამ!

მერე, არ გეშინიათ, თუ ეგ ნამდვილად ჟაკ კოლენია, რომ გიცნოთ და მიგახრჩოთ? შეეკითხა კონსიერჟერის,, დირექტორმა ბიბილუპენს.

რაკი ჟანდარმი ვარ, ხმალიც მკიდია, უპასუხა საიდუმლო პოლიციის უფროსმა, ეგეც არ იყოს, თუ ჟაკ კოლენია, ისეთს არაფერს ჩაიდენს, რომ ხელფეხი გაეკრას და თუ მღვდელია, მაშინ ხომ რაღა მიჭირს.

კარგი, დროს ნუღარ კარგავთ, უთხრა ბატონმა გომ, ცხრის ნახევარია. ძია სოტლუმ ახლახან წაუკითხა სიკვდილმისჯილს საკასაციო სარჩელზე უარი. ბატონი სანსონი პროკურორის ბრძანებათა დარბაზში იცდის.

მართლა, დღეისთვის შეუკვეთეს ქვრივის ჰუსარები,, (ესეც მეორე სახელი, საშინელი სახელი გილიოტინისა), თქვა ბიბილუპენმა, განა გასაგები არ არის, რატომ ყოყმანობს გენერალური პროკურორი? ბიჭი უარზეა, ბრალი არ მიმიძღვისო, ამტკიცებს. ჩემი აზრით, მართლაც არ არსებობს სათანადო ფაქტები მის საწინააღმდეგოდ.

ნამდვილი კორსიკელია, ჩაურთო ბატონმა გომ, ერთი სიტყვაც ვერ ათქმევინეს, ყველაფერს უარყოფს.

საიდუმლო პოლიციის უფროსისთვის კონსიერჟერის,, დირექტორის ნათქვამი ბოლო ფრაზა სიკვდილმისჯილთა ბნელით მოცულ თავგადასავლებს შეეხებოდა. კაცი, რომელიც მართლმსაჯულებამ ცოცხალთა სიიდან ამორიცხა, პროკურატურის გამგებლობაში გადადის. პროკურატურა თვითმპყრობელური სახელმწიფოა; არავისზე არ არის დამოკიდებული და მხოლოდ საკუთარ სინდისს ეკითხება. ციხის სრული ბატონპატრონია. სიკვდილმისჯილი უაღრესად აღაგზნებს შთაგონებას და ამ საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემას პოეზია დაეუფლა. პოეზია ამაღლებულია, წარმტაცი, ხოლო პროზა მარტოოდენ სინამდვილესაა დაუფლებული. სინამდვილე კი საკმაოდ შემაძრწუნებელი გახლავთ და შეუძლია, ლირიკასაც შეებრძოლოს. სიკვდილმისჯილი, რომელიც დანაშაულს არ აღიარებს და არ გასცემს ამხანაგებს, ჯოჯოხეთურ წამებაში ვარდება. არ გეგონოთ, თითქოს ვგულისხმობდეთ საწამებელ ჩექმებს, რითაც ფეხის ძვლებს უმტვრევენ, ანდა სხეულის ნაწილების გასაგლეჯ, ყოვლად თავზარდამცემ იარაღებს. ო, არა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფარული წამება, ასე ვთქვათ, ნეგატიური ხასიათის წამება. პროკურატურა მსჯავრდადებულს საკუთარ თავთან ტოვებს. ირგვლივ სიჩუმე და წყვდიადია გამეფებული. გვერდით უზის მუდმივი ამხანაგი (ცხვარი), რომელსაც ვერ ენდობა.

თანამედროვე, ყოვლად თავაზიანი ფილანთროპები დარწმუნებულნი ბრძანდებიან, თითქოს გამოიცნეს მარტო დამწყვდეული კაცის სატანჯველი... რარიგ ტყუვდებიან! წამების გაუქმების შემდეგ, მოსამართლეთა მეტისმეტად ფაქიზი სინდისის ქენჯნის დასაშოშმინებლად პროკურატურამ შემოიღო ადამიანის დასჯის შემზარავი საშუალება სიმარტოვე. სიმარტოვე სიცარიელეა და ადამიანი როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად ვერ ეგუება მას. მხოლოდ გენიალური კაცი ეთვისება სიმარტოვეს, ავსებს საკუთარი აზრებით, სულიერი სამყაროს პირმშონი რომ არიან. სიმარტოვეს არ გრძნობს აგრეთვე ღვთაებრივ ქმნილებათა მჭვრეტელი, რომლის თვალში ეს ქმნილებანი ციური შუქით არიან გაცისკროვნებული უზენაესი გამგებლის ხმითა და სუნთქვით. სამოთხესთან ესოდენ ახლოს მდგომ ამ ორგვარ ადამიანთა გარდა, სიმარტოვე ყველასთვის ზნეობრივი და ფიზიკური წამებაა. სიმარტოვესა და წამებას შორის იგივე განსხვავებაა, რაც ნერვულ სნეულებათა და ქირურგიულ დაავადებათა შორის. ეს არის უსასრულობაზე გამრავლებული ტანჯვა. სხეული უსასრულობას ნერვული სისტემით შეიგრძნობს, ხოლო გონება აზრებით იჭრება უსასრულობაში. ამის შედეგად პარიზის პროკურატურის მატიანეში თითებზე ჩამოითვლება ისეთი მსჯავრდადებული, ვისაც დანაშაული არ ეღიარებინოს.

სიმარტოვეზე ძნელი არაფერია, კაცს მართლაც ჭკუიდან შეშლის. თუ რა ზიანი მოაქვს მას პოლიტიკისთვის ან სახელმწიფოსთვის, როცა საქმე ეხება რომელიმე დინასტიის ყოფნაარყოფნის საკითხს, ცალკე იქნება ასახული და თავისი ადგილი განეკუთვნება ადამიანურ კომედიაში,,. აქ კი მაინც აღვწერთ ქვის კოლოფს, სადაც რესტავრაციის ეპოქაში პარიზის პროკურორის ბრძანებით სიკვდილმისჯილნი ისხდნენ. და

ეს საკმარისია იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, რაოდენ თავზარდამცემი იქნებოდა სიკვდილისთვის განწირული ადამიანის უკანასკნელი დღეები.

კონსიერჟერიში,, ივლისის რევოლუციამდე არსებობდა და დღესაც არსებობს სიკვდილმისჯილთა დილეგი. იგი კანცელარიის გვერდით არის. დილეგსა და კანცელარიას ნათალი ქვის სქელი კედელი ყოფს. დილეგის მეორე კედელი შვიდი თუ რვა ფუტის სისქისაა და მასზე დაყრდნობილია დაკარგულ ნაბიჯთა,, ვეებერთელა დარბაზის ერთი ნაწილი. დილეგში შედიან პატარა კარით, რომელიც ბნელი დერეფნის ბოლოშია და თუ დაკარგულ ნაბიჯთა,, თაღებიანი დარბაზის კარის საჭვრეტიდან გაიხედავთ, დერეფანში ვერაფერს გაარჩევთ, ისეთი წყვდიადითაა მოცული. პირქუშ ჯურღმულში სინათლე შემოდის საჰაერო მილიდან და მასზედაც რკინის საზარელი ცხაურია მიმაგრებული, რადგან გადის გარეთა მესრის გვერდით, კანცელარიის ფანჯრისა და კონსიერჟერის,, მდივნის ოთახის შუა დარჩენილ ვიწრო კედელში. თვით მდივნის ოთახი არქიტექტორს კარადასავით შეუჩურთავ კარიბჭის მხარეს. როგორც ვხედავთ, ოთხი სქელი კედლის შუა მოქცეული ეს პაწაწინა კარცერი კონსიერჟერის,, გადაკეთების შემდეგ სწორედ ზედგამოჭრილი იყო თავისი შემზარავი და სასტიკი დანიშნულებისთვის. აქედან გაქცევაზე ფიქრსაც ვერვინ გაბედავდა. კარცერებისა და ქალთა განყოფილებისკენ მიმავალი დერეფანი ზედ ბუხართან მთავრდება, სადაც მუდამ ჟანდარმები და ზედამხედველები იყრიდნენ თავს. მიწიდან ცხრა ფუტის სიმაღლეზე ჩატანებული საჰაერო მილი ეზოში გადის და იქაც კონსიერჟერის,, კარიბჭესთან საყარაულოდ ჟანდარმები დგანან. ადამიანის არავითარ ძალას არ შეუძლია ამ სქელ კედლებში გაღწევა. ის კი არა, სიკვდილმისჯილს შეიყვანენ თუ არა დილეგში, მაშინვე ისეთ დასაწყნარებელ ჯვალოს პერანგს გადააცმევენ, რომ პატიმარი ხელსაც ვერ გააქნევს, თანაც საწოლზეა ფეხით მიჯაჭვული. დასასრულ, გუშაგად ცხვარი,, უდგას. დილეგში ქვის ფილაქანია დაგებული, დღის შუქი ძლივძლივობით აღწევს და არაფერი ჩანს. თუ შიგ მოხვდი, დღესაც კი ძვლები გაგეყინება, თუმცა, აგერ თექვსმეტი წელიც იქნება, დილეგს აღარავითარი დანიშნულება აღარა აქვს, ვინაიდან პარიზში სასამართლოს განაჩენს სულ სხვაგვარად აღასრულებენ.

ახლა კი წარმოიდგინეთ საკუთარი სინდისის პირისპირ დატოვებული პატიმარი შიშის ორი წყაროს წყვდიადისა და სიჩუმის ამარა. საკითხავია, ნუთუ აქ კაცი არ გაგიჟდება? რა გამძლეობა უნდა ჰქონდეს, რანაირად უნდა იყოს ნაწრთობი, რომ აიტანოს ეს რეჟიმი, რასაც დაერთვის დამაწყნარებელი პერანგით შექმნილი უმოძრაობა, უმოქმედობა!

ოცდაშვიდი წლის კორსიკელი, თეოდორ კალვი კი ყველაფერს იტანდა. ჯურღმულში გამომწყვდეული, მთელი ორი თვის განმავლობაში ცხვრის,, გაიძვერულ ყბედობასაც უძლებდა! მოგახსენებთ იმ მეტად უცნაური სასამართლო პროცესის შესახებ, სადაც კორსიკელს სიკვდილი მიუსაჯეს. ამბავი მეტად საინტერესო გახლავთ, მაგრამ მოკლედ მოგიყვებით.

ზედმეტია ვრცელი წიაღსვლები, რადგან ამბის დასასრული და კვანძის გახსნა ისედაც საკმაოდ გაჭიანურებული გამოვიდა. ყოველივე ზემოხსენებული იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც შეეხება მოთხრობის დედაბოძს, ჟაკ კოლენს, რომლის შემზარავი ფიგურა ერთმანეთთან აკავშირებს მამა გორიოს,,, გამქრალ ოცნებებსა,, და წინამდებარე ეტიუდს. სავარაუდოა, რომ მკითხველი საკუთარი ფანტაზიით შეავსებს ამ წყვდიადით მოცულ ამბავს, იმ ხანებში რომ თავსატეხი გაუჩინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წევრებს, რომელთა წინაშეც წარდგა თეოდორ კალვი. ერთი კვირის წინ საკასაციო სასამართლომ ბრალდებულს უარი უთხრა შეწყალებაზე, მაგრამ ბატონი დე გრანვილი საქმეს ხელიდან არ უშვებდა და განაჩენის აღსრულებას დღითი დღე აყოვნებდა, რამეთუ მსაჯულთა სინდისის დასამშვიდებლად იღვწოდა და ცდილობდა, სიკვდილის ზღურბლთან მისულ მსჯავრდადებულს დანაშაული ეღიარებინა.

მოკლეს და გაძარცვეს ერთი ნანტერელი ქვრივი, რომლის სახლი ქალაქის განაპირას იდგა, ხოლო თვით ქალაქი, როგორც ვიცით, უნაყოფო დაბლობშია გაშლილი და გარს არტყამს მონვალერიენი, სენჟერმენი, სარტრუვილისა და არჟანტეილის ბორცვები. რამდენიმე დღის წინ ამ ქალს, სრულიად მოულოდნელად, მემკვიდრეობით მიეღო სამი ათასი ფრანკი, ერთი დუჟინი ვერცხლის დანაჩანგალი და ჭურჭელი, ძეწკვიანი ოქროს საათი და თეთრეული. მემკვიდრეობა დაუტოვა ერთმა სირაჯმა, რომლის ნოტარიუსმა ქვრივს თურმე ბევრი უჩიჩინა, სამი ათასი ფრანკი პარიზის ბანკში შეიტანეო, მაგრამ დედაბერს ვერ იქნა და ვერ გადაათქმევინა, შინ უნდა წავიღოო, აეჩემებინა. ასეთი ახირება საკვირველი არ იყო; ამდენი ფული თავის სიცოცხლეში არ ენახა და თან, რა საქმეც უნდა ყოფილიყო, არავის ენდობოდა, როგორც მდაბიოთა წრიდან გამოსულ ადამიანებსა და გლეხებს სჩვევიათ ხოლმე. ცხონებული სირაჯის ნათესავთან, ნანტერელ სირაჯთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ქვრივმა გადაწყვიტა, სამუდამო რენტა შეეძინა, ნანტერში სახლი გაეყიდა, სენჟერმენში გადაბარგებულიყო და ქალაქელი ქალბატონივით ეცხოვრა.

უბადრუკი მესრით შემოღობილ საკმაოდ დიდ ბაღში იდგა ქვრივის უშნო სახლი, სწორედ ისეთი, როგორსაც პარიზის მახლობლად მდებარე სოფლებში იშენებენ წვრილფეხა გლეხები. თაბაშირი და ქვიშაქვა ნანტერში თავსაყრელადაა. ღია ცის ქვეშ, ყოველ ნაბიჯზე, ქვის სატეხი კარიერებია და ყველგან, პარიზის მიდამოების ჩათვლით, ყოველგვარი არქიტექტურული პროექტის გარეშე, საჰაიჰაროდ შენდება ქოხმახები, სადაც მხოლოდ ცივილიზებულ ველურს შეუძლია დაბინავება. ქვრივის სახლი ორსართულიანი იყო, მანსარდით.

ქალის ქმარი ქვის სატეხის მფლობელი გახლდათ. საცხოვრებელი თვითონ აიშენა და ფანჯრებზე სქელი რკინის ცხაური ჩაატანა, კარს კი სიმაგრით არაფერი შეედრებოდა. ცხონებულმა გაითვალისწინა, რომ ტრიალ მინდორზე ცხოვრობდა და მერე როგორ მინდორზე! მუშტრები, ძირითადად, პარიზელი კალატოზები და მშენებლობის ზედამხედველები ჰყავდა. რაკი სახლს ქვის სატეხიდან ხუთასიოდე ნაბიჯზე აშენებდა, მუშტრები უარს არ ეუბნებოდნენ და როცა პარიზიდან ცარიელი ფორნებით ბრუნდებოდნენ,

ყოველგვარ საშენ მასალას უზიდავდნენ. პარიზში, სახლებს რომ იღებდნენ, საჭირო მასალას თვითონ ირჩევდა და თითქმის მუქთად ყიდულობდა. ამგვარად, კარფანჯარა, ცხაურები, დარაბები, მთელი სადურგლო მასალა ნებადართული ყაჩაღობით დაეგროვებინა, ან მუშტრების ნაბოძები საჩუქრები იყო, საგულდაგულოდ რომ შეერჩია. თუ ორ ჩარჩოს შესთავაზებდნენ, საუკეთესოს დასტაცებდა ხელს. სახლის წინ თავლა იდგა. დიდ ეზოს გზის მხარეს გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავანში მსხვილი კარიბჭე იყო ჩატანებული. თავლაში ქოფაკები ჰყავდათ გამომწყვდეული, სახლში კი ღამით ფინიასაც იტოვებდნენ. ეზოს უკან, დაახლოებით ერთ ჰექტარზე, ბაღი ჰქონდათ გაშენებული.

უშვილო ქვრივთან მოახლის გარდა არავინ ცხოვრობდა. ქვის სატეხი ორი წლის წინ გაყიდა და განსვენებული ქმრის ვალები დაფარა. ამ გამოცარიელებული სახლის გარდა, ქალს არაფერი ებადა. ძროხები და ქათმები ჰყავდა და ნანტერში რძესა და კვერცხს ყიდდა. აღარავინ შერჩა, არც მეჯინიბე, არც მეფორნე, არც ქვისმტეხელი მუშები, რომელთაც ცხონებული მისი ქმარი ყოველგვარ ოჯახურ საქმეს ავალებდა. მარტო დარჩენილი ვეღარ უძღვებოდა მეურნეობას, ვეღარ უვლიდა ბაღს და კმაყოფილდებოდა იმით, რასაც ეს ქვიანი ნიადაგი აძლევდა: ბალახითა და ბოსტნეულით.

სახლის საფასური და მემკვიდრეობით მიღებული თანხა შვიდირვა ათას ფრანკამდე აღწევდა. ქალის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, რაკი დარწმუნებული იყო, სენჟერმენში დასახლდებოდა და თავისი შვიდირვა ათასი ფრანკით სამუდამო რენტას შეიძენდა. ნანტერელი სირაჯი ეხვეწებოდა, სამუდამო პროცენტებით მასესხე ფულიო, მაგრამ ქვრივს სხვა ედო გულში და სენჟერმენელ ნოტარიუსს ეთათბირებოდა. ასეთი ვითარება გახლდათ შექმნილი, როცა ქვრივი და მისი მოახლე უცბად გაქრნენ. ეზოს რკინის ჭიშკარი, სახლის კარი, დარაბები, ყველაფერი დაკეტილი იყო. ეს ამბავი სასამართლოს აცნობეს. სამი დღის შემდეგ პარიზიდან ჩამობრძანდნენ გამომძიებელი ბატონი პოპინო და სამეფო სასამართლოს პროკურორი. მათ დაადგინეს: არც ალაყაფსა და არც სახლის კარს შემტვრევის კვალი არ ეტყობოდა, შესასვლელ კარს გასაღები, ჩვეულებისამებრ, შიგნიდან ჰქონდა გაკეთებული. არც ერთი რკინის ურდული არ შეერყიათ. ბოქლომები, საკეტები ხელუხლებლად დაეტოვებინათ.

არც გალავანზე ჩანდა ბოროტმოქმედთა გადმოძრომის ნიშნები. თიხის მეტად ვიწრო საკვამურში ვერავინ ჩაძვრებოდა. კრამიტებზეც არავის გაევლო, მთელი იყო და თავის ადგილზე ეწყო. მეორე სართულზე მაგისტრატებს, ჟანდარმებსა და ბიბილუპენს ქვრივი და მისი მოახლე თავთავიანთ საწოლებში დაუხვდნენ საკუთარი ხილაბანდებით დამხრჩვალნი. გაეტაცათ სამი ათასი ფრანკი, ვერცხლეული და ოქროს ნივთები. ორივე გვამი გახრწნილიყო, ქოფაკისა და ფინიას გვამებიც ყარდა. ბაღის ღობე ბევრი ათვალიერეს, მაგრამ ყველაფერი წესრიგში დაუხვდათ. ბაღში, კვლებზე, ბილიკებზე არავითარი ნაფეხური არ შეიმჩნეოდა. გამომძიებელი ვარაუდობდა, ალბათ, ბალახზე დადიოდნენ, კვალი რომ არ დაეტოვებინათო, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო და აქედან შემოსულიყვნენ, როგორ შეაღწიეს სახლში? ბაღის

მხრიდან კარს რკინის სამი ურდული ედო და სამივე ისე იყო გამაგრებული, ჩანდა, ხელი არ ეხლოთ. აქაც გასაღები შიგნით იყო, როგორც ეზოს მხრიდან.

ბიბილუპენმა, რომელმაც მთელი დღე მოანდომა სახლისა და მისი ეზოს შემოწმებას, ბატონმა პოპინომ, თვით სამეფო სასამართლოს პროკურორმა და ნანტერის საყარაულო რაზმის ოფიცერმა ერთხმად აღიარეს და საბოლოოდ დაადგინეს, რომ ამგვარად სახლში შესვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მკვლელობა თავზარდამცემ ამოცანად რჩებოდა და იქმნებოდა საშიშროება, რომ ვერც პოლიციის აგენტთა პოლიტიკა და ვერც მართლმსაჯულება ვერაფერს მიხვდებოდა.

ეს ტრაგიკული შემთხვევა 1829 წლების ზამთარში მოხდა და მისი ამბავი სასამართლოს გაზეთშიაც,, გამოქვეყნდა. ღმერთმა უწყის, ამ მეტად უცნაური ამბის თაობაზე რა მითქმამოთქმა ატყდა პარიზში, მაგრამ ეს ქალაქი ყოველ დილას ამის მსგავს იმდენ დრამას ნთქავს და ინელებს, რომ მალე ივიწყებს ყველაფერს. მხოლოდ პოლიციას არ ავიწყდება არაფერი. უშედეგო ძიების შემდეგ სამი თვე გავიდა. ერთ მშვენიერ დღეს ერთმა კახპამ, რომელიც ბიბილუპენის აგენტებს თვალში ჰყავდათ ამოღებული ქურდებთან ახლო მეგობრობის გამო, თავის დაქალს დახმარებისთვის მიმართა; უნდოდა, დაეგირავებინა დუჟინი სუფრის ვერცხლეული და ძეწკვიანი ოქროს საათი. ამხანაგისგან უარი მიიღო. ბოლო ხანებში ეს გომბიო ფულს ხელგაშლით ანიავებდა. ბიბილუპენმა ამ ამბავს ყური მოჰკრა და მყისვე გაახსენდა ნანტერში გატაცებული დუჟინი სუფრის ვერცხლეული, ოქროს საათი და ძეწკვი. დაუყოვნებლივ აცნობა პარიზის ლომბარდის კომისიონერებს, შემსყიდველებს. თავის მხრივ, ბიბილუპენმა სასტიკი მეთვალყურეობა დაუწესა ქერა მანონს.

მალე შეატყვეს, ქერა მანონს გაგიჟებით შეჰყვარებოდა ერთი ყმაწვილი, რომლისთვისაც თვალი ჯერ არავის მოეკრა. ამბობდნენ, ბიჭი ქერა მანონისადმი მეტისმეტად გულგრილიაო. ერთი საიდუმლოს გახსნას მეორის გახსნა მოჰყვა. ჯაშუშებმა მალე მიაგნეს ყმაწვილის კვალს. დაადგინეს კიდეც, რომ იგი გამოქცეული კატორღელი იყო, კორსიკულ შურისძიებათა ცნობილი გმირი, მშვენიერი თეოდორ კალვი, რომელსაც მეტსახელად მადლენს ეძახდნენ.

თეოდორს მიუჩინეს გადაცმული კომისიონერი, რომელიც ქურდებსაც ემსახურებოდა და პოლიციასაც. იგი თეოდორს დაჰპირდა, ვერცხლეულსაც, ოქროსაც და ძეწკვსაც ვიყიდიო. ღამის II საათზე, როცა სენგიომის მოედანზე მეძველმანე ქალის ტანსაცმელში გადაცმულ თეოდორს ფულს უთვლიდა, პოლიცია თავს დაესხა. თეოდორი დააპატიმრეს, ნივთები ჩამოართვეს.

მაშინვე დაიწყო გამოძიება. პროკურატურის ენით რომ ვთქვათ, ასეთი უსუსური დამამტკიცებელი საბუთებით ბრალდებულს ვერ წაუყენებდნენ მუხლს, რაც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. კალვის ერთხელაც არ წაუფორხილებია, ერთხელაც არ გადაუხვევია პირველი ჩვენებისგან. ამბობდა, ერთმა არჟანტეიელმა გლეხის ქალმა მომყიდა

ეს ნივთები და მხოლოდ მოგვიანებით, როცა ნანტერში მომხდარმა მკვლელობამ ჩემს ყურამდეც მოაღწია, მივხვდი, რა საფრთხეში ვიგდებდი თავს ამ ვერცხლეულისა და ოქროს ნივთების წყალობით, რომლებიც შეტანილი იყო პიჟოს ქვრივის ბიძის, პარიზელი სირაჯის გარდაცვალების შემდეგ შედგენილ ქონების აღწერაში; მერე ისე გამიჭირდაო, ამბობდა თეოდორ კალვი, იძულებული გავხდი, გამეყიდა. დახმარება კი ისეთი ადამიანისთვის უნდა მეთხოვა, რომელსაც ვერაფერს დააბრალებდნენო.

სხვა ვერაფერი გამოსტყუეს კატორღიდან გამოქცეულს. ისე მტკიცედ ეჭირა თავი და ზედმეტს არაფერს ამბობდა, რომ სასამართლოს ეჭვი შეეპარა ნანტერელ სირაჯზე. იფიქრეს, თეოდორს რომ ნივთები მიჰყიდა, უთუოდ მისი ცოლი იქნებოდაო. პიჟოს ქვრივის საბრალო ნათესავი და მისი მეუღლე დააპატიმრეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, გულმოდგინედ ჩატარებული გამოძიების შედეგად, დადგინდა, რომ არც ცოლსა და არც ქმარს სახლიდან ფეხი არ გაედგათ ბოროტმოქმედების ჩადენის დროს. ესეც არ იყოს, თვით კალვიმაც სირაჯის მეუღლეში ვერ შეიცნო ის ქალი, რომელმაც, მისი მტკიცებით, ვერცხლეული და ოქროს ნივთები მიჰყიდა.

საქმეში კალვის ხასაც გადიოდა. მას დაუმტკიცდა, რომ მკვლელობის დღიდან, სანამ კალვი ვერცხლეულსა და ოქროს ნივთებს დასაგირავებლად მიიტანდა, დაახლოებით ათასი ფრანკი გაფლანგა. ეს საბუთები კმაროდა იმისთვის, რომ კატორღელისა და მისი ტურფას საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადასცემოდა. ეს მკვლელობა თეოდორისთვის მეთვრამეტე იყო და სიკვდილით დასჯის განაჩენიც გამოუტანეს, ვინაიდან ჩანდა, სწორედ ის უნდა ყოფილიყო აგრერიგად მარჯვედ ჩაფიქრებული ბოროტმოქმედების სულისჩამდგმელი. და თუ მან ვერ იცნო ნანტერელი სირაჯის მეუღლე, სამაგიეროდ ის ცოლქმარმა იცნო. მრავალი მოწმის დაკითხვის შედეგად დადგინდა, რომ თეოდორი თითქმის ერთი თვე ნანტერში იყო, კალატოზებს ეხმარებოდა. პირი გაჯით ჰქონდა შეთხუპნილი და დაგლეჯილი ტანსაცმელი ეცვა. ნანტერში თვრამეტი წლისაზე მეტი არ ეგონათ ბიჭი, რომელმაც ერთ თვეში გამოკვება ჩვილი,, (მოამზადა დანაშაული).

პროკურატურა თეოდორ კალვის თანამონაწილეებს ეძებდა. საკვამურები გაზომეს და ქერა მანონის წელის სიგანეს შეადარეს, მაგრამ აშკარა იყო, ექვსი წლის ბავშვიც კი ვერ ჩაძვრებოდა თიხის მილებში, რომლებითაც თანამედროვე ხუროთმოძღვრებმა ძველებური განიერი ბუხრების საკვამურები შეცვალეს. თუ არა გამოუცნობი და საოცარი საიდუმლოება, რის გახსნასაც საშველი არ დაადგა, თეოდორისთვის ერთი კვირის წინვე უნდა მოეკვეთათ თავი. როგორც დავინახეთ, ციხის მოძღვარმა მასთან ვერაფერი გააწყო და ფარხმალი დაყარა.

ჟაკ კოლენს ისე გამოეპარა ეს საქმე, რომ მეგობრის გვარისთვის კალვისთვისაც კი არსად მოუკრავს ყური. იმხანად კონტანსონთან, კორანტენსა და პერადთან იყო გააფთრებულ ბრძოლაში ჩაბმული. ამასთან, გააბითურე სიკვდილი,, ცდილობდა, მეგობრები,, დაევიწყებინა, წარსულისთვის სამუდამოდ ჩაებარებინა ყოველივე, რასაც მართლმსაჯულების სასახლესთან ჰქონდა რაიმე საერთო. შიშით გული უსკდებოდა,

პირისპირ არ შეჰყროდა რომელიმე ამფსონი, ვისაც შეეძლო უსტასაგან,, ანგარიშის გასწორება მოეთხოვა; ჟაკ კოლენს კი აღარაფერი გააჩნდა.

კონსიერჟერის,, დირექტორი დაუყოვნებლივ გაემართა გენერალური პროკურორის კანცელარიისკენ. აქ პროკურორის პირველი მოადგილე ბატონ დე გრანვილს ესაუბრებოდა და ხელში სიკვდილით დასჯის ბრძანება ეჭირა. ბატონ დე გრანვილს მთელი ღამე დე სერიზთა სასახლეში გაეტარებინა, რადგან ექიმები ჯერ კიდევ გადაჭრით ვერ ამბობდნენ, გრაფინიას გონება დაუბრუნდებაო. მწუხარებისა და დაღლილობისაგან ძალაგამოცლილი ბატონი დე გრანვილი სწორედ სიკვდილით დასჯის საქმეზე მოსულიყო რამდენიმე საათით პროკურატურაში. დირექტორთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ პროკურორის პირველ მოადგილეს ბრძანება გამოართვა და გოს გადასცა:

განაჩენი აღასრულეთ, უთხრა მან, თუ რაიმე არაჩვეულებრივი მოხდა, თქვენი კეთილგონიერების იმედი მექნება. ეშაფოტის დადგმა იქნებ თერთმეტ საათამდე არ მოესწროს. ერთი საათი კიდევ გრჩებათ. დღეს ისეთი დილა გაგვითენდა, რომ საათი საუკუნეს უდრის, ხოლო საუკუნეში რა არ შეიძლება მოხდეს! ვადის გაგრძელებით ნუ დააიმედებთ. ჩაცმაც დაიწყონ, თუკი საჭიროდ ჩათვლით. ვითარება თუ არ შეიცვლება, გაეცით ბრძანება, სანსონი მზად იყოს ათის ნახევარზე! არა უჭირს, დაელოდოს!

საპატიმროს დირექტორი გენერალური პროკურორის კაბინეტიდან გავიდა თუ არა, თაღებიან გასასვლელში შეეჩეხა ბატონ კამიუზოს, რომელიც ქვემოდან მოდიოდა. დირექტორმა გამომძიებელს მოკლედ უამბო ყველაფერი ჟაკ კოლენზე და ქვემოთ დაეშვა, რათა გააბითურე სიკვდილი,, და მადლენი ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა. მაგრამ თვითმარქვია მოძღვარს მანამდე არ მისცა სიკვდილმისჯილთან შესვლის ნება, სანამ ჟანდარმის ტანსაცმელში ბრწყინვალედ შენიღბულმა ბიბილუპენმა კორსიკელისთვის სათვალთვალოდ მიჩენილი ცხვარი,, არ შეცვალა.

უაღრესად ძნელი წარმოსადგენია, რარიგ გაშტერდა სამი კატორღელი, როცა ზედამხედველი ჟაკ კოლენთან მივიდა, რათა სიკვდილმისჯილის დილეგში ხლებოდა. კატორღელები ერთი ნახტომით მიცვივდნენ სკამთან, რომელზეც ჟაკ კოლენი იყო დაბრძანებული.

გამოდის, დღეს აუგებენ წესს, ბატონო ჟიულიენ? ჰკითხა აბრეშუმწვერამ,, ზედამხედველს. სწორედ ეგრეა. შარლო უკვე აქ არის, მიუგო სრულიად გულგრილად ზედამხედველმა.

პარიზში ხალხი და საპატიმროს მკვიდრნი შარლოს,, უწოდებენ უზენაეს საქმეთა აღმასრულებელს. ეს შერქმეული სახელი 1789 წელს, რევოლუციის პერიოდში წარმოიშვა. შარლოო, რომ გაიგეს, ყველა მღელვარებამ მოიცვა. პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

გათავდა! დასძინა ზედამხედველმა, ბატონ გოს უკვე მოუვიდა ბრძანება განაჩენის აღსრულების თაობაზე. განაჩენიც წაუკითხეს.
მაშ, ასე, ჩაურთო კანტალამ,,, მშვენიერი მადლენი ყველა წმიდათაწმიდა საიდუმლოს ეზიარა? უკანასკნეად ჩაყლაპა ჰაერი?

საბრალო ბიჭუნა! შეჰყვირა კონკიაჟღარუნამ,,, რა კარგი ბიჭი იყო ჩვენი თეოდორი! რა სამწუხაროა, ასე ახალგაზრდამ დააცხიკო და სული გამოუშვა...

ზედამხედველი კარიბჭისკენ გაეშურა. დარწმუნებული იყო, ჟაკ კოლენი უკან მისდევდა, მაგრამ ესპანელი ფეხს ითრევდა და როცა ათი ნაბიჯით ჩამორჩა ჟიულიენს, ვითომ ძალა წამერთვაო, კანტალას,, ხელით ანიშნა, მომეშველეო.

ეგ ხომ მკვლელია! მიმართა ნაპოლიტასმა მოძღვარს, კანტალაზე,, ანიშნა და თვითონ გაუწოდა დასახმარებლად ხელი.

ოჰ, არა, ეგ ჩემთვის უბედურია! მიუგო გააბითურე სიკვდილმა,,, რომელიც არასოდეს იბნეოდა და მირონცხებული კამბრეელი არქიეპისკოპოსივით ეჭირა თავი.

ჟაკ კოლენი გაშორდა ნაპოლიტასს, რომელიც პირველი შეხედვისთანავე მეტად საეჭვოდ ეჩვენა.

მან მონანიების სავანის,, პირველ საფეხურზე შედგა ფეხი! მაგრამ მე ხომ ამ სააბატოს იღუმენი ვარ! ნახავთ, როგორ ვუცხუნებ წეროს,, (რა დღეს დავაყრი გენერალურ პროკურორს), ბრჭყალებიდან გამოვგლეჯ მაგის სორბონს,,.

მისი ამჭიმების,, გამო? ჩაიქირქილა აბრეშუმწვერამ,,.

მინდა მისი სული უზენაესს მივუძღვნა! დამწუხრებული კილოთი თქვა ჟაკ კოლენმა, რადგან რამდენიმე ტუსაღი მიუახლოვდა, მერე მეგობრებს ზურგი აქცია და კარიბჭესთან დაეწია ზედამხედველს.

სწორედაც მადლენის გადასარჩენად მოსულა! თქვა აბრეშუმწვერამ,,, ზუსტად გამოვიცანი. ოჰ, რა უსტაა!,,

მერედა, როგორ მოახერხებს? გილიოტინის ჰუსარები,, უკვე აქ არიან, ველარც კი მოასწრებს მის ნახვას, შენიშნა კონკიაჟღარუნამ,,.

ხაბაზი,, მაგის მხარეზეა! შეჰყვირა კანტალამ,,, ეგა და მაყუთის,, აწევა?! ო, როგორ უყვარს მეგობრები,,! თან ძალიან საჭირონი ვართ მისთვის! დახე, რა მოინდომეს, სარმა გამოგვედო ჩვენი უსტასთვის. რა ჰგონიათ, ვიღაც ყეყეჩები კი არა ვართ, ვერ მივართვით! თუ დააძვრენს მადლენს, ჩემი მაყუთი,, მისი ფეშქაში იყოს!

ამ სიტყვებმა სამ კატორღელს უფრო მეტად გაუღვივა ერთგულების გრძნობა თავიანთი ღვთაებისადმი, რამეთუ ამიერიდან მთელი მათი იმედი სახელგანთქმულ უსტაზე,, იყო დამყარებული.

ჟაკ კოლენმა თავის როლს არ უღალატა, თუმცა მადლენს აღსასრული უახლოვდებოდა. იმ სამი კატორღელივით ისიც ხუთი თითივით იცნობდა კონსიერჟერის,,, მაგრამ ისე ბუნებრივად ებნეოდა გზა, რომ ზედამხედველი იძულებული ხდებოდა, სანამ კანცელარიაში მივიდოდნენ, წამდაუწუმ ეკარნახა: აქეთ, იქით!,,

კანცელარიაში ჟაკ კოლენმა მაშინვე შეამჩნია ბუხართან აყუდებული მაღალი და სქელსქელი კაცი, რომლის გაჟინჟღილებულ გრძელ სახეს თითქოსდა კეთილშობილებაც არ აკლდა, მან იცნო სანსონი.

ბატონი მოძღვარი ბრძანდება? იკითხა გულუბრყვილოდ ჟაკ კოლენმა და მისკენ გაემართა.

ეს გაუგებრობა იმდენად შემზარავი გახლდათ, რომ მაყურებლებს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

არა, ბატონო, მიუგო სანსონმა, მე სულ სხვა ვალდებულება მაკისრია, ეს სანსონი ძე გახლდათ იმ სანსონისა, რომელმაც ლუი XVIს თავი მოჰკვეთა. ჯალათთა დინასტია კი მის შვილზე შეწყდა, რადგან ჭაბუკმა მამაპაპისეულ ხელობაზე გული აიყარა და ამ ცოტა ხნის წინ კიდევაც გადადგა თანამდებობიდან.
ოთხასი წელიწადი ემსახურებოდნენ ამ საქმეს სანსონები და ამდენ ჯალათთა მემკვიდრემ გადაწყვიტა, მემკვიდრეობით მიღებული ტვირთი მოეცილებინა. რუენის ჯალათები, სანსონები, XIII საუკუნიდან მოყოლებული, ორი საუკუნის განმავლობაში, სანამ მათ სამეფოს ამ უმაღლეს თანამდებობას უბოძებდნენ, სასამართლოს განაჩენის აღმასრულებლები იყვნენ და ეს ხელობა მამიდან შვილზე გადადიოდა. განა ბევრია ისეთი ოჯახი, რომელსაც უფლება აქვს, დაიტრაბახოს, რომ მისი საგვარეულო მთელი ექვსი საუკუნე ერთსა და იმავე საქმეს ერთგულად ასრულებდა, ანდა კეთილშობილთა წრეს ეკუთვნოდა. სწორედ მაშინ, როცა ყმაწვილკაცს ბედმა გაუღიმა, კავალერიის კაპიტნის ჩინი მიიღო და სამხედრო ასპარეზზე მნიშვნელოვანი წინსვლა ელოდებოდა, მამამ უბრძანა დასწრებოდა მეფის სიკვდილით დასჯას. მერე სულაც თავის მოადგილედ დანიშნა. ეს იყო 1793 წელს, როცა გილიოტინისთვის მუდმივმოქმედი ორი ეშაფოტი აღმართეს: ერთი ტახტის მოედანზე, მეორე გრევის. ამჟამად ეს საშინელი თანამდებობის პირი სამოც წელს იყო მიღწეული. ახოვანი აღნაგობით,

თავაზიანი მოქცევითა და ღირსეული თავდაჭერით გამოირჩეოდა. ზიზღით უყურებდა ბიბილუპენსა და მის დამქაშებს, გილიოტინის მომმარაგებლებს. მის ძარღვებში შუა საუკუნეთა ჯალათების სისხლი რომ ჩქეფდა, სხვა ვერაფრით შეატყობდით, გარდა შემზარავად დაჯირჯვლებული, მსხვილძვალა ხელებისა. საკმაოდ განათლებული კაცი იყო, დიდად აფასებდა საკუთარ ღირსებას მოქალაქისა და ამომრჩევლისა და როგორც ამბობდნენ, ბაღის მოვლაგაშენებით იყო გატაცებული. ეს მაღალი, ფართოშუბლიანი, მელოტი, ბრგე ვაჟკაცი არასოდეს აღელდებოდა; ბუნებით მშვიდი იყო, საუბარიც ხმადაბლა სჩვეოდა და უფრო ინგლისელ არისტოკრატს ჰგავდა, ვიდრე უზენაეს საქმეთა აღმასრულებელს. ამიტომ ესპანელ კანონიკს მართლაც შეეძლო დაეშვა შეცდომა, განგებ რომ ჩაიდინა ჟაკ კოლენმა .

ეგ კატორღაში ნამყოფი არ არის, უთხრა ზედამხედველმა დირექტორს. დირექტორმაც თავი დაუქნია ხელქვეითს და გულში თქვა: მეც ასე ვფიქრობ,,.

ჟაკ კოლენი შეიყვანეს ბნელ ჯურღმულში, სადაც დასამშვიდებელ პერანგში გახვეული ახალგაზრდა კალვი საშინელი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო. დილეგში დერეფნიდან უცბად სინათლე შემოიჭრა და გააბითურე სიკვდილმა,, მყისვე იცნო ჟანდარმის ფორმაში გამოწყობილი, ხმალზე დაყრდნობილი ბიბილუპენი.

ო სონო ებეორტო! ±ერჯე ნოსტრო იტეჯიანო

(გააბითურე სიკვდილი,, ვარ, იტალიურად ვილაპარაკოთ), სხაპასხუპით მიაყარა ჟაკ კოლენმა, ვენჯე ტი სეჯვერ
(შენს გადასარჩენად მოვედი).

ყველაფერი, რასაც ერთმანეთს ეტყოდნენ მეგობრები, გაუგებარი უნდა დარჩენილიყო ბიბილუპენისთვის, ამ ცრუ ჟანდარმისთვის. მას კი რა ჩარა ჰქონდა, პატიმრის საყარაულოდ გამწესებული, დილეგიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა. ვერ აგიწერთ, როგორ გაცოფდა საიდუმლო პოლიციის უფროსი.

თეოდორ კალვის, სულ ახალგაზრდა ქერათმიან კაცს, გაცრეცილ სახეზე ოდნავ მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ამღვრეული ლურჯი თვალები ჩასცვივნოდა. საოცრად პროპორციული აგებულების იყო, დაკუნთული და მოქნილი სხეული ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთი სამხრეთელივით ისე მოდუნებული და დონდლო ჩანდა, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ასე ღონიერი იყო. ულამაზეს ბიჭად ჩაითვლებოდა, დაბალ შუბლსა და მორკალურ წარბებს რომ არ დაეუშნოებინა, რაც ჭაბუკს ბოროტ გამომეტყველებას აძლევდა. თან კაციჭამიასავით წითელი ტუჩები ჰქონდა და სახეზე კუნთები ხშირად უთრთოდა. ყოველივე ეს გვიდასტურებდა, თუ რაოდენ თავშეუკავებელი უნდა ყოფილიყო მრისხანების ჟამს ყველა კორსიკელივით, ვისაც უბრალო წაკინკლავებაზეც კი შეუძლია მოკლას კაცი.

ჟაკ კოლენის ხმა რომ შემოესმა, თეოდორს ძალიან გაუკვირდა, უცბად ასწია თავი, ეგონა, მომეჩვენაო, მაგრამ ამ ქვის კოლოფში გამეფებულ უკუნეთ სიბნელეს მიჩვეულმა მალე შენიშნა ცრუ მოძღვარი და მწარედ ამოიგმინა, ვერ იცნო ჟაკ კოლენის გოგირდმჟავათი დამწვარდახრაკული სახე, ვერ მიამსგავსა თავის უსტას,,.

შენი ჟაკი ვარ. მღვდლის ანაფორაში გადაცმული მოვედი შენს დასახსნელად. არ გასულელდე და არ მიცნო. ახლა კი ისე მოიქეცი, ვითომ აღსარებას მეუბნები.

ჟაკ კოლენმა ერთ წამში მიაყარა ეს ყოველივე.

ყმაწვილი მთლად დაძაბუნებულია, სიკვდილის შიშს შეუპყრია. მალე ყველაფერს აღიარებს, უთხრა ჟაკ კოლენმა ჟანდარმს.
ისეთი რამ მითხარი, რაც დამიდასტურებს, რომ შენ ის,, ხარ, რადგან მისი,, მხოლოდ ხმა შეგრჩენია.

ხომ ხედავთ, ეს უბედური მეუბნება, სრულიად უდანაშაულო ვარო, მოახსენა ჟანდარმს ჟაკ კოლენმა.

ბიბილუპენი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, ვაითუ, მიცნოსო.

შეშ§რე ში

! მიუბრუნდა თეოდორს ჟაკ კოლენი და პაროლი ყურში უთხრა.

შეშ§რე ტი

! პაროლზე პაროლითვე უპასუხა ჭაბუკმა, შენ მართლაც ჩემი უსტა,, ხარ...

შენი ნამოქმედარია?

ჰო.

მიამბე ყველაფერი. ხომ უნდა გავარკვიო, რა გავაკეთო შენს დასახსნელად. იჩქარე, შარლო აქ არის.

კორსიკელი მაშინვე მუხლებზე დაემხო, ვითომ აღსარების თქმას აპირებდა. ბიბილუპენს თავგზა აებნა, არ იცოდა, რა ექნა. ჟაკ კოლენისა და თეოდორის საუბარი გაცილებით მცირე ხანს გაგრძელდა, ვიდრე მისი აღწერის წაკითხვას მოანდომებთ. თეოდორმა მოკლედ უამბო, რა პირობებში ჩაიდინა ბოროტმოქმედება; ჟაკ კოლენმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, თუმცა ჩემი დანაშაულის დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნიათ, თქვა ბოლოს თეოდორმა.
ბავშვო, შენ ლათაიებს მიყვები მაშინ, როცა თმის გადაპარსვას გიპირებენ!

რა იყო, განა არ შეეძლოთ მხოლოდ ძვირფასი ნივთების დაგირავების გამო წაეყენებინათ ბრალდება? ხომ ხედავ, როგორ ასამართლებენ ადამიანს, ისიც პარიზში?!

მომიყევი, როგორ იყო საქმე, უთხრა გააბითურე სიკვდილმა,,.

ახლავე მოგახსენებ: მას შემდეგ, რაც შენ დაგშორდი, ერთი პატარა კორსიკელი გოგო გავიცანი, პანტენში,, (პარიზში) რომ ჩამოვედი, მაშინ.

კაცი რომ ისე გაბრიყვდება და ქალს შეიყვარებს, მისი გადამკიდე თავსაც წააგებს, შესძახა ჟაკ კოლენმა, დედაკაცები ხომ თავისუფლად გაშვებული ვეფხვები არიან, ენას რომ ატარტარებენ და სარკეში იყურებიან... ჭკვიანურად ვერ მოქცეულხარ!

მაგრამ...

ჰო, კარგი, რა სიკეთეს გწია მაგ წყეულმა გომბიომ?

რომ იცოდე, რა მარწყვივით გოგოა, ლერწამივით აშოლტილი, ნემსის ყუნწში გაძვრება, ისე წვრილი წელი აქვს, მაიმუნივით მარჯვეა. ჰოდა, ეს გოგო საკვამურიდან ჩაძვრა და კარი გამიღო.

ძაღლებს საწამლავი დავუყარეთ და ფეხები გაფშიკეს. ორივე დედაკაცი მე ჩავაცივე,.. ფული წამოვიღეთ. ჟინეტამ კარი დაკეტა და ისევ საკვამურიდან გადმოძვრა.

შესანიშნავი გამოგონებაა, სიცოცხლის გაწირვად ღირს, უთხრა ჟაკ კოლენმა, რომელიც ბოროტმოქმედების ასე ოსტატურად გაჩარხვამ ისევე აღაფრთოვანა, როგორც მოქანდაკეს აღაფრთოვანებს თავისი ქანდაკების მოდელი.

სისულელე ჩავიდინე. მთელი ჩემი ნიჭი რაღაც ათას ეკიუს შევალიე!

არა, ქალს! ჩაურთო ჟაკ კოლენმა, ხომ გეუბნებოდი, ეგენი თავს დაგაკარგვინებენმეთქი!

ჟაკ კოლენმა ზიზღით სავსე მზერა მიაპყრო თეოდორს.

შენ ჩემთან არ იყავი! მიუგო კორსიკელმა, და მარტოდმარტო დავრჩი.

გიყვარს ეგ გოგო? ჰკითხა ჟაკ კოლენმა, რომელსაც გულში მოხვდა თეოდორის საყვედური.

ოჰ, თუ გადავრჩი, მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ. გოგოებისთვის აღარ გავიცხელებ თავს.

არხეინად ბრძანდებოდე! ტყუილად კი არ მეძახიან გააბითურე სიკვდილს,,! შენს გადარჩენას მე ვკისრულობ!

ნუთუ ვიცოცხლებ? შესძახა კორსიკელმა ბიჭმა და ტომარაში გახვეული ხელები ნესტიანი დილეგის ჭერისკენ აღაპყრო.

ჩემო პატარა მადლენ, გაემზადე ჭალაში,, დასაბრუნებლად, დასძინა ჟაკ კოლენმა, მაგას კი ვეღარ გადაურჩები. აბა, სააღდგომო ბატკანივით ყვავილებით ხომ არ შეგამკობენ! ერთხელ თუ ნალებით დაგვჭედეს,, და როშფორში გვიკრეს თავი, ეგ იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი თავიდან მოშორება უნდოდათ! მაგრამ მე მოგიხერხებ ტულონში გაგზავნას. იქიდან ადვილად გამოიქცევი, პანტენში,, ჩამოხვალ, სადაც მე მოგაყუჩებ და შენ გემოზე იცხოვრებ, ფარულად...

უცბად ამ შეურღვეველ კედლებში გაისმა ისეთი გმინვა, რომლის მსგავსიც აქ არავის სმენია. ეს იყო ხსნის იმედით აღძრული სიხარულის ამონაკვნესი; ფილაქანზე აირეკლა ბგერა, რასაც ბადალი არ მოეძებნება მუსიკაში, ბიბილუპენის სმენას მისწვდა და საიდუმლო პოლიციის უფროსი ერთ ადგილზე გააშეშა.

დიახ, ეს გახლავთ შედეგი გულწრფელი აღსარების ჯილდოდ მიღებული ცოდვების სრული განტევებისა, უთხრა ჟაკ კოლენმა ბიბილუპენს, ხომ ხედავთ, კორსიკელები ღრმად მორწმუნენი არიან! მაგრამ ეს ბიჭი ჩვილი იესოსავით უცოდველია და მე შევეცდები, ვიხსნა იგი...
ღმერთმა გაკურთხოთ, ბატონო აბატო! ფრანგულად უთხრა თეოდორმა.

გააბითურე სიკვდილი,, ახლა კანონიკ კარლოს ერერას ისე ჰგავდა, როგორც არასდროს. სიკვდილმისჯილის დილეგიდან გამოვიდა და სწრაფი ნაბიჯით დერეფანს გაჰყვა. და როცა ბატონ გოს წარუდგა, სახეზე უკიდურესი შეშფოთება ჰქონდა აღბეჭდილი.

ბატონო დირექტორო, ყმაწვილი სრულიად უდანაშაულოა, ისიც გამიმჟღავნა, ვინ ჩაიდინა ეს ბოროტმოქმედება! სიკვდილი ამჯობინა და ამხანაგი კი ვერ გათქვა! ეგ ხომ კორსიკელია! გევედრებით, მიდით, გენერალურ პროკურორთან და გამოსთხოვეთ ჩემთვის ხუთი წუთის აუდიენცია. ბატონი დე გრანვილი, დარწმუნებული ვარ, არ დააყოვნებს და მოუსმენს ესპანელ მღვდელს, ფრანგული მართლმსაჯულების მიერ დაშვებული შეცდომით ესოდენ გაწამებულ ადამიანს!

მივდივარ! მიუგო ბატონმა გომ, რომლის უეცარმა თანხმობამ ამ მეტად უჩვეულო სცენის მაყურებლები განაცვიფრა.

მანამდე კი, განაგრძო ჟაკ კოლენმა, უბრძანეთ, ეზოში დამაბრუნონ, საბოლოოდ უნდა მოვაქციო ერთი პატიმარი, რომელსაც გული უკვე მოვულბე... იცით, მაგ ადამიანებსაც აქვთ გული!

მის სხარტად ნათქვამ სიტყვაზე დამსწრე საზოგადოებას შეაზანზარა. ჟანდარმებს, კანცელარიის მწერალს, სამსონს, ზედამხედველებს, ჯალათის თანაშემწეს, რომელიც ელოდებოდა განკარგულებას ჩაერთო მანქანა,,, როგორც ციხეში ამბობენ, ყველა აქ მყოფთ იოლად ვერაფერი ააღელვებდა და ახლა კი მძაფრი ცნობისმოყვარეობა გაეღვიძათ, რაც სრულიად გასაგები იყო.

სწორედ ამ დროს სანაპიროს მხრიდან რაღაც აგრუხუნდა და კონსიერჟერის,, კარიბჭესთან მყისვე წმინდა სისხლის ცხენებმა თქარათქურით მოაგრიალეს მდიდრული კარეტა. კარეტის კარი ისე სწრაფად გაიღო, ისე ფიცხლად ჩამოუშვეს სატერფულები, რომ ყველა მოელოდა ვიღაც გავლენიანი პირის გამოჩენას. მალე გადმობრძანდა ერთი ქალბატონი, ხელში ლურჯ ქაღალდს აფრიალებდა. უკან მოსდევდნენ მეტერფულე ლაქია და ჰაიდუკი. ტანთ ძვირფასი, შავი სამოსი ეცვა. ქუდზე სქელი პირბადე ჰქონდა ჩამოშვებული. დიდი, მოქარგული ხელსახოცით ცრემლს იწმენდდა.

ჟაკ კოლენმა მაშინვე იცნო აზია, ანუ, თუ საკუთარ სახელს დავუბრუნებთ, ჟაკლინ კოლენი, თავისი მამიდა. ეს საშინელი ქალი სწორედ ღირსეული მამიდა ბრძანდებოდა ძმისწულისა. მთელი გულისყური პატიმრისკენ ჰქონდა მიპყრობილი და მას ისეთი გონიერებით, ისეთი გამჭრიახობით იცავდა, რომ ტოლს არ უდებდა თვით მართლმსაჯულებას. წინადღეს ბატონი დე სერიზის შუამდგომლობით ჰერცოგინია დე მონფრინიეზის პირისფარეშის სახელზე ციხეების უფროსის რეზოლუციითა და ხელმოწერით გაიცა საშვი, რისი მეოხებითაც მის წარმომდგენს ნება ეძლეოდა, ენახა ლუსიენი და აბატი კარლოს ერერა მაშინვე, როგორც კი მას კარცერიდან გამოიყვანდნენ. ქაღალდის ფერი თავისთავად მეტყველებდა გავლენიან რეკომენდაციაზე, რამეთუ ნებართვები, თეატრის კონტრამარკების მსგავსად, ფერითაც და ფორმითაც განირჩევიან.

ამიტომ მეკარემ არ დააყოვნა კარიბჭის გაღება, მით უმეტეს, რომ თვალში ეცა ჰაიდუკის ბუმბულიანი ქუდი და რუსი გენერლის მუნდირივით ბრჭყვიალა, ოქროს სირმებით ამოქარგული მწვანე ქურთუკი. ყოველივე იუწყებოდა, რომ სტუმარი არისტოკრატიას ეკუთვნოდა, ვინ იცის, იქნებ სამეფო საგვარეულოსაც.

აჰ, ძვირფასო აბატო! შეჰკივდა ცრუ ქალბატონმა მოძღვრის დანახვაზე და ცრემლის ნიაღვარი გადმოანთხია, როგორ შეიძლებოდა, თუნდაც ერთი წუთითაც, ამ წმინდანის დაპატიმრება.

დირექტორმა ჩამოართვა საშვი და წაიკითხა: მისი აღმატებულება გრაფ დე სერიზის შუამდგომლობით,,.

აჰ, მარკიზ დე სენესტებანის მეუღლე! ოჰ, ქალბატონო დე სენესტებან! უთხრა კარლოს ერერამ, რა უდიდესი თავდადებაა თქვენის მხრივ!
ქალბატონო, აქ ლაპარაკი არ შეიძლება, უთხრა კეთილმა ბერიკაცმა გომ და წინ გადაუდგა შავი მუარისა და მაქმანების გორას.

ნუთუ შორიდანაც არ შეიძლება რაიმეს თქმა, ჩაერია ჟაკ კოლენი, ისიც თქვენი თანდასწრებით? დასძინა მან და იქ მყოფთ თვალი მოავლო.

მამიდა, რომლის ჩაცმულობას უნდა გაეშტერებინა სასამართლოს მწერალი, დირექტორი, ზედამხედველები და ჟანდარმები, მუშკის სუნით ყარდა. გარდა ათასი ეკიუს ღირებულების მაქმანებისა, ისეთი შალი მოეხვია, ექვსი ათას ფრანკად რომ ფასობდა. ამ ყველაფერთან ერთად კონსიერჟერის,, ეზოში ჰაიდუკი კადნიერად გაჯგიმულიყო, როგორც შეეფერებოდა ჭირვეული პრინცესების მაამებელ ლაქიას. იგი დილიდან საღამომდე გაღებულ კარიბჭესთან გაჩერებულ მეტერფულე მსახურსაც კი არ უყადრებდა თავს და ზედაც არ უცქერდა.

რა გინდა, რა გავაკეთო? მიმართა ქალბატონმა დე სენესტებანმა მხოლოდ მამიდაძმისწულისათვის გასაგებ ენაზე.

საუბრისას სიტყვებს დაბოლოება არ,, ან ორ,,, ალ,, ან ი,,ს უმატებდნენ. გინდ ფრანგულად ელაპარაკათ, გინდ ქურდულ ჟარგონზე, სიტყვა ერთნაირად იწელებოდა და გაუგებარი ხდებოდა. ეს სალაპარაკო ენაში გამოყენებული ერთგვარი დიპლომატიური შიფრი გახლდათ.

ყველა წერილი საიმედო ადგილას გადაინახე. აირჩიე ყველაზე სამარცხვინო თითოთითო ნიმუში ამ ქალბატონების კორესპონდენციიდან. მერე მაწანწალის კონკები გადაიცვი, შედი დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზში და იქ დაუცადე ჩემს ბრძანებას.
აზიამ თუ ჟაკლინმა მუხლი მოიყარა მოძღვრის წინაშე, ვითომც მისგან კურთხევის მიღება უნდოდა. ცრუ აბატმა ქრისტიანული გულითადობით პირჯვარი გადასწერა მამიდას.

ᲓᲓᲘᲝ, ᲔᲠᲗᲮᲔᲡᲔ

! უთხრა ხმამაღლა და თავიანთ ენაზე დასძინა, იპოვე ევროპა და პაკარი, მათ მიერ წაგლეჯილი შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი დაგვჭირდება.

პაკარიც აქ არის, მიუგო ღვთისმოსავმა ბანოვანმა და თვალცრემლიანმა ჰაიდუკზე მიუთითა.

ასეთმა გამჭრიახობამ და მიხვედრილობამ მარტოოდენ ღიმილი როდი მოჰგვარა ჟაკ კოლენს, ისე გაუკვირდა, რომ შეხტა კიდეც. მისი ასეთი გაოცება საკუთარი მამიდის გარდა არავის შეეძლო. ცრუ ქალბატონი ამ სცენის მოწმეებს ისე მიუბრუნდა, როგორც საზოგადოებაში გალაღებულ ქალს სჩვეოდა.

განიცდის, რომ ვერ დაესწრება თავისი შვილის გასვენებას, დამტვრეული ფრანგულით თქვა მან, ამ წმინდა ადამიანის საიდუმლო მართლმსაჯულების შემზარავი შეცდომის შედეგად გამომჟღავნდა! მე კი დავესწრები მისი სულის მოსახსენიებელ წირვას. აგერ, ბატონო, მიუბრუნდა ბატონ გოს და ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა, გაეცით მოწყალება საბრალო პატიმრებისთვის...
ოჰ, რა პეწია! წასჩურჩულა მეტად კმაყოფილმა ძმისშვილმა.

ჟაკ კოლენი ზედამხედველს ეზოსკენ გაჰყვა.

სასოწარკვეთილებამდე მისული ბიბილუპენი ჟაკ კოლენის წასვლის შემდეგ ნამდვილ ჟანდარმს თვალს არ აცილებდა და მრავალმნიშვნელოვნად ახველებდა ჰმ! ჰმ! ჰმ!,, ბოლოს, როგორც იქნა, მიიპყრო მისი ყურადღება. სიკვდილმისჯილის დილეგში ჟანდარმმა შეცვალა ბიბილუპენი, მაგრამ გააბითურე სიკვდილის,, მტერმა მაინც დაიგვიანა და ველარ მოუსწრო დიდგვაროვან მანდილოსანს, რომელიც თავის მორთულმოკაზმულ კარეტაში მიიმალა. მხოლოდ ყური მოჰკრა მის მიერ ნათქვამ უკანასკნელ სიტყვებს და ქალბატონი რარიგ შენიღბულიც უნდა ყოფილიყო, ბიბილუპენმა მისი ხრინწიანი ხმა მაინც იცნო.

სამასი ოქრო დაგვიტოვა პატიმრებისთვის! უამბობდა უფროსი ზედამხედველი ბიბილუპენს და თან უჩვენებდა ქისას, ბატონმა გომ თავის მდივანს რომ გადასცა.
აბა, მაჩვენეთ, ბატონო ჟაკომეტი, მიმართა ბიბილუპენმა.

საიდუმლო პოლიციის უფროსმა გამოართვა ქისა, ოქრო ხელისგულზე გადმოიყარა და ყურადღებით დაათვალიერა.

ნამდვილია! ამბობდა იგი, ქისაზეც გერბია! აჰ, ეგ გათახსირებული, მართლა ჭკვიანია! რა გაიძვერაა! ყოველ წუთს ყველას გვასულელებს! ძაღლივით უნდა მიახრჩო!
რა იყო, რა მოხდა? ჰკითხა მწერალმა და ქისა დაიბრუნა.

მოხდა ის, რომ ეგ დედაკაციც ქურდბაცაცაა! შეჰყვირა ბიბილუპენმა და კარიბჭის წინ, ქვაფენილზე მაგრად დაჰკრა ფეხი.

ამ სიტყვებმა ააღელვა მაყურებლები, რომლებიც საკმაო მანძილით იყვნენ დაშორებულნი სანსონისგან, ხოლო ბატონი სანსონი ისევ ისე მიყუდებულიყო დიდ ბუხარზე ამ თაღებიანი, ვრცელი დარბაზის შუაგულში და ელოდებოდა ბრძანებას, რათა უკანასკნელად ჩაეცმია ტუსაღისთვის და გრევის მოედანზე ეშაფოტი აღემართა.

ეზოში ჟაკ კოლენი თავისი მეგობრებისკენ,, გაემართა. სიარულზე აშკარად ეტყობოდა, ჭალაში,, ხშირად ნამყოფი რომ იყო.

უბეში რას მალავ (რა საქმეზე დაგიჭირეს)? ჰკითხა კანტალას,,.

ეჰ, წასულია ჩემი საქმე, მიუგო მკვლელმა, რომელიც ჟაკ კოლენმა ერთ კუთხეში გაიხმო, ახლა ერთგული მეგობარი,, მჭირდება.

მერედა, რისთვის?

კანტალამ,, ბელადს თავიანთი ჟარგონით უამბო ყველა დანაშაული, რაც კი ჩაედინა. მერე დაწვრილებით აუწერა, როგორ დახოცა და გაქურდა ცოლქმარი კროტები.

ყოჩაღ, ბიჭო, შეაქო ჟაკ კოლენმა, შესანიშნავი ნახელავია, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი რამ შეგეშალა.
მაინც რა?

საქმე ეგრე კარგად დააგვირგვინე, რაღა გინდოდა? გეშოვა რუსული პასპორტი, რუს თავადად შენიღბულიყავი, გეყიდა გერბიანი კარეტა, ვინმე ბანკირისთვის გაბედულად ჩაგებარებინა ოქრო; ჰამბურგზე აკრედიტივი აგეღო, საფოსტო ეტლში ჩამჯდარიყავი პირისფარეშისა და მოახლის თანხლებით. თან წაგეყვანა პრინცესასავით გამოპრანჭული კახპა. ჰამბურგში გემზე გადახვიდოდი, მექსიკაში გაემგზავრებოდი. ოქროთი ორას ოთხმოცი ათასი ფრანკი თუ ექნება, ჭკვიანი ვაჟკაცი, როგორც მოეპრიანება, ისე იცხოვრებს, სადაც მოისურვებს, იქ გადაბარგდება. შე მართლა ყეყეჩო!

ჰო, აბა, სად შენი ჭკუა და სად ჩემი. ამიტომაც ხარ უსტა,,! შენ არასოდეს კარგავ სორბონს,,! მე კი...

თუ გინდა, ერთ რამეს გირჩევ, მაგრამ ისეთ დღეში ხარ ჩავარდნილი, რომ გინდა შენთვის რჩევა მომიცია, გინდა მიცვალებულისთვის ბულიონი, უთხრა ჟაკ კოლენმა და მომნუსხველი თვალით შეაშტერდა ამფსონს,,.

მართალია! ყოყმანით დაეთანხმა კანტალა,,, ჯანდაბას, მაინც მომეცი ეგ შენი ბულიონი, საჭმელად თუ არ გამომადგება, ფეხის აბაზანას მაინც გავიკეთებ...

ხომ ხედავ, წეროს,, ბრჭყალებში ხარ. ხუთი კვალიფიციური ქურდობა, სამი მკვლელობა. ბოლოს მდიდარი ბურჟუების მოკვლა გაგიმჟღავნდა... მოსამართლეებს კი არ უყვართ, როცა ბურჟუებს კლავენ... ჭალისთვის,, მოგართმევენ თაიგულს და სხვა არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს!..

ეგ ყველაფერი უკვე მითხრეს, უპასუხა საბრალოდ კანტალამ,,.

ახლახან შუა კანცელარიაში მამიდაჩემ ჟაკლინს ვესაუბრე. ხომ მოგეხსენება, ამფსონთა,, დედაა. მითხრა, წერომ,, მაგისი თავიდან მოშორება განიზრახაო, თურმე ეშინია შენი.

საოცარია, თქვა კანტალამ,, მიამიტად, რაც ამჟღავნებდა იმას, თუ რამდენად არიან ქურდები განმსჭვალულნი რწმენით, თითქოსდა ბუნებრივი უფლება,, აქვთ მინიჭებული, იქურდონ, ახლა მე ხომ მდიდარი ვარ, რისღა ეშინია?

ფილოსოფიისთვის დრო არა გვაქვს, უთხრა ჟაკ კოლენმა, ისევ ისა სჯობს, შენს საქმეზე მოვითათბიროთ...

რას მიპირებ? რა გინდა ჩემგან? უსტას,, სიტყვა გააწყვეტინა კანტალამ,,.

დამაცადე, ნახავ, მკვდარი ძაღლი კიდევ რაღაცისთვის გამოდგება.

სხვებისთვის! ჩაურთო კანტალამ,,.

კარგი, ჩემს თამაშში შემომყავხარ! ბრძანა ჟაკ კოლენმა.

ეგ უკვე საქმეა! მიუგო მკვლელმა, მერე?

არ გეკითხები, სადა გაქვს ფულიმეთქი. მხოლოდ მითხარი, რას უპირებ, როგორ გამოიყენებ?

კანტალამ,, უსტას,, თვალი თვალში გაუყარა, მაგრამ უსტა,, ისე მშვიდად შესცქეროდა, რომ ვერაფერს მიუხვდა. ჟაკ კოლენმა კი სრულიად გულგრილად განაგრძო:

ხომ არა გყავს ვინმე გულის მურაზი, რომელიც გიყვარს, ან შვილი, ანდა ამფსონთაგან,, ვინმეს ხომ არ გინდა დაეხმარო? ერთ საათში გარეთ ვიქნები და შემიძლია ყველაფერი გავუკეთო იმათ, ვისთვისაც შენ სიკეთე გსურს.

კანტალა,, ისევ ყოყმანობდა, ვერ იქნა და საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო. ჟაკ კოლენმა უკანასკნელ ხერხს მიმართა:

ჩვენს სალაროში ოცდაათი ათასი ფრანკი გაქვს. ვის დაუტოვებ, ამფსონებს,, თუ სხვა ვინმეს? შენი წილი ხელუხლებელია. საღამოსვე გადავცემ, ვისაც მეტყვი.
მკვლელს სიამოვნებისაგან უნებლიეთ სახე გაებადრა.

ჩემს ხელშია,,, გაიფიქრა ჟაკ კოლენმა.

ნუღარ აჭიანურებ, მოიფიქრე! ჩასჩურჩულა კანტალას,,, ძველო, ათი წუთიღა დაგვრჩენია... გენერალური პროკურორი მიბარებს, მეტად საჭირო საქმეზე უნდა მოვითათბიროთ. ეგ კაცი ხელში მყავს, შემიძლია წეროს,, კისერი წავაცალო! დარწმუნებული ვარ, მადლენს გადავარჩენ.

თუ მადლენს გადაარჩენ, ჩემო კეთილო უსტა,,, მაშინ ხომ შეგიძლია მეც...

კარგი ერთი, დორბლებს ნუ ჩამოყრი, შეუტია ჟაკ კოლენმა, დამიტოვე ანდერძი!

კარგი, რაც არის, არის! ფული გონორისთვის მინდოდა გადამეცა, საცოდავად აწუწუნდა კანტალა,,.

ამას დამიხედე! მაშ, მოშეს ქვრივთან ცხოვრობ, მოშე რომ იყო, ურია, სამხრეთელი მეძონძეების,, მოთავე? ჰკითხა ჟაკ კოლენმა.

მხედართმთავართა მსგავსად გააბითურე სიკვდილი,, შესანიშნავად იცნობდა ყველა ბანდის წევრებს.

სწორედ ის არის, დაუდასტურა ამგვარი ყურადღებით უაღრესად ნასიამოვნებმა კანტალამ,,. ლამაზი ქალია! შენიშნა ჟაკ კოლენმა. მშვენივრად ეხერხებოდა ამ საშინელი მანქანების მართვა, გოგოა, მაგრამ რა გოგო! ეშმაკსაც შეაცდენს! ახლა იმას არ იტყვი, რა პატიოსანია. თანაც მთელ ქვეყანას იცნობს! დაქოქილი ვინმეა. მაშ, გონორმა დაგაბა? მერედა, ასეთი გულის მურაზი გყავდეს და დამიწებას,, აპირებდე? ყეყეჩო, რატომ პატარა სავაჭრო არ გახსენი? იცხოვრებდი შენთვის არხეინად! ახლა ის მითხარი, რამეს თუ ჩალიჩობს ეგ შენი გონორი?

სენტბარბის ქუჩაზე მოეწყო... ერთი ფირმის,, ავანჩავანია...

მაშ, მემკვიდრეობას უტოვებ? ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო, მაგ უქნარებს სადამდე მივყავართ, თუ გავტუტუცდებით და შევიყვარებთ...

ჰო, ასეა! ოღონდ არაფერი მიაშავო, სანამ კისერს არ მოვიტეხ!

ეგ ჩემი წმიდათაწმიდა ვალია, განუცხადა ჟაკ კოლენმა სრული სერიოზულობით, ამფსონებს,, არაფერს უტოვებ?

სულ არაფერს. მაგათ კარგი სამსახური,, გამიწიეს, გამყიდეს, გაბოროტებით უთხრა კანტალამ,,.

ვინ გაგყიდა? არ გინდა, შური ვიძიო შენ მაგივრად? ჰკითხა ჟაკ კოლენმა და შეეცადა, მასში გაეღვიძებინა უკანასკნელი გრძნობა, რასაც ჯერ კიდევ შეეძლო ამგვარი ადამიანის გული ბოლო წუთებში აეღელვებინა, ვინ იცის, ჩემო ძველო ამფსონო,,, იქნებ ამ შურისძიებით შეგარიგო კიდეც წეროსთან,,?

ახლა კი სიხარულით მთლად გადარეული მკვლელი თავის უსტას,, მიაშტერდა. უფრო მეტად ამ ყოვლისმთქმელ სახეს აკვირდებოდა, ვიდრე მის პატრონს. ჟაკ კოლენმა უთხრა:

ახლა კომედიას მარტო თეოდორისთვის ვთამაშობ. ამ ვოდევილს თუ წარმატება ხვდა წილად, მაშინ, ძველო, კიდევ გავიმეტებ თავს მეგობრებისთვის; და რაკი შენც ჩემს მეგობართა რიცხვს ეკუთვნი, ავდგები და შენით დავიწყებ! საკმაო გავლენა მაქვს, ბევრი რამ შემიძლია გავაკეთო!
თუ დააძვრენ საბრალო თეოდორს და დღევანდელ სამზადისს ჩაშლი, როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი.

ეგ უკვე მოთავებული საქმეა, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თეოდორის სორბონს,, გამოვგლეჯ წეროს,, ბრჭყალებიდან. იცი რა, თუ გინდა, ცეცხლში შევძვრეთ და არ დავიწვათ, ერთმანეთს დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ... მარტოდმარტო ვერაფერს გააწყობ!

ჭეშმარიტებაა! შესძახა მკვლელმა და უსტასადმი,, ნდობა და ფანატიკური რწმენა ძველებურად განუმტკიცდა, ყოველგვარი ეჭვი გაუქრა. აღარ დააყოვნა, თანამონაწილეთა საიდუმლო გაუმჟღავნა, რასაც აქამდე ასე მტკიცედ ინახავდა.

სწორედ ამის გაგება უნდოდა ჟაკ კოლენს.

ასე იყო. ამ საქმეში ბიბილუპენის აგენტი, რიუფარი, მესამედ წილში შემოგვიდგა მე და გოდეს...

ბეწვიგლეჯია,,? შეჰყვირა კოლენმა და რიუფარი ქურდების მიერ შერქმეული მეტსახელით მოიხსენია.

სწორედ ეგრეა. მაგ გათახსირებულებმა გამყიდეს, რადგან მე ვიცოდი, სად ინახავდნენ ნაქურდალს, მაგათ კი არ იციან, მე სად ვინახავ.

ო, როგორ გამიპოხე ჩექმები,, (ხელი შემიწყვე), ჩემო საყვარელო! უთხრა ჟაკ კოლენმა.

ეს როგორ?

აი, ნახავ, რასაც მოიგებ გულახდილობით! მიუგო ჟაკ კოლენმა, ახლა კი იცოდე, შენ მაგივრად შურისძიება ჩემთვის ამ თამაშში კიკოა! არ გეკითხები, სად შეგინახავს ფული, მაგას უკანასკნელ წუთში გამიმჟღავნებ. მხოლოდ ის მითხარი, რაც რიუფარსა და გოდეს შეეხება.

შენ იყავი და სამუდამოდ დარჩები ჩვენი უსტა,,! შენგან დასამალი არაფერი მაქვს, უთხრა კანტალამ,,, ოქრო გონორის სახლის უფსკრულში,, (სარდაფში) მაქვს შენახული.

მერე, არ გეშინია შენი გულის მურაზის?

ვერ მივართვი! მან არაფერი იცის ჩემი საქმიანობის შესახებ! უთხრა კანტალამ,,, გონორი ლაზათიანად გამოვათვრე, თუმცა ეგ ისეთი ქალია, სახრჩობელაზეც რომ ჩამოჰკიდო, არაფერს იტყვის, მაგრამ მეტისმეტად ბევრი ოქროა და...

მართალია, თვით ყველაზე პატიოსან ადამიანსაც კი რძეს აუჭრის,, (თავგზას აუბნევს)! კვერი დაუკრა ჟაკ კოლენმა.

ჰოდა, მე თვითონ დავღვარე ოფლი! როცა ყველას ეძინა საქათმეში,,, ღვინის ბოთლების უკან, სამი ფუტის სიღრმეში ჩავფალი ოქრო, ზემოდან ქვიშა და გაჯი დავაყარე.

კარგია, შეაქო ჟაკ კოლენმა, იმათი სამალავი სადღაა?

რიუფარმა თავისი ხარახურა საწყალი გონორის საძინებელში გადამალა... ჰოდა, გამოჭერილიცა ჰყავს ეგ გოგო, რადგან ეშინია, ნაქურდლის შენახვა არ დასწამონ და სენლაზარში არ ამოხადონ სული.

ოჰ, ეგ დამპალი! დახე, ქოფაკების ხროვა,, როგორ ასრულებს ქურდების აღზრდას! თქვა ჟაკ კოლენმა.

გოდემ კი თავისი ავლადიდება დასთან შეინახა. ქალმა არაფერი იცის. თვითონ თეთრეულის მრეცხავია, პატიოსანი დედაკაცი. აბა, რას წარმოიდგენს, რომ შეიძლება ხუთი წლით გალიაში მოხვდეს. ამფსონმა,, იატაკის ფიცრები აყარა, ოქრო შიგ ჩააწყო, მერე ისევ დაჭედა და მოცოცხა.

იცი, რა მინდა შენგან? ახლა კი პირდაპირ საქმეზე გადავიდა ჟაკ კოლენი და მომნუსხველად შეხედა კანტალას,,.

რა?

შენ უნდა იკისრო მადლენის დანაშაული...

კანტალა,, უცნაურად მოსწყდა ადგილს, მაგრამ მაშინვე გაიტრუნა და მორჩილად მიაპყრო თვალი უსტას,,.

ამას დამიხედეთ! უკვე ქვეშიდან ძვრება! გინდა კარტი ამირიო? რაო, განა სულერთი არ არის, სამი მკვლელობა გექნება კისერზე თუ ოთხი?
რა ვიცი, იქნებ ეგრეც იყოს!

ამფსონთა უსტაბაშს,, გეფიცები, შენს ვერმიშელებში,, (ძარღვებში) არა ჩქეფს ყურძნის წვენი,, (სისხლი). მე სულელს კი შენი გადარჩენა მინდოდა!

მერედა, როგორ?

შტერო, თუკი ოჯახს დაჰპირდები ფულის დაბრუნებას, ანგარიშს გაუსწორებ, ბევრიბევრი, ჭალაში,, სამუდამოდ გიკრან თავი. შენს სორბონში,, ერთ გროშსაც არ მივცემდი, ფული რომ იმათ ხელში იყოს, მაგრამ ახლა შვიდასი ათასი ფრანკი ღირხარ, ყეყეჩო!

უსტა,,, უსტა!,, შეჰყვირა ბედნიერებით გაგიჟებულმა კანტალამ,,.

ჰოდა, განაგრძო ჟაკმა, რიუფარს მკვლელობას გადავაბრალებთ, ეს ხომ ნაღდია... ერთი გასროლით ორ კურდღელს დავიჭერთ, ბიბილუპენსაც გამოვდებთ სარმას, მისი საქმე წასულია... ხელში მყავს!

ეგ რა აზრები მოსვლიაო, კანტალამ,, პირი დააღო, თვალები გადმოკარკლა და ქანდაკებასავით გაშეშდა. სამი თვე ციხეში იჯდა, საცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უნდა წარმდგარიყო, რამდენი რჩევადარიგება მიიღო ჭალელი,, ძმაკაცებისგან, რომლებთანაც თანამონაწილეებზე კრინტიც არ დაუძრავს; თავისი შეცოდებანი ასჯერ მაინც აწონდაწონა, მისმა ძმაბიჭებმაც იმტვრიეს თავი, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი გამოძებნეს. კანტალა,, სასოწარკვეთილებას მიეცა. არც მას და არც მის ჭკუის კოლოფ მრჩევლებს ამგვარი გეგმა აზრადაც არ მოსვლიათ. იმედის ნაპერწკალმა გაიელვა მის გულში და მთლად გამოტვინდა.

რიუფარმა და გოდემ უკვე დაამღერეს თავიანთი ავლადიდება? ხომ არ გამოუყვანეს წირვა თავიანთ მაყუთს,,? ჰკითხა ჟაკ კოლენმა.

რას გაბედავდნენ, მიუგო კანტალამ,, ეშმაკის კერძები ელოდებიან, როდის მომცელავენ,. სწორედ ეს შემატყობინა ჩემმა გულის მურაზმა კონკიას,, პირით, რომელიც კონკიაჟღარუნასთან,, პაემანზე მოვიდა.

გული არ გაიტეხო! ოცდაოთხ საათში მაგათი ხარახურა ჩვენს ხელში იქნება. ეგ ავაზაკები შენსავით ვეღარ წამოსწევენ წელს! შენ თოვლივით თეთრი გამოჩნდები, ეგ ნაძირალები კი სისხლით წითლად შეიღებებიან! ჩემი მზრუნველობით შენ გამოგაცხადებენ უმანკო ბიჭად, რომელიც მაგათ ჩაითრიეს. შენი ქონება ჩემთან იქნება, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, ჩარხს ისე შევატრიალებ, რომ სხვა საქმეებში სრულიად უდანაშაულოდ გცნონ. ბოლოს და ბოლოს, რა ვუყოთ, თუ ჭალაში,, დაბრუნება არ აგცდება. შენთვის ეგ არაფერია, გამოქცევა არ გაგიძნელდება... ვერ გეტყვი, მაგას არაფერი სჯობსმეთქი, მაგრამ ცოცხალი ხომ დარჩები, სიცოცხლე კი, რაც უნდა იყოს, მაინც ტკბილია!

კანტალას,, თვალები ამჟღავნებდნენ, ბედნიერებით გაბრუებულიყო მათი პატრონი.

ძველო, შვიდასი ათასი ფრანკით, რამდენსაც ინებებ, იმდენი მოსამართლის ჩაჩს,, მოისყიდი! ჟაკ კოლენი იმედით სულ უფრო და უფრო აბრუებდა თავის ამფსონს,,.
უსტა,,! უსტა!,,

იუსტიციის მინისტრს მთლად გავაგიჟებ! ოჰ, იცოცხლე, ვაცეკვებ მაგ რიუფარს! ნაცარტუტას ავუყენებ ქოფაკთა ხროვას,,! მორჩა, ძაღლთაპირი ბიბილუპენის საქმეც წასულია.

ბატონი ხარ! გადაწყდა! შეჰყვირა ველურივით აღგზნებულმა კანტალამ,,, მიბრძანე! გემორჩილები! და გულში მაგრად ჩაიხუტა ჟაკ კოლენი, ხოლო თვალებზე სიხარულის ცრემლი აუციმციმდა, ისე ჩაესახა გულში იმედი, თავს დავიძვრენო.

მოიცა, ჯერ არ დამიმთავრებია, უთხრა ჟაკ კოლენმა, წეროს,, საჭმლის მონელება უჭირს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ციებცხელება შეუბრუნდა,, (ახალი სამხილის გამომჟღავნებისას). ახლა ვიღაც გულის მურაზი უნდა გამოვძებნოთ, იმასაც როლი მივცეთ,, (გადავაბრალოთ სხვისი დანაშაული).

მერედა, როგორ? რა საჭიროა? ეკითხებოდა მკვლელი.

დამეხმარე! მალე გაიგებ! მიუგო გააბითურე სიკვდილმა,,.

ჟაკ კოლენმა ორიოდე სიტყვით გაუმჟღავნა ნანტერში ჩადენილი დანაშაულის საიდუმლო და როგორც იქნა, შეაგნებინა კანტალას,,, თუ რისთვის ესაჭიროებოდა ისეთი გომბიო, რომელიც ჟინეტას როლის შესრულებას იკისრებდა. ამის შემდეგ ჟაკ კოლენი დიდად გამხიარულებულ კანტალასთან,, ერთად კონკიაჟღარუნასკენ,, გაემართა.

ვიცი, როგორ გიყვარს შენი კონკია,,, უთხრა ჟაკ კოლენმა.

კონკიაჟღარუნას,, თვალებში არეკლილი შუქი შემაძრწუნებელი პოემა გახლდათ.

რას გააკეთებს, როცა შენ ჭალაში,, იქნები?
სისხლისმსმელ კონკიაჟღარუნას,, თვალზე ცრემლი მოადგა.

რას იტყოდი, ერთი წლით გომბიოთა აკლდამაში,, (ქალების ფორსში,,, მადლონეტში,, ან სენლაზარში,,) რომ შემეძვრინა, სანამ გვირგვინს დაგადგამდნენ,, (განაჩენს გამოგიტანდნენ), ჭალაში,, გიკრავდნენ თავს და იქიდან გამოქცევას მოახერხებდე...

შენ სად შეგიძლია მაგ სასწაულის მოხდენა, ეგ ხომ იშს უგებს შეთქმულებას,, (არაფერშია გარეული), უთხრა კონკიას,, კურომ.

ოჰ, ჩემო კონკიაჟღარუნა,,, მიმართა კანტალამ,,, ჩვენი უსტა,,თვით უსტაბაშზე,, (ღმერთზე) უფრო ძლიერია!..

მითხარი, რა ნიშანი გაქვს მასთან დათქმული? ჰკითხა ჟაკ კოლენმა კონკიაჟღარუნას,, მბრძანებლის თვითდაჯერებით; უარს როგორ აკადრებდა ვინმე.

ბნელი პანტენში,, (ღამე პარიზში). ამას ეტყვი და მაშინვე მიხვდება, რომ ჩემგანა ხარ. და თუ გსურს, დაგემორჩილოს, ხუთიანი მაყუთი,, (ხუთფრანკიანი მონეტა) უჩვენე და უთხარი, გაკრიჭეთქო.

მას ბრალად დაედება კანტალასთან,, თაიგულში,, ყოფნა. ერთ წელს აყურყუტებენ აკლდამაში და გულწრფელი მონანიების შემდგომ გაათავისუფლებენ! დამოძღვრა ჟაკ კოლენმა და თან კანტალას,, გადახედა.

კანტალამ,, უსტას,, გეგმას ალღო აუღო და თვალით ანიშნა, არხეინად იყავი, კონკიაჟღარუნას,, დავიყოლიებ, კონკიას,, თავს მოახვიოს სხვისი დანაშაული, მეც რომ უნდა ავიკიდოო.

მშვიდობით, შვილნო ჩემნო, თქვა გააბითურე სიკვდილმა,,, დიახ, შარლო კანცელარიაში ბრძანდებოდა თავისი სუბრეტებითა და მადლენის ჩასაცმელად ემზადებოდა. ხედავთ, მიუთითა მან, ჩემთან მოდიან, წეროს უსტა,, (გენერალური პროკურორი) მიხმობს.

მართლაც, კარიბჭესთან ზედამხედველი მოდგა და ნიშანი მისცა ამ არაჩვეულებრივ კაცს, რომელსაც ჭაბუკი კორსიკელის მწარე ხვედრმა დაუბრუნა ის მძვინვარე ენერგია, რითაც ეგრე მარჯვედ ებრძოდა საზოგადოებას.

მეტად საყურადღებოა, დავძინოთ, რომ იმწუთას, როცა ლუსიენის ცხედარს მოაშორეს, ჟაკ კოლენმა თავის თავს წმიდათაწმიდა პირობა მისცა, მიეღწია უკანასკნელი გარდასახვისთვის, ოღონდ ამიერიდან უნდა გადაქცეულიყო არა ცოცხალ არსებად, არამედ იარაღად. დასასრულ, ისეთივე საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც ნაპოლეონმა მიიღო ბელეროფონისკენ,, მიმავალ ნავში. შემთხვევათა მეტად უცნაური დამთხვევის წყალობით, ამ ბოროტებისა და მანკიერების გენიას ყველაფერი ხელს უწყობდა განზრახვის შესასრულებლად.

რა ვუყოთ, თუ ბოროტმოქმედებით აღსავსე ცხოვრების კვანძი მეტად მოულოდნელად გაიხსნება და ამგვარად, ცოტა არ იყოს, გული აუცრუვდება მკითხველს, რომელიც რაღაც არაჩვეულებრივს მოელის; ჩვენს დროში ამგვარ ეფექტს აღწევენ მარტოოდენ ისეთი ამბების გადმოცემით, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. აი, ახლაც, სანამ ჟაკ კოლენთან ერთად გენერალური პროკურორის კაბინეტში შევყოფდეთ თავს, უმჯობესია, გავყვეთ ქალბატონ კამიუზოს, რომელიც მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ზემომოყვანილი ამბები ხდებოდა კონსიერჟერიში,,, მეტად საჭირო ვიზიტებზე დაბრძანდებოდა. ერთერთი ვალდებულება, რასაც ზნეჩვეულებათა მემატიანემ არ უნდა უღალატოს, გახლავთ ის, რომ სინამდვილე არ უნდა შეალამაზოს გარეგნულად დრამატული სიტუაციებით, მით უმეტეს, თუ თვით სინამდვილეს არაფერი დაუშურებია, ოღონდაც რომანტიკული გამოჩენილიყო. საზოგადოების ბუნება, განსაკუთრებით პარიზელი საზოგადოებისა, იმდენ შემთხვევითობაზე, იმდენ ახირებულ მოვლენათა აღრევაზეა დამოკიდებული, რომ შემოქმედის წარმოსახვა მის წინაშე ძალიან ხშირად სრულიად უსუსურია. სინამდვილის გამბედაობა ისეთ უკიდურეს საზღვრებს აღწევს, რისი გადმოცემის უფლება არა აქვს ხელოვნებას, რაკი რეალური ფაქტები ხშირად უაღრესად არარეალურის შთაბეჭდილებას

ახდენს, ანდა მეტად უწმაწურია და მწერალს სხვა არა დარჩენია რა, უნდა შეარბილოს ისინი, შეკვერცხოს, შეალამაზოს.

ქალბატონი კამიუზო ბევრს ეცადა და ბოლოს დილის ისეთ ტანსაცმელში გამოეწყო, რაც თითქმის კარგ გემოვნებაზე მეტყველებდა, ეს კი იოლი საქმე როდი გახლდათ გამომძიებლის ცოლისთვის, რომელიც ექვსი წელიწადი გამუდმებით პროვინციაში ცხოვრობდა. აბა, რა უნდა ექნა, როცა მარკიზ დჟესპარის მეუღლესა და ჰერცოგინია დე მონფრინიეზს დილის რვაცხრა საათზე უნდა სწვეოდა და თავისი ჩაცმულობით მათი დაცინვა არ უნდა დაემსახურებინა. ამელისესილ კამიუზომ, თუმცა ტირიონთა შთამომავალი ბრძანდებოდა, გამოტეხით ვიტყვით, დასახულ მიზანს მაინც სანახევროდ მიაღწია, ხოლო ჩაცმადახურვის საკითხში სანახევროდ მიზნის მიღწევა განა ორმაგ დამარცხებას არ უდრის?

ძნელი წარმოსადგენია, პარიზში პატივმოყვარეობით შეპყრობილი მამაკაცებისთვის რაოდენ საჭირონი არიან ქალები, მაღალ საზოგადოებაში იქნება ეს თუ ქურდების წრეში, სადაც, როგორც დავინახეთ, ასევე უდიდეს როლს თამაშობენ. ვთქვათ, ერთი კაცი, რომელსაც სამსახურში დაქვეითება მოელის, დაუყოვნებლივ უნდა მოელაპარაკოს ისეთი მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც რესტავრაციის ეპოქაში უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა და დღესაც სახელმწიფო საბჭოს ბეჭდის მცველი ეწოდება. კარგი, დავანებოთ ამ კაცს თავი; მაგალითად, ავიღოთ უფრო უკეთესი მდგომარეობის მქონე პიროვნება, მოსამართლე, იმავე უწყების თანამშრომელი. იგი იძულებულია, ჯერ განყოფილების გამგეს ან კანცელარიის უფროსს მიმართოს და დაუმტკიცოს, რომ დაუყოვნებლივ ესაჭიროება აუდიენცია. განა ოდესმე შესაძლებელია იმავე წუთს შეხვდე სახელმწიფო ბეჭდის მცველს? დღისით, მზისით, ის საკანონმდებლო პალატაში არ იმყოფება; მინისტრთა საბჭოზეა ან რაღაც საჭირო ქაღალდებს აწერს ხელს, ან მიღება აქვს. დილით? ღმერთმა უწყის, სად სძინავს. საღამოს საზოგადოებრივი ან პირადი ვალდებულების აღმსრულებელია. ყველა მოსამართლემ რომ მოითხოვოს აუდიენცია, თუნდაც უაღრესად მნიშვნელოვანი საქმისთვის, იუსტიციის მინისტრი ალყაშემორტყმული აღმოჩნდება. ამის გამო კერძო ხასიათის გადაუდებელი საქმის გასარჩევად დანიშნულია ერთერთი მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც შუამავლობს მთხოვნელთ მინისტრთან და ხშირად წარმოადგენს დაბრკოლებას, დაკეტილ კარს, რომლის გაღება არცთუ ისე ადვილია, მით უმეტეს, თუ კარს მანამდე ვიღაც მეტოქე ჩაებღაუჭა. ქალი კი, აბა, ქალს რა გაუჭირდება, სხვა ქალს გამოძებნის. სულ იოლად შევა იმ სხვა ქალის საძინებელში; ქალბატონს თუ მის მოახლეს ცნობისმოყვარეობას გაუღვიძებს. ეს კი სულ იოლია, თუკი თვით ქალბატონია დაინტერესებული, ან სტუმრის დახმარება ესაჭიროება, როგორც, მაგალითად, ისეთი უსაზღვრო ქალური ძალაუფლებით მოსილ პიროვნებას, მარკიზ დჟესპარის მეუღლე რომ ბრძანდებოდა. მას ხომ თვით მინისტრი ელოლიავებოდა. ჰოდა, ეს ქალი ამბრის სურნელებით გაჟღენთილ ქაღალდზე მოკლე ბარათს წერს. მისი ლაქია ბარათს მინისტრის ლაქიას გადასცემს. ბოლოს ბარათს მიართმევენ მინისტრს, რომელიც საწოლში ნებივრობს. მერე რა, თუ მინისტრი კისრამდე საქმეებშია ჩაფლული, იგი ხომ მამაკაცია და მამაკაცი კი აღტაცებულია, რაკი სტუმრად იხმობენ

პარიზის ერთერთ დედოფალთან, სენჟერმენის უბნის ერთერთ ხელისუფალთან, დოფინის, დედოფლის ან თვით მეფის ფავორიტ ქალთან. კაზიმირ პერიე, ივლისის რევოლუციის ეპოქის ერთადერთი ნამდვილი მინისტრი, ყველაფერს ტოვებდა და კისრისტეხით გარბოდა მეფე შარლ X-ის პირველ მესაწოლე აზნაურთან.

ეს თეორია განმარტავს, რა ძალა ჰქონდა სიტყვებს: ქალბატონო, მადამ კამიუზო გეახლათ, მეტად სასწრაფო საქმე აქვს, რაც თვით ქალბატონსაც მოეხსენება!,, აკი ასე აუწყა მარკიზ დჟესპარის მეუღლეს პირისფარეშმა, რომელიც დარწმუნებული იყო, მის ქალბატონს ეღვიძა.

მარკიზის მეუღლემაც მაშინვე უბრძანა, დაუყოვნებლივ შემოეყვანათ ამელი. გამომძიებლის ცოლს ყურადღებით მოუსმინა; იგი ამბობდა:

ქალბატონო, ჩვენ დავიღუპეთ, რაკი თქვენ გამო შური ვიძიეთ!
რა მოხდა, ჩემო მზეთუნახავო? ჰკითხა ქალბატონმა დჟესპარმა და ოდნავ გაღებული კარიდან შემოსულ მკრთალ შუქზე შეათვალიერა კამიუზოს ცოლი, პირდაპირ ღვთაებრივი ხართ ამ დილით, როგორ გიხდებათ ეგ ქუდი, სად გამოგიძებნიათ ფასონი?

ქალბატონო, თქვენ მეტისმეტად კეთილი ბრძანდებით... მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ კამიუზომ ისეთი დაკითხვა მოუწყო ლუსიენ დე რუბამპრეს, რომ ყმაწვილი სასოწარკვეთილებას მიეცა და ციხეში თავი ჩამოიხრჩო...

რა ეშველება ქალბატონ დე სერიზის? შეჰყვირა მარკიზის მეუღლემ, ვითომდა არაფერი გამიგიაო, რადგან უნდოდა, ყოველივე დაწვრილებით მოესმინა.

ეეჰ, ამბობენ, გაგიჟდაო, მიუგო ამელიმ, ნეტავ ინებოთ და მის უდიდებულესობას სთხოვოთ, ესტაფეტით შიკრიკი გაუგზავნოს ჩემს ქმარს, რათა დაუყოვნებლივ გამოიძახოს მართლმსაჯულების სასახლიდან. მინისტრი უცნაურ საიდუმლოს შეიტყობს და, რაღა თქმა უნდა, მეფესაც გაუმჟღავნებს... კამიუზოს მტრები მაშინვე ენას მუცელში ჩაიგდებენ.

მერედა, ვინ არიან კამიუზოს მტრები? იკითხა ქალბატონმა დჟესპარმა.

გენერალური პროკურორი, ახლა კი ბატონი დე სერიზიც...

კარგი, გენაცვალე, უთხრა ქალბატონმა დჟესპარმა, რომელიც ბატონი დე გრანვილისა და გრაფ დე სერიზის წყალობით თავისი ქმრისთვის მეურვეობის დაწესებისათვის სასამართლოში აღძრულ სამარცხვინო საქმეში დამარცხდა, მფარველად მიგულეთ. მე არ ვივიწყებ არც მტრებს, არც მოყვარეებს.

მან ზარი დარეკა. მოახლეს უბრძანა, ფარდები აეწია. დღის შუქი ტალღასავით შემოიჭრა. მერე პიუპიტრი მოითხოვა. მოახლემ მოართვა. მარკიზის მეუღლემ სწრაფად დაწერა ბარათი და მსახურს უბრძანა:

გოდარი ახლავე ცხენზე შეჯდეს და წერილი კანცელარიაში მიიტანოს. პასუხი საჭირო არ არის.
პირისფარეში მაშინვე გავიდა და მიუხედავად ქალბატონის ბრძანებისა, რამდენიმე წუთით კართან შეჩერდა.

რა იყო, მართლაც დიდი საიდუმლო გაიხსნა? ეკითხებოდა ქალბატონი დჟესპარი ამელის, აბა, მიამბეთ, ჩემო საყვარელო. კლოტილდ დე გრანლიე ხომ არ არის მაგ საქმეში გარეული?

ქალბატონ დჟესპარს თვით მისი უდიდებულესობა შეატყობინებს. მე კი რა მოგახსენოთ, ქმარს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის მითხრა, რაღაც დიდი საფრთხე მომელისო. მგონი, ჩვენთვის ის სჯობდა, ქალბატონი დე სერიზი მომკვდარიყო, ვიდრე გაგიჟებულიყო.

საწყალი ქალი! თქვა ქალბატონმა დჟესპარმა, თუმცა უწინაც ხომ გიჟი იყო.

მაღალი საზოგადოების ქალი ერთსა და იმავე ფრაზას ისე სხვადასხვანაირად წარმოთქვამს, რომ ყურადღებიანი დამკვირვებლის სმენა მუსიკალურ ნიუანსთა მრავალფეროვან გამას გაარჩევს. მაღალი წრის ქალბატონის შინაგანი სამყარო ერთიანად გამოსჭვივის მის ხმაში თუ მზერაში და სული მისი შეერწყმის სინათლესა და ჰაერს. ისეთი კილოთი იყო წარმოთქმული ორი სიტყვა: საწყალი ქალი!,,, რომ ცხადად გამოიკვეთა დაკმაყოფილებული სიძულვილის სიხარული, გამარჯვების ბედნიერება. ოჰ, განა არსებობდა ისეთი უბედურება, რასაც ლუსიენის მფარველს არ უსურვებდა?! შურისძიების გრძნობა, რაც საძულველი არსების სიკვდილის შემდეგაც გიზგიზებს, სამაგიეროს მიზღვის წყურვილი, რაც არასოდეს დაცხრება, იმდენად თავზარდამცემია და შემაძრწუნებელი, რომ თვით ქალბატონ კამიუზოს, ამ ბოროტ, ანჩხლ და გულღვარძლიან ქალსაც კი ელდა ეცა. კრინტი ვეღარ დაძრა და დადუმდა.

მართლაც, დიანა მეუბნებოდა, ლეონტინი ციხეში მივარდნილაო, განაგრძო ქალბატონმა დჟესპარმა, ვერ წარმოიდგენთ, ჩემი საყვარელი ჰერცოგინია როგორ ჯავრობს ამ სკანდალის გამო. რაც მართალია მართალია, მეტისმეტად უყვარს ქალბატონი დე სერიზი; გასაკვირი არცაა, მაგათ ხომ ორივეს თითქმის ერთსა და იმავე დროს უყვარდათ ყეყეჩი ლუსიენი, ხოლო არაფერი ისე არ აკავშირებს ან ისე არ თიშავს ორ ქალს, როგორც ერთი საკურთხევლის თაყვანისცემა. ჰოდა, ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა გუშინ მთელი ორი საათი ლეონტინის სასთუმალთან გაატარა. ჩანს, საწყალი გრაფინია საშინელ რამეებს ბოდავდა! მითხრეს, საზიზღარი მოსასმენიაო! წესიერი და პატიოსანი ქალი ასე არ უნდა აჰყვეს გულისთქმას!

ფუჰ! ეს ხომ წმინდა ფიზიკური ვნებაა... ჰერცოგინია ჩემთან მოვიდა, მკვდრისფერი ედო, მაგრამ თავი მაინც ყოჩაღად ეჭირა! ჯოჯოხეთური ამბავია... ბნელით მოცული...
ჩემი მეუღლე იუსტიციის მინისტრს ყველაფერს მოახსენებს, საკუთარი თავის გასამართლებლად არაფერს დაუმალავს. რა უნდა ექნა, ლუსიენი გადაარჩინეო, უჩიჩინებდნენ, მან კი, ქალბატონო, თავისი ვალი პირნათლად მოიხადა. აკი გამომძიებელს ევალება, კარცერში დამწყვდეული პატიმარი კანონით დაწესებული დროის განმავლობაში დაჰკითხოს! ხომ რაღაც უნდა ეკითხა იმ უბედური ბიჭისთვის! ჰოდა, ისე, ფორმალურად მიჰყავდა გამოძიება, მოსაჩვენებლად. ადგა და ამ ბიჭმა ყველაფერი დაფქვა...

სულელი იყო, თან თავხედი, ცივად თქვა ქალბატონმა დჟესპარმა.

ამ განაჩენის გაგონებაზე გამომძიებლის ცოლმა ხმა გაკმინდა.

აბა, რა შუაში იყო კამიუზო, როცა ბატონ დჟესპარზე მეურვეობის დაწესების საქმეში დავმარცხდით. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება! დასძინა ქალბატონმა დჟესპარმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ, ეგ სულ ლუსიენის, ბატონი დე სერიზის, ბატონი დე ბოვანისა და ბატონი დე გრანვილის ოინები იყო. სწორედ მაგათ დამიგეს მახე. მალე ჩემი დროც მოვა, ღმერთია შემწე! გაგიხარია, ყველა ამ ვაჟბატონს ხეირი არ დაეყრება. გული დაიმშვიდეთ, შევალიე დჟესპარს ახლავე გავგზავნი ბეჭდის მცველთან, რათა მან თქვენი მეუღლის გამოძახება დააჩქაროს, თუ ეს საჭიროა...

აჰ, ქალბატონო!..

მომისმინეთ, განაგრძობდა ქალბატონი დჟესპარი, სიტყვას გაძლევთ, რომ საპატიო ლეგიონის ორდენსაც მიგაღებინებთ, თანაც სასწრაფოდ, გადაუდებლად! ეს იქნება იმის ბრწყინვალე დადასტურება, თუ რაოდენ კმაყოფილნი არიან ამ საქმისადმი თქვენი დამოკიდებულებით! დიახ, ამით მეტი ჩირქი მოეცხება ლუსიენს და მის დანაშაულს უფრო დაიჯერებენ. იშვიათია, ვინმემ თავი ჩამოიხრჩოს საკუთარი სიამოვნებისთვის! ახლა კი გემშვიდობებით, ჩემო ძვირფასო მზეთუნახავო!

ათი წუთის შემდეგ ქალბატონი კამიუზო შედიოდა მშვენიერი დიანა დე მონფრინიეზის საძინებელში. ჰერცოგინია ღამის პირველ საათზე დაწოლილიყო, მაგრამ დილის ცხრა საათზედაც არ ეძინა. მთელი ღამე თვალზე რული არ მიჰკარებოდა.

რაც უნდა უგრძნობელნი ბრძანდებოდნენ ჰერცოგინიები, მკერდში გულის მაგივრად მარმარილოც რომ ედოთ, გაგიჟებული მეგობრის ნახვა მაინც მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მათზე.

ამასთან, დიანასა და ლუსიენის სასიყვარულო კავშირი თუმცა წლინახევრის წინ დაირღვა, ჰერცოგინიას იმდენი მოგონება დაუტოვა, რომ ჭაბუკის საბედისწერო სიკვდილს არ შეეძლო, მისთვის გული არ დაეთუთქა. მთელი ღამე დიანას ეჩვენებოდა მომხიბლავი ყმაწვილი, ესოდენ მიმზიდველი, პოეტური, სიყვარულისთვის დაბადებული უებრო სატრფო, ფანჯრის ცხაურზე ჩამომხრჩვალი, როგორც ციებცხელებით შეპყრობილი ლეონტინი ბოდვაში აღწერდა. დიანას შეენახა ლუსიენის მონაწერი, მჭევრმეტყველური, თავბრუდამხვევი წერილები, რაც ედარებოდა მირაბოს ეპისტოლეებს სოფისადმი, იმ განსხვავებით, რომ ლუსიენის უსტარი უფრო დახვეწილი, ნატიფი სტილით გამოირჩეოდა, რადგან შთამაგონებელი იყო უმძაფრესი, ბობოქარი ვნებით პატივმოყვარეობით! განა შეეძლო ლუსიენს, თავგზა არ აბნეოდა, როცა იგი უყვარდა უმშვენიერეს ჰერცოგინიას, რომელიც ყოველგვარ სიგიჟეს სჩადიოდა მისი გულისთვის, თუნდაც ფარულად. სიყვარულში მოპოვებულმა გამარჯვებამ ფრთა შეასხა პოეტს და მისი სიხარული გადმოინთხა ამაღელვებელ, აღმაფრთოვანებელ ეპისტოლეებში. ჰერცოგინიაც მათ ისე ინახავდა, როგორც ზოგიერთი ბერიკაცი ინახავს პორნოგრაფიულ სურათებს. მოდი და, სასოებით ნუ შეინახავდა, როცა ყოველ უსტარში გადაჭარბებულად ასხამდნენ ხოტბას იმ თვისებებს, რაც ქალბატონ ჰერცოგინიას სრულიად არ გააჩნდა.

ბინძურ დილეგში მოკვდა! ოხრავდა დიანა დე მონფრინიეზი და როცა მისი საძინებლის კარზე პირისფარეშმა მოაკაკუნა, სასწრაფოდ გადამალა წერილები.
მადამ კამიუზო გეახლათ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმისთვის, რაც ქალბატონს ეხება, მოახსენა პირისფარეშმა.

დიანა შიშით შეპყრობილი წამოხტა.

ოჰ, ყველაფერს მივხვდი, უთხრა მან ამელის, რომელსაც შექმნილი ვითარების შესაბამისი გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე, ჩემს წერილებს ეხება ეგ საქმე... ოჰ, ჩემი წერილები!.. ოჰ, ჩემი წერილები! და იგი დაეცა ტახტზე. გაახსენდა, ვნებით აღტყინებული ხმაშეწყობილად რომ უპასუხებდა ლუსიენს და ისევე ადიდებდა მამაკაცის პოეტურ ნიჭს, როგორც მისი საყვარელი უძღვნიდა ოდებს ქალის ბუნებას, უმღერდა დითირამბებს, ო, რანაირ დითირამბებს!
ვაგლახ, ასეა, ქალბატონო! მოვედი, რათა გადაგირჩინოთ სიცოცხლეზე ძვირფასი რამ! თქვენი პატიოსნება, სახელი! ძალა მოიკრიბეთ, თქვენდა საბედნიეროდ, მხოლოდ თქვენ არ ბრძანდებით შერცხვენილი.

კი მაგრამ, აკი მითხრეს, ლეონტინმა გუშინ სასახლეში ჩვენს საბრალო ლუსიენთან ნაპოვნი ყველა წერილი დაწვაო?

ქალბატონო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლუსიენს ორეული ჰყავდა ჟაკ კოლენის სახით! შესძახა გამომძიებლის ცოლმა, ეჭვგარეშეა, სწორედ ეს შემზარავი მეგობრობა გახლავთ ერთადერთი

მიზეზი მომხიბლავი და საცოდავი ჭაბუკის დაღუპვისა. ხოლო ეს კატორღელი მაკიაველი, რაც უნდა მოხდეს, თავს არასოდეს დაკარგავს! ბატონი კამიუზო დარწმუნებულია, ამ ურჩხულმა საიმედო ადგილას გადამალა ყველაზე სამარცხვინო წერილები, საყვარლები რომ უგზავნიდნენ მის...

მეგობარს, ცქვიტად ჩაურთო ჰერცოგინიამ, თქვენ მართალი ბრძანდებით, ჩემო ლამაზო, წავიდეთ გრანლიეებთან, მათაც ვკითხოთ რჩევა. ჩვენ ყველანი გარეული ვართ მაგ საქმეში. მადლობა ღმერთს, სერიზი ჩვენს მხარეზეა...

კონსიერჟერიში,, მომხდარი სცენების მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ უკიდურესი განსაცდელი ადამიანის სულზე ისევე ზემოქმედებს, როგორც მძლავრი ქიმიური რეაქტივები სხეულზე. ეს არის მორალური ვოლტას სვეტი. რა ვიცით, ეგებ შორს არ არის ის დღე, როდესაც ვინმე აღმოაჩენს მეთოდს, რისი მეოხებითაც ქიმიური კონდენსაციით გრძნობა ელექტროდენისმაგვარ ფლუიდად გადაიქცევა?

ასეა თუ ისე, ამ იდუმალმა ძალამ კატორღელსა და ჰერცოგინიაზე ერთნაირი გავლენა მოახდინა. განადგურებულმა, მომაკვდავმა, ძილგამკრთალმა ქალმა, კეკლუცმა ჰერცოგინიამ, რომლის ჩაცმაც იოლი საქმე როდი გახლდათ, საფრთხეში ჩავარდნილი ძუ ლომის ძალა იგრძნო, ხოლო გონება ბრძოლის ქარცეცხლში მოხვედრილი გენერალივით გაუნათდა. დიანამ თვითონვე მოიძებნა ტანსაცმელი, სწრაფად შეირჩია მორთულობა იმ გრიზეტივით, რომელიც თვითონვეა საკუთარი თავის მოახლეცა და ქალბატონიც. ეს სრულიად წარმოუდგენელი და უჩვეულო ამბავი იყო; პირისფარეში სახტად დარჩა და ერთ წუთს განძრევაც კი ვეღარ შეძლო, იმდენად განაცვიფრა ჰერცოგინიამ, რომელმაც უცბად გაიძრო სამოსი და პერანგის ამარა მოევლინა ქალბატონ კამიუზოს. ღმერთმა უწყის, იქნებ სიამოვნებასაც ჰგვრიდა გამომძიებლის ცოლის წინაშე სიფრიფანა ბატისტის ქათქათა ღრუბლიდან მოკიაფე თეთრი სხეული გამოეჩინა, გამოეჩინა კანოვას ვენერასავით,, უზადოდ ნაქანდაკები სხეული. აბრეშუმის ქაღალდში გახვეული თვალმარგალიტივით იდგა დიანა დე მონფრინიეზი. იგი უმალ მიხვდა, სად იქნებოდა დადებული სიყვარულის ტკბილი წუთებისათვის განკუთვნილი კორსეტი, რომელიც წინიდანაც იკვრებოდა და ქალს არც დრო და არც ძალა არ სჭირდებოდა მისი გახსნაშეკვრისთვის. მან უკვე მოასწრო, გაესწორებინა პერანგის მაქმანები და კოხტად გამოეკვართა მშვენიერი მკერდი, როცა მოახლემ ქვედაკაბა მოურბენინა, ტანზე მოარგო და ზედ კაბაც გადააცვა. პირისფარეშმა ამელის ანიშნა, დაგვეხმარეო. გამომძიებლის მეუღლემ ჰერცოგინიას ზურგზე შეუკრა კაბა, მოახლემ კი ფილდეკოსის წინდები, ხავერდისყელიანი ფეხსამოსი, შალი და ქუდი გაუმზადა. ამელიმ და პირისფარეშმა, ერთმა ერთ ფეხზე, მეორემ მეორეზე, ფეხსაცმელი მოარგეს და ყაითნები შეუკრეს.

თქვენზე ლამაზი ქალი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, გაიძვერულად ჩაუკრა ამელიმ და დიანას მომრგვალებული, ატლასივით მბზინავი მუხლი მგზნებარედ დაუკოცნა.

ქალბატონს ტოლი არა ჰყავს, ჩაურთო პირისფარეშმა.

კმარა, ჟოზეტ, გაჩუმდი, დაუცაცხანა ჰერცოგინიამ, თქვენ კარეტა გელოდებათ, არა? მიუბრუნდა ქალბატონ კამიუზოს, წავიდეთ, ჩემო ლამაზო, გზაში მოვილაპარაკოთ.

და ჰერცოგინიამ დე კადინიანთა სასახლის ფართო კიბე ჩაირბინა. გზად ხელთათმანებს იცვამდა, რაც არასოდეს გაუკეთებია.

გრანლიეთა სასახლეში, სწრაფად! უბრძანა თავის ერთერთ ლაქიას და ანიშნა, ეტლის უკანა საფეხურზე დამდგარიყო.
ლაქია უხალისოდ დაემორჩილა ბრძანებას, რამეთუ ეტლი დაქირავებული ფიაკრი გახლდათ.

აჰ, რატომ არ გამაფრთხილეთ, რომ ყმაწვილკაცს თქვენი წერილებიც ჰქონდა! ეგ რომ გვცოდნოდა, კამიუზო სულ სხვაგვარად მოიქცეოდა...

ლეონტინის მძიმე მდგომარეობამ გამაოგნა და საკუთარი თავი სულ გადამავიწყდა, უთხრა დიანამ, საბრალო ქალს გუშინწინ გონება თითქმის დაეკარგა, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა იმ შემზარავი სურათის დანახვაზე! ოჰ, რომ იცოდეთ, ჩემო საყვარელო, რა დილა გაგვითენდა გუშინ... რა განვიცადეთ... არა, ამის შემდეგ სამუდამოდ აიღებ ხელს სიყვარულზე. ჰო, გუშინ, ჩვენ, ორივე, მე და ლეონტინი, ერთმა გულის გასახეთქმა, ტანსაცმლით მოვაჭრე ყაჩაღანა ბებრუხანამ წაგვათრია იმ აყროლებულ და სისხლით მორწყულ ჯოჯოხეთში, სასამართლო რომ ჰქვია. სასახლეში,, რომ მივედით, ლეონტინს ვუთხარი, აქ გინდა მუხლებზე დაეცე და იყვირო, ღმერთო, მიშველე, მეტს აღარ ვიზამ, როგორც კიოდა ნეაპოლში გამგზავრებული ქალბატონი დე ნიუსინჟენი, როცა ხმელთაშუა ზღვაში ქარიშხალი ამოვარდამეთქი. თქმა არ უნდა, ეს ორი დღე სამუდამოდ დამამახსოვრდება! რა სულელები ვართ, რა გვრჯის, რომ წერილებს ვწერთ! მაგრამ, როცა გიყვარს და ისეთ წერილებს იღებ, რომ თვალი ვერ ძღება, გულში კოცონი გენთება და აგიზგიზებულ კოცონში ეხვევი! აკი აღარც გახსოვს სიფრთხილე, თავდაჭერა, მაშინვე საპასუხო უსტარს წერ...

რა საჭიროა წერილით პასუხი, როცა მოქმედებით უპასუხებ? შეესიტყვა ქალბატონი კამიუზო.

ო, რა ტკბილია თავის გაწირვა! ამაყად განუცხადა ჰერცოგინიამ, ეს ხომ სულის ნეტარებაა!

მშვენიერ ქალებს ყველაფერი ეპატიებათ, თავმდაბლად მიუგო ქალბატონმა კამიუზომ, მათ გაცილებით მეტი შემთხვევა ეძლევათ გულისთქმის ასაყოლად, ვიდრე ჩვენ!

ჰერცოგინიას გაეღიმა.

ჩვენ მეტისმეტად გულუხვნი ვართ, დასძინა დიანა დე მონფრინიეზმა, ამიერიდან ბოროტებით აღსავსე ქალბატონ დჟესპარს მივბაძავ.
ის როგორღა იქცევა? დაინტერესდა გამომძიებლის მეორე ნახევარი.

ათასი სასიყვარულო ბარათი მაინც დაუწერია...

ნუთუ მაგდენი? შესძახა კამიუზოს მეუღლემ და სიტყვა შეაწყვეტინა ჰერცოგინიას.

დიახ, ასე გახლავთ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ იმდენ წერილში ვერ იპოვი ერთ ისეთ სიტყვასაც, რაც მას ჩირქს მოსცხებს...

თქვენ ეგრე გულგრილად, ეგრე ცივად და გამოზომილად ვერ მოიქცევით, მიუგო ქალბატონმა კამიუზომ, თქვენ ხომ ნამდვილი ქალი ხართ და ისეთი ანგელოზი, რომელიც ეშმაკის ცდუნებას ვერ გაუძლებს...

ჩემს თავს ფიცი დავუდე, წერილი არასოდეს მივწერო ვინმეს. თუმცა, იმ უბედური ლუსიენის გარდა არც არავისთვის მიმიწერია... მის წერილებს კი კუბოს კარამდე შევინახავ! ჩემო ძვირფასო, ეს ხომ აგიზგიზებული ხანძარია და ხანდახან გვესაჭიროება იგი

ვაითუ, იპოვონ? ვითომ დაიმორცხვა კამიუზოს ცოლმა.

რა უჭირს, მე ვიტყვი, ლუსიენი რომანს წერდა და ეს წერილები რომანის შესავალიამეთქი. მე ხომ ყველა წერილი გადავწერე და დედნები ერთიანად დავწვი!

გთხოვთ, ქალბატონო, ჩემი სამსახურის ჯილდოდ წამიკითხოთ ისინი...

ვნახოთ, იქნებ წაგიკითხოთ კიდეც, უთხრა ჰერცოგინიამ, და მაშინ დარწმუნდებით, ჩემო კარგო, რომ ლეონტინისთვის ამის მსგავსი არაფერი მიუწერია!

ამ უკანასკნელ სიტყვებში გამომჟღავნდა ქალის მთელი ბუნება.

ლაფონტენის იგავის გომბეშოს მსგავსად, ქალბატონი კამიუზო კინაღამ გასკდა, ნეტარებისგან ისე გაიბერა, როცა დე გრანლიეთა სასახლეში მშვენიერ დიანა დე

მონფრინიეზს შეჰყვა. ამ დილით ესოდენ საჭირო პატივმოყვარული მიზნის მისაღწევად მას ნაცნობობა უნდა გაება. ყურში უკვე ჩაესმოდა სანუკვარი სიტყვები: ქალბატონი სასამართლოს თავმჯდომარის მეუღლე!,, უსაზღვრო სიხარულით ევსებოდა გული, რაკი გრძნობდა, ყველა დაბრკოლებას გადალახავდა; ამ დაბრკოლებათაგან ყველაზე დიდი იყო მისი ქმრის სრული უნიჭობა, რაც ჯერჯერობით ვერავის შეემჩნია, მაგრამ ამელის მშვენივრად მოეხსენებოდა. უგერგილო კაცის დაწინაურება კი სიამოვნებას ანიჭებს ქალებსა და მეფეებს. ასეთივე სიამოვნებას განიცდის ხშირად გენიალური მსახიობი, როცა ასჯერ და ათასჯერ თამაშობს უხეირო პიესაში. ეს არის საკუთარი თავით აღფრთოვანება! საკუთარი ძალაუფლების სატურნალია! ძლევამოსილება თავის თავსვე უმტკიცებს საკუთარ ძლიერებას მარტოოდენ იმით, რომ ბოროტად იყენებს უფლებას და გამარჯვების დაფნით მოსავს ვიღაც არარაობას; ეს კი შეურაცხყოფს გენიოსს, ერთადერთ ძალას, ვისაც დესპოტური ხელისუფლება ვერ იმორჩილებს. იმპერატორ კალიგულას ფარსი, საკუთარი ცხენის სენატორად დასმა, უწინ არ სცილდებოდა თეატრს და მარადიულად შერჩება კიდეც სცენას.

რამდენიმე წუთში ჰერცოგინია და ამელი მშვენიერი დიანას აწეწილდაწეწილი, კოხტა საძინებლიდან ჰერცოგინია დე გრანლიეს მკაცრსა და დიდებული ფუფუნებით მორთულ დარბაზში გადავიდნენ.

ეს უაღრესად ღვთისმოსავი პორტუგალიელი ქალი ყოველ დილას რვა საათზე დგებოდა, რათა დასწრებოდა წირვას წმინდა თომა აკვინელის სამრევლოს კუთვნილ სენტვალერის პატარა საყდარში, რომელიც იმ ხანებში ინვალიდების მოედანზე იდგა. ეს ეკვდერი მერე აიღეს და დროებით ბურგუნდიის ქუჩაზე გადაიტანეს, სანამ გოტიკური სტილის ეკლესიას ააშენებენ, რაზედაც ამბობენ, წმინდა კლოტილდის სახელი დაერქმევაო.

ჰერცოგინია დიანა დე მონფრინიეზმა რაღაც უჩურჩულა ჰერცოგინია დე გრანლიეს. ღვთისმოსავი ქალბატონი იმწამსვე წამოდგა, დარბაზიდან გავიდა და მალე შემოუძღვა ბატონ დე გრანლიეს. ჰერცოგმა ქალბატონ კამიუზოს, დიდ სენიორებს რომ სჩვევიათ, ისე შეავლო თვალი და უმალ შეაფასა მისი გარეგანი და შინაგანი სამყარო. ამელის მორთულობამ დიდად შეუწყო ხელი ჰერცოგს, გამოეცნო, რა ცხოვრება გამოევლო ამ ბურჟუა ქალს ალანსონიდან მანტამდე და მანტიდან პარიზამდე.

ეჰ, რა იცოდა გამომძიებლის ცოლმა, თუ ჰერცოგი ასეთი გამჭრიახობით გამოირჩეოდა, მაშინ ხომ თავაზიანობად არ ჩათვლიდა მის დამცინავად ზრდილობიან გამოხედვას და კეკლუცად არ გაუსწორებდა თვალს. უვიცობასა და ცბიერებას ერთი და იგივე უპირატესობა აქვს.

ეს ქალბატონი კამიუზო გახლავთ, მეფის მეკარის, ტირიონის ასული, უთხრა ჰერცოგინიამ ქმარს.

ჰერცოგი უაღრესი,, მოწიწებით მიესალმა სასამართლოს მოხელის მეუღლეს და ქედმაღლური მზერა ოდნავ შეურბილდა. მერე ზარი დარეკა, ლაქია შემოვიდა.

კარეტაში ჩაჯექით, ონორეშევალიეს ქუჩაზე წადით და ათი ნომერი მოძებნეთ. იქ სახლის პატარა კარზე დარეკეთ. კარს მსახური გაგიღებთ. ეტყვით, რომ მის ბატონს ვთხოვ, ჩემთან მოვიდეს. თვითონვე წამოიყვანეთ, თუ შინ იქნება. ჩემი სახელი ახსენეთ და არავითარი დაბრკოლება არ შეგხვდებათ. ეცადეთ, ამ საქმეს თხუთმეტ წუთზე მეტი არ მოანდომოთ.
როგორც კი ჰერცოგის ლაქია გავიდა, მაშინვე მეორე მსახური, ახლა უკვე ჰერცოგინიას ლაქია, შემოვიდა.

ჩემი სახელით მიდით ჰერცოგ დე შოლიესთან და ეს ბარათი შეუგზავნეთ, ჰერცოგმა თავისებურად გადაკეცილი სავიზიტო ბარათი გაუწოდა. როცა ამ გულითად მეგობრებს ერთმანეთის ნახვა დაუყოვნებლივ დასჭირდებოდათ რაიმე სასწრაფო ან საიდუმლო საქმეზე, ხოლო წერილობით შეტყობინება რაღაც უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, გადაკეცილი ბარათებით ამცნობდნენ ერთმანეთს.

ხომ ხედავთ, საზოგადოების ყოველ ფენაში ჩვეულებები ერთმანეთს ჰგავს და მათ შორის განსხვავება მხოლოდ მანერით, ფორმით, რაღაც ნიუანსით გამოიხატება... მაღალ საზოგადოებას თავისი არგო აქვს, მაგრამ ამ არგოს სტილი,, ეწოდება.

ქალბატონო, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ნამდვილად არსებობს წერილები, ვითომც მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს რომ მიეწეროს იმ ყმაწვილისთვის? მიმართა ჰერცოგმა დე გრანლიემ და თან ისეთი მზერა სტყორცნა ქალბატონ კამიუზოს, როგორსაც მეზღვაური სტყორცნის ზღვაში ლოტს.
ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ ვშიშობ, რომ ასეა, უპასუხა აცახცახებულმა ქალმა.

ჩემს ასულს არ შეიძლება ისეთი რამ დაეწერა, რისი საქვეყნოდ გამჟღავნებაც სამარცხვინო იქნება, შეჰყვირა ჰერცოგინიამ.

საბრალო ჰერცოგინია!,, გაიფიქრა დიანამ და ისე შეხედა მის ქმარს, რომ ახლა თვით ჰერცოგი დე გრანლიე აცახცახდა.

შენ რას იტყვი, ჩემო საყვარელო დიანა? ჩასჩურჩულა მან ჰერცოგინია დე მონფრინიეზს, როცა მასთან ერთად ფანჯრის ნიშაში განმარტოვდა.

კლოტილდს გაგიჟებით უყვარდა ლუსიენი, ჩემო ძვირფასო, გამგზავრებამდე პაემანიც კი დაუნიშნა. უმცროს ლენონკურს ხელი რომ არ შეეშალა, იქნებ გაქცეულიყო კიდეც ყმაწვილთან ერთად ფონტენბლოს ტყეში! ვიცი, ლუსიენი ისეთ წერილებს სწერდა

კლოტილდს, რომ წმინდანსაც კი თავს დააკარგვინებდა. ჩვენ, ევას სამი ასული, მიწერმოწერის გველმა მოგვნუსხა...

დიანა და ჰერცოგი ოთახში დაბრუნდნენ, მიუახლოვდნენ ჰერცოგინიას და ქალბატონ კამიუზოს, რომლებიც ხმადაბლა მუსაიფობდნენ. ამელი ჰერცოგინია დე მონფრინიეზის რჩევას დაჰყვა და თავი მოიკატუნა, დიდი ღვთისმოშიში ვინმე ვარო, რათა ამაყი პორტუგალიელის გული მოენადირებინა.

კატორღიდან გამოქცეულ ავაზაკს ჩაუვარდით ხელში! თქვა ჰერცოგმა და მხრები აიჩეჩა, ხედავთ, რა მოჰყვება სახლში ისეთი კაცის მიღებას, რომელიც ნდობას არ იმსახურებს! სანამ ვინმეს შინ შემოუშვებდე, ჯერ ძირფესვიანად უნდა გამოარკვიო, რა აბადია, ვისი შვილია, როგორი წარსული აქვს...

არისტოკრატთა თვალსაზრისით ეს ფრაზა წინამდებარე ნაშრომის მორალი გახლავთ.

მაგას აღარაფერი ეშველება, უთხრა ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა, სჯობს, მოვიფიქროთ, როგორ მოვუაროთ საბრალო ქალბატონ დე სერიზის, კლოტილდისა და თვით ჩემს საქმეს... სხვა რა შეგვიძლია, ანრის დავუცადოთ, დავიბარე. მაგრამ ყველაფერი იმ კაცზეა დამოკიდებული, ვისთანაც ჟანტილი გავგზავნე, ნეტავ ღმერთმა ინებოს და პარიზში იყოს! ქალბატონო, მიუბრუნდა კამიუზოს ცოლს, მადლობას გიხდით, რომ ასე შეწუხდით ჩვენ გამო...

ამგვარად ანიშნა ქალბატონ კამიუზოს, ახლა კი დროა, შინ წაბრძანდეთო. მეფის მეკარის ასულს საკმაოდ უჭრიდა გონება და ჰერცოგის სურვილი უმალ გამოიცნო. წამოდგა, მაგრამ ჰერცოგინია დე მონფრინიეზმა მისთვის დამახასიათებელი ჯადოსნური მომხიბლაობით, რითაც იმდენი ადამიანის ერთგულება და მეგობრობა მოეპოვებინა, ამელის ხელი მოხვია და წარუდგინა ჰერცოგსა და ჰერცოგინიას.

თუნდაც დილაადრიან არ წამომხტარიყო ჩვენს გადასარჩენად, მე პირადად მაინც გთხოვდით მოწყალების თვალით გადაგეხედათ საყვარელი ქალბატონი კამიუზოსთვის. მან ადრეც გამიწია ისეთი სამსახური, რისი დავიწყებაც შეუძლებელია. ჩვენი ერთგულია, თვითონაც და მისი მეუღლეც. პირობა მივეცი, ხელს შევუწყობდი მისი კამიუზოს დაწინაურებას. თუ გიყვარვართ, მფარველობას ნუ მოაკლებთ.
ასეთი რეკომენდაცია თქვენ არც კი გჭირდებათ, უთხრა ჰერცოგმა ქალბატონ კამიუზოს, გრანლიეებს არ სჩვევიათ გაწეული სამსახურის დავიწყება. მეფის მომხრეებს მალე მიეცემათ წინ წაწევის შესაძლებლობა და ამის საწინდარი მარტოოდენ მეფის ერთგულება იქნება. თქვენს ქმარსაც არავინ დაივიწყებს.

სიამაყითა და ბედნიერებით მთლად გაფუყული და გაბერილი ქალბატონი კამიუზო დე გრანლიეთა სასახლიდან გამოვიდა. გამარჯვებით ფრთაშესხმული დაბრუნდა შინ. საკუთარი თავით ისე იყო აღტაცებული, რომ გენერალური პროკურორის მტრობას მასხრადაც კი იგდებდა და გულში გაიძახოდა: იქნებ კიდეც ჩამოვაგდოთ ბატონი დე გრანვილი!,,

ქალბატონი კამიუზო სწორედ დროზე წავიდა. ამ ბურჟუას მეფის ფავორიტი, ჰერცოგი დე შოლიე სადარბაზო კართან შეხვდა.

ანრი, შეჰყვირა ჰერცოგმა დე გრანლიემ, როგორც კი მეგობრის მოსვლა აუწყა ლაქიამ, გთხოვ, გეხვეწები, სასახლეში გაიქეცი, ეცადე, მეფეს ელაპარაკო. ახლავე გეტყვი, რაც მოხდა, და მან ჰერცოგი ფანჯარასთან მიიყვანა, სადაც ცოტა ხნის წინ ეთათბირა თავქარიან და თვალწარმტაც დიანას.
დროდადრო ჰერცოგი დე შოლიე ქვეშქვეშ გასცქეროდა გიჟმაჟ ჰერცოგინიას, რომელიც დიდი ამბით ემასლაათებოდა ღვთისმოსავ ჰერცოგინიას, თვინიერად იღებდა მის რჩევადარიგებას და რაკი გრძნობდა, ჰერცოგი დე შოლიე თვალს არ მაცილებსო, თვითონაც ქურდულად აპარებდა მისკენ მზერას.

საყვარელო ბავშვო, მიმართა ბოლოს ჰერცოგმა დე გრანლიემ, დაასრულა თუ არა საიდუმლო მოლაპარაკება, ჭკუა მოიკრიბეთ! მომისმინეთ, დასძინა მან და დიანას ხელები თავის ხელში მოიქცია, ეცადეთ, წესიერად მოიქცეთ, სახელს ნუღარ შეირცხვენთ, წერასაც თავი დაანებეთ! ჩემო კარგო, წერილებს იმდენი უბედურება დაუტეხია კერძო პირებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც... ის, რაც ეპატიება კლოტილდივით უმანკო გოგონას, რომელიც პირველმა სიყვარულმა გაიტაცა, არ ეპატიება...

ძველ გრენადერს, ვისაც ბრძოლის ქარცეცხლი გამოუვლია! მიუგო ჰერცოგინიამ და თან გაბუტვით აიბზუა ტუჩები. ამ ხუმრობამ და მანჭვაგრეხამ ორივე ღრმად დამწუხრებულ ჰერცოგსა და თვით ღვთისმოშიშ ჰერცოგინიასაც კი ღიმილი მოჰგვარა.

ოთხი წელი იქნება, ერთი სასიყვარულო ბარათი არ დამიწერია! როგორაა საქმე, გადავრჩით? იკითხა თითლიბაზურად დიანამ, რომელიც ცდილობდა, ბავშვური საქციელით მღელვარება დაეფარა.

ჯერ არა! უთხრა ჰერცოგმა დე შოლიემ, თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რაოდენ ძნელია საქმეების თვითნებურად გადაწყვეტა. ეს იგივეა კონსტიტუციური მონარქისთვის, რაც გათხოვილი ქალისთვის ქმრის ღალატი. ადიულტერი გახლავთ, დიდ ცოდვად ითვლება, მკრეხელობაა!

არა, პაწაწინა შეცდომა! ჩაურთო ჰერცოგმა დე გრანლიემ.

აკრძალული ხილი! ღიმილით დასძინა დიანამ, ოჰ, ნეტავ მე ვიყო მთავრობა! რაც გამაჩნდა, სულ შევჭამე ეგ ხილი.

ოჰ, ძვირფასო, ძვირფასო! შესძახა ღვთისმოსავმა ჰერცოგინიამ, მეტისმეტად შეტოპეთ!

სადარბაზო კართან ცხენები ისეთი თქარათქურით შეჩერდნენ, ჩანდა, კარეტას დიდი სისწრაფით მოაგრიალებდნენ. ამ ხმაურზე ორივე ჰერცოგი ქალებს დაემშვიდობა და ჰერცოგი დე გრანლიეს კაბინეტისკენ გაემართა. აქვე შემოუძღვნენ ონორეშევალიეს ქუჩის ბინადარს, რომელიც სხვა არავინ იყო, თუ არა სასახლის კონტრპოლიციის, პოლიტიკური პოლიციის უფროსი, იდუმალებით მოცული, ყოვლისშემძლე კორანტენი.

მობრძანდით, მიმართა ჰერცოგმა დე გრანლიემ, შემობრძანდით, ბატონო სენდენი.
კორანტენი ჰერცოგის შესანიშნავმა მეხსიერებამ გააკვირვა. ორივე ჰერცოგს მდაბლად დაუკრა თავი და პირველმა შედგა ფეხი კაბინეტში.

ისევ და ისევ იმ კაცისთვის მოგიხმეთ, ძვირფასო ბატონო, იმის გამო, უთხრა ჰერცოგმა დე გრანლიემ.

ის ხომ გარდაიცვალა, მიუგო კორანტენმა.

დარჩა მისი ამხანაგი, შენიშნა ჰერცოგმა დე შოლიემ, საშიში ამხანაგი.

კატორღელი ჟაკ კოლენი! თქვა კორანტენმა.

ფერდინანდ, შენ ილაპარაკე, მიმართა ჰერცოგმა დე შოლიემ ყოფილ ელჩს.

ეგ ნაძირალა საშიში ვინმეა, განაგრძო ჰერცოგმა დე გრანლიემ, რადგან ხელში ჩაუგდია თავისი საყვარელი ქმნილების, ლუსიენ შარდონისთვის მიწერილი ქალბატონი დე სერიზისა და ჰერცოგინია დე მონფრინიეზის ბარათები. ეცდება, ძვირად გაყიდოს. ჩანს, ყმაწვილს ჩვევად ჰქონია საკუთარი წერილების საპასუხოდ სასიყვარულო ეპისტოლეები დაეტყუებინა სატრფოებისათვის. ამბობენ, მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიესაც რამდენიმე ცალი მიუწერიაო. დარწმუნებული არ გახლავართ, ასეა თუ არა, მაგრამ ვშიშობ, რომ მართალია. სიმართლის გაგება ამჟამად ჩვენთვის შეუძლებელია, რადგან მადმუაზელ დე გრანლიე სამოგზაუროდ არის წასული...

ეგ ბიჭი მაგდენს ვერ მოახერხებდა... სულ აბატ კარლოს ერერას ხრიკებია! კორანტენმა სავარძლის სახელურს დააყრდნო იდაყვი, თავი ხელში ჩარგო და ჩაფიქრდა, ძვირად გაყიდოს? ამ კაცს ყველა ჩვენგანზე მეტი ფული აქვს, თქვა მან, ესთერ გობსეკი სატყუარად

ჰყავდა და ანკესზე წამოაგო დაახლოებით ორი მილიონი იმ ოქროს ტბაში, რასაც სახელად ნიუსინჟენი ჰქვია... ბატონებო, მიშუამდგომლეთ სადაც ჯერ არს, რათა მოქმედების სრული უფლება მომცენ და მაგ კაცს ხელად მოგაშორებთ!

მერედა, წერილები? ჰკითხა ჰერცოგმა დე გრანლიემ.

მისმინეთ, ბატონებო! განაგრძობდა კორანტენი, ფეხზე წამოდგა, კვერნის მსგავს სახეზე მღელვარება აღბეჭდვოდა, ხელები შავი ფლანელის შარვლის ჯიბეში ჩაეწყო. ჩვენი დროის ისტორიული დრამის ამ დიდმა მსახიობმა მხოლოდ ჟილეტი და რედინგოტი გადაიცვა, საშინაო შარვალი კი დაიტოვა, რადგან შესანიშნავად მოეხსენებოდა, ზოგ შემთხვევაში ძლიერნი ამა სოფლისა რაოდენ მადლობელი რჩებიან სისწრაფისათვის. ახლა შინაურულად ბოლთას სცემდა კაბინეტში, ხმამაღლა ეთათბირებოდა საკუთარ თავს, გეგონებოდათ, მის გარდა აქ არავინ იმყოფებაო, ეგ ხომ პირწავარდნილი ავაზაკია! რა სასამართლო სჭირდება, პირდაპირ უნდა ჩააგდო ბისეტრში,,, ცალკე საკანში გამოამწყვდიო, რომ ხმის გამცემიც არ ჰყავდეს. ჰოდა, რას იზამს, ჩამაღლდება და ეგ იქნება! მაგრამ რა, ალბათ, უკვე მოასწრო თავისი დამქაშებისთვის განკარგულების გაცემა. განა ვერ მიხვდება, რა შეიძლება მოელოდეს!

რას ბრძანებთ, ერთი წუთითაც არ აცალეს, უთხრა ჰერცოგმა დე გრანლიემ, მოულოდნელად სტაცეს ხელი გომბიოს სახლში და მაშინვე კარცერში უკრეს თავი.

განა მაგისთანა ყაჩაღისთვის კარცერი დაბრკოლებაა? მიუგო კორანტენმა, ეგ ისევე ძლიერია, როგორც... როგორც მე!

რა ვქნათ?,, თვალებით შეეკითხნენ ერთმანეთს ჰერცოგებმა.

შეგვიძლია ეგ ყაჩაღი დაუყოვნებლივ გადავგზავნოთ კატორღაში... როშფორში,,... ჰოდა, ექვს თვეში ფეხებს გაჭიმავს! ოჰ, არა, თავისით მოკვდება, ხელს არავინ გაისვრის! დასძინა მან, რაკი ჰერცოგ დე გრანლიეს შეშფოთება შეატყო, აბა, რა გნებავთ? კატორღელი ექვს თვეზე მეტს ვერ ძლებს, როცა ზაფხულის პაპანაქებაში აიძულებენ, მძიმე სამუშაოთი წელი მოიწყვიტონ შარანტის ჭაობიან, აშმორებულ ნაპირზე. რა თქმა უნდა, ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგვადგებოდა, თუ ჩვენმა ვაჟბატონმა წერილები საგულდაგულოდ არ გადამალა, ხოლო თუ მაგ ძაღლთაპირმა მტრებისაგან თავი დაიზღვია, რაც სავარაუდო გახლავთ, მაშინ გამოსარკვევია, რა ზომები მიიღო. წერილები ღარიბ კაცს თუ აქვს მიბარებული, მისი მოსყიდვა ძნელი არ არის! მაშ, უმთავრესი ამოცანაა, ავალაპარაკოთ ჟაკ კოლენი! ო, რა ორთაბრძოლაა! დავმარცხდები! სჯობდა, ჟაკ კოლენისთვის მნიშვნელოვანი ქაღალდები შეგვეძლია თქვენი ქაღალდების სანაცვლოდ! გვეშოვა მისი სრული რეაბილიტაციის ბრძანება და ეგ კაცი ჩემს რაზმში ჩაგვერიცხა. ჟაკ კოლენი ერთადერთი

კაცია, ვისაც ჩემი შეცვლა შეუძლია, რაკი საწყალმა კონტანსონმა და ჩემმა საყვარელმა პერადმა სული განუტევეს. ჟაკ კოლენმა ეს ორი უბადლო ჯაშუში მოკლა და თითქოს თავისთვის ადგილი გაითავისუფლა. თავადვე ხედავთ, უნდა მომცეთ მოქმედების სრული თავისუფლება. ჟაკ კოლენი კონსიერჟერიშია,,. მე ახლა პროკურატურაში წავალ, ბატონ დე გრანვილს მოვინახულებ. დაუყოვნებლივ გაგზავნეთ სანდო კაცი და იქ დამახვედრეთ. ბატონი დე გრანვილი არ მიცნობს, მასთან სარეკომენდაციო წერილი დამჭირდება. წერილს წინასწარ ვაჩვენებ საბჭოს თავმჯდომარეს. თუ რეკომენდაცია არ მექნება, მაშინ ვინმე წარჩინებულმა პირმა წარმადგინოს... თქვენს განკარგულებაშია ნახევარი საათი. ამ დროს ჩაცმას მოვანდომებ, ერთი სიტყვით, სწორედ ისეთ კაცად გადავიქცევი, როგორიც უნდა წარდგეს ბატონი გენერალური პროკურორის წინაშე.
ბატონო, უთხრა ჰერცოგმა დე შოლიემ, ვიცი, როგორი ოსტატიც ბრძანდებით, ამიტომ გეკითხებით, რას გვეტყვით, ჰოს,, თუ არას,,? გამარჯვების იმედი თუ გაქვთ? კისრულობთ პასუხისმგებლობას?

დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების სრულ თავისუფლებას მომანიჭებთ და არაფერს შემეკითხებით. გეგმა მზად მაქვს.

ამ ავის მომასწავებელი პასუხის გაგონებაზე ორ დიდებულს ტანში გააჟრჟოლა.

იყოს ნება თქვენი, ბატონო! უთხრა ჰერცოგმა დე შოლიემ, ჩვენი დავალება იმ საქმეთა რიცხვში შეიტანეთ, რასაც ჩვეულებრივ გაკისრებენ.

კორანტენი ორ დიდ სენიორს გამოემშვიდობა და წავიდა.

ფერდინანდ დე გრანლიემ კარეტა შეაბმევინა ანრი დე ლენონკურისთვის და ისიც მაშინვე მეფის სასახლისკენ გაეშურა. თანამდებობა უფლებას აძლევდა, ნებისმიერ დროს შესულიყო მეფესთან.

ასე და ამგვარად, გენერალური პროკურორის კაბინეტში ერთმანეთს შეეჯახა დაბალი თუ მაღალი კლასების სრულიად სხვადასხვაგვარი, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ინტერესები. ამ ინტერესების დამცველად სამი პირი გამოდიოდა. სამართალს ბატონი დე გრანვილი წარმოადგენდა, ოჯახს კორანტენი, საზოგადოებრივ ბოროტებას, ველურ ძალმომრეობას მათი მძვინვარე და ულმობელი მოწინააღმდეგე ჟაკ კოლენი.

კანონიერებასა და უკანონობას პირი შეუკრავთ და ორთაბრძოლაში გამოუწვევიათ კატორღა და მისი ხრიკები! გაბედულების სიმბოლო, კატორღა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ ანგარიშსა და გონიერებას, ყოველგვარ საშუალებას მისაღებად თვლის, უკანონობას ფარისევლურად ნიღბით არ ფარავს, დამშეული მუცლის მისწრაფებას, სისხლიანი ამბოხებისთვის მარად მზადმყოფ შიმშილს განასახიერებს! განა ეს არ არის შეჯახება

თავდამსხმელისა და თავდამცველისა? ქურდობისა თუ საკუთრებისა? განა ეს არ არის საშინელი საკითხი, რაც შეეხება სოციალურ მდგომარეობასა და ბუნებრივ მდგომარეობას, რაც ესოდენ ვიწრო ჩარჩოშია მოქცეული და ნაუცბადევად გადაწყვეტილი? დასასრულ, ეს ხომ ჭეშმარიტი, შემაძრწუნებელი სურათი იყო ძალაუფლების უსუსური წარმომადგენლებისა და ძლევამოსილ მეამბოხეთა ანტისოციალური შეთანხმებისა?

გენერალურ პროკურორს მოახსენეს თუ არა ბატონი კამიუზოს მოსვლა, ხელით ანიშნა, შემოვიდესო. ბატონი დე გრანვილი წინასწარ გრძნობდა, რომ ეს ვიზიტი უთუოდ მოსალოდნელი იყო და გადაეწყვიტა, გამომძიებელს შესთანხმებოდა, რათა ლუსიენის საქმე რამენაირად ჩაეფარცხათ. წინადღეს კამიუზოსთან ერთად მიღებული გადაწყვეტილება საბრალო პოეტის გარდაცვალების შემდეგ აღარ გამოდგებოდა...

დაბრძანდით, ბატონო კამიუზო, მიმართა ბატონმა დე გრანვილმა და თავის სავარძელში უღონოდ ჩაეშვა.
გამომძიებელთან პირისპირ დარჩენილი მაგისტრატი აღარ მალავდა, რაოდენ მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. კამიუზომ შენიშნა, ჩვეულებრივ, თავშეკავებულ კაცს მკვდრისფერი დასდებოდა და საშინელი დაღლილობა აღბეჭდვოდა სახეზე. ბატონი დე გრანვილი იმდენად ქანცმილეული და განადგურებული იყო, რომ ჩანდა, იმაზე მეტად იტანჯებოდა, ვიდრე იტანჯება სიკვდილმისჯილი, რომელსაც სასამართალოს მწერალმა ესეს არის წაუკითხა განაჩენი, სადაც მსჯავრდადებულს შეწყალებაზე უარს უცხადებენ. ამგვარი უარის გამოცხადება კი სამართლის წესით ნიშნავს, მოემზადეთ, აღსასრულის ჟამი დაგიდგათო!

ბატონო გრაფო, მერე მოვალ, თუმცა გადაუდებელი საქმე კი მაქვს, უთხრა კამიუზომ.

დარჩით, ღირსეული თავშეკავებით უპასუხა გენერალურმა პროკურორმა, ჭეშმარიტი მაგისტრატები, ბატონო, ვალდებული არიან, ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ მწუხარებას და არავის შეამჩნევინონ გასაჭირი. დიდად დამიშავებია, რაკი თქვენ შემნიშნეთ მღელვარება...

კამიუზომ ხელი ჩაიქნია.

ღმერთმა დაგიფაროთ, ბატონო კამიუზო, ისეთი მძიმე განსაცდელისაგან, რაც მე დამატყდა თავს. უფრო ნაკლებსაც ვერ გაუძლებდა კაცი! წუხელ მთელი ღამე ჩემს ერთერთ გულითად მეგობართან გავატარე. ასეთი მეგობარი მხოლოდ ორი მყავს: გრაფი ოქტავ დე ბოვანი და გრაფი დე სერიზი. ჩვენ სამნი საღამოს ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე რიგრიგობით შევდიოდით ქალბატონი დე სერიზის საძინებელში. შიშით გული გვისკდებოდა, ვაითუ, მკვდარი დაგვიხვდეს ან სამუდამოდ გაგიჟებულიო. დეპლენი, ბიანშონი და სინარი ორ მესასთუმლესთან ერთად მის საწოლს ერთი წუთითაც არ მოშორებიან. გრაფი ცოლს აღმერთებს. აბა, წარმოიდგინეთ, რა ღამე იყო ჩემთვის; აქეთ სიყვარულით გაგიჟებული

ქალი, იქით სასოწარკვეთილებით გაგიჟებული მეგობარი. სახელმწიფო მოღვაწე ვიღაც შტერივით ხომ არ გამოამჟღავნებს დარდსა და ვარამს! თითქოს სახელმწიფო საბჭოს სხდომას ესწრებაო, ისე მშვიდად იჯდა სერიზი, მაგრამ შინაგანად უსაზღვროდ იყო დაძაბული, რათა ჩვენ არ შეგვემჩნია, რარიგ იტანჯებოდა. მწარე განცდებით გათანგული ისე ცდილობდა, თავი შეეკავებინა, რომ შუბლზე ოფლის წვეთები უციმციმებდა. ბოლოს, ასე, ხუთი საათი იქნებოდა, ძილმა თავი წამართვა და ჩამეძინა. რვის ნახევარზე გამომეღვიძა. მე კი რვა საათზე აქ უნდა ვყოფილიყავი სიკვდილით დასჯის ბრძანების გასაცემად. მერწმუნეთ, კამიუზო, როდესაც მაგისტრატი მთელი ღამე ტანჯვაწამების უფსკრულშია ჩავარდნილი, შეიგრძნობს, რომ უფლის მარჯვენა მძიმედ ეშვება ადამიანთა საქმეებზე და აპობს კეთილშობილებით სავსე გულებს; დიახ, ასეთ წუთებში ძნელია მოხვიდე აქ, დაჯდე ამ მაგიდასთან და ცივად ბრძანო: ოთხ საათზე მოჰკვეთეთ თავი! მოსპეთ სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე ღვთის გაჩენილი არსება!,, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, ეს ჩემი მოვალეობაა! სევდითა და ნაღვლით გულმოკლულმა უნდა ვბრძანო, ეშაფოტი აღმართეთმეთქი...

რა იცის სიკვდილმისჯილმა, რომ მაგისტრატსაც უღრღნის გულს მწუხარება. ამწუთას ქაღალდის ნაფლეთის წყალობით ჩვენ ორნი ერთმანეთს ვუკავშირდებით; მე შურისმაძიებელი საზოგადოება ვარ, იგი დასასჯელი ბოროტმოქმედება და ორივე ერთი და იმავე ვალდებულების ორ მხარეს წარმოვადგენთ, ვართ ორი არსება, კანონის მახვილმა წამით ერთმანეთთან რომ შეგვადუღაბა. მწარე ტკივილით იდაგება მაგისტრატი, მერე ვის ეცოდება იგი? ვინ ანუგეშებს? ჩვენი დიდებაც სწორედ ის არის, რომ წუხილს გულში ღრმად ვიმარხავთ! მოძღვარი სიცოცხლეს ღმერთს სწირავს, ჯარისკაცი ათასჯერ სწირავს სიცოცხლეს სამშობლოს და ისინი გაცილებით ბედნიერნი არიან, ვიდრე მაგისტრატი, რომელსაც მძიმედ დასწოლია უამრავი ეჭვი, შიში, პასუხისმგებლობის შემზარავი გრძნობა. იცით, ვინ უნდა დასაჯოთ? განაგრძობდა გენერალური პროკურორი, ოცდაშვიდი წლის ჭაბუკი, ისევე მშვენიერი, როგორიც იყო ჩვენი გუშინდელი მიცვალებული. ესეც მასავით ოქროსქოჩრიანია. მისი თავი სრულიად მოულოდნელად შემოგვთავაზეს, რაკი მოპარული ქონების გადამალვა დაუმტკიცდა. სიკვდილი მიუსაჯეს და ბიჭმა არაფერი აღიარა! სამოცდაათი დღეა საშინელ გამოცდას უძლებს და სულ გაიძახის, ბრალი არაფერში მიმიძღვისო. მეც ამ ორი თვის განმავლობაში ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მხრებზე ორი თავი მებას. ოჰ, სიცოცხლის ნახევარს შევწირავდი, ოღონდ გამოტეხილიყო და მეც ნაფიც მსაჯულთა დაშოშმინების საშუალება მომცემოდა! განსაჯეთ, როგორ შეელახება სახელი მართლმსაჯულებას, თუ რამდენიმე დღეში გამოირკვევა, რომ დანაშაული, რისთვისაც ჭაბუკს თავს მოჰკვეთენ, სხვას ჩაუდენია. პარიზში ყოველივე დიდად მნიშვნელოვანი ხდება, სულ პაწაწინა შემთხვევითი დანაშაული პოლიტიკურ ბრალდებად გადაიქცევა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რევოლუციური კანონმდებლობის აზრით ესოდენ მძლავრი ინსტიტუტი, საზოგადოებრივი ნგრევის ერთერთი გამომწვევი მიზეზია, რამეთუ იგი თავის დანიშნულებას ღალატობს, სათანადოდ არ იცავს საზოგადოებას.

ნაფიცი მსაჯულნი გასართობად თვლიან თავიანთ მდგომარეობას. დაყოფილნი არიან ორ ბანაკად და ერთ ბანაკს მოუნდომებია სიკვდილით დასჯის გაუქმება, რის შედეგადაც კანონის წინაშე თანაბარი უფლება ისპობა. ისეთი შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედებისთვის, როგორიცაა მამის მკვლელობა, ერთ დეპარტამენტში გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენი, მეორე დეპარტამენტში კი ჩვეულებრივი, უბრალო დანაშაულისთვის სიკვდილს უსჯიან! მერე, ვიღას გავუსწოროთ თვალი, თუ ჩვენს ოლქში, პარიზში, უდანაშაულოს მოვკვეთთ თავს!

ეგ ხომ კატორღიდან გამოქცეულია, მოკრძალებით შენიშნა ბატონმა კამიუზომ.
ამას ოპოზიცია თითზე დაიხვევს და სააღდგომო კრავად გამოაცხადებს! შეჰყვირა ბატონმა დე გრანვილმა, ნუ გავიწყდებათ, ოპოზიციისთვის მისი გამართლება კოზირი იქნება. ეს ბიჭი კორსიკელია, თავისი ქვეყნის ზნეჩვეულებათა ფანატიკური მორწმუნე და მისი ყოველი მკვლელობა შურისძიება გახლავთ! დიახ, მაგ კუნძულზე მტერს თავისი ხელით კლავს კაცი; თვითონაც და საზოგადოებაც დარწმუნებული არიან, რომ იგი დიდად პატიოსანი ადამიანია.

ეჰ, ჭეშმარიტი მაგისტრატები უაღრესად უბედურნი არიან! რაო, ასე არ არის? საზოგადოებას მოწყვეტილნი უნდა ცხოვრობდნენ, როგორც უწინ ქურუმები ცხოვრობდნენ. მკაცრად განსაზღვრულ დროს დაინახავდა მათ ხალხი, როცა ხანდაზმულნი, ღვთაებრივნი და პატივისცემის აღმძვრელნი თავიანთი საკნებიდან გამოვიდოდნენ და გაასამართლებდნენ ადამიანებს ისე, ვით უძველეს ეპოქებში იურიდიული და რელიგიური ძალაუფლებით აღჭურვილი ქურუმთუხუცესნი ასამართლებდნენ. ჩვენ მხოლოდ ჩვენს სავარძლებში დაბრძანებულებს გვიხილავდნენ. ახლა კი ყველას თვალწინ ვიტანჯებით ან ვმხიარულობთ და სხვებისგან არაფრით განვსხვავდებით! გვხედავენ სასტუმრო დარბაზებში, შინაურობაში. გვხედავენ, ჩვეულებრივი მოქალაქენი ვართ, ადამიანური ვნებებით შეპყრობილნი და იქნებ გარეშე თვალისთვის სასაცილონი უფრო ვჩანვართ, ვიდრე საშიშნი...

ამ ერთბაშად აღმოხეთქილმა პაუზებითა და შეძახილებით აღსავსე სულის ამონაკვნესმა, რასაც უფრო მჭევრმეტყველურს ხდიდა ქაღალდზე ძნელად გადმოსაცემი ჟესტმიმიკა, კამიუზო შეაკრთო.

ბატონო, უთხრა გამომძიებელმა, გუშინ მეც დავიწყე შეგირდობა იმ მწუხარებით მოფენილ გზაზე, წინ რომ უძღვის ჩვენს საქმეს! კინაღამ სული გამაცხებინა ჭაბუკის სიკვდილმა; ვერ მიმიხვდა, მის მხარეზე რომ ვიყავი. უბედურმა თავისი ხელით გაითხარა სამარე...
ეეჰ, არ უნდა დაგეკითხათ, შეჰყვირა ბატონმა დე გრანვილმა, რა ადვილია თავშეკავებით სამსახურის გაწევა!

მერედა, კანონი? შეესიტყვა კამიუზო, ის ხომ უკვე ორი დღე იჯდა ციხეში!

როგორც კი შემიძლია, ვცდილობ, გამოვასწორო ის, რისი გამოსწორებაც არ იქნება! ჩემი კარეტა და ლაქიები იმ აგრერიგად სუსტი ნებისყოფის პოეტის კუბოს გაჰყვებიან. სერიზიც ჩემსავით მოიქცა. უფრო მეტიც, მიიღო უბედური ჭაბუკის უკანასკნელი დავალება და მისი ანდერძის აღსრულება იკისრა. როცა თანხმობა განაცხადა, ცოლმა ისეთი თვალით შეხედა, რომ დავრწმუნდით, გონება მთლად არ დაუკარგავს. დასასრულ, თვით გრაფი ოქტავიც დაესწრება ყმაწვილის დასაფლავებას.

რაც იყო, იყო, ბატონო გრაფო, მიმართა კამიუზომ, ჩვენი საქმე დავამთავროთ. მეტად საშიში ბრალდებული შეგვრჩა ხელში. თქვენ ისევე კარგად მოგეხსენებათ, როგორც მე, რომ იგი ჟაკ კოლენია. ავაზაკს ნიღაბს ჩამოხსნიან და დაუმტკიცებენ, ვინც ბრძანდება...

დავიღუპეთ! წამოიძახა ბატონმა დე გრანვილმა.

ამწუთას იგი თქვენს სიკვდილმისჯილთან არის. კატორღაში ეს ბიჭი იგივე იყო მისთვის, რაც ლუსიენი პარიზში... მისი ნებიერი! ბიბილუპენი ჟანდარმის ტანსაცმლით შეინიღბა და მათ შეხვედრას ესწრება.

ყველაფერში ცხვირს ყოფს ეგ პოლიცია! თქვა გენერალურმა პროკურორმა, რა უფლება აქვს, ჩემი განკარგულების გარეშე იმოქმედოს!

მალე მთელი კონსიერჟერი,, გაიგებს, რომ ჩვენს ხელთაა ჟაკ კოლენი... დიახ, იმიტომაც გეახელით, რომ მოგახსენოთ, ამ თავხედ ყაჩაღს, ვფიქრობ, ხელში ჩაუგდია ქალბატონი დე სერიზის, ჰერცოგინია დე მონფრინიეზისა და მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს კორესპონდენცია.

დარწმუნებული ბრძანდებით? ჰკითხა ბატონმა დე გრანვილმა და ვერ მოახერხა, დაემალა, როგორ ეტკინა გული ამ ამბის გაგებით.

თვითონ განსაჯეთ, ბატონო გრაფო, ხომ არ ვცდები, ამ უბედურების რომ მეშინია. როდესაც იმ შავ დღეზე გაჩენილი ყმაწვილის წერილების შეკვრა გავხსენი, ჟაკ კოლენი ყურადღებით დააშტერდა და მერე კმაყოფილებით გაიღიმა. ამ ღიმილის მნიშვნელობა შეუძლებელია, გამომძიებლის თვალს გამოჰპარვოდა. ასე დაუნდობელი და მზაკვარი ნაძირალა ასეთ იარაღს ხელიდან არ გაუშვებდა. რას იტყვით, ამგვარი საბუთებით აღჭურვილი დამცველი, რომელსაც ავაზაკი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისა და არისტოკრატიის მოწინააღმდეგეთა ბანაკში შეარჩევს, განა ხეირს დაგვაყრის? ჩემი მეუღლე, რომლის მიმართ ჰერცოგინია დე მონფრინიეზი კეთილგანწყობილია, ამ დილას მასთან წავიდა და ახლა უეჭველია, უკვე დე გრანლიეებთან მოსალაპარაკებლად არის.

მაგ კაცის სასამართლოზე გაყვანა ყოვლად შეუძლებელია! შეჰყვირა გენერალურმა პროკურორმა, წამოხტა და დიდი ნაბიჯებით ბოლთის ცემას მოჰყვა კაბინეტში, წერილებს საიმედო ადგილას გადაინახავდა...

ვიცი, სადაც, უთხრა კამიუზომ.

ამ სიტყვებით გენერალურ პროკურორს მისდამი აღძრული ეჭვი და უნდობლობა სრულიად გაუცამტვერა.

ნუთუ მართლა? აღმოხდა ბატონ დე გრანვილს და სავარძელში ჩაეშვა.

შინიდან სასახლეში რომ მოვდიოდი, სულ მაგ საქმეზე ვფიქრობდი. ჟაკ კოლენს მამიდა ჰყავს, ნამდვილი და არა ცრუ. ამ ქალზე პოლიტიკურმა პოლიციამ პრეფექტურას სათანადო ცნობები გადასცა. ჟაკ კოლენი შეგირდი და სათაყვანებელი კერპია თავისი მამის ღვიძლი დის, ჟაკლინ კოლენის. მაგ ტარტაროზს დუქანი აქვს და ტანსაცმლითა და სამკაულებით ვაჭრობს. თავისი ხელობის წყალობით მრავალი ოჯახის საიდუმლოს იცნობს. თუკი ჟაკ კოლენმა ვინმეს მიანდო ქაღალდები, მაგ ბინძური დედაკაცის მეტი ვინღა იქნება! დავაპატიმროთ...

გენერალურმა პროკურორმა ჯიქურ შეხედა კამიუზოს. ეს გამოხედვა ნიშნავდა: ეს კაცი არცთუ ისეთი სულელი ყოფილა, როგორიც მეგონა. ოღონდ ჯერ ახალგაზრდაა და სამართლის სადავეებს ვერ მორევია,,.

მიზანს რომ მივაღწიოთ, განაგრძობდა კამიუზო, გუშინდელი გადაწყვეტილებანი და ღონისძიებები ძირფესვიანად უნდა შევცვალოთ. თქვენგან მოველი რჩევას, ბრძანებას...

გენერალურმა პროკურორმა ქაღალდის საჭრელი დანა აიღო და მაგიდის კიდეზე ანგარიშმიუცემლად დაიწყო კაკუნი, როგორც სჩვევია ჩაფიქრებულ ადამიანს.

სამი ოჯახი დაღუპვის პირასაა! შესძახა მან, ფეხი ოდნავადაც არ უნდა დაგვიცდეს! მართალი ბრძანდებით, უპირველეს ყოვლისა, გავყვეთ ფუშეს აქსიომას: დავაპატიმროთ! ახლავე, დაუყოვნებლივ გადავიყვანოთ კარცერში ჟაკ კოლენი!
მაგით ხომ საქვეყნოდ ვაღიარებთ, რომ იგი კატორღიდან გამოქცეული ავაზაკია! ჩირქს მოვცხებთ ლუსიენის ხსოვნას...

რა ჩახლართული საქმეა! დაიგმინა ბატონმა დე გრანვილმა, საითაც გაიხედავ, საფრთხეა ჩასაფრებული.

ამ დროს კონსიერჟერის,, დირექტორი შემოვიდა, რასაკვირველია, მანამდე კარზე მოაკაკუნა, მაგრამ გენერალური პროკურორის კაბინეტი და მისი მსგავსი სხვა ოთახები ისე კარგადაა დაცული, რომ მხოლოდ პროკურატურასთან დაახლოებულ პირებს შეუძლიათ კარზე დაკაკუნება.

ბატონო გრაფო, მიმართა ბატონმა გომ, პატიმარი, რომელსაც კარლოს ერერას უწოდებენ, თქვენს ნახვას ითხოვს.

ვინმეს თუ დაელაპარაკა ამ ხნის განმავლობაში? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა.

პატიმრებს, რადგან დილის რვის ნახევრიდან თითქმის სულ ეზოშია. მოინახულა სიკვდილმისჯილიც, რომელიც, მგონი, გამოესაუბრა კიდეც.

ბატონ დე გრანვილს ერთბაშად გაახსენდა კამიუზოს ნათქვამი ერთი რამ, გონება უცბად გაუნათდა და მიხვდა, როგორ ესარგებლა ჟაკ კოლენისა და თეოდორ კალვის ახლო მეგობრობით და წერილები დაებრუნებინა. თან შვებაც იგრძნო, რაკი მიზეზი მიეცა სიკვდილით დასჯის გადადებისა. გენერალურმა პროკურორმა ხელით მოიხმო ბატონი გო და უთხრა:

დასჯა ხვალისთვის გადავდოთ, მხოლოდ კონსიერჟერიში,, არავინ უნდა მიხვდეს ამას. ჩვენს საიდუმლოს ნურვის გაუმხელთ! ჯალათი ვითომ ეშაფოტის დადგმის სამეთვალყურეოდ არის წასული. ესპანელ მღვდელს საიმედო დაცვა მიუჩინეთ და გამომიგზავნეთ. ესპანეთის საელჩო მის თავს გვთხოვს. შინაგანი დერეფნებით გამოატარონ ჟანდარმებმა, არავინ მოჰკრას თვალი. მცველები გააფრთხილეთ, აქეთიქიდან ამოუდგნენ და სანამ ჩემს კაბინეტამდე არ მოიყვანენ, ხელი არ შეუშვან... დარწმუნებული ბრძანდებით, ბატონო გო, რომ საშიში უცხოელი პატიმრებს გარდა არავის გაჰკარებია?
მოიცათ! სიკვდილმისჯილის დილეგიდან რომ გამოვიდა, მის სანახავად მობრძანდა ერთი ქალბატონი...

ორმა მაგისტრატმა ერთმანეთს გადახედა და მერე როგორ გადახედა!

რომელი ქალბატონი? ჰკითხა კამიუზომ.
მისი მრევლიდან იყო... მარკიზის მეუღლე... მიუგო ბატონმა გომ.

სულ უარესად მიდის საქმე! შეჰყვირა ბატონმა დე გრანვილმა, რომელიც თვალს არ აცილებდა კამიუზოს.

მერედა, რა თავსატეხი საქმე გაუჩინა ჟანდარმებსა და ზედამხედველებს! განაგრძობდა ბატონი გო უაღრესად შეშფოთებული.

ისეთი თანამდებობა გიჭირავთ, რომ ყოველი წვრილმანი დიდად მნიშვნელოვანი უნდა იყოს თქვენთვის, მკაცრად უთხრა გენერალურმა პროკურორმა, ტყუილუბრალოდ ხომ არ არის სქელი გალავნით გარშემორტყმული კონსიერჟერი,,? როგორ მოახერხა ამ ქალბატონმა შემოსვლა?

სათანადოდ გაფორმებული საშვი ჰქონდა, ბატონო, შენიშნა დირექტორმა, ქალბატონს შესანიშნავად ეცვა, მდიდრულ კარეტაში იჯდა, ახლდა ჰაიდუკი და მეტერფულე ლაქია. სულიერი მამა მოინახულა და მერე აპირებდა დასაფლავებაზე წასვლას. დღეს ხომ იმ უბედურ ყმაწვილკაცს ასვენებენ, რომლის ცხედრის გატანაზე თქვენ გაეცით განკარგულება...

მომიტანეთ პრეფექტურის მიერ გაცემული საშვი, უბრძანა ბატონმა დე გრანვილმა.

გაცემულია მისი აღმატებულება გრაფ დე სერიზის შუამდგომლობის საფუძველზე.

როგორ გამოიყურებოდა ქალი? იკითხა გენერალურმა პროკურორმა.

ჩვენი აზრით, მაღალი წრის ქალბატონი უნდა ყოფილიყო.

სახე თუ დაინახეთ?

შავი პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული.

რა უთხრეს ერთმანეთს?

აბა, ღვთისმოშიშ ქალს, ხელში ლოცვანი რომ ეჭირა, რა უნდა ეთქვა? აბატს კურთხევა სთხოვა, მის წინაშე მუხლი მოიყარა...

დიდხანს საუბრობდნენ? ჰკითხა გამომძიებელმა.

ხუთი წუთიც კი არ ულაპარაკიათ, მაგრამ ჩვენ შორის ვერავინ გაიგო, რას ეუბნებოდნენ ერთმანეთს. ჩანს, ესპანურად ლაპარაკობდნენ.

გვიამბეთ ყველაფერი, ბატონო, დასძინა გენერალურმა პროკურორმა, ისევ გიმეორებთ, ჩვენთვის სულ პატარა წვრილმანსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენთვის ეს ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იყოს!

ქალი ტიროდა, ბატონო.

ნამდვილად ტიროდა?

მაგას როგორ დავინახავდით, ცხვირსახოცი ეფარა სახეზე და ისე ქვითინებდა. პატიმრებისათვის ოქროთი სამასი ფრანკი დაგვიტოვა.

ის მარკიზის მეუღლე არ არის! შეჰყვირა კამიუზომ.

ბიბილუპენმა კი გვითხრა, ქურდბაცაცა ყოფილაო, დაასრულა ბატონმა გომ.

მაგას არაფერი გამოეპარება, თქვა ბატონმა დე გრანვილმა. მერე კამიუზოს მიუბრუნდა, დაწერეთ ბრძანება, ქალს დაუყოვნებლივ ყველაფერი დაულუქეთ, არაფერი გამოგრჩეთ! ნეტავ როგორ მოახერხა ბატონი სერიზისგან შუამდგომლობის მიღება?.. მომიტანეთ პრეფექტურის საშვი... წაბრძანდით, ბატონო გო! სასწრაფოდ გამომიგზავნეთ აბატი. სანამ აქ მეყოლება, სხვა საფრთხე აღარ მოგველის, ხოლო ორ საათს რომ ესაუბრები კაცს, შეუძლებელია მის სულშიაც არ ჩაიხედო.

მით უმეტეს, ისეთმა გენერალურმა პროკურორმა, როგორიც თქვენ ბრძანდებით, მოხერხებულად ჩაურთო სიტყვა კამიუზომ.

ჩვენ ორნი ვიქნებით, თავაზიანად უპასუხა გენერალურმა პროკურორმა და ისევ ფიქრს მისცა თავი.

კარგი იყო, ციხის ყოველ მოსაცდელ ოთახში ზედამხედველის თანამდებობა დაგვეწესებინა და ეს ადგილი მიგვეცა პოლიციის ყველაზე მარჯვე და ერთგული აგენტებისთვის, რომლებიც საქმიდან გადამდგარნი არიან. გასამრჯელოდ ხელფასიც დიდი დაგვენიშნა, თქვა გენერალურმა პროკურორმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, ბიბილუპენი ამ თანამდებობაზე დაასრულებდა თავის დღეებს. გვეყოლებოდა ჩვენი თვალიცა და ყურიც იქ, სადაც ყველაზე მეტად გვესაჭიროება ფხიზელი ზედამხედველობა, რაც ამჟამად არ გაგვაჩნია. ბატონმა გომ გადაწყვეტით ვერაფერი გაგვაგებინა.

ის ძალზე მოუცლელია, თქვა კამიუზომ, თან კარცერებსა და ჩვენს კაბინეტებს შორის ცნობათა მიტანის სისტემაში ბევრი ხარვეზია. ეს კი დაუშვებელია. კონსიერჟერიდან,, ჩვენს კაბინეტებში რომ მიხვიდე, დერეფნები, ეზოები, კიბეები უნდა გაიარო. ჩვენს აგენტებს ყურადღება ყოველთვის სათანადოდ დაძაბული არა აქვთ, ხოლო პატიმარს თავისი საქმის მეტი არაფერი ახსოვს. როგორც მითხრეს, ერთი ქალბატონი ადრეც დახვედრია ჟაკ კოლენს,

როცა კარცერიდან დასაკითხად გამოიყვანეს. ქალი ჟანდარმთა საგუშაგომდე მიჰყოლია, სათაგურის,, პატარა კიბის ზემოთ რომ არის, იმ საგუშაგომდე. მოქალაქეებმა თვითონვე მითხრეს და ამისთვის კიდეც გამოვთათხე ჟანდარმები.

ოჰ, სასახლე მთლად გადასაკეთებელია, დაუდასტურა ბატონმა დე გრანვილმა, მაგრამ ოცი ან ოცდაათი მილიონი მაინც დასჭირდება! წადი და სთხოვე დეპუტატთა პალატას ოცდაათი მილიონი მართლმსაჯულების საჭიროებისთვის!

ამ დროს გაისმა ფეხის ხმა და იარაღის ჟღარუნი: ჩანდა, ჟაკ კოლენი მოჰყავდათ.

გენერალურმა პროკურორმა მეტად საქმიანი და სერიოზულობის გამომხატველი ნიღაბი აიფარა, რის ქვეშაც მიიმალა ადამიანი; კამიუზომაც მიჰბაძა პროკურატურის შეფს.

გენერალური პროკურორის კანცელარიის მსახურმა კარი გააღო და მართლაც ჟაკ კოლენმა შემოდგა ფეხი. იგი სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა და სახეზე გაკვირვების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.
ჩემთან საუბარი მოგისურვებიათ, უთხრა მაგისტრატმა, გისმენთ.

ბატონო გრაფო, მე ჟაკ კოლენი ვარ, გბარდებით!

კამიუზო აცახცახდა, გენერალურ პროკურორს წარბიც არ შეუხრია.

ალბათ, თქვენთვის გასაგებია, რომ სათანადო მიზეზი მაქვს, რაკი ამას გიცხადებთ, განაგრძო ჟაკ კოლენმა და ორივე მაგისტრატს დამცინავად გადახედა, ამით დიდ გასაჭირში ჩაგაგდეთ, ვინაიდან ესპანელ მღვდლად თუ დავრჩებოდი, თქვენი ბრძანებით ჟანდარმერია ბაიონის საზღვრამდე მიმაცილებდა და იქ ესპანური ხიშტები სამუდამოდ გიხსნიდნენ ჩემგან!

ორივე მაგისტრატი დუმდა და უშფოთველად უსმენდა.

ბატონო გრაფო, დასძინა კატორღელმა, მიზეზი, რაც ამგვარად მამოქმედებს, ზემოაღნიშნულზე უფრო სერიოზულია, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე მეხება. მაგრამ ამას თქვენს მეტს ვერავის გავუმხელ... თუ არ შეგეშინდებათ...
შემეშინდებაო, ვისი, რისი? იკითხა გრაფმა დე გრანვილმა.

ამ დიდებული გენერალური პროკურორის გარეგნობა, თავდაჭერა, მანერები მაგისტრატურის,, ცოცხალი განსახიერება გახლდათ, მაგისტრატურისა,,, რომელიც უნდა იძლეოდეს სამოქალაქო გამბედაობის საუკეთესო მაგალითს. დროის ამ უმცირეს მონაკვეთში ბატონი დე გრანვილი თავისი ღირსებით გაუტოლდა ძველი პარლამენტის

პატივცემულ მაგისტრატებს, სამოქალაქო ომის პერიოდში რომ მოღვაწეობდნენ და პირისპირ ეკვეთებოდნენ სიკვდილს, შეუდრეკელნი, ვით მარმარილოს ქანდაკებები, მოგვიანებით მათ სახსოვრად რომ აღმართეს.

როგორ თუ რისი, განა საშიში არ არის კატორღიდან გამოქცეულ კაცთან მარტოდ დარჩენა? დაგვტოვეთ, ჩემო კამიუზო, ბრძანა გენერალურმა პროკურორმა.

მე კი მსურდა, მეთხოვა, ჩემთვის ხელფეხი გაგეკრათ, გულგრილად დასძინა ჟაკ კოლენმა და მაგისტრატებს შემზარავი თვალით გადახედა. ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე კი განაგრძო, ბატონო გრაფო, თქვენდამი ყოველთვის უდიდესი პატივისცემის გრძნობით ვიყავი გამსჭვალული, მაგრამ ახლა ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს...

მაშ, თქვენ დიდად საშიში გგონიათ თქვენი თავი? ზიზღით ჰკითხა მაგისტრატმა.

საშიში მგონიაო? ჩაეკითხა კატორღელი, კი არ მგონია, მართლაც საშიში ვარ და ეს ვიცი.

ჟაკ კოლენმა სკამი გამოსწია და იმგვარად დაჯდა, როგორც შეეფერებოდა კაცს, რომელიც გრძნობს, მოწინააღმდეგეს არაფრით ჩამოუვარდება და დარწმუნებულია, თავისას გაიტანს მეტოქესთან მოლაპარაკებაში.

ამ დროს ბატონი კამიუზო უკვე კარის ზღურბლთან იდგა და კარის გამოხურვას აპირებდა. უცბად შემობრუნდა, ბატონ დე გრანვილთან მივიდა და ორი გადაკეცილი ქაღალდი გადასცა.

შეხედეთ, მიმართა გამომძიებელმა გენერალურ პროკურორს და ერთერთს ქაღალდზე მიუთითა.

დააბრუნეთ ბატონი გო, დაუძახა გრაფმა დე გრანვილმა, როგორც კი ქალბატონ დე მონფრინიეზის პირისფარეშის გვარი და სახელი წაიკითხა.

შემოვიდა კონსიერჟერის,, დირექტორი. გენერალურმა პროკურორმა ჩურჩულით უთხრა:

ამიწერეთ ქალი, რომელიც პატიმართან მივიდა.

დაბალი, მსუქანი, ჯმუხი, მიუგო ბატონმა გომ.

ის, ვისაც საშვი მისცეს, მაღალია, გამხდარი, თქვა ბატონმა დე გრანვილმა.

რა ხნისა იქნებოდა?

ასე, სამოცი წლის.

ჩემზე ლაპარაკობთ, ბატონებო? ჩაერია ჟაკ კოლენი, მე თვითონ გეტყვით, განაგრძო გულკეთილი სახით, ნუ ეძებთ. ეგ ქალი ჩემი მამიდაა, ნამდვილი მამიდა. ხანდაზმული გახლავთ. ტყუილუბრალოდ ნუ გაირჯებით... თუ არ მოვინდომებ, ვერ იპოვით... ასე თუ გააჯანჯლებთ საქმეს, ვერაფერს მივაღწევთ.

ბატონი აბატი ესპანურად აღარ უქცევს. უკვე წმინდა ფრანგულით ლაპარაკობს, შენიშნა ბატონმა გომ, აღარც სიტყვებს ურევს...

იმიტომ, რომ საქმე ისედაც არეული გახლავთ, ბატონო გო! მწარე ღიმილით გამოეპასუხა ჟაკ კოლენი დირექტორს და გვარითაც კი მიმართა.

ბატონმა გომ იმავე წუთს გენერალურ პროკურორთან მიირბინა და ჩასჩურჩულა:

ფრთხილად იყავით, ბატონო გრაფო, ეს კაცი გააფთრებულია!

ბატონმა დე გრანვილმა ყურადღებით შეათვალიერა ჟაკ კოლენი და სრულიად მშვიდი ეჩვენა, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა, რომ დირექტორი მართალს ეუბნებოდა. მოჩვენებითი თავდაჭერილობის საფარველქვეშ იმალებოდა ცივი და შემზარავი მრისხანება მძვინვარე ველურისა. ჟაკ კოლენის თვალებიდან, როგორც ვულკანიდან, სიძულვილის გავარვარებული ლავა იფრქვეოდა. მუშტები მაგრად მოეკუმშა. მსხვერპლის დასატაკებლად გამზადებულ ნამდვილ ვეფხვს ჰგავდა.

დაგვტოვეთ, დინჯად სთხოვა გენერალურმა პროკურორმა დირექტორსა და გამომძიებელს. სწორად მოიქეცით, რომ მომაშორეთ ლუსიენის მკვლელი! უთხრა ჟაკ კოლენმა და არაფრად ჩააგდო, კამიუზოს ყურს მისწვდებოდა თუ არა მისი ნათქვამი, თავს ვეღარ შევიკავებდი და აქვე მივახრჩობდი.

ახლა კი გენერალურ პროკურორს გააჟრჟოლა. არასოდეს ენახა ასე სისხლით სავსე თვალები, გაფითრებული სახე, ოფლით გაღვარული შუბლი და დაძაბული კუნთები.

რა შვებას მოგცემდათ მისი მოკვლა? მშვიდად ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა დამნაშავეს.
თქვენ ყოველდღე იძიებთ შურს საზოგადოების სახელით, ბატონო, და მე მეკითხებით, რატომ მწყურია შურისძიება? ნუთუ არასდროს სისხლი არ აგდუღებიათ ძარღვებში და შურისძიების სურვილს ტალღასავით არ წაულეკავს თქვენი გონება? ნუთუ არ იცით, რომ

მაგ ყეყეჩმა გამომძიებელმა მოგვიკლა ლუსიენი? თქვენ ხომ გიყვარდათ ჩემი ლუსიენი და იმასაც უყვარდით! მე თქვენ შესანიშნავად გიცნობთ, ჩემი ძვირფასი ბავშვი ყველაფერს მიამბობდა, როცა საღამოს შინ ბრუნდებოდა. ლოგინში ჩავაწვენდი ხოლმე, საბანს შემოვუკეცავდი, როგორც ძიძა ჩვილს და ვაამბობინებდი ყველაფერს... ჩემგან დაფარული არაფერი ჰქონდა, მცირეოდენ განცდასაც კი მიმჟღავნებდა... ოჰ, არც ერთ დედას ასე თბილად, ასე ნაზად არ ჰყვარებია თავისი ერთა, როგორც მე მიყვარდა ეს ანგელოზი. მის გულში სიკეთე მინდორზე გაშლილი ყვავილებივით იყო გაფურჩქნილი. სუსტი ნებისყოფა ჰქონდა და ეს იყო მისი ერთადერთი ნაკლი; სუსტი იყო, ვით ჩანგის სიმი, ეგზომ რომ ჟღერს, როცა დაჭიმულია. ასე ემართება ყველა უმშვენიერესი ბუნების ადამიანს. მათი სისუსტე სხვა არაფერია, თუ არა სინაზე, აღტყინება. იგი უეჭველად აყვავდება, თუ გაათბობს მზე ხელოვნებისა, სიყვარულისა და იმ მშვენიერებისა, რაც ღმერთს ათასნაირი ფორმით შეუქმნია ადამიანისათვის! ლუსიენი ხომ შეცდომით მოევლინა ქვეყანას მამაკაცად, იგი ქალივით სათუთი იყო. ოჰ, რატომ არ ვუთხარით ყოველივე ეს მაგ პირუტყვს, სანამ აქ ეგდო! ოჰ, ბატონო, მე, პატიმარმა, ყველაფერი გავაკეთე, რაც შეეძლო გაეკეთებინა ღმერთს, თუკი მოინდომებდა თავისი პირმშოს გადარჩენას და მასთან ერთად წარდგებოდა პილატეს წინაშე!

ცრემლის ნიაღვარი გადმოსკდა კატორღელის ყვითელი თვალებიდან, ცოტა ხნის წინ ისე რომ გიზგიზებდა, როგორც უკრაინის თოვლით დაფარულ ტრიალ მინდვრებში ექვსი თვის ნაშიმშილევი მგლის თვალები. ჟაკ კოლენმა განაგრძო:

მაგ ჩერჩეტმა არ მოინდომა მოესმინა ჩემთვის და დაღუპა ბავშვი! ბატონო, მე ბიჭუნას გვამი ცრემლით განვბანე. შევღაღადებდი იმას, ვისაც არ ვცნობ,,, ვინც ზეციდან გვიმზერს! შევღაღადებდი ღმერთს, თუმცა არ მწამს იგი (მატერიალისტი რომ არ ვიყო, ასეთიც არ ვიქნებოდი!)! ამით ყველაფერი გაგიმჟღავნეთ! თქვენ არ იცით, არც ერთმა ადამიანმა არ იცის, რა არის დარდი და ვარამი; მხოლოდ მე განვიცადე იგი. მწუხარების ცეცხლმა ისე გამიშრო ცრემლი, რომ წუხელ ვეღარ ვიტირე. ახლა კი ვტირი, რადგან ვგრძნობ, თქვენ გამიგეთ და თანამიგრძნობთ. აი აქ, თქვენი სახით, მე წარმომიდგა მართლმსაჯულება... ოჰ, ბატონო, ვთხოვ ღმერთს (მგონი, ვირწმუნებ კიდეც), ამგვარი წამებისაგან დაგიფაროთ! მაგ წყეულმა გამომძიებელმა სული ამომგლიჯა. ბატონო, ბატონო! ამწუთას ასაფლავებენ ჩემს სიცოცხლეს, ჩემს მშვენიერებას, ჩემს სათნოებას, მთელ ჩემს სინდისს, ძალასა და ღონეს! წარმოიდგინეთ ძაღლი, რომელსაც ქიმიკოსი სისხლს დაუწრეტს... სწორედ ისე ვარ, იმ ძაღლივით სისხლდაშრეტილი... აი, რატომ მოვედი თქვენთან და გითხარით, მე ჟაკ კოლენი ვარ, გბარდებითმეთქი. ამ დილით მივიღე ეს გადაწყვეტილება, როცა მოვიდნენ და გამომგლიჯეს მისი სხეული, რომელსაც გიჟივით ვკოცნიდი, დედასავით ვეხუტებოდი, ასე, ალბათ, ღვთისმშობელი კოცნიდა იესოს ცხედარს... დილით მსურდა მართლმსაჯულებას ჩავბარებოდი ყოველგვარი პირობის გარეშე... ახლა კი იძულებული ვარ, პირობები წამოგიყენოთ და მაგის მიზეზსაც მოგახსენებთ...
ვის ელაპარაკებით, ბატონ დე გრანვილს თუ გენერალურ პროკურორს? ჰკითხა მაგისტრატმა.

ამ ორმა კაცმა, დანაშაულმა,, და სამართალმა,,, ერთმანეთს თვალში თვალი გაუყარა. კატორღელმა უზომოდ ააღელვა მაგისტრატი, რომელმაც ამ უბედური კაცისადმი ღვთიური სიბრალული იგრძნო. გამოიცნო მისი ცხოვრებისა და გრძნობათა არსი. დასასრულ, მაგისტრატმა (მაგისტრატი მაინც მაგისტრატად რჩება), რომლისთვისაც ჟაკ კოლენის ცხოვრება კატორღიდან გაქცევის შემდეგ სრულიად უცნობი იყო, გაიფიქრა, რომ შეეძლო, დაჰპატრონებოდა ბოროტმოქმედს, ვისაც, ბოლოს და ბოლოს, ყალბისმქნელობის მეტს, სხვა ბრალდებას ვერავინ წაუყენებდა. და მოინდომა სულგრძელობით ემოქმედა ამ მეტად რთული ბუნების კაცზე, რომელიც, ბრინჯაოს მსგავსად, სხვადასხვა ლითონის შენადნობს წარმოადგენდა, სიკეთისა და ბოროტების შენადნობს. ესეც არ იყოს, ბატონ დე გრანვილს ორმოცდაცამეტ წლამდე ისე მიეღწია, რომ სიყვარული ვერავის გულში ვერ აღეძრა და როგორც ყველა მამაკაცი, ვინც არავის ჰყვარებია, მგრძნობიარე ბუნების ადამიანს აღტაცებაში მოჰყავდა. რა ვიცით, იქნებ სწორედ იდუმალი გულისტკივილი, რაც ხვედრია მრავალი მამაკაცისა, ვისაც ქალები მარტოოდენ პატივისცემასა და მეგობრობას სთავაზობენ, იყო უხილავი ძაფი, ასე მჭიდროდ რომ აკავშირებდა სამ გულითად მეგობარს: ბატონ დე ბოვანს, ბატონ დე გრანვილსა და ბატონ დე სერიზის, რამეთუ საერთო უბედურება თუ საერთო ბედნიერება, იღბლიანობა თუ უიღბლობა, ადამიანთა სულებს ერთმანეთთან ახმატკბილებს.

თქვენ წინაშე მშვენიერი მომავალია გადაშლილი! უთხრა გენერალურმა პროკურორმა და გამომცდელი თვალით შეხედა მწუხარებით მიწასთან გასწორებულ ბოროტმოქმედს.
ჟაკ კოლენმა ხელი ჩაიქნია, აქაოდა, რა ბედენაა ამის შემდეგ რაც დამემართებაო.

ლუსიენის ანდერძით სამასი ათას ფრანკს მიიღებთ

საბრალო, საბრალო ბიჭი! საწყალი ბიჭუნა! შეჰყვირა ჟაკ კოლენმა, ხედავთ, რა მეტისმეტად პატიოსანი იყო! მხოლოდ მე ვიყავი ბოროტი, ყოველგვარი სიავე ბუდობდა ჩემს გულში, ის კი კეთილი იყო, კეთილშობილი, სპეტაკი და ამაღლებული! ვერაფერი გამიწევს მისი სათნო სულის მაგივრობას! ჩემგან ფულის მეტი მას არაფერი მიუღია, ბატონო!

ამგვარი სრული უარყოფა საკუთარი პიროვნებისა, რომელსაც მაგისტრატმა ვერ იქნა და სიცოცხლის წყურვილი ვერ დაუბრუნა, ამ კაცის შემაძრწუნებელი აღსარების ალალმართლობის ისეთი აშკარა საბუთი იყო, რომ ბატონი დე გრანვილი მთლად დამნაშავის მხარეზე გადავიდა. რჩებოდა გენერალური პროკურორი.

მაშ, თუ არაფერი გაინტერესებთ ამქვეყნად, ჰკითხა მან, რის თქმას აპირებდით ჩემთვის?

განა ცოტაა, რომ დაგნებდით? კვალს მიადექით, მაგრამ ვერ დამიპყარით. დიდი თავსატეხი საქმე გაგიჩნდებოდათ, ასე რომ არ მოვქცეულიყავი.

მოწინააღმდეგეც ამას ჰქვია!,, გაიფიქრა გენერალურმა პროკურორმა.

ბატონო გენერალურო პროკურორო, თქვენ აპირებთ, თავი მოჰკვეთოთ უდანაშაულო კაცს. მე დამნაშავე აღმოვაჩინე, ღრმა სერიოზულობით მოჰყვა ჟაკ კოლენი, როცა ცრემლი შეიმშრალა, სხვებისთვის არ გავიცხელებდი თავს, თქვენზე შემტკივა გული, მინდა სინდისის ქენჯნისაგან გაგათავისუფლოთ სწორედ თქვენ, რადგან მე ყველა მიყვარს, ვისაც რაიმე ყურადღება გამოუჩენია ლუსიენის მიმართ. არც სიძულვილს მოვაკლებ მათ, ვინც მას სიცოცხლე მოუსწრაფა... აბა, რა მესაქმება კატორღელთან? განაგრძო ჟაკ კოლენმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ, ჩემს თვალში კატორღელი იგივეა, რაც თქვენთვის ჭიანჭველა. მე იტალიელ ყაჩაღებს ვგავარ, გაბედულ ვაჟკაცებს! თუ მოგზაური ტყვიაწამალზე მეტად ფასობს, კლავენ! მხოლოდ თქვენ მახსოვდით! აღსარება ვათქმევინე ყმაწვილკაცს, რომელიც ჩემ გარდა ვერავის გადაუშლიდა გულს, რადგან ჩვენ ერთ ბორკილში ვიყავით შებმული. თეოდორს კეთილი გული აქვს. ეგონა, თავის საყვარელს ეხმარებოდა, როცა დააპირა, გაეყიდა ან დაეგირავებინა მოპარული ნივთები. ნანტერის საქმეში მაგას ისევე უდევს წილი, როგორც თქვენ. კორსიკელია და შურისძიება ჩვეულებად მოსდგამთ, ერთმანეთს ბუზებივით ჟლეტენ. იტალიაშიც და ესპანეთშიც ადამიანის სიცოცხლეს არაფრად აგდებენ და კაცის კვლა იოლ საქმედ ითვლება. სწამთ, რომ არსებობს სული, ორეული ჩვენი, რომელიც სიკვდილის შემდეგ განაგრძობს სიცოცხლეს და მარადიულად ცოცხლობს. აბა, ერთი გაბედეთ და ეს აბდაუბდა ჩვენს მემატიანეებს მოახსენეთ! ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ათეისტურად და ფილოსოფიურად განწყობილ ქვეყნებში ფასობს ასე ძვირად და ვაი მათ, ვინც ხელყოფს მას! რა თქმა უნდა, ასეც უნდა იქცეოდნენ, რაკი მარტოოდენ მატერია, აწმყო სწამთ! კალვის რომ გაემხილა ქალი, ვინც მოპარული ნივთები მოუტანა, თქვენ იპოვიდით არა მარტო ნამდვილ დამნაშავეს, რომელიც ისედაც თქვენს ბრჭყალებშია, არამედ მის თანამონაწილეებსაც. თანამონაწილე კი ქალი გახლავთ და საბრალო თეოდორს ვერ გაუწირავს ქალი... რას იზამთ, ყოველ წრეს საკუთარი პატიოსნება აქვს, კატორღელსაც და თაღლითსაც თავისი პატიოსნება გააჩნიათ! ახლა მე უკვე ვიცი, ვინც არის იმ ორი ქალის მკვლელი და ვისაც მიუძღვის ბრალი ამ მეტად უცნაურ, თავისებურ და თავხედურ დანაშაულში. თეოდორმა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. გადადეთ კალვის დასჯა, ყველაფერს შეიტყობთ. მხოლოდ სიტყვა მომეცით, რომ სასჯელს შეურბილებთ, ანუ ხელახლა კატორღაში გაგზავნით... მე ისეთ მწუხარებას განვიცდი, რომ ტყუილის თავი არა მაქვს, ალბათ, თქვენც ხვდებით. რაც მოგახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა!

თქვენთვის, ჟაკ კოლენ, შესაძლებლად მივიჩნევ, შევარბილო ჩემი ვალდებულებით ნაკარნახევი სიმკაცრე და თუნდაც მომიხდეს დამცირება მართლმსაჯულებისა, რომელსაც არ შეშვენის დათმობაზე წასვლა, მაინც თხოვნით მივმართავ იქ, სადაც ჯერ არს.

მაშ, მაჩუქებთ მის სიცოცხლეს?

ვნახოთ...

ბატონო, გთხოვთ, პატიოსანი სიტყვა მომცეთ, ჩემთვის სრულიად საკმარისია...

თავმოყვარეობაშელახული ბატონი დე გრანვილი უცბად შეტრიალდა ჟაკ კოლენისკენ:

ჩემს ხელშია მაღალი საზოგადოების სამი დიდებული ოჯახის ბედი, თქვენ კი ვიღაც სამი კატორღელის სიცოცხლეს ებღაუჭებით, უთხრა ჟაკ კოლენმა, მე თქვენზე ძლიერი ვარ. კარცერში დაგაბრუნებთ. მაშინ რაღას იზამთ? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა.

ოჰო, მაშ, თამაში გრძელდება? შენიშნა ჟაკ კოლენმა, მე კი ტყუილად დავეცი ქადაგად. აბა, რა მეწეოდა ენაზე, გული რომ გადაგიხსენით. მე ველაპარაკებოდი ბატონ დე გრანვილს, მაგრამ ჩემ წინაშე თურმე გენერალური პროკურორი ბრძანებულა. უკან მიმაქვს ბანქო, დანიშნული კარტებით გეთამაშებით. ოღონდ პატიოსანი სიტყვა მოგეცათ და ვაპირებდი თქვენთვის გადმომეცა მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს წერილები ლუსიენისადმი! ეს სიტყვები ისეთი კილოთი, ისეთი გულგრილობით თქვა და ამასთან, მთქმელს ისეთმა ცეცხლმა გაუელვა თვალებში, რომ ბატონმა დე გრანვილმა აშკარად დაინახა, მის წინაშე ისეთი მეტოქე იდგა, ვისთანაც მცირეოდენი წაბორძიკებაც კი დიდ საშიშროებას უქადდა.

სულ ესაა თქვენი სათხოვარი? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა.

ჩემზედაც მოგახსენებთ, უთხრა ჟაკ კოლენმა, გრანლიეთა ოჯახის სახელის გადარჩენა თეოდორის დასჯის შემსუბუქებით ანაზღაურდება; მაშასადამე, გავეცი ბევრი, დავჯერდი ცოტას. აბა, რა არის კატორღაში სამუდამო გადასახლება? თუ გაიქცევა, ხომ სრულიად იოლად მოიშორებთ თავიდან! ეგ გილიოტინისთვის მიცემული თამასუქია! ერთს გთხოვთ, ერთხელ უკვე გაგზავნეს როშფორში, არცთუ დიდად საამო მიზნებით, დამპირდით, რომ ტულონში გაგზავნით და განკარგულებას გასცემთ, კარგად მოეპყრან. ახლა ჩემი რიგიც დადგა. მე უფრო მეტს მოვითხოვ: მე მაქვს ქალბატონი დე სერიზისა და ჰერცოგინია დე მონფრინიეზის წერილებით სავსე დოსიე. წერილებია, მაგრამ რა წერილები! დამიჯერეთ, გრაფო! კახპები ცდილობენ, ამაღლებული სტილით წერონ და გრძნობებზედაც ასევე მაღალფარდოვნად იმსჯელონ, ხოლო დიდი ქალბატონები, რომელნიც მთელ სიცოცხლეს ატარებენ ასეთ მაღალფარდოვანი სტილითა და ამაღლებული გრძნობებით დამშვენებულ გარემოში, წერენ ისე, როგორც როსკიპები მოქმედებენ. ფილოსოფოსები, ალბათ, შეძლებდნენ ამ უცნაურობათა მიზეზის გამოძებნას, მე კი მაგის თავი არა მაქვს. ქალი მდაბალი არსებაა, მეტისმეტად არის აყოლილი გრძნობებს. თუ მკითხავთ, ქალი ლამაზია, თუ მამაკაცს ჰგავს! და რაკი ეს თვალწარმტაცი ჰერცოგინიები მამაკაცური გონებით არიანდაჯილდოებულნი, შედევრებსაც ქმნიან... ოჰ, რომ იცოდეთ, რა საუცხოო წერილებია, ერთ სიტყვასაც ვერ გამოტოვებ, ისეა დაწერილი, ვით პირონის სახელგანთქმული ოდა...

ნუთუ მართლა?

ხომ არ გნებავთ, წაიკითხოთ? ღიმილით შეეკითხა ჟაკ კოლენი.

მაგისტრატს შერცხვა.

შემიძლია გაჩვენოთ... მაგრამ ხუმრობა იქით იყოს, თამაში გულახდილად მიმდინარეობს? თქვენ დამიბრუნებთ წერილებს და ჯაშუშს ნებას არ მისცემთ, უთვალთვალოს ან უკან გაჰყვეს მას, ვინც წერილებს მომიტანს?

ამას დიდი დრო დასჭირდება? შეეკითხა პროკურორი.

არა. ახლა ათის ნახევარია, ჟაკ კოლენმა საათს შეხედა და მერე განაგრძო, ოთხ წუთში მივიღებთ თითოეული ქალბატონის თითო წერილს. თქვენ მათ წაიკითხავთ და გილიოტინასაც ააღებინებთ! ეგრე რომ არ იყოს, ასე არხეინად არ ვიქნებოდი. თან ქალბატონებიც გავაფრთხილეთ...

ბატონმა დე გრანვილმა გაკვირვებით ხელები გაშალა.

ამჟამად ისინი ერთ ვაივიშში არიან, ფუსფუსებენ. მგონი, უკვე გაიამხანაგეს იუსტიციის მინისტრი და ღმერთმა იცის, იქნებ მეფესთანაც მივიდნენ... მაშ, ასე, მაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ არ შეეცდებით, გაიგოთ, ვინ მოვა აქ და მას ერთ საათს არავინ ადევნებს თვალს?
პირობას გაძლევთ!

კარგი, თქვენ არ მოისურვებთ გამოქცეული კატორღელის მოტყუებას. ტიურენთა მოდგმის ბრძანდებით და ქურდის წინაშეც კი არ გატეხთ სიტყვას... ასე! დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზში აი, ამწუთას ერთი დაძონძილი მათხოვარია. დარბაზის შუაგულში დგას ეგ დედაბერი. ალბათ, ერთერთ მწერალს სამეზობლო კედლის გამო აღძრული სარჩელის თაობაზე ელაქლაქება. გაგზავნეთ თქვენი კანცელარიის ბიჭი და დააბარეთ:

დაბორ ტი მანდანა

! და მაშინვე მოვა... მხოლოდ ტყუილუბრალოდ სისასტიკეს ნუ გამოიჩენთ!.. ან მიიღეთ ჩემი წინადადება, ან ნუ მოისურვებთ, თავი გაუყადროთ ვიღაც ნაკატორღალს... მე ბრალად მედება მხოლოდ ყალბისმქნელობა, არ დაგავიწყდეთ!.. მართლა, კალვისაც მიეშველეთ, ააცდინეთ უკანასკნელად ტანთ ჩაცმის შემზარავი ცერემონიალი...

დასჯა ისედაც გადადებულია, უთხრა ბატონმა დე გრანვილმა, არ მინდა, მართლმსაჯულება თქვენზე დაბლა დავაყენო!

ჟაკ კოლენმა გენერალურ პროკურორს გაკვირვებით შეხედა. გენერალურმა პროკურორმა ზარს წაავლო ხელი.

ხომ არ გაიქცევით, არა? მომეცით სიტყვა. ჩემთვის ეგ სრულიად საკმარისია. წადით, თვითონვე მომიყვანეთ დედაბერი...
კანცელარიის ბიჭმა კარში შემოყო თავი.

ფელიქს, გაუშვით ჟანდარმები, უთხრა ბატონმა დე გრანვილმა.

ჟაკ კოლენმა ფარხმალი დაყარა.

მაგისტრატთან ბრძოლაში სურდა, მასზე დიდბუნებოვანი, უფრო მძლავრი, უფრო გულუხვი ყოფილიყო, მაგრამ დამარცხდა. და მაინც გრძნობდა კატორღელი საკუთარ უპირატესობასაც, რაკი გააცურა მართლმსაჯულება და დაარწმუნა, რომ დამნაშავე უდანაშაულო იყო და როგორც გამარჯვებულს შეეფერებოდა, დაჟინებით მოითხოვდა ადამიანის თავს. მაგრამ ეს უპირატესობა დარჩებოდა საიდუმლოებით მოცული, დაფარული, ჩრდილში მიმალული, ხოლო წერო,, მას დღისითმზისით ამარცხებდა, მერედა, რა დიდებულად!

იმ დროს, როცა ჟაკ კოლენი ბატონი დე გრანვილის კაბინეტიდან გადიოდა, სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივანი, დეპუტატი გრაფი დე ლუპო მობრძანდა ერთი დაჩაჩანაკებული ბერიკაცის თანხლებით. ბერიკაცს წაბლისფერი პალტო ეცვა, თითქოს ზამთარი იყო. თმა დაპუდრული ჰქონდა, სახე ცივი და მკვდრისფერი, ემჩნეოდა, ნიკრისის ქარი აწუხებდა; ოქროსბუნიკიან ჯოხზე დაყრდნობილი ძლივს მიჩანჩალებდა და ორლეანური ტყავის უზარმაზარ ფეხსაცმელს მოათრევდა. ქუდი ხელში ეჭირა და საღილეს შვიდი ორდენის ლენტი უმშვენებდა.

რა ამბავია, ჩემო ძვირფასო ლუპო? შეეგება გენერალური პროკურორი.
პრინცმა გამომგზავნა, ჩურჩულით უთხრა მან, მოქმედების სრული თავისუფლება გეძლევათ, ოღონდ ხელში ჩაიგდეთ ქალბატონი დე სერიზის, ჰერცოგინია დე მონფრინიეზისა და მადმუაზელ კლოტილდ დე გრანლიეს წერილები. შეგიძლიათ შეუთანხმდეთ ამ ბატონს...

ვინ არის? ასევე ჩურჩულით შეეკითხა გენერალური პროკურორი.

თქვენთან დასამალი რა მაქვს, ჩემო ძვირფასო გენერალურო პროკურორო, ცნობილი კორანტენი გახლავთ. მისი უდიდებულესობა პირადად თქვენ გავალებთ საქმის ვითარება გააცნოთ და მიუთითოთ, რა გზითაა მოსახერხებელი მისი კეთილად დაგვირგვინება.

გთხოვთ, გამიწიოთ სამსახური, მიუგო გენერალურმა პროკურორმა ისევ ისე ჩურჩულით, წარმადგინოთ პრინცთან და ისიც მოახსენოთ, რომ ყველაფერი უკვე დასრულებულია და ეგ კაცი აღარ მჭირდება, დასძინა მან და კორანტენზე ანიშნა, მე თვით ვეახლები მის უდიდებულესობას და ყოველივეს ვაცნობებ, თან ვთხოვ, სათანადო მითითებები მისცეს იუსტიციის მინისტრს; საქმე მისი გადასაწყვეტია, რადგან ორი დამნაშავის შეწყალება მოგვიხდება.

ბრძნულად მოქცეულხართ, საქმე წინ წაგიწევიათ, უთხრა დე ლუპომ, როცა გამომშვიდობებისას ხელი ჩამოართვა გენერალურ პროკურორს, მეფეს არ ნებავს დიდ გადატრიალებათა წინადღეს პერთა და სხვა დიდებულ ოჯახებს საქვეყნოდ შეებღალოთ სახელი, ლაფში ამოისვარონ. ეს უბრალო სისხლის სამართლის პროცესი როდი გახლავთ, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა...

ოღონდ გადაეცით პრინცს, რომ თქვენი მობრძანებისას ყველაფერი უკვე მოთავებული იყო.

ნუთუ მართლა?

დარწმუნებული გახლავართ.

მაშ, ბეჭდის მცველად დაინიშნებით, როგორც კი ჩვენი მინისტრი კანცლერობას მიიღებს, ჩემო ძვირფასო...

პატივმოყვარე არა ვარ! მიუგო გენერალურმა პროკურორმა.

დე ლუპო სიცილით გავიდა კაბინეტიდან.

პრინცს სთხოვეთ, ათი წუთის აუდიენცია მომიხერხოს მეფესთან, ასე, სამის ნახევრისთვის, გაცილებისას დასძინა ბატონმა დე გრანვილმა.

აკი პატივმოყვარე არ გახლავარო! შესძახა დე ლუპომ და ცბიერად გადახედა ბატონ დე გრანვილს, რას ბრძანებთ, ორი შვილი გყავთ. სულ მცირე, საფრანგეთის პერობა გჭირდებათ.

თუკი ბატონ გენერალურ პროკურორს ხელთ აქვს წერილები, ჩემი ჩარევა სრულიად ზედმეტია, შენიშნა კორანტენმა, როცა მარტონი დარჩნენ. მისთვის გასაგები იყო, რატომ შესცქეროდა ბატონი დე გრანვილი ასეთი ცნობისმოყვარეობით.

ამგვარ საჩოთირო საქმეში თქვენისთანა კაცი ზედმეტი არ იქნება, მიუგო გენერალურმა პროკურორმა, რომელიც ხედავდა, რომ კორანტენმა ყველაფერი გაიგო ან გაიგონა.

კორანტენმა თითქმის მფარველურად დაუქნია თავი.

იცნობთ კაცს, ვისაც ეს საქმე ეხება?

დიახ, ბატონო გრაფო, ჟაკ კოლენი გახლავთ, ათიათასიანთა,, ბანდის წინამძღოლი, სამი კატორღის ბანკირი. ეგ კატორღელი მთელი ხუთი წელიწადი აბატ კარლოს ერერას ანაფორის ქვეშ იმალებოდა. საოცარია, როგორ მოხდა, რომ ესპანეთის მეფემ სწორედ ეგ მოავლინა საიდუმლო მისიით ჩვენს განსვენებულ მეფესთან. ყველას თავგზა აუბნია, სიმართლე ვერ გამოვარკვიეთ. მადრიდში სანდო პირის ხელით შეკითხვა გავგზავნე, პასუხს ველოდები. ამ ავაზაკმა ორი მეფის საიდუმლო იცის...

რკინის ნებისყოფის კაცია. შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ორი გადაწყვეტილება: ჩვენკენ გადმოვიბიროთ ან თავიდან მოვიშოროთ სამუდამოდ, უთხრა გენერალურმა პროკურორმა.

ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა, რაც უდიდესი პატივი გახლავთ ჩემთვის, შენიშნა კორანტენმა, სხვების მაგივრად იმდენი რამ უნდა გავიაზრო, იმდენ ადამიანს უნდა შევხვდე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყოვლად შეუძლებელია, ჭკვიან კაცს არ გადავეყარო.

ეს სიტყვები ისე გულგრილად, ისე ცივად ითქვა, რომ გენერალურმა პროკურორმა დუმილი არჩია. სასწრაფო საქმეების გადარჩევას შეუდგა.

დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზში ჟაკ კოლენის გამოჩენამ მადმუაზელ ჟაკლინ კოლენი უსაზღვროდ გააკვირვა. ადგილზე გაქვავდა, თუმცა დოინჯი მაინც შემოყრილი ჰქონდა, რაკი ქუჩის მემწვანილე დედაკაცის როლს თამაშობდა. თავისი ძმისწულის ოინბაზობის მეტი რა ენახა თავისი დღე და მოსწრება, მაგრამ ამას კი აღარ მოელოდა.

რა მოხდა, როდემდე უნდა მიყურო ეგრე გაოცებით, თითქოს საბუნებისმეტყველო მუზეუმში გამოფენილი საფრთხობელა მოგვლინებოდეს, უთხრა ჟაკ კოლენმა, მკლავში ხელი გაუყარა მამიდას და დაკარგული ნაბიჯების,, დარბაზიდან გაიყვანა, ეგრე თუ მომაშტერდი, იშვიათ ექსპონატად ჩაგთვლიან, იქნებ შეგვაჩერონ კიდეც და დრო დაგვაკარგვინონ.

სავაჭრო გალერეის კიბეზე დაეშვნენ, რომელიც ბარილერის ქუჩაზე გადიოდა.

სად არის პაკარი?
წითურთან,, მელოდება. ყვავილების სანაპიროზე დასეირნობს.

პრუდანსი?

შინაა და თავს ჩემს ნათლულად ასაღებს.

წავიდეთ...

გაიხედე, ხომ არ მოგვდევენ...

წითურს,, ყვავილების სანაპიროზე კავეულის დუქანი ჰქონდა. ათიათასიანთა,, ბანდის წევრის, ცნობილი მკვლელის ქვრივი ბრძანდებოდა.

1819 წელს, მკვლელის დასჯის შემდეგ, ჟაკ კოლენმა მის საყვარელს პატიოსნად ჩაუთვალა ოცი ათას ფრანკზე მეტი თანხა. გააბითურე სიკვდილის,, მეტმა არავინ იცოდა, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელიც იმ ხანებში ქალის კაბების მკერავი იყო, ამფსონს,, ხასად ეჯდა.

ჟაკ კოლენმა, იმჟამად მადამ ვოკეს მდგმურმა, მკერავი ქალი ბოტანიკურ ბაღში დაიბარა და უთხრა:

შენი კაცის უსტა,, ვარ. ალბათ, ჩემზე გეტყოდა, ჩემო პატარავ. ვინც მიღალატებს, ერთ წელიწადზე მეტი სიცოცხლე არ უწერია! ვინც მიერთგულებს, ჩემი არ უნდა ეშინოდეს! მეგობარი,, ვარ კუბოს კარამდე და ვისთვისაც სიკეთე მსურს, მასზე აუგს ვერავინ მათქმევინებს. მიერთგულე, როგორც ადამიანის სული ეშმაკს მიეკედლება ხოლმე და არ ინანებ. შენს საბრალო ოგიუსტს სიტყვა მივეცი, რომ შენს ბედნიერებაზე ვიზრუნებდი. იგი ხომ ოცნებობდა, შენთვის ფუფუნება შეექმნა და ამის გამო მოცელეს,, კიდეც. ნუ ტირი, მომისმინე: ქვეყანაზე არავინ იცის, რომ შენ საყვარელი იყავი კატორღელის, მკვლელისა, რომელიც ამ შაბათს დაამიწეს,,. ამაზე არასოდეს ერთი სიტყვაც არ წამომცდება. ოცდაორი წლისა ხარ, ლამაზი, მზითვად ოცდაშვიდი ათასი ფრანკი გაქვს. დაივიწყე ოგიუსტი, გათხოვდი. თუ შეგიძლია, პატიოსანი დედაკაცი გახდი. მე შეგიქმნი მშვიდ ცხოვრებას, სამაგიეროდ, უნდა მემსახურო, მეც და ყველა იმას, ვისაც გამოგიგზავნი. მხოლოდ ბრმად უნდა მენდო. შენგან არასოდეს ისეთს არაფერს მოვითხოვ, რაც სახელს გაგიტეხს და ზიანს მოუტანს შენს ოჯახსა და შვილებს. ისეთ საქმიანობას ვეწევი, რომ ხშირად მჭირდება მყუდრო ადგილი, სადაც დავიმალები და ვინმეს დაველაპარაკები. მჭირდება სანდო ქალიც, რომელსაც წერილებს გავატან ვინმესთან, რაღაც დავალებას მივცემ. შენ ჩემთვის იქნები საფოსტო ყუთი, საგუშაგო, შიკრიკი, არც მეტი, არც ნაკლები. ჟღალი თმა გაქვს, მე და ოგიუსტმა წითური,, შეგარქვით. ეს სახელი დაიტოვე. გაგაცნობ მამიდაჩემს, ტამპლზე ვაჭრობს. ის ერთადერთი ადამიანი იქნება, ვისაც უსიტყვოდ დაემორჩილები. შეგიძლია, გაანდო ყველაფერი, რაც თავს გადაგხდება. ისევ გაგათხოვებს და ყოველმხრივ ხელსაც შეგიწყობს.
ასე და ამგვარად დაიდო ჯოჯოხეთური ხელშეკრულება, მსგავსი იმისა, რის მეოხებითაც ჟაკ კოლენმა დიდი ხნის წინ პრუდანს სერვიენი დაიახლოვა. ასეთი პაქტის დადებასა და მყარ

შედუღაბებას ნიადაგ ცდილობდა ჟაკ კოლენი, რომელსაც სატანასავით უყვარდა ცოდვილ სულთა გადმობირება.

1821 წელს ჟაკლინ კოლენმა წითური,, გაათხოვა მდიდარი კავეულით ბითუმად მოვაჭრის უფროს ნოქარზე. ახლა ნოქარი მდიდრულად ცხოვრობს, მოლაპარაკებას აწარმოებს თავის პატრონთან სავაჭრო ფირმის შესყიდვის თაობაზე, თავისი უბნის მერის მოადგილეა და ორი შვილის მამაც გახლავთ. რაც ქალბატონი პრელარი გახდა, წითურს,, უკმაყოფილებისთვის ერთი ბეწო მიზეზიც არ ჰქონია, მაგრამ ჟაკ კოლენი და მისი მამიდა როგორც კი დახმარებისათვის მიმართავდნენ, ციებცხელება აუტყდებოდა ხოლმე. ახლაც, ეს ორი თავზარდამცემი ადამიანი დუქანში შევიდა თუ არა, მკვდრისფერი დაედო.

თქვენთან საქმეზე მოვედით, ქალბატონო, მიმართა ჟაკ კოლენმა.

ჩემი ქმარი შინ არის, მიუგო ქალმა.

არა უჭირს. ამ წუთში მაინც არ გვჭირდებით. ტყუილუბრალოდ არავის ვაწუხებ.

ჩემო კარგო, ფიაკრის მოსაყვანად გაგზავნეთ ვინმე, უთხრა ჟაკ კოლენმა, და ჩემს ნათლულსაც უთხარით, ჩამოვიდეს; ერთ დიდ ქალბატონთან მოახლედ ვაწყობ. მის წასაყვანად მოურავი გამომატანა.

ამასობაში პაკარი, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ჟანდარმს ჰგავდა, ბატონ პრელარს ეთათბირებოდა, ვითომდაც რომელიღაც ხიდისთვის მავთულის შეკვეთას აპირებდა.

ნოქარი ფიაკრის მოსაყვანად გააქციეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ევროპამ, თუმცა სჯობს, იმ სახელით ნუღარ მოვიხსენიებთ, ესთერთან ყოფნისას რომ ვუწოდებდით, ესე იგი, პრუდანს სერვიენმა, პაკარმა, ჟაკ კოლენმა და მისმა მამიდამ წითურის,, გულის გასახარად თავი მოიყარეს ფიაკრში, რომლის მეეტლესაც გააბითურე სიკვდილმა,, უბრძანა, ივრის საგუშაგოსთან მიგვიყვანეო.

პრუდანს სერვიენი და პაკარი ისე კანკალებდნენ უსტას,, წინაშე, როგორც ღვთის პირისპირ დარჩენილი ცოდვილი სულნი.

აბა, სად არის შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი? ჰკითხა უსტამ,, და ისე ჩააშტერდა თავისი ყვითელი თვალებით, რომ სისხლი აუმღვრია ამ ჯოჯოხეთის მოციქულებს; ასე ემართებოდათ ყოველთვის, როცა თავს დამნაშავედ გრძნობდნენ. ეჩვენებოდათ, თითქოს თავში იმდენი ქინძისთავი ჩაურჭვეს, რამდენი თმის ღერიც ჰქონდათ.

შვიდას ოცდაათი ათასი ფრანკი საიმედო ადგილას არის, უთხრა ჟაკლინ კოლენმა ძმისწულს, ამ დილით დალუქული კონვერტით გადავეცი რომეტს...

კიდევ კარგი, ჟაკლინისთვის მიგიციათ, უთხრა გააბითურე სიკვდილმა,,, თორემ პირდაპირ იქ წაბრძანდებოდით, და გრევის მოედანზე უჩვენა, რომელსაც მათმა ფიაკრმა ისის იყო, ჩაუარა.

პრუდანს სერვიენმა, თავისი კუთხის ჩვეულებისდა მიხედვით, პირჯვარი გადაიწერა, თითქოს მეხი გავარდაო.

მიპატიებია თქვენთვის, განაგრძო უსტამ,,, მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთ შეცდომას აღარ გაიმეორებთ და ამიერიდან ჩემთვის იქნებით ის, რაც ჩემი მარჯვენა ორი თითია, უჩვენა სალოკი და შუათითები, რადგან ცერი ეს კეთილი გულის მურაზია! და მხარზე ხელი დაჰკრა მამიდას, მომისმინეთ! ამის შემდეგ ნუღარაფრის შეგეშინდება, პაკარ! შეგიძლია პანტენში,, თავისუფლად გაჰყო ცხვირი! ნებას გაძლევ, დაქორწინდე პრუდანსზე!
პაკარი ჟაკ კოლენის ხელს მოწიწებით დასწვდა და ემთხვია.

რას მიბრძანებთ, რა გავაკეთო? ჰკითხა მან.

არაფერი. გექნება რენტა, გეყოლება ქალები, რა თქმა უნდა, საკუთარი ცოლის გარდა, შენ ხომ რეგენტობის დროინდელი გემოვნება გაქვს, ძველო! ხედავ, რას ნიშნავს, მამაკაცს ასე ლამაზი სიფათი რომ აქვს!

პაკარი ყურებამდე გაწითლდა თავისი სულთნის ასეთ დამცინავ ხუმრობაზე.

შენ კი, პრუდანს, განაგრძობდა ჟაკი, გექნება საკუთარი საქმე, რიგიანი მდგომარეობა, უზრუნველყოფილი მომავალი, მაგრამ ჩემს სამსახურს ვერ მიატოვებ. ყურადღებით მომისმინე: სენტბარბის ქუჩაზე ერთი ძალიან სარფიანი დაწესებულებაა, თქვენთვის ცნობილ ქალბატონ სენტესტევს ეკუთვნის, რომელსაც მამიდაჩემი ხანდახან სახელს ესესხება... შემოსავლიანი სავაჭროა, მუშტრები თავსაყრელად ჰყავს. წელიწადში თხუთმეტოცი ათას ფრანკს იძლევა შემოსავალს. სენტესტევმა საქმის გაძღოლა დაავალა

გონორს, ჩაურთო ჟაკლინმა.

იმ საწყალი კანტალას,, გულის მურაზს, დასძინა პაკარმა, სწორედ იქ გავიძურწეთ მე და ევროპა იმ დღეს, როცა გარდაიცვალა საბრალო ქალბატონი ვან ბოგსეკი, ჩვენი პატრონი...

როგორ ბედავ ლაქლაქს, როცა მე ვლაპარაკობ? შეუღრინა ჟაკ კოლენმა. ფიაკრში ღრმა სიჩუმე გამეფდა. პრუდანსი და პაკარი იმასაც კი ვერ ბედავდნენ, ერთმანეთისთვის შეეხედათ.

ჰოდა, დაწესებულებას უძღვება გონორი, ისევ განაგრძო ჟაკ კოლენმა, რაკი პრუდანსთან ერთად დასამალად იქ გაქცეულხარ, ჩანს, არცთუ ისე უჭკუო ყოფილხარ და გონივრულად მოგიფიქრებია, როგორ გაგეცურებინა ქოფაკები (თვალი აგეხვია პოლიციისთვის), მაგრამ იმას კი ვეღარ მოახერხებდი, გაგებრიყვებინა უსტაქალი,,! ნიკაპზე ხელი მოუთათუნა მამიდას, ვისაც უსტაქალი,, უწოდა და თქვა, ახლა მივხვდი, როგორ მოახერხა თქვენი პოვნა... კარგი დამთხვევა კია... თქვენ ისევ გონორთან დაბრუნდებით. ჟაკლინი ქალბატონ ნურისონთან დაიწყებს მოლაპარაკებას მისგან სენტბარბის ქუჩაზე მდებარე საროსკიპოს შესყიდვის თაობაზე. თუ ჭკვიანად მოიქცევი, ჩემო პატარავ, ჯიბესაც გაისქელებ! ჟაკ კოლენმა პრუდანსს შეხედა, მაგას რა სჯობს, შენი ხნისა მონასტრის წინამძღვარი იქნები! ასეთი შემთხვევა საფრანგეთის მეფის ასულს თუ მიეცემა! გესლიანად დაუმატა მან.

პრუდანსი კისერზე მოეხვია გააბითურე სიკვდილს,, და აკოცა. უსტამ,, ისე ჰკრა ხელი, რომ გამოამჟღავნა თავისი ზეკაცური ღონე. ქალი უკან გადავარდა. პაკარი შეეშველა, თორემ ფიაკრის ფანჯარას დაეტაკებოდა.

აბა, თითები შორს! ეგეთი თითლიბაზობა არ მიყვარს! დატუქსა უსტამ,,, ეგ იმას ნიშნავს, რომ სათანადო მოწიწებით არ მეპყრობი.
მართალია, საყვარელო, კვერი დაუკრა პაკარმა უსტას,,, ვერ ხედავ, ეგ ისეთი საქმეა, გინდაც უსტას,, ასი ათასი ფრანკი ეჩუქებინოს. დუქანი მაგდენი ღირს. ზედ ბულვარზეა, ჟიმნაზის,, პირდაპირ. სწორედ ამ მხრიდან გამოდის თეატრის მაყურებელი...

მეტსაც გავაკეთებ, მთელ სახლს გიყიდით, უთხრა გააბითურე სიკვდილმა,,.

აჰა, ექვსი წელი არ გავა და უკვე მილიონერები ვიქნებით! შეჰყვირა პაკარმა.

გააბითურე სიკვდილს,, მოჰბეზრდა, ასე ყოველ წუთს რომ სიტყვას აწყვეტინებდნენ და ფერდში ისეთი წიხლი სთხლიშა, კინაღამ გულმუცელი შეუნგრია, მაგრამ პაკარს რეზინის ნერვები და რკინის ძვლები ჰქონდა.

საკმარისია, უსტა,,! ენას მუცელში ჩავიგდებთ, მიუგო მან.
ხომ არ გგონიათ, ენა მექავება და ტყუილებს ვროშავ? ისევ დაიწყო ჟაკ კოლენმა, რომელმაც მხოლოდ ახლა შენიშნა, პაკარს ცოტა მეტი გადაეკრა, მომისმინეთ! ამ სახლის სარდაფში ოქროთი ორას ორმოცდაათი ათასი ფრანკი ინახება...

უღრმესი დუმილი სუფევდა ფიაკრში.

ოქრო ღრმადაა ჩაფლული და ორმო ქვითკირითაა ამოშენებული... ეს თანხა უნდა ამოვიღოთ. სამი დღის ვადა გვაქვს. ჟაკლინი დაგეხმარებათ... ასი ათას ფრანკად შეისყიდით

დაწესებულებას, ორმოცდაათი ათასი სახლს მოუნდება. დანარჩენს ხელუხლებლად დატოვებთ.
სად? იკითხა პაკარმა.

სარდაფში! თქვა პრუდანსმა.

ჩუმად! დაუცაცხანა ჟაკლინმა.

ასეთი ტვირთის გადასატანად ქოფაკებისგან,, (პოლიციისგან) ნებართვა დაგვჭირდება, ჩაურთო პაკარმა.

ნებართვას მივიღებთ, ცივად უთხრა გააბითურე სიკვდილმა,, ნეტავ რას ეჩრები?

ჟაკლინმა ძმისწულს შეხედა და ძალიან გაუკვირდა, რაკი შენიშნა, სახე მძვინვარებისგან დამანჭოდა. ჩვეულებრივ, სრულიად უგრძნობელი გამომეტყველების ქვეშ მძაფრ მღელვარებას მალავდა.

ჩემო გოგონა, მიმართა ჟაკ კოლენმა პრუდანს სერვიენს, მამიდაჩემი დაგიბრუნებს შვიდას ორმოცდაათი ათას ფრანკს.
შვიდას ოცდაათი ათასს, არ ისვენებდა პაკარი.

ჰო, კარგი, აგრე იყოს, შვიდას ოცდაათი ათასს! დაეთანხმა ჟაკ კოლენი, ამაღამ, რაც უნდა დაგიჯდეს, ქალბატონ ესთერის სახლში უნდა შეხვიდე. სახურავის სარკმლიდან გადაძვერი. მერე ბუხარში ჩაცოცდები და შენი ცხონებული ქალბატონის საძინებელში ამოყოფ თავს. ლეიბში შედებ მის მიერ მომზადებულ პაკეტს...

მერედა, კარიდან რატომ არ უნდა შევიდე? იკითხა პრუდანს სერვიენმა.

ტუტუცო, კარი დალუქულია! უპასუხა ჟაკ კოლენმა, რამდენიმე დღეში ქონებას აღწერენ და თქვენ აღარავითარი ბრალი აღარ დაგედებათ ქურდობაში.

გაუმარჯოს უსტას,,! შესძახა პაკარმა, რა გულკეთილია!

მეეტლევ, გააჩერეთ!.. დაუძახა თავისი ბოხი ხმით ჟაკ კოლენმა.

ეტლი ბოტანიკური ბაღის მახლობლად, ფიაკრების გაჩერებასთან შეჩერდა.

ახლა კი მოუსვით, ბავშვებო, უთხრა ჟაკ კოლენმა, და რამე სისულელე არ ჩაიდინოთ! საღამოს ხუთ საათზე ხელოვნების ხიდთან მოხვალთ. მამიდაჩემი გეტყვით, თუ ბრძანება შეიცვლება. ყოველივე წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ, ჩასჩურჩულა მამიდას, ჟაკლინი ხვალ აგიხსნით, ისევ განაგრძო მან, როგორ აჯობებს ოქროს უფსკრულიდან,, ამოღება. სიფრთხილეს თავი არ სტკივა... ეს მეტად ფაქიზი საქმეა...

პრუდანსი და პაკარი ქვაფენილზე გადმოხტნენ. თავს ისე ბედნიერად გრძნობდნენ, როგორც შეწყალებულ ქურდებს შეეფერებოდა.

ოჰ, რა ვაჟკაცია ჩვენი უსტა,,! წამოიძახა პაკარმა.
მამაკაცთა მეფე იქნებოდა, ეგრე რომ არ ეზიზღებოდეს ქალები!

ჰო, თან რა თავაზიანია! აღმოხდა პაკარს, ნახე, როგორ მთხლიშა წიხლი! ღირსი კი ვიყავით გავეგზავნეთ

ად პატრეს

; ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გამო გაება ამ ხათაბალაში...

ოღონდ საშიშია, შენიშნა ჭკვიანმა და გაიძვერა პრუდანსმა, რაიმე ბოროტებაში არ გაგვხვიოს და ჭალაში,,არ გვიკრას თავი...

მაგან?! თუკი ეგ მოეპრიანებოდა, არც დაგვიმალავდა. შენ არ იცნობ, რა კაცია!

ნახე, რას დაგვპირდა? აჰა, უკვე ბურჟუები ვბრძანდებით. ქუდბედით ვყოფილვართ დაბადებული. ოჰ, როცა ამ კაცს ვინმე უყვარს, მისთვის სულსაც არ დაიშურებს, ძალიან კეთილია!

ჩემო საყვარელო! მიმართა ჟაკ კოლენმა მამიდას, გონორზე იზრუნე. უნდა მიაძინო. ხუთ დღეში დააპატიმრებენ და მის საძინებელში იპოვიან ას ორმოცდაათი ათას ფრანკს ოქროთი, რაც ნოტარიუსის მშობლების, ბებრუცანა კროტებისგან გატაცებული თანხის გადარჩენილ ნაწილად ჩაითვლება.

ამისათვის ხუთ წელს მისცემენ და მადლონეტში,, ჩასვამენ, თქვა ჟაკლინმა.

აგრეა, დაეთანხმა ჟაკ კოლენი, ჰოდა, ნურისონს სხვა გზა არ ექნება, სახლის თავიდან მოცილებას მოინდომებს. თვითონ საქმეს ვეღარ გაუძღვება და თავის გემოზე ვერც ვერავის გამოძებნის, ეგრე იოლი საქმე როდია. რა ჩემი ჭკუის სწავლება გჭირდება, შენ იცი და შენმა ქალობამ. იქ საკუთარი თვალი,, გვეყოლება... მაგრამ ეს სამი საქმე იმ მოლაპარაკებაზეა

დამოკიდებული, მე რომ ვაწარმოებ წერილების თაობაზე. აბა, კაბა გაირღვიე და ჩვენი საქონლის ნიმუში მომეცი. სად შეინახე სამი პაკეტი?

დალახვროს ეშმაკმა! წითურთან,,.

მეეტლევ! დაუყვირა ჟაკ კოლენმა, გაბრუნდით მართლმსაჯულების სასახლისკენ, სწრაფად! თავი მომქონდა, მალე მოვიტანმეთქი და აგერ უკვე ნახევარი საათია წამოვედი, ეს კი მეტისმეტია! წითურთან,, დაიცადე. კანცელარიის ბიჭი მოვა, ქალბატონ დე სანტესტევს იკითხავს და მას გადასცემს დალუქულ პაკეტებს. პაროლი იქნება: ქალბატონო, ბატონმა გენერალურმა პროკურორმა გამომგზავნა, თქვენ რომ მოგეხსენებათ, იმ საქმეზე,,. წითურის,, კართან დაუდარაჯდი, ვითომ ყვავილების ბაზარს,, უთვალთვალებ, პრელარმა რომ არაფერი შეგნიშნოს. წერილებს გამოატან თუ არა, პაკარს და პრუდანსს მიხედე.

გგონია, ვერ მიგიხვდი? უთხრა ჟაკლინმა, გინდა ბიბილუპენის ადგილი დაიჭირო. ამ ბიჭის სიკვდილმა მთლად აგიბნია გზაკვალი!

მერე თეოდორი? მას ხომ უკვე თავის გადაპარსვას უპირებდნენ, რომ დღეს ოთხ საათზე მოეცელათ,,! შესძახა ჟაკ კოლენმა.

ბოლოს და ბოლოს, არც ისეთი ცუდი აზრია!

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს პატიოსანი ბურჟუებივით გავატარებთ. ტურენიში შესანიშნავი ჰავაა, ლამაზ მამულში ვიცხოვრებთ.

აბა, რაღა დამრჩენოდა? ლუსიენმა წაიღო მთელი ჩემი სული, ჩემი ბედნიერი სიცოცხლე; წინ მიდევს კიდევ მოწყენილობით სავსე ოცდაათი წელი და ცარიელი გული. კატორღის უსტა,, აღარ ვიქნები, სამაგიეროდ, მართლმსაჯულების ფიგაროდ გადავიქცევი და შურს ვიძიებ; ლუსიენის სიკვდილს არვის შევარჩენ. თუ იმ ქოფაკების,, (პოლიციის) ტყავში არ შევძვერი, ვერ მოვსპობ კორანტენს ისე, რომ მე არაფერი დამიშავდეს. სიცოცხლეს კიდევ შერჩენია ფასი, თუ ვინმე გყავს გადასაყლაპი. ამქვეყნად ყოველგვარი მდგომარეობა მოჩვენებითია, მარტოოდენ აზრია რეალური! დასძინა მან და ხელი შუბლზე შემოირტყა, რა დაგვრჩა ხაზინაში?

არაფერი, უთხრა ძმისშვილის ლაპარაკის კილოთი და განწყობით შეშინებულმა მამიდამ, მე ხომ ყველაფერი მოგეცი შენი ბიჭიკოსთვის. რომეტსაც თავისი სავაჭროსთვის ოცი ათასი ფრანკიღა დარჩა. რაც კი რამ ებადა, გამოვართვი მადამ ნურისონს. დაახლოებით სამოცი ათასი ფრანკი ჰქონდა... ეჰ, ისეთ ჭუჭყიან თეთრეულში ვართ შემძვრალი, რომ აგერ ერთი წელიც იქნება არ გარეცხილა. ბიჭუნამ შთანთქა ამფსონთა,, მთელი ქონება, ჩვენი ავლადიდებაც და ნურისონის დანაზოგიც.

სულ რამდენი იყო?

ხუთას სამოცი ათასი ფრანკი...

ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი პაკარსა და პრუდანსს დაედებათ ჩვენი ვალი. ახლავე გეტყვი, სად ვიშოვოთ დანარჩენი ორასი ათასი... ესთერის მემკვიდრეობიდან. ნურისონი უნდა დავასაჩუქროთ. თეოდორი, პაკარი, პრუდანსი, ნურისონი და შენ ჩემთვის მეტად საჭირო წმინდა რაზმეული იქნებით... ახლა კი მისმინე, უკვე მოვედით...

აჰა, ეს სამი წერილი, უთხრა ჟაკლინმა, როცა მაკრატლით კაბის სარჩული შემოირღვია.

ძალიან კარგი, თქვა ჟაკ კოლენმა და გამოართვა სამი უძვირფასესი ხელნაწერი, სამი ველენის ქაღალდი, რომელიც ჯერ კიდევ აფრქვევდა სურნელს, ნანტერის ამბავი თეოდორის საქმეა.

მაშ, ის ყოფილა? ჩუმად, დრო ძვირად ღირს. მოუნდომებია საკვები ნისკარტით მიერთმია კორსიკელი ჩიტუნიასთვის, რომელსაც ჟინეტს ეძახიან. ნურისონს დაავალე, მოძებნოს. სათანადო ცნობებს მოგაწვდი წერილით, რომელსაც გო გადმოგვცემს. ორი საათის შემდეგ კონსიერჟერიში,, მოხვალ, კარიბჭესთან გაჩერდები. ჟინეტი ერთ მრეცხავ დედაკაცს უნდა მივუგდოთ, გოდეს დას. გოგო იქ გაშინაურდება... გოდე და რიუფარი კანტალას,, თანამონაწილენი არიან კროტების მკვლელობისა და ქონების გატაცების საქმეში. ოთხას ორმოცდაათი ათასი ფრანკი ხელუხლებელი დევს; ერთი მესამედი გონორის სარდაფში, ეს კანტალას,, წილია. მეორე მესამედი გონორის ოთახშია, რიუფარის წილი, ხოლო გოდეს წილი მის დასთანაა დამალული.

დავიწყებთ კანტალას,, სამალავიდან და ას ორმოცდაათი ათას ფრანკს ამოვიღებთ. გოდეს სამალავიდან ასი ათასს და ერთ ამდენსაც რიუფარისაგან. თუ რიუფარი და გოდე წაგებას დარჩებიან, საკუთარ თავს მოჰკითხონ. ჩანს, ყველაფერი არ ჩაუყრიათ თავიანთ სამალავებში. გოდეს დავარწმუნებ, რომ ასი ათასი ფრანკი მისთვის ცალკე გადავდეთ. რიუფარსა და კანტალას,, კი ვეტყვი, ვითომ გონორმა გადაურჩინა ეს ფული! პრუდანსი და პაკარი გონორთან დაიწყებენ მუშაობას. შენ და ჟინეტი, რომელიც დიდი დაქოქილი ვინმე ჩანს, გოდეს დასთან მოიკალათებთ. კომიკურ როლებში ჩემი დებიუტის საკურთხებლად წეროსთვის,, ვიპოვი კროტებისგან მოპარულ ოთხასი ათას ფრანკს და დამნაშავეებსაც მივგვრი. ისე მოვაჩვენე თავი, ვითომც ნანტერის საქმის გახსნას ვაპირებ. ჩვენ ჯიბეში ჩავიჩხრიალებთ მაყუთს,, და ქოფაკების,, ბუნაგშიაც შევყოფთ თავს! აქამდე ნადირი ვიყავი, ახლა მონადირე გავხდები. ესაა და ეს! მეეტლეს სამი ფრანკი მიეცი.

ფიაკრი სასახლესთან შეჩერდა. მთლად გაოგნებულმა ჟაკლინმა მეეტლეს ფული მისცა. გააბითურე სიკვდილი,, კიბეზე ავიდა და გენერალური პროკურორის კაბინეტისაკენ გაემართა.

ცხოვრების უცაბედი და სრული შეცვლა უაღრესად მძიმე გადასატანია. თუმცა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, ჟაკ კოლენი მაინც მძიმედ მიჰყვებოდა კიბეს, ბარილერის ქუჩიდან სავაჭრო გალერეაში რომ ადის. აქ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პერისტილის ქვეშ, ბნელი შესასვლელი პროკურატურისკენ გადიოდა. იმ დღეს რაღაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმე ირჩეოდა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსკენ მიმავალი ორმაგი კიბის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ფიქრში გართულმა კატორღელმა ერთხანს ვერ მოახერხა ბრბოს გარღვევა. ორმაგი კიბის მარცხნივ ბოძივით აღმართულია სასახლის ერთერთი უზარმაზარი კონტრფორსი და შიგ პატარა კარია შეჭრილი. კარი ხვეულ კიბეზე იღება და ამ კიბეს კონსიერჟერიში,, გავყავართ. ამ გზით დადიან გენერალური პროკურორი, კონსიერჟერის,, დირექტორი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარეები, პროკურორის მოადგილეები და საიდუმლო პოლიციის უფროსი. ამ ახლა უკვე ჩაქოლილი კიბის ერთერთი განშტოების გავლით მიიყვანეს საფრანგეთის დედოფალი მარიანტუანეტაც რევოლუციურ ტრიბუნალზე. როგორც ცნობილია, რევოლუციური ტრიბუნალი საქმეებს საკასაციო სასამართლოს საზეიმო სხდომათა დიდ დარბაზში არჩევდა.

ამ შემზარავი კიბის დანახვაზე გული გეკუმშება, რაკი წარმოიდგენ, რომ აქ გაუვლია მარიტერეზის ასულს, რომლის ამალისთვის, თმის ვარცხნილობისთვის, კრინოლინიანი კაბებისთვის ლამის ვერსალის სადარბაზო კიბეც კი ვიწრო იყო. ღმერთმა უწყის, იქნებ შუბლზე ეწერა, გამოესყიდა დედის ცოდვები, მარიტერეზის დანაშაული პოლონეთის აგრერიგად დაქუცმაცება. მონარქები დიდ ბოროტმოქმედებას როცა სჩადიან, ალბათ, არც ფიქრობენ, რას მიუზღავს სამაგიეროდ განგება.

როდესაც გენერალურ პროკურორთან მიმავალმა ჟაკ კოლენმა კიბის თაღის ქვეშ შედგა ფეხი, ბიბილუპენი კედელში ჩატანებული საიდუმლო კარიდან გამოვიდა.

საიდუმლო პოლიციის უფროსი კონსიერჟერიში,, ყოფილიყო და ისიც ბატონი დე გრანვილისკენ მიეშურებოდა. მიხვდებით, როგორ გაუკვირდებოდა, როცა ეცნაურა კარლოს ერერას რედინგოტი, ამ დილით დიდი ყურადღებით რომ დაათვალიერა. ფეხი ააჩქარა, უნდოდა, გაესწრო მისთვის, მაგრამ ჟაკ კოლენი შემოტრიალდა და მტრები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ორივე ერთ ადგილას გაშეშდა და მათმა სრულიად სხვადასხვაგვარმა თვალებმა ერთნაირად გაიელვა, თითქოს დუელში მოსისხართა პისტოლეტებმა ერთად დაიჭექესო.

ახლა კი დაგიჭირე, ყაჩაღო! შესძახა საიდუმლო პოლიციის უფროსმა.

ოჰ, ოჰ! ირონიულად ჩაიცინა ჟაკ კოლენმა და მაშინვე გაიფიქრა, ალბათ, ბატონმა დე გრანვილმა დამადევნაო. ჰოი, საოცრებავ! გული დასწყდა, რაკი ეს კაცი, რომ ეგონა, ისეთი დიდბუნებოვანი არ აღმოჩნდა.

ბიბილუპენი კისერში სწვდა ჟაკ კოლენს, რომელმაც თვალი თვალში გაუყარა მოწინააღმდეგეს და ერთი ისეთი ალიყური აჭამა, რომ სამი ნაბიჯის იქით გადაანარცხა. მერე გააბითურე სიკვდილი,, დარბაისლურად მივიდა ბიბილუპენთან, ხელი გაუწოდა, წამოდგომა უშველა ინგლისელ მოკრივესავით, რომელსაც სული მისდის, ნეტავ მალე დაიწყებოდეს ახალი შერკინებაო. ბიბილუპენი თავშეკავებული კაცი იყო და ალიაქოთის ატეხას არ აპირებდა. მაშინვე წამოხტა, დერეფნის შემოსასვლელთან მიირბინა და ჟანდარმს ანიშნა, უდარაჯეო. მერე ელვისებური სისწრაფით დაბრუნდა მტერთან, რომელიც მის გაწამაწიას არხეინად უყურებდა. ჟაკ კოლენი ფიქრობდა, ან გენერალურმა პროკურორმა გატეხა სიტყვა, ან ბიბილუპენმა არაფერი იცისო. გადაწყვიტა, გამოერკვია, რა მოხდა.

ჩემი დაპატიმრება გინდა? ჰკითხა ჟაკ კოლენმა მტერს, ნუ მიკიბმოკიბავ, პირდაპირ მითხარი. ხომ იცი, წეროს,, ბუდეში ჩემზე ძლიერი ხარ. ერთი პანღური რომ ამოგკრა, გაგათავებ, მაგრამ ჟანდარმებსა და ჯარისკაცებს ხომ ვერ გადავყლაპავ... აყალმაყალი რა საკადრისია? სად მიგყავარ?
ბატონ კამიუზოსთან.

წავიდეთ ბატონ კამიუზოსთან, დაეთანხმა ჟაკ კოლენი, მაგრამ ის არა სჯობს, პროკურატურაში მივიდეთ, გენერალურ პროკურორთან?.. ეგ ხომ უფრო ახლოსაა? დასძინა მან.

ბიბილუპენს კარგად მოეხსენებოდა, მაინცდამაინც წყალობის თვალით არ უყურებდნენ მართლმსაჯულების სასახლის მაღალ წრეებში და ეჭვობდნენ კიდეც, ქონება ბოროტმოქმედთა და მათ მსხვერპლთა ხარჯზე დაიგროვაო. ამიტომაც ასეთი ნადავლით მისვლა სასიქადულოდ მიაჩნდა.

ეგრე იყოს, პროკურატურაში წავიდეთ, მეც მირჩევნია! რაკი მბარდები, ნება მომეცი, სათანადოდ მოგაწყო; შენი ბრჭყალების მეშინია! უთხრა და ჯიბიდან ბორკილები ამოიღო.

ჟაკ კოლენმა ხელები გაუწოდა. ბიბილუპენმა ბორკილები დაადო.

ახლა მითხარი, რაკი ბატკანივით თვინიერი გამხდარხარ, როგორ გახვედი კონსიერჟერიდან,,?
როგორც შენ გადიხარ, პატარა კიბიდან.

მაშ, ისევ ახალი ოინბაზობა მოუწყვე ჟანდარმებს?

არა, ბატონმა დე გრანვილმა პატიოსან სიტყვაზე გამიშვა.

რა თავს იგდებ, რა დროს ხუმრობაა?!

ვნახოთ! რა ვიცით, იქნებ შენ თვითონ დაგადონ ბორკილები!

ამ დროს კორანტენი გენერალურ პროკურორს ეუბნებოდა:

ბატონო, აგერ უკვე ერთი საათია, რაც ჩვენი ვაჟკაცი წავიდა. ვაითუ, გაგათამაშათ?.. იქნებ ახლა ესპანეთის გზას ადგას. ესპანეთში კი, იმ სასწაულების ქვეყანაში, მაგას რა გვაპოვნინებს?
ან სულ არაფერი მესმის ადამიანებისა, ანდა დაბრუნდება. თვითონვე სჭირდება აქ მოსვლა; ჩემგან იმაზე მეტს მოელის, ვიდრე თვითონ მომიტანს.

ამის თქმა და ბიბილუპენის შემოსვლა ერთი იყო.

ბატონო გრაფო! მიმართა მან, სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ, გაქცეული ჟაკ კოლენი შევიპყარი!
ხედავთ, შესძახა ჟაკ კოლენმა, როგორ შეასრულეთ სიტყვა! ჰკითხეთ თქვენს ორსახოვან აგენტს, სად შემხვდა?

სად? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა.

პროკურატურიდან ორ ნაბიჯზე, თაღქვეშ, მიუგო ბიბილუპენმა.

მოხსენით ბორკილები, მკაცრად უბრძანა ბატონმა დე გრანვილმა ბიბილუპენს, კარგად დაიმახსოვრეთ, სანამ განსაკუთრებულ განკარგულებას არ მიიღებთ მისი ხელახლა დაპატიმრების თაობაზე, ამ კაცთან არაფერი გესაქმებათ... ახლა კი გაბრძანდით! თქვენ ისე წყვეტთ საქმეებს და ისე მოქმედებთ, თითქოს თქვენ იყოს სამართალიცა და პოლიციაც.

კაბინეტიდან ფეხი არ გამიდგამს, გელოდებოდით და ეჭვი ნუ გეპარებათ, მე ისევე არ გამიტეხია სიტყვა, როგორც თქვენ, უთხრა ბატონმა დე გრანვილმა ჟაკ კოლენს.

პირველად კი შემეპარა ეჭვი, ბატონო, აბა, ჩემს ადგილზე წარმოიდგინეთ თავი, თქვენც ასევე მოიქცეოდით. მერე კი დავფიქრდი და მივხვდი, სწორი არ ვიყავი. თქვენ ჩემგან იმაზე მეტს იღებთ, ვიდრე მაძლევთ. თქვენთვის ხელსაყრელი არ არის ჩემი მოტყუება.

მაგისტრატმა და კორანტენმა ერთმანეთს გადახედეს. გააბითურე სიკვდილს,, განა რამე გამოეპარებოდა! აქამდე მთელი ყურადღება ბატონი დე გრანვილისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ახლა კი იქვე, კუთხეში, სავარძელში ჩამჯდარი მეტად უცნაური ბებრუცანა შენიშნა. ფრთხილმა და ფხიზელმა გუმანმა მაშინვე უკარნახა, შენ წინ მტერიაო. ჟაკ კოლენი ბერიკაცს დააკვირდა. შეამჩნია, მისი თვალები ჩაცმულობით მინიშნებულ ხანდაზმულობას სულ არ შეეფერებოდა. კაცი გადაცმული იყო. ჟაკ კოლენმა თავისი მახვილი თვალითა და გამჭრიახობით სამაგიერო გადაუხადა კორანტენს, რომელმაც ოდესღაც ნიღაბი ჩამოხსნა პერადთან (იხილეთ კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე,,, II ნაწილი).

ჩვენ მარტონი არა ვართ! უთხრა ბატონ დე გრანვილს ჟაკ კოლენმა.

არა, ცივად მიუგო გენერალურმა პროკურორმა.

მე და ეს ბატონი, დასძინა კატორღელმა, შესანიშნავად ვიცნობთ ერთმანეთს... ხომ ასეა, არა?

ნაბიჯი გადადგა წინ და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს კორანტენი იყო, ლუსიენის დაღუპვის ნამდვილი ხელის შემწყობი. ჟაკ კოლენს ღაჟღაჟა სახე თვალის დახამხამებაში გაუფითრდა, თითქმის გაუთეთრდა. სისხლი თავში აუვარდა. მძვინვარე სურვილი აღეძრა, სცემოდა ამ სისხლისმსმელ ნადირს და ფეხქვეშ გაეთელა, მაგრამ უმალვე ჩაიხშო მხეცური მისწრაფება, თავი შეიკავა იმ უდიდესი ნებისყოფის დამაბვით, რისი წყალობითაც ყველას შიშის ზარს სცემდა. თავაზიანი სახე მიიღო და ბერიკაცს მიესალმა თითლიბაზური ზრდილობით, რასაც მაღალი რანგის საეკლესიო პირის როლის შესრულებისას შეეჩვია.

ბატონო კორანტენ, მიმართა მან, რა შემთხვევას უნდა ვუმადლოდე თქვენთან შეხვედრის სიამოვნებას? იქნებ შემთხვევის წყალობა არ არის და იმდენად გამაბედნიერეთ, რომ პროკურატურაში თქვენი მობრძანების მიზეზი მე გახლავართ?
გენერალური პროკურორის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. არ შეეძლო, სიამოვნებით არ დაჰკვირვებოდა ამ ორ კაცს. ჟაკ კოლენის ყოველი მოძრაობა, ლაპარაკის კილო, უაღრეს ნერვიულ დამაბულობასა და აღგზნებას ამჟღავნებდა, რისი მიზეზიც გაუგებარი იყო გენერალური პროკურორისთვის. ნიღაბი ასე უეცრად, თითქმის ჯადოსნურად რომ ახადეს, კორანტენი შეხტა, როგორც გველი, კუდზე ფეხს რომ დაადგამენ.

დიახ, მე გახლავართ, ძვირფასო აბატო კარლოს ერერა.

იმიტომ ხომ არ მობრძანებულხართ, განაგრძო გააბითურე სიკვდილმა,,, რათა შუამავლობა გაგვიწიოთ ბატონ გენერალურ პროკურორსა და მე?.. ნუთუ ისეთი ბედნიერება მხვდა წილად, რომ თქვენი ზრუნვის ღირსი გავხდი და ჩემთვისაც გაიმეტეთ თქვენი ბრწყინვალე ტალანტი? მიიღეთ, ბატონო, მიუბრუნდა კატორღელი გენერალურ პროკურორს, არ მსურს, დაგაკარგვინოთ თქვენთვის ესოდენ ძვირფასი დრო, ინებეთ ჩემი საქონლის ნიმუშები, და გაუწოდა სამი წერილი, რედინგოტის ჯიბიდან რომ ამოიღო, სანამ გაეცნობით, თუ ნებას დამრთავთ, ამ ბატონს გავესაუბრები.

ეგ დიდი პატივია ჩემთვის, უთხრა კორანტენმა, რომელიც უნებლიეთ აცახცახდა.

თქვენ სრულ წარმატებას მიაღწევთ ჩვენს საქმეში, ბატონო, განუცხადა ჟაკ კოლენმა, მე წავაგე, კარტის თამაშში დამარცხებულ მოთამაშესავით ხუმრობის კილოთი დასძინა მან, თუმცა თქვენც დატოვეთ რამდენიმე ფიგურა დაფაზე... გამარჯვება ძვირად დაგიჯდათ...

დიახ, ასევე ხუმრობის კილოთი მიუგო კორანტენმა, თქვენ თუ დედოფალი დაკარგეთ, მე ორივე ეტლი დავტოვე...

რას ბრძანებთ, კონტანსონი მხოლოდ პაიკი იყო, დაცინვით შეედავა ჟაკ კოლენი, მისი შეცვლა საკმაოდ იოლია. ნება მომეცით, შეგაქოთ, პატიოსნებას გეფიცებით, მეტად არაჩვეულებრივი ადამიანი ბრძანდებით!

ოჰ, არა, არა, მე ქედს ვიხრი თქვენი უპირატესობის წინაშე, ისე შეეპასუხა კორანტენი, თითქოსდა ერთი თავზე ხელაღებული ლაზღანდარა ყოფილიყოს. მისი გამომწვევი ტონი კი მეტყველებდა: ოინბაზობ? იყოს ნება შენი, ვიოინბაზოთ!,, მე რა ჩასათვლელი ვარ, მთელი ლაშქარი მყავს, თქვენ კი, შეიძლება ითქვას, მარტოდმარტო ბრძანდებით!

ოჰ, ოჰ, ოჰ! თითქოს დაიკვნესა ჟაკ კოლენმა.

კორანტენს მისი კვნესა არ გამოეპარა და დასძინა:

და მაინც, კინაღამ მაჯობეთ. თქვენისთანა ჯადოქარს არასოდეს შევხვედრივარ, თუმცა არაჩვეულებრივი ადამიანი ბევრი მინახავს, მუდამ ისეთ ხალხს ვებრძვი, რომლებიც მამაცობითა და გაბედული აზრებით გამოირჩევიან. საუბედუროდ, ძალიან დაახლოებული ვიყავი ჰერცოგ დჟოტრანტოსთან. ვემსახურებოდი ლუი XVIIIს მისი მეფობის ჟამს და როცა გადაასახლეს, იმპერატორს ვუწევდი სამსახურს. მერე დირექტორიას... თქვენ ისეთივე ნებისყოფა გაქვთ, როგორიც ლუველს ჰქონდა, ხოლო იგი პოლიტიკის უზადო იარაღი გახლდათ, მერწმუნეთ. მისგან განსხვავებით, თქვენ დიპლომატიური მეუფის მოქნილობით გამოირჩევით. მერედა, რა თანაშემწეები გიშოვიათ! რამდენი ვინმეს თავს გავიმეტებდი მოსაკვეთად, ოღონდ იმ საბრალო ესთერის მზარეული ჩამაგდებინა ხელში... სად

გამოძებნეთ ის მზეთუნახავი, რამდენიმე ხანს ურიის გოგოს რომ ცვლიდა ნიუსინჟენის თვალის ასახვევად? თავგზა მებნევა ხოლმე, ასეთი ვინმე რომ დამჭირდება, ვერსად ვპოულობ...

ბატონო, ბატონო, ჩაურთო ჟაკ კოლენმა, როგორ შემარცხვინეთ... ასეთი ხოტბადიდებით კაცს თავს დააკარგვინებთ...

თქვენ ჭეშმარიტად იმსახურებთ ამგვარ ქებას! პერადიც კი მოატყუეთ, პოლიციის მოხელე ეგონეთ. მერედა, ვის, პერადს! იცით რა, ის დოყლაპია ბიჭი რომ არ გყოლოდათ დასაცავი, ნამდვილად გაგვაცურებდით...

რა ბრძანებაა! ბატონო ჩემო, დაგავიწყდათ მულატად გადაცმული კონტანსონი! ინგლისელის ნიღაბაფარებული პერადი! მსახიობებს თეატრალური გარემოცვა უწყობს ხელს, მაგრამ დღისით, მზისით, ყოველგვარ პირობებში როლის ეგრე უზადოდ შესრულება მხოლოდ თქვენ და თქვენიანებს შეგიძლიათ...

ხომ ხედავთ, უთხრა კორანტენმა, ჩვენ ვიცით, თქვენცა და მეც, საკუთარი თავისა და დამსახურების ყადრი და ფასი, მაგრამ რა, ორივე მარტოდმარტონი ვართ. მე აღარ მყავს ჩემი ძველი მეგობარი, თქვენ თქვენი საყვარელი ჭაბუკი. ამწუთას მე თქვენზე ძლიერი ვარ და რატომ არ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევიან ადრეტელთა სასტუმროში,,? მეგობრულად გიწვდით ხელს და გეუბნებით: გადავეხვიოთ ერთმანეთს და საქმე მოვათავოთ,,. ბატონი გენერალური პროკურორის თანდასწრებით გპირდებით სრულ რეაბილიტაციას. ჩემს ბანაკში გადმოხვალთ; ჩემ შემდეგ პირველ ადგილს დაიჭერთ და ვინ იცის, ეგებ ჩემი შემცვლელიც გახდეთ...

ასე და ამგვარად, საზოგადოებრივ მდგომარეობას მთავაზობთ? ჰკითხა ჟაკ კოლენმა, მაგას რა სჯობს, უკუნეთი სიბნელიდან პირდაპირ მზის შუქზე გამოვალ...

ისეთ სფეროში მოხვდებით, სადაც თქვენს ნიჭს სათანადოდ დააფასებენ. არც ფული მოგაკლდებათ და ლაღად გაშლით ფრთებს. პოლიტიკურ და სახელმწიფო პოლიციასაც ხშირად უგებენ მახეს. ხომ მიცნობთ, ვინც ვარ და ორჯერ კი ვიჯექი ციხეში... თუმცა ამით არაფერი დამკლებია. მოგზაურობ და ეგაა! ვინც გინდა, ის ხარ... პოლიტიკური დრამის მამოძრავებელი ღერძი ხარ. დიდი ბატონები მოწიწებით გეპყრობიან... რას იტყვით, ძვირფასო ჟაკ კოლენ, თანახმა ბრძანდებით?

თუ გაქვთ მიღებული სათანადო მითითებები ამის თაობაზე? ჰკითხა კატორღელმა.

შეუზღუდველი უფლებებით ვარ აღჭურვილი, მიუგო საკუთარი მონაჭორით დიდად კმაყოფილმა კორანტენმა.

თქვენ ხუმრობთ. მეტად ჭკვიანი კაცი ხართ და არ გაგიძნელდებათ, იფიქროთ, რომ შეიძლება ვინმე არ გენდოთ... არა ერთი და ორი ადამიანი გაგიწირავთ, ტომარაში ჩაგიგდიათ და თან ისე მოგიკვარახჭინებიათ საქმე, თითქოს თავისი ნებით ჩამძვრალიყვნენ შიგ... ვიცი თქვენი შესანიშნავი ბატალიები: მონტორანის საქმე, სიმეზის საქმე... აჰ, ეგ ჯაშუშობისთვის იგივეა, რაც ბრძოლა მარენგოსთან.

კარგი, კარგი! თქვენს პატივისცემას თუ იმსახურებს ბატონი გენერალური პროკურორი?

დიახ, მიუგო ჟაკ კოლენმა და თავი მოწიწებით დახარა, მე აღტაცებული ვარ მისი სულგრძელობით, კეთილი გულით, ვაჟკაცური შემართებით, ნებისყოფის სიმტკიცით, კეთილშობილებით და სიცოცხლეს არ დავიშურებ მისი ბედნიერებისათვის. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონ დე სერიზიზე უნდა ვიზრუნო, საშინელი განსაცდელისგან ვიხსნა.

გენერალურმა პროკურორმა სიხარულით თავი ვერ შეიკავა და სახე გაებადრა.

მაშინ ჰკითხეთ მას, განაგრძო კორანტენმა, მაქვს თუ არა სრული უფლება, მოგაცილოთ იმ საშინელ გარემოს, სადაც იმყოფებით და სამარცხვინო მდგომარეობიდან გიხსნათ? თან ჩემს სამსახურშიც აგიყვანთ!

მართალს გეუბნებათ, უთხრათ ბატონმა დე გრანვილმა და კატორღელს დააცქერდა.

სრული სიმართლეა? ნუთუ მაპატიებენ წარსულს და პირობას მომცემენ, თავს თუ სათანადოდ გამოვიჩენ, თქვენს შემცვლელად დამნიშნონ?

ჩვენისთანა პიროვნებებს შორის ყოვლად შეუძლებელია, რაიმე გაუგებრობა მოხდეს, უთხრა კორანტენმა იმგვარი სულგრძელობით, რომ ვინ არ მოტყუვდებოდა.

და ასეთი შეთანხმების ჯილდო, ალბათ, ამ სამი წერილის გადმოცემა იქნება, არა? ჰკითხა ჟაკ კოლენმა.

რა თქმა უნდა, ეგ თავისთავად იგულისხმება...

ძვირფასო ბატონო კორანტენ, მიმართა გააბითურე სიკვდილმა,, ირონიით, რაც ისეთივე აღტაცებას იმსახურებდა, ტალმამ ნიკომედეს როლში რომ მოიპოვა, მადლობელი ვარ თქვენი, დიდად დავალებულიც, რაკი გამიმხილეთ, რა ვღირვარ და რა მნიშვნელობა ენიჭება

ჩემგან ამ იარაღის გამოგლეჯას... თქვენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ... ყოველთვის ვიქნები მზად თქვენდა სამსახურად და იმის ნაცვლად, რომ რობერ მაკერივით გითხრათ: გადავეხვიოთ ერთმანეთსმეთქი, ავდგები და პირდაპირ გადაგეხვევით.

ისე მოულოდნელად და სწრაფად შემოხვია კორანტენს წელზე ხელი, რომ იგი ვერ დაუსხლტა. ჟაკ კოლენმა თოჯინასავით გულზე მიიხუტა, ორივე ლოყაზე აკოცა, ბუმბულივით აიტაცა ჰაერში, კაბინეტის კარი გამოაღო და ამ უხეში ალერსით გასავათებული გარეთ გასვა.

მშვიდობით, გენაცვალე, უთხრა ყურში ჩურჩულით, ჩვენ შორის სამი ცხედარი ასვენია. ჩვენ დაშნები ვიშიშვლეთ. ერთნაირი ყალიბისა და ერთნაირად ნაწრთობი ფოლადისაა ორივე... ერთმანეთის პატივისცემას ნუ დავკარგავთ, ოღონდაც მე თქვენი ტოლი უნდა ვიყო და არა ხელქვეითი... კბილებამდე ისე შეიარაღდებით, რომ მეტად საშიში გენერალი იქნებით თქვენი ადიუტანტისთვის. ჩვენ შორის უფსკრულია. ვაი თქვენ, თუ ჩემს სამფლობელოში გადმოაბიჯებთ! თქვენ ისევე გეწოდებათ სახელმწიფო, როგორც ლაქიები ირქმევენ თავიანთ ბატონთა გვარებს. მე კი მსურს, საკუთარ თავს ვუწოდებდე მართლმსაჯულებას,.. ჩვენ ხშირად შევხვდებით ერთმანეთს და უდიდესი ღირსებითა და თავდაჭერით უნდა ვიქცეოდეთ, რამეთუ ჩვენ ყოველთვის ვიქნებით... უსაშველო არამზადები, ჩასჩურჩულა მან, მაგალითიც მოგეცით, გაკოცეთ...
თავის სიცოცხლეში პირველად დაიბნა კორანტენი და ისე გამოთაყვანდა, რომ თავზე ხელაღებულ მოწინააღმდეგეს დაანება, მაგრად ჩამოერთმია ხელი, ის კი არა, კიდევაც უთხრა:

თუ აგრეა, მგონი, ჩვენთვის უმჯობესია მეგობრებად დავრჩეთ.

ცალცალკე უფრო ძლიერნი ვიქნებით და უფრო საშიშნი, დასძინა ხმადაბლა ჟაკ კოლენმა, მაშინ ნება მომეცით, ხვალ ჩვენი სავაჭრო ხელშეკრულების გირაო გთხოვოთ.

ასე იყოს, კვერი დაუკრა გულთბილად კორანტენმა, საქმეს მართმევთ, რათა გენერალურ პროკურორს გადასცეთ. თქვენ მისი დაწინაურების მიზეზი გახდებით, მაგრამ იმასაც დავძენ, რომ ნაკლები წილი არც თქვენ შეიხვედრეთ... ბიბილუპენი მეტად ცნობილი გახდა, თავისი დრო მოჭამა. მის ადგილზე თუ დაჯდებით, შესაფერის მდგომარეობას შეიქმნით... პატიოსნებას გეფიცებით, დიდად მოხარული დავრჩები, თუ ამ თანამდებობაზე გიხილავთ.

კარგად ბრძანდებოდეთ, ნახვამდის, უთხრა ჟაკ კოლენმა.

გააბითურე სიკვდილი,, კაბინეტში დაბრუნდა. გენერალურ პროკურორს ხელებში თავი ჩაერგო და სეკრეტერთან მიმჯდარიყო.

მითხარით, როგორ შეგიძლიათ გრაფინია დე სერიზი გაგიჟებას გადაარჩინოთ? ჰკითხა მან.

სულ ხუთი წუთი დამჭირდება, მიუგო ჟაკ კოლენმა.

და გადმომცემთ ამ ქალბატონების ყველა წერილს?

წაიკითხეთ სამივე?

დიახ, უპასუხა გენერალურმა პროკურორმა, და მრცხვენია მათ მაგივრად...

მაშ, ასე. მარტონი ვართ. ნულარავის შემოუშვებთ, ვისაუბროთ, უთხრა ჟაკ კოლენმა.

მომითმინეთ... სამართალი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, თავის საქმეს მიხედოს. ბატონ კამიუზოს ნაბრძანები აქვს, თქვენი მამიდა დააპატიმროს...

ვერასოდეს იპოვის, უთხრათ ჟაკ კოლენმა.

ტამპლზე გაჩხრეკენ დემუაზელ პაკარს, რომელსაც გახსნილი აქვს...

მხოლოდ ძონძმანებს, ტანსაცმელს, ბრილიანტებსა და მუნდირებს იპოვიან. ასეა თუ ისე, ბატონ კამიუზოს უსაზღვრო თავგამოდებას ლაგამი უნდა ამოედოს.

ბატონმა დე გრანვილმა ზარი დარეკა. კანცელარიის ბიჭი გაგზავნა ბატონ კამიუზოსთან და დააბარა, მოსალაპარაკებლად მოსულიყო.

აბა, რას მეტყვით? ჰკითხა მან ჟაკ კოლენს, დროა გავათავოთ! მოთმინება არ მყოფნის, გამაგებინეთ, რა წამალი იცით გრაფინიას განსაკურნად...

ბატონო გენერალურო პროკურორო, დიდი სერიოზულობით დაიწყო ჟაკ კოლენმა, მოგეხსენებათ, ყალბი საბუთების შედგენის გამო ხუთი წლით კატორღა მომისაჯეს! მე თავისუფლება მიყვარს! ამ სიყვარულს, როგორც ყოველ სიყვარულს, ვნების მეტი არაფერი მოუტანია ჩემთვის. მოსიყვარულე მიჯნურნი ერთმანეთისგან გაღმერთებას მოითხოვენ და სულ ჩხუბობენ. რამდენჯერაც გავიქეცი, იმდენჯერვე შემიპყრეს. შვიდი წელიწადი ვიყურყუტე კატორღაში. მაშასადამე, თქვენ უნდა მომაშოროთ მხოლოდ ის სასჯელი, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათა გამო რომ ამკიდეს ჭალაში,,, ბოდიში, კატორღაში! რომ ვთქვათ, სასჯელი მოხდილი მაქვს და სანამ რაღაც ბოროტ დანაშაულს არ მომაწერენ, ამას კი ვერ მოესწრება ვერც მართლმსაჯულება და ვერც კორანტენი, საფრანგეთის

მოქალაქის უფლებები უნდა აღმიდგინოთ. პარიზიდან თუ გამაძევეს და პოლიციის ზედამხედველობა დამიწესეს, ეგ რაღა სიცოცხლე იქნება? სად წავალ? რას გავაკეთებ? თქვენ უკვე იცით ჩემი ნიჭი და უნარი... ხომ ნახეთ, ცბიერებისა და გამცემლობის ხაზინა, კორანტენი, ქებადიდებას რომ ასხამდა ჩემს ტალანტს და თან ჩემი შიშით ელეთმელეთი მოსდიოდა. მაგ კაცმა წამართვა ყველაფერი! მან, მხოლოდ და მხოლოდ მან, არ ვიცი, რა გზებითა და რა მიზნებით, ბედნიერება მოუსპო ლუსიენს... კორანტენმა და კამიუზომ გააკეთეს ყველაფერი...

ყველას ნუ ადანაშაულებთ, შეაწყვეტინა ბატონმა დე გრანვილმა, საქმეზე მელაპარაკეთ.

მაშ, ასე, ახლა საქმესაც მოგახსენებთ. წუხელ ჭაბუკის გაყინულ ხელს რომ ვუჭერდი ხელს, საკუთარ თავს პირობა მივეცი, თავი გავანებო საზოგადოებასთან ბრძოლას, რომელშიაც აგერ ოცი წელია, რაც ჩავები. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ფარისევლობა არ შემიძლია, ჩემი რელიგიური მრწამსი გაგაცანით... დიახ, ოცი წელიწადი ვაკვირდებოდი ცხოვრების სარჩულს, მის ჯურღმულებს და შევიცანი, რომ საგანთა მოძრაობას მართავს ძალა, რასაც თქვენ განგებას უწოდებთ, მე შემთხვევას, ჩემი ამქრები შანსს! რაც უნდა დაიმალოს, ბოროტმოქმედებას უეჭველად მიეზღვება სამაგიერო. იბრძვი, მიიწევ წინ, არაფრის წინაშე არ ჩერდები, თითქოს ბედიც გაგიღიმებს, კოზირებიც მოგივა, პირველი სვლა შენია, მაგრამ უეცრად სანთელი ვარდება, კარტს ცეცხლი ეკიდება, ანდა მოთამაშეს დამბლა ეცემა... ეს არის ლუსიენის თავგადასავალი. ამ ანგელოზს, ამ ბავშვს, მცირეოდენი დანაშაულიც არ ჩაუდენია. წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და ცხოვრების დინებას უბრძოლველად მიჰყვებოდა! ცოლად უნდა შეერთო მადმუაზელ დე გრანლიე, მიეღო მარკიზის ტიტული, ფულიც ჰქონდა, მაგრამ... ვიღაც გომბიო თავს იწამლავს, გაყიდული რენტის საფასურს სადღაც მალავს და მშვენიერი ჭაბუკის საკეთილდღეოდ დიდი წვალებით ნაგები სასახლე ხუხულასავით ინგრევა. მერედა, ვინ გვიტევს პირველად? ვიღაც ბინძური, გათახსირებული ურჩხული, რომელსაც მომხვეჭელთა სამყაროში იმდენი ბოროტმოქმედება ჩაუდენია (იხილეთ ნიუსინჟენის ფირმა,,), რომ მისი ავლადიდებიდან ყოველი ეკიუ უამრავი ოჯახის ცრემლითაა გაჟღენთილი. ნიუსინჟენი ოქროს სამფლობელოში კანონიერად აღიარებული ჟაკ კოლენია. აბა, რაღა გავაგრძელო, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რამდენი ქონება შთაუნთქავს, რამდენი ვინმე გაუუბედურებია მაგ სახრჩობელას ღირს კაცს. მე კი, რაც უნდა გავწირო თავი სიკეთისთვის, მოყვასისთვის, ჩემს ყოველ მოქმედებას მაინც დაეტყობა ბორკილების ანაბეჭდი. ბურთივით გათამაშებენ ორი ჩოგნით, რომელთაგან ერთს კატორღა ეწოდება, მეორეს პოლიცია და ამას სიცოცხლე ჰქვია. აქ გამარჯვება დაუსრულებელ შრომას ნიშნავს, სიმშვიდე კი, ჩემი აზრით, არ არსებობს. ჟაკ კოლენი, ჩემო ბატონო, გარდაიცვალა მაშინ, როცა სული განუტევა ლუსიენმა, რომელსაც აი, ახლა აიაზმას აპკურებენ და პერლაშეზზე გასასვენებლად ამზადებენ. მე კი მსურს მოვიპოვო ადგილი, სადაც სიცოცხლე კი არა, სიკვდილი მომიწევს... გადახედეთ შექმნილ ვითარებას, განა რომელიმე თქვენგანს, კანონიერების დამცველთ, ოდესმე შეგიწუხებიათ თავი და მცირეოდენი ყურადღება მაინც

მიგიქცევიათ გათავისუფლებული კატორღელის სამოქალაქო და საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის? კანონი აღარას გვერჩის, მაგრამ ახლა საზოგადოება გვიმხედრდება. იგი უნდობლობას იჩენს და არაფერს იშურებს, ოღონდაც ეს უნდობლობა გაამართლოს. ცდილობს, ნაკატორღალი თავის წრეში არ გააჭაჭანოს. საზოგადოება ვალდებულია, აღუდგინოს ყველა უფლება და უსპობს უფლებას, სადაც მოესურვება, იქ იცხოვროს, აკრძალულ ზონას უქმნის. საზოგადოება განკიცხულს დასძახის: პარიზი და მისი შემოგარენი ერთადერთი ადგილია, სადაც შეგიძლია, დაიმალო და აქ კი აკრძალული გაქვს ცხოვრება!,, გათავისუფლებულ კატორღელს პოლიციის ზედამხედველობას უწესებენ და როგორ გგონიათ, ასეთ პირობებში ცხოვრება შესაძლებელია? უნდა იარსებო, უნდა იმუშაო, რამეთუ კატორღიდან რენტით არავინ ბრუნდება. თქვენ კი ისე აწყობთ საქმეს, რომ კატორღელს ადვილად გამოსაცნობი დაღი ესვას და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება არ ჰქონდეს. მერე, რას ფიქრობთ, რომელი მოქალაქე გაიკარებს მას, როცა საზოგადოება, მართლმსაჯულება და მის ირგვლივმყოფი მთელი სამყარო სრულ უნდობლობას უცხადებს? თქვენ იგი გაწირეთ, მან უნდა იშიმშილოს ანდა ბოროტმოქმედი გახდეს. სამუშაოს ვერ შოულობს, ხელახლა ძველ საქმიანობას წამოიწყებს და ეშაფოტზეც ამოყოფს თავს. ამიტომაც გულით კი მეწადა, კანონთან ბრძოლისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ მზის ქვეშ ადგილი ვერსად ვიპოვე. სხვა გზა არა მაქვს, უნდა გავხდე მსახური იმ ძალაუფლებისა, რითაც გვთრგუნავენ. როგორც კი ამ აზრმა გამიელვა თავში, უმალ ცხადად წარმომიდგა თვალწინ იარაღი, რომლითაც უნდა აღვჭურვილიყავი და მიზნისთვის მიმეღწია. ამაზე უკვე გელაპარაკეთ. სამი დიდებული ოჯახის ბედი ჩემს ხელშია. არ გეგონოთ, შანტაჟს გიწყობდეთ... შანტაჟი ყველაზე სამარცხვინო ბოროტებაა, ჩემი აზრით, ეს უფრო მეტი გათახსირებაა, ვიდრე მკვლელობა. მკვლელს არაადამიანური გამბედაობა მაინც აქვს. ჩემს მოსაზრებებს ახლავე დაგისაბუთებთ, რამეთუ წერილები, ჩემი უსაფრთხოების საწინდრად რომ მიმაჩნია და რომელთა წყალობითაც დამნაშავე მოსამართლეს ასე თავისუფლად გემასლაათებით, დიახ, ეს წერილები თქვენს განკარგულებაშია... კანცელარიის ბიჭს თქვენი სახელით შეუძლია მივიდეს დანიშნულ ადგილას და იქ გადასცემენ... საფასურს არ ვითხოვ, მე მათ არ ვყიდი! ვაგლახ, ბატონო გენერალურო პროკურორო, მაგ წერილებს მარტოოდენ ლუსიენისთვის ვინახავდი. მეშინოდა, ოდესმე რაიმე გასაჭირი არ დასტყდომოდა თავს. და თუ ჩემს თხოვნას არ დააკმაყოფილებთ, ჯანდაბას ჩემი თავი. ჯერ კიდევ შემრჩენია იმდენი გამბედაობა და ცხოვრებაც იმდენად მეზიზღება, რომ არ გამიძნელდება, შუბლში ტყვია ვიკრა და მოგაშოროთ ჩემი თავი... ისიც შემიძლია, ავიღო პასპორტი, ამერიკაში წავიდე და მარტოდმარტო ვიცხოვრო. ველურს არაფრით ჩამოვუვარდები, ბევრი რამ მაქვს მასთან საერთო და განმარტოებით ცხოვრება არ გამიძნელდება... აი, რაზე ვფიქრობდი წუხელ, ალბათ, თქვენმა მდივანმა გადმოგცათ ჩემგან დაბარებული სიტყვა... რაკი შევნიშნე, ყველა ღონეს ხმარობდით, ლუსიენის ხსოვნისთვის ჩირქი არავის მოეცხო, მოგიძღვენით ჩემი სიცოცხლე უბადრუკი საჩუქარი! უბადრუკიო, ვამბობ, რადგან სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირს. რაღა ბედენაა სიცოცხლე ჩემთვის, როცა ჩამიქრა მანათობელი შუქურა, მომესრა ერთადერთი სულისჩამდგმელი სიხარული, ჩამეფერფლა იმედი, აზრი ჩემი არსებობისა. ველარ მოვესწარი ჩემი ჭაბუკი პოეტის ნიჭის

გაფურჩქვნას, საუკუნოდ ჩაესვენა ჩემთვის მზე. ჰოდა, გადავწყვიტე, თქვენთვის გადმომეცა წერილების ეს სამი შეკვრა...

ბატონმა დე გრანვილმა თავი დახარა.

ეზოში რომ ჩავედი, ნანტერში ჩადენილი ბოროტმოქმედების ავანჩავანთ წავაწყდი. იქვე ვიპოვე ჩემი პატარა მეგობარი, რომელთანაც კატორღაში ბორკილებით ვიყავი გადაჯაჭვული. უნებლიე მონაწილე გამოდგა ამ დანაშაულისა და თავი შეუშვირა გილიოტინას, დასძინა ჟაკ კოლენმა, იქვე გავიგე, ბატონო, რომ ბიბილუპენი თურმე თვალს უხვევს მართლმსაჯულებას და მისი ერთერთი აგენტი კროტების მკვლელია. ნუთუ ეს იყო, თქვენ რომ იტყვით ხოლმე, განგების ნება? მაშინვე მივხვდი, დიდ სიკეთეს დავთესდი, თუ არ დავიშურებდი ღვთივმომადლებულ უნარსა და ძალას, ენერგიასა და ცოდნას, გამოვიყენებდი მას საზოგადოების სამსახურში, მოყვრისთვის გავხდებოდი სასარგებლო და არა მავნებელი. თან გავკადნიერდი და თქვენს მაღალგონიერებასა და გულკეთილობაზე დავამყარე იმედი.

მანკიერების შემზარავი ფილოსოფია გაქრა. აღარც გამკილავი სიტყვები ისმოდა, ალალმართლად ამბობდა აღსარებას და თვინიერად, მიამიტად, სათნოდ გამოიყურებოდა. სრულიად გარდაქმნილი ჩანდა ჟაკ კოლენი, სულ სხვა კაცი იდგა ბატონი დე გრანვილის წინაშე.

იმდენად მწამს თქვენი, რომ მინდა თქვენ განაგებდეთ ჩემს ბედს, თვითგვემით გატაცებული მომნანიებელი ცოდვილის თავმდაბლობით განაგრძო მან, ხომ ხედავთ, გზაჯვარედინზე ვდგავარ და ჩემ წინ სამი გზაა: თვითმკვლელობა, ამერიკა, იერუსალიმის ქუჩა. ბიბილუპენი მდიდარია, თავისი დროც უკვე მოჭამა. ეგ ორპირი კაცი კანონიერების სადარაჯოზე დგას. ნება რომ მოგეცათ, ერთ კვირაში ზედ დანაშაულზე წავასწრებდი. მაგ გათახსირებულის ადგილს თუ მომცემთ, საზოგადოებას დიდ სამსახურს გავუწევთ. მე თვითონ არაფერი მინდა. ჩემი მომზადებითა და გამოცდილებით ზედგამოჭრილი ვარ მაგ თანამდებობისთვის. ბიბილუპენზე მეტი განათლებაც მაქვს მიღებული, რიტორიკის კლასამდე ვსწავლობდი. იმასავით ყეყეჩი არა ვარ და თუ მოვინდომებ, რიგიანი მანერებიც მაქვს. ჩემი პატივმოყვარული მისწრაფებანი სრულიად დაკმაყოფილდება, თუკი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებასა და კანონიერების დაცვაში მცირეოდენ წვლილს შევიტან. აღარ მსურს მანკიერების განსახიერებას წარმოვადგენდე. დღეის შემდეგ ბოროტების ლაშქარს აღარავის შევმატებ. ომში ტყვედ ჩავარდნილ გენერალს კი არ ხვრეტენ, ხმალს უბრუნებენ და ციხის ნაცვლად რომელიმე ქალაქს მიუჩენენ საცხოვრებლად. ასე იყოს! მე კატორღის გენერალი ვარ, გბარდებით... მართლმსაჯულებამ ჩემი დათრგუნვა ვერ მოახერხა. სიკვდილმა დამამარცხა და თუ ვიცოცხლებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიმუშაო ჩემ მიერ არჩეულ სფეროში, რაკი მარტოოდენ ამგვარი საქმიანობა შეეფერება ჩემს მიდრეკილებებს და დარწმუნებული

ვარ, ჩემს უნარსა და ნიჭს სწორედ ამ სარბიელზე მიეცემა გასაქანი... გადაწყვიტეთ... და ჟაკ კოლენი, მოკრძალებული და მორჩილი, დადუმდა.
წერილებს ჩემს სრულ განკარგულებაში გადმომცემთ? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა.

გაგზავნეთ ვინმე. მაშინვე გამოატანენ...

მერედა, როგორ?

ჟაკ კოლენი გენერალური პროკურორის გულში ყველაფერს კითხულობდა და თამაშს განაგრძობდა.

აკი დამპირდით, კალვის სასიკვდილო განაჩენს ოცი წლის კატორღით შეუცვლიდით. ოჰ, განა იმიტომ გაგახსენეთ, რომ რაღაც პირობა წამოგიყენოთ, ფიცხლად ჩაურთო სიტყვა, რაკი შენიშნა, რომ გენერალური პროკურორი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობს უდავო საბუთი, ბიჭი უდანაშაულოა...
წერილებს როგორ მივიღებ? ჰკითხა გენერალურმა პროკურორმა, ვალდებული ვარ და უფლებაც მაქვს, დავრწმუნდე, რომ თქვენ ნამდვილად ისეთი კაცი ხართ, როგორადაც თავს მაჩვენებთ. მსურს ყოველგვარი პირობის გარეშე დარჩეთ ჩემთან...

ყვავილების სანაპიროზე სანდო კაცი გაგზავნეთ. იქ კავეულის მაღაზიაა, რომლის ფირნიშზე აწერია: აქილევსის ფარი,,.

დუქანი და ფარი?

ასეა, მწარე ღიმილით უთხრა ჟაკ კოლენმა, იქ ინახება ჩემი ფარი. თქვენი წარგზავნილი კართან რენტის მქონე დედაკაცივით ჩაცმულ დედაბერს დაინახავს. ყურებზე გრძელი საყურე ეკიდება. ბაზრის მდიდარი მანდილოსანივით იქნება მორთულმოპრანჭული. თქვენი კაცი ქალბატონ დე სენტესტევს იკითხავს, დე,, არ დაგავიწყდეთ. ეტყვის, გენერალურმა პროკურორმა გამომგზავნა, თქვენ რომ მოგეხსენებათ, იმ საქმეზეო... მაშინვე გადასცემენ სამ დალუქულ პაკეტს...

შიგ ყველა წერილია, უკლებლივ?

ო, რა ეჭვიანი ბრძანდებით. ტყუილად არ გიჭირავთ ეს თანამდებობა, გაეღიმა ჟაკ კოლენს, ვხედავ, მაინც ფიქრობთ, რომ ისევ გცდით და იქნებ სუფთა ქაღალდიც კი შეგაპაროთ... თქვენ მე არ მიცნობთ! დასძინა მან, მე მოგენდეთ, როგორც შვილი მიენდობა მამას!

თქვენ კონსიერჟერიში,, დაგაბრუნებთ და იქ დაელოდებით საბოლოო განაჩენს, უთხრა გენერალურმა პროკურორმა.

ზარი დაირეკა. კანცელარიის ბიჭი შემოვიდა. გენერალურმა პროკურორმა უთხრა:

თუ თავის კაბინეტშია, ბატონ გარნერის სთხოვეთ, მოვიდეს.
გარდა ორმოცდარვა პოლიციის კომისრისა, ორმოცდარვა მოსიარულე ბედისწერასავით პარიზს რომ მეთვალყურეობენ და ქურდებმაც თავიანთი ჟარგონით თვალის მეოთხედი,, უწოდეს, რადგან თითო რაიონში მათგან ოთხი კაცი მოდის, საჩოთირო საქმეების მოსაგვარებლად და ხშირად გამომძიებლის როლის შესასრულებლადაც პოლიციასა და სასამართლოზე კიდევ ორი კომისარია მიმაგრებული. ამ ორი მაგისტრატის კანცელარიას, მაგისტრატიო, ვამბობთ, რაკი ისინი მართლაც სასამართლოს მოხელენი არიან, საგანგებო საქმეთა ბიურო,, ეწოდება. მართლაც, როცა საჭიროა გაჩხრეკა ან დაპატიმრება, ეს საქმე მათ ევალება. ამ თანამდებობის პირი უნდა იყოს დაბრძენებული, ჭკუადამჯდარი, გამოცდილი კაცი, მაღალი ზნეობის პატრონი და საიდუმლოების მტკიცე დამცველი. ამგვარ ადამიანებს, ასე თუ ისე, მაინც პოულობენ რაღაც სასწაულით, პარიზის საკეთილდღეოდ განგება რომ ახდენს. მართლმსაჯულების სისტემის აღწერა ზუსტი არ იქნებოდა, თუ არ ვახსენებდით მაგისტრატებს, რომელთაც, ასე ვთქვათ, წინასწარი ძიების ჩატარება ევალებათ, და სამართლის დიდი დამხმარე ძალა არიან. საქმე იმნაირად წარიმართა, რომ სამართალმა უწინდელი ბრწყინვალება დაკარგა და უნდა ვაღიაროთ, არსებითად მოგებულიც დარჩა. სამართლისწარმოების მექანიზმი სხვაზე მეტად პარიზში გაუმჯობესდა და მოკლე ხანში სრულყოფილებასაც მიაღწია.

ბატონმა დე გრანვილმა თავისი მდივანი, ბატონი დე შარჟბეფი ლუსიენის დასაფლავებაზე გაგზავნა, წერილების მოტანა კი უთუოდ სანდო პირისათვის უნდა დაევალებინა. ბატონი გარნერი საგანგებო საქმეთა ერთერთი კომისარი იყო.

ბატონო დე გრანვილ, მიმართა ჟაკ კოლენმა, მე უკვე დაგიმტკიცეთ, რა ფასი აქვს ჩემს სიტყვას... თქვენ ნება დამრთეთ თავისუფლად წავსულიყავი და დავბრუნდი კიდეც... აგერ, საცაა სამი საათი შესრულდება... ახლა მთავრდება ლუსიენის პანაშვიდი და მალე გამოასვენებენ... ნუ გამგზავნით კონსიერჟერიში,,. გამიშვით, გავაცილო ჩემი ბავშვის ცხედარი პერლაშეზამდე. დავბრუნდები და თქვენი ტყვე ვარ...

წადით, უთხრა ბატონმა დე გრანვილმა გულთბილად.

კიდევ ერთი სიტყვა, ბატონო გენერალურო პროკურორო, იმ გოგოს ფული, ლუსიენის საყვარლისა, არავის გაუტაცია... თქვენის ნებართვით საშუალება მომეცა, გავსულიყავი გარეთ და მოვახერხე ნაცნობებისთვის მეკითხა... მათი ისევე მჯერა, როგორც თქვენ გჯერათ ორი საგანგებო საქმეთა კომისრისა. ეჭვი არ მეპარება, როგორც კი გახსნით მადმუაზელ ესთერ

გობსეკის საძინებელს, პროცენტებიანი ქაღალდების საფასურსაც მაშინვე იპოვით. მისმა პირისფარეშმა მითხრა, განსვენებული, რომ იტყვიან, დიდი გულჩახვეული ვინმე ყოფილა და თურმე არავის ენდობოდა. ვეჭვობ, საბანკო ბილეთები ლოგინში ჰქონდა გადამალული. ერთი კარგად გაჩხრიკონ მისი საწოლი, ყველაფერი გადააქოთონ, ლეიბებიც გაარღვიონ, ბალიშებიც, ფულს უთუოდ იპოვიან...

დარწმუნებული ბრძანდებით?

ეჭვი არ მეპარება. ჩემს არამზადებს პატიოსნების ნატამალი კიდევ შერჩენიათ და არასოდეს მოვუტყუებივარ... მე გახლავართ განმკარგულებელი მათი ყოფნაარყოფნისა. მე ვასამართლებ, მსჯავრს ვდებ, განაჩენიც გამომაქვს და აღვასრულებ კიდეც ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. მგონი დარწმუნდით, რა ძალაუფლებით ვსარგებლობ. გიპოვით ბატონი და ქალბატონი კროტების ავლადიდებასაც, ჩავავლებ კიდეც დამნაშავეს, ბიბილუპენის ერთერთ აგენტს, მის მარჯვენა ხელს და გაგიხსნით ნანტერში მომხდარი დანაშაულის საიდუმლოს... ეგ ჩემი გირაო იქნება! და თუ მიმიღებთ მართლმსაჯულებისა და პოლიციის სამსახურში, ერთი წლის შემდეგ ჩემ მიერ გახსნილი საქმეებით დიდად კმაყოფილი დარჩებით. პატიოსნად ვიქნები ის, რაც უნდა ვყოფილიყავი და მონდობილ საქმეს წარმატებით გავუძღვები.

სხვა ვერაფერს დაგპირდებით, ოღონდ იცოდეთ, წყალობას არ მოგაკლებთ; მაგრამ, რასაც მთხოვთ, მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. იუსტიციის მინისტრმა უნდა მოახსენოს მეფეს, მის მეტს სხვას არავის აქვს თქვენი შეწყალების უფლება. თქვენი არჩეული თანამდებობა პოლიციის პრეფექტის ნომენკლატურას ექვემდებარება.

ბატონი გარნერი გეახლათ, მოახსენა კანცელარიის მსახურმა.

გენერალურმა პროკურორმა ანიშნა და კაბინეტში საგანგებო საქმეთა კომისარი შემოვიდა, საქმეში ჩახედული კაცის თვალით გადახედა ჟაკ კოლენს და როცა ბატონმა დე გრანვილმა კატორღელს უთხრა, წადიო, თავი ვერ შეიკავა, რათა გაკვირვება არ გამოემჟღავნებინა.

ნება მიბოძეთ, აქ დავრჩე, სანამ ბატონი გარნერი არ გადმოგცემთ წერილებს, რომლებზედაც დიდ იმედს ვამყარებ და თავად არ დავრწმუნდები, რომ თქვენც კმაყოფილი ბრძანდებით ჩემით, უთხრა ჟაკ კოლენმა.
მისმა თავმდაბლობამ, კეთილსინდისიერებამ გენერალურ პროკურორს გული აუჩუყა.

წაბრძანდით! უთხრა მაგისტრატმა, მე მჯერა თქვენი.

გამომშვიდობებისას ჟაკ კოლენმა თავი ისე მოწიწებით დახარა, როგორც უფროსის მონამორჩილ ხელქვეითს შეეფერებოდა. ათი წუთის შემდეგ ბატონი დე გრანვილის სრულ განკარგულებაში გადავიდა წერილების სამი დალუქული პაკეტი. ამ მეტად მნიშვნელოვანმა შენაძენმა და ჟაკ კოლენის აღსარებამ მთლად გადაავიწყა მისი დაპირება, ქალბატონ დე სერიზის განვკურნავო.

ჟაკ კოლენი გარეთ გამოვიდა და საოცრად უცხო გრძნობა დაეუფლა მის არსებას: თავისუფალი იყო, ახალი ცხოვრება ეშლებოდა წინ. მართლმსაჯულების სასახლიდან გამოსული სწრაფი ნაბიჯით გაემართა სენჟერმენდეპრეს ეკლესიისკენ, სადაც წირვა უკვე დაემთავრებინათ. კუბოს ნაკურთხ წყალს აპკურებდნენ. სულზე მიუსწრო. ესოდენ საყვარელი ბავშვის ნეშტს ქრისტიანულად გამოემშვიდობა. მერე კარეტაში ჩაჯდა და სასაფლაოზე გაჰყვა კუბოს.

ჩვეულებრივ, პარიზში, დასაფლავებაზე, ეკლესიიდან გამოსული ხალხი ნელნელა იფანტება. ბევრი არავინ მიდის პერლაშეზამდე, თუ რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა არ ხდება, ანდა თუ არ ასვენებენ ვინმე სახელგანთქმულ პიროვნებას, თავისი დღით რომ მოკვდა, რაც მეტად იშვიათია. სამძიმრის სათქმელად საკმარისი დრო რჩება ეკლესიაში, პანაშვიდის შემდეგ კი ყველა თავის საქმეზე მიეშურება. ახლაც ათი სამგლოვიარო კარეტიდან ოთხიც კი არ იყო გავსებული. როცა სამგლოვიარო პროცესია პერლაშეზს მიუახლოვდა, კუბოს თორმეტიოდე კაციღა მიჰყვებოდა. მათ შორის იყო რასტინიაკი.

კარგია, მისი ერთგული რომ დარჩით, მიმართა ჟაკ კოლენმა ძველ ნაცნობს. რასტინიაკი ვოტრენის დანახვაზე სახტად დარჩა.
გული დაიარხეინეთ, უთხრა მადამ ვოკეს ყოფილმა მდგმურმა, მე მონა ვარ თქვენი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ აქ შემხვდით. ჩემი კეთილგანწყობა თქვენდამი უგულებელსაყოფი არ გახლავთ, რაკი ვარ, ანდა სულ მალე ვიქნები ისეთი ძლიერი, როგორიც არასოდეს ვყოფილვარ. მოხერხებული ვინმე ბრძანდებით, კარგადაც მოეწყვეთ, მაგრამ კაცნი ვართ, რა იცით, იქნებ დაგჭირდეთ ოდესმე, სიამოვნებით დაგეხმარებით.

ვინ იქნებით?

კატორღის მომმარაგებელი, აქამდე კი მისი მდგმური გახლდით, მიუგო ჟაკ კოლენმა.

რასტინიაკმა ზიზღი ვერ დაფარა.

იქნებ გაგქურდონ!
რასტინიაკმა ფეხი ააჩქარა, რათა სასწრაფოდ გასცლოდა ჟაკ კოლენს.

რა იცით, რა შეგემთხვევათ ცხოვრებაში.

ესთერის სამარის გვერდით გათხრილ მიწას მიუახლოვდნენ.

ორი არსება, რომელსაც ერთმანეთი უყვარდა და ერთმანეთის ბედნიერებით სუნთქავდა, თქვა ჟაკ კოლენმა, ახლა შეერთდა. ისიც კი ბედნიერებაა, ერთად თუ დალპებიან. ანდერძს დავტოვებ, მეც აქ დამასაფლავონ.
ლუსიენის კუბო საფლავში რომ ჩაუშვეს, ჟაკ კოლენი გულწასული დაეცა. ჭირისუფლებისგან ჯილდოს მოლოდინში მესაფლავეები კუბოს ზოზინით აყრიდნენ მიწას და ეგზომ ძლიერმა ვაჟკაცმა ხმაური ვერ აიტანა.

საიდუმლო პოლიციის ორი აგენტი მოადგა საფლავს. ჟაკ კოლენი იცნეს, ასწიეს და ფიაკრში გადაასვენეს.

რა იყო, კიდევ მოხდა რამე? იკითხა გონზე მოსულმა ჟაკ კოლენმა.

გვერდით პოლიციის აგენტები ესხდნენ. ერთი მათგანი რიუფარი იყო, რომელსაც ისე შეხედა ჟაკ კოლენმა, გეგონებოდათ, მკვლელს სულში ჩაუძვრა, მთელი საიდუმლოება ამოუტრიალა და გონორის საქმეც ამოატივტივაო.

გენერალური პროკურორი გიხმობთ, მიუგო რიუფარმა, სად არ გეძებეთ და როგორც იყო, სასაფლაოზე მოგაგენით; ყმაწვილკაცს კინაღამ საფლავში ჩაჰყევით.
ჟაკ კოლენი ერთხანს ჩუმად იჯდა.

ბიბილუპენი ხომ არ მეძებს? ბოლოს ჰკითხა მეორე აგენტს.

არა, ბატონმა გარნერიმ დაგვავალა თქვენი მოძებნა.

არაფერი უთქვამს?

ორმა აგენტმა ერთმანეთს გადახედა, თითქოს ერთურთს თვალით ეკითხებოდნენ რჩევას.

ის მაინც მითხარით, რა გიბრძანათ?
გვიბრძანა, დაუყოვნებლივ მოძებნეთო, უთხრა რიუფარმა, თან ისიც დასძინა, სენჟერმენდეპრეს ეკლესიაში მიდით და თუ სამგლოვიარო პროცესია ეკლესიიდან გამოსული დაგიხვდათ, სასაფლაოზე იქნებაო.

გენერალური პროკურორი ხომ არ მკითხულობდა?

შესაძლებელია.

სწორედ ასეა, ვჭირდები! და ხელახლა დუმილს მისცა თავი, რამაც ორივე აგენტი დიდად შეაშფოთა. დაახლოებით სამის ნახევარზე ჟაკ კოლენი ბატონი დე გრანვილის კაბინეტში შევიდა და იქ დაუხვდა მისთვის უცნობი გრაფი ოქტავ დე ბოვანი, რომელსაც უწინ ბატონი დე გრანვილის თანამდებობა ეჭირა და მერე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ერთერთ თავმჯდომარედ დანიშნეს.

თქვენ დაგავიწყდათ, რა განსაცდელშია ჩავარდნილი ქალბატონი დე სერიზი, ხომ დამპირდით, გადავარჩენო.

ბატონო გენერალურო პროკურორო, მიმართა ჟაკ კოლენმა და აგენტებს ანიშნა, შემოდითო, აბა, ჰკითხეთ ამ არამზადებს, რა ყოფაში მიპოვეს?

გულშეწუხებული ეგდო, ბატონო გენერალურო პროკურორო, დღეს რომ გაასვენეს, იმ ყმაწვილის სამარის პირას.

გადაარჩინეთ ქალბატონი დე სერიზი, უთხრა ბატონმა დე ბოვანმა, და მიიღებთ ყველაფერს, რასაც ინებებთ!

რა უნდა ვინებო? ჩაურთო ჟაკ კოლენმა, ბატონო გენერალური პროკურორის განკარგულებაში ვარ. მას უნდა მიეღო...

ყველა წერილი! თქვა ბატონმა დე გრანვილმა, მაგრამ ხომ დამპირდით, ქალბატონ დე სერიზის სიგიჟისგან ვიხსნიო. ნუთუ მართლა შეგიძლიათ? იქნებ დაიტრაბახეთ?

იმედია, გადავარჩენ, მოკრძალებით თქვა ჟაკ კოლენმა.

ძალიან კარგი, წამომყევით, უთხრა გრაფმა ოქტავმა.

არა, ბატონო, იუარა ჟაკ კოლენმა, თქვენთან ერთად კარეტაში ვერ ჩავჯდები... ჯერ კიდევ გამოქცეული კატორღელი ვარ. მსურს ვემსახურო მართლმსაჯულებას, მაგრამ სამსახურს მისი შეურაცხყოფით ვერ დავიწყებ... მიბრძანდით გრაფინიასთან, ცოტა ხნის შემდეგ მეც იქ გავჩნდები... მოახსენეთ, ლუსიენის საუკეთესო მეგობარი, აბატი კარლოს ერერა აპირებს თქვენთან მოსვლასთქო... ეს ამბავი ქალზე უეჭველად კარგად იმოქმედებს და მის გამოჯანმრთელებას ხელსაც შეუწყობს. უნდა მაპატიოთ, რომ იძულებული ვარ, კვლავ სიყალბეს მივმართო და მასთან ესპანელი კანონიკის ნიღბით გამოვცხადდე. სხვანაირად ამ დიდ სამსახურს ვერ გაგიწევთ!

იქვე შეგხვდებით, ოთხ საათზე, უთხრა ბატონმა დე გრანვილმა, იუსტიციის მინისტრთან ერთად მეფეს უნდა ვეახლო.

ჟაკ კოლენმა მამიდას მიაშურა. მამიდა ყვავილების სანაპიროზე ელოდებოდა.

რა ქენი, ჩაბარდი წეროს,,?

ჰო.

სახიფათოა.

არა. სიცოცხლე უნდა გადამერჩინა საწყალი თეოდორისთვის და შეიწყალებენ კიდეც.

მერედა, შენ?

მე? მე ვიქნები ის, რაც უნდა ვიყო! ჩემ წინაშე ისევ შიშით იკანკალებს მთელი ჩვენი ამქარი! ახლა კი დროა, საქმეს მივხედოთ. წადი პაკართან, უთხარი, დაიწყოს თხრა, ხოლო ევროპამ ჩემი ბრძანება შეასრულოს.

მაგას რა უნდა, უკვე ვიცი, როგორ მივუდგე გონორს! უთხრა შემზარავმა ჟაკლინმა, ნუ გეშინია, დრო ტყუილუბრალოდ არ დამიკარგავს, არც მე ვიჯექი გულხელდაკრეფილი!

კორსიკელი გოგო, ჟინეტი, ხვალვე უნდა იპოვოთ, დასძინა ჟაკ კოლენმა და გაუღიმა მამიდას.

მის კვალს უნდა მივაგნოთ.

ქერა მანონი დაგეხმარება, მიუგო ჟაკმა.

მთელი ღამე წინ გვიდევს! უთხრა მამიდამ, რას აფაფხურებულხარ, სად მიგეჩქარება, მიადექი ხაზინას?

მინდა პირველადვე ისეთ წარმატებას მივაღწიო, რაც ბიბილუპენს არასოდეს ღირსებია. ცოტა გავესაუბრე ურჩხულს, რომელმაც ლუსიენი მომიკლა და თუ ვცოცხლობ, მხოლოდ იმისთვის, რომ შური ვიძიო! ორივეს ერთნაირი იარაღი და მდგომარეობა გვექნება, მფარველებიც ერთნაირი გვეყოლება. მრავალი წელი უნდა ველოდო, რომ იმ დამპალს გავუსწორდე, მაგრამ დარტყმა ზუსტი იქნება, შიგ გულში მოვახვედრებ.

ისიც, ალბათ, ასევე ანგარიშის გასწორებას გვიპირებს, უთხრა მამიდამ, მაგან პერადის გოგო შეიფარა, ხომ გახსოვს ის ბავშვი, ქალბატონ ნურისონს რომ მივყიდეთ.

უპირველეს ყოვლისა, მსახური მივუჩინოთ, ჩვენი კაცი.

ძნელი საქმეა, მაგას ასე ადვილად ვერ გააცურებ! მიუგო ჟაკლინმა.

ვნახოთ, სიძულვილი კაცს სასიცოცხლო ძალას მატებს! საქმეს მივხედოთ!

ჟაკ კოლენი ფიაკრში ჩაჯდა და მაშინვე მალაკეს სანაპიროსკენ გასწია. სრულიად განცალკევებით, ლუსიენის მეზობლად, პატარა ოთახში ცხოვრობდა. მეკარეს ჯერ გაუკვირდა მისი დანახვა, მერე კი დააპირა, მომხდარი ამბები მოეთხრო მისთვის.

ყველაფერი ვიცი, უთხრა აბატმა, როგორ წმიდათაწმიდად ვცხოვრობდი და რანაირად დამასხეს ლაფი. ესპანეთის ელჩი დამეხმარა და გამათავისუფლეს.

მან ცქვიტად აირბინა თავის ოთახში. ლოცვანის ყდაში ჩამალული წერილი აიღო, ეს წერილი ლუსიენმა მაშინ მისწერა ქალბატონ დე სერიზის, როდესაც მან იტალიელებთან,, ლუსიენი და ესთერი ერთად დაინახა და ყმაწვილკაცს გაურისხდა.

ლუსიენი ისეთ სასოწარკვეთილებას მიეცა, რომ წერილი აღარ გაუგზავნა, რადგან დარწმუნებული იყო, ვეღარაფერი უშველიდა. ჟაკ კოლენმა ეს შედეგრი გადაიკითხა, რადგან ყველაფერი, რასაც ლუსიენი წერდა, მისთვის ძვირფასი იყო.
ლოცვანის ყდაში შეინახა ეს უსტარი, რაკი იგი პატივმოყვარეობით ნაკარნახევი სიყვარულის მაღალ პოეტურ გამოხატულებას წარმოადგენდა. ბატონმა დე გრანვილმა ქალბატონი დე სერიზის სავალალო მდგომარეობაზე ჩამოუგდო თუ არა სიტყვა, ჟაკ კოლენს, ამ ეგზომ გამჭრიახსა და ღრმად დაკვირვებულ კაცს, ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში; დიდი ქალბატონის მწუხარება და სიგიჟე უთუოდ იმის შედეგია, რომ ლუსიენს გაებუტა, თუმცა თვითონვე იყო დამნაშავე. ჟაკ კოლენი ისევე იცნობდა ქალებს, როგორც მოსამართლეები დამნაშავეებს იცნობენ, იგი ჭვრეტდა მათ გულთა იდუმალ ხვეულებს. უმალ გაიფიქრა, გრაფინია, ალბათ, ნაწილობრივ საკუთარ სიმკაცრეს აბრალებს ლუსიენის სიკვდილს, ამის გამო მწარედ იტანჯება და ფიქრობს, სიყვარულით რომ გამეთბო, თავს არ მოიკლავდაო. ქალბატონი დე სერიზი თუკი დარწმუნდებოდა, რომ მისი სასტიკი მოპყრობისდა მიუხედავად, ლუსიენს მაინც ძველებურად უყვარდა, უეჭველად გამოჯანმრთელდებოდა.

თუ ვიტყვით, ჟაკ კოლენი კატორღელთა ნიჭიერი მხედართმთავარი იყოო, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის მკურნალიც გახლდათ. მისი გამოჩენა დე სერიზების სასახლეში ამ ოჯახისთვის ლაფის დასხმაც იყო და ხსნაც. გრაფინიას საძინებლის წინ მდებარე პატარა სალონში იმყოფებოდნენ თვით გრაფი, ექიმები და რამდენიმე სტუმარი. დე

სერიზის სახელს ლაქა რომ არ მოსცხებოდა, გრაფმა დე ბოვანმა ყველა დაითხოვა და მეგობრის პირისპირ დარჩა. სახელმწიფო საბჭოს ვიცეპრეზიდენტისთვის, საიდუმლო საბჭოს წევრისთვის, მეტად ძნელი გადასატანი იყო შავბნელი და შემზარავი პირის ოჯახში მიღება.

ჟაკ კოლენს ტანსაცმელი გამოეცვალა. შავი მაუდის შარვალი და რედინგოტი ჩაეცვა. სიარული, გამოხედვა, მანერები უზადო ჰქონდა. თავი შესანიშნავად ეჭირა. ორ სახელმწიფო მოღვაწეს მიესალმა და იკითხა, თუ შეიძლება, გრაფინიას ოთახში შესვლაო.

მოუთმენლად გელით, უთხრა ბატონმა დე ბოვანმა.
მოუთმენლად? მაშ, გადარჩენილია! თქვა საზარელმა სასწაულმოქმედმა.

მართლაც, გრაფინიასთან საიდუმლო თათბირი ნახევარ საათსაც არ გაგრძელებულა. ჟაკ კოლენმა კარი გამოაღო და განაცხადა: მობრძანდით, ბატონო გრაფო, აღარავითარი საბედისწერო ამბის აღარ უნდა გეშინოდეთ!,, გრაფინიას წერილი გულში ჩაეხუტებინა. მშვიდად გამოიყურებოდა და ჩანდა, საკუთარ თავს შერიგებოდა. მის დანახვაზე გრაფმა ვეღარ დამალა, რარიგ ბედნიერად გრძნობდა თავს.

ეგეც ჩვენი და ხალხთა ბედიღბლის გამგებელნი! გაიფიქრა ჟაკ კოლენმა და მხრები აიჩეჩა, როცა ორი მეგობარი საძინებელში შემოვიდა, საკმარისია, ძუკნამ ერთი ამოიკვნესოს, რომ ტვინი ხელთათმანებივით გადმოუტრიალდეთ! ქალის გამოხედვაზე თავს კარგავენ! თუ აცვია ოდნავ მოკლე ან გრძელი კაბა, ენაგადმოგდებულნი უკან მისდევენ მთელ პარიზში. გომბიოს რაღაც მოეპრიანაო და მთელი სახელმწიფო შეტრიალდება! ოჰ, რაოდენ ძალასა და ენერგიას იკრებს მამაკაცი, როცა ამ ბავშვური დესპოტობისგან ჩემსავით თავისუფლდება და ამ ვნებით დამარცხებულ ნამუსს, უბიწო ბოროტებას, ველურ ცბიერებას აღარაფრად აგდებს! ქალი, გენიალური ჯალათი, უნიჭიერესი მწვალებელი, იყო და ყოველთვის იქნება მამაკაცის დამღუპველი. გენერალური პროკურორიო, მინისტრიო, ხედავთ, როგორ დაბრმავებულან ყველანი, როგორ აწრიალებულან ვიღაც ჰერცოგინიასა თუ კახპას წერილების გამო. მზად არიან, ყოველივე გაწირონ, ოღონდ იხსნან გონება ქალისა, რომელიც უფრო მეტად იქნება გიჟი, როცა აზრი დაუბრუნდება, ვიდრე მაშინ, როცა აზრი დაკარგული აქვს, ჟაკ კოლენს ქედმაღლურად ჩაეცინა, ჯანდაბას, გულში თქვა მან, ჩემი ხომ სჯერათ, ჩემს ზეკაცურ ძალას ემორჩილებიან, სანუკვარ თანამდებობასაც მიბოძებენ. მარად ვიბატონებ სამყაროზე, რომელიც აგერ ოცდახუთი წელია, მემორჩილება,,.

ჟაკ კოლენმა ამჟამადაც გამოიყენა ის საოცარი ძალა, მბრძანებლური ნიჭი, რამაც ოდესღაც დიდი გავლენა მოახდინა ესთერზე. მკითხველმა არაერთხელ დაინახა, რომ მის სიტყვას, გამოხედვას, მიხრამოხრას ისეთი მომაჯადოებელი ძალა ჰქონდა, რომ გიჟებსაც კი ათვინიერებდა. ჟაკ კოლენმა ქალბატონი დე სერიზი დაარწმუნა, ლუსიენს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ხსოვნა ჩაჰყვა სამარეშიო.

განა არსებობს ისეთი ქალი, ვისაც გული არ აუჩვილდება, როცა გაიგებს, ჩემს სატრფოს მარტოოდენ მე ვყვარებივარო.

ამ გულგრილმა და დამცინავმა კაცმა გრაფინია დე სერიზის უკანასკნელად განუცხადა:

თქვენი მეტოქე აღარავინ არის!
მერე ერთი საათი იჯდა მარტოდმარტო სალონში და არავის გახსენებია იგი. როცა ბატონი დე გრანვილი მობრძანდა, დაინახა, ღრმა ფიქრებში ჩაფლული ჟაკ კოლენი შუბლშეკრული იდგა, როგორც შეეფერებოდა ადამიანს, ვისაც თავის ცხოვრებაში 18 ბრიუმერი უნდა განეხორციელებინა.

გენერალურმა პროკურორმა საძინებელში რამდენიმე წუთს დაჰყო. მალე ჟაკ კოლენთან დაბრუნდა და უთხრა:

თქვენი გადაწყვეტილება ურყევია?

დიახ, ბატონო.

კარგი. თქვენ შეცვლით ბიბილუპენს და მსჯავრდადებულ კალვისაც სასჯელი შეუმსუბუქდება.

როშფორში არ გაგზავნიან?

ტულონშიაც კი არა. შეგიძლიათ თქვენს სამსახურში აიყვანოთ, მაგრამ ამ მოწყალებისა და თანამდებობის მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევით ექვსი თვის განმავლობაში, სანამ ბიბილუპენის მოადგილე იქნებით.
ერთი კვირის შემდეგ ბიბილუპენის მოადგილემ კროტას ოჯახს ოთხასი ათასი ფრანკი დაუბრუნა. გასცა რიუფარი და გოდე.

ესთერ გობსეკის მიერ გაყიდული პროცენტიანი ქაღალდების საფასური კურტიზანის საწოლში იპოვეს, ხოლო ბატონმა დე სერიზიმ ლუსიენ დე რუბამპრეს მიერ ანდერძით დატოვებული სამასი ათასი ფრანკი ჟაკ კოლენს გადასცა.

თავისთვისა და ესთერისთვის ლუსიენის მიერ შერჩეულ ძეგლს პერლაშეზის სასაფლაოზე ვერც ერთი საფლავი ვერ შეედრება. იქვე მახლობლად, მათი საფლავის ქვემოთ, ჟაკ კოლენისთვის არის ადგილი გამოყოფილი.

თითქმის თხუთმეტი წელიწადი მოღვაწეობდა ჟაკ კოლენი საიდუმლო პოლიციის უფროსის თანამდებობაზე და 1845 წელს გადადგა სამსახურიდან.